780
1992/2

# საუნჯე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1992/4 ივლისი—აგვისტო



# საუნჯე

1992/4
ივლისი
აგვისტო
(106)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სარჩევი

### პროზა და პოეზია

მიგელ დელიბესი. ხუთი საათი მარიოსთან. რომანი. ესპანურიდან თარგმნეს ლალი ბრეგვაძემ და ირინა ჰელიძემ — 5

ფელიციტას ფრიშმუთი. ლექსები. გერმანულიდან თარგმნა ნელი კახიძემ — 120

ერნესტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი. კომპოზიტორი გლუკი. გერმანულიდან თარგმნა ლია თაყვარელიძემ — 128

ჯონ სტაინბეკი. ზეციური იალაღები. ინგლისურიდან თარგმნა მზია ტუღუშმა — 137

ვლადიმერ ლიდინი. შვიდი წელი. მოთხრობა. თარგმნა ნათელა გაგაშელმა — 155

იოჰან ვოლფგანგ გოეთე. მწვანე გველისა და მშვენიერი შროშანის ზღაპარი. გერმანულიდან თარგმნა ირინე მელიქიშვილმა — 162

ნიიოლე მილაშკაიტე. ლექსები. ლიტვურიდან თარგმნა მერი შალვაშვილმა — 168

იაპონური დეტექტივი. მოთხრობები. თარგმნა გივი ციცქიშვილმა — 177

### წერილები

გიორგი ნიშნიანიძე. შტრიხები პორტრეტისათვის. რუდოლფ შტაინერი — 224

მღვდელმონაზონი სერაფიმ როუზი. ღვთის გამოცხადება ადამიანის გულში. ინგლისურიდან თარგმნა მარინა ხოსრუაშვილმა — 241

გაბრიელ გარსია მარკესი. ჯერ კიდევ არ არის გვიან. თარგმნა ელზა ახვლედიანმა — 255

უილიამ ვან ო'კონორი. უილიამ ფოლკნერი. ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ გემაზაშვილმა — 268

რაინერ მარია რილკე. წერილები სეზანზე. გერმანულიდან თარგმნა ლამარა ნაროუშვილმა — 280

რუდოლფ შტაინერი. გოეთეს სულიერი წყობა „მწვანე გველისა და შროშანის" ზღაპრის მიხედვით. გერმანულიდან თარგმნა ირინე მელიქიშვილმა — 290

დათო ბარბაქაძე. გაუცხოებული ეპოქა და გაუცხოებული ადამიანი. — 297

ნიკოლოზ კენჭოშვილი. „ბალავარიანის" ზოგიერთი საკითხი. — 303

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი. ორი დიდი მეტაფორა. თარგმნა დათო ბარბაქაძემ — 312

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке
1992 № 4
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა დარჩია (პა. მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნოდარ გურეშიძე
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
ნიკო ყიასაშვილი
დავით წერედიანი

გარეკანზე: ეჟენ დელაკრუა. იაკობის ბრძოლა ანგელოზთან

მხატვარი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი ნანა ხართაია.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის 93-38-10, რედაქციის — 99-73-41.

გად. წარ. 26. 08 92 წ. ხელმოწ. დასაბეჭდად 20. 11. წ. ქაღალდის ზომა 70X108 1/16
საღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28 ტირ. 4500, შეკვ. № 1510.

ფასი 10 მან.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა,
380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

# მიგელ დელიბესი

## ხუთი საათი მარიოსთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

ესპანურიდან თარგმნეს ლალი ბრეგვაძემ და ირინა ჭილაძემ

რომანი — „ხუთი საათი მარიოსთან“ — თანამედროვე ესპანელი მწერლის, მსოფლიო პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლის, მიგელ დელიბესის შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ თავისებურ რომან-მონოლოგში ავტორი საოცარი მხატვრული ხერხებით ხატავს დღევანდელი ესპანეთის საზოგადოებას.

წინამდებარე თარგმანი მწერლის შესანიშნავი პროზის ქართველ მკითხველთან შეხვედრის პირველი ცდაა.

ვუძღვნი ხოსე ხიმენეს ლოსანოს

ილოცეთ **დონ მარიო დიეს კოლიადოს**
სულის საცხონებლად,
რომელიც მიიცვალა 1966 წლის 24 მარტს
49 წლისა
და რომელიც სიკვდილის შემდეგ განიწმინდა ცოდვებისაგან.

—R. I. P —

მისი უნუგეშოდ დარჩენილი მეუღლე დონია მარია დელ კარმენ სოტილიო; შვილები — მარიო, მარია, დელ კარმენი, ალვარო, ბორხა და მარია არანსასუ; სიმამრი — მისი უდიდებულესობა დონ რამონ სოტილიო; და — მარია დელ როსარიო; ცოლისდა — დონია ხულია სოტილიო; რძალი — დონია ენკარნასიონ გომეს გომესი; ბიძები, ბიძაშვილები და დამწუხრებული ოჯახის დანარჩენი წევრები გლოვობენ აუნაზღაურებელ დანაკარგს და ლოცულობენ მიცვალებულის სულის გადასარჩენად.

გამოსვენება 10 საათზე.

სულის მოსახსენებელი ლიტურგია შედგება ხვალ, 8 საათზე, წმინდა დიეგოს სამრევლოში.
გრეგორიანული წირვა საგანგებოდ გამოცხადდება.
დამკრძალავი ბიურო: ალფარეროს 16, ქვემო სართული,
მარჯვნივ.

სტამბა პიო ტილიო.

კარმენი ბოლო მნახველს აცილებს, კარს მიხურავს და კედელზე თავმიდებული მანამდე დგას, ვიდრე მის სიგრილეს არ შეიგრძნობს. თვალმოჭრილივით ხშირ-ხშირად აფახულებს წამწამებს. მარჯვენა ხელი ტკივა, ტუჩები ამდენი კოცნისაგან დასიებია. თითქოს არ იცის რა თქვას, და იმეორებს დილიდან აჩემებულ სიტყვებს: „კიდევ არ მჯერა. ვალენ,

1. R. I.P. — Requiescat in pace — ნათელი დაადგეს.



20121

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოიდგინე, არ შემიძლია შევეგუო ამ აზრს“. ვალენი ფრთხილად ჰკიდებს ხელს და ძალდაუტანებლად მიჰყავს დერეფანში მისი ოთახისაკენ.

— ცოტა უნდა დაიძინო, მენჩუ. მიხარია, რომ ასე ყოჩაღად ხარ, მაგრამ თავს ნუ მოიტყუებ, საყვარელო, მოჩვენებითია, ასე არ გაგრძელდება, ნახავ, ხვალ ნერვები გიმტყუნებს.

კარმენი განიერი საწოლის კიდეზე ჯდება და თვინიერად იქნევს ფეხს, მარჯვენა ფეხისწვერით მარცხენა ფეხსაცმელს წაიძრობს და პირიქით. ვალენტინა დაწოლაში ეხმარება, შემდეგ სამკუთხედად მოკეცავს საბანს, ისე, რომ საბანი კარმენს წელქვემოთ ფარავს. ვიდრე თვალს დახუჭავდეს, კარმენი უკმაყოფილოდ ამბობს:

— დავიძინო? არა, ვალენ, არ მინდა დაძინება, მასთან უნდა ვიყო. ეს ბოლო ღამეა, შენ იცი.

ვალენტინა არ ეწინააღმდეგება, მისი ხმა, კილო და ქლერადობა, ისევე როგორც მისი მოძრაობები, უშრეტ ენერგიაზე მეტყველებს:

— თუ არ გსურს, ნუ დაიძინებ, მაგრამ დაისვენე. უნდა დაისვენო. — საათს შეხედა. — ვისენტე მალე მოვა.

კარმენი თეთრი საბნის ქვეშ გაიწვართება, თვალებს დახუჭავს და, თითქოს ეს საკმარისი არ იყოს, ზედ შიშველ მკლავს იფარებს, მეტისმეტად ქათქათა რომ ჩანს მისი შავი სვიტრის სახელოსთან შედარებით, რომელიც იდაყვამდე სწვდება.

— მეჩვენება, თითქოს მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც დილით დაგირეკე, — ამბობს იგი, — ღმერთო ჩემო, რამდენი რამ მოხდა! წარმოიდგინე, ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია, არ შემიძლია შევეგუო ამ აზრს.

კარმენი წევს თვალდახუჭული, თვალებზე მკლავწაფარებული, და მაინც ხედავს უწყვეტ რიგს სახეებისას, გაყინულთ, თითქოს ხისაგან გამოჩორკნილთ, საგანგებოდ დამწუხრებულთ: „აბა-აბა!“ „უნდა შეეგუო“, „თავს გაუფრთხილდი, კარმენ, ბავშვებს სჭირდები“. „რომელ საათზეა ხვალ გამოსვენება?“ და ისიც: „გმადლობ, ძვირფასო“, „გმადლობ, ჩემო კარგო“. საპატივცემლოებს კი: „როგორ გაეხარდებოდა საწყალ მარიოს, აქ რომ ენახეთ!“ ხალხი იცვლებოდა, მაგრამ ნაკადი არ იკლებდა, წყალუხვ მდინარეს ჰგავდა. თავდაპირველად ყველაფერი ხაზგასმულად პირობითი იყო. გრძელი სახეები და მუხანათური სიჩუმე, არმანდომ პირველმა განმუხტა დაძაბულობა, როცა მონაზვნებზე იხუმრა. იფიქრა, კარმენს არ ესმისო, მაგრამ კარმენმა გაიგონა, და თუმც არაფერი უთქვამს, მოიანომ, რომელსაც გადაფითრებული სახე რაბინის შავი, აბრეშუმისებრი წვერით ჰქონდა შემოსილი, განმგმირავი მზერა ესროლა არმანდოს. მაგრამ დაძაბულობა, ადრინდელთან შედარებით, შენელებულიყო. მოიანოს წვერი და სიფერმკრთალე ეხამებოდა სიტუაციას. ვალენის ოქროსფერი თმის ტალღა კი, პირიქით, დისონანსს ქმნიდა. „როცა მითხრეს, ვერ დავიჯერე. იგი ხომ გუშინ ვნახე“. კარმენი იხრებოდა და ორივე ლოყას უკოცნიდა. სინამდვილეში აქ არავინ არ კოცნიდა ერთმანეთს, ნასწავლი მოძრაობით ადებდნენ ლოყას ლოყაზე, ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ და კოცნიდნენ ჰაერს ან რომელიმე ურჩ კულულს. კოცნის ხმა ესმოდათ, გრძნობით კი ვერა გრძნობდნენ. „მეც ვერ დამიჯერებია. წუხელ ჩვეულებრივად ივახშმა და გვიანობამდე კითხულობდა. ამ დილით, კი, ხომ ნახე. როგორ შემეძლო ამის წარმოდგენა?“ მოიანოს მეცნიერი კაცის გარეგნობა ჰქონდა. მისი წვერი, ღამის სილურჯემდე სი-

ეროვნული

ფერმკრთალე და სიგამხდრე საუკეთესოდ ეხამებოდა გარემოებას. კარმენს შეეძლო მხოლოდ ამის გამო ყოფილიყო მისი მადლობელი. „გეწყინება, რომ არ შევხედო?“ „რას ამბობ, გეთაყვა“. „ეჰ, რას ვიზამთ, კარმენ“. ორივე ქალმა ლოყა ლოყაზე მიადო ერთმანეთს. ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ, აკოცეს ჰაერს, სიცარიელეს, ურჩ კულულს, ორივე გრძნობდა კოცნის სუნთქვას და კანის სითბოს. „დამიჯერე, არასდროს მინახავს ასეთი მიცვალებული, ფერიც კი არ დაუკარგავს“. და კარმენი ისეთი უსაზღვრო სიამაყეს გრძნობდა, თითქოს ეს მისი დამსახურება ყოფილიყო. მარიოს ვერავინ შეედრებოდა, მარიო კარმენის მიცვალებული იყო. თვითონვე გამოაწყო. ვალენი კი თავისას არ იშლიდა: „მირჩევნია, ცოცხლად დამახსომდეს, ხომ გესმის“. „გარწმუნებ, სულ არ შეცვლილა“, „თუნდაც მასე იყოს“, ასევე ფიქრობდა მენჩუც, მაგრამ მენჩუ კარმენის შვილი იყო და სხვა გზა არ ჰქონდა. კოლეჯიდან დაბრუნებული მენჩუ კარმენმა დოროს დახმარებით ძალისძალათი შეიყვანა მიცვალებულთან და აიძულა გაეხილა თვალები, ჯიუტად რომ ხუჭავდა. „მოეშვი, ჯერ ბავშვია“. „მისი შვილია და ახლავე წამოვა, რადგან მე ვუბრძანებ“. არანორმალური! მენჩუ არანორმალურად მოიქცა.

— გველის წიწილა გამიზრდია.

— დაწყნარდი, მენჩუ, გეყოფა, ეცადე დამშვიდდე. ახლა ნურაფერზე იფიქრებ.

ისინი, უმეტესად, გაურკვეველი მოჩვენებები იყვნენ, დამრგვალებულნი, თვალებგამოციებულნი. მათ აერთიანებდა პასუხისმგებლობის გაუცნობიერებელი გრძნობა, შემგუებლური სენტიმენტალობა და დაუოკებელი სურვილი, რომ ჩაფრენოდნენ მას, კარმენს, თავიანთი თითებით ან ტუჩებით. მოდიოდნენ შემცბარნი და ოცნებობდნენ, რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდნენ აქაურობას. „როცა მითხრეს, ვერ დავიჯერე, იგი ხომ გუშინ ვნახე“. „საცოდავი მარიო, ასე ახალგაზრდა!“ ვალენტინას ოქროსფერი თმის ტალღა თვალებში ეჩხირებოდა [illegible], ასევე აღიზიანებდა კუბოს მიღმა ჩარიგებული წიგნები, რომელთაც წითლად, მწვანედ და ყვითლად აჭრელებული ყუა ჰქონდათ, როდესაც დამკრძალავი ბიუროს ბიჭები წავიდნენ, კარმენმა ჭრიალა სუპერშემოკრული წიგნები, თალხის ფონზე ასერიგად რომ ჭრიდნენ თვალს, სათითაოდ და მოთმინებით შეაბრუნა. საქმეს რომ მორჩა, უცნაური კმაყოფილება იგრძნო. ხელები მთლად დამტვერილი ჰქონდა.

„რაღა გაეწყობა“, „ღმერთმა აცხონოს“. ბოლოს და ბოლოს კარმენი სწორად მოიქცა, ბერტრანძ რომ სამზარეულოში გაგზავნა. ზედამხედველი არასდროს არ უნდა იყოს მასწავლებლის გვერდით. მერე კიდე ეს ამბავი, რის გამოც ანტონიო ცუდ დღეში ჩავარდა ბერტრანის გამო. აქ ყრუებს რა ესაქმებათო? ანტონიომ მხოლოდ ესა თქვა: „კარგები იხოცებიან, ცუდები კი ვრჩებით“, სინამდვილეში კი არ თქვა, ჩაიბუტბუტა. ბერტრანმა ჰკითხა: „რა ბრძანეთ?“ ანტონიომაც ხმადაბლა გაიმეორა, მანამ კი ეჭვით მიიხედ-მოიხედა. ბერტრანმა მხრები აიჩეჩა. ხმას აუწია და თქვა: „მე ხომ არაფერი მესმის“ და იქ მყოფნიც დაიმოწმა, ანტონიო კი ჯერ მიცვალებულს უცქერდა, შემდეგ ხალხს, თანდათან უწევდა ხმას და თავის სიტყვებს იმეორებდა. დანარჩენები დუმდნენ. ხოლო როცა ანტონიომ ბოლოს და ბოლოს იღრიალა: „ცუდები ვრჩებით და კარგები იხოცებიან!“ და ბერტრანმა უპასუხა: „მომიტევეთ, ვერ გავიგონე!“ მაშინ ყველა მიხვდა საქმის ვითარებას.

ზოგი მოდიოდა, ზოგი მიდიოდა. მათ აერთიანებდათ გაუცნობიერებელი პასუხისმგებლობის გრძნობა და ყასიდად ტანჯული გამომეტყველება. ანტონი-

ოს ცოლმა, ბენიმ ისარგებლა დაძაბული სიჩუმით, ღრმად ამოიოხრა, თითქოს გულ-ღვიძლი ამოატანაო, და თქვა: „გული მუხთალი რამაა, ეს ცნობილია“, და ყველამ შვება იგრძნო. თვალებს მოსცილდა ტანჯული გამომეტყველება და სახეებიც დამრგვალდნენ. დამნაშავე აღმოჩენილი იყო, კარმენმა ბერტრანს უთხრა: „ბერტრან, გადით სამზარეულოში, აქ ისედაც ვიწროდ ვართ“.

— ვერ წარმოიდგენ, ვალენ, რა ხდებოდა სამზარეულოში! ნამდვილი ბაბილონის გოდოლი იყო. მარიო ხომ უბრალო ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

— ჰო, ძვირფასო, ახლა კი გაჩუმდი, ნურაფერზე იფიქრებ, ეცადე დაისვენო, გემუდარები.

— მეჩვენება, მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც დილით დაგირეკე, ვალენ.

კარმენმა მაშინვე დაურეკა. ვალენიც წამსვე იქ გაჩნდა. ის პირველი მოვიდა. მთელი საათნახევარი კარმენი გულს იოხებდა მასთან ლაპარაკით. მარიო, ჩვეულებრივ, ადრე დგებოდა, დარაბები რომ გავაღე, ვიფიქრე, ისევ ძინავს-მეთქი. მართალი რომ გითხრა, მისმა პოზამ გამაოცა, რადგან მარიოს გვერდზე გადაბრუნებულსა და ფეხმოკეცილს სჩვეოდა წოლა, საწოლის ნახევარსაც არ იკავებდა, სიგრძეში, რა თქმა უნდა, და არა სიგანეში. ამის გამო, წარმოიდგინე, უხერხულობასაც კი ვგრძნობდი ხშირად. მთლად მოკუნტული იწვა ხოლმე. ამბობდა, ბავშვობიდან შემომრჩა ასეთი ჩვევაო. დღეს დილას კი გულაღმა დამხვდა, სხვა მხრივ არაფერი ემჩნეოდა. ლუისი ამბობს, გულის შეტევისას ადამიანს ხუთვები აქვს და პირაღმა წვება მისდა უნებურად, რათა სუნთქვა გაიადვილოსო, წყლიდან ამოგდებული თევზივითო, გესმის? მაგრამ არც ფერზე და არც სხვა რამეზე ცვლილება არ ემჩნეოდა, გაციებულიც არ იყო, მძინარეს ჰგავდა... მაგრამ როცა კარმენი ქმარს მხარზე შეეხო და უთხრა: „ადექი, მარიო, დაგაგვიანდება“, ელდანაკრავმა მოაშორა ხელი. „გული მუხთალი რამაა, ეს ცნობილია“, „რომელ საათზეა ხვალ გამოსვენება?“ „მე თვითონაც... წუხელ ჩვეულებრივ ივახშმა და გვიანობამდე კითხულობდა... ამ დილას კი, თავად იცი. ამას ვინ წარმოიდგენდა? და ვალენს ჰკითხა (რადგან ვალენისა სჯეროდა): „ხომ არ იცი, ვალენ, მარიო მის უდიდებულესობად მოიხსენიება თუ არა? პატივმოყვარეობად არ ჩამითვალო, გამიგე, ამ წუთებში რა პატივმოყვარეობაზე შეიძლება ლაპარაკი. განცხადებისათვის მინდა. გესმის? უტიტულო განცხადებას რაღაც ფასი არა აქვს“, ვალენტინა არ პასუხობდა. „მისმენ?“ მოეჩვენა, ვალენი ტიროდა. „არ ვიცი, — უცებ უპასუხა ვალენმა, — მთლად დამაბნიე. ერთი წამი მოიცადე, ვისენტეს ვკითხავ“, კარმენს მოესმა, როგორ დადეს ტელეფონის ყურმილი, მერე ვალენის ნაბიჯებიც მოესმა დერეფანში, ჯერ თანაბარი, შემდეგ არეული და აჩქარებული. და ბოლოს: „ვისენტემ, არაო, მისი უდიდებულესობით მხოლოდ დირექტორებს მოიხსენიებენო. ვწუხვარ, ძვირფასო“.

ეს ჯიუტი, პირმონთე მოჩვენებები კარმენს წურბელასავით ეწებებოდნენ ხელზე, ან აიძულებდნენ დახრილიყო ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ. „ვერ წარმოიდგენ, როგორ იმოქმედა ჩემზე, ყელში ლუკმა არ გადამივიდა. ანხელმა მითხრა, ჭამე, შიმშილით რას უშველიო“. [შვილებს კი გაჩენის დღიდან უსიამოვნების მეტი არაფერი მოაქვთ. გველის წიწილებს ვზრდით. თავად ხედავ, მარიო, შავიც კი არ ჩაუცვამთ, ცრემლიც კი არ გადმოვარდნიათ მამის სიკვდილის გამო... ამაზე მეტი რაღა გინდა!] „თუ ღმერთი გწამს მომეშვი, დედა, ჩემს წუხილს ეგ ვერ უშველის, ეგ სულელური პირობითობაა. მე ამას არ გავაკეთებ“. ნახევარი საათი ტიროდა საპირფარეშოში. [ახლა კიდევ ეს სვიტრი, ვალენ, არ

შემედავო, იმდროინდელია, საცოდავი დედაჩემის გამო  რომ ჩავიცვი შავი, ღმერთმა აცხონოს, რას ვგავარ, დამიპატარავდა, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ სხვა არ მაქვს.] მკერდის კერტებთან სვიტრი დათხელებოდა. შავით მოსილი კარმენის მკერდი მართლაც ზედმეტად თვალშისაცემი იყო ამ მგლოვიარობის ჟამს. ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ყველაფერი, ფერადი და გამომწვევი, ვითარებას არ შეეფერებოდა. [აუცილებლად ჩავბერავდი პირში, ყველაფერს ვიხმარდი, ოღონდ გადამერჩინა. თუმც ბევრს ეზიზღება ამის გაკეთება... მართალი რომ გითხრა, ერთადერთხელ ვნახე, როგორ კეთდება, ისიც ტელექრონიკაში. და ვერ გავბედე, ხომ იცი, ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევ ხოლმე. როგორც, მაგალითად, მეხანძრეებს, გინდ ყოფილან, გინდ არა. არ ვიცი, როგორ აგიხსნა, მაგრამ როცა აზრზე მოდიხარ, უკვე გვიანაა.]. „გული მუხთალი რამაა, ეს ცნობილია“. „თუ დამიჯერებთ, ფრჩხილი არასდროს წამოსტკივებია“. „შენი ვაჟისა სულ არ მიკვირს, მენჩუ, მამა-შვილი ხომ ურთმანეთოდ ვერა ძლებდნენ“. ვალენტინამ გაიცინა: „იქნებ შავი პერანგი და ლიფი ჩაგეცვა?“ ეს უკვე სხვა საქმე იყო. სვიტრი კვლავ შემოტკეცილი ჰქონდა, კვლავ დიდი უჩანდა მკერდი, სამაგიეროდ გაქექილი ადგილები ნაკლებად ეტყობოდა. „მკერდი მუდამ ჩემი ნაკლი იყო. ვფიქრობ, ყოველთვის ზომაზე მეტი მქონდა“. ვალენტინა და ესტერი წუთითაც არ სცილდებოდნენ კარმენს. ესტერი ხმას არ იღებდა, მაინც ფხიზლად იყო. ვალენტინა დროდადრო მარცხენა ლოყაზე კოცნიდა კარმენს. „მენჩუ, ძვირფასო, როგორ მიხარია, ასე ყოჩაღად რომ ხარ“. ყველაფერ სიკეთესთან ერთად ბორხაც მოვიდა სკოლიდან ყვირილ-ყვირილით: ნეტა ყოველდღე მოკვდებოდეს მამა, სკოლაში არ ვივლიდით. დედამ ულმერთოდ სცემა, სანამ ხელი არ ასტკივდა. „სენიორიტა, დაანებეთ თავი, პატარაა, ვერა ხვდება. ცოდოა“. მაგრამ კარმენი დაუზოგავად სცემდა. მერე მოჩვენებები, მრგვალი, გაოცებული თვალები რომ ჰქონდათ, ჩამორთმევისას მაგრად უჭერდნენ მტკივან და დასიებულ ხელზე ან სახეს სახეზე ადებდნენ ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ და ამბობდნენ: „კინაღამ გავგიჟდი, ეს ამბავი რომ გავიგე, დაუჯერებელია მისი სიკვდილი“; „ანხელმა მითხრა: ჰამე, შიმშილით რას უშველიო“. მარიოს კი არავინ კოცნიდა, არც ხელს ართმევდნენ. მეგობრები შემცბარ სახეს მხარზე ადებდნენ და მარჯვენა ხელს ისე უბათქუნებდნენ ზურგზე, თითქოსდა მისი ცისფერი სვიტრიდან მტვრის დაბერტყვას ლამობდნენ. „სულაც არ მიკვირს. ურთმანეთოდ არ შეეძლოთ. საცოდავი მარიო!“ „მამა თუ შვილი?“ კარმენმა აღარ იცოდა, რას ამბობდა. „ორივე, რა თქმა უნდა, ორივე“. ეს მისი მიცვალებული იყო, თვითონ გააპატიოსნა, თავისი ხელით გაპარსა წვერი და დავარცხნა, სანამ დამკრძალავი ბიუროს ბიჭები სუდარაში გაახვევდნენ. „ფერი სულ არ დაუკარგავს. მიცვალებულს არცა ჰგავს, ასე არაა? მიცვალებული როგორ არ მინახავს, მაგრამ ასეთი არასოდეს“. „რას იზამ“. თავს ხრიდა ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ და ისე ისრუტავდა ჰაერს, სიცარიელეს, რომ კოცნის ხმა გაეგონა, ოღონდ არ ეგრძნო. „არ მითხრათ ახლა, ჩვენს ბატონს საყოველდღეო ტანისამოსით დავასაფლავებთო“. „რატომაც არა, დორო?“ დორომ პირჯვარი გადაიწერა: „და ფერად ფეხსაცმელებსაც ჩავაცმევთ? ასე მათხოვრებიც არ აკეთებენ“. კარმენმა იგი სამზარეულოში გაუშვა, საჭიროდ არ თვლიდა, მოსამსახურისათვის ანგარიშები ჩაებარებინა. ბერტრანს კი უთხრა: „წადით სამზარეულოში, აქ გაძრევის საშუალება არა გვაქვს“. ბერტრანმა, ბეცი, აწყლიანებული, ფოლაქებივით თვალები რომ ჰქონდა, თქვა: „დონ მარიო არ იყო კეთილი, ის იყო პატიოსანი, ეს სულ სხვადასხვა რამაა. ის პატიოსანი ადამიანი იყო, პატიოსანი ადამიანი კი იშვიათია. გესმით ჩემი, სე-

ნიორა?“ კარმენმა მას არ აკოცნია. კარმენმა ელექტროსაპარსით გაპარსა მარიო, დაბანა, დავარცხნა და ის მუქი რუხი კოსტიუმი ჩააცვა, მოწყალების დღეს ლექციის კითხვისას რომ ეცვა. კოსტიუმი გვერდებში ჩა[illegible]ია. თუმც ცხედარი ჯერ არ გახევებულიყო, მარტოს მაინც გაუჭირდა ჩაცმევა. შემდეგ გაუკეთა შავ ყავისფერზოლებიანი ჰალსტუხი, ზედ ერთი წითელი ხაზიც რომ გასდევდა, მაგრამ არ მოეწონა, რადგან კვანძი კარგად ვერ გამოუვიდა. ბოლოს დამკრძალავი ბიუროს ბიჭებმა ჩააწვინეს კუბოში და კაბინეტში გადაასვენეს, ეს უკვე მარიოს კაბინეტი კი არა, მისი აკლდამა იყო, და მარიომ თქვა: „რატომ მაინცდამაინც ახლა?“ მაგრამ როცა უნივერსიტეტიდან მოქანდა, ყველაფერს მიხვდა. შეიძლება ბერტრანმა უთხრა. თვალებზე ჩამოფანჩული წარბები მას ფიქრიან და პირქუშ გამომეტყველებას აძლევდა. გეგონებოდათ, ტვინი აუტანელ სიმძიმედ ჩამოსწოლოდა და წარბთა რკალი გაებრტყელებინა. [მაგრამ რაღაცას მაინც მიხვდა, ხომ იცი, არასოდეს გამოგვიძახებია. მე მხოლოდ ვუთხარი: „მამა“, ის კი ისეთი მშვიდი იყო და მდუმარე… ვალენ, ზოგჯერ მაშინებს ეს მარიო თავისი ასაკის კვალობაზე, ზედმეტად თავშეკავებულია, ისე არ გამიგო, თითქოს არ მომწონდეს მისი ეს თვისება, მაგრამ გრძნობებიც ხომ არ უნდა დაახშოს, ბოლოს ხომ მაინც გამოხეთქავს და უარესი იქნება. ეს კი, ვითომ აქაც არაფერიო, ქანდაკებასავით იდგა, ზუსტად ქანდაკებასავით, როცა ვეუბნებოდი: „მოულოდნელად მოხდა. არც კი გაულვიძია. ლუისი ამბობს, ინფარქტიაო“. თავი ვერ შევიკავე, ავტირდი და ჩავეხუტე. ვერ წარმოიდგენ, რა სატანჯველი იყო, მეგონა, ხეს ან ქვას ვეხუტებოდი. მან კი მხოლოდ იკითხა: „რატომ მაინცდამაინც ახლა?“ ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია, მამა მოუკვდა, ის კი ვითომც არაფერი. აი, ასე იყო.]

— გველის წიწილებს ვზრდით.

— გაჩუმდი, ახლა დაისვენე.

პიო ტელიო ძალიან განიცდიდა. [მარიო, რა თქმა უნდა, უბრალო ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. „მისი უდიდებულესობა“ თავსამტვრევად იქცა. თითქოს არაფერია, მაგრამ ეს ორი სიტყვა სულ სხვა ელფერს მისცემდა განცხადებას. ხომ გინახავს განცხადებები, ვალენ, ნუ მეკამათები.] „აბა-აბა!“ „თავს მოუარე. კარმენ, ბავშვებს სჭირდები“. „როცა მითხრეს, ვერ დავიჯერე“. „მეც...“ ენკარნამ კარმენი დაჩრდილა. იგი უაზროდ შემოიჭრა. „რას იზამ“. „მადლობთ, ძვირფასო“. კარმენი დაიხარა, ლოყები შეეხნენ ერთმანეთს ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ, ორივეს მისწვდა ამ პირობითი კოცნის ძლივსგასაგონი ხმა, მაგრამ გრძნობით კი არ უგრძვნიათ. კარმენს არ უყვარდა სამგლოვიარო განცხადებები. [არც მიფიქრია სადარბაზოში დამეკიდა განცხადება, დამიჯერე, მზარავს ასეთი განცხადებები, მიულებლად მიმაჩნია. მაგრამ ხომ იცი, რომელ საათზეც გარდაიცვალა და სხვა გამოსავალი არა მაქვს. მთავარია, ხალხმა გაიგოს. ვიცი, რასაც მიპასუხებ, სულაც არ იყო საჭირო, მაგრამ წესი წესია, ვალენ „ელ კორრეოს“ იმედად ვერ დავდევბი. დილაობით გამოდის, დასაფლავებაც ხვალ დილითაა ათ საათზე. ყველა სამსახურში გარბის და ვერაფერს გაიგებენ, უთუოდ ასე იქნება. ამიტომ რამდენიმე განცხადება შევუკვეთე — ერთი სახლისთვის, ერთი ინსტიტუტისთვის, ერთი „ელ კორრეოსათვის“, კიდევ ერთი, და კიდევ, რადიოში რომ გამოაცხადონ „ზეპირი დღიურის“ შემდეგ.]

კარმენმა კარგად იცოდა, მარიოს უკანასკნელი მიწიერი საათები მის ხელთ იყო. წიგნი იქვე, ტუმბოზე იდო, მისი ყდის ქვეშ კი დაკონსერვებულივით ელაგა მარიოს უკანასკნელი აზრები. როცა კარმენი მოახერხებს და თავს დააღწევს ამ წებოვან მოჩვენებებს, მარიოს შეუერთდება. ენკარნა ყველაზე დიდი დაბრ-

კოლება იყო, მაგრამ ჩარომ წაიყვანა იგი. ჩარო ბავშვების კოლეჯიდან მოსვლამდე არ გამოჩენილა. მან მოიყვანა ბავშვები. ბორხა ყვირილით შემოვარდა: „ნეტა ყოველდღე მოკვდებოდეს მამა, კოლეჯში აღარ ვივლიდი!“ კარმენს ზელი ტკიოდა. არ იცოდა, ცემისაგან თუ ულმერთო მოჩვენებების ხელის ჩამორთმევისაგან. ტუჩები დასიებოდა ამდენი კოცნით. „აბა-აბა!“ „ვინ[illegible]ჭირდება ამას?“ „რომელ საათზეა ხვალ გამოსვენება?“ ენკარნა კი, ნუ იტყვი… ენკარნას რა შეცვლიდა. ქარაშოტივით შემოიჭრა, მუჯლუგუნით მიიკვლევდა ხალხში გზას, თან ყვიროდა: „ღმერთო ჩემო, ესეც გამომეცალა, ესეც!“ ხალხი უკან იხევდა, უცქეროდნენ და ჩურჩულებდნენ. ენკარნა ყველას თავისი სიმარტოვის მოწმედ იხდიდა. გიჟს ჰგავდა. „შეშლილის გამოხედვა აქვს“, — თქვა ანტონიომ. შემდეგ ენკარნა მუხლებზე დაეცა ყვირილით: „რა დაგიშავე, ღმერთო, რომ ასე დამსაჯე?“ ხალხი ჯგუფდებოდა და იშლებოდა. ჩურჩულებდნენ, ვინ არისო, და მათი ჩვეული სენტიმენტალიზმის ნაცვლად თვალები ახლა ცნობისმოყვარეობით ევსებოდათ. ფეხისწვერებზე იწევდნენ, რათა დაენახათ, რა ხდებოდა, ხიბლავდათ სანახაობა. კარმენმა ვერა შეასმინა. „რა სალაპარაკოა, დონ მარიოსათვის ყველაფერს გავაკეთებ“. კარმენი თავისას არ იშლიდა: „რას მიქვია, განცხადებაში ფული არ გადაეიხადო?“ „ნუ მედავებით, სენიორა, დონ მარიო ღარიბების უანგარო ქომაგი იყო, ეს კი, დამერწმუნეთ, რაღაცას ნიშნავს“. კარმენი დაემორჩილა. თუმცა იცოდა, რომ პიო ტელიოს მთლად აწყობილი არ ჰქონდა საქმე, ნესტიან სარდაფში იჯდა „ელ კორრეოს“ ბებერ ჰორიკანასთან ერთად და ხელით წერდა განცხადებებსა და პამფლეტებს. „ჩვენი პატრონივით კეთილი ადამიანი ქვეყანაზე არ მოიპოვება და ნახე, რა დაემართა!“ კარმენმა ცივად გააწყვეტინა: „არ მიყვარს ეგეთები, დორო, ეგ ცრემლი სხვა დროს დაგჭირდება!“ ულამაზო იყო, რომ მარიოს ასოთამწყობნი და მოსამსახურენი ტიროდნენ, საკუთარი შვილები კი არა. „არ მიყვარს ეგეთები, დორო! ვერ გაიგეთ, რა გითხარით?“ და დორო სამზარეულოში გავიდა, ხმიანად იწმენდდა ცხვირს, თვალებს იმშრალებდა. ხმაური თანდათან ძლიერდებოდა, ზღვის ღელვის დარად. ერთმანეთში არეული საუბარი სიგარეტის ბოლით დამძიმებულ ჰაერში ითქმებოდა. „ცხელა“. „რას იტყვით, ცოტა რომ გავანიავოთ“. „ოღონდ ორპირ ქარში ნუ დაგვსვამთ“. „ორპირი ქარი საშიშია“. „გული მუხთალი რამაა, ეს ცნობილია“. „მეშინია ორპირის“. „მამაჩემს ორპირის არ ეშინოდა, გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, თავის დღეში ავად არ გამხდარა“. „აბა-აბა!“ „ღმერთმა აცხონოს, დონია კარმენ“. კარმენი იხრებოდა ჯერ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ, საკოცნელად სწევდა ტუჩებს და კოცნაც მიფრინავდა ისე, რომ ქალს მისი ხმა ესმოდა, გრძნობით კი ვერ გრძნობდა. [ვფიქრობ, ცუდად მოვექეცი გოგონას, მაგრამ არ ვნანობ. გულზე დაიდე ხელი და მითხარი, ვალენ, შეიძლება შვილი მამას არ გამოემშვიდობოს? ის კი გიჟივით, ერთსა და იგივეს გაჰკიოდა: „ღვთის გულისათვის, დამანებეთ თავი, მეშინია!“ მაგრამ მე და დორომ მთელი ძალა მოვიკრიბეთ, ვაიძულეთ თვალები გაეღო, კარგი იქნება თუ ოდესმე მადლობას მეტყვის.]

კარმენმა არ იცოდა, მენჩუ ლოცულობდა თუ არა. ოდნავ მოხრილი უძრავად იდგა კუბოს თავთან და მამას თანაგრძნობის მავედრებელი თვალებით უცქეროდა. აროსტეგმა თქვა: „კეთილი კაცი იყო“. მაშინ დონ ნიკოლასი მიუბრუნდა და ჰკითხა: „კეთილი? ვისთვის?“ და მოიანომ თავის ბინძურ წვერში ჩაიბუტბუტა: „კი არ მომკვდარა, სული ამოხადეს“. დონ ნიკოლასი კარმენს მიაშტერდა: „მაპატიეთ, კარმენ, თქვენ აქ იყავით?“ მაგრამ კარმენი არ გამოპასუხებია, რადგან კაცები ქარაგმებით ლაპარაკობდნენ და მათი არა ესმოდა. მარი-

ოსაც არასოდეს შეუწუხებია თავი აეხსნა მისთვის ის ენა. „წინააღმდეგი ხომ
არ იქნებით, ფანჯარა ისევ რომ გამოვაღოთ“ „აი, ასე, გმადლობთ“. „უკვე იგრ-
ძნობა ღამის სიგრილე“. „გუშინ ციოდა“, „თავს გაუფრთხილდი, კარმენ, ბავ-
შვებს სჭირდები“. „ძალიან მძიმე ჰაერია“. „როცა მითხრეს, ვერ დავიჯერე, ის
ხომ გუშინ ვნახე“. „მეც...“ კარმენმა პიო ტელიოს უთხრა: „მშვიდად ხართ? ჩაი-
წერეთ: „ილოცეთ საცხონებლად სულისა...“ კარმენმა წუთით ცუდად იგრძნო
თავი იმის გამო, რომ მთავარ მოქმედ გმირად ქცეულიყო, და გაიფიქრა: „ლო-
ნია კარმენ სოტილიოს სულისა“, მაგრამ დროზე მოეგო გონს: „გავაგრძელოთ?“
პიომ იკითხა: „დონ მარიოს ტიტული არ ჰქონია?“ „არა, როგორც ხედავთ, ეს
პატივი მხოლოდ დირექტორების ხვედრია“. ყურმილიდან პიოს გაღიზიანებული
ხმა მოისმა: „სხვებს დაუმსახურებლად აქვთ“. „როგორც ხედავთ, ასეა, მე რა
შემიძლია?“ პიო ტელიო ნელა იწერდა. ბოლოს, კარმენმა კარნახი რომ დაამ-
თავრა, ხაზგასმით უთხრა: „თუ შეიძლება, ჩარჩო მუქი შავი იყოს“. „მშვიდად
ბრძანდებოდეთ“. ახლა კარმენს მარიოსთან აკავშირებდა გლოვისადმი მხოლოდ
ეს ფანატიკური სწრაფვა და ღამის ტუმბოზე დადებული წიგნი. და კიდევ მისი
ცხედარი! „ფერი სულ არ დაუკარგავს. დედას ვფიცავარ, რომ არ გეთქვა, ვერ
დავიჯერებდი“. „რას იტყვით, ფანჯარა ცოტა კიდევ რომ გამოვაღოთ?“ — „სი-
ცივეა“. „აი ასე, გმადლობთ“.

— წიგნი აქ არის, ვალენ?

— ჩუ! აქ არის. ნუ ღელავ, შენი ჭირიმე. დაისვენე, ყველაფერს გაფიცებ.
არავინ წაგართმევს მაგ წიგნს.

ვალენტინა დგება, კარმენს კეფაზე ადებს ხელს და ეხმარება, რომ კვლავ
წამოაწვინოს. შემდეგ ფრთხილად წააფარებს თეთრ საბანს. ვალენტინა დგას
და ათვალიერებს გარშემო ყვავილებგამოხუნებულ ესტამპებს, ჯვარცმას საწო-
ლის თავზე და იატაკზე გაფენილ გაცვეთილ ფარდაგს. ფრთხილად წადგამს ნა-
ბიჯს და მიმქრალ შუქზე კარადის სარკეში უცქერს თავის თავს ჯერ წინიდან,
შემდეგ პროფილში, თან სამჯერ ჩამოისვამს ხელს ოდნავ ამობურცულ მუცელ-
ზე. უსიამოდ მანჭავს ტუჩებს. როცა მობრუნდება, ისევ უცქერს წიგნს, წამლის
აბებს, სედალინის შუშას, გასაღებების პატარა ასხმას, საფულეს და ძველ მაღ-
ვიძარას. ჩუმად ამოიოხრებს. კარმენი კვლავ თვალებზე წაიფარებს ქათქათა
მკლავს. წამოჯდება:

— აქა ხარ, ვალენ?

— ჰო, გენაცვალე, არსად არ წაველ. ახლა კი დაისვენე. მიდი, დაატანე
თავს ძალა.

თვალებ და ცხვირდაწითლებული დორო ისევ წუხდა: „ნუთუ სულ არ შე-
ალამაზებთ ჩვენს პატრონს? უი, დედაჩემო, ვიღაც ვიგინდარას ჰგავს! ჩემს
სოფელში მათხოვარსაც არ ასაფლავებენ ასე. მაგალითად, დონ პორფირიო
ფრანცისკელის ტანისამოსში გამოაწყვეს“, კარმენი გაცოფდა, მოახლისაგან
ჭკუის დარიგებაღა აკლდა! (კიდევ ტყუილი მგონია, წარმოიდგინე, არ შემიძ-
ლია შევეგუო ამ აზრს.) „ძალიან მიხარია, ასე ყოჩაღად რომ ხარ, მენჩუ“. რაც
შეეხება მარიოს, მეტისმეტი მოუვიდა. მოდი და შეუხამე ერთმანეთს პიო ტე-
ლიოს ექვსმილიმეტრიანი სიგანის შავი ჩარჩო და მისი ცისფერი სვიტრი! მე-
გობრები მხარზე ეხუტებოდნენ, ზურგზე ისე უბრაგუნებდნენ ხელს, თითქოს
მისი ცისფერი სვიტრიდან მტვრის ჩამობერტყვას ლამობენო. „ბოლომდე მი-
ხურეთ, აჯობებს, ბოლომდე მიხუროთ“. „ცივა“. „საშიშია ორპირი ქარი“. „აი,
ასე, გმადლობთ“. „გული მუხთალი რამაა, ეს ცნობილია“. „რაღა გაეწყობა“.
„თუ შეიძლება ჩარჩო მუქი შავი იყოს, პიო“. კარმენს გულზე არ ეხატებოდა

განცხადებები, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. [იდგა ჩემ წინ და ისე მიყურებდა, თითქოს რამე დამეშავებინოს. გეფიცები, კინაღამ გული გამისკდა. ვინ შემოაბრუნა წიგნებიო? მე-მეთქი, — ბუთხარი, მან კი მიპასუხა, მარიო თავად იყო ეს წიგნებიო. აბა, რა უტიფრობაა. თვითონვე განსაჯე, სად გლოვა და სად ფერად-ფერადი ყდები! ხომ იცი, ვალენ, ახლა როგორ [illegible] წიგნის გარდა ყველაფერსა ჰგავს, კამფეტის კოლოფს, შემ[illegible] გინდება, ვიდრე წაკითხვა. მთელი უბედურება ისაა, რომ შეფუთვის ეპოქაში ვცხოვრობთ. დამიჯერე, ყველაფერი გარეგნობით ფასდება და არა შინაარსით. აი, სწორედ ესაა სამარცხვინო. ხომ წარმოგიდგენია, სახლში მიცვალებულია, გარშემო კი ყველაფერი ბრდღვიალებს. იცი, რა მოთმინებაცა მაქვს, ავდექი და სათითაოდ შემოვაბრუნე. მადლობა ღმერთს, ბიბლიოთეკის უმეტესი ნაწილი თალხით დაიფარა, თორემ მთელი დილა რა დღეში ჩავვარდებოდა. საკუთარი თვალით თუ არ ნახე, არ დაიჯერებ. რას მიგავდა ხელები! წიგნი ნამდვილი ჭუჭყის ბუდეა, მეტი არაფერი. გული იმაზე მწყდება, ამდენი დრო დავკარგე, ბიჭოს ბიჭები არ მოვიხმარე. წარმოიდგინე, წამში მორჩებოდნენ ყველაფერს. მე შენ გეტყვი, მიხვდებოდნენ რამეს, ანდა შეგეკითხებოდნენ. გააკეთებდნენ თავიანთ საქმეს და კარგად მეყოლე, მეორე წუთას აღარ ეხსომებოდათ.] „დამიჯერე, ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი მიცვალებული. ფერიც კი არ დაუკარგავს!“ „არ გინდა დახედო, ვალენ? გარწმუნებ, სულ არ შეცვლილა“. „სიმართლე რომ გითხრა, არ მინდა. დაე ცოცხლად დამახსომდეს“.

მოჩვენებები მოდიოდნენ და მიდიოდნენ სულ ახალ-ახალ ნაკადებად. „ქვამლის გამო სუნთქვა ჭირს“. „ცოტა მეტი პატივისცემა უნდა გამოეჩინათ“. „აბა-აბა!“ კარმენი იხრებოდა ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ, ანგარიშმიუცემლად, უგრძნობლად ატლაშუნებდა ტუჩებს. „დიდი მადლობა, ძვირფასო“. მოჩვენებებს გადმოკარკლული თვალები ჰქონდათ, მაგრამ როდესაც რომელიმე მათგანი ჩამოჯდებოდა, ამოიოხრავდა და იტყოდა: „გული მუხთალი რამაა, ეს ცნობილია“, ახალმოსულ მოჩვენებებს გამომეტყველება უმშვიდდებოდათ და დამხვდურთ ემსგავსებოდნენ. კარგი სახის ფერის მიუხედავად (მარიო ხომ ყველაზე ჯანსაღი მიცვალებული იყო, რომ[illegible] კი ოდესმე უნახავთ), მარიო აღარ იყო მარიო. კარმენი ამას მარიოს ჩაცმის შემდეგ მიხვდა და შეეფიქრიანდა. მიცვალებული იყო წესიერი, თვინიერი და ოდნავ მსუქანიც, მაგრამ იგი მაინც არ იყო მარიო. უცებ, თითქოს ვილაცამ შეიბრალა და სათვალე შეახსენაო, კარმენმა მოიტანა სათვალე და მარიოს გაუკეთა. ახლა მისი ყურების სითეთრე მოხვდა თვალში. საკუთარი მოსაზრებით კმაყოფილმა ოთხი ნაბიჯი წადგა უკან, რათა კარგად შეეხედა. მაგრამ არა! ლორო ნაცემი ძალლივით დაჰყვებოდა კუდში: „ან თვალები გაუხილეთ, ან სათვალე მოხსენით ჩვენს პატრონს. ერთი ამიხსენით, რად უნდა სათვალე, როცა თვალები დახუჭული აქვს?“ მოჩვენებები ფეხისწვერებზე დგებოდნენ და კისრებს იგრძელებდნენ. „შემომხედე, მარიო! მარტო ვარ! ისევ მარტო! მთელი ცხოვრება მარტო ვარ! გესმის? რა დავაშავე, ღმერთო!“ ჯგუფები ფუთფუთებდნენ და ჩურჩულებდნენ: „ვინ არის?“ „აბა ესა ყოფილა!“ „საყვარელი იქნება“, „მგონი, მისი რძალია“. „არ ვიცი, არ ვიცი“. ენკარნა დაჩოქილი იყო და ყოველი სიტყვის ამოთქმისას გულგვამი ამოჰქონდა. „ბოლომდე მიხედეთ“. „ღმერთო, რა ყვირილია!“ კარმენმა არ იცოდა, რა ექნა. „აი, ასე, გმადლობთ“, იგი ყოყმანობდა. „რა ბუღია!“ მარიოს სათვალე მოხსნა. „შეიძლება მართალიც იყავი, შვილო. უსათვალოდ თავის თავს არა ჰგავს“. მარიო აღარ იყო აქ... კარმენი ფიქრობდა წიგნზე და მაე სვიტრზე, რომელიც გამომწვევ მკერდზე შემოტკეცოდა. [არ მითხრა, ვალენ,

ჩემი მკერდი პირდაპირ უტიფრობაა. ეს არაა ქვრივი ქალის მკერდი, ხომ ასეა?] მარიო იყო პიო ტელიოს განცხადების შავ ჩარჩოში და შესაძლოა ეკლესიაშიც. [ზიარებაც ვერ მოისწრო, წარმოიდგინე, რა საშინელებაა!] ანტონიო, დირექტორი, ჯგუფს გამოეყო და ენკარნას წამოყენება სცადა. ენკარნა არ ემორჩილებოდა. „მომეშველეთ, უნდა გავიყვანო ეს ქალი აქედან, ძალიან განერვიულებულია". [წარმოიდგინე, რა სამარცხვინოა! თითქოს მარიოს ქვრივი ეგ იყოს! ელვიროს სიკვდილის მერე ენკარნა აჩრდილივით დასდევდა მარიოს. ამას ვერავინ გადამარწმუნებს.] ბოლოს და ბოლოს ენკარნა გაიყვანეს. ლუისი თან გაჰყვა და ესტერის დახმარებით ნემსი გაუკეთა. შემდეგ ტაქსი გამოიძახეს და ჩაროსთან წავიდნენ. ვისენტეც თან გაიყოლეს. კარმენმა თანდათან ისევ ქვრივად იგრძნო თავი. „რაღა გაეწყობა". „თავს გაუფრთხილდი, კარმენ, ბავშვებს სჭირდები". „ცოტათი მაინც გამოაღეთ, სუნთქვა ჭირს". მოჩვენებები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. კარმენს უწვდიდნენ ხან რბილ, ხან ნერვულ ხელებს. იგი იხრებოდა ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ და კოცნიდა ჰაერს, სიცარიელეს. „გმადლობ, ძვირფასო, ვერ წარმოიდგენ, რა მადლობელი ვარ შენი".

— არ დაურეკიათ?

ვალენტინა ხელს აღებს კარმენის ცივ, მუხლებზე ჯვარედინად დაწყობილ, ნერვულად მოკანკალე ხელებს.

— ნუ ღელავ, ძვირფასო. გეტყვი, როცა დარეკავენ. ახლა დამშვიდდი, დაისვენე. უთუოდ უნდა დაისვენო. ვისენტე ჯერ არ დაბრუნებულა.

ლუისი დაახლოებით თხუთმეტი წუთი ჩაიკეტა მარიოსთან. [თითქოს ალისარებას იღებდა, მე კი მგონია, ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა. ეს ისე გაჭიანურდა, რაღაც იმედი მომეცა და ჩემს თავს ვეუბნებოდი, არაა მკვდარიმეთქი. წარმოიდგინე, რა სულელი ვარ.] „მკვდარს სულაც არა ჰგავს, თითქოს სძინავს. ფერიც კი არ დაუკარგავს". ბოლოს და ბოლოს ლუისი გამოვიდა და თქვა: „ინფარქტია. ეტყობა, გამთენიისას, ხუთი საათისათვის მოუვიდა შეტევა. მარიოს მსგავს ასთენიკებში ეს იშვიათი მოვლენაა". [მომეჩვენა, რომ ასთენიკი თქვა, არა? ისე, უმჯობესია, ნუ მომისმენ, ხომ იცი, ასეთი სიტყვების არა გამეგება, მაგრამ იცი რა, გეთაყვა, ლუისი ნამტირალევივით თვალებდაწითლებული გამოვიდა, რამაც ძალიან იმოქმედა ჩემზე. თვითონვე განსაჯე, ხომ მადლობას იმსახურებს. ექიმები, ჩვეულებრივ, უგრძნობნი და გულგრილნი არიან.] ერთი სიტყვით, ყველაფერს შეგუებულები არიან. „რას იტყვით, ფანჯარა ცოტა რომ გამოვაღოთ?" „ღმერთმა აცხონოს, დონია კარმენ". „უკვე იგრძნობა ღამის სიგრილე". „აი, ასე, გმადლობთ". „აბა-აბა!" „დეპეშაა, სენიორა". კარმენმა შეამჩნია, რომ დოროს წვეთები ასხდა ცხვირზე. დეპეშა ნერვიულად გახსნა თითით, წაიკითხა და აქვითინდა, ვალენტინამ ლოყაზე აკოცა, მთელი გულით, ისე, რომ კარმენმა კოცნის ხმაც გაიგო და მისი სითბოც იგრძნო. „გამაგრდი, ახლა გმართებს გამაგრება". კარმენმა ცისფერი ქაღალდი გაუწოდა: „მამაჩემის დეპეშაა, საწყალი, რას აღარ მოესწრო! არც მინდა ამაზე ფიქრი". მოჩვენებები, თვალზე კურცხალმომდგარნი, მიდიოდნენ, მაგრამ ზოგი კუბოს ეკვროდა, როგორც ბუზი თაფლიან ქაღალდს. „აბა-აბა!" „რომელ საათზეა ხვალ გამოსვენება?" „ღმერთმა აცხონოს". „არ შეიძლება ცოტა გამოვაღოთ ფანჯარა?" „აქ გაჩერება უკვე შეუძლებელია". ბოლი და ჩურჩული. „ისევ მარტო უნდა ვიყო! მთელი სიცოცხლე მარტო! რა დავიშავე, ღმერთო, ამის ფასი?" „ეს პირობითობაა, დედა. ამაში მე მონაწილეობას არ მივიღებ". „ჩაიწერეთ: ილოცეთ..." კარმენ სოტილიოს სულის საცხონებლად? [კიდევ არ მჯერა, ვალენ, წარმოიდგინე, არ შემიძლია შევეგუო ამ აზრს.] „რაღა გაეწყობა". კარმენი იხრებოდა ჯერ

მარცხნივ, მერე მარჯვნივ. ამდენი კოცნით ტუჩები და ლოყები სტკიოდა; მარჯვენა მაჯაც. ჩამორთმევისას ხელის კანკალს ძლივს იკავებდა. თუმც მუდამ ეჯავრებოდა ფუმფულა ხელები, ახლა მადლობელი იყო მათი და ისე ეალერსებოდა, თითქოს ქმარს ღალატობსო. „წინაალმდეგი ხომ არ იქნებით, ფანჯარა ცოტა რომ შევაღოთ?“ [იცი, მომეჩვენა, თითქოს ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა.] „აი, ასე, გმადლობთ. ნახე, ხველება დამაწყებინა“. „კარგები მიდიან, ცუდები კი ვრჩებით“. „ქეთილი? ვისთვის?“ „კი არ მოკვდა, სული ამოხადეს“. [თვალებდაწითლებული, თითქოს ეტიროს, ძალიან იმოქმედა ჩემზე, თვითონვე თქვი, ხომ მადლობელი უნდა ვიყო.] „ჩვენი პატრონი დონ პორფირიო ფრანცისკელის ტანისამოსში გამოაწყვეს“. ინსტინქტურად გრძნობენ, რომ იხრჩობიან და ამიტომ მაშინვე გულაღმა წვებიან...] „რას იზამ“. „მენჩუ, ძვირფასო, როგორ მიხარია ასე ყოჩაღად რომ გხედავ“.„გარწმუნებ, სულ არ შეცვლილა“. [მამის გულისათვის შავების ჩაცმაც არ ინება, მეტი გინდა?] „ღმერთმა აცხონოს...“ [წიგნები ჰუჭყის ბუდეა და მეტი არაფერი...] „ძალიან მძიმე ჰაერია“. „რას იტყოდით?..“ [ექიმები, ჩვეულებრივ, უგრძნობნი და გულგრილნი არიან. ერთი სიტყვით...] „აბა-აბა!“. [ჩემი აზრით, წყლიდან ამოყრილი თევზებივით...] „ღმერთმა აცხონოს..“

კარმენი უცებ წამოჯდება, ისე მკვირცხლად, რომ ვალენტინა შეკრთება.

— ახლა კი მართლა დარეკეს, ვალენ, არ მითხრა, არაო. მშვენივრად გავიგონე.

— კარგი, გეთაყვა, დაწყნარდი. ალბათ ვისენტეა. ახლავე მარტო დაგტოვებთ. ნუ ღელავ.

კარმენი საწოლიდან ჩამოყრის ფეხებს. კაბა აეწევა და გამოუჩნდება მეტისმეტად მომრგვალებული და მსუქანი მუხლები. ფეხებით ეძებს ფეხსაცმელს და იცვამს. შემდეგ თმას შეისწორებს, ორთავ ხელის თითებს შეიყოფს და იფუებს. ამას რომ მორჩება, იღლიებს ქვეშ სვიტრს ჩამოიქაჩავს ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ. ენერგიულად გაიქნევს თავს.

— ქვრივისათვის სრულიად შეუფერებელი მკერდი მაქვს. ხომ ასეა, ვალენ? — გულდაწყვეტილი ამბობს კარმენი. — მართალი მითხარი.

მისლებიდან კაცების ყრუ ჩურჩული ისმის. ვალენტინა წამოდგება.

— კარგი, გეყოფა, — მიდის ღამის ტუმბოსთან, რომელზეც წიგნი, აბები, წამლის შუშა დევს და ეკითხება: —გამაგებინე, რა აფთიაქია ეს?

კარმენი ორჭოფულად იღიმება.

— მარიოსია. ხომ იცნობდი, ძალიან კეთილი იყო, მაგრამ კომპლექსებით სავსე. უაბებოდ და ცხვირში მალამოგამოუსმელად ვერ იძინებდა. ასეთი ჩვეულება ჰქონდა. არ დამიჯერებ, ერთ ღამეს სამ საათზე ადგა და მორიგე აფთიაქის საძებნელად წავიდა. ამაზე მეტი უცნაურობა გინდა?

ვალენტინა ისე სწრაფად სწევს თავს, მისი ოქროსფერი კულულები მოწყვეტილი ვარსკვლავივით გაიელვებს. ახლა ის იღიმება:

— საწყალი, — ამბობს, — მარიო ძალიან ორიგინალური კაცი იყო.

კარმენი დგება და სარკეში ათვალიერებს თავის თავს. ორჯერ გაბრაზებით ჩამოიქაჩავს სვიტრს ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ.

— რას დავემსგავსე! — ჩურჩულებს, — შავი იქნება ლიფი თუ თეთრი, სულ ერთია... ჩემი მკერდი მგლოვიარე ქალისას არა ჰგავს.

ვალენტინა წაუყრუებს. ტუმბოდან წიგნს აიღებს და ფურცლავს.

— ბიბლიაა, — ამბობს ვალენტინა. — არ მითხრა, მარიო კითხულობდა ბიბლიასო. — ისევ იღიმება და ხმამაღლა კითხულობს: „და ალაგნი მართლ-ჰყუე-

ნით ფერხთა თქუენთანი, რათა არა მკელობელი იგი დაეცეს, არამედ უფროსღა განიკურნოს"[1]

კარმენი თავდახრილი უცქერს, ესაოდა, დამამცირებელ ჩხრეკას ეწრებაო. დროდადრო ანგარიშმიუცემლად იქაჩავს სვიტრს მკერდთან, და თითქოს თავს იმართლებს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ამბობდა, ბიბლია სულს მიმდიდრებს და მამშვიდებსო.

ვალენტინა კისკისებს.

— მასე ამბობდა? რა სეირია! სულის გამდიდრებაო?... დამიჯერე, მსგავსი არაფერი მსმენია. ეს გახაზულები?

კარმენს ხმა უწყდება. უფრო და უფრო დამცირებულად გრძნობს თავს. დასძენს:

— ესეც აკვიატებაა. მარიო ერთთავად კითხულობდა, მაგრამ მხოლოდ გახაზულ ადგილებს. გაიგე?—ახლა კარმენს გამოხედვა ლმობიერი უხდება, სამაგიეროდ, რა პარადოქსიც არ უნდა იყოს, ხმაში ემატება სიმტკიცე, — ავიღებ ამ წიგნს, თითქოს მასთან ვარ. მისი უკანასკნელი საათებია, გესმის?

ვალენტინა სწრაფად ხურავს წიგნს და კარმენს აწვდის. ვესტიბულში ჩურჩული უფრო გარკვევით ისმის. უცებ ჩურჩული წყდება და რამდენიმე წამის შემდეგ კარზე მოკრძალებულად აკაკუნებენ.

— მობრძანდით, — ამბობს კარმენი და უნებლიეთ იქაჩავს სვიტრს იღლიებს ქვეშ. ისმის მარიოს ხმა:

— ვისენტე!

—მოვდივარ, — ამბობს ვალენტინა, — უკვე მოვდივარ. — კარმენს უახლოვდება, წელზე ხვევს ხელს. — მართლა არ გსურს, რომ შენთან დავრჩე, ძვირფასო?

— მართლა, ვალენ, მირჩევნია მარტო ვიყო. ხომ იცი, ტყუილი ლაპარაკი არ მიყვარს.

ვალენტინა იხრება, ქალები თავით ეხებიან ერთმანეთს ჯერ მარცხნიდან, მერე მარჯვნიდან, ზანტად კოცნიან ჰაერს, არაფერს, ისე, რომ ორთავეს ესმის კოცნის ხმა, მის სითბოს კი ვერ გრძნობენ.

პატარა შემოსასვლელში პალტოჩაცმული ვისენტე ელოდება. მარიო გვერდით უდგას თავის ცისფერ სვიტრში გამოწყობილი. კარმენი ვალენტინას პალტოს ჩაცმაში შველის. შემდეგ ორივენი მისივე პალტოსფერ ჩანთას ეძებენ. კვლავ ეხებიან ერთმანეთს თავებით და კოცნიან ჰაერს, სიცარიელეს. „ნახვამდის, ძვირფასო, ხვალ დილით აქ გავჩნდები. მართლა არ გსურს შენთან დავრჩე?" „მართლა, ვალენ, გმადლობ ყველაფრისათვის". ვისენტეს მიუბრუნდება: „ენკარნა რას შვება?"

ვისენტე ჩაახველებს. გლოვა მისი საქმე არაა. ეს მისთვის უცხო ხილია.

— დაიძინა, — ამბობს ვისენტე: — ბოლოს და ბოლოს დაიძინა. ლუისმა თქვა, ხვალამდე არ გაიღვიძებსო. აუტანელი იყო. მსგავსი არაფერი მინახავს.

მარიო ორთავეს ისე უცქერის, თითქოს უცხო ენაზე ლაპარაკობენო. ხელის ჩამორთმევისას ვისენტე ეუბნება:

— დაღლილი სახე გაქვს, მარიო, უნდა დაწვე.

მარიო არ პასუხობს. სამაგიეროდ, კარმენი ამბობს:

— ახლავე დაწვება. უკვე ყველა დაწვა.

— კი მაგრამ, მამა?

---

1. წმინდა მოციქულ პავლეს ეპისტოლე ებრაელთა მიმართ, XII, 13

— მე დავრჩები მასთან.

ბოლოს და ბოლოს ვალენტინა და ვისენტე მიდიან. კიდევ დიდხანს ისმის ვალენტინას ქუსლების ფრთხილი ხმა და ვისენტეს ძილისმომგვრელი ჩურჩული. კარმენი პირისპირ რჩება შვილთან და წიგნს უჩვენებს:

— მარიო, — ამბობს იგი, — დაწექი, გევედრები. მინდა მარტო დავრჩე მამაშენთან. ეს უკანასკნელია....

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიო ყოყმანობს:

— როგორც გინდა, — ამბობს, — მაგრამ თუ რამე დაგჭირდეს, დამიძახე, მე ვერ დავიძინებ.

მისდა უნებურად იხრება, მხურვალედ კოცნის კარმენს. ქალს ცრემლი ადგება, მკლავებს მოხვევს შვილს და რამდენიმე წამით ჩაეხუტება. ბოლოს ამბობს:

— ხვალამდე, მარიო.

მარიო დერეფანში მიდის. უცნაური სიარული აქვს, მძიმე, თანაც სპორტული, გეგონება, საკუთარი სიმძიმე თრგუნავსო. კარმენი შებრუნდება, კაბინეტში შედის. საფერფლეებს საქაღალდე ურნაში ჩაცლის და დერეფანში გადგამს. ოთახში მაინც ტრიალებს თამბაქოს სუნი, თუმცა ქალისათვის სულ ერთია. კარს ხურავს, ფეხსაცმლის ყუთზე ჯდება. ყველა შუქს გამორთავს, გარდა ტორშერისა, რომელიც ანათებს კარმენის კალთაში ეს-ესაა გადაშლილ წიგნს და მიცვალებულის ფეხებამდე აღწევს.

[**„სახლი და მონაგები განუყვიან მამათა შვილთა, ხოლო უფლისა მიერ შეემთხვიოს ცოლი სახიერ ქმარხა.“**[1]. და რაც შეგეხება შენ, საყვარელო, ვფიქრობ, კმაყოფილი უნდა იყო. სიმართლეს სად გაექცევი და, ბედი გწყალობდა, განა ასე არაა? მთელი ცხოვრება შემოგწირა მშვენიერმა ქალმა, ოთხი პესეტით სასწაულებს რომ ახდენდა. ასეთი ქალი ყოველი ფეხის ნაბიჯზე როდი შეგხვდება. მერწმუნე, ასეა. ახლა კი, როცა მთავარი სიძნელეები იწყება, ადექი და ხელი დამიქნიე, კარგად მეყოლეო, ისევე როგორც პირველ ღამეს. გახსოვს? წახვედი და მთელი ტვირთი მე შემატოვე. არ გეგონოს, გსაყვედურობდე, სწორად გამიგე, ვიცი, სხვები უარეს დღეში არიან. აი, თუნდაც ტრანსი, სამი შვილის პატრონი... მართალი გითხრა, პირდაპირ მაცოფებს, ისე რომ მიდიხარ, ერთი სამადლობელი სიტყვაც არ მითხარი ჩემი უძილო ღამეებისათვის, საერთოდ, რაიმესთვის, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო ყოველივე... კაცები ჯვარს რომ დაიწერთ და ქალის ერთგულებას გაინაღდებთ (ჩემი აზრით, თქვენ ეს არაფერში გიშლით ხელს), ისევ თქვენებურად ერეკებით. ქალები კი, მშვენივრად იცი, რომანტიკოსები და სულელები ვართ. იმას კი არ ვამბობ, თითქოს დიდი დროსმტარებელი იყავი, ძვირფასო, ესლა მაკლდა, არ მინდა უსამართლო ვიყო, მაგრამ ვერც თავს დავდებდი შენს ანგელოზობაზე. ეს უნდობლობააო? რაც გინდა, ის დაარქვი, მაგრამ სინამდვილეში ვისაც პატიოსნად მოაქვს თავი, სწორედ მას არ უნდა ენდო. იმ წელიწადს, ზღვაზე რომ ვიყავით, კარგად აცეცებდი თვალებს, საყვარელო. მახსოვს, საცოდავი დედაჩემი, ღმერთმა აცხონოს, მის თვალს ხომ ვერას გამოაპარებდი, ამბობდა, ყველაზე წესიერი კაციც საბელგამობმული უნდა გყავდესო. აი, ენკარნა, შენი რძალია, კი, ვიცი, მაგრამ ელვიროს სიკვდილის შემდეგ სულ კუდში დაგდევდა, ამას ვერავინ გადამარწმუნებს. ენკარნას, ძვირფასო, ძალიან თავისებურად ესმის მოვალეობა, მიაჩნია, რომ უფროსი ძმის ადგილი უმცროსმა უნდა დაიკავოს და ასე შემდეგ. ხო-

---

[1] იგავნი სოლომონისა.

ლო, ჩვენში დარჩეს და, გეტყვი, როცა დანიშნულები ვიყავით და კინოში ვისხედით ხოლმე, ლამის გავგიჟებულიყავ, რაღაცას რომ გეჩურჩულებოდა ბნელში, შენ კი შენსას არ იშლიდი, რძალიაო, ესეც ახალი ამბავი, მერე ვინ უარყოფს ამას, ყოველთვის რაღაცას მიედ-მოედები, იმას ამართლებ, რასაც გამართლება არა აქვს, ყველას უძებნი გამართლებას ჩემ გარდა, აი, სიმართლე თუ გინდა. შეგეკითხებოდი თუ არ შეგეკითხებოდი, ძვირფასო, მაინც უნდა გეთქვა ჩემთვის, რა მოხდა შენსა და ენკარნას შორის იმ დღეს, კონკურსში რომ გაიმარჯვე. ნეტა ვიცოდე, რა ესაქმებოდა ყოველივე ამასთან. წერილში ძალზე გაკვრით მწერ: „ენკარნა დაესწრო კენჭისყრას და შემდეგ ერთად აღვნიშნეთ წარმატება.“ აღნიშვნა ბევრნაირად შეიძლება, შენ ამბობ, რომ ფუიმში ლუდი და კიბორჩხალები მიირთვით. ვითომ სულელი ვარ, არ ვიცნობდე ენკარნას, რა დღეშიც იქნებოდა. ნუთუ გგონია, დამავიწყდა, ძვირფასო, როგორ გეკრობოდა კინოში, როცა მე წინ ვიჯექი ხოლმე. კი, მაშინ ცოლ-ქმარი არ ვიყავით, მაგრამ თუ მეხსიერება არ მღალატობს, ლამის ორი წელი დავდიოდით დანიშნულები. ასეთ ურთიერთობას ყველა ქალმა უნდა სცეს პატივი, მარიო. ენკარნა კი ნურას უკაცრავად. სიმართლე რომ გითხრა, ჭკუიდან მშლიდა მისი გამოხდომები. გგონია, როცა ასე კარგად ვიცნობ ენკარნას, იმას ვჭამ, რომ მარტო დარჩით და იგი მხოლოდ კიბორჩხალებს და ლუდს დასჯერდა? ყველაზე ცუდი ეს კი არაა, დამიჯერე, ბოლოს და ბოლოს კაცნი ხართ, უფრო მეტად შენი სიფრთხილე ვერ ამიტანია, ცუდი არაფერი იფიქრო, ენკარნა კარგი გოგოა, თავისი უბედურება ეყოფაო. თითქოს სულელი ვიყო. სხვასთან შეიძლება გაგსვლოდა, ჩემთან კი ვერა.... ხომ ნახე, გუშინ რა ამბავი ქნა. თავის მოჭრაა! არ მითხრა, რძალი ასე უნდა იქცეოდესო. ყველას ყურადღება მიიპყრო, მე ისე დამამცირა, მის გვერდით უგრძნობელ ქალად გამოვიყურებოდი. ვისენტე რომ კი თქვა: „გაიყვანეთ, ძალიან გულჩვილიაო“. ამაზე ალმური წამეკიდა, გულწრფელად გეუბნები. გულზე ხელი დაიდე და მითხარი, მისი ქცევა ასეთ დროს სწორი იყო? ქვრივს ის უფრო ჰგავდა. ნიძლავს ჩამოვალ, ელვირო ასე არ უტირია. ნეტა გამაგებინა, რა უნდა მექნა. მამაშენის გარდაცვალებაზეც ასევე მოიქცა, მარიო, მუდამ ვამბობდი. რომ მას ჩემი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება სურდა და მიაღწია კიდეც, არ შემეძლავო. გულახდილად რომ გითხრა, არასდროს მომწონდა ენკარნა, მარიო, არც ენკარნა და არც მისნაირი ქალები. შენი აზრით. რა თქმა უნდა. ქუჩის ქალებიც იმსახურებენ თანაგრძნობას, არ ვიცი, სადამდე მიგვიყვანს ეს. ამტკიცებ, ამას საკუთარი სიამოვნებისთვის არავინ აკეთებსო, ისინი საზოგადოების მსხვერპლნი არიანო. ეს ხომ სასაცილოა. კაცები, რომლებიც მათ ამართლებთ, პირდაპირ აუტანლები ხართ. მე გეკითხები: რატომ არ მუშაობენ? რატომ არ ადგებიან ეს ქალები მოახლეებად, როგორც ღმერთი ბრძანებს? შინამოსამსახურის პროფესია თანდათან ქრება, ახალი ამბავი როდია, მარიო, ძვირფასო, თუმცა ირწმუნები ეს კარგი ნიშანიაო, მაგრამ რა ხეირს გვაყრის შენი თეორიები. მართალი თუ გინდა, გარყვნილება დღითი დღე მატულობს, მოახლესაც კი ქალბატონობა სურს. თუ ყველა სიგარეტს არ აბოლებს, სამაგიეროდ ილებავს ფრჩხილებს, შარვალს იცვამს და კიდევ ვინ მოთვლის... ეს არაფერია? ასეთი ქალები ოჯახს ანგრევენ, მარიო, დამიჯერე. მახსოვს, ჩვენს სახლში ორი მოახლე და ერთი აღმზრდელი იყო. აი, იმას ერქვა ცხოვრება. მართალია, გასამრჯელო მცირე ჰქონდათ, მაგრამ აჭმევდნენ და აცმევდნენ. სხვა რა უნდოდათ? მამაჩემი კარგად ერკვეოდა ამ საქმეებში: „ხულია, გეყოფა ჭამა, დატოვე ცოტა, რომ იმათაც წაიხემსონ სამზარეულოშიო“. მაშინ არსებობდა ოჯახური ცხოვრება, ყველას ყველაფრისათვის ეცალა, ყვე-

ლას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და ყველა კმაყოფილი იყო. აბა მე შემხედე! მთელი დღე გაძაღლებული ვარ, ხან ქვაბებს ვრეცხავ, ხან თეთრეულს. ჩვეულებრივი ამბავია. შუაზე ხომ ვერ გავიხლიჩები, და როგორც არ უნდა მუამდეს, შვიდსულიან ოჯახში ერთი შინამოსამსახურის ამარა ძნელია ყოფილა. მაგრამ კაცებს ამეების არა გაეგებათ, ძვირფასო. როცა ცოლს ირთავთ, მონას ყიდულობთ, საქმეების გარიგებაში ხართ. ქალი ვირივით მუშაობს, ერთი წუთი არ რჩება ამოსასუნთქად. თავში ქვა უხლია! — ეს ხომ მისი მოვალეობაა. რა მშვენიერია! არ გეგონოს, გსაყვედურობდე, საყვარელო, არა, მაგრამ გული მტკივა, ოცი წლის მანძილზე ჩემთვის ერთი ტკბილი სიტყვაც რომ არ გითქვამს. ვიცი, მომთხოვნი ქმარი არ იყავი, კი, ასეა, მაგრამ ეგ ზოგჯერ არ კმარა. მაგალითად, შენი ძმა ელვირო... იმის თქმა სულაც არ მინდა, თითქოს ელვირო იდეალური კაცი იყო, არა, ოღონდ შენი ძმა სხვა რჯულისა გახლდა, რა შედარებაა, ყურადღებიანი. გახსოვს ის საფულე, ოცდათექვსმეტი წლის ივნისში სადილობისას რომ მაჩუქა? წარმოიდგინე, ახლაც შენახული მაქვს, მგონი, კომოდშია ხარახურასთან ერთად. ენკარნა კი, ოი, რა დაემართა! ალბათ აზრჩობდა ქმარს ამის გამო. სამი თვის შემდეგ, როცა ელვირო გარდაიცვალა, ალბათ ინანა კიდეც თავისი საქციელი. შენი ძმა რბილი კაცი იყო, მარიო, სხვა, შედარებით ძლიერი, ისეთი, როგორიც უნდა იყოს კაცი, თავის ცოლს უფრო მაგრად მოჰკიდებდა ხელს. ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ ღრმადა ვარ დარწმუნებული, გაცნობის დღიდანვე ენკარნა ატყუებდა ქმარს. ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ რატომღაც მგონია, ენკარნა ტემპერამენტით აჯობნ-და ქმარს. რასაკვირველია, არ მიყვარს ნაუცფადევი დასკვნები. შენც მშვენივრად იცი, მაგრამ დაქვრივების შემდეგ თვალი რომ დაუშრა, ამას წყალი არ გაუვა. ოი, თანაც რა უტიფრად! თუნდაც ხატზე დაიფიცო, მაინც ვერ დაგიჯერებ, რომ იმ დღეს ფუიმაში იგი ლუდით და კიბორჩხალით დაკმაყოფილდა. შეიძლება ყველაფერი დამაბრალო, მაგრამ გამოცდება არასდროს მჩვევია. უფრო გარკვევით გინდა? იცი, რა მითხრა ვალენტინამ, გვერდზე რომ გამიხმო? შენი რძალი მკვდარსაც არ მოასვენებსო. როგორ მოგწონს? კიდევ მეტყვი, რომ ეს ჩემი ფანტაზიებია? რაც გინდა თქვი ვალენზე, მაგრამ მისთანა ჭკვიანი ქალი ტყუილია, ამას უსაფუძვლოდ როდი გეუბნები, ხომ გაიგე, მკვდარს არ მოასვენებსო. რიგიანად რომ აწონ-დაწონო, სულელი მე გამოვდივარ, არა, სულელი კი არა, როგორ ვთქვა, საქმე ისაა, რომ მე პრინციპები მაქვს. პრინციპები კი წმიდათაწმიდაა, ეს ყველასათვის ცნობილია. პრინციპი მთავარია. წარმოიდგინე, ვინმე რომ შემყვარებოდა! ისე, ვისთანაც გინდა, იმასთან გავაბამდი კავშირს, მარიო, ვისთანაც გინდა, ეჭვი არ შეგეპაროს. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ თუნდაც ელისეო სან ხუანი, სამღებროდან. არ შეიძლება გვერდით ჩავუარო, განსაკუთრებით მაშინ, ცისფერი სვიტრი თუ მაცვია, და არ შემომეგებოს: „რა კარგი ხარ, რა კარგი ხარ, დღითი დღე მშვენდებიო“. გული გამიწყალა, ძვირფასო, პირდაპირ გიჟდებოდა ჩემზე, თანაც ხნიერია, ცალი ფეხი სამარეში აქვს. მის დღეში სხვებიც იყვნენ, რომლებზეც კრინტს არ დავძრავ. მაშასადამე, კიდევ შემიძლია მოვხიბლო მამაკაცები, შე უტვინო, სულაც არა ვარ ბებერი, როგორც გეგონა. ჯერ კიდევ თვალს მაყოლებენ ქუჩაში, აი, ასე იცოდე, მარიო, ღრუბლებში რომ დაფრინავ. „ვულგარული ტიპია სან ხუანი“. რა სასაცილო ხარ. ამისთანა კაცს ვინ ეტყოდა უარს. საქმე ისაა, რომ მე პრინციპები მაქვს, თუმც პრინციპები დღეს მხოლოდ ხელს გიშლის ცხოვრებაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვებს წარმოდგენაც არა აქვთ მასზე. „ვულგარული ტიპია ეს სან ხუანი“, — როგორ მოგწონს?



საქართველოს
ეროვნული

ისე, შენ თვითონ როგორი იყავი ღამით? ზედაც არ მიყურებდი. შენზე აპათიური კაცი არ მინახავს, ჩემო კარგო. ამ საქმისათვის არ ვგიჟდები, ხომ მიცნობ, ჩემთვის სულერთია ასე იქნებოდა თუ ისე, მაგრამ მცირედი ანგარიშის გაწევა სენტეც კი. მედუქნე, მიამბობდნენ საკვირაო სეირნობაზე, გოგონები, ავად მაინც საჭირო იყო. კარგ დღეებს არ იყენებდი, მერე კი უცებ მოიგუნებიანებდი თავს. როგორიაა: „ღმერთის წინააღმდეგ ნუ წავალთო“, „ან საქმეში მათემატიკას ნუ ჩავრევთო“. სათქმელად ადვილია. მერე ცხრა თვე გაბერილი დავდიოდი და წამდაუწუმ ცუდად ვხდებოდი. შენ კი შენი გაკვეთილებისა და მეგობრების გარდა არაფერი გეკითხებოდა. ასე ხომ ყველას შეუძლია! კიდევ გითხრა? შენ ფიქრობ, რომ ქვა ქალი ვარ, არც გრძნობა გამაჩნია და არც არაფერი? რა, ვერ ამჩნევდი, რა დამცირებულად ვგრძნობდი თავს, როცა ორსულად ვიყავი, შენ კი უარს მეუბნებოდი? არმანდომ, თუ სიმართლე გინდა, ძალიან კარგი ქნა, სულაც არ არის ველური, უბრალოდ, პირში უყვარს თქმა. იმ დღეს საშინელ გუნებაზე იყო და როცა ესტერს მიუჯექი, თქვა, ძაღლი ვინც მოკლა, მანვე უნდა გადაათრიოსო. წარმოიდგინე, რა შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის. ყველაფერი კი შენი ახირების გულისათვის... რადგან ზოგ დღეებში არ გინდოდა, მერე კი უცებ გადაირეოდი. ბოლოს ჩემი მუცელიც გალიზიანებდა. განა ჩემი ბრალი იყო, რომ ვიბერებოდი? არა, მარიო, ძვირფასო, არ დამიწყო ახლა სისულელეები, მეცნიერულ კვლევა-ძიებებზე ვსაუბრობდითო. ესტერის გვერდით სრულიად შეგნებულად დაჯექი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. ეგ იმას ჰგავს, ბავშვებს ვინ მიხედავსო, ჰო, თქვი, რამდენჯერ მოგიხლია პირში! რაა აქ განსაკუთრებული, განა რა მოხდებოდა პატარასათვის მიგეხედა? გაკვეთილი ხომ თერთმეტ საათზე გეწყებოდა, მე კი ცხრაზე უკვე ფეხზე ვიყავი. უშენოდაც ვიცი, გამაბეზრებელია, ძნელია, მაგრამ აუცილებელი. კაცებმა ასე იცით, ცოტათი თუ გაწვალდით, წამებულად წარმოიდგენთ თავს. ნეტა ერთი ბავშვი გაგეჩინა, მაშინ ნახავდი. ამაზე არც შენს რძალსა აქვს წარმოდგენა. ამბობს, ელვიროს ბრალიაო. მიდი და გაიგე, ვისი ბრალია. მაგრამ რადგანაც არ იცის, ამიტომ ათას რამეს იგონებს, ტლიკინებს, უხერხულ მდგომარეობაში გაყენებს, აქაოდა, ვითომ მე შენს მოთმინებას ბოროტად ვიყენებ. ერთი ამას დამიხედეთ! თურმე ჩემი ქმრის ფასი არ ვიცი, თურმე მე მიგიყვანე კუბოს კარამდე, ასეთ სისულელეებს ჩმახავს. ენკარნა თავს არავის დააჩაგვრინებს, მარიო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თუმცა ცნობილია, მამაკაცს რაც კარგად მოექცევი ქალი, მით მეტად წაავებ. კაცები ყველანი ეგოისტები ხართ. ჯვარს რომ დაიწერთ და ერთგულების გარანტიას გაინაღდებთ, იმ დღიდან შეგიძლიათ მშვიდად იძინოთ. ერთი თავქარიანი ქალი შეგხვედროდა, მაშინ ვნახავდი, გამოიბერტყავდი თუ არა ყურებს!

## II

**[„ხოლო მაქუნდეს თუ საზრდელ და საფარველ ხორცთა ამათ, კმა-ვიყოფოდეთ ჩუენ. ხოლო რომელსა ჰნებავს სიმდიდრე შესცვივიან განსაცდელსა, და საფრცხესა და გულის-თქმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა, რომელთა დანთქნიან კაცნი მოსასრველად და წარსაწყმედელად. რამეთუ ძირი არს ყოველთა ბოროტთა ვერცხლისმოყუარება“.]*** სწორედ ამიტომ, ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, ვერ გაპატიებ, ძვირფასო,, ავტომანქანის ყიდვის სურვილი რომ მომისპე. კი, როცა დავქორწინდით, მაშინ დიდ ფუფუნებად ითვლებოდა ავტომანქანა, მაგრამ დღეს „სეისსიენტოსი“ ყველას აქვს, კარისკაცებსაც კი. შენ

* წმინდა მოციქულ პავლეს ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ. VI, მ,10.

ამას ვერასდროს მიხვდები, მაგრამ ქალი, არც ვიცი, როგორ აგიხსნა, დამცირებულად გრძნობს თავს, როცა ყველა მისი ამხანაგი მანქანაშია გამოჭიმული, ის კი ფეხით დადის. რომ იცოდე, ყოველთვის, როცა ესტერი ან ვალენტინა, ან ჰორტენსიაც კი მედიდურნი მიამბობდნენ საკვირაო სეირნობაზე, გვერდით [illegible] ვხდებოდი. თუმცა საკუთარ თავზე არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ბედმა [illegible], მეორჯერ ქალი შეგხვდა, ყაირათიანი, მეტი რაღა გინდა, ხომ [illegible] გეწერა, ორრიგლიანი გულსაბნევით და კიდევ რაღაც წვრილმანებით, დღეობაზე რომ მაჩუქე, მოიხადე ვალი? ნურას უკაცრავად, შე უტვინო. მომბეზრდა იმაზე ლაპარაკი, ლოგინებში დაფრინავ-მეთქი. შენთვის კი სულ ერთი იყო, რას ვამბობდი. იცი, რა ქვია ამას, მარიო? წმინდაწყლის ეგოიზმი. დამიჯერე. მესმის, რომ მასწავლებელი მილიონერი ვერ იქნება, მაგრამ სხვა გზებიც ხომ არსებობს. დღეს ერთ სამსახურს ვინ სჯერდება? ახლა მიპასუხებ, ჩემი წიგნები და „ელ კორრეო" მქონდაო. მე კი მოგახსენებ, რომ მაგ შენს წიგნებს და მაგ შენს რაღაც გაზეთს უსიამოვნების გარდა არაფერი მოუტანია ჩვენთვის. ხომ მართალია, არ შემედავო, ჩემო კარგო. უსიამოვნება ცენზურასთან, უსიამოვნება ხალხთან, საბოლოო ჯამში კი ორი პესეტა. არ გეგონოს, ეს ჩემთვის მოულოდნელი ყოფილიყოს. გეკითხები, ვინ წაიკითხავს მაგ ნაღვლიან ამბებს ადამიანებზე, რომლებიც შიმშილით კვდებიან და ღორებივით ჭუჭყში ცხოვრობენ. მიდი, ცოტა გაანძრიე ტვინი, ვინ წაიკითხავდა მაგ შენს აგურს — „სასახლე ქვიშაზე", სადაც უთავბოლოდ ფილოსოფოსობ. მასში ბევრია თეზისები და ათასგვარი ისტორია, მაგრამ შეგიძლია მითხრა, რას ნიშნავს ყოველივე ეს? ხალხს შენი თეზისები მუქთადაც რომ მისცე, მაინც არ სჭირდება, დამიჯერე, ამხანაგებმა დაგღუპეს, ძვირფასო, აროსტეგიმ და მოიანომ, წვერიანმა. ისინი შეუგნებელი ადამიანები არიან. მამამ ხომ გაგაფრთხილა, შენი წიგნი ლამის ლუპით წაიკითხა, საგულდაგულოდ, თვითონვე იცი, ჰოდა, გითხრა, თუ საკუთარი გართობისათვის წერ, კიდევ ჰოო, მაგრამ თუ დიდებასა და ფულს ელი, სხვა გზა უნდა აირჩიოო. გახსოვს? შენ კი შენსას არ იშლიდი. მესმის, სხვისთვის არ დაგეგდო ყური, მაგრამ მამაჩემისთვის, ასე ობიექტური კაცისთვის, კი უნდა გაგეწია ანგარიში, ნუ მეკამათები. მამა ხომ ABC-ს* გრაფიკის განყოფილებაში მუშაობდა გაზეთის დაარსების დღიდან, და სხვა თუ ვერაფერი, მწერლობაში კი ერკვევა. მეც განა ათასჯერ არ გითხარი, მარიო, რამე კარგი სიუჟეტი მოძებნე-მეთქი, თუნდაც მაქსიმინო კონდეს ამბისნაირი, რომელმაც ქვრივი ქალი შეირთო, მერე კი თავისი გერი შეუყვარდა. მარიო, იცოდე, ხალხს ასეთი სიუჟეტები აინტერესებს. მესმის, რომ ცოტა ფრივოლური გამოვიდოდა, მაგრამ შეგეძლო ისე გაგეკეთებინა, რომ მთავარ გმირს ცოტა თავშეკავება გამოეჩინა გერთან ურთიერთობისას და დამიჯერე, ეს რომანი დიდაქტიკურიც კი გახდებოდა. მაგრამ შენ მაინც ჯიუტობ, ერთ ყურში შეუშვებ, მეორედან გაუშვებ. ორი წლის შემდეგ გამოაქვეყნე „ჩვენი მემკვიდრეობა" — აუტანელი ნაწარმოები, ამას გულწრფელად გეუბნები, არ იცი, რა მხრიდან მიუდგე. გგონია, ვინმე დაინტერესდება წიგნით, რომლის მოქმედებაც არარსებულ ქვეყანაში ხდება და რომლის გმირიც ფეხმოტკივანი ჯარისკაცია? ვალენტინა სიცილით იფხრიწებოდა, როცა ამ წიგნს აქიაქებდა ხუთშაბათის ჩაის სმისას, სხვებიც, რაღა თქმა უნდა, ესტერის გარდა. როგორც ყოველთვის, ესტერმა დაგიცვა მხოლოდ. ისიც ალბათ იმიტომ, რომ ჩემგან გამორჩეულიყო. თორემ, რასაკვირველია, მანაც ვერაფერი გაიგო. შენი ჯარისკაცები ძალიან უცნაურები არიან, მარიო, რო-

** ABC — კონსერვატიული მიმართულების გაზეთი მადრიდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ შეიძლება ერთმანეთის მოწინააღმდეგე ჯარისკაცები სანგრებიდან ამოხტნენ, ერთმანეთს გადაეხვიონ და თქვან: აღარ გვინდა ა მ ძ ა ლ ა ს ბრმად ვემორჩილებოდეთო? წიგნებში სიტყვებს, არ ვიცი კი რატომ, მუქად ასომთავრულით ან კურსივით წერდი, არმანდო ამბობს, სილამაზისთვისო, მერე და გაარკვიე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ წიგნში ვერაფერსაც ვერ გავარკვევ, რადგან გენერლები თუ დაინახავდნენ მოწინააღმდეგეებთან [illegible] თავიანთ ჯარისკაცებს, მაშინვე დახვრეტდნენ მათ, და სამართლიანადაც. წიგნი თავიდანვე უცნაური იყო, ძვირფასო, მაგრამ ყველაზე გასაოცარი ისაა, ჯარისკაცმა უცებ უადგილოდ რომ იკითხა: „სადაა ე ს ძ ა ლ ა? მას არც თავი აქვს, არც ფორმა, არც არავინ იცის, სად იმალება“. მეტი განმარტება აღარც დასჭირვებიათ, ჯარისკაცები შიშმა მოიცვა, დაბრუნდნენ თავიანთ სანგრებში და კვლავ ტყვიები დაუშინეს ერთმანეთს. გულახდილად თქვი, ძვირფასო, ეს ხომ ნაღდი უაზრობაა. ტუტუცმა ესტერმა კი, დამცველად რომ გამოგიჩნდა, თქვა, სიმბოლოებიაო, ვითომ იცის, სიმბოლოები რა ხილია. სავსებით მართალი იყო ისინიო ოიარსუნი, როცა იმ ღამით კლუბში განაცხადა, ეს პაციფისტის და მოღალატის ნაწარმოებიაო, გავშრი. დონ ნიკოლასმა კი სასწრაფოდ მოგირბენინა ამბავი. ყველაფერი ვიცი, მაგრამ ვერ გამიგია ამ ჩვენს ძვირფას დონ ნიკოლასს როგორ მისცეს გაზეთის ხელმძღვანელობის უფლება, იგი ხომ ომის დროს ერთი წელი იჯდა ციხეში. შეიძლება გაგეცინოს, მარიო, მაგრამ დონ ნიკოლასი მემარცხენეა, არ ვიცი, ლეროუსის მომხრეა თუ ალკალა სამორასი*, მაგრამ დიდი დამსახურება კი მიუძღვის, და, რა თქმა უნდა, წითელია, თანაც ცუდი წითელი, მეცამეტე გოჭივით რომ გამოხტება ხოლმე. ღირსეული ხალხი დონ ნიკოლასს ალმაცერად უმზერს, ბუნებრივიცაა, ყველას კბენს და აწუხებს, ნეტა როგორ არა რცხვენია. სიძულვილი თუმც მკრეხელობაა, მაინც არ შემიძლია ამ კაცის ატანა, რადგან ვიცი, რა ზიანიც მოგაყენა. მაგან, აროსტეგიმ და მოიანომ, და სხვებმაც, ტვინი გადაგიბრუნეს, ძვირფასო, აბა თავიდან ასეთი როდი იყავი, არ შემედავო. მერე კიდევ ეს ბული! ღმერთო ჩემო, იქნებ გავიგო, რას აკეთებდით, ამდენს რომ ეწეოდით? ქვეყნის მოწესრიგება გსურდათ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდით, ღმერთო, რა სისულელეებს გაჰყვიროდით. ფულია ყველა საშინელებისა და ეგოიზმის თავი და თავიო, არადა, ფული სინამდვილეში რასაც წარმოადგენს, ეს არ გითქვამთ, მარიო. ამდენი ლაყბობის ნაცვლად, უკეთესი იქნებოდა, ფულის შოვნა გესწავლათ. ასეა ეს. წერა გეხერხება, ძვირფასო, ვამბობ და ყოველთვის გავიმეორებ, რომ სიუჟეტების პოვნა გიჭირს. პირდაპირ არ ვიცი, სად გამოქექავ ხოლმე. ხოლო როცა სტრუქტურაზე და რაღაც ამის მსგავსზე იწყებდი ლაპარაკს, გეფიცები, არაფერი მესმოდა. როგორ გავიხარებდი, სიყვარულზე რომ დაგეწერა წიგნები! აი, შესაფერისი თემა, მარიო, რადგან სიყვარული მარადიული თემაა, რადგან ძალიან ადამიანურია, ყველასათვის გასაგები. ნეტავი ჩემთვის დაგეჯერებინა! თუნდაც მაქსიმინო კონდეს ამბისნაირი შეგექმნა. წარმოიდგინე ასაკოვანი კაცი, მეორედ დაქორწინებული და თავის გერზე შეყვარებული, ნამდვილად ფილმის სიუჟეტია. არც ეს მოგეწონა, ყოველთვის მეწინააღმდეგები. მტირალა არა ვარ, მარიო, მაგრამ უკან რომ ვიხედები და მახსენდება, რა იშვიათად მიჯერებდი, თავს ვერ ვიკავებ და ვტირი. ნუთუ ძნელი იყო მანქანის საყიდელი ფულის შეგროვება, შე უქნარა! ადრინდელზე არაფერს ვამბობ, ახლა კი, ყველა დამერწმუნება, ჩალის ფასადაა მანქანები, ერთხელ პაკომაც კი მკითხა, იცი ტარებაო? მე მივუგე, ძა-

* ალკალა სამორა, ნისეტო — ესპანელი პოლიტიკური მოღვაწე. მონარქიის დამხობის შემდეგ (1931 წ.) იყო მთავრობის ხელმძღვანელი, შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ლიან ცუდად, თითქმის არა-მეთქი, ან რა უნდა მეთქვა, მანქანა არა გვყავსთქო? კინაღამ გაგიჟდა, ვერაფრით დავიჯერებო! წარმოიდგინე, ვერ დაიჯერა! ბავშვები ჭკუას კარგავენ მანქანისათვის, ხოლო რაც შემეხება მე, მთელი ცხოვრება გადამისხვაფერდებოდა, მაგრამ თურმე ნუ იტყვი, მანქანა ფუფუნებაო. ეს რომ ვინმემ გაიგოს, არ გაგიჟდება? იგივე განმეორდა დანა-ჩანგალზეც, მარიო, ოცდასამი წელი ვოცნებობდი ვერცხლის დანა-ჩანგალზე, სათქმელად ადვილია, ოცდასამი წელი ვოცნებობდი საკმარისად დავხვედროდი სტუმრად მოსულ მეგობრებს, ყოველთვის, როცა მათ ვპატიჟებდი, ცივი ვახშამი გვქონდა თვითონვე კარგად მოგეხსენებოდა, მე სასწაულებს ვერ მოვახდენდი. რა სირცხვილია, ღმერთო ჩემო! როგორ მეზიზღებოდა ხიწიწის მომზადება. მახსოვს, დედაჩემი, ღმერთმა აცხონოს, სხვანაირი ქალი იყო, იტყოდა ხოლმე: „თუ სცოდავ, ბარემ ხელგაშლილობაში შესცოდეო". ჩვენს სახლში კი შებრუნებით ხდებოდა ყველაფერი, მეტადრე იმ ამბამდე, ხულიას გალი კონსტანტინოსთან რომ გადახდა, თუმც ჩვენი ოჯახის ავ-კარგი შენ არასდროს გეკითხებოდა, მარიო, ვიყოთ გულახდილები, მე ხომ სხვა ცხოვრებას ვიყავი შეჩვეული. ზოგჯერ ვფიქრობ, რა დაემართებოდა დედაჩემს, ერთი რომ წამოახედა, სჯობს, რომ მკვდარია, დამიჯერე. უნდა გესმინა, როგორ ამბობდა: „ხუთ ბავშვზე ერთი მოსამსახურე!" „ცხოვრება წინ მიდის, ახლა სხვა დროა", სასაცილოა პირდაპირ! სხვა დრო ჩვენთვის, პრინციპული და საცოდავი ქალებისათვის დადგა. თქვენ კი ლაპარაკობთ, სიგარეტს აბოლებთ, წერთ „აგურებს", რომლისაც არავის არაფერი გაეგება, ვითომ დიდი შრომა იყოს წერა, არ მითხრა, ხსეაო... რომ დავუფიქრდე, სულელი ვიყავი, ჯვრისწერამდე უნდა შემემჩნია შენი სისუსტეები. „ერთი დურო უნდა ვიმყოფინოთ კვირაში, სანამ არ ვიმუშავებ, სხვა შემოსავალი არ მექნებაო". რა კარგია! მამაშენს ძუნწის სახელი ჰქონდა, განა მხოლოდ ჩემი, მთელი ქალაქის აზრია ეს. და ღმერთმა ნუ მაფიქრებინოს, თითქოს შენც მისნაირი იყავი. რახან თვით არ გქონდა მოთხოვნილებები, ეს როდი ნიშნავს, სხვასაც არ გააჩნდა ისინი. თუ მართალი გინდა, მე სხვაგვარ ცხოვრებას ვიყავი შეჩვეული, ამას ყველა დამიდასტურებს, დამიჯერე, მარიო, ახლაც მტკივა ფეხისგულები ქუჩებში ამდენი წანწალით. წვიმაში სადარბაზოებს ვაფარებდი თავს, ყინვაში კაფეებს. გულახდილად მითხარი, შენი აზრით შეძლებული ოჯახიდან გამოსული გოგო ასე უნდა ცხოვრობდეს? ნუ მოვატყუებთ ერთმანეთს, სიმართლეს სად გაექცევი, მთელი ჩვენი ნაცნობობის მანძილზე პროლეტარული გემოვნება გქონდა, აბა რა ეშმაკად მოგაფიქრდა ველოსიპედით სიარული. გულწრფელად მითხარი, გეკადრებოდა? თავს ნუ მოიტყუებ, მარიო, ძვირფასო, ველოსიპედი შენი წრის ადამიანს არ შეეფერება, და როცა ველოსიპედზე გხედავდი, დამიჯერე, გულგვამი მიდუღდა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, ზედ ბავშვის სკამიც რომ დაამაგრე. მინდოდა მომეკალი, რაც შენ გამო ცრემლი მიღვრია! რამდენს ვნერვიულობდი, ღმერთო ჩემო! ერთ მშვენიერ დღეს ვალენი დიდის ამბით მოვიდა, მარიო ვნახე ბავშვითო. გეფიცები, არ ვიცოდი, სად შევმძვრალიყავი. ახლადეს აიჩემა, ხომ იცი, რა უცნაური კაცია-მეთქი. სხვა რა მეთქვა. არ მინდა დავიჯერო, რომ ამას ჩემს დასამცირებლად სჩადიოდი, მარიო, მაგრამ გული მტკივა, არასდროს რომ არ მითანხმდებოდი, რაღაც მოგეხუშტურებოდა და მორჩა. შენ ხომ საკუთარი მეთოდები გქონდა. ადამიანი ყველაფრისადმი გულგრილი არ უნდა იყოს, ყველამ ისე უნდა იცხოვროს, როგორც შეეფერება. მდგომარეობა გვავალდებულებს, შე უჭკუო, მასწავლებელი, მართალია, ინჟინერი არაა, მაგრამ ჩემი აზრით, რაღაცას მაინც წარმოადგენს, თვით ანტონიომ, როდესაც დირექტორად დანიშნეს, ფრთხილად შეგაპარა, რომ

ველოსიპედი მეტისმეტიაო, კარგ მთქმელს კარგი გამგონე სჭირდება. შენ კი ყურს არ იბერტყდი. შენთვის ხომ სულერთია, არც ანტონიო არსებობს და არც ანტონია. მეტსაც გეტყვი, ვერავინ დამარწმუნებს, რომ რაკელია ანტონიომ საქმე ჩქვიდგინა, ეს იმას ნიშნავს, რომ გულზე არ ეხატებოდა. იგივე შეიძლება ითქვას ბერტრანზეც. ნუთუ დასაშვებად მიგაჩნია, მასწავლ[illegible]ამხედველის გვერდით ხედავდეს ხალხი? რა თქმა უნდა, არაა ნორმ[illegible]არეულო, გიკვირს, ასე რომ გელაპარაკები? მათთან საუბრის გამო არ უნდა იკადრო, დიდი-დიდი, გამარჯობა ან ნახვამდის უთხრა, რადგან ორი სხვადასხვა სამყარო ხართ, ორი სხვადასხვა ენა. შენ კი თავი წაჰამე, ფულს ბევრს შოულობ თუ ცოტასო. სხვისი ჯამაგირის ნაცვლად, ჯობდა შენსაზე გეზრუნა. თუნდაც ბერტრანს მცირე ჯამაგირი ჰქონოდა, განა თქვენი შედარება შეიძლება? მას თავის წრეში შეუძლია ფლოსტებით იაროს, შენ კი ისე უნდა ჩაგეცვა, როგორც შენს წრეს ეკადრება, ყველა სიკეთესთან ერთად, ჩაცმის გამოც დამიგლიჯე ნერვები.

III

**[გუახურვე ჩუენ, დაო ჩუენო, სძალო, გული, გუალმე ჩუენ ერთითა თუალთა შენთათა და ერთითა მძივთა ყელისა შენისათა.]*** კი, ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი ეს მითხარი, რატომ არც ერთხელ არ წამაკითხე შენი ლექსები, რად არ გამიმხილე, თუ ლექსებს წერდი? ელვირო რომ არა, დღესაც არ მეცოდინებოდა, ვერც წარმოვიდგენდი. შენ კი თურმე, ნუ იტყვი... ელვირომ მითხრა, ჩემი თვალებისათვის მიგიძღვნია ლექსი. აი, ეს მესმის! ერთხელ ელვირომ უიდუმლოდ მკითხა, მარიო თუ გიკითხავს თავის ლექსებსო? სახტად დავრჩი, რა ლექსებს-მეთქი. მაშინ კი ელვირომ მითხრა, გეფიცები, სულაც არ მიკვირს, შენს თვალებს ლექსი რომ მიუძღვნაო. შემრცხვა და გავწითლდი. ხოლო ღამით, როცა გთხოვე, ლექსი წამიკითხე-მეთქი, არაფრით არ ქენი, სუსტი, ულიმღამო და სენტიმენტალური ლექსებიაო, არ მესმის, ძვირფასო, რად გაღიზიანებთ სენტიმენტალობა, იცოდე, რომ ჩემთვის შენი უნდობლობა ზურგში ნასროლი ტყვიასავითაა, რამდენი გეხვეწე, შენ კი მიპასუხე, ამ ლექსებს მხოლოდ ჩემთვის ვწეროო, ნახე რა გამოსავალი, ვითომ შეიძლებოდეს მხოლოდ შენთვის წერა, ძალიან ჯიუტი ხარ, ძვირფასო, თუ სიტყვებს მხოლოდ შენთვის წერ, მაშინ რაღა აზრი აქვთ მათ. უჭკუო, ეს მხოლოდ შორეული ხმაურია და ჯღაბნა. ღმერთმა დალახვროს სიტყვები, რის გამოც მუდამ ამდენი უსიამოვნება გქონდა, არ დაიჯერებ, მარიო, თითქმის არც მელაპარაკებოდი, მაგრამ თქვენს შეკრებებზე მხოლოდ იმიტომ შემოვდიოდი (ო, რა ბედი იდგა!), მომესმინა, რაზე ლაპარაკობდით, თქვენ რაც გინდათ ისა თქვით, მე კი დარწმუნებული ვარ, ქალებზე ყბედობდით, ჩემი შემოსვლისას კი ცვლიდით საუბრის თემას, კაცები ყველა ერთნაირები ხართ. არ ვიცი, შემთხვევით თუ საგანგებოდ (მიდი და გაიგე),ოღონდ მუდამ, როცა შემოვიდოდი, უკვე ვიცოდი, ფულზე დაიწყებდი ლაპარაკს, ფული ბოროტების სათავეაო, ფული ეგოიზმის სათავეაო, თუ ფულზე არა, მაშინ სიტყვებზე ლაპარაკობდით ძალიან უცნაურად, მაგალითად, ღმერთმა ადამიანი ბოროტად არ მოავლინა, მაგრამ მას სიტყვები აცთუნებსო, მე კი სასწაულით ვიკავებდი თავს, რომ საუბარში არ ჩაგრეოდით, აი, თუნდაც სენიორა ფილიპას ვაჟიშვილი ავილოთ, დაბადებიდან ყრუ-მუნჯი-მეთქი, შენ კი: „რაო, რაო?" ხომ ხედავ, ძმაზე ნაჯახით გაიწია, ეს საქმარისი არ არის-მეთქი? შენ კი: „მოეშვი ასეთ რამეებს", ყოველთვის გული მტკიოდა, ჩემზე და-

* ქებათა ქება სოლომონისა, IV, 9.

ბალი წარმოდგენის რომ იყავი, მარიო, თითქოს ვინმე უმეცარი გყოლოდი. მაგრამ ყველაფერს ვპატიობ, გარდა იმისა, ლექსებს რომ არ მიკითხავდი. ჩვენ შორის დარჩეს, ზოგჯერ ვფიქრობ, იმ ლექსებს ენკარნასათვის წერდი და სოგუქემდე მივდივარ, აბა თუ არავისთვის წერ, იგივეა, ქუჩაში გამოხვიდე და შერეკილივით მოჰყვე ბღავილს. მაშინ ჯერ კარგად გრძნობდი თავს, ის მერე დაგეწყო. განა ვამბობ, უმნიშვნელო იყო-მეთქი, სულაც არა. მაგრამ [illegible]-რებასა ჰგავდა. თვითონვე თქვი, თუ არაფერი გტკივა და სიცხეც არა გაქვს, ეს რა ავადმყოფობაა? სიმართლე რომ გითხრა, გული იმაზე მწყდება, ოცდასამი წელი წამებულივით რომ ვიყავი შენზე მიჯაჭვული. მეტი ფხიანობა რომ გამოგეჩინა, სხვაგვარად წამივიდოდა საქმე. ტრანსი სულ მიჩიჩინებდა, რა მოგწონს ამ შეიდთვიანისო? გინდა იცოდე, რა მომწონდა, მარიო? რადა, გამხდარი ბიჭი, ალერსს მოწყურებული, თვალებნაღვლიანი, ქუსლებმოცვეთილი. შენ ხომ ვერანაირი ფეხსაცმელი ვერ გიძლებს, ძვირფასო, და კიდევ, შენი შემოხედვა, გულს რომ მიპობდა. უფრო მეტად მისკდებოდა გული, ის ველური არმანდო თითებს რქებივით რომ დაიდგამდა საფეთქლებზე და ბღაოდა, როცა პაკო ალვარესთან ან ვინმე სხვასთან დაგვინახავდა. ტრანსი კი მეუბნებოდა, ნამდვილი საფრთხობელააო. რა საცოდავი გამომეტყველება გქონდა. შენ ხომ მატყუარა თვალები გაქვს, მარიო, დამიჯერე. მე კი ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, ჩვენს მენჩუზე ორი წლით უმცროსი, ნამდვილი ბავშვი. ამ ასაკში, მოგეხსენება, ქალს დიდად ემაყება, ვიღაცას რომ სჭირდება. მახსოვს, საკუთარ თავს ვეუბნებოდი: „ამ ბიჭს ვჭირდები, უარი რომ ვუთხრა, შეიძლება თავი მოიკლას". სისულელეა, რა თქმა უნდა, რომანტიკოსობაა. შემდეგ მივხვდი, სულელურად მოვტყუვდი. რა თქმა უნდა, შენთვის შენი კათედრა და ამხანაგები საკმარისია. ნეტა მე რისთვისღა გჭირდებოდი? ნუთუ იმისთვის, რასაც ყოველ კვირა ვაკეთებდით? რა თქმა უნდა, არა, საამისოდ ყველა გამოდგებოდა, შესაძლოა ჩემზე უკეთესადაც. მშვენივრად მოგეხსენება, კარგ დღეებში ვითომც არაფერი, ცუდ დღეებში კი, ჩვენში დარჩეს, მხეცს ემსგავსებოდი. ნეტა იცოდეთ, ზოგჯერ რა სანახავები ხართ, ჰაიდა, რაებსა ჩმახავთ. არადა, შენ ხომ ამ დროს სხვაზე ფიქრობდი, რაც მოსვენებას არ მაძლევს, მარიო. არ შემიძლია ამის მონელება. შეკრებებზე ქალებზე ლაპარაკობდით, ნუ უარყოფ, გავიგონე, არისტეგიმ რომ თქვა, ჩვენი თავისუფლება ფულით სავსე ტომარაში მოხვედრილ კახპას ჰგავსო. ღმერთო, რა სიტყვებია! გარეგნულად განათლებული და ზრდილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს ეს არისტეგი. ჩემს დანახვაზე კი ბოდიშიც არ მოუხდია. რა თქმა უნდა, ეს დონ ნიკოლასის ოინებია. ჰგონიათ, რახან ახალგაზრდები არიან, ყველაფრის უფლება აქვთ, თანაც თავს დაჩაგრულადაც გრძნობენ. შენ კი ამბობ, „ახალგაზრდა მეამბოხეაო". მეამბოხე, რის წინააღმდეგ?, ნეტა ვიცოდე, რას ჩივიან, ყველაფერი მზამზარეული აქვთ, სიმშვიდე გარანტირებული, ყოველი ცისმარე უკეთესი და უკეთესი, მთელი ქვეყანა ამას იძახის, შენ კი ან პირში წყალს იგუბებ, ანდა, ჩვეულებისამებრ, ქარაგმებით ლაპარაკობ: „ხმის უფლება უნდათ", „პასუხისმგებლობა უნდათ", „საკუთარი თავის გამოცდა უნდათ, უნდათ იცოდნენ, შეუძლიათ თუ არა თანაარსებობა", ფრაზები... იქნებ ამიხსნა, ამით რისი თქმა გსურს? თვითონვე არა გაეგებათ, რა უნდათ. მე კი ვიტყოდი, მეტი თავაზიანობა და ანგარიშის გაწევის უნარი უნდა გააჩნდეთ. აგერ, ჩვენი მარიოც, ხომ ხედავ, მესმის, ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ ერთხელვე თუ შეცდა, მერე ვინ დააყენებს სწორ გზაზე? ცუდი მაგალითები, ძვირფასო, ყველა უბედურების სათავეა, ამას დაუსრულებლად გავიმეორებ. ვერ ვიტყვი, რომ მარიო მთლად წყალწაღებული იყოს, სულაც არა, თავისე-

ბურად ალერსიანიცაა, მაგრამ გახსენება არ მინდა, რას ემსგავსება ლაპარაკისას, ლამის თვალები წამოსცვივდეს: „ურაპატრიოტიზმიო“, „ფარისევლობაო“. იმ დღეს, როცა წარჩინებულთა სახელმწიფოს იცავდა, დამიჯერე, მარიო, კინაღამ გული წამივიდა. აი, სადამდე მივედით. უნივერსიტეტი არ ამწიფებს ახალგაზრდებს, არ მოტყუვდე, მათ თავში უტენიან ათას უცნაურ იდეას. რაც გინდა თქვი და, დედაჩემი სალად წინასწარმეტყველებდა, ყოველთვის ამბობდა: „განათლება სასწავლებელში, აღზრდა ოჯახშიო“. დედაჩემი, ქვეყანამ იცის, უჭკვიანესი ქალი იყო. შენ, მარიო, ბავშვებს ბევრის უფლებას აძლევ. ბავშვებთან მკაცრი უნდა იყო, თუმც ამით შესაძლოა ტკივილიც მიაყენო, მაგრამ ბოლოს მადლიერები დაგრჩებიან. შეხე, ჩვენი მარიო ოცდაორი წლისაა და გამუდმებით კითხულობს, ფიქრობს. კითხვა და ფიქრი კი ძალიან მავნებელია, ძვირფასო, მერწმუნე. მისი ამხანაგებიც ასევე არიან, ვფიცავ, პირდაპირ შიშს მგვრიან, დამიჯერე, მარიო, ყმაწვილთა უმეტესობა დღეს თითქმის ნახევრად წითლები არიან, ვერ გამიგია, რა ემართებათ, ტვინი აქვთ არეული უცნაური იდეებით თავისუფლებაზე, დიალოგზე და იმ რაღაც-რაღაცებით, რაზეც ლაყბობენ. ღმერთო ჩემო, რამდენი წელი გავიდა, გაიხსენე! ახლა ომის შესახებ კრინტს ვერ დაძრავ ახალგაზრდებთან. მარიო, ძვირფასო, ვიცი, რომ ომი საშინელებაა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ომი მამაცთა საქმეა. ესპანელები კი მეომრებად არიან ცნობილნი. ჩემი აზრით, ეს არცთუ ისე ცუდია, რადგან მსოფლიოში არ მოიძებნება სახელმწიფო, რომელიც ტოლს გვიდებდეს, ხომ იცი, მამა რას ამბობს: „მანქანების კი არა, სულიერი სიმდიდრისა და პატიოსნების ექსპორტი უნდა ვაწარმოოთო“, ხოლო რაც შეეხება რელიგიურ მრწამს, აქაც ასეა, მარიო, რადგან ჩვენ ყველაზე ჭეშმარიტი და კარგი კათოლიკეები ვართ მთელ მსოფლიოში. ეს თვით პაპმა ბრძანა. მიიხედ-მოიხედე, რა ხდება სხვაგან, გაყრა, ღალატი; სირცხვილის ნატამალი არ გააჩნიათ. ჩვენთან, მადლობა ღმერთს, კარგად მოგეხსენება, თითო-ოროლა კახპას თუ წააწყდები, აი, თუნდაც ჩემი მაგალითი, თუმც დიდი შესაძლებლობები მქონდა, მსგავსი რამ განა მომივიდოდა აზრად? აგერ, ელისეო სან ხუანი, აჩრდილივით დამდევს, გასაქანს არ მაძლევს, რა კარგი ხარ, რა კარგი ხარ, დილით დღე მშვენდებიო. რა თქმა უნდა, ცუდი საქციელია, მაგრამ ამას სიტყვის მასალად იყენებს, მშვენივრად იცის, დროს ფუჭად რომ კარგავს, ფეხი არ ჩაუვა! ელისეო სულაც არაა ურიგო ვინმე. ვალენი ამბობს, კარგი მამაკაციაო. აი, ასეა საქმეები. მე კი აინუნში არ ვაგდებ, ჩემთვის სულ ერთია, გინდ ელისეო იყოს, გინდ წმინდა ელისეო. პრინციპები პრინციპებია, ვალენმა რაც გინდა ილაპარაკოს, ყველაზე პატიოსანი ვარო, მხოლოდ ლაპარაკად დარჩება. მის დღეობაზე წუთითაც რომ არ მოასვენე, შემდეგ კი, ვინ იცის, რა მოხდა, როცა ერთად გახვედით სასტუმრო ოთახიდან. იმდენი არ უნდა დაგელია, ძვირფასო, ზედმეტი მოგივიდა, თუმც სულ გაფრთხილებდი, გეყოფა, გეყოფა-მეთქი, აუტანელი იყავი. ვალენტინა კი ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა, პირდაპირ საოცარი ქალია ვალენი, როგორ იოლად უცქერს ყველაფერს თანაც მეჩიჩინებოდა, მოეშვი, მშვენივრად ერთობაო. მაგრამ როცა აივნიდან შამპანურის ბოთლები დაუშინა ფანრებს, მზად ვიყავი მომეკალ, რაც გინდა ქენი, ზრდილობა კი არ უნდა დაკარგო, ეს აღზრდის საკითხია, იმთავითვე რომ ჩამიბეჭდეს ტვინში. ანტონიოც უკმაყოფილო იყო, ისე, რომ ვერც შემამჩნია. ვისენტის უთხრა, ვფიქრობ, მარიომ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბაო. ხომ გესმის. ვიცი, ანტონიო იმ საქმის გამო გულზე არ გახატია, არ მითხრა, არაო, ასეა, მაგრამ თვითონვე განსაჯე, რა უნდა ექნა. ჭკვიანი კაცია. როგორც გინდა თქვი, მთელი ცხოვრება მემარჯვენე იყო. დედა ყოველ-

თვის იტყოდა ხოლმე... (დედაჩემს კი ორიგინალური და თანამედროვე ხედვა ჰქონდა) არ ვიცი, როგორ აგიხსნა, მაგალითად, როცა შენზე ვეტყოდი, ამ ბიჭს ვჰირდები-მეთქი, მპასუხობდა: „შვილო, სიყვარულს თანაგრძნობაში ნუ აურევ“. წარმოიდგინე, რა დღეში ჩავარდებოდა ხულიოსა და გალის ამბის შემდეგ. ხულიოს ამბავი ისე გახმაურდა, დღესაც სირცხვილით ვკვდები გახსენებაზე. შენ, რასაკვირველია, ყველას უნდა გაუგო, მხოლოდ ის არ მესმის! ნეტავ რად უგებ ასე კარგად, ზოგს კი ასე ცუდად. ავილოთ ანტონიო და ოიარსუნი. ანტონიო კიდევ ჰო, მაგრამ იხინიო? ომის დროს ეს ბიჭი ხომ არაჩვეულებრივად მოიქცა, გულლია და სიმპათიურია, მაგისთანას მეორეს ვერ ნახავ. შენ კი მლიქვნელად და ჭორიკანად მონათლე. ნეტა რას აკეთებთ იმ შეკრებებზე, საქმე შემოგელიათ? კაცებს გალიზიანებთ, როცა ვილაც ქუჩიდან მოხეტებული თქვენს ულუფას ჭამს. ოიარსუნი სწორედ ის კაცია, არაფერი გააჩნდა და მოსვლისთანავე ავტომანქანა იყიდა. აი, რა ვერ აპატიე. მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ იგი ვირივით მუშაობს ხუთ თუ ექვს ადგილას, აქედან სამი საპასუხისმგებლოა. გაა აქვს მნიშვნელობა, თქვენთან რომ ჯიბეცარიელი მოვიდა? იხინიო ღირსეული კაცია. იმთავითვე მოუვიდა თვალში ფიტოს და აღარც გაუშვა ხელიდან. შენ კი ეგ შესაძლებლობა არ გამოიყენე, უჭკუო, არ დაგავიწყდეს, ჯიუტობის გამო დაკარგე ყველაფერი. სურდა დაეახლოებინე, შენ კი ტლინკები ყარე, ყურიც არ ათხოვე, მერე ესეც არ იკმარე და წაეჩხუბე. ჰოდა, ამით დამთავრდა ყველაფერი. მაშინ ჭკუა რომ გეხმარა, ცოტა ხელი გამოგელო, მეტი არც არაფერი დაგჭირდებოდა, ვინ იცის, რას მიაღწევდი. რად გაჯიქდი? განა ფიტოს შენთვის სიკეთე არ სურდა? შენ კი, ნუ იტყვი, ჩემთან ეგ თამაში არ გაგივა, ნიძლავს მხოლოდ ნაღდზე ჩამოვდივარო. ლიტონი სიტყვები იყო, მარიო. სიჯიუტეში ბადალი არა გყავს, ძვირფასო. მეგობრების შეძენა არასდროს გჩვეოდა, ჰოდა, დარჩი მარტო. ასე გინდოდა? ოთხი უნდო ტიპი შეგრჩა იმ შენი შეკრებებიდან — ესაა და ეს . მხოლოდ მეგობრები, როგორც საცოდავი დედაჩემი ამბობდა (ღმერთმა აცხონოს), კარიერაზე უფრო ძვირად ღირან. სრული ჭეშმარიტებაა, მარიო, ხომ იცი, უსაფუძვლო ლაპარაკი არ მიყვარს.

IV

[**უკეთუ ძმა ძმისგან ვინმე შენ შორის ნაკლულოვან იყოს ძმათა შენთაგანი ყოველსავე ერთსა ქალაქთა შენთაგანსა ქუეყანასა რომელსა უფალი ღმერთი შენი მოგცემს შენ არა გარე მიიქციო გული შენი მისგან, არცაღა მკრულ ჰყო ხელი შენი ძმისაგან მის შენისა ნაკლულოვანისა. არამედ ხსნით ჰყო ჴელი შენი მისთვის და ავახსო მას, რაოდენცა უხმდეს.***] წარმოიდგინე, მარიო, ჯერ კიდევ ჩვენს ნიშნობამდე ტრანსიმ მითხრა (პირდაპირ გული გამიწყალა), რომ მამაშენი მევახშე იყო. უნდა ვაღიარო, ამ საქმის არა გამეგება, ბანკებიც ხომ იძლევიან ფულს, ეს სრულიად კანონიერი რამაა. გეფიცები, როცა გავიცანი, მამაშენი სულაც არ მომჩვენებია ცუდ კაცად.

მართალი გითხრა, უარესს ველოდი, სინამდვილეში ერთი გაუბედურებული, ცოტა შერეკილი კაცი იყო, ალბათ ელვიროსა და ხოსე მარიას გამო, რას გაიგებ! გახსოვს მისი სიტყვები — „მე არ გავუშვი იგი სამსახურში, გუშინ ქუჩაში გასვლა სიგიჟე იყოო“. ასე იმეორებდა მუდამ, დედაშენი კი ძალზე მშვიდად ეუბნებოდა: გაჩუმდი! არ გესმის, ელვირო? გაჩუმდი! ის კი კაჭკაჭივით ერთი და იგივეს გაიძახოდა. მალე შენ მოხვედი და ფეხდაფეხ მოგყვა გაუდენსიო მორალი. საშინელი შესახედი იყო, ჩამოფლეთილი, ის-ისაა წითლებისაგან

* წიგნი მეხუთე, მეორე შჯულისა მოსესი. XV, 7-8.

წამოსულს, მთები გადმოელახა, გახსოვს? სწორედ მან გვითხრა ელვიროს ამბავი. რა საღამო იყო, ღმერთო ჩემო, უბედურებას უბედურება მოსდევდა. ვფიქრობდი, ნეტა რას იზამს მარიო, როცა დამინახავს-მეთქი. მე სულელი ამაოდ ვთხზავდი ილუზიებს. შემოხვედი და არც შემომხედე, მხოლოდ დედაშენს უთხარი, ღმერთმა ასე ინებაო, ეს სტიქიურ უბედურებასავით იყო, რომელიც არც ჩვენ აგვცდაო, უნდა გამაგრდეო. კარგად კი დაამშვიდე [illegible] ყმის შემხედვარე კუთხეში მივიყუჟე და ადგილზე გავიყინე. როდის-როდის მოტრიალდი ჩემკენ და კიდეც ვიფიქრე: „ახლა", მაგრამ ნურას უკაცრავად, მხოლოდ მომესალმე. მუდამ ერთი და იგივეს იმეორებს, უკმეხობასა და უხასიათობაში ვერავინ გჯობნის, ძვირფასო. რომ არ მაკოცე, ეგ არაფერი, კოცნას არც შენ გაგაბედინებდი და არც სხვას, მაგრამ ცოტა თბილად მოქცევა ხომ შეგეძლო. რად დაგიმალო, ვიფიქრე, აი ახლა მოვა და ჩემს ხელებს თავის ხელებში მოიმწყვდევს, ბოლოს და ბოლოს ხომ საშინელი უბედურება მოხდა-მეთქი. მაგრამ საქმეში ხარ? მომესალმე და მორჩა. ასე იყო ომის დამთავრების ხანსაც. თავდაპირველად კინოში რომ წავიდოდით, თვალმოუწყვეტლივ მიცქერდი. ზოგჯერ მიკვირდა, ვფიქრობდი, სახეზე ხომ არაფერი მაცხია-მეთქი? ერთ მშვენიერ დღეს კი სათვალე გაიკეთე. თავის დროზე სათვალიანი რომ მენახე, ჩვენ შორის არაფერი მოხდებოდა. იგივე მეორდებოდა დილაობით პარკში, ნუ მეკამათები, ამოიჩემებდი, საყვარელოო, ძვირფასოო, გაფუჭებული ფირფიტასავით, ამ უბადრუკობის მეტი თავში არაფერი მოგდიოდა, ჩემო სიცოცხლევ. ბლომად წერდი ლექსებს, მაგრამ საცოლისათვის ვერაფერი მოახერხე. ზოგჯერ კიდეც ვფიქრობდი ჩემთვის, არ მოვწონვარ, ოდნავაც არ მოვწონვარ-მეთქი, სულ განცდებში ვიყავი. ბებრებისაგან არც განვსხვავდებოდით. გაბრიელი და ევარისტო არ იყვნენ ძალიან ბებრები, ამას ისე, შედარებისათვის ვამბობ, თავხედები კი — იცოცხლე! იმ საღამოს, სახელოსნოში რომ მიგვიყვანეს, იქ, სხვენში, ადგილს ვერ ვპოულობდი, გული მიცემდა. ტრანსი ისე მშვიდად იყო, გაგიკვირდებოდა. ორი ჭიქა პიპერმინტი დალია, ვითომც არაფერი, და როცა შიშველი ქალების სურათები გვიჩვენეს, შენიშვნებს ურთავდა, ეს მშვენივრადაა გადაწყვეტილიო, ეს შუქჩრდილის სასწაულიაო. ასე უტიფრად იქცეოდა, მე კი დანა პირს არ მიხსნიდა, უსირცხვილობად მიმაჩნდა ყველაფერი, და როცა ყველა შიშველი ქალის სურათი ააყუდეს, — წარმოიდგინე, მათ, დიდი-დიდი, ყელზე მძივი ეკეთათ ან მიხაკი ებნიათ თმაში. არ ვიცოდი, საით გამეხედა, და უცებ გაბრიელმა თავისი ბანჯგვლიანი ტორი დამადო მუხლზე და ბრძანა, შენ რას იტყვი, გოგონაო. დამიჯერე, გავქვავდი, სუნთქვა შემეკრა, კრინტი ვერ დავძარი. გაბრიელმა კი, ხომ ისევ დავლევთო? ამასობაში ევარისტომ ტრანსის ხელი გადახვია, შენს პორტრეტს დავხატავო. ტრანსიმ შეიფერა და იკითხა, იმ მიხაკიანი გოგონას მსგავსსო? ევარისტოსაც მეტი რა უნდოდა, დიახო, მიუგო. ტრანსი სიცილით კვდებოდა, ოღონდ ოდნავ შემოსილს, არაო? ევარისტოსაც სიცილი აუტყდა, შემოსვა რა საჭიროა, გოგონა, ეს ხომ ხელოვნებააო, არ გესმისო? გაბრიელი ხელს არ მიშვებდა, მე კი ვცოფდებოდი და ვწითლდებოდი. წარმოიდგინე, ურცხვად მომაშტერდა მკერდზე და თქვა, ეს ბიუსტისათვის გამოდგებაო. სინდისგარეცხილი! მეგონა, ვიფეთქებდი. მერე კიბეზე ტრანსის განვუცხადე, ვფიცავ, ამ ბებრებს არასდიდებით აღარსად წავყვები, სულ გამორჩენაზე არიან-მეთქი. ტრანსი აღგზნებული იყო. მთვრალს ჰგავდა, ამბობდა, ევარისტო ნიჭიერია და ძალიან სიმპათიურიო. აი სულელი, ევარისტოს ხომ მე მოვწონდი, ეს შორიდანაც ჩანდა. ყოველთვის, როცა ქუჩაში გვაჩერებდნენ და გვეუბნებოდნენ, ახლა ნამდვილი ქალიშვილები ხართ, შარშან ზაფხულში სულ ბავშვები იყავი-

თო, მე მიცქეროდა და არა ტრანსის, თანაც ისე მოურიდებლად, მსგავსი არაფერი მინახავს. ახლა რაც უნდა ის იფიქროს, ჩემთვის სულ ერთია. ბოლოს და ბოლოს ორი ბებრუცანა იყო. წარმოიდგინე, ომის დასასრულს, ოცდაცხრამეტი წლის თებერვალში გაიწვიეს, ვფიქრობ, მათ მაშინ მოითბეს ხელი სამხედრო დაწესებულებებში, ფრონტი თვალითაც არ უხილავთ, მერწმუნე, იმ საღამოდან მათი დანახვაც არ მინდოდა. შემდეგ, როცა მე და შენ დავქორწინდით, ტრანსი მთელ დღეებს მათთან ატარებდა. უეჭველად შეყვარებული იყო უკვე. ერთ საღამოს გიჟივით მოვარდა ჩემთან, ევარისტო მხატავსო, და მე შეშინებულმა ვკითხე, შიშველს-მეთქი? არა, ქალოო, მიპასუხა, თხელ კაბაშიო, თუმცა ევარისტოს შიშვლად ერჩია, მეუბნება. ძალიან კარგი ტანი გაქვსო. ტრანსი მუდამ ასეთი იყო, არ მინდა უსირცხვილო ვუწოდო, მაგრამ როგორღაც იმპულსურია. მახსოვს ყოველი მისი კოცნა, ავად რომ ვიყავი ხოლმე. ტუჩებში მკოცნიდა. მაგრად, კაციეთ, უცნაურად. მენჩუ, სიცხე გაქვსო, მეუბნებოდა ალერსით. თქვენ კი, კაცები, ყველაფერს ცუდად იგებთ. ჩვენ შორის დარჩეს და, უფრო მესიამოვნებოდა, შენ რომ ჩემთვის ცოტა ხშირად გეკოცნა. ღმერთმა დალახვროს, რომ დავქორწინდით, თავისთავად ასე მოხდა, მანამ კი ძალიან ცივად მეპყრობოდი, ძვირფასო. იმ ზაფხულს, ვიდრე თანხმობა გითხარი, ხშირად სახლის წინ სკამზე მჯდომს გხედავდი, ხელში გაზეთი გეჭირა. ვფიქრობდი, ძალიან ვნებიანი იქნება-მეთქი მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თანხმობა მოგეცი და ყველაფერიც დამთავრდა. ამას ბედისწერას დავარქმევდი. კინოში კი კვლავ ძველებურად მომშტერებოდი და ვფიქრობდი, სახეზე რამე ხომ არ მაცხიამეთქი? მერე ერთხელ სათვალე გაიკეთე და სულ აღარ მომეწონე. ვფიქრობ, სათვალეში ელვიროს დაგამსგავსა. ერთად ვერაფრით წარმომიდგენია ენკარნა და ელვირო. შენი ძმა შეუხედავი და ისეთი გამხდარი იყო, იფიქრებდი, ქარი წაიღებსო, თანაც მოხრილი და ბეციც. გარეგნობით დიდს არაფერს წარმოადგენდა, როგორც მამაკაცი, ხოსე მარია მას ბევრად სჯობდა, თქვენ სამს შორის ყველაზე უკეთესი იყო, თუ შენს დასაც ჩავთვლით, ოთხივეს შორის უკეთესი. საცოდავი ჩარო რასა ჰგავს, ეს ისეთი თვალშისაცემია, ერთმანეთს რად მოვატყუოთ. თანაც რა მოუწესრიგებელი ქალია. ნუ მედავები, მუდამ ცდილობ გაამართლო შენი და. არც გეგონება, ლიფი თუ აცვია, თანაც მისი წვივებისაგან ხომ ბიფშტექსს გააკეთებ. დღეს ესთეტიკური ქირურგია სასწაულებს ახდენს. შეხედე ბენეს ან ვინმე სხვას. ხმა ხომ საშინელი აქვს, მწივანა, ისე ლაპარაკობს, თითქოს გარშემო ყრუ-მუნჯები იყვნენ. დღეს მთლად აუტანელი იყო, კაციეთ ხაოდა... მარიო, შენი და, ყველასთვის ცხადია, არაა მიმზიდველი, სიძუნწითაც მამაშენს ჰგავს, სხვა ნაკლს კიდევ ვაპატიებ, მის სიძუნწეს კი მოთმინებიდან გამოვყავარ, ვფიცავ, ამის პატიება არ შემიძლია. რა თქმა უნდა, ხოსე მარია თქვენ ყველას გჯობდათ, შედარებაც არ შეიძლება. მეცინება, როცა ვიხსენებ, ქუჩაში შეხვედრისას როგორ გავურბოდი. ფოსტაში გავიცანი. გოგონების ამბავი მოგეხსენება, მივდიოდით, რათა გვენახა, როგორ ალაგებდა ამანათებს. ტრანსი ამბობდა, აი, ვესმის კაცი, ისეთი გამოხედვა აქვს, წაგაქცევსო მართალიც იყო, მარიო, გინდ დაიჯერე, გინდ არა. არ ვიცი, იქნებ მისი მიხრამოხრის, თვალების თუ მოკუმული ტუჩების გამო — შენს ძმას ლამაზი არ ეთქმოდა, მაინც მოწონებას იმსახურებდა. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ აგიხსნა, მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ შეუძლებელია, ელვირო, ხოსე მარია და შენ ერთი დედმამიშვილები იყოთ. დიდი გაქნილი ვინმე გახლდა, რაღაც ჰქონდა განსაკუთრებული, რაც არც შენ და არც ელვიროს არ გაგაჩნდათ. ვერც ამიხსნია, წამწამები თითქოს მზერას ურბილებდა, თითქოს შორიდან გე-

ფერებაო. რასაკვირველია, ხოსე მარიას ლამაზი თვალები ჰქონდა, არც ისე ნათელი, მაგრამ გუგებზე ყვითელი რკალი ერტყა კატასავით. გუშინდელივით მახსოვს, ტრანსი ოცდახუთი წლის წინ რომ ამბობდა, რენტგენის სხივებივით ატანს მისი მზერაო. არც ცდებოდა, რადგან შემოხედვა და ჩემი გაწითლება ერთი იყო, აი, რა ძალას ფლობდა. ასე გრძელდებოდა იმ დღემდე, როცა წინ დამიდგა და მომახალა, შენ ის გოგო არა ხარ, ჩემს ძმა მარიოს რომ მოსწონსო? მე კი, ნუ იტყვი, ხმა ვერ ამოვიღე, თავქუდმოგლეჯილი გავვარდი და მოედნამდე უკან აღარ მომიხედავს. მომძახოდა, გაგიჟდიო? მაგრამ არ ვიცოდი, რა მექნა, თავგზა ამებნა. ის არც გაბრიელს ჰგავდა, არც ევარისტოს, მაგრამ შემომხედავდა თუ არა, ფეტვის მარცვალივით ვიბნეოდი. სადარბაზოებში ვემალებოდი, თვითონ ვერ ხვდებოდა, თორემ ვაი ჩემი ბრალი. ტუტუცი ტრანსი ერთ საღამოს მოვიდა და მითხრა, მგონია, შენ მარიო კი არა, ხოსე მარია მოგწონსო. აი რა დაროშა. შესაძლოა, როგორც კაცი, ის უფრო მომხიბლავი მეჩვენებოდა, მაგრამ შენ მაინც რაღაც სხვა გქონდა, არ ვიცი, რა ვუწოდო, მოგეხსენება, გარეგნობით ვერ დაიტრაბახებდი, მაგრამ არც ისე იყო საქმე, როგორც ის აბეზარი ტრანსი ამბობდა, მოეშვი, ხომ ხედავ, საფრთხობელას ჰგავსო. ასეთი მაიმახი სულაც არ იყავი. მას გაბრიელისა და ევარისტოს ტიპის კაცები მოსწონდა, თვით პაკოც კი, მხიარული, სულ რომ ანგლობდა. რამდენს ვიცინოდით მისი სიტყვების თამაშზე, ნეტა ახლა დაგანახა, სულ სხვა კაცია. პაკოსთან ვერთობოდი, მეტი არაფერი, ძალიან მხიარული იყო, ამას არ უარვყოფ, მაგრამ უბრალო ოჯახიშვილია, ხომ ხვდები, ცოტა დაუახლოვდებოდი თუ არა, მაშინვე ჩანდა რა ბედოვლათიც ბრძანდებოდა. ყველამ თავისი შესაფერი უნდა მონახოს. არ ტყუოდა დედაჩემი, როცა ბავშვობიდანვე ლოცვისას შთაგვაგონებდა, ბიძაშვილთან ან დაბალი წრის კაცთან ქორწინებით უბედური იქნებითო. მე, კარგი, არ ვიყავი შრომისათვის გაჩენილი, მაგრამ ვერც შენ დაიტრაბახებდი მარკიზობას, საშუალო ფენას წარმოადგენდი, იმასაც არა, მაგრამ, სამაგიეროდ, განათლება არ გაკლდა და მდგომარეობაც შეგეძლო შეგექმნა. სიმართლე გითხრა, დედაჩემი უკმაყოფილო იყო. ჯერ კიდევ არ გაევლო ხულიასა და გალი კონსტანტინოს ამბით გამოწვეულ თავზარს, მაშინ ხომ საშინელი დავიდარაბა ატყდა. დედა სანტანდერელთა საუკეთესო ოჯახიდან გახლდა და მშვენიერი არჩევანიც გააკეთა. დედაჩემი ნამდვილი სენიორა იყო, მარიო, ხომ იცნობდი, ადრე კი, თქმაც არ უნდა! ნეტა ომამდე გენახა, რა საღამოებს აწყობდა, რა ჩაცმული ხალხი მოდიოდა. თვითონ ავ თვალს არ ენახვებოდა. თანაც როგორ მოკვდა! მერე ვუთხარი მამას, ისე მოკვდა, როგორც მსახიობები იძინებენ კინოში-მეთქი. ზუსტად ისე. არც ერთი ულამაზო ჟესტი, არც ხროტინი. სიკვდილის წინ ყველა ხროტინებს, დედა კი არა... ზუსტად ასე იყო. გული მისკდებოდა შენი მშობლების გასაცნობად რომ წავიდა. მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. კარგი ხალხი ჩანსო, თქვა. მაშინ შვებით ამოვისუნთქე, სიტყვა ჩავუგდე, რომ მამაშენი მევახშე იყო. ნუ გეწყინება, მარიო, ვფიქრობ, დედა-შვილს შორის უთქმელი არაფერი არ უნდა დარჩეს, მით უმეტეს, მე და დედაჩემს შორის. მან ოდნავ აიბზუა ცხვირი, ასე სჩვეოდა, უხდებოდა კიდეც. მევახშეო? მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი. ეს ბიჭი მოთავებული პროფესორია, მასთან ბედნიერი უნდა იყოო. რა თქმა უნდა, სიხარულით ჭკუაზე აღარ ვიყავი. შენ თავიდანვე ამოიჩემე დედაჩემი. ასე არაა, მარიო? უმადური ხარ, ის ყოველთვის გმფარველობდა, თუ დამიჯერებ, მამაჩემიც. მას მხოლოდ შენი ოჯახის პოლიტიკური შეხედულებები აწუხებდა, ეს შესანიშნავად მესმის. როცა უქეთ გაგიცანით, მივხვდი, კაი ბუდეში მოვხვედრილვარ. მერე კიდე ხოსე მა-

რიას ამბავიც დაემატა, ვითომ მამაშენის მევახშეობა არ კმაროდა. რა გადავიტანე მაშინ! ყველაფერს თავისი სახელი ვუწოდოთ. გაუდენსიომ ელვიროს ამბავი რომ გვამცნო, წარმოიდგინე, თითქმის გამიხარდა. ისე, გასახარი რა მქონდა, რა სისულელეა; მაგრამ დამიჯერე, დავწყნარდი, რადგან ყველაფერი ყელში მქონდა ამოსული. ქუჩაში გულის გასახეთქად გამაგონეს, შენი მაზლი იმისთვის მოკლეს, რომ წითელი იყოო. მე კი წყნარად ვუპასუხე: ჩემი მაზლიც ორი დღით ადრე მადრიდში კუესტა დე ლას პერდისზე დახვრიტეს, წარმოგიდგენიათ, რა საშინელებაა-მეთქი. ყველა გაშრა, მარიო, და გეფიცები, გამეხარდა კიდეც.

5

**[მოვედით, და იხილენით საქმენი ღუთისანი, რომელ ქმნა ნიშნები ქუეყანასა ზედა დააცადნის ბრძოლანი კიდითგან კიდემდე ქუეყანისა, მშვილდები შემუსროს და შეფქუას საჭურველი, და ფარები დაწვას ცეცხლითა*.]** თქვენ რაც გინდათ თქვით, მე კი მშვენივრად გავატარე ომის წლები. არ ვიცი თავქარიანი ვარ თუ არა, მაგრამ გასაგიჟებელი ხანა გამოვიარე, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო. ნუ მეკამათები, არდადეგები გეგონებოდა, ქუჩა სავსე იყო ბიჭებით, ერთი აურზაური იდგა. დაბომბვაც არ მანაღვლებდა, სულაც არ მეშინოდა. სხვები სირენის ხმის გაგონებაზე გიჟებივით ყვიროდნენ. მე კი, დამიჯერე, ყველაფერი მართობდა. თუმც შენთან, არც ადრე და არც შემდეგ, არ შეიძლებოდა ამაზე ლაპარაკი, ხმას არ მაღებინებდი, თუ შეიძლება გაჩერდი, გეთაყვაო. კარგად რომ დავუფიქრდეთ, მარიო, ძვირფასო, ჭეშმარიტად სერიოზული საუბარი არასდროს გვქონია. ჩაცმა-დახურვა არ გაინტერესებდა, ავტომანქანაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დღესასწაულებს არად აგდებდი, ომი კი, რომელსაც ჯვაროსნულ ლაშქრობად თვლიდნენ, ტრაგედიად გეჩვენებოდა რაკი ფულის სიბილწეზე, რაღაც სტრუქტურებზე და შენთვის საინტერესო თემებზე არ ვლაპარაკობდი, წამდაუწუმ ხმას მაკმენდინებდი. ბავშვების საკითხებზეც ასევე იყავი. ნეტა შეგეხედა საკუთარი თავისთვის, როცა გიამბობდი ბორხასა ან არანსასოზე. თავიდან კიდე არაფერი, მეორე წუთს კი იწყებდი მოთქმას, რა მოვუხერხოთ ამ ბიჭსო, რა გამოვა ამ გოგოსაგანო. სულ ერთი და იგივე, თავი მომაბეზრე, ძვირფასო, შენი შიშებით. ვალენმა სამართლიანად შეგარქვა ბატონი წინასწარმეტყველი. ერთი მოგესმინა, რა თქვა გუშინ ბორხამ! ნეტა ყოველდღე მოკვდეს მამა, რომ სკოლაში არ წავიდეო. როგორ მოგწონს? გავშეშდი, ასე რომ განაცხადა ყველას თანდასწრებით. ლამის მოვკალი ცემით, დამიჯერე, უგრძნობი ბავშვის ატანა არ შემიძლია, კი, ექვსი წლისაა, გასაგებია, მაგრამ თუ ექვსი წლისა აზრზე არ მოიყვანე, მერე რაღა ეშველება. ძალიან მიმტევებელი იყავი, მერწმუნე, გაიძახოდი, თავი დაანებე, ცხოვრება მათ ასწავლის ტანჯვასო. გამოვიჩინოთ სულგრძელობა, ყველაფერი ვაპატიოთ, ვიცინოთ მათ საქციელზეო, მერე რაც იქნება იქნებაო. ალვაროზე ნურაფერს მეტყვი ახლა, რადგან ალვაროს და მენჩუს საქციელი ბავშვური გამოხდომა იყო, მეტი არაფერი. ნეტა რაა განსაკუთრებული იმაში, რომ ბავშვი შეგეკითხოს შენ, მე, მარიო და მენჩუ, ბორხა და არანი, დეიდა ენკარნა და დეიდა ჩარო, დორო და ყველა დანარჩენი მოვკვდებითო? რას შეიცხადე, დაიქცა ქვეყანა? ეს ხომ ბუნებრივი შეკითხვაა. შენ უპასუხე, ძალიან დიდი ხნის შემდეგო. აი თურმე რა ყოფილა, თუმც ამ საეკლესიო კრების შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დგას, ბოლოს და ბოლოს ყველა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა უნდა

* ფსალმუნი დავითისი XIV, 8-9

იფიქროს სიკვდილზე, არ დაივიწყოს, რომ მოკვდება. მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება. მიკიბვ-მოკიბვას თავი დაანებე, შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ, მარიო, რომ ჯოჯოხეთში მოხვედრის შიში გაკავებს მხოლოდ. ასე იყო და ასე იქნება მუდამ, ძვირფასო, და თუ რომელიმეს არ მოგწონს, ისევ ჯოჯოხეთზე ჰყვებიან, იმიტომ, რომ სინდისი ვერა გაქვთ მშვიდად. აი ჩემი აზრი. წყეულმა საეკლესიო კრებამ ყველაფერი აურია. ხომ ხედავ, ეკლესია ცოდვილებისათვის უნდა არსებობდეს. კაი ბედი ჰქონიათ ლატაკებს; და ფისაც არ გვიჭირს, რა ვქნათ? შენ კი შენსას არ იშლი, თურმე არანორმალურობაა, რომ ბავშვმა ამეებზე იფიქროს, ან ჯარისკაცებს ვალეტები ეძახოს, ან მარტო გაიქცეს მინდორში კოცონის დასანთებად. ამაში რაა განსაკუთრებული? ექიმთან უნდა წავიყვანოთო. აი გამოხდომა. წარმოიდგინე, რა მოხდება, ყველა ბავშვი, ვისაც კოცონის დანთება მოესურვება, ექიმთან წაიყვანონ. იგივე მეორდება მენჩუს სწავლასთან დაკავშირებით. გოგონას არ აინტერესებს წიგნები და ვფიქრობ, მართალიცაა, რადგან ქალს საბოლოოდ არ გამოადგება განათლება, სწავლაში რა ხეირს ნახავს? ქალბიჭად გადაიქცევა, არც მეტი, არც ნაკლები. უნივერსიტეტში ვინც სწავლობს, ქალს აღარა ჰგავს, რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი. განათლებული ქალი უსქესოდ წარმომიდგენია. მე განა მაქვს განათლება? მაგრამ როგორც ხედავ, არ დავიწუნებივარ. მართალი რომ გითხრა, რაც გინდ განათლებული იყოთ მამაკაცები, მაინც ოჯახის ქალს ეძებთ, ასეა, ნუ მეკამათები. საწყალი თვალებით შემომცქეროდი, გული მიკვდებოდა. უნივერსიტეტში რომ გაგეცანი, ვიცი, ზედაც არ შემომხედავდი. კაცის პატივმოყვარეობას ისე არაფერი კლავს, როგორც მასზე განათლებული ქალი. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ პაკიტო ალვარესი. როცა რაიმე სიტყვას შევუსწორებდი, გიჟდებოდა, თუმცა ცდილობდა ყველაფერი ხუმრობაში გადაეტანა, არადა, ვიცოდი სახუმაროდ არ სცხელოდა. ხელოსნის ოჯახიდან იყო, ამდენად ცუდად იგერიებდა დარტყმებს, ასეა ეს. იცი დედაჩემი რას ამბობდა ამაზე? წესიერმა ქალიშვილმა უნდა იცოდეს სიარული , გამოხედვა და გაღიმებაო. ყოველივე ამას კი საუკეთესო პროფესორიც ვერ ასწავლისო. გასაგებია? ხულიას და მე გვაიძულებდა ყოველ დილით თავზე წიგნდადებულებს გვევლო დერეფანში, თან გვეხუმრებოდა, ხედავთ, წიგნებიც შეიძლება რაღაცაში გამოგადგეთო. მაშასადამე, იცოდე სიარული, გამოხედვა და გაღიმება, ამაზე ზუსტად როგორ შეიძლება გამოთქვა ქალურობის იდეალი. შენ კი დედაჩემის ნათქვამს ყურად არ იღებდი, რაც განსაკუთრებით მტკენდა გულს. დედა, გარდა იმისა, რომ ძალიან ჭკვიანი იყო (თანაც გამორჩეულად, ამას თვით მამაჩემიც აღნიშნავდა), ნამდვილი ქალბატონი გახლდათ. ისეთი მანერები ჰქონდა, რომლის შეძენა არ შეიძლება. გამოგიტყდები, მაოცებდა, რა ადვილად ეხერხებოდა სიტუაციის შეფასება, ადამიანის ამოცნობა. ეს კი წმინდაწყლის ინტუიცია იყო და არა ნასწავლი რაღაც. კარგად იცი, განათლება არ მიუღია, თუმც მონასტერში სწავლობდა და ერთი წელი, არ მახსოვს, საფრანგეთში — მგონი დუბლინში გაატარა, — ჰო, კარგი, როგორც არის, ფრანგული არაჩვეულებრივად იცოდა, სწრაფად კითხულობდა, ესპანურივით. ჰოდა, ვეკითხები ჩემს თავს, მარიო, რად არ შეიძლება მენჩუ დედაჩემს დაემსგავსოს? მაგრამ განა რამეს შეავნებინებ, მარიო? მენჩუს ჩაჭრა გამოცდაზე შენთვის კატასტროფა იყო: მე ვაჟთა სკოლაში ვასწავლი, ჩემი ქალიშვილი კი იჭრებაო. კარგად იცი, დღეს მეგობრობასაც აღარა აქვს ფასი, მეგობრობაც იკარგება. მოსწავლემ მასწავლებელზე მეტი უნდა იცოდეს. კარგი იქნება, თუ მენჩუ მომავალ სესიაზე მეოთხე კურსის ატესტატს აიღებს, რამდენი გოგონაა, თვრამეტი წელი შეუსრულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, სწავლა კი ჯერაც არ დაუწყია, მაგალითად, მერსედეს ვილიარი, და სულაც არაა უჭკუო. დაამთავრებს და ღმერთის შეწევნით გავათხოვებ როგორც კი გლოვას მოვრჩებით, რად უნდა დაკარგოს საუკეთესო წლები, მაგრამ [illegible]ობაზე ლაპარაკი ზედმეტია. შენ კი აკვიატებული გქონდა, ყველამ უნდა იმუშაოსო. ღმერთმა შეგინდოს, მარიო, ქალიშვილებმა როდის აქეთ დაიწყეს [illegible] მუშაობა. შენს სურვილზე რომ იყოს, წესიერი ხალხი დაბლა დავეშვებით [illegible] მუშებს არ გავუთანაბრდებით. შენს ქალიშვილს არაფერი უჭირს საიმისო, რომ იმუშაოს. ხელმოკლედ ვიცხოვრებთ, მაგრამ ღირსეულად, ასე ჯობს ყოველგვარი გზებით მიღწეულ სიმდიდრეს. ის ფრანგი პერე, თუ რას ეძახით, უცნაურ აზრებს ჩაგაგონებდათ, მარიო. აროსტეგი, მოიანო და თვით დონ ნიკოლასიც პირდაღებულები უცქერით ყველაფერს საზღვარგარეთიდან შემოსულს. ჩერჩეტები ხართ და იმიტომ. ვიცი, რომ საზღვარგარეთ მუშაობენ ქალიშვილები, მაგრამ ეს ხომ უმართებულოა. მათ პრინციპები არ გააჩნიათ, ჩვენ კი, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენი წესები უნდა დავიცვათ. უცხოელები თავიანთი მიღწევებით ვერაფერს გვასწავლიან, და როგორც მამაჩემი ამბობს, აქ იმიტომ ჩამოდიან, რათა თავის გემოზე იცხოვრონ, პლაჟები ხომ სამარცხვინო რამაა. ამ პერეს რომ შეძლებოდა, თავისი ქვეყნის განვითარებას უკან დახევდა და ძველ წესწყობილებას აღადგენდა, რადგან შორიდანაც ეტყობა, წესიერი ოჯახის შვილია. მაგრამ ამის გაკეთება არ შეუძლია, დაე ყველამ იწვალოსო, ეს ხომ იოლი გამოსავალია. გახსოვს მამას სტატია, რომელიც ამოვჭერი, რა საოცრებაა! ყოველთვის, როცა მას ვკითხულობ, ტანში მბურძგლავს, ფინალს დაუკვირდი! „მანქანები არა, მაგრამ სულიერი სიმდიდრე და მოკრძალება კი უნდა გავიტანოთ საზღვარგარეთ". ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა. ხოლო რაც შეეხება ღვთისმოსაობას, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, მარიო, ძვირფასო. თქვენ ახლა შეპყრობილი ხართ კულტურით, მზადა ხართ ცა და ქვეყანა შეძრათ, ოღონდ ღარიბებმა ისწავლონ. აი თქვენი კიდევ ერთი შეცდომა. ღარიბებს თავიანთ წრეს სწყვეტთ და ისინი არაფრისთვის უქნია ღმერთს. იცოდე, ეს მათ დაღუპავს. მათ მაშინვე სენიორობა სწადიათ, რაც დაუშვებელია. ყველა თავის წრეში უნდა დაეტიოს, ასე იყო მუდამ. ღიმილს მგვრის თქვენი „ელ კორრეოს" კამპანია. იმთავითვე როგორ არ დახურეს ეგ გაზეთი, ყველამ, მდიდარმა და ღარიბმა ერთად ისწავლონ უნივერსიტეტშიო. ეს ხომ წარმოუდგენელი სისულელეა. მომიტევე გულახდილობა, მაგრამ როდესმე მიხვდები, მართალი რომ ვარ. ღმერთო, შეუნდე და ყველაფერში დონ კიოლასია დამნაშავე, მან აგიბნია თავგზა. ჩუმ-ჩუმად მოქმედებდა და თუ გინდა იცოდე, გეტყვი, რომ დაბალი ფენის წარმომადგენელია და იმიტომ. დედამისი მრეცხავი იყო, თუ უარესი, წარმოიდგინე. და თუმც ცდილობს თავისი გაზეთით არავინ გაალიზიანოს, მაინც ბნელი და ცუდი ადამიანია, ასე მითქვამს. ეკლესიაში რომ დადის, არაფერს ნიშნავს, ამას სხვების თვალის ასახვევად აკეთებს. ომის დროს, თუ გინდა იცოდე, ციხეში იჯდა, მაგრამ შეიწყალეს და დახვრეტას გადაურჩა. ის კი მადლობის ნაცვლად, თავისას არ იშლის, გაზეთით შუღლს აგდებს. თანაც თიარსუნიც ამბობს, ლიბერალიაო. მთელი აურზაური ხომ ლიბერალების ბრალია. დარწმუნებული ვარ, სწორედ ლიბერალობისათვის გააძევეს სამსახურიდან. მოიანომ კი, იმის ნაცვლად, რომ საზიზღარი წვერი მოეპარსა, სულელურად იხუმრა (რაზეც სულ არ გამცინებია), როგორ შეიძლება ლიბერალი იყოს კაცი, რომელიც ნაკურთხ წყალს შარდავსო. აი რა თავგასულია. ლიბერალს ისევ უხეშობით ამოიცნობ, რადგან ეგენი ყველანი შენიღბულები არიან, ისე დაგიახლოვდებიან, აზრზე ვერ მოხვალ. ხმამაღლა თუ იყვირეს, ლიბერალები

ვართო, რა თქმა უნდა, ცხვირწინ მიუხურავენ კარს, ისევე როგორც კომუნისტებს. ისინი კი გზას იკაფავენ. ხოლო როცა მიხვდები სინამდვილეში ვინც არიან, უკვე გვიან იქნება. გული მხოლოდ იმიტომ მტკიოდა, „ელ კორრეოში" ასეთი ტონით რომ წერდი. შენი სისულელის გამო უნებლიეთ ემსახურებოდი ბოროტ ძალებს. წესიერი გასამრჯელო მაინც მოეცათ, სტატიაში ორ დუროს გიხდიდნენ. ეს ხომ მათხოვრობაა. მერე კი, როცა ალსარების მისაცემად მიდიოდი, გული მისკდებოდა, მეგონა სცოდავდი. შენთვის არასდროს მითქვამს, მაგრამ არსებობს ცნებები, რომელთა შეთავსებაც არ შეიძლება, მარიო, მაგალითად, ღმერთი და „ელ კორრეო". ეს იგივეა, ერთი ხელით ღმერთს უნთებდე სანთელს, მეორეთი კი ეშმაკს. ეჭვი არ შეგეპაროს. როცა დონ ნიკოლასი ალსარებას იძლევა, ცოდვას სჩადის, რადგან ცუდი კაცია. შენ იმიტომ შეგიყვარდა, იმ ღამით ჟანდარმებისაგან რომ დაგიცვა. რომც ეცემე ჟანდარმს (თუმცა არა მჯერა), კანონი კანონია. რახან პარკში ველოსიპედით სიარული აკრძალულია, ეს ყველას უნდა ეხებოდეს. ჟანდარმი თავის მოვალეობას ასრულებდა, კიდეც რომ მოეკალ, არ გაემტყუნებოდა. კიდევ იცი რას გეტყვი? ეს ცხოვრება ასეა მოწყობილი, ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, ამაში ცუდი არაფერია. შენ კანონი დაარღვიე, იმ ფორმიანმა კი უნდა დაიცვას, ამისთვის უხდიან ხელფასს. თქვენ გგონიათ, რახან ბავშვები აღარა ხართ, ყველაფრის უფლება გაქვთ? ნურას უკაცრავად. უფროსები ბავშვებივით დამჯერენი უნდა ვიყოთ, რა თქმა უნდა, დედის და მამის მიმართ კი არა, არამედ ხელისუფლების მიმართ. რომელიც მშობლების მაგივრობას გვიწევს. ასე რომ არ იყოს, კარგი დახლი დაგვიდგებოდა! რაც გინდა ისა თქვი, რამონ ფილგეირა სწორად და რაინდულად მოიქცა, როცა შენ მიგილო, ამასთან იგი საკმაოდ ჭკვიანია, იცის, თუ არა, ალკალდი, სხვა ვინ დაუჯერებს ჟანდარმს? და იცი რას გეტყვი? ღამის ორ საათზე და თანაც ასეთ ყინვაში, ჟანდარმი იგივეა, რაც საგარეო საქმეთა მინისტრი, ასე არაა? შენ რა გეგონა, პოლიციის განყოფილებაში ტუჩებს დაგიკოცნიდნენ? თვითონ როგორ მოიქცეოდი მასეთ დროს მოწაფეს რომ შეეწუხებინე? ხომ კიბიდან დააგორებდი! არც გაგემტყუნებოდა, ხალხნი ვართ. გარდა ამისა, ღამის ორ საათამდე საეარჯიშოები რომ არ გესწორებია, არ მოგიწევდა ველოსიპედით სიარული (რაც სულაც არ შეგფერის) და სადარდელიც არ გვექნებოდა. წყეული ველოსიპედი, ყოველთვის, როცა მასზე გხედავდი, სირცხვილით ვიწვოდი. ბავშვის სკამიც რომ მიამაგრე, მინდოდა მომეკალი. რამდენი ვხტირე, არანორმალურო, მაგრამ ანგარიშს არასდროს მიწევდი. ასე არ იყო? ყველაფერი შინაგანი ბუნებიდან მოდის. შენ მუდამ პროლეტარული გემოვნება გქონდა, ჩემთვის ეს ახალი ამბავი როდი იყო. მაგრამ საქმეში დონ ნიკოლასის ჩარევა მაცოფებს, ამის ატანა არ შემიძლია, ნეტა ვინ სთხოვა. ეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაა, ეს ადამიანური ღირსების შელახვაა. კიდევ კარგი, ყველაფერი ჯარიმის გადახდით დამთავრდა. მე თუ მკითხავ, უფრო მაგარ სასჯელს დავაწესებდი — სასაქმებელ ზეთს დაგალევინებდი, როგორც ომის დროსასმევდნენ, ხელად მოჰყავდათ ჭკუაზე, ან შვიდფა მათრახით გაგაპრელებდი. გამიგია, საზღვარგარეთ ასე სჯიან მეამბოხეებსო.

6

**Iამით ვცნათ სიყუარული მისი, რამეთუ მან სული თჳისი ჩუენთჳს დადვა და ჩუენცა თანა-გუაც ძმათათჳს სულთა ჩუენთა დადებათ. უკეთუ ვისმე აქუნდეს საცხოვრებელი სოფლისაჲ ამის და იხილოს ძმათა თჳისი, რომელსა**

**ეხმარებოდის რაითმე და დაჰხშნეს ნაწლევნი თვისნი მისგან, ვითარ-მე ჰგიეს მის თანა სიყუარული ღმრთისაჲ*)** მეც მუდამ ამას ვამტკიცებდი, ძვირფასო, შენი იდეები ქველმოქმედების შესახებ პირდაპირ წიგნში შეიძლება ჩაიწეროს. ნუ გამიჯავრდები, მაგრამ ახლაც მახსოვს შენი ლექცია, რა სეირი იყო, ვინმეს გაეგო მაინც რამე. შენ კი მუდამ მედავებოდი, როცა გარეუბანში მივდიოდი იქაური ბავშვებისათვის ფორთოხლისა და შოკოლადის ფილებით, თითქოს მოყირჭებული ჰქონოდათ იმ ბავშვებს ხილი. ღმერთო მიშველე და იმ საღამოზე აღარას ვამბობ, როცა მე და ვალენმა როპეროში** წასვლა გადავწყვიტეთ. შეიძლება ამიხსნა, რა გემართება? მდიდრები და ღარიბები ყოველთვის იყვნენ, მარიო. ღმერთის წყალობით, შეძლებულები ღარიბებს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ შენ ყველაფერი ერთი ხელის მოსმით გინდა გამოასწორო. აკი სახარებასაც წუნს სდებ. ვიცოდე მაინც, ეგ თეორიები შენია თუ ჩემი ცოდვით სავსე პერესი, ან იქნებ დონ ნიკოლასისაა, ანდა ვინმე სხვისა თქვენი წრიდან, ყველას ერთნაირად რომ გაქვთ ტვინი გადაბრუნებული. ნუ შემეკამათები ახლა. „სახარებას რომ დაეთანხმო, იმას ნიშნავს, აღიარო, რომ სიმდიდრე სამართლიანადაა განაწილებული". შენ ხომ მუდამ მიჯანყდებოდი, ძვირფასო, ქველმოქმედებას შეუძლია ამოავსოს სამართლიანობის ნაპრალები, მაგრამ არა უსამართლობის უფსკრულებით. ამაზე არმანდო დასძენდა, ნაღდი კომუნისტის სიტყვებიაო. ნახე, თუ მთლად არ გააგიჟებთ ღარიბებს და ერთ მშვენიერ დღეს ყველანი არ მოისურვებენ სწავლას, რათა საგზაო ინჟინრები გახდნენ. მერე ვისღა მოვეხმაროთ ქველმოქმედება, ესეც ხომ პრობლემაა, რადგან ქველმოქმედების გარეშე სახარებას დაემშვიდობე! ნუთუ ამდენი არ გესმის? ყველაფერი უკუღმა დატრიალდება, ეს ნათელია. ვინ უფრო მეტად, ვინ ნაკლებად, მაგრამ ყველანი მოწამლულები ხართ. როცა ვფიქრობ, უზიარებელი წახვედი. ქრუანტელი მივლის. არა მგონია, რომ ბოროტი იყავი, მაგრამ ძალიან მიამიტი, მიამიტი და ცოტაც სულელი. რატომ არ უნდა ვთქვა. მარიო, შენ რომ კარიტასს*** მხარს უჭერდი? ერთადერთი, რაც კარიტასმა გააკეთა, ის იყო, რომ ღარიბებთან უშუალო კავშირის საშუალება მოგვისპო და მათ ლოცვა აუკრძალა, ვიდრე ჩვენ შესაწირს გავცემდით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გააუკუღმართა ისინი, აი, სიმართლე თუ გინდა. ვითომ ეს არ კმაროდა, წირვათა რიცხვი შეზღუდა. მახსოვს ადრე, დედასთან ერთად რომ დავდიოდი ქალაქის ჯურღმულებში. ღმერთო ჩემო, რა სანახაობა იყო! ღარიბები თავდავიწყებით ლოცულობდნენ, ხელებს უკოცნიდნენ მოწყალების გამღებთ. აბა ახლა სცადე, გააკეთებინე ეს! და იცი, თქვენზე არანაკლებ ვის მიუძღვის ამაში ბრალი? კარიტასს! მოწყალებას უაზროდ არიგებს, ჯერ ხომ უნდა გაარკვიოს, ვინ იმსახურებს. ყველას ხელს უმართავს, მაწანწალებსაც, პროტესტანტებსაც. განუკითხაობაა, ასე არ შეიძლება, მომბეზრდა ლაპარაკი. არასდროს მინახავს ასე გახრწნილი ღარიბები, ფიქრიც არ მინდა იმ დღეზე, როცა ყველაფერი თავდაყირა დადგება. მადლობის ნაცვლად ტყვიას მიიღებ, სიკეთის წილ — ბოროტებას. რაც გინდა ისა თქვი და მე კი ვიცი რასაც გარგუნებენ. სანამ სისტემა არ შეცვლილა, კარიტასი აუცილებელიაო, ნეტა რას გულისხმობ? მთელი დღე ამ სისტემებზე მსჯელობთ და თვითონვე არა გაგეგებათ მისი. დონ ნიკოლასსაც სხვა რა უნდა. ყველაზე მეტად ეს მაცო-

---

* კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა და ღმრთისმეტყუელისა იოანესი პირველი, III, 16-17.

** საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც ღარიბებისათვის ტანსაცმელს აგროვებდა.

*** კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაცია.

ფებს, რომ მის დაკრულზე ცეკვავთ და აზრზეც ვერ მოდიხართ. სხვა რამეებში ერკვევი, არ გედავები, მაგრამ ქველმოქმედებაზე წარმოდგენა არა გაქვს, მარიო, დამიჯერე. ასევე იყო, საღამოებს რომ ატარებდი პატიმრებთან, მათ ამბებს ისმენდი. მითხარი ერთი, რა ხეირი გქონდა ამ ხალხისგან, საზოგადოება უმიზეზოდ ხომ არ აქცევდა მათ ზურგს. საქმე ისაა, რომ ყველას თავკაცობა სურს, ყველას გენერლობა სწადია. მაგრამ, მარიო, [illegible] არ იქნებიან, გენერლები რაღა საჭიროა? ნუ მეტყვი, ქველმოქმედება ლაპარაკსა და მოსმენას ნიშნავსო და რომ რაიმეს გაცემა კი არაა ქველმოქმედება, არამედ თავის შეწირვაო. შენ ხომ ლამაზი სიტყვებისთვის მზადა ხარ ეშმაკს სული მიჰყიდო. ეს ალბათ შენი წყეული პატივმოყვარეობის ნაყოფია, ისევე, როგორც წიგნში ჩვეულებრივი წინადადებები კურსივით ან ასომთავრულით რომაა დაბეჭდილი, თუმცა იქ არც საკუთარი სახელი და არც რამ მსგავსი არა გვაქვს. ეს ხომ უაზრობაა. არმანდო კი ამბობს, სილამაზისთვისააო, მაგრამ ხუმრობს, ხომ იცი, მუდამ ანგლობის გუნებაზეა. ასევე იყო, ერნადო დე მიგელმა გოჭი რომ მოგართვა. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ყურადღებაა. ბიჭი ვერ მოემზადა გამოცდისათვის, ტრასკასტროდან ზურგით ათრია გოჭი. ერთი აყალმაყალი ატეხე, რაც, ჩემის აზრით, არაა კარგი საქციელი. ბოლოს გოჭი კიბიდან მოისროლე და ზურგში თხლიშე, კინაღამ მოკალი ბიჭი, გოჭი ხომ ოთხ კილოს მაინც იწონიდა. ვის სჭირდებოდა ეს გამოხდომები, მარიო, ძვირფასო? ქველმოქმედება საკუთარი თავიდან იწყება. ბავშვებს კი, თვითონვე იცი, ხორცი არ გადასდიოდათ თავზე. ხელფასებთან ერთად ფასებიც იზრდება. თქვენ კი რასაც წერთ, ჰკუას არ ატანთ, ჯიუტო. შეხედე არმანდოს, ფაბრიკაში გვარიანი თანამდებობა უჭირავს, ამის მიუხედავად, მაინც გაიძახის, სულაც არ ვაპირებ პაპზე ჭეშმარიტი კათოლიკე ვიყოო. შენ კი ოთხი კილო ხორცი კიბიდან მოისროლე. ნეტა ვის რა დაუშავდებოდა, რომ მიგველო გოჭი. მაშინაც კიდე, ღვინო და ტორტი რომ მოგართვეს. ადამიანს რად არ აძლევ პატივისცემის საშუალებას! ნუ უსმენ უტვინო ესტერს, დღედაღამ წიგნებს კითხულობს, თავი რაღაცა ჰგონია. კარგი წინასწარმეტყველი კი ამოირჩიე. მარიოსნაირი კაცები დღეს ქვეყნიერების სინდისს წარმოადგენენო, მეცინება პირდაპირ. ნეტა ენახა, რა ხათაბალაში გავეხვია ეს ქვეყნიერების სინდისი. თუ არ მიიღებ გოჭს, ახლობელს აწყენინებ, მიიღებ და მექრთამე ხარ. მართალი გითხრა, რა საჭიროა უბრალო რაღაცეებზე ამდენი ფიქრი. საფიქრალი სწორედ ისაა, რომ ბავშვებს ვიტამინები სჭირდებათ. ნეტა რად მიათხლიშე ერანდო დე მიგელს გოჭი? შემდეგ, როცა დაგემართა ეგ დისტონია თუ დეპრესია, არ ვიცი რა ქვია, ყოველ წვრილმანზე ტიროდი, გაიხსენე, ძვირფასო, რა დროს მატარებინებდი. იქნებ იმას დარდობდი, რომ არ გაგეგებოდა, რომელი გზა აგერჩია, როდის სჩადიოდი სიკეთეს და როდის ბოროტებას, მაშინ, როცა პატარა ბავშვმაც იცის, ზურგში ნასროლმა ოთხკილოგრამიანმა გოჭმა შეიძლება მოკლას ადამიანი. მკვლელობა შეგეძლო ჩაგედინა, მარიო. შენ გშურდა ჩემი და ყველა იმათი, ვისაც თავი მხრებზე აბია, ღმერთის წყალობით, იცის სად მიდის და რას აკეთებს. ხოლო რახან ასეა, რად არ უნდა აგეღო ჩემგან მაგალითი, რად არ მოეშვი დონ ნიკოლასს და მის მოლაყბეთა ამალას? მაგრამ რას იზამ, საბოლოოდ შენი მორჩილება სიამაყე გამოდგა, მარიო, გაუთავებელი ამბები კი ამპარტავნობის შედეგი და მე ვიტყოდი, ნარკოტიკი, რომელმაც ნებისყოფა წაგართვა. ლუისმა მომისმინა, ან როგორ მომისმენდა, ექიმები აკი ფიქრობდნენ, ავადმყოფის მფარველი ჩვენა ვართო. შენი დეპრესიის გამო ისეთი ამბავი ატყდა, იძულებული შევიქენ ჩავრეულიყავი, მარიოს დეპრე-

სიის არავითარი საბაბი არა აქვს, კარგად იქცევა, მაგისათვის შეუძლებელს ვაქეთებ-მეთქი. ჩავერიე, აბა რას ვიზამდი, იმ აბებზეც მოვახსენე, კარგად მოვიოხე გული, მარიო. გეფიცები, სულაც არ ვნანობ. მოდი, სიმართლე გითქვათ. როცა ეს დაგემართა, დამიჯერე, სახლში უკეთ აეწყო ყველაფერი, რადგან არაფერში ერეოდი. ცნობილია, რომ ოჯახურ საქმეში კაცები მხოლოდ ხელის შემშლელები ხართ. ერთადერთი შენი ტირილი მიხეთქავდა გულს, ხომ მოთქვამდი, თითქოს გკლავდნენ. ღმერთო, რა დღეში იყავი! შენ ხომ ყოველდღეს გიტირია, მარიო, მაშინაც კი, მშობლები რომ დაგეხოცა· ალბათ ყველაფერმა ერთად ამოხეთქა, სიმართლე გითხრა, შემეშინდა და ლუისს ვუამბე, ლუისიც ჩემს აზრს იზიარებდა, მარიოს ნერვული კრიზისი, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვსო.. გუშინდელივით მახსოვს, რა-მეთქი? — ჩავეკითხე. მან ძალიან თავაზიანად ამიხსნა ყველაფერი. საოცარი რაღაც ყოფილა ფსიქიატრია. თუმცა მჯერა, როცა მსგავსი რამ გემართება, არც სიცხე გაქვს და არც ტკივილი,ნებივრობაა და სისულელე. ხომ ხედავ, მარიო, ყოველთვის პატარა ბავშვივით იქცეოდი, ბევრს კი მეცადინეობდი და წერდი, და შესაძლოა კარგსაც შვებოდი, მაგრამ ძალიან მოსაბეზრებელი იყავი. გულწრფელად გეუბნები, რასაც ვფიქრობ, რად დავმალო. საერთოდ, ადამიანები, რომლებიც ბევრს ფიქრობენ, ინფანტილურები არიან. არ მიგიქცევია ყურადღება? ხომ ხედავ, დონ ლუკას სარმიენტოს მდაბიო გემოვნება აქვს, ცხოვრებაზე კი აბსურდი წარმოდგენა, ფილოსოფიური, თუ არ ვიცი როგორ ჰქვია. ასევე დაგემართა შენ, ძვირფასო, ასევე დაემართება მარიოსაც, თუ ღმერთმა არ მოხედა, რადგან ამდენი კითხვა და სერიოზულობა ხეირს არ დააყრის. გაფრთხილებდი, მაგრამ ყური არ მათხოვე. მოეშვი, უნდა ჩამოყალიბდესო, შეაყარე კედელს ცერცვი, გაგონება არაფრის გინდოდა. შორს რომ არ წავიდეთ, ის საღამო გავიხსენოთ, ალვაროს გოგლიმოგლი რომ მოვუმზადე. მარიომ ხელი გამომიწვდინა და წიგნისათვის თვალი არ მოუწყვეტია, ისე გადასანსლა. გავბრაზდი კიდეც, ხომ იცი რა ძვირია ყველაფერი. მარიო უკვე კარგად იყო დანაყრებული. წარმოიდგინე რა მოხდებოდა, წამდაუწუმ გოგლიმოგლი რომ ვჭამოთ? ალვარო კი სულ სხვაა, სწორედ გამიგე. განა ვამბობ, რათა მთებში ირბინოს და კოცონები ანთოს, ზედმეტად უნდა იქცეოს-მეთქი, მაგრამ ცარიელი ძვალი და ტყავია, მადარდებს ეს ბავშვი, რაც გინდა დაემართოს, ყველაფერს მორჩილად ეგუება. დედა ამბობდა, უმჯობესია თავი დაიცვა ავადმყოფობისაგან, ვიდრე იმკურნალოო. ხვდები, მარიო? სრულებით არ ვარჩევ მას სხვა შვილებისაგან, ეს თქვენი მოჩმახულია. ძალიან საყვარელია, მეტი არაფერი, ან შესაძლოა სახელი მომწონს მისი, ვინ იცის. გახსოვს, ჯერ კიდევ დაქორწინებამდე გეუბნებოდი, ბიჭი მინდა მყავდეს, ალვარო უნდა დავარქვა-მეთქი. იმთავითვე აკვიატებული მქონდა ეს სახელი, წარმოიდგინე, ჭკუას ვკარგავდი. ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს შენი სახელი არ მომწონდეს, პირიქით, ძალიან მამაკაცურია, მაგრამ თვითონვე ვიცი, ალვარო ჩემი სისუსტეა. გაფიქრებაზეც კი მეცინება, რა მოხდებოდა ამ სახლში, შენთვის რომ დამენებებია ბავშვების სახელების შერჩევა. მათ სალუსტიანოს, ეუფემიანოს, გაბინას ან რაიმე მსგავსს დაარქმევდი საკუთარი პროლეტარული გემოვნების შესაბამისად, ანდა სულაც შენი ოჯახის წევრების სახელებს. ასე ხომ მდაბიოებს სჩვევიათ. აბა მითხარი, რა უნდა მექნა, სახლში ელვირო და ხოსე მარია რომ მყოლოდა, შენს ძმებს საშინლად ვულგარული სახელები ერქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დახვრიტეს. მარიოსა და მენჩუზე არ ვლაპარაკობ, ბოლოს და ბოლოს ეს ხომ ჩვენი სახელებია. მაგრამ დანარჩენები? როცა არსებობს ისეთი ლამაზი

სახელები, როგორიცაა ალვარო, ბორხა ან [illegible]სასიუ, სხვა სახელი რად უნდა დავარქვათ ბავშვს? საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეებში ცხოვრობ, მამატიე გულწრფელობა. შეხედე წესიერ ხალხს, ბუნებრივიცაა, მარიო, [illegible], სახელი ხომ მთელი ცხოვრების მეგზურია. აი რაზე უნდა [illegible] ეკლესიამ. არ ვამბობ მხოლოდ სახელებზე-მეთქი, მაგრამ ნაცვლად იმისა, ყოველდღე აცხადონ, ებრაელები და პროტესტანტები კარგები არი[illegible] [illegible]), ჯობს, საეკლესიო კალენდარი გადაიკითხონ, ოღონდ ძირფესვიანად, ყურადღებით, რათა გაირკვეს რომელი სახელივარგა და რომელი არა. ხალხმა უნდა იცოდეს როგორ მოიქცეს. სილაღ რომ შეხედო, დღეს ყველაფერი თავდაყირა დგას, მარიო, ასე რომ გაგრძელდეს, ჩვენ გამოვალთ ცუდები. მას შემდეგ, რაც ების მოწმეც გავხდით, არაფერი გაგვიკვირდება... საქმე ისე მიგვიდის, აფრიკელი ზანგებიც ჭკუის სწავლებას დაგვიწყებენ, მაშინ როცა თვითონ კანიბალები არიან. თუმც შენ გაიძახი, მათთვის ჩვენ სხვა არაფერი გვისწავლებიაო. მამამ იმ საღამოს, ტელევიზიით გამოსვლისას, შესანიშნავად განიხილა ეს პრობლემა. ნეტა გესმინა, რას ამბობდა ამაზე ვალენი. აი კიდევ ერთი რამ, მარიო, ჩვენ შორის დარჩეს და ადრე ვერასდროს გავბედე თქმა. მომისმინე, თავს არ შევიწუხებ იმის დასადგენად, იხინიო ოიარსუნი რომ ამბობს შენზე — ხუთშაბათობით პროტესტანტებს ხვდება და მათთან ერთად ლოცულობსო. მოწმეების ძებნას არ შევუდგები, აუტანელი იქნებოდა, ოღონდ თუ ეს სიმართლეა, იცოდე, ერთმანეთისათვის უცხონი ვართ და შვილებთან აღარც გახსენებ, გაფრთხილებ, მირჩევნია ნაბიჭვრებად ჩათვალონ თავი, ვიდრე გაიგონ, რომ მათი მამა განდგომილი იყო. ჰო, მარიო, ვტირი. მაგრამ დაე ასე იყოს, ყველაფერს ავიტან. იცი, სიკეთესა და ჭკუაში ვერავინ მაჯობებს, მაგრამ შეიგნე, მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე ებრაელებთან და პროტესტანტებთან დავიჭირო საქმე. დავივიწყოთ, ძვირფასო, ებრაელებმა ჩვენი ღმერთი რომ ჯვარს აცვეს? სადამდე მივალთ ასე? თუ შეიძლება, მითხარი, ნუ მომიყვები ახლა ზღაპრებს, ქრისტეს თვითონვე ვაცვამთ ყოველდღე ჯვარზეო. ეჭვი არ შემეპაროს, ქრისტე რომ გამოცხადდეს, არც პროტესტანტთან ილოცებდა, არც იმას იტყოდა, ღარიბებმა უნივერსიტეტში ისწავლონო; არც სამშვენისებს იყიდდა მაღრიდელი მაჩანწალებისაგან, არც რიგს დაუთმობდა ვინმეს მაღაზიაში, და, რა თქმა უნდა, ერნანდო დე მიგელს კიბეზე გოჭს არ მიათხლიშავდა ზურგში. როგორც ვხედავ, ძალიან ცუდი წარმოდგენა გაქვს ქრისტეზე. მხდალი სულაც არა ვარ, მარიო, და ქრისტე რომ მეორედ მოსულიყო, დარწმუნებული იყავი, გამოვესარჩლებოდი მას, თუნდაც მთელი ქვეყანა წინ აღმდგომოდა. განა წმინდა პეტრესავით მოვიქცეოდი. ქალი კი ვარ, მაგრამ მხდალი არა. ომის დამთავრების შემდეგ, შიმშილობისას არ გეგონოს, გულხელდაკრეფილი ვიჯექი. ბიძია ედუარდოს დანჯღრეული მანქანით მივარდნილ სოფლებში დავდიოდი და საჭმელს ვშოულობდი ჩემი მშობლებისათვის. მატყუარა გარეგნობა მაქვს, მარიო, ბევრჯერ მითქვამს შენთვის, რომ გაცილებით მტკიცე ვარ, ვიდრე ვჩანვარ-მეთქი.

7

**[რამეთუ ყოველი სამოსელი შეკრებული ზაკვით და შთასხმული ცვალებისა თანა, მიუზღონ და ინებონ უკეთუმცა იქნას ცეცხლით დამწვარ, რამეთუ ყრმა იშვა ჩუენდა ძე, მოგუცა ჩუენ: რომლისა მთავრობა იქმნა მხარსა ზედა მისსა: და ჰქვიან სახელი მისი, [დიდისა განზრახვისა ანგელოზი: საკვირველი**

თანა განმზრახი ღმერთი ძლიერი ხელმწიფე) მთავარი მშვიდობისა: (მამა მერმეთა საუკუნოსა)*. იქნებ საშინელებას ვამბობ, მაგრამ თქვენთან, ჩემო კარგებო, არასოდეს იცის კაცმა, რა თქვას. ომის დროს შესანიშნავად ვცხოვრობდი, რაც დავმალო რასაც ვფიქრობ. სულ დემონსტრაციები, ახალგაზრდობა, არც სირენების მეშინოდა და არც არაფრის. სხვები სირენის ხმის გაგონებაზე გიჟებივით გარბოდნენ თავშესაფრისაკენ. მე კი ყოველივე ეს მართლაც მახსოვს, დედა მე და ხულიას გვაიძულებდა, დონია კასილდას სარდაფში ჩასვლის წინ წინდები ჩაგვეცვა და თმა დაგვევარცხნა, წარმოიდგინე, ზოგჯერ ბომბების აფეთქება და სროლა შუა კიბეზე გვისწრებდა. აი მაშინ იყო სიცილ-კისკისი და ზედახორა, შემდეგ, თავშესაფარში დიდი მხიარულება სუფევდა. წარმოიდგინე, მთელი მეზობლები იქ ვიკრიბებოდით. ვინმე ესპე ჩამოდიოდა ხოლმე, მანსარდში რომ ცხოვრობდა, რკინიგზელის ქვრივი, გაქანებული წითელი იყო. ომის პირველივე დღეებში თმა გადახოტრეს. ჰოდა ისიც ჩამორბოდა ხოლმე თავშესაფარში და წამდაუწუმ გაიძახოდა, აღსასრული მოვიდაო, თან პირჯვარს იწერდა უნებლიეთ. მახსოვს, მამაჩემი ექიდნურად ეტყოდა, რისი გეშინიათ, ესპერანსა? ეს თქვენები გიგზავნიან მოკითხვასო. ერთი გეცქირა, მარიო, რასა ჰგავდა! საზიზღარი შავი თავსაფარი ეხურა, შიშისგან მთლად დაკრუნჩხული იყო. თუ ღმერთი გწამთ, გაჩუმდით, დონ რამონ, საშინელი რამაა ეს ომიო. მამა კი, რა თქმა უნდა, დაცინვით მიუგებდა, ძალიან ხშირად ახსენებთ ღმერთს ესპერანსა, ამ ბოლო დროსო, წარმოიდგინე, მშვიდობიანობისას წირვაზეც არ დადიოდა. როგორ ეკადრებოდა, სოციალისტი გახლდათ, თანაც რანაირი. მამაჩემი კი თავდაცვით ომებზე ელაპარაკებოდა, მთელ ტრაქტატს უკითხავდა. საცოდავმა ესპემ ბოლოს უთხრა, რახან განათლებული კაცი ასე ბრძანებთ, მაშასადამე, ასეაო. ყველაფერ ამას ემატებოდა ტერესიტა აბრილის შვილები, მაშინ ლაწირაკები რომ იყვნენ, ახლა კი დაკაცდნენ, დაცოლშვილდნენ. როგორ გარბის დრო! მიგელს, ყველაზე უფროსს შვიდი შვილი ჰყავს. არცა მჯერა. ერთი ვენახა, რა ამბავი დაატრიალეს მაშინ ბოთლებსა და ყუთებს შორის. პატივცემული ტიმოთეო სეტიენი, დონია კასილდას ქმარი წინ და უკან დადიოდა თავის ნაცრისფერ წინსაფარაფარებული, თავზე ხელები მიეჭირა. ფრთხილად, რაც შეიძლება ფრთხილად, ადვილად ასაალებელი ნივთიერებებიაო, იძახდა. თავს იზლევდა, რადგან ყუთებში საპონი, შოკოლადი, გამხმარი წაბლი და კიდევ რაღაც-რაღაცები ჰქონდა. პატივცემული ტიმოთეო წუწურაქი ვინმე იყო. ღმერთო ჩემო, როგორ ენანებოდა. მახსოვს, დედაჩემი გადასახადს რომ უხდიდა ხოლმე, მაშინ ხულია და მე სულ პატარები ვიყავით, დონია კასილდა თითო კამფეტს მოგვცემდა ჩუმად და გვეტყოდა, შეინახეთ, ტიმოთეომ არ დაგინახოთო. პირდაპირ საშინელება იყო. ძუნწი კაცივით არაფერი მეჯავრება, თავზარს მცემენ ძუნწები. როცა ტრანსიმ მამაშენზე მითხრა, მევახშეაო, ტანში გამბურძგლა. მარიო. და შემდეგ, მართალი რომ ვთქვა, სიძუნწე არ ეტყობოდა, იქნებ ელვიროსა და ხოსე მარიას გამო. ფულზე არასოდეს ლაპარაკობდა, მხოლოდ იმას გაიძახოდა, ჩემი ბრალია სამსახურში რომ არ გავუშვიო. იმ დღეს ქუჩაში გასვლა სიგიჟე იყოო. სისულელეა, ხომ იცი, შენს ძმაზე კარგა ხანია ეჭვი ჰქონდათ მიტანილი. ოიარსუნმა, რომელმაც ყოველთვის ყველაფერი იცის (ან საიდანა აქვს საამისო დრო), მითხრა, სამსახურს კიდევ რა უშავს, არიან მოწმეები, ხოსე მარია რომ ნახეს ასანიას მიტინგზე პლასა დე ტოროსზე ოცდათერთმეტი წლის აპრილშიო. თურმე გიჟივით აქ-

* წინასწარმეტყველება ესაიასი IX, 5-6.

ნევდა სამფერა დროშას და გაჰყვიროდა, გაუმარჯოს რესპუბლიკასო. ამაზე უარესი რაღა იქნება. ცხოვრება ცხოვრებაა, მაგრამ 14 აპრილს ჩვენს სახლში ნამდვილი გლოვა იყო, მამაჩემის გარდა ყველანი ვტიროდით, ბოლომდე არცა მჯერა, რომ მასაც არ ეტიროს. მთელი დღე ადგილს ვერ პოულობდა, თავზარდაცემულივით დადიოდა სავარძელსა და სეკრეტერს შორის, საცოდავი მამა ათი წლით დაბერდა იმ დღეს, მეფე ხომ ყველაფერს ნიშნავდა მისთვის, წარმოიდგინე, მთელს ჩვენს ოჯახს ერჩია. იგი უდიდეს პატივს სცემდა მონარქიას, კერპად მიაჩნდა, და როგორც კი გამოცხადდა რესპუბლიკა, იგი ზვიადად წამოდგა, გაფითრებული, არც ვიცი, როგორ ვთქვა, შევიდა აბაზანაში და უკან დაბრუნებულს შავი ჰალსტუხი ეკეთა, თქვა, ვიდრე მეფე მადრიდში არ დაბრუნდება, ამ ჰალსტუხს არ მოვიხსნიო. გავისუსეთ, თითქოს ვინმე მომკვდარიყოს. შენ კი გეგონა, დედაჩემის გამო ეკეთა შავი ჰალსტუხი, ღმერთმა აცხონოს, როგორ შეცდი, რა სეირია. ამას ხომ მეფის გამო სჩადიოდა. მხიბლავენ წმინდა იდეისადმი ერთგული კაცები, რაც გინდა ისა თქვი, მაგრამ მონარქია მშვენიერია, მარიო. მამაჩემივით პირწავარდნილი მონარქისტი არა ვარ, მაგრამ აბა წარმოიდგინე მეფე სასახლეში, ლამაზი დედოფალი, ოქროსფერთმიანი უფლისწულები და ეტლები, ეტიკეტი, ცერემონიალი და სხვა ამგვარი. შენ ამბობდი, რესპუბლიკა და მონარქია დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მთავარი ისაა, მათ უკან რა დგასო. არ ვიცი ამით რისი თქმა გსურდა. იმაში კი დარწმუნებული იყავი, რომ მათი შედარება არ შეიძლება. მონარქია სულ სხვა რამაა, რესპუბლიკა კი, არ ვიცი როგორ აგიხსნა, ჩვეულებრივი. მახსოვს, როდესაც იგი გამოაცხადეს, ყველგან ჩამოძონძილი და მთვრალი ხალხი დაეხეტებოდა. რა საზიზღრობა იყო, რა გულისამრევი. დღითი დღე უკეთ მესმის მამაჩემის, თუ ასე რად იყო მეფეზე შეყვარებული. ის კი ვერ გამიგია, მამა რად ეჩხუბებოდა ძია ედუარდოს, რომელიც მასავით მონარქისტი იყო. ცოფიანებივით წაეკიდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, ერთხელ კი, არც დაიჯერებ, მამაჩემს გული წაუვიდა, ექიმის გამოძახება მოგვიხდა. აზრზე რომ მოვიდა, აღრიალდა, დარწმუნებული იყავით, თუ ედუარდოს მეფე დაჯდება ტახტზე, ჰალსტუხს არ მოვიხსნიო. განა შეიძლება ორი მეფე, ვითომ შეიძლება მეფეებიც ტყუპები იყვნენო? მერე კი ვალენტინას წვეულებაზე იხინიო ოიარსუნმა თვალები ამიხილა, გარწმუნებ. ის იყო ვუამბე ყველაფერი, მან კი მომიგო, მამაშენს შეუძლია მოიხსნას შავი ჰალსტუხი, რადგან ესპანეთი კვლავ მონარქიად დარჩაო. წარმოიდგინე, რა საოცარია. მე კი ბაიბურში არ ვიყავი, ხომ იცი, ამდენი შვილის პატრონს გაზეთის წაკითხვის დროც არა მაქვს. ასეც ვუთხარი. შემდეგ მინდოდა მამაჩემისათვის მიმეწერა, მაგრამ გადავიფიქრე. მამამ ხომ გარკვევითა თქვა, როცა მეფე მადრიდში დაბრუნდება, მაშინო. ეს კი სხვა საქმეა, წარმოიდგინე, როგორ გამიხარდება, მამამ რომ ფერადი ჰალსტუხი გაიკეთოს! რა თქმა უნდა, თავის თავს აღარ ემსგავსება, რამდენი წელია ასე დადის. იდეისათვის ერთგულება აი ამას ჰქვია, მერწმუნე, დანარჩენი ყველაფერი სისულელეა. გახსოვს მამაშენზე რა სწრაფად გაიხადე შავები? რა გეჩქარებოდა! მამაშენს კიდევ რა უშავდა, დედაშენისათვის შავიც არ ჩაიცვი. თუმცა თქვენი ოჯახის წევრი არა ვარ, მაგრამ გაფიქრების მრცხვენია, წელიწად-ნახევარი რომ არ გაგხსენებია მამა. უცნაური ვინმე ხარ, შენთან არასდროს იცის კაცმა, იცინის თუ იტირის. თავდაპირველად ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ როცა ფეხი ფეხზე გადაიდე და შენი შავი წინდები და ფეხსაცმელები დაინახე, ღმერთო ჩემო! რა თქვი, თალხის ტარება აღარ შემიძლია, შინაგანი გლოვაც მეყოფაო. თქვი და აასრულე.

შენი გლოვაც ამით დამთავრდა. კაცები ძალიან უცნაურები ხართ, მარიო. შავად შემოსილი ფეხების დანახვამაც კი არ უნდა დაგამწუხროს, არამედ უნდა გაგახსენოს, სულელო, რომ მწუხარე ხარ. სიმღერას თუ წამოიწყებ, უნდა გაჩუმდე, ტაშს თუ შემოჰკრავ, უნდა დაწყნარდე, დაიოკო სურვილები. აი ამისთვისაა თალხი, კიდევ იმისთვის, რომ სხვებმა დაინახონ. აბა რა გეგონა, იმისთვისაა, რომ სხვებმა დაინახონ, დიდი უბედურება გეწვია ოჯახში, გასაგებია? ახლა კრეპის ნაჭერსაც შევუკვეთავ, ძვირფასო, აბა როგორ. განა მსიამოვნებს, შავი შავზე საშინელი საცქერია, მაგრამ წესი ხომ უნდა დაიცვა. გარდა ამისა, შენ ხომ ჩემი ქმარი ხარ. ბუნებრივია, შენს შვილსაც არ ესმის ამდენი, რაც დათესე, იმასვე იმკი. ერთი დავიდარაბა გვქონდა. ამ ბიჭის ახირებულობა ჭკუიდან შემშლის. მამის ცხედარი წინ უსვენია და ჭრელი სვიტრი ვერ გავახდევინე, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ნეტა გენახა რა მოუვიდა, როცა შავი ჰალსტუხის გაკეთება ვთხოვე. ეს პირობითობაა, დედა, მე მაგაში მონაწილეობას არ მივიღებო. ასე მომახსენა, თან საშინლად გაავებულმა. მარიოსაგან ალბათ ვერ დაიჯერებ, ამ მუდოსგან, მაგრამ ასეა. კარგა ხანს ვიყავი ჩაკეტილი აბაზანაში, ბოღმა მახრჩობდა, თუმცა შენ ამას ვერ გაიგებ. აი რისთვის ვზრდით შვილებს! დასაფლავების წესების შესრულებაზეც გამომიცხადა, თავი დამანებე, ეს პატივმოყვარეობააო, როგორ მოგწონს? მამასთან ასეთი გულგრილობა შეიძლება? თან მშვიდადაა, ნეტა ჩვენ ვიყოთ ისე. რა საშინელებაა, ღმერთო ჩემო! ეს ბიჭი შენი ალიკვალია. თავიდანვე, სულ პატარაობიდანვე, როცა ველოსიპედზე მიმაგრებული სკამით დაგყავდა, მარიო, შენსავით უცნაურ სიტყვებს ხმარობს, თუნდაც აი ეს „პირობითობა", წარმოიდგინე, იმიტომ, რომ გული მატკინოს. მე ისედაც გულნატკენი ვარ, მარიო, ძვირფასო, მაგრამ ახალგაზრდობა სულ წავიდა ხელიდან, ზოგი ტვისტს გადაჰყვა, ზოგიც წიგნს. წესი და რიგი არ იციან. ძველ დროს რომ ვიხსენებ, შედარებაც არ შეიძლება. ამათ ვერც უხსენებ ომს, გიჟად ჩაგთვლიან. კეთილი, მივიჩნიოთ ომი საშინელებად, მაგრამ იგი ხომ მამაცების საქმეა. გარდა ამისა, მთლად ასეც ხომ არაა. რაც გინდა თქვი და მე შესანიშნავად გავატარე ომის წლები. შესაძლოა მაშინ ბევრი არა გამეგებოდა, მაგრამ განა გაუთავებელი დღესასწაული არ იყო? ყოველ ცისმარე რაღაც ახალი ხდებოდა, ხან ლეგიონერები მოგვევლინებოდნენ, ხან იტალიელები, ხან ერთ ქალაქს დაიკავებდნენ, ხან მეორეს. ყველანი, მოხუცებიც კი, მღეროდნენ „მოხალისეებს". ამ სიმღერას ძალიან ლამაზი ტექსტი აქვს. ანდა „სიკვდილის საქმროს". ამაზე უკეთესი არაფერი მომისმენია. მაშინ არც დაბომბვა მაშინებდა, არც ერთი ქერძის დღე*, რადგან დედა ამ საქმეს ისე ოსტატურად ართმევდა თავს, გეფიცები, არც გვიგრძვნია შიმშილი. უჩაროზო დღეებში მე და ტრანსი კანფეტს ვყიდულობდით და ასე გავდიოდით ტოლად, მოიძევებოდნენ, რა თქმა უნდა, უტიფარი ადამიანებიც, ახლა მესმის, სოფლელები იყვნენ, ზრდილობა აკლდათ, მახსოვს, როდესაც მკერდზე ჯარისკაცის ნიშანს ვაბნევდით წარწერით — შეჩერდი, ტყვიავ! ხელებს გვიცაცუნებდნენ, ბედნიერი ხელით მოგვეცითო. მე და ტრანსი ხმას არ ვიღებდით, ისინი ხომ მამაცები იყვნენ. იცი, თუმც უკვე შენი საცოლე ვიყავი, ერთ ჯარისკაცს ნათლიად** ვერგებოდი. მგონი პაბლო ერქვა, პაბლო ასა. სასაცილო წერილებს მწერდა, ორთოგრაფიული შეცდომებით სავსეს. თავით ფეხებამდე

* ფრანკოს მიერ შემოღებული — 1936-39 წ-ში პროდუქტების ეკონომიის მიზნით.

** „კარგი" ოჯახების ქალიშვილები ფრანკისტული არმიის ჯარისკაცთა ნათლიად აცხადებდნენ თავს, საჩუქრებს უგზავნიდნენ ფრონტზე და შვებულების დროს მეგზურობას უწევდნენ.

გაუთლელი იყო. არ იეჭვიანო, რაიმე ხომ უნდა გამეკეთებინა საცოდავებისათვის, ჰოდა, მეც ვპასუხობდი. ერთ მშვენიერ დღეს მოვიდა დათხოვნის მოწმობით და წარმოიდგინე, გასეირნება მთხოვა, ვუთხარი, მაგაზე არც იფიქრო-თქო. მაშინ კინოში წავიდეთო, ამაზეც ვერ დამიყოლია, მერე წუწუნი დაიწყო, იქნებ ხვალ მკლავენო, მაგრამ რით შემეძლო დახმარება, თუმცა გულში მეცოდებოდა. მაშინ თავისი ჭუჭყიანი თითი პირში ჩაიყო, გამოიღო ოქროს კბილი და ხელისგულზე დამიდო, ამას რას სჩადით-მეთქი? თქვენობით ვლაპარაკობდით, მარიო, არ დაიჯერებ, დედაჩემი ამაშიც მართალი იყო, ჯარისკაცების დახმარება კარგია, მაგრამ დისტანცია უნდა დაიცვა, ისინი დაბალი ფენის ხალხიაო. პაბლომ მითხრა, მავრები* თავებს უჩეჩქვავდნენ მიცვალებულებს და ოქროს კბილებს აცლიდნენო. წარმოიდგინე, რა საშინელებაა. მთხოვა, ოქროს კბილი ომის დამთავრებამდე შემინახეო. ტანი უგრძნობდა ალბათ, მართლაც, პაბლო ასას შესახებ აღარაფერი მსმენია, ასე რომ, ერთ მშვენიერ დღეს მე და დედამ კბილი სახელმწიფო ხაზინას ჩავაბარეთ. ასეთები, საუბედუროდ, ხშირად ხდებოდა ომში, შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც ტრანსის ძმის, ხუან იგნასიო კუევასის ამბავი კმარა, მგონი შენთვის მოყოლილი მაქვს. გონებრივად განუვითარებელი იყო, თითქმის არანორმალური, მაგრამ მაინც გაიწვიეს ჯარში შავი სამუშაოს შესასრულებლად. ომში ყველაფერი დასაშვებია, ალბათ ხალხი აკლდათ, ან ვინ იცის, ერთ დილას ტრანსის მშობლებმა კარის ქვეშ შეცდომებით სავსე ბარათი იპოვეს, შიგ ეწერა: „ომში მივდივარ, ძალიან მეშინია, მშვიდობით. ხუანიტო.“ რას იზამ, ასეთი დრო იყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ქვეყანა გადაქექეს, გადააბრუნეს, მაგრამ, არ დაიჯერებ, ხუანიტოს კვალსაც ვერ მიაგნეს. ჩემის აზრით, ჯობდა რომ მოკვდა, ცხოვრება მძიმე ტვირთი იქნებოდა მისთვის. წარმოიდგინე, რა მომავალი ელოდა, შავი მუშა ან რაიმე ასეთი უნდა გამხდარიყო. ამას ხომ სიკვდილი ჯობია. ტრანსი კი გრძნობებს აჰყვა, არა, ძვირფასო, ძმა ძმააო. გააჩნია, როგორ შეხედავ. ტრანსი ასეთი ტიპია. განა სასწაული არაა, ევარისტოს რომ გადაეყარა? ის კი მერე აეთესა. შიშველიც კი დაახატვინა თავი ან კიდევ ვინ იცის... სხვა რამეზე თავს არ დავდებ, მარიო, მაგრამ ასეთ რაღაცებზე შეგიძლია მშვიდად იყო. აზრადაც არასდროს გამივლია, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ამის საშუალება არ მქონდა, არა, მარიო. თუ გინდა იცოდე, კაცები ახლაც მიცქერენ ქუჩაში. შეხედვა ხომ სხვადასხვაგვარად შეიძლება. ელისეო სან ხუანი კი რამდენჯერაც დამინახავს, ნეტა მოგასმენია, რეებს ამბობს. პირდაპირ ქარიშხალია, ვერაფრით შეაკავებ. რა კარგი ხარ, რა კარგი ხარ, დღითი დღე მშვენდებიო. საბაბი რომ მიმეცა, მაშინ რაღას იზამდა? მე კი არც ვუყურებ, ჩემი გზით მივდივარ, მოიქავოს ენა, რამდენიც უნდა, ვითომ მე არც მეხება. საბაბი რომ მიმეცა, ხომ...

8

**[მონა რომელი შემოვიდეს შენდა უფლისა თვისისაგან და გევედროს, ნუ მისცემ ხელთა უფლისა მისისათა; შენთანა შეყოფილ იყოს და დაჯდეს ყოველსავე ადგილსა სადაცა სთნდეს მას, ნურარასა აჭირვებ მას**[1]**. იმ ჩერჩეტი დოროსი არ იყოს, ჩვენს სენიორიტოს ყველა უსასყიდლოდ მოემსახურებოდაო,

---

* ფრანკისტული უცხოური ლეგიონის შემადგენელი მაროკოს არმიის ჯარისკაცები რესპუბლიკისადმი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ

** წიგნი მეხუთე მეორე შჯულისა მოსენი. XXIII. 15-16.

ცარიელი სიტყვებია. იცი შენ, მარიო, სენიორიტოს მე ვემსახურები, დოროს რაში ენაღვლება, ასეა ეს. ერთ ჭიქა წყალსაც არ მიაწვდის. სასაცილოა. შემდეგ კი შობას ან ჩემს დღეობაზე ქვეყნის ფულს ჩუქნი მას მაშინ, როცა მე ფეხშიშველი ვარ, ყოველ კაპიკს დავკანკალებ. ცნობილია, ჩემო კარგო, რომ უშნოდ ხელგაშლილი ხარ. ვალენისათვის უნდა მოგესმინა, მარიო, სასაცილოდ არ ყოფნიდა, დორო რომ გეთაყვანებოდა, ყველა სიტყვას „ჩვენი სენიორიტო", ასე რომ ამთავრებდა, გეგონება ქრისტეზე ყოფილიყო საუბარი. ჩვენ შორის დარჩეს და საწყალი დორო ნამეტანი ჭკუამოკლეა, თავისებურად ერთგული და ალერსიანი ქალია, მაგრამ ძალიან შეზღუდული. ვერ გამიგია, როგორ ილებენ ასეთ ხალხს უცხოეთში, მარიო. უკვე რამდენი წავიდა, მათი რიცხვი დღითი დღე მატულობს, ნეტა რას აკეთებენ იქ. ვალენი ამბობს, ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებენო, იმას, რასაც ჩვენში პირუტყვები — ეზიდებიან მარხილებს. პირდაპირ დაუჯერებელია. თუმც უცხოელებისაგან ყველაფერს უნდა მოელოდე. იმიტომ მიდიან, რომ არაფერი გაეგებათ, ძალიან ბნელი ხალხია. წერა-კითხვაც არ სურთ ისწავლონ. საზღვარგარეთის ხსენებაზე კი თვალებს პრაწავენ. წარმოიდგინე, კიდევ რამდენი სიმდაბლეა ჩვენში, მარიო. ოღონდ ადგილი შეიცვალონ... მაგრამ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო როდია. მერე ბრაზობენ და უკან დაბრუნება უნდათ. აბა, ესპანეთისნაირს სად ნახავენ. ბოლოს და ბოლოს რა დარჩენიათ საზღვარგარეთ. ოღონდ სხვაგან წაიყვანე, სისულელე აკეთებინე და ის ასწავლე, რაც არაა საჭირო. რა კარგი დრო დაგვიდგა! თუმც შენ იცინი, მარიო, მაგრამ იცოდე, ერთ დღესაც ესპანეთი სამყაროს იხსნის. და ეს პირველად როდი იქნება. მე და ვალენი ვიცინოდით, — რა გოგოა! ერთხელაც გამაჩერა და მეუბნება, გერმანიაში მივდივარო. ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა დაიქირაო მზარეული, გადია და მოსამსახურეო. ხომ მშვენიერი ნააზრევია, თვითონაც ხომ აღიარებ, ვალენს იუმორის გრძნობა აქვსო. ჰოდა, იმ საღამოს მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ძალიანაც დიდი. თქვენი ჩურჩულით და იმდენი ხი, ხი, ხი, ხით ნერვები დამაწყდა. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ფანრებს შამპანურის საცობები რომ დაუშინე, მინდოდა მომეკალი. რა სანახაობა იყო? შემთხვევით ხალხთან ხომ არ იყავი, მარიო, იქ ხომ რჩეულნი შეიყარნენ. ზედმეტი დალიე, ძვირფასო. საშინელება იყო, განა მთელი საღამო არ გაფრთხილებდი, მეტს ნუღარ დალევ, მეტს ნუღარ დალევ-მეთქი! მაგრამ ყური არ მათხოვე. თუ ახირდი, მორჩა. კიდევ კარგი, ვალენი შინაურია. ვალენზე ჭკუას ვკარგავ. შენც ხომ მოგწონს, ძვირფასო? არ უარვყოფ, კოსმეტიკაზე ბევრს ხარჯავს, ბენე მზადაა მოკლას. სამაგიეროდ, როგორ გამოიყურება! სხვებს კი არა ჰგავს. ოსტატურად ხმარობს საღებავებს, განსაკუთრებით თვალებზე. იცოდი, ვალენი კვირაში ერთხელ მადრიდში რომ დადის სახის გასაწმენდად? მეც დიდი სურვილი მაქვს, ამის საშუალება მქონდეს. მართლაც სასწაულებს ახდენენ, კანის ასე გალამაზება წარმოუდგენელია. მერე გრიმი ზედმიწევნით შვენის. ყველას კი არ უხდება, მაგალითად, მე საშინელი ვარ ხოლმე, ხომ იცი. თან ტანკენარია. სულაც არ მიკვირს ქუჩაში თვალს რომ ვერ სწყვეტენ. ყურადღებას იქცევს, ამიტომაც მიყვარს მასთან სიარული. გაიგე, მარიო, ჩემი ინსტიტუტის ამხანაგებიდან მხოლოდ ვალენი იყო ასეთი. უნდა გენახა ჩვენი შეკრებები კურსის დახურვისას. რა უმსგავსობა იყო, თევზის ჭამაც კი არ იცოდნენ. ვალენტინას გარეშე არ ვიცი რას ემსგავსებოდა იქაურობა. ალბათ ქვეყნის ფული აქვს. ქუჩაში რაც მოეწონება, ყველაფერს ყიდულობს, ფასს არც უყურებს, ნამეტანი ხელგაშლილია... გადასარევი ქალია ვალენი, ძალიან მიყვარს. ბენე ამბობს, მთელი ფული მისიაო. ვერ გამიგია, ვისენტეს რად ხვდა

ასეთი ბედი. რა ქორწილი ჰქონდათ! განა ცუდი კაცია, სწორად გამიგე, მაგრამ ვალენისნაირი მიმზიდველი გოგო და თანაცი ფულიანი, ბედნიერი შემთხვევაა, ბენე დირექტორი ამბობს, ვისენტეს ეს დიდ გარჯად დაუჯდა, სულაც არ მიკვირს. როცა ერთმანეთი გაიცნეს მადრიდში, ვალენი მაშინ იტალიელთან დადიოდა, იტალიელებმაც ხომ იციან ცუდის და კარგის გარჩევა, ღმერთო, თან როგორ მოსწონდა ყველას. მართალი გითხრა, არ მესმის, ესპანელები ხომ თითქმის ჩვენ გვგვანან, ბოლოს და ბოლოს ისინიც ხომ ლათინები არიან, თუმცა ვაჟკაცობით ჩვენთან რას მოვლენ. გახსოვს ომის დროს აქ რომ ჩამოვიდნენ?* რა ნერვიულობა გადავიტანეთ, ღმერთო ჩემო, გახსენებაც არ მინდა. გოგოები გიჟებს ჰგავდნენ. აბა რა დაემართებოდათ, ეს ხომ მათთვის სიახლე იყო. პირველად ყველას თავი მოაწონეს, გვადალახარას** შემდეგ გაირკვა მხოლოდ, რასაც წარმოადგენდნენ. ვალენი ამბობს, თითქოს მუსოლინიმ ყველაზე ლამაზები და მაღლები შეარჩია, ალბათ რეკლამისათვის. რა თქმა უნდა, ბატალიონმა, თუ რა ერქვა აქ რომ ჩამოვიდა, დიდი აურზაური გამოიწვია. მშვენივრები იყვნენ, ყველას სურდა ყვავილები ესროლა მწყობრში მიმავალთათვის, მერედა, რა შეხვედრა მოუწყვეს. მხოლოდ გვადალახარის შემდეგ შეიცვალა სიტუაცია, ყველა დასცინოდა მათ. აი ახლა კი არონტეგის მეამბოხე ლაწირაკი შვილი, ომი თვალითაც რომ არ უნახავს, გაიძახის, გვადალახარამ გვიჩვენა, იტალიელები იმიტომ არიან ცივილიზებული ხალხი, რადგან მეომრები არ არიანო, თუმცა მუსოლინიმ ისინი ჯარისკაცის ფორმაში გამოაწყოო. და სულელი ჩოიანო (აჯობებდა თავისი გულისამრევი წვერი მოეპარსა) ამბობს, იტალიელები შესანიშნავი ხალხია, ყველგან გამოირჩევიან, პარიზიც კი დაიპყრეს თაიანთი სვიტრებითა და ფეხსაცმელებითო. აბა, ეს რა დაპყრობაა, ხომ ხედავ, რეებს ჩმახავს. ასევე სისულელეა იტალიელი ქალების სილამაზეზე ლაპარაკი. ვფიქრობ, როგორც ყველგან, იტალიაშიც ყველანაირები არიან, მაგრამ ბუნებრივია, ეკრანზე საუკეთესოებს აჩვენებენ, გიჟები ხომ არ არიან, მე კი იტალიური კინოთი ვერ მომატყუებ. რას აჩვენებენ, მარიო, ნამდვილი ღორები არიან. ნუ მეკამათები. მეორე მხრივ კი, გახსოვს ომისშემდგომი ფილმები? რა საშინელება იყო, შიმშილით დახოცილი ტილიანი ბავშვები! ყველა სურათი ერთმანეთს ჰგავდა. მე კი, მართალი გითხრა, კინოში გასართობად დავდივარ. ცხოვრებაში ისედაც ბევრია სადარდებელი. ვამბობ და ვამტკიცებ, მარიო, უსირცხვილობაში მათ ვერავინ აჯობებს, მაგრამ ამით რას მიაღწევენ, ჩვენ ვერ მოგვატყუებენ. ომის დროს რამდენი ზიანი მოგვაყენეს... ხომ ასე იყო? ისინი კერძო ბინებში ჩაასახლეს, ეს კი საშიშია, თუ ზოგიერთ ქალს მტკიცე პრინციპები არ გააჩნია. თუნდაც გალი კონსტანტინო და მისთანები რამდენი იყო, სულაც არ ვაჭარბებ. გალი ჩვენს სახლში ისე მოვიდა, როგორც დაპყრობილ ტერიტორიაზე, მუდამ მღიმარი, სახეგარუჯული, წვრილულვაშა, ლურჯთვალა.. ძალიან ლამაზი იყო, სიმპათიური, მაგრამ მედალსაც ხომ ორი მხარე აქვს. „Bambina!“ — შესძახებდა ხან ერთ გოგოს, ხან მეორეს, თუმცა სულ ახალგაზრდა ვიყავი, აბა რა ვიქნებოდი 37 წელს, მთლად ბავშვი, — და მისი ხმის გაგონებაზე მეც ვდნებოდი. გალი განუწყვეტლივ ეწეოდა სიგარეტს. მე და ხულია ამას ვაჟკაცობაში ვუთვლიდით, ბავშვები ვიყავით, არა გაგვეგებოდა.

---

* 1936-1939 წწ. მუსოლინის საექსპედიციო ჯარები ესპანეთში, ფრანკოს მხარეზე იბრძოდნენ.

** 1937 წლის მარტში იტალიის საექსპედიციო კორპუსი გვადალახარასთან გაანადგურა რესპუბლიკელთა ჯარმა.

იტყვი ბავშვური სისულელეებიაო, მაგრამ გვაჯადოებდა მისი სამხედრო ფორმა და მედლები, აბისინიაში მიღებული, წარმოიდგინე, ზანგებთან ბრძოლაში. რა საშინელი ომი იქნებოდა! მოკლედ, დაბრმავებულები ვიყავით და სულაც [illegible] გასაკვირი. მახსოვს, საღამოობით მე და გალი ხშირად ვრჩებოდით სახლში მარტონი. დედა და მამა სასეირნოდ მიდიოდნენ, ხულიას კი ვიოლინოს [illegible] გეთილი ჰქონდა და ძალზე კმაყოფილი ვიყავი. გალი ყოველგვარი [illegible] ზრახვის გარეშე დამიჭერდა ხელებს, ნუ იეჭვიანებ, მე კი გული ამიძგერდებოდა, ის მიამბობდა პიზაზე, აბისინიაზე, თავის შვილებზე—რომანოსა და ანა მარიაზე, ამბობდა დუჩეს* შვილები არიანო. მე კი „bambina"-ს მეძახდა და ეს მაგიჟებდა. ტრანსი შურით კვდებოდა, გამაცანი, ნუ ხარ ეგოისტიო. იმ ამბამდე, ერთადერთი, რაც მაღიზიანებდა, გალის სუნამოები და ათასნაირი ფუშები იყო. დედაჩემს ამის ატანა არ შეეძლო, სად გაგონილა კაცი ამდენ კოსმეტიკას ხმარობდესო. ხულია კრინტს არ სძრავდა. გალი მამაჩემს ზედაც არ უყურებდა და მამა იმასაც გამოჰყავდა წონასწორობიდან, რომაულად მისალმებას რომ აიძულებდა. ახალი ამბების გადმოცემის შემდეგ, ვიდრე ჰიმნი ჟღერდა, წარმოიდგინე, მამაჩემი, მშვიდობიანი ადამიანი ხელაწეული იდგა. მერე გალი ყვიროდა: გაუმარჯოს ესპანეთს! გაუმარჯოს იტალიას! ყველანი ვიმეორებდით: გაუმარჯოს! ოღონდ ძალზე ხმადაბლა. სირცხვილით ვკვდებოდით. ეს ხომ სასაცილოდ აგდება იყო. ერთ საღამოს, როცა გალი შინ არ იყო, იგი ხშირად არ ვახშმობდა სახლში, ნეტა სად დადიოდა, კაი ჩიტი გახლდათ, მამამ თქვა: ცოტა თეატრალურიაო. უნდა გენახა, რა დაემართა ხულიას, არ მახსოვს, ასე გაბრაზებულიყოს რაიმეზე. რა მოუვიდა! თეატრალურიაო, ნეტა ამიტომ? ან არის და ან არაო. კარგად არ ვიცი რის თქმა სურდა. მამა განცვიფრდა, ხმა ვერ დაძრა. მე და ხულია გალისთან ერთად თითქმის ყოველ საღამოს ვსეირნობდით ღია ფიატით. ტრანსიმ ტვინი გამომჭამა, რა ლამაზია, გამაცანი, ნუ ხარ ეგოისტიო. მე კი ყურადღებას არ ვაქცევდი, ხომ იცი რა ქარაფშუტაცაა. გალი ნაყინს და ნამცხვარს გვიყიდდა ხოლმე. ერთ საღამოს წიგნის მაღაზიაში შეგვიყვანა და იტალიური გრამატიკა გვიყიდა. ფული ბლომად ჰქონდა. ხელგაშლილობის გარდა, კაცისათვის მეტად იშვიათ უნარს ფლობდა, წარმოიდგინე, არასდროს მოსდიოდა გული, მაშინაც კი არა, მის გამოთქმაზე რომ ვიცინოდი. „iper che ridebambina perche"? მეტყოდა ხოლმე ტკბილად. თვალებს ისე წკურავდა, მაგიჟებდა. არ გაჯავრდე, მარიო, ამაში ცუდი არაფერია. მართლაც შესანიშნავი დრო იყო. ღია ფიატით დავქროდით, ხალხი კი ოფლად იღვრებოდა. მაშინ ვიფიქრე, როცა გავთხოვდები, პირველ რიგში მანქანას ვიყიდი-მეთქი. ხედავ რამდენი ხანია ამაზე ვფიქრობ? მამა უარზე იყო, თუმც ჰქონდა მანქანის ყიდვის შესაძლებლობა, არაფრით არ შეებოდა, ასე იცოდა ახირება. ამიტომაც ვუთხარი ჩემს თავს, გავთხოვდები თუ არა, პირველ რიგში მანქანა-მეთქი. აი როგორ მოვტყუვდი, თურმე რა მელოდა. მერე ენცარნა ამბობდა, მოიწყინა კაცი მანქანაზე ლაპარაკითო. ეს კი ჩემი ერთადერთი ჭირვეულობა იყო, როგორც ხედავ, ჩვენს სახლში შენი ნება-სურვილის გარეშე არაფერი ხდებოდა. მე მხოლოდ სახელები შევურჩიე შვილებს, თვალყურს ვადევნებდი მათ სწავლას და ოჯახის საქმეებს ვასრულებდი, მეტი არაფერი მენებოდა, ნუ მეკამათები. იმაზე უფრო მტკივა გული, მარიო, რამდენიმე ათასი პესეტისათვის ყველაზე დიდი სიამოვნება რომ მომაკელი ცხოვრებაში, მერსე-

* — დუჩე მუსოლინი.

* რად იცინი, გოგონა, რად?

დესზე არ ვლაპარაკობ, სად იყო ამის საშუალება, ისედაც რამდენი ხარჯია ოჯახში, მაგრამ სეისსიენტოსის ყიდვა ხომ შეგეძლო, მარიო, სეისსიენტოსი მელიფტეებსაც აქვთ ახლა. მათ ხომ ჭიპებს ეძახიან, ძვირფასო, და იცი რატომ? იმიტომ, რომ ყველას აქვს. რა კარგი იქნებოდა, მარიო, მთელი ჩემი ცხოვრება შეიცვლებოდა, ახლა ამაზე ფიქრიც აღარ მინდა. მაგრამ მანქანა ფუფუნების საგანიაო, კათედრა ამდენ ფულს არ მიხდისო. სასაცილოა, [illegible] მაინც, მეგობრები რომ გიშლიდნენ ხელს. შეხედე დონ ნიკოლასს, რჩევების მიცემა ეხერხება, თვითონ კი „მილკინიენტოსი“[1] შეიძინა. ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს, თანაც ბევრს ლაპარაკობს თანასწორობასა და მსგავს რამეებზე, მაგრამ ერთი ნახე! შენ კი გქონდა შესაძლებლობა, რომ მოგესურვებია, გორდინისაც[2] ვიყიდიდით. აი, ფიტო, რითი გჯობია, მარიო, შენ ხომ კარგად წერ, ამას ყველა ღიარებს, მაგრამ გაუგებარ რამეებზე წერ, ხოლო თუ ვინმემ გაიგო მით უარესი — ჭუჭყიან, ჩამოგლეჯილ, შიმშილით მომაკვდავ ადამიანებზე წერ. ეს კი ხალხს არ მოსწონს, მარიო, ხალხს ამის ცოდნა არ სურს, არ უნდა პრობლემებით იტკივოს თავი, საკუთარი გასაჭირიც ეყოფა, დავიღალე ამაზე ლაპარაკით. ნეტა იცოდე, როგორ ვოცნებობდი, მაქსიმინო კონდეს ამბავი აღგეწერა. მიამბო თუ არა ოიარსუნმა, მაშინვე შენთან გამოვიქეცი, გული ამოვარდნაზე მქონდა, ხომ ნახე. მაგრამ ყველაფერი წყალში ჩამეყარა. იმას მაინც ვერ უარყოფ, რომ შესანიშნავი სიუჟეტი იყო, ძალიან ადამიანური, და შესაძლოა, ოდნავ უხერხული, მაგრამ განა აუცილებელი იყო ყველაფერი ბოლომდე გეთქვა? არავითარი სასიყვარულო ამბები, ისიც კმაროდა, რომ კაცს საკუთარი გერი შეუყვარდა. მიმიხვდი? ხოლო როცა ქალი დამორჩილდება, ან უფრო სწორად, მინებდება მაქსიმინოს, თუ ვილაცას — არ ვიცი რას დაარქმევდი ამ კაცს რომანში, — ზნეობაზე დააფიქრებდი მას და ამგვარად, წიგნი დიდაქტიკურიც კი გამოვიდოდა. მაგრამ შენი დარწმუნება შეუძლებელია, ძვირფასო, ეს იგივეა, კედელს ცერცვი შეაყარო. „კი“, „არა“, „კარგი“, არც არაფერი მკითხე, არც დაინტერესდი, წესიერად არც მომისმინე, ეს მწყინს ყველაზე მეტად. კაცები ძალიან ქედმაღლები ხართ, ჭეშმარიტებას ეძებთ. ჩვენ კი არაფ გვაგდებთ. რა გიეწყობა, ქალები ცხოვრებაში ათქვენზე უკეთ ვერკვევით. ხომ ვიცი რა წიგნებსაც კითხულობენ ჩემი ამხანაგები, შენ კი, ცოტა წიგნი ექნებათ წაკითხული, თანაც ქარდვით ამბობ. არ ვამტკიცებ, ბევრს კითხულობენ-მეთქი. ესტერის გარდა, სხვებს გაზეთის წაკითხვის დროც არა გვაქვს. სამაგიეროდ, მათი წაკითხული წიგნები არც ომზეა, და რაღა თქმა უნდა, არც სოციალურ პრობლემებზე. ვნებებსა და სიყვარულზე წერია ამ წიგნებში. გასაგებიცაა, ძვირფასო, სიყვარული ხომ მარადიული თემაა, შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ. გაიხსენე დონ ჟუანი. ეს ხომ უკვდავია და არა დროებითი მოდა. ერთი მითხარი, უსიყვარულოდ რა დაემართებოდა სამყაროს! არ იარსებებდა, ბუნებრივია. მისი არსებობა დასრულდებოდა.

9

„ამისთვის ემსგავსა ხასუფეველი ცათაი კაცსა მეუფესა...“*. რა მეფე, რის მეფე, ათასჯერ მიკითხავს შენთვის. თუ მონარქია არაფერს ნიშნავს, მაშ რად დააწყე ერთი ამბავი ხოსეჩუ პრადოს? ნურაფერს მეტყვი ხოსეჩუზე, მა-

1-2. ესპანური მარკის ძვირფასი ავტომობილები.

* სახარება მათესი, XVIII, 23.

საჯით კარგები კოტანი არიან, აქაური მკვიდრია, პრადოების ოჯახი ყველაზე ცნობილია ჩვენში, ომის დროს მოწინავეთა რიგებში იბრძოდა, უმეტესად პატრიოტია, რაც გინდოდა ასეთი ამბის ატეხვა. რად არ ისე... ბოლოს და ბოლოს ის იყო თავმჯდომარე, თუ როგორ ქვია? შენ არაფერი გესმოდა, თავისი საქმისა თვითონ იცოდა და მასვე ეგო პასუხიც. არა? შენ ... ითლიცი და ითვლიდი. არ ვიცი როგორ გეყო გამბედაობა მას ... ღენი ხდობა გამოგიცხადეს. პატივცემულ პირად გცნეს. შენ უგულოდ დაახმდი მარიო, და მაშინვე გადაწყვიტე, აყალმაყალი ატეხა, ამაში ვერავინ გადამარწმუნებს. თუ ხოსეჩუს მოეპრიანა ეთქვა, ოთხმოცდაათმა პროცენტმა ხმა მისცაო, ოთხმა პროცენტმა წაშალა, ექვსმა კი თავი შეიკავა, სუფთა ბიულეტენები ჰქონდათო, ვაუ რა ქვია... ჰოდა კეთილი, თავმჯდომარე თვითონ იყო, არა? თუნდაც ეცრუა, ბოლოს და ბოლოს შენ რაში გეკითხებოდა? მაგრამ არა, ავივე ამბავია, რაც ერნანდო დე მიგელის გოჭი ან შენი ჩხუბი ფიტოსთან. ფქულმართი ხარ, ძვირფასო, ეს შენი ბედისწერაა. თუ თვალში არ მოგდიოდა ყოველივე (რაც ამის ... ღირდა), თავაზიანად, ზრდილობიანად შეგეძლო გეთქვა ზედმეტების გარეშე, მაგალითად, ასე: „არ მომწონს, მაგრამ ვემორჩილები უმრავლესობის გადაწყვეტილებას", მაშინ ყველა კმაყოფილი დარჩებოდა. ბოლოს და ბოლოს ესაა დემოკრატია, თუკი სწორად გესმის საკითხი. შენ კი „არ შემიძლია ამას დავეთანხმდეო", — ხმამაღლა განაცხადე, დიდი ასოებით, შენს წიგნებში რომაა, ისე, ყველას გასაგონად, მდივნამდეც რომ მიგეწვდინა ხმა. სათქმელს თუ არ იყვირებ, გასკდები, ითვლი და ითვლი ხმებს, თუ არ დაგითვალიერთ, აქმიც არ იქნებაო, ეს ხომ შანტაჟია. მუდამ გამომწვევად იქცეოდი, მარიო, სიამოვნებას გგვრის აურზაურის ატეხვა, მთელ ქალაქს ებრძვი. ყველამ რომ იქვას, თეთრიაო, შენ მაინც შავიაო, იტყვი, რადგან ასე გეპრიანება, კარგად გიცნობ. ასე არ შეიძლება, მარიო, რა უბედურებაა. როცა იმქვეყნად ცხოვრობ, უფრო მოქნილი და ამტანი უნდა იყო, თქვენ ბევრს ლაპარაკობთ შემწყნარებლობაზე, მერე კი იმას აკეთებთ, რაც მოგეხუშტურებათ. მთელი ცხოვრება რესპუბლიკელი რომ ყოფილიყავი. მტკიცე რესპუბლიკელი, კიდევ ავიტანდი, შენ კი სულ გაიძახი, რესპუბლიკა და მონარქია მხოლოდ სიტყვებიაო, მათ შორის განსხვავება არაა, მთავარია მათ უკან რა იმალებაო. რად ჩაიდინე სისულელე, იქმს ხელი რად არ მოაწერე? ასე უდიერად რად მოექეცი ხოსეჩუ პრადოს, რომელსაც ჩვენთვის კარგის მეტი არა გაუკეთებია? უმადურობაა, დამიჯერე. ვისენტე როხომ თქვა, საწყალი ხოსეჩუ განადგურებული მივიდა კლუბში, გაფითრებულით, ენადაბმულიო. რამე რომ მოსვლოდა, ხომ საშინელება იქნებოდა. გაიხსენე მამაშენი. დამბლა დაეცა მხოლოდ იმიტომ, რომ მოსამსახურემ უხეშად მიმართა. სალოდავმა ნახევარი ცხოვრება ინვალიდის სავარძელში გაატარა. მეტი სიფრთხილე გმართებს, მარიო, შე სულელო, შეიგნე, ჩხუბით ვერაფერს მიაღწევ, ჩვენ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ხოსეჩუ ძალიან კარგი კაცია, მაგრამ მასაც აქვს თავმოყვარეობა, ხალხნი ვართ. მანი ის შემთხვევა დაგიმახსოვრა. გაიხსენე ჩვენი სახლის ამბავი. თუ ტკბილად მოექცევი, თავს განაცვალებს, თუ უმტრობ, შენს თავს დააბრალე. იცი რა თქვა იხინიო ოიარსუნმა? მთელს ქვეყანას მოსდო, ხოსეჩუ გაიძახის, მარიო პეროტანელია და იმ დღეს ცემით თუ არ გავხეთქე, მხოლოდ ჩემი და კარმენის მშობლების მეგობრობის ხათრითო. არ ვიცი, როგორ მოახერხე, მაგრამ მთელი ქალაქი აიმხედრე, ძვირფასო, აი, რა მემკვიდრეობა დაგვიტოვე, ახლა ნამა რომ არა, იმ პენსიით უნდა ვცხოვროთ. ბიჭის ქირადაც რომ არ მეყოფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. აი ესაა ცუდი. სასაცილოა შენი აზრი, სიმართლით ყველაფერს მიაღწევო. შენთან დავა ხომ არ შეიძლება. ერთი მითხარი, შენ რას მიაღწიე, ძვირფასო? ყველას მანქანა ჰყავს, შენი ცოლი კი ფეხით დაწანწალებს. არაფერი გაბადია. ღმერთო, შემეწიე! მელქიორის დანა-ჩანგლის გარდა ვერაფერს ვეღირსეთ, შერცხვენია ამაზე ლაპარაკი. გგონია ესაა ცხოვრება? გულზე ხელი დაიდე, მარიო, გჯერა რომ ბევრი ქალი აიტანდა ამ სატანჯველს? გეტყვი სიმართლეს, მაგრამ ვერ ვიტან, რომ არ მეთანხმები, რომ ცოლქმრული ცხოვრების ოცდასამი წლის მანძილზე ერთი სამადლობელი სიტყვა ვერ გამოიმეტე. თუმც იყვნენ სხვა მამაკაცებიც. ხომ, იცი მარიო. არჩევანი დიდი მქონდა. ახლაც ბევრს მოვწონვარ, გათხოვების შემდეგაც არ დამკლებია ყურადღება. რა თქმა უნდა, ვხუმრობ, მე ოჯახის ქალი ვარ, ისეთი, როგორიც უნდა იყოს ნამდვილი ცოლი. ამით სარგებლობ და სიმშვიდეს ეძლევი. კაცები ჯვრისწერისას ერთგულების გარანტიას იღებთ, ყიდულობთ მოსამსახურეს, ყაირათიან ქალს. მეტი რა გინდათ? ეს ძალიან ხელსაყრელია, თქვენთვის შექმნილა ქვეყანა, იმას აკეთებთ, რაც მოგესურვებათ. როცა დავქორწინდით, მითხარი, შენსავით უმანკო ციყავიო. ერთი დამიხედეთ ანგელოზს, ეგ ზღაპრები სხვებს მოუყევი. თანაც დასძინე, ამისათვის მადლობას ნუ მეტყვი, ჩემი მორცხვობის ბრალიაო. ვითომ არ გიცნობდეთ კაცებს, ყველანი ერთნაირები ხართ. შენ კი არ იშლიდი, ამის დასტური ჩემი გამოუცდილებააო წმინდანად მოგქონდა თავი. საქმე ისაა, რომ ზნედაცემულსა და წესიერ ქალს შორის ჯერ კიდევ არსებობს განსხვავება. კაცებს კი რაღაც ღირსება შენარჩუნებული გაქვთ, რაც ცოლის შერთვისას ძჟღავნდება, არც მეტი, არც ნაკლები. შენ და უმანკო! მთლად სულელი გგონივარ, მარიო, ძვირფასო? განა იმის თქმა მინდა, გარყვნილი იყავი-მეთქი, სულაც არა, მაგრამ დროდადრო რაღაცების უფლებას ხომ აძლევდი თავს..., შემდეგ მადრიდში, საქორწინო მოგზაურობის დროს, როგორ დამამცირე, აბუჩად ამიგდე. მეშინოდა კიდეც, ვიცოდი რაღაც უცნაური უნდა მომხდარიყო შვილების გასაჩენად. მეგონა, ეს რაღაც ერთხელ ხდებოდა და ბედს დავმორჩილდი, რაც იქნება, იქნება-მეთქი. შენ კი დაწექი და ვითომ გვერდით პოლიციელი გყოლოდა, ძილი ნებისაო, მითხარი. ასეთი გულგრილობა წარმოუდგენელია. ვალენისთვისაც არ მიამბნია, ვალენი ესტერისნაირი ხომ არაა. თუმცა ესტერთან დიდი ხანია ვმეგობრობ, სულ სხვანაირია, ვალენისავით არ შეუძლია გამიგოს. არსებობს ოდნავ პიკანტური თემები, რომელზეც ესტერთან ვერ ილაპარაკებ. თავი მოაქვს. თანამედროვე და ნაკითხი ვარო, სინამდვილეში კი ჩამორჩენილია. იცი, ბევრჯერ მიფიქრია, თქვენ შესანიშნავად შეეწყობოდით ერთმანეთს, ერთიმეორისათვისა ხართ გაჩენილები, ერთი ჩამოსხმისანი. ესტერი ჭკვიან კაცად გთვლის, თან უცნაურ წიგნებს კითხულობს, სქელტანიანებს, სხვას რომ გაუჭირდებოდა წაკითხვა. მახსოვს შენს „მემკვიდრეობაზე“ სიცილით კვდებოდა ვალენი, ჭკუისკოლოფი ესტერი კი გაიძახოდა, სიმბოლური წიგნიაო. აბა რა გაეგებოდა! როცა დეპრესია თუ ის რაღაც დაგეწყო, აუტანელი გახდი, სულ გარყვნილებასა და ძალადობაზე ლაპარაკობდი, ვალენი მეუბნებოდა, როგორ შეიძლება ასე პესიმისტურად უცქირო ყველაფერსო! ესტერი კი ამტკიცებდა, მშვენივრად მესმის მისიო. ჩვენ ჟურნალებში მხოლოდ იმას ვკითხულობთ, პრინცესები როგორ ატარებენ არდადეგებს და კონგოში რა მკვლელობები მოხდაო. სიტყვისთვის ჯიბეში არ ძვრება, ძვირფასო, ბევრს არ ლაპარაკობს, მაგრამ პირის გაღება და განაჩენი ერთია, ღმერთო, რა პატივმოყვარეობაა! წინასწარმეტყველს მოგაგონებს. მარიო გულში ბევრ რამეს ინახავსო,

თქვენ გამომჟღავნების სურვილს ნუ უკლავთო. თქვა და მორჩა, თითქოს მე მიმიძღოდეს რაიმეში ბრალი. ისე მეჩქარებოდა შენთვის მაქსიმინო კონფის ამბავი მეამბნა, მაგრამ ამაოდ, თვით რომ შემძლებოდა წერა, რა რომანს გამოვიდოდა, მარიო! საქმე ისაა, ესტერს ფლოსტებში არ უნახიხარ. კაცები მაშინ უნდა გნახონ, ფლოსტებს რომ იცვამთ და ნიღაბს იხსნით. ყოველთვის, როცა ამ თემაზე ვლაპარაკობთ, დედაჩემი მახსენდება, ღმერთმა აცხონოს, მარიო. ის ამბობდა, ქორწინებამდე ქალმა თავის საქმროს რამდენიმე თვე ფლოსტებიანს უნდა უყუროს, ამით იგი ბევრი იმედის გაცრუებას აიცდენდაო. გამიგე, მარიო, დედაჩემი ყველაფერში ერკვეოდა. აი, ამას ქვია გამოცდილება. თექვსმეტი წლისას გგონია ყველაფერი იცი, სხვისი აზრი მონაჩმახად მიგაჩნია. მერე ხდება რაც ხდება, ყველანი ერთნაირად წავიმტვრევთ ხოლმე ცხვირს. არ გეგონოს, ვწუწუნებდე, მაგრამ გავარკვიოთ. როცა პირველად ზურგი შემაქციე და ძილი ნებისაო, მითხარი, პირდაპირ გამაცია. ასე საშინლად არასდროს მიმქცევია ვინმე. თავი სოფი ლორენი არ მგონია, მაგრამ ამისთანა აბუჩად აგდებასაც არ ვიმსახურებ. პაკიტო ალვარესი ასე არასდროს მომექცეოდა, ელისეო სან ხუანზე აღარ ვლაპარაკობ. შორს რომ არ წავიდეთ, არც ევარისტო, თუმცა ის ნამდვილი დეგენერატია. ამბობენ, ერთი ჩემოდანი ქათმის ბუმბული, სარკეები და უცნაური რამეები აქვსო, ამიტომ ვამბობ ამას. ჩემთვის ახალი ამბავი როდი იყო, მუდამ მესმოდა, ეს ლამე შეჯიბრიაო, სიამოვნება არ არისო, მაგრამ არავისგან მსმენია, ვინმეს ზურგი შეექციოს ქალისათვის და ძილი ნებისაო, ეთქვას. იქნებ ჩემი პატივისცემით მოიქეცი ასე. ზოგჯერ შენში მხეცი უნდა დათრგუნო, რადგან მოგვწონს თუ არა, მაინც ცხოველები ვართ, მარიო, რომელთაც ჩვევები გააჩნიათ. ქალს კი, როგორი მტკიცე პრინციპებიც არ უნდა გააჩნდეს, ასეთ შემთხვევაში უხეშობა ურჩევნია მსგავს შეურაცხყოფას. შენ კი მე მიცნობ. რაც გინდა თქვი, მარიო, მაგრამ ათასი წელი რომ ვიცხოვრო, ის ღამე არ დამავიწყდება. პადრე ფანდო ამბობს, ასეთი ქცევა თავაზიანობააო. მას შემდეგ არც გავკვირებივარ, რას სჩადიან ახალგაზრდა მღვდლები, არაფერი ენაღვლებათ, მხოლოდ მუშების ხელფასი ადარდებთ. თავს დავდებ, მათ ის უფრო აშფოთებთ, მეპატრონემ უარი არ თქვას ხელფასის გადახდაზე, ვიდრე ვინმე სხვის ცოლს ეხვეოდეს. აი, სადამდე მივედით, მარიო. ძნელია ამის აღიარება, მაგრამ მორალი დაგვეკარგა. არადა სულ წყეული ეკლესიის ბრალია ყველაფერი, უმისოდ რა მშვიდად ვცხოვრობდით! ამბობენ, პროტესტანტებმა სამლოცველო უნდა გახსნან აქვე კუთხეშიო. ნუთუ მთლად შევიშალეთ? ჩვენ ხომ ხუთი შვილი გვყავს, მარიო, მშვიდად როგორ გავუშვათ ქუჩაში? ამაზე ფიქრიც არ მინდა. ეს იმიტომ ხდება, რომ რიგიანად არ იქცევით. ხალხს, რომელიც საიქიოზე არ ფიქრობს, არც პრინციპები გააჩნია და არც არაფერი. გაიხსენე რა ხდებოდა ჩვენს სახლში, მარიო, გთხოვე გეამბნა იმდროინდელი თავგადასავლები, როცა უცოლო იყავი, თუმც გული მტკივა, ყველაფერს წინასწარ გპატიობ-მეთქი. მეგონა ასე აჯობებდა, მზად ვიყავი ბოლომდე განმეცადა ტკივილი. შეიძლება სულელი ვარ, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებ. ერთ დღეს უცებ მომინდება ყველას შევყუნდო, ასეც ვაპირებდი, გეფიცები. მოგისმენდი, მერე გაკოცებდი, გეტყოდი რაც იყო, იყო-მეთქი, მაგრამ დადუმდი, საკუთარ ცოლსაც კი ყველაფერი დაუმალე. ესა მწყინს ყველაზე მეტად. როდესაც ჩაგაცივდი, დიდი ასოებით როგორც შენს წიგნებშია ხოლმე, მიპასუხე: „მეც შენსავით უმანკო ვიყავი, მაგრამ მადლობას ნუ მეტყვი. ეს ჩემი მორცხვობის ბრალია". როგორ მოგწონს? შენს უნდობლო-

ბას მოთმინებიდან გამოვყავარ, მარიო. გაიგე ერთხელ და სამუდამოდ, იმ ღამით სიმართლე რომ გეთქვა, გეფიცები, ყველაფერს გაპატიებდი, რადაც უნდა დამჯდომოდა. თუნდაც ის, ენკარნასთან ერთად მადრიდში რომ იყავი... საკმაო მიზეზი მაქვს, მასზე ცუდი ვიფიქრო. არ ვამბობ, ახლა-მეთქი, მაგრამ ოცდახუთი წლის წინათ იგი ლუდითა და კიბორჩხალებით არ დაკმაყოფილდებოდა. ალარ მიმტკიცო, მარიო, სულელი ხომ არა ვარ. იქნებ გგონია, არ ვიცნობ ენკარნას? ასეთი წარმატების შემდეგ მეტი რაღა გინდოდა, სადღა წაყევი? რაც არ უნდა თქვა, ენკარნა უწესო ქალია. მაზლებთან სხვაგვარად უნდა დაეჭირა თავი, თუნდაც ელვიროს წმინდა ხსოვნის გამო. ხოსე მარიას ქვრივი რომ დარჩენოდა, სულ სხვა საქმე იქნებოდა თითქოს, მაგრამ სულაც არა, ხოსე მარია ხომ ურწმუნო იყო! როგორც გინდა გავჩუმდეთ, მაინც არაფერი დაიმალება, მარიო, სამყარო პატარაა. როგორც საცოდავი დედაჩემი იტყოდა. რაც შეეხება ენკარნას, თუმცა თხუთმეტი წლის წინანდელი ამბავია (არ ვამბობ თავზე გადასდის ან მუშაობა დაიწყოს-მეთქი, ღმერთო, დამიფარე), მაგრამ ვიცი ფულს რომ აძლევდი და ის იღებდა. უფრო გარკვევით თუ გინდა, შემიძლია ადგილი და თარიღი დაგისახელო. ქალი ჩუმ-ჩუმად ყველაფერს ირკვევს.

10

**[ამინ გეტყვი თქუენ: რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა იგი მე მიყავთ*].** იცი რა, მარიო, ყოველთვის მომწონდა პატარა რეაქციონერს რომ მეძახდი, ვფიქრობ, ჩემი გამოხდომების გამო ამბობდი ამას, აბა სხვა რა მიზეზი გქონდა. გახსოვს ახალგაზრდობაში პაკო რომ მეარშიყებოდა, ჩემო პატარაო, იმეორებდა მისამღერივით იმ დროს, მართალი რომ ვთქვა, რა თქმა უნდა, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ვერც ვამჩნევდი, წესიერად ლაპარაკი რომ არ ეხერხებოდა. ეს იმიტომ, რომ, როგორ ვთქვა, უბრალო ოჯახიდან იყო, და თუ კარგად დაუკვირდები, ცოტა ხეპრეც გახლდა, მაგრამ ისეთი მხიარული, მასთან დროის გატარებას არაფერი ჯობდა თანაც ასე შეყვარებული კაცი არასდროს შემხვედრია, მახსოვს, როცა შენს მეგობრებს გადავეყრებოდით, ველური არმანდო თითებს რქებივით დაიდგამდა და ზმუოდა. პაკო კი ამბობდა, ჩემო პატარავ, მიურას ხარებს არენაზე თუ გამოუშვებენ, მხოლოდ იმიტომ შევებმები, გიჩვენო, რა არის ვაჟკაცობაო. ტრანსი სიცილით კვდებოდა. არ ვიცი პაკოში რა ნახა ამისთანა, მაგრამ ყველაზე წინ აყენებდა. შენს თავს ბებრებიც კი ერჩია, არაფრად აგდებდა, მოაშორე აქედან, ვერა ხედავ, ჩიტების საფრთხობელასა ჰგავსო, მეტყოდა ხოლმე. თავდაპირველად, შენი წასვლის შემდეგ ტუჩებში მკოცნიდა ძალიან მაგრად, უცნაურად, კაციეით. მენჩუ, სიცხე გაქვს, ხვალ გარეთ ნუ გახვალო. არ ვიცი ეჭვიანობდა თუ რა, გამიგე? გულახდილად რომ ვთქვა, ტრანსის ბედი არ სწყალობდა. რაღაც ნაკლიც ჰქონდა (ანკი ვის არა აქვს ნაკლი), მაგრამ ბევრი კარგი თვისებაც გააჩნდა, თუნდაც, სიცხე გაქვსო, რომ მეუბნებოდა. ამ ასაკში სხვა ვინ გამოიჩენდა მსგავს ყურადღებას. არ ვიცი რისთვის და რატომ, მაგრამ პაკო ალვარესზე ჭკუას ჰკარგავდა, ძალიან ერთობოდა მასთან, სიტყვებს უსწორებდა, პაკო ხომ დამახინჯებულად მეტყველებდა. ტრანსი მას მუშას ეძახდა, მხოლოდ ჩემ გასაგონად, რა თქმა უნდა, ისე შეხმატკბილებულები იყვნენ, რაც მეტად მაოცებდა. თუმც კარგად რომ დაჰკვირვებოდი, პაკო ყოველმხრივ გაუთლელი კაცი

---

* სახარება მათესი, XXV, 40.

იყო. არ ადარდებდა მარცხნიდან ამომიდგებოდა გვერდით თუ მარჯვნიდან. წარმოიდგინე, იმხნის კაცი წამდაუწუმ „ჩემო დედიკოო“ გაიძახოდა. თუ ამას არ მივაქცევთ ყურადღებას, როგორც მამაკაცი, საკმაოდ მიმზიდველიც ჩანდა/ ახლა კი ლაპარაკიც ზედმეტია, ჰალარა მსახიობს ჰგავს. ყოველთვის უხეში კაცები მოგწონდი, ელისეოს, ევარისტოს, პაკოს და მათ მსგავსებს. ვალენი ამტკიცებს, რომ ასეთ კაცებს ხორცსავსე ქალები იზიდავთო. მაგრამ მე, თუ ჩვენს ქმრებს არ ჩავთვლით, არასდროს ვყოფილვარ მსუქანი, ასე არაა? ახლა კი რაღა... მაგრამ ნეტა განახა ელისეო სან ხუანი, ჩემ დანახვაზე თვალები უელმდება. თუ ცისფერი სვიტრი მაცვია, მოგრჩა, რა კარგი ხარ, რა კარგი ხარ, დღითი დღე უფრო მშვენდებიო. ცუდადაა მისი საქმე, მარიო, თვალს არ მაცილებს. და კიდევ ეს ყბა, ეს ჩახლეჩილი ხმა, ეს განიერი მხრები, მართლა გამაგიჟებს. პაკიტო ალვარესი მუდამ მშვენიერი იყო, ვერ ვიტყვი დახვეწილი-მეთქი, რა ვიცი! უფრო რბილი, უფრო თავაზიანი. მერე რა თვალები აქვს! მსგავსი არაფერი მინახავს, გეფიცები. მწვანე თვალები ხომ ძალზე იშვიათია, კატის თვალების ან აუზის წყლის ფერი. სიფაქიზეც არ აკლია, კარგადა ვარ დაკვირვებული. ზოგჯერ უხეშიც იყო, მაგრამ მისი ბუნებრივი თავაზიანობა მუდამ იმარჯვებდა მის მდაბიო წარმოშობაზე. ახლა უნდა ნახო, სენიორია, ნამდვილი სენიორი. მახსოვს, ბავშვობაში, ტროტუარზე ასვლა-ჩამოსვლისას ხელს მაშველებდა ხოლმე, თითქოს შემთხვევით. ქალს სიამოვნებს კაცი ყურადღებას რომ აქცევს მის უმწეობას. ერთი რამეც, რაც შენთვის არ მითქვამს, მარიო. ერთხელ, დაახლოებით ორი კვირის წინათ, უფრო ზუსტად, 2 რიცხვში, პაკომ თავისი „ტიბურონით“* ცენტრამდე მიმიყვანა. ეს უზარმაზარი მანქანაა, მსგავსი არა გენახოს. ავტობუსის გაჩერებაზე რიგში ვიდექი და უცებ ჩემ წინ, პირდაპირ, როგორც კინოში, ჩემ წინ მანქანამ დაამუხრუჭა. ათასი წელია პაკიტო არ მენახა, არც დაიჯერებ, გავწითლდი. წარმოიდგინე, რა საშინელებაა, გულზე ვსკდები, როცა ვგრძნობ, ვწითლდები და არაფერი შემიძლია ვიღონო. იმას კი ვერც იცნობდი, რა ხმა, რა რიხი, რა მანერები, სულ სხვა პაკო, მარიო. ცენტრში მიდიხარო? კი-მეთქი. სხვა რა მეთქვა, მაგრამ არ გავნძრეულვარ, რადგან ჩემ გვერდით კრესენტე იდგა თავისი მოტოროლერით და თვალს არ მაშორებდა. პაკომ კი გადაჭრით მითხრა, წაგიყვანო. დაუფიქრებლად შევძვერი მანქანაში. რა მანქანაა, მარიო, მარტო სიზმარში თუ ნახავ! თავბრუ დამეხვა, ორმოებსაც ვერ ვგრძნობდი. პაკო ისე თავდაჯერებულად ატარებს მანქანას, თითქოს მთელი ცხოვრება სხვა არა ეკეთებინოს. მე კი სულელივით ამივარდა გულისცემა მხოლოდ იმიტომ, რომ მანქანაში უცხო მამაკაცთან ვიყავი გამოკეტილი. პაკო სულ სხვა კაცია ახლა, როგორ საუბრობს, მარიო! სიტყვაძუნწია, მაგრამ ყველაფერს ზუსტად ამბობს, ნახევარტონებში, უმიმიკოდ, როგორც რიგიან ხალხს სჩვევია. კაცები ბედნიერები ხართ, ასაკი გამშვენებთ. ვინც ოცი წლისა არაფერს წარმოადგენს, კიდევ ოცი წელი მოუწევს დაცდა. მაგალითად, პაკო, გამართულად ლაპარაკობს, თანაც როგორი მამაკაცურია, ბავშვობაში ისე ქერა იყო, ჩვილ ქრისტეს ჰგავდა, ოდნავ სუსტი აღნაგობის. ახლა შორიდანაც ჩანს, რომ ცხოვრებისთვისაა გაჩენილი. მითხრა, შენზე ასაკი არ მოქმედებს, პატარავ, ისეთივე ხარ, როგორც მაშინ, ასერაზე რომ ვსეირნობდითო. რა სისულელეა-მეთქი, სხვა რა უნდა მეთქვა, ოცდახუთი წელი არ მენახა ბავშვობის შემდეგ. ვერცხლის ქორწილივით იყო ჩვენი შეხვედრა. საუბრის თემა რომ შემეცვალა, რა შესანიშნავი მანქანაა-მეთქი, ვუთხარი. მან კი, შენ რომ შიგ ზიხარ,

* საუკეთესო მანქანის მარკა

უფრო უკეთესიაო. იტყვი, ჩვეულებრივი ქათინაურიაო. მერედა, ხომ საშინლად ვიყავი ჩაცმული. არ ველოდი ამ შეხვედრას, მაგრამ ყურადღება ყოველთვის სასიამოვნოა. როგორც კი გავჩუმდით, შეპარულად დამიწყო ცქერა, განა თავხედურად, მაგრამ მაინც. შორი გზიდან მოიარა, ვიდრე [illegible]ნამდე მიმიყვანდა. კრინტი არ დამიძრავს, თითქოს ვერას მივხვდი. მშვენივრად ვიცი, რომ ცოლი ჰყავს და ერთი დუჟინი შვილები. მეც [illegible] თავი მოვისულელე. შემდეგ, დამშვიდობებისას, თვალებში ჩამაცქეროდა, კარგა ხანს ეჭირა ჩემი ხელი. ხომ ხედავ, ახლა პაკო სულ სხვა კაცია, მარიო, წარმოსადეგი, თავდაჯერებული. საოცარია ასეთი ცვლილება. ომის შემდეგ რამდენიმე წელი მადრიდში დაჰყო და იქ ნაცნობები შეიძინა, გაიგე? თვითონ მითხრა. ახლა კი დაინტერესებულია მშენებლობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთების ბიზნესით, თუ რა ვიცი, როგორ ქვია. რა თქმა უნდა, მუდამ გამრჯე იყო, ომის დროს შესანიშნავად იქცეოდა, კარგი ბიოგრაფია აქვს — დაღუპული ძმა, ყუმბარის ნამსხვრევი მკერდში და კიდევ ათასი ჭრილობა, უამრავი დამსახურება. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი ბიჭი ამდენს მიაღწევდა. რა არ ხდება ქვეყანაზე. იმას რომ გავყოლოდი ცოლად, ახლა ჩემს გემოზე ვიცხოვრებდი. გაგეცინება, მარიო, მაგრამ დღეს ხალხს ქვეყნის ფული აქვს. ყველაზე მეტად ის მაცოფებს, რომ შენი ტვინის პატრონმა ტიბურონი კი არა, „სეისსიენტოსიც" ვერ შეიძინე... „სეისსიენტოსი" ახლა მელიფტეებსაც აქვთ, ძვირფასო, ხომ ხედავ, კვირაობით ქუჩაში მათხოვრები დადიან და კიდევ ჩვენ. ამით არაფრის თქმა არ მინდა, მარიო, მაგრამ პაკოს ამბავმა დამაფიქრა. ღმერთისგან მომადლებული ნიჭის უქმად ფლანგვა ცოდვაცაა. „ელ კორრეოში" წერით რას მიაღწევდი, ვერც ვერავის არგებდი რამეს, დროის კარგვა იყო. შეხედე პაკოს. თვითონვე ვაღიარებ, რომ პაკოსთან შეხვედრამ განმაცვიფრა, პუნებრივიცაა, რა ხანია არ მინახავს. თუმც შენ გარდა ჩემთვის კაცი არ არსებობს, მერწმუნე, მაგრამ ქალს სიამოვნებს, როცა ვინმეს მოსწონს. იცი, მარიო, როგორ მიცქეროდა? დამშვიდობებისას არ ვიცოდი რა მექნა, გეფიცები, არ მივბრუნებულვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თვალს არ მაშორებდა. გული დამწყდა ცუდად რომ მეცვა. განა არა მაქვს სხვა ტანსაცმელი, მაგრამ მაინცდამაინც მაშინ... წინასწარ რომ მცოდნოდა..., კიდევ კარგი, კაცები ასეთ რამეებს ყურადღებას არ აქცევენ. როცა ხელი დამიჭირა, სულ ვფიქრობდი, ნეტა ღილებზე არ შემხედოს და არ მიხვდეს, პალტო გადაბრუნებული რომ მაქვს-მეთქი. ოფლმა არ დამასხა, რა თქმა უნდა, ახლა ბევრია ამის საწინააღმდეგო საშუალებები. მაგრამ მახსოვს, ახალგაზრდობაში, მის ყოველ ხელის ხლებაზე ტრანსის გადავუჩურჩულებდი, მთლად სველი ვარ-მეთქი. ის სულელი სიცილით იფხრიწებოდა, საცოდავი პაკო კი ეკითხებოდა, რა გაცინებს, პატარავ, იქნებ თქვა, თუ საიდუმლო არააო? მე კი გასაწყური ვიყავი. არ მინდა აღვნიშნო, თითქოს პაკომ ხელი რომ დამიჭირა, რაიმე შეიცვალა ამით, მაგრამ იცოდე, ეს თავაზიანობაა. შენ ასე არასდროს მომქცევიხარ, ძვირფასო, ყოველთვის ცივი იყავი. განა ვამბობ უნდა გეკოცნა-მეთქი, ამას არც შენ და არც სხვას არ ვაპატიებდი, ესლა მაკლია, ოღონდ ცოტა მეტი სითბო რომ გამოგეჩინა... მაგრამ საქმეში ხარ! მეუბნებოდი, ჩემო სიყვარულო, ჩემო სიცოცხლეო. სულ ტყუილად. რა ქორწინების ღამე გვქონდა! თავაზიანობაო. მეცინება ამის გაგონებაზე, ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდი, აი, ვალენმა სისხლი დაღვარა. იძულებული ვიყავი მეთქვა, მეც ასე მომივიდა-მეთქი. სირცხვილით როგორ გავამხელდი ზურგი შემაქცია-თქო? მეტსაც გეტყვი, აგერ არმანდო და ესტერი... ჩემო კარგო. თუმცა ეს ქალი ძალიან ჭკვიანია. მაგრამ არმანდოს

მუდამ ხელში ედო მისი ხელი, ჰოდა, იმიტომაც მისთხოვდა, ზუსტად ასეა. სიყვარულიც კი არ აუხსნია. აი ანეკდოტი. ესტერი გულისწადილს მიუხვდა და აქედან დაიწყო ყველაფერი. მე ამაზე არ წავიდოდი, ლაპარაკიც ზედმეტია, ყველაფერში წესრიგი მიყვარს, მარიო. ნიშნობის გამოცხადება ცოლ-ქმრისათვის მთელი სიცოცხლე დალოცვას ნიშნავს. ამასვე ამბობდა საცოდავი მამაჩემიც. ყველაფერს თავისი დასაწყისი უნდა ჰქონდეს. დაუკვირდი, [illegible]თალია! ნიშნობა უმნიშვნელოვანესი რამაა, მარიო. ამ ნაბიჯზე მთელი ცხოვრებაა დამოკიდებული. ბევრს არ ესმის, მომწონხარ, მოგწონვარ და მორჩა, ზოგს გასართობად მიაჩნია ეს ამბავი, იმიტომაც ეცარებათ მერე ხელი. როგორც გინდა თქვი, სითბო მთავარია. ნახე, არმანდო თხუთმეტი წელია რაც დაქორწინდა, მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დღესაც ვერ იტანს მის ცოლს რომ შეხედავს ვინმე. მახსოვს იმ საღამოს ატრიოში, ბარში რა ამბავი ატეხა, არადა, საცოდავ ესტერს ვინ შეხედავს. მაგრამ მოვეშვათ ამას. არმანდო ფიცხი კაცია, ასეთიც უნდა იყოს კაცი. რა დღე დააწია მხოლოდ იმიტომ, რომ ესტერს თვალი ჩაუკრეს. ყველაფრის სურვილი დააკარგვინა იმ ტიპს. ქვევრდოშიც, როცა ჯერ კიდევ დანიშნულები იყვნენ, შავი დღე დააყარა ვილაცებს. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ჩხუბობდა. ერთ ტიპს მაგრად მოხვდა მხოლოდ იმისათვის, რომ გვერდით ჩავლისას ესტერს შეაბოლა, წარმოიდგინე, მხოლოდ ამის გულისათვის. ამიტომაც მომწონს არმანდო, თუმცა უხეშია, მაგრამ სამაგიეროდ ნალდი ტრადიციების მიმდევარი, პრინციპი აქვს ასეთი. ქალებს მოგვწონს, ძვრფასო, გაბედული მამაკაცები, ვინც თავის საკუთრებას დაიცავს, ვინც მკვლელობასაც ჩაიდენს ჩვენი გულისათვის. განა ასე არ იქცევით სამშობლოსათვის? იგივეა, მარიო, თუ შეიგნებ, რომ საცოლე და ცოლი ხელშეუხებელია. მაგრამ შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, შენი მჯერაო, მშვენივრად იცი შენი მოვალეობაო. რა კარგია! თუკი დამავიწყდა? თუ ერთ მშვენიერ დღეს აღარ მომინდა მოვალეობის შესრულება? კაცებს რა ენაღვლებათ, დაგლოცავენ, მოგცემენ ერთგულების გარანტიას და მშვიდ ძილს მიეცემიან. მუდამ ასეა. მაგრამ ზოგჯერ კაცმა უნდა მოიპოვოს ერთგულება, თუ საჭიროა, მუშტითაც. აი, თუნდაც არმანდო, მის ცოლს შეხედვას ვერ გაუბედავენ, მისი გულისათვის არაფერზე დაიხევს უკან. უმეტესობა არმანდოსავით იქცევა, დამიჯერე, პაკოზე ვერას ვიტყვი, კარგი ხანია არც მინახავს, მაგრამ ერთი შეხედვაც საკმარისია, მიხვდე, რა კაცია. თუნდაც ომის დროს როგორ ისახელა თავი, მთელი სხეული დაცხრილული აქვს. ვიცი, გული გაგიწყალე, მაგრამ დაუსრულებლად გავიმეორებ, ჯიქო, რომ ღირსეული საქმისათვის შინაგანი ცეცხლი არ უნდა დაიშურო. შენ კი ამის მაგიერ მთელი ცხოვრება სისულელეების ჯღაბნას მოანდომე, რომელიც არც ფულს იძლევა, არც არავის აინტერესებს. მოგეხსენება რასაც ამბობს მამაჩემი, სხვა რამეში არ ვიტყვი. მაგრამ მწერლობაში კარგად ერკვევა. თავს ნუ ისულელებ, ხომ იცი, ამას სიგიჟემდე მივყავარ.

11

**[აჰა კეთილი ხარ მოყვასო ჩემო, აჰა კეთილი ხარ;** თუალნი შენნი ტრედისა.*] მაპატიე, მარიო, გული რომ გაგიწყალე, მაგრამ ეს უბრალო რამ როდია. ჩემთვის სიყვარულის ახსნა მთავარი და მნიშვნელოვანია, დამიჯერე. შენ კი სისულელედ მიგაჩნია. სულაც არაა სისულელე. ნიშნობა კაცისა და ქალის

* წიგნი ქება ქებათა, შეფისა სოლომონისა, 1, 14.

ცხოვრებაში უმთავრესი ნაბიჯია. ცარიელი სიტყვები არ გეგონოს. რასაკვირველია, ეს ნაბიჯი საზეიმო უნდა იყოს, თანაც რიტუალური ფრაზები უნდა ახლდეს. გაიხსენე, რას ამბობდა საცოდავი დედაჩემი. ღმერთმა აცხონოს! ჰოდა, ამიტომ არმანდომ რამდენიც არ უნდა დაიცვას თავისი შეხედულებები, რამდენიც არ უნდა იყვიროს, მაინც ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ახალგაზრდები საცოლე და საქმრო მხოლოდ იმიტომ უნდა გახდნენ, რომ რამდენიმე საღამო ხელჩაკიდებულებმა იარეს. ეს ხომ უსიტყვო მოლაპარაკებაა! ჩემთვის რომ ეკითხათ, არ დავფარავდი, როგორც მწამს, ისე ვიტყოდი. ესტერი და არმანდო ისე უცებ დაქორწინდნენ, ნიშნობაც არ ჰქონიათ, თუ კარგად დაუფიქრდები, ეს ამორალურიც კია, ეს ნიშნავს, კაცმა ქალი შეირთოს მხოლოდ იმიტომ, რომ ხელით შეეხო. ქორწინება წმინდა რამაა, ნიშნობა კი, ძვირფასო, ამ სიწმინდის კარია. ნიშნობის დროს გარკვეული წესები უნდა დაიცვა, უნდა თქვა, მიყვარხარო, მინდა ჩემი შვილების დედა გახდეო, თუმც უხამსობაა, მაგრამ ასეა მიღებული და არ შემიძლია უარვყო, ამიტომაც მოვითხოვ, მარიო, ძვირფასო, გამიგე ყველაფრის რიგიანად კეთება მიყვარს. შენ კი იმთავითვე უგერგილო იყავი, მაგრამ ორ ჭიქას თუ დალევდი, ჭკუა გერეოდა, არადა, გულისგამაწვრილებელი ხარ. გაირიყებოდი პირში წყალს დაიგუბებდი და იცქირებოდი ალმაცერად, წამებულივით. იმ საღამოს, ვალენტინასთან, აუტანელი იყავი, შამპანურის ბოთლის საცობებს ესროდი ფანჯრებს. ნეტა რა თქვა მეეზოვემ. უზნეობა მხოლოდ მდაბიოებს ეპატიება, მარიო. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს კლასები, სულელო. შენთვის კი მანერებიც არასდროს არაფერს ნიშნავდა. თუნდაც უცხო ხალხს რომ ესალმებოდი ქუჩაში, გულზე შემომდიოდა, შენ კი მიდიოდი და შენს საფიქრალს ფიქრობდი, მარიო, ძვირფასო. საცოდავი დედაჩემი იტყოდა ხოლმე, ყველაფერს თავისი დრო აქვსო. ხალხი რა ვალდებულია გრკვიოს დაბნეული ხარ, უზრდელი თუ უსალმო. რამდენი მტერი გაიჩინე სისულელის გამო! სხვათა შორის, შენი წიგნებით და დინების საწინააღმდეგო სვლით მთელი ქალაქი აიმხედრე, ძვირფასო. ასე არ შეიძლება, რადგან ცივილიზებულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ცივილიზებული ადამიანივით უნდა მოიქცე. იქნებ მითხრა, თუ ნაცნობს არ ესალმები, უცნობს რაღად აძლევ სალამს? მახსოვს რა სირცხვილი ვჭამე, არონდეს აფთიაქთან ჩამოფლეთილმა თავხედმა რომ გითხრა, ბოდიში, როდის გავიცანით ერთმანეთიო? შენ შეცბუნდი, ახსნა დაუწყე, მან კი ხეპრულად მოგიგო, ნუ წუხდებით, დღეიდან ნაცნობები ვიქნებითო, და ყველაფერი შუა ქუჩაში მოხდა. არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი. მერე მხარზე დაარტყი ხელი. როგორ მოგწონს. ის ალბათ მეეზოვე ან ვინმე ამის მაგვარი იყო. რას იტყოდა ხალხი! ასე მოქცევა არ შეიძლება, მარიო, თუნდაც მხოლოდ საკუთარი პატივისცემის გულისათვის. მერე ესეც არ იკმარე, მეგობრად ჩამთვალეო, უთხარი უცნობ მაწანწალას. ამითი ყურადღების მიქცევა გინდოდა, თუმცა იცოდი, გულს მტკენდი. სიამაყეში არ ჩამომართვა, მაგრამ ყველამ თავისი შესაფერისი უნდა მოძებნოს. შენ კი ქცევის წესებზე წარმოდგენა არა გაქვს. ამიტომ დღითი დღე უფრო კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი გამქონდა, ისღა მაკლდა შენს ჭკუაზე მევლო. მეტყოდი, მხოლოდ შენთან მინდა გასეირნებაო, მე კი თავს მოვისულელებდი, რატომ-მეთქი? იმიტომ, რომ ჩემი საცოლე ხარო სულაც არა ვარ, ვერა ხვდები-მეთქი? შენ კი აინუნში არ აგდებდი ჩემს ნათქვამს, კრინტს არ ძრავდი. ქალის და კაცის ურთიერთობა, მარიო, ძვირფასო, ამაღლებულ დამოკიდებულებას მოითხოვს, განა მე მოვიგონე, ხალხი ბრძენია. და თუ მუდამ ასე იყო დაწესებული, დამიჯერე, ასევე უნდა იქნეს მომავალშიც.

თუ არადა, ყველაფერი აირ-დაირევა, ერთ მშვენიერ დღეს რომ ათესილიყავი, ვერაფერში გაგამტყუნებდი. გესმის? თუმც ამ შემთხვევაში უსინდისო კაცის სახელი განადიდებული გექნებოდა. და ასე, დღითი დღე, თუმც საყვ[illegible]ებით მავსებდი, მაგრამ მოთმინების ფასად მაინც დაგიყოლიე, არ დამყვებოდი და კარგად იცი, არჩევანი დიდი მქონდა, თუნდაც პაკიტო... ყოველ[illegible]და კვირას მაკრთხაველნენ მთხოვნელები, თანხმობას კი არავის ვეუბნ[illegible] შეიცხადებდა ხოლმე, არ მითხრა ის შვიდთვალა მომწონსო. მთლად ასე როდია, მაგრამ გარეგნობით, ძვირფასო, მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებდი. მე კი მეოცნებე სულელი ვიყავი, ამ ბიჭს ვჭირდები-მეთქი, იმ ასაკში ეს მსიამოვნებდა. დედაჩემი, რომელსაც რენტგენივით თვალები ჰქონდა, მეუბნებოდა: სიყვარულს თანაგრძნობაში ნუ ურევ შვილო, ყველაფერს წინასწარ სჭვრეტდა. მე კი, ვაღიარებ, დაბრმავებული ვიყავი, ასაკის ბრალია. ველურ არმანდოს რქებივით არ დაედგა თავზე თითები და უსირცხვილოდ არ ებღავლა, ყურადღებასაც არ მოგაქცევდი. მომავალი ზოგჯერ რაღაც სულელურ წვრილმანზეა დამოკიდებული. ასეთია ცხოვრება. საქმე ისაა, რომ ძალიან მებრალებოდი. იქნებ იმ საშინელი ყავისფერი კოსტიუმის ან ქუსლებდაბრეცილი ფეხსაცმელების გამო. იქნებ იმიტომაც, ნაღვლიანი რომ იყავი. ერთ დღეს ვიგრძენი, რომ მომწონხარ, ტრანსი გაიძახოდა, მოაშორე აქედან, ნეტა რას ფიქრობ! ეს სატანჯველი იყო ძვირფასო, ვერც წარმოიდგენ... ყველას წინააღმდეგ მივდიოდი. დედა გალის ამბის გამო შეშინებული იყო, თუმც არ უნდა ვამბობდე, მაგრამ დედა უაღრესად მომთმენი იყო, ყოველთვის მომღიმარი, მოწესრიგებული, ხმას არ აიმაღლებდა. ასეთი ადამიანი სხვებსაც ამშვიდებს, მარიო. ნეტა გენახა როგორ მოკვდა. ხშირად ვფიქრობ, მამაშენის მდგომარეობაში ჩავარდნას შიმშილით სიკვდილს ამჯობინებდა. მამაშენი ხომ პირდაპირ ლოგინში ასაქმებდა. დედა კეთილი იყო, სუფთა. რომ იტყვიან, აკვნიდან სამარემდეო, სწორია. ადამიანი ისე კვდება, როგორც ცხოვრობს — წესიერი—წესიერად, აგდებული — აგდებულად, აი თუნდაც დედაშენი, შორს რომ არ წავიდეთ. მეუბნებოდა, გაუფრთხილდი მარიოს, ნახე რა კაცი დადგებაო. კმაყოფილი იყო თავისი შვილებით. თვით ხოსე მარია, რომელიც მშვენივრად ვიცით რასაც წარმოადგენდა. წმინდანად მიაჩნდა. ჩაროზე ლაპარაკიც ზედმეტია, უნაკლოდ ჰყავდა შერაცხული. თავისი წითელი ხის ავეჯიც, კაპიკად რომ არ ფასობდა, ძალიან მოსწონდა. დედაშენი დიდებული ქალი იყო, მარიო. ბედნიერებაა როცა ასეთი ხარ. მახსოვს, ერთ დღეს მაჩვენა, სააბაზანოს სარკმლის ქვეშ, სანოვაგეს რომ ინახავდა. კინაღამ გული ამერია, ლამის ვაღებინე. საუკეთესო მაცივარიც არ ინახავს ასე რძესო. აგვისტოშიც არ იჭრება აქ რძეო. შემდეგ ფეხმძიმედ რომ ვიყავი, შენს სახლში მისვლისას ლუკმას ვერ ვყლაპავდი, მაზიდებდა. ბევრჯერ მიფიქრია, სიამაყე იმიტომ არ გაგაჩნია, ასეთ სიღარიბეში რომ გაიზარდე, სიყვარულის ახსნაც ვერ შეძელი, საყვარელო! ძნელი იყო შენ გვერდით ყოფნა, მაგრამ აგიტანე. გინდა ჩემი საცოლე იყოო? განა ასე ამბობენ? რატომ-მეთქი? ისე, უბრალოდო. განა ისე უბრალოდ ხდებიან საცოლედ და საქმროდ-მეთქი? შენ კი უზრდელი ბავშვივით — შენთან ყოფნა მინდაო. ძლივს შევიკავე ღიმილი, გეფიცები. რახან ჩემთან ყოფნა გინდა, მიზეზიც არსებობს-მეთქი. საქმე იმით დამთავრდა, რომ ჩემს ჭკუაზე მოგაქციე. თუ აღარ გახსოვს? იმიტომ, რომ მიყვარხარო. გუშინდელივით მახსოვს, მიპასუხე, ეს სხვა საქმეა-მეთქი. ფუნტე დელ ანხელში ვისხედით მეორე სკამზე. მას შემდეგ უკაცრიელ ქუჩებში დავხეტიალობდით. თავიდან ცოტა დაეჭვდი.

რა ხდება-მეთქი, თანაც ძალიან ცოტას ლაპარაკობდი. არ მესმის როგორ შე-გიძლია მდუმარედ ყოფნა. მეც არ ვიღებდი ხმას. ერთხელ არმანდომ მითხრა, მარიო ვერ იტანს ხალხმრავლობასო. მაშინ შვებით ამოვისუნთქე. მაგრამ თუ ხალხმრავლობა არ გიყვარს, ამდენს რად ლაპარაკობ მუშებზე და [illegible], რომლებიც მილიონობით არიან. გლეხებისადმი შენი სიყვარული ვალენს სა-საცილოდ არ ყოფნის, ამბობს, სულაც არ შიმშილობენ, ისეთ [illegible]ვენ, მეც არ ვიტყოდი უარსო. შენი არავის ესმის, მარიო, ან [illegible] ჰყო, ან მოყვარე. თუ მოყვარე ხარ, შენს ტოლს და სწორს ემეგობრე, ასე გმართებს. მოეშვი მუშებსა და გლეხებს, უშენოდაც მშვენივრად გაძლებენ. პაკო ამბობს, ძალიან კარგად არიანო, თვით მოახლეებიცო, მაგრამ სულ მეტსა და მეტს ით-ხოვენო. მე და ვალენს ხშირად გვითქვამს, რომ თქვენს სიტყვებს არ დაეჯე-რება, ძვირფასო ბევრს ლაყბობთ ღმერთზე, ახლობლის სიყვარულზე. მერედა, თუ ღარიბები ისწავლიან და თავს დააღწევენ სიღარიბეს, ვისღა დასჭირდება ჩვენი ქველმოქმედება? რა თქმა უნდა, თქვენ აქაც იპოვით გამოსავალს, მაგ-რამ საქმე ისაა, რომ არაფერი გაგეგებათ, ამაზე ფიქრიც კი დაუშვებელია. წე-რაზე აღარას ვამბობ, თანაც შენებურადაც უზარმაზარი, ყველას დასანახი ასო-ებით რომ წერენ. ერთ მშვენიერ დღეს „ელ კორრეო" რომ დაიწვას, ბედნიე-რება იქნებოდა, მარიო. ამ გაზეთში მუშაობა ხომ ეშმაკისათვის სულის მიყ-იდვას ნიშნავს. გზას უბნევდით საცოდავ ხალხს, ათას სისულელეს ახვევდით თავზე. დამიჯერე, ჯიუტო, თუმცა შენ ხომ ვერაფერს გაგაგებინებს ადამიანი. ქედმაღლობა გღუპავს, ძვირფასო, ყველაზე წინ საკუთარ თავს აყენებ, არ შე-მედავო. მაგ ქედმაღლობის გამო წაეჩხუბე სოლორსანოს. კაცმა ხელი გამოგი-წოდა, შენ კი, ქედს არ მოვიდრეკო. ეს ხომ პატივმოყვარეობაა და მეტი არა-ფერი... შეხედე იხინიო ოიარსუნს, ვფიქრობ, მისი საქმეები კარგად მიდის. ხოსეჩუსთან ოქმის თაობაზე უსიამოვნება რომ მოგივიდა, ფიტო სოლორსა-ნომ მრჩევლად შენი კანდიდატურა შესთავაზა. ეს ხომ თეთრი ბაირაღის გამო-ფენას ნიშნავდა. განა არა? რაც იყო, იყო, დავივიწყოთ და ყველაფერი თავი-დან დავიწყოთო. ხომ გასაგებად მოგწერა მამამ. შენ კი ნურას უკაცრავად, უა-რი სტკიცე, ამით მოგაქვს თავი. ჩემი გარევა სურთ საქმეში, დუმილის საზღა-ურიაო. რა სისულელეა, შენთვის ხომ ტრიბუნის შემოთავაზება სწადდათ, სა-პასუხისმგებლო თანამდებობას გიმზადებდნენ. ხომ გაიგონე რა თქვა ანტონი-ომ, მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროში მუშაობა დიდი პატივიაო. ჩემი აზრი ხომ არაა, ანტონიომ თქვა, შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ. შენ ყურად არ იღე, სახელს ვერ შევილახავო. მუდამ ასე გჭვევია, მძიმე კაცი ხარ, ვერა-ვინ გაგიგებს. ყველაზე ცუდი ისაა, შვილიც შენ რომ დაგემსგავსა. განა არ გაიგე გუშინ: „დედა, ყველაფერი ეს პირობითობაა", თანაც როგორ ბოროტად მითხრა, ბოლმამ დამახრჩო, ნახევარი საათი აბაზანაში ვქვითინებდი. ბიჭებს ათასჯერ მირჩევნია მენჩუ, რაგინდ ზარმაციც იყოს. ეს ბიჭები, წარმოდგენა არა მაქვს უნივერსიტეტის ბრალია თუ რისი, ნახევრად წითლები გამოდიან, არაფერს სცემენ პატივს. მენჩუ დამჯერე მაინცაა. ავად თუ კარგად, კურსს დახურავს და მორჩა, გოგოს რად უნდა მეტი, ქალიშვილობისთვისაც უნდა დარჩეს დრო, ბოლოს და ბოლოს მისი დანიშნულება ხომ ესაა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღეს საშუალო სკოლა მეტს იძლევა, ვიდრე ჩემს დროს, მარიო, რა შედარებაა. გლოვის დღეები რომ ჩაივლის, გამოიჩენს თავს. კარგი გარეგნობა აქვს და ხელსაც გამოიღებს. თაყვანისმცემლებიც არ დააკ-ლდება, თუ ახლა არა, მერე მაინც. ჩემი გამოცდილება რაიმეში ხომ უნდა გა-მოადგეს. ვეცდები, სწორი არჩევანი გააკეთოს. ის ბავშვობიდან თვინიერია,

ქინძისთავიც კი არ უყიდია ჩემს დაუკითხავად. ვიცი, მეტყვი, როგორც პიროვნებას, ჰკლავო. შენ ყოველთვის მოძებნი მიზეზს. თუ პიროვნება იმას ნიშნავს, რომ არ იგლოვოს და დედას პატივი არ სცეს, არ მსურს ჩემი შვილები პიროვნებები იყვნენ. ისიც მეყოფა, შენ რომ იყავი პიროვნება, მეც მაქვს საკუთარი აზრი. ქალი არ ვიყო, შვილები ჩემს ჭკუაზე თუ არ მო[illegible] თავხედ მარიოსაც გონზე მოვიყვან. თავისებურად აზროვნება [illegible]ვიდეს სადაც უნდა. ვიდრე ჩემს ჭერქვეშ ცხოვრობს და ჩემზეა დამოკიდებული, კეთილი ინებოს და ისე მოიქცეს, როგორც მე ვუბრძანებ. არ გაიცინო, მარიო, მაგრამ ძლიერი ძალაუფლება წესრიგის გარანტიაა. გაიხსენე რესპუბლიკა, ეს ჩემი მოგონილი როდია. წესრიგისათვის ყველა ხერხს უნდა მიმართო. წესრიგი ან არის, ან არ არის, როგორც იტყოდა საცოდავი დედაჩემი.

## 12

**[... განლაღებულ არს, არარა იცის. არამედ სნეულ არს ძიებისათვის და სიტყუათა ლალვისათა, რომლისაგან იქმნებიან შურნი, ხდომანი, გმობანი, იჭუნი ბოროტნი, გულის წყრომანი, განხრწნილთა კაცთა გონებაჲ და ნაკლულევანთაჲ ჭეშმარიტებისაგან, რომელნი ჰგონებენ, ვითარმედ სარეწავარს ღმრთის მსახურებაჲ".*]** ვერ მომატყუებთ, მარიო, იხინიო ოიარსუნი იმ მანქანის გულისათვის ამოიჩემეთ ვიყოთ გულახდილები. ისიც ვერ აგიტანიათ, რომ აქ ცხოვრების თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში რჩეულ საზოგადოებაში მოიპოვა ადგილი, რაც შენ და შენმა მეგობრებმა ვერც შეძელით და ვერც შეძლებთ, რადგან მიუკარებლები ხართ, არც ქცევის წესები იცით, არც ჰალსტუხის შეკვრა. მეტყვი, არ მაინტერესებს ეგო, მელიასი და ყურძნის იგავისა არ იყოს. ასეა. იმ ღამით ვალენთან როგორ მოიქეცი, რა ამბავი ატეხე. არ დაგავიწყდეს, როხოს ოჯახი ჩვენს ქალაქში საუკეთესოა, ვისენტე რაკი ინსტიტუტის პროფესორია, ყველანაირ ხალხთან უხდება ურთიერთობა. პროფესორი რომ არ ყოფილიყო, მის სახლში ფეხს როგორ შევადგამდით! ვალენთან მწერლები და მსგავსი ხალხი დადის. ვალენი თქვენ დაგცინით, თუმც გარეგნულად არ ემჩნევა. ოუტანელი ენის პატრონია. საკუთარ თავსაც დასცინის. ზღაპრული ვახშამი მოგვართვა, ლანგუსტითა და ხიზილალით დაწყებული, შერე რა ლანგუსტი, მარიო, რა ლამაზად იყო სუფრა გაწყობილი, სამოთხეში მეგონა თავი. შენ რომ წესიერად მოქცეულიყავი, ეს ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი დღე იქნებოდა, დამიჯერე. შეუდარებელი ვახშამი იყო. მან კი დაპატიჟებისას ასე გვითხრა, შაბათს მოდით, თითო ჭიქა დავლიოთო, ისე, სხვათა შორის. ვერც წარმოიდგენდი, თუ ასე მოემზადებოდა. შენ კი რა ამბავი დაატრიალე, ძვირფასო,! აი, როგორი ხარ. გეფიცები, წინასწარ მიგრძნობდა გული. შესვლისთანავე, იხინიო და სოლორსანო დაეინახე თუ არა, გავიფიქრე, მარიო ან კუთხეში მიიყუჟება, ან სპექტაკლს გამართავს-მეთქი. არ ვიცი რად, მაგრამ პირველი დანახვისთანავე ზრდილ ყმაწვილად მომეჩვენა ოიარსუნი. ტყუილად კი არ ვლაპარაკობ. ხომ იცი მასთან რა კარგი დრო გავატარე. ვერ ვიტყოდი კარგი გარეგნობისაა-მეთქი, ადონისს არა ჰგავს, ტანმორჩილიცაა, მაგრამ სურნელოვან თამბაქოს ეწევა და ისეთი ძვირფასი ჰალსტუხები აქვს, რომ ბოლოს და ბოლოს მიმზიდველი გეჩვენება. აი, ასეა საქმე. იხინიოში ადვილად შეიძლება შეცდე, კი, თავიდან არანაირ შთაბეჭდილებას არ ახდენს,

* ტიმოთეს მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი პირველი, VI, 4-5.

მაგრამ ურთიერთობაში რაღაცით გხიბლავს. რითი, რომ შემეკითხო, ვერც გიპასუხებ. იქნებ კარგი ჩაცმით, ან ტანსაცმლის მოხდენილი ტარებით, ეს ხომ სხვადასხვა რამაა, თუმც შენთვის ჩინურია. პირდაპირ გეტყვი, ძვირფასო, ზოგი სტუმრად წასვლისას ისე გამოიპრანჭება, თითქოს ქორწილში ემზადებიან. ხომ გესმის რისი თქმაც მინდა. ზოგი კი არა. მაგალითად, იხინიო, ლალია, მოხდენილი. ეს ყმაწვილი პიჯაკში ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. შორიდანვე შეატყობ, საზოგადოებაში მიღებული კაცია, ვერც იფიქრებ, რომ აქაური არაა. თუ თქვენ ჰორიკანააო, არ დაიჯერო. პირიქით, ყველას ტკბილად ესაუბრება. სატრაბახო ბევრი აქვს, მაგრამ ძალიან უბრალოა, დამიჯერე. ქუჩაში შეხვედრისას მისალმებისთანავე შენს წიგნებზე მეკითხება, რას წერ, რა დაიბეჭდება წელსო. მართლა აინტერესებს. შენ კი ისე ექცევი, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. ჰორიკანაა, დამსმენიო. „ელ კორრეოსა" და ფიტო სოლორსანოსთან მომხდარი ამბების შემდეგ სხვა ზედაც აღარ შემოგხედავდა. იხინიო კი ისე გექცევა, თითქოს ესპანეთის საუკეთესო მწერალი იყო. არ ვამბობ ცუდად წერ-მეთქი, სწორად გაიგე, მაგრამ სიუჟეტები არ გივარგა. იხინიო მუდამ გაქებს, მხოლოდ აქა-იქ თუ იტყვის შენზე, ცოტა ზედმეტი მოსდისო, ცოტაო. კეთილია, თვალი არასოდეს მატყუებს. არ დაიჯერებ ახლა, მამაჩემის შავ ჰალსტუხზე რომ ვუამბე, არ დაიჯერებ, მაგრამ მითხრა, ხვალვე შეუძლია მოიხსნას, ესპანეთი ფაქტიურად მონარქიად დარჩაო. პირი დავაღე, იმას კი სულაც არ უკვირდა, ასე იყო ოდითგანვეო, მაგრამ თქვენ, ახალგაზრდა გოგონები მაშინ დაბადებულები არ იყავითო. რა თავაზიანობაა, წარმოიდგინე, მე ხომ აღარც ისე ახალგაზრდა ვარ. პაკოსაც კი უთქვამს, ისეთივე ხარ, როგორც მაშინ, ასერაზე რომ ვსეირნობდითო. მეტი რა გინდა. არ ვიცი გითხარი თუ არა, მაგრამ პაკომ ორჯერ წამიყვანა თავისი მანქანით, მარიო. პირველი შეხვედრიდან ერთი კვირის თავზე ზუსტად იმავე საათსა და იმავე გაჩერებაზე ვნახე. ესეც შემთხვევითობაა. ვერ დაიჯერებ, როგორ შემრცხვა, ვდგავარ იმოდენა რიგში და უცებ ჩემ წინ წითელი ტიბურონი გაჩერდა, როგორც კინოფილმში ხდება. ცენტრში მიდიხარო? გავშეშდი. წარმოიდგინე, საუკუნეა პაკო არ მენახა, თანაც კრესენტე მითვალთვალებდა. არ ვიცოდი სად გავმქრალიყავი. კი-მეთქი, აბა რა მეპასუხა? ფიქრის დროც არ მქონდა, გაალო მანქანის კარი და მეც ჩავჯექი. როგორი შეცვლილია პაკო, საყვარელო, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, ვერ წარმოიდგენ. სულ სხვა კაცია. თვალები ისევ ლამაზი აქვს, ჩემი აზრით, იდეალური, მოცისფრო-მომწვანო, კატის თვალების თუ აუზის წყლისფერი, ასაკთან ერთად, არც ვიცი როგორ დაგიხასიათო, რიხიც მოემატა. ბავშვობაში, მახსოვს, ლენჩზე ლენჩი იყო, ახლა კი წარმოსადეგი კაცია, გამართულად ლაპარაკობს, სიტყვებს ადრინდელივით აღარ ამახინჯებს. ხომ ხედავ, „ტიბურონი" ჰყავს, მილიონებს შოულობს. მიხარია, მაგრამ ზუსტად ვერ მივხვდი, სად მუშაობს. ისე კი მრეწველობასთანა აქვს კავშირი. თვალები დავაჭყიტე სახლებზე რომ მიამბო. იხინიოსთან პირიქით დამემართა, ენა ჩამივარდა, თვითონვე ვხვდები, სულელი ვარ. ბოლოს და ბოლოს იგი პატრონატის* წევრი იყო. მას მერე დიდი დრო გავიდა, ახლა აღარც ღირს ამაზე ლაპარაკი. მაშინ კი, ვაღიარებ, სხვა გუნებაზე ვიყავი. გარდა ამისა, ისინი მაროლები იყვნენ. ერთ მშვენიერ დღეს დარწმუნდები, რომ ძეგობრები მეტს ნიშნავს, ვიდრე ტიტულები. მაგრამ თუ მათ ზიზღით უცქერ, წამდაუწუმ აკრიტიკებ, უარს ამბობ მუნიციპალიტეტის წევრობაზე, ხელს არ

* საქველმოქმედო ორგანიზაციის მმართველობა.

აწერ მათ ოქმებს, რისთვისღა უნდა მოგცენ ბინა? გიჟები იქნებოდნენ, მარიო, მერწმუნე. და მაინც მზადა ვარ პირველმა ვაღიარო, არა ხარ დამნაშავე. იმ წყეული დონ ნიკოლასისათვის დროზე რომ მიეზლოთ საკადრისი, ჩვენი საქმე სხვაგვარად წავიდოდა, რადგან დონ ნიკოლასმა, აროსტეგიმ და მირანომ (რომელიც გაცილებით მეტს მიაღწევდა, გულისამრევი წვერი რომ მოეპარსა) და ყველა შენმა მეგობარმა, პადრე ფანდოს ჩათვლით, ადრე ხნის [illegible] შექმნილი რომ მეგონა, მართლაც ბევრი ცუდი გაგიკეთეს. ჩემთვის უკვე ცნობილია დონ ნიკოლასის თეორია: „თანამედროვე სამყაროში მწერალი ან კრიტიკოსია ან არაფერი“. ცარიელი სიტყვებია. სინამდვილეში ატყუებს ახალგაზრდებს, რომლებიც მისთვის მხოლოდ საზარბაზნე ხორცია, არც მეტი, არც ნაკლები. არ ვიცი რამ გადარია ახალგაზრდები! ვერ ვიტან იმ ჩემი ცოდვით სავსე დონ ნიკოლასს. რაგინდ ჭკვიანი იყოს, მაგაზე ბოროტი კაცი ქვეყნიერებაზე არ მოიპოვება. თავისი ახლობლების გარდა, ერთი კარგი სიტყვა არავისზე წამოსცდება. ღმერთო, რა ენა აქვს! რა ლექსები გამოუთქვა საცოდავ კანიდოს. მართალია, კანიდო არც უხსენებია, მაგრამ რას გამოაპარებს, და გარდა ამისა, არ მრცხვენია ვაღიარო, რომ საოცრად მომწონს კანიდოს ლექსები. რამდენიც გინდა იძახე მოძველებულიაო, მაინც ღვთაებრივად ჟღერენ და ზედმიწევნით გასაგები არიან, ახლანდელ გამოცანებივით ლექსებს კი არ ჰგვანან ან ახლანდელ პოეტებს შეეხედებათ? რასა გვანან! დონ ნიკოლასი ამბობს, არც კანიდოს ლექსები უქნია ღმერთს და არც სოლორსანოს სტატიებიო. მოიანომ კი, ჩემი ყურით გავიგონე რომ თქვა, ფიტომ კარიერას თავისი მამაკაცური პოტენციით მიაღწიაო. ხედავ რა ზრდილობიანია? თვითონვე არ იცის, რისი თქმა სურდა ამით. სისულელე იქნება ვამტკიცო, სოლორსანო კარგი მოსაუბრეა-მეთქი, მაგრამ არც ისეთი ცუდია, ლაპარაკობს ჩვეულებრივად, ისე რომ ყურადღება არ მიიქციოს. ბოლოს და ბოლოს, თუ სტატიების გამოქვეყნება სურდა „კასა დე ლა კულტურაში“, დავუშვათ ჰქონდა ასეთი ახირება, რა მოხდა მერე, სხვას სხვა რამე აქვს ახირებული. მგონი, არავისთვის არაფერი დაუშავებია. იგი ხომ საკუთარი ხარჯებით აპირებდა გამოცემას. ამის შესახებ გამოცემაშივე შეიძლება მითითება. რა ხმაური ატეხეთ, თითქოს დახვრეტას გიპირებდნენ. უარი არ აკმარეთ და განუცხადეთ, ჯობს გამომცემლობა დავხუროთო, ესეც გეცოტავათ და უთხარით, ერთი სტატიის დაბეჭდვა გეყოფაო. დანარჩენში კი „უმნიშვნელო“ შესწორებები უნდა შეეტანა: „წყალმომარაგება“ უნდა შეცვლილიყო სიტყვით „ტელეფონი“, ან „წყარო“, ან „სასაფლაო“, ჩემს დღეში არ მოვსწრებივარ, ასე მოქცეოდნენ ადამიანს. თქვენ მხოლოდ მისი გაღიზიანება გინდოდათ, ძვირფასო, ნამეტანი ქენით. ეხამს აფრქვევთ გამუდმებით, მერე კი, ბუნებრივია, არავის სურს თქვენი დანახვა. ხომ ნახე, იმ ხალხში, გუშინ რომ მოვიდნენ ჩვენთან, აქა-იქ თუ ერია წესიერი, დანარჩენები ბიჭბუჭები და ჯიგინდარები იყვნენ, აი, სადამდე მიეედით. მართალი გითხრა, ვერაფერი გამიგია, ხოსე მარიას ამბის შემდეგ სიფრთხილე გმართებდა და, მით უმეტეს იმის შემდეგ, რაც მამაშენს დაემართა. ამ საქმეში გარევა არ მსურს, მაგრამ ისიც ხომ წითელი იყო. არ ვიცი, ლერუსს ემხრობოდა თუ ალკალა სამორას, მაგრამ, რა თქმა უნდა, წითელი იყო. დიდებული ოჯახი კი ჰქონდა, მის მსგავსს სანთლით ვერ მოძებნი, კიდევ კარგი, ელვირო დახვრიტეს მადრიდში, ბოლოს და ბოლოს შენც მიიღე ომში მონაწილეობა, მაგრამ ხოსე მარიას ამბავმა ყველაფერს გადააჭარბა. ცნობილი კაცი იყო, მისი გულისათვის მთელი ოჯახი შეიძლებოდა კარანტინში მოექციათ. მეცინებოდა მამაშენზე, რა აუტანელი კაცი იყო. „მე არ გავუშვი

„იგი სამსახურშიო“. ეს კიდევ არაფერი. როცა რესპუბლიკა გამოცხადდა, დროშით გამოვიდა ქუჩაში და პლასა დე ტოროსზე ასანიას მიტინგს დაესწრო. ეს ხომ მოგონილი ამბავი არაა. ელვიროს სახელსა ხარ ამოფარებული, მარიო, მაგრამ ამით შორს ვერ წახვალ. ის თუმცა დალუპულია, მეორე ძმაც ხომ გყავს. არ ვიცი რა სინდისით ლაპარაკობ მოთმინებასა და გაგებაზე, კაენისა და აბელივით ცხოვრება არ შეიძლება. ხოსე მარია და მისთანები კაენები და კაენზე უარესნი არიან. სასაცილო მდგომარეობაში იგდებ თავს, როცა აცხადებ, თითქოს შენი ძმები ერთნაირად აზროვნებდნენ. სინამდვილეში მათ არაფერი ჰქონიათ საერთო. მუდამ რებუსებით ლაპარაკობ, შე გიჟო, შენა, იმის ნაცვლად, რომ გასაგებად თქვა. იგივეა, როდესაც ერთმანეთის მოწინააღმდეგე გმირებს ალაპარაკებ, ან რომ გაიძახი, საყოველთაო მონანიების გარეშე შეუძლებელია ყოველივეს ამოძირკვაო, ანდა, ბიჭებს თავიანთი სუფთა თვალებით სულ სხვა ესპანეთის ხილვა უნდათო, მაგრამ პოლიტიკამ და ფულმა ყველაფერი დაღუპესო. როგორ შეიძლება ამათი შედარება, გაგიჟდი? ისინი ეკლესიაშიც არ დადიან, შენ კი ფულს აბრალებ. ფული ან გაქვს, ან არა, მას ფიქრი როდი შეუძლია, განა ადამიანია. თქვენ კი ფრაზის გულისათვის მზად ხართ ეშმაკს მიჰყიდოთ სული. ჩარო გაიძახის, ხოსე მარიამ სიკვდილის წინ თქვა, პირველად როდი ხდება, უდანაშაულო ადამიანები სხვებს ეწირებოდნენო. თქვენ ოღონდ ილაყბოთ... ვინ უწყის, რა თქვა ხოსე მარიამ, თქვა კი რაიმე საერთოდ? ბუნებრივია, შიშით კვდებოდა და ლოცულობდა, როგორც ყველა ასეთ მდგომარეობაში. თქვენნაირ ხალხს ძალიან უყვარს ფრაზების წარმოთქმა და გაშანშალება, ზოგი ამით სულდგმულობს, რა საშინელებაა! სიტყვები მოსვენებას არ გაძლევენ, ძვირფასო. ვალენი ამბობს შენზე, სიტყვებმა ისე აურიეს თავგზა, აღარ იცის რა ქნასო. თქვენ ქვეყნიერების მოწესრიგება გინდათ, აზრზე კი არა ხართ. ანეკდოტია პირდაპირ, ყველაფერზე სდებთ თავს. მისმინე, მარიო, ჩვენ შორის დარჩეს, ყოველთვის, როცა ბორხას მეხუთე სიმფონიის მოსმენაში ჩაეძინებოდა ხოლმე და შენ იტყოდი, ჩვენს ოჯახში ესაა ინტელიგენტიო, ლამის გავგიჟებულიყავი. სულაც არა მსურს ინტელიგენტი შვილი მყავდეს, ეს ხომ უბედურებაა, ამას ჯობს მოკვდეს. დამიჯერე, მარიო, ინტელიგენტები თავიანთი უცნაური აზრებით ყველაფერს ურევენ, ნახევრად შეშლილები არიან; ჰგონიათ ყველაფერი იციან, მაგრამ მხოლოდ გულის გაწყალება ეხერხებათ. ღარიბებს თავგზას ურევენ, მერე კი ისინი წითლები ხდებიან, ანდა პროტესტანტები, ანდა უარესნი. ნახევარ სიცოცხლეს მივცემდი, ოღონდ ეს შემაგნებინა შენთვის, ძვირფასო. არ ვიცი როგორ გითხრა, ქუჩაში მაჩერებენ, თანაც ერთი და ორი კი არა, ერთი და იგივეს მეუბნებიან — შენი ქმარი წითელი გახდაო. წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა, რა უნდა ვუპასუხო? მერე კი როცა ალსარებაზე მიმავალს გხედავდი, მაჟრჟოლებდა. გულით მწადდა გამემართლებინე, მაგრამ არის რაღაცები, რისი ერთმანეთთან შეთავსებაც არ შეიძლება, მაგალითად, ღმერთისა და „ელ კორრეოსი“. პირდაპირ გეუბნები, რომ მეტისმეტია. ღმერთს არ მოსწონს ნახევარი ფერები, ძვირფასო. მაპატიოს უფალმა, მაგრამ ვფიქრობ, ხუან XXIII-მ, ღმერთმა აცხონოს, ეკლესია ჩიხში მოამწყვდია. არ ვამბობ, ცუდი კაცი იყო-მეთქი, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ პაპობა მისთვის მეტისმეტი იყო. უკეთესად რომ ვთქვა, ძალიან გადაღრძეებული ბებერი აირჩიეს. მე არც ფარისეველი ვარ და არც ფანატიკოსი, მარიო, ხომ მიცნობ, მაგრამ ამ კეთილმა კაცმა ისეთი რამეები თქვა და მოიმოქმედა, ყველა შეაშფოთა. ნუ მეკამა-

თები, რადგან თუ მისი მდგომარეობის ადამიანი ლაპარაკობს, პროტესტანტები კარგები არიანო, საქმე იმით დამთავრდება, ავს და კარგს ველარ გავარჩევთ.

ეროვნული

[ამა სამკვიდრებელნი უფლისანი არიან შვილნი, და [illegible] მათი ნაყოფი მუცლისა; ვითარცა ისარი ხელთა შინა ძლიერისათა, ეგრეთ იყუნენ ძენი განყრილთანი. ნეტარ არს რომელმან აღავსოს ნება თავისი მათგან, არა ჰრცხუენოდის, რაჟამს ეტყოდიან მტერთა მათთა ბჭეთა შინა.*] კარგია! მაგრამ შემდეგ მთელი დღე მოსვენება არ მქონდა. არ გსაყვედურობ, მარიო, მაგრამ ერთხელაც მიხვდები, რა ნაკლებად მეხმარებოდი ბავშვების აღზრდაში. ანტონიო კარგი პედაგოგია, ის ამბობს, როცა მამა გულგრილია დედისადმიო, ბავშვები ამას ამჩნევენ და შინაგანად ნაკლოვანები გამოდიანო. გასაგებია? ეს ახალი ამბავი არაა, მაგრამ დედისათვის გულსატკენია. კაცები ხომ ყველანი ეგოისტები ხართ, ერთ ყალიბზე მოჭრილი, მაგრამ შენ ეგოისტობაში ვერავინ შეგედრება, მარიო, ძვირფასო, მაპატიე გულახდილობა, აიჩემე, გოგონებმა უნდა ისწავლონო, და აი რა დღეში ჩავარდა საცოდავი მენჩუ. თავს ნუ მოისულელებ, მშვენივრად იცი, ნასწავლი გოგონები თანდათან კაცებს ემსგავსებიან. ბიჭების საქმე კი სხვაგვარადაა — თუ სწავლა არ სურთ, ფიზიკურ შრომას უნდა მოჰკიდონ ხელიო. სრულ ჭკუაზე ხარ, მარიო? სოტილიო წარმოგიდგენია მუშის კომბინიზონში?—მართალი გითხრა, გასაჟღოხი ბრძანდები მაგ შეხედულებების გამო. შენი მოწოდება თავისთავად პატივსაცემია, მაგრამ ღარიბებს თავისი მოწოდება აქვთ და მაღალი ფენის ხალხს თავისი. ყველა თავის კლასს ეკუთვნის, ხოლო ასე რომ გაგრძელდეს, რამდენიმე წელიწადში ყველაფერი თავდაყირა დადგება — ღარიბები ინჟინრებად იქცევიან, შეძლებული ხალხი კი მონტიორებად. გოგონებს არავითარი მოწოდება არ გააჩნიათ, ეს წესი მათ არ ეხებათ. და თუ დედობის მოწოდება აქვთ, ამაზე კეთილშობილი რა შეიძლება იყოს. მანამ კი მოითმინონ და იარონ ინსტიტუტში იმ უბრალო მიზეზის გამო, მთლად უვიცები რომ არ იყვნენ. ატესტატი მაინც უნდა ჰქონდეთ. ჩემი მტკივნეული ადგილი ატესტატი იყო, რომელიც არა მქონდა, შენ კი მტკივან ადგილზე მაჭერდი ფეხს, რათა ბავშვების თვალში დაგემცირებინე. ამას ვერასდროს გაპატიებ, ძვირფასო, ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, რადგან საშინელებაა დედის წინააღმდეგ შვილების ამხედრება, ეს ეშმაკის სამსახურია. შენ გამუდმებით სჩადიოდი ამას, თანაც გატაცებით. ეგ მონდომება ჯობდა სხვა საქმეში გამოგეჩინა. ნაცვლად იმისა, მხარი დაგეჭირა ჩემთვის, როცა მათ ჩავაგონებდი, შინ შემოსვლისას ფეხები გაიწმინდეთ-მეთქი, ან თევზის ჭამა ისწავლეთ-მეთქი, უადგილოდ განაცხადებდი, მთავარია ბევრი იკითხონო. ალვარიტო ძალიან უცნაური არისო, მინდორში მარტო წასვლა და კოცონის დანთება სიგიჟეაო და კიდევ ერთი სიგიჟეა სიკვდილისა და ვარსკვლავებისადმი ასეთი ინტერესის გამოჩენაო. საქმე ისაა, რომ ალვაროს მოწოდება ბოისკაუტი იყო, თუ რაც ქვია, მე ხომ ენების არა გამეგება. ექიმი რაში სჭირდება? ალვარო ჩვეულებრივი ბიჭია, მარიო, მე სხვა რამ უფრო მაწუხებს. შეხედე ბორხას, რა ცუდად მოიქცა გუშინ. იცი, რა მით-

* ფსალმუნნი დავითისი, XXVI. 3-5.

ხრა? განა იხუმრა, გულითა თქვა, სრულიად შეგნებულად განაცხადა, ნეტა მამა ყოველდღე კვდებოდეს, რომ სკოლაში არ ვიაროთ. როგორ მოგწონს? ცემით მოვკალი. ექვსი წლის ბიჭია, მესმის, მაგრამ მის ასაკში მე მამაჩემზე ჭკუას ვკარგავდი, რამე რომ დამართნოდა, მოვკვდებოდი. კითხვა ვისწავლე თუ არა, პირველი, რაც გავაკეთე ის იყო, „ABC"-ში მისი ხელმოწერა მოვძებნე. მერე ყოველდღიურ ჩვეულებად მექცა. მამის ხელმოწერას ვიპოვნიდი, დედა მეუბნებოდა, მამაშენი დიდი მწერალია, შვილოო. მეტი რაღა მინდოდა, ვამაყობდი, ეს სადი სიამაყე იყო, რატომაც არა. სკოლაში ამხანაგებს ვაჩვენებდი გაზეთებს. გულზე სკდებოდნენ, რადგან მათი მამები გაზეთებში არ წერდნენ. მე კი, წარმოიდგინე, რა ბედნიერი ვიყავი. მშობლებისადმი პატივისცემა და სიყვარულია უპირველესი, რაც შვილებს უნდა შთააგონო. ამას მხოლოდ ავტორიტეტით მიაღწევ. შენ გგონია, რაც რბილად მოექცევი, მათთვის უკეთესია. სინამდვილეში კი პირიქით ხდება, ხომ გახსოვს ბორხა, ტიროდა, ჯიუტობდა, ხოლო როცა დაწყნარდებოდა, შენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. დოროსაც კი უკვირდა, მამა ამ ბავშვისათვის გიჟდებაო. მეტი რაღა გინდა! შვილების გამორჩევა შეიძლება? ყველა ერთნაირად უნდა გიყვარდეს, ჩემგან აიღე მაგალითი, არანი სულ სხვა საქმეა. გოგონა არ იზრდება. ვიცი, ჯერ კიდევ პატარაა, მაგრამ თავისი ასაკისათვის მაინც ძალიან ტანმორჩილია. მამიდამის ჩაროს ემსგავსება და გული მისკდება. შენი და კასრსა ჰგავს, მიმზიდველობა არ გააჩნია, ისე კი პირდაპირ სიკეთის განსახიერებაა. თუმც შეუხედავ ქალს სიკეთის მეტი რაღა დარჩენია? ულამაზოებისათვის ადვილია წმინდანობა, ამიტომაც დიდი ვერაფერი ფასი აქვს ასეთ წმინდანობასო, ხუმრობით იტყოდა ხოლმე დედაჩემი. მართალიცაა, მარიო. შენ იცი, რომ დედაჩემს გონებამახვილობაში ბადალი არ ჰყავდა. მახსოვს, ბავშვობაში, სტუმრები სულგანაბულები უსმენდნენ. ვალენი დედაჩემს მაგონებს, ბევრი აქვთ საერთო, თუმცა დედაჩემი უფრო ხორცსავსე იყო. მაშინ ისეთი ქალები მოსწონდათ. ეცრემლოდ ვერ ვიხსენებ, რა გადაიტანა ხულიას გამო, ძლივს მოინელა ის ამბავი, სერიოზულად გეუბნები, ადამიანს ამდენი ტანჯვა შეხვდა და მაინც ისეთი პირდაპირი, ისეთი აუღელვებელი... თუნდაც ის რად ღირს, რომ ტკბილისათვის პირი აღარ დაუკარებია იმ დღიდან. დედაჩემისთანა ქეშმარიტი სენიორები დღეს თითქმის აღარ არსებობენ. გასაგებიცაა. ადრე მოსამსახურის შოვნა ძალიან ადვილი იყო და უფრო იაფადაც დაიქირავებდი. ეს „ელ კორრეოს" დამსახურებაა, თქვენც დიდად ამაყობთ ამით. წყეული „ელ კორრეო" ცდილობს როგორმე თავგზა აუბნიოს ღარიბებს. აჰა შედეგიც — ათას ხუთასი პესეტი მოსამსახურეს. არ ვიცი, სადამდე მივალთ, მარიო, ეს ქალები ოჯახებს ანგრევენ, მათი შოვნა შეუძლებელია, ხოლო თუ იშოვნე, მტრისას! ერთი მითხარი, სენიორიტებისგან რითი განსხვავდებიან? ბარები, შარვლები, კინოში პარტერში სხდებიან. ზოგჯერ მგონია, ყოველივე ქვეყნიერების აღსასრულს მოასწავებს და გეფიცები, მაჟრიალებს. ახლა ყველაფერი ყირამალაა, მარიო, ჩვენ, სენიორებს, საკუთარი ხელით გვიხდება შრომა. მეტი რა გინდა. შენ კი მეუბნები, წუწუნებო. ძალიან ცოტას ვწუწუნებ, ინტრიგანო, კაცებს არაფერი გაგეგებათ. ცხოვრებას მარტივად უნდა შეხედოო. სასაცილოა პირდაპირ. ერთ დღეს დაიჭერთ ცოლებს, ან ბავშვებს გაასეირნებთ და გგონიათ გმირობა ჩაიდინეთ. მახსოვს, დეპრესია თუ რაღაც ამის მსგავსი დაგემართა, საქმე რომ შეგიყენეს, სოლორსა-

ნოსთან უსიამოვნება რომ მოგივიდა, ეს ყველა და დანარჩენი უსიამოვნებანიც რომ დაგატყდა თავს, სულ უმიზეზოდ ტიროდი. ღმერთო, როგორ მოსთქვამდი! შეწუხებული გეკითხებოდი, გტკივა რაიმე, სიცხე გაქვს-მეთქი? შენ კი მპასუხობდი, ზიზღისა და შიშის გარდა არაფერს ვგრძნობო. აბა ეს რა პასუხია. რისი გეშინია-მეთქი, ძვირფასო? უბედურებაც ისაა, [illegible] ციო. როგორ მოგწონს? მე კი თურმე პირიქით, ცუდი ხასიათის გამო ვწუწუნებდი. ჩემს სიძულვილს არავინ არაფრად აგდებდა. კაცები ეგოისტები ხართ და მეტი არაფერი. თანაც მოიანო მიბნევდა თავგზას. შარვალზე პიჟამოს ხალათი თუ გეცვა, შეწუხდებოდი ხოლმე. ის კი გიჟივით იცინოდა. ყველაფერს აკეთებდი, რათა შენი საქმის შეყენების გამო არ წაგჩხუბებოდა. სახუმარო ამბავი როდი იყო, თანაც უსიამოვნებები ერთიმეორეს მოსდევდა. როდესაც ინკვიზიციის ლანძღვა დაიწყე, წესრიგისკენ მოგიწოდეს. თვით ანტონიომ გამოგიძახა თავის კაბინეტში და კაიკაები მოგახსენა. არ შეიძლება, მარიო, იმის გამოსწორება მოისურვო, რაც ყოვლისშემძლემ შექმნა. თუ ვინმეს ან რაიმეს არ კილავ, მარიო, ვერ მოისვენებ. რა ხასიათი გაქვს, გამაგიჟებ! ინკვიზიციას მაინც რას უწუნებ, უტვინო გულზე ხელი დაიდე და მიპასუხე, ახლანდელ დროში გვაწყენდა ცოტა ინკვიზიცია? შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ, მარიო, ქვეყნიერებას ავტორიტეტი და მტკიცე ხელი სჭირდება. ზოგს ჰგონია, რახან დაკაცდა, სკოლის დისციპლინა აღარ ეხება, მაგრამ ღრმად სცდება. უნდა გაჩუმდე და თვალდახუჭული დაემორჩილო, მუდამ, მთელი სიცოცხლე. თქვენ კი ამ დიალოგზე გადაირიეთ. ღმერთო ჩემო! მის გარდა აღარაფერზე ლაპარაკობთ, ვითომ ცისქვეშეთში უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა აღარ არსებობდეს. თუ ადრე ვერ ეკითხებოდი, ახლა კი ეკითხები, მაგრამ არ გპასუხობენ, აბა სადაური დიალოგია. ეს ხომ ერთი და იგივეა. არისტეგის შვილიც არაფრით ჩამოგრჩებათ. ნაცვლად იმისა, გვერგვით ირბინოს, სიტყვის თავისუფლებას მოითხოვს. ნეტა რა თავში იხლის. ერთი მითხარი, რა მოხდება ყველას ყვირილის უფლება რომ მისცენ და ვისაც რა მოესურვება, იყვიროს. არა, მარიო, შეუძლებელს ითხოვ. ეს საქათმე იქნებოდა, საგიჟეთი. რაც გინდა თქვი, მაგრამ ინკვიზიცია კარგ საქმეს აკეთებდა, გვაიძულებდა გვეფიქრა სიკეთეზე, ქრისტიანობაზე. როგორც ხედავ, ესპანეთში ყველანი კათოლიკები ვართ, თანაც მტკიცე კათოლიკები, უცხოელებს როდი ვგავართ, ალსარების დროს რომ არ იჩოქებენ. აქ მხოლოდ ფეხების გამოსაჩენად და ხალხის ალსაშფოთებლად ჩამოდიან. ეს პლაჟები და ტურიზმი მასონებისა და კომუნისტების მოგონილია, მარიო, ჩვენი ზნეობრივი საფუძვლების დასასუსტებლად. ერთი ხელის მოსმით სურთ მოგვსპონ. შენ კი აძაგებ ინკვიზიციასაც და ყოველივე კარგს. სასაცილოა რომ ამბობ, ინკვიზიციის მეთოდები ქრისტიანული არ იყოო. ამით ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამ წყალს. არ ვიტყვი ურწმუნოების გამო მოგდის-მეთქი, ამ ზომამდე არ მივალ, ოღონდ შენი სისულელის ბრალი კია, მარიო, საკითხავია, ქრისტიანულია თუ არა, მოკლა ადამიანი, რათა მისი სული გადაარჩინო? ერთი მითხარი, როგორ აილებ მოსავალს, თუ წინასწარ სარეველას არ მოსპობ? მიდი, მიპასუხე, ლაპარაკი ხომ ძალიან ადვილია, ძვირფასო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, სარეველა ფესვიანად უნდა ამოთხარო, მთლიანად გაანადგურო, თუ არადა, ცუდად წავა საქმე. სიყვარული, სიყვარული.. ნეტა რა შეიძლება

სიყვარულის ესმოდეს კაცს, რომელიც ქორწინების ღამეს ცოლს ზურგს მიაქცევს? ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, ძვირფასო, ვერ გაპატიებ ამ დამცირებას. მომიტევე გულახდილობა, მაგრამ შენ გსურს ყველასადმი სიყვარულით მოსავალი დავკარგოთ მაშინ, როცა მოსავალი უნდა გიყვარდეს, სულელო. მისი სიყვარული გვიბიძგებს ამოვთხაროთ სარეველა და დავწვათ, რადაც უნდა დაგვიჯდეს. დამიჯერე, ინკვიზიციაც არ გვაწყენდა. თუმცა ვიცი, სისულელეა. მაინც რამდენჯერ მიფიქრია, ატომური ბომბის ისე გაუმჯობესება შეიძლებოდეს, რომ მხოლოდ უზნეო ხალხი დახოცოს, მაშინ სამყაროში სიმშვიდე დამყარდებოდა, არც მეტი, არც ნაკლები, თუმცა ვიცი, ერთ ყურში შეუშვებ ამას და მეორედან გაუშვებ. გიცნობ, გიცნობ, ჩემი არასდროს გჯეროდა, მარიო, ძვირფასო, არასდროს, მაშინაც კი, როცა გაფრთხილებდი, ცუდი დღეებია-მეთქი. შენ კი, მოდი, ამაში მათემატიკას ნუ ჩავრევთო, ღმერთის წინააღმდეგ ნუ წავალთო. მე, რა თქმა უნდა, გაქვავებულივით ვიყავი, აბა რა გეგონა, თანაც ამბობდი, ღმერთმა დაგვლოცაო. სულაც არ მინდა ამდენი შვილი, იმ მდაბიო ქალებს კი არ ვგავარ კურდღელივით ტყუპ-ტყუპებს რომ ყრიან. საკუთარი თავის მეტი არავინ გახსოვს, მარტო „მე“ და „მე“. ანტონიოსაც არ მიაქციე ყურადღება, როცა წესრიგისაკენ მოგიწოდა. მიზეზის ძიება საჭირო არაა. მე ჯიუტო, საქმის შედეგნა მხოლოდ შენი ბრალია. ნამდვილი სასწაული კი ის იყო, ქუჩაში რომ არ გაგაგდეს. ახლაც მტკივა მუხლები ამდენი დაჩოქილი ლოცვით, არ გეგონოს გატყუებ, სრულიად დეფორმირებული მაქვს. ანტონიო არ მიხსენო ახლა, მას სხვაგვარად მოქცევა განა შეეძლო, მარიო? თუმცა შენ არ მოგწონს, წესრიგისაკენ მოგიწოდა, ამას ვერ უარყოფ. ხოლო თუ მოსწავლეებმ გიჩივლა, რაც, ჩვენ შორის დარჩეს, სულაც არ მიკვირს, იგი იძულებული იყო, მადრიდში ეცნობებია ამის თაობაზე. ათასჯერ მითქვამს, ცირკში გგონიათ თავი, სადაც თქვენს ნებაზე მოიქცევით, მაგრამ ღრმად სცდებით-მეთქი. ეს იგივეა, რაც სახლი, იმ განსხვავებით, რომ იქ მშობლების ნაცვლად ხელისუფლებაა. ყოველთვის უნდა იყოს ვიღაც, რომელიც გეტყვის, ეს შეიძლება და ეს არაო. ახლა ყველა უნდა დადუმდეს და დამორჩილდეს. მხოლოდ ასე შეიძლება ცხოვრება. ხომ გესმის, რას ამბობს მამა: რესპუბლიკა რომ გამოცხადდა, ყოველივე ისე აირია, არავის გაეგებოდა რა ხდებოდაო. ველური ხომ არა ხარ, შეიგნე, ეს იმიტომ მოხდა, ძალაუფლება რომ არ არსებობდა. იგივეა, ერთ მშვენიერ დღეს ვუთხრათ მარიოს, მენჩუს, ალვაროს, ბორხას და არანს, ჭამეთ რაც გსურთ, იღრიალეთ რამდენიც მოგეპრიანებათ, როცა გინდათ დაიძინეთ, თქვენ ხართ სახლის ბატონ-პატრონი, დედ-მამასავით იბრძანებლეთო. წარმოგიდგენია რა ამბავი დატრიალდება? ყველასათვის ცხადია, მარიო, არავითარი საგანგებო ახსნა არ სჭირდება... ხომ ნახე, რა თქვა იხინიო ოიარსუნმა იმ დღეს — ქვეყანა წინ რომ წავიდეს, ყაზარმის დისციპლინაა საჭიროო. ვიცი, რომ ოიარსუნი შენი სათაყვანებელი წმინდანი არაა, მაგრამ თვით ანტონიომაც, თუმცა შენ გგონია ძალზე ისიამოვნა, საშინელი დღეები გამოიარა, ვალენსიაგან ვიცი. ანტონიო ჩემთანაც მოვიდა, იგივე რომ დამმართნოდაო, ასე არ მეტკინებოდა გულიო. ერთი მითხარი, მადლობელი არ უნდა იყო? შენ წინაშე ბრალი არ მიუძღოდა, რადგან რაც თქვი, სახუმარო როდი იყო. ეშმაკი შეგიჯდა. თუ ამას ცოდვად არ მიიჩნევ, აღარც ნაკლებია. თქვენსას ერეკებით და წარმოდგენა არა გაქვთ, რას ამბობთ. მადლობა უნდა გადაუხადო ვისენტეს,

ვალენი ჩვენი გულისათვის თავს დასდებს, ხომ იცნობ. სხვა გამომძიებელი რომ დაენიშნათ შენთვის, კარგადაც წავიდოდა საქმე, მაგრამ ვალენი შეუდარებელია, ძალიან მიყვარს. ისეთი ქალია, ყველაფერში ერკვევა, ასტრონომიაშიც კი, თუმცა სრულებით არ სჭირდება. თანაც კვირაში ერთხელ მადრიდში დადის სახის გასაწმენდად, იმიტომაა აქვს გადასარევი კანი, ეტყობა ჭკუას ჰკარგავ ვალენზეო. კი, მიყვარს, ამას ვერ დავმალავ. [illegible] რამდენი ჭუჭყი შეიძლება დაგროვდეს კანზე, ერთ გაწმენდაზე ვერც მოიცილებ. პირდაპირ დაუჯერებელია.

14

[და თუ დამკვიდრებულ იყუნენ შენ შორის ძმანი ერთად და მოკუდეს ერთი მათგანი, და ცოლი მისი უშვილოდ დაშთეს, ნუ განვალნ იგი ქმრისა უცხოსა უნათესაოსა, არამედ ძმამან მისმან მოიყუანოს იგი ცოლად და ხცხოვროს მის თანა.*] მეც ამას ვამბობ! იმ დღიდან, ელვირო რომ მოკლეს, ენკარნა შენ დაგსდევს, მარიო, ამას ვერავინ გადამარწმუნებს. შენმა რძალმა ის აკეთოს, რაც მოესურვება, მე რაში მეკითხება, მაგრამ ძალიან უცნაური აზრები აქვს. ნეტა რას ფიქრობდა მოსვენებას რომ არ გაძლევდა. ჩვენ შორის დარჩეს და გამოგიტყდები, ვიდრე შევუღლდებოდით, კინოში თქვენი ჩურჩულის გაგონებაზე ვგიჟდებოდი. შენ კი მუდამ ნამუსს სწმენდდი, ჩემი რძალიაო, ბევრი ტანჯვა ნახაო და კიდევ ათას სენტიმენტალურ რამეს იმეელიებდი. სულ ენკარნაზე ლაპარაკობდი. ღმერთო, რა დღეები გადავიტანე მაშინ. ვითომ ეს არ კმაროდა, მადრიდში ფულიც მიეცი. არაფერი იმალება, მარიო, ეშმაკს გამოცდილება შველის და არა ეშმაკობა, განა ვამბობ, მუშაობა დაიწყოს-მეთქი. ეს ნამეტანი იქნებოდა, მაგრამ ხომ ჰყავს მშობლები! აი, ხულია, მამასთან ცხოვრობს და ამით არაფერი დაშავებულა. პანსიონი კი არა აქვს გახსნილი, მაგრამ ამერიკელი სტუდენტებისათვის ბინის მიქირავება ახლა მოდაშია, კარგ ტონად ითვლება, ბევრი შესანიშნავი ოჯახი აკეთებს ამას. რა ვუყოთ, რომ ენკარნას მამა დამბლადაცემულია, მით უმეტეს, უნდა მიხედოს. უცნაურია მარიო, მამაშენი რომ ცუდად იყო და ლოგინში ასაქმებდა, — მახსოვს რა საზიზღრობა იყო, — ენკარნა მას უვლიდა, ახლა საკუთარი მამის პატრონობაზე იპრანჭება. რაც გინდა თქვი, უაზრობაა. ოღონდ ნუ მეტყვი, დედამისი უცნაური ქალია და თავის საქმეში არავის ჩარევა არ სურსო. ვინ არ იცის, რომ ეს სიბერის მარაზმია. მაგრამ ენკარნა დაუკითხავად თუ მივა და ოჯახს მიხედავს, კრინტსაც არავინ დაძრავს. საქმე ისაა, იქ მოწმეები არა ჰყავს და ინტერესიც არა აქვს. მამაშენს შენ დასანახავად უვლიდა და კიდევ იმიტომ, ჩემთვის მაგალითი რომ მოეცა. გესმის მარიო, მაგალითი რომ მოეცა ჩემთვის. რა სისულელეა! ხელს არ მანძრევინებდა. დედაშენზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. რას გამოგვაპარებდა, ჩვენ ორთავეზე მეტი ღონე ჰქონდა. ახლაც, ყოველ მოსვლაზე, ხან რას წმინდავს, ხან ბავშვების ტანისამოსს რეცხავს, თავი მომაბეზრა, წვრილმანებს განა თვითონ ვერ გავრეცხავ მანქანაში. შენს რძალს ერთი სული აქვს, ვინმეს ჭკუა ასწავლოს. თუ ხუთჯერ არ შეუქე ნაკეთები, ცუდადაა საქმე. წყეული ენკარნა, ღღეს არ გაუშვებს, არ გამომეცხადოს. საქმე ისაა, რომ შენი რძალი ძვირფასო, ქალბიჭაა, ქალურობას მოკლებულია. ელვირო, წარმოიდგინე, არც ჩანდა მის გვერდით, ისეთი ჩია კაცი იყო. სასაცილოა, სუსტი სქე-

* წიგნი მეორისა შჯულისა თავი XV, 5.

სიო. არ მინდა ცუდი ვიფიქრო, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ჩემის აზრით, ენკარნა ატყუებდა მას, ელვირო აბა რას დააკმაყოფილებდა. რა მონდომებით უვლიდა მამაშენს! მიართმევდა და მოართმევდა, როგორც პატარა ბავშვს. მამაშენი ლოგინში რომ მოისაქმებდა, სუნი დგებოდა, ღმერთო ჩემო, აეროზოლიც ვერ შველოდა. რისი სახლი, სალორე იყო, ცხოვრებაში უარესი არა მინახავს. დედაშენი კი ვითომც არაფერი, მუდამ კმაყოფილი იყო. არ ვიცი ასეთ დროს ყნოსვას კარგავენ თუ რა ხდება. შენ კი მსაყვედურობდი იშვიათად მიდიხარო. ნეტა რისთვის მივსულიყავი. ენკარნაც კმაროდა, მარიო, მე, ორი ბავშვის პატრონს საქმე თავსაყრელად მქონდა, თანაც ალვაროზე ვიყავი ფეხმძიმედ. თან საბაზანოში შენახული სანოვაგე რომ მახსენდებოდა, იქ გაჩერება არ შემეძლო. გეფიცები, ლუკმა არ გადამდიოდა ყელში. ამისთანა რამ დედაშენს ნეტა რანაირად მოუვიდა თავში? მაინც მივდიოდი, მარიო, მივდიოდი, აბა რა მექნა, თუმც არ მსიამოვნებდა. ავადმყოფები, ვერაფერს რომ ვერ იკავებენ, გულს მირევენ, ვერ ამიტანია. მინდა შევიბრალო, მაგრამ არ შემიძლია, ეს ჩემს ძალებს აღემატება. თანაც მამაშენი ისეთი მძიმე კაცი იყო, მევახშეობას კიდევ რა უშავს, მაგრამ სკლეროზი ჰქონდა, ყოველ საღამოს ერთი და იგივეს ამბობდა — წავიდეს ეს სენიორა, ვახშმობის დროაო. დედაშენს გულისხმობდა. მსგავსი არაფერი მინახავს! ან დაიწყებდა, გაიგე, შვილოო? რა-მეთქი? — ვუგორებდი კოჭს. ის კი მპასუხობდა, არ იცის, ამბავი კი ძალიან სასეიროა, ყველა იმაზე ლაპარაკობსო. ყოველ ცისმარე ერთი და იგივე — არაფერი გამიგია-მეთქი. შეხედეო! — ხველებ-ხველებით იცინოდა, — არაფერი იცისო. ვფიქრობ, მისთვის ათასწილად აჯობებდა მოხუცთა თავშესაფარში რომ ჩაგებარებიათ. მერე ერთბაშად დასერიოზულდებოდა, დაღონდებოდა, არ მახსოვს, დამავიწყდა ის ამბავიო, მაგრამ ძალიან სასეირო კი იყოო. რას იტყვი? ისეთი მარაზმი სჭირდა. უნდა ჩაგებარებიათ, მარიო, რაგინდ ძნელიც ყოფილიყო. კი, ბევრი გადაიტანა შენი ძმების გამო, მაგრამ ბოლო წელიწადი ლამის ვემალებოდი. თანაც ასეთი რამ ხშირად, აღვირახსნილად გატარებული ახალგაზრდობის შედეგია. გასაგებია? ეს უცნაური დაავადებები... გინდა ლუისს ჰკითხე. მერე ყველაფერი დიდხანს გაგრძელდა, ერთი წელიწადი, მარიო, არც კვდებოდა, არც რჩებოდა, ტანჯვა იყო. რისთვის მევლო იქ, ზედმეტად უნდა შემეწუხებინა, მეტი არაფერი, მოვლა აკი არ აკლდა. დედაჩემი სულ სხვა ამბავი იყო, გახსოვს, მარიო? საავადმყოფოში ხომ ბევრად ძნელია, მაგრამ დედა სულით არ დაცემულა, მუდამდღე იცვლიდა პერანგებსა და ყვავილებს... მის მდგომარეობაში თითქოს არაფრის თავი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ხომ ხედავდი, მასთან მისვლა სიამოვნება იყო. დედაჩემი, ღმერთმა აცხონოს, მამაშენის მდგომარეობაში რომ ჩავარდნილიყო, ჭამას აიკრძალავდა, დაგენიძლავები რაზეც გინდა, შიმშილით მოკვდებოდა და მაგ ზომამდე არ მივიდოდა, კეთილშობილებას, რა თქმა უნდა, ვერ შეიძენ, კეთილშობილი უნდა დაიბადო, აკვნიდან მოდის ყველაფერი. თუ კარგად დაუკვირდები, აღზრდა და წესიერ ხალხთან ურთიერთობა სასწაულებს ახდენს. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად, პაკიტო ალვარესიც კმარა. უბრალო ხელოსნის ოჯახიდანაა. ახლა აღარ, მაგრამ ბავშვობაში სიტყვებს ამახინჯებდა, ანეკდოტი იყო. დღეს სულ სხვა კაცია, რა რიხი, რა მანერები. არ ვიცი, როგორ მიაღწია, ისე კი კაცები იღბლიანები ხართ. ვინც ოცი წლისა ღმერთს არ უქნია, მან კიდევ ოცი წელი

უნდა მოიცადოს. თანაც ეს თვალები... პაკოს ყოველთვის ულამაზესი თვალები ჰქონდა, კატის თვალებისა თუ აუზის წყლის ფერი. ახლა თითქოს დასრულდა, უფრო წარმოსადეგი გახდა, გამოხედვაც სხვაგვარი აქვს, დაკვირვებული, ვერც აგიხსნი. თანაც ლაპარაკობს დინჯად, გამართულად, ნახევარტონებით, ძვირფასი თამბაქოს სუნი ასდის, მაგიჟებს ეს სუნი, მოკლედ, ისეთი კაცია, გულგრილს არ დაგტოვებს. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ არ გავიღებდი, ოღონდ ძვირფასი თამბაქო მოგეწია, მარიო, ანდა მუნდშტუკი გეხმარა. შენნაირ თამბაქოს ქვეყანაზე აღარავინ ეწევა, ძვირფასო, ვერ ვიტანდი ყოველთვის, როცა ხალხის თანდასწრებით თამბაქოს შეხვევას იწყებდი, ჩემი მემართებოდა. მერე რა სუნი ჰქონდა, თივის თუ რაღაცის, რა სიამოვნებას განიჭებდა ეს საზიზღრობა, ელეგანტურად მაინც მოგეწია, ასე ხომ მხოლოდ გლეხები ეწევიან. მელიფტეების შვილებიც აღარ კადრულობენ ასეთ თამბაქოს, თანაც ტანსაცმელს გიწვავდა, საშინელი შესახედი იყავი. რასაკვირველია, მიპასუხებ, ჩემთვის ტანსაცმელი არაფერს ნიშნავსო. ჩაცმა-დახურვას ყურადღებას არ აქცევდი, ვერც წარმოიდგენ, როგორ მწყინდა, ყოველთვის მოუწესრიგებელი იყავი. ახალ კოსტიუმს ორჯერ ჩაიცვამდი და გადასაგდები ხდებოდა. ნეტავ რამ შემაყვარა შენი თავი. შენი ზოლიანი ყავისფერი კოსტიუმი მზარავდა. ვოცნებობდი, გამოვასწორებ-მეთქი, მაგრამ კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს, ახალგაზრდობაში მეოცნებე ვიყავი, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე, მარიო, არ გამიმართლა, ტანჯვის გარდა არაფერი მინახავს. განა ტანსაცმლის რაოდენობასა აქვს მნიშვნელობა. ბებერ ევარისტოს ერთი ხელი ტანისამოსის მეტი არ გააჩნდა, მაგრამ დაუთოებული და დატკეცინებული ეცვა. მოურიდებლად ეუბნებოდა ყველას, სკამზე ავდივარ და ისე ვიცვამ და ვიხდი შარვალსო, ეს ყველაზე საუკეთესო საშუალებაო. წესრიგიანი იყო, ღამით კარგად გაასწორებდა შარვალს და ლეიბქვეშ აფარებდა დასატკეცად. ასე უთოთიც ვერ გაატკეცინებ. შენთვის, რასაკვირველია, დონ ნიკოლასისა და იმ წვერებიანი ლორის ნათქვამს მეტი ფასი აქვს, ვიდრე ჩემსას. ნეტავ თვითონ რას წარმოადგენს. რომ მეუბნება, კაცს გატკეცინებული შარვლის მიხედვით ვერ გამოიცნობო. შენ კი, მარიო, სიცილის ნაცვლად, ჯობდა პირში ბურთი ჩაგეჩარა მისთვის. არ ვიცი, სადამდე მივალთ ასეთი ლაპარაკით, — ჩვენი თავისუფლება ფულით სავსე ქისის კმაყოფაზე მყოფ კაბპას ჰგავსო. ხმამაღლა თქვა, ჩემი თანდასწრებით, აქი მშვენივრად დამინახა, მომესალმა ეგ არამზადა. რა წესია ეს! ოჯახში ასეთ ქალებზე საუბარი თავისთავად ძალიან ცუდია, მაგრამ ცოტა ფრთხილად მაინც უნდა იყოთ. ამ ვაჟბატონს ამბოხი თუ სურს, თავის სახლში წაბრძანდეს, სხვის სახლში კი კეთილი ინებოს და ოჯახის დიასახლისს სცეს პატივი. კარგი რამეც დათესა ჩვენს ოჯახში წყეულმა დონ ნიკოლასმა. მართალი გითხრა, მარიო, მე ურცხვი გაბრიელი და ევარისტო მირჩევნია შენს ინტელიგენტთა წრეს. ბოლოს და ბოლოს, გაბრიელი და ევარისტო თავის ჯემოზე ცხოვრობენ, რაც ძალზე ადამიანურია. ქალი და კაცი ღმერთმა ინსტინქტებით დააჯილდოვა, რითაც მრავალი სისუსტის ახსნა შეიძლება. კი არ მომწონს, სწორად გამიგე, მესმის, რომ უნდა მოთოკო ინსტინქტი, მაგრამ იმ ურცხვების გამართლება უფრო ადვილია, ვიდრე თქვენი. საბოლოო ჯამში ქალი, რომელიც გაბრიელთან ან ევარისტოსთან დაიჭერს საქმეს, მათსავით ურცხვია. მეც ხომ მიმიყვანეს შიშველი ქალების სურათებით სავსე სახელოსნოში. აინუნშიც არ ჩამიგდია, რადგან ისეთი ვარ, როგორიც უნდა იყოს ქალი, ასეა. შემიძლია ქვეყანას გაგაგებინო ის ამბავი, რომ ქალწული

მოგთხოვდი და ბოლომდე გიერთგულე. ეს შენი დამსახურება როდია, ძვირფასო, შენ ხომ გულგრილობაში ბადალი არა გყავს. ასეთივე იყავი ჰამაშიც. რაღას არ ვიგონებდი, შენ კი არც უცქერდი, რას ჰამდი, ოღონდ შიმშილი მოგეკლა, მეტი არაფერი. ყურადღებას ნუ მიაქცევ ჩემს სიცილს, ვალენის ნათქვამი გამახსენდა, იმის დროს სულ ახალ-ახალ ხერხებს ვიგონებთო. მეც ვეთანხმებოდი, რათა გაჩუმებულიყო. რა მეთქვა, ჩემი ქმარი ერთფეროვანია, ახალს არაფერს მთავაზობს-მეთქი? ხომ მართალს ვამბობ, მარიო. ერთი წამი გყოფნის, მე კი შუა გზაზე მტოვებ, ვერაფერ სიამოვნებას ვგრძნობ. ჩემთვის ეს საქმე არაა მთავარი, სულაც არა. მაგრამ საბოლოო ჯამში, მეტნაკლებად, ტკბილი ყველას უყვარს. არ გედავები, ეს გარყვნილებაა... გარყვნილება... გახსოვს? ამქვეყნად ყველაფერი გარყვნილება და ძალადობააო, ამბობდი, ზეპირად დავიმახსოვრე. რა გეცა მაშინ, გაზეთსაც აღარ კითხულობდი, არ შემიძლია, ცუდად ვხდებიო. წამალი დალიე-მეთქი. წამალი არ მშველისო. მშვენივრად ვიცოდი, რასაც მიპასუხებდი, — ყველაფერი ზიზღსა და შიშს იწვევს ჩემშიო. დიდებულია. მე კი არ უნდა შემზიზღებოდა დედაშენის საკუჭნაო, მას ტაბუ ედო. კაცები ასეთები ხართ. სასაცილოდ არ მყოფნის შენი ავადმყოფობა. ნერვები, ნერვებიო... ექიმებს არა გაეგებათ და ყველაფერს ნერვებს აბრალებენ. ერთი მითხარი, თუ არაფრი გტკივა და სიცხე არა გაქვს, მაშ რაღას უჩივი? ისე ტიროდი, თითქოს გკლავდნენ, ღმერთო, როგორ იპრანჭებოდი! უძილობისას მიმტკიცებდი, ლეიბში ვიძირებიო. ახალი ამბავი! ასე ხომ ბავშვობიდანვე მემართება. ეს იგივეა, როცა სიზმარში მოგსდევენ და ვერ მირბიხარ, ან ჩქარ-ჩქარა ამოძრავებ ხელებს და დაფრინავ, ანდა ამისი მსგავსი სიზმრები... რა ავადმყოფობა, მარიო, ძვირფასო! კაცები განებივრებულები ხართ და იმიტომ ჩივით. ეს ჩვენი ბრალია, სულელი ქალების, მთელი დღე შემოგცქერით, რას ჰამთ, რას ჩაიცვამთ, ღალატის შიში რომ გქონდეთ, ნერვები არც გაგახსენდებოდათ. უზრუნველყოფილები რომ ხართ, ამიტომ თხზავთ რაღაცებს, ფასი რომ დაიდოთ. ამპარტავნები ბრძანდებით, ამპარტავნები და მეტი არაფერი. ერთი ჩემნაირი შაკიკი გქონდეთ, ძვირფასო! აი ტანჯვა! გგონია, სადაცაა თავი გამისკდებაო. შენ კი, ჩაყლაპე ორი აბი და წამოწექიო, ხვალ კარგად იქნებიო. რა ადვილია, არა? ისე თავდაჯერებით მეუბნებოდი, თითქოს ექიმი იყავი. შენთვის ჩემი რჩევა არაფერს ნიშნავდა, თვითონ უამრავ აბებს ყლაპავდი, თანაც ძვირფასიანს. არც მინდა გავიხსენო, რამდენი ფული დავტოვეთ აფთიაქში შენი წყეული ნერვების გამო. სიტყვას გაძლევ, ის ფული რომ დამიბრუნონ, ხვალვე ვიყიდი ავტომანქანას, რა გეგონა, მაინცდამაინც ძვირფას წამლებს თუ არ დალევდი, ისე არაფერი გეშველებოდა? რა სულელები ხართ კაცები! ერთხელ მაინც გქონოდა ჩემნაირი შაკიკი, მარიო, აი მაშინ გაიგებდი ტანჯვის ფასს.

15

**[მპოვეს მე მხმილავთა რომელნი მოვიდეს ქალაქსა შინა, მცეს მე და მწყლეს მე...*]** ჯერ ერთი რამ მინდა გითხრა, ძვირფასო, თუმცა გამიჯავრდები, მაგრამ სულაც არ მენაღვლება შენი გაჯავრება. ჩვენ შორის დარჩეს და, ვერასოდეს დავიჯერებ, რომ პოლიციელმა გაგარტყა. მაშინ თქმა ვერ გავბედე, რამონ ფილგეირას კი ყველაფერში ვეთანხმებოდი, პარკში ვე-

* წიგნი ქება ქებათა მეფისა სოლომონისა, V, 7.

ლოსიპედით ჩიარულისათვის ხომ არა სცემდა პოლიციელიო? ნუ აღელდები, გთხოვ, ჭკუას მოუხმე, ნუთუ არ გესმის, რომ აბსურდია? სიმართლე მითხარი, ხომ თვითონ დაეცი, ასე ამტკიცებს პოლიციელი, ცრუობს განა? კარგად რომ განსაჯო, ღამის სამ საათზე პოლიციელი იგივეა, რაც შინაგან საქმეთა მინისტრი. დაგიძახა, სდექო, შენ კი შეგეშინდა და [illegible]. მუნებრივია, ამიტომაც დაგიშავდა სახე. საქმე ისაა, რომ [illegible] ვის ჭკუას ჭკარგავ. შენ გამო მუდამ მრცხვენოდა, ბავშვებთან რომ ტრაბახობდი, ტოლედოელი არწივი** ვარო, სისულელეებს რომ ჩმახავდი. ამიტომაც მოიგონე, პოლიციელმა დამარტყაო და ერთი ამბავი ატეხე რევოლვერის გამო. შეთხზე, ვითომ რვეულების სწორებით დაღლილი ბრუნდებოდი. კი, ძალიან მოსაბაზრებელია, სულ ერთი და იგივე... მაგრამ რად უნდა იყარო ჯავრი პოლიციელზე, რომელიც ბოლოს და ბოლოს თავის მოვალეობას ასრულებს? აბა, დადექი და ნახე, როგორია მთელი ღამე სუსხიან ქუჩაში ყურყუტი! თანაც, ძვირფასო შენს ასაკში აღარ შეგფერის ველოსიპედით სიარული, ბავშვი როდი ხარ. თუმც სიჭაბუკეს ებღაუჭებით, წლებს მაინც თავისი გააქვს, ასეთია ცხოვრების კანონი, ამას წინ ვერავინ აღუდგება. გაიხსენე, რას ამბობდა დედაჩემი, ღმერთმა აცხონოს, სიკვდილის გარდა ყველაფერს ეშველებაო, ქალები კი.,, თუ სიმართლე გინდა, არ მესმის, ამდენს რად ვარჯიშობდი მუდამ დღე, ველოსიპედით უაზროდ გადიოდი ორმოცდაათ კილომეტრს. გასართზგი ხარ პირდაპირ, ნუ მეკამათები. იშრომე, იმუშავე და აღარც გასუქდები. ათლეტური აღნაგობა მაინც გქონოდა, შენ კი ისეთი გაჩხიკვული იყავი, ძვირფასო, ორ კაპიკადაც არ ღირდი, აწოწილი, მახსოვს, პლაჟზე თეთრად გვგვიდიოდა ქათქათი. მოკლედ, რისთვის ვარჯიშობდი. კარგად წერდი თუ ცუდად, არ ვიცი, მაგაში არ ვერევი, მაგრამ სპორტსმენად არ ვარგოდი, არც გარეგნობა გიწყობდა ხელს, არც მონაცემები, ყველა თავის საქმეს უნდა ეწიოს. თუ რამონ ფილგეირამ მამაშვილურად მიგიღო თავის კაბინეტში, აკი თვითონვე აღიარე, მაშ რად ატეხე ერთი ამბავი და პოლიციელს რად დასწამე ცილი, შენ ხომ მატყუარა არასდროს ყოფილხარ? ვწუხვარ, რომ სულელური პატივმოყვარეობის გულისათვის არ აღიარე, თვითონვე ჩამოვვარდიო, გულგრილად იცრუე. აი, როგორი ხარ. მცდარად გაგებული თავმოყვარეობის გამო სხვას უქმნი სირთულეებს, ეს კი შენს ბუნებას არ შეესაბამება. ეტყობა, გსიამოვნებს აყალმაყალი. ფილგეირასათვის შესვლისთანავე პირდაპირ რომ გეთქვა, მართალი ბრძანდებით, გონება დამებინდაო, ყველაფერი, რა თქმა უნდა, სხვაგვარად იქნებოდა. არც ის, არც ხოსეჩუ პრადოსი, არც ოიარსუნი, თავს დავდებ, უარს არ გვეტყოდნენ ბინაზე. საქმე კი ისაა, ძვირფასო, რომ ჯიქურ გიყვარს ყველაფრის გაკეთება, ზრდილობა და მლიქვნელობა ერთმანეთში გერევა. ან მლიქვნელობამ რა დაგიშავა? სულ მლიქვნელობა და სტრუქტურა გაკერია პირზე. რაც გინდა თქვი, მაგრამ ესეც შენი ერთ-ერთი ახირებაა. შენი აზრით, ხელისუფლებისადმი თავაზიანობა უკადრისი საქციელია, ასეა ხომ? კაცმა რომ გისმინოს, მე უცნაური ქალი ვარ. ცუდ ქალად იმიტომ მაცხადებ, გონება რომ მიჭრის. ღმერთო, რა საშინელებაა! ყური მიგდე, მეტსაც გეტყვი, დავუშვათ, პოლიციელმა მართლა ჩაგარტყა თავში, რაც ძალიან მეეჭვება. განა თავში ჩარტყმა არ ღირს ექვსოთახიან ბინად თავისი ლიფტით, ცხელი წყლით და მცირე გადასახადით? მოვეუშვათ რომანტიზმს,

** ცნობილი ესპანელი ველოსიპედისტი.

ვიაზროვნოთ, ძვირფასო. შენ დინების წინააღმდეგ ცურვა გჩვევია. ჩვენ კი პრაქტიკულ ეპოქაში ვცხოვრობთ, ამის უარყოფა სისულელეა. განა გეუბნები, ყველაფერზე თავი აქნიე-თქო.ცოტა მოითმინე, მერედა ქცევას ვინ გთხოვს. ასევე იყო ალკალდთან, ოიარსუნთან და ხოსეჩუ პრადოსთან. აბა რა ეშმაკმა მოგაფიქრა ხმების დათვლა. თუ არა ეს [illegible] ვინ გვეტყოდა უარს? შეიგნე, მარიო, რასაც დასთეს, იმას მოიმკი [illegible] იტყოდა, ღმერთმა აცხონოს, ცხოვრებაში კარგი მეგობრები მეტს ნიშნავს, ვიდრე კარიერა. უსასრულოდ შემიძლია გაგიმეორო, რომ კარგი კაცობა გსურდა, ბოლოს კი სულელი დარჩი, ასეა ეს. ამბობდი, სიმართლით ყველაფერს მიაღწევო. შესანიშნავია, არა? ხომ ხედავ, შენი თეორიებით რას მივაღწიეთ. როგორც გინდა ეცადო, ცხოვრებაში ყველასთან კარგი ურთიერთობა ვერ გექნება, ერთს თუ მოსწონხარ, ამით სხვა ღიზიანდება, და ეს ბუნებრივია. თუკი ცხოვრება ასეა მოწყობილი, რადგან მუდამ ასე იყო, რატომ არ გსურს შენი შესაფერი ხალხის გვერდით იდგე? მაგრამ უკაცრავად, მაწანწალებსა და გლეხებსა ხარ გადაყოლილი, გიმადლოდნენ მაინც. ქკუის კოლოფი ხარ, ძვირფასო. ყოველთვის, როცა ვფიქრობ, რომ პოლიციელთან კონფლიქტის ოქმისა და მსგავსი რამეების გამო ისევ ამ ჯურღმულში ვართ შეყუჟული, ვგიჟდები, ასეთი ცხოვრება ღირდა განა? თანაც რა დაგიშავეს საცოდავმა პოლიციელებმა? მათი ჯინი გაქვთ. ნეტა გენახა, რა სახე ჰქონდა სოლორსანოს, როცა იმ ქაღალდს აწერდა ხელს. ესაოდა, ვიღაც კაცი ფეხბურთზე მიიჩქაროდა, პოლიციელმა კი იგი ხელკეტით სცემაო. დაჯერება არ შემეძლო. კომისარიატიდან რომ დამირეკეს, უამრავჯერ გავუმეორე, ჩემი ქმარი ფეხბურთზე არ დადის-მეთქი. მერე შინ რომ დავბრუნდი, რა დღე მაყარე! ღირდა ამად? მითხარი, ვინ გექაჩებოდა ენაზეო? კაი, ნუ ბრაზობ, მკითხეს და ვუპასუხე, ეს იყო და ეს. მაშინვე კი მივხვდი, ყველაფერ ამის მიღმა ისევ დონ ნიკოლასი და დანარჩენები იდგნენ, რას მომატყუებ. შორიდანვე ჩანს, რას წარმოადგენს დონ ნიკოლასი. იმდენი ლოლიავის ნაცვლად, თავის დროზე რომ დაეხვრიტათ, რამდენ უსიამოვნებას ავცდებოდით. სხვები ბოლოს და ბოლოს, უფრო მცირე დანაშაულისათვის დახვრიტეს, ხოსე მარიას არ ვგულისხმობ, იგი სამართლიანად დაისაჯა. სამსახურში რომ არ წავიდა, ის კიდევ არაფერი, თუმც მამაშენმა ტვინი შეგვიჭამა. ხოსე მარია პლასა დე ტოროსზე ნახეს ასანიას მიტინგზე, რესპუბლიკის გამოცხადების დღეს კი ასერაზე დადიოდა სამფერი დროშით* ხელში და შეშლილივით გაჰყვიროდა. ელვირო სულ სხვანაირი იყო. ხოსე მარიას ეგონა, თავისი გარეგნობის წყალობით ყველაფერს მიაღწევდა ქალებთან, შესაძლოა, ასეც იყო, კაცებთან კი ბოდიში! მაგრამ ყოველივე ამას პოლიციელებთან რა კავშირი აქვს? პოლიციელების ასეთი შიში სისულელეა, ძვირფასო. თვით ვალენი, დაინახავს თუ არა პოლიციელს, ხედს მომიჭერს და იცინის, მარიო რომ გამოგვეცხადოს ახლა აქო... მე კი ვიტყოდი, ყველაფრის თავი და თავი ისაა, რომ ხელისუფლება არ მოგწონთ, გგონიათ, სკოლა რახან დაამთავრეთ, ყველაფრის უფლება მოიპოვეთ, მაგრამ ცდებით, მარიო. მასე კარგადაც წაგვივიდოდა საქმე. ცხოვრებაში, გაჩენის დღიდან მორჩილება და წესრიგის დაცვა გვმართებს, უპირველესად, მშობლებს უნდა დავემორჩილოთ, შემდეგ კი ხელისუფლებას, რაც, საბოლოო ჯამში,

* რესპუბლიკის დროშა — წითელი, ყვითელი და იისფერი ზოლებით.

ერთი და იგივეა. ხოლო დროდადრო თუ სილას გაგვაწნავენ, არ უნდა გაბრაზდე, მორჩილად უნდა ითმინო და ირწმუნო, რომ ამას სხვები საკუთარი სიამოვნებისათვის კი არა, ჩვენივე კეთილდღეობისათვის აკეთებენ, რათა არ ავცდეთ სწორ გზას. ამბობდი, მინდა სუფთა ვიყოო, ცოტა რამ მაინც რომ გამოვასწორო. სიცოცხლე გამართლებულიაო. წმინდაწყლის გულუბრყვილობაა, ერთმანეთი რად მოვატყუოთ, მარიო. იქნებ მითხრა, რა [illegible]რე? რისთვის იცხოვრე, თუკი შენს ცოლს ერთი საცოდავი „სეისსიენტოსი“ ვერ უყიდე? ქადაგებდი, სიყვარული და გაგებაო! ნუ მაცინებ, რაღაც მეც გამეგება, შარის თავი ხარ და მეტი არაფერი, ასეთი ბრძანდებოდი მუდამ, უმიზეზოდ ახირდებოდი ხოლმე. მერე გადასასვლელზე იდექი და მანქანებს უთმობდი გზას, ან მადრიდელი მაწანწალებისაგან სამშვენისებს ყიდულობდი, ანდა მაღაზიებში რიგს უთმობდი ვიღაცას. აი ესაა, ყველაფერზე მეტად რომ მიწეწავს ნერვებს, თუ ვინმეს რაიმეს ყიდვა სურს, კეთილი ინებოს და ადრე აბრძანდეს ლოგინიდან, მარიო, ამისთვისაა რიგები, აბა რა გგონია. შენ ხომ ვერას გაგიგებს კაცი, მარიო, აი სიმართლე, მგონი თავადვე არ გესმის საკუთარი თავის. ერნანდო დე მიგელის ამბავი გავიხსენოთ თუნდაც, გოჯი ესროლე კიბეზე, კინაღამ მოკალი, მერე კი მთელი საღამო გულხელდაკრეფილი იჯექი და გაიძახოდი, ქველმოქმედებასა და კორუფციას შორის კონფლიქტს ვერავინ მოაგვარებსო. ოხ, რა პრობლემები გაქვს! ნეტა მეტი დარდი არ გაგაჩნდეს. აუტანელი ხდები, ძვირფასო. წერ შენს სქელტანიან წიგნებს და წერე, მე რას მაგიჟებ. საკმარისია ფული, მანქანა ან რაიმე მნიშვნელოვანი მეხსენებია. გაჩუმდიო. გაგონება არა გსურდა, მხოლოდ შენთვის საინტერესო თემებზე ლაპარაკობ, თუ არადა, სდუმხარ. ასეთი ხარ, მარიო, გავლენიან ადამიანებს ჯიბრში უდგები, მაწანწალებს კი ყველაფერს უთმობ. რა კარგია! ჩემის აზრით, ან ყველას უნდა დაუთმო, ან არავის. სიმტკიცე ან გაქვს, ან არა. მაგრამ ყოველთვის შენი გინდა გაიტანო, ხან ჯიქურ, ხან ქედმოდრეკით, რაც, ვფიქრობ. საშინელებაა. ვალენი იცინის, ყველანი იცინიან ,ისინი ხომ შორიდან გიცქერენ. ჩემს ადგილას ყოფილიყვნენ, ძვირფასო, მერწმუნე, ორი კვირაც ვერ აგიტანდნენ, ვალენი ამბობს შენზე, ჰალსტუხებსა და მოხუცებს ვერ იტანსო. არცა ცდება. აბა რამ გადაგრია ამ ახალგაზრდების გამო, სიტყვის უფლებას არ აძლევენ, თორემ ერთმანეთს გაუგებენო. იქნებ მითხრა, ვინ უშლის მათ ლაპარაკს? განა ყველაზე მეტს არა ჰყვირიან? დღესდღეობით ქუჩაში ვერ გასულხარ მათი ხმაურისა და მოტოციკლეტების გამო. აღარც პატივისცემა, აღარც მორიდება, აღარც არაფერი, უკუღმართი ხარ, ყველაფერს უდროო დროს აკეთებ. მშობლები რომ გარდაგეცვალა, ცრემლი არ ჩამოგვარდნია. მერე კი არაფრის გულისათვის მთელი დღეები მოსთქვამდი. ნერვებიო... მეცინება. სწორი გზიდან აცდენის შიში გჭამდა, კიდევ ჩემი გშუროდა, ჩემი და იმათიც, ვინც თავის თავში დარწმუნებული იყო. ასე, ჩემო კარგო, აბა რა გეგონა? როცა სინდისი მშვიდად გაქვს, სხვებს თავში ქვა უხლიათ. თუ ასე გშურს ჩემი, რად არ მომბაძავ. რად არ მოეშვები არისტეგის, მოიანოს და მათ ჯამაათს? მაგარი ტიპები არიან. ზოგჯერ ვფიქრობ, მარტო ავადმყოფობის დროს იყავი კარგად. იმ ახალგაზრდების მსგავსად, რომელთაც ასე თავგამოდებით იცავ, არ შეგიძლია მორჩილება და ენაზე კბილის დაჭერა. გაიგე, ისინი არამზადები, ნაძირალები არიან, შენ კი მათ უდანაშაულო მსხვერპლად თვლი. ეს მხოლოდ ფრაზებია. მარიო, გიმეორებ. თუ ასე ვიმსჯელებთ, მე

რალა დავაშავე ავტომანქანას რომ ვერ ვყიდულობ, მაშინ როცა იგი ყველა ჩემს ამხანაგს ჰყავს. დედაჩემი? დედაჩემს რაღა დანაშაული მიუძღვის? თანაც ეს ომი სხვაზე ძვირად დაუჯდა. ხმამაღლა არ ამბობდა, მაგრამ ხულიას ამბავი მისთვის სიკვდილზე უარესი იყო. საკუთარ მშობლებს და და-ძმას აქებ გამუდმებით, ეგოისტი ხარ და მეტი არაფერი. ჩემს მშობლებზე არასდროს გიფიქრია. მოდი, ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე, [illegible] მორჩილება გმართებს, მორჩილება და დუმილი. შენ და შენი და ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს. როგორ გგონია, შენი და რად ვერ გახდა მონაზონი? ზუსტად იგივე მიზეზის გამო, ძვირფასო, დამორჩილება და გაჩუმება არ შეუძლია, ყველაფერზე ხმაურს სტეხს. არც შენ და არც მას, არც მას და არც შენ არ შეგიძლიათ კანონებს დაემორჩილოთ. ჩარო ახლა გაორებულია, არც აქეთაა, არც იქით, დღითი დღე უფრო უცნაური ხდება. დამიჯერე, მებრალება და ბავშვებს იმიტომ ვუშვებ მასთან კვირაობით. სახლი კი არა, პანთეონი აქვს, მარიო. ხომ გესმის რას ამბობს ალვარო, მიჯობს მშიერი დავრჩე, ვიდრე ჩარო მამიდასთან ვისადილოო. ბუნებრივიცაა, მშვენივრად მესმის მისი. ჩარო გამუდმებით თავის ძმებს და მშობლებს აქებს, აბა რა წესია, ბავშვებს ამდენი ელაპარაკო მიცვალებულებზე. ჩარო გამონაკლისი როდია, შენი ალიკვალია, სულ უკმაყოფილოა ხოსე მარიასავით, ერთ თარგზე ხართ მოჭრილი. განუწყვეტლივ იმეორებ, ჩემი და ყოჩაღიაო, რა თქმა უნდა, ჩემ გასალიზიანებლად, კარგად გიცნობ რაცა ხარ. ჩაროს მოსამსახურე არა ჰყავსო. გეფიცები, აღარ შემიძლია მისი ატანა. ისეთი გამომეტყველება აქვს, იფიქრებ ეს-ესაა გული უნდა შეუღონდესო. კოსმეტიკას სულ არ დაგიდევს, ჩვიდმეტი წლისა რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ მის ასაკში ეს შეუფერებელია, მარიო. სხვათა პატივისცემით მაინც მოიწესრიგოს თავი. აბა ვის სიამოვნებს მიწისფერი და გამომშრალი სახის ცქერა. ჩემ ჯიბრზე ყველაფერი შეგიძლია თქვა, მარიო, მაგრამ ამით ვერას დამაკლებ, ჰოდა, თუ გინდა იცოდე, მეც ძალიან ყოჩაღი ვარ. შიმშილობის დროს, როცა საჭირო იყო, ბიძია ედუარდოს დავყვებოდი ყველაზე ბინძურ სოფლებში, რათა მშობლებისათვის მეხუდო და ისპი მეშოვა. არ იფიქრო მაშინდელი ავტომანქანები ახლანდელს ჰგავდნენ. გაზით მუშაობდნენ, აბა რა გეგონა? მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონია. და თუ საჭირო შეიქნება, ისევ დავიკაპიწებ მკლავებს, ყველაფერს ავიტან. და ამისი ხმამაღლა თქმაც შემიძლია.

16

[მოვედ და ჭამე სიხარულსა შინა პური შენი, და სუ გულითა კეთილითა შინა ღვინო შენი, რამეთუ ეგერა სათნო იჩინა ღმერთმან ქმნილნი შენნი ყოველსა შინა ჟამსა რათა იყუნენ სამოსელნი შენნი სპეტაკ და ზეთი თავჳსა ზედა შენსა რათა ნუ მოგაკლდების. და იხილე ცხოვრება დედა-კაცისა თანა რომელი შეიყვარე ყოველთა შინა დღეთა ცხოვრებისა ამაოებისა შენისათა, რომელი მოგეცა შენ მზესა ქუეშე...*] საქმე ისაა, რომ მხიარული, რასაც მხიარული ჰქვია, არასდროს მინახიხარ, მარიო, საქორწინო მოგზაურობაშიც კი. მეტი რაღა გინდა! ვალენი ამბობს პირველი ღამე ხუმრობა როდიაო. მეც ვეთანხმები. ბუნებრივიცაა, აბა ხომ არ ვეტყვი, ზურგი რომ

* წიგნი ეკლესიასტე, IX, 7-9.

შემაქციე. ჩვენ გარდა ყველა გადასარევ დროს ატარებდა. მახსოვს, რომ ვკითხავდი მადრიდში, კაფეში დავსხდეთ-მეთქი? როგორც გინდაო,. მპასუხობდი. თეატრში წავიდეთ-მეთქი? როგორც გინდაო. ამის მეტი არაფერი იცოდი, ბრიყვო? ქალი უმწეოა, მარიო, პატრონობა სჭირდება. სისულელედ მოგეჩვენება, მაგრამ ალნაგობაც მეტყველებს ავტორიტეტებში. შენთვის კი ყველაფერი სულ ერთი იყო, ვიტრინებში არ იცქირებოდი, არც ხალხის ჩოჩქოლს იღებდი ყურად: კინოზე აღარც ვლაპარაკობ! არც კორიდა მოგწონდა. გულწრფელად მითხარი, მარიო, ამას შენ საქორწინო მოგზაურობად თვლი? მაგრამ მხოლოდ ეგ რომ ყოფილიყო.... სახე მუდამ ჩამოგტიროდა, ფიქრებში იყავი წასული. მაშინაც, როცა ომიდან დაბრუნდი, ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ... შენ გარდა ყველა ფრთაშესხმული იყო სიხარულით. გამარჯვების შემდეგ თუ ასეთ გუნებაზე იდექი, დამარცხებულს რაღა დაგემართებოდა. შენი ვერაფერი გაუგიათ, მარიო, ძვირფასო, როგორ ვერ მიხვდნენ, რომ არა ხარ ნორმალური. განა ვამბობ ცხოვრებაში წინააღმდეგობები არაა-მეთქი, ნეტამც არ იყოს, მაგრამ თავს უნდა მოერიო და ცხოვრება სიამეში გაატარო. დედაჩემი ამბობდა, შვილო, მხოლოდ ერთხელ ვცხოვრობთო. ერთი შეხედვით სისულელედ მოგეჩვენება, მაგრამ თუ დაუკვირდები, ამ ფრაზაში დიდი ფილოსოფია ძევს, დიდი აზრი, მარიო, გაცილებით მეტი, ვიდრე გგონია, შენ კი ყველაფერში ცუდს ხედავ. ცხოვრებაში უსამართლობა, კორუფცია და ამდაგვარები მუდამ იყო, როგორც ყოველთვის იყვნენ ღარიბები და მდიდრები, მარიო, მერწმუნე, ცხოვრების წესია ეს. მეცინება შენს სიტყვებზე, ძვირფასო, ჩვენი ვალია ვამხილოთო. ნეტა ვინ დაგაკისრა ეგ მოვალეობა, იქნებ მითხრა? შენი ვალია ასწავლო, მარიო, ამიტომა ხარ პროფესორი, უსამართლობას კი მოსამართლე განსჯის. დარდის შესამსუბუქებლად ქველმოქმედება არსებობს, ხოლო თქვენი პატივმოყვარეობა აუტანელია. წყეული დონ ნიკოლასი! ვერ წარმომიდგენია, როგორ კითხულობს ხალხი „ელ კორრეოს", ხელში აღება მეზიზღება, მხოლოდ გაჭირვებასა და უბედურებაზე წერთ. ათასობით ბავშვი სკოლის გარეთ დარჩაო, ციხეებში ცივაო, მუშები შიმშილით კვდებიანო. გლეხები არაადამიანურ პირობებში ცხოვრობენო. გამაგებინა ნეტა, რა გინდათ. ერთხელ მაინც თქვით გარკვევით! გლეხებს რომ ლიფტი და ცენტრალური გათბობა მისცე, რაღა გლეხები იქნებიან? ასეა არაა? ამ საკითხის არაფერი გამეგება, მაგრამ ვფიქრობ, ღარიბები ყოველთვის იქნებიან, რადგან ასეა ცხოვრება მოწყობილი, აქ რაა საგანგაშო. მხიარულ გუნებაზე კი, რასაც მხიარული ჰქვია, მხოლოდ ნასვამი თუ იქნებოდი ხოლმე. რა სირცხვილი მაჭამე იმ საღამოს ვალენტინასთან, შამპანურის საცობები რომ დაუშინე ფანრებს. უმალვე ვიგრძენი, ასე მოხდებოდა. შესვლისთანავე ფიტო სოლორსანო და ოიარსუნი რომ დავინახე, გავიფიქრე, მარიო ან კუთხეში მიიყუჟება, ან სპექტაკლს გამართავს-მეთქი. მშვენივრად გიცნობ, კარგო, ოც წელზე მეტი განა ტყუილად ვიცხოვრე შენ გვერდით. ასევე იყო მადრიდში, ენკარნასთან, კონკურსში გამარჯვების შემდეგ უსათუოდ დალევდი, ხომ ასეა! თავს მოვიჭრი, რომ ლუდითა და კიბორჩხალებით არ დამთვარდებოდა საქმე. მერე სად წახვედით? რას არ გავიღებდი, ეს რომ გამაგებინა! ენკარნასთან უკეთეს გუნებაზე იქნებოდი. ჭკუიდან ისა მშლის, უცხო ხალხთან რომ უფრო ხალისიანი ხარ, ვიდრე საკუთარ ცოლთან. მითხარი, დონ ნიკოლასმა ცუდის მეტი რა გაგიკეთა, როგორც გინდა შეინიღ-

ბოს, მაინც მიხვდები, რა ვაჟბატონი ბრძანდება. საკუთარ ჩრდილსაც დასცინის, მაგრამ მის ხუმრობაზე სულაც არ მეცინება. აშკარად ჩანს, რასაც წარმოადგენს. თუნდაც იმ საღამოს რომ ყვებოდა, ომის დროს ტყვედ ჩავვარდითო. ერთი სიტყვა მაინც დაიჯერე? იმ ტიპმა ჩაგვამწკრივა და კაპრალს უთხრა, 367 კაცზე ვარ პასუხისმგებელიო. და[illegible] 366-ია, ქუჩაში გადით და პირველივე შემხვედრი დაიჭირეთ[illegible] ბოლო გამოიყვანეთ და დახვრიტეთო. ზღაპარია ყველაფერი. რასაკვირველია, მწკრივის ბოლოს თვითონ იდგა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ამბავი რა მოსაყოლია. ერთი სიტყვის მაინც გჯერა? უკიდურეს შემთხვევაში, ის ტიპი გაიხუმრებდა, დროის მოსაკლავად წაიანგლა ალბათ, რადგან სულაც არ ეპიტნავებოდა 300-ზე მეტ წითელთან ერთად ჩაკეტილში ჯდომა, ვერც დაელაპარაკებოდა ვერავის. არ გინდა მისი ატანა? მშვენიერი მოსაუბრეა, წერაც ეხერხება, მაგრამ ინტრიგანია და ცუდი ადამიანი, აღარ იცის, რა შეთხზას, რა დაწეროს გაზეთში, რათა ხმაური ატეხოს. ახლა შემიძლია ვთქვა, მარიო, რომ არასდროს ისე არ გამხარებია რაიმე, როგორც დონ ნიკოლასის განცხადება გაზეთის რედაქციიდან წასვლის შესახებ. გახსოვს, მისი ძმა ბენხამინი დირექტორის მოადგილედ რომ დანიშნეს და უთხრეს, თქვენი ძმა ნიკოლასი თუ წესიერად არ მოიქცევა, სამსახურს დატოვებთო? ძალიანაც მართებული მოთხოვნა იყო. დონ ნიკოლასი მდიდარია, რას დააკლებდნენ, ძმის გულისათვის ის კი გაფრთხილდებოდა. საბოლოოდ, ამ საქმიდან არა გამოვიდა, დონ ნიკოლასი თავისას არ იშლიდა, ჯერ ცოტაოდენი სიფრთხილე გამოიჩინა, მერე კი ძველებურად განაგრძო. ნამეტანი იბლინძება. მამაჩემს ახსოვს, რომ იგი მდაბიო ოჯახში გაიზარდა, დედა მრეცხავი თუ უფრო უარესი ჰყავდა, ვერ გამიგია, წესიერ ხალხს მასთან რა ესაქმება. მრეცხავის შვილი, უჭკვიანესიც რომ იყოს, რას შეიძლება წარმოადგენდეს? ასეთ ტიპებზე, ქაფივით რომ წამოტივტივდებიან ხოლმე, მამაჩემი ამბობს — ინტელიგენტად გახდომას სულ მცირე ოთხი თაობა სჭირდებაო, ნუ შემეკამათები, მარიო, მამაჩემი შეიძლება მოგწონდეს, შეიძლება არა, მაგრამ ვიღაც ვიგინდარა ხომ არაა. საუკუნეა „ABC"-ში თანამშრომლობს, დღეს ხომ არ დაუწყია მუშაობა. აქი ნახე, რა შესანიშნავი რეფერატი დაგიწერა. მას შემდეგ აღარც გაგხსენებია, საწყალს გული სწყდებოდა, თქმით კი არ უთქვამს. საცოდავი, რამდენი დრო შეალია მის დაწერას. ორჯერ დეკანსაც ესაუბრა, დონ ლუკას სარმენტოს. გუშინდელივით მახსოვს, შინ რომ გვეწვია, ადგილს ვერ ვპოულობდი, გავდიოდი და გამოვდიოდი, ნეტა რამეს თუ გააწყობენ-მეთქი. ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნეტა რა თავი სტკიოდა მამაჩემს. ბოლოს და ბოლოს შეცდომა შენ დაუშვი, ისე მოიქეცი, თითქოს ციდან ჩამოვარდნილი იყავი. ურეფერატოდ გამოცხადდი კონკურსზე, ეს კი დაუშვებელია. კვლევითი სამუშაოო, ამტკიცებდი, დარბოდი არქივიდან არქივში და დროს ფლანგავდი. კაი ვინმე ხარ, ეს იმასა ჰგავს, ვიღაც მაწანწალას რომ მიესალმე არონდეს აფთიაქთან, რა სიამოვნებით გაგაწნავდი ჩემი ასეთ უხერხულობაში ჩაგდებისათვის. საწყალმა მამამ გაჭირვებიდან ამოგათრია. შენ კი აღარც გახსოვს, ერთი სამადლობელი წერილი მისწერე და მორჩა, საცოდავი მამა! მთელი კვირის მანძილზე თვალი არ მოუხუჭავს. მახსოვს, იძახდა,

ისტორიკოსი არა ვარ, მაგრამ ვეცდები, ვეცდებიო. თავი არ აუღია, ვფიცავ, ერთი კვირა თავი არ აუღია. რა თქმა უნდა, ღირსეული კაცია. ისეთი ნაშრომი შეგიქმნა და მცირეოდენი ყურადღება მაინც გამოგეჩინა. რეფერატი „კასა დე კულტურაში" წიგნად უნდა გამოგეცა. საწყალი, რა ბედნიერი იქნებოდა. მას ხომ ცოტაც აკმაყოფილებს. მაგრამ, მარიო, შენთვის თავაზიანობა უცხო ხილია, ერთი წერილი მისწერე და მორჩა. არ გეგონოს, რეფერატი ვრცელი და რთული ნაშრომი იყო-მეთქი, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ძალიან კარგად იყო დაწერილი, ნუ მედავები. თუმცა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ რამდენადაც შენ გეხებოდა, სამჯერ წავიკითხე იგი. ვერც დაიჯერებ, ისე აღფრთოვანებული დავრჩი, განსაკუთრებით ისტორიის შესწავლის რეგრესიული მეთოდი მომეწონა, ბოლოდან რომ უნდა შეისწავლო, კიბოსავით უკან-უკან უნდა იარო, რადგან ომები და მსგავსი რამეები უმიზეზოდ არ ხდება. ახლაც მიდევს კომოდში ის რეფერატი. რა ლალად წერდა! ამგვარად, ჩვენ შედეგიდან მიზეზისაკენ მივდივართ. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ მამაჩემის წყალობით გაიმარჯვე კონკურსში. წინასწარ არავინ არაფერი იცის, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბედი შეგვეწია. ძალიან კეთილსინდისიერი მშრომელი ხარ, მაგრამ ასეთ კარგ ნაშრომს ვერასდროს დაწერდი. მამა შესანიშნავი ადამიანია, მარიო, დილამდე რომ ვილაპარაკო, მაინც ვერ ავწერ, რა კაცია. გუშინ იგი აუცილებლად მოვიდოდა, ასე მოხუცი რომ არ იყოს. აღარაფრის თავი აღარა აქვს საცოდავს. ხულია ამბობს, სახლიდან აღარ გადისო. ბუნებრივიცაა, მადრიდში დიდი მოძრაობაა. სამაგიეროდ, დეპეშა გამოგზავნა. ვიტირე კიდეც. საწყალი, ალბათ როგორ განიცდის. რაც შეეხება კონსტანტინოს, ჯობდა არ მოსულიყო, ის ხომ არც გიცნობდა. მერე კიდევ არ მსურს მარიოს რომ დაუმეგობრდეს. შენი აზრით, იქნებ გაუმართლებელია, მაგრამ არ შემიძლია ამ ბიჭს დისწულად მივიჩნევდე. რა ექნა, მგონია, შუბლზე აწერია, უკანონო შვილი რომაა. სირცხვილო. რომ იცოდე, რაზე წავასწარი მათ მარიო! სანტანდერის აღების დღე იყო, არასდროს დამავიწყდება. ჩახუტებულები გორაობდნენ ხალიჩაზე. საშინელებაა, გახსენებაც არ მინდა. იმ უსირცხვილომ კი მითხრა, ვთამაშობდით, bambina-ო. კინაღამ გული წამივიდა. შემიძლია დავიფიცო, რომ გალის მე მოვწონდი, მაგრამ ხულიამ საბაბი მისცა, გალისაც რა ენაღვლებოდა. აბა ჩემგან რა ხეირი ჰქონდა, საშინლად გავბრაზდი, მაგრამ სირცხვილისაგან კრინტიც არ დამიძრავს. დედაჩემი ვერაფერს მიხვდა, ვიდრე არ გაიბერა ხულია. შეიტყო თუ არა, ჯერ ბურგოსში წაიყვანა, მერე მადრიდში. წარმოიდგინე, რა ტრავმა იყო დედასთვის, წესიერი, საზოგადოებაში მიღებული ქალისათვის. ეს ამბავი ყველამ გაიგო, მარტო შენ არ იყავი აზრზე. ასეთ რამეს, როგორც გინდა ეცადო, ვერ დამალავ. საცოდავი დედა! რაც მან გადაიტანა... იქამდე მივიდა, რომის პაპს მისწერა, გალის პირველი ქორწინების გაუქმებას სთხოვდა. მაგრამ მას, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ორი შვილი ჰყავდა, ბავშვები კი ყველაფერს ართულებენ. ამისდა მიუხედავად, მამაჩემს მხნედ ეჭირა თავი, მხოლოდ ვერ მოენელებია, ის ტიპი ხელისაწევით მისალმებას მაიძულებდაო. წმინდაწყლის მონარქისტი მაინც არ ყოფილიყო. დარწმუნებული ვარ, იმ დროს გალი ხელში რომ ჩავარდნოდა, მოახრჩობდა. გამოგიტყდები, მინდოდა შენი ცოლი გავმხდარიყავი, რათა ყველაფერი მეამბნა, გახსოვს, რომ მეკითხებოდი, ხულია სადაა? მე კი გპასუხობდი, მადრიდშია, სამხატვრო აკადემიაში სწავლობს-მეთქი. გახსოვს?

სინამდვილეში კი ომის დამთავრების შემდეგ ხულია ბავშვთან ერთად მადრიდში წავიდა და აღარ დაბრუნებულა. როცა დედა გარდაიცვალა (ღმერთმა აცხონოს), მამა ხულიასთან გადავიდა. იქამდე შვიდი წელი ემდუროდა. მერე კი ყველაფერი აპატია. დედაჩემმა უარესი ჩაიდინა, ტკბილეული, რომელზეც სულს ლევდა, ამ ამბის შემდეგ აღარ უჭამია. აი რამოდენა მსხვერპლი გაიღო. ჩვენს ქორწინებამდე სულ ვფიქრობდი, როგორ შეგეცვლებოდა სახე, როცა ამ ამბავს მოისმენდი. ერთი სული მქონდა, მალე შევხვდით და მატარებელში ყველაფერი დაგიფქვი. გახსოვს? ვერ წარმოიდგენ, შენმა სიმშვიდემ გამაწბილა. ცივსისხლიანი ხარ, ჩემო კარგო. ღმერთი მოწყალეა, ომი ყველაფერს თავდაყირა აყენებსო. მიპასუხე. ნეტა ომს რა კავშირი აქვს უსირცხვილობასთან? მინდოდა მომეკალი. მეგონა, თუ გიამბობდი, ხულიას დარდი გამიქარვდებოდა. გაქვავდება-მეთქი, — ვფიქრობდი, შენ კი აინუნშიც არ ჩააგდე. იგივე განმეორდა, როცა მაქსიმინო კონდეს ამბავი მოგიყევი. ზედაც არ შემხედე, მხოლოდ მითხარი, თავისი უბედურება ეყოფაო. დავუშვათ, ყოველივე შენთვის უმნიშვნელოა, მაგრამ მადლობა თუნდაც იმისთვის გმართებდა, სხვანაირი ქალი რომ ვიყავი. თუ გაინტერესებს, ყველაფერი შემეძლო გამეკეთებია ევარისტოსთან, პაკოსთან, იმ ლეგიონერთან, თვით გალისთან და ყველასთან, ვისთანაც მოვისურვებდი. ხოლო თუ არაფერი ვიკისრე, ეს იმიტომ, რომ პრინციპები მაქვს. დღეს პრინციპები სასაცილოდ არავის ჰყოფნის. არ ვიცი, სადამდე მივალთ ასე, თუ ვინმე პატიოსანი დარჩა, ალბათ შემთხვევით იქნება პატიოსანი. აბა მითხარი, მარიო, შენამდე გალი კონსტანტინოს საყვარელი რომ ვყოფილიყავი, მოისურვებდი ჩემს შერთვას? არა, ხომ? მაშ, ჩემი დის მიმართ რად გამოიჩინე ასეთი ლმობიერება? მიუტევებელი უნდა იყო, ძვირფასო. ხულია კი, პირდაპირ გეტყვი, უსირცხვილო იყო, ომი არაფერ შუაშია. თქვენ ოღონდ ომს დააბრალოთ და მზადა ხართ თეთრს შავი დაარქვათ, არც მეტი, არც ნაკლები. გალის ამართლებ, შენ კი კანონიერ ცოლს ზურგი შეაქციე და ძილი ნებისაო, უთხარი, ათასი წელი რომ ვიცოცხლო, ამ დამცირებას ვერ დავივიწყებ. ვალენისთვისაც არ გამიმხელია, წარმოიდგინე, ვალენს ხომ ყველაფერში ვენდობი.

17

**[დედა-კაცი უგნური და ცხარი ნაკლულევან იყოს პურისა, რომელმან არა იცის სირცხვილი, დაჯდა წინაშე კართა სახლისა თვისისა, სავარძელსა ზედა, განცხადებულად უბანთა ზედა უწოდენ თანა წარმავალთა და რომელთა წარუმართებიეს გზა თავისი.*]** კვლავ მინდა დავუბრუნდე იმ ამბავს, მან ცენტრში არ წამიყვანა. ვუთხარი, ძალიან მომწონს შენი მანქანა, სულ არ ხმაურობს-მეთქი. მაშინ მან მანქანა შემოაბრუნა და რაკეტასავით გავარდა პინარის გზატკეცილზე. ვეუბნებოდი, დავბრუნდეთ, პაკო, ხომ არ გაგიჟდი, რას იტყვის ხალხი-მეთქი? ის კი სიცილით მპასუხობდა, იცი რას? რაც უნდათ, ის ილაპარაკონო. სულ არ ედარდება მითქმა-მოთქმა. როგორი გამოცვლილია პაკო, მარიო, რამდენიც გინდა გელაპარაკო, მაინც ვერ წარმოიდგენ. თვალები, ჩემის აზრით, მუდამ იდეალური ჰქონდა, იშვიათი. მწვა-

* იგავნი სოლომონისნი IX, 144-16.

ნე, კატის თვალებისა თუ აუზის წყლის ფერი. მაგრამ ახლა რაღაც სხვაც გაუჩნდა, რიხი, მედიდურობა ბავშვობაში თავქარიანი იყო. აბა, ახლა ნახე! საუბრობს ნელა, პაუზებით, ყველა სიტყვას სწორად წარმოთქვამს. აი ასე, ძვირფასო, „ტიბურონიც" აქვს, მილიონებსაც ხვეტავს. მი[illegible] სადაც მუშაობს, მაგრამ ვერ დავიხსომე, რაღაც მრეწველობის [illegible]ბასთანაა დაკავშირებული. თანაც როგორ მართავს მანქანას, [illegible] ცქერა ნამდვილი სიამოვნებაა, ერთ ზედმეტ მოძრაობასაც არ აკეთებს, გეგონება, დაბადებიდან საჭეს უზისო. ვერ დაიჯერებ, მთელი გზა ქურდულად მიმზერდა. მერენდეროს რომ ჩავუარეთ, მითხრა, სულ არ გამოცვლილხარ, პატარაო. მე კი, რა სისულელეა, რამდენი წელი გავიდა-მეთქი. მოხდენილად მიპასუხა, წლები ყველასთვის ერთნაირად არ გადისო. მეტყვი, ჩვეულებრივი თავაზიანობააო, მაგრამ უნდა იცოდე, რომ ქალი, თუნდაც ასაკოვანი, ქვა როდია. შენგან კი მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი ტკბილი სიტყვაც არ მახსოვს. შემდეგ მანქანა გააჩერა და მოულოდნელად მკითხა, მართვა თუ იციო. ძალიან ცუდად, თითქმის არა-მეთქი. ის ხომ მუდამ ავტობუსის რიგში მდგომს მხედავდა, მდაბიო ხალხთან. რა საშინელებაა! ჩემს დღეში მსგავსი სირცხვილი არ მიჭამია. აბა რა შემეძლო მეპასუხა, სიმართლე ვუთხარი, მანქანა არა გვაქვს-მეთქი. ნეტა გენახა რა დაემართა. არა! არა! არა! — ხმამაღლა იძახდა, ხელები წაიშინა თავში, ვერ დაეჯერებინა. ჩვენს დროში წარმოუდგენელია, სენიორა ავტობუსის რიგში იდგეს, მარიო, ეს ყველას გაოცებას იწვევს, მხოლოდ შენთვისაა ყველაფერი სულერთი. დამიჯერე, ძვირფასო, დღეს მანქანა აუცილებელია. აი, თუნდაც დონ ნიკოლასს „მილკინიენტოსი" აქვს. და თუ მისი ყველა აზრი შენთვის მისაღებია, ამაში რად ლარ მიბაძავ? ეგოისტები, მის ნაკლს რომ ხოტბას ასხამ, ღირსებებს კი არც ამჩნევ. უკუღმართი ხარ, ცხოვრებაში ერთი სიამოვნებაც არ მოგინიჭებია ჩემთვის, ჯიქო, გაიხსენე ჩემი საქორწინო კაბა. განა მიკვირს, მაგრამ თავდაპირველად მეგონა, შენი ძმების და მამაშენის ავადმყოფობის გამო მოხდა ასე. ღმერთმა იცის, სამეტიჩროდ როდი მი[illegible] თეთრი კაბის ჩაცმა, ბოლოს და ბოლოს განა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ხულიის ამბის შემდეგ ვინ იცის ხალხი რას იფიქრებდა, ხალხი ისეთი ეჭვიანია... შენ კი იძახდი, აბა რა უნდა თქვანო. ჰო, ჩაგიკაკლავენ რასაც იტყვიან. თეთრი ფერი, მარიო, ქალწულობის სიმბოლოა და ეკლესიაში საყოველდღეოდ გამოწყობილი ქალის მიყვანა იგივეა, რომ საქვეყნოდ გამოაცხადო, მეორე ცოლი მომყავს, ან შემთხვევით შემხვედრზე ვქორწინდებიო. უფრო დედაჩემის გულისათვის მინდოდა, მარიო, რადგან მე რაცა ვარ, ესა ვარ, ხულიის ამბების შემდეგ კი დედას ესიამოვნებოდა ხალხს ეთქვა, აი ეს ქალწულიაო, ქალისათვის უმანკოება ყველაზე ძვირფასი სამკაულია და ამისი ხმამაღლა გამოცხადება არასდროსაა ზედმეტი. გინდა თუ არა, ჩვენ მაგალითი უნდა მივცეთ მდაბიოებს, მათ ხომ მთლად გაუვიდათ თავს. საყოველდღეოდ ჩაცმული რომ მივსულიყავი ეკლესიაში, ვინ იცის, რას იტყოდა ხალხი, ვიმსახურებდე მაინც. არ ვიცი შენ რა გქონდა დასამალი, მე კი შემეძლო თავაწეული შევსულიყავი ეკლესიაში. საეკლესიო კრებაზე სულ ორსულობის საწინააღმდეგო აბებზე ბჭობდნენ. მართალიცაა, მრავალშვილიანი ქალი მახინჯდება, რაც არაა სასურველი, მაგრამ აბებით სარგებლობის უფლება ან ყველას უნდა ჰქონდეს, ან არავის. საქმე იმით დამთავრდება, რომ იმ უცხოელებს დაემსგავსებით. ამის ნაცვლად, აჯობებდა საქორწინო კაბის ამ-

ბავი გადაწყვიტონ. იგი ყველას ერთნაირი უნდა ეცვას, უნიფორმასავით; ხოლო ვინც მის ჩაცმას არ დაიმსახურებს, ქორწინების ღირსიც არ იქნება, წუმპეში უნდა ეგდოს, თუ მთელი ცხოვრება იქ გაატარა, ახლა ვითომ რაო! დამიჯერე, არ უნდა მივუტევოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წესიერ და ქუჩის ქალს ერთმანეთისგან ვეღარ გამოარჩევ. ხომ გესმის რას ამბობს ვილენი, მადრიდში ყველა ქუჩის ქალი ჩვენსავით კოპწიად [illegible]ებიო, სულაც არ აჭარბებს. მთავრობის ადგილას რომ ვიყო, დეკრეტს გამოვცემდი მათ წინააღმდეგ. არ მესმის რად იცავენ ახლა მდაბიო ხალხს, პროტესტანტებს და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს. ჩვენზე კი, პატიოსნებზე, არავინ ფიქრობს. ადრე რომ მცოდნოდა, არ მოგთხოვდებოდი, ხელის თხოვამდე რომ მაინც გეთქვა... მერე უკან დასახევი გზა აღარ დამრჩა. ქორწილი დღესასწაული კი არა, საიდუმლო ზიარებაა. ღმერთო ჩემო! როგორც ყოველთვის, აქაც შენი გაიტანე, საცოდავმა დედაჩემმა კი რამდენი იტირა..., ხულიას ამბის შემდეგ მისთვის ეს თავზარი იყო. ქველმოქმედების აბა რა გაგეგება? შენი ლექციის გახსენებაც არ მინდა, მარიო, მეუბნებოდი, ეს ჩვეულებრივი კრუნჩხვებია, ნუ შიშობ, გაივლისო. გაუგონარი ეგოიზმია. ცინიკოსი ხარ, ცინიკოსზე უარესი! მაპატიე, მარიო, არც ვიცი რას ვლაპარაკობ, მაგრამ ვგიჟდები, როცა მახსენდება ის ნაოცნებარი კაბა, ოდნავ მაღალი წელით, პრინცესას ფასონის, სენსაციას მოვახდენდი. კაცებს წარმოდგენაც არა გაქვთ, ქალისათვის ეს რას ნიშნავს! მაგრამ შენი გაიტანე. ნიშნობის დროს მითხარი, როცა ვეღარაფერს შევცვლიდი... საბოლოოდ მე გამოვედი სულელი, ტრანსი კი ხელად მიხვდა. რასაც წარმოადგენდი, თვითონაც კაი ვინმეა, ევარისტოს შიშველმა დაახატვინა თავი. ვუთხარი, ეგ არ უნდა გექნა-მეთქი, მაგრამ რა. მერე ცოლად გაჰყვა და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, პირველსავე შეხედვაზე შეგიცნო ტრანსიმ, არც პაკიტო გამოჰპარვია. სხვა რა მოგახსენო, მაგრამ კაცებში შესანიშნავად ერკვევა. ესეც პაკო, საქმიანი, მანქანას რომ თავი დავანებოთ, რა პიროვნება ჩამოყალიბდა! კაცებს გიმართლებთ, ვინც ოცი წლისა არ ვარგა, კიდევ ოცი წელი უნდა მოიცადოს. შენ კი მოატყუე, მარიო, ამას ვინ წარმოიდგენდა. მთელი აგვისტო ჩემი აივნის წინ იჯექი, ხელში გაზეთი გეჭირა და ისე გამოიყურებოდი, ვფიქრობდი, ამ ბიჭს ვპირდები, უარი რომ ვუთხრა, თავს მოიკლავს-მეთქი. კარგად იცი მთელი ცხოვრება რომანტიკოსი და სულელი ვიყავი, იოტისოდენა ეშმაკობა არ გამაჩნდა. ჰოდა, იმიტომაც ამეწყო საქმე! განა ცუდი ხასიათი მაქვს და იმიტომ ვწუწუნებ, მარიო, მაგრამ ოცდაოთხი წლის მანძილზე ერთი დანა-ჩანგალი რით ვერ შევიძინეთ. სტუმრებს მხოლოდ ცივი ვახშმით ვუმასპინძლდები, სადესერტო დანა-ჩანგლის მეტი არაფერი გამაჩნია. წამდაუწუმ ვეკითხები საკუთარ თავს, მარიო, რითი დავიმსახურე ეს სასჯელი-მეთქი? მეორედ დაბადების შანსი რომ მქონდეს, ასეთ შეცდომებს აღარ დავუშვებდი. ვალენი მართალია, ქმრებს და შვილებს რომ არ ვიყოთ გადაყოლილი, უკეთ წაგვივიდოდა საქმე. შეირთავთ ცოლსა და მორჩა! იწყებთ ბრძანებლობას ეს მომართვი, ის მომართვიო, აი რა გგონიათ კაცის მოვალეობა. ერთ რიგზე ხართ მოჭრილები, მარიო, შენ კი ყველას გადააჭარბე. უცხოებთან თავაზიანი ხარ, ყურადღებიანი, სახლში კი მუნჯდები. აი, რა მაწუხებს ყველაზე მეტად. ასევე იყო მადრიდში. მადრიდი სიგიჟემდე მიყვარს, მარიო, ქუჩას ვკარგავ, ენით ვერ აგწერ, მაგრამ შენი

წყალობით, იქ წასვლა აღარ მინდა. ისე ყოფნას, ჩვენ რომ ვიყავით, შინ ჯდომა მირჩევნია. ბეწვეულისა და საყიდლებისათვის ფული არ გვქონდა, რაღაც წვრილმან სისულელეებისათვის და გრან ბიაზე ფოტოების გამოსაღებად ხელგაშლილი იყავი. რამდენი სირცხვილი მაჭამე! ცხოვრება ყველას უნდაო! რა კარგია! კი, ყველას უნდა, ჩემ გარდა, მე სათვალავშიც არ ვითვლები, თურმე ხელში შეგიკალი „სეისსიენტოსის" გამო, თითქოს შეუძლებელს ვითხოვდე რამეს, მარიო. ვიცი, ახალდაქორწინებულთათვის მანქანა ფუფუნების საგნად ითვლებოდა, მაგრამ დღეს იგი პირველი მოხმარების საგანია. გიმეორებ, „სეისსიენტოსს" მელიფტეებიც კი იძენენ. მათ ჭიპებს ქძახიან, რადგან ყველასა აქვს. შენ თავი ქვას შეუშვირე. დამშეული ფოტოგრაფი კი გაამდიდრე. საქორწინო მოგზაურობისას რამდენი ფული გადავყარეთ სურათებში, არც ვიცით სად გვიყრია ის ფოტოები. შენ კი იმეორებდი, ცხოვრება ყველას უნდაო. შარლატანისათვის ნიჭით კი არ გიჯობნია, არამედ იმით, რომ მეტი შესაძლებლობა გქონდა, მეტი მოხერხებულობა, მეტი სურვილი, რათა ყველაფერი აგერ-დაგერია. მაწანწალები არიან, მაწანწალები. სანამ რაიმეს გიჩვენებენ, საფულეს ისე ამოგაცლიან, თვალსაც არ დაახამხამებენ. მათ შორის საუკეთესოც კი დასაჭერია. მუდამ მთავრობის ლანძღვაში ხარ, ჩემის აზრით კი მთავრობის უდიდესი ნაკლი ლმობიერებაა. ხარჯებს აღარ ვჩივი, მაგრამ რა სირცხვილი მაჭამე გრან ბიაზე, როცა იმ მაწანწალების ხტუნვასა და საპნის ბუშტების გაფრენას ვუცქერდით. ნამდვილ სოფლელებს ვგავდით, სარეისო ავტობუსის მოლოდინში რომ კლავენ დროს. რა საშინელებაა! ამათ კიდევ რა უშავს, უვნებელნი იყვნენ, მაგრამ პატიმრები? ამინისტიის დროს ჩვენი სახლი ციხის ფილიალს ემსგავსებოდა. ვიცოდე მაინც, ვინ მოგცა ამ საქმეში ჩარევის უფლება, როგორ ყარდნენ! ეს კიდევ არაფერი, მაგრამ პატიმრების დახმარებისათვის შეიძლებოდა ციხეში ამოგეყო თავი, როგორც თანამონაწილეს, თუ რა ქვია... როცა ამაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, არმანდო მუდამ პირჯვარს იწერდა და სამართლიანადაც. ამტკიცებდი, სისხლის სამართლის დამნაშავენი არ არიანო. მშვენიერი გამოსავალი იპოვნე, მაგრამ ეგ ხომ უარესია, უტვინო. ბოლოს და ბოლოს, ძვირფასო, მკვლელობა აფექტის დროს ხდება. რაც შეეხება სხვებს, ისინი გააზრებულად, გულგრილად სჩადიან დანაშაულს, ბუნებით არიან ბოროტნი. ამას მიუკერძოებლად ვამბობ. შენ ყურსაც არავის ათხოვებ, გაიძახი, ხალხი ქუჩაში აღმოჩნდაო. აბა რა ეგონათ, სად აღმოჩნდებოდნენ. მათთვის ესეც დიდი ბედნიერებაა, ასე რომ არა, ციხეში ამოლპებოდნენ. თუ გაათავისუფლეს ისინი, მხოლოდ ცუდად გაგებული სიკეთის გამო. ვისაც ამინისტია შეეხო, მადლობა თქვას ასეთ ქვეყანაში ცხოვრებისათვის. ასე არაა? თორემ კაი დღეც დაადგებოდათ, თქვენ კი არ გინდათ შეიგნოთ, ინტრიგანებო. სისუსტე და სიკეთე ერთმანეთისაგან ვერ გაგირჩევიათ. წლების განმავლობაში ვფიქრობდი, რომ იმ ხალხთან ერთად დაგაპატიმრებდნენ, სულელო, რა გადავიტანე შენი ყბედობის წყალობით იმ ღამეს, მატარებელში სიტყვით რომ გამოხვედი. თვალი არ მომიხუჭავს, ო, ის წყეული სიტყვები! ანტონიომ თქვა, ადამიანი, რომელიც ოცდაოთხი საათი წინასწარ პატიმრობაშია, რეციდივისტად ითვლებაო. ეს მართალია. კარგ მემკვიდრეობას კი უტოვებ შვილებს. საცოდავები, რა დაემართებათ, ყველაფერს რომ შეიტყობენ.

18

ძეო კაცისაო აჰა მე მოვიხუამ შენგან გულის სათქმელთა თუალთა შენ-თასა, განწყობილისა შორის არა იტყებო, არცა იტირო, არცა მოვიდენ შენდა ცრემლნი, სულთ ითქუენ მდუმარო, სულ თქმა სისხლისა, [illegible] წელთა არს; კაცობრივი გოდება არა მყო, არა იყოს თმენაობა შენი [illegible] შენ ზედა, და ხამლნი შენნი ფერხთა ზედა შენთა, და არ ნუ გეშინის იცე ბაგეთა მიერ მათთა, და პური კაცთა არა შჭამო.* არ ვიჩემებ, წინასწარმეტყველი ვარ-მეთქი, მაგრამ დედაშენი რომ გარდაიცვალა, მარიო, თავი ისე გეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. აი, მაშინ მივხვდი, ამაყი რომ იყავი. შტერი ესტერი კი მეუბნებოდა, როგორ ღირსეულად იტანს შენი ქმარი უბედურებასო. რომ შემეკითხო, ესტერი გირჩევნია თუ ენკარნაო, გიპასუხებდი, არც ერთი-მეთქი, რადგან ორთავე, თავთავისებურად, ცუდი საქმისაკენ გიბიძგებდა. უბედურების ღირსეულად ატანა... როგორ მოგწონს? ესეც ყველაფრის გაუკულმართების სურვილია. გაზეთის კითხვისას რომ ტიროდი, ეგ რაღა იყო? მაშინ ავად იყავი, მშვენიერია! თუ გინდა დაგენძლავები, დედაშენის გარდაცვალების დღეს სიმღერა რომ წამოგეწყო, ესტერი ამასაც მოგიწონებდა, მოგიძებნიდა გამართლებას, ლუისისა არ იყოს, ემოციებითაა გადაღლილიო, ნერვული დეპრესია აქვსო. მეცინება, ექიმებმა როცა არ იციან რა თქვან, ყველაფერს ნერვებს აბრალებენ. ამით იიოლებენ საქმეს. ეს იმასა ჰგავს, შავები ორ დღეში რომ გაიხადე, ჩემი ფეხების ცქერა გულს მილონებსო. ესტერმუნე: ეს ხომ ფულის გადაყრას ნიშნავს. რა გაეგებათ საცოდავებს, ახალ შეგალონებდა შენი ფეხების დანახვა აბა რა იქნებოდა. თალხის დანიშნულებაც ეგაა, უნდა გახსოვდეს მწუხარე რომ ხარ, სიმღერას თუ დაიწყებ, უნდა გაჩუმდე, თუ ტაშს შემოჰკრავ, უნდა შეწყვიტო და სურვილები დაიოკო. მახსოვს, დედაჩემი რომ გარდაიცვალა, ბიძია ედუარდო ფეხბურთის მატჩზე გაქვავებულივით იჯდა, დამიჯერე, გოლების დროსაც არ უკრავდა ტაშს, რითაც ყურადღება მიიქცია. თუ ვინმე ჰკითხავდა, ტაშს რად არ უკრავო, თავის შავ ჰალსტუხზე მიუთითებდა და მეგობრებიც ყველაფერს ხვდებოდნენ. აბა რა გგონია? ედუარდოს ტაშის დაკვრა არ შეუძლია, რადგან მგლოვიარეაო, — იტყოდნენ და ყველაფერი ცხადი ხდებოდა. აი რისთვის არსებობს თალხი, შე ბრიყვო, ამისათვის და კიდევ სხვების დასანახად, რათა ერთი თვალის შევლებით ყველა მიხვდეს, ოჯახში დიდი უბედურება რომ ტრიალებს. გაიგე? მე ახლა კრეპიც კი შევუკვეთე. სულაც არ მეპრიანება, შავზე კიდევ შავი ჩაიცვა, მაგრამ წესი წესია. რასაკვირველია, შენთვის წესები არაფერს ნიშნავს, ისევე, როგორც შენი ფუქსავატი შვილისათვის. რაც დათესე, ახლა იმას იმკი. ბავშვები იმას ისისხლხორცებენ, რაც ოჯახში ესმით. რა დღე დამადგა გუშინ! საკუთარი სინდისის წინაშე სუფთა ვარ, მარიო, გუშინდელივით მახსოვს, დედაშენი რომ მოკვდა. მოსვენებას არ გაძლევდი, იტირე, იტირე, მერე უარესი იქნება-მეთქი. შენ კი დუმდი, თითქოს არ გეხებოდა. ერთხელ იფეთქე კიდეც: რატომ, რახან ასეა დაწესებულიო? აუცილებლობად სულაც არ მიმაჩნია, მაგრამ მართალი გითხრა, გავშრი. შენთვისვე გირჩევდი, იტირე-მეთქი სწორედ იმავე მიზეზით, რის გამოც ბავშვებს არ ვაბანავებ ჭამის შემდეგ.

* წინასწარმეტყველება ეზეკიასი. XXIV. 16-17.

შენ კი უცნაურ ქალად მთვლიდი. დედა რომ მოგიკვდება, ბუნებრივია, უნდა იტირო. ხომ ნახე რა დღეში ვიყავი, ვერაფრით ვწყნარდებოდი, რა ტანჯვა გამოვიარე! შენ კი ყურადღებასაც არ მაქცევდი, ზურგზე მომითათუნებდი ხელს და ჰაიჰარად მაკოცებდი, ეს იყო და ეს, არც წვებოდი ჩემთან. ვალენტი ამბობს, უბედურების დროს ეს ყველაზე უებარი რამააო. ჩემნაირ მიამიტ ქალს იშვიათად თუ შეხვდები, ზოგს შეიძლება სულელიც ვეგონო. არაფრის დრო არ იცი, ძვირფასო, ამ სიბერეში მთხოვ გაიხადეო, როცა მუცელი მოფლაშული მაქვს, ზურგზე ქონი მადევს და საშინელი ვარ. უკაცრავად, ბატონო, არავითარი სურვილი არა მაქვს მაგისი გაკეთების, თუ გინდოდა, დროზე უნდა გეთხოვა. თუმც არ უნდა ვამბობდე, მაგრამ საოცარი ტანი მქონდა, ერთადერთი, მკერდის სიდიდე მიშლიდა. ახლა რა მიჭირს, ელისეო სან ხუანს თუ დაუჯერებ, ნამდვილი ვენერა ვარ, მაგრამ იმ ასაკიდან გამოვედი შენს თვალწინ შიშველმა რომ ვიარო, აღარც სურვილი გამაჩნია. ყველაფერს თავისი დრო აქვს, მარიო, ზურგი რომ შემაქციე და ძილი ნებისაო, მითხარი როგორ დამამცირე, ვერც წარმოიდგენ, მაშინ გეთხოვა გაიხადეო და ორთავე კმაყოფილი დავრჩებოდით. იგივე ამბავი იყო პატიმრებთან, უკუღმართობა ძვალსა და რბილში გაქვს გამჯდარი, ძვირფასო. ჩემის აზრით, თუ გსურს ღარიბებს დახმარება აღმოუჩინო, ყველა ხერხს უნდა მიმართო, ასე რომ, კარიტასს გვერდი უნდა აუარო, ჩემსავით, რადგან კარიტასმა ღარიბები ჩამოგვაცილა, მათ ჩვენზე ლოცვა აუკრძალა. მახსოვს, ადრე, მე და დედაჩემს, რაიმეს რომ ვუწყალობებდით, ხელებს გვიკოცნიდნენ, თან გამალებით ლოცულობდნენ. ახლა ნახე, რეებს სჩადიან ღარიბები, სულ გაჰიდნენ თავს. მეტსაც გეტყვი, განა ერთი ამბავი არ ატეხე გიჟების გამო? შენნაირი აზრები განა შეიძლება ვინმეს მოუვიდეს თავში? გიჟები საშინელ პირობებში ცხოვრობენ, რაც ჩვენს ქალაქს ჩირქს სცხებსო. სირცხვილით ვიწოდი, კვირაობით „ელ კორრეოს" რომ გადავშლიდი. ჭკუაზე ხარ, მარიო? არ უნდა გეუბნებოდე, მაგრამ ხოსეჩუ პრადოსი სიცილით კვდებოდა, ალბათ თვითონ სურს იქ მოხვედრაო, ამით იმის თქმა უნდოდა, რომ შენც არანორმალური ხარ. ხოსეჩუ პრადოსი ცდებოდა, აბა რას წარმოიდგენდა, რომ თქვენთვის მთავარია ოღონდ ვილაცას უკბინოთ. ამდენი ფულის გაღება ახალ საგიჟეთზე, სისულელეა, მარიო, მერწმუნე. ეს ხომ ფულის გადაყრას ნიშნავს. რა გაეგებათ საცოდავებს, ახალ შენობაში არიან თუ ძველში, ცივა თუ ცხელა. საგიჟეთში იმიტომ სხედან, რომ აფრენენ, და თუ აფრენენ, არაფერს აღარ გრძნობენ და განიცდიან. ერთს ნაპოლეონად წარმოუდგენია თავი, მეორეს თვით ღმერთად, არიან ასე ბედნიერად. რაც გინდა მიმტკიცო, მათ მეტი არ ჰირდებათ. რად უნდა დაახარჯო ფული ამ საცოდავებს. მადლობასაც რომ ვერ გეტყვიან. ვიცი ესტერი და შენი წყეული მეგობრებიც მხარს გიჭერენ, იმაზე უფრო კეთილშობილება რა არის, მისცე მას, ვინც არა გთხოვსო. რად უნდა გაილო იმათთვის, ვისაც ყველაფერი აქვს? თუ ჰგონიათ ყველაფერი გვაქვსო, ეს ნიშნავს, თითქოს მართლაც ჰქონდეთ. იქნებ სულაც არ მოეწონოთ, რომ ახალ აბაზანას გაუკეთებ, გასართობ დარბაზს მოუწყობ და ბაღს გაუშენებ, ვინ იცის, მათ ვერას გაუგებ. არ იფიქრო, არ მეცოდებოდნენ ის უბედურები, მაგრამ, საბედნიეროდ, თავი მხრებზე მაქვს. არმანდო მართალია როცა ამბობს, მთელი ქვეყნიერების ტკივილის თავის თავზე აღება მხოლოდ პატივმოყვარეობააო. კარგად რომ დაუკვირდე, ძვირფასო, პატივმოყვარეობამ დაგღუპა, თვითონვე არაერთხელ გითქვამს, რომ შენი ნაწარმოებები, მაწანწალებისაგან სამშვენი-

სების ყიდვა, გრან ბიაზე სურათების გადაღება და პატიმრების დახმარება უპირველეს ყოვლისა, შენ გაძლევდა შვებას და არა მათ. მერე კი თავს იმტვრევდი, სწორად ვიქცევი თუ არაო, სინამდვილეში ეს მგონი[illegible] იყო და მეტი არაფერი, ყოველთვის ასე მწამდა. თუ ყველას გულში მოგ[illegible] გინდოდა, სოლორსანოს რაღას ერჩოდი, როცა მრჩევლად დანიშნა [illegible]მა? მითხარი რას? ხოსეჩუ პრადოსთან უთანხმოების, ჯელ კორ[illegible]ლური სტატიების გამოქვეყნების, შენზე საქმის აღძვრის და იმის შემდეგ, რაც მამაშენსა და შენს ძმას გადახდა, ფიტო სოლორსანო მართლაც უდიდეს საქმეს გიკეთებდა. თოკი გადმოგიგდო, მიდი ხელი ჩასჭიდე, წარსულს ხაზი გადაუსვი და ყველაფერი თავიდან დაიწყოთო. ანდა ისიც ხომ გაიგონე, ვალენმა რომ თქვა, მუნიციპალიტეტში კულტურის დარგში მუშაობა დიდი პატივიაო. ასეც იყო, შე ჯიუტო, მაინც უარი თქვი, ეს დუმილის საფასურიაო. ერთი და იმავეს იმეორებ. დავუშვათ, ფიტო სოლორსანომ მართლაც არ შემოგთავაზა არც დაჯდომა და არც სიგარეტი, მერედა რა! ეჭვი არაა, შერიგება სურდა, მაგრამ რად გაცხარდი ასე, როცა სიაში შენი გვარი ნახე. ამის თქმას მხოლოდ ფიქრში თუ ვბედავდი, რადგან ძალზე მოულოდნელი ამბავი იყო, თანაც შენი გვარი დიდი ასოებით ეწერა. ღმერთო ჩემო! თვით ვისენტემ თქვა, მარიო ასეთი აღელვებული არასდროს მინახავსო, გამძვინვარებულ ხარს ჰგავდაო. რამ გაგამძვინვარა? შენ კი ჯიუტად იმეორებდი, ჯერ მე უნდა შემკითხოდნენო. დალოცვილო, ადამიანისათვის თუ სიკეთის გაკეთება გსურს, ნებართვა უნდა აიღო? ვინ რას გთხოვდა? რა მხრიდანაც გინდა შეხედო, ეს შენთვის დიდი პატივი იყო. წინასწარ რომ ეკითხათ, ქვეყანას დააქცევდი ალბათ, ოხ, ეს შენი პატივმოყვარეობა!.. სულაც არ მიკვირს დაჯდომა და სიგარეტი რომ არ შემოგთავაზა, ისა თქვი, პანღურით რომ არ გამოგისტუმრა. აი, ამას კი იმსახურებდი. ამტკიცებდი, თავაზიანად მოვიქეცი, მაგრამ დათმობაზე არ წავედიო. ნუ გამიჯავრდები, მაგრამ შინიდან ისე წახვედი, ეჭვი მეპარება მაგაში. ფიტო არაა ვალდებული, ანგარიში ჩაგაბაროს. მაგრამ მაინც გითხრა, როცა აგირჩევენ. გამოჩნდება გაართმევ თავს თუ ვერაო, ადრე კი არ დაგიმსახურებია, რომ აგვერჩიეო. წარმომიდგენია როგორ მოიქცეოდი. შენ ხომ წამგებიანი თამაშები არ მოგწონს. თუ საკუთარ ქცევას თავაზიანობად თვლი, მაშინ მე თავაზიანობაზე წარმოდგენა არა მქონია. ხელიც არ გამომიწოდაო. ესღა აკლდა. მის ადგილას, ყოველგვარი ზედმეტი ლაპარაკის გარეშე გიკრავდი თავს ციხეში. არავის სცემ პატივს. მერე მიმღებში, ოიარსუნს და დელეგატებს გადაუშალე გული, რაღა არ დაფქვი, ჩემს სახელს ვუფრთხილდებიო და ღმერთმა იცის კიდევ.... ნეტა როგორ გიტანს ხალხი. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ გაჰყვიროდი, ეს ყველაფერი წინასწარ იცოდნენო. ოიარსუნი, მეაფთიაქე არონდე და აგუსტინ ვეგა ერთხმად აირჩიეს, რაც შემთხვევით იწინასწარმეტყველე. მე კი ძალიან გამიკვირდა და, რა თქმა უნდა, მეწყინა. შენ რომ არავინ მოგცა ხმა. მეტად გასაოცარი იყო, რადგან თვით ფილგეირამ, მაშინდელმა მრჩეველმა, მითხრა, ხვალ თქვენს ქმარს უნდა მივცე ხმაო. მერე არ ვიცი რა მოხდა, გადაიფიქრა თუ რა მოუვიდა. შენ რა გქონდა სანერვიულო, არაფერი იცოდი ამის შესახებ, კრინტი არ დამიძრავს. მაინც ისე გაბრაზდი, ერთი თვე დალაპარაკებას ვერ გიბედავდი. აი, სადამდე მიხვედი! ენკარნას გამოც ხომ ასე იყო. თუ მისი ქამის ცქერას ვერ იტან, თუ სალაპარაკო არაფერი გაქვს მასთან, სულაც არ მიკვირს, რადგან შენს რძალს საუბრის გარდა ყველაფერი ეხერხება. ჰოდა,

რისთვის ეპატიჟები? შენი რძალი ნატანჯი ქალია, მაგრამ ყელში გვყავს ამოსული. თანაც ვერ ვიტყვი ენკარნას სტუმრობა იაფი გვიჯდებოდეს, მარიო. შენი რძალი სამი კაცის ულუფას მიირთმევს და მაინც ვერ ძღება. ხილი ჭამისას უნდა ნახო, ნამდვილი ღორმუცელაა, თანაც ხილს ცეცხლის ფასი ადევს. თევზეულზე აღარას ვამბობ, შედარებით იაფია, მაგრამ ენკარნა იმდენს ხეთქავს, რომ გავიყიდე. თანაც, თვალის ასახვევად, ფეხებს ბავშვების თეფშებ-ზე ყრის. ეს კი ველარ ამიტანია, ლამის შევირყე. რა უცნაურობაა, აბაზანაში იკეტება და წიგნს კითხულობს, ბავშვები ხმაურობენო. აბა ბავშვები რისი ბავშვები არიან, რომ არ იხმაურონ. თუ არ მოსწონს, მიბრძანდეს, კალთებს არავინ დაახევს. არ იფიქრო ვეჭვიანობდე, მარიო, ხომ მიცნობ და გჯერა, არასდროს ვყოფილვარ ეჭვიანი, თუმც ახლა ამეების თავი აღარა მაქვს. მაინც უსიამოვნოა იმ ქალის გვერდით ყოფნა, რომელიც ქმრის წართმევას გიპირებ-და. ელვიროს სიკვდილის შემდეგ ენკარნა რომ მოსვენებას არ გაძლევდა, ნაღ-დია, კონკურსის დროს გვერდიდან არ მოგშორებია, ვითომ რაიმე გაეგებოდა. ყველაფერში უნდა ჩაჰყოს ცხვირი. მერე კი გამარჯვება ალგინიშნავთ. აჯლო-ბებდა, ამის შესახებ არაფერი გეთქვა. ნეტა რა მოხდა იმ ღამეს? ღმერთმა იცის, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ბავშვებმა რომ გაიგონ! ელვიროს ხსოვნისათვის მაინც გეცა პატივი, ცუდი იყო თუ კარგი, ძმა იყო შენი. ოდნავ მაინც რომ მაფასებდე, მარიო, ამ უზნეო ქალს არასო-დეს მოიყვანდი სახლში. არ ვიცი როგორი ოჯახიდანაა, მაგრამ მემწვანილესა-ვით იქცევა, ძვირფასო, ნამდვილი ქალბიჭაა. რა სანძახავი იყო, მამაშენს ატატებული რომ დაათრევდა აქეთ-იქით, ციბრუტივით ტრიალებდა, სუნიც არ აწუხებდა. მე კი მაშინ სამი თვის ფეხმძიმე ვიყავი. ყველაფერი კოშმარივით მახსენდება ახლა. არ იფიქრო, ენკარნას სიკეთე ამოძრავებდა, შენ დასანახად სჩადიოდა ყველაფერს, შენი მოხიბვლა სწადდა, უნდოდა დაერწმუნებინე, რომ მე არაფრის მაქნისი ვარ. მხოლოდ შენს გამო ვიტან ენკარნას, თორემ სულაც არ მეპიტნავება. არ მითხრა სამზარეულოში გეხმარებაო, პირიქით ხელს მიშლის, თავის ადგილზე არაფერს დადებს, თანაც სულ ხელებში უნდა უც-ქირო, მისთვის ხომ ერთია კერძში მარილს ჩაყრის თუ ოხრახუშს. უმისოდ უკეთ გავართმევდი საქმეს თავს. თანაც ენკარნაზე დახარჯული ფული რომ დამაბრუნებია, ხვალვე „სეისსინტოსს" ვიყიდდი, მარიო. თუმც რა „სეისსი-ენტო", „მილკინიენტოსის" ან კიდევ უკეთესისთვისაც მეყოფოდა.

12

**და იყო იგი ლუაწლსა შინა, უმეტესღა ილოცვიდა, და იქმნა ოფლი მისი ვითარცა ცუარი სისხლისა, გარდამომავალი ქუეყანასა ზედა***. ღმერთო ჩემო, რა მარტოდმარტო ვარ, დევნილივითო. ეს რა აიკვიატე! ვინ გდევნის, თავს იგდებ და მეტი არაფერი. სწორედ შენ გჩვევია ყველასთან დაპირისპირება. ხალხს ეუბნები, ცუდი ხარო, ქრისტე ისეთი როდი იყო, როგორიც ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე გვინდა წარმოვიდგინოთო. რა კარგი ხარ, ძვირფასო, მარტო შენ იცი როგორი იყო ქრისტე? ეს დემონური პატივმოყ-ვარეობაა, მარიო. რა დაგვემართებოდა, ქრისტე დედამიწაზე იმიტომ დაბ-რუნებულიყო, მადრიდელი მაწანწალებისაგან სამშვენისები ეყიდა ან გრან ბიაზე სურათები გადაეღო, რათა ფოტოგრაფს პურის ფული ეშოვნა, რა აზ-

* სახარება ლუკასი XXII, 44.

რები გაქვს! გგონია, მარიო, შე ბრიყვო, შტერო, ქრისტე რომ დედამიწაზე დაბრუნებულიყო, იმაზე იდარდებდა, გიჟებს ცივათ თუ ცხელათო? ყველამ იცის, მათ აღარაფერი ეშველებათ. იქნებ ფიქრობ, ქრისტე ერნანდო დე მიგელს გოჯს მიათხლიშავდა ზურგში, ან იმაზე აიშლიდა ნერვებს, რომ პოლიციელმა კეტი ჩასცხო ვიღაც ხულიგანს, ან გუბერნატორს მიაყენებდა შეურაცხყოფას. გაიხსენე, როგორ ეჭირა თავი პილატე პონტოელის წინაშე; თუ იქნებ გგონია, ხოსეჩუ პრადოს დაუწყებდა კამათს მონარქიის თაობაზე. თვით მამაჩემი ამბობს, მონარქი წესრიგის გარანტიაა ამქვეყნადო. გგონია, ქრისტე შენნაირ სტატიებს დაწერდა გლეხებზე, ამ ულვთო ხალხზე? თუ ინკვიზიციას გაკიცხავდა? ან იქნებ თალხის ტარებაზე იტყოდა უარს? ცუდი წარმოდგენა გქონია ჩვენს უფალზე, ძვირფასო, გაიძახი, ჩვენ მისი სახე დავამახინჯეთო, ჩვენ მისი სახე დავამახინჯეთო. და განა პირველმა შენ არ ჩაიდინე ეს? თუ გინდა იცოდე, მარიო, ქრისტეს არც ძმა ჰყოლია წითელი და არც მამა — მევახშე. რომც ჰყოლოდა, დარწმუნებული ბრძანდებოდე, შენსავით თავხედურად არ მოიქცეოდა და ამდენს არ აიღებდა თავის თავზე; არც ქველმოქმედებაზე ილაპარაკებდა შენსავით. რა ილუზიები ჰქონდა საცოდავ ბენეს, მთელი კვირეების მანძილზე მოსვენებას არ მაძლევდა, მარიოზე უკეთ ამ საქმისათვის ვინ ივარგებს, ოღონდ მოისურვოსო. მართალი გითხრა, გავვოცდი, ასე უცებ რომ დათანხმდი. არაა კარგი საქციელი „როპეროს“ ქალების ნდობა ბოროტად რომ გამოიყენე. რა სირცხვილი იყო! საშინლად მოიქეცი, ქველმოქმედებაზე ხომ ისე უნდა გელაპარაკა, როგორც ღმერთმა დააწესა. რჩეული აუდიტორია გყავდა, მაგრამ შენ საქველმოქმედო ბაზრობებზე წამოიწყე ლაპარაკი, ყველაფერი გააფუჭე. ვალენი ამბობდა, ღარიბების სასარგებლოდ რომ ბრიჯს ვთამაშობთ, რა არის აქ ცუდიო. რასაკვირველია, არაფერი, შენ ინტრიგანო, თუკი ბრიჯის თამაშით გაჭირვებულებს ეხმარები. ცოდვა არ უნდა ჩაიდინო, თორემ თამაშსა და საქველმოქმედო ბაზრობაში ცუდი რა არის, ამაზე უარი რად უნდა ვთქვათ? მერე იმისთანა დაარეხვე, სისხლი გამეყინა. გულში ვამბობდი, დიდი სკანდალი მოხდება, დიდი სკანდალი, რას შვრება ეს კაცი-მეთქი. შენ კი არ იშლიდი, დღეს ქველმოქმედება იმას ნიშნავს, რომ უპოვართა კანონიერი მოთხოვნები დაკმაყოფილდესო. ხოლო რაც შეეხება მათი თავიდან მოშორებას ფილა შოკოლადითა და თბილი კაშნეებით, სიმუხთლე არისო. მერე ხმაური რომ ატყდა, ვიფიქრე ჩაქოლავენ, ჩაქოლავენ და სწორადაც მოიქცევიან-მეთქი. ქველმოქმედების ჯინი გჭირს და თუ ქველმოქმედებამ მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა გააკეთოს, რაც კანონმა ვერ გაითვალისწინა, მაშინ ალბათ არც ერთ ადამიანს და უპირველესად კი მე არაფერი გაგვეგება. მთელი ლექციის განმავლობაში ეკლებზე ვიჯექი, ძვირფასო, მეგონა გული გამისკდებოდა, ღმერთო, როგორ მიცემდა! ხალხმა ფეხების ბაკუნი რომ დაიწყო, მინდოდა მიწა გამსკდომოდა, აღარ მესმოდა რას ამბობდი. საცოდავმა ბენემ ტირილი დაიწყო. შენ კი ხელებს იქნევდი, ქოშინებდი. რა საშინელება იყო! თანაც არონდეს ცოლმა ყვირილი მორთო, ვნახოთ, ხვალ გაზეთებში რას დაწერენო. ოი, სირცხვილო! ხალხმა დაშლა რომ დაიწყო, წითლად გამოგაცხადეს. ხმა არ ამომიღია, ვდუმდი. მეორე დღეს კლუბში მომხდარი ამბავი არ მითქვამს შენთვის წყეულმა „ელ კორრეომ“ ხოტბა შეგასხა მამაცობისათვის, ენაწყლიანობისათვის, საეკლესიო კრების მხარის დაჭერისათვის. თორმეტ ეგზემპლარზე მეტი გაზეთი დაწვეს, თან გაიძახოდნენ, ძირსო! კიდევ კარგი, ღვთისნიერმა ბენემ დააშოშმინა ისინი. „ნოტისიერომ“

კი გამოვიანძლა, დემაგოგი გეწოდა. ჩემთვის საშინელება იყო ეს, მარიო. „ნოტისიერო“ სოლიდური გაზეთია, კათოლიკური და მემარჯვენე მიმდინარეობის, მერე კი წუწუნებ, მარტოდმარტო ვარო. აბა რა გგონია. საცოდავ ბენ-რა ილუზიები ჰქონდა, მარიო, შესანიშნავი ადამიანია, მომეკითხეთ, მითხრა, შენ კი გააწბილე. მერე თვითონვე მიხვდი. არ მითხრა, არა! ასე იყო გუშინაც, ქველმოქმედებაზე მსგავსი ლაპარაკი ეწერა ქველმოქმედებაზე, [illegible] ვააკიბლაუბდა, ქვებს თვითონ ისვრი და ზარებსაც თვითონვე უჩივი. როცა რაიმეში ეჭვი გეპარებოდა, იტანჯებოდი, და თუ დუმდი, სინდისი გქეჯნიდა, თუ ლაპარაკობდი, მაინც ვერ მშვიდდებოდი. აი რა პრობლემები გაქვს. ჰოდა, წესიერად ილაპარაკე, ძვირფასო. ბენე, პირიქით, შენგან ელოდა, რომ ხალხს მოუწოდებდი საქველმოქმედო ბაზრობები გაემართათ. ყველაფერს ის აგროვებდა, აუქციონზე პორტსიგარი ან რაიმე სხვა საკუთარი ნივთი გაეყიდა. რჩევის მოცემას ვერავინ გაგიბედავს, მარიო, მეც ვერ მითქვამს, კოსტიუმი გამოიცვალე, დაგიუთოებ-მეთქი, მერე კი წუწუნებ მარტოდმარტო ვარო. აბა რა იქნება, ჩურჩუტო, ამისათვის ხომ ყველაფერი ილონე. ჩვენი ბინების საკითხი რომ წყდებოდა, განა არ გაგაფრთხილე, ყველას იმდენს აკრიტიკებ, ვეღარ გვიტანენ-მეთქი? შესაძლოა ვინმეს ეგონოს, თითქოს მსიამოვნებს ჭუჭყში ქექვა. ასევეა შენს წიგნებშიც, როცა არ წერდი ყველასათვის გაუგებარ უცნაურობებზე, მაშინ შიმშილით მომაკვდავებისა და წერა-კითხვის უცოდინარი გლეხების თემას მიმართავდი. თუ გლეხებმა წერა-კითხვა არ იციან, ხოლო წესიერ ხალხს ისინი სულაც არ ედარდება, მაშ ვისთვის წერდი? არ მითხრა, თითქოს შეიძლებოდეს უმისამართოდ წერა, არა, მარიო. თუ სიტყვას ადრესატი არა ჰყავს, მაშინ იგი უბრალო ხმაურია, ანდა ნაჯღაბნი, მაგრამ შენ თუ ვირზე შეჯექი, მორჩა, ძვირფასო. ნეტა იცოდე როგორ მოვქანდი, შენთვის მაქსიმინო კონდესა და მისი ერის ამბავი რომ მეამბნა. დამიჯერე, ფილმის სიუჟეტადაც გამოდგებოდა. მთელ ქალაქს ეს ამბავი ეკერა პირზე. მაგრამ ყველაფერი ფუჭი გამოდგა, ვიცი მაქსიმინო კონდესის ისტორია მთლად რიგიანი ვერ იყო, მაგრამ რომანის დასასრულს მაქსიმინო კეთილშობილ ადამიანად მოგვევლინებოდა და, ამგვარად, წიგნი დიდაქტიკურიც კი გამოვიდოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, შენ გლეხებსა და შიმშილით მომაკვდავებზე წერას ამჯობინებ. საკუთარ თავს დააბრალე, ძვირფასო, ნუ ჩივიხარ მარტოდმარტო ვარო. ესტერის, ენკარნასა და იმ შენი ტიპების ამარა ხარ. კარგად რომ დააკვირდეთ, არც ის ტიპები არიან შენი ერთგულნი. ერთი თვის უკან გაბანძებულმა მოიანომ სტატია გამოაქვეყნა — „მომნანიებლები“ თუ რაღაც ამის მსგავსი ერქვა. გამოგიტყდები, მასში ბევრი რამ გაუგებარი დარჩა ჩემთვის, მაგრამ ძალიან ყურადღებით ვკითხულობდი და ვფიქრობ, დავიჭირე მთავარი აზრი. ეს სიტყვები კი ნამდვილად ეწერა: ყველა მომნანიებელს უყვარს თავისი აბლობელი, ზოგს მათი განთავისუფლება სურს, ზოგს კი მათი მეშვეობით საკუთარი კეთილდღეობის აგება. ეს სტატია ბომბის გასკდომას ჰგავდა, ძალიან გახმაურდა. ოიარსუნი იჭაჭებოდა, მოიანოზე უკვე აღარას ვამბობ. მისი ხმა სიდარბაზოშიც აღწევდა. ღმერთო, რა ეცა! შენ კი ამბობდი, მომეშვით, ადამიანი პირს ვერ გააღებს, ვინმეს რომ შეურაცხყოფა არ მიაყენოსო. მკაცრი ფრაზაა, წიგნში ამოკითხულს ჰგავს, შე ინტრიგანო. აბა შემომხედე, ვინმესთვის მიმიყენებია შეურაცხყოფა? მიპასუხე, მიმიყენებია? არა, ხომ? თანაც რამდენს ილაპარაკებ, ენაჭარტალას მეძახი ხოლმე. მარტო ვარ, საკუთარ თავს ვესაუბრები, [illegible] გამოვჩნდები,

ვინმემ ამ დროს რომ დამინახოს, მაგრამ ფეხებზე მკიდია. შენ კი პირიქით: პირს იმიტომ აღებ, ხალხს გული გაუწყალო. მუდამ ასე იყო. გაიხსენე, საქმე რომ შეგიყვნეს ანტონიოს რისი გაკეთება შეეძლო? თავის მოვალეობას ასრულებდა, არც მეტი, არც ნაკლები. მადლობა თქვი, მას რომ მიანდეს საქმე. განა ნამდვილი სასწაული არაა, ქუჩაში რომ არ გიკრეს თავი? იმდენს ულოცულობდი, მუხლები ახლაც მტკივა, ერთიანად დასიებული მაქვს, რიგიანად მოსწავლემ გიჩივლა. ანტონიოს მადრიდში უნდა შეეტყობინებინა, სხვა რა გზა ჰქონდა. ხოლო შენ რომ ენა გაგეჩერებია, მაშინ არც ანტონიო გამოჩნდებოდა, არც ანტონია. ანტონიო გაფასებს, მარიო, ეს ნათელია, ჩემს სანახავადაც კი მოვიდა. ისე განვიცდი ამ ამბავს, როგორც საკუთარსო, დამიჯერე, კარმენო. მეტი რაღა გინდა? ვუპასუხე, ანტონიო, არა ხარ ვალდებული ახსნა-განმარტება მომცე, ესღა გაკლია-მეთქი. გუშინ კი ხომ ნახე, ერთ-ერთი პირველთაგანი მოვიდა. დღეის გაკვეთილები მოხსნა და, საერთოდ, მშვენივრად მოიქცა. რასაც დასთეს, იმას მოიმკი, მარიო. მოეეშვათ ამას. რა ეშმაკმა მოგაფიქრა ასეთი რამის თქმა, ნუთუ გგონია, ქრისტიანი ხმამაღლა გამოუცხადებს მთელ კლასს, სამწუხაროა, ეკლესიამ მხარი რომ არ დაუჭირა საფრანგეთის რევოლუციასო. გესმის, რას ამბობ? ჩერჩეტი ესტერი კი!.. მართლა რა სამწუხაროაო! ღმერთო დიდებულო! ჭკუაზე ხარ, მარიო? ეს ხომ მკრეხელობაა! საფრანგეთის რევოლუცია განა იმ თმაგაწეწილი დედაკაცების მოწყობილი არ იყო, მეფეს, მონაზვნებს და ყველა წესიერ ხალხს თავები რომ წააკვეთეს? რა გულქვა უნდა იყო, მსგავსი რამ თქვა. არც პრინციპები გაქვს და არც არაფერი. ღმერთო, შემეწიე! განა ქრისტიანული პრინციპები წესიერი ხალხის თავის მოკვეთას დაუშვებს? ხომ ხედავ ახლა, რომ გარყვნილებასა და ურწმუნოებაში ფრანგებს ბადალი არ მოეპოვებათ. შარშან ზაფხულს ვალენი, რომელსაც ბევრი რამ უნახავს ცხოვრებაში, საფრანგეთიდან შეძრწუნებული დაბრუნდა. მაგრამ შენ ყველაფერი ფეხებზე გკიდია, სინდის-ნამუსისაგან გარეცხილი ხარ. კვირაობით კი ისე დაბრძანდები აღსარებაზე, ვითომ აქაც არაფერი. ბენემაც კი მკითხა, აღსარებაზე წავიდაო? ალბათ-მეთქი, — ვუპასუხე, აბა რა მექნა. ღმერთმა შეგინდოს, მარიო, ვიცი გულში ცუდი არაფერი გედო, მაგრამ ზოგჯერ მიფიქრია, რომ არ გქონდა აღსარების უფლება. მერე კარგა ხანს ვეღარ ვიძინებდი, ვფიცავ, ძალიან მაწუხებდა ეს, პირდაპირ მანადგურებდა. ყველაზე მეტად ის მაშფოთებს, თავიდან რომ ასეთი არ იყავი, მერე აგიბნიეს თავგზა დონ ნიკოლასმა და იმ ტიპებმა. შორიდან კიდევ არაფერი, მაგრამ კაცი, რომელიც ასეთ რამეებს სჩადის, შენი ქმარია. ეს უკვე წამებაა, ვალენი იცინის, ჩემს ადგილას კი ნეტა რას იზამდა? თქმა არ უნდა, ვისენტესნაირი თავშეუკავებელი კაცი სანთლით საძებარია, იცის თავისი საქმე, ვალენს ეს თვითონ უთქვამს ჩემთვის — შენი ქმარი და მისი მეგობრები დარტყმულები არიანო, მაგრამ გამოგიტყდები, მართობენ, მეცინება მათ სიტყვებზე — ეს ქვეყანა უკან-უკან მიდისო. კარგი ტიპები არიან, მაგრამ სულ თვალყურის დევნა სჭირდებათო, ასეთი ხალხი ან თვითმკვლელობით ასრულებენ სიცოცხლეს, ან გული უსკდებათო. აი, მარიო, ხომ ნახე, თითქოს იწინასწარმეტყველა. მე კი, მართალი გითხრა, მეგონა, გულით საქმის ხალხი იხოცებოდა. მათ ხომ ერთი ტელეფონის გაწკრიალებით შეუძლიათ იშოვონ ან დაკარგონ მილიონები. აი, ეს მესმის, მაგრამ შენ რამ გაგიხეთქა გული? ფული არ გაწუხებდა, ცოლი ისეთი გყავდა, არას გაგიჭირვებდა, რაც გინდა თქვი, არაფერი გაკლდა, არ გქონდა ასეთი სიკვდილის უფლება, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გქონდა?! არ გქონდა! მესმის, საქმის ხალხს დაემართოს ასე, მაგრამ შენ, მარიო, რაზე წარმოიდგენდი? რისთვის მოვატყუოთ ერთმანეთი. იმიტომ მოკვდი, რომ გიჟები კეთილმოუწყობელ საგიჟეთებში ცხოვრობენ, ან იმიტომ, რომ პოლიციელმა გცემა, თუ ხოსეჩუმ ხმები რომ არ დაითვალა, ან სოლორსანოს შენი მიჩვეულად დანიშვნა რომ სურდა, თუ გლეხებს ლიფტი რომ არა აქვთ? არ შემიძლია ამის გაგება. რა თქმა უნდა, სულელი, [illegible] ბრალი არაა. დედაშენიც კი მაფრთხილებდა, თავის თავში ჩაკეტილი ბიჭიაო. სკოლიდან მოვიდოდა თუ არა, ფეხზე გამოიცვლიდა, ბუხარს მიუჯდებოდა და კითხვას იწყებდაო. ბავშვი განა ასე უნდა იქცეოდეს? ენკარნა კი ყველაფერში ერევა, ეს უნდა გააკეთო და ეს არაო... მას რაღა გაეგება. ბავშვობაში თუ "უცნაური" იყავი, მერე რა გამოგიცვლიდა. კუზიანს სამარე გაასწორებსო, ხომ იცი. სამი დღის უკან რომ მეუბნებოდი, მარტოდმარტო ვარ, კარმენო, გახსოვს? ზუსტად ამ ადგილას მითხარი, ვითომც ვერ გავიგონე, პასუხი რომ გამეცა, უარესი იქნებოდა. რას ითხოვდი, იმას, რომ ხოსეჩუს და სოლორსანოს ახსნა-განმარტებები მოეცათ? დედაჩემს, ღმერთმა აცხონოს, არაფერი გამოეპარებოდა, ამბობდა: რასაც დასთეს, იმას მოიმკიო. როგორია? ერთი შეხედვით შეიძლება სისულელედ მოგეჩვენოს, მაგრამ ამ გამონათქვამში დიდი აზრია ჩაქსოვილი, მარიო. დედა ტყუილუბრალოდ არ ლაპარაკობდა. მისთანა თავგანწირულ ქალს მეორეს ვერ იპოვნი. ხულიას ამბის შემდეგ ფიცი დავდო, ტკბილეულს არ გავეკარები, თუ ხულია ტყუპებს არ გააჩენსო. იტყვი, ესეც სისულელეაო, მაგრამ არაა სისულელე, მარიო, ამასაც თავისი საფუძველი აქვს: დედაჩემმა, ღმერთმა აცხონოს, იცოდა რასაც აკეთებდა. მერე გავიგე, მამასთვის უთქვამს, თუ ერთი ბავშვი გაჩნდება, მაშასადამე, ხულია შემცდარაო, მაგრამ თუ ტყუპი, მაშინ დიდი გრძნობა ჰქონიაო. შეიგნე, ხულიას გამართლება შეუძლებელი იყო. კარგად რომ ავწონოთ, ჩემი და დაისაჯა თავისი ცოდვისათვის, როგორც გინდა უბედური იყოს, კონსტანტინო უცნაური ბიჭია, მგონი, იოგია თუ რაღაც ამდაგვარი, იატაკზე ძინავს და ღამით ოთახებში დაბორიალობს, მთვარეულია. იტყვიან, წუთიერი სიამოვნებაო, მე კი მაგ წუთიერსაც ვერ ვგრძნობ. ძალიან უცნაური ბიჭია. ხულიას უნდოდა, კონსტანტინოს ჩვენს მარიოსთან ერთად გაეტარებინა ზაფხული, შენთვის არ მითქვამს, მაგრამ არ დავეთანხმე, საკუთარი პრობლემები თვითონ მოაგვაროს, ჩაიდინა ცოდვა და გამოსავალიც იპოვოს. საერთოდ, ამ უცხოელთა შვილებისაგან კარგი არა გამოდის რა. არმანდო ამბობს, მათ ვერაფერს გაუგებო, და მეც ვეთანხმები, არ ვიცი, ნარევი სისხლის ბრალია თუ რისი, მაგრამ სულ მთისკენ უჭირავთ თვალი.

## 20

**[ხოლო სიძვაი და ყოველი არაწმიდებაი გინა ანგაჰრებაი ნუცაღა სახელ-ედებინ თქუენ შორის, ვითარცა შუენის წმიდათა და საძაგელებაი და სიტყუაი სიცოფისაი გინა ლაღობაი, რომელი არა ჯერ-არს არამედ უფროად მადლობაი*].** პირიქით, ჩუმ-ჩუმად იგი საშინელ რამეებს სჩადიოდა, მარიო, წარმოიდგინე, ერთ საღამოს, შინ მარტო რომ დავრჩით, „ილ მონდოს" იმ გვერდზე გადაშალა, სადაც ლიფების რეკლამა იყო, მისებურად გაიცინა და

* ეფესელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი, V. 3-4.

მითხრა, რა მკერდი გაქვს, ბამბინაო! აბა რა საქციელია! გალის გამოჭერამდე გამოჩნდებოდა. ნეტა ასეთი რა მკერდი მაქვს, რომ ელისეო სან ხუანი შემხედავს თუ არა, გიჟდება, განსაკუთრებით თუ ცისფერი ნაქსოვი მაცვია. რა კარგს ხარ, რა კარგი ხარ, დღითი დღე მშვენდებით. მომბეზრდა კიდეც, საბაბი რომ მიმეცა, სხვა საქმეა, მე კი ზედაც არ ვუყურებ, მივდივარ ჩემს გზაზე, ვითომც არაფერი. დედა, რა კაცია! თუმც არ უნდა ვამბობდე, [illegible] ყმაწვილქალობაში ვბრწყინავდი. იმ დღეს ტრანსისთან ერთად „მოხუცების" სახელოსნოში რომ ავედი, თუმცა რა სახელოსნო, ბინძური სხვენი იყო, იმ უსირცხვილოებს შიშვლები უნდოდათ დავეხატეთ. ევარისტომ მითხრა, წელს ზემოთ შიშველი უნდა დაგხატოს კაცმაო. ძალიან ვნერვიულობდი, მარიო, გეფიცები, სირცხვილს სად უნდა წავსვლოდი, მთელი ოთახი შიშველი ქალების სურათებით იყო სავსე. ტრანსი აინუნშიც არ აგდებდა, ვერც დაიჯერებ. ამ სურათში სასწაული განათებააო, აქ კიდევ კანის ფაქტურაა კარგად გადმოცემულიო. ნეტა საიდან ერკვეოდა ხატვის ტექნიკაში, ჩემთან ამაზე არასდროს უსაუბრია, არადა, მეგობრები კი ვიყავით. მერე იმ თავხედმა ევარისტომ თავისი ბანჯგვლიანი ხელი ფეხზე დამადო და მკითხა, შენ რას იტყვიო? სუნთქვა შემეკრა, მარიო, კრინტი არ დამიძრავს, არც შევრხეულვარ. ევარისტოს სიგიჟემდე მოვწონდი. ტრანსი იმიტომ შეირთო, რომ თვითონ მთლად ბებრუხანა იყო, სხვა რა გამოსავალი ჰქონდა. ქალი ყოველთვის გრძნობს მამაკაცს როცა მოსწონს, არ მკითხო როგორ, აბა რა ვიცი, ინტუიცია, წინათგრძნობა, ყოველ შეხვედრაზე გვაჩერებდა და გვეუბნებოდა, ახლა ნამდვილი ქალიშვილები ბრძანდებით, ზაფხულში კი მთლად ბავშვები იყავითო. თანაც მკერდზე მომშტერებოდა ის უსინდისო. არ ვიცი რა მკერდი მაქვს ასეთი, მარიო, მაგრამ სამოცი წლისასაც არ მომასვენებენ კაცები. საზიზღრები ხართ, ერთ ყალიბზე მოჭრილები. გალი კონსტანტინო კი დახატული ქალის ძუძუს კერტებზე მიმითითებდა ხოლმე, დაიჯერებ? ეს იტალიელები დიდი უწმინდურები არიან, მაგრამ ჩემთან რას გახდებოდა. თვითონ არ ვინდომე, თორემ ხულიაზე მეტად მოვწონდი. კაცები თავს არ დაიჩაგრავთ. საცოდავი დედა ამბობდა, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო. ჩემმა დამ ნაბაბი მისცა გალის და ისიც რა, სულელი იყო არ ესარგებლა? გართობა ყველას სწადია. აი, რა მაცოფებს: ასე როგორ დაიმცირა თავი! მერე კი არ ვიცი რა მოხდა, თავდებად ვერ გამოვდგები. წარმოიდგინე, ხულია ბავშვთან ერთად შვიდი წელი მარტო ცხოვრობდა მადრიდში. თავისუფალი ქალი ვინ იცის რას ჩაიდენს. ჩემთვის ამას განა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მარიო, მაგრამ დედა და მამა ემდუროდნენ ხულიას, ჰოდა, მეც მათ ვბაძავდი. „კი", „არა", „კარგია", „ცუდია" — ეს იყო და ეს. ხულიას საქციელზე თვალის დახუჭვა განა შეიძლებოდა? საცოდავმა დედამ რა ტანჯვა გამოიარა! ისიც სცადა, გალი პირველ ცოლთან განექორწინებინა, მთელი ქვეყანა ფეხზე დააყენა, მაგრამ გალის შვილები ჰყავდა, რამაც ძალიან გაართულა საქმე. მერე კი უეცრად გაუჩინარდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, არავინ იცის მისი ასავალ-დასავალი. იქნებ აქ მოკლეს, იქნებ მეორე მსოფლიო ომში, შესაძლოა ცოცხალიცაა, თავის სამშობლოში ერთობა, კაცები ხომ გაუმაძღრები ხართ. ვალენი ამბობს, ეგენი სიბერეშიც ვერ ისვენებენო. გალი მართლაც კარგი გარეგნობისა იყო, მე და ხულიას ლია ფიატით რომ დაგვატარებდა, მთელ ქვეყანას ჩვენზე რჩებოდა თვალი, რა დრო იყო! შესანიშნავად გავატარე ომის წლები, რაც გინდა თქვი, ნამდვილი დღესასწაული იყო. თავშესაფარში ესპეს შემხედვარენი სიცილით

ვიხოცებოდით, პირწავარდნილი წითელი იყო. მამაჩემის ამბავი მოგეხსენება, ყველას დაურიდებლადახლიდა სიმართლეს. ყუმბარის აფეთქებისას ესპეს ეტყოდა ხოლმე, ნუ გეშინიათ, ეს თქვენი მეგობრებიისვრიანო. ის საცოდავი კი, გაჩუმდით, დონ რამონ, ომი საშინელი რამააო. ზღაპრულად გავატარე ის წლები, მარიო. ქუჩები ხალხით იყო სავსე, იდგა ერთი აურზაური, გულწრფელად გითხრა, დღემდე არ გამეგება, მაშინ უარით როგორ არ წამოგისტუმრე! ახალი დანიშნულები ვიყავით, შენ კი ფრონტიდან რომ ბრუნდებოდი, ყველას გუნებას უწამლავდი. ძმებიც მაშინ დაგეღუპნენ. სულ ჩაფიქრებული იყავი, სულ რაღაც გაწუხებდა. ერთ მშვენიერ დღესაც, მოულოდნელად, ჩვენი გალი მიწამ ჩაყლაპა, მაშინ ხშირად ხდებოდა მსგავსი რამ, ტრანსის ძმა — ნაჩო კუევასიც ასევე გაქრა. გაქანებული ომის დროს გაიწვიეს ჯარში. გონებრივად ჩამორჩენილი იყო, მენინგიტი გადაეტანა, რაღაც დამხმარე სამუშაოებს ასრულებდნენ. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, არ ვიცი ხალხი აქლდათ თუ რა მოხდა, ტრანსის მშობლებმა კარის ქვეშ ორთოგრაფიული შეცდომებით სავსე წერილი იპოვნეს, რომელიც იტყობინებოდა: „ფრონტზე გამიწვიეს, ძალიან მეშინია. მშვიდობით, ხუანიტო“. ეს იყო და ეს, მერე კუევასებმა ცა და მიწა შეძრეს, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნეს. რა თქმა უნდა, მის მდგომარეობაში ყოფნას სიკვდილი ჯობდა, ტვირთად აწვა სიცოცხლე, არაფრისთვის ვარგოდა, აბა რა ელოდა, ან შავი მუშა უნდა გამხდარიყო, ან რაიმე მსგავსი. ტრანსის ვეთხარი, უკეთესია, რომ მოკვდა-მეთქი, მას კი გული აუჩუყდა, არა, მენჩუ, ძმა მაინც ძმააო. ტრანსი, თავისებურად, თბილი, გულიანი ქალია. ერთი გენახა, როგორ მკოცნიდა, ქალიშვილისათვის უჩვეულოდ, მაგრამ მთელი გრძნობით და მერე ვის გადაეყარა, ბებერ ევარისტოს, კარიკატურას რომ ჰგავდა. თხუთმეტი წლით იყო ტრანსიზე უფროსი, უქონელი, თანაც უსირცხვილო.., ქორწილზე მხოლოდ იმიტომ მივედი, ტრანსის არ წყენოდა. ევარისტოს ვერ ვიტანდი, ხომ გახსოვს რა უხამსი იყო. ტრანსიმ აიჩემა, ნიჭიერიაო. კი, იმის ნიჭი მართლა ჰქონდა, თვითმფრინავში ჩამჯდარიყო და ამერიკასა თუ გვინეაში გაქცეულიყო, ცოლი კი სამი შვილით მიეტოვებინა. წარმოდგენა არა მაქვს, ქალი როგორ უვლის ბავშვებს. კუევასებს შესანიშნავი ოჯახი ჰქონდათ, მაგრამ ისე გაღარიბდნენ, მთლად უგროშოდ დარჩნენ. აი რაში გამოვლინდა ევარისტოს ნიჭი, და კიდევ იმაში, ხელებს უადგილო ადგილას რომ აფათურებდა. პირდაპირ გამაჟრჟოლა, მაშინ რომ მკითხა, შენ რას იტყვიო? იმ საღამოს მასლაათი რომ გამება და იმედი მიმეცა, ტრანსი ევარისტოს ველარ იხილავდა, თვალები უფართოვდებოდა, როცა გვეუბნებოდა, ახლა ქალიშვილები ხართ, შარშან კი სულ ბავშვები იყავითო. თან მკერდზე არ მაშორებდა მზერას. ჩვენ შორის დარჩეს, მარიო, არ ვიცი რა მკერდი მაქვს ასეთი, მაგრამ ერთი კაციც რომ არ დაუტოვებია გულგრილი, ეს ნაღდია, თუნდ ის თავხედი ავილოთ, მიწას რომ თხრიდა ვიქტორიას ქუჩაზე. ხმამაღლა დამიძახა, ლამაზო, მაგ მკერდით რიკარდო სამორასაც* კი წააბამდიო. რასაკვირველია, უხამსობაა, აბა ამ ხალხს რა მოეთხოვება. მაგრამ გული იმიტომ მწყდება, შენ რომ მეპყრობოდი ცივად. სხვების ყურადღებას რომ არ ვიქცევდე, მაშინ არ გამიკვირდებოდა, მაგრამ აკი ძალიან მოვწონვარ მამაკაცებს, ამიტომ მაოცებ. ახლა კიდევ არაფერი, მაგრამ გათხოვებამდე იყო რაც იყო! შენ კი დიდი-დიდი, ხელზე მომფერებოდი· არ ვამბობ უნდა გეკოცნა-მეთქი, მაგის ნებას არც შენ

---

* 30-იანი წლების ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი.

მოგცემდი და არც სხვას, მაგრამ მეტი ლტოლვა უნდა გქონოდა და ამავე
დროს თავიც შეგეკავებია. გოგოებს მოგვწონს როცა კაცებს გაღელვებთ,
ასეც უნდა იყოს, მეხანძრეებთან ხომ არა გაქვთ საქმე! შენ კი [illegible]ლებ-
ლად იმეორებდი, ჩემო სიცოცხლეო, ძვირფასოო, ოღონდ აუ[illegible]ლად,
თითქოს აქაც არაფერი, ვეღარც ვგებულობდი, თავშეკავებას [illegible] ნიშნავდა შენი
საქციელი თუ გულგრილობას. კაცი, რომელიც იინუნშია [illegible] ცო-
ლის ნათქვამს, თუ ევარისტო რას ჩაიდიოდა თავისი ბანჯგვლიანი ხელებით,
ქვისგანაა გამოთლილი და მეტი არაფერი. თანაც განა შეუძლებელს გთხოვდი!
ზოგჯერ მგონია, ამ საკითხებზე მიკერძოებულად ვმსჯელობ, მაგრამ ვცდილობ
ობიექტური ვიყო. აი თუნდაც ვალენი. ვისენტე დინჯი კაცია, მაგრამ ვალენს
ხშირად უთქვამს ჩემთვის, ბოლო თვეებში და განსაკუთრებით მას მერე, რაც
ვისენტემ ცოლობა მთხოვა, გარეთ არ გამოვდიოდიო. მეც ყველაფერზე თავს
ვუქნევდი ვალენს, აბა სირცხვილით როგორ გავამხელდი, მარიო, ზედაც არ
მიცქერის-მეთქი. გეფიცები, მარიო, პაპანაქება სიცხეში ჩემი სახლის წინ
გაზეთით ხელში სკამზე ჩამომჯდარს რომ გხედავდი, გულში ჩამივარდი,
ვფიქრობდი, ამ ბიჭს ვჭირდები, ალბათ ძალიან ენებიანია-მეთქი. ასე უსა-
ფუძვლოდ ვოცნებობდი... გულახდილად გეტყვი, მეამებოდა ფეხზე რომ მომ-
ფერებოდი, მე კი გამეჩირებინე. განა ევარისტოსა და გალის მსგავსად უნდა
მომფერებოდი, მაშინ არც გამოგყვებოდი ცოლად, მაგრამ მეტი გრძნობა
რომ გქონოდა. შეგეძლო. ხომ ნახე მაქსიმინო [illegible]ნდემ რა ჩაიდინა გერთან,
თანაც მის ასაკში... მართლაც გაგიჟებული [illegible]ტრუდისს საზღვარგარეთ
გაქცევა მოუხდა, ჩემოდნის ჩალაგებაც ვერ მოასწრო. გასაგებიცაა, მაქსიმი-
ნო ხომ მამინაცვალი იყო მისი და ასე არ უნდა მოქცეოდა. მაქსიმინოს, რა
თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ ვამართლებ. მხოლოდ ის მინდა მოგახსენო,
მარიო, რომ ქალსა და კაცს შორის ინსტინქტი არსებობს. მაგრამ წესიერი
გოგოები, ვისაც პრინციპები გვაქვს, ისე ვიქცევით, როგორც საჭიროა. მოგვ-
წონს, როცა მამაკაცს ვაღელვებთ, მაგრამ საზღვრებს როდი გადავდივართ.
კახპები კი პირიქით, პირველივე შემხვედრს უგორდებიან ლოგინში. აი რა
განსხვავებაა ჩვენს შორის, ჩერჩეტო. როცა ვერ გაღელვებთ, ჩვენც ვკომპ-
ლექსდებით, ათასი სისულელე მოგვდის თავში, იმასაც ვფიქრობთ, რომ არ
მოგწონვართ. ქალებს ძალზე რთული ხასიათი გვაქვს. ახლა, ოცი წლის შემ-
დეგ მეუბნები, გაიხადეო. რა გამოხდომაა ამ სიბერეში! ახლა აღარ მსურს,
მუცელზე ლაქები მაქვს, ზურგზე ქონი მადევს. არა ბატონო, დროზე უნ-
და გეთხოვა. პადრე ფონდო სისულელეებს ჩმახავს, ეს თავაზიანობაა. მეცი-
ნება. არ ვიცი როგორ ახერხებ, მაგრამ დამცველები ბლომად გყავს. ცოტას
ყოველთვის უსტვენდი, ძვირფასო, აღიარე. ესტერი ამტკიცებს, ინტელიგენ-
ტებს ისეთივე მოთხოვნილებები აქვთ, როგორც სხვებსო, დაკმაყოფილდება
და მორჩა, ცოლმა კი არ უნდა შეაწუხოსო. სასაცილოა. იმ წელს, ზღვაზე რომ
ვიყავით, სულ ქალებს მიშტერებოდი. მშვენიერი ზაფხული კი გავატარე!
პლაჟზე ისეთი გარყვნილება სუფევს, თოკითაც ვეღარ წამათრევ იქ. გინდ
გეწყინოს, გინდ არა, მაინც გეტყვი, რომ არაფრის დრო არ იცი, მარიო, ნუ
შეკამათები. კარგ დღეებში ზედაც არ მიყურებდი, ცუდ დღეებში კი თავს
მოიგ[illegible]ებდი, ღმერთის ნებაა, ამ საქმეში მათემატიკას ნუ გაურევთო. თქმა
ადვილია! თანაც აყოლებდი, ბიჭი შეგვეძინებაო. ახალი ამბავი! წარმოიდგინე
ერთი, ყველა კაცმა ყველა ქალთან, როცა მოესურვება. შვილები რომ აკე-
თოს, მილიონობით ბავშვი გაჩნდება ალბათ. ეს ბარბაროსობაა, სიგიჟე, უკულ-

მართი ხარ, თითქოს მისაფრდები, ოლონდ წამომცდეს თეთრია-მეთქი, შენ მიპასუხებ, არა, შავია. თანაც ეს, გატყობ, ძალიან გსიამოვნებს.

21

ეროვნული ბიბლიოთეკა

**[ნაშრომი ნაყოფთა შენთა შჭამო შენ. ნეტარ იყო და კეთილი გეყოს შენ. ცოლი შენი ვითარცა ვენახი მსხმო კიდეთა სახლისა შენისათა. შვილნი შენნი ვითარცა ახალ ნერგნი ზეთის ხილისანი, გარემოს ტაბლისა შენისა.*]** მიუხედავად ამისა, ზოგჯერ სისულელეებსაც ჩავდივარ, მარიო. საშინელებაა. ზოგჯერ საღამოს მივეშურები ხოლმე აღსარების სათქმელად. აი, რა მემართება. მადლობა ღმერთს, დედაჩემი ვერ ხედავს დღედაღამ სარეცხს რომ ვრეცხავ და ხუთი შვილის პატრონს ერთი მოსამსახურე რომ მყავს. ზოგჯერ ვიფიქრებ ხოლმე, კარგია რომ მოკვდა, ვერ მხედავს რა დღეში ვარ-მეთქი. იცი, მარიო, ღმერთმა აცხონოს დედაჩემი, განა პირველად გესმის, მაგრამ იგი ჩემთვის განა მხოლოდ დედა იყო, მრჩეველი იყო ჩემი, მესაიდუმლე, მეგობარი და საერთოდ, ყველაფერი. მოსამსახურის შოვნა, მარიო, შეუძლებელი გახდა. კაცები ამაზე თვალებს ხუჭავთ, თანაც ლარიბებს თავგზას უბნევთ, თითქოს თქვენ არაფერი გეხებოდეთ. სულელები ხართ, უფრო უარესებიც, გაიძახით, დაბალი ხელფასების გამო გერმანიაში გარბიანო, მე კი მგონია, ყოველივე ეს ცუდად დასრულდება. იმაზე აღარაა ლაპარაკი, რომ მოსამსახურეს ათას პესეტაზე მეტი უნდა გადაუხადო, თანაც აჭამო და ასვა. მაგრამ აღარ არიან და საიდან მოიყვან, მარიო? შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ! სასაცილოდ არ მყოფნის, წამოგივლის უცებ და აბა ყველამ დავიკაპიწოთ ხელებიო. ოჯახის საქმეს დიდი დრო მიაქვს, ხუმრობა არ გეგონოს, ძვირფასო. საქმეს განა გამოლევ.... აბა მითხარი, რა შეღავათი მაქვს იმით. არდადეგების დროს ბავშვები თვითონ რომ ალაგებენ საწოლებს, შენ კი ცოცხს წამოავლებ ხელს და ოთახს გვი? ესაა ყველაფერი? ან იქნებ კაცის საქმე გგონია.. სახლი სახლია, მარიო, იძულებული ვარ ფეხდაფეხ გდიოთ, საბნები ვასწორო და შენ შემდეგ კუთხეები გამოვგავო. აი ჩემი შეღავათი. ყველაზე დიდი სიამოვნება ისაა, საკუთარ თავს თვითონვე რომ მოემსახურები. მეცინება თქვენს მოხმარებასა და თქვენს სიამოვნებაზე, აზრზე არა ხართ... იმისა არ იყოს, მენჩუმ ჭურჭელი უნდა გარეცხოსო. როდის იყო კარგი ოჯახისშვილი გოგონები ჭურჭელს რეცხავდნენ? მიპასუხე! რეცხვა განა მე არ მეყოფა? მაგრამ მე, ბოლოს და ბოლოს, დედა ვარ და ახია ჩემზე, რადგან უკეთესი არჩევანი ვერ გავაკეთე. საცოდავმა ბავშვმა კი რა დააშავა? არა, მარიო, არა, მერწმუნე, უნდა ვითმინოთ, სანამ შეგვეძლება, და ბოლოს, თუკი უნდა მოვკვდეთ, დედაჩემივით ღირსეულად უნდა შევეგებოთ აღსასრულს. იმ დღეს ჩანთით ხელში საყიდლებზე გასული რომ დაგინახა ვალენმა, დამიჯერე, მინდოდა მიწა გამხეთქოდა. კიდევ კარგი, ჩემს ამხანაგებს აღარაფერი აკვირვებთ შენი. მაგრამ ეჭვი არ შეგეპაროს, რომ ვისენტეს, რომელიც ნამდვილი მამაკაცია, რაზეც გინდა დაგენიძლავები, მსგავსი რამ თავში არ მოუვა. ხი რა გემართება, მე ხომ ვერაფერს გამომაპარებ, მარიო, სადღაც, სულის სიღრმეში, სინდისი გქენჯნის. შენი მოვალეობა ფულის შოვნა იყო. განა ახალი ამბავია, ძვირფასო, ყოველთვის მოუსვენარი იყავი, დღროც იგივეს აღნიშნავს. მახ-

* ფსალმუნი დავითისა XXVII, 2-3.

სოვს, პლაჟზე ტენტის ქვეშ რაღაც ქაღალდებს კითხულობდი, ხან ბავშვებს უქეთებდი ნავებს. ყველაფერს სჩადიოდი იმის გარდა, რომ მიფიცხებოდი მზეს და გაშავებულიყავი, მარიო. თეთრი იყავი, მუხლებამდე ჩამოშვებული ხალათი გეცვა და სათვალე გეკეთა. საშინლად გამოიყურებოდი. ზოგჯერ ისე მეჭირა თავი,თითქოს მე არ მახლდი, თითქოს არც გიცნობდი. არ უნდა გეუბნებოდე, მაგრამ ძალიან მრცხვენოდა შენ გვერდით ქალებს. მართალს ამბობს, ინტელიგენტებს პლაჟზე გამოსვლა უნდა აუკრძალონ! ისეთი გაძვალტყავებულები, ისეთი გაუბედურებულები არიან, არაესთეტურები, მათი ცქერა ბიკინიან ქალთა ცქერაზე უფრო უხერხულიაო. ყველაზე მეტად ის მაღელვებს, პლაჟზე ქალებს რომ არ უცქერდი, აქაოდა, ინტელიგენტი ვარო. მერე კი სახლში ცოცხს წამოავლებდი ხელს და დაგვას იწყებდი. ორიდან ერთი უნდა აირჩიო, ინტელიგენტი ან ხარ, ან არა. თუ ხარ, ბოლომდე უნდა იყო. ნახევარტონები საშინელებაა. ახლა მშვენივრად მესმის, არავითარი ინტელიგენტი რომ არ ბრძანდები, რადგან ინტელიგენტმა თვითონაც უნდა იფიქროს და სხვასაც დაეხმაროს ფიქრში. მაგრამ ფიქრი არ შეგიძლია, თავში ქაოსი გაქვს, და, მით უმეტეს, სხვის დახმარებასაც ვერ შეძლებ. თავის მართლება, ცარიელი ფრაზები... თუ ინტელიგენტი არა ხარ, მაშ მთელი დღე წიგნებში და ქაღალდებში რად იქექები? რად იყავი პლაჟზე ასე თეთრი, მზეც კი არ გეკარებოდა. თანაც მერე უფრო მეტად რომ შეგერცხვინა თავი, სპორტს მისდევდი. ნამდვილი ანეკდოტია. წესიერად სიარული ვერ გისწავლია და ყოველ კვირადღეს კი ორმოცდაათ კილომეტრს გადიოდი ველოსიპედით. ახალგაზრდული გარეგნობის შენარჩუნება გსურდა, არ ვიცი კი რისთვის, ქალი მაინც ყოფილიყავი... ჩემს ადგილას ყველა შეიშლებოდა, მარიო. ხშირად ვფიქრობ, იმიტომა გაქვს პროლეტარული გემოვნება, ასეთ სიღარიბეში რომ გაიზარდე. ნიშნობის შემდეგ რომ მითხარი, კვირაში ერთი დურო უნდა ვიმყოფინოთო, გავშრი. კვირაში ერთ დუროდ რანაირად შეიძლებოდა ორ ადამიანს გვეცხოვრა, როცა ოცჯერ გაძვირდა ყველაფერი. დღემდე მტკივა ფეხის გულები ქუჩაში ამდენი წანწალით. ღმერთო, როგორ ციოდა! შინ გათოშილი ვბრუნდებოდი და თავფეხიანად პლედში ვეხვეოდი. დედა მეკითხებოდა, იქნებ მითხრა, სად დაეხეტებიიო? აბა რა მეპასუხა? საცოდავს თავისი გაჭირვებაც ეყოფოდა. ზოგჯერ თავს მოიქაჩლებდი და კაფეში მპატიჟებდი. სოფლელი გლეხივით იქცეოდი. ყოველთვის, როცა ერთ ჭიქა ღვინოს უკვეთავდი, თეთრთმიანი ოფიციანტი დაცინვით მეკითხებოდა, ერთი ჭიქა ორისთვისო? საშინელება იყო, ჯოჯოხეთური ტანჯვა გამომატარე, გახსენებაც არ მინდა. მესმის რაოდენ ცოტას ვნიშნავდი შენთვის. თუ ერთ დუროზე მეტი არა გებადა, უხერხულობაში რად მაგდებდი? ამის უფლება ვინ მოგცა? შეყვარებული კაცი ასეთ დროს რას არ ჩაიდენს — მოიპარავს, მოკლავს ვინმეს, მარიო, ყველაფერს იკისრებს, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში არ ჩააგდებს წესიერ ოჯახისშვილ ქალიშვილს. ნერვები მეშლება, სულელი რომ ვიყავი. როცა ვიხსენებ, როგორ მამცირებდი, ცრემლები მახრჩობს. ხომ მქონდა დრო, რათა მივხვედრილიყავ ვისთან მქონდა საქმე. მე კი ყველაფერზე დავხუჭე თვალი. როგორ მოგწონს „ერთი ჭიქა ორისათვის?" ის თეთრთმიანი ამას დაცინვით ამბობდა, მარიო, ნუ მეკამათები. მე დამცინოდა, მაშინ კოხტად მეცვა, მშვენიერი ქუდი მეხურა, ელეგანტური ვიყავი... ვცოფდები, მაშინვე რად არ გაგაბუნძურე. ნამდვილი მამაკაცი უმალ იქურდებს, მკვლელობას ჩაიდენს, ვიდრე ქალი სამი წელი ასეთ დღეში ჰყავდეს. თანაც ახსნა-გან-

მარტენას იწყებდი, სენიორიტას სურს, მე არაფერი მინდაო. როგორ არ უნდოდა, უნდოდა. შენ გგონია, ვერ ხვდებოდა იგი? განა სულელი იყო. ნეტა ვიცოდე, რა საჭირო იყო ოფიციანტისათვის ამდენი ახსნა-განმარტების მიცემა? იმ არარაობისათვის? ეს შენი ყველაზე საზიზღარი ჩვევაა. ნაცვლად იმისა, ერთი-ორჯერ შეუყვირო, მდაბიო ხალხთან საუბარს [illegible] წესიერ, საპატივცემულო ხალხთან კი ენას არ აჩერებ და [illegible]. ამისთანა კაცისაგან აბა რას უნდა ველოდეთ! ჯიბეში გროშიც არ გიჩხრიალებდა, და მაინც ამბობდი კარგად ვარ, პური მაქვს და ჭერიო. რას არ გაიგებ! არაფერი გებადა, მაგრამ ამას კიდევ რა უშავს, მამაჩემი რომ არა, რა გვეშველებოდა, მარიო, ღმერთმა იცის! რად მიღირდა ღირსების შენარჩუნება. თავი მოგვაქვთ, ყველაფერი ვიცითო, იმ ზღაპრებისა კი გჯერათ, თითქოს ნახევარი მსოფლიო შიმშილობსო. თუ ვინმე შიმშილობს, ალბათ ასე ეპრიანება, მარიო, თორემ თუ შიათ, რად არ იმუშავებენ? ქალიშვილები რად არ მიდიან მოსამსახურეებად, როგორც დაუწესებია ღმერთს? მითხარი, რად? ქვეყანა წახდა, მარიო, დღეს ყველას ქალბატონობა სურს, ყველა სიგარეტს აბოლებს, ილებავს ფრჩხილებს, შარვალს იცვამს. ასე არ შეიძლება, ეს ქალები ოჯახებს ანგრევენ, ასეა. მახსოვს, ოთხ სულს ორი მოსამსახურე და ერთი გუვერნანტი ქალი გვყავდა, სულ ორ რეალს ვუხდიდით, რასაკვირველია, არაა ბევრი, მაგრამ მეტი რად უნდოდა? მოსამსახურეები მაშინ ოჯახის წევრებივით იყვნენ. მამაჩემი იტყოდა ხოლმე, გეყოფა, ხულია, ცოტა დატოვე, სამზარეულოშიც წაიხემსონო. მაშინ ყველანი ერთსულოვანნი ვიყავით, ყველაფრისათვის ვშოულობდით დროს, ყველა თავის მდგომარეობის შესაბამისად ცხოვრობდა და კმაყოფილი იყო. ახლა კი ყველას გენერლობა სურს, წარმოუდგენელია ასეთი ამბიციები და მოუთმენლობა. ამბობთ, შეცდომები უნდა გამოვასწოროთო, უსამართლობა ტრიალებს, მდიდარს უნდა წავართვათ და ღარიბებს მივცეთო, ოღონდ იყბედოთ და საკუთარი დედების გაყიდვაზეც არ იტყვით უარს. წყეულმა დონ ნიკოლასმა სიცოცხლე გამიმწარა. ადრე „ელ კორრეოს“ სიამოვნებით ვკითხულობდი. მაშინ რედაქტორი სხვა იყო, მადრიდიდან გამოგზავნეს, ლოიალური კაცი აღმოჩნდა. ჩემი აზრი არ გეგონოს, ყველა ასე ფიქრობს. მისი წასვლა და, საქმეც აირ-დაირია. აი რას გეტყვი, მარიო, რაიმე ხეირი რომ მაინც გქონდეს, კიდევ გავიგებდი, მაგრამ საწუხაროდ, არაფერს გაძლევენ, ამიტომ ვერ გამიგია, რისთვის მუშაობ ამდენს. ნუ მეტყვი დღეს ოცი დურო ფულიაო, ასეთ გასამრჯელოდ მუშაობა ნამდვილი ანეკდოტია. მარიო, ჯობს უხელფასოდ იმუშაო. სამაგიეროდ, მადრიდში რომ მიგიწვიეს, ხელადვე გამოგაგდეს. შენი ჯიუტობის ბრალი იყო. გითხრეს, სამოქალაქო ომის ნაცვლად ჯვაროსნული ლაშქრობა დაწერეო, თუ რაღაც ამდაგვარ სისულელეზე იყო ლაპარაკი, შენ კი ყვიროდი მთელ ტელეფონში. რას იფიქრებდა საცოდავი ხოსე მარი რეკონდო! ასე უნდა გადაგეხადა მისთვის სიკეთე? ყველაფერი ერთი სიტყვის გამო იყო... ღმერთო ჩემო, სიტყვის გამო რას არ სჩადით! აბა რა მნიშვნელობა აქვს, ჯვაროსნულ ლაშქრობას დაწერ თუ სამოქალაქო ომს? თავს არ ვისულელებ, მაგრამ ჯვაროსნული ლაშქრობა რომ დაგეწერა, ყველა მიხვდებოდა, სამოქალაქო ომს გულისხმობდი, მაგრამ სამოქალაქო ომი რომ დაგეწერა, ყველა ჯვაროსნულ ლაშქრობად გაიგებდა. რა საჭირო იყო ასეთი ამბის ატეხვა? რისთვის გადაყარე ექვსასი პესეტა? [illegible] ორჯერ უკვე ათასორასი პესეტა იქნებოდა... კარგად რომ დაუკვირდე, ახლა შესანახად ათასორასიც არ კმარა. მაგრამ ნურას უკაცრავად, ვალენტინი-

ნის, მე კი არ მეცინება. შენ გირჩევნია კარიერის დაემშვიდობო, ვიდრე რომელიმე სიტყვის შეელიო. ო, წყეული სიტყვები! იცი ეს რა არის? კომპლექსები! ყველანი დაკომპლექსებულები ხართ, ძვირფასო, მე კი ჩვეულებრივი ნორმალური ხალხი მომწონს, რომლებიც მსგავს სისულელეებს ამდენ ყურადღებას არ აქცევენ. აი პაკო, ბავშვობაში მისთვის სულ ერთი იყო, რას ამბობდა, სიტყვებს ერთმანეთში ურევდა, „პერსპექტივას" მაგიერ „პრესპექტივას" ამბობდა. ახლა ხომ ხედავ, „ტიბურონს" დააგრიალებს. მილიონებს შანსავს, ამისათვის კი სწავლა-განათლება სულაც არაა საჭირო. აი სადაა ჩემი შეცდომა. საკმარისია ნაცნობები გვყავდეს და ოდნავ მოხერხებული იყო... ხომ გესმის რას ამბობს მენჩუ — სტუდენტ ბიჭებს სათოფეზე არ ვეკარები, მათთან ყოფნა მოსაწყენიაო. ახალი თაობა დაჭკვიანდა, მარიო, ახლანდელი გოგონები განა ჩემსავით შტერები არიან. ისინი პრაქტიკულად მსჯელობენ, იციან, ლიცენციატის გვერდით არა მარტო შიმშილით მოკვდებიან, არამედ მოწყენილობაც მოუღებთ ბოლოს. წარმოიდგინე, რა ცხოვრება მექნებოდა პაკიტოსთან! როგორც ფილმში, ისე! ვივლიდი მადრიდში, საზღვარგარეთ, ვიცხოვრებდი საუკეთესო სასტუმროებში. იმ დღეს მეუბნებოდა, „ტიბურონი" თუმცა სწრაფია, მაინც თვითმფრინავით მიხდება გადაფრენა პარიზში, ლონდონში, ბარსელონაშიაო. გასაგებიცაა, მას ხომ ყველგანა აქვს საქმეები. მერე კი მანქანა გზატკეცილზე გააჩერა, ხელი გადამხვია. ცუდი! არაფერი უფიქრია, დარწმუნებული ვარ, თვალმოუშორებლივ მიცქეროდა, კვლავ ისეთი ხარო, — მითხრა. მე კი მივუგე, აბა რას ამბობ, წარმოიდგინე რა დრო გავიდა-მეთქი. პატარავ, დრო ყველასთვის ერთნაირად როდი გადისო. ქათინაურს დაარქმევ, მაგრამ მაინც ხომ სასიამოვნოა. თავბრუ მეხვეოდა, გეფიცები. ხოლო როცა მხარზე მომიჭირა ხელი, გულისცემა ამიჩქარდა. დარწმუნებული ვარ, ჰიპნოზი გამიკეთა, მარიო, განძრევა არ შემეძლო, მისი ხმა კი სულ უფრო ახლოვდებოდა და ახლოვდებოდა, ფიჭვების შრიალიც აღარ მესმოდა, წარმოიდგინე, იქაურობა ფიჭვებითაა სავსე. როცა მაკოცა, თვალთ დამიბნელდა, უგონოდ ვიყავი, გეფიცები, მხოლოდ მის სუნს ვგრძნობდი, ნამდვილი მამაკაცის სუნი ჰქონდა — საუკეთესო თამბაქოს და ოდეკოლონის სუნი. ვალენიც კი დამემოწმება, რომ ამ სუნს ჭკუიდან შეშლა შეუძლია. გეფიცები, არაფერ შუაში ვიყავი, ჰიპნოზი მქონდა გაკეთებული.

22

**[სთქუ სიბრძნესა დიდად შენდა ყოფად, ხოლო მეცნიერება მცნობელ ჰყავ შენდა. რათა დაგიცვეს შენ დედა კაცისაგან უცხოსა და ბოროტისა, უკეთუ შენ სიტყვითა ცბიერითა მოძრახვიდეს. რათა არა მიაქციო გზასა შინა მისსა გული შენი.*]** რაც გინდა იყოს, კაცებს კარგად ვიცნობ, მარიო, დარწმუნებული ვარ, მღალატობდი, თანაც არა ერთხელ და ორჯერ, თავს დავდებ, ასეა. ენკარნას ნახვა საკმარისი იყო, რა ამბით მოვიდა გუშინ, რა სცენა გამართა, აღარ ვიცოდი სად შევმძვრალიყავ. ვალენმა მითხრა, ენკარნა უფრო ჰგავს დაქვრივებულსო, ჰოდა, მართალიცაა. სასაცილო მდგომარეობაში ჩამაგდო. რას ჰკიოდა! ასევე იყო მადრიდშიც. ყოველთვის იქ უნდა ჩაეჩხირო, სადაც არაფერი ეკითხება. აბა ერთი მითხარი, რა ესაქმებოდა შენს კონკურსთან? მერე კი რა დრო გაგიტარებიათ! შენ კი ამბობდი, ლუდი და

* იგავნი სოლომონისნი, VII. 4-5. 25

კიბორჩხალები შევუკვეთეთ. ეს იყო და ესო, მაგრამ სულელი ხომ არა ვარ... რაც დრო გადის, მეტად ვრწმუნდები, რომ კაცები მონოგამიური ცხოველები არა ხართ. მონოგამიამ თქვენთვის კარგახანია მოჭამა დრო. ცოლებს სულელებად გვთვლით, ჩვენი თვინიერობით სარგებლობთ. ჯვრისწერის შემდეგ ერთგულება განაღდებული გაქვთ, უშფოთველად ხართ. თქვენ ქორწინებულება არ მოგეკითხებათ, ოღონდ მოგეხუშტუროთ, უკან არაფერზე დაიხევთ. სულაც არ მინდა ვთქვა, დონ-ჟუანი იყავი-მეთქი, ძვირფასო, მაგრამ შენს უცოდველობაზეც ვერ დავიფიცებდი. რამდენიც გინდა იძახო ჯვრისწერისას შენსავით უმანკო ვიყავიო, ვერ დავიჯერებ, მთლად ხომ ვერ გამოვსულელდები. მადლობას ნუ მეტყვი, ეს უპირველეს ყოვლისა, ჩემი მორცხვობის ბრალიაო. მეცინება, რა მორცხვობაზეა ლაპარაკი. კაცები კარგი ვინმეები ბრძანდებით, შანსს არ გაუშვებთ, ცოლ-შვილი არაფერს ნიშნავს თქვენთვის. თუმც ვარიანტების ძებნა არც გჭირდებათ. სამარცხვინო ამბები ხდება მადრიდში. რვა საათის შემდეგ ქუჩებში მხოლოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალები დაეხეტებიან. დიდი შეცდომა იყო ბორდელების დახურვა. მე, პირიქით, ამ სახლებს მყვირალა ფერებით შევღებავდი, რომ კარგად ეცნოთ. კასპებს შიგ ჩავამწყვდევდი, მზის შუქი რომ არ ეხილათ. ისინი სხვაგვარად არ იმსახურებენ. შენ კი გაიძახი, პირადი სიამოვნებისათვის ამას არავინ სჩადისო. როცა კაცები კახპების გამართლებას იწყებთ, აუტანლები ხდებით. შენი მაგალითი ავიღოთ, ამაზე კეთილშობილურად როგორღა მოგქცეოდი. გემუდარებოდი, მიამბე შენი თავგადასავლები და ყველაფერს წინასწარ გპატიობ-მეთქი. მაგრამ ნურას უკაცრავად! გეფიცები, მარიო, ყოველგვარი ტკივილისათვის მზად ვიყავი. როგორც კი ყველაფერს მომიყვებოდი, მიტევების ნიშნად გაკოცებდი და გეტყოდი, რაც იყო, იყო-მეთქი. მაგრამ შენთან რას გავხდებოდი, ჯორივით ჯიუტი ხარ, დიდი ასოებით, როგორც შენს წიგნებში წერ ხოლმე, ისე მიპასუხე. თქვენ ამაყობთ, ყველაფერი ვიცითო. მაგრამ დიდი ასოები რა საჭიროა, როცა არც საკუთარი სახელია და არც ახალი წინადადება? ეს ხომ ყველა სულელმა იცის. **შენსავით უმანკო ვიყავი, მაგრამ მადლობას ნუ მეტყვი, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩემი მორცხვობის ბრალიაო.** როგორ მოგწონს? ვცოფდები, მარიო, საშინლად ვცოფდები ასეთი გულჩათხრობილი რომ ხარ. სიმართლე რომ გითქვა, გეფიცები, მაინც გაპატიებდი, თუ გინდ ეს ჩემთვის გოლგოთა ყოფილიყო. ცოლად რომ შემირთე, ფიქრში მღალატობდი. ფიქრში ღალატი კი იგივე ღალატია. ზღვაზე გატარებული ზაფხული გაიხსენე. რა გადავიტანე მაშინ... გათოკილსაც ველარ წამიყვან იქ. არ გეგონოს საკუთარი თავის დარდი მაწუხებდეს, შე უტვინო. სხვა ნაკლი შესაძლოა მქონდეს, მაგრამ ეჭვიანი არა ვარ. ხოლო ბავშვები? რა დღეში ჩააგდე! მარიომ და მენჩუმ კოცნაობა იციან უკვე, ძვირფასო, დრო მიდის, დიდები არიან უკვე, მარიო. შენ კი შენი ველოსიპედით და სულელური გამოხდომებით ცდილობ ახალგაზრდობას ჩაებღაუჭო. ცხოვრებას თავისი წესი აქვს, მარიო, ამას არავინ ეწინააღმდეგება. საცოდავი დედაჩემი, ღმერთმა აცხონოს, ამბობდა: სიკვდილის გარდა ყველაფერს ეშველებაო. თითქოს ბანალური ფრაზაა, მაგრამ რამდენი აზრია შიგ ჩადებული. ვიცი, სისულელეა, მარიო, მაგრამ ხშირად მიფიქრია, დედაშენის კი არა, დედაჩემის შვილი რომ ყოფილიყავი, სულ სხვა ადამიანი დადგებოდი. მაშინ ყველაფერი გაცილებით უკეთესად აეწყობოდა, დარწმუნებული ვარ. გამიგე, კი არ ვწუწუნებ, ვიცი, სისულელეა ამაზე ფიქრი, რადგან დედაჩემის შვილი რომ ყოფილიყავი, უკე-

თეს შემთხვევაში, ნახევარი დღე-ღამე ვიქნებოდით და ვერ შევეულდებოდით. ყველაფერი, რაც შეეხება სისხლის აღრევასა და რეზუს-ფაქტორს, მუდამ მაშინებდა. არც ისე ალვაროს მშობიარობაზე რა გადავიტანე, [illegible] შეეძლია გითხრა. სისხლის დენა რომ მქონდა, ვფიქრობდი, ჩვენი სისხლის ჯგუფები არ ემთხვევა-მეთქი, [illegible] გეგონოდი და მაშინ [illegible] ერთი ფეხი ნაყინს არ შე[illegible] ნაყინზე [illegible]ლია. ამის შესახებ არაფერი გაგიგია, შენც ალვაროს გულისათვის მთელი ქვეყანა შეძარი, ძალზე უცნაურია მარტო რომ მიდის მანდორში კოცონის დასანთებად და ჯარისკაცებს ქალებთან ემახის. ექიმთანაა წასაყვანი, ასეო და ისეო. ბავშვობით მოსდის. მარიო, აქ არასდროს გამხდარა ავად, მხოლოდ წითელა მოიხადა, ეს იყო და ეს. ისიც ისე ადვილად გადაიტანა ეჭვიც კი შემეპარა წითელა იყო თუ არა. სხვა რამეები უფრო მაწუხებს, მარიო, სერიოზულ პრობლემებზე ვფიქრობ და არა ამ სისულელეებზე, ხომ ნახე, რა თქვა გუშინ ბორხამ? თანაც უბრალოდ კი არა თქვა, სულიდან ამოხდა: ნეტა მამა ყოველდღე კვდებოდეს, რომ სკოლაში არ ვიაროო. როგორ მოგწონს? ცემით მოვკალი. კი ვიცი, ჯერ ექვსი წლის ბიჭია, მაგრამ? მე მის ასაკში, და ეს გუშინდელივით მახსოვს, მამაჩემზე ჭკუას ვკარგავდი, რომ გამეგო, მამას რაღაც უჭირსო, დამიჯერე, დარდით მოვკვდებოდი. არც თუნდაც ამ ჩვენმა უსაქმურმა ვაჟმა უარი რომ განაცხადა შავების ჩაცმაზე, სულელური პირობითობაო. „პირობითობა" — ნახე რა ჩახლართული სიტყვა გამოძებნა. ეს ბიჭი შენსავით უკულმართი იქნება, ცოცხალი განსახიერება შენი, რაც სერიოზულად მაშფოთებს. ხომ ხედავ, კვირაობითაც არა მთხოვს ჯიბის ფულს. მის ასაკში ეს ყოვლად წარმოუდგენელია. უნდა თუ არ უნდა, უკვე დროა, გოგონებს შეხვდეს და მოეშვას წიგნებს, თუ არადა, მთლად გამოტვინდება. არ ვიცი რა საჭიროა ამდენი კითხვა. წიგნი მტვრის ბუდეა, ასეა ეს. მანქანა ფუფუნების საგნად მიგაჩნდა, წიგნებისათვის კი მუდამ მოგეძევებოდა ფული. შენი კათედრა, შენი ქაღალდები და მეგობრები სრულიად გაკმაყოფილებდა, ფეხებზე გეკიდა დანარჩენი. სულ გეჩიჩინებოდი არანზე, შენ კი გაიძახოდი, ჯერ მხოლოდ სამი წლისაა. გაიზრდებაო. ეგ მეც ვიცი, მტერო, სამი წლის ასაკში ზოგი ბავშვი მაღალია, ზოგი დაბალი. არანი კი ტანმორჩილი გოგოა. ეს შთამომავლობითი ნაკლი რომ არ იყოს, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ შეხედე შენს დას, მარიო. მოვეშვათ იმას, რომ ჩარო სრული არარაობაა, იგი გარეგნობითაც არ უქნია ღმერთს. არ მითხრა ახლა, არ ვიცი არანი ვის დაემსგავსაო, გაიხსენე ესკლავა. შენი და რვათვიანი დაიბადა. ახლა კი თვითონ ხედავ, არაფერი მოსწონს. ტყუილად როდი ხართ და-ძმა, მოუსვენრები, შეუგუებელნი, რაც ამჟამად რატომღაც ძალიანაა მოდაში. მაგრამ უნდა იცოდე, რომ არ მსურს ჩემი გოგონა ასეთი გამოვიდეს. გინდ გეწყინოს, გინდ გაგეხარდეს, ლუისთან მივიყვან, მინდა კარგად გასინჯოს და ვიტამინები დაუნიშნოს, რათა გაიზარდოს და მოძლიერდეს. შენ რამდენიც არ უნდა იძახო, ბავშვს კლავ როგორც პიროვნებასო, მაინც ყველაფერს ვილონებ მის გამოსაკეთებლად. ხომ ხედავ, შენი მეორე შვილი კარისკაცს არ შორდება, ემასლაათება. აი, ესეც შენი პიროვნება. ხოლო პიროვნება თუ იმას ნიშნავს, რომ მამის გამო შავი არ ჩაიცვა, ჯობს არ იყო პიროვნება, ბოლოს და ბოლოს მეც ხომ გამეგება რაღაც. ქალი არ ვიყო, შვილები ჩემს ჭკუაზე თუ არ მოვაქციო, ძვირფასო, თუ მარიოს თავისებურად სურს იაზროვნოს, მისი ნებაა, ოღონდ მაშინ ამ სახლიდან მიბრძანდეს. ვინც ჩემს ჭერქვეშ

ცხოვრობს და ჩემზეა დამოკიდებული, ისე უნდა იაზროვნოს, როგორც ვუბრძანებ. რაც კარგია, კარგია, ან ერთი უნდა აირჩიო, ან მეორე, როგორც საცოდავი დედაჩემი იტყოდა ხოლმე. აბა მიპასუხე, რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ჩემს შვილს სენიორ აბუნდიოსთან საუბარმა? თანაც მის ჟურნალში გამოკეტილს საქვეყნოდ თავის მოსაჭრელად? იგი შენი ცოცხალი ხატია, მარიო. გაიხსენე სულელი ბებერი ბერტრანი. მუდამ, როცა შენთვის ხელფასი მოჰქონდა, გამოჰკითხავდი ხოლმე, ხელფასი რამდენი გაქვსო. ნეტა რა საერთო გქონდა კარისკაცთან. რაღას არ მიედ-მოედებოდით, ყველაფერი მესმოდა. ჯერ ისევ ძლიერი მამაკაცი ვარო, — ამბობდა, — მეორე ცოლი შევირთეო. ნამდვილი მუმია იყო, თანაც ყრუ. კაცებმა ოღონდ თქვენი მამაკაცობით იტრაბახოთ და რას არ მოჩმახავთ. დავიღალე ერთი და იგივეს ლაპარაკით, მარიო. ამ ხალხის დაახლოება არ შეიძლება. ასე, არ ვიცი, სადამდე მივალთ. ღორის ტილს ფეხზე თუ დაისვამ, თავზე აგაცოცდება. გაგაბეზრე, სულაც არ გეხალისება ამის მოსმენა, მაგრამ უნდა გითხრა, რომ თუ ასეთ ადამიანს თავს გაუყადრებ, რაღა გასაკვირია გითხრას, ხურდა ფული სახლში დამრჩაო. გუნებაში მეცინებოდა, ვფიქრობდი, ახია მაგაზე, იქნებ ჭკუა ისწავლოს-მეთქი. როცა არ იცოდი სად გქონდა დასვრილი ტანსაცმელი, ის გეუბნებოდა, ოდნავ ზემოთ, ოდნავ ქვემოთო, შენ კი დიდის ამბით უხდიდი მადლობას. ისე, რაც მართალია, მართალია, გუშინ პირველი მოვიდა, პირდაპირ სასადილო ოთახს მიაშურა. ცოტა ვაცალე, მერე ვუთხარი, ბერტრან, იქნებ სამზარეულოში გასულიყავით, აქ ისედაც ძლივს ვთავსდებით-მეთქი. ესღა მაკლდა! როდის აქეთაა დარაჯი პროფესორებთან იჭქვიფებოდეს? განა ვამბობ დასაფლავებაზე არ მოეიდეს-მეთქი, მაგრამ სახლში რას ამობრძანდა? თანაც ყურში არ ესმის. საწყალი ანტონიო პირდაპირ ყვიროდა, ის კი პასუხობდა, არ ვიცი რას ამბობთო. ნამდვილი წარმოდგენა გამართა. დონ ნიკოლასს სიცილი წასკდა. ნახა რა სასაცილო დრო! მიკვირს, კიბიდან რომ არ დავაგორე. კი, ჭკვიანია, მაგრამ ყველაფერი უადგილო იცის. ჯილდოს ამბავი გაიხსენე, ნეტა იქ რაღა უსაქმებოდა. ეს არ ქნათო, ვიცნობ მარიოს, მას შეუძლია ჯილდო წყალში მოისროლოსო. ნეტა რა ეკითხებოდა? შენ კი მეტი ხომ არ გინდოდა, თქვი, ჩემგან დიდი ჯვრით დამშვენებული საფლავი სურთ გააკეთენო. შენთან არაფერი ჭრის, საშინელი ხასიათი გაქვს. თუ არ გითხრეს, გაჩერდიო, კაცმა არ იცის სადამდე მიხვალ, აწყვეტილი ცხენივითა ხარ. რა სტატიებს წერდი, როგორ ილანძღებოდი, არ გაგეგებოდა რას ამბობდი, საით მიდიოდი. ხოლო როცა დაგირეკეს და აგიკრძალეს სტატიების წერა, რა ამბავი ატეხე! აბა რას ელოდი. ამის შესატყობინებლად ტელეფონი ხომ საუკეთესო საშუალებაა. შენ კი გაჰყვიროდი, წერილობით, წერილობითო! ნუთუ არ შეიძლება ცერემონიების გარეშე მოგმართონ? შენს იმედად ყოფნა შეუძლებელია, ძვირფასო, პატარა ბავშვივითა ხარ. გაიხსენე მატარებელში მომხდარი ამბავი. მოიანო არც იყო მეტის ღირსი. წვერი მაინც მოიპარსოს, რასა ჰგავს. შენ კი ამართლებდი. „მკაცრი რეჟიმი" თავისი კუჭის მისამართით თქვა. მე რას მომატყუებ. შეიძლებოდა ძალიან ცუდ საქმეში გახვეულიყავით, ის ტიპი ხომ მეტად გავლენიანი კაცი იყო, პოლიტიკური წარსულის მქონე. ჩემის აზრით, მარიო, ძალიანაც სწორად მოიქცა პოლიციას რომ გამოუძახა. ყველაფერი იმის ბრალია, ენაზე კბილს რომ არ აჭერთ. მე კი მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ანტონიომ მითხრა. ყველას ჩამოვურეკე, ანტონიო კი თავისას არ

იშლიდა: ზუსტად არ ვიცი, მაგრამ თუ ოცდაოთხი საათი წინასწარ პატიმრობაში გაატარე, რეციდივისტად ითვლები. ეს სახუმარო როდი იყო. საცოდავი ჩემი შვილები! იქ გჩვევია ლაპარაკი, სადაც არაა საჭირო, დღესასწაულებზე კი ორ ჭიქას თუ არ დალევ, სახე ჩამოგტირის, ღმერთო, რასა ჰგავხარ ხოლმე! რად სდუმდი? მიპასუხე! იმიტომ რომ სხვა გასართობი არ გქონდა. კარგად რომ დაუკვირდე, სიმღერა შენ არ იცი, ინსტრუმენტს მოყოლა შენ არ გეხერხება, გიტარაზე არ უკრავ და თანამედროვე ცეკვებს არ ცეკვავ, მხოლოდ ხელს უშლი სხვებს. ქორწინების დღიდან გაფრთხილებდი, მარიო, პირდაპირ თავი მოგაბეზრე, საზოგადოებაში მოქცევა ისწავლე, თორემ გაგიჭირდება-მეთქი. მაგრამ შენ რას შეგსმენს კაცი. გეფიცები, არ ვიცნობ არც ერთ ქალს, რომელსაც ჩემსავით მცირე გავლენა ჰქონდეს ქმარზე. ეს იმას ნიშნავს, საკმარისად არ გიყვარვარ, ძვირფასო. ავ ადამიანად მთელიდი, ხომ? ზიხარ შენთვის კუთხეში მოწყენილი, გაახვევ მყრალ თუთუნს. არ ვიცი რა ჯობს, შენ ხომ მუდამ უკიდურესობებში ვარდებოდი, ხან დამუნჯდებოდი, ხან კი გიჟივით გაჰყვიროდი. თუნდაც იმ ღამით, ვალენთან, რა ჩაიდინე! გეფიცები, დავინახე თუ არა სოლორსანო და იხინიო, წინასწარ ვიგრძენი, რაც მოხდებოდა. შამპანურის საცობები დაუშინე ფანრებს. თუკი ვალენი ამით გაერთო, მხოლოდ იმიტომ, რომ გულგახსნილი ადამიანია. გადასარევი ქალია იგი, მაგრამ დგებოდა წუთები, როცა აღარ ვიცოდი სად წამეღო მზერა. რბილად რომ ვთქვა, ძალზე შეურაცხყოფილი ვიყავი.

23

**[ნეტარ არს კაცი, რომელმან პოვა სიბრძნე, და მოკუდავმან რომელმან იხილა გონიერება, რამეთუ უმჯობეს არს ესე მოგებად, ვიდრელა ოქროსა და ვერცხლსა საუნჯესა.*]** მაგრამ გამოტყდი, მარიო, ამდენი სულელური წიგნის კითხვაზე დროის ფლანგვის ნაცვლად რაიმე სარფიანი საქმისათვის რომ მოგეკიდა ხელი, მაგალითად, ბანკში გემსახურა ან კიდევ სადმე სხვაგან, ჩვენი საქმე სხვანაირად წავიდოდა. ადვილი სათქმელია, ჩემო კარგო, მთელ დღეებს ამ კაბინეტში ჩაკეტილი ატარებდი, თავაუღებლად მუშაობდი, ტუალეტში გასასვლელად ვერ იცლიდი, და რატომ, კაცმა არ იცის. მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენთვის დაგენახვებინა, გლეხებს ლიფტი არა აქვთ, შეძლილებისათვის რომ საგიჟეთის აშენებაა საჭირო, რომ ყველამ ნულიდან უნდა დაიწყოს. მხოლოდ შენ ერთმა უწყი რისი თქმა გსურს ამით, და რომ მდიდარს უნდა წაართვა და ღარიბს მისცე. კეთილი, მაგრამ ამისათვის ამდენი წლების დახარჯვა ღირდა? სულელი ხარ და მეტი არაფერი, ძვირფასო, ნუ მეკამათები, ეს ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს. მთელი დღე წელებზე ფეხს ვიდგამ, შენ კი ზიხარ კაბინეტში, ან ამხანაგებთან საუბრობ და აბოლებ. ღმერთო, რა ბუღს აყენებდით, ორი საათი ვანიავებდი მერე ოთახს. ავად რომ გახდი, ნერვები გაწუხებდა თუ რაღაც, აი მაშინ დავისვენე. მადლობა ღმერთს, შინ იჯექი და ყველაფერი რიგზე იყო. მაშინ ნამდვილად ბედნიერი ვიყავი. იგივე ითქმის ჭამაზეც. ძვირფასო, ერთხელაც არ გითქვამს მადლობა. შენი გულისათვის ღირდა კი მთელი დღე სამზარეულოში ტრიალი? ოღონდ მუცელი ამოგეყორა, ინდაურივით ყანყლავდი, არც უყურებდი რას ჭამდი. რა უზრდელობაა! ღორმუცელობა იყო თუ რა, გასუქებით კი არ სუქდებო-

* იგავნი სოლომონისანი, III, 13—14.

დი. მახსოვს, პლაჟზე ქალების ცქერით ვერ ძღებოდი. თან ისეთი თეთრი იყავი... სათვალე გეკეთა, ამაზრზენად გამოიყურებოდი, თავს მჭრიდი პირდაპირ. ხუმრობის გარეშე, ინტელიგენტებს ზღვასთან ახლოს მისვლას ავუკრძალავდი, ძალიან არაესთეტურები არიან. ერთხელ მაინც რომ გეჭამა გემრიელი საჭმელიაო, ესეც მეყოფოდა. მაგრამ ნურას უკაცრავად, ოთახს ან ბუზს თუ იპოვიდი კერძში, თითქოს ქვეყანა დაიქცაო, გვერდზე გასწევდი თეფშს და ჩორჩა, მოკლედ, ტრაგედიას ქმნიდი. სულელი ვიყავი ასე რომ ვიწუხებდი თავს. თვით ენკარნა შენზე ჭკუას რომ ჰკარგავს, ამბობს, მარიოსათვის მნიშვნელობა არა აქვს რას შეჭამსო. მართალია. შენ შეგიძლია ყველას დააკარგვინო მოთმინება. რა საშინელებაა, ძვირფასო! წყეული წიგნები!... ტვინი გამოვიფიტეს, მეტზე არაფერზე ფიქრობდი, შეპყრობილს ჰგავდი. ჭამის დროს ან სტუმრად ყოფნისას საკუთარ ფიქრებში იყავი წასული, ქუჩაში ნაცნობებს არ ესალმებოდი, ყველას ანტიპათიას იწვევდი, შენი დანახვა არავის სურდა. მერედა, რა სათაურებს არქმევდი წიგნებს, ღმერთო ჩემო, რა უგემოვნებააა! განა სულელური სათაური არაა „ქვიშის ციხე-სიმაგრე"? არ ვიცი ლამაზი იყო თუ არა, აზრი არ გააჩნდა, ძვირფასო, რადგან წიგნში ციხე-სიმაგრეზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. ასე ხომ ყველას შეუძლია. საქმე ისაა, სათაური შინაარსს შეესაბამებოდეს. მერე კიდევ ეს დიდი ასოები: **„თუმცა ძნელია, მაგრამ სიყვარული XX საუკუნეშიც შეიძლება"**. შენც თუ ხმა გაქვს ამოსაღები! ჭკუის დარიგება კარგად გეხერხება, თვითონ კი სამი წლის ლოდინის შემდეგ ძილი ნებისა, ზვალამდეო, — მითხარი. პადრე ფანდო ამბობს, თავაზიანობააო. სასაცილოა, თავაზიანობა კი არა, აბუჩად ამიგდე. რადგან ქალს (და ვიცი რასაც ვამბობ) ასეთ დამცირებას ათასწილად ურჩევნია უხეშად მოეპყრონ. უარესი რაღა შეიძლება იყოს. ცოტა მეშინოდა, ვაღიარებ, ტყუილი რად გითხრა, ვიცოდი რაღაც უნდა მომხდარიყო, ტრანსის და დანარჩენებსაც ნაამბობი ჰქონდათ ჩემთვის. ყველაფერს წარმოვიდგენდი, ზურგის შექცევას კი — არა. დელიკატურობაო! მეცინება, ეგოისტი ხარ და მეტი არაფერი. გაიძახი ადამიანებს სიყვარული აღარ ძალუძთ, მანქანებმა გული გამოუშრესო. აბა შენი ველოსიპედი გაიხსენე, ინტრიგანო. წიგნებში რა ტიპები გყავს გამოყვანილი, კუნძულზე ცხოვრობენ თუ სადღაც, სულ ერთი და იგივეს ლაპარაკობენ, მოსაწყენია, გართობა არ იციან რა არის. მე და ვალენი ერთმანეთს ვასკდებოდით, ამბობდა ყველა პერსონაჟი მოსაბეზრებელიაო. ესტერი ჩემი თქმა რად გინდა, ღრუბლებში დაფრინავდა, გიჟივით გაჰკიოდა, სიმბოლოებიაო. იმას რაღა გაუგება სიმბოლოებისა. სამაგიეროდ, ისეთი დამაჯერებლობით ლაპარაკობს,სიტყვას ვერ შეუბრუნებ. სიყვარული XX საუკუნეშიო.., შენ ხმა როგორ ამოგეღება, ქორწინების ღამით ცოლს ზურგი შეაქციე და ძილი ნებისაო, უთხარი. სირცხვილით როგორ არ დაიწვი ასე საშინლად რომ მომექეცი. მერე კი რატრატს მოჰყვებოდი ხოლმე, ქვეყანა გარყვნილებამ და ძალადობამ მოიცვაო. შენ ეს არ გეხება, შენ მაგარი ნერვები გაქვს! ასეთმა კაცებმა ოღონდ თავი დაიფასოთ და რაღას არ მოიგონებთ. მიდი, შეეკითხე გალი კონსტანტინოს, იცოდა კი რა არის სიყვარული XX საუკუნეში? კაცებისას რას გაიგებ, ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, მაგრამ მაინც ერთი აზრი გიტრიალებთ თავში. ღმერთმა იცის რას აკეთებს ხულია მადრიდში, შვიდი წელი ხომ მარტო ცხოვრობდა, თანაც ამერიკე-

ლი სტუდენტები ეყენა მდგმურად. რა თქმა უნდა, ჰაერით ვერ იარსებებდა, მაგრამ ეს ძალიან სარისკო იყო. ვალენი ამბობს, საკმარისია ერთხელ გაუგო გემოო. ცხადია, ასეა, ქალსა და კაცს ინსტინქტი ეზიდება ერთმანეთისაკენ, მაგრამ შემთხვევა უნდა აიცდინო. შენ კი შენსას გაიძახი, სიყვარულის უნარი დავკარგეთო. ერთი და იგივე გაქვს აკვიატებული. მერე კიდევ ის სტატია ამერიკულ ჟურნალში — „გრძნობების უქონლობა თანამედროვე ლიტერატურაში". ასი დოლარი სათქმელად ადვილია. მარიო, ეს ხომ ექვსი ათასი პესეტაა. ასეთი მოგების შანსი ყოველდღე ხომ არ გეძლევა, მაგრამ შენი მოსაწყენი ნაწერის კითხვაც ძნელია. და გარდა ამისა, თუ თანამედროვე ლიტერატურა გრძნობებისაგან დაცლილია, უკაცრავი პასუხია, მაგრამ თანამედროვე ლიტერატურას ხომ თქვენ ქმნით, განა შენს ხელთ არაა? ჰოდა, წერე გრძნობებზე. სასაცილოა პირდაპირ, შენი თქმით, ლიტერატურამ ხომ ცხოვრება უნდა ასახოს. მაქსიმინო კონდეს მაგალითი ავიღოთ. იგი ხომ ჰკუას ჰკარგავდა თავის გერზე და ეს ხომ ცხოვრებაში მოხდა. ყურიც არ მათხოვე. მე კი როგორ მოვრბოდი. უზნეოები ხართ და იმიტომ წუწუნებთ. დიდი გრძნობები რომ იდოს პოლიციელებისა და პატიმრების ამბებში, ან მადრიდელი მაწანწალებისაგან სამშვენისების ყიდვაში, ან გიჟთა თანაგრძნობაში, მაშინ კრინტსაც არ დავძრავდი, მაგრამ ეს ხომ ფუჭი ლაპარაკია და მეტი არაფერი, უგუნურო. სიყვარული, სიყვარულიო! სიყვარული კი ისაა, რაც კაცსა და ქალს შორის ხდება. ასე იყო დასაბამიდან. შენ საკუთარ სატკივარზე ჩივი, ლვარძლიანი ხარ, გულჩახვეული, პოლიციელის ამბავი ვერ მოგინელებია. აი რა გჭირს. თუგინდ ხატზე დაიფიცო, მაინც ვერ დავიჯერებ, რომ პოლიციელმა გცემა, განა მარტო მე ვფიქრობ ასე. ხომ გაიგონე რა გითხრა რამონ ფილგეირამ. ბუნებრივია, ასეთ ადგილას და ასეთ უდროო დროს თაზე ხელს არავინ გადაგისვამს. აბა წარმოიდგინე როგორ წავიდოდა ჩვენი საქმე, საპოლიციო განყოფილებასა და კომისარიატში ყოველ თილლითს რომ წითელი კვერცხი უგორონ. გავჩუმდები, მაგრამ მოვა დრო და ყველაფერს ვიტყვიო. შენ მასე გეგონა, მაგრამ არც კომისარიატში, არც წინასწარ პატიმრობაში ხმა არ ამოგაღებინეს, აბა რა იქნებოდა, კანონი მათ მხარეზე იყო და შენც ენა ჩაგივარდა. იმ წუთებში ჩვეულებრივი დამნაშავე იყავი, არც მეტი, არც ნაკლები. მახსოვს, ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობისას იყო აკრძალული პარკში ველოსიპედით სეირნობა, განა ახლა, შენს ჯიბრზე მოიგონეს ეს წესი, ველოსიპედიდან რომ გადმოვარდი, სწორედ ამის გამო გაცოფდი, აი ესაა მთავარი, მეც ზუსტად იმ კომისარივით მოვიქცეოდი, სანამ ექიმის ცნობა არ მექნება, თქვენს პროტესტს ვერ მივიღებო, რომ განაცხადა. სხვა შენს ადგილას შეეშვებოდა, შენ კიდევ, ჯიუტო, სასწრაფო დახმარებას მიაშურე, ღამის ოთხ საათზე ქვეყანა შეყარე, იპოვე რა დრო! თანაც შენნაირ დამთხვეულს გადაეყარე. სწორედ იმ ექიმმა შთაგაგონა, ჰემატომა ხელის დარტყმითაა წარმოქმნილიო. ფილგეირა კი ამტკიცებდა, კედელს დაჰკრა თავიო. რას გაიგებ, სიმართლის დადგენა ხომ შეუძლებელია. შენ კი, პროტესტს ვაცხადებო, ეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებააო. აიკვიატე, აგერა მაქვს სამედიცინო დასკვნაო. პირდაპირ ფილგეირასთან რომ მისულიყავი და გაგეცხადებინა: მართალი ბრძანდებით, ფილგეირა, გონება დამებინდაო, — უკეთ აეწყობოდა ჩვენი საქმე. ყოველ შემთხვევაში, არც ის, არც ხოსეჩუ პრადოსი, არც ოიარსუნი და არც არავინ

უარს არ გვეტყოდა ბინის მოცემაზე. მაგრამ შენ რა გამოგასწორებს! საბუთები რომ შეგეგროვებია, ეს საქმე გადაწყდებოდა. თანაც ფილგეირა აშბობდა, ჩემს პოლიციელებს უნდა ვენდოო. პოლიციელი ასეთ დროს ძვირფასია, რაც შინაგან საქმეთა მინისტრიო. ასეცაა, მარიო ძვირფასო, ასეთ ვითარებაში პოლიციელი უმაღლესი ხელისუფლებაა. პოლიციელები რომ [illegible]სი შეიქმნებოდა. დავუშვათ, დავიჯერე, რომ დავარტყა და [illegible] გემუქრა, მაინც გაჩუმება გმართებდა, მარიო, რადგან თუ აღელდა პოლიციელი და ხელი აღმართა შენზე, არ იფიქრო ეს საკუთარი სიამოვნებისათვის ჩაიდინა. არამედ შენივე კეთილდღეობისათვის. ბავშვებსაც ზუსტად ასე არ ვექცევით? ეს ცხადია, მარიო, და მოგვწონს თუ არა, მაინც უნდა მივიღოთ. სახელმწიფო ოჯახივითაა, თუ ძალაუფლება დასუსტდა, მორჩა, კატასტროფა გარდაუვალია. მთელი ცხოვრება ღმერთს მადლობას შევწირავ იმისათვის, რომ შენმა ნათესავმა ლუისიტო ბოლადომ მოიფიქრა და საჩივარი უკან გამოგატანინა. თანაც ერთი გენახა როგორ ეჭირა თავი, ამ დროს ხომ შეიძლებოდა უარესად წასულიყო საქმე. ბოლადომ დიდი სამსახური გაგიწია. შენ კი, მადლობის ნაცვლად გაიძახოდი, ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებააო. ამაზე მარტივი სიყვა ვერ მოიგონე, ყველა ჩემს წინააღმდეგაა აღმდგარიო. მაგრამ ასეთი ხარ, ყველგან მტრები გელანდება, ძვირფასო. უმიზეზოდ არავის არაფრისა ეშინია, როგორც საცოდავი დედაჩემი ამბობდა. რა ჭირობაა! მართლაც პატარა ბავშვივითა ხარ, მარიო. ექიმის გარდა თითქმის ყველამ გაჩუმება არჩია, მაგრამ შენ ვინ დაგაშოშმინებდა. ცირზე თუ შეჯექი, მორჩა. მოსახდენი უნდა მოხდესო. თანაც ყველაფერი იმიტომ გემართება, ჩანჩურა რომ ხარ. რიგიანად ჩაცმული რომ დადიოდე, შარვალდაუთოებული და ფეხსაცმელგაპრიალებული, თანაც ველოსიპედს რომ შეეშვებოდე, განა მაშინ გაგიბედავდა პოლიციელი დარტყმას? არა, მარიო, ჩემი მოგონილი როდია, ყველამ თავისი მდგომარეობის შესაბამისად უნდა ჩაიცვას. სენიორი ყოველთვის სენიორია, მას განსაკუთრებულად სცემენ პატივს და განსაკუთრებულად ეპყრობიან. ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ თუ ქუჩაში მოჩლაჩული მოდიხარ, საყელო აგიწევია, თავზე ბერეტი ჩამოგიფხატავს, აბა მითხარი, მუშისაგან ვინ გაგასხვავებს? თანაც სიბნელეში. არ გეტყვი, შენზე ახია-თქო, გამოწკეპილიც კი შეიძლებოდა წაქცეულიყავი, მაგრამ პოლიციელი ერთი კი არა, თოთხმეტიც რომ ყოფილიყო, წესიერად ჩაცმულს, შლაპიანს არ გაგაჩერებდა. ეჭვი არ მეპარება, შორიდანვე წესიერ და გავლენიან კაცად ჩაგთვლიდა. მაგრამ ასე ჩაცმული სულაც არაა გასაკვირი არარაობად რომ მიგიჩნიეს და გცემეს კიდეც. არა, მარიო, ამას ვერასდროს გაპატიებ. თან თავი მოგაქვს, ჩაცმა ფეხებზე მკიდიაო, თამბაქოსაც გაუგონარს ეწევი, აყროლებულს. აბა წარმოიდგინე, დაკავებისას კარგი თამბაქოს სუნი რომ გქონოდა, როგორ გგონია, პოლიციელი ბოდიშს არ მოგიხდიდა? მაპატიეთ, შემეშალეთო, — გეტყოდა. ცნობილია, ადამიანს ჩაცმულობით აფასებენ, მთელი ცხოვრება ამას არ ვხედავ? კარგ საზოგადოებაშიც კი კუტულის ატელიეში შეკერილი კაბით თუ გამოჩნდები, სტუმრები ... ქეთესო ხალხი კითხულობს, ეს ქალი ვინ არისო? აქაური არ უნდა იყოსო. ხოლო „მერსედესიდანაც" თუ გადმოხვედი, მაშინ ხომ უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენ. კი, ყველანი ერთი თიხისაგან შეგვქმნეს, ბოლოს და ბოლოს ყველანი ვცოდავთ.

## 24

**[ხოლო მათ ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა რაი ზღუასა ზედა, ჰგონებდეს, ვითარმედ საოცარ რაიმე არს, და ღაღად-ყვეს რამეთუ ყოველთა იხილეს იგი და შეძრწუნდეს*.]** უსასრულოდ შემიძლია გავიმეორო, მარიო, რომ მხოლოდ სულელებს ეშინიათ უმიზეზოდ, თანაც მხდალ სულელებს, ჩემო კარგო. გაიძახი, ისევე ვარ აფორიაქებული, ბავშვობაში გამოცდების წინ რომ მემართებოდაო. შეიგნე, სულელო, უკვე ჩაბარებული გაქვს ყველა გამოცდა. მაგრამ შენ მაინც შენსას გაიძახი, ეს ნერვებიაო, აღარ შემიძლიაო... არ ვიცი რად დასჭირდა ლუისს ყველაფერი ეთქვა შენთვის, ხომ ვიცი რა მშიშარაცა ხარ. დიაგნოზის დასმის დღიდან, ნერვების გარდა, აღარაფერზე ლაპარაკობდი, სტრუქტურების მსგავსად აიჩემე ესეც. ღმერთო, რა კაცი ხარ! თანაც ერთ მშვენიერ დღეს ამ მოიანიტომ გამძაფრებულ მგრძნობელობასა და მსგავს რაღაცეებზე დაიწყო ლაპარაკი. ყველაფერი მშვენივრად მესმოდა, მაგრამ არ ვიმჩნევდი. რებუსებით ლაპარკობდით, ჯაშუშებივით. არმანდო ამბობდა, არ ვიცი რას იჭყლეტენ ტვინს ამდენი ფიქრითო, ჰგონიათ, თითქოს რაღაც უნდა გამოასწორონ, ჩემის აზრით კი არაფერი გაფუჭებულაო. ღამით ენახე, ერთი, მარიო, აი მაშინ იყავი რაც იყავი. მოდიანო? — იკითხავდი, წამოჯდებოდი ლოგინში, გარინდდებოდი და სმენად იქცეოდი. მეც წამოვვარდებოდი, ვინ უნდა მოვიდეს-მეთქი? შენ კი, არ ვიცი, კიბეზე ამოდიოდნენო. განძრევას ვერ ვბედავდი, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, გეფიცები. ჩამიჩუმი არაა-მეთქი, მარიო. შენ კი, ჰო, აღარ ისმისო. არ დაიჯერებ, მერე ერთი თხუთმეტი წუთი ვერ ვიძინებდი, ნამდვილი კოშმარი იყო. ის სისულელე კიდევ, აჩემებული რომ გქონდა მეშინია, თავი არ მოვიკლაო. აბა სად გაგონილა ადამიანს საკუთარი თავის ეშინოდეს! რა უნდა დაგემართოს, შერეკილო, ეგ ხომ შენზეა დამოკიდებული. მთლად გიჟი უნდა იყო, ასეთი შიში რომ გქონდეს. მერე წონასწორობას ჰკარგავდი, თავბრუ გესხმოდა, ასე გეგონა, უსასრულო სამყაროში გამოკიდებულ საჰაერო ბუშტზე იჯექი. ამის შესახებ ვალენს ვუამბე, რას აღარ როშავს, დასაბმელია-მეთქი. ნერვებმა ლოგინად ჩაგაგდო, მოკლედ, მშვენივრად აიწყე ცხოვრება. ანტონიო ამბობდა, ყველაფერს გავუკეთებდი, მაგრამ რა შემიძლია, პატარა კაცი ვარ, სამინისტროს ვექვემდებარებიო. ერთადერთი რისი გაკეთებაც შემიძლია, შევბულებას მივცემ ავადმყოფობის მიზეზით და ხელფასის ნახევარსაც შევუნარჩუნებო. ესღა გვაკლდა! ვფიქრობ, ორი საათით ინსტიტუტში მისვლა არ მოგკლავდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ამას ვერ გავუძლებო. ეს ჩემს ძალას აღემატებაო. მშვენიერია არა? თუ შენ იდეებმა აგირია თავი, წარმოიდგინე, მე რაღას მიზამს შაკიკი, საშინელებაა, ძვირფასო, თითქოს ჩაქუჩებს მირტყამენ. მაგრამ, არა უშავსო, მეუბნებოდი, ორი აბი გადაყლაპე და ხვალ ჩიტივით იქნებიო. ლუისმა თავიდანვე გაგაფრთხილა, ყველაფერი შენს ნებისყოფაზეა დამოკიდებულიო. მაგრამ ნებისყოფა შენთვის უცხო ხილი იყო, ამიტომ უსაქმურობით დაღლილმა ლოგინში გორაობა არჩიე. არადა, საწოლს მაინც დავეახლოებინეთ! მაგრამ მე ხომ არც ამაში მქონდა ბედი. ისე იქცეოდი, თითქოს გვერდით კარაბინერი გეწვა, აი რა მაწუხებს ყველაზე

---

* სახარება მარკოზისი, VI, 49—50.

მეტად: ჩემი თავი ჯანდაბას: ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ის ვერ ამიტანია, ამის უკან რაც იმალება, მარიო. მადრიდში შენს ქცევას ბევრი არ გაპატიებდა. ისეთი გულნატკენი ვიყავი, ვალენისთვისაც არ მით-ქვამს, მას ხომ საკუთარ დაში არ ვარჩევ. ცრემლები გამზადებული მქონდა. დღემდე მახსოვს, როგორ ტიროდი, ისე დამისველე ღამის პერანგი, გამო-ცვლა მომიხდა. მერე კი აიჩემე, დაე ხელ-ფეხი მომკვეთონ, კუნძად დავრჩე, ოღონდ ჩემს გემოზე ვიცხოვროო, ოღონდ ასე არ ვიყოო. რა სისულელეს როშავ, განა შეიძლება კუნძმა თავის გემოზე იცხოვროს? ჯერ მთვრალი მე-გონე, მაგრამ არა, წვეთიც არ დაგელია. მერე აღარც კარგ დღეებში მეკა-რებოდი და აღარც ცუდში. რა ამბავი დააწიე იმ ღამეს, ფეხით რომ დავი-წყე ლუტუნი, გახსოვს? ეს გამოწვევა იყო, შენ კი ახტი და დახტი, მერე ისეთი ყვირილი მორთე, თავი დამანებეო, — თითქოს გკლავდნენ. სახტად დავრჩი. ბოლოს და ბოლოს ამას შენი სიამოვნებისათვის ვაკეთებდი, თო-რემ სულაც არ მჭირდებოდა..., შენ გარდა, ყველას ყურადღებას ვიმსახუ-რებდი. არ ვიცი რა მჭირდა იმ დღეებში, მაგრამ ელისეო სან ხუანი გიჟად იყო ქცეული — რა კარგი ხარ, რა კარგი ხარ, დღითი დღე მშვენდებიო. ადრინდელზე მეტად გადაირია. თავდაპირველად შემეშინდა კიდეც, სულ ფეხდაფეხ დამდევდა. ვალენმა მითხრა, რისი გეშინია, გეარშიყებაო. სა-ცოდავი ვალენი რა დღეში გყავდა! ორჯერ გაგიმართა სადილი, ორჯერ, მა-რიო, სათქმელად ადვილია. ნარჩენებს კი ყრიდა, გაიძახოდი გული მერე-ვაო. კიდევ კარგი, ვალენი ჩვენი ახლობელია და ქისენტეც შეგნებული კა-ცია, თორემ მოსაკლავი იყავი. ბოლოს და ბოლოს, შენს გასართობად ირჯე-ბოდა, მაგრამ რად გინდა... გაიძახოდი, რისთვის, რისთვისო? რამდენი „რისთვის“ უნდა გეთქვა! შე სულელო! რისთვის და, დროის მოსაკლავად, უტვინო, დრო რომ შეუმჩნევლად გასულიყო, აი რაზეა ლაპარაკი. აუტანე-ლი იყავი, მარიო, ჭირვეული ბავშვივით იქცეოდი. ერთ დღესაც ველარ ავი-ტან ასეთსო, იძახდი, დღესაც იგივეა, რაც გუშინ იყოო. ღმერთო, მომეცი სულის სიმშვიდეო! აი რას შესთხოვდი ღმერთს, სულელო, ჩვენ კი აუარე-ბელი რამ გვაკლდა. ნამდვილად არა ხარ ნორმალური. ნერვებიო... კარგი გამართლება იპოვე. ექიმებმა როცა არ იციან რა თქვან, ყველაფერს ნერ-ვებს აბრალებენ. თუ არაფერი გტკივა და არც სიცხე გაქვს, მაშ რაღას უჩივი? რასაკვირველია, ჩვენ, ქალები ვართ დამნაშავე, მხოლოდ ჩვენ, რადგან მთელი დღე თქვენ შემოგყურებთ, სულელები ვართ. შიში რომ გქონდეთ რქებს დაგვადგამენო, ნერვებზე ფიქრის დრო აღარ გექნებოდათ. ღალატის შიში და შრომაა ნერვების წამალი, ასე მჯერა, ნერვები უქნარ-ების ავადმყოფობაა. რომელიმე კანტორაში ან ბანკში რომ მსახურობდე დღეში რვა საათი, როგორც ღმერთს დაუწესებია, ჩვენი საქმე, დამიჯერე, სულ სხვაგვარად წავიდოდა. მთელი დღეები ლოგინში გორაობდი, ცოტა რომ გემოძრავა, ნახავდი, როგორ მოგიხდებოდა. თუ არ გაისეირნებ, ჭამის მადაც არ გექნებაო, — ამბობდა საცოდავი დედაჩემი. სასაცილოები ხართ კაცები, მარიო, როცა მოგინდებათ, ავად გახდებით, როცა მოგესურვებათ გამოჯანმრთელდებით. ნუ მეკამათები, შენ თუ ასე გეშინია თავბრუსხვევის, მე რაღა ვქნა, სკამზე დადგომაც არ შემიძლია. წარმოიდგინე, ავტობუსშიც კი მეხვევა თავბრუ. ნეტა პაკოს „ტიბურონში“ მანახვა შენი თავი, მარიო, მხოლოდ ერთი წუთით, ისე, უბრალოდ. აი მაშინ გაიგებდი, რა არის თავ-ბრუსხვევა. ღმერთო ჩემო, თითქოს დაფრინავს! მართალი გითხრა, არ

მინდოდა, გეფიცები, ხომ იცი, ხალხი მუდამ ცუდს ფიქრობს, თანაც კრესენტე თვალს არ მაშორებდა. მაგრამ პაკომ კარი გამიღო და უარის თქმა ვერ გავბედე. სრულიად შემთხვევით, რამდენიმე დღეში იგივე განმეორდა, დაამუხრუჭა, როგორც კინოში, მარიო, მკითხა ცენტრში მიდიხარო? თანაც იმავე ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექი. და მერე რომ გამოვერკვიე, მართვა არ ვიცი, მანქანა არა გვყავს-მეთქი, ვერ წარმოიდგენ, რა დაგვემართა, მუხლზე იტკიცა ხელი, მართლა არა გყავთ? მართლა? ვერ დავიჯერებო. გესმის? ეგონა ვხუმრობდი, მე კი არ ვიცოდი რა მექნა. მარიო, ასეთი დამცირებული არასდროს ვყოფილვარ. პაკოს ნიჭი რომ გქონდეს, ყოველდღიურობას არ შეუშინდებოდი, მარიო. ყოველდღე ერთი და იგივე მეორდება, საუზმე, სამსახური, სადილი, სიყვარული, ძილი, კამეჩებს ვგავართ წყალსაქაჩზეო, — ამბობდი. აბა როგორ გეგონა, სხვა რა უნდა გეკეთებია, უტვინო, ყველგან ერთი და იგივეა, უცქირე პაკოს. შენ კი აგიჩემებია, ცხოველები ვართო. ახალი ამბავი! საშიშია ყოველდღე ერთი და იგივეს კეთება? არ გამიბრაზდე, მარიო, მაგრამ ვფიქრობ, შრომა გაფრთხობდა. ნუ მეტყვი ახლა, წერაც შრომააო. ამით ხომ თავს იქცევდი. შენი რომ გაიტანო, მზადა ხარ შავს თეთრი დაარქვა. მაგრამ წერა და ვიოლინოს დაკვრაც ხომ ერთი და იგივეა? თანაც თუ ასე გეშინოდა, რად არ მოეშვი? განა არ არსებობს სხვა საქმეები — წარმომადგენლობები, ვაჭრობა, მშენებლობა. თვითონვე ამბობდი, გული მერევა გაზეთების კითხვაზეო. ვის არ ერევა. ამ წყეულ „ელ კორრეოში" მხოლოდ უბედურებაზე წერთ. ერთთავად გაიძახოდი, ყოველივე უსირცხვილობა და ძალადობააო. ლაჩარო! ნამდვილო ლაჩარო! ხალხს ერთმანეთის არ ესმისო. ნეტავი შენ ვინ გეკითხება, ან რა ჩვენი საქმეა, სულელები ხომ არა ვართ, რამდენჯერაც ჩინელები ან ზანგები იჩხუბებენ, იმდენჯერ საჭმელი არ ვჭამოთ. ყველამ თავის თავს მოუაროს, ძვირფასო! ბოლოს და ბოლოს რა ჩვენი ბრალია, რომ არ გვგვანან. მაგრამ შენი ნაწერები სინამდვილეს არ შეეფერება. მეც გული მერეოდა „ელ კორრეოს" კითხვისას, თუმც არა მგონია ნერვები მღალატობდეს, შე ჯიქო. სისულელედ მოგეჩვენება, მაგრამ ხშირად მივმხვდარვარ, მშვენივრად გრძნობდი თავს, როცა ამბობდი, ცუდად ვარო, ხოლო ცუდად იყავი, როცა ამბობდი კარგად ვარო, ნერვები, ნერვები... ნერვები მაშინ გიმტყუნებს, როცა ძალიან კარგადა ხარ, როცა საფიქრალი არ გაგაჩნია და შენს გემოზე ცხოვრობ, ზუსტად მაშინ გაგონდება ნერვები. აბა რა ვიფიქრო, რა ოინები იყო, მოდიანო? რომ კითხულობდი. გული მეკუმშებოდა, ისე მოურიდებლად მალვიძებდი; ნეტა ვის ელოდებოდი? ამ ახირებას ვერავინ ამოგიგდებდა თავიდან. ღამისთევის მომხრე სულაც არა ვარ, მაგრამ მეზობლებს ხომ აქვთ უფლება მაშინ დაიძინონ, როცა მოესურვებათ. ანდა რომ ტიროდი ხოლმე. თავიდან გული მისკდებოდა, ღმერთო ჩემო, რას მოთქვამდი! რა გატირებს-მეთქი, ძვირფასო? — გეკითხებოდი. არ ვიცი, არაფერი და ყველაფერიო. გგონია, ნორმალურად იქცეოდი? ლუისიც ხელს გიწყობდა, ის ხომ დამთმობი ადამიანია, დათრგუნულია, ნერვული დეპრესია აქვსო. დეპრესიაზე მეც ვეთანხმები, მაგრამ ნეტა გესმინა მაინც, როგორ ველაპარაკე. ყველაფერი ვუთხარი და არც ვნანობ, მარიო. დათრგუნული რას ქვია. ვინ თრგუნავს-მეთქი? საჭმელი არ აკლია და ტანსაცმელი, ცოლი თვალებში შეჰყურებს, მეტი რაღა უნდა-მეთქი? რომ ეთქვა, ეგ ტირილი იმისაა, თავის დროზე რომ არ უტირიათ, სხვა საქმე იქნებოდა. მაგრამ

გასაგებად უნდა ეთქვა, მიუკიბ-მოუკიბავად, ყველაფრისათვის თავისი სახელი დაერქმია. ექიმები ისევე აბდაუბდად მეტყველებენ, როგორადაც წერენ, მათ ნაწერს მხოლოდ ფარმაცევტები არჩევენ, თანაც ზოგიერთები და ისიც იმიტომ, რომ ფასი დაიდონ, აქაოდა გავიგეთო. და აი კიდევ რას გეტყვი, ვის მეტი, ვის ნაკლები, მაგრამ ყველას უზომო ცრემლი აქვს დასაღვრელი, ხოლო თუ დროულად არ დაღვრის, მაშინ უდროო დროს მოუწევს ამის გაკეთება, სხვა გამოსავალი არაა, ნუ მეტყვი ძვირფასო, არ მაფრთხილებდიო. გაიხსენე, დედაშენი რომ გარდაიცვალა, ფეხდაფეხ დაგდევდი, იტირე-მეთქი, მარიო, იტირე, მერე უფრო გაგიჭირდება-მეთქი, დაგდევდი, დაგდევდი. შენ კი უეცრად მიპასუხე, იმიტომ, რომ ასეა მიღებულიო? გეფიცები, გამაცია. აბა ეს რა საქციელი იყო, განა შენივე კეთილდღეობისათვის არ გირჩევდი? კარგი მინდოდა შენთვის, გეფიცები. იგივე განმეორდა, ხოსე მარიასა და ელვიროს დაღუპვის ამბავი რომ შეიტყე. გაყინული სახე გქონდა, ერთი კურცხალიც არ გადმოგვარდნია. ჰოდა, არ ვიცი, იქნებ ამანაც დაგაკომპლექსა? კი, ვფიქრობ, სწორედ ამან. სულ დამუნჯდი. მე კი გვერდიდან არ გცილდებოდი, იქნებ გული გადამიშალოს-მეთქი. სხვაზე არ ვიტყვი, მაგრამ ჩემნაირი გამგებიანი ცოლი მეორე არ მოიძებნება, ჩემთვის ყველაფერი უნდა გაგენდო. იცი შენ, ევარისტოს ყოველთვის პატივს ვცემდი, ხოსე მარია კი, გეფიცები, მისი იდეების მიუხედავად, ძალიან მომწონდა. და მას შემდეგ, რაც მკითხა, ხომ შენა ხარ ის გოგო, ჩემს ძმას რომ მოსწონსო? — გავურბოდი, სადარბაზოებში ვემალებოდი, ტრანსი მეუბნებოდა, გაგიჟდიო? ხომ არ შეგჭამსო? მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. იგი თითქოს მიმიხვდებოდა ხოლმე, ვწითლდებოდი, გოგო, გოგოა, ხომ იცი, ენას ვერ ვძრავდი მასთან, კარგად რომ ჩაუფიქრდე, შენ ბუნებით იყავი ასეთი, ნერვები არაფერ შუაშია. რასაკვირველია, ძლიერი მოვლენები გქონდა. ეს ყველაფერი კი იმის გამო დაგემართა, რომ თავის დროზე არ იგლოვე. შენს ძმებზე რომ მიამბობდი, აღფრთოვანება მიპყრობდა. მხოლოდ იმაზე ვერ გეთანხმებოდი, რომ ამბობდი, ერთნაირად აზროვნებენო. სასაცილოა ამის მტკიცება, სად ხოსე მარია და სად ელვირო. ელვირო შესანიშნავი პიროვნება იყო, ხოსე მარიას კი, რაც გინდა თქვი და, ვერ ენდობოდი. იმისა არ იყოს, დასახვრეტად რომ მიჰყავდათ და თქვა, პირველად როდი ხდება, უდანაშაულო ადამიანი სხვებს ეწირებოდესო. ეს ზღაპარია. იგი ალბათ შიშით კვდებოდა და ლოცულობდა, ბუნებრივიცაა. ამისათვის ვერავინ გაკიცხავს. გაიგე, ჩემის აზრით, ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ თქვენ ოღონდაც ილაპარაკოთ, მზადა ხართ მიცვალებულის სახელიც კი შებილწოთ.

25

[განვაძლიერე შენ, და შეგეწიე შენ.*] როგორ არა, ვეღირსები, კი, შენგან დახმარებას, ვიცი, მშვენივრად, მაგრამ თუ გოგონას ეს არ მოსწონს, ვერ გავამტყუნებ. მის პიროვნებას პატივი უნდა სცე, მარიო. ყველას თავისი აზრი აქვს, და კარგად თუ დაუკვირდები, დღეს მეოთხე კურსის ატესტატი მეტს ნიშნავს, ვიდრე ადრინდელი დიპლომი. ასეა ყველაფერი, წინან-

* წინასწარმეტყველება ესაიასი. 211, 10.

დღეს ერთი პესეტა ახლანდელ ას პესეტას უდრის. შესაძლოა მეტსაც, რადგან ცხოვრება ოცჯერ გაძვირდა. დღეს მოთხოვნილება დიდია, მარიო, დამერწმუნე, მხოლოდ ძალიან მდიდრები ახერხებენ ცხოვრებას. მაგალითად, გარსია კასერა მდაბიო წარმოშობისაა, მაგრამ მაღალი წრის ხალხის მსგავსადაა აქვს ცხოვრება მოწყობილი, ფერმებიცა აქვს და [illegible] მართავს, თანაც საკმაოდ მაღალ დონეზე. ნუ მეკამათები, ჩემი ამხანაგებიც კი ამბობენ. ნასწავლი ბიჭები არ დაგვანახოთ, ძალიან მოსაბეზრებლები არიანო. განა ტყუიან, ძვირფასო, აბა მითხარი, სტუდენტმა რითი შეიძლება გაართოს გოგონა? არაფრით. მათ ჭიქის დაჭერაც არ იციან. ბუნებრივიცაა, ან უნდა სწავლობდე, ან დროს ატარებდე. მოეშვი კეთილშობილ შრომაზე ლაპარაკს, ჯიუტო, ძალიან ჯიუტი ხარ. გოგონამ თვითონ უნდა ამოირჩიოს საქმრო, ღმერთის წყალობით, არჩევანი დიდი ექნება. თავისი შესაფერისი უნდა ამოირჩიოს. ისიც კმარა, დედამისს ამდენი რამ რომ დააკლდა ცხოვრებაში. ნახე, ხულია, კეთილშობილურ საქმეს მოჰკიდა ხელი. მუსიკას. ბოლოს კი რა გამოვიდა, ბინას აქირავებს. კი, გეთანხმები, ამერიკელი სტუდენტები წესიერი ხალხია, მაგრამ ზანგები? არ ვიცი რად გაჯავრდი მამაჩემზე, არ იყავი მართალი, მარიო, სატელევიზიო ანკეტაში მან გარკვევით განაცხადა (ვაჭრობის ვიცეპრეზიდენტმაც მიულოცა) ყველანი ღვთის შვილები ვართო, და რასობრივი პრობლემა სულიერი პრობლემაა და არა ფიზიკურიო. არა მგონია ორიოდ სიტყვით ამდენი რამის თქმა შეძლოს ვინმემ. ვალენი აღფრთოვანებული იყო, მეც, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ზანგები შეუშვა სახლში... გაბრაზების საბაბი არ გქონდა, მარიო. ზანგები, გარდა იმისა, რომ ზიზღს იწვევენ, თავსამტვრევსაც უჩენენ ადამიანს. თუნდაც მათი ტანისამოსის გარეცხვა არ გინდა? მართალი გითხრა, მესმის მამაჩემის — სამასი დოლარი დაამატე და თანახმა ვარო. ყველა ასე მოიქცეოდა, ეს მამაჩემს სულაც არ ამცირებს. ტელევიზიით მან გარკვევით თქვა, ყველანი ღვთის შვილები ვართო. ამაზე ნათლად როგორ ეთქვა, ქუჩაშიც კი ყველა გაიძახოდა, რა შესანიშნავი გამოსვლა იყოო. და ეს უცხოელები მამაჩემივით ქრისტიანულად რომ ფიქრობდნენ, ქვეყნიერებაზე რასობრივი პრობლემები აღარ იარსებებდა. სავსებით ვეთანხმები მამას, მარიო, ღმერთის წინაშე ყველანი ერთნაირი ვართ, ღმერთისათვის სულ ერთია, თეთრი ხარ თუ შავი, ყველას ერთნაირად განიკითხავს. მაგრამ ზანგებმა ზანგებთან იცხოვრონ, თეთრებმა კი თეთრებთან. ყველა თავისთვის დაეტიოს და ყველაფერი რიგზე იქნება. ხოლო თუ უნივერსიტეტი, თუ რას ეძახიან, ვერასდროს დავიმახსოვრებ, მოინდომებს, რომ ზანგი შემომისახლოს, მაშინ კეთილი ინებოს და ორმაგი გადაიხადოს. განა ძაღლებიც ღვთის გაჩენილები არ არიან? მაგაზე ვის მოუვა აზრად მათი სახლში შემოშვება. განსჯის უნარი უნდა გქონდეს, ძვირფასო, ყველაფერს ობიექტურად უნდა უცქირო. მამაჩემმა გარკვევითაა თქვა, ყველანი ღვთის შვილები ვართო, მაგრამ ეს სულს ეხება, სულის გადარჩენას, გესმის? ხოლო არ არსებობს ღვთაებრივი კანონი, რომელიც ზანგის შემოსახლებას გაიძულებს , ესღა გვაკლია, მოეშვი ქარაგმებს, სიტყვასა და საქმეს შორის დიდი განსხვავებააო. ინტრიგანო! მუდამ შარში გინდა გახვიო ახლობელი. მე კი ასე ვიტყვი: — თუ მადრიდში ზანგები არ იქნებიან, არცაა საჭირო, არავინ მოიწვევს მათ. თავიანთ ქვეყანაში ისწავლონ, არ მითხრა ახლა, ამერიკაში უნივერსიტეტები არააო. ხომ გაიგონე ვისენტემ რომ თქვა, მშვენ-

ერი უნივერსიტეტები აქვთო. არ გაბრაზდე, მარიო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ზანგები დონ ნიკოლასს ქოქოსებს და მსგავს რამეებს უგზავნიან, თორემ ასე გამწარებით რად გამოიდებდა თავს! იქნებ ბაბუა ჰყავდა ზანგი, ან სხვა ვინმე. რაც გინდა თქვი, ზანგები სხვა თიხისაგან არიან გამოძერწილი, სხვა საქმისათვის გაჩენილნი. მათ შაქრის ლერწამი უნდა გაამ[illegible] ყველა შემთხვევაში ,მოკრივეებად გამოდგებიან. მოკლედ, მძიმე სამუშაოებისათვის ვარგიან. არ მითხრა, არაო. ამიტომ გავჯავრდი, მარიო, რად დაგიმალო, როცა ის წერილი მისწერე მამაჩემს. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, სიტყვასა და საქმეს შორის დიდი განსხვავებააო. მამაჩემი მაგას არ იმსახურებდა, შე უმადურო. კი, ოცდაოთხი წელი გავიდა, მაგრამ მამაჩემს შენთვის ნაშრომში რომ არ დაეწერა, კონკურსში როგორ გაიმარჯვებდი? ცხადია, ამას არა აქვს მნიშვნელობა, მზამზარეულს შეეჩვიე, სამაგიეროდ, წუხდი, ზანგებს ქირა გაუდიდესო. ერთი მითხარი, სამასი დოლარი განა ნიშნავს რამეს ამ ხალხისათვის? ნეტა ვინ მოგცა ჩარევის უფლება? საქმე ისაა, რომ მამაჩემისათვის ვერ გიპატიებია, შენი წიგნები რომ არ მოსწონს. მან გულახდილად გითხრა, სოციალურ და ამის მსგავს თემებს ისინი მიმართავენ, ვისაც წერა არ ეხერხებაო. ჰოდა, შენც ვერ მოინელე ეს. რასაც ფიქრობდა, ის გითხრა. ასევე გაცოფდი, როცა რეკონდომ სამოქალაქო ომი ჯვაროსნულ ლაშქრობად გადაგისწორა. მე კი ვფიქრობ, რომ ეს ერთი და იგივეა. კიდევ, პოლიციელთან უსიამოვნება რომ მოგივიდა და ბინაზე უარი რომ გვითხრეს. აბა რა გეგონა, შე უბედურ დღეზე გაჩენილო! დაიჟინე, ბინები მოსამსახურეებისთვისაა, უპირველესად, ცოლიანებისა და მრავალშვილიანებისათვისო. კანონით, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენო. მეცინება, კანონი მაშინ გახსენდებათ, როცა ხელს გაძლევთ. ბოლოს და ბოლოს, კანიდოს შვილები თუ არა ჰყავს, — ანდა საიდან უნდა ჰყავდეს სამოც წელს გადაცილებულ ქვრივს, ან აგუსტინ ვეგას, მარტოხელას, ისინი რა, რეჟიმის ერთგულნი არ არიან? ნუ მეკამათები, რადგან უნდა შეიგნო, შე ინტრიგანო, რამდენიც გინდა იმუშაო და რაგინდ მრავალრიცხოვანი ოჯახიც გყავდეს, ძალადობით ვერას გააწყობ. ამისათვის არსებობს საბჭო, თუ რაც ჰქვია. ერთს მისცემს, მეორეს კი არა, და თუმც კანონი ამას არ ითვალისწინებს, ყველაზე დიდ მნიშვნელობას წარსულს ანიჭებს. ყველა შუამდგომლობა სისულელეა თუ ხელისუფლებასთან კამათს დაიწყებ, ბინის გარეშეც დარჩები და შესაძლოა ავეჯის გაყიდვაც მოგიხდეს. სისულელეა, მარიო. ძალიან გულუბრყვილო ხარ, ენას იქავებ; ეს მართლმსაჯულების საქმეაო, მანამ ვივლი, ვიდრე სიმართლეს არ ვიპოვნიო. მეხივით მეშინია შენი. თანაც ყველგან ხმამაღლა ამბობდი, სამართლიანობამ უნდა გაიმარჯვოსო. კიდევ კარგი, ლუისიტო ბოლადომ გადაგაფიქრებინა. პოლიციელთან უსიამოვნების შემდეგ, დავინახავდი ლუისიტოს და ვფიქრობდი, ნეტა გამოაბუნძურებდეს-მეთქი ჩემს ძვირფას მარიოს. გეფიცები, დღესაც არ ვიცი როგორ გიბედავ. მე კი ლამის შიშით მოვკვდი. მაგრამ სწორედ მან თქვა, ნუ დავარღვევთ კანონს, მივცეთ სამოთახიანი ბინაო. შენ ამაზე უარი განაცხადე. მართალიცაა, როგორ უნდა გვეცხოვრა სამ ოთახში. მაგრამ სხდომის დაწყებამდე კიდევ შეგეძლო რაიმე გეღონა, მარიო, მაგრამ გაჯიუტდი. ხოსეჩუსა და ჩემი მშობლები მთელი ცხოვრება მეგობრობდნენ. მასთან რაღაცას გავახერხებდი, მოვაგვარებდი ოქმის ამბავს. ასევე შემეძლო დაველაპარაკებოდი ოიარსუნსა და სოლორსანოს, რეკომენდაციებზეც არავინ გვეტყოდა უარს. არ ვიცი რად

გაჯიუტდი ასე. ერთი ნაბიჯიც რომ გადადგა, განცხადებას უკანვე წამოვი-ლებო. მინდოდა მომეკალი. მთელი თვე ცრემლი არ შემშრობია, გეფიცები, მენსტრუაციაც კი შემიწყდა. დელეგატის გამოსვლისას ხოსეჩუს, ოიარსუნს, სოლორსანოს და ფილგეირას მხარი რომ დაეჭირათ შენთვის, ბინას მივიღებ-დით, მერწმუნე. წარმოიდგინე ექვსი ოთახი, გათბობა, ცხელი წყალი ჩემს ცხოვრებას მთლიანად შეცვლიდა. მაგრამ მიიღე ის, [illegible], მა-რიო. ბოლოს და ბოლოს, რასაც დასთეს, იმას მოიმკი, არც მეტი, არც ნაკ-ლები. რად აიხირე, დავითვალოთ ხმებიო, სოლორსანოს რად შეეკამათე, შენთვის ამას ხომ არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. პოლიციელთან ჩხუბის ატეხვის ნაცვლად, ფილგეირასთან რომ მისულიყავი და გეთქვა, მართალი ბრძანდებით, ფილგეირა, გონება დამებინდაო, ქვეყანაზე ვერანაირი ძალა ვერ წაგვართმევდა ბინას. ყველაფერ ამასთან ერთად, რაიმეს მოვახერხებ-დი. ქალმა ბევრი ხერხი იცის, ძვირფასო, თანაგრძნობის გამოსაწვევად თა-ვის დამცირება სულაც არაა საჭირო. მეცადა, ამით განა რა დაშავდებოდა. არ ვიცი უნივერსიტეტელი რა წოდებაა ასეთი, სულ ეს სიტყვა რომ გაკე-რიათ პირზე. საბოლოო ჯამში კი რას წარმოადგენთ უნივერსიტეტელები, შიმშილით გძვრებათ სული. შეხედე პაკოს, იგი უტიტულოდაც პიროვნებაა. თქვენ გგონიათ წიგნებში კირკიტით მიაღწევთ რამეს? არა, გამოტვინდებით მხოლოდ. ამით ვინ იცის. რამდენმა ადამიანმა უარყო ღმერთი, შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც შენ. ამბობდი, სამწუხაროო, ეკლესიამ საფრანგეთის რევოლუციას მხარი რომ არ დაუჭირაო. აი რა მკრეხელური აზრები გაქვს. მეორე დღეს კი აღსარებაზე მიმავალი რომ დაგინახე, გეფიცები, გამაცია. ბენემაც კი მკითხა, აღსარებაზე მიდისო? ალბათ-მეთქი. აბა რა მეთქვა, ყო-ველთვის უხერხულ მდგომარეობაში მაგდებ. თუნდაც შენი ლექცია ავი-ღოთ, მითხარი ერთი, საქველმოქმედო ბაზრობებში ცუდი რა არის? რამ-დენი ფული გროვდება, თანაც საუკეთესო მიზნებისათვის. სასაცილო ხარ, მარიო, სასაცილო. ხომ იცი, სიცილი ზოგჯერ ტირილის მაგიერია. შენ მხო-ლოდ აყალმაყალი გეხერხება. გაიხსენე ერნანდო დე მიგელის გოჭის ამბავი. მერე თვითონვე არ უწყოდი, კარგად მოიქეცი თუ ცუდად, რა თქმა უნდა, ორჭოფობდი. ნაბიჯის გადადგმა არ შეგიძლია, თუ არავინ შეურაცჰყე. მე მიცქირე, განა მიმიყენებია ვინმესთვის შეურაცხყოფა? არა, ხომ ასეა. თა-ნაც რამდენს ვლაპარაკობ, ლაქლაქასაც კი მეძახი. როცა მარტო ვარ, საკუ-თარ თავს ვემასლაათები. სასაცილოა, წარმოიდგინე, ვინმემ რომ დამინახოს, რას იფიქრებს, მაგრამ სულ ფეხებზე მკიდია. სინდისი სუფთა მაქვს და მითქმა-მოთქმა რას დამაკლებს, კომპლექსები. საქმე ისაა, რომ კომპლექ-სები გაქვთ, მარიო, ხელსახოცებისა არ იყოს, თითქოს მეტი სადარდებელი არა გაგვაჩნია. სხვა რომ გესწავლებინა ბავშვებისათვის, მადლობა ღმერთს, გადამდები ავადმყოფობა არც ერთს არა გვჭირს. მაგრამ ნურას უკაცრა-ვად, ყველა ბავშვს თავისი ხელსახოცი უნდა ჰქონდესო. ყველაფერი შენს ნებაზე უნდა იყოს, რა ახირებაა. ცოტანი რომ ვიყოთ და რიგიანი მოსამსა-ხურეც გვყავდეს, კიდევ რა უშავს, მაგრამ ჩვენი მდგომარეობის პატრონს საქმე სარჩევად როდი გვაქვს. ამით უნდობლობას სთესავ, არც მეტი, არც ნაკლები. დოროც კი, რომელიც შენთვის ჭკუას ჰკარგავს, ამბობს, ნეტა რას ფიქრობს ჩვენი ბატონიო? ჰლექი რომ გვჭირდეს რომელიმეს, კიდე ჰოო, ღმერთის წყალობით, ყველანი ჯანმრთელები ვართ და ეს ეტიკეტი რისი მაქნისიაო. შენ ყველაფრისაგან თავისუფალი ხარ, აი ეს მაბრაზებს საშინ-

ლად, მერე კი ერთ მშვენიერ დღეს ხუშტური მოგივლის, კარგად უნდა ვიმუშაოთ. მაგრამ ჯერ დაფიქრდი, შე ბრიყვო, რისი გაკეთებაც არ შეიძლება, არ შეიძლება. როცა ამდენი შვილი გყავს და ამდენი საქმე, სახლი თავისით არ მოწესრიგდება. გულხელდაკრეფილი როდის გინახივარ, დღე და ღამეს ვასწორებ, ამოსუნთქვის დრო არა მაქვს. ტვინს ცოტა [illegible] დაატანო, მარიო. ტანსაცმლის შესანახი ადგილიც არ გამაჩნია! [illegible] იცი, როგორც ვცხოვრობთ. გუშინ ხომ ნახე, განძრევის საშუალება არ იყო. შენ კი, ერთი ნაბიჯიც რომ გადადგა, განცხადებას უკანვე გამოვიტანო. რა მშვენიერია! ყველაფერი ხელთა გვქონდა, ახალი ბინა ჩემს ცხოვრებას შეცვლიდა. თანაც არაფერი დაშავდებოდა ხოსეჩუსათვის შეგეხსენებინა, ჩვენი მშობლები მეგობრები რომ იყვნენ. ეს უფრო მნიშვნელოვანი საბაბი იყო, ვიდრე ის, რომ დიდი ოჯახი გაქვს და მოსამსახურე ხარ. ეს პირობები ყველასათვის ცნობილია, განა დღეს მოიგონეს, მარიო, მაგრამ ამ პირობებს, როცა სჭირდებათ, გვერდს უვლიან. საწყალი დედაჩემი, ღმერთმა აცხონოს, იტყოდა ხოლმე, ობოლმა თუ არ შემოგტირა, კვერი არ დაუკრაო. ჰკუიდან მშლი, მარიო, განა ქვეყანა დაიქცეოდა, რეკომენდაცია რომ გეთხოვა. რეკომენდაცია ხომ ყველაფერს ნიშნავს, ერთმანეთს ხელი უნდა გავუმართოთ. რამდენჯერ უთქვამს დედაჩემს, უნათლიოდ მონათლულები არ არსებობენო. მაგრამ შენთვის წესები არ არსებობს, მხოლოდ შენსას მიერეკებოდი, მოსამსახურე ვარ, მრავალრიცხოვანი ოჯახი მყავსო და ვალდებულები არიანო. შენს იმედად ყოფნის რა ვთქვი მე, ძვირფასო! კანონს მაშინ ეჭიდებით, როცა თქვენთვის ხელსაყრელია, მაგრამ არ გსურთ შეიგნოთ, რაც სულაც არ ნიშნავს დამცირებას, უტვინო! მთელი ცხოვრება კანონი ადამიანის ხელთ რომაა. ამიტომ ადამიანთა გული უნდა მოიგო. სხვებს აკრიტიკებდი. ამის შემდეგ კი ფიქრობ, რახან კანონში ასე წერია, ყველა უნდა დაგემორჩილოს, ხოლო თუ ბინაზე უარს გეტყვიან, ხელისუფალთ დავა უნდა აუტეხო. ესღა გვაკლდა! თუ იცი რა ქვეყანაში ცხოვრობ, ძვირფასო, თითქოს მთვარიდან იყო ჩამოფრენილი.

26

**[და იყუნენ თქუენდა ყოველნი ესე სიტყუანი, ვითარცა სიტყუანი წიგნისა ამის დაბეჭდულისანი, რომელნი იგი მისციან კაცსა ზედ მიწევნულსა წერილთასა, და ჰრქვიან აღმოიკითხე ესე და ჰრქვის ვერ ძალ მიც აღმოკითხვად რამეთუ დაბეჭდულ არს]***. შენზეა ზედგამოჭრილი, მარიო. მეცინება იმ საღამოს მთელი სერიოზულობით რომ განაცხადე, ესპანეთში წიგნებს აღარ კითხულობენო. გგონია რახან შენსას არ კითხულობენ, სხვებსაც იგივე ბედი ეწია? სულ გიმეორებ, რომ წერა კი გეხერხება, თავისუფლად წერ, მაგრამ ისეთ მოსაწყენ რაღაცეებზე და ისეთ არასასიამოვნო ხალხზე, რომ ბოლომდე წაკითხვა ჭირს. ეს მხოლოდ ჩემი აზრი როდია, გაიხსენე მამაჩემის სიტყვები, იგი ხომ კარგად ერკვევა ამ საკითხებში. მან პირდაპირ თქვა, თუ გასართობად წერს, კი ბატონო, მაგრამ თუ სახელის მოხვეჭა ან ფული უნდა, მაშინ სხვა გზით უნდა იაროსო. კარგად მოგეხსენება, რას ნიშნავს მამაჩემის აზრი ამ საკითხებზე. „ABC"-ში აღარ იციან რითი გამოხატონ მისი პატივისცემა, თანაც შესანიშნავი ნაშრომები დაგიწერა, წიგნად უნდა

* წინასწარმეტყველი ესაია. XXIX. 11.

გამოგეცა, ძვირფასო. თუმცა ამეებისა არა გამეგება, მაინც ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე, მერე კიდევ სამჯერ გადავიკითხე. ვერ წარმოიდგენ, როგორ აღმაფრთოვანა ისტორიის შესწავლის რეგრესიულმა მეთოდმა. ისტორია ბოლოდან უნდა ისწავლო, კიბოსავით უკან-უკან უნდა იარო, რადგან ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, როგორც იტყვიან, ტყუილუბრალოდ არაფერი ხდება. ეს ნაშრომი თუნდაც არ ყოფილიყო მამაჩემის, მაინც უნდა გამოგექვეყნებიათ „კასა დე ლა კულტურა“-ში. დარწმუნებული ვარ, დიდი წარმატება ექნებოდა. თუმც მცირე მოცულობისაა, მაგრამ დიდი შრიფტით შეიძლებოდა დაბეჭდვა. ნაშრომი ღრმააზროვანი იყო. ხალხს დღეს სიყვარულზე დაწერილი ან ღრმააზროვანი წიგნები სჭირდება. მოსაწყენად და დროის დასაკარგავად წიგნს არავინ იყიდის. აბა შენს წიგნებს ვინ წაიკითხავს, ჯიუტო. მომიტევე გულწრფელობა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ შენი გმირები ან ღატაკები არიან, ან სულელები. თუნდაც შენი „ქვიშის სასახლე“, მასზე იგივე აზრისა ვარ, როგორც დანარჩენებზე. ვილაცას თანდათან წაართვეს თავისი მიწები და ცარიელზე დატოვეს. თან ამ ბინძურ პირუტყვს, ყველაფერთან ერთად, ერთი უკბილო ცოლი ჰყავს, რომელიც მუდამ შეურაცხყოფას აყენებს. ამ წიგნს კიდევ რა უშავს, აი, „მემკვიდრეობა“ კი მთლად საშინელებაა, ძვირფასო. წარმოიდგინე, ჩვენს დროში ვის აინტერესებს ვილაც ჯარისკაცის ამბავი, რომელიც საომრად მიდის არარსებულ ქვეყანაში, არავისი მოკვლა არ სურს და არც თვითონ უნდა, რომ ვინმემ მოკლას. მერე ვითომ ეს არა კმარა, ფეხებიც სტკივა. მარიო, ძვირფასო, სანთლითაც ვერ იპოვნი ასეთ უცნაურ გმირს, თანაც ამ დროში, როცა ჯარისკაცები სოფლელები არიან. საშუალო ოჯახის შვილებიც კი სამხედრო სამსახურს გადიან და ოფიცრები ხდებიან. როცა „მარჯვენა ხელის“ წერა დაიწყე და მითხარი, მთავარი გმირი ღატაკი არ არისო, ძალიან გამეხარდა. მე სულელმა ისიც კი გავიფიქრე, მაქსიმინო კონდზე აპირებს წერას, სიურპრიზს მიმზადებს-მეთქი. რაც გინდა თქვი და ეს ამბავი კინოფილმის მასალად გამოდგება. მაგრამ საქმეში ხარ!.. სირო პერესი (უფრო ვულგარული სახელის მოგონება შეუძლებელია) გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანია. ის აზრებიც, ტვინში რომ უტრიალებს, სრულიად გაუგებარია. იგი აბსურდული ტიპია, რომელმაც არ იცის რა სურს და სად მიდის. ყველაფერი ისეა ჩახლართული, ძვირფასო, არაფრის გაგება არ შეიძლება. მე კი მეყო ნებისყოფა. რამდენიმე აბზაცი ზეპირად მესწავლა. თუთიყუშივით გავიზეპირე, რათა მერე ჩემს დაქალებთან განმეხილა. ერთი იმ ვილიალომელ გლეხს ჰგავდა, ვალენს რომ მისწერა წერილი. ვალენმა იგი ნადირობის დროს გაიცნო, უკვე გათხოვილმა, მან კი ის სასაცილო წერილი გაუგზავნა, მერე ყველამ ზეპირად რომ ვისწავლეთ. ასე იწყებოდა: თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენით არ უნდა დავინტერესებულიყავი და არ მოისურვებთ მიპასუხოთ, მაშინ გევედრებით, ვალენტინა, მომისმინოთ მაინც. თუნდაც მოწყალების გამო. გახსოვს, რა სასაცილო იყო? მოკლედ, სწორედ ასე მოვიქეცი, მარიო, გავიზეპირე რამოდენიმე აბზაცი: „სიკეთის ქმნა სიროს დიდად სიამოვნებდა. ბედნიერი იყო, სამაგიეროს არ ითხოვდა და უკეთესი ხდებოდა. აი ამ დროს იწყებოდა მისი წამება...“ როგორია? ყველაფერი ეს განა არა ჰგავს იმ საშინელ წერილებს, ვალენი რომ იღებდა ვილიალომიდან? მართალი მითხარი, მარიო, რას ნიშნავს ყოველივე? ან როგორ მოგაფიქრდა ამის დაწერა? ვალენი ხარხარებდა, ესტერმა კი შავი დღე დაგვაყარა. ნეტა

ვენ ეკითხებოდა. საშინელი ჩხუბი აგვიტეხა, რა აღარ გვიწოდა. მერე კი ახსნა დაგვიწყო, სირო პერესს უნდოდაო... ამ სახელის ხსენებაზე ხარხარი ამიტყდა, ვალენზე აღარაფერს ვამბობ. ესტერი კიდევ უფრო გაწიწმატდა, სულ წერა-კითხვის უცოდინარები გვიძახა. მისი აზრით, სირო პერესს უნდა ეთქვა, რომ, ყოველთვის, როცა ვინმეს დაუთმობდა გზას ან ადგილს ავტობუსში (რაც, ჩვენ შორის დარჩეს და, აუტანელი საქციელია), კმაყოფილებას გრძნობდა, რა კარგი ვარო, ამაყობდა თავისი თავით. გესმის, რისი თქმა უნდოდა ესტერს? მაგრამ საქმე ისაა, როცა მას სიამაყეს ანიჭებს საკუთარი საქციელი, ეს უკვე სიკეთე კი არა, მკრეხელობაა. ხედავ რა აბდაუბდა გამოდის? შენ მსგავსი რამ აზრადაც არ მოგივიდოდა, ხომ ასეა. ვალენმა წამოიძახა, ეს კაცი სულელი ყოფილაო, მე სიცილი ამიტყდა, ესტერი კი გიჟად იქცა, კიბორჩხალასავით გაწითლდა და მიკივლა, ნუ იცინი, კარმენ, ნუ იცინი, ეს კაცი იქნებ შენი ქმარიაო. იდიოტია ჩემი კბენა სურდა ამით, მე კი ვუპასუხე, მიდი, მიდი, არ გაჩერდე-მეთქი, თანაც გიჟივით ვხარხარებდი. მოკლედ, ნამდვილი ანეკდოტი იყო. ესტერმა გვითხრა, აზრი არა აქვს თქვენთვის ამ კოლიზიების ახსნასო, მგონი სიტყვა „კოლიზიები" იხმარა. აუტანელია მისი მოსმენა, სულ ერთსა და იგივეს ატრიალებს — იმ ტიპს ავტობუსში ადგილის დათმობის მაგიერ შეეძლო აქტზე ხელი არ მოეწერა ან სამშვენისები ეყიდა მადრიდელი მაწანწალებისაგანო. ეს მე ვუამბე — ასე იქცეოდა-მეთქი. ვალენი გაიძახოდა, მარიომ შეიძლება ეს გააკეთოს, მაგრამ ასეთ იდიოტურ პრობლემებს მაინც არ წამოაყენებსო. ესტერი კი გაჰკიოდა, არავინ იცის, რა ხდება ადამიანის სულშიო. ვუთხარი, ესტერ, ძვირფასო, ნუ ჩხუბობ, ჩემს ქმარს შენზე უკეთ ვიცნობ-მეთქი. ვალენი კვლავ ხარხარებდა, ესტერმა კი ჩანთას წამოავლო ხელი და გავარდა, კიოდა, უგრძნობლები ხართო. როგორ მაწყენინა! სხვა რამეზე თავს არ დავდებ, მაგრამ მგრძნობიარობა ჩემი საუკეთესო თვისებაა. ასე არაა, ძვირფასო? შენ მაინც იცი, თუ უგუნებოდა ვარ, მაიონეზსაც ვერ გავაკეთებ, ყველაფერი ხელიდან მიცვივა, ნამდვილი ტანჯვაა. ესტერი კარგი მეგობარია, მაგრამ იმის გამო, რომ ნასწავლია, ისეთი გამოხდომები აქვს, ყველასთვის აუტანელი გახდა. არ ვიცი არმანდო როგორ ეთვისება, ძალზე სხვადასხვანაირები არიან. არმანდო სიცოცხლის მოყვარულია, სულ ჭამაზე ფიქრობს, მაგრამ ერთი რამ ნაღდია — ესტერზე ჭკუას ჰკარგავს. არმანდო თავის ცოლს ბოლოს არავის გააკარებს. ერთი გენახა რა ამბავი ატეხა იმ საღამოს „ელ ატრიოში", თანაც სულ ტყუილად, ვიღაცამ შეხედა ან არ შეხედა ესტერს. ვფიქრობ, შენ და ესტერი შესანიშნავი წყვილი იქნებოდით, მაგრამ ზოგჯერ მგონია, არც ამისთანა მსგავსებავარგა. ერთი ნამდვილად ვიცი, ქალებს არ მოსწონდი, დიდი არაფერი მამაკაცი იყავი, — ერთმანეთი რად მოვატყუოთ — მაგრამ რაღაცით მაინც იზიდავდი ხალხს, რაღაც ფარული ხიბლი გაგაჩნდა, ხოლო ვისაც მოეწონებოდი, ჭკუიდან შეშლიდი. ხომ მართალი ვარ? თუნდაც ესტერი, ან შენი რძალი ენკარნა. კიდევ კარგი, ეჭვიანი არა ვარ. ხუთშაბათობით ჩაიზე რომ ვიკრიბებოდით, ესტერი სულ შენზე ლაპარაკობდა. მარიოს წიგნები ფართოდ განიხილებაო, სახარებაო, სიმბოლოებიო, თეზისებიო, მოკლედ, რაც გსურს სულო და გულო... ნეტა ყურები არ გიხურდა? ქადაგად ეცემოდა, არამკითხესავით ყველგან ჰყოფდა ცხვირს. მაგალითად, მეუბნებოდა, მარიოსათვის არ უნდა დაგეძალებინა ორგან მუშაობაო, ეს მის ტალანტს ზიანს აყენებსო. მართალი გითხრა, არ ვიცი რა ტალანტი

აღმოაჩინა შენში. ერთხელ ვკითხე და შავი დღე მაყარა. მას რა ენაღვლება, არმანდო იმდენ ფულს შოულობს, აღარ იციან სად წაიღონ. ვუთხარი, რად მინდა მისი ტალანტი, თუ ფულს ვერ შოულობს-მეთქი. ესტერი კი გაქებდა და გადიდებდა. მაგ იდიოტს ჰგონია, ყველაზე უკეთ გიცნობს. ერთი ჩემ ადგილას ყოფილიყო, ორ კვირასაც ვერ გაგიძლებდა. ფული ერთია, ადამიანი კი მეორე. შენ საშინელი ჯიუტი ხარ. ეს მხოლოდ ჩემი აზრი როდია, გარდენიამ, გრაფოლოგმა, იგივე თქვა. ეს ქალი „ელ კორრეოში“ მუშაობდა დონ ნიკოლასამდე. მაშინ „ელ კორრეოს“ წაკითხვა შეიძლებოდა, ხალხს მოსწონდა. შენგან ფარულად გავუგზავნე მას შენი ხელნაწერი და ისე დაგახასიათა უნახავად, გავშტერდი, ვიფიქრე, ნამდვილად იცნობენ-მეთქი ერთმანეთს. სულ რამდენიმე სიტყვით ყველაფერი თქვა შენს შესახებ. ვალენი სიცილით მოკვდა, ნაღდი მარიოაო. ჟინიანია, იდეალისტიო, არაპრაქტიკულიო, აუსრულებელი ილუზიები აქვსო, როგორ მოგწონს? ჟინიანის მაგივრად ჯიუტი რომ ვთქვათ, იდეალისტის მაგივრად ფანტაზიორი და არაპრაქტიკულის მაგიერ უსაქმური, შენს ზუსტ დახასიათებას მივიღებთ. ვინ იფიქრებდა, რომ ხელნაწერით ამდენის გაგება შეიძლებოდა. იდიოტი ესტერი კი მეუბნება, მგრძნობიარე არა ხარ, შენს ქმარს ვერ აფასებო. სწორედაც რომ მგრძნობიარე ვარ. მახსოვს, დედაჩემი (ღმერთმა აცხონოს) მეუბნებოდა, შვილო, ნამდვილი ბარომეტრი ხარო. აკი გითხარი, თუ ცუდ გუნებაზე ვარ, მაიონეზსაც ვერ გავაკეთებ-მეთქი. ნუ მეკამათები, მარიო, ერთად არ ვიყავით, კბილი რომ აუზში ჩამივარდა? ვკანკალებდი. ასე არ იყო? ისე ვკანკალებდი, თითქოს შუა ზამთარი იდგა. მერე ერთი კვირა ლოგინად ჩავარდი, გული მერეოდა, საშინლად ვღელავდი. წყეული ჩუჩო პრადოს გაგლეჯა მომინდა, ხომ დამპირდა, საკუთარი კბილები უფრო მალე დაგძვრება, ვიდრე ჩემი ჩასმულიო. და თუ ეს მგრძნობიარობა არაა, მაშინ ესტერმა თქვას მგრძნობიარობა რასა ქვია. იქნებ წიგნების კითხვასა არ ვიბრალებ დიდად განათლებული ვარ-მეთქი, ან სადა მაქვს მაგეების დრო, მაგრამ წერა-კითხვა მეც ხომ ვიცი, მარიო, სამჯერ გადავიკითხე მამაჩემის ნაშრომი, ეს გასართობად წასაკითხი როდია. კანიდოს წიგნებიც წავიკითხე და ალვფართოვანდი. შენი წიგნებიც წაკითხული მაქვს, მარიო. ვიზეპირებდი კიდეც გათხოვებამდე კი „პამპინელა ესკარლატა“ წავიკითხე, „ზღვით მოვა“ კი ერთი ათჯერა მაქვს წაკითხული. ძალიან მიყვარს ეს წიგნი, ასეთი სიამოვნება არც ერთი ნაწარმოებით არ მიმიღია, რაღაც განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა. იდიოტ ესტერს კი ჰგონია მის მეტი არავინ კითხულობს. ახლა გამახსენდა, რომ შენი მეგობრის ლექსებსაც ვიცნობ, ბარსესი ერქვა თუ ბორნესი, გახსოვს? მადრიდში შეგვხვდა საქორწილო მოგზაურობის დროს, მგონი გრანადელი იყო, სულ გარსია ლორკაზე ლაპარაკობდა. წითური იყო, ცოლად კი ჩასუქებული, ძალზედ შავგვრემანი ქალი ჰყავდა. მას მგონი ომის დროიდან იცნობდი. ძალიან მორცხვი კაცი ჩანდა, მოკლედ, არა აქვს ამას მნიშვნელობა. მისი ლექსები ერთი სულის მოთქმით წავიკითხე. ძალიან უცნაური ლექსები ჰქონდა, ზოგი გრძელი იყო, ზოგიც სულ მოკლე. ისე ჩახლართულად წერდა. ვერაფერი გავიგე, მეორე დღეს კი საშინელი შაკიკი დამემართა. გახსოვს? ნეტა რა ერქვა იმ შენს ამხანაგს? მისი სახელი ენის წვერზე მიტრიალებს. ისე ჩუმად ლაპარაკობდა, თითქოს აღსარებაზე იყო, ცოტა აქცენტიც ჰქონდა. საღამოობით თქვენ ერთად სეირნობდით და ერთმანეთს ლექსებს უკითხავდით. ერთხელ კაფეშიც ვიყავით გრან პიაზე,

კუთხეში. კაფე სარკეებით იყო სავსე, თავბრუ დამეხვა, ვფიქრობდი ლაბირინთში მოვხვდი-მეთქი. რა საღამო იყო, ღმერთო ჩემო! სულ მეგონა, რომ ჩემი თვალებისადმი მიძღვნილ ლექსს წამიკითხავდი. ახალ ლექსს რომ წამოიწყებდი, გავიფიქრებდი, აი ეს ჩემს თვალებზე იქნება-მეთქი, მაგრამ სურას უკაცრავად! მხოლოდ ოცნება იყო. მე კი რას არ გავიღებდი ამისათვის, ელვიროს რომ არა, არც მეცოდინებოდა. შემეკითხა, მარიო თუ წაგიკითხავს თავის ლექსებსო. გავოცდი, განა ვიცოდი ლექსებს რომ წერდი, პირველად შევიტყვე. ელვირომ მითხრა, ლექსებს ბავშვობიდან წერს და ერთი შენს თვალებს უძღვნაო. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, ამაზე ხომ ყველა ქალი ოცნებობს, წაკითხვა რომ გთხოვე, უარი მტკიცე — სუსტია, დუნე და სენტიმენტალურიო. ძალიან მეწყინა. ლექსების უმისამართოდ წერა ხომ უაზრობაა, იგივეა, რომ ქუჩაში გახვიდე და იყვირო. სიგიჟეა. ბორრესი! არა, არა, ბორრესი კი არა, რაღაც მსგავსი, ნამდვილად მახსოვს მისი გვარი ბ-ზე იწყებოდა, ხომ იცი ვისზეც ვლაპარაკობ, მარიო? რა ჩანჩურა იყო, ძალიან სადა გარეგნობა ჰქონდა, სულ შენა გგავდა. ქალი ანდალუზიელი იყო, შავტუხა, თმა გადავარცხნილი ჰქონდა, თქვენობით მოგვმართავდა. „თქვენ ამბობთ“, „რადგან თქვენ ამას ამბობთ“. ძალიან საინტერესოდ გვიამბობდა სევილიის ბაზრობის შესახებ, პირველად გნახე გულიანად გაცინებული. შემოსასვლელთან ვისხედით წითელ სავარძლებში, ის კაცი შენ პირდაპირ იჯდა და სულ შარვალს ისწორებდა. როცა დავცილდით, ვთქვით, რომ იგი ბანჯგვლიანია და უმარილო. ბარნესი! კი ბარნესი! მგონი ხოაკინი ერქვა, მარიო, ჰო, ასე იყო. მადლობა ღმერთს, პირდაპირ ტვირთი მომშორდა მხრებიდან.

27

**[განიშორეთ თქუენგან პირველისა მისებრ სლვისა თქუენისა ძუელი იგი კაცი, განხრწნილი გულის თქუმისა მისებრ საცთურისა, და განახლდებოდეთ თქუენ სულითა მით გონებისა თქუენისათა, და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი...*]** ის სულ სხვა კაცი გახდა. გამეხარდებოდა, რომ გენახა, მარიო, გადასარევად გამოიყურება, ინგლისურ სპორტულ კურტაკშია გამოწყობილი, იდაყვი მანქანის ფანჯარაზე უდევს, სახე მზით გარუჯვია. მერე რა თვალები აქვს, ზღაპრული! სულ სხვანაირია. კაცები იღბლიანები ხართ, თუ ოცი წლისანი არ ვარგიხართ, კიდევ ოცი წელი წინა გაქვთ. არც ვიცი, ასე რატომაა. იმწამსვე ვიცანი. წითელი „ტიბურონით“ ჩვენს ქალაქში ბევრი არ დადის, თვალის არიდება მინდოდა, მაგრამ მან მანქანა დაამუხრუჭა, ზუსტად ისე, როგორც კინოში და ღიმილით მკითხა, ცენტრში მიდიხარო? აღარ ვიცოდი სად წავსულიყავი, კრესენტე თვალს არ მაშორებდა. დიახ-მეთქი — მივუგე; მაშ, დაჯექიო — მითხრა პაკომ და კარი გამომიღო. რა გზა მქონდა, ჩავუჯექი და უფრო კომფორტულად ვიგრძენი თავი, ვიდრე ჩვენს ტაბტზე, სასტუმრო ოთახში რომ გვიდგას. ვუთხარი, რა შესანიშნავი მანქანა გაქვს-მეთქი. (მართლაც ასეა, კი არ მიდის — მიფრინავს) ამის თქმა იყო და გზიდან გადაუხვია, — რაკეტასავით გავარდა ელ პინარის გზატკეცილზე. ვუთხარი, დაბრუნდი, ხომ არ გაგიჟდი, ხალხი რას იტყვის-მეთქი. მან კი ყურიც არ მათხოვა, სიჩქარეს უმატა და მიპასუხა, იცი რა მიპასუხა? რაც უნდათ, ის ილაპარაკონო. ორივეს გაგვეცინა. გიჟივით ვიყავი, „ტიბურონში“ გვერდიგვერდ ვისხედით, საათში ას ათი კილომეტრი სიჩქარით მივქროდით.

* ეფესელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი. IV, 22-24.

ჰფიცავ, თავბრუ დამესხა, არის ისეთი რაღაცეები, რისი ახსნაც შეუძლებელია. წარმოიდგინე, ყალთაბანდი, სიტყვას რომ ვერ აბრუნებდა პირში, ასეთი კაცი დადგა. რა რიხი აქვს, რა სიდარბაისლე, ხმადაბლა ლაპარაკობს, ერთი სიტყვაც აღარ ეშლება, მაღალი საზოგადოების კაცია. საკუთარი თვალით თუ არ ნახავ, არ დაიჯერებ როგორაა შეცვლილი, სანახავად კი ღირს. ქვეყანა აქვს მოვლილი, ის ხომ ძალიან მოუსვენარია. ღმერთო ჩემო, ეს ყალთაბანდი! ტრანსიმ მიამბო მის შესახებ იმ საღამოს, წარმოიდგინე, ერთი თვეც არ იყო გასული, რაც ევარისტომ მიატოვა, მას კი ისე ეჭირა თავი, ესიოდა არაფერი მომხდარაო. ამ ქალს დარდი ნაღდად არ მოკლავს, ყოველთვის ასეთი იყო, როგორ აგიხსნა, გულთან არაფერი მიჰქონდა. რა ქარაფშუტობაა, არა? თანაც სამი შვილი ჰყავს. დამინახა თუ არა, მკითხა, პაკო ნახეო? საოცრად ლამაზი არისო. მართლაც ასეა, მარიო, პაკო ძალიან გამოცვლილია, რამდენიც არ უნდა გელაპარაკო, ამის წარმოდგენა შეუძლებელია, საკუთარი თვალით უნდა ნახო. დახვეწილი მანერები აქვს, სულ სხვა კაცია! ადრე კი სიტყვებს ამახინჯებდა, მე მის მშობლებს არ ვიცნობ, მაგრამ მამამისი, მგონი სულაც ხელოსანი იყო. მოკლედ, უბრალო ოჯახის შვილია, თუმცა ჰკუა ყოველთვის უჭრიდა და ომშიც ისახელა თავი — მკერდი საცერივით აქვს დაცხრილული. ახლა კი ვუყურებ და მიკვირს, რა თავისუფლად მართავს მანქანას, ერთ ზედმეტ მოძრაობას არ აკეთებს, გეგონება, დაბადებიდან საჭესთან ზისო. მერედა, რა გასაგიჟებელი სუნი ასდის — ძვირფასი თამბაქოსა და მამაკაცის ოდეკოლონისა. შორიდანვე შევამჩნევ, რომ სპორტს მისდევს, ჩოგბურთს თამაშობს და კიდევ რაღაც ამისთანებს. ერთდროულად შეუძლია სიგარეტიც მოწიოს და მანქანაც არანორმალური სისწრაფით ატაროს. გაგიჟება შეიძლება, თვალები მოჭუტული აქვს, მოკლედ, მხოლოდ კინოში თუ ნახავ მსგავს რამეს. ვეხვეწებოდი, პაკო, დავბრუნდეთ, ქვეყნის საქმე მაქვს-მეთქი, ის კი იცინოდა და თავის თეთრ, სად კბილებს აჩენდა. მითხრა, დროს ნუ დავკარგავთ, ცხოვრება ხანმოკლე არისო და სიჩქარეს მოუმატა. ამ დროს იხინიო ოიარსუნი შეგვხვდა თავისი „დოს კაბალიოსით“. ნეტა რა უნდოდა ასეთ დროს ამ გზატკეცილზე. დამალვა მინდოდა, ალბათ დამინახა, რა საშინელებაა! პაკომ კი ვითომც არაფერი, მკითხა, პატარავ, რა მოგივიდაო? მერე კი დაუმატა, სულ არ გამოცვლილხარო. ვუპასუხე, რა სისულელეა, რამდენი წელი გავიდა-მეთქი, მან კი თავაზიანად მომიგო, დრო ყველასთვის ერთნაირად არ გადისო. შენ იტყვი, ეს ჩვეულებრივი ქათინაური არისო, მაგრამ ხომ მაინც სასიამოვნოა, რად მოგატყუო? მერე მანქანა გააჩერა, მომაშტერდა და მოულოდნელად მკითხა, მანქანის ტარება თუ იციო. ვუპასუხე, ცუდად, თითქმის არა-მეთქი. აბა რა მექნა, ის ხომ ყოველდღე მხედავდა ავტობუსის გაჩერებაზე, მდაბიო ხალხს შორის. მერჩია მიწა გამსკდომოდა, როგორ შევრცხვი! მართალი გითხრა, ვინც სიმართლეს ამბობს, იგი არც ცოდვას სჩადის და არც ცრუობს. საიდან უნდა ვიცოდე მართვა, როცა მანქანა არა გვყავს. ნეტა გენახა, რა დამემართა, ნუთუ მართლა არა გყავთო! — შუბლზე იტკიცა ხელი. ბუნებრივია, მე ხომ სულ გეუბნებოდი, რომ დღეს მანქანა ფუფუნება აღარ არის, ის საჭირო ნივთია. პაკო სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა, ოცი ცალი მაინც მოწია. ტრანსის ამბავი მკითხა. მოვუყევი, ბედმა არ გაულიმა-მეთქი, ერთ-ერთმა იმ ბებერთაგანმა, მაღალმა ევარისტომ ცოლად შეირთო, ხუთი წლის შემდეგ კი სამი ბავშვით მიატოვა და ამერიკაში გაიქ-

ცა მგონი გვინეაში-მეთქი. პაკომ თქვა, ყველანი ვცდებით, ძნელია ზუსტი არჩევანის გაკეთებაო. გაოცებისგან გავშეშდი, თვალები ცრემლებით მევსებოდა. რომ იცოდე, როგორ შემეცოდა, მარიო, თავი ვერ შევიკავე [illegible] თხე, რა, უბედური ხარ-მეთქი? მიპასუხა, მოვეშვათ ამ ლაპარაკს, [illegible]ლი ვარ და, ეს უკვე ცოტას არ ნიშნავსო. პაკო სულ უფრო [illegible]წევდა, მე კი გაქვავებულივით ვიჯექი, მინდოდა რამით დავხმარებოდი, [illegible]დი არაფერი გამივლია თავში. აი ამ დროს გამახსენდა, როგორ ვსეირნობდით მე და შენ ასერაზე. ის დრო გამახსენდა, მარიო, ველური არმანდო საფეთქლებთან რომ მიიტანდა ხოლმე თითებს რქებივით და ბღაოდა, გახსოვს, ჩვენს ნიშნობამდე? პაკომ თქვა, კარგი დრო იყოო! როგორც საერთოდ იტყვიან ხოლმე. მერე კი უცებ დასძინა, იქნებ მაშინ დავკარგე ჩემი ბედიო, მერე კი, ხომ იცი, ომი დაიწყოო. სევდიანი ხმა ჰქონდა. ვუთხარი, ომის დროს დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინე, რაც მართალია-მართალია მეთქი. მან კი მოულოდნელად პერანგი გაიხსნა (პაკო სვიტრს არ ატარებს) და თავისი ნაიარევი მკერდი მიჩვენა. რა საშინელება იყო, ვინ იფიქრებდა ამას. პაკო ძალიან მამაკაცური გახდა, ბავშვობაში კი ჩვილ ქრისტეს ჰგავდა. გამაცია ამ იარების დანახვაზე, ძალიან მოულოდნელი იყო, საცოდავო-მეთქი, ვუთხარი. მხოლოდ ეს ერთი სიტყვა ვთქვი, მეტი არაფერი. ვფიცავ. პაკომ ხელი მომხვია, მაგრამ ცუდი არაფერი მიფიქრია. მერე კი, სანამ მივხვდებოდი რა ხდებოდა, კოცნა დამიწყო. ისე მაგრად მკოცნიდა, გონება დამებინდა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს კარუსელზე ვიჯექი. ძალიან მაგრად მკოცნიდა და ძალიან დიდხანს, რა გავნძრეულვარ, გესმის? დაჰიპნოზებულივით ვიყავი, ვფიცავ. თვალმოუშორებლად ვუცქერდი, დროის შეგრძნებაც კი დავკარგე. ოდეკოლონის და თამბაქოს სუნმა მთლად გამაბრუა. ეს სუნი ვის არ გადარევს, ვალენს ჰკითხე, ის დაადასტურებს. მე მხოლოდ შენ მიყვარხარ, ეს ათასჯერ მითქვამს, რად გაგიმეორო, მაგრამ აზრზე არ ვიყავი, ალბათ ეს ათასჯერ მითქვამს, რად გაგიმეორო, მაგრამ აზრზე არ ვიყავი, ალბათ ასეთი სიჩქარით მგზავრობას მიუჩვეველი რომ ვარ, იმის ბრალია, რას გაიგებ. მოვიჩვარე, გუდასავით ვეგდე, გული ამოვარდნაზე მქონდა. ხეებსაც ვერ ვხედავდი, იქაურობა კი სავსეა ხეებით. მხოლოდ პაკოს ხმა მესმოდა ძალიან ახლოდან, ღრუბლებში მეგონა თავი, ორიენტაცია დავკარგე. პაკომ მანქანის კარი გამოაღო და ნაზად მითხრა, გადმოდიო. მთვარეულივით გადმოვედი მანქანიდან, აღარც ნებისყოფა მქონდა და აღარც არაფერი. მოვითენთე, უსიტყვოდ ვემორჩილებოდი მას. ბუჩქის უკან მოვკალათდით მზეზე. ბუჩქი დიდი იყო, ძალიან დიდი, მთლიანად გვფარავდა. ხომ იცი ამ დროს, თანაც სამუშაო დღეს იქ კაციშვილი არ ჭაჭანებს. ნორმალურ მდგომარეობაში რომ ვყოფილიყავი, არაფერიც არ მოხდებოდა. პაკო ამბობდა, შემხედავ და გეგონება, ყველაფერი აქვსო, მე კი მეწყო, სულ მარტო ქარო. შე საწყალო-მეთქი, — აღმომხდა. მართლა მეცოდებოდა, მარიო, ეს სიტყვა ამოვიჩემე, თითქოს მეტი არაფერი ვიცოდი. რა თქმა უნდა, ჩემს თავს არ ვეკუთვნოდი, დაჰიპნოზებული ვიყავი, არ ვიცი რა მჭირდა. პაკომ კი გიჟივით დამიწყო მოფერება და მიწას მიმაჭყლიტა, თან მეუბნებოდა, იცი რას მეუბნებოდა? თუმცა ამაში ახალი არაფერია, მარიო, ბოლოს და ბოლოს, გულახდილად რომ გითხრა, სხვებიც იგივეს ფიქრობენ, ოღონდ ხმამაღლა არ ამბობენ, მან კი თქვა. ნახე, რა ემართება ჩემს დანახვაზე ელისეო სან ხუანს! ევარისტოც ვერ მიცქერდა

გულგრილად. ამისთანა მკერდი მაქვს და რა ვქნა! პაკო უფრო და უფრო ეგზნებოდა, მეუბნებოდა, 25 წელი ამ მკერდზე ვოცნებობდი, პატარავო, მე კი სულელივით ავიკვიატე, შე საწყალო-მეთქი. პაკო ჰკუაზე შეშლილი იყო, კაბაც კი დამიხია, მარიო, მაგრამ ჩემს თავს არ ვეკუთვნოდი, რაც გჭირდება ამის ახსნა. ჩემი ბრალი არ არის. პაკოს უარი ვუთხარი, ჩვენი შვილები გავახსენე, არც ვიცი როგორ ვიპოვე ამის ძალა, ნებისყოფა დაკარგული მქონდა, დაჰიპნოზებულივით ვიყავი, გეფიცები, მაგრამ მაინც შევძელი მისი მოშორება. ხახამშრალი დარჩა, ვფიცავ, სული გამძვრეს თუ გატყუებდე. როგორი ყოფილა! აბა შენ და ენკარნა რას აკეთებდით მადრიდში? მაპატიე, მარიო, მაპატიე, ამის თქმა არ მინდოდა. იცოდე, არაფერი მომხდარა, მშვიდად იყავი, მას გავახსენე ჩვენი შვილები, ან შეიძლება თვითონვე გაახსენდა, არ ვიცი, ვერ გეტყვი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, მარიო. ხმას ვერ ვიღებდი, შეშლილივით ვიყავი, ძვირფასო, გამიგე, აუცილებლად უნდა გამიგო, გესმის? თუ რამე ცუდი ჩავიდინე, იცოდე, ეს მე არ ვიყავი. მერწმუნე, მას ვინც იქ იყო, ჩემთან საერთო არაფერი აქვს, ესღა მაკლია. მაგრამ, იცოდე, არაფერი არ მომხდარა, სულ არაფერი, გეფიცები, მარიო. პაკოს რომ არ შეეკავებინა თავი, მე გავაჩერებდი, ხომ იცი ჩემი ამბავი. ყველაფერი პაკოს ბრალი იყო, მაგრამ ბოლოს ისიც გამოერკვა. ისეთი თვალები ჰქონდა, შემეშინდა, სულ ცეცხლს აკვესებდა, შეშლილივით იყო, მითხრა, ორივენი გიჟები ვართ, პატარავ, მაპატიე, არ მინდა ჩემს გამო უბედური იყოო. პაკო წამოდგა, მე კი ვეგდე დარცხვენილი. მგონი, მაინც ის გამოფხიზლდა პირველი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ძვირფასო, მთავარი ხომ ისაა, რომ არაფერი მოხდა. ესღა მაკლია, მე ხომ შენი და ჩვენი შვილების პატივისცემა მმართებს. ნუ ხარ ასე ჩუმად, გთხოვ, იქნებ არ გჯერა ჩემი? მე ყველაფერი თავიდან ბოლომდე მოგიყევი, მარიო, ძვირფასო, როგორც აღსარებაზე, ისე, გეფიცები. პაკომ მკოცნა და მეფერა, ვაღიარებ, მაგრამ ამის მეტი არაფერი მომხდარა. ხომ გჯერა, სხვანაირად რომ არც იქნებოდა. იცოდე, უნდა მერწმუნო, ეს ჩემი ბოლო შანსია, მარიო, გესმის? თუ არ დამიჯერებ, გავგიჟდები. მითხარი რამე, თუ არა, მეგონება, რომ არ გჯერა ჩემი. მარიო, იქნებ არც მისმენდი? ყური დამიგდე, გევედრები. ასე გულწრფელი არავისთან არასოდეს ვყოფილვარ. ჩემთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია მაპატიებ თუ არა, ახირება არ გეგონოს, მარიო, შემომხედე, თუნდაც ერთი წამით, გევედრები. ჩემი დისნაირი არ გეგონო, ხულია გაფუჭებული ქალია, ნუ მეკამათები, ვიღაც ქუჩიდან მოსულ იტალიელთან უსიყვარულოდ გააბა რომანი, ამის პატიება ხომ შეუძლებელია. გალის პაკოს როგორ შეადარებ! თუმც პაკოს თავგზა აებნა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, რაინდი აღმოჩნდა, მარიო, მითხრა, გიჟები ვართ, პატარავო. აი, რა გამგებიანია. მე ხმის ამოღების თავი არ მქონდა, გეფიცები, მარიო. თვითონ მინდოდა მისთვის ყველაფერი მეთქვა, მაგრამ დამბლადაცემულივით ვიყავი, არც ნებისყოფა მქონდა და არც არაფერი, გუდასავით ვეგდე, მაგრამ ის რომ არ გაჩერებულიყო, მე გავაჩერებდი, ვფიცავ. უბრალოდ, მან დამასწრო, თუმც ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ არაფერი მოხდა, ხომ ასეა, მარიო. შემომხედე, თქვი რამე, ნუ სდუმხარ. თორემ მგონია, რომ არ გჯერა ჩემი, მარიო, ძვირფასო, ნუ გგონია, რომ გატყუებ, ასე გულახდილი არასოდეს ვყოფილვარ. ვფიცავ, სიმართლეს ვამბობ, ამის მეტი არაფერი მომხდარა. შემომხედე, მითხარი რამე, გევედრები.

აი, როგორი ხარ! ფეხებში გივარდები, მეტი რა გინდა, მარიო, ძვირფასო, ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის „სეისსიენტოსი“ რომ გეყიდა, არავითარი „ტიბურონები“ არ დამჭირდებოდა, ასეა. ყველაფრის ნატრული რომ ვარ, იმიტომ მოხდა ეს. მაპატიე, მარიო, მუხლმოდრეკილი გევედრები, გეფიცავ, არაფერი არ მომხდარა. მე მხოლოდ შენი ვიყავი, გეფიცავ, გეფიცები, დედას ვფიცავ, ყველაზე წმინდა და საყვარელი ჩემთვის დედაა, მის სულს გეფიცები, მეტი რა ვქნა. შემომხედე, თუნდაც ერთი წამით გაიღე მოწყალება. თუ არ გესმის ჩემი? რაღა ვქნა? მოვკვდე, თუ სიმართლეს არ გეუბნები. არაფერი არ მომხდარა, პაკო რაინდი აღმოჩნდა, ასეც რომ არა, აბა ჩემთან რას გახდებოდა. „სეისსიენტოსი“ რომ მყოლოდა, არავითარი პაკო არ დამჭირდებოდა, გეფიცები, მარიო, ხოსე-მარიასა და ელვიროს სულს გეფიცები. მეტი რა გინდა? სხვა საფიცარი არ გამაჩნია, მარიო, სუფთა ვარ და შემიძლია ამაყად თავაწეულმა ვიარო. ყური მიგდე, მარიო, შენ გელაპარაკები, ნუ იქცევი ისე, თითქოს არაფერი გესმოდეს. ერთი წამით შემომხედე, თუნდაც წამის მეათედით. არაფერი ცუდი არ ჩამიდენია, გეფიცები, ღვთის გულისათვის, შემომხედე, ერთი წამით მაინც, მიდი! ეს ერთი გამახარე, რა დაგაკლდება, თუ გინდა დაგიჩოქებ. სუფთა ვარ, მარიო, გეფიცავ, გეფიცავ, გეფიცავ! შემომხედე, აქვე გავთავდე, თუ ვიტყუები! ნუ იჩეჩავ მხრებს, გთხოვ, შემომხედე, დაჩოქილი გევედრები. ამას ვერ ავიტან, მარიო, შემომხედე, თუ არა გავგიჟდები, შემომხედე, გთხოვ!

კარის ჭრიალზე კარმენი კრთება, ჩაიცუცქება, აქეთ-იქით იცქირება, თითქოს იატაკზე რაღაცას ეძებსო. მის თვალებსა და ხელებს უკიდურესი ნერვული დაძაბულობა ემჩნევა. თუმცა დღის ნათელი უკვე შემოდის ფანჯრიდან, ჭაღი ისევ ანთია და მისი მკრთალი შუქი ანათებს ღამის მაგიდასა და მიცვალებულის ფეხებს.

— რა დაგემართა, დედა? ადექი! რატომ დაჩოქილხარ?

კარმენი დგება და სულელურად იღიმება. თავს უმწეოდ, მოთენთილად და სუსტად გრძნობს, ქუთუთოები მუქი წითელი აქვს, თითქმის იისფერი. ქვემოდან იყურება, თითქოს რაღაცის ეშინია, ვლოცულობდიო, ჩურჩულებს. განგებ ისე ამბობს, რომ არ დაუჯერონ. მხოლოდ ვლოცულობდიო, იმეორებს. ბიჭი უახლოვდება, მხრებზე ხვევს თავის ახალგაზრდა ხელებს და გრძნობს, რომ დედა კანკალებს.

— ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, შვილო, რატომ მეკითხები?

ერთ ღამეში კარმენს ლოყები დაუნაოჭდა, ნიკაპის ქვეშ და კუთხეებში კანი ჩამოაჭკნა და ჭირქიანი პარკებივით ჩამოეკიდა. თვალები დაუსივდა და ამოულამდა.

— ხომ არ გცივა? მომეჩვენა, რომ შენს თავს ელაპარაკებოდი, — არ ეშვება მარიო.

მარიოს დედა ფრთხილად მიჰყავს კარისკენ, მაგრამ კარმენს არ უნდა ოთახიდან გასვლა, ეწინააღმდეგება უსიტყვოდ, უაზროდ, მაგრამ მტკიცედ ხელს ძალით გააშვებინებს. კარმენი აქეთ-იქით იყურება, თითქოს პირველად ხედავს ამ აკლდამადქცეულ კაბინეტს, სადაც მთელი ღამე გაატარა. ფანჯრიდან კარგად მოჩანს მოპირდაპირე სახლი, მწვანე თიხის აივნებითა და ჩამოშვებული თეთრი ფარდებით. უცებ ერთი ფარდა ტკაცანით იხსნება: ასეთი ხმაა, გეგონება, ბილიარდის ბურთები შეეჯახნენ ერთმანეთსო. სახ-

ლი თითქოს ამთქნარებს და იღვიძებს. სანამ ფარდას გადასწევდნენ, ქვემოთ ვიწრო ქუჩაზე ახმაურდა პირველი მოტოკარი. მოისმა საუბარი და დილა-ადრიან სამსახურში მიმავალი ხალხის ნაბიჯების ხმა. ფანჯრის რაფაზე ისე მხიარულად დახტის და ქლურტულებს ბეღურა, თითქოს გაზაფხული იყოს. ალბათ ლურჯმა ცამ შეაცდინა, რომელიც ფარდასავით ჩამოფარებოდა ასისკ-ლო დელ პერალის სახელოსნოს და რომელიც რამდენიმე წუთში თითქ-მის შეუმჩნევლად, შავი ფერიდან თეთრში გადავიდა, თეთრიდან კი ცის-ფერში. კარმენი უცქერს თალხ კერპს, გადაბრუნებულ-გადმობრუნებულ წიგნებს, გეომეტრიულ ნახაზებს, კედელზე — წრეწირს, სამკუთხედს, წყვე-ტილ ხაზს, ცისფერ გლობუსს, ჭალს, მარიოს გაცვეთილ სავარძელზე და შემდეგ ნელა, თითქოს ახლა გამოერკვაო, მზერა მიცვალებულის სახეზე გა-დააქვს. კარმენი ოხრავს, შვილს ათრთოლებული თითებით ანგარიშმიუცემ-ლად ჩაეჭიდება პერანგის საყელოში და თავისდა უნებურად, ღიმილითა და სიამაყით წარმოთქვამს ხმაჩამქრალი:

— სულ არ გამოცვლილა, ატყობ, ფერიც კი არ დაუკარგავს.

მარიო მხრებს იჩეჩავს.

— კარგი, წამოდი, — ეუბნება დედას და კარისკენ ეწევა, მაგრამ კარ-მენი თითქოს ადგილს მიეყინა.

— უსათვალოდ თავის თავს არა ჰგავს. ახალგაზრდობაში სათვალეს არ ხმარობდა და კინოში რომ დავდიოდით სულ მე მიყურებდა, იცი? მას შემ-დეგ დიდი დრო გავიდა. არც ვიცი რამდენი. აღარ მახსოვს, შენ უკვე მყავ-დი თუ არა, ძველ ამბავს გიყვები. მაშინ ლამაზი იყო, მაგრამ ცხოვრებაში რატომღაც ყველაფერი უარესისკენ იცვლება.

კარმენი ძალას იკრებს, როგორც თვითმფრინავი აფრენისას. და როცა მარიო ამბობს, მარტო არ უნდა დარჩენილიყავი, ძალიან აღელვებული ხარ, ცოტა თუ მაინც გეძინაო, უეცრად აქვითინებული კარმენი სახეს შვილის მკერდში რგავს, მის ცისფერ სვიტრში და რაღაცას ჩურჩულებს. მარიოს მხოლოდ ცალკეული ფრაზები ესმის: „...არაა საჭირო..." „...მე რომ ად-რე..." „...ერთხელ მაინც შემოგეხედა..." ბოლოს და ბოლოს კარმენი დუნ-დება და შვილს მორჩილად მიჰყვება სამზარეულოში. იქ თეთრ ტაბურეტზე ჯდება და უცქერს მარიოს, რომელიც იტალიურ საყავეში ასხამს წყალს და ფილტრში ყრის ყავას, საყავის სველი ძირი შიშხინს იწყებს, სამზარეუ-ლოში ბნელა. მარიო დედის გვერდით ჯდება. ეზოდან ხმაური ისმის. კარ-მენს შავი სვიტრი მკერდზე შემოტკეცია. იგი წელში იხრება, თითქოს მკერ-დი, რომლითაც ადრე ასე ამაყობდა, ძალიან ემძიმება. მალული მოძრაობით იქაჩავს სვიტრს იღლიებთან, ამბობს:

— არ მჯერა, რომ სხვებისთვის დღეს ჩვეულებრივი დღეა. არ შემიძ-ლია ამ აზრს შევეჩვიო. მარიო, ძალა არ შემწევს.

მარიო პასუხს აგვიანებს, ეშინია კვლავ არ აღელვოს, ბოლოს ეუბნება:

— ეს ყველას თავსაა, დედა. ამას ვერავინ გაექცევა, არ ვიცი როგორ აგიხსნა.

ფანჯრიდან მკრთალი შუქი შემოდის, კარმენის სახე ჩრდილშია. როცა ლაპარაკობს, პირის ადგილას შავი ღრმული უჩნდება.

— ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა.

მარიო თავისი ღონიერი, მზემოკიდებული ახალგაზრდა ხელებით ეყრ-დნობა მუხლებს.

— ქვეყანა იცვლება, დედა, ეს ბუნებრივიცაა.

— ცუდისკენ, შვილო. ყოველთვის ცუდისკენ.

— რატომ ცუდისკენ, უბრალოდ, ჩვენ მივხვდით, რომ ყველაფერი ის, რაზეც უფიქრიათ საუკუნეების მანძილზე და რაც მერე მემკვიდრეობით გადმოგვეცა, ყველა და ყველაფერი როდია მისაღები, ზოგიერთი მათგანი სულ არ ვარგა, დედა.

კარმენი წარბშეკრული უცქერს მას.

— არ მესმის, რისი თქმა გინდა.

ჩვეულებრივ საუბრობენ. მარიოს ეტყობა ძლიერ სურს, დედამ გაუგოს.

— ცოტა სხვებსაც უნდა დაუგდო ყური, დედა, აი რისი თქმა მინდა. ნუთუ არასოდეს შეგიმჩნევია, მაგალითად, რომ ჩვენი წარმოდგენა სამართლიანობაზე ხშირად საეჭვოდ ემთხვევა ჩვენს ინტერესებს?

კარმენს მზერა დროდადრო დაბნეული და მფრთხალი უხდება, მარიოს კი გულუბრყვილო და სიმხნევით აღსავსე.

— უბრალოდ, ვცდილობთ, ფანჯრები გავაღოთ. ამ ჩვენს უბედურ ქვეყანაში არასოდეს გაუღიათ ფანჯრები.

მარიო წითლდება. რცხვენია ცოტა არ იყოს. წამოდგება, საყავეს ხელში იღებს და ქურას აქრობს. მაგიდაზე ორ ფინჯანსა და საშაქრეს დებს, ყავას ასხამს და ერთ ფინჯანს დედას უდგამს. კარმენი გაუნძრევლად ზის, თვალები მოუჭუტია, თითქოს რაღაცას ათვალიერებს.

— არ მესმის თქვენი, — ჩურჩულებს ბოლოს, — ალბათ ჩემი გაგიჟება გინდათ, ძალიან ბევრს კითხულობთ.

მარიო ფინჯანს აწვდის.

— დალიე, — ამბობს დამაჯერებლად, — დალიე, სანამ გაცივდება.

კარმენი ნელა ურევს შაქარს კოვზით და სვამს. ჯერ ძალით წრუპავს, ტუჩები ისე მოუკუმავს, თითქო ეშინია არ დაეწვას, მაგრამ დარწმუნდება ყავა განელდაო, მერე სიამოვნებით სვამს. ყავის სმას რომ მორჩება, შვილს მიშტერებია, ლამობს ჩასწვდეს მას, როგორც უბრალო ბიოლოგიურ მოვლენას, როგორც თავის გაგრძელებას...

— შეუძლებელია, — ამბობს ბოლოს, — შეუძლებელია. ისეთივე ბავშვი დარჩე, როგორიც მაშინ იყავი, სკოლაში რომ დადიოდი, კარგად სწავლობდი და ვამბობდი ხოლმე, ეს ბავშვი ნამდვილი ბრძენია-მეთქი. შენ კი მპასუხობდი, დედა, მე ბრძენი კი არა, ფილოსოფოსი ვარო.

მარიო იმორცხვებს, დიდ ყლუპს მოსვამს, ყავა ნიკაპზე ჩამოსწვეთს. ჭიქას თეთრ მარმარილოს მაგიდაზე დადგამს, ხელით იწმინდავს პირს;

— არ გინდა, — ჩურჩულებს, — რატომ გინდა შეგვარცხვინო ჩვენი ვუნდერკინდული გამოხდომების გამო?

კარმენს გაკვირვებისგან თვალები უფართოვდება, გაოცებულია:

— ესეც არ მესმის, გეფიცები, — ამბობს, — იმ წლების გახსენებაც არ გინდათ, როცა უკეთესები იყავით. მამაშენი...

მარიო თავზე ხელებს იშვერს.

— ოხ! — ამბობს ირონიულად, — უკეთესები! ღვთის გულისთვის, დედა! წავიდა ის დრო, ყველაფერს იარლიყს რომ ვაწებებდით, ეს კარგია, ეს ცუდიო. ყავის სურნელსა და მსმენელის ყურადღებას მარიო ფიქრით გადაჰყავს ბარ „ფლორომში", სადაც ყოველდღე იკრიბებიან ის და მისი კურსელები, და რედაქტორობას უკეთებენ ბიულეტენ „აგორას". მარიო ხმას

უწევს. აიგზნებმ, სიგარეტს უკიდებს: — კარგები მარჯვნივ, ცუდები მარცხნივ! თქვენ ასე გასწავლიდნენ. არა? და თქვენც მორჩილად შეითვისეთ, იმის მაგივრად, რომ ღრმად ჩაწვდომოდით საკითხს. ყველანი ერთდროულად კარგებიც ვართ და ცუდებიც, დედა; მხოლოდ პირფერობას უნდა მოეღოს ბოლო. გესმის? უმჯობესია ამას დაეთანხმო, ვიდრე მთელი ცხოვრება კამათში გაატარო. ჩვენ ხომ „კომუნეროსების"* დროიდან მარტო იმას [illegible], რომ სმენას ვიხშობთ, იმას კი, ვინც ხმამაღლა ყვირის, რათა სმენა აგვიხილოს, გამოგვაფხიზლოს, ვიძევებთ და ვამბობთ, ბოროტების ხმა არისო.

შიშით უცქერის შვილს კარმენი. თვალები უმრგვალდება, სახეც ბრტყელი მოუჩანს ახლა. მარიო ხვდება, ფუჭია ლაპარაკი. ეს იგივეა, მოინდომო, კედელმა ნატყორცნი ბურთი შეისრუტოს, ან მიიწებოს, კარმენის სახე ამ კედელივით ბრტყელია და კედელივით ისხლიტავს ნატყორცნ ბურთს. სიჩუმე ჩამოწვა. კარმენი არ ბრაზობს, კარგ განწყობაზეა. გვერდით ოთახში დორო ფუსფუსებს. განათებული ეზო ივსება ხმაურით. ისმის ნამდინარევი ხმები, ნაგვის ყუთების რახუნი, ჭურჭლის წკრიალი. კარმენი ჯიუტად იქნევს თავს, თითქოს რაღაც აზრის განდევნა უნდაო და ამბობს:

— შენ თუ გეძინა, შვილო?

მარიო ყავას გამოწრუპავს, მერე ისე ხარბად ქაჩავს სიგარეტს, თითქოს სურს მთლიანად შთანთქოს.

— არა, — პასუხობს, — არ შემეძლო. უცნაურია, დავაპირებდი, თუ არა დაძინებას, მეჩვენებოდა, თითქოს ლეიბში ვიძირებოდი. თავბრუ მეხსმოდა. მუცელში ისე მივლიდა, როგორც გამოცდაზე.

კარმენს სახე ეძაბება. ჩამომჭკნარი კანი ეტკეცება ზედ.

— არა! — ყვირის ის.

ამ დროს საძინებელი ოთახიდან შემოდის დორო, დილა მშვიდობისაო, ამბობს ძიმქრალი ხმით. დერეფნის ბოლოს კარი ჯახუნობს, ვიღაცა ზარს რეკავს. ეს ვალენტინაა. მისი მოშვებული ნაკვთები და გამომწვევი ქერა კულულები აღიზიანებენ კარმენს. ვალენტინა მიდის მასთან და ლოყით ლოყაზე ეხება, ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ. ისინი კოცნიან ჰაერს, სიცარიელეს. ორივეს ესმის მხოლოდ ამ კოცნის ხმა, სითბოს კი ვერ გრძნობენ.

— ცუდად ხარ, მენჩუ, ხომ? ახლა მიხვდი რაც მოხდა? სულ ვერ დაიძინე?

კარმენი არაფერს პასუხობს. ვალენტინა აჩქარებს. რვას თხუთმეტი წუთი აკლია. მოდიან ბენე და ესტერი. ხუთშაბათის ჩაი გეგონება. ქალებს კარმენი ძალით მიჰყავთ სულის მოსახსენებელ წირვაზე. დაბრუნებისას სახლში აურზაური ხვდებათ, კარმენი წარსულზე ფიქრობს და ყველაფერი ძალიან შორეულად ეჩვენება. „ვერ წარმოიდგენ როგორ განვიცდი." „რა ახალგაზრდაა, გაზეთიდან გავიგე, სულ შემთხვევით". კარმენს ხელს ართმევენ, ქალები იხრებიან ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ. მათ ტუჩებს კოცნა ეზარებათ, თითქოს სძინავთ და მაინც განუწყვეტლივ კოცნიან და კოცნიან. ესტერი კარმენს „ელ კორრეოში" დაბეჭდილ ნეკროლოგს უკითხავს: „ღმერთმა გაცხონოს, კეთილო ადამიანო, შენ არჩიე..." კეთილი — ვისთვის? — ფიქრობს კარმენი „ჩვენს მატერიალისტურ ეპოქაში მარიო ღიას

* „კომუნეროსები" — მხედველობაშია ქალაქ-კომუნების აჯანყება 1520-1521 წლებში.

კოლიადო თავისი შრომითა და საქციელით..“ კარგი ნეკროლოგია, არა? „მადლობელი ვარ“. „კეთილი, ქვემოთ გელოდები“. „ღმერთმა აცხონოს“. „შენი ბრალი არ არის, კარმენ, მე შენი გულისთვის მოვედი“. „გმადლობთ, ბოსეჩუ, დიდად მადლობელი ვარ“. მოჩვენებებს დღეს დაბინდული, ჩავარდნილი თვალები აქვთ. ზოგი ენას ატარტარებს, ზოგი დუმს, „შეიძ[illegible] შე[illegible]დო?“ „მერე წამოწექი, მენჩუ, თავს მიხედე“. „რა თქმა უნდა“ [illegible] ცისფერი სვიტრი აცვია, მენჩუ და ალვარო ხალხში დაძვრებიან, ერთ ადგილას ვერ ისვენებენ „გულმა ასე იცის“. ვიღაცა ოხრავს: „ჩაროს არ დაელოდო, ენკარნასიონთან დარჩა“. „შენ არ წახვალ სასაფლაოზე? — არ გირჩევ, დამიჯერე“. „ბავშვებს თუ ეძინათ?“ მოჩვენებები მოდიან და მოდიან. „ბერტრან, იქნებ ქუჩაში მოიცადოთ? ხომ ხედავთ აქ განძრევის საშუალება არ არის“. „დორო, გთხოვ, უთხრა მელიფტეს და ყველა ამ ხალხს, სამზარეულოში გავიდნენ“. კარმენი თავს ხრის ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ და კოცნის ჰაერს, სიცარიელეს, ზოგჯერ თმას. „წარმომიდგენია, რა დღეში ხარ. შე საწყალო, ისევ არ შემიძლია დავიჯერო“. „ღმერთმა აცხონოს“. „მეც არ მჯერა. იმ საღამოს ჩვეულებრივად ივახშმა და გვიანობამდე იკითხა. აბა რას ვიფიქრებდი?“ სახლი მოჩვენებებს ველარ იტევს. „რა არის ეს ცხოვრება. როდის რა მოგივა არ იცი“, „გინდათ, ცოტა ხნით გარეთ გავიდეთ?“.

დამკრძალავი ბიუროდან ბიჭები მოვიდნენ. ჩოჩქოლმა იმატა. კარმენი, მარიო, ვალენტინა და ესტერი გარბი-გამორბიან, აჯახუნებენ კარს. ზოგი დაგვიანებული მოჩვენება აყოვნებს კარმენს. „სულ შემთხვევით გავიგე, გაზეთში წავიკითხე“. „გმადლობთ, იხინიო“. იხინიო ოიარსუნი და მეაფთიაქე არონდე დერეფანში დგანან. იხინიოს პალტო არ აცვია, თუმც დილაა და გრილა. კაბინეტიდან ოხვრა და ტირილი ისმის. „რა კეთილი იყო, ვინ წარმოიდგენდა ამას, ერთი წუთია ჩვენი ცხოვრება“. იხინიო ოიარსუნი მოიანოს რაბინისებრი წვერით დაფარულ სახეს უყურებს. არონდეც მას მიშტერებია. ის მოიანოსკენ იხრება და ყურში უჩურჩულებს, რევოლუციონერიაო. ხა, — ნაძალადევად იცინის ოიარსუნი. მერე ჩურჩულებს: „ვიცი მე ეს რევოლუციები, ჩემი მოსპობა უნდათ, რომ მერე, ჩემი ადგილი დაიკაონ. ვიღაცისთვის რევოლუცია ხელსაყრელია, მაგრამ ვიღაცისთვის მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ყველანი უსირცხვილონი ვართ“. „გულმა ასე იცის“. „ალსარების თქმაც ვერ მოასწრო“. „საწყალი!“ მოიანო თავს მოაბრუნებს. თვალები ამონამული აქვს. შავი სვიტრი აცვია უპერანგოდ. ხვანჩი ნერვიულად ადი-ჩადის. აფსუს რა პატიოსანი კაცი მოკვდაო, ეუბნება აროსტეგის. ამ დროს ტანმორჩილი ოიარსუნი ფეხისწვერებზე იწევა და არონდეს მკვახედ მიაძახის: „პატიოსანი? ხა, ეს კაცი პატიოსნებისათვის კი არ იყო პატიოსანი, არამედ ჩვენთვის სურდა მოეხალა პირში, უპატიოსნონი ხართო. ნამდვილი ტარტიუფი გახლდათ. მოიანო მოთმინებიდან გამოდის:

— დამპალი ნაცისტი! — ეუბნება ოიარსუნს. ოიარსუნი უსხლტება არონდეს, რომელიც მის გაკავებას ცდილობს და ხმამაღლა ყვირის: „გამიშვით, ამ ტიპს ცხვირ-პირი უნდა დავალეწო, ოხ, მაგისი!...“

ვისენტე კაბინეტიდან გამოჰყოფს თავს.

— ჩუ! — ჩურჩულებს, — ძალიან გთხოვ, უკვე გააქვთ.

სიჩუმეა. კუბო ქუჩაში გააქვთ. კარებში წამით ჩნდება კარმენი. ის არ ტირის. სვიტრს იქაჩავს იღლიებთან. ვალენტინა მას მხრებზე ხვევს ხელს და იხუტებს.

□

# ფელიციტას ფრიშმუთი (გერმანელი პოეტი ქალი)

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა მედეა კახიძემ

### საქმიანი ლირიკა

ძველი უხსოვარი დროიდან
ჩვენთვის კარგად ცნობილი
შორეული კომბინაციები
რომელიც ყოველმა ბავშვმაც კი იცის
ღრუბლები, ცა, მთები
ტაფობები, ნაკადულები,
კლდეები, ხეები, საძოვრები,
იალაღზე შეფენილი საქონელი,
ლობეები,
სამხედრო სათვალთვალო საგუშაგოები,
აკრძალული ადგილი,
რკინიგზა, რომელიღაც ქია,
ავტოტრასა თუ
თვითმფრინავის საფრენი ბილიკი
ყველაფერს ვიმახსოვრებ
ოღონდ ვიმახსოვრებ
ამაოდ, უსაფუძვლოდ.
ცოდვები
თითქოს ჩემს მეორე ცხოვრებასაც
უნდა გასწვდეს
უთვითმფრინავოდ ცა თითქმის
დაცარიელებულია.
მაინც ხმაური გაწუხებს,
რომელსაც უფრო საომარი ხმა აქვს,
ვიდრე ომის დროს.
მაგრამ ეს ხომ ომი არ არის.

### რაღაც უნდა ვიღონო

რაღაცას ვსაქმიანობ,
არ მინდა რომ
დრო თვალსა და ხელს შუა გამეპაროს,
დრო კი მიჰქრის,
ვაგროვებ დამამტკიცებელ საბუთებს,
ერთი სახლი მახსენდება,
ჩემში რაღაცა ჯიუტად უჯანყდება
გაუფასურებას,
ასეთი ჰოჭმანით მოვევლინე ამ ქვეყანას
ჩვენ ვცდილობთ გამოვიცნოთ
დღევანდელი და გუშინდელი დღე,
თუ საიდან მოვევლინეთ ამ ქვეყანას.
ჩვენ ვეძებთ თბილ ქარისგან
მომყუდროვებულ ქუჩას,
რაღაც წამით შევავლე თვალი ზღვას,
მის გრძელ ჰორიზონტს.
საპიროა ახლად ამოჩენილ
საგნებთან მიჩვევა.
ახალი კონტრასტებისადმი მიჩვევა.
დიდი ოცნება,
პატარა შესაძლებლობა.

### ტალღოვანი პეიზაჟი

მაგნიტური ველები
სინამდვილის სხვადასხვა
ფორმით გამოვლინება.
წარმოსახვითი ბინა,
სკოლის გზისკენ მიმავალ ქუჩებს
თავთავიანთი სახელები აქვთ.
ფერებს ვაკვირდები,
ფერებზე ვფიქრობ,
უნდა ილოცხლო,
ზეგავლენა მოახდინო,
თვითონ განსაზღვრო უნდა ყველაფერი,
სინამდვილე მძაფრად მიტევს,
სინამდვილეს ნელ-ნელა ვსწავლობ,
გონება მაშინ გამინათდებოდა კარგად
ყველა საგანი ხომ სიტყვა ყოფილიყო,

როცა ამას ვწერ ქალაქში არა ვარ,
სოფლად ვიმყოფები,
წყალგალმა წყლის პირას ნავი ნანაობს,
პოლიტიკოსის მუქარის ხმა ისმის,
კაცმა შეიძლება ტბას შემოუაროს,
ჯებირს მივყვები,
როცა ზევით ავიხედე,
თავს ზემოთ ხოხობმა გადამიფრინა.
ვხედავ ყვითელ ვედროს,
წითელ ტაშტს,
ჭიქას, ქვაბს, ჯაგრისს,*
ქვას
და ორ წითელ მელიის კუდს.
ფრაუ კორტმა თავი მოიკლა,
ორშაბათს თვალის ექიმთან ვარ
დაბარებული.
სულ ერთი წამით გამოჩნდება ქენევის
ტბა.
ერთი მკვლელობა მახსენდება,
ტრაპი, თითქმის მძინარე წყალი,
სანაპიროზე, ბულვარზე რომ კაფეა
სასმელებს მაშასისხლად ყიდიან.
დაე დამივსონ ორთავ თვალი!

## მოდი

დარჩი ან წადი,
იხტუნე, იხტუნე-მეთქი,
ირბინე,
ხომ გეცნობა ეს მიწა-წყალი,
შენი მიზანია
ქედი, ძველი ლობე,
ლობის ნაგლეჯი,
ნიშანსვეტები,
ამინდი,
რომელიღაც სხვა ამინდი,
რომელიც შენც შეგიცავს.
არავითარი შიში,
წრე შემოვარტყით ჩვენ ამ ადგილს
და ყველა საგანს, რაც აქ არის.
ამ ადგილს რომ სახელი დაარქვა
ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მას
დაეპატრონე.

## ნავსაყუდელი

შუა ზღვაში კუნძული ამოყვინთავს,
კუნძულის მარჯვნივ და მარცხნივ
მდგარი სახლები იძირება.
შენ ასეა თუ ისე ყაზარმაში ცხოვრობ,
რომ ჩვენ ასე თუ ისე
თვითონ ვქმნით სიძნელეებს,
ძარღვები, სარკმელები,
კუთხეში მიგდებული ძვლის
სავარცხელი,
კედელზე დაკიდული ნიანგი,
უბრალოდ უნდა განერიდო, გაიქცე,
ფიქრი,
მოსაგონარზე ფიქრი,
მოსაგონარი სახსოვარი.
აქ საუბარია საცდელ წინადადებაზე,
აქ საუბარია საცდელ დღეზე.
აქ საუბარია საცდელ ღამეზე.
აქ საუბარია საცდელ მატარებელზე.
აქ საუბარია საცდელ მოგზაურობაზე.
აქ საუბარია საცდელ მგზავრობაზე.
აქ საუბარია პირველ ნაბიჯზე.

## სიცოცხლის ნიშანი

თოვლი დავგლიჯოთ,
გულიც გავგლიჯოთ,
მსურს შენს თვალებში ჩავესვენო
მძიმედ, მძიმედ, ძალიან მძიმედ,
მკაფიოზე მკაფიოდ!
ნათელზე უფრო
ნათლად ვწერ,
ფოთლოვანი ჩუქურთმები
თავში მეზრდებიან,
ფოთლოვანი ჩუქურთმები ყოველ
წელიწადს
უკან ბრუნდებიან,
სიცოცხლის ნიშატი
ასე მერყევია,
ასე იდუმალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### როცა გზაზე არავინ დადის

გზას ბალახი მოედება,
როცა ფეხი არ ხვდება გზას,
გზას ბალახი ფარავს.
გზა იფარება
თვალთუხილავი მტერით,
განა ეს მნიშვნელოვანია?
როცა რაღაცაზე ვუთითებთ
არ ვიცი ხელის და თითების მოძრაობით
ვინ ვის ბაძავს,
რა საუცხოოა როცა გაქვს
მიბაძვის შესაძლებლობა,
საუცხოოა გაიხსენო
მეთორმეტე საუკუნის
მიხვრა-მოხვრა,
გაიხსენო რომელიმე გამოთქმა ალერსი,
ყვავილები, რტოები,
სინათლე, წყალი, ნანგრევები, მთები,
სახეტიალო ბილიკები,
ადამიანები,
ბავშვი დაეცა.
ყოველდღიურად მეტისმეტად
ბევრს შევიმეცნებ,
ოღონდ იმას არ ვიძენ,
რაც საჭიროა.

### მეზობლის თავაზიანი ბოდიშები

დამავიწყდა როგორი მწვანეა
და ვრცელია ქალაქი,
დამავიწყდა ქალაქი როგორი
ვრცელია და მწვანეა,
თვალდახუჭულმა უნდა იპოვო ქუჩა,
მიაგნო მატარებელს,
რაც გაგაჩნია ყველაფერს უნდა
ჩამოხვიდე,
დაუკრა, დაგავო,
ნაგავი კი გარეთ გადაყარო,
ნარჩენები გამოაცალკევო.
იკითხო,
ფრთხილად მორწყა ყვავილებით
მოჩითული მიწა,
ვინმეს დაუკაკუნო.
ორ ხეს შუა მდებარე სივრცე მთას
გამოაცალკევებს,
ორ მთას შორის მყოფი სივრცე კი
ხეს გამოაჩენს,
ეს დაუჯერებელია, მოზღაპრულია,
ეს მხოლოდ ფიქრებში შეიძლება
წარმოიდგინო,
მასალა დაზოგული
სკამი, მაგიდა [illegible] კარადა,
ზარალი,
მასალა გადარჩა
არც ისე დიდი დანაკლისია,
ადამიანები უკლებლივ დაიღუპნენ,
ზარალი მცირეა.

### ტყე

ტყის ბილიკი, წიწვები,
ნაძვები, ფიჭვები,
როცა ის ტყეში მიდის
ყოველთვის თან რაღაც მიაქვს.
მუხები, ბლის ხეები, კაკლები,
გვირილები, ქოლო,
მოპედი, თაგვის სოროები,
ბავშვები დაბანაკებულან ტყის პირას,
ბალახზე ველოსიპედი აგდია,
ქვიშაზე საბანი დევს,
ტბის მისადგომი ბალახით დაფარულა,
ქათმები, ფარშევანგები, მამლები,
მტრედები,
კალიები და მიწიდან ალგვილი ტომები,
გაეძვერით მავთულხლართებში,
ერთი ყვება სპორტზე,
თუ როგორ უნდა დამუშავდეს
მორბენალისთვის სარბენი ბილიკი.
ხმელეთზე ორი კაცი ნავს თლის,
ჰაერი ტალღებივით მიმოიქცევა.
მე ვეჭიდებოდი,
საყრდენს ვეძებდი,
არ მსურდა უსასრულობაში
გავმქრალიყავი.

### ფულს დაუდევრად ვფლანგავ

ფულს დაუდევრად ვფანტავ,
არ ვიცი ფულის ყადრი,
სამგზავრო ბილეთი შემეძლო სამ
მარკადაც მეყიდა.

მე ჩემს საკუთარ გზასავალზე
მივდივარ,
კარებს ვაღებ,
მუსიკას ვუსმენ,
ოფიციანტი ქალი სიგარეტს აბოლებს,
ბედნიერებისგან რეტი დამესხა.
ასე ადრიანად, შუადღისას
ბარში ყველა სკამი დაკავებულია,
ყვავილების თაიგული მთლად გაიბოლა,
საარბრიუკენის გაზეთს ვყიდულობ,
გაზეთში ერთი შეცდომა ვიპოვე,
მატარებელი მოდის,
მატარებელი უხვევს,
მე ადგილიდან წამოვვარდები,
ვჩქარობ,
არაფერი არ მინდა გამომეპაროს,
თავს ვინერვიულებ უაზროდ და
ტყუილუბრალოდ,
თორემ მივხვდებოდი
რა აგია და რა ზედმეტი
ეს ყველაფერი: ეს სიხარული,
ეს ჩუმი და ყალბი ერთსულოვნება,
ეს მარცხი,
ეს გაუგებრობა,
ეს უმწეობა და გათიშვა.
ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარ თავს
გამოვუტყდეთ,
რომ ერთმანეთისთვის უცხონი
დავრჩით.
ჩვენ ხომ ამ ხნის მანძილზე
ერთმანეთისთვის
სახელითაც კი არ მიგვიმართავს.

## გამჭვირვალე სახლი

ნისლმა,
საყვარელმა ნისლმა
მომკვეთა ხელ-ფეხი,
მთანთქა მრავალი ტოტი,
ყოველდღიური სახლი,
რომლის პატრონებაც არსად არ არის.
მე ხელს ვუქნევ
ხის ზემოთ, ხის ტოტების ქოლგაში,
ხის კენწეროში,
ხის გვირგვინში მჯდარ ადამიანთა
აჩრდილებს,
ეს ორი ხვრელი — ორი სარკმელია,
ნისლი შთანთქავს მოძრაობას და
ხმაურს,
ნისლი შეაჩერებს სრულიად
[illegible],
გრაფიკონებს და მხატვრებს
სატვირთო მატარებელმა ის[illegible]

თითქოს ხავერდზე [illegible],
ჩემი საკუთარი [illegible] უხმაუროდ.
ავტომანქანა ისე ნელა მიდის გზაზე
როგორც ჩემი ლოდინი,
როცა შენს გამოჩენას ველოდი ხოლმე
ერთ დროს ხალხში
და მხოლოდ და მხოლოდ
საზოგადოებაში,
მუხნარის გზა, ხეთა მწკრივები,
ჩამწკრივებული გლეხები,
გზაზე წაბლი სკდება,
ხიდან წაბლი ცვივა,
კლინკერის ქუჩაზე სხეულებია,
ცხოველთა სხეულები
მეფის თათებიანი ასულივით
გზივარ მინდვრის სასახლეში,

ბალახი ოთახში შემოდის.
აქედან რომ წავიდე
ჩემზე მაღალი ბალახი გაიზრდება.
ნისლთა ზღაპარი
ამის მიღმა შეიძლება დაინახო.
წამება მყავს ჩასაფრებული,
ნისლის ბურუსი ნთქავს, სატვირთო
მატარებელს,
ცხენებს, ექსპრესს, ორთქლმავალს,
შენ ეკლიან მავთულებს, ლობეებს.
მე და შენ,
ახლა საცაა ირიჟრაჟებს
და ნისლი ქარს მოიყვანს.

## წარმოიდგინე რომ ლამპა პროჟექტორია

წარმოიდგინე, რომ შპალერი ტყეა,
მინდორში ნაწვერალი ამოიწვერა,
საჭიროა ერთადერთი წინადადება,

მხოლოდ ერთადერთი გასაგები
[illegible] წინადადება.
ხეებიც საერთო წესს ემორჩილებიან.
ირგვლივ მხოლოდ ყვავილებია,
მხოლოდ გალავნები,
მხოლოდ კოშკები,
მხოლოდ შესასვლელები,
მხოლოდ გამოქვაბულები,
მხოლოდ კედლები,
მხოლოდ სამკაული,
მრავალ პრობლემებზე
კეთილსინდისიერად რომ
ჩაფიქრებულან.
დილით კი რჩება მხოლოდ
სიზმარეული ხატება,
ნათელი სიზმარეული ხილვები,
ისინი მიდიან სვენებ-სვენებით,
რომ საზღვარი გადალახონ.
მათ ეკრძალებათ საზღვრის გადაბიჯება,
საზღვართან ახლოს მისვლა.
ჩვენ ვისწავლეთ, რომ
არსებობს სახიფათო საზღვარი.
რატომ?
ქვეყნის საზღვარი, ან სხვა
რაიმე საზღვარი
საკმაოდ ბევრია
და ეს არ არის სიზმარში აღმოჩენილი.

## დაუფიქრებლად

სხვათა და სხვათა ბიოგრაფიები
მიზიდავს,
ის ცინცხალი წარსული დავკარგე
ვითომ მე რომ მეკუთვნოდა
და რომ არასოდეს ყოფილა ჩემი
კუთვნილება.
დაუგეგმავი განზომილება.
ახლავე ვიცი
რა უნდა დავკარგო,
რა უნდა ვიგლოვო,
დრო გრძელდება,
საბურველში ეხვევა,
შედეგები მოჰყვება შედეგებს.
რასაც დავკარგავ,
რის შენარჩუნებასაც ვერ შევძლებ,
შევსანსლავ, შევჭამ
და ჩემი სხეულის ნაწილად ვაქცევ,
ვისისხლხორცებ
მტაცებელ ფრინველთა ნარწყევს,
გავივსები და [illegible]
მდელოებით, ტაფობებით, საძოვრებით,
დაბლობებით, [illegible]
[illegible]ბილებით,
ბაკებით, შელანძღული თოვლით და
გაქვავებული ყინულით
და ხეებით.
დაკონკილი ძონძები,
დაკონკილი სილამაზე
ყელში მეჩხირება,
ჩემი სხეულის გაჩენილობა,
ჩემი განფენილობა,
სხვების ბიოგრაფიები,
დაბადების ადგილები, საქმეები,
წინადადებები მახსენდება
დამშეული, ხარბი და გაუმაძღარი.
ვიორმაგებ, ვიმრავლებ
საკუთარ თავს,
უსასრულობას და ბოროტმოქმედებას
ვეჭიდები, ასე შეიძლება
რომელიმე ადგილს ბრჭყალებით
ჩავებღაუჭო
ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ
გავსკდები,
გამრავალკეცებული არ დავქუცმაცდები,
არ გავიხლიჩები და არ დავიშლები,
მაგრამ უმალ ნახევებს მივაკერებ
ერთმანეთს
ან დროებით სხვა ვილაც ნახევებს
მიაკოწიწებს
როგორც რომელილაც სურათს.

## ეს ხომ შესანიშნავი იქნებოდა

ძეგლების დათვალიერებას თავი
ავარიდე,
მართლა სასოწარკვეთილებას ხომ არ
უნდა მივეცე.
საკუთარი თავის კირკიტს უნდა მოვეშვა,
შემიძლია დავწუწნდე
და თავი ვიმართლო.
მე ვთვრები, მე ვიხრჩობი,
მე ვჟურჟუმელაობ საგნებში.

ბუნება და საგნები მძირავენ.
ასეთ არაფრის მაქნის ადამიანს
საგნები მინარჩუნებენ სიცოცხლეს,
ბუნებაც მასულდგმულებს.
მაღლა მთაში ორმოცდაათიოდე მეტრის
გასადევარზე გზა მებნევა,
უკაცრიელ შენობას მივადექი,
არ ვიცი სად მოვხვდი, მეშინია,
ქვემოდან ამოსული ხმები მწვდება,
მე მეცნობა ეს მხარე,
არც ისე შორს წავსულვარ,
არ დავიკარგები,
მოგვიანებით რუკაზე ვკითხულობ
პოლიგონი, ტირი,
ვინმე სხვა უჩემო ჯიქურ გადაივლიდა,
ისიც დაინახავდა ძეგლებს,
ყველაფერს დაინახავდა, რისი
დანახვაც
იქნებოდა საჭირო,
არც მას ეშინია არაფრისა.
იქნებ ექსკავატორი და ტრაქტორი
მოგიყვანო,
იქნებ ახლებურად დავგეგმო აქაურობა,
ეს შესანიშნავი იქნებოდა,
მაშ ასე
ფიქრები დავაგე შენს წინ
და შენ შეგიძლია ამ ფიქრების
ზედაპირზე გაისეირნო.
იქნებ გააცოცხლო კიდევაც
დამზრალი მდელოები,
ფიქრის ზედაპირი უფრო მყარი
ხდება,
ფიქრებში უკან დასახევი გზა არ
არსებობს,
ძეგლებს ავცდი,
ხელიდან გავუშვი კარგი შემთხვევა,
ყველაფერს, რაც ჩემთვის ნაცნობია,
მე უცხოდ გარდავქმნი!

## ბალახში სხვაგვარად დავაბიჯებ

ბალახში სხვაგვარად დავაბიჯებ
ვიდრე ასფალტზე,
ჩვენ ვბორძიკობთ,
ბალახის ბუჩქებზე ვბორძიკობთ,
იმაზეც ვბორძიკობთ, რაც
თვალთუხილავია,
ამოვგლიჯოთ, მოვიცილოთ,
მოვიშოროთ მანამდე, ვიდრე
ჩვენ მას დავაკვირდებოდეთ,
შევამოწმებდეთ, სასარგებლოდ
ჩავთვლიდეთ.
თუ გინდ ზოგჯერ თავი ლამაზადაც
მოგვაჩვენოს.
მეორე კიბის მონაკვეთზე ჩავდივარ,
ფეხს რბილად ვადგამ,
გათბობის გაყვანილობა ფეხს მითბობს,
ცხელი ფეხი ცივ ფილაზე შევდგი,
თვალები ამემღვრა.
და უცებ ჩვენს შორის ქედი წარმოიშვა,
საწოლში ნაოჭი გაჩნდა
და უეცრად ანკეტამ გადმომანთხია,
ყველაფერი წამოვკრიფე,
ზურგჩანთას წიგნებით ვტენი,
სარდაფში უამრავი ქაღალდების
გროვის ქვეშ
მკვდარი წევს,
უამრავი განცხადებების,
თარგმანების, კატალოგების,
აფიშების, შეტყობინებების
ქვეშ ადამიანის გვამია,
მე განურჩევლად ვიღებ წიგნებს
და ჩანთაში ვყრი.
„სიტყვა მაინც
თავწყაროა“
ეს მიორიკეს ციტატაა,
ქუჩაში წიგნები ყრია.

## ლობიები რომ არ არსებობდეს

შენს ბაღზე რკინიგზა გადის,
ხიდზე ჩვენ წონასწორობას ვიცავთ,
როცა დაბრკოლებას წავაწყდებით
ვმსუბუქდებით,
ჩვენ ცხენს ხის ფეხსაცმელებს
ვაცმევთ,
რომ არ ჩაიძიროს,
კარს ვეჯაჯგურები,
უკვე ოთახში ვარ,
მშვენიერია, ძალიან კარგი ოთახია,
ოთახში საწვავის სუნი დგას.

მე ჩემს მეგობარს ვუღიმი,
ის მეუბნება —
კარგი აქ დავრჩეთ,
ჩემს კუთვნილ მდელოზე ორი ცხენი
დასეირნობს,
ეს მდელო ცოტა ხნით მე მეკუთვნის,
შემიძლია ნახევარიწლით
დავისაკუთრო,
დრო და სივრცე ფეხაწყობილად მიდიან,
მაგრამ ყოველთვის ასე არ
გაგრძელდება
ეს მხოლოდ დროებითია,
სხვა ცხოველები არ ჩანან,
ისინი ან თხრილებში წვანან
ან მიწაზე სხედან,
მე არ ვიცი გიყვართ თუ არა
ცხოველები,
გამიგებთ თუ არა
და მაინც შეიძლება
ღობეებს შორის ორნი რომ
დაბალახობენ
ადამიანები იყვნენ,
რადიოს ვრთავ,
ის ადამიანური იყო —
ამბობს ვიღაც ქალის ხმა,
რადიოს იმ წუთსავე ვთიშავ,
რუხი ცხენი მდელოსავით უფერულია.

## დღევანდელობას უნდობლად ვუყურებ

დღევანდელობას თავს ვარიდებ,
ეს რას ჰგავს?
აქ სათაურები ტქლია,
ეს საქმე როგორ უნდა მოგვარდეს,
ბოროტება არ უნდა ჩაიდინო,
არ უნდა მოკლა
მცირე და დიდი წარსული,
არც ფულმა უნდა წაგიცადუნოს,
პატარა სასაფლაოზე
ერთად შეკრებილი ჭირისუფლების
გუნდი
უფრო დიდად მოჩანს ვიდრე
სინამდვილეშია.
განა სნეულნი ვართ
რაკი შეგვიძლია გამჭვირვალე ნისლის
წარმოდგენა.
ეს კაცი მთელი თავისი სიცოცხლე
ხმამაღლა გაჰყვიროდა,
კი არ გაჰყვიროდა, ღრიალებდა,
პლატლინგში გვ[illegible]
ძილს.
უცხოებისთვის ოთახს,
ტახებისთვის მოლობილ ბაქს,
ღამისთევა რაინზე.
გემზე ვიქირავე ოთახი,
მსუბუქად ირწევა კაიუტა,
ყველამ იცის, რასაც ნიშნავს
წარმატება.
რომ იცოდეთ
წარუმატებლობა
უფრო საინტერესოა,
ლამაზი და ფართო გზაა.

## ავტობუსში

ზამთრის პირზე ყველაფერი
გამჭვირვალეა,
ფანჯარაში ვაპარებ თვალს,
ხელს გადავყოფ
ირიბად ჩასმულ ფანჯარაში
და ფანჯარას მივაპყრობ მზერას,
ირიბად ჩასმულ ფანჯარაში
ველოსიპედისტი ქალი ირეკლება.
დაღლილობისგან თვალებს ვერ ვახელ,
რადგან მატარებელში ღიღხანს მეძინა,
მგზავრი თვითმფრინავში
და მატარებელში
ისე უნდა დაოკდე ძილით,
რომ ძილი აღარ მოგინდეს,
სად მოვძებნო პაწაწა ადგილი.
— ეს არ შეიძლება მართალი იყოს,
— ეს ჭორია, ტყუილია,
— ამას ვიცი, რომ ფასი არა აქვს,
— რასაც გულისხმობთ იმაზე მეტად
საჭირო იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი გაჩერებით ადრე ჩამოვედი,
ორი ბოთლი ლუდი ვიყიდე,
სამჯერ დავხედე საათს,
ერთხელ კიდევ ვიკითხე,
მერე უფრო დიდხანს ვისაუბრე,
რათა უფრო მშვიდად მეგრძნო თავი.
ზამთრის პირის გადასახედიდან
თვალსაწიერი ამოქოლილია.
მან ეს ვერ უარყო,
ვერ გამეწინააღმდეგა,
მე მისი თავიდან მოშორება მინდოდა,
ვიცოდი რომ ძვირი ღირდა
და მაღაზიებშიც თავისუფლად არ იყო
გამოფენილი,
თუმცა მე კი იაფად მქონდა ნაყიდი,
მით უფრო დიდი სიამოვნებით
გავაჩუქე,
მე კი არ დავიტოვე, უცხოს გავუბოძე,
თავად შენც ხედავ, როგორ გავეცი,
ხედავ მე ის გავაჩუქე.

□

# ერნესტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი

## კომპოზიტორი გლუკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა ლია თაქთაქიშვილმა

გერმანული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის ე. თ. ა. ჰოფმანის წინამდებარე მოთხრობაში მკაფიოდაა გამოხატული მწერლის შემოქმედების ძირითადი თავისებურება-სინამდვილის ე. წ. „კალოსეული მანერით" ასახვა, რაც ცხოვრებისეული, რეალური მომენტების ფანტასტიკურ-გროტესკული სახით წარმოჩენას გულისხმობს, როგორც ეს მე-17 საუკუნის ფრანგი მხატვრის — ჟაკ კალოს ფერწერული ტილოებისთვისაა ნიშანდობლივი. ამ მოთხრობაში მწერალი „ოცნებათა სამეფოდან" გამოიხმობს დიდი გერმანელი კომპოზიტორის — გლუკის აჩრდილს და ამით მისი თანამედროვე ბერლინის ფილისტერულ საზოგადოებას მიანიშნებს, რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი ხელოვანის არსი, მისი ბედის ტრაგიზმი.

გვიან შემოდგომას ბერლინში, ჩვეულებრივ, დარიანი დღეებიც მოჰყვება ხოლმე. სწორედ ასეთი დარი დგას ახლაც: მზე ალერსიანად იმზირება ღრუბლებიდან და სწრაფად აორთქლებს ქუჩებში მონაბერ თბილ და ნოტიო ჰაერს. უნტერ დე ლინდენის გავლენით ფირგანტენისაკენ ადამიანთა გრძელი რიგი მიემართება. ვის არ ნახავთ აქ: ფრანტებსა თუ საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილ სასეირნოდ გამოსულ ბიურგერებს ცოლებისა და საყვარელი პატარების თანხლებით, სასულიერო პირებსა თუ იუდეველ ქალებს, რეფერენდარებს, მეძავებსა თუ პროფესორებს, მკერავებს, მოცეკვავეებს, ოფიცრებს... კლაუსისა და ვებერის[1] კარავი სწრაფად ივსება ხალხით. „სტაფილოს კაფე" თამბაქოს ბოლში გახვეულა. აქ ფრანტები სიგარეტს აბოლებენ, თან მუსაიფობენ ომსა თუ მშვიდობაზე, დავობენ, რა ფერის ფეხსაცმელი შეიძინა მსახიობმა ქალმა მადამ ბეთმანმა — რუხი თუ მწვანე, კამათობენ აგრეთვე დახურულ სავაჭრო სახელმწიფოზე თუ ძნელად აშოვენ გროშებზე და კიდევ ვინ იცის რაზე არა. ვიდრემდე ყველაფერი ერთ-

[1] კლაუსი და ვებერი — ბერლინური ტირგარტენის გასართობი ადგილების (კარვების) მფლობელთა გვარები.

ბაშად არ აირ-დაირია ოპერა „ფანშონის" არიაში, რომლის აშლილმა ქნარმა, რამდენიმე აუწყობელმა ვიოლინომ, ჭლექიანმა ფლეიტამ და სპაზმატურმა ფაგოტმა საკუთარი თავიც გატანჯეს და მსმენელებიც. მოაჯირთან, რომელიც ვებერის სამფლობელოს შარაგზისაგან აშორებს, რამდენიმე მომცრო მრგვალი მაგიდა და ბაღის სკამი დაუდგამთ. მოსეირნენი აქვე ჩამომსხდარან და სუფთა ჰაერს ყლაპავენ, თანაც თვალს წყალს ალევინებენ, გამვლელ-გამომვლელებს ათვალიერებენ, უნდათ განერიდონ იმ დაწყევლილი ორკესტრის კაკაფონიურ ღრიალს. მეც აქვე სკამზე ჩამოვისვენე და ფანტაზიის მსუბუქ თამაშს ავყევი. ფიქრებმა წამიღო, თითქოს ახლობლებს ვებაასებოდი მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე და საერთოდ ყველაფერ წმინდათაწმინდაზე, რაც კი შეიძლოა გააჩნდეს კაცს. ჩემ წინ ხმაურით მიღელავს მოსეირნეთა ჭრელზე ჭრელი მასა, მე კი არაფერი მაშფოთებს, არც ვინმეს ძალუძს დამიფრთხოს ოცნებით შექმნილი საზოგადოება. მაგრამ მოულოდნელად ზმანებების სამყაროს მომწყვიტა ტრიოს მიერ უკუღმართულად შესრულებულმა ერთობ უსახურმა ვალსმა. აი, ახლა ვიოლინოსა და ფლეიტის გამყინავი დისკანტი და ფაგოტის ძირითადი გაბზარული ბასი ჩამესმის მხოლოდ. ეს ხმები ხან აიწევენ, ხან დაიწევენ და მტკიცედ მკვიდრდებიან ყურთასმენის წამღებ ოქტავებში. მეც ველარ მოვითმინე და სნებაშეყრილივით უნებლიეთ ვიყვირე:

— რა საშინელი მუსიკაა, რა საძაგელი ოქტავები!

ჩემს გვერდით კი ამ დროს ვიღაცა ბუტბუტებს:

— დალახვროს ეშმაკმა! კვლავ ოქტავების მოძულეს ვხედავ!

თავი ავწიე და მხოლოდ ახლაღა შევამჩნიე, რომ ჩემს მაგიდასთან ადგილი ვიღაც მამაკაცს დაეკავებინა უჩუმრად და გაქვავებული მზერა ჩემკენ მოეპყრო; მეც უნებურად მისთვის თვალი ვერ მომეწყვიტა.

ეგრე ღრმად შთამბეჭდავი პირისახისა და გარეგნობის კაცი ჩემს დღეში არ მენახა. ოდნავ მოღუნული ცხვირი მიჰკროდა ფართოდ გაშლილ შუბლს, რაზეც ალაგ-ალაგ კორძები აჩნდა, აბურძგნულ მონაცრისფრო წარბებს ქვემოთ კი ბრწყინავდნენ ლამის ველური, ჭაბუკური ცეცხლით ანთებული თვალები (კაცი კი ასე ორმოცდაათზე მეტი ხნისა იქნებოდა). ნაზად მონაკვთული ნიკაპი საოცარ კონტრაქტს ქმნიდა მოკუმულ პირთან. ჩაცვენილ ლოყათა უჩვეულო ათამაშებით გამოწვეული, გესლიანი ღიმილი თითქოს აჯანყებოდა მის შუბლზე მოფენილ ღრმა და შავნაღვლიან სიდარბაისლეს. ჩამოგრძელებულ ყურებზე ნაცრისფერი კულულები დაჰყროდა. მისი ახოვანი და გამხდარი სხეული მეტისმეტად განიერ, მოდურ სერთუკში იყო გამოხვეული. როცა ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა, კაცმა თვალები დახარა და განაგრძო საქმიანობა, რომელიც, ეტყობა, ჩემმა წამოძახილმა შეაწყვეტინა. იგი ქაღალდის პარკუჭებიდან აშკარა კმაყოფილებით ჰყრიდა თუთუნს დიდ კოლოფში და წითელი ღვინით ასველებდა, ღვინით სავსე ბოთლი კი იქვე ედგა მაგიდაზე. მუსიკა შეწყდა. სხვაგვარად არ შეიძლებოდა, უთუოდ უნდა გამოვლაპარაკებოდი და ვუთხარი კიდეც: რა კარგია რომ აღარ უკრავენ, მუსიკა აუტანელი იყო-მეთქი.

მოხუცმა წამიერად ამომხედა და სიტყვის უთქმელად ბოლო პარკუჭიც გამოაცარიელა.

— ამას სჯობდა, სულ არაფერი მოგვესმინა, — ისევ მე ამოვიღე ხმა, — თქვენც ხომ ასე ფიქრობთ?

— მე არაფერსაც არ ვფიქრობ, — თქვა მან, — მაგრამ თქვენ, ვატყობ, პროფესიით მუსიკოსი და მუსიკის მცოდნე უნდა იყოთ.

— გეშლებათ. არც ერთი ვარ და არც მეორე. ისე ოდესღაც ფორტეპია-

ნოზე დაკვრასაც ვსწავლობდი და გენერალურ ბასსაც, ესეც ალბათ იმიტომ, რომ მათი ცოდნა კარგი აღზრდის საწინდრად ითვლება. სწავლებისას, სხვათა შორის მითხრეს, რომ არაფერი ისე საძაგელ ეფექტს არ ახდენს, როგორც დისკანტთან ერთად ოქტავებში შემავალი ბასი. მეც ეს აზრი ავტორიტეტულად მივიჩნიე და მას შემდეგ ყოველთვის ასე მჯერა.

— მართლა? — მან სიტყვა შემაწყვეტინა, წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით, დაფიქრებული გაემართა მუსიკოსებისაკენ, თან სივრცეს მიაშტერდა და შუბლი ისე მოისრისა, თითქოს რომელიღაც მივიწყებული მოგონების გაღვიძება სურდა. დავინახე, როგორ ესაუბრებოდა მუსიკოსებს, რა მბრძანებლური ღირსებით ეჭირა მათთან თავი. მერე უკან მობრუნდა და ის იყო დაჯდა, რომ კიდეც დაიწყო უვერტიურა ოპერისა „იფიგენია ავლიდში“. კაცი ანდანტეს ნახევრად თვალდახუჭული უსმენდა, ხელები გადაეჯვარედინებინა და მაგიდას დაპყრდნობოდა, ხმათა შემოჭრას მარცხენა ფეხის ნელი მოძრაობით აღნიშნავდა; აი, ახლა თავი მაღლა ასწია, სწრაფად შეავლო მზერა მიდამოს. მარცხენა ხელის თითები გაშალა და მაგიდაზე ისეთნაირად დადო, თითქოს როიალზე აკორდს იღებსო, მარჯვენა ხელი კი მაღლა აღმართა; ჩემ წინ კაპელმაისტერი იდგა, ორკესტრს რომ სხვადასხვა ტემპში გადასვლას მიუთითებდა. აი, მარჯვენა ხელი ძირს ეშვება და ალეგროც იწყება. მკრთალ ლოყებზე მგზნებარე ალმური ედება, დანაოჭებულ შუბლზე წარბები ეჭმუხნება, სულის ღელვა თვალებს ველური ცეცხლით უნთებს და ნახევრად ღია ბაგეზე ჯერაც მორიალე ღიმილს ერთთავად ნთქავს. ახლა იგი უკან გადაიხრება, წარბები უცნაურად ზევგრიხება, ლოყის კუნთები კვლავ უთამაშებენ, თვალები უბრწყინავს, ღრმა შინაგანი ტკივილი იფანტება ნეტარებაში, რომელიც ყველა ნერვს მოიცავს და კრუნჩხვებამდე ათრთოლებს. მერე ძლიერი, მკერდისმიერი სუნთქვა აღმოხდება, შუბლზე ოფლი წურწურით ჩამოსდის. იგი ტუტისა და სხვა ძირითადი ადგილების დასაწყისს მიანიშნებს. მარჯვენა ხელს ტაქტს აყოლებს, მარცხენათი კი ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და ოფლს იწმენდს.

ასე შეასხა ხორცი და ცხოველი ფერებით გააცოცხლა რამდენიმე ვიოლინოთი უვერტიურის ჩონჩხი. როცა ვიოლინოებისა და ბასების მიერ ატეხილი ქარიშხალი მიჩუმდა და დაფდაფთა ჭექაც მიწყნარდა, ფლეიტის ნაზი, გულისგამთბობი მოთქმა გავიგონე. ჩელოების და ფაგოტების წყნარად აჟღერებული ბგერებიც მომესმა, სულს რომ უსახელო სევდით ავსებენ; ტუტი კვლავ განახლდა, გოლიათური ძლევამოსილებითა და დიდებულებით მოაბიჯებს უნისონი, მისი შემმუსვრელი ნაბიჯები აცხრობს ყრუ მოთქმას.

უვერტიურა დამთავრდა. მამაკაცმა ორივე ხელი ძირს დაუშვა და ერთხანს ასე თვალებდახუჭული იჯდა, თითქოს უზომო დატვირთვამ ძალა გამოაცალაო. მის წინ ცარიელი ბოთლი იდგა. სახელდახელოდ ბურგუნდიული შევუკვეთე და სასმისი შევუვსე. მან ღრმად ამოიოხრა, სიზმრისაგან გამოფხიზლებულს ჰგავდა. დალევა შევთავაზე. სიამოვნებით დამეთანხმა და როგორც კი სავსე ჭიქა სულმოუთქმელად გადაჰკრა, წამოიძახა:

— ამ შესრულებით კმაყოფილი ვარ. ორკესტრმა მართლა ივარგა.

— მე მაინც მგონია, რომ ეს შესრულება მხოლოდ მკრთალი ანარეკლია ცინცხალი ფერებით შესრულებული პირველქმნილი შედევრისა, — ამოვიღე ხმა.

— მე მგონი, თქვენ ბერლინელი არ უნდა იყოთ.

— მართალი ბრძანდებით, ათასში ერთხელ თუ ჩამოვდივარ აქ.

— ბურგუნდიული კარგია, მაგრამ გააცივებს კაცს.

— მაშინ, ნება მიბოძეთ, ოთახში შევიდეთ და იქ დავლიოთ.

— ურიგო წინადადება როდია... ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, ან კი რად გვინდა ვიცოდეთ, რა გვქვია ან ერთს ან მეორეს. სახელების ცოდნა ხანდახან ზედმეტობაა. დავლევთ ბურგუნდულს, განა ეს ცოტას ნიშნავს, ჩვენ რომ ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ? მთავარი ხომ ეს არის?

ამას ყველაფერს იგი გულკეთილი სიწრფელით ამბობდა. ჩვენ ოთახში შევედით. როცა მაგიდას მიუჯდა, სერთუკი განგებ გადაიღელა, და ჩემდა გასაოცრად სერთუკქვეშ დავინახე გრძელკალთიანი ნაქარგი ჟილეტი, შავი ხავერდის შარვალი და მინიატიურული ვერცხლის დაშნა, რომელიც წელზე ერტყა. მერე გულმოდგინედ შეიკრა სერთუკი.

— რატომ მკითხეთ, ბერლინელი ხართ თუ არაო? — დავიწყე მე.

— ასეთ შემთხვევაში, დავკრავდი ფეხს და გაგეცლებოდით.

— უცნაურია.

— სულაც არ არის უცნაური, მით უმეტეს, რომ კომპოზიტორი გახლავარ.

— რა შუაშია კომპოზიტორი?

— მაშინ ჩემი წელანდელი ნათქვამი მაპატიეთ, ვატყობ, თქვენ მართლაც არაფერი გაგეგებათ ბერლინისა და ბერლინელების.

იგი წამოდგა და ცოტა ხანს ოთახში გაშმაგებით გაიარ-გამოიარა, მერე ფანჯარასთან მივიდა და ძლივს გასაგონად იმღერა ქურუმ ქალთა ქორო ოპერიდან „იფიგენია თავრიდში". ტუტის შემოჭრას დროდადრო ფანჯრის მინაზე დაკაკუნებით აღნიშნავდა. საოცარია, რომ იგი ნაირფერ ვარიაციებში წარმოადგენდა მელოდიებს, რომლებიც ძალითა და სიახლით მაოგნებდნენ. დაამთავრა თუ არა იმპროვიზაცია, თავის ადგილს დაუბრუნდა. ამ კაცის უცნაური ქცევითა და მისი იშვიათი მუსიკალური ტალანტის ფანტასტიკური გამოვლენით შეძრულმა ხმა ვერ ამოვიღე. რამდენიმე ხნის შემდეგ მან მკითხა:

— როდესმე მუსიკალური ნაწარმოები თუ შეგიქმნიათ?

— დიახ, ხელოვნებაში მეც ვცადე ბედი, ოღონდ, რაც კი აღმაფრენის წუთებში დავწერე, დროთა განმავლობაში უფერული და მოსაწყენი მეჩვენა, ამიტომაც წერას თავი დავანებე.

— არ მოქცეულხართ სწორად. თუმცა საკუთარ თავზე აუგის თქმა ნიჭიერების მაუწყებელი უფროა. მუსიკას სიყრმიდანვე სწავლობენ დედისა და მამის ნება-სურვილისამებრ. აქედან მოყოლებული გულისწამღებად აჩხაკუნებენ და აჟღარუნებენ ვიოლინოზე. მხოლოდ ის კია, რომ ამდენ ვარჯიშში აზრი უნებლიეთ მელოდიებს ეთვისება. იქნებ ის ნახევრად მივიწყებული სიმღერის თემა, რომელსაც ახლა სხვანაირად მღერიან, საკუთრივ პირველსაწყისი იყო. და ეს უცხო ძალებისაგან ძნელად ნასაზრდოები ფესვი იქცა გიგანტად, რომელმაც თავის გარშემო ყველაფერი შთანთქა და საკუთარ ტვინად და სისხლად გარდაქმნა. როგორ გინდა ის ათასნაირი წესი, რაც მუსიკალური ნაწარმოების შექმნას სჭირდება, თუნდაც მიანიშნო? ეს ხომ ფართო შარაგზაა. აქ გარშემო ყველაფერი ნავარდობს, ხაროხს, გაჰყვირის: „ჩვენ კურთხეული ვართ! ჩვენ მიზანს ვაღწევთ!" სპილოსძვლოვანი კარიბჭით შემოდიან ოცნებების სამყაროში. ძალიან ცოტა ვინმე თუ იხილავს ამ კარიბჭეს და ისიც მხოლოდ ერთხელ; უფრო იშვიათად კი შიგაც შედიან. აქ ყველაფერი უჩვეულოდ გამოკრთის. შმაგი სახეები აქეთ-იქით დაძრწიან, მაგრამ მათ ხასიათი აქვთ, თანაც მეტად გამოკვეთილი. ისინი შარაგზაზე არ დაგენახვებიან, მათი ხილვა მხოლოდ სპილოსძვლოვანი კარიბჭის მიღმა შეიძლება. ძნელია თავი დააღწიო ამ სამეფოს; ურჩხულები გზას გიღობავენ, როგორც ეს ალცინეს ციხე-სიმა-

გრის¹ წინ ხდება. აქ ყველაფერი ბრუნავს, ტრიალებს. ბევრნი ოცნებების სამყაროში ოცნებას მისცემიან. ისინი ოცნებაში იღვრებიან, ჩრდილს არ ჰკარგავენ, თანაც ჩრდილზე იმ სხივს ამჩნევენ, ოცნებით სამყაროს გავლით რომ მოგზაურობს, მაგრამ ოცნებებში მთვლემარეთა შორის მხოლოდ ერთეულები თუ ფხიზლდებიან. აიჭრებიან ზეცად და შეაბიჯებენ ზმანებათა სამეფოში. ისინი სიმართლესთან მოდიან. ეს კი უმწვერვალესი ჟამია: მარადიულისა და გამოუთქმელის შეხება. შეხედეთ მზეს, იგი სამხმოვანია, მასზე ვარსკვლავთა სადარი აკორდები დახუნძლულა და ცეცხლის ძაფებით ამოხვეულა. თქვენ იქვე ცეცხლში დაჭუპრებული წევხართ, ვიდრე სული მზემდე არ აგლომაღლდებათ. ამის თქმის უმალ იგი ფეხზე წამოიჭრა, წამით შემომხედა, ხელი სივრცეში გასტყორცნა. შემდეგ კვლავ დაჯდა, სასმისი სწრაფად გამოსცალა. სიჩუმე ჩამოწვა, რისი დარღვევაც არაფრით არ მინდოდა, რათა ამ უცნაურ კაცს როგორმე წონასწორობა არ დაეკარგა. ბოლოს როგორღაც დამშვიდებულმა განაგრძო:

— როცა ოცნებების სამყაროში ვარ, ათასი ურვა და სატკივარი მტანჯავს. დადგება ღამე და მაშინებენ ურჩხულთა კბილებდაკრეჭილი ნიღბები, რომლებიც ქარიშხალივით მატყდებიან თავს და ხან ზღვის უფსკრულში მძირავენ, ხანაც ზეცაში მისვრიან. სინათლის სხივები აქ ბნელში ანათებენ და ეს სინათლის სხივები არიან ნათელი და საყვარელი ბგერები, რომლებიც გარს მახვევიან. მე ტკივილებმა გამაღვიძეს და ვიხილე დიდი, ნათელი თვალი, რომელმაც ორღანში გამოიხედა და ამ თვალის გამოხედვასავით ამოხდნენ ბგერები, აბრჭყვიალდნენ და გასაოცრად შემოევლნენ თავს მშვენიერ აკორდებს. ასეთი რამ სიცოცხლეში არ მინახავს. მელოდიები მდინარესავით გადმოსკდნენ, მე ამ მდინარეში შევცურე და სიკვდილი მომინდა. სწორედ ამ დროს შემხედა თვალმა და ბობოქარი ტალღებიდან ამომტყორცნა. კვლავ დადგა ღამე და ჩემკენ ორი გიგანტი გამოემართა ბრწყინვალე ჯავშნებით: ძირითადი ტონი და კვინტა. მათ ცაში ამისროლეს, თვალმა კი გამიღიმა და მითხრა: „ვიცი, გული სევდით გაქვს სავსე, აი, ნახავ, უწყინარი, თვინიერი ჭაბუკი ტერციუსი გიგანტებთან ერთად შემოვა; შენ მის ტკბილ ხმას გაიგონებ, მერე კვლავ მიხილავ და ჩემი მელოდიები შენთვის იცოცხლებს". — იგი შეჩერდა.

— ეს თვალი თქვენ განმეორებით ხომ არ გიხილავთ?

— დიახ, ვიხილე. მთელი წელი ვცხოვრობდი ოცნებების ქვეყანაში, დიახ, ოცნებების ქვეყანაში. მე მშვენიერ მდელოზე ვიჯექ და ყურს ვუგდებდი ყვავილთა სიმღერას. მხოლოდ მზესუმზირა დუმდა, ნაღვლიანად გადაეხარა მიწისაკენ თვალი. უხილავმა ბრბომ მასთან მიმათრია. მან თავი ასწია, ჯამი გაიფურჩქნა და იქიდან თვალმა მომანათა. და აი ჩემი ტვინიდან სინათლის სხივებივით გადმოვიდნენ ბგერები, რომლებიც ყვავილებისაკენ გაემართნენ, ყვავილებმა კი ხარბად ამოსწოვეს ისინი. მზესუმზირას ფოთლები სულ უფრო და უფრო გაიზარდნენ, ამ ფოთლებიდან მცხუნვარებამ იფეთქა, ეს თაკარა შემომესია, თვალი გაქრა და მე მზესუმზირას ყვავილის ჯამში აღმოვჩნდი.

ეს თქვა და წამოიჭრა, ჩქარი, ჭაბუკური ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან. დიდხანს ველოდი მის მობრუნებას. მერე ქუჩაში გავედი. ის იყო ბრანდენბურგის ჭიშკარს მივუახლოვდი, როცა სიბნელეში ჩემკენ მომავალი აწოწილი კაცი დავინახე, უმალ ვიცან ჩემი ახირებული ნაცნობი და გამოველაპარაკე:

— ასე უეცრად რატომ დამტოვეთ?

---

1. ლუდოვიკო არიოსტო (1474-1533) „მძვინვარე როლანდის" (შენ. სიმღერა)

— იცით, მეტისმეტად ჩამოცხა, თანაც ოიფონმა ქლერა დაიწყო.

— ვერ გავიგე.

— მით უკეთესი.

— პირიქით, ეს ძალიან ცუდია, მე ხომ გულით მინდა გავიგო [illegible] ავანჩავანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხმა არ გესმით რაიმესი?

— არა.

— უკვე აღარ ისმის. წავიდეთ. იცით, საზოგადოება მართლა არ მიყვარს, მაგრამ თქვენ ხომ მუსიკას არ წერთ, ბერლინელიც არა ხართ!

— ვერ გამიგია, რამ გაგაგულისათ ბერლინელებზე! აქ ხომ ხელოვნება დიდად პატივდებულია და უმაღლეს რანგში აყვანილი და თქვენებრ პოეტური სულის კაცისთვის ურიგო რად უნდა იყოს?

— გეშლებათ. ჩემდა სავალალოდ მე განწირული ვარ, მარტოსულივით ვეთრიო აქ, ამ უდაბურ სივრცეში.

— სად ბერლინი და სად უდაბური სივრცე?

— დიახაც უდაბურია აქ ჩემს ირგვლივ ყველაფერი, რაკი არც ერთი მონათესავე სული არ მეგულება. მე ეული ვარ.

— მაგრამ ხომ არიან ხელოვანები, კომპოზიტორები.

— ჯანდაბას მაგათი თავი! ისინი კრიტიკანობენ და კრიტიკანობენ, ყველაფერს უნატიფეს ზომიერებაზე ხვეწავენ, ერთი ბეწო უბადრუკი აზრის გულისათვის ყველაფერს თავდაყირა აყენებს, ხელოვნებასა და მხატვრულ გამოვნებაზე ლაყბობით და კიდევ მსგავსი სისულელეებით ისინი სათოფეზე არ ეკარებიან შემოქმედებას და თუ ერთხელ მაინც იმ გუნებაზე დადგნენ, რომ თავიანთი ნაფიქრის დღის სინათლეზე გამოტანა ინდომეს, ხელში მხოლოდ შემზარავი სიცივე შეგრჩებათ, რასაც მზესთან არანაირი სიახლოვე არ გააჩნია. ეს კი ლაპლანდიური შრომაა და უფრო უაზრო ჯახირსა ჰგავს.

— თქვენი მსჯავრი მეტისმეტად მკაცრი მგონია. როგორღაც თეატრის მშვენიერმა დადგმებმა მაინც უნდა მოგაგონ ლხენა.

— ერთხელ თავს მოვერიე და თეატრს ვეწვიე, რომ ჩემი ახალგაზრდა მეგობრის ოპერა მომესმინა. რა ჰქვია ამ ოპერას, აღარ მაგონდება, ამ ოპერაში მთელი სამყარო სუნთქავს. ორკუსის სულები მორთულ-მოკაზმულ ადამიანთა ათასფერად ორომტრიალში ძრწიან. აქ ყველაფერს საკუთარი ხმა და ყოვლისშძლეველი ქლერა აქვს. აი, სატანა მე მასში სწორედ დონ-ჟუანს ვგულისხმობ. მაგრამ ვერ ავიტანე უვერტიურა, რომლის პრესტისიმო უგრძნობ-უგონოდ იფრქვევა და მეც ლოცვითა და მარხვით მოვემზადე ამ შეცდომისთვის, რადგან ვიცი, მეტისმეტად ამოძრავებული ოიფონი არც თუ ისე სუფთად ქლერს.

— უნდა გითხრათ, რომ აქ მოცარტის გენიალური ქმნილებები რაღაც გაუგებარ მიზეზთა გამო არ უყვართ, სამაგიეროდ გლუკის ნაწარმოებები სწორედ რომ საკადრისადაა დაფასებული.

— წარმოგიდგენიათ? ერთხელ რატომღაც მომინდა მომესმინა ოპერა „იფიგენია თავრიდში“. თეატრში რომ შევედი, გავიგონე უვერტიურა ოპერიდან „იფიგენია ავლიდში“.[2] ნამდვილად. შეეშალათ, ეს რომელი „იფიგენია“ გადის-

---

1. აქ იგულისხმება მუსიკოსის შემოქმედებითი ძალა და არა ფიზიკოს ხლადნის მიერ გამოგონილი ამავე სახელწოდების საკრავი.

2. მართლაც, ბერლინის საოპერო თეატრში ვებერის დირიჟორობით გლუკის ოპერაში — „იფიგენია თავრიდში“ შესრულდა გლუკის მეორე ოპერის — „იფიგენია ავლიდში“ — უვერტიურა.

მეთქი, გავიფიქრე, ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა უვერტიურას მოჰყვა ანდანტე, რითაც იწყება „იფიგენია თავრიდში." მას ქარიშხალიც მოსდევს, ამ ორ ოპერას შორის მთელი ოცი წელი ინტერვალია, დაკარგულია ტრაგედიის სული, კარგად მოფიქრებული ექსპოზიცია, წყნარი ზღვა, ქარიშხალი, ბერძენთა გამონაპირება და ოპერაც სულ ესაა. მაინც რანაირად მოხდა ასე? განა კომპოზიტორმა უვერტიურა ალალბედზე ჩაწერა, რომ ნაღარაზე როგორც და სადაც მოეპრიანებოდათ, ისე დაეკრათ?

— გეთანხმებით, რომ დაუდევრობით მოუვიდათ ეს შეცდომა. მაგრამ მაინც ყველაფერს აკეთებენ, რათა გლუკის ნაწარმოებები განადიდონ.

— დიახაც, — ესღა თქვა მან და მერე კი მწარედ, ძალიან მწარედ გაიღიმა. უეცრად გველნაკბენივით წამოიჭრა და მისი შეჩერება ძეხორციელს აღარ შეეძლო. თვალისდახამხამებაში გაუჩინარდა. მე კი ზედიზედ რამდენიმე დღეს ამაოდ ვეძებდი ტირგარტენში.

რამდენიმე თვემ გაიარა მას შემდეგ, რაც ერთ ცივ, წვიმიან საღამოს ქალაქის მივარდნილ კუთხეში შემაგვიანდა და ფრიდრიხშტრასეზე მდებარე ჩემი ამჟამინდელი ბინისაკენ გავეშურე. გზად თეატრთან უნდა ჩამევლო. რომ ხმაურიანმა მუსიკამ, დაფდაფებისა და ნაღარების ხმებმა მიმახვედრეს, რომ დღეს გლუკის „არმიდა" გადიოდა და ის იყო თეატრში შესვლა დავაპირე, რომ ფანჯარასთან, საიდანაც ორკესტრის თითქმის ყველა ბგერა აღწევს, ჩემი ყურადღება უცნაურმა მონოლოგმა მიიპყრო.

— ახლა მეფე შემობრძანდება. მარშს დაუკრავენ. ო, დაფდაფებს, დაფდაფებს დაჰკრავენ. ეს კი საკმაოდ მხნე ტონია. დიახ, დიახ, მათ დღეს თერთმეტჯერ უნდა დაჰკრან დაფდაფებს, თორემ სხვაგვარად მოძრაობა მოძრაობას არ ემგვანება. აჰა, მაესტროც. გაეთრიეთ, ბალღებო! ხედავთ, ერთი სტატისტი ფეხსაცმლის ბაფთით რაღაცას წამოედო. სწორედ თორმეტჯერ დაჰკრეს. თანაც სულ დომინანტზე უკრავენ. ო, მარადიულნო ძალნო, არა აქვს ამას დასასრული! იგი არმიდას ქათინაურს უძღვნის, არმიდაც თავის მხრივ მდაბლად უხდის მადლობას. ერთხელ კიდევ; მაგრამ ორი ჯარისკაცი ხომ ჯერ ადგილზე არ არის? რეჩიტატივში იჭრება ხმააწეული ბგერა. ნეტა რომელმა ბოროტმა სულმა მომნუსხა?

— გრძნეულებამ განვლო, — შევძახე მე. — წამოდით!

ჩემი შერეკილი ნაცნობი ტირგარტენიდან გამოვათრიე (თავის თავთან მოლაპარაკე მის გარდა სხვა კიდევ ვინ იქნებოდა), მკლავში ხელი მარჯვედ ჩავჭიდე და მასთან ერთად გავუყევი გზას. იგი მდუმარედ და გაოცებული მომყვებოდა. უკვე ფრიდრიხშტრასეზე ვიყავით, როცა ანაზდად ნაბიჯი შეანელა.

— მე თქვენ გიცნობთ, — თქვა მან, — ტირგარტენში არ გნახეთ? ბევრი ვისაუბრეთ, მე ღვინო დავლიე, მერე ალმაფრენის ცეცხლი მომედო. ოიფენი ორ დღეს ჟღერდა. გავიტანჯე. მადლობა ღმერთს, ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა.

— მახარებს ჩვენი მოულოდნელი შეხვედრა, მოდით, უფრო ახლო გავიცნოთ ერთმანეთი! მე აქვე ვცხოვრობ, რა მოხდება, რომ...

— არ შემიძლია და უფლებაც არა მაქვს!

— ვეღარსად წამიხვალთ! თქვენთან მოვდივარ!

— მაშინ ბარე ასი ნაბიჯის გამორბენა მოგიწევთ ჩემთან ერთად. თქვენ ხომ თეატრში აპირებდით შესვლას?

— ჰო, „არმიდას" მოსმენა მინდოდა, მაგრამ....

— თქვენ უსათუოდ დღეს უნდა მოისმინოთ არმიდა! წავიდეთ!

დუმილით ავუყევით ფრიდრიხშტრასეს, მერე მან სწრაფად გვერდზე შეუხვია, თვალისდახამხამებაში გადაირბინა ქუჩა, მე ძლივს ვეწეოდი და მანამ ვსდიე, ვიდრე ერთი ულაზათო სახლის წინ არ შეჩერდა. დიდხანს არახუნა და ბოლოს გაუღეს კარი. ბნელში ხელისცეცებით მივაგენით კიბეს და ზემო სართულზე მდებარე ოთახს, რომლის კარი ჩემმა მეგზურმა გულმოდგინედ ჩარაზა. მერე კარის გაღების ხმა გავიგონე; მალე იგი ანთებული სანთლით შემოვიდა ოთახში. ძალიან გამაკვირვა უცნაურად მორთულმა ოთახმა. ძველებური მდიდრული სკამები, ოქროსბუდიანი კედლის საათი და განიერი, მძიმე სარკე ყველაფერს გარდასული ბრწყინვალების მრუმე ელფერს აძლევდა. შუა ოთახში პატარა ფორტეპიანო იდგა, ზედ ფაიფურის სამელნე იდო, აქვე რამდენიმე თაბახი ნოტი ელაგა. კომპოზიციების მოსამზადებელი სამუშაოები დაკვირვებით დავათვალიერე და დავრწმუნდი, რომ მათ ავტორს კარგა ხანია არაფერი დაეწერა, რადგან ქაღალდი მთლად გაყვითლებულიყო, სამელნეს კი სქლად მოსდებოდა აბლაბუდა. კაცი ოთახის ერთ კუთხეში მდგარ კარადასთან მივიდა, ადრე რომ ვერც შევნიშნე და როცა ფარდა გადასწია, დავინახე ოქროსფერწარწერიანი ლამაზად აკინძული წიგნების წყება: „ორფევსი", „არმიდა", „ალცესტა", „იფიგენია" და რაღა გავაგრძელო, ერთად თავმოყრილი გლუკის შედევრები ვიხილე.

— თქვენ გლუკის ნაწარმოებთა სრული კრებული გქონიათ! — წამოვიძახე უნებლიეთ. არ მიპასუხა, მაგრამ უცნაურმა ღიმილმა პირი მოუღრიცა და ჩავარდნილი ლოყების კუნთთა ათამაშებამ მისი სახე ერთი წუთით საზარელ ნიღბად აქცია, დაჟინებით, კუშტად მომაჩერდა, თან ერთ-ერთი წიგნი ხელში აიღო — ეს იყო „არმიდა" და ფორტეპიანოსკენ სადღესასწაულო განწყობით გაემართა. ფორტეპიანოს სწრაფად ავხადე თავი, კაცს დასაკეცი სკამი დავუდგი, რაც ეტყობა, ძალიან ეამა. წიგნი გადაშალა და სხარტად დაერჩი, ნოტის ხაზიანი ფურცლები აშკარად დავინახე, მაგრამ არც ერთი სანოტო ნიშანი ზედ არ ეწერა. ფურცლები ცარიელი იყო.

მან დაიწყო:

— მე ახლა უვერტიურას დავუკრავ. ფურცლების გადაშლა არ დაგავიწყდეთ!

არა-მეთქი, დავპირდი და ჩინებული ოსტატობით შესრულდა უჭიათო აკორდებით გამორჩეული დიდებული Tempo di Marcia, რითაც უვერტიურა იწყება, ზედმიწევნით ორიგინალის ტოლფასი, ხოლო რაც შეეხება ალეგროს, იგი გლუკს მხოლოდ დედააზრით თუ შეეწყო. მან იმდენად მრავალთ მრავალი ახალი ვარიაცია შემოიტანა, რომ ჩემმა გაოცებამ სულ უფრო იმატა. მეტწილად მისი მოდულაციები იყო განუმეორებელი, მშვიდი, გაუმძაფრებელი, თანაც ისე სადად და უდრტვინველად ახერხებდა უთვალავი მელოდიური მელიზმის[1] მთავარ იდეასთან დაკავშირებას, რომ თითოეული მათგანი ხელახლა იბადებოდა და სრულიად სახეცვლილი ჩნდებოდა; ზანდახან წარბებს ჭმუხნიდა, აქაოდა, კარგა ხანს დაგუბებული რისხვის ძლიერად გადმონთხევა მწადსო, ხანაც უძირო სევდა თვალებს ცრემლით უვსებდა. ზოგჯერ კიდევ სასიამოვნო ტენორით წამოიმღერებდა რომელიმე არიას, როცა კი ორივე ხელი ხელოვნური მელიზმებით ჰქონდა დაკავებული. გარდა ამისა იგი განსაკუთრებული დაგუბული ხმით აჰყვებოდა ხოლმე დაფდაფების ცემას. მე ბეჯითად ვუშლიდი ფურცლებს, თანაც თვალს ვადევნებდი მის მზერას. უვერ-

1. მუსიკალური სამკაული.

ტიურა დამთავრდა, იგი დაღლილი, თვალებდახუჭული მიეყრდნო სავარძელს. მერე სწრაფად წამოვარდა და ვიდრე წიგნის ფურცლებს გამალებით შლიდა, ყრუდ წარმოთქვა:

— ეს ყველაფერი, ბატონო ჩემო, მაშინ დავწერე, როცა ოცნებათა სამყაროდან გამოველ. მაგრამ წმინდა იდუმალება უწმინდურთ გავანდე და ჩემს ანთებულ გულს ყინულივით ცივი ხელი ჩაებღაუჭა. გული არ გამტყდარა. მე კი დამებედა მარტოსულივით უსახოდ ხეტიალი უწმინდურთა შორის, რომ არავის ვეცან, ვიდრე მზესუმზირა კვლავ არ ამზიდავდა მარადიულობასთან, აი, ახლა კი, ნება მიბოძეთ, ვიმღეროთ „არმიდას" სცენა!

მან ისეთი გზნებით იმღერა არმიდას ფინალური სცენა, რომ სული ნეტარებით აღმევსო. საკუთრივ ორიგინალს იგი ამჟამადაც საგრძნობლად დაშორდა, მაგრამ მისეულად გარდათქმული მუსიკა გლუკის სცენებს არნახული პოტენციით ემსგავსებოდა. მან ძალმოსილად მოაქცია ბგერებში ყველაფერი, რისი გამოხატვაც კი უძლიერესი გზნებით შეეძლო ტრფობასა და სიძულვილს, ევსა და ღელვას. მას თითქოს ჭაბუკის ხმა ჰქონდა, დაბალი ტონალობიდან გულშიჩამწვდომ სიძლიერემდე მაღლდებოდა იგი. ყველა ნერვი მითრთოდა, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი, როცა სიმღერა დაამთავრა, მოვეხვიე და ჩახლეჩილი ხმით შევძახე:

— გამაგებინეთ, რა ხდება? ვინა ხართ თქვენ?

იგი წამოდგა, დარბაისლურად, თანაც განმგმირავად ამათვალიერა და ვიდრე მორიგ კითხვას დავუსვამდი, სანთლით ხელში კარსუკან გაუჩინარდა, მე კი სიბნელეში დამტოვა. თხუთმეტ წუთს ველოდე და როცა მისი კვლავ ხილვის იმედი დავკარგე, ბნელში ორიენტაცია ფორტეპიანოთი ავიღე, რათა კარი გამეღო. ამ დროს მოულოდნელად შემოვიდა კვლავ სანთლით ხელში, ტანზე ნაქარგი სადღესასწაულო სამოსი ეცვა, მდიდრული ჟილეტი და წელზე შემორტყმული დაშნა მოუჩანდა.

გახევებული ვიდექი. იგი დიდის ამბით მომიახლოვდა, ხელი ნაზად მომხვია და უცნაური ღიმილით მითხრა:

— მე გახლავართ კომპოზიტორი გლუკი!

# ჯონ სტაინბეკი

## „ზეციური იალაღები“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან
თარგმნა მზია ტუღუშია

როცა 50-იან წლებში რიჩარდ უაიტსაიდმა კალიფორნიისაკენ გამოსწია, ჯერ ოქროსმაძიებლობას მოჰკიდა ხელი, მაგრამ მალე თავი ანება, როგორც ფუჭ საქმეს. „მიწა მხოლოდ ერთხელ იძლევა ოქროს ნაყოფს, — თქვა მან, — და როცა ამ მოსავალს ათასი მუშაკი დაინაწილებს, დიდხანს თავის სარჩენად არავის ეყოფა. ამას საქმიანობა არ ჰქვია“.

მერე რიჩარდმა კალიფორნიის მთა-ველი მოიარა. ერთადერთი, რაც ამოძრავებდა, ის იყო, რომ სამკვიდრო დაეფუძნებინა ჯერ არშობილი შვილებისა და მათი ნაგრამისათვის. თუმცა იმხანად კალიფორნიაში ცოტა ვინმეს თუ აწუხებდა პასუხისმგებლობა შთამომავალთა წინაშე.

ერთ მშვენიერ მოწმენდილ საღამოს წაბლა ცხენები იმ ბორცვის თხემზე ბიაგდო, „ზეციურ იალაღებს“ რომ ერტყმოდა გარს, სადავე მოზიდა და ამწვანებულ ველებს დააცქერდა... და მყის მიხვდა, რომ სამკვიდრო იპოვა. ამ ქვეყნის ზურგზე ხეტიალისას ცოტა როდი უნახავს მშვენიერი ადგილები, მაგრამ ასეთი გულსავსე გრძნობა არსად დაუფლებია. მოაგონდა ათენელი და ლაკედემონელი მოახალშენეები, ორაკულის ბუნდოვანი მითითებით რომ დაეძებდნენ ახალ მიწებს. აცტეკებიც გაახსენდა, გზის მაჩვენებელ არწივს რომ მიჰყვებოდნენ. რიჩარდმა ჩაუთქვა: „ახლა რომ დასტური მენიშნოს, უკეთესს ველარაფერს ვინატრებდი. მჯერა, რომ სწორედ ის ადგილია, მაგრამ ერთი ნიშანიც თუ მომეცემა, დავიხსომებ და მერე შვილებსაც გადავცემ“. ცას ახედა, მაგრამ მოკრიალებულ ცაზე ნასახიც არ იყო არც ღრუბლისა და არც ფრინველისა. მერე ნიავქარი ამოიჭრა, მიმწუხრისას რომ დაურბენს ხოლმე ბორცვებს. მუხები ოდნავ გადაიხარნენ ველისაკენ, ნელმა სიომ ფერდობიდან რამდენიმე ფოთოლი აიტაცა და წინ გააქანა. რიჩარდს ჩაეცინა: „აი, დასტურიც! მრავალი მშვენიერი ქალაქის დაარსებას ღმერთებისგან ამაზე მეტი მინიშნება არც დადებია საფუძვლად“.

იგი გადმოვიდა მსუბუქი საზიდრიდან და ცხენები გამოხსნა. ამათაც, გულმოცემულებმა, გოგმანით გასწიეს გზისპირს ამოსული ბალახისაკენ. რიჩარდმა ცივი ღორითა და პურით იეახშმა, მერე ქვეშაგები გადმოიღო და ფერდობის მოლზე გაშალა. როცა ბინდი ჩარუხდა ველზე, იგი მიწვა ლოგინზე და „ზეციურ იალაღებს“ მიაპყრო მზერა, რომელიც მისი სამკვიდრო უნდა გამხდარიყო. შორს მუხნარი წარაფის ახლოს იყო ის ადგილი; უკნიდან ბორცვი ეკვროდა და ბუ-

ჩქნარის ვიწრო ზოლი გასდევდა, იქ ნაკადული უნდა ყოფილიყო. გარემოს მწუხრის უცნაური, ჯადოსნური ელფერი დაედო. რიჩარდს ეზმანა მშვენიერი თეთრი სახლი, წინ კოპწია ბაღითა და იქვე ახლოს წამომართული წყალსაქაჩის თეთრი კოშკურით. ფანჯრებიდან მკრთალი ყვითელი შუქი ელვარებდა, ფართო შესასვლელი კარი გაიღო და ბაღლების გუნდი აივანზე გამოფრთხიალდა. სულ ცოტა ექვსი ბავშვი მაინც იქნებოდა. შემომდგარ წყვდიადს ჩამოშორდნენ, განსაკუთრებით იმ ბორცვს, სადაც ახლა რიჩარდს გაეშალა ლოგინი. წამის შემდეგ სახლში შეილალნენ და კარიც მიიხურეს. კარის მიხურვა და სახლის, ბაღისა და კოშკურის გაუჩინარება ერთი იყო, რიჩარდმა კმაყოფილებით ამოიოხრა და ჰორალმა გაიშოტა. ცა მოკიაფე ვარსკვლავებით მოჭედილიყო.

მთელი კვირის მანძილზე რიჩარდი გამალებული დაექანებოდა ველზე. „ზეციურ იალაღებზე" ას ორმოცდაათი აკრი მიწა შეისყიდა და მონტერეისკენ გაეშურა მფლობელობის კანონების გასაცნობად და ნასყიდობის გასაფორმებლად. მიწა რომ თავის საკუთრებად დაიგულა, მერე არქიტექტორს მიაკითხა.

ექვსი თვე მოუნდა სახლის აშენებას, ხალიჩებითა და ავეჯით გაწყობას, ჭის გაჭრას და ზედ წყალსაქაჩი კოშკურის დადგმას. რიჩარდის მფლობელობის პირველ წელს მუშები არ გამოლეულან მის სამოსახლოში. მიწას კი ჯერ არ გამოკარებოდა სათესი მარცვალი.

ერთმა მეზობელმა, მისი ასეთი ქცევით შეფიქრიანებულმა, პირდაპირ მიახალა ახალ მესაკუთრეს: „ოჯახის ჩამოყვანას თუ აპირებთ, მისტერ უაიტსაიდ?"

— სადა მყავს ოჯახი, — უთხრა რიჩარდმა, — მშობლები დამეხოცნენ, ცოლი კი არ შემირთავს.

— აბა რა ჯანდაბად გინდა, ეს ამოდენა სახლი რომ წამოჭიმე?

რიჩარდს სახე გაუქვავდა.

— აქ ვაპირებ ცხოვრებას. აქ უნდა დავემკვიდრო. ჩემმა შვილებმა, მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა იცხოვრონ ამ სახლში. ბევრზე ბევრი უაიტსაიდი დაიბადება აქ და მრავალი მათგანი ალბათ აქვე მიაბარებს სულს. ხეირიანი მოვლა-პატრონობით ეს სახლი ხუთას წელიწადს გაძლებს.

— კარგად მესმის, რასაც გულისხმობ, — მიუგო მეზობელმა, — ლამაზად კი ამბობ, მაგრამ ჩვენ, აქაურები, ასე როდი ვიქცევით. ჯერ პატარა ფარდულს ლავდგამთ და, თუ მიწა გაისტუმრებს ხარჯებს, მერეღა ვაშენებთ უფრო მოზრდილ რაიმეს. ვერ არის კარგი ერთ ადგილზე ამდენის ჩაყრა, ვთქვათ და წასვლა მოგინდეს.

— არსადაც არ ვაპირებ წასვლას —შეჰყვირა რიჩარდმა.—სწორედ მაგისთვის ვაშენებ. ისეთ საძირკველს ჩავყრი, რომ ვერც მე და ვერც ჩემმა შთამომავლობამ აქედან ფეხი ველარ მოვიცვალოთ. ყოველი შემთხვევისათვის მეც აქვე დავიმარხები, ადამიანებს უჭირთ წინაპართა საფლავების მიტოვება. — რიჩარდს სახე მოუღლბა. — რა იყო, ადამიანო, ნუთუ ვერ ხვდები, რასაც ვაკეთებ? საგვარეულოს ვუდებ სათავეს. მე ოჯახს ვაშენებ და ოჯახის ნერგმა სამუდამოდ თუ არა, რამდენიმე საუკუნეს ხომ მაინც უნდა გასტანოს? მსიამოვნებს ამ სახლის შენება და იმაზე ფიქრი, რომ ჩემი მემკვიდრეები ივლიან ამ იატაკზე, აქ დაიბადებიან ბავშვები, რომელთა დიდი პაპები ჯერ არც კი ჩასახულან. ჩემს სახლში ტრადიციის ნერგი უნდა ვახარო. — რიჩარდს ლაპარაკისას თვალები უბრწყინავდა, ხუროების ჩაქუჩთა ცემა ბანს აძლევდა მის სიტყვებს.

მეზობელმა იფიქრა, გიჟთან მაქვს საქმეო, მაგრამ ერთგვარი მოკრძალებაც იგრძნო ამგვარი სივიჟისადმი. და მოუნდა რამენაირად მისალმებოდა ამ ამბავს.

ამერიკელი რომ არ ყოფილიყო, ქუდზე ორ თითს მიიდებდა. ამ კაცის ორი მოზრდილი ვაჟი ხისმჭრელად მუშაობდა სამი მილის დაშორებით, ქალიშვილი კი გათხოვდა და ნევადაში გაემგზავრა. მისი ოჯახი მანამდე დაიშალა, ვიდრე ხმელ ცხოვრებას შეუდგებოდა.

რიჩარდმა სახლი წითელი ხისა აგო, რომელსაც კრილი არ [illegible] ახალი ინგლისის კოხტა სოფლის სახლის მიმსგავსებულ [illegible] „ზეციური იალალების“ კლიმატსაც მიუძღვნა ხარკი და სახლს ირგვლივ ფართო ვერანდა შემოავლო. სახურავი დროებით ყავრით გადახურა, მაგრამ როგორც კი შეკვეთამ ბოსტონში ჩასვლა და ბოსტონიდან წამოსულმა გემმა დაბრუნება მოასწრო, ყავარი გადააძრო და აღმოსავლური შიფერით შეცვალა. ამ სახურავს რიჩარდისათვის განსაკუთრებული, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ველის მცხოვრებთათვის შიფერის სახურავი განსაკუთრებული მოვლენა იყო. ყველაფერზე მეტად სწორედ მან აქცია რიჩარდი ველის პირველ მოქალაქედ. ეს კაცი მკვიდრი მოსახლე გახლდათ და სახლ-კარიც აგერ ჰქონდა, ის არ აპირებდა გაქცევას ახალი ოქროს საბადოებისაკენ. აბა როგორ, — სახლი შიფერით გადახურა. ესეც არ იყოს, განათლებული კაცი იყო. ჰარვარდში ესწავლა. ფულიც ჰქონდა და საიმისო რწმენაც, რომ ამ ველზე ასეთი დიდი და მდიდრული სახლი აეგო. ის უნდა გამხდარიყო ამ მიწის გამგებელი, ოჯახის დამაარსებელი და პატრიარქი. ხალხის თვალში „ზეციურ იალალებს“ მეტი ფასი და პატივი დაედო ამ შიფერის სახურავის წყალობით. რიჩარდი რომ პოლიტიკოსი ყოფილიყო, ვისაც აქ დაწინაურება უნდოდა, იმაზე უკეთეს სვლას, როგორც სახლის ამგვარად გადახურვა იყო, ვერც კი მოიფიქრებდა. მისი სახურავი წვიმაში ქუფრად ბზინავდა, მზის სხივი კი ფოლადისფერ სარკედ აქცევდა.

ბოლოს და ბოლოს სახლი მოთავებული იყო და ორი ნაქირავები მუშა შეუდგა ბაღჩის მოშენებასა და მიწის მომზადებას თესვისათვის. სახლის უკან ბორცვის ფერდობზე მცირერიცხოვანი ცხვარა ბალახს კორტნიდა. რიჩარდმა იცოდა, რომ სამზადისი დასრულდა და დაქორწინების ჟამმაც მოაწია. როცა შორეული ნათესავისაგან წერილი მიიღო, ცოლთან და ქალიშვილთან ერთად სანფრანცისკოში ჩამოვედი და შენი ნახვა ძლიერ მეამებოდაო, რიჩარდი მიხვდა, რომ საძებნელად შორს წასვლა აღარ დასჭირდებოდა. სანამ სანფრანცისკოში გაემგზავრებოდა, მანამდე იცოდა, რომ ამ ქალიშვილს შეირთავდა ცოლად. შესაფერი საცოლე იყო. არც გენური შეუთავსებლობის შიში ექნებოდა, თუკი ამ გოგოზე დაქორწინდებოდა.

თუმცა არშიყობის ყველა ფორმალობა შეასრულეს, საკითხი შეხვედრისთანავე გადაწყვეტილი იყო. ალისას გულით უნდოდა თავი დაეხსნა დედის ზედამხედველობისაგან და საკუთარი საოჯახო იმპერია შეექმნა. ეს სახლი მისთვის იყო შექმნილი. ოცდაოთხი საათიც არ დაეყო იქ, რომ საკუჭნაოს თაროებს უკვე აჟურულად დაჭრილი ქაღალდი გადააფარა, სწორედ ისეთი, რიჩარდს დედამისის საკუჭნაოდან რომ ახსოვდა. იგი ძველებურად, ლაზათიანად უძღვებოდა სახლს, უცვლელი, ციკლური წესით — სარეცხი ორშაბათობით, უთოობა სამშაბათობით და ა. შ. — წელიწადში ორჯერ ხალიჩების აყრა და დაბერტყვა; ყოველ შემოდგომაზე ჯემის, ტომატის, კიტრის მწნილის მომზადება და სარდაფში ჩატანა. ფერმა ყვაოდა, ცხვარ-ძროხა მრავლდებოდა და ბაღში მთელი წელი ყვაოდა ზიზილები, ალისფერი მიხაკები და ბალბა, ალისა კი ბავშვს ელოდა.

რიჩარდმა იცოდა, რომ ყველაფერი ეს ასე იქნებოდა. საგვარეულოს სამირ-

ქველი ჩაეყარა. საკვამურებს ჭვარტლმა მოუყარაყა გვირგვინები, ბუხარი სწორედ იმდენად ხრჩოლავდა, რომ სახლში შეშის კვამლის ამო სუნი ლი დატრიალებულიყო. სიმამრის ნაჩუქარი ხვირთქლის ჩიბუხი ქათქათა ... ნელნელა მდიდრულ სპილოსძვლისფრად იცვლიდა.

ყრმის დაბადებამდე რიჩარდი ალისას ისე დაკანკალებდა, თითქოს იგი ნნეული ყოფილიყო. საღამოობით ცეცხლის პირას რომ ჩამოსხდებოდნენ, ფეხსაცმელს მოხვევდა ფეხებზე. უსაშველოდ ეშინოდა, მშობიარობისას არ მომხდარიყო რაიმე გაუთვალისწინებელი. ისინი საუბრობდნენ სურათებზე, რომლებსაც გავლენა უნდა მოეხდინათ პირმშოს გარეგნობაზე. ალისას გასაოცრად, რიჩარდმა სან-ფრანცისკოში კაცი აფრინა მიქელანჯელოს დავითის პატარა ბრინჯაოს ასლის ჩამოსატანად. შიშველი ყრმის შემხედვარე ალისა გაწითლდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავდავიწყებით შეუყვარდა ეს პატარა ქანდაკება. როცა დასაძინებლად წვებოდა, საწოლთან მაგიდაზე იდგამდა, დღისით მუშაობისას ოთახიდან ოთახში დაჰქონდა. საღამოობით კი მისაღებ ოთახში შემოდგამდა ბუხრის თავზე. ხშირად, როცა მის პრიალა, მკვრივ ხელ-ფეხს უჭვრეტდა, შეცნობის მოუხელთებელი ღიმილი გაუკრთებოდა სახეზე. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მისი შვილი დავითს დაემსგავსებოდა.

რიჩარდი გვერდით ეჯდა და ხელზე ეფერებოდა. ალისას სიამოვნებდა, ხელისგულზე რომ უსვამდა ხელს, ისე ნაზად, რომ არ მოხიცინებოდა. რიჩარდი წყნარად ებაასებოდა. „წყევლა ჩამომშორდა, — ეუბნებოდა იგი. — იცი, ალისა, ჩემი და შენი წინაპრები ას ოცდაათი წელი ერთ სახლში ცხოვრობდნენ. იმ ძირეული კერიიდან ჩვენი სისხლი შეერია ახალი ინგლისის კარგ, წმინდა სისხლს. ერთხელ მამაჩემმა მითხრა, იმ სახლში სამოცდაცამეტი ბავშვი დაბადებულა. ჩვენი ოჯახი დიდებულად მრავლდებოდა ბაბუაჩემამდე. მამაჩემი დედისერთა იყო. მეც დედისერთა ვიყავი. ეს იყო მამაჩემის ამქვეყნიური საურავი. მხოლოდ სამოცისა იყო, როცა გარდაიცვალა და ეს ერთი შვილი დაერჩა. ოცდახუთისა რომ გავხდი და ჯერ არც კი წამოეწყო ცხოვრება, ძველი სახლი დაიწვა. ახლაც არ ვიცი, რამ გააჩინა ხანძარი". მან სავარძლის სახელურს ისე საოცრად დაადო ხელი, თითქოს იგი პატარა, სუსტი არსება ყოფილიყოს. ცეცხლიდან ნაკვერცხალი გადმოვარდა და აგურის კერიაზე გაგორდა. რიჩარდმა უკანვე შეურია იგი ცეცხლს და მერე კვლავ აიღო ალისას ხელი. ქალმა ოდნავ შეჰქლიმა დავითის ქანდაკებას ბუხრის თავზე.

„ანტიკურ ხანაში ასე იქცეოდნენ ხოლმე, — განაგრძობდა რიჩარდი. ხმაში სითბო და სიმორე ჩაეღვარა, თითქოს იმ შორეულ დროში ლაპარაკობდა. მოგვიანებით ერთად ცხოვრებისას ალისა მის თავის დაჭერაზე, ინტონაციასა და გამომეტყველებაზე წინასწარ ხვდებოდა, როდის წამოიწყებდა რიჩარდი ანტიკურ ხანაზე საუბარს. რადგან ჰეროდოტეს, ქსენოფონტესა და თუკიდიდეს დრო მისთვის პირიქნული ამბები იყო. გაუნათლებელ დასავლეთში ჰეროდოტეს ისტორიები ისე ახლებურად ჟღერდა, თითქოს თვითონ მეეთხზას. წელი არ გავიდოდა, „სპარსეთის ომი", „პელოპონესის ომები" და „ათი ათასი" არ გადაეკითხა. ახლა ცოტა უფრო ღონივრად უსრესდა ალისას ხელისგულებს.

„ანტიკურ ხანაში, როცა ხანგრძლივი უბედურების შემდეგ ქალაქის მოსახლეობა ირწმუნებდა, რომ დაწყევლილები იყვნენ ან რომელიმე ღმერთის რისხვა დაემსახურებინათ, მთელ თავის ულა-დოლებას გემებზე დააწყობდნენ და ახალი ქალაქის დასაარსებლად გასცურავდნენ. დაცარიელებულ ქალაქს კი ჩაკეტებდნენ და ყველას შეეძლო შესულიყო, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა".

„ქანდაკებას ვერ მომაწოდებ, რიჩარდ? — სთხოვა ალისამ. — ზოგჯერ მსიამოვნებს მისი ხელში დაჭერა". რიჩარდი წამოხტა და დავითი კალთაში ჩაუდო.

„მასმინე, ალისა, იმ სახლის დაწვამდე ორ თაობაში მხოლოდ ორი ბავშვი დაიბადა. მეც დავაწყვე ჩემი ავლა-დიდება გემზე და ახალი სამკვიდროს დასაფუძნებლად დასავლეთისაკენ გამოვცურე. შენ უთუოდ ხვდები, მე რომ დავკარგე, იმ ოჯახის შექმნას ას ოცდაათი წელი მოუნდა. არც არაფერი მინდოდა იმის შეცვლა. ახალი სახლის აგება ძველ მიწაზე მხოლოდ გულს მატკენდა. ეს კლდე რომ დავინახე, მივხვდი, ეს ის ადგილი იყო, სადაც ახალი სამკვიდრო უნდა ამეშენებინა. და აი, თაობები ყალიბდებიან. მე უზომოდ ბედნიერი ვარ, ალისა".

მადლიერი, რომ მას შეეძლო ვინმეს ასე გაბედნიერება, ალისა ქმრის ხელს დასწვდა და მოუჭირა. „აბა რა! — თქვა რიჩარდმა უცებ, — ამ მინდვრებზე პირველად რომ მოვედი, დასტურიც მეუწყა. ღმერთებს ვკითხე, ეს იყო თუ არა ის ადგილი, და მათაც ნიშანი მომცეს. კარგია არა, ალისა? გინდა ღმერთების ნიშანზე და ამ ბორცვზე ჩემს პირველ ღამისთევაზე გიამბო?"

„ხვალ ღამით მომიყევი, — თქვა ქალმა, — ახლა უმჯობესია მოვისვენო". რიჩარდი წამოდგა და ფეხებიდან საობურის მოხსნაში შეეშველა. კიბეზე რომ აჰყავდა, ალისა მძიმედ დაეყრდნო მის მკლავს. „არის ამ სახლში რაღაც მისტიკური, ალისა, რაღაც არაჩვეულებრივი. ეს ახალი სულია, ახალი მოდგმის პირველი ნაშიერი".

„პატარა ქანდაკებას ემსგავსება", — თქვა ალისამ.

როცა საბანი შემოუკეცა ისე, რომ სიცივე არსაიდან შეპაროდა, რიჩარდი მისაღებში გამობრუნდა. სახლი სავსე იყო ბავშვების ხმაურით. ისინი ბაკიბუკით დარბოდნენ კიბეებზე, ცეცხლისპირას ნაცარში იქექებოდნენ. რიჩარდს ესმოდა მათი ქლურტული ხმები, როცა ერთმანეთს გასძახოდნენ აივანზე. სანამ დაწვებოდა, სამი სქელი წიგნი კარადის სულ ზედა თაროზე შემოაწყო.

მშობიარობა ძალიან მძიმე გამოდგა. როცა ყველაფერი მოთავდა და ალისა ფერწასული და დაქანცული იწვა საწოლში, რიჩარდმა მიუყვანა პაწია ვაჟი და გვერდით მიუწვინა. „დიახ, — თავმომწონედ ჩაილაპარაკა ქალმა, — ქანდაკებას ჰგავს. ასეც ვიცოდი. რაღა თქმა უნდა, სახელადაც დავითს დავარქმევ. აბა როგორ!"

მონტერეიელი ექიმი ქვემოთ ჩავიდა და ცეცხლისპირას რიჩარდის გვერდით დაჯდა. წარბი კუშტად შეეყარა და მესამე თითზე გაუთავებლად ატრიალებდა ბეჭედს. რიჩარდმა ბრენდის ბოთლი გახსნა და ორ პატარა სასმისში ჩამოასხა.

„ამ ჭიქით ჩემი ვაჟის სადღეგრძელო მინდა შევსვა, ექიმო".

ექიმმა ცხვირთან მიიტანა ჭიქა და ცხვირით დაიფრუტუნა. „კარგი რამეა, იხერა. გირჩევნია შენი ცოლის სადღეგრძელო დალიო".

„რაღა თქმა უნდა, — მათ შესვეს. — ახლა ამ მეორე სასმისით ჩემი ვაჟი მინდა ვადღეგრძელო".

„მაგითაც შენი ცოლისთვის დალიე".

„რატომ? — შეეკითხა გაოცებული რიჩარდი.

ექიმმა ლამის ჭიქაში ჩააწო ცხვირის წვერი: „ასე ვთქვათ, სამადლობელად, ჯანდაბას შენი თავი. ქრისტეშობამდე აღარაფერი ეშველა".

რიჩარდმა ჭიქა ხახაში ჩაიპირქვავა. „აზრადაც არ მომსვლია. მე მეგონა... აბა რას ვფიქრობდი... არ მეგონა, პირველი მშობიარობა ყოველთვის ასე ძნელი იყო".

„დამისხი კიდევ ერთი, — მოითხოვა ექიმმა. — მეტი შვილი აღარ გეყოლება".

რიჩარდს დასასხმელად გამზადებული ბოთლი ხელში გაუშეშდა. „მაგით რისი თქმა გინდა?, რასაკვირველია, კიდევ მეყოლება შვილები".

„ამ ცოლისაგან არ გეყოლება, არა. მისი საქმე გათავებულია; კიდევ ერთი შვილი და ცოლი აღარ გეყოლება".

რიჩარდი ენაჩავარდნილი იჯდა. ბალღების ბაკიბუკით ახმიანებული მისი სახლი უცებ დაყრუვდა. თითქოს ესმოდა, როგორ მიიპარებოდნენ ისინი წინა კარიდან და როგორ ეშვებოდნენ ქვემოთ, კიბეებზე.

ექიმმა მწარედ გაიცინა. „თუკი ასე განიცდი ამას, რატომ ერთს კარგად არ გამოთვრები".

„ოო, არა, არა. არა მგონია, მაგან მიშველოს".

„აბა, მე მაინც დამისხი კიდევ ერთი. რაც უნდა იყოს, ცივი გზა მიდევს სახლამდე".

ექვსი თვის გასვლამდე რიჩარდს ცოლისთვის არაფერი უთქვამს. უნდოდა მომჯობინება ეცლია, სანამ თავისი აღსარების სიმძიმეს დაატეხდა თავს. როცა ბოლოს და ბოლოს მისკენ გაემართა, ეს საიდუმლო სინდისს უმძიმებდა. ალისას ჩვილი კალთაში ეჯდა და დროდადრო წინ იხრებოდა, რომ პირით წაწვდენოდა მის გაფარჩხულ თითებს. ბალღი მონისლული თვალებით მისჩერებოდა და გაფშეკილ თითს ცხვირწინ უტრიალებდა, რომ დედას პირი ჩაევლო და მოეწუწნა. ფანჯრიდან უხვად იღვრებოდა მზის შუქი. შორიდან მოისმოდა, როგორ ლანძღავდა მუშა მფარცხავებს მოძახილივით ერთფეროვანი ხმით. ალისამ თავი ასწია და ოდნავ შეიჭმუხნა.

„დროა მოინათლოს. შენ როგორ ფიქრობ, რიჩარდ?"

„ კი, — დაეთანხმა იგი. — მონტერეიში წავალ, თადარიგს დავიჭერ".

ალისა წამით შეყოყმანდა.

„როგორ გგონია, სახელის გადარქმევა დაგვიანებული ხომ არ არის?"

„დაგვიანებული რაღ არის? მაინც რატომ გინდა სახელის გამოცვლა? რის დარქმევას უპირებ?"

„ჯონი მინდა დავარქვა. ეს სახელი ახალი აღთქმიდანაა, — მან გამხნევების მოლოდინში რიჩარდს შეხედა. — თან მამაჩემის სახელიცაა. მამას ეამება. ესეც არ იყოს, რაღაც გულიც მეთანაღრება, ქანდაკების სახელი რომ დავარქვა, თუნდაც ბიჭის — დავითისა იყოს ის ქანდაკება. თან ტანსაცმელიც არ აცვია იმ ბიჭს".

რიჩარდს არც უცდია ქალის ლოგიკას ჩასწვდომოდა. ამის მაგივრად იგი თავის აღსარებას შეუდგა. წამში მოთავდა ყველაფერი. არც უფიქრია, ასე ცოტა დრო თუ მოუნდებოდა. ალისას იდუმალი, ამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. რიჩარდი სახტად დარჩა. რანაირად არ დაუახლოვდა ამ ქალს, მაგრამ ეს ღიმილი, ცოტა არ იყოს უცნაური, ოდნავ ნაღვლიანი და იდუმალი სიბრძნით აღსავსე, მის ფიქრებს ამოუცნობს ტოვებდა რიჩარდისათვის. ქალი ამ ღიმილს წინ აიფარებდა, თითქოს ეუბნებოდა; „რა სულელი ხარ. მე ისეთი რამეები ვიცი, რომ გაგიმხილო, შენი ცოდნა სასაცილოდ არ გეყოფა". ბალღმა მონდომებით გამოიშვირა თითები დედის სახისკენ. ქალმა პირით დაიჭირა და გააქან-გამოაქანა.

„ცოტა დამაცადე, რიჩარდ, — თქვა მან. — ექიმებმა ყველაფერი კი არ იციან. ხულ ცოტა დამაცადე, რიჩარდ, ჩვენ კიდევ გვეყოლება შვილები". მან მაღლა ასწია ვაჟი და ხელი საზურვის ქვეშ შეუცურა.

რიჩარდი გარეთ გამოვიდა და წინა კიბეზე ჩამოჯდა. მის უკან, სახლში, რო-

შელიც სულ რამდენიმე წუთის წინ ისე გამოყრუებულიყო, ახლა სიცოცხლე ჩქეფდა. ათასი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი. ბაღს მესერი შემოავლო და აგერ ექვსი თვეა ვერ გაემაგრებინა. კარგა ხნის წინ გვერდითა ეზოში მოლის გასაკეთებლად ნაკვეთი გაახაზირა და რა ხანია სათესურს ელოდა. თეთრეულის გასაშრობა ადგილიც ვერა და ვერ მოამზადა. წინა კიბეს მოხრილი მოაჯირი ჰქონდა და რიჩარდმა ისე მოფერებით გადაუსვა ხელი, თითქოს ცხენის მოფერებული ყელი ყოფილიყო.

უაიტსაიდები თითქმის დასახლებისთანავე იქცნენ „ზეციური იალაღების" პირველ მოსახლეებ. განათლებულები იყვნენ, მშვენიერი ფერმა ჰქონდათ და, თუმცა ქონება არ გადასდიოდათ, არც ფულის ნაკლებობას უჩიოდნენ. რაც მთავარია, დიდებულად ცხოვრობდნენ მშვენიერ სახლში. ეს სახლი ამ ოჯახის სიმბოლო იყო. სახლის სიდიდე შეძლებაზე მეტყველებდა, მაგრამ ის, რაც მას ყველა სხვა სახლს ალამატებდა ისევე უეჭველად, როგორც რაინის კოშკს სოფლის ზემოთ, იყო მისი თეთრი ფერი, ხშირ-ხშირად რომ აახლებდნენ და რეცხავდნენ. სხვა ოჯახებს გულზე ეფინებოდათ ეს თეთრი სახლი და გარდა ამისა, თითქოს უფრო მშვიდადაც გრძნობდნენ თავს მის სიახლოვეს. იგი განასახიერებდა ავტორიტეტს, კულტურას, კეთილგონიერებას და ზრდილობას. ამ სახლის შემხედვარე მეზობლები გეტყოდნენ, რომ რიჩარდ უაიტსაიდი ჯენტლმენი იყო და არ იკადრებდა სიმდაბლეს, ბოროტ ან უგუნურ საქციელს. მათ ეამაყებოდათ ეს სახლი ისევე, როგორც საგრაფოს მცხოვრებლებს ეამაყებათ გრაფის სასახლე. თუმცა ზოგიერთი მეზობელი უაიტსაიდებზე მდიდარიც იყო, მაგრამ შინაგანად გრძნობდნენ, რომ ამნაირ სახლს მაინც ვერ აიშენებდნენ, თუნდაც ხელმიწვდენით მიებაძათ მისთვის. პირველ ყოვლისა სწორედ ამ სახლის წყალობით იქცა რიჩარდი ველის პირველ მოსახლედ. მეზობლების ამგვარი ნდობა კი თავის მხრივ რიჩარდში მამობრივ მზრუნველობას ბადებდა ველის მიმართ. ხანში რომ შევიდა, ველის საქმეებს საკუთარივით განიცდიდა და ხალხსაც ეამაყებოდა, რომ ეს ასე იყო.

ხუთმა წელიწადმა განვლო, ვიდრე ალისას ალღო უკარნახებდა, რომ მეორე შვილისათვის მზად იყო. „ექიმს მოვიყვან, — თქვა რიჩარდმა, როცა ქალმა ეს ამბავი გაუმხილა. — ექიმს ეცოდინება, საშიშია ეს თუ არა".

„არა, რიჩარდ, ექიმებმა რა იციან. იცი, რას გეტყვი, ქალებმა უკეთ ვიცით ჩვენი საქმისა".

რიჩარდი დამორჩილდა, უფრო იმიტომ, რომ ექიმის პასუხისა ეშინოდა. „ქალში ღვთაებრივი მარცვალია ჩადებული, — განუმარტა საკუთარ თავს. — ბუნება შეუმცდარ რწმენას აჩარებს ქალში, რათა ადამის მოდგმამ იმრავლოს".

ექვსი თვე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მერე ერთბაშად უბედურება დატრიალდა. როცა ბოლოს და ბოლოს ექიმი გამოიძახეს, იგი ისე იყო გაცეცხლებული, რიჩარდისათვის ხმის გაცემა აღარ უნდოდა. მშობიარობა ნამდვილი კოშმარი გამოდგა. რიჩარდი შისალებში იჯდა, ორივე ხელით სავარძლის სახელურს ჩაფრენოდა და უსმენდა, დროდადრო როგორ ისმოდა სუსტი შეკივლება საწოლი ოთახიდან. კარგა ხანმა განვლო და კივილი შეწყდა. რიჩარდი ისე გაეწამებინა წინათგრძნობას, რომ როცა ექიმი ოთახში ჩამოვიდა, თავიც არ აუღია.

„გადმოიღე ბოთლი, — უთხრა ექიმმა ქანცგამოლეული ხმით. — მოდი დავლიოთ შენი ღმერთგამწყრალი ჩერჩეტი თავის სადღეგრძელო".

რიჩარდს არც შეუხედავს, არც ხმა გაუღია. ექიმი რამდენიმე ხანს მოქუფრული შესცქეროდა, მერე მოლბა და ალაპარაკდა. „შენი ცოლი არ მომკვდარა,

ერთმა ღმერთმა უწყის, რატომ. იმდენი გადაიტანა, ერთ რაზმს ეყოფოდა ამოსაწყვეტად. ეს სუსტი ქალები დრაკონებივით სიცოცხლისუნარიანები არიან. ბავშვი მკვდარია. — და უცებ გადაწყვიტა დაესაჯა რიჩარდი მისი რჩევის უგულვებელყოფისათვის, — ბავშვისაგან დასამარხიც არაფერი დარჩა". იგი შეტრიალდა და სასწრაფოდ დატოვა სახლი, რადგან არ უნდოდა, რომ შეჰბრალებოდა ვინმე, როგორც რიჩარდ უაიტსაიდი ებრალებოდა ახლა.

ალისა დასაპყარდა. პატარა ჯონი ველარ იხსენებდა, როდის არ იყო დედა საპყარი. მთელი ცხოვრება ხედავდა, ხელში ატატებული როგორ აჰყავ-ჩაჰყავდა კიბეებზე მამას. ალისა ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ თვალებში უფროდაუფრო ხშირად გაუკრთებოდა ახირებული, ბრძნული ღიმილი და, მიუხედავად თავისი სისუსტისა, სახლს სანაქებოდ უძღვებოდა. ჩამოკონკილი სოფლელი გოგოები, რომლებიც სახლში ემსახურებოდნენ, რათა საკუთარი ოჯახების შესაქმნელად მომზადებულიყვნენ, ყოველი ჯერის წინ შემოვიდნენ განკარგულების მისაღებად. ალისა საწოლიდან ან სარწეველა სავარძლიდან გეგმავდა ყველაფერს.

ყოველღამ რიჩარდს აჰყავდა ხოლმე ალისა საწოლ ოთახში. როცა ქათქათა სასთუმალზე მიაწვენდა, თვითონ სკამს მიიდგამდა, ცოტახნით საწოლთან მიუჯდებოდა და ხელისგულზე ეფერებოდა, მანამ ალისას არ ჩაეძინებოდა. ყოველღამ ეკითხებოდა ქალი: „კმაყოფილი ხარ, რიჩარდ?"

„კმაყოფილი ვარ", — პასუხობდა ის და მერე უყვებოდა ფერმისა და ველის მცხოვრებთა ამბებს. ეს ყოველდღიური მოვლენების ერთგვარი ანგარიში იყო. ამ საუბარში ალისას სახეზე ღიმილი მოეფინებოდა და ასე მომღიმარეს მიელულებოდა თვალები. ამის მერე რიჩარდი ჩააქრობდა შუქს. ასეთი გახლდათ ეს რიტუალი.

ათისა რომ შესრულდა, ჯონს წვეულება გაუმართეს. მთელი ველის ბავშვები მოვიდნენ და ფეხისწვერებზე დაიარებოდნენ ვეება სახლში, შესცქეროდნენ დიდმშვენიერებას, რომლის შესახებ მანამდე განაგონით იცოდნენ. ალისა ვერანდაზე იჯდა. „ასე წყნარად ნუ ხართ, ბავშვებო, — უთხრა მან. — ირბინეთ და იმხიარულეთ". მაგრამ მათ არ შეეძლოთ სირბილი და ყვირილი უაიტსაიდის სახლში, ისევე როგორც ეკლესიაში. მაგრამ როცა ყველა ოთახი დაიარეს, მეტი მოთმენა ველარ შეძლეს. მთელმა საკრებულომ თავლაში გადაინაცვლა და იქიდან მათი ველური ყიჟინა ეფინებოდა ვერანდას, სადაც მომღიმარე ალისა იჯდა.

იმ ღამეს ლოგინში მწოლარე კვლავ შეეკითხა ქმარს: „კმაყოფილი ხარ, რიჩარდ?"

რიჩარდს ჯერ კიდევ უბრწყინავდა სახე დაბადების დღეზე მიღებული სიამოვნებისაგან. „კმაყოფილი ვარ", — უთხრა მან.

„ბავშვებზე ნუ დარდობ, რიჩარდ, — განაგრძო ქალმა. — ცოტაც მოიცადე. ყველაფერი რიგზე იქნება. — ეს იყო ქალის დიდი, ყოვლისმომცველი ცოდნა. — ცოტაც მოიცადე. დაგვიანების დარდს თვითონ დრო გააქარვებს". და რიჩარდი მიხვდა, რომ ეს მის ცოდნას აღემატებოდა.

„დიდხანს არ მოგიწევს ლოდინი", — განაგრძო ალისამ.

„რა არ მომიწევს?"

„აბა დაფიქრდი. ჯონი ხომ უკვე ათი წლისაა. ათ წელიწადში დაქორწინდება და მერე... ველარ მიმიხვდი? ასწავლე ყველაფერი, რაც შენ იცი, ოჯახი გადარჩება".

„ეიცი, რაღა თქმა უნდა, ოჯახი გადარჩება. ჰეროდოტეს კითხვა მინდა დავუწყო, საკმაოდ მოიზარდა უკვე“.

„ჩემი აზრით, მირტლმა ზვალისათვის უნდა დაასუფთავოს თავისუფალი საძინებელი ოთახები. ხამი თვეა არ განიავებულა“.

ჯონ უაიტსაიდს სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში, როგორ უკითხავდა მამამისი სამ დიდ ავტორს: ჰეროდოტეს, თუკიდიდესა და ქსენოფონტეს. ამ [illegible] ხვირთქლის ჩიბუხი თანაბარ, სალუქ მოწითალო წაბლისფრად დაიფერა. „ამაში მთელი ისტორიაა, — ეუბნებოდა რიჩარდი, — ყოველივე, რისი უნარიც კაცობრიობას შესწევს, ამ სამ წიგნშია თავმოყრილი. სიყვარული და ვერაგობა, ავყია სიმდაბლე, სიბეცე და გამბედაობა, კეთილშობილება და გვარისა და მოდგმის ნალეველი. ამ წიგნებით შეგიძლია მომავალი განჭვრიტო, ჯონ, რადგან არაფერი მოხდება ისეთი, რაც არ მომხდარა და ამ წიგნებში არ აღბეჭდილა. ამასთან შედარებით ბიბლია შორეული ხალხების მეტისმეტად არასრული ჩანაწერია“.

და ჯონს ახსოვდა, როგორი გრძნობა ჰქონდა მამამისს ამ სახლის მიმართ — როგორი სიმბოლო იყო ეს სახლი ამ ოჯახის, კერის გარშემო აღმართული ტაძარი.

ჯონი ჰარვარდის უნივერსიტეტს ამთავრებდა, როცა მამამისი მოულოდნელად გარდაიცვალა ფილტვების ანთებით. დედამისმა მისწერა, რომ დაბრუნებამდე სწავლა დაემთავრებინა. „შენ ვერაფერს გაუკეთებ ისეთს, რაც ჩვენ არ გაგვიკეთებია, — სწერდა იგი. — მამაშენის სურვილი კი ასეთი იყო, რომ სწავლა დაგესრულებინა“.

როცა იგი ბოლოს და ბოლოს სახლში დაბრუნდა, დედამისი ძალზე მოხუცებული დახვდა. ამ დროისათვის იგი სულმთლად მიჯაჭვოდა ლოგინს. ჯონი გვერდით მიუჯდა და მამამისის უკანასკნელი დღეების ამბავს უსმენდა.

„მითხრა, ერთი რამ გადმომეცა შენთვის, — ეუბნებოდა ალისა, — შეაგნებინე ჯონს, რომ მან უნდა გააგრძელოს ჩვენი გვარი. მე მინდა შემოვრჩე შთამომავლობაშიო, და ამის შემდეგ ჩქარა წაერთვა ცნობა. — ჯონი ფანჯრიდან გაჰყურებდა სახლის უკან წამომართულ მომრგვალებულ ბორცვს, — მამაშენი ორ დღეს უგონოდ იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ ბავშვებზე ბოდავდა, ბავშვების გარდა არაფერზე ლაპარაკობდა. ესმოდა, როგორ დარბოდნენ ისინი აღმა-დაღმა კიბეებზე, გრძნობდა, როგორ ექაჩებოდნენ მის საბანს. უნდოდა დაეჭირა და ხელში აეყვანა, ჯონ. მერე, სწორედ სიკვდილის წინ, გონება დაეწმინდა. ბედნიერი იყო. მითხრა, მომავალი ვიხილე, იმდენი ბავშვი იქნება, კმაყოფილი ვარო, ალისა“.

ჯონს ახლა ხელებზე დაეყრდნო სახე. მერე დედამისი, რომელსაც გაკერპება არა სჩვეოდა და ყველა პრობლემის მოგვარებას დროს მიანდობდა ხოლმე, ლოგინიდან წამოიმართა და უკმეხად მიახალა: „დაქორწინდი! მინდა მოვუსწრო ამას. დაქორწინდი — ჯანმრთელი ქალი მინდა, შვილების გაჩენა რომ შეეძლოს, ისეთი. მე ველარ შევძელი შენს მეტი. კიდევ ერთიც რომ გამეჩინა, მოვკვდებოდი. ჩქარა მოძებნე ცოლი. შენს ცოლს მინდა მოვუსწრო“. იგი სასთუმალზე მიესვენა, თვალებში უბედურება ჩასახლებოდა, სახეზე აღარ უკრთოდა ბრძნული ღიმილი.

ჯონი კიდევ ექვს წელიწადს ვერ დაქორწინდა. ამ ხნის მანძილზე დედამისი მთლად დაილია, ვიდრე პატარა ჩონჩხად არ გადაიქცა, რომელსაც მოლურჯო, ლამის გამჭვირვალე კანი ჰქონდა გადაკრული, და მაინც ებღაუჭებოდა სი-

ცოცხლეს. საყვედურით სავსე თვალს გააყოლებდა ხოლმე ვაჟს და ჯონს რცხვენოდა, როცა დედის მზერას გრძნობდა. ბოლოს ჯონის კურსელი ბიჭი ჩამოვიდა დასავლეთში სამოგზაუროდ და თან თავისი დაც ჩამოიყვანა. ისინი ერთ თვეს სტუმრობდნენ უაიტსაიდების ფერმაში. წასვლის წინ ჯონმა ხელი სთხოვა უილას და თანხმობაც მიიღო. როცა დედას უთხრა, მან მოითხოვა, ქალიშვილთან მარტო დამტოვეო. უილა ნახევარი საათის შემდეგ გამოვიდა დედის ოთახიდან ერთიანად აწითლებული.

„რა მოხდა, ძვირფასო?“ — ჰკითხა ჯონმა.

„არაფერი. ყველაფერი რიგზეა. დედაშენმა ქვეყნის კითხვები დამაყარა და მერე დიდხანს მიყურა“.

„ძალიან მოხუცდა, — მოუბოდიშა ჯონმა, — და ჭკუაც გადაუსხვაფერდა“. იგი შევიდა დედის ოთახში. ალისას ციებ-ცხელებიანი, ქუში გამომეტყველება გადასწმენდოდა სახიდან და მისი ადგილი კვლავ ჩვეულ მრავლისმეტყველ კვიმატ ღიმილს დაეკავებინა.

„ყველაფერი რიგზეა, ჯონ, — უთხრა მან, — მინდოდა მომეცადა და ბავშვებიც მენახა, მაგრამ აღარ შემიძლია. სანამ ძალა შემწევდა, ვებღაუჭებოდი სიცოცხლეს“. ლამის სახილველი შექმნილიყო, როგორ მოადუნა ნებისყოფამ სიცოცხლეს ჩაჭიდებული კლანჭი. ღამით ალისას გონი წაერთვა და სამი დღის შემდეგ ისე წყნარად და უშფოთველად მიიცვალა, თითქოს ძილის წამალი დალიოს.

ჯონ უაიტსაიდს სულმთლად ისეთი გრძნობა არ ჰქონდა ამ სახლისადმი, როგორიც მამამისს. ჯონს უფრო უყვარდა იგი. ეს სახლი მისი სხეულის ნაწილი იყო, მისი გარე საფარველი. მასაც შეეძლო ამ სახლის მიტოვება, ისევე როგორც მის გონს შეეძლო დროებით განშორებოდა სხეულს და სხვაგან გაენავარდა, მაგრამ სწორედ ისევე უცილობლად უნდა მობრუნებოდა თავის სამყოფელს. ყოველ ორ წელიწადში აახლებდა თეთრ საღებავს, თავისი ხელით რგავდა ხეებს და ასწორებდა მესერს. ველზე მას აღარ ჰქონდა ის გავლენა, რაც მამამისს, აკლდა სიმტკიცე და თავდაჯერება. როცა მოდავე მხარეთა კამათის გადაწყვეტაზე მიდგებოდა საქმე, ორივე მხარის გაუთავებელი დასაბუთებანი და მტკიცებანი თავგზას უბნევდა. ამ დროისათვის დიდი ხეირთქლის ჩიბუხი ძლიერ ჩამუქდა, ლამის გაშავდა, ოღონდ ოდნავ, სულ ოდნავ დაიკრავდა მეწამულს.

უილა უაიტსაიდს თავიდანვე შეუყვარდა „ზეციური იალაღები“. ალისას განმარტოება და სიწყნარე უყვარდა და ამით აფრთხობდა გარშემო მყოფთ. იქაური მცხოვრებნი მას იშვიათად ხედავდნენ. მაგრამ როცა მასთან ურთიერთობა უხდებოდათ, ალისა ყველას თავაზიანად და კეთილად ეპყრობოდა, კეთილშობილი და ფრთხილი იყო სხვათა გრძნობების მიმართ. მასთან მყოფნი ისე გრძნობდნენ თავს, როგორც ციხე-დარბაზში სტუმრად მისული გლეხები.

უილას უყვარდა ველის ქალებთან სტუმრობა. სიამოვნებდა მათ სამზარეულოში ჯდომა, მწკლარტე ჩაის სმა და დიასახლისობის ათასგვარ საჭირბოროტო წვრილმანზე მსჯელობა. იგი რეცეპტების დიდი გამავრცელებელი იყო. სტუმრად წასული, უსათუოდ წაიყოლებდა პატარა რვეულს, რომელშიც მოწონებული რეცეპტი უნდა ჩაეწერა. მეზობლები მას უბრალოდ უილას ეძახდნენ და დილ-დილობით ხშირად შემოუვლიდნენ ხოლმე სამზარეულოში ჩაის დასალევად. იქნებ ნაწილობრივ მისი გავლენითაც მოხდა ჯონის გაშინაურება მეზობლებთან. ჯონმა დაკარგა ის გავლენა, მამამისმა განდევილი ცხოვრების წყა-

ლობით რომ მოიპოვა: ჯონს უყვარდა მეზობლები. ზაფხულის თბილ ნაშუადღევს ტილოს სავარძელში მოკალათებული ართობდა აივანზე შეკრებილ თანასოფლელებს, რომლებსაც სამუშაოსაგან მოეცალათ. აქ იმართებოდა პოლიტიკური დისკუსიები და პატარა თავყრილობები ჭიქა ლიმონათზე. სწორედ აქ, ამ აივანზე ყალიბდებოდა მთელი ველის სოციალური და პოლიტიკური კულტურა და ეს კეთდებოდა ძალდაუტანებლად. ჯონი ყოველდღიურობას ერთგვარი თავშესაქცევი ირონიით უყურებდა. მისი ამგვარი მსოფლმხედველობის გავლენით იმ არემარეზე შენელდა მწვავე პოლიტიკური თუ შეურიგებელი რელიგიური შეხედულებები, რომლებიც ასე წამლავს ხოლმე სოფლურ ყოფას. როცა კამათისას რაიმე ადგილობრივ თუ ნაციონალურ კრიზისზე ჩამოვარდებოდა ხოლმე სიტყვა, ჯონს უყვარდა სამი დიდი წიგნის გამოტანა და ანტიკური სამყაროს პარალელური სიტუაციების ხმამაღლა წაკითხვა. მას ისევე მგზნებარედ უყვარდა ანტიკური სამყარო, როგორც მამამისს.

ზოგჯერ კვირაობით მათთან იმართებოდა სადილი, სადაც მეზობელი ცოლქმარი და ხანდახან მოგზაური მღვდელიც იყვნენ მოწვეულნი. ქალები სამზარეულოში ფუსფუსებდნენ, ვიდრე შუადღის სადილს არ გაამზადებდნენ. მღვდელი გრძნობდა, რომ მისი მისიის უწყალო ცეცხლი ამ კეთილმოსურნე შემწყნარებლობის გარემოში თანდათან ნელდებოდა, ისე რომ, დესერტისა და სიდრის მორთმევის დროისათვის შეიძლება გეგონათ მგზნებარე მოძღვრის გულიანი ხარხარი რაღაც უწყინარ ხუმრობაზე, სუფრის შესაკავშირებლად რომ იყო გამიზნული.

ჯონს ასეთი ვითარება გულის სიღრმემდე სიამოვნებდა, მაგრამ ყველაზე უკეთ თავს მაინც სასტუმრო ოთახში გრძნობდა. ტყავის სავარძლები, ჩაზნექილ-ამოზნექილი ადგილებით მიხრწნებულად მოკალათებული ადამიანის ანაბეჭდს რომ გამოსახავდა, მისი სხეულის ნაწილი იყო. კედლებს ამშვენებდა სურათები, რომლებსაც თან შეეზარდა. ლითონის გრავიურებზე გამოსახული იყო შვეიცარიის ალპური ირემი, მთამსვლელები და ჯიხვები. ეს სურათები ისე მჭიდროდ იყო გადაწნული მის ყოფასთან, რომ ველარც კი ამჩნევდა, თუმცაღა რომელიმე მათგანის დაკარგვა ისევე მტკივნეული იქნებოდა მისთვის, როგორც სხეულის რომელიმე ნაკვთის მოკვეთა. საღამოობით განცხრომის ჟამი დგებოდა. წითელი აგურის ბუხარში ნელა ცეცხლი ღუღუნებდა. ჯონი სავარძელში იჯდა და მოხრდილ ჩიბუხს ეალერსებოდა. ხანგამოშვებით ხელს გაუსვამდა პრიალა გვერგვინზე. კითხულობდა გეორგიკას ან ზოგჯერ ვერის წიგნს მიწათმოქმედებაზე. უილა თავის ლამპასთან მიმჯდარიყო და გულმოდგინებისაგან ტუჩებმომუწული ყვავილებს აქარგავდა ხელსახოცებს, რომელიც აღმოსავლელი ნათესავებისათვის უნდოდა საშობაო საჩუქრად, მათგანაც იღებდა საპასუხო ხელსახოცებს.

ჯონმა წიგნი დახურა და საწერ მაგიდასთან მივიდა. მაგიდის ასახსნელი თავი მუდამ იჭედებოდა და სიფრთხილით უნდა გამოეწია, თორემ მოულოდნელად აიხსნებოდა და ჭახანით ვარდებოდა ზემოთ. მაშინ უილა ტუჩებს მოადუნებდა და გულმოდგინე მუშაობის დაძაბული გამომეტყველება წამით სტოვებდა მის სახეს.

„რას აკეთებ, ღვთის გულისათვის?"

„ოჰ, არაფერს, რაღაც მინდოდა..."

ჯონი ერთ საათს მუშაობდა მაგიდასთან, და მერე — „აბა, ყური უგდე, უილა".

ქალი ისევ მოეშვებოდა. „ეგრეც ვიცოდი, პოეზია იქნება ალბათ".

ჯონი წაუკითხავდა ლექსებს და მოკრძალებით დაელოდებოდა. უილა ტაქტიანად დუმდა მანამდე, ვიდრე დუმილს ტაქტიანად ვეღარ ჩათვლიდი. „მგონი, ვერაფერი შვილია", — სინანულით გაიცინებდა ჯონი.

„ჰო, ვერ არის მაინცდამაინც".

ქმარი ქაღალდს მოკუჭავდა და ცეცხლში შეაგდებდა. „რამდენიმე წუთს მეგონა, კარგი გამოვიდა-მეთქი".

„რას კითხულობდი, ჯონ?"

„ისე, ვირგილიუსს გადავავლე თვალი და ვიფიქრე, ლექსის წერაში ვცდილუთქი ბედს. არ მინდოდა, რომ ...ოო, იცი, თითქმის შეუძლებელია წაიკითხო მშვენიერი ნაწარმოები და მშვენიერების შესაქმნელად შენც არ გაგიწიოს გულმა. მაგრამ ეგ არაფერი". მან დახურა მაგიდის თავი და წიგნების კარადიდან ახალი წიგნი გადმოიღო.

სასტუმრო ოთახი იყო მისი სავანე. აქ აღწევდა მისი არსება სისავსეს, სრულქმნილებასა და ბედნიერებას. როჩესტერის ლამპის ქვეშ მისი სხეულის ყველა უმნიშვნელო ნაწილაკი იკრიბებოდა და ერთ განსაზღვრულ, თავისთავად მთლიანობად ყალიბდებოდა.

ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრება ტალღისებურად ვითარდება. პატივმოყვარე ალმაფრენას სიმწიფის ბექობა აგვირგვინებს, ამას მოსდევს იმედგაცრუების დაღმართი და სიკვდილის მოლოდინის ერთფეროვანი ვაკე. ჯონ უაიტსაიდის ცხოვრება სწორხაზოვნად მიედინებოდა. მისთვის უცხო იყო პატივმოყვარე მისწრაფებები, ფერმა მას არამარტო რიგიანად აცხოვრებდა, იმის საშუალებასაც აძლევდა დაექირავებინა ხალხი, რომელიც მისთვის იმუშავებდა. მას არაფერი უნდოდა იმის გარდა, რაც ჰქონდა ან რასაც იოლად დაეუფლებოდა. იგი იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთაც უნარი შესწევთ დააგემოვნონ წამი, ვიდრე ის წარსულად ქცევას მოასწრებს. და მან იცოდა, რომ მისი ცხოვრება მშვენიერი, გამორჩეულად მშვენიერი იყო.

მხოლოდ ერთი წადილი უშფოთებდა წუთისოფელს. შვილები არა ჰყავდა. ვაჟიშვილების წყურვილი მასში თითქმის ისეთივე ძლიერი იყო, როგორც მამამისში. უილას შვილი არ ეყოლა, თუმცა ოვითონაც ისევე განიცდიდა ამას, როგორც ჯონი. ეს ამბავი თავზარსა სცემდათ და ამაზე არ ლაპარაკობდნენ. ქორწინების მერვე წელს, რაღაც ქიმიური თუ ღვთაებრივი შემთხვევის წყალობით, უილა დაორსულდა, განვლო უმტკივნეულო, ნორმალური ფეხმძიმობა და ჯანმრთელი პირმშო მოუვლინა ქვეყანას.

შემთხვევა მეტად აღარ განმეორებულა, მაგრამ ორთავე, უილაც და ჯონიც მადლიერების, ლამის მორწმუნის მადლიერებით განიმსჭვალნენ. თვითუკვდავყოფისაკენ მისწრაფება, რომელიც მანამდე თითქოს თვლემდა ჯონის სულში, ახლა გამოიკვეთა. რამდენიმე წლის განმავლობაში მან გუთნით დახნა, ფარცხით დაკაწრა და გორგოლაჭით გაამათრახა მიწა. თუკი მანამდე მხოლოდ მეგობარი იყო ფერმისა, მომავალი თაობის წინაშე გაღვიძებულმა მოვალეობის გრძნობამ მიწის მეგობრიდან მის მეპატრონედ აქცია. თესლს ჩააბნევდა ნიადაგში და სულწასული მოელოდა ჯეჯილის ამობიბინებას.

უილა ისე არ შეცვლილა, როგორც მისი ქმარი. პატარა უილიამი ისე მიიღო, როგორც ბუნებრივი მოვლენა, უწოდა ბილი და მის გადმერიებაზე უარი თქვა. ჯონი ბიჭში მამამისს ხედავდა, თუმცა მის გარდა ასეთ მსგავსებას ვერავინ ამჩნევდა

„როგორ გგონია, ცინცხალი გონება აქვს? — ეკითხებოდა ჯონი ცოლს. — შენ ჩემზე მეტ დროს ატარებ მასთან. როგორ ფიქრობ, ინტელექტი გააჩნია?“

„ისე რა, ნორმალურად“.

„ასე მგონია, ძალიან ნელა ვითარდება, — მოუთმენლად ამბობდა ჯონი. — ჩქარა მინდა მოვიდეს ის დრო, როცა რაღაცის აზრზე მოვა“.

ეროვნული

ბილის მეათე დაბადების დღეზე ჯონმა გადამალა თავისი [illegible]-რიდოტე და კითხვა დაუწყო ბიჭს. ბილი იატაკზე იჯდა და მამისათვის არაფრის მთქმელი მზერა მიეპყრო. ჯონი ყოველ საღამოს რამდენიმე გვერდს უკითხავდა წიგნიდან. ანე, ერთი კვირის შემდეგ საღამოს წიგნიდან თავი მაღლა ასწია და დაინახა, რომ უილა იცინოდა. „რა მოხდა?“ ჩაეკითხა ცოლს.

„სკამის ქვეშ შეიხედე“.

ჯონი დაიხარა და დაინახა, რომ ბილს ასანთის კოლოფებისაგან სახლი აეშენებინა. ბავშვი ისე იყო გართული თამაშით, რომ არც კი შეუმჩნევია კითხვის შეწყვეტა. „სულ არ მოუსმენია?“

„არც ერთი სიტყვა არ გაუგონია პირველი ღამის შემდეგ, როცა მეორე აბზაცის კითხვისას დაკარგა ინტერესი“.

ჯონმა წიგნი დახურა და კარადაში შეინახა. არ უნდოდა გამოემჟღავნებინა, რაოდენ გულმოკლული იყო. „ალბათ ჯერ ხანი არ ჰყოფნის საამისოდ. ერთ წელს კიდევ დაველოდი და ხელმეორედ ვცდი“.

„არც არასოდეს მოეწონება ეგ, ჯონ. იგი სხვა ყაიდისაა, არც შენა გგავს და არც მამაშენს“.

„მაშ რაღა აინტერესებს?“ — შეეკითხა გულგახეთქილი ჯონი.

„ისეთი რამეები მოსწონს, რაც ველის სხვა ბიჭებს, თოფები და ცხენები, ძროხები და ძაღლები. იგი ხელიდან დაგისხლტა, ჯონ, და არა მგონია, ოდესმე დაიჭირო“.

„შეუფარავად მითხარი, უილა, უტვინოა?“

„არა, — დაბეჯითებით უპასუხა ქალმა, — არა, უჭკუო არ არის. თავისებურად იგი შენზე მტკიცე და საზრიანიც კია. ოღონდ შენი ყაიდისა არ არის, ჯონ, უმჯობესია ახლავე მიხვდე ამას, ვიდრე მოგვიანებით“.

ჯონმა იგრძნო, როგორ აუცრუვდა გული მიწაზე. მიწას არაფერი უჭირდა. თავის დროზე ბილი უპატრონებდა ფერმას. სახლსაც არაფერი დაუშავდებოდა. ბილი არ იყო უჭკუო. თავიდანვე დიდ ინტერესსა და უნარს ამჟღავნებდა მექანიკისადმი. აკეთებდა პატარა ვაგონებს და საშობაო საჩუქრად სათამაშო ორთქლმავლებს თხოულობდა. ჯონმა სხვა უცნაურობაც შეამჩნია ბიჭს, რაღაც ისეთი, რაც უცხო იყო უაიტსაიდების ოჯახისათვის. ბილი არა მარტო მეტისმეტად გულჩათხრობილი იყო, ბიზნესის უტყუარი ალღოც გააჩნდა. თავის საკუთრებას სხვა ბიჭებს მიჰყიდდა და, როცა მათ მოყირჭდებოდათ, იაფად გამოისყიდდა ხოლმე, საჩუქრად მიღებული პატარა თანხა მის ხელში უცნაური სისწრაფით იზრდებოდა. ჯონი კარგა ხანს არ უტყდებოდა თავს, რომ შვილთან საერთო ენას ველარ პოულობდა. როცა ბილს უშობელი აჩუქა, ბიჭმა უცებ გადაახურდავა იგი გოჭების კოლტში, რომელიც დაზარდა და დაყიდა. ჯონი თავისთვის იცინოდა. „მართლაც რომ ჩემზე საზრიანია, — ეუბნებოდა უილას, — ერთხელ მამაჩემმა უშობელი მაჩუქა და იმდენ ხანს მყავდა, სანამ სიბერისაგან არ მოკვდა. ბილი რომელიღაც წინაპარს გამოემგვანა, ალბათ მეკობრეს. მისი შვილები უსათუოდ უაიტსაიდები იქნებიან. ეს ძლიერი სისხლია, მაგრამ ნეტავ თავის საქმეებში ეგეთი გულჩათხრობილი არ იყოს“.

ტყავის სავარძელმა, შავმა ხვირთქლის ჩიბუხმა და წიგნებმა ჯონი კულტ-ჩამოაცილა ფერმას. იგი სასკოლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, ფერმერები კვლავინდებურად იკრიბებოდნენ მის სახლში სასაუბროდ. ჯონის თმა უჭაღარავდებოდა და ხანის მატებასთან ერთად მისი გავლენაც იზრდებოდა ველზე.

უაიტსაიდების სახლი ჯონის პიროვნების განსხეულება იყო. როცა ველის მცხოვრებლები მასზე ფიქრობდნენ, ვერასოდეს წარმოედგინათ ისე, როგორც მიხდერად გასული ან ოთხთვალაში მჯდარი მარტოკაცი. მისი აზრობრივი სურათი არასრული იქნებოდა უამსახლოდ. იგი ტყავის სავარძელში მჯდომარე ედგათ ხოლმე თვალწინ, ღიმილით რომ შესცქეროდა თავის ფოლიანტებს, ან შეზლონგში გადაწოლილი თავის ფართო აივანზე, ან მაკრატლითა და კალათით ხელში, ბაღში ყვავილებს რომ კრეფდა; ან საკუთარი სუფრის თავში, დიდი ზელოვნებით და მონდომებით რომ ჭრიდა შემწვარ ხორცს.

დასავლეთში თუ ერთ სახლში ოჯახის ორმა თაობამ იცხოვრა სახლს ძველს უწოდებენ, ოჯახს კი პირველმოსახლეს, ძველი სახლი ერთგვარ ზიზღშერეულ მოწიწებას იწვევს. დასავლეთში ძალზე ცოტაა ძველი სახლები. ეს მოუსვენარი ამერიკელები კი დაესახლებიან, მაგრამ ერთ ადგილზე დასარჩენად დიდხანს მაინც არ უდგებათ გული. ფარღალალა სახლებს მოფორხავენ და მალე სხვა მხარეს გასწევენ, რათა ახალ საქმეს მოეკიდონ. ძველი სახლები თითქმის ყოველთვის ცივია და უსახური.

როცა მონროები ბეტლის ფერმაში გადმოვიდნენ „ზეციურ იალაღებზე“, ბერტს დიდი ხანი არ დასჭირვებია იმის მისახვედრად, თუ რა მდგომარეობა ეკავა ჯონ უაიტსაიდს ველზე. შესაძლებლობისთანავე იგი შეუერთდა იმ კაცებს, უაიტსაიდის აივანზე რომ იკრიბებოდნენ. მისი ფერმა უაიტსაიდების მამულს ეკვროდა. ჩამოსვლის შემდეგ ბერტი მალე სასკოლო საბჭოშიც აირჩიეს და ამან იგი ოფიციალურად დააკავშირა ჯონთან. ერთ ღამეს საბჭოს თავყრილობაზე ჯონმა რამდენიმე ბწკარი მოიყვანა თუკიდიდედან. ბერტი დაელოდა, სანამ საბჭოს წევრები დაიშლებოდნენ.

„წეღან რომ ლაპარაკობდით, იმ წიგნზე მინდოდა მეკითხა, მისტერ უაიტსაიდ“.

„პელოპონესის ომებზე“ ბრძანებთ?“ — ჯონმა ჩამოიღო წიგნი და ხელში ჩაუგდო ბერტს.

„ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, წამეკითხა-მეთქი. თუკი უარს არ მეტყოდით და მათხოვებდით“.

ჯონი წამით შეყოყმანდა. „რა თქმა უნდა, წაიღეთ. მამაჩემის ნაქონი წიგნია. როცა ამას დაამთავრებთ, სხვებიც მაქვს, რომლებსაც ალბათ სიამოვნებით წაიკითხავდით“.

ამ შემთხვევამ ერთგვარად დააახლოვა ეს ორი ოჯახი. ისინი რიგრიგობით ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს სადილად და ხშირადაც დადიოდნენ ერთიმეორესთან. ბერტი თავისუფლად ნათხოვრობდა ჯონისაგან ხელსაწყო-იარაღებს.

ერთ საღამოს, მონროების ჩამოსახლებიდან ასე წელიწადნახევრის შემდეგ, ბილმა ხისტად შეაბიჯა მისაღებში და მშობლებს უხეშად მიახალა: „ცოლის შერთვას ვაპირებ“. ეს სიტყვები ისეთნაირად უთხრა, თითქოს ცუდი ამბავი ეუწყებინოს.

„რაო? — იყვირა ჯონმა. — რატომ ადრე არაფერი გვითხარი? ვინ არის?“

„მეა მონრო“.

ჯონმა უცებ იაზრა, რომ ეს სასიხარულო ამბავი იყო და არა დანაშაულის

აღიარება. „რატომ — ეგ კარგია! ძალიან მოხარული ვარ. მშვენიერი გოგონაა, არა, უილა?" ცოლმა თვალი აარიდა. ის უკვე ნამყოფი იყო მონროებთან იმ დილით.

ბილი უაზროდ დაეყუდა შუა ოთახში. „როდის აპირებთ ამის გაკეთებას?"— ჰკითხა უილამ. ჯონს ცოლის ხმა ლამის არაკეთილმოსურნე ეჩვენა.

„ახლა ალბათ მალე. როგორც კი სახლს მოვამთავრებ მონტერეიში".

ჯონი სავარძლიდან წამოდგა, ბუხრიდან ხვირთქლის ჩიბუხი ჩამოიღო და მოუკიდა. მერე კვლავ სავარძელს მიუბრუნდა. „ძალიან ჩუმად კი მოგიგვარებია ყველაფერი, — თავშეკავებით შენიშნა მან. — რატომ არაფერი გვითხარი?" ბილს პასუხი არ გაუცია. — „ამბობ, მონტერეიში ვაპირებ ცხოვრებასო. ამით იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ცოლს აქ არ მოიყვან? რა, ამ სახლში ცხოვრებას და ამ მიწის პატრონობას არ აპირებ? — ბილმა თავი გააქნია. — სირცხვილი არ გაწუხებს, ბილ?"

„არა, ბატონო, — თქვა ბილმა, — სასირცხვო აბა რა მაქვს. უბრალოდ არ მიყვარს ჩემს საქმეებზე ლაპარაკი".

„ცოტა ჩვენიც ხომ არ არის ეგ საქმე, ბილ? — მწარედ თქვა ჯონმა. — შენა ხარ ჩვენი ოჯახი. შენი შვილები ჩვენი შვილიშვილები იქნებიან".

„მეა ქალაქში გაიზარდა — წამოიწყო ბილმა. — მთელი მისი ამხანაგები მონტერეიში ცხოვრობენ. აი, ისინი, ვისთან ერთადაც კოლეჯში დადიოდა, მას არ მოსწონს აქაურობა. რა უნდა გააკეთოს აქ. ასე რომ, როცა თქვა, ქალაქში მინდა ცხოვრებაო, ფორდის სააგენტოში მეპაიედ შევედი. ყოველთვის მინდოდა ბიზნესს მოვკიდებოდი".

ჯონმა ნელა დაუქნია თავი. პირველმა გაცხარებამ თანდათან გადაუარა. „როგორ ფიქრობ, ამ სახლში ცხოვრებაზე ვერ დაითანხმებ, ბილ? ადგილი ბევრი გვაქვს. რომელი მხარეც უნდა, თავის გემოზე გადაიკეთოს".

„მაგრამ მას არ უყვარს სოფელი. მისი ამხანაგები ყველანი მონტერეიში ცხოვრობენ".

უილას მაგრად მოეკუმა პირი. „მამაშენს შეხედე, ბილ!" — უბრძანა მან. ჯონმა ნერვიულად შემართა თავი და ნაძალადევად გაიღიმა.

„ჰოო, ჩემი მიხვედრით ყველაფერიც მოგვარდება. ფული ბევრი გაქვს?"

„კი, რასაკვირველია, ბლომად! ჩვენ ძალიან დიდ სახლს ვაშენებთ, მამა. უფრო სწორად, ორისათვის მეტისმეტად დიდს. ჩვენ მოვილაპარაკეთ ამაზე და ვიფიქრეთ, იქნებ შენ და დედას ჩვენთან მოგეწადინებინათ ცხოვრება".

ჯონის სახეს არ სცილდებოდა ნაღვლიანი, თავაზიანი ღიმილი: „მერე ამ სახლს და ამ ფერმას რაღა ვუყოთ?"

„ჰოო, ჩვენ მაგაზეც ვილაპარაკეთ. შეგეძლოთ გაგეყიდათ აქაურობა და იმდენი აგეღოთ, მთელი ცხოვრება გყოფნოდათ ქალაქში. მე ერთ კვირაში გაგიყიდიდით ამ ფერმას".

ჯონმა ამოიოხრა და სავარძელში გადაწვა.

„შენი აჭყივლება რომ შემეძლოს ძველებურად, კეტითა გცემდი, ბილ", — ჩაილაპარაკა უილამ.

ჯონმა ჩიბუხს მოუკიდა და თამბაქო შიგ ჩაბეკნა. „დიდი ხნით ვერსად წახვალ, — წყნარად თქვა მან. — ერთ მშვენიერ დღეს მშობლიური სახლი მოგენატრება და გული აქეთ გამოგიწევს. აქაურობა სისხლში გიზის. როცა შვილები გეყოლება, მიხვდები, რომ მხოლოდ აქ შეიძლება მათი გაზრდა, სხვაგან არსად. ცოტა ხნით შეგიძლია წახვიდე, მაგრამ დარჩენით ვერ დარჩები. სანამ ქალაქში

იქნები, ბილ, ჩვენ შინ დაგელოდებით, სახლს შევათეთრებთ და ბაღს მივხედავთ. შენ დაბრუნდები. შენი შვილები ამ კოშკურაში ითამაშებენ. ამას დაველოდებით. მამაჩემს ბავშვებზე ნატვრაში ამოხდა სული, — შემკრთალმა გაიღიმა, — ეგ კინაღამ გადამავიწყდა".

„კეტითა ვცემდი", — ჩაიბურტყუნა უილამ.

ბილმა არეული ნაბიჯით დატოვა ოთახი. „დაბრუნდება", — [illegible] ჯონმა, როცა ბილი გავიდა.

„აბა რას იზამს", — ქუშად დაეთანხმა ცოლი.

ჯონმა თავი ასწია და ეჭვით გახედა. „მართლა ასე ფიქრობ, უილა? ან იქნებ გულის გასაკეთებლად მეუბნები? თუ მასეა, ძალიან დავბერებულვარ".

„რა თქმა უნდა, ასე ვფიქრობ. გგონია, ენას ყასიდად ვრჯი?"

ბილი ზაფხულის მიწურულს დაქორწინდა და მაშინვე მონტერეიში გადასახლდა თავის მობათქაშებულ სახლში. შემოდგომაზე ჯონ უაიტსაიდი ისეთივე მოუსვენრობამ შეიპყრო, ბილის დაბადებამდე რომ ჩვეოდა. სახლი შელება, თუმცა ამას მაინცდამაინც არც საჭიროებდა. უწყალოდ გაკრიჭა ბუჩქები ბაღში.

„მიწა არ იძლევა საკმაოს, — ეუბნებოდა ბერტ მონროს. — კარგა ხანია ხელი მივუშვი. ბევრად მეტის მოწევა შეიძლებოდა, ვიდრე მე მომყავს".

„ეგრეა, — თქვა ბერტმა. — ვერც ერთი ვერ ვიყენებთ მიწას ხეირიანად. შენი გამკვირვებია, რატომ ცხვარს არ მოაშენებ. ჩემი აზრით, შენი ფერდობები ერთ კაიხელა ფარას შეინახავდა".

„მამაჩემის დროს გვყავდა ცხვარი. დიდი ხნის წინანდელი ამბავია ეგ. მაგრამ გეუბნები, ხელი მივუშვი-მეთქი აქაურობას. ჯაგნარი მოედო".

„გადაწვი, — უთხრა ბერტმა. — ამ შემოდგომაზე რომ გადაწვა, გაისად, გაზაფხულზე მშვენიერი საძოვარი გექნება".

„კარგი აზრია. თუმცა ჯაგნარი სახლთან ძალიან ახლოსაა, გვარიანი დახმარება დამჭირდება".

„მე დაგეხმარები და ჯიმსაც მოვიყვან. ორი კაცი შენა გყავს და შენი ჩათვლით ხუთნი ვიქნებით. დილით რომ დავიწყოთ უქარო ამინდში და პატარა ნაწვიმარსაც დავამთხვიოთ, შიში არაფრისა უნდა გვქონდეს".

შემოდგომა ნაადრევად დადგა. ოქტომბრისთვის „ზეციურ იალაღებზე" წყაროებთან ტირიფები ყვითლად აბრიალდნენ. ლამის თვალშეუდგამ სიმაღლეზე იხვთა დიდი გუნდები სამხრეთისაკენ მიფრინავდნენ, ხოლო თაველის ეზოში მოშინაურებული გარეული იხვები ფრთებს აფართხუნებდნენ, კისრებს იგრძელებდნენ და გულისმომწყვლელად კვიტკვიტებდნენ. შაშვები მეწინავის თაოსნობით ირაოს არტყამდნენ მინდვრებს. ჰაერში ნაადრევი ყინვის სუნი ტრიალებდა. ჯონ უაიტსაიდი ზამთარს ეჯიბრებოდა. მთელი დღე ბაღში მუშაობდა, ხეების სხვლაში ხელს აშველებდა მუშებს.

ერთ ღამეს გამოეღვიძა და ყური მიუგდო, როგორ ეჩურჩულებოდა ჟუჟუნა წვიმა შიფერის სახურავს და ნელა შხაპუნებდა ბაღში.

„გღვიძავს, უილა?" — წყნარად ჩაეკითხა ცოლს.

„რა თქმა უნდა".

„პირველი წვიმაა, მინდოდა შენც მოგესმინა".

„მე მეღვიძა, როცა დაიწყო", — თავმომწონედ უთხრა ქალმა.

„შენ ყველაზე საუკეთესო გამოტოვე, პირველი თქეში. იმ დროს ხვრინავდი".

„დიდხანს არ გაგრძელდება. ხანმოკლე პირველი წვიმაა, მტვერი რომ გადარეცხოს".

დილით მზემ გამოანათა მოკამკამე ჰაერში. მზის შუქი ბროლივით წკრიალებდა. ის-ის იყო უაიტსაიდები საუზმეს მორჩნენ, რომ ბერტ მორტონი და მისი ვაჟი, ჯიმი უკანა კიბეზე ამობრაგუნდნენ და სამზარეულოში შემოვიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დილა მშვიდობისა, მისის უაიტსაიდ, გამარჯობა, ჯონ! ვიფიქრე, დღევანდელი დღე სწორედ ზედგამოჭრილია იმ ჯაგნარის გადასაწვავად-მეთქი. წუხელის კარგად წამოჟინჟლა".

„ჩინებული აზრია. დაჯექი, ყავა დალიე".

„ეს-ეს არის ვისაუზმეთ, ჯონ. ლუკმაც არ გადამივა ყელში".

„შენ, ჯიმი? ყავა დაგელია".

„ერთ ლუკმასაც ვერ შევჭამ", — თქვა ჯიმიმ.

„მაშინ საქმეს შევუდგეთ, მანამ ბალახი არ გამშრალა".

ჯონი ჩავიდა მოზრდილ სარდაფში, რომლის დამრეცი კარი სამზარეულოს კიბის ქვეშ გამოდიოდა. წუთში გამოიტანა ორი ბიდონი ნავთი. და როცა ბაღჩაში მომუშავე ორი დაქირავებული კაციც შემოემატათ, ჯონმა ყველანი სველი ჯვალოს ტომრებით აღჭურვა.

ჯონმა ნავთში დასველებული მაშხალა სქელ ბუჩქში ჩააგდო და კიდეებზე ცეცხლის ზოლი შემოავლო. ბუჩქმა გაიტკაცუნა და აბრიალდა. ალმა დაურბინა ფისოვან ღეროებს. კაცები ნელა მიჰყვებოდნენ ცეცხლს სერისკენ.

„აქ ალბათ უკვე კმარა,— დაიძახა ბერტმა, — სახლიდან ახლა უკვე კაიხელა მანძილია. მგონი, აჯობებდა ორ კაცს ზემოდან წაეკიდებინა". იგი ჯიმის თანხლებით გაეშურა, რათა ჯაგნარისათვის შემოევლო. სწორედ იმ წუთში შემოდგომის ნელმა სიომ ბზრიალ-ტრიალით ჩამოირბინა ფერდობი, კეკლუცად მიეახლა ცეცხლს, ნაპერწკლები და ნაკვერჩხალი წამოკრიფა და თეთრ სახლს შეაყარა. მერე, თითქოს ეს თამაში მობეზრდაო, უკან მოაწყდა. ბერტი და ჯიმი უკან გამოიქცნენ, ხუთივე კაცი მიწას ჩხრეკდა და ფეხით ქელავდა ყოველ ნაპერწკალს. „იღბალი, რომ შევამჩნიეთ, — თქვა ჯონმა. — ამნაირმა ერთი ბეწო სისულელემ შეიძლება სახლი გადაწვას".

ბერტმა და ჯიმიმ ნაკვეთს მოუარეს და ზემოდან წაუკიდეს ცეცხლი. ჯონი და მისი ორი კაცი გორაკის ძირიდან თხემისკენ მიუყვებოდნენ, სახლსა და ცეცხლს შორის ჩამდგარნი. ჰაერი ჩასქელდა და გალურჯდა კვამლისაგან. თხუთმეტ წუთში ჯაგნარი თითქმის გადამწვარი იყო.

უეცრად სახლის მხრიდან კივილი მოისმა. თვითონ სახლი გარკვევით ჩანდა აკვამლებული ჯაგნარიდან. ხუთივე კაცი შემოტრიალდა და იქით გავარდა. ბოლი რომ შეთხელდა, ერთ-ერთი ზედა ფანჯრიდან ბოლქვ-ბოლქვად გამომავალი კვამლი დაინახეს.

უილა გაგიჟებული გამორბოდა გადამწვარ მიწაზე. ჯონი შეჩერდა, როცა ქალს მიუახლოვდა.

„სარდაფიდან ხმა შემომესმა. — დაიყვირა ქალმა. — სამზარეულოდან სარდაფში ჩამავალი კარი გამოვაღე და ზედ ცხვირწინ ჩამიქროლა ცეცხლმა. ახლა მთელ სახლს მოედო".

ბერტი და ჯიმიც მოცვივდნენ, „შლანგები კოშკურასთანაა?" შეჰყვირა ბერტმა.

ჯონმა ძლივს მოწყვიტა მზერა ცეცხლწაკიდებულ სახლს. „არ ვიცი", — ყოყმანით თქვა.

ბერტმა მკლავში ჩაავლო ხელი. „წამოდი! რას უცდი? რაღაც მაინც შეგვიძლია გადავარჩინოთ. ავეჯის ნაწილი მაინც გამოვიტანოთ".

ჯონმა მკლავი გაინთავისუფლა, ნელა ჩამოიარა გორაკზე მდგარი სახლისაკენ გაემართა. „არა მგონია, რაიმეს გადარჩენა მინდოდეს", — თქვა მან.

„შენ რა, გაგიჟდი?" — დაიყვირა ბერტმა. იგი გაიქცა შლანგების მოსაძებნად.

ახლა კვამლი და ცეცხლის ალი უხვად ილვრებოდა ფანჯრებიდან. შიგ სახლიდან უსაშველო ლაწალუწის ხმა მოისმოდა. ძველი სახლი სიცოცხლის შესანარჩუნებლად იბრძოდა.

ერთ-ერთი მუშა გვერდით ამოუდგა ჯონს. „ნეტავ ის ფანჯარა მაინც ყოფილიყო დაკეტილი, რაღაც შანსი კიდევ გვექნებოდა, — მობოდიშებით ჩაილაპარაკა მან. — თანაც ეს სახლი კიდევ ისეა გამომშრალი, საჰაეროც საკვამურივითა აქვს დატოვებული".

ჯონი შეშის გროვასთან მივიდა და საჩეხ ძელზე ჩამოჯდა. უილამ წამით შეხედა სახეზე და მერე უხმოდ ამოუდგა გვერდში. ახლა უკვე გარეთა კედლებიც ხრჩოლავდა და სახლი გრიგალივით ღმუოდა.

მერე ძალზე უცნაური და სასტიკი რაღაც მოხდა. გვერდითა კედელი სცენის დეკორაციასავით გადმოწვა და იქ, მიწიდან 12 ფუტის სიმაღლეზე გამოჩნდა ცეცხლისაგან ჯერ კიდევ ხელუხლებელი სასტუმრო ოთახი. დაინახეს, როგორ დაემგერა ცეცხლის ენები ოთახს. ტყავის სავარძლები სიცხისაგან ცოცხალივით ათრთოლდნენ და მოიკრუნჩხნენ. სურათების მინები დაიმსხვრა და გრავიურები შავი ჩვრებივით მოიკუჭნენ. დაინახეს, როგორ გადმოეშვა ხვირთქლის ჩიბუხი ბუხრიდან. მერე ალმა წაშალა და გააცამტვერა იქაურობა. შიფერის სახურავი ჩამოიქცა და ქვეშ დაიტანა კედლები და იატაკი. და სახლი ვეებერთელა უფორმო კოცონად იქცა.

ბერტი დაბრუნდა და უმწეოდ დადგა ჯონის გვერდით. „იმ ნიავქარის ამბავია, — განმარტა მან. — როგორც ჩანს, ნაპერწკალი სარდაფში ჩავარდა და ნავთს მოედო. დიახ, სერ, სულ იმ ნავთის ბრალია".

ჯონმა ამოხედა და შემაძრწუნებელი მხიარულებით შემოჰღიმა: „დიახ, სულ იმ ნავთის ბრალია", — ექოსავით გაიმეორა მან.

ცეცხლი ახლა თანაბრად გიზგიზებდა, რაკი გამარჯვება გაინაღდა. ალის ენები მაღლა ჰაერში აბიბინდა. კოცონი უკვე არაფრით მოგაგონებდათ სახლს. ჯონ უაიტსაიდი ძელიდან წამოდგა, მხრებში გასწორდა და ამოიოხრა. მისი მზერა წამით შეყოვნდა ცეცხლზე, თხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე, სადაც ადრე მისი ოთახი იყო. „ესეც ასე, გათავდა, — თქვა მან. — ახლა, მგონი ვიცი, რას გრძნობს სული, როცა თავის სხეულს დაჰყურებს მიწაში დაფლულსა და იავარქმნილს. მოდი, შენთან გადავიდეთ, ბერტ. ბილს მინდა დავურეკო. ალბათ მოეძებნება ჩვენთვის ერთი ოთახი".

„რატომ ჩვენთან არ დარჩებით. ჩვენ ქვეყნის ადგილი გვაქვს".

„არა, ბილთან წავალთ". — ჯონმა ერთხელ კიდევ მოხედა აბრიალებულ გროვას, უილამ ხელი წამოიღო, მკლავზე უნდა მოეკიდა, ისე მიჰყვა უკან, ქმარმა შეამჩნია მისი მოძრაობა და გაუღიმა: „ნეტავ ჩიბუხი მაინც გადამერჩინა".

„დიახ, სერ, — თავშეუკავებლად ჩაერთო ბერტი. — ეს იყო საუკეთესო ფერის ხვირთქლის ჩიბუხი, რაც კი მინახავს. მუზეუმებში ჩიბუხები უწყვიათ, შეფერილობით ამას არაფრით აღემატებიან. ეტყობა, დიდხანს ხმარობდნენ".

„ასეა, — დაეთანხმა ჯონი, — ძალიან დიდხანს. და იცი, კარგი სურნელიც ჰქონდა.

# ვლადიმერ ლიდინი

## შვიდი წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ნათელა ბაქაშვილმა

ექიმი კაზარინოვი მუცლის ტიფით გახდა ავად. გაიარა თუ არა მძიმე კვირამ და ნასიცხარმა და ღონემიხდილმა კაზარინოვმა კვლავ სააქაოსკენ იბრუნა პირი, თავის საწოლთან მოფუსფუსე მედდა ნადია ტროფიმის ასული დაინახა. იგი კარგად იცნობდა ამ საოცრად მოკრძალებულსა და, ამავე დროს, საქმიან ქალიშვილს, მუდამ აოცებდა მისი ხელმარჯვეობა და ავადმყოფებზე დაუღალავი ზრუნვა, ჰოდა, უნებლიეთ გაეღიმა.

— აგერ, მეც თქვენი მოსავლელი გავხდი, ნადია, — უთხრა მიმქრალი ხმით. — არადა, ექიმებს, წესისამებრ, ავადმყოფობა გვეკრძალება.

ნადია უმალ დაიხარა მისკენ, თვალებში ჩახედა. მკაცრი სახე ჰქონდა და არც კაზარინოვის ხუმრობას აჰყოლია.

— ლეონიდ ნიკოლაევიჩ,ჯობს დაიძინოთ... სალაპარაკო დრო კიდევ გვექნება, — თქვა მოთხოვნის კილოთი.

— რა გაეწყობა... — ესლა მიუგო ავადმყოფმა, — ძილია და ძილი იყოს.

და ისე ღრმად ჩაიძინა, როგორც, საერთოდ, ნასიცხარ ადამიანებს სჩვევიათ.

მერე გამოჯანმრთელების დღეები მიჰყვა ერთმანეთს. საავადმყოფოს სარკმელი ბაღს გადაჰყურებდა და ფანჯარასთან მომდგარ ასი წლის კოპიტს დღითი დღე ეტყობოდა, რომ გაზაფხული კარზე იყო მომდგარი. თავდაპირველად ხეს თითქოსდა ლილისფერი დაედო, მერე შტოები როგორღაც დაეკორძა და მალე სრულიად აშკარა გახდა, რომ ხეს კვირტები გამოელო. კაზარინოვი კარგა ხანია საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი გახლდათ და, პატივისცემის ნიშნად, ცალკე პალატაში დააწვინეს. რადგან ტიფის მძიმე სახეობა აღმოაჩნდა, მისი მოვლა საუკეთესო მედდას, ნადია ტროფიმის ასულს დაევალა.

ჩვეულებრივ, როდესაც საკუთარ თავში დარწმუნებული და მოქმედებას ჩვეული მამაკაცი უმწეობასა და უილაჯობას გრძნობს, იგი განსაკუთრებულად აღიქვამს ქალის მარჯვე ხელს, რომელიც ხან ბალიშს უსწორებს, ხან პირთან წყალს მიუტანს, რომელიც ფრთხილად უწმენდს ოფლით დაცვარულ შუბლს... და კაზარინოვმა ნადიაზე ფიქრისას არაერთხელ წაასწრო თავს, რომ ხელზე მხოლოდ ხელის მოჭერა კი არა, კოცნაც რომ ეწადა ქალისა. გამჯანსაღების გრძნობას, მხოლოდ მძიმე ავადმყოფთათვის ცნობილ გრძნობას სიცოცხლისაკენ შემობრუნებისა, სრულიად უმნიშვნელო მიზეზის გამო კაცს გულს რომ უჩუყებს ხოლმე, კაზარინოვი ახლა თავად განიცდიდა. დღემდე ასეთი რამ მხოლოდ თავისი ავადმყოფებისათვის თუ შეენიშნა. ამ სიტყვაძვირ და გულჩათხრობილ

კაცს ანაზდად გაუჩნდა სურვილი დაუსრულებლად ელაპარაკა ამ სათნო და გულისხმიერ ქალიშვილთან, მოეთხრო მისთვის საკუთარ თავსა და ცხოვრებაზე. იგი კაზარინოვისათვის უკვე აღარ იყო მედდა, მის სიახლოვეს ძალიანაც გრძნობდა, ცნობდა მის თითქმის უხმაურო ნაბიჯებს, მისი თმის სურნელს და ეს იყო ისე ძლიერი და საბედნიერო გრძნობა, როგორიც დღემდე არ განეცადა... თითქოსდა მის წინ ანაზდად გაღებულიყო სარკმელი რომელიც [illegible] აყვავებული სამყაროსი, რომელზედაც ფიქრს დღემდე უფრთხილდებოდა თავს.

უკვე თხუთმეტი წელია კაზარინოვს ცოლი ჰყავდა. ოცდაორი წლის სტუდენტი იყო, რომ დაქორწინდა, მაგრამ მუდმივი ანგინით დაუძლურებულ მის ცოლს აგერ, თითქმის ათი წელი, მოურჩენელი გულის მანკი ტანჯავდა. კაზარინოვს ცოლი ებრალებოდა და ყოველნაირად ცდილობდა მხარში ამოდგომოდა მას. უამრავ ცხოვრებისეულ სიამეზე თქვა უარი, თითქმის არსად დადიოდა, წიგნებს უკითხავდა და ასე ლამობდა მისი სამყაროს გალამაზებას; ჯერ საუკეთესო რადიომიმღები უყიდა, მერე — ტელევიზორი, ზაფხულობით კი, ჩვეულებისამებრ, აგარაკზე მიჰყავდა. იცოდა, მისი ცოლი მგრძნობიარე არსება იყო და თავს ზედმეტ ბარგად თვლიდა. ჰოდა, რაღანაირად არ ცდილობდა კაცი მის გადარწმუნებას. უკიდურესობამდე შემოზღუდა თავისი ცხოვრება, მთლიანად სამსახურებრივ საქმეში ჩაეფლო და ყოველი ავადმყოფის გამოჯანმრთელებისას უსაზღვრო კმაყოფილებას განიცდიდა: თითქოსდა ეს იყო ჯილდო იმ უძლურების წილ, ზოგჯერ მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში რომ ეუფლება ხოლმე ექიმს...

უყვარდა ცოლი, თუმცა რა ხანია ეს მამაკაცური კი არა, უფრო — მეგობრული, თანამგრძნობი სიყვარული იყო, და კაზარინოვი ყველას ღრმად უმალავდა თავისი ცხოვრების დრამას. ნადიამ გააღვიძა მასში ის, რაც, როგორც ეგონა, უკვე კარგა ხანია გულში ჩაეკლა, და ბედნიერი იყო, როცა ქალიშვილს თავის გვერდით ხედავდა. თუმცა, ამავე დროს, თავსაც საყვედურობდა ამ გრძნობის გამო. ალბათ ქალიშვილიც ამავე ნაღვლიან, მოუსვენარ გრძნობას შეეპყრო და კაზარინოვივით ისიც მის დათრგუნვას ცდილობდა.

გაზაფხული მაინც დადგა და სარკმელთან მდგარმა კოპიტმაც ერთ ღამეში თითქოსდა პაწაწკინტელა ალმები დაისხა — კვირტები დამსკდარიყო და ციცქნა ჩირთი ყოველმხრივ ამოზიდულიყო. ღია სარკმლიდან ოთახში გაზაფხულის მძაფრი სურნელი აღწევდა; დღისით მზისგან გადახურებული ლავგარდანის ანარეკლი სარკმლის მინაზე ციხცახებდა... ...და, როგორც წლობით თავშეკავებულ ადამიანებს სჩვევიათ, კაზარინოვმა ერთ დღეს ნადიას მთელი თავისი თავგადასავალი მოუთხრო. უამბო თავისი ობოლი ბავშვობის ამბავი — წითელარმიელი მამა სამოქალაქო ომში დაღუპულიყო, დედა მერედ გათხოვილიყო და თავად ასე გამხდარიყო მამინაცვლის საძულველი გერი; მერე სტუდენტობის წლები, სოფია ივეროვაზე ქორწინების წვრილმანები და ის უბედურება გაიხსენა, მის ცოლს რომ თავს დასტეხოდა. არც იმის თქმა დავიწყებია, რა ერთგული იყო ცოლისა და ბოლოს ნათქვამს დაუმატა: დარბაისელ, არცთუ ისე ახალგაზრდა ექიმ კაზარინოვს თქვენ, ნადია ტროფიმის ასულო შეუყვარდითო.

უსმენდა გაფითრებული, მიყუჩებული ნადია და მამაკაცის ხელში მოქცეული ხელი გაცივებოდა.

— არა... — გადააქნია თავი, როცა კაზარინოვმა მიზიდვა დაუპირა, — არ შეიძლება, ლეონიდ ნიკოლაევიჩ, ჩემო ძვირფასო. — ფიცხად, ნაღვლიანად აჩურჩულდა, თითქოს იმასაც რამდენიმე წუთში ეწადა სათქმელის მოთავება,

— თქვენი გულისთვის ცეცხლში გადავეშვები... მაგრამ არ შეიძლება, არაფრით არ დავიმძიმებ სულს ასეთი ცოდვით.

კაზარინოვი სულით ხორცამდე შეძრა ნადიას მიერ მისდამი გრძნობის [illegible]მა გულწრფელმა აღიარებამ და იმანაც, მესამე ადამიანის მიმართ [illegible] რომ არ ეწადა ქალიშვილს. მაგრამ, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე [illegible]ბის, მერე კი — სიყვარულის დროს, გონებამ ბოლოს და ბოლოს [illegible] მხოლოდ გრძნობა დარჩა. გრძნობა კი იმას ამბობდა, რომ კაზარინოვი სინამდვილეში ეულად ცხოვრობდა და თვით იმ უდიდეს ერთგულებასაც კი, რასაც იგი ცოლისადმი იჩენდა, არ შეეძლო სიყვარულის შეცვლა, უსიყვარულოდ კი ფასი არ ჰქონდა სიცოცხლეს და ვერავითარი უდიდესი ვალდებულება ვერ შეავსებდა ამ სამწუხარო ხარვეზს. გრძნობა იმასაც ამბობდა, რომ ულელმამო ნადია რიაზანში, დეიდასთან იზრდებოდა და ამ მოხუცი, თითქმის დაბრმავებული ქალის გარდა ქვეყნად არავინ გააჩნდა; დალხინებული ცხოვრება არ გაევლო და რა ბედნიერება იქნებოდა — მისი ცხოვრება ისე მოწყობილიყო, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ საავადმყოფოდან იქ წასულიყო, სადაც იგი უყვარდათ, სადაც მას ელოდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფობა რომ მოიხადა, ექიმი კაზარინოვი მოსკოვისპირა სანატორიუმ „მიხაილოვსკოეში" წავიდა დასასვენებლად. სანატორიუმს დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა და კაზარინოვმაც, მრავალი წლის შემდეგ, ხელახლა გადაიკითხა პუშკინი და ლერმონტოვი და მათ ლექსებში იმდენი რამ ჰპოვა ისეთი, რაც მის ახლანდელ სულიერ მდგომარეობას ესადაგებოდა, რომ სხვა წიგნი ხელში აღარ აუღია. დაეხეტებოდა პარკის ხეივანში, დროდადრო ლექსებს ზეპირად იმეორებდა თვალებგაფართოებული და ეჩვენებოდა, თითქოს გული თანდათან უფართოვდებოდა იმ ძლიერი და მღელვარე გრძნობის შესახვედრად, რომელსაც ალბათ სიყვარული ერქვა.

გაუვიდა თუ არა მის საგზურს ვადა, შეთანხმებისამებრ, ნადიამ ჩააკითხა, მოსკოვში. დაბრუნებული კაზარინოვი იმ დღეს შინ კი არა, ნადიასთან, პიატნიცკიზე მდებარე მის სადა და ოთახში მივიდა. შინ მხოლოდ მეორე დილით გამოცხადდა. სოფია სერგეის ასული ქმარს ელოდა, მაგიდაზე საუზმე გაეწყო და კაზარინოვმა, ცოლს რომ კოცნიდა, პირველად ახლა შემაჩნია, რომ მის მეუღლეს, უბედურ და უყისმათო, ოდესღაც კი მკვირცხლ და მომხიბვლელ სოფიჩკა ივეროვას თმაში ჭაღარა გარეოდა...

მუდამ, სამსახურიდან შინ დაბრუნებული, ცოლს ყველაფერს უამბობდა ხოლმე: რა მოხდა იმ დღეს, ვის უმკურნალა, ვის ესაუბრა და რა საქმეზე ესაუბრა; ამჯერად კი, სამკვირიანი განშორების შემდეგ, პირველად ვერ გამონახა ცოლთან სასაუბრო თემა. ბევრს ვსეირნობდი, ვკითხულობდი, თავს ჯანმრთელად ვგრძნობ და დროა სამსახურში დავბრუნდეო. ლაპარაკობდა ყველაფერზე და თან არაფერზე, სოფია სერგეის ასული კი არას ეკითხებოდა.

— იცი? — თქვა უცებ კაზარინოვმა, — ამ მოცალეობისას მთელი პუშკინი და ლერმონტოვი გადავიკითხე:.. აი, პოეტები, ვისაც ყოველთვის ახლად აღმოაჩენ ხოლმე: „ო, მეგობარო, ნაკვალევი გარდასულ წელთა, — წარმოთქვა ხმამაღლა, — და სიჭაბუკე შფოთიანი ვით დავივიწყე..."

და მთელი ლექსი ზეპირად ჩაათავა.

— ჰო, შესანიშნავი ლექსებია,—კვერი დაუკრას ოფია სერგეის ასულმა. — ახლა კი დაჯექი და ისაუზმე.

და რაკი მძიმე ქოშინი და სულის ხუთვა სთანგავდა, კაზარინოვმა, ჩვეულებისამებრ, ხელი შეაშველა: ყავადანი აიღო და ყავა დაასხა.

— იცი, ადამიანი როგორღაც გამოიმუშავებს ხოლმე სიძნელეებთან ბრძოლის უნარს... ახლა განსაკუთრებით მწყურია მუშაობა, — თქვა აღტკინებულმა.

მართლაც საოცრად ეწადა მუშაობა. ყველაფერი როგორღაც ახლებურად გამოიყურებოდა. აივნის მიღმა დაყურსული აპრილის ღამე კი განსაკუთრებით მქრალ-სადაფისფერი ეჩვენა და მანქანების საყვირთა მუდამ მომაბეზრებელი ხმაც კი ამ საზაფხულო სიკამკამეში მუსიკასავით ჟღერდა. კაზარინოვს არამც და არამც არ სურდა სამყაროს ამგვარი გარდაქმნის ჭეშმარიტ მიზეზზე ფიქრი აქ, ამ ოთახში, სადაც ამდენი ტანჯვა-წამება გადაიტანა მისმა საყვარელმა არსებამ... მაგრამ მიზეზი მაინც არსებობდა და მისი დაძლევა უკვე შეუძლებელი იყო. იცოდა, ნადია საკუთარ თავს უფრო რომ უძალიანდებოდა, ვიდრე მას, თუმც გრძნობას გული გაუხსნა; კაზარინოვს არ გამოპარვია, რომ ქალიშვილი, ყველაფრის მიუხედავად, მასავით ბედნიერი იყო.

ამ დღიდან მოყოლებული, კაზარინოვის ცხოვრება რთული და იდუმალი გახდა. აშკარად არასახარბიელო ამბავში გაება, თუმცა თავად პირველი განსჯიდა ხოლმე ორპირ ადამიანებს. მაგრამ განა შეიძლება ორპირი მერქვას, — ეუბნებოდა საკუთარ თავს, — თუკი სოფია მხოლოდ ახლობელი და უბედური მეგობარია, სიყვარული კი, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, — ნადიაა?

ნადია სამუშაოდ სხვა საავადმყოფოში გადავიდა, — კაზარინოვს არ სურდა, პირადი ურთიერთობა სამსახურებრივ საქმეში აერია, და ასე მიჰყვა თვე თვეს, წელი — წელს. ახლა, ჩვეულებრივ, თუკი მათი თავისუფალი დღეები ერთმანეთს ემთხვეოდა, კაზარინოვი ნადიასთან მიდიოდა შინ და ერთად სადილობდნენ; ნავსი გატეხა და რამდენიმე წლის შემდეგ ნადიასთან ერთად თეატრში წავიდა და ხელოვნების ეს დარგი თითქოს პირველად ახლა შეიცნო. ერთხელ ნადიამ თავისებურად გაუნასკვა ჰალსტუხი, თვითონ ნაჩქარევად რომ იმარჯვებდა ხოლმე, და კაზარინოვმა ამიერიდან თავის გარეგნობასაც მიაქცია ყურადღება, თუმცა ასეთ რამეებს დღემდე არაფრად აგდებდა. ცოლთან მარტო დარჩენილი კიდევ უფრო მძაფრად განიცდიდა თავისი ცხოვრების სირთულეს და გამოსავალ გზას ვეღარ ხედავდა.

— რატომ არსად წახვალ, ლიონიჩკა? — ჰკითხა ერთხელ სოფია სერგეის ასულმა ზედიზედ რამდენიმე საღამოს მასთან დარჩენილ ქმარს. — წადი, გაიარე... მშვენიერი საღამოა.

— სად უნდა წავიდე? — უგუნებოდ მიუგო კაზარინოვმა, მაგრამ ჩაფიქრდა და დაუმატა: — თუმცა გავალ, ჩაიზე მისაყოლებელს ვიყიდი რამეს. ხომ არ მოიწყენ?

— არა, არა, — მიუგო ცოლმა ნაჩქარევად, — ცოტას წავიკითხავ... იცი მეც • პუშკინს ვკითხულობ.

კაზარინოვმა ტანთ ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. გრილი გაზაფხული იდგა. აბრათა წითელ-მწვანე მილაკები, როგორც, საერთოდ, გაზაფხულობით გვეჩვენება ხოლმე, უჩვეულოდ კრიალა და ცინცხალი ჩანდა. ჩაფიქრებული მიაბიჯებდა კაზარინოვი და ეტყობოდა, უაზრო სიარულს რომ არ იყო ჩვეული. მოედანზე, ახალი სახლის მორიახლოს ტელეფონ-ავტომატის ჯიხური იდგა. შევიდა ჯიხურში და ნადიას სამსახურის ნომერი აკრიფა.

— უსაქმოდ ვრეკავ, — თქვა, როდესაც ოდნავ შემკრთალ, საყვარელ ხმას მოჰკრა ყური. — იცი რატომ? — და მკაცრმა ექიმმა კაზარინოვმა, რომელიც სა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთოდ არ ამხელდა ხოლმე საკუთარ გრძნობებს, ვისი სიტყვა უთქმელადაც სჯეროდათ ავადმყოფებს და რომლისაც ცოტათი ეშინოდათ კიდეც მომვლელ ქალებს, აი, ამ კაზარინოვმა თქვა ის, რასაც ამქვეყნად ყველა შეყვარებული ამბობს: — იმიტომ, რომ გითხრა, მიყვარხარ-მეთქი.

— მეც, — ძლივს გასაგონად უთხრა ნადიამ.

წუთიც და კაზარინოვი ჯიხურიდან გამოვიდა. მიაბიჯებდა, ღრმად ისუნთქავდა გაზაფხულის კრიალა ჰაერს და თავის თავს უღიმოდა...

— დიდებული საღამოა! — თქვა შინ მისულმა და ნაყიდი კამფეტებიანი კოლოფი მაგიდაზე დადო.

ისევე, როგორც ყველა თავის თავს მინდობილ, საკუთარ სამყაროში ჩაკეტილ ადამიანს სჩვევია მწვავედ აღიქვას ყოველივე, რასაც ჩვეულებრივი ცხოვრებით მცხოვრები კაცი ვერ ამჩნევს, სოფია სერგეის ასულიც ბევრ რამეს ხედავდა. ხედავდა, რა უტრიალებდა გულში ადამიანს, ვინც უყვარდა, ვისი ბედნიერებაც ყველაზე მეტად ულიოდა. იცოდა მისი ხასიათი, მისი გულის ფორიაქი, მისი ხმის ყოველი ახალი კილო... თვით ისიც კი, სხვანაირად რომ დაიწყო ჰალსტუხის შეკვრა, ქალს ბევრ რამეს ეუბნებოდა.

— შესანიშნავია, — თქვა, როცა თავისი საყვარელი კამფეტი „მათრობელა ალუბლები" დაინახა. — ამიერიდან უფრო ხშირად გაგაგდებ ხოლმე სასეირნოდ... სუფთა ჰაერიც ხომ გინდა. — და ყოველ თავისუფალ საღამოს ქმარს სასეირნოდ გასვლას აიძულებდა. სავარძელი აივანზე გაიტანეს და სეირნობიდან დაბრუნებული კაზარინოვი ცოლს შორიდანვე ხედავდა.

ბოლო ორ წელიწადს ცოლის წაყვანა ველარ შეძლო... სევდიანად, ექიმის ცივი გონებით აკვირდებოდა, როგორ თანდათან იძალა სნებამ, იმატა ავისმომასწავებელმა ქოშინმა და უკვე ავადმყოფის საწოლიდან სავარძელში გადასმაც კი გაჭირდა. ავადმყოფს მისივე შორეული ნათესავი, კაზარინოვის მიერ ვორონეჟიდან ჩამოყვანილი ქალი ადგა თავს და ისე მოხდა, რომ ეს ორი ზაფხული ნადიასთან ერთად დაისვენა ჯერ პროტვის ნაპირას, შემდეგ კი მოსკოვისპირა დასასვენებელ სახლში.

საკუთარ თავთან მარტო დარჩენილ ნადიას არაერთხელ გადაუსინჯავს თავისი ცხოვრება. იგი სულიერ სიწმინდესა და წესიერებას იყო ჩვეული. ცოლიანი კაცი უყვარდა, ისიც იცოდა, ეს კაცი ოჯახურ ცხოვრებაში საოცრად უბედური რომ იყო, და თავს იჯერებდა, ამგვარ პირობებში სინდისის წინააღმდეგ არ ვირჯებით. იცოდა, ვერაფრით შეიყვარებდა ისეთ კაცს, რომელმაც ცოლს ზურგი აქცია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სნეული იყო და უბედური. მაგრამ კაზარინოვის ყოველი მესამე სიტყვა ცოლს ეკუთვნოდა, ხშირად ახსენებდა მას, ნადიაც თანდათან მიეჩვია ქალის სიბრალულს და დროდადრო კაზარინოვთან შეხვედრასაც კი გაურბოდა, რათა იგი შინ, ცოლთან დარჩენილიყო.

შვიდი წელი დიდი, უფრო სწორად — უდიდესი ვადაა, ნადიას კი შვიდი წელია უყვარდა კაზარინოვი და აჰა, უკვე მერვეც დაიწყო. ნაღვლიანად, ფიქრიანად შეხვდნენ თავიანთი სიახლოვის მეშვიდე წლისთავს. იცოდნენ, რომ მათი ცხოვრება ისე არ აეწყო, როგორც საჭირო იყო და უდრტვინველად შეეგუენ იმ აზრს, რომ ყოველთვის ადამიანი კი არ მართავს საკუთარ ბედ-იღბალს, არამედ ბედი ყოველთვის თავის ნებაზე აწესრიგებს. და მაინც, არ არსებობს ისეთი კვანძი, ადრე თუ გვიან არ გაიხსნას, ანდა ცხოვრებამ თვით არ გაწყვიტოს.

შემოდგომაზე კაზარინოვი დარწმუნდა, — იმ ზაფხულს შევბულება არ

აულია, — რომ მის ცოლს უკანასკნელი ზამთრის გადატანაღა ეწერა. ჩვეულებრივ, როცა ყველაზე ახლობელი ადამიანი სიკვდილის პირას დგება, როგორღაც გადაიკითხავ ერთობლივ ცხოვრების გრძელ და ნაღვლიან გრაგნილს და რწმუნდები, რამდენი რამ დაგიკლია გულითადი ურთიერთობისათვის, რა ხშირად ყოფილხარ უსამართლო და დაუდევარი, და გაუსაძლისი ნაღველი გიპყრობს. კაზარინოვი გულჩათხრობილი და პირქუში გახდა და ნადია მიხვდა, რა მძიმე ტვირთი აწვა მის გულზე.

ერთ საღამოს, როცა საავადმყოფოში მორიგეობას ამთავრებდა, ნადია მისაღებ ოთახში გამოიძახეს, ერცელ, სევდის აღმძვრელ ოთახში, სადაც, ჩვეულებრივ, მნახველები ავადმყოფთა მდგომარეობის საკითხავად მოდიოდნენ, უცნობი ქალი აღელვებული მიმოდიოდა კუთხიდან კუთხეში.

— ლეონიდ ნიკოლაევიჩ კაზარინოვის ცოლმა გამომგზავნა... ჩქარა წამოდით, თუ ღმერთი გწამთ, — სხაპასხუპით წარმოთქვა ქალმა და თითქოს ამით აგრძნობინა, შეკითხვები ზედმეტიაო.

— კეთილი... — წამიერი დუმილის შემდეგ მიუგო ნადიამ. — დამელოდეთ, გავეთავისუფლები.

და ხალათი გზადაგზა შეიხსნა.

არასოდეს უფიქრია, რომ სოფია სერგეის ასულს მისი არსებობა ეცოდინებოდა და მიხვდა: შესაძლოა ახლა, სულ რამდენიმე წუთში გადაეწყვიტა ის, რაც მთელი წლები ვერ გადაეწყვიტა. აბა, როგორ უნდა შეხვედროდა სოფია სერგეის ასულს, რომელიც, ყველა თავისი უბედურების მიუხედავად, უპირველეს ყოვლისა, მაინც ქალი იყო?

თხუთმეტიოდე წუთში საავადმყოფოდან გავიდნენ. გვიანი შემოდგომა იყო, ეზოში წვიმა ირიბად ცრიდა, ჭიშკართან მანქანა იდგა. უბრად მიდიოდნენ, კალუგის უსასრულო ქუჩის ფარნები სველ მინებს მიღმა მიცოცავდნენ და უმალვე იდლაბნებოდნენ. ნადიას ხშირად უცდია წარმოედგინა, როგორ ცხოვრობდა კაზარინოვი, როგორი მოწყობილი ბინა ჰქონდა ან რა წიგნები ეწყო მისი კაბინეტის თაროებზე, და ახლა ყოველივე საკუთარი თვალით უნდა ენახა და ისიც — თავისი ცხოვრების ყველაზე გადამწყვეტ წუთებში...

შორიდანვე მოჰკრა თვალი ლოგინზე გვერდულად წამოწოლილ, პატარა ტანის ქალს და ყოყმანით შეჩერდა კარში.

—შემოდით... შემოდით, გთხოვთ,—თქვა ქალმა და დიდრონი, ნატანჯი თვალები სტუმარს ისე ნაღვლიანად მიაპყრო, ნადიას წამით გულისცემა შეუჩერდა, ლოგინს მიუახლოვდა. ქალი სწრაფად, ხროტინით სუნთქავდა. ნადიამ გამოცდილებით იცოდა, ავადმყოფი ასე მაშინ სუნთქავს, როცა ფილტვების შეშუპება ეწყება.

— აგერ დაჯექით, ნადია, აი, ასე, — უთხრა სოფია სერგეის ასულმა. — მე ხომ თქვენი ამბავი დიდი ხანია ვიცი, რომ ლეონიდ ნიკოლაევიჩს უყვარხართ.. თქვენ მიანიჭეთ ბედნიერება. მადლობელი ვარ, ნადია... ჩემთან კი, აბა, რა ბედნიერება ნახა? რას იზამ, ასე მოხდა. ხომ არ მიატოვებთ? — ჰკითხა ანაზდად. — მპირდებით?

ნადიას ბაგე აუთრთოლდა და ქალის წინაშე დაიჩოქა. მოსწვდა, პაწია, ცხელი ხელი, სველ ლოყაზე მოეფერა.

— დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე, სოფია სერგეევნა, — ტირილით ამბობდა ნადია და ავადმყოფს ხელს უკოცნიდა, — ღმერთო ჩემო, რაოდენ დამნაშავე ვარ!

— რატომ ხარ დამნაშავე, ნადია? — ალალად და ნაღვლიანად უთხრა სოფიამ. — ესაა ცხოვრება, ცხოვრება კი, საბედნიეროდ, ყოველთვის იმარჯვებს ხოლმე. მაშ, ხომ არ მიატოვებთ? ხომ მპირდებით? — კვლავ გაუმეორა.

— დიახ, დიახ... — მიუგო ნადიამ, ოღონდ უკვე აღარ გაეგებოდა, რას სთხოვდნენ ან თვითონ რას ჰპირდებოდა. — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მაგრამ ეს ისეთი საშინელებაა, ისეთი საშინელება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოდგა და კარისკენ წავიდა.

ქუჩაშიღა გაიაზრა, რა მოხდა ამ რამდენიმე წუთში, რაც, ალბათ მთელ სიცოცხლეს უდრიდა. მიაბიჯებდა წვიმაში და კაზარინოვთან ბედნიერად გატარებულმა ყველა იმ წელმა ახლა თითქოს უკუსვლით ჩაიარა მის თვალწინ. ავადმყოფობისაგან გატანჯულმა ამ ქალმა შვიდი წელი იცოდა მათი სიყვარულის ამბავი და ზარობდა, რომ მისი უსაყვარლესი ადამიანი ბედნიერი იყო... სხვისი სიყვარულით. ნეტა, რა ძალა იმალებოდა ამ ქალის სიყვარულში და ამ დაკარგული სიმდიდრის ნაცვლად თავად რას მისცემდა კაზარინოვს? მტკიცედ სჯეროდა, რომ მისი სიყვარული, სოფიას სიყვარულთან შედარებით, კაზარინოვს ყოველთვის მცირედ მოეჩვენებოდა, რომ ორივემ მძიმე და გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინა და რომ მათი ერთად ცხოვრება აწ იოლი აღარასოდეს იქნებოდა.

# იოჰან ვოლფგანგ გოეთე

## მწვანე გველისა და მშვენიერი შროშანის ზღაპარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა ირინე მელიქიშვილმა.

წვიმისაგან ადიდებულ, ნაპირებგადმოლახულ დიდ მდინარესთან პატარა ქოხში ეძინა მოხუც მებორნეს, საქმითა და საზრუნავით დამაშვრალს. შუაღამისას ძახილმა გააღვიძა: ვიღაც მგზავრები ხმამაღლა უხმობდნენ და გაღმა გაყვანას სთხოვდნენ.

ქოხიდან გამოსულმა მებორნემ ნაპირზე ორი მოზრდილი ტატანი* დალანდა. ტატნები ლაბმულ ბორანს დაჰფარფატებდნენ, გაღმა გასვლა ეჩქარებოდათ, იქ ყოფნას ნატრობდნენ. მოხუცმაც აღარ დააყოვნა და ჩვეული ოსტატობით შეაცურა ბორანი ტალღებში.

მგზავრები უცნაურებიც იყვნენ და უცნაურადაც იქცეოდნენ: რაღაც გაუგებარ, უცხო ენაზე სისინებდნენ და ხანგამოშვებით ხმამაღლა კისკისებდნენ. ძალიან ცელქობდნენ! სულ ხტუნვა-ფარფატით დაურბინეს ბორნის გვერდებს, სკამებს, იატაკს.

— ბორანი ტორტმანებს! — შეუძახა ტატნებს მოხუცმა. — თუ ონავრობას არ შეეშვებით, გადაბრუნდება. ახლავე დასხედით, ტატნებო!

მებორნის შეძახილმა კიდევ უფრო გაამხიარულა და გააცელქა ჩვენი მგზავრები. რას აღარ სჩადიოდნენ, როგორ არ დასცინოდნენ მოხუცს, მაგრამ იგი მშვიდად ითმენდა მათ უსაქციელობას და ბორანიც მალე მიადგა ნაპირს.

— გასამრჯელო ინებეთ შრომისათვის! — მიაძახეს ტატნებმა მებორნეს, ტანი შეიბერტყეს და სველ ფიცარნაგზე ჩამოყარეს უამრავი ბრჭყვიალა ოქრო.

— რას სჩადით, ღვთის გულისათვის! — იყვირა მოხუცმა. — ეს ოქრო დიდ უბედურებას მომიტანს. ერთიც რომ ჩავარდნილიყო მდინარეში, საშინელი ტალღები აზვირთდებოდა და ჩაგვყლაპავდა მეც და ბორანსაც, თქვენ კი ვინ იცის, რა მოგივიდოდათ, მდინარე ხომ ვერ იტანს ამ ლითონს. უკანვე წაიღეთ თქვენი ფული!

— ერთხელ ჩამობერტყილის უკან დაბრუნება არ შეგვიძლია, — უპასუხეს ტატნებმა და ბორნიდან გადასვლა დააპირეს.

— გამიჩინეთ საქმე! — დაიჩივლა მებორნემ, დაიხარა და ქუდში დაუწყო გროვება ოქროს. — ახლა მე უნდა ვაგროვო ეს ფული, ნაპირზე გადავიტანო და ჩავმარხო.

ტატნებმა ნაპირზე ისკუპეს.

---

* მოხეტიალე სინათლე

— ჩემი გასამრჯელო? — მიაძახა წასულებს მებორნემ.

— ოქროს ვინც არ იღებს, მუქთად გაისარჯოს! — გაისმა პასუხად.

— როცა სხდებოდით, უნდა გცოდნოდათ, რომ გასამრჯელოდ ჩემთვის მხოლოდ მიწის ნაყოფის მოტანა შეიძლება!

— მიწის ნაყოფი არც არასოდეს გვიგემნია და არც არასოდეს [illegible] რამედ!

ბიბლიოთეკა

— ვერ გაგიშვებთ, ვიდრე არ აღმითქვამთ, რომ გადაიხდით გასამრჯელოს— სამ თავ კომბოსტოს, სამ ოქროფხალას და ხახვის სამ დიდ ბოლქვს.

ტატნებს თამაშ-თამაშით უნდოდათ გაპარვა, მაგრამ იგრძნეს, რომ ფეხს ვერ იცვლიან, საოცარი ძალით არიან მიჯაჭვული დედამიწაზე. მსგავსი რამ არასოდეს განეცადათ საბრალო ტატნებს და რა გზა ჰქონდათ მიჯაჭვულებს-აღუთქვეს მოხუცს ვალის გადახდა. მებორნემ ტატნები აუშვა და ბორანი მძიმედ გაშორდა ნაპირს. წყალში რომ კარგად გაიმანძილა, კვლავ ყიჟინა ატეხეს ტატნებმა:

— მოხუცო. მთავარი დაგვავიწყდა, მთავარი!.. მაგრამ მათი ხმა მებორნეს აღარ ესმოდა. მან ბორანი ნაპირ-ნაპირ ჩაატარა, მაღალ კლდეებს შორის მოძებნა ღრმა ნაპრალი, რომელსაც წყალი ვერასოდეს მისწვდებოდა და იქ ჩაუძახა სამიშ ოქროს. მერე გაღმა მხარეს თავის ქოხს დაუბრუნდა.

იქ, იმ ნაპრალში ლამაზ მწვანე გველს ეძინა. გველი ოქროს წკრიალმა გამოაღვიძა და ამდენი ბრჭყვიალა ოქრო რომ იხილა, მაშინვე სათითაოდ დაუწყო შთანთქმა. გულდაგულ დაძებნა ბუჩქნარსა და ნაპრალებში ჩაფანტული ყოველი ოქრო და როცა იქაურობა პირწმინდად მოასუფთავა, უნეტარესი განცდით შეიგრძნო, თუ როგორ დნებოდა ჩანთქმული ოქრო მის ცივ შიგანში და მთელს სხეულს ეფინებოდა. მწველი სიხარულით გაიხარა გველმა, როდესაც შენიშნა, რომ სხეული გაუმჭვირვალდა და ნათება დაუწყო, ადრეც ხმენოდა, რომ მსგავსი რამ ხდება ხოლმე, მაგრამ როცა თვითონ შეემთხვა, ახალმა საზრუნავმა შეიპყრო იგი — ხანგრძლივია კი ეს ბედნიერება? დიდხანს შერჩება მას ეს ნათება? ვინ ჩამოყარა ეს მშვენიერი ოქრო? ცნობისმოყვარეობამ და მომავალზე ზრუნვამ გველი ნაპრალიდან გამოიყვანა, არემარე მოატარა; ვერავინ ნახა! პოდა, მით უფრო გაოცდა, უფრო შეიტკბო სიხარული და დააკვირდა თავის სხეულს. მისი ნათება ბალახსა და ბუჩქნარს მაცოცხლებელ სიმწვანეს ჰფენდა, ფოთლებს აზურმუხტებდა, ყვავილებს აკრიალებდა... ხარობდა გველი! უკაცრიელ ველზე კარგახანს ისრიალა, ამაოდ სერა მისი გულმკერდი და როცა ნაპრალიდან ამოაღწია, შორს, შორს შენიშნა ისეთი ციმციმი, როგორსაც თვითონ გამოსცემდა. იმედი მოეცა, იქ შუქს მიაშურა — ძლივს არ ვნახეო ჩემნაირები!..

თუმცა გველის საყვარელი სამყოფელი მაღალი კლდე და სურნელოვანი ცხარე ბალახით შემოსილი მშრალი ტაფობი იყო, სადაც უხვადაა ნაზი ცვარი და წყაროს ანკარა წყალი, მაგრამ გრძნეული ოქროსა და სანატრელი შუქის ხიბლი ისე ძლიერი იყო, რომ არად ჩააგდო მათთან განშორება და სავალი გზის სიძნელე. რას დაგიდევდათ აღტაცებული ჭაობსა და ლელიანს, როცა სანუკვარი ციალისაკენ მიისწრაფვოდა!..

ქანცგაწყვეტილმა მიატანა ნოყო ლელიანს, სადაც ჩვენი ნაცნობი ორი ტატანი ერთმანეთს ელლაბუცებოდა. სიხარულისაგან ფრთაშესხმულმა გველმა მათ მიაშურა და თავაზიანად მიესალმა — დიდად მოხარული ვარ, რომ ასეთი ბატონების ნათესავი ვყოფილვარო.

ტატნებმა გვერდზე ჩაუკუნტრუშეს, ზედ გადაახტნენ და აკისკისდნენ:

— ძვირფასო ბიძაშვილო, თქვენ ჰორიზონტალური მოყვანილობა გაქვთ, ჰოდა, მხოლოდ ნათებით ამოიწურება ჩვენი მსგავსება ვინაიდან... — ამის თქმაზე ორივე ტატანი მაღლა აიწურა, ვიწროდ აიჭიმა, ხიმ[illegible] სიმაღლედ იქციეს, — ვინაიდან, შემოგვხედეთ, როგორ გვამშვენებს ჩვენ, [illegible]ლურ ვაჟბატონებს, ეს ახლეტილი სიმაღლე. ნუ გეწყინებათ, ჩვენო [illegible]ოთილო, მაგრამ აბა რომელი მოდგმა დაიკვეხნის ასეთი მშვენებით? [illegible] დღიდან ჯერ არც ერთი ჩვენგანი არცა მჯდარა და არცა წოლილა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნათესავებთან გველი მეტად უგემურად გრძნობდა თავს — როგორ მაღლაც არ უნდა აეღირა თავი, სრიალისას მაინც მიწისკენ უნდა დაეხარა. ისიც იყო — ნაპრალის წყვდიადში თუმცა თავი მეტად მოსწონდა, ახლა ამ ბიძაშვილების სიახლოვეს, მისი შუქი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა, ფერმკრთალდებოდა. გველს შეეშინდა — თუ ასე გაგრძელდა, თვალსა და ხელს შუა გავქრებიო და კრძალვით იკითხა — ხომ ვერ მეტყოდით, ბატონებო, ის ბრჭყვიალა ოქრო საიდან გაჩნდა, ცოტა ხნის წინათ კლდის ნაპრალში რომ ჩამოიფანტა, ოქროს წვიმა ხომ არ იყო, ციდან ჩამოღვრილი? ტატნებმა ერთი გულიანად გადაიხარხარეს, ტანი შეიბერტყეს და უამრავი ოქრო აწკრიალდა, აბრჭყვიალდა ირგვლივ. გველი ჩასანთქმელად მიეტანა.

— მიირთვით, ძვირფასო, კიდევ მოგართმევთ! — და ტატნებმა ტანი კიდევ რამოდენიმეჯერ შეიბერტყეს...

გველი ძლივს ასწრებდა სანატრელი ნუგბარის ჩანთქმას. მისი ნათება გამლიერდა და ბოლოს კაშკაშა შუქით აკიაფდა; ტატნები კი დაჩიავდნენ, დაილივნენ, თუმც მათ გუნება-განწყობილებას ამით არა მოჰკლებია-რა.

— სამუდამო ვალში ვარ თქვენთან! — უთხრა მათ გველმა, როცა ჩანთქმას მორჩა და სული მოიბრუნა. მთხოვეთ, რაც გნებოთ, რითაც შევძლებ — გემსახურებით!

— დიდებულია! — შესძახეს ტატნებმა. — გვითხარი სად სახლობს მშვენიერი შროშანი? გაგვიძეხი მისი სამყოფელისაკენ. ველარ მოვეითმენია, ერთი სული გვაქვს, თაყვანი ვცეთ მას.

— ამ სამსახურს, სამწუხაროდ, დაუყოვნებლივ ვერ გაგიწევთ. — ამოიოხრა გველმა, — მშვენიერი შროშანი წყალგაღმა ცხოვრობს.

— წყალგაღმა?! ჩვენ კი ამ ავდარში თავი გამოღმა გამოვაყვანინეთ! ეს მდინარე რა სასტიკია, როგორ გვაშორებს ტურფა შროშანს! არ შეიძლება მებორნე რომ კვლავ გამოვიხმოთ?

— ამაო არის! — მიუგო გველმა. — გაღმიდან გამოხმობა კი არა, აქაც რომ შეგხვედროდათ იქით მიმავალი, მაინც არ წაგიყვანდათ. მას მხოლოდ აქეთ გამოყვანა შეუძლია.

— ეს როგორ მოგვივიდა, ეს რა დაგვემართა... — ვიშვიშებდნენ ტატნები. სხვა გზა არ არის გაღმა გასვლისა?

— ამჟამად არც ერთი! ისე კი არის ორიოდე გზა. შუადღისას მეც კი შემიძლია ბატონების გადაყვანა.

— ეგ სწორედ ის დროა, როცა ჩვენ ხელს არ გვაძლევს მგზავრობა!

— მაშინ საღამოს გადაჰყევით გოლიათის ჩრდილს.

— ეგ რაღა არის?!

— გოლიათი აქვე ახლოს ცხოვრობს. თავად იმდენად სუსტია, რომ ხელებით ბალახის ერთ ღერს, მხრებით კი ერთ პატარა ბოლჩასაც ვერ ასწევს, მაგრამ ჩრდილი აქვს ყოვლისშემძლე. ამიტომაც აისისა და დაისის დროს უძ-

ლიერესია. საღამოს, როცა იგი ფრთხილად ჩაუყვება მდინარის ნაპირს, მის ძლიერ ჩრდილს კისერზე შეასხედით და უმალ გაღმა გადაგასკუპებთ. თუ შუადღემდე მოიცდით, ტყეში მობრძანდით, იმ ალაგას, სადაც ბუჩქნარი მდინარის პირს სწვდება და მე გადაგიყვანთ, მიგგვრით მშვენიერ შროშანს, ხოლო თუ შუადღის სიცხეს ერიდებით, საღამოხანს მოძებნეთ გოლიათი ამ კლდოვან ყურეში, არ დაგზარდებათ სამსახურს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ვაჟბატონები თავაზიანად დაემშვიდობნენ გველს. ის მეტად კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ასე იოლად მოიშორა თავიდან „ბიძაშვილები". ჯერ ერთი იმიტომ, რომ მარტო დარჩენა და საკუთარი ნათებით ტკბობა ენატრებოდა, მეორეც იმიტომ, რომ კარგა ხანია ცნობისწადილის ჭია ღრღნიდა — ერთი უცნაური რამის გარკვევა უნდოდა: იმ კლდის ნაპრალებში, სადაც ხშირად დასლიკინებდა, ერთგან უცნაური რამ აღმოაჩინა გველმა. თუმცა სიღრმეში წყვდიადი იდგა, იგი შეხებით სცნობდა საგნებს. ჩვეულებრივ იგი ყველგან მხოლოდ ბუნების უსწორმასწორო ნამოქმედარს წყდებოდა; დასრიალებდა დიდრონ კრისტალებს შორის, შეიგრძნობდა თვითნაბადი ვერცხლის ძარღვებს, ღლის ხინათლეზე ამოჰქონდა ძვირფასი თვლები. მაგრამ, მისდა გასაოცრად, ერთ ღრუ ნაპრალში, ყოველი მხრიდან ჩაკეტილი კლდის შუაგულში იგი წააწყდა აშკარად ადამიანის ნახელავს: გლუვ კედლებს, რომლებზედაც ვერ აცოცდებოდა, მკვეთრ და სწორ წიბოებს, წერწეტა სვეტებს და, რაც ყველაზე მეტად უეცხოვა, — ადამიანის გამოსახულებებს.

— ახლა ხომ მაინც გავანათებ ჩემივე შუქით მიწისქვეშეთის იმ საოცართაღებს, გამოვიცნობ, გამოვიკვლევ და შევისწავლი თითოეულ ნივთსა და საგანს, — ფიქრობდა გველი და სწრაფი სხმარტალით მისრიალებდა. მალე მიადგა ნაცნობ ნაპრალს და ჩასრიალდა ტაძრის წყვდიადში. ყურადღებით მიმოიხედა, თუმცა მისი შუქი იმ დიდ დარბაზს მთლიანად ვერ სწვდებოდა, ახლომდებარე საგნები მაინც გამოჩნდა. გაოცებითა და მოწიწებით ალაპყრო მზერა ბრწყინვალე ნიშისაკენ, სადაც ოქროსაგან ჩამოსხმული ღირსებით სავსე მეფის მჯდომარე ქანდაკება იყო. თუმცა ქანდაკება დიდი იყო, ადამიანის ზომაზე მეტი, მაგრამ მოყვანილობაზე ემჩნეოდა, რომ იგი ტანმორჩილისა უფრო იქნებოდა, ვიდრე ახოვანისა. მოხდენილ ტანზე უბრალო მოსასხამი ემოსა, თმა მუხის ფოთლების გვირგვინით ჰქონდა შეკონილი. ჰკიდა თუ არა თვალი გველმა ღირსეულ ქანდაკებას, ხმა ამოიღგა ოქროს მეფემ:

— საიდან მოხვალ?!

— იმ ნაპრალიდან, სადაც ოქროა, — მიუგო გველმა.

— რა არის ოქროზე უფრო ბრწყინვალე?!

— სინათლე!

— რა არის სინათლეზე უფრო მაცოცხლებელი?

— საუბარი!

ამასობაში მზერა გაექცა გველს და მეორე ნიშს მისწვდა. ამ ნიშში მათალი, კენარი ვერცხლის მეფე იჯდა. ხატაური მოსასხამი ჰმოსავდა მას. პატიოსანი თვლებით მოოჭვილი კვერთხი, გვირგვინი და ქამარი ჰშვენოდა და სახეზე ზვიადი სიხარული ეფინა. იგი თითქოს რაღაცის თქმასაც აპირებდა, მაგრამ უეცრად იელვა მარმარილოს გლუვ კედელზე ჩამოკლაკნილმა ძარღვმა და საამო ნათელი მოჰფინა ტაძარს. ამ დიდებულ შუქზე იხილა გველმა მესამე მეფე — ძლიერი, ახოვანი, სპილენძისა. იჯდა იგი კომბალზე დაყრდნობილი, დაფნის გვირგვინით თავშემკული და კლდეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს. მიმო-

იზედა გველმა, რათა მეოთხე მეფეც ეხილა, მაგრამ გაიხსნა ამ დროს კედელი, ხოლო მანათობელი ძარღვი ელვასავით გაიკლაკნა და გაუჩინარდა. კედლიდან ტანმორჩილი კაცი გადმოვიდა.. პატარა ლამპარი ეჭირა ხელში, გლეხის უბრალო სამოსი ეცვა. საამო იყო ლამპრის წყნარი ნათება — შენაურად, ჩრდილოდ ანათებდა მისი შუქი ტაძარს.

— აქ რად მოხვედი, სინათლე ხომ გვაქვს? — ჰკითხა ოქროს მეფემ ლამპრის მპყრობელს.

— თქვენ თვითონ იცით, რომ სიბნელის განათების უფლება არა მაქვს!

— აქვს ჩემს მეფობას დასასრული? — იკითხა ვერცხლის მეფემ.

— გვიან, ან არასდროს!

ომახიანად აბუბუნდა ბრინჯაოს მეფე:

— როდის ავდგები?

— მალე! — მიუგო ხელლამპრიანმა.

— ვის უნდა დავუკავშირდე? — იკითხა მეფემ.

— უფროს ძმებს შენსას!

— და უმცროსს რა მოუვა?

— იგი დაჯდება!

— მე არ დავღლილვარ — ეს მეოთხე მეფის შეძახილი იყო როყიო, ლუდლუდა.

მათი საუბრისას გველი იდუმალად დასლიკინებდა ტაძრის კუთხე-კუნჭულებში და ყოველივეს ხარბად აკვირდებოდა. იგი ახლა ახლოდან ხედავდა მეოთხე მეფეს: სვეტს მიყრდნობილი ახოვანი მისი ფიგურა მოუხეშავი უფრო იყო, ვიდრე ლამაზი. ადვილი არ იყო იმის გამოცნობა, რა ლითონისაგან ჩამოესხათ იგი. დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ იმ სამი ლითონის ნარევი იყო, რომლითაც უფროსი ძმები ჩამოესხათ, მაგრამ ჩამოსხმისას ლითონები არ შესდნობოდა ერთმანეთს, არ შერწყმულიყვნენ და უწესრიგოდ სერავდნენ ვერცხლისა და ოქროს ძარღვები ბრინჯაოს მასას, უქმურ იერს ანიჭებდნენ მეფის ქანდაკებას.

— რამდენი საიდუმლო იცი? — ჰკითხა ოქროს მეფემ ხელლამპრიანს.

— სამი!

— და, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი? — ჰკითხა ვერცხლის მეფემ.

— გაცხადებული!

— და ჩვენც გაგვიმხელ? — ჰკითხა ბრინჯაოს მეფემ.

— რაწამს მეოთხეს შევიტყობ!

— მე კი არა მენაღვლება! — ჩაიბუბუნა მეოთხე მეფემ.

— მეოთხე მე ვიცი, — წარმოთქვა გველმა, ლამპრიან მოხუცს მიუახლოვდა და რაღაც უჩურჩულა ყურში.

— აჰა, მოაწია ჟამმა! — ჭექად გაისმა შეძახილი ლამპრის მპყრობლისა და ეს ძახილი ტაძრის ექომ მძლავრი გუგუნით გაიმეორა.

ქანდაკებებმა ჟღერა გაიღეს და წამის ყოფით მოხუცი დასავლეთით დაინთქა, ხოლო გველი აღმოსავლეთით. ორივემ ელვის სისწრაფით გადაჭკვეთა კლდის ნაპრალები.

მიჰქროდა მოხუცი ქვესკნელის გზებით და მისი ნავალი მაშინვე ოქროთი ივსებოდა, რადგან ლამპრის საოცარი ნათელი ქვას ოქროდ აქცევდა, ხესვერცხლად, მკვდარ სხეულს — ძვირფას ქვად, ხოლო ლითონს სპობდა. მაგრამ გარდაქცევის ეს ძალა ლამპარს მხოლოდ მაშინ ჰქონდა, როცა მარტო

ანათებდა, მხოლოდ თვითონ გამოსცემდა სინათლის შუქს. თუ კი მის სინათლეს სხვა შუქიც შეერთვოდა, მაშინ ლამპარი მხოლოდ მშვენიერი ციალით კამკამებდა, ყოველი სულდგმულის თვალთა საამოდ.

როდესაც მოხუცმა კლდეზე მიკრულ თავის პაწია ქოხს მიაღწია, ნახა ბუხრის პირას ზარით მოტირალი თავისი ცოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაი ჩემს თავს, ხომ არ მინდოდა დღეს შენი გაშვება შინიდან!

— რა ამბავია? — შეეკითხა მოხუცი მშვიდად.

— როგორც კი წახვედი, ქოხს ორი მგზავრი მოადგა. გავბრიყვდი და შინ შემოვუშვი, რადგან ზრდილნი და წესიერნი მომეჩვენნენ. მსუბუქი ალის მოსასხამები ემოსათ და ტატნებად შევიცანი. ქოხში რომ დაიგულეს თავი, დამიწყეს ურცხვად პირფერობა, ახლაც სირცხვილს მგვრის მათი უწმაწური არშიყის გახსენება.

— კარგი, ჰო, კარგი! — უპასუხა კაცმა ღიმილით. — ჩანს, იმ ყმაწვილებს გახუმრება მოსურვებიათ, მაგრამ ეს ხუმრობა, შენი ასაკის წყალობით, ზრდილობის ფარგლებს ვერ გასცდებოდა.

— ხანი და ხანი! — აყვირდა ქალი. ცრემლი შეაშრა, ხმას აუწია, — სულ ასაკს მაყვედრიან, თითქოს მათუსალას ხნისა ვიყო! ზრდილობის ფარგლებშიო?! მე კარგად ვიცი, რასაც ვამბობ! აბა, მიიხედ-მოიხედე, ნახე, როგორ ჩამოტლიკეს მთელი ოქრო კედლებიდან და ხავსიანი ძველი ქვები გამოაჩინეს; აღარც კი მახსოვს, როდის ვნახე უკანასკნელად ისინი შიშვლად. თვალის დახამხამებაც კი ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად ჩამოლოკეს აქაურობა. თან სულ მარწმუნებდნენ-თქვენი ოქრო ჩვეულებრივზე უფრო გემრიელიაო. როცა დანაყრდნენ. მეტისმეტად გახალისდნენ და არც უმიზეზოდ—გაივსნენ, გაიზარდნენ, შუქი მოემატათ. შუქთან ერთად უმატეს ცელქობასა და აბეზრობას. მეფერებოდნენ, მეთამაშებოდნენ, თავიანთ დედოფალს მიწოდებდნენ და ჩემ გარშემო როკავდნენ. როკვისას ტანს იბერტყავდნენ და ოქროს ფულებს ირგვლივ ფანტავდნენ. ხედავ, სკამის ქვეშ როგორ ბრწყინავენ?!. საცოდავმა ჩვენმა ფინიამ რამოდენიმე გადაყლაპა და ბუხრის წინ მკვდარი აგდია. რა მეშველება? ეს ამბავი მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ შევნიშნე, თორემ რას შევპირდებოდი მებორნისათვის მათი ვალის მიტანას!

— რა ვალი ჰქონდათ მებორნისა?

— სამი კომბოსტო, სამი ხახვი და სამი ოქროფხალა. შევპირდი-ხვალ მივიტან-მეთქი დიდ მდინარესთან დღისით ყველაფერს.

— და კარგსაც იზამ! ოდესმე დაგვჭირდება და ისინიც დახმარებას არ დაგვამადლიან.

— არ ვიცი, შეგვისრულებენ თუ არა, აღთქმით კი აღგვითქვეს დახმარება და შემოგვეფიცეს.

ბუხარში ცეცხლი ჩაინავლა, მოხუცმა ნაკვერჩხლებს ნაცარი წააფარა და ბრჭყვიალა ოქროები ბნელ კუთხეში მიხვეტა. ახლა ქოხს მხოლოდ მისი ლამპრის დიდებული ციალი ანათებდა. კედლები ოქროთი შეიმოსა, მკვდარი ფინია კი ისეთ დიდებულ ონიქსად იქცა, რომ კაცი მასზე მშვენიერს ვერაფერს წარმოიდგენდა. ხელოვნების იშვიათ ქმნილებად წარმოაჩენდა ამ ძვირფას ქვას ყავისფერისა და შავის ელვარება.

— აიღე კალათა! — თქვა მოხუცმა. — ჩადე შიგ ონიქსი, გარს შემოუწყვე ხახვი, კომბოსტო და ოქროფხალა და მდინარისაკენ გასწი, შუადღისას გველს თავი გაღმა გააყვანინე, მიდი შროშანთან და მიართვი ეს ონიქსი, მისი შეხება

ყოველ სულიერს ქვად აქცევს, ხოლო ქვას გააცოცხლებს. ფინია იმას ერთგულ მეგობრად გამოადგება. თანაც გადაეცი, რომ მისი განთავისუფლების დრო დადგა და ნულარ იდარდებს, უდიდესი უბედურება ბედნიერების ნიშნად მიიღოს, რადგან ჟამი მოწეულია!

დედაბერმა გაამზადა კალათა და გამთენიისას გზას გაუდგა. ამომავალი მზის სხივები ეფინებოდა მდინარეს და შორიდან ჩანდა მისი ტალღების ელვარება, სვენებ-სვენებით მიდიოდა დედაბერი, რადგან კალათი მძიმედ აწვა თავზე. განა ონიქსი ამძიმებდა; უსულო საგნების ტვირთი კალათს კიდევაც ამსუბუქებდა და ციმციმ ზემოთ მიაქანებდა. მის კალათს გაუსაძლის ტვირთად აქცევდა ცოცხალი ბოსტნეული ან სულ პაწაწინა ცხოველიც კი. ერთხანს იარა მძიმე ტვირთზე გამწყრალმა დედაბერმა, მაგრამ უეცრად წყრომის მიზეზი დაავიწყდა და შემკრთალი შედგა, რადგან ზედ გადააწყდა გოლიათის ჩრდილს. ახლაღა შენიშნა გოლიათი. მას მდინარეში ებანავა და ის იყო წყლიდან ამოდიოდა, მისი ვეება ჩრდილი კი, მთელს მინდორზე გადაჭიმული, ქალის ფეხებსა სწვდებოდა. ჰო, გვარიანად შეშინდა საბრალო! რა უნდა ექნა, მხარი როგორ აექცია მისთვის, საით წასულიყო?

ქალი რომ შენიშნა, გოლიათმა ხუმრობანარევი სალამი მისცა, მისი ჩრდილის ძალოვანმა ხელებმა კი კალათაში მოიფათურეს, კოხტად აწაპნეს თითო კომბოსტო, ხახვი და ოქროფხალა და პირთან მიაგებეს უღონო პატრონს. ნაპარავი რომ იგემა, გოლიათი წყალს აღმა აუყვა, გზა მისცა დედაბერს.

ჩაფიქრდა ქალი–რა აჯობებდა, დაბრუნება და ბოსტნიდან დანაკლისის შევსება, თუ ნაკლული ვალით მებორნესთან გამოცხადება? თუმც ყოყმანობდა, ნაბიჯს მაინც არ ანელებდა და ცოტა ხანში უკვე მდინარის ნაპირს მიადგა. დიდხანს ელოდა ბორანს წყლის პირთან და როგორც იქნა, ისიც გამოჩნდა. საოცარი მგზავრი მოჰყვებოდა ამ ბორანს–მშვენიერი, ღირსეული ჭაბუკი. მოხიბლულმა დედაბერმა თვალი ვერ მოსწყვიტა მას.

– რით მოხველ, რა მოგიტანია? – გამოსძახა მებორნემ ქალს.

– ტატნების ვალი მოგართვით, ბოსტნეულია! – უპასუხა ქალმა და მოტანილი უჩვენა. მოხუცმა კალათაში რომ ჩაიხედა, მეტად გაჯავრდა–ამის მიღება არ შემიძლიაო. როგორ არ სთხოვდა დედაბერი იმ მკაცრ მებორნეს, როგორ არ ეხვეწებოდა–სახლში ვერ დავბრუნდები, ამ უმძიმესი ტვირთით ამოდენა გზაზე როგორ ვიაროო, თავს აცოდებდა, მაგრამ მოხუცი ვერ დაიყოლია. განა ეჭირვეულობო, უხსნიდა მებორნე უგუნურს, ჩემზე ხომ არ არისო დამოკიდებული ვალის მიღება–არმიღება. ცხრა საათი ერთად უნდა გავაჩერო დათქმული საგნები და ვიდრე მდინარეს არ გადავცემ ძღვენის მესამედს, ხელსაც ვერაფერს დავაკარებო!.. ქალს არ ესმოდა მისი სიტყვები და ისევ თავისას გაიძახოდა – მიიღე, მიიღეო.

– კეთილი! – თქვა ბოლოს მებორნემ. – თუ ამ მდინარის მოვალედ აღიარებ თავს და აღქმას დადებ, რომ უეჭველად გადაიხდი ვალს, ამ ბოსტნეულს ავიღებ, მაგრამ გაფრთხილებ, ეს არც ისე უხიფათოა.

– თუ დანაპირებს შევასრულებ, ხიფათი მაინც მომელის? – ჰკითხა დედაბერმა.

– არავითარი! ჩაჰყავი ხელი მდინარეში და აღთქმა დადე, რომ ვალს ოცდაოთხ საათში გადაიხდი.

დედაბერი ასეც მოიქცა – ხელი ჩაჰყო და როდესაც ამოსწია, ელდა ეცა – ხელი ნახშირივით გაშავებოდა. გამწარებული ეცა მოხუცს და ლანძღვა

დაუწყო — ჩემს უბადრუკ სხეულზე ლამაზი თუ რამე მქონდა, ხელები იყო, ამდენი ჯაფის მიუხედავად მათ მაინც ფაქიზად და თეთრად ვინახავდი და ახლა რაღა მეშველება, ეს რა მიყავიო, უყვიროდა მოხუცს და თავის მარჯვენას ხელს დაჟინებით ათვალიერებდა.

— ვაიმე, კიდეც მელევა და ლამის გამიქრეს! — დაიძახა სასოწარკვეთილმა. — ეს ხელი ახლა ბევრად პატარაა მეორეზე.

— ახლა მხოლოდ გეჩვენება, ჩემო კეთილო, — უთხრა მოხუცმა, — მაგრამ თუ პირობას არ შეასრულებ, ყოველივე ეს სინამდვილედ იქცევა — ხელი გაგელევა და თანდათან გაქრება. მის ხმარებას კი შესძლებ, მაგრამ უჩინარი იქნება.

— მერჩია ხილული მქონოდა და ვერაფერში მეხმარა, — თქვა დედაბერმა. — თუმცა ეს საფრთხე არ მემუქრება, რადგან პირობას უეჭველად შევასრულებ, რომ მოვიცილო ეს შავი კანი და ეს დარდი! — დედაბერი დასწვდა თავის კალათას, რომელიც ციმციმ აცურდა მის თავზე და გაედევნა ჭაბუკს, მდინარის ნაპირს ნელი ნაბიჯით რომ მიუყვებოდა. მისმა ნახვამ დედაბრის გული შესძრა, რადგან მისი მსგავსი ჯერ არავინ ენახა — არც მორთულობითა და არც ქცევით.

ელვარე თორის ქვეშ მშვენიერი სხეული ინაკვთებოდა. მხრებს უმოსავდა მეწამული წამოსასხამი, წაბლისფერი კულულები უფარავდა თავს, სახე და ფეხები შიშვლად მიენდო მზის სხივებისთვის. ფეხშიშველი მიაბიჯებდა ცხელ ქვიშაზე და რაღაც ღრმა ტკივილი უჩლუნგებდა ყველა გრძნობას.

როგორ არ სცადა ენაჭარტალა ქალმა საუბრის გაბმა უცხო ჭაბუკთან, მაგრამ ის მხოლოდ მოკლედ პასუხობდა, „ჰო“ და „არა“-ში ათავსებდა ყოველგვარ პასუხს. სიქა გამოელია დედაბერს და ჭაბუკის მშვენიერი თვალების ხიბლის მიუხედავად, ბოლოს მაინც ხელი აიღო მასთან საუბარზე და გამოემშვიდობა.

— ბატონო ჩემო, მე არას მარგებს თქვენსავით ნება-ნება სიარული, უნდა ვიჩქარო შუადღისას მწვანე გველით გაღმა გადასვლა, რათა მშვენიერ შროშანს ჩემი ქმრისაგან ძღვენი მივართვა, — და ქალმა კალათით თავზე ფეხს აუჩქარა.

მშვენიერი ჭაბუკი თითქოს ღრმა ძილისაგან გამოერკვა, ისე გამოუდგა ქალს და მიაძახა:

— მშვენიერ შროშანთან მიდიხართ? მაშ მგზავრები ვყოფილვართ! რა მიგაქვთ ძღვნად მასთან?

— ჩემო ბატონო! — მიუგო ქალმა, — იმ თქვენი უემური „ჰო“ და „არა“-ს მერე პირდაპირ ჩემი საიდუმლოს შეტყობა მოინდომეთ? ასე არივარგებს! მოდით, თუ გნებავთ, გავცვალოთ ჩვენი თავგადასავლები — თქვენ თქვენი მიამბეთ, მე ჩემსას გაგიზიარებთ.

ჭაბუკი მყისვე დაეთანხმა. დედაბერმაც სიამოვნებით უამბო ძაღლის ამბავი და ის მშვენიერი ონიქსიც უჩვენა. ჭაბუკმა კალათიდან ამოიღო მოხუცის ძღვენი, ხელში სათუთად დაიჭირა და მიეფერა:

— ბედნიერო! მისი ხელები შეგეხება და სულს ჩაგიდგამს, გაგაცოცხლებს. მაშინ როდესაც ყველა სულდგმული გაურბის მის შეხებას სიკვდილის შიშით. რა უმჯობესია — მის მახლობლად უგონოდ ყოფნა, თუ მისივე ხელით სიკვდილი?!... შემომხედე! — უთხრა ჭაბუკმა დედაბერს. — შემომხედე, როგორი ახალგაზრდა ვარ და როგორი უნუგეშო. ბედმა მარგუნა ეს თორი, რომელიც ბრძოლაში ღირსეულად ვატარე და ეს პორფირი, რომლის გამართლებასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძნული ხელმწიფობით ვცდილობდი. ახლა დავტოვე ჩემი ხმალი, კვერთხი, გვირგვინი და ბოგანოსავით დავეხეტები. რადგან დამღუპველი ძალით მიზიდავს მისი ლურჯი თვალები.ო, ეს თვალები ძალას ართმევენ ყველაფერს და ვინც მის ხათუთ შეხებას გადარჩენია, მთარულ აჩრდილს დამსგავსებია...

ასე ჩიოდა უცხო ჭაბუკი. დედაბრის ცნობისწადილმა მის ნათქვამში ვერ ჰპოვა საზრდო. რადგანაც სულის წუხილს არას დაგიდევდა, მხოლოდ ის აინტერესებდა, თავგადასავალი. ჭაბუკის ჩივილიდან კი რა ამბავი უნდა გაეგო მისი წინაპრებისა და სამეფოს შესახებ — მათი სახელებიც კი ვერ შეიტყო...

ჭაბუკი ქვადქცეულ ფინიას ეფერებოდა, რომელიც მზის სხივებითა და მისი მკერდის მხურვალებით გამთბარიყო, და კითხვას კითხვაზე აყრიდა დედაბერს ლამპრისმპყრობელი მოხუცის წმინდა ძალასა და უნარზე. ჩანს, ამ საუბარმა იმედის სხივი აუკიაფა—იქნებ ოდესმე წალმა დაბრუნებულიყო მისი მწარე ბედის ბორბალი.

საუბარში გართულები მდინარეს მიუახლოვდნენ და დაინახეს ზედ გადარკალული ხიდი. მზის სხივებზე საოცრად ელვარებდა მისი დიდებული თაღი. ორივე მგზავრი გააოცა დანახულმა—ასეთი ბრწყინვალე თაღი ჯერ არ ენახათ.

— განა აკლდა მას მშვენება, — წამოიძახა უფლისწულმა — ამარტითა და პრაზემით მოოჭვილს? ამ ზურმუხტებისა და ოქროქვის, ქრიზოპრასის ელვარების დამნახავს ზედ ფეხის შედგმაც კი მერიდება!...

მათ არაფერი იცოდნენ იმ გარდაქმნისა, გველმა რომ განიცადა და აბა საიდან მიხვდებოდნენ, მათ წინ თვალ გველი რომ იყო, ყოველ შუადღეს ვაცკაცურად რომ ირკალებოდა ხოლმე ხიდად მდინარეზე. ჩვენმა მგზავრებმა ზედ კრძალვით შედგეს ფეხი და სიტყვის უთქმელად გადავიდნენ გაღმა ნაპირზე მიწას დაადგეს თუ არა ფეხი, ხიდი შეირხა, აქანავდა, წყალზე დაეშვა და საოცარი მწვანე გველი თან გაჰყვა მგზავრებს. დედაბერმა და უფლისწულმა მადლობის თქმაც კი ვერ მოასწრეს, რომ შენიშნეს, გველთან ერთად უჩინარი არსებებიც დამგზავრებოდნენ: მათ შორიახლოს ჩუმად ჟღალაცამ წაისისინა, გველმაც სისინით უპასუხა. დედაბერმა და უფლისწულმა სმენა დაძაბეს და გაარჩიეს რამოდენიმე სიტყვა:

— ჯერ ინკოგნიტოდ მოვიხილავთ მშვენიერი შროშანის ბაღნარს. შებინდებისას კი, როდესაც ჩვენი ლაზათი უფრო თვალსაჩინო გახდება, გთხოვთ წარვუდგინოთ სრულქმნილი მშვენიერების წინაშე. დიდი ტბის პირას დაგელოდებით!

— კეთილი! — მიუგო გველმა და სისინი უმალვე შეწყდა.

სამმა მგზავრმა კი გზა განაგრძო, თან ერთმანეთს უთანხმდებოდნენ, შროშანს პირველი ვინ წარსდგომოდა. მის სიახლოვეს შეიძლებოდა ბევრნი ყოფილიყვნენ, მაგრამ მასთან მხოლოდ სათითაოდ უნდა მისულიყვნენ, რათა მწვავე ტკივილს გადარჩენოდა მისული. ონიქსიანი დედაბერი პირველი მიუახლოვდა კეთილისმყოფელს. მისი მიგნება არ იყო ძნელი. რადგან ამ დროს ქნარზე უკრავდა და გალობდა ხოლმე. ჯადოსნური ბგერები შეეხნენ ტბის წყნარ ზედაპირს და მერე კი ნიავისდარად აბიბინეს მოლი და ბუჩქნარი. იგი მშვენიერ ხეთა ჩრდილქვეშ იჯდა და ტკბილად გალობდა. ბრიუმუმიავით მოლივლივე ხასხასა მოლი ფეხებს უკოცნიდა... დედაბრის გული, თვალი და სმენა ნახვისთანავე მოჯადოვდა. აღტაცებული უახლოვდებოდა დედაბერი მშვენიერ შროშანს და

ღმერთს ჰფიცავდა, რომ უკანასკნელად ნახვის შემდეგ მას მშვენება კიდევ უფრო მომატებოდა. სალამი და ხოტბის შესხმა შორიდან დაიწყო:

— ბედნიერი ვარ, რომ კვლავ გიხილე, მშვენიერო შროშანო! შენს ირგვლივ ყველა და ყოველი ზეციურ ნატარებას მოუცავს. რა მომხიბვლელად აჰვენია ქნარი შენს მუხლებს, რა ნაზად ეხვევა მას შენი მკლავები, თითქოს მის ნაკვრას ლამობდე მკერდში და რა ტკბილად ჟღერს მაგ თითებით შერხეული სიმები! სამგზის ბედნიერია ის ჭაბუკი, ვინც მისი ადგილის დაკავების ღირსი გახდება!... — ამ სიტყვებით მიეახლა იგი მშვენიერ შროშანს. ქნარს ხელი უშვა მშვენიერმა, თვალი გაახილა და აბეზარ მეხოტბეს სიტყვა გააწყვეტინა:

— უდროო ქებით ნუ მაწუხებ, ეგ უფრო მძაფრად განმაცდევინებს ჩემს უიღბლობას. შეხედე, ჩემი საყვარელი იადონი უსულოდ გდია. რა საამოდ აჰყვებოდა ხოლმე იგი ჩემს გალობას!... კარგა ხანია, რაც შემეჩვია საბრალო, ჩამოჯდებოდა ხოლმე ამ ჩემს ქნარზე ისე, რომ არ შემხებოდა და გალობდა. დღეს, დილის სიმღერა რომ დავიწყე, ჩემი პატარა მგალობელი განსაკუთრებული ეშხით ამყვა. მოულოდნელად თავზე მიმინომ გადაგვიფრინა. დაფრთხა პატარა და შეშინებულმა ჩემს მკერდს შეაფარა თავი, და რა შემეხო, უმალვე ვიგრძენი მისი უკანასკნელი კრთომა სიცოცხლესთან განშორებისა. აბა ჩემთვის რა ნუგეშია, რომ მტაცებელი იქ ტივტივებს, ტბის ზედაპირზე, ჩემი მზერით დაზაფრული, მისმა დასჯამ როგორ შემივსოს საყვარელი ჩიტუნიას სიკვდილით დაცარიელებული გული? მისი საფლავი შეემატება ჩემი ბაღნარის სევდიან ბუჩქნარს!...

— გულს ნუ გაიტეხ, მშვენიერო! — შესძახა ქალმა ცრემლების წმენდით. — ჩემმა მოხუცმა შემოგითვალა, რომ დაიმშვიდო ეგ სათნო გული, სევდა გაინელო და უდიდესი უბედურება უდიდესი ბედნიერების მაცნედ მიიღო, რადგან მოაწია უკვე ჟამმა და საოცარი ამბები ხდება ამ ქვეყანაზე. შეხედე ჩემს ხელს, ნახე, როგორ გაშავდა და გაილია! უნდა ვიჩქარო, ვიდრე სულაც გამიქრებოდეს. ახ, ნეტავ რატომ დავეთანხმე იმ ვერაგ ტატნებს გადამეხადა მათი ვალი, რად შევეყარე გზაზე გოლიათს და რატომ ჩავყავი ხელი მდინარეში?! ხომ ვერ მომცემდი თითო თავ კომბოსტოს, ხახვსა და ოქროფხალას, ჩემო კეთილო? ამას ყოველივეს მივუტანდი მდინარეს და ხელი კვლავაც გამითეთრდებოდა, ისე, რომ შენი ხელის გვერდზედაც კი არ შემრცხვებოდა გამომეჩინა.

— კომბოსტოსა და ხახვს ალბათ ნახავ ჩემს ბაღში, მაგრამ ოქროფხალას ძებნით თავს ტყუილად დაიღლი. აქ მცენარეებს არც ყვავილი აქვთ და არც ნაყოფი... ყოველი ტოტი, რომელსაც მე ხელს მოვკიდებ და საყვარელი არსების საფლავზე დავრგავ, ამწვანდება და გაიფოთლება. ეს დიდებული ხეები, მწვანე ბუჩქნარი ჩემს თვალწინაა გაზრდილი. ეს ვეება მუხისა და წიფლის ხეები, კვიპაროსთა ეს კენარი ობელისკები და ფიჭვების საარაკო თავგვირგვინები სულ პაწაწინა ყლორტები იყო, როდესაც ჩემი ხელით დავრგე ამ უნაყოფო ნიადაგზე მწუხარე ძეგლებად.

დედაბერი შროშანის ჩივილს აღარ უსმენდა, რადგან მისი გულისყური საკუთარ ხელს მიეპყრო. შროშანის გვერდით ის ხელი თანდათან შავდებოდა და ილეოდა. როცა კალათის აღება დააპირა, მაშინღა გაახსენდა მთავარი: ონიქსად ქცეული ძაღლი კალათიდან ამოიღო და მშვენიერი ქალწულის გვერდით ბალახში ჩადო.

— ამას გიგზავნით ჩემი ქმარი სახსოვრად, ჩემო კარგო! თქვენი შეხება გა-

აცოცხლებს ლამაზ ონიქსს და მეგობრად გეყოლება ერთგული ცუგო. იგი სიხარულის სხივით გაანათებს შენს სევდიან გულს, მე კი ნუგეშად ის მექნება, რომ შენს მახლობლად მეგულება.

მშვენიერმა შროშანმა სიამოვნებითა და გაოცებით შეათვალიერა ქვადქცეული კოხტა ფინია.

— მართლაც მრავალი ნიშანი ისე ემთხვევა, რომ გულში [illegible] ეხება. განა ეს ჩვენი ბუნების ცთომილება არ არის, რომ მრავალი უბედურების თანხვედრისას, წარმოვიდგენთ, თითქოს მოახლოვებულია ბედნიერება?

ნიშანთ მრავლობა სასიკეთოს მე რას მიქადის,
ჩიტის სიკვდილი, შავი ხელი ჩემი მეგობრის,
ძვირფასი ცუგა, რომლის ბადალს ვერსად იპოვნით —
განა ლამპარმა არ მომართვა დღეს საჩუქრად ის?!..
...შორს არის ჩემგან სიამენი ნეტარებისა,
მწუხარება მდევს მე ყოველგან ერთგულ თანმხლებად,
ო, რატომ არ დგას მდინარესთან ტაძარი დიდი!
ო, რად არ არის აგებული იმ წყალზე ხიდი!

კეთილ დედაბერს გული თითქმის გადაელია, ვიდრე შროშანი ამ სიმღერას დაასრულებდა. ამ სიმღერის ჰანგს, ქნარის ტკბილ ჟღერას და მშვენიერი შროშანის ჯადოსნურ ხმას გულგრილად ვერავინ მოისმენდა, მაგრამ დედაბერს პირი მხოლოდ იმისთვის დაელო, რომ მასპინძლისათვის წასვლის ნებართვა ეთხოვა. კიდევაც წავიდოდა, რომ მწვანე გველის მოსვლას არ შეეყოვნებინა. გველს სიმღერის ბოლო სიტყვები გაეგონა და მშვენიერ შროშანს დაუწყო გამხნევება:

— უკვე აღსრულდა წინასწარმეტყველება ხიდის შესახებ! ჰკითხე დედაბერს, როგორ ელვარებს მისი თაღი! ის, რაც აქამდე გაუმჭვირვალე ამარტი და პრაზემი იყო, ახლა გამჭვირვალე ძვირფას ქვებად ქცეული ციმციმებს. განა არსებობს უფრო კრიალა ბივრილი და უფრო ელვარე ზურმუხტი?!

— ამას კი გილოცავთ! — თქვა შროშანმა სათნოდ და წყნარად, — მაგრამ, მომიტევეთ და არა მჯერა, რომ ყოველივე, რაც თქვენა თქვით, წინასწარმეტყველების აღსრულებას მოასწავებდეს. ის თქვენი ხიდის მაღალი თაღი მხოლოდ ქვეითებს გამოადგებათ, ჩვენ კი აღგვითქვეს, რომ ხიდზე ერთდროულად გადავა ყველა-ქვეითი და მგზავრი, ცხენი და მხედარი. განა არ გახსოვთ წინასწარმეტყველება დიდი სვეტების შესახებ, რომლებიც მდინარიდან უნდა ამოიზიდონ?

მთელი ამ ხნის მანძილზე დედაბერს თავის ხელისათვის თვალი არ მოუცილებია. დაემშვიდობა მშვენიერ შროშანს და წასასვლელად გადადგა ფეხი. მაგრამ ტურფა ბაღნარის მშვენიერმა მფლობელმა ალერსით სთხოვა:

— შესდექი წამით, თან წაიღე ეს იადონი და ლამპარს სთხოვე, რომ აქციოს ლამაზ ტოპაზად. მერე მე ხელახლა გავაცოცხლებ ჩემი შეხებით და თქვენს ცუგოსთან ერთად უკეთ გამართობს. ოღონდ იჩქარე, საყვარელო, ვიდრე მზე ჩავა, თორემ უწყალო გახრწნის მსხვერპლი შეიქნება და დაირღვევა მისი სხეულის მშვენიერი ჰარმონია.

დედაბერმა კალათში ჩადო უსულო ჩიტი, ნაზი ფოთლები გარს შემოახვია და სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას მდინარისაკენ.

გველმა შეწყვეტილი საუბარი განაგრძო:

— მაგრამ ტაძარი უკვე აშენდა!

— ჯერ რომ არა დგას მდინარესთან? — ჰკითხა ქალწულმა.

— ჯერ მიწისქვეშაა, — წარმოსთქვა ბეელმა. — მაგრამ მე უკვე ვნახე მეფეები და კიდევაც ველაპარაკე მათ.

— კი, მაგრამ როდის წამოდგებიან? — იკითხა შროშანმა.

— მიწისქვეშა ტაძარში მე მესმა ყლერა სიტყვებისა — „მოაწია ჟამმა!“ — თქვა ბეელმა. ნეტარების სიხარული მიეფინა ქალწულის სახეს. — ოდეს მერედ მესმა დღეს ეს ბედნიერი სიტყვები. ნეტავ როდის გათენდება ბედნიერი დღე, შესაძლო რომ გავიგონებ ამ სიტყვებს?! — შროშანი ადგა. ბუჩქნარიდან გამოვიდა სამი მხედარი. ააღეს ქნარი, სპილოსძვლის სკამი, ვერცხლის ბალიში და მარგალიტებით მოქარგული საჩრდილობლით მოუჩრდილეს სავალი გზა ქალწულს ენითუთქმელად ტურფანი იყვნენ მხევლები, მაგრამ ისინი მაინც მხოლოდ ულვარებას ჰმატებდნენ შროშანის მშვენებას, რადგანაც ცალ-ცალკე თითოეულის სიტურფე მშვენიერი შროშანის აჩრდილადაც არ კმაროდა.

მშვენიერი შროშანი დაიხარა, სიყვარულით ათვალიერებდა საოცარ ფინიას, მერე შეეხო სათუთი ხელით და ონიქსად ქცეული ძაღლი წამოხტა, მხიარულად მიმოიხედა, აქეთ-იქით მოისუნსულა და კეთილისმყოფელს მისასალმებლად მიაშურა.

— ჯერ ისევ ცივი ხარ, ჩემო კარგო, ნახევრად ცოცხალი, მაგრამ მაინც სიხარულით მოგესალმები, ნაზად მეფერები. მხიარულად გაითამაშებ, სიყვარულით მოგეფერები და მაგრად, მაგრად მიგიკრავ გულზე! — ამ სიტყვებით მშვენიერმა შროშანმა ცუგო დაბლა დაუშვა, გააქცუნა, კვლავ მოიხმო, ალერსით გაეთამაშა, ნაზად და თანაც ისეთი ხალისით, რომ მისი ნახვა აღფრთოვანებას იწვევდა და ყველას იმწამსვე დაუძლეველი სურვილი უჩნდებოდა—აუცილებლად ხარობდნენ სიხარულის ამ ხან ზეიმში და ეს გრძნობა ისეთივე ძლიერი იყო, როგორც ცოტა ხნის წინათ თანაგრძნობა, გამოწვეული შროშანის მწუხარებით.

სევდიანი ყუვლისწულის გამოჩენამ მხიარული თამაში დაარღვია. შუადღის სიცხეს კიდევ უფრო მიუთენთა მგზავრი და სატრფოს წინაშე უფრო მეტად გაფითრდა საბრალო ვაჟი. მარჯვენა ხელზე მტრედისფერი განაბული ეჯდა ავი მამინო.

— როგორ გაბედე ჩემი პატარა მგალობელის მკვლელის მოყვანა! — რისხვით მიმართა მშვენიერმა შროშანმა საბრალო მიჯნურს.

— ნუ იწყებ გასრისხებას, მშვენიერო! — წყნარად მიუგო ვაჟმა. — ეს საწყალი ფრინველი უბრალო არის, ბრალი ჩემს თავსა და ჩემს ბედს დასდევ და მოძებნი ნება, თან კიახლო ჩემი მწარე ბედის თანამგზავრი.

ცუგო კვლავ მშვენიერ ასულს ელაქუცებოდა და ისიც მხიარულად ეთამაშებოდა, ეპასუხებოდა გამჭვირვალე ძაღლს. ტაშის კვრით თითქოს აფრთხობდა და თავად გარბოდა, გაქცეულს წამსვე დაიჭერდა, გულში იკრავდა, მერე ისროდა მწვანე ბალახში და კვლავ გარბოდა, თავისთან იწვევდა...

წყრომით უცქეროდა ვაჟი სატრფოს მხიარულ თამაშს, უფრო და უფრო იქუფრებოდა და ბოლოს, როცა მშვენიერმა ქალწულმა მკერდზე ნაზად მიიკრა სამაგელი ფინია და დაუკოცნა შავი დრუნჩი ნაზი ტუჩებით, გამოელია მოთმინება, თვალთ დაუბნელდა და უნუგეშოდ მიაძახა გულცივ მასპინძელს:

— რად მომისაჯა უწყალო ბედმა სამუდამოდ შენგან გათიშულს, ჩემივე თვალით ვუყურებდე როგორ ხარობს შენთან ეს უგვანო ფინია-ძაღლი, როგორ ნეტარებს სიყვარულით გარემოცული და როგორ ტკბება შენი ალერსით! მე

კი, უარისმყოფელს ყოველივესი, საკუთარი თავისაც კი, წილად მხვდა მხოლოდ ამ მდინარის გაღმა-გამოღმა სევდიანი მოგზაურობა. არა, ძველი გმირობის ნაპერწკალი კვლავ მიღვივის ამ ბეჩავ გულში, უკანასკნელად იგი ახლა აბრიალდება, და თუ შენს მკერდზე/ დასვენება მხოლოდ ქვათა ხმაური/ ტკბილი, დე მეც ქვად ვიქცე! შენი შეხება თუ ყველა/ სულდგმულს ჰქავს, შენივ შეხებით დე გასცილდეს ეს სული სხეულს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფი ნაბიჯი გადადგა მან ტურფა ქალისაკენ, მიმინო მოსწყდა მის მარჯვენას, მაღლა აფრინდა. შროშანმა ხელი გაიწვდინა შესაჩერებლად, მაგრამ ამით კიდევ უფრო დააჩქარა უბედურება — მყისვე შეეხო. უფლისწულმა გონი დაკარგა, მშვენიერ ტვირთად მიესვენა ქალწულის მკერდზე, სული აღმოხდა. შროშანმა მწარედ შეჰკივლა, უკან დაიხია და ღირსეული რაინდის გვამი ნელა დაეშვა მწვანე ბალახზე. უბედურება უკვე მოხდა!

გაქვავებული იდგა ქალწული და უცქეროდა უსულო სხეულს. გული თითქოს გაუჩერდა, ცრემლი გაუშრა, ფინია ამაო ლაქუცითდა ცდილობდა მის ათამაშებას—მთელი სამყარო მომკვდარიყო მეგობართან ერთად. აღარ ეძებდა საშველს მუნჯი უნუგეშობა, რადგან არ იცოდა თავის საშველი...

სამაგიეროდ გველი ამოძრავდა ბეჯითად — საშველს ეძებდა! მწვანე გველის უცნაურმა მოქმედებამ სულ მცირე დროით შეაფერხა ის გარდუვალი შედეგები, რაც უცილობლად სდევს ამგვარ უბედურებას: გლუვად დრეკილი თავის სხეულით ფართო მწვანე წრედ შემოევლო უსულო სხეულს, კბილები კუდს ჩასჭიდა და გაწვა მშვიდად.

ერთ-ერთი მოახლე მიეახლა მშვენიერ შროშანს, მიართვა სკამი და აიძულა ქალბატონი, რომ დამჯდარიყო. მეორე მოახლემ ცეცხლისფერი მანდილი მოახვია და თავი დაუბურა მწუხარე ასულს, მესამემ მიართვა ძვირფასი ქნარი. როცა საკრავი მკერდზე მიიყრდნო შროშანმა და რამოდენიმე ღვთიური ბგერა გამოაცემინა, პირველი მსახური კვლავ დაბრუნდა სარკით, წინ დაუდგა ქალბატონს, და შროშანმა სარკეში დაინახა საკუთარი ანარეკლი — ბუნების უმშვენიერესი ქმნილება.

ტკივილს მისი მშვენიერება აემაღლებინა, მანდილი მომხიბვლელობას მატებდა, მიმზიდველობას კი ტკბილხმოვანი საკრავი, და თუ კაცი მთელის გულით ინატრებდა განელებული ენახა მისი მწუხარება, უმალ მის გულში იმავე ძალით გაჩნდებოდა ნატვრა—არ გამქრალიყო, სამუდამოდ აღბეჭდილიყო ამ წუთის დიდებული მშვენიერება...

წყნარად უცქერდა სარკეს ქალწული, ნაზი ხელით არხევდა სიმებს, ჯადოსნურ ბგერებს გამოსცემდა ძვირფასი ქნარი. მერე ტკივილმა იმძლავრა და საკრავმაც ბანი მისცა ძლიერი ჟღერით, მწუხარე ხმაზე დაიგუგუნა. თითქოს კიდევაც დააპირა სიმღერა ქალმა, მაგრამ ხმა თურმე გაჰპარვოდა, არ ამოვიდა შეკრული კრიჭიდან. მერე ტკივილი ცრემლად იქცა და ორ ნაკადულად გადმოსდინდა მშვენიერ თვალთაგან. მოახლეები შეეშველნენ მშვენიერ შროშანს—ქნარი დაცურდა მუხლებიდან და ვიდრე ბალახებში ჩავარდებოდა, მარჯვე მსახურმა აიტაცა, წაიღო...

— ლამპრიან მოხუცს ვინ მოიყვანს მზის ჩასვლამდე?! — წაისისინა გველმა. მოახლეებმა ერთმანეთს კრთომით გადახედეს. შროშანის თვალთაგან ცრემლმა იმატა.

გულამოვარდნით მოირბინა მწუხარე ბაღში დედაბერმა. კალათი კვლავ ხელში ეპყრა და მოთქმით ჩიოდა:

— დავილუპე და დავმახინჯდი. ერთი შეხედეთ ჩემს ხელს, თითქმის სულ გაქრა! გადაყვანაზე ვერც მებორნე და ვერც გოლიათი ვერ დავითანხმე, რადგან ჯერ კიდევ მდინარის მოვალე ვარ. ასი კომბოსტო და ასი ხახვი შემოსავალზე, მაგრამ აქაოდ — მას სამი უნდა. ოქროფხალა კი ამ მხარეში ვერსად ვერ ვნახე!...

— დაივიწყე შენი უბედურება! — უთხრა მას გველმა. — და შეეცადე დახმარება აღმოგვიჩინო, ამით იქნებ შენს ჭირსაც ეშველოს. თუმც [illegible], უნდა სადმე მოძებნო ტატნები, იქნებ მიაგნო მათ სიცილითა და ფარფატით. გაღმა გაგზავნე, გოლიათი მათ გადაიყვანს და მოაყვანინე შენი ქმარი, ლამპრის მპყრობელი!

დედაბერმა სწრაფად გასწია ტატნების საძებნელად, გველი კი ისევე მოუთმენლად მოელოდა მის დაბრუნებას, როგორც ელოდა მგლოვიარე ტურფა შროშანი.

იმედი თითქმის გადაიწურა, რადგან დაისმა ხის წვერები მოავარაყა და ტბის ზედაპირზე, ხასხასა მინდორის მწუხარე ლანდებად დაეფინა გრძელი ჩრდილები. გველი მოუსვენრად აცოცდა, შროშანი კი ცრემლად დაიღვარა.

მწვანე გველმა ირგვლივ მიმოიხედა, სწრაფად, გულდასმით მოჩხრიკა ირგვლივ ყოველივე, რადგან შეეპარა იმისი შიში, რომ მზე მალე ჩაიძირებოდა და ჯადოსნური წრე ძალას დაკარგავდა — ლპობა შეაღწევდა იმის რკალში, ჭაბუკს დაღუპავდა... ბოლოს ღრუბლებში მიმინო დაინახა გველმა — მისმა მკერდმა მზის უკანასკნელი სხივები წითლად აირეკლა. გველი სიხარულით აცოცდა — ეს სიკეთის ნიშანი იყო! მალე ყველამ დაინახა ტბის ზედაპირზე სწრაფი სრიალით მომავალი ლამპრიანი მოხუცი.

გახარებული მწვანე გველი არ განძრეულა, ხოლო შროშანი ფიცხლად წამოხტა.

— რომელ კეთილ სულს უნდა ვუმადლოდეთ შენს მოვლინებას, როცა ყველას ასე გვენატრებოდი და როცა ასე გვიჭირდა? — შესძახა ქალმა.

— ჩემი ლამპრის სულს მოვყავარ თქვენთან! — უპასუხა მოხუცმა ასულს. — მიმინო კი გზას მიჩვენებს, ის მატყობინებს, როცა სადმე საჭირო ვარ და მეც მუდამ ცას შევყურებ, რათა დროულად მივიღო ნიშანი ფრინველისა თუ მეტეორისაგან — საით მიხმობენ, რომელი სფეროსაკენ გავემართო. დამშვიდდი, ტურფა ასულო! არ ვიცი, შევძლებ თუ არა შველას, რადგან ამ საქმეს ერთი ვერ შველის — შველა შეუძლია მას, ვინც თავის ძალას დროულად შეუერთებს სხვებისას. ახლა კი ვცადოთ როგორმე დრო გავწელოთ და იმედის სხივი გულში არ ჩავიქროთ.

— ეგ წრე შეკრული იქონიე! — მიუჯდა მოხუცი გველს და ლამპრის შუქით გაანათა ჭაბუკის გვამი. — აქ მოიტანეთ მგალობელი ჩიტუნას გვამი და ჯადოსნურ წრეში მოათავსეთ! — მოახლეებმა კალათიდან ამოასვენეს იადონის პაწია გვამი და ჭაბუკთან ერთად ჩაასვენეს.

მზე ჩავიდა და ბნელმა ძალი მოიცა. მაშინ დაიწყეს ნათება გველმა, ლამპარმა და შროშანის ალისფერმა მანდილმა, რომელიც ნაზი აისივით აფერადებდა ქალის გაფითრებულ ღაწვებსა და თეთრ სამოსს. იქ მყოფნი მშვიდად და დაკვირვებით გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს. მათ მწუხარებასა და საზრუნავს ამსუბუქებდა უეჭველი იმედი.

ამიტომაც გაეხარდათ დედაბრისა და ტატნების მოახლოვება, რომელთაც ხალისი მოიყოლიეს. ტატნები ვგარიანად შეფერხებულნიყვნენ და ქალებს მეტი თავაზით ექცეოდნენ. დიდის ამბით წარმოსთქვამდნენ გაცვეთილ ქათინა-

ურებს. განსაკუთრებულად ემოქმედნა მათზე მშვენიერი შროშანის მანდილს, ხოლო ქალებმა ხოტბის სმენისას წამწამები მორცხვად დახარეს და მით უფრო გამშვენიერდნენ.

ყველა იქ მყოფი კმაყოფილი და მშვიდი იყო, მხოლოდ დედაბერი ვერ ისვენებდა: თუმცა ქმარმა უთხრა—ვიდრე ჩემი ლამპრის შუქი გეცემა, ხელი აღარ გაგელევაო, ის მაინც გაიძახოდა — შუაღამემდე ეს კიდური [illegible] მთლიანად გამიქრებაო.

ბიბლიოთეკა

გულდასმით უსმენდა მოხუცი ტატნების ტიტინს და უხაროდა, რომ მათ შესძლეს მშვენიერი შროშანის გართობა და გახალისება. ვერც კი შენიშნეს შუაღამე როდის მობრძანდა. მოხუცმა ვარსკვლავებს აჰხედა და ალაპარაკდა:

— ბედნიერ საათს შევიკრიბეთ, ჩემო კეთილნო! დაე, თითოეულმა თავისი მოვალეობა აღასრულოს. ყველამ იგი ქმნას, რაც მას ჰმართებს და ცალკეულთა სატკივარსა და მწუხარებას საყოველთაო ბედნიერება შესცვლის, ისევე, როგორც საერთო უბედურება ანგრევს ცალკეულ სიხარულებსა და წარმატებებს.

ო, რა ხმაური ატყდა ირგვლივ! ყველა თავისთვის ალაპარაკდა, ჩუმად იყო მხოლოდ სამი მოახლე ქალი, რომელთაც ტკბილად ჩასძინებოდათ, ქნარის, საჩრდილობლისა და სავარძლის დარაჯად მდგარებს. აბა, რა მათი ბრალი იყო, რომ უკვე ძლიერ გვიანი იყო და ტატნებმა კი რამოდენიმე ცალყბა ქათინაურის შემდეგ მთელი ყურადღება მშვენიერ შროშანს უძღვნეს?

— სარკე აიღე! — უთხრა მოხუცმა მიმინოს. — ამომავალი მზის პირველი სხივი დაიჭირე და მძინარეებს დაანათე. გამოაღვიძე.

გველი შეირხა, რკალი გახსნა და დინჯი ზლაზვნით მდინარისაკენ დაიძრა, ანცი ტატნები ღირსეულად მიაბიჯებდნენ მის უკან, თითქოს მათზე დარბაისელი არავინ იყო.

დედაბერი და მისი ქმარი დასწვდნენ კალათას, რომლის ნაზი ნათება აქამდე არავის შეუმჩნევია და გაწელეს იგი. კალათი გადიდდა და გაბრწყინდა. შიგ მოათავსეს უფლისწული და იადონი გულზე დაადეს. კალათი მაღლა აცურდა და დედაბრის თავზე ატივტივდა. ქალი ფეხდაფეხ გაჰყვა ტატნებს. მშვენიერმა შროშანმა კოხტა ფინია ხელში აიყვანა და დედაბერს გაჰყვა. სულ ბოლოს კი ლამპრიანი მოხუცი დაიძრა. ირგვლივ მიდამო გაჩირაღდნდა ამ საოცარი სინათლეებით.

როგორ გაოცდა ჩვენი კრებული, როცა მდინარეზე დიდებული ხიდი ნახეს გადარკალული, რომელიც მათ თავაზიანად მოუმზადა მწვანე გველმა. დღისით ხომ თვალს სჭრიდა ძვირფას ქვათა ელვარება, ღამით კი აღფრთოვანებას იწვევდა მისი გასხივოსნებული სიდიადე. ბნელი ცის ფონზე მკვეთრად ჩანდა ნათელი თაღი, ხოლო მდინარის ბნელ ჩვირთებში ცოცხალი სხივები შუაგულისაკენ მიმართულიყვნენ და ბურჯების მოლიელივე სიმტკიცეს აშუქებდნენ. ნელა და მწკრივად გადავიდნენ ელვარე ხიდზე. ამ ბრწყინვალე რკალს დიდ მდინარეზე და მასზე მოძრავ ციმციმა შუქებს შორით შესცქეროდა თავისი ქოხიდან მებორნე, გაოცებით გარინდებული.

როცა გაღმა ნაპირზე მშვიდობით გადავიდნენ, ხიდი აქანავდა, აიტალღა, წყალზე დაეშვა და მალე გველიც ხმელეთზე მისრიალებდა. კალათი დაბლა ჩამოეშვა, მოლზე დაესვენა და გველიც ძველებურად შემოევლო რკალად იმ კალათს.

— რა გადაწყვიტე? — ლამპრიანი მოხუცი გველის თავთან დაიხარა და წყნარად ჰკითხა.

— ჩემი თავი მსხვერპლად გავიღო, ვიდრე შემწირავდნენ! — მიუგო გველმა. — პირობა მომეცი, რომ ხმელეთზე ერთ ქვასაც კი არ დასტოვებ.

მოხუცმა გველს სურვილის შესრულება აღუთქვა და მშვენიერ შროშანს მიმართა:

— ერთდროულად შეეხე შენს სატრფოს მარცხენა ხელით, ხოლო გველს — მარჯვენათი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შროშანი მუხლებზე დაეშვა, ხელები გაიწოდა, შეეხო გველსა და უფლისწულს. შეხებისთანავე სიცოცხლის სხივმა შეაღწია ვაჟის სხეულში, შეირხა, ალიმართა და კალათაში წამოჯდა. მშვენიერ შროშანს სურდა გადაჰხვეოდა, მაგრამ მოხუცმა შეაჩერა , ჭაბუკს ხელი შეაშველა, კალათიდან გადმოიყვანა, ჯადოსნურ წრეს გადმოაცილა.

უფლისწული ფეხზე იდგა, იადონი მხარზე დაჰფრენდა — ორივე ცოცხალი იყო, მაგრამ სული ჯერ მთლად არ დაჰბრუნებოდათ. მშვენიერ ჭაბუკს თვალები თუმცა კი ღია ჰქონდა, მაინც ვერაფერს ხედავდა თუ ვერ აღიქვამდა — ირგვლივ უაზროდ იცქირებოდა.

როცა ამ საოცრების მხილველთა მღელვარება ოდნავ დაცხრა, მხოლოდ მაშინ შენიშნეს როგორ შეცვლილიყო გველი. მოქნილი მწვანე სხეული ათასობით პატიოსან თვლად დაშლილიყო და დიდებულად ელვარებდა. ლედაბერს თავისი კალათის აღება სურდა, მაგრამ შემთხვევით გველს წამოედო და დაიშალა მისი მოქნილი სხეულის მოყვანილობა — მხოლოდ ძვირფასი ქვებიღა ციმციმებდნენ მწვანე ბალახში.

ლამპრის მპყრობელმა იწყო კალათაში ქვების შეგროვება. ცოლიც მიეხმარა და მალე მორჩნენ ამ სევდიან საქმიანობას. წაიღეს ტვირთი მდინარისაკენ და მთელი განძი მოხუცმა კბოდედან წყალში გადაუშვა, თავის ცოლის გულდასაწყვეტად, რადგანაც იგი უარს არ იტყოდა იმ განძიდან ერთი-ორი თვალი აეღო. ვარსკვლავებივით ჩაიფანტნენ წყალში ეს ქვები და წყნარი ციმციმით გაჰყვნენ დინებას, ვერ გაარჩევდით — იძირებოდნენ, თუ შორეთში იკარგებოდნენ.

— ბატონებო! — მოწიწებით მიმართა მოხუცმა ტატნებს. — მე გზას გაჩვენებთ და გაგიხსნით, მაგრამ დიდად დაგვეხმარებით, თუ ტაძრის კარიბჭეს გაგვიღებთ, ამას თქვენს გარდა ვერავინ შესძლებს.

ტატნებმა თანხმობის ნიშნად თავი ზრდილობიანად დაუკრეს და ფრთხილად უკუდგნენ. კლდე გაიხსნა და მოხუცმა კლდეში შეაბიჯა. უფლისწული მიჰყვა მას, უგონოდ მყოფი. უკან შროშანი მისდევდა და დედაბერიც არ ჩამორჩებოდა გაწვდილი ხელით, რათა ლამპრის სხივი მის ხელს არ ასცდენოდა. მსვლელობას ტატნები აბოლოვებდნენ. მათი ალები ერთმანეთისაკენ გადახრილიყვნენ და ჩურჩულებდნენ.

დიდი მანძილი არ გაუვლიათ, რომ ოქროს კლიტით მაგრად დაკეტილ სპილენძის კარიბჭეს მიადგნენ. მოხუცმა ტატნებს უხმო და იმათაც დიდი ხვეწნა არ დასჭირვებიათ, ისე გადასანსლეს კლიტე თავის ურდულიანად.

სპილენძის კარმა გაიჟღრიალა, სწრაფად გაიხსნა და ტაძრის სიღრმეში გამოიკვეთა ღირსეულ მეფეთა ქანდაკებები. შესულებმა თაყვანი სცეს მბრძანებლებს. განსაკუთრებით ტატნები ცდილობდნენ მოწიწება გამოეხატათ.

— საიდან მოდიხართ?! — იკითხა ოქროს მეფემ.

— ქვეყნიდან! — უპასუხა მოხუცმა.

— საით მიდიხართ?! — იკითხა ვერცხლის მეფემ.

— ქვეყანაში! — უპასუხა მოხუცმა.

— ჩვენთან რა გინდათ? — იკითხა სპილენძის მეფემ.

— თან რომ გეახლოთ! — თქვა მოხუცმა.

შერეულმა მეფემ დააპირა რაღაცის თქმა.

— განშორდით ჩემგან! — შესძახა ოქროს მეფემ მიახლოვებულ ტატნებს. — ჩემი ოქრო სათქვენო არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატნები მას ჩამოეცალნენ და ვერცხლის მეფეს შემოეტმასნენ. მისი მოსასხამი მათი შუქის მოყვითალო ანარეკლით ტურფად აელვარდა.

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! — უთხრა მათ ვერცხლის მეფემ, — მაგრამ მე თქვენი დანაყრება არ შემიძლია. სხვაგან იკვებეთ და მომიტანეთ შესამკობად თქვენი სინათლე. — ტატნები მოსწყდნენ ვერცხლის მეფეს, სპილენძისას გვერდი აუქციეს და შერეულ ქანდაკებას მიეპარნენ.

— ვინ იბატონებს ქვეყანაზე? — გაიჟღრიალა მისმა ხმამ ტაძრის სიღრმეში.

— ვინც საკუთარ ფეხზე დგას! — უპასუხა მოხუცმა მშვიდად.

— ასეთი მე ვარ! — წარმოსთქვა შერეულმა მეფემ.

— ეს გაცხადდება! — თქვა მოხუცმა, — რადგან ჟამი მოღწეულია!

ამ სიტყვების გაგონებისას მშვენიერი შროშანი მოხუცს კისერზე შემოეხვია და მხურვალედ გადაჰკოცნა.

— ათასგზის გმადლობთ, წმიდა მამაო, რადგან მესამედ გავიგონე დღეს წინასწარმეტყველური სიტყვა! —

შროშანმა სიტყვის დამთავრებაც კი ვერ მოასწრო, რომ მიწა იძრა, ტაძარი შექანდა. შროშანი მოხუცს მაგრად მიეკრო, იმან კი ჭაბუკს ჩასჭიდა ხელი. ტატნებს აინუნშიც კი არა ჩაუგდიათ რა.

ღუზაამოღებული გემი რომ დაირწევა, ისე დაირწა ტაძარი და აცურდა. დედამიწა თითქოს პირს იხსნიდა, გზას აძლევდა ზემსრბოლავ ტაძარს. ცოტა ხნის შემდეგ ჩამოიღვარა წვიმის წანწკარის მსგავსი ნაზი ხმა. უფრო მაგრად მოჰხვია ხელი მოხუცმა შროშანს და უთხრა:

— ცოტაც და მიზანი მიღწეული იქნება: ახლა მდინარის ქვეშ ვიმყოფებით.

ერთხანს მოეჩვენათ, რომ სრბოლა შეწყდა, მაგრამ არა! ტაძარი კვლავ ზევით იწევდა. უეცრად ჩმაური მოესმათ და ზემოთ გახსნილ თაღში ბოძებისა და ფიცრების ნამუსრევი ჩამოცვივდა. ქალები განზე გადგნენ, ხოლო მოხუცმა მაგრად ჩასჭიდა ხელი უფლისწულს. თურმე ტაძარი იმ ადგილას ამოიმართა, სადაც მებორნის ქოხი იდგა და ახლა იგი უფლისწულსა და მოხუცს თავზე გადმოემხო, ნელნელა დაჰფარა ისინი. ქალებმა შეჰკივლეს და ქოხს მიაწყდნენ. ტაძარი მკვეთრად გაჩერდა, როგორც ჩერდება გემი, ნავსადგურის ნაპირს მიხლილი. ხელების ფათურით უვლიდნენ გარს ქალები ქოხს და მის სიბნელეში ვერ დაენახათ ღია კარი. შეშფოთებულ კაკუნზე კი არავინ სცემდა პასუხს. მათ გასაოცრად ხემ შეწყვიტა ყრუ კაკუნი და წკრიალი გაიღო, ლამპრის შუქმა ჩაკეტილი ქოხი შიგნიდან გაანათა და ვერცხლისად აქცია. ცოტა ხანში კი გარეგნული სახეც შეცვალა — უშნო ძელებითა და ფიცრებით შედგენილ უსწორმასწორო ყორეებს ძვირფასმა ლითონმა ფაქიზი და დახვეწილი სახე მისცა. ახლა დიდი ტაძრის შუაგულში მშვენიერ საკურთხევლად იდგა იგი, შესაფერისი სიდიადით გასხივოსნებული.

შიდა კიბით გამოვიდა უფლისწული საკურთხევლიდან და ზეაღვიდა. ხელლამპრიანი მოხუცი გზას უნათებდა, ხოლო მეორე მოხუცი, მოკლე თეთრი სა-

მოსითა და ვერცხლის ნიჩბით ხელში, მას მხარში ედგა და ეხმარებოდა. ქალებმა იგი მებორნედ შეიცნეს — სახეცვლილი ქოხის პატრონად.

მშვენიერმა შროშანმა გარეთა კიბეზე აბიჯა, მაგრამ სატრფოსთან შეხვედრის ნება ჯერ კიდევ არ ჰქონდა. დედაბრის ხელს კი ამ ხნის მანძილზე ლამპრის შუქი მოაკლდა და უფრო გაილია. საბრალომ ეს რომ შეამჩნია, შესძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამდენ საოცრებათა მხილველი მე რაღად უნდა ვიყო უბედური? ჩემს ხელს აწი ვერავითარი ჯადო ველარ გადაარჩენს!

ქმარმა მოჰხედა და ღია კარებზე მიუთითა:

— შეხედე, თენდება, იჩქარე, განიბანე მდინარეში!

— კარგი რჩევაა! — შესძახა ქალმა. — ვიბანაო, რომ მთლად გავშავდე და სრულიად გავქრე, არა? მე ხომ იმ მდინარის მოვალე ვარ!

— მერწმუნე, წადი, ყველა ვალი გადახდილია! — უთხრა მოხუცმა და დედაბერი მდინარისაკენ გაემართა. მზეც ამოიწვერა თაღის გვირგვინზე. მოხუცი ჩადგა შროშანსა და უფლისწულს შორის და ხმამაღლა წარმოთქვა მტკიცედ:

— სამი რამ მეფობს ამ ქვეყნად — სიბრძნე, ბრწყინვალება, ძალა!

პირველ სიტყვაზე ოქროს მეფე წარმოიმართა, მეორეზე — ვერცხლისა, ხოლო მესამეზე ღინჯად წამოდგა სპილენძის მეფე. სამივე ადგა. მეოთხე მეფეს — შერეულსაც სურდა ადგომა, მაგრამ უეცრად ჩაიფუშა. მისი მნახველი სიცილს ვერ შეიკავებდა, ისე იყო ჩაშლილ-ჩანგრეული. თურმე ტატნებს, მთელი ამ ხნის მანძილზე რომ დაჰფუსფუსებდნენ, იავიანთი მარდი ენებით ღიდ სიღრმეზე გამოელოკათ ოქროს ძარღვები და ბოლოს, როცა უკანასკნელი ნამცეცებიც გამოტლიკეს, ეს გოლიათი ქანდაკება უცებ ჩაიფშვნა, მაღნის გროვად დაშვავდა იატაკზე. ტატნები გვერდზე გადგნენ. განთიადის შუქზე თუმცა ფერი გამკრთალებოდათ, მაინც მსუყედ ბრიალებდა იმათი ალი, ხოლო საბრალო ნარევი მეფე არც იჯდა, არც იწვა, არც რაიმეს ეყრდნობოდა და ისეთ საძაგელ სანახაობას წარმოადგენდა, რომ ვისაც მის დანახვაზე არ გაეცინებოდა, ის აუცილებლად თვალს აარიდებდა.

ლამპრიანმა მოხუცმა ხელი მოჰკიდა ჯერ კიდევ უგონოდ მდგარ უფლისწულს, საკურთხევლიდან ჩამოიყვანა და სპილენძის მეფეს მიჰგვარა. მის ფეხებთან ხმალი იდო სპილენძის ქარქაშიანი. ჭაბუკმა წელზე შემოირტყა ხმალი.

— ხმალი მარცხნივ, მარჯვენა თავისუფლად! — დასჭექა ძლევამოსილმა მეფემ. შემდეგ ეახლნენ ვერცხლის მეფეს და მან თავისი კვერთხი უფლისწულს გაუწოდა. ჭაბუკმა მარცხენა ხელი მოჰკიდა კვერთხს.

— მწყემსავდე სამწყსოს! — ალერსით უთხრა მეფემ უფლისწულს.

როდესაც ოქროს მეფეს ეახლნენ, მან მამობრივი ლოცვით გაუწოდა ხელები ჭაბუკს და მუხის ფოთლების გვირგვინი დაადგა თავზე.

— შეიცან უმაღლესი! — წარმოთქვა მეფემ.

მოხუცი გულდასმით აკვირდებოდა ჭაბუკს და შეამჩნია, რომ ხმლის შემორტყმის შემდეგ მისი მკერდი და მკლავები ამოძრავდნენ, ფეხები მეტი სიმტკიცით აბიჯებდნენ. კვერთხის აღების შემდეგ მისი ძალა თითქოს შერბილდა, მაგრამ იმავდროს კიდევ უფრო გაიზარდა, ხოლო როდესაც თავი გვირგვინმა შეუმკო, მისი სახე ამეტყველდა, თვალები გამოუთქმელი სულიერებით გაუბრწყინდა და პირველი სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა, „შროშანი“ იყო.

— საყვარელო შროშანო! — შესძახა მან და ვერცხლის კიბე აირბინა მის შესახვედრად, ხოლო შროშანი საკურთხევლის ქონგურებიდან ადევნებდა თვალს მისკენ მიმავალ ჭაბუკს.

— საყვარელო შროშანო! რა შეიძლება უფრო ძვირფასი ინატროს იმან, ვინც ყოველივე სიკეთეს ფლობს, ვიდრე უმანკოება და ის მშვიდი სათნოებაა, რასაც შენი გული მპირდება! ო, მეგობარო! — მიუბრუნდა იგი მოხუცს და სამ ქანდაკებას გადახედა. — დიდებული და მკვიდრია ჩვენი მამების სამფლობელო, მაგრამ შენ მეოთხე ძალა დაგავიწყდა, რომელიც ძველთაგანვე უფრო ყოვლისმომცველად და უფრო მტკიცედ ფლობს სამყაროს — ძალა სიყვარულისა! — ამ სიტყვებით იგი მშვენიერ ქალწულს მოეხვია, რომელსაც მანდილი გადაჰხდოდა და ლაწვები უტურფესი ალით ჰქონდა შეფერილი.

— სიყვარული არა ფლობს, იგი ქმნის! ეს კი უფრო მეტია, ვიდრე ფლობა, — უპასუხა მოხუცმა ღიმილით.

ამ ზეიმით აღფრთოვანებულებმა ვერც კი შენიშნეს, რომ დღე ძალაში შესულიყო. ღია კარიბჭიდან მოულოდნელი რამ დაინახეს: დიდი სვეტებით გარშემორტყმული მოედანი წინკარს ქმნიდა და მის ბოლოში დიდ მდინარეზე გადაჭიმულიყო ბრწყინვალე მრავალთაღიანი ხიდი. ხიდის ორივე მხარე სვეტებით იყო გამოყოფილი მგზავრებისათვის და ამ სავალზე ხალხი გადი-გამოდიოდა, ხოლო შუაში ფართო გზა სავსე იყო ფარებითა და ჯოგებით, მხედრებითა და ეტლებით, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ აქეთ და იქით და ხელი არავის ეშლებოდა, ისე მოხერხებულად იყო მოწყობილი ყოველივე.

ჭაბუკი მეფე და მისი მეუღლე ხალხის მოძრაობისა და ცხოვრების სურათის ხილვით ისეთივე აღფრთოვანებულნი იყვნენ, როგორც ერთმანეთის ტრფობით.

— მუდამ პატივით გახსოვდეს გველი! — მიმართა მას ლამპრის მპყრობელმა. — შენ მას სიცოცხლეს უნდა უმადლოდე. შენი ხალხი — ხიდს, რომელმაც ორივე ნაპირი შეაერთა და სიცოცხლით სავსე ქვეყნებად აქცია. ამ დიდებული ხიდის ბურჯებს მისი შეწირული სხეულის ნაწილები — მოტივტივე პატიოსანი თვლები შეადგენენ; მათზე წარმოიქმნა ხიდი თავისთავად და თავისთავადვე იარსებებს.

ის იყო, მეფე-დედოფალს მოხუცისათვის ამ საიდუმლოს ახსნა უნდა ეთხოვა, რომ ტაძრის ღია კარებში ოთხი ტურფა ასული შემოვიდა. სკამით, ქნარითა და საჩრდილობელით უმალვე იცნეს სამი მოახლე, მაგრამ მეოთხე ვინ-ლა იყო, მათთან ერთად ლაღად რომ გამოიარა და საკურთხევლის კიბეს აუყვა?

— ამიერიდან მეტი რწმენა გექნება ჩემი, ჩემო საყვარელო მეუღლევ! — უთხრა მას ხელლამპრიანმა. — სიკეთე შენ და ყველას, ვინც ამ დილით მდინარეში განიბანება.

გაახალგაზრდავებული და გამშვენიერებული დედაბერი, რომელსაც ძველისა აღარაფერი ეცხო, მოეხვია მოხუცს გაცოცხლებული, ახალგაზრდა მკლავებით და გულში ჩაიკრა. იმანაც სიამოვნებით მიიღო ეს ალერსი და შეიფერა.

— თუ მეტისმეტად ბებერი გეჩვენები, — უთხრა მან ღიმილით, — დღეს ნება გეძლევა სხვა მეუღლე ამოირჩიო. დღეიდან არც ერთი ძველი საქორწინო კავშირი ძალაში არ არის, რომელიც ხელახლა არ დამყარდება.

— ნუთუ არ იცი, რომ შენც გაჭაბუკდი?! — მიუგო ქალმა.

— მიხარია, რომ შენი თვალები ძლიერ ჭაბუკად მხედავენ, — თქვა ლამპრის

მპყრობელმა — მე ხელახლა გთავაზობ ჩემს ხელსა და გულს და სიხარულით გადავალ შენთან ერთად მომავალ ათასწლეულში!

დედოფალმა სიხარულით მიიღო ახალი მეგობარი და ქალებთან ერთად ჩავიდნენ საკურთხეველში, მეფე კი ორივე მიჰყვებოდა ერთად. ზევით დარჩა, ხიდს გაჰყურებდა და ხალხის ფუსფუსს ყურადღებით აკვირდებოდა. მისი ყურადღება უეცრად დაირღვა, რადგანაც დაინახა, როგორ გადაალაგა ხიდზე გოლიათმა და ყველაფერი აურ-დაურია, როგორც ჩანდა, ახლახანს გაეღვიძა და ძილისაგან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, ალბათ მდინარის ნაცნობ ყურეში ბანაობას აპირებდა, მაგრამ ხიდს გადააწყდა და მის ქვაფენილზე წამოჯდა. იგი ხალხისა და საქონლის შუაგულში აღმოჩნდა და თუმცა მისი იქ ყოფნა ყველას აოცებდა, ხელს არავის უშლიდა. მაგრამ როდესაც მზემ თვალებში შეუჭყიტა, ხელები ზევით ასწია გოლიათმა, თვალები მოიჩრდილა, ხოლო მუშტების ქვება ჩრდილმა ხიდზე ისეთი ძალით გადაიარ-გადმოიარა, რომ ხალხი და ცხოველები მიყარ-მოყარა, ხიდს მოაჯირები მოსწყვიტა და კინაღამ წყალში გადაყარა. ყველა ჭაბუკი მეფე უნებურად ხმლის ვადას მისწვდა, მაგრამ უმალვე გონს მოეგო, მშვიდად დახედა ჯერ თავის კვერთხს, შემდეგ კი ლამპარს და ნიშანს თავის მხლებლებისას.

— ნაფიქრს მივიხვდი! — თქვა ლამპრის მპყრობელმა. — მაგრამ ჩვენი ძლიერება ამ უძლურთან ვერაფერს გახდება. დამშვიდდით! უკანასკნელად მოაქვს მას ვნება და, საბედნიეროდ, მისი ჩრდილი ჩვენ არ გვეხება.

ამასობაში გოლიათმა ტაძრამდე მიაღწია და ნისლით გარეცხილმა, ფართოდ თვალებგაზელილმა და ხელებჩამოშვებულმა შეაბიჯა ტაძრის წინა მოედანზე, როცა მოედანი შუამდე გადმოსჭრა, რაღაცა ძალამ ძირს მიაჯაჭვა.

მთელი ის მოედანი საათად იქცა, რომელზედაც რიცხვების ნაცვლად კეთილშობილი და აზრიანი სურათები იყო დალაგებული, ხოლო შუაგულში მდგარი გოლიათის უზარმაზარი ქანდაკება თავისი ჩრდილით დროს უჩვენებდა.

მეფემ დიდად გაიხარა, ბუმბერაზი აწრული სასარგებლო საქმით დაკავებული რომ დაინახა, ხოლო დედოფალი, მხლებლებთან ერთად საცხებლით მორთული რომ გამოვიდა საკურთხევლიდან, დიდად გაოცდა ყოველივე ამის მხილველი. გოლიათის ქანდაკება ტაძრიდან ხიდს თითქმის ფარავდა. ამასობაში ხალხი გარს შემოეხვია უძრავად მდგარ გოლიათს, გაოცებული მისი უეცარი სახეცვლილებით. შემდეგ კი ტაძრისკენ იბრუნა პირი, რომელიც, როგორც ჩანს, ახლაღა შენიშნა და მის კარს მიაწყდა.

ამავე წამს ტაძრის თავზე მიმინო გამოჩნდა, სარკით დაიჭირა მზის სხივი და საკურთხეველს დაამუქა. ტაძრის თაღის ხვრელიდან გამოჩნდნენ ცეცერი ნათლით გასხივოსნებული საკურთხეველზე ზემდგომი მეფე-დედოფალი და მათი მხლებლები. ხალხი მათ წინაშე დაეცა, ხოლო როდესაც წამოდგნენ, მეფე და მისი მხლებლები უკვე საკურთხეველში ჩასულიყვნენ, ფარული დარბაზებით სასახლეში გადასახვლელად.

ხალხი ტაძარში შემოიჭრა და ყურადღებით ათვალიერებდა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივეს. მოწიწებით შეჰყურებდნენ სამ ძლიერ მეფეს და უფრო მეტი რიდითა და ცნობისმოყვარეობით უჭვრეტდნენ მეოთხე ნიშას, რომლისთვისაც ვილაცის მზრუნველ ხელს დიდებული საფარველი გადაეფარებინა. [illegible] მეფე არც უნდა ენახა ვინმეს და არც არავისი ხელი უნდა შეხებოდა მას.

ალბათ კიდევ დიდხანს ვერ მორჩებოდნენ ჭვრეტასა [illegible], რომ მათი ყურადღება კვლავ მოედნისაკენ არ მიპყრობილიყო: მარმარილოს ფილაქანზე უეცრად ოქროები მიმოიფანტა უხვად, თითქოს ჰაერიდან ჩამოცვივდაო. ხალხი ასაკრეფად მიაწყდა. ეს საოცრება კიდევ რამოდენიმეჯერ განმეორდა, ხან აქ და ხან იქ, და ხალხიც ხარბად ეტანებოდა. იოლი მისახვედრია, რომ ეს მიმავალი ტატნების ოინი იყო. მათ კიდევ ერთხელ გაიხარეს და ნარევი მეფისაგან გამოტლეკილი ოქრო ანცად ჩამოიბერტყეს... ხალხი კიდევ დიდხანს დარბოდა, ფულს ეძებდა, მაგრამ მეტი ოქრო არავის ჩამოუყრია. ბოლოს ნელ-ნელა დაიშალნენ, თავ-თავის გზას დაადგა ყველა.

იმ ხიდზე დღესაც მგზავრთა დიდი მოძრაობაა და ის ტაძარი მთელი დედამიწის ტაძართა შორის ხალხის ყველაზე დიდი ყურადღებით სარგებლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიოლე მილაუსკაიტე

## ლექსები

ლიტვურიდან

თარგმნა მერი შალვაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მიმნდობი
სახე
მზერამომლოდინე
თანაც ბავშვური

მიმნდობი სული
როგორ სწყურია
მეგობრის სულს
უნაპიროს შეახოს თითი

მიმნდობი ბრმა სხეული
დაეხეტება სიბნელეში
მტკივნეულად ეჯახება
კედლებს ღრუბლებს და უზარმაზარ
სამყაროს შენობას

გამომიწოდე ხელები
გამიყვანე ამ ლაბირინთიდან
ნათელ საწყისისაკენ

სადაც ჩვენ მოვიპოვებდით
სამშობლოს
ერთადერთს-მარადიულს

●

როდესაც ლოყებშეფაკლული
დაბლა დახრი სევდიან თვალებს
ვერას უხერხებ შენს გრძელ მკლავებს,
მკერდს მალავს ყვითელი თმების
ბულულში,
ვარდისფერ ბლუზის არშიებში.

ბებერ ქადრების
ხეივანში მივემართები.
ათასი ფიქრით მძიმდება თავი.
კალთა სავსეა ყვითელ ყვავილთა
გვირგვინებით.
ო, როგორ მიყვარს
ეს ზაფხული,
რომელიც უკვე კაიხანია აღარ
არსებობს.
ეს კედელი — ბილიკებს მიღმა
ამოზრდილი მწვანე ბალახი
ავადმყოფურად აღმოცენებული
სულისათვის.

ღიმილით და სიხარულით
მოვისროდი ყრუ სიჩუმეში
ბავშვთა სახლიდან გამოყოლილ
ეშმაკის ტყავის ძველისძველ კაბას.
ო, როგორ მინდა დავივიწყო ეს
ქსოვილი.
რამდენ გოგონას უფარავდა სხეულის
ნაკვთებს
მანამ ჩემამდე მოაღწევდა.
ეს მრავალჯერადი ერთფეროვნებით
გაბრუებული ჩაცმულობა
გაჟღენთილი სამზარეულოს
ორთქლის
სურნელით,
აბრეშუმის ძაფით შებოჭილი ჩვენი
ხელები და იდაყვები.

ეს უპატრონო ბავშვთა სახლის
მძაფრი გრძნობაა
მარადიული უკვდავი კანი, —
რომელსაც ვერსად გავექცევი.

სინამდვილეში
ყველაფერს
ვმალავ
ძველისძველ წიგნში,
რომელიც სხვენზე მეგულება,
როცა ყველას განვერიდები,
ავირბენ კიბეს
და მალულად
ვკითხულობ ხოლმე.

●

მას არაფერი ახსოვს,
მას არ ძალუძს რაიმეს გაგება
მაგრამ როგორ ბოდულობს
თავის საყრდენ წერტილს,
ესმის ხმების, ქოსმოდებულს,
თავის ნისლოვან სულში.

სიხარული
შარაგზაზე ფერხდება როგორც
ცხელი სურთქვა.
მწუხარება, ო, რარიგად გამოუცნობი
და ტკბილია.
მშვენიერია
დარდობდე და ელოდე.

თითქოს მწუხარე სხეულს
სჯერს მარტოობა.
დედის ნაქონ კაბებს იზომებს.
ავადმყოფურად განწირულ ხმით
შეირჩევს სახელს,
წიგნებში ეძებს
საინტერესო ბიოგრაფიებს.

ულამაზოა შენს სახეზე ყოველი ნაკვთი.
კარიკატური გულგრილად უმზერ
მისის ბერთულას
ტილოებზე რომ მშვიდად მიცურავს.
ზღვით განბანილი სოჭის ზედაპირის
ჭვლავს მონატრება.
თითქოს აქ გსურს
ამოიკითხო
შენი დანიშნულება,
შენი ბედი,
შენი სახე.

ეს საიდუმლოა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სახლი გზაჯვარედინზე

შენ სიზმარი ხარ ჩვენი ღვთაებრივი
გამოხედვით,
შენ სიზმარი ხარ, გახელილი თვალით
მზირალი.

ჰოი, რომ ვიცოდე,
ჩემსკენ რა გზით გადმოინაცვლე,
გზაჯვარედინი მარადიულ კელაპტარს
მოჰგავს —
ჩანს მარტოსახლი,
უნუგეშოდ მზირალი ჩვენსკენ.

აქ სიუცხოო სამრეწველო პეიზაჟია
ქარხნის მილებით, წითელი მზით
ქალაქის თავზე;
კიდევ რას ვხედავ? ტროლეიბუსებს
სვლა შენელებულ მანქანის ნაკადს,
ადამიანთა სევდიან სახეს.
(უძილობა მტანჯავს და მიტევს)

უსახურავო
ზეცა მოჩანს,
მაღალ ხეებს
მზე ეპარება,
და, ცარიელ
მინდორზე ფეთქავს.
შენ სიზმარი ხარ
ჩვენი ღვთაებრივი გამოხედვით,
შენ მშვენიერო,
მოულოდნელი
გამოღვიძების
სიმღერა გქვია.

●

ქარვის ნაჭერს მოჰგავხარ იცი?
ძალუმად მზირალს
მოულოდნელ ამბოებით.

გათანგული ხარ,
უჩვეულოდ, ბრმად ნაპოვნი.
ზღვის მცენარეთა ფესვებს შორის,
ღამისგამტეხი სეირნობის შემდეგ
არ ძალგიძს დაიჯერო
სიმართლე ქვეყნად.

შენ უნდა კარგად განიწმინდო,
გამალაშინდე,
გამოასხივო სინატიფე,
გაალეიძო უცნაური, უსაშინლესი
სილამაზე.
შენ ხომ ჩვენი საგანძური ხარ —
ჩვენო წარსულო,
შენს თავს, ვიცი,
ვერვინ წაგვართმევს.

ქარვის სურნელი
მოწიწებით გვიპყრობს
და აღებს მაგიდის
უჯრას.

●

შენ მე წამართვი მშვიდი ძილი,
წარმტაცე ხელთაგან
შორეული მომავლის მთვარე
და გზას დაადექ

შეხედე,
აქ ზის ის გოგონა,
შემოუწნავს ლამაზად თმები
თუმც საღამოა,
ირგვლივ მალე ჩამობნელდება,
ხეების ჩრდილში, ჩამონგრეულ
კედლებზე მოჩანს
ძონძებისგან შეკერილი
ძველი თოჯინა.

წარწერა ბზინავს ამოტვიფრული
ბაბუას ხელით ძველ საძირკველზე:
ირგვლივ არ მოჩანს სასიმინდე,
ეზოში თავლა,
აღარც საქათმე, შესანახი ადგილი

1. რაუსვე — მდინარე ლიტვაში.

შეშის,
არც ყვითელი ბატის ჭუკები,
რომელსაც მშვიდად [illegible]
მიერეკები.
მახსოვხარ, იყავ გაბუტული
პატარა ბავშვი,
გეშინოდა გუგუნის,
ბინდის ნათების,
უჩვეულო კვარის და ვნების.

ო, მცენარეო შენი ნაზი და ეკლიანი
ფერები მათრობს,
თმების გვირგვინში
შენი სულის ქსოვილი მოჩანს,
სულიც მორთულა,
შემოსილა შენი ყვავილით.

## ორი სახელი
## კონსტანცია

შენი სახელი ბიზანტიას მაგონებს,
კარგო,
ვაქლენთილია გვირილის და ლილილოს
სუნით

თითქოს ძველი რამ — ორნამენტი
კობალტით, ოქროთი მოჭედილა.

მიმოფანტულა ერთი მუჭა
ძვირფასეული,
შავ ხავერდზე ტაძრის ბინდბუნდში.

როგორც ძვირფასი თაიგული
შენს მომცრო თავზე.

მონასტრების ოქროს თაღებქვეშ
მომღერალნი მშვიდად გალობენ.

მიემართები,
მკვდარ ქალაქს ჭკვეთ
შუაზე თითქოს,
ათასი სარკე იმეორებს
სახის ანარეკლს —
ექოსავით,
ექო..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაზიმირას

მამაპაპური ჩვენი სახლი
მხოლოდ და მხოლოდ
მამიდან ვაჟზე გადაეცემა.
(ცვდება გარდინში ავადმყოფი,
მოცელილა· გადაღლილა მისი სხეული)

როგორც სიგნეტი, გადმოცემული
ხელიდან ხელში უკანასკნელ სიტყვით
და ლოცვით,
ძველ დროში მართლაც ყვავილობდნენ
თეთრნი ყვავილნი·
მათი სახელი მარადიულ ბილიკებს
შერჩა,
მათ კაზიმირას
ერქვათ სახელად.

მაშინ როდესაც ღამის ძიძა
მომთმენი, თბილი ხელისგულებით
ასწორებს
საწოლს·
როცა არ გძალუძს თვალის გახელაც,
მინის მაგიურ სფეროში ხარ მოთავსებული—
სამარადჟამოდ·
ვილაც უცნობი ქინიანად ატრიალებს
სფეროს
ხელებში და ძალუმად ათვალიერებს

ეს ავადმყოფის მარტოობაა.

ფანჯრებში კვნესის
მეამბორის მწუხარე სახე.
ახლობელნი ადამიანნი
წრეს აკეთებენ
ავადმყოფის გარშემო
კრძალვით.

მე შენს სახეში შეცოდებას ვკითხულობ
მხოლოდ,
განაჩენს და უსუსურობას·

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპაერო ოთახებში
დამჭკნარ ყვავილთა თვალები მოჩანს.
მართლაც მძიმეა, უიმედოდ ელოდო დილას.
მეძახი კრძალვით. გამოგყავარ ყრუ
ქვესკნელიდან.
უზარმაზარი მეხსიერება ქვეცნობიერად
გვკარნახობს, ბრძანებს ვენდოთ რიტუალს.
ზუსტი, თამამი მოძრაობებით გავიმეოროთ
ის, რაც კიდევ ცოცხლობს, ანთია,
იწვის და ჯერ არ დამცირებულა.

მე მელოდება. უპატრონო ბავშვთა სახლში
მცხოვრები ბიჭი,
რომელსაც დაღლილს ჩასძინებია ტირილის
შემდეგ;
ოთხად მოკეცილს აფარია თავზე ზეწარი.
ჩემს გონებაში თავბრუდამხვევი ტრიალებს
კითხვა:
იქნებ ეს არის ჩვენი შვილი,
შთამომავალი. შენი გვარის გამგრძელებელი.

□

# იაპონური დეტექტივი

## მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ზიზი ციცქიშვილმა

## სეიტიო მაცუმოტო

### პატარა სასტუმრო

1.

ძიუნძის მოკვლის ფიქრი დაახლოებით ნახევარი წლის წინ გამიჩნდა მაგრამ ამ ფიქრის ჩამოყალიბებას, მგონი, ორი წელი მოუნდა.

ძიუნძი ჩემი სიძეა, ჩემი უფროსი ქალიშვილის აცუკოს ქმარი. აცუკო ოცდარვა წლისაა, ძიუნძი ოთხი წლით უფროსია მასზე. მათ ჰყავთ ვაჟი ტაკასი, რომელიც მესამე წელიწადში გადადგა. ჩემი ერთადერთი შვილიშვილი. ძიუნძი სავაჭრო კომპანიაში მსახურობს, განყოფილების გამგის მოადგილედ. ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწრაფად აუყვა სამსახურებრივ კიბეს.

ყველა დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, კაცს შეიძლება ეჩვენოს, რომ სიძემ გამიმართლა. ყოველ შემთხვევაში, გარშემო ასე ფიქრობენ. რაღა დავიმალოთ, და, თავდაპირველად მე თვითონაც დამაბრმავა მისმა თავბრუდამხვევმა კარიერამ და ნიჭმა (თუმცა, მერე და მერე მივხვდი, რომ არავითარი განსაკუთრებული ნიჭით არ არის დაჯილდოებული).

ძიუნძის მოკვლა, ჯერ ერთი, იმიტომ გადავწყვიტე, რომ არ მინდოდა აცუკო დამეკარგა, მეორეც იმიტომ, რომ ჩემი ქონება შემენარჩუნებინა.

მე მემკვიდრეობით მერგო მიწის პატარა ნაკვეთი. ბოლო ხანებში ტოკიოს გაზრდასთან დაკავშირებით სწრაფად აიწია მიწის ფასმა, და მე სრულიად მოულოდნელად სოლიდური ქონების პატრონი გავხდი. თუმცა ჩემი ნაკვეთი ტოკიოს გარეთ მდებარეობს — ელექტრომატარებლით ერთი საათის სავალია, — ყოველ ცუბოში[1] სამოცი ათას იენს მაძლევენ. ჰოდა, რადგან ნაკვეთის ფართობი ორი ათასი ცუბოს შეადგენს, დღევანდელი ფასების კვალობაზე ეს ას ოც მილიონამდე აღწევს.

ჩემთვის არაერთხელ შოუმართავთ ათასნაირი კომპანიების მფლობელებსა და უძრავი ქონებით მოვაჭრეებს თხოვნით — მიმეყიდა მიწა, მაგრამ ცივი უარით ვისტუმრებდი. მიზეზი მარტივია მინდა ბავშვებს მემკვიდრეობად ფული კი არა, მიწა დავუტოვო. ამის გამო მოვიხვეჭე ეშმაკი კაცის სახელი.

1. ცუბო — სიგრძის საზომი, 3,3. კვ. მ.

რომელიც სულ იმის მოლოდინშია, თუ როდის აიწევს კიდევ უფრო მიწის ფასი.

ახლა, ხუთი წლის წინანდელ ამბებს რომ ვუბრუნდები, ვხვდები, რომ ძიუნძიმ ჩემი ქალიშვილი მხოლოდ და მხოლოდ ფულის გულისთვის შეირთო, მაგრამ იმ დროს ვერ მოვასწარი მისთვის კბილი გამესინჯა და ყოველ[illegible] ვესალმე ალუკოს ამ, როგორც მეგონა, პერსპექტიულ ადამიანთან [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, ნიშნობამ ისე კარგად უწინარეს ყოვლისა იმიტომ ჩაიარა, რომ ალუკოს ჯერ მაშინ, როცა მის გადასასინჯად მოვიდოდნენ, შეუყვარდა ძიუნძი, მანამდე ალუკოს სამი თუ ოთხი ახალგაზრდა კაცი გააცნეს, მაგრამ არც ერთი არ მოუვიდა თვალში. ახლა კი თავად განმიცხადა, ძიუნძის მინდა ცოლად გავყვეო. მე მგონი, სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემი ქალიშვილის ტანჯვა-წამება.

ალუკოს რომ ძიუნძის დანახვისთანავე თავგზა აებნა, ამაში საკვირველი არაფერია. მაღალი, ტანადი, შუბლნათელი, სწორი ცხვირითა და ლამაზად მოხაზული პირით — ძიუნძი უნებურად იქცევდა ყურადღებას. ისეთებს, როგორიც ძიუნძი გახლავთ, ლამაზ მამაკაცებს უწოდებენ. თუკი მე, კაცი, მისი სილამაზით მოვიხიბლე, საწყალ ალუკოზე რაღა უნდა ვთქვა?

პირველ ხანებში ძიუნძი წყნარად იქცეოდა. სულ შევხაროდი, ირგვლივ ყველანი მილოცავდნენ კარგ სიძეს. ახალდაქორწინებულები სრული თანხმობით ცხოვრობდნენ შემდგომ წელს მათ ბიჭი შეეძინათ, ტაკასი.

ალუკო, სახემრგვალი და ცხვირპაჭუა, შესახედავად მე მგავდა. მე სულაც არ მიმაჩნია მახინჯად თავი, და მაინც ის ამბავი, რომ ალუკოს არჩევანი ძიუნძიზე შეჩერდა, ეტყობა, სულ სხვა გარეგნობის ტიპისადმი ლტოლვას მოწმობდა, ვიდრე ჩვენი გახლდათ. ახალა როგორ უვლიდა თავის საყვარელ ქმარს! ამის შემყურე ზოგჯერ უნებურად ვექვიანობდი კიდეც.

უნდა გითხრათ, რომ ათი წლის წინათ დავქვრივდი. მე მყავს ერთი ქალი, ტაეკო. ადრე ოფიციანტად მსახურობდა ერთ პატარა რესტორანში, სადაც დროდადრო შევდიოდი დასალევად. ჰოდა, თანდათან დავმეგობრდით. რა თქმა უნდა, მისი არსებობა ალუკომ არ იცის.

ძიუნძის ჭეშმარიტი არსი მაშინ გამოვლინდა, როცა თითქმის ყოველ საღამოს გვიან მოდიოდა სახლში. ჯერ რაღაც გამართლებას გამოძებნიდა ხოლმე, მაგრამ შემდეგ სულ გათავხედდა.

როცა ალუკო დანიშნა, მისი ნათესავები გვარწმუნებდნენ, სპირტიან სასმელს არ ეკარებაო, სინამდვილეში კი ძიუნძი გვარიანად მსმელი გამოდგა. არა, ერთბაშად არ თვრებოდა, მაგრამ შეეძლო მთელი საღამო მჯდარიყო და ცოტ-ცოტა ესვა. ასეთ საღამოს ერთი-ორი ლიტრის გამოწრუპვა მისთვის არაფერს ნიშნავდა.

საქმე რომ მარტო დალევას ეხებოდეს, ეს დიდი უბედურება როდი იქნებოდა, მაგრამ ამასთანავე ხელფასიც აღარ მოჰქონდა სახლში. სხვადასხვა რამის მომიზეზებით ყოველ თვეში უმალავდა ალუკოს ორმოცდაათი ათას იენს.

ძიუნძი საკმაოდ შეძლებულ ოჯახში გაიზარდა და არაფერზე უკანდახევას არ იყო ჩვეული. თუ დალევა უნდოდა, რაც შეიძლება ძვირიან დაწესებულებას მიაკითხავდა ხოლმე. ეს ყველაფერი რომ ფირმის ხარჯზე ყოფილიყო, კიდევ ჰო, თორემ საკუთარ ფულზე ქეიფი ჩვეულებრივი მოსამსახურისათვის ძალიან ძვირი ჯდებოდა.

რაც შეეხება ალუკოს, რაგინდ გვიან მოსულიყო სახლში მისი საყვარელი ქმარი, — ღამის ორ თუ სამ საათზე, — ერთხელაც კი არ უსაყვედურებდა.

ზოგჯერ მის ლოდინში გული გადაელეოდა ხოლმე, მაგრამ, როგორც კი ზღურბლზე გადმოაბიჯებდა, წყენისგან კვალიც არ დარჩებოდა ხოლმე, ქმარი კი არ ერიდებოდა ცოლს, პირიქით, ცოლი ეკრძალვოდა ქმარს და თვალებში შესციცინებდა.

გასაკვირი არაა, რომ ამ ვითარებაში ძიუნძი დღითი დღე სულ უფრო გაუდიოდა თავს. მოვიდოდა სახლში შეზარხოშებული [illegible] სტაცებდა ხელს. რაღა თქმა უნდა, ეს გულს სტკენდა აცუკოს, მაგრამ არ იმჩნევდა. ზოგჯერ ჰიქით ხელში გაჯგიმული ეს არამზადა თავსაც კი იწონებდა მის წინაშე ქალებთან წარმატებით.

არაერთხელ ვცდილვარ ჭკუაზე მომეყვანა ჩემი დონდლო ქალიშვილი, მაგრამ სულ უბრალო რამის გამო ყალყზე დგებოდა.

— კმარა, მამაჩემო, — ექომაგებოდა იგი ქმარს. — ძიუნძისთანა მამაკაცი რაღაც თავისუფლებას უნდა გრძნობდეს.

— რა გინდა მაგით თქვა? ეგებ სახლში ჩემი ყოფნით გავიწროებ?

— არა, საქმე ეგ როდია. მაგრამ მე ვხედავ, რა უმძიმებს გულს. ნუ ერევით ჩვენს საქმეში, მამაჩემო. მე ჩემი ცხოვრება ძალიან მომწონს.

— უცნაური ადამიანი ხარ. ქმარი ზის შენ წინ ბოთლით ხელში და რატრატებს, როგორ ესევიან ქალები ბარში და რესტორანში, შენ კი უსმენ და წარბსაც არ ხრი!

— მერე რა უშავს? უარესი იქნება, რომ მალავდეს.

რას იტყვი ამაზე?

ნუთუ ჩემს ქალიშვილს ელემენტარული სიამაყე სულ არ გააჩნია?

არა, არა მგონია. მას უბრალოდ ეშინია ძიუნძისა, ეშინია, რომ მის კეთილგანწყობილებას დაკარგავს.

ყველაფერს რომ თავისი სახელი ვუწოდოთ, მას ეშინია, ვაითუ ძიუნძი სახლიდან წავიდესო. თითქოს აქ საშიში არაფერია, მათ ხომ ბავშვი ჰყავთ, მაგრამ აცუკომ იცის, ძიუნძი რომ ბუნებით გულცივი ეგოისტია. გარეგნულად, როგორც ნამდვილ ჯენტლმენს, ისე უჭირავს თავი, მაგრამ მის სასიამოვნო გარეგნობასა და კეთილშობილურ ჩვევებში არაადამიანური გულგრილობა და სისასტიკე იმალება.

ძიუნძიმ იცის, რომ აცუკო ჭკუას კარგავს მისთვის და არამც და არამც არ გაშორდება. გაიძვერა! თავიდანვე თვალი დაადგა ჩვენს ქონებას. როგორც კი ჩვენთან ჩავწერეთ, ყველანაირად გამოხატავს, რომ ჩვენი ფული უკვე ჯიბეში აქვს.

აცუკოს ერთხელ მაინც რომ ეგრძნობინებინა, ასეთი ქცევა მას ხელს არ აძლევს, მეც ვეტყოდი ყველაფერს, რასაც ვფიქრობ, მაგრამ, ვინაიდან იგი თვალს არიდებდა თავისი საყვარელი ქმრის თავაშვებულობას, ჩარევა გამიძნელდა. და მაინც, რადგან საქმე ოჯახის სინდისს ეხებოდა, ერთხელ ვცადე შემეჩერებინა ძიუნძი, და რა მერე? — მან მოწყალედ მომისმინა და პასუხად რაღაც ჩაიბურტყუნა. აშკარა იყო, რომ ჩემი სიტყვები გროშ-კაპიკად არ მიაჩნდა. მეორე საღამოს ჩემს ჯინაზე ჩვეულებრივზე უფრო გვიან მოვიდა სახლში.

2

დიდხანს ვითმინე, სანამ ძიუნძის მოკვლას გადავწყვეტდი. ბნელი ფიქრებისგან რომ თავი დამეღწია, ჩაუღრმავდი „იაპონური კალიგრაფიის ისტორია"-ზე მუშაობას, რომელიც კარგა ხნის ჩაფიქრებული მქონდა.

მამისგან მიწის ნაკვეთი რომ მივიღე მემკვიდრეობით, შემეძლო უზრუნველი ცხოვრებისთვის მომეკიდე ხელი, თან სიამოვნებისთვის კალიგრაფიის ისტორიის კურსი მეკითხა ერთ-ერთ კერძო უნივერსიტეტში. ჩვენს სახლში ყველაფერი თავდაყირა დადგა სწორედ იმ დღიდან, როცა ძიუნძი ჩემი სიძე გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენს ვეცადე მთლიანად მივცემოდი სამუშაოს, მაგრამ ძიუნძი თავისი უსაქციელობით მოსვენებას არ მაძლევდა. მისი თავაშვებულობა ყოველგვარ ფარგლებს გასცდა. ახლა იმისიც არ რცხვენოდა, რომ აცუკოზე ხელი აღემართა. ის კი წინანდებურად აღმერთებდა ქმარს.

ბავშვისადმი ძიუნძი სრულიად გულგრილი იყო. აბა მამობრივი გრძნობა საიდან გაუჩნდებოდა, როცა მთელ თავისუფალ დროს სხვაგან ატარებდა? კვირაობითაც კი ცდილობდა სახლიდან გაქცეულიყო. ცხადია, საყვარლისკენ მიეშურებოდა, აბა რას იზამდა!

ქალი მეცა მყავს, მაგრამ სანამ ცოლი ცოცხალი მყავდა, ასეთ რამეს როგორ ვიკადრებდი! ტაეკო მხოლოდ იმიტომ გავიჩინე, რომ დავქვრივდი. ხოლო თავის გარყვნილ ქმარზე ზრუნვით გართულმა აცუკომ სულ დამივიწყა. მე მაინცდამაინც არ მელოლიავება, სამაგიეროდ თავის საყვარელ ქმარს სულ თვალებში უყურებს. ასე რომ, მართალია, ქალი მყავს, მაგრამ ჩემი გაიგივება მაინც არ შეიძლება ძიუნძისთან, რომელიც სპორტული ინტერესის გულისთვის ერთბაშად რამდენიმე ქალთან დაეხეტება.

ხანდახან ისე დამძიმებული მქონდა გული, რომ ღამით ვერ ვიძინებდი. რა მოუვა ჩემს სახლს, მე რომ მოვკვდე? რა თქმა უნდა, ფულს ძიუნძი დაეპატრონება და მოჰყვება თავის ქკუაზე ფლანგვას. მაგრამ რა მოუვა აცუკოს? მისი ბედის წინასწარ გამოცნობა ძნელი არ არის. ძიუნძი იმწამსვე გააგდებს მას და ტაკასის სახლიდან. საწყალს არაფერი დარჩება, გარდა იმისა, რომ შვილიც მოკლას და თავიც მოიკლას. მე თითქოს ცხადად ვხედავდი ყოველივე ამას.

ძიუნძის მოკვლის ფიქრი თავდაცვის გრძნობით იყო გამოწვეული. მე მინდოდა გადამერჩინა ქონება, რომელიც მამისგან მერგო, და დაღუპვისაგან მეხსნა საყვარელი ქალიშვილი და შვილიშვილი.

ეს რომ გადავწყვიტე, თითქოს დავმშვიდდი კიდეც და აღარავითარ შენიშვნებს აღარ ვაძლევდი ძიუნძის და აცუკოს. მთელი ჩემი ფიქრი მიმართული იყო იქით, როგორ განმეხორციელებინა ჩემი საიდუმლო განზრახვა.

დამეთანხმებით, სისულელე იქნებოდა საკუთარი ცხოვრების გაწირვა ისეთი არამზადის გულისთვის, როგორიც იყო ძიუნძი. მაგის გულისთვის ვიტანჯო, — არა, ამას ვერ მოესწრება! მინდოდა თავიდან მომეშორებინა ძიუნძი, მაგრამ ამასთანავე თავისუფალი დავრჩენილიყავი და ცხოვრებით დავმტკბარიყავი.

მაშ ასე, ძიუნძისთან ქიდაობას მოვეშვი. ეტყობა, მან გადაწყვიტა, რომ მე ბოლოს და ბოლოს შევურიგდი ბედს. ზოგჯერ კვერსაც კი ვუკრავდი ხოლმე.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გამალებით ვმუშაობდი ჩემს ხელნაწერზე. საქმე ისაა, რომ გამოჩნდა ერთი უცნაური გამომცემელი, რომელიც დამპირდა ამ წიგნის გამოცემას, მიუხედავად იმისა, რომ იგი მაინცდამაინც არ დააინტერესებდა მკითხველს. ჩემი ოთახი ავსებული იყო ხელნაწერთა ასლებით, ძველი დამწერლობის ნიმუშების ფოტოფირფიტებით, ქვაზე წარწერების ანაბეჭდებით და ამნაირი მასალებით. ქვებიდან ანაბეჭდები თვითონ ავიღე ნასუშსა და უძიში მოგზაურობისას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ძიუნძის, უწინარეს ყოვლისა უნდა გამომერკვია,

სად და ვისთან ატარებდა დროს. ჯერ გადავწყვიტე იმ სააგენტოს სამსახურისთვის მიმემართა, რომელიც კერძო პირთა შესახებ საიდუმლო ცნობებს იძლევა. მაგრამ იძულებული შევიქენი ამ ხერხზე უარი მეთქვა: თუ შემდეგში ცნობილი გახდებოდა, რომ ამ სააგენტოსთვის მიმიმართავს, იმწამსვე ჩემზე აიღებენ ეჭვს. საჭირო იყო ყველაფერი ისე მომეწყო, რომ არავითარ კვალს არ მოეყვანა ვინმე ჩემამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალის ასახვევად აცუკოს ვუთხარი, ბუკინისტურ დუქნებში რაღაც-რაღაცები უნდა დავძებნო-მეთქი, და თითქმის ყოველდღე გავდიოდი სახლიდან. ბუნებრივია, გზა იმ ფირმისკენ მედო, სადაც ძიუნძი მსახურობდა. ველოდი და, გამოვიდოდა თუ არა სამსახურიდან, უკან მივყვებოდი.

როგორც ვვარაუდობდი, ძიუნძი თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა. მე მივხვდი, რატომ მოდიოდა სახლში ნაშუაღამევს: იმიტომ, რომ დროს ატარებდა ბარებსა და რესტორანებში, სადაც მას ხშირ სტუმრად თვლიდნენ. თუმცა ჩემთვის აქ ახალი არაფერი იყო — ძიუნძი თვითონვე ურცხვად უყვებოდა ამის შესახებ აცუკოს, ისევე როგორც ქალებში თავის წარმატების ამბებს ჩაუკაკლავდა ხოლმე. რა ჩერჩეტი უნდა იყოს ქალი, რომ ეს ყველაფერი მოითმინოს?

არა, მე არ აღმიზრდია ჩემი შვილი ასე. ნუთუ ქალმა ქმრის გავლენით ასე შეიძლება ჭკუა დაკარგოს? მაგრამ მე მაინც გაგიჟებით მიყვარს. ჩემთან იგი არავითარ გამოთქმას არ ერიდება, აბა ისე კი არ არის, როგორც თავის ქმართან. და ამ წუთებში მეცოდება ჩემი ქალიშვილი. მაგრამ უფრო შვილიშვილი მეცოდება. რა ელის მას? ადრე თუ გვიან ორივე დედა-შვილი ხომ ქუჩაში აღმოჩნდება. ძიუნძი, რა თქმა უნდა, ჩემს ფულს მოიგდებს ხელში. სხვაგვარად ამ ნაძირალას არ შეუძლია მოიქცეს.

სამ თვეს ვუთვალთვალებდი ძიუნძის, ყოველდღიურად. სულ ერთი იყო. წვიმა მოდიოდა თუ მზე აცხუნებდა. აცუკოსთვის ყოველთვის მქონდა საბაბი — წიგნის მასალების ძებნა.

— მამი, ხომ არ გეჩვენება, რომ ეს სამუშაო მეტისმეტად ბევრ ძალ-ღონეს გართმევს? — მეუბნებოდა აცუკო. — რამდენს გადაგიხდიან მაგაში ბოლოს და ბოლოს?

— ახლა, ცოტას თუ ბევრს, ტრანსპორტის ფულს მაინც ავიღებ.

— ვის რად უნდა შენი სულელური წიგნი? — გულგრილი ღიმილით განაგრძობდა ქალიშვილი. — ვინ წაიკითხავს? გირჩევნია სხვა მოხუცებივით იჯდე სახლში, ნასადილევს წასთვლიმო, ეგ უფრო მეტ სარგებელს მოგიტანს.

ამას მეუბნება ქალიშვილი, რომელსაც უნივერსიტეტი დავამთავრებინე! მართლაც; თუ ქმარი სულელია, ცოლიც იმას ემსგავსება.

სამი თვის განმავლობაში რომ ვუთვალთვალებდი ძიუნძის, ერთი მნიშვნელოვანი რამ აღმოვაჩინე.

როგორც გამოირკვა, ძიუნძის საყვარლებს შორის მარტო ბარების პატრონი ქალები კი არ იყვნენ, მათ შორის გამოერია ერთი ქალბატონი რიგიანი ოჯახიდან. ეს იყო ოცდაათიოდე წლის ლამაზი ქალი. იცვამდა გემოვნებით. შეიძლება ითქვას, საუცხოოდაც.

რომ გამეგო, ვინ იყო ეს ქალი, ერთ საღამოს დაველოდე, როდის გამოვიდოდა ძიუნძისთან ერთად ქალაქის განაპირას მდებარე პატარა სასტუმროდან, სადაც პაემანი ჰქონდათ დათქმული, მერე კი ქალს გავყევი დავინახე, როგორ შევიდა კიბუკიჩოის ახლოს მდგარ მრწყინვალე სახლში

მეზობლებში გავიკითხე და დავადგინე განსაცვიფრებელი ფაქტი: ეს ქალი

იყო ცნობილი ბიზნესმენის ცოლი. როგორ მოახერხა ძიუნძიმ ამ ქალბატონის დაქამანდება, არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ სავსებით ცხადია: გაეცნო რა რომელიღაც შემთხვევით ვითარებაში, ძიუნძი ჩვეული ავხორცობითა და საქმიანი გამჭრიახობით ჩაებღაუჭა თავის მსხვერპლს. ჩემი ფულები არ ეყო და ბოლოს ამ ქალის კაპიტალს მიადგა.

ყურადღება მივაქციე ერთ საინტერესო დეტალს. ძიუნძიმ, რომელიც თვალისახვევის ოსტატი იყო, ამ ქალთან შესახვედრად რატომღაც პატარა შეუხედავი სასტუმრო აირჩია. შეხვედრებიც ყოველთვის ზუსტად ჰქონდათ განსაზღვრული — დაახლოებით შვიდის ნახევრიდან რვა საათამდე. ალბათ ასე უფრო ხელს აძლევდა ქალს.

მათი საიდუმლო შეხვედრების არათუ დრო, არამედ დღეც მკაცრად იყო განსაზღვრული. ეს იყო პარასკევი.

რატომ მაინცდამაინც პარასკევი — არ ვიცი. ალბათ ესეც ხელს აძლევდა ქალს. შესაძლოა პარასკეობით მის ქმარს რაღაც მნიშვნელოვანი საქმეები ან თათბირები ჰქონდა ფირმაში, და ჩვეულებრივზე გვიან ბრუნდებოდა სახლში, ან შესაძლოა სადღაც მივლინებით მიემგზავრებოდა.

ასე იყო თუ ისე, მე მქონდა ზუსტი ცნობები: ისინი ერთმანეთს ხვდებიან პარასკეობით, საღამოს შვიდის ნახევრიდან რვა საათამდე; მათი შეხვედრის ადგილია უბადრუკი სასტუმრო ეკოდის მიდამოებში, ნერიმის რაიონში.

მე კმაყოფილი ვიყავი. ახლა ყოველივე იმის საფუძველზე, რაც ჩემთვის ცნობილი იყო, შემეძლო შევდგომოდი ჩემი გეგმის შემუშავებას.

**8**

ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ დაძველებულ სახლში შეხვედრა სწორედ ქალს მოუვიდა ჰკუაში. მას, ქმრიან ქალს, ეშინოდა, ვაითუ რომელიმე ნაცნობმა დამინახოსო. ფეშენებელურ სასტუმროში ამისგან დაზღვეული არ იქნებოდა. ამიტომაც, ვფიქრობ, განზრახ გაურბოდა ადგილებს, სადაც შეიძლებოდა მისი წრის ადამიანები გამოჩენილიყვნენ.

დიდი ხნის ძიების შემდეგ ბოლოს და ბოლოს მოვიფიქრე, როგორ მომეშორებინა თავიდან ძიუნძი.

ამისათვის უნდა გამოვთხოვებოდი შვიდ თუ რვა მილიონსაც კი. მაგრამ არაფერი, ეს უბრალო ფლანგვა არ არის. ყოველ შემთხვევაში, შვიდი თუ რვა მილიონი არაფერია მკვლელობის ბრალდებასა და შერცხვენასთან შედარებით, რომელიც უნდა განმეცადა, სასამართლოს წინაშე რომ წარვდგებოდი.

მე ტაეკოსთან წავედი.

— რას შვრები, ისევ ძველებურად კვნესი, რომ ოთხ კედელს შუა ჯდომა მოგბეზრდა?

— განა ასე არ არის? ვიცი, მთელი დღეობით ტელევიზორის წინ უნდა ვიჯდე და ათასნაირ ფილმებს ვუყურო.

— გასაგებია. საქმისთვის ხომ არ მოგეკიდა ხელი?

— საქმისთვის? — ტაეკოს, რომელიც ოცდაათი წლით ჩემზე უმცროსია, თვალები გაუბრწყინდა. აქამდე ჩემგან ამის მსგავსი არაფერი გაუგონია. — რა საქმისთვის? ნუთუ მართლა ბარზე ან რესტორანზე ლაპარაკობთ?

ოდესღაც ტაეკო რესტორანში მუშაობდა და უკვე კარგა ხანია ოცნებობდა საკუთარი დაწესებულების გახსნაზე. ბევრჯერ წამოუწყია ხოლმე ჩემთან ამაზე საუბარი, მაგრამ აქამდე მოსმენაც არ მინდოდა.

— არა. შენ ხომ იცი, მაგნაირ დაწესებულებათა კლიენტები ხშირად გაურბიან ნაღდი ფულით გადახდას, მერე კი ეძებე ისინი, როგორც ქარი მინდორში. ამ საქმით ვერ გამდიდრდები. მე ბევრად უფრო ხელსაყრელი რამ შემიძლია შემოგთავაზო.

— რას გულისხმობთ?

— სასტუმროს — აი ეს კი ღირს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სასტუმროს?

— აბა რა. ოღონდ ჩვეულებრივ სასტუმროზე კი არ ვამბობ, სადაც ჩალის ფასად უნდა მიართვა მდგმურებს ვახშამიც და საუზმეც. იქ ჯახირის მეტი არაფერია, მოგება კი ერთი ბეწო. არის გამდიდრების ბევრად უკეთესი საშუალება, თანაც არც მაინცდამაინც დიდი გარჯით.

— ა, მივხვდი, — შესძახა ტაეკომ, — საქმე ეხება შეხვედრების სახლს!

— დიახ. კარგი საქმეა. მიართმევ სტუმრებს თითო ფინჯან ჩაის და მთელი საზრუნავიც ეგ არის. იქ ფულს წინასწარ იხდიან და არავითარი მომსახურება საჭირო არ არის.

— ოჰ, არა, — მოიღუშა ტაეკო. — რაც გნებავთ, ოღონდ ეგ არა. ჩემთვის სათაკილოა ბუნაგის პატრონი ვიყო

— შენ წესიერებაზე მსჯელობ, მაგრამ ჩვენს დროში ცხოვრება მარტოოდენ წესიერი რამეებისაგან როდი შედგება. გინდა ფული გქონდეს — უნდა მოითმინო. მომისმინე, რით არის კარგი, ბარის ან პატარა რესტორანის მფლობელი გახდე? იქ დილიდან საღამომდე უნდა ირბინო, სარგებელი კი არაფერია, აქ კი ოდნავ ხელს გაანძრევ და მტკიცე შემოსავალი გექნება. რა სჯობია ამას? შემდეგ, დააგროვებ თუ არა საკმაო თანხას, ოდესმე შენც შეძლებ ისეთი საქმის წამოწყებას, რომელიც შენს გემოვნებას შეეფერება. არც ჩემი ნებართვა დაგჭირდება. ეს ხომ შენი დანაზოგი იქნება.

ტაეკომ თანდათან მიუგდო ყური ჩემს მოსაზრებებს.

— თქვენ თუ გაგულებათ რამე? — მკითხა მან

— როგორ არა, — თავი დავუქნიე მე. — თუმცა ჯერჯერობით ეს დაწესებულება არ ჰყავის. ეს არის პატარა სასტუმრო ეკოდის რაიონში, შესახედავად ვერაფერი შეილია, მაგრამ...

— ოჰ, არა! — შესძახა ტაეკომ და ისევ მოიღუშა.

— ვიმეორებ, ეს საქმე ღირს. აქ შენ სავსებით შეძლებ თავის გამოჩენას. რა თქმა უნდა, ამ დაწესებულებას ცოტა ხელიც უნდა წაახმარო. მე ვიყიდი ამ სახლს, შემდეგ კი ჩემს ხარჯზე ხელახლა მოვაწყობთ.

— ეკოდა ხომ მიყრუებული გარეუბანია.

— სწორედ ამით არის კარგი. ასეთ დაწესებულებებში მომსვლელები ერიდებიან ადამიანთა თვალს. სწორედ ამაშია მთელი სიკეთე, რომ გარეუბანში მდებარეობს.

— გეტყობათ, ამ საქმის დიდი მცოდნე ხართ, — წარმოთქვა ტაეკომ და დაკვირვებით შემომხედა. — როგორ გაიგეთ ამ სასტუმროს ამბავი?

— შენ ხომ სულ მაგას მეჩიჩინები, საქმეს მინდა მოვკიდო ხელიო. მაგ სასტუმროზე შემთხვევით გავიგე ერთი კაცისგან, რომელიც უძრავი ქონებით ვაჭრობს. სხვათა შორის აღნიშნა, ამა და ამ ადგილას პატარა სასტუმრო იყიდებაო. თავდაპირველად ყური არ ვათხოვე, მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, რომ ამ ცნობით ღირს ისარგებლოს კაცმა. თუ მაკლერის მეშვეობით იმოქმედე, ხომ შეიძლება პროცენტებით კაიძალი ფული დაჰკარგო. ამ სასტუმროს ჰქვია „მაცუგაე“ — „ფიჭვის რტო“.

— რა გაეწყობა, როგორმე უნდა წავიდეთ იქ.

— ეს არ არის აუცილებელი, მე უკვე მოველაპარაკე პატრონს

— როგორ?

ტაეკო სულ მთლად დაიბნა, მაგრამ მე მტკიცედ ვუთხარი:

— ჰო, პატრონს მოვურიგდი, ასე რომ, საქმე ახლა შენზეა.

— ეგ როგორ? — უკმაყოფილოდ გაიმეორა ტაეკომ. — ზრდილობისთვის მაინც მომთათბირებოდით წინდაწინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი მაგრამ, ეს ხომ შენი გულისთვის გავაკეთე, თანაც ქალების ამბავი რომ ვიცი, უკანასკნელ წუთს წვრილმანებს ეჭიდებიან. და საკითხის გადაწყვეტა ჭიანურდება. ფასი, რომელიც პატრონმა დამისახელა, ჩემთვის სავსებით მისაღებია, და თუ სათანადო რემონტს გავაკეთებთ, ბრწყინვალე სახლი გამოვა. დასანანი იქნება, რომ სხვის ხელში გადავიდეს. მე მაშინვე დავუტოვე ბე.

— ჰო, მაგრამ რემონტს ქვეყნის ფული დასჭირდება.

— მესმის, ყველაფერი გათვალისწინებული მაქვს.

— და, რა თქმა უნდა, სახელიც უნდა შევუცვალოთ. „ფიჭვის რტო" რაღაც ადამისდროინდელივით ჟღერს.

— ჰო, ამას მერე გადავწყვეტთ. თავისუფალ დროს ახალ სახელწოდებაზე იფიქრე. ახლა, რაკი შევთანხმდით, დანარჩენ თანხასაც შევიტან. როგორც კი ყველა დოკუმენტი გაფორმდება, შენ იქ გადახვალ.

— რემონტის საქმე როგორღა იქნება?

— მე, როგორც წესი და რიგია, სარემონტო კანტორას მივაკითხავ. ყველა მოწყობილობა უნდა შეიცვალოს და შენობას თანამედროვე სახე მიეცეს. რა თქმა უნდა, ჯერ ხარჯთაღრიცხვას შეადგენენ, რაღაც დრო გავა. მაგრამ შენ მაგას არ უნდა დაელოდო და შენს მოვალეობას ახლავე შეუდგე, რომ მუდმივი კლიენტები არ დააფრთხო. გარდა ამისა, მაშინვე გაერკვევი ამ საქმეში.

ბოლოს და ბოლოს ტაეკო დამთანხმდა.

ჩემი სიძე ძიუნძი მას არასოდეს ენახა. ცხადია, ვუზიარებდი ჩემს გულისტკივილს მის გამო. მაგრამ ისინი არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს, ამიტომ შეიძლებოდა არ მშინებოდა, ერთმანეთს იცნობენ-მეთქი.

ისე რომ, შეიძლებოდა შევდგომოდი ჩემი გეგმის შესრულებას. ჩემი განზრახვა უნდა განმეხორციელებინა პირველივე პარასკევს იმის შემდეგ, რაც სასტუმრო მე და ტაეკოს ხელში გადმოვიდოდა.

რემონტამდე იქ ყველაფერი ძველებურად დარჩება — სასტუმროს ფირნიშიც, მისი გარეგნული სახეც. სასტუმროს პატრონი რომ შეიცვალა, კლიენტები ვერ გაიგებენ, თან ნებისმიერ შემთხვევაშიც ეს მათთვის სულ ერთია. ამიტომ ძიუნძი და მისი საყვარელი დათქმულ დღეს გამოჩნდებიან იქ, და ეჭვი სულაც არ ექნებათ.

ძიუნძი უთუოდ არავის ეტყვის, შეხვედრების სახლში რომ წავიდა. უეჭველია, კაცი გულმოდგინედ მალავს გარეშე პირთაგან თავის ოინებს, ეტყობა, მისი ქალბატონიც კიდევ უფრო ნაკლებ არის დაინტერესებული ამ ამბის გახმაურებით.

მაშასადამე, ისინი რომ სასტუმრო „ფიჭვის რტოში" გაემგზავრნენ, ვერავინ გაიგებს. ორივენი მოწყვეტილი იქნებიან გარე სამყაროს. სასტუმროში ყოფნისას ისინი, ასე ვთქვათ, უჩინარდებიან იმათ თვალთაგან, ვინც მათ იცნობს.

ხოლო ამ სასტუმროში, ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე, მე სრული ბატონპატრონი ვარ. ამაზე მომგებიან პირობებს ვერც წარმოიდგენს კაცი.

4

სასტუმროს პატრონთან საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ ჩვენი საკითხი გადაწყდა.

ამ სასტუმროს ყიდვის ფიქრი მაშინ გამიჩნდა, როგორც გავიგე, რომ ძიუნძი და მისი ქალბატონი იქ რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. საქმე მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ სახლი რაც შეიძლება მალე გადმოსულიყო ჩემს ხელში. და აი ერთხელ ვესტუმრე „ფიჭვის რტოს" პატრონს და შევთავაზე მოეყიდა სასტუმრო.

თავისთავად ცხადია, ჩემი ნამდვილი გვარი არ დამისახელებია. ვაპირებდი დოკუმენტები ტაეკოს სახელზე გამეფორმებინა, ამიტომ ჩემი გამოგონილი გვარი არავითარ როლს არ ასრულებდა.

სასტუმროს პატრონი გაქნილი კაცი გამოდგა და თავის ქონებას ცეცხლის ფასი დაადო. დაიწყო გაზვიადება, რა პოპულარობით სარგებლობს მისი დაწესებულება, და მაგრძნობინა, რომ ნაკლებ ფასად არ დამითმობს. მე ვაჭრობა არ დამიწყია და შემოთავაზებულ პირობებზე დავთანხმდი. ორმოცი ცუბო ფართობის ორსართულიანი ნაგებობა, თანაც საარენდო ნაკვეთზე მდგარი, რვა მილიონ-ნახევარი დამიჯდა.

პატრონის შეკითხვაზე, განზრახული მაქვს თუ არა შენობა, როგორც არის, ისე გამოვიყენო, ვუპასუხე, რომ ოდესმე რემონტს გავაკეთებ, მაგრამ ჯერჯერობით მინდა კლიენტები მივიღო.

ყოფილი პატრონი სიხარულით ცას ეწია, თავის ქოხმახი რომ ასე ძვირად გაყიდა. ახლა მას შეეძლო ახალი დაწესებულება გაეხსნა უკეთეს რაიონში.

როგორც კი ყველა ფორმალური მხარე მოგვარდა, მოახლეები და მსახურნი დავითხოვე.

ტაეკო გადავიდა სახლში, რომელიც ახლა მის საკუთრებად იქცა. სასტუმროს პირველმა მონახულებამ მაინცდამაინც არ აღაფრთოვანა.

— ქოხმახია, რაც მართალია, მართალია. ნუთუ უკეთესი არაფერი აღმოჩნდა?

რაც შემეძლო ვცდილობდი გამემხნევებინა. ცოტა მოითმინე, კარგ რემონტს გავაკეთებთ და სახლი სულ ახალს დაემგვანება-მეთქი, ვუთხარი მე.

— მოახლეების საქმე როგორღა იქნება?

— ძველ მსახურებთან, როგორც წესი, საქმეს ვერ დავიჭერთ, ამიტომ ყველანი გავისტუმრე. გაზეთში განცხადებას მივცემ და ახლებიც გამოჩნდებიან. ჯერჯერობით კი შეიძლება ორი გამოცდილი ქალი დავიქირაოთ შინა მოსამსახურეთა საზოგადოებიდან. პირველ ხანებში მეც მოგეხმარები.

ტაეკომ უხალისოდ დააქნია თავი. ცხადია, იმას, რაც მან ნახა, სულ არ მოელოდა. მაგრამ ჩივილიც ცოდვა იქნებოდა მისთვის: ასეა თუ ისე, სასტუმროს პატრონი გახდა.

ამ სახლის თავიდან მოშორებას იმის შემდეგაც კი არ ვაპირებდი, როცა ჩემს განზრახვას შევასრულებდი. ეს საეჭვოდ შეიძლებოდა მოსჩვენებოდათ ირგვლივ მყოფთ. მე ვფიქრობდი, რომ ტაეკოს სამი წელი მაინც უნდა ეცხოვრა იქ. ამ ხნის განმავლობაში სახლქვეშ დამარხული ორი გვამი გახრწნას მოასწრებდა. სანამ სახლს ვინმეს მივყიდიდი, ისინი უნდა ამომეღო და სადმე სხვა ადგილას გადამემარხა.

სამი წელიწადი... ცოტა დრო როდია. მაგრამ რას იზამ, უნდა დაელოდო, თუ არ გინდა პოლიციის ჩაუვარდე ხელში.

მაშ ასე, ტავკო „დიპერის ოქროში" გადაბარგდა. მალე ახალი გადასვლა მახლობლ-
დე გადავედით, სანამ ოქრომტრი დამთავრდებოდა. ჩემი ოთახი კი მხოლოდ ყველაზე აუცილებელი ნივთით იყო. გარედან ასეთ დაწყობილობაში სამუ-შაოსათვის საჭირო არ უნდა მივეჩვიო, არც ოთახს სამზადისით გავმზადოთ სახლით. ჩვენთვის კი საჭირო მახლობელ ოქროშიც ყველაფერი შევავსეთ.

ჩემი ჩანაფიქრი შემდეგში მდგომარეობდა: ბოლოს, რომ სწორედ ამ დღეს ბედება თავის საყვარელი. სხვა მოსაწყენი არ უნდა მიგვეღო. ბარასკევამდე კი არც ერთი მაღაზიიდან ფული არ უნდა გვეთქვა. სასტუმროს წინასწარეულად უნდა ემოქმედა. ოქროს ცვლილებებს შეიძლება დაეჩქარებინა მისვლილება.

სამზადისით დილით ალეკოს ვუთხარი:

— დღეს არ ვიქნები, თუმცა მასალები მინდა შევკრიბო ჩემი წიგნისათვის.

— მეტისმეტად ხომ არ გადატვირთე თქვენს საქმეს? — გაიოცა ქალიშვილმა. ჩემთვის ცივი გაუხდა. იტყობა, მიახვია, რომ ჩემი მეტყველება სხვა არავერს, თუ არა ძალიანობის და თავდების ერთი ხარჯვა.

ამ დღეს ტავკოს ვუთხარი, სასტუმროში არ მოსულიყო-მეთქი.

მართალმნალი ვმუშაობდი, ფინალი ავიღე და მთელ სადამოს ვატარებდი ოქროს. რვა ძიო ფართობის სასტუმრო ოთახი სავსეთ იყო სახლში.

ვცდილობდი, რაც შეიძლება ღრმა ორმო ამომეთხარა, რომ მეც ოთხი კაცი მოთავსებულიყო. მუშაობას თითქმის ღამემდებამდე მოვუნდი.

სახლი ბეზღალი ნაგავით ბაითავეს ოროვე მხარეს ღობით იყო შემოსაზღვრული, რომელიც ჯანსუღთან ნაკის მეჩხეთში იზრდებოდა. მიწის ამის მიდამოები დამიმახავდა, არ შეიძლება მჭიდროდ, მაგრამ მაინც სიფრთხილისათვის გადავწყვიტე, სადამ არ შევამჩნევდებოდა, გზაში მიწა არ გამეტანა.

ბოლოს ყველაფერი მზად იყო, თუმცა საკმაოდ ღრმა ჩავდე, რომ მეც თავზე გვამი ჩამემარხა და თან ისე სიმოც სანტიმეტრზე ზემოდან მიწა დამეყარა.

მიწა ფურანა ეზოში გავიტანე. სიბნელეში ვერავინ შემამჩნევდა, ისე რომ სასტუმრო ოთახის იატაკქვეშ ჩემს მსხვერპლთათვის მომზადებული იყო საფლავი.

თერთმეტი საათისთვის დავბრუნდი სახლში.

— რა, ძიუნძი ჯერ კიდევ არ მოსულა? — შეკვეთით ალეკოს, რომელიც თვჩაჭინდრული იჯდა.

პასუხი არ იყო, ტახტზე მოკალათებული, გაფითრებით ამოძრავებდა ჩხირებს. არასოდეს დაელოდებოდა ასე მოუთმენლად სიძის დაბრუნებას.

— მამა, სად იყავი დღეს? — მკითხა უეცარ ალეკომ, როცა წინასწარეულად გავტრიალდი.

— წიგნის მასალებს ვეძებდი.

— შარვალი მიწით გაქვს დასვრილი, რა არის ეგ?

შევცბი. შარვლის ჯიბეებში ჩართულიც მიწა ჩამრჩენოდა. ოთახში რომ გავიარე, იატაკზე ნაცრისფერი კვალი დავტოვე.

— ა, ეს ალბათ სოფლიდან ჩამომყვა. იცი, ერთ საინტერესო ქვაზე ამოკვეთილი წარწერის ასლი გადავიღე.

ვგრძნობდი, როგორ დამასხა ცივმა ოფლმა. შემდგომ ფრთხილად უნდა ვიყო.

სანამ ორმოს თხრას დავიწყებდი, შარვალი ავიკარწახე. მერე, როცა მუშაობა დავამთავრე, ხელ-პირი კარგად დავიბანე და შარვალი და პერანგი გავწმინდე. ეტყობა, სწორედ მაშინ ჩამიცვივდა მიწა შარვლის ჯიბეში და და-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყლაპია ვარ, რომ ვერ შევამჩნიე! მაგრამ აცუკოს უყურე შენ — გარეგნულად გგონია, რომ ჩემთვის არა სცხელა, სინამდვილეში კი ფხიზლად მადევნებს თვალს.

ახლა ფრთხილად უნდა ვიყო! — გავიფიქრე მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათს ჩამოვიდა ტაეკო, და ჩვენთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. დილდილობით წიგნისთვის მასალების შეგროვების იმავე საბაბით გამოვდიოდი სახლიდან. საერთოდ სულაც არ ვიყავი ვალდებული ქალიშვილისთვის ანგარიში ჩამებარებინა, სად ან როგორ ვატარებდი დროს, მაგრამ უნებლიეთ ეჭვი რომ არ გამომეწვია, ზოგიერთ ეშმაკობას მივმართავდი. მაგალითად, ხელცარიელი კი არ ვბრუნდებოდი სახლში, არამედ შეკრულათი, სადაც ჩვეულებრივი გაზეთები ან რაღაც ამის მსგავსი მედო, თითქოს ეს იყო ბუკინისტებთან ხელში ჩაგდებული ნადავლი. ყოველივე ამას თვალის ასახვევად ვაკეთებდი.

ოთხშაბათ საღამოს ჩვენ, როგორც წესია, ჩვენი დაწესებულების ნეონის ფირნიში ჩავრთეთ, და ჩვენკენ ნელ-ნელა გამოსწიეს სტუმრებმა. ტაეკო მოახლესთან ერთად ხვდებოდა მათ და მიჩენილი ოთახებისკენ მიაცილებდა. იმ საღამოს შვიდი წყვილი მაინც მივიღეთ.

— ერთმა კლიენტმა იფიქრა, რომ მე ახალი მოახლე ვარ, — სიცილით მითხრა ტაეკომ.

მარტო ერთ საღამოს ამონაგებმა დაახლოებით ხუთი ათასი იენი შეადგინა. ტაეკო კმაყოფილი იყო: შემდგომაც თუ ასე გაგრძელდა, სოლიდური შემოსავლის იმედი ექნება.

— მომისმინეთ, რაც შეიძლება მალე უნდა შევუდგეთ რემონტს. მაშინ საქმე უკეთ წავა, — შენიშნა ტაეკომ.

მე მივუგე, რომ უკვე მოველაპარაკე სარემონტო კანტორას.

— მოახლე მაინც აიყვანეთ. მარტო ვერ ავუდივარ საქმეს.

მე ავუხსენი, რომ მივმართე შინა მოსამსახურეთა საზოგადოებას, მაგრამ თავისუფალი არავინ აღმოჩნდა, ასე რომ ოთხი ან ხუთი დღე უნდა მოვიცადოთ.

— მანამდე კი როგორმე ცოტა მოითმინე, — დავძინე მე. — შევთანხმდით?

5

ბოლოს დადგა პარასკევი. ქარიანი დღე იყო, რაც ადრიან გაზაფხულზე ხშირად იცის, დილიდანვე მოუსვენრად ვიყავი, მაგრამ ვცდილობდი თავი შემეკავებინა. ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, რომ აცუკოს ეჭვი არაფერზე აეღო. შემთხვევითი როდი იყო, რომ დილით „ფიჭვის რტოში" წასული, საღამოს აუცილებლად შინ ვბრუნდებოდი.

ტაეკო გავაფრთხილე, რომ სასტუმროში საბოლოოდ რემონტის შემდეგ გადავიდოდა. ჯერჯერობით იმ მიდამოებში არავინ არ უნდა იცოდეს, რომ სასტუმროს სხვა პატრონი ჰყავს. ტაეკოს გადასვლის შემდეგ სასტუმრო, რა თქმა უნდა, სახეს იცვლის. შესაძლოა სახელწოდებაც შეეცვალოს. ჩემთვის ძველი ფირნიში „ფიჭვის რტო" თითქოს სატყუარას მაგივრობას სწევდა, რომ ძიუნძი და მისი საყვარელი ანკესზე წამოგებულიყვნენ.

იმ დღეს, სასტუმროში რომ მივედი, წინასწარ ნაყიდი თეატრის ბილეთი გავუწოდე ტაეკოს.

— შენ შეუჩვეველი ხარ და ალბათ დაიღალე, — ვუთხარი მე, — აჰა, წადი ამ საღამოს და გული გადააყოლე, — ვიცოდი, ტაეკო ჰკუას კარგავდა კაბუკასათვის. — სტუმრებს კი როგორმე თვითონ გავართმევ თავს.

— ო, დიდად გმადლობთ, ოღონდ უცნაურად ხომ არ მოეჩვენებათ სტუმრებს, რომ მამაკაცი მოემსახურებათ?

— არა უშავს. მაგრამ რვის ნახევრამდე მაინც შენ მოგიხდება აქ ყოფნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ მე მხოლოდ შუა წარმოდგენას მივუსწრებ...

— რა გაეწყობა? იცი რა, სტუმრებს რომ ჩემნაირმა ბებერმა ხრონცმა გამოაკითხოს, იმწამსვე ინტერესი დაეკარგებათ ჩვენი დაწესებულებისადმი. ხოლო როცა სტუმრები მიდიან, მათთვის სულ ერთია, ვინ აცილებთ. ამიტომ გთხოვ რვის ნახევრამდე დარჩე. ამ დროისათვის სტუმრები უკვე შეგროვდებიან.

ვგრძნობდა, რომ ტაეკო მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო ამბების ასეთი შემობრუნებით, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია, როგორც ჩანს, ანგარიში გაუწია საქმის ინტერესებს. ასე გადავდგი პირველი ნაბიჯი ჩემი გეგმის განსახორციელებლად.

— და აი კიდევ რა: შეძლებულ კლიენტებს ყველაზე უკეთესი ოთახი უნდა შევთავაზოთ. მე სადმე კანტორის შორიახლო ვიჯდები და განვიშნებ, ვინ საით გაუშვა.

ასე გადავდგი შემდეგი ნაბიჯი მკვლელობის მომზადების საქმეში.

ახლა ისღა რჩებოდა, რომ ჩემს მსხვერპლთა გამოჩენას დავლოდებოდი. კანტორის შორიახლო ვიჯექი და საათს დავცქეროდი. კანტორა ისე იყო მოწყობილი, რომ ქუჩიდან შემოსულს არ შეიძლებოდა დავენახე. სამაგიეროდ შემოსულები პატარა სარკმლიდან კარგად ჩანდნენ.

6.40 წუთზე, როგორც იქნა, კარი გაიღო, და ზღურბლზე ძიუნძი გამოჩნდა თავისი თანამგზავრითურთ.

ეჭვიც არ აუღია, რომ ტიხარს აქეთ ვიჯექი, და, ვითომც აქ არაფერიაო, შესახვედრად გამოსულ ტაეკოს გამოელაპარაკა.

ძიუნძის, როგორც ყოველთვის, თავმომწონე სახე ჰქონდა. მაინცდამაინც არც მის თანამგზავრს ქენჯნიდა სინდისი იმის გამო, რომ ქმარს ღალატობდა. ისინი შემოვიდნენ, ურცხვად ხელიხელჩაკიდებულნი. ნეტა ამწუთას აცუკოს ენახა ისინი! არა ვგონებ, რომ ჩვეულებრივი აღუშფოთველობა შეენარჩუნებინა.

ტაეკო მყის მომიახლოვდა და ჩუმად მკითხა, რომელ ოთახში მივაცილოო. მე ვუთხარი, ყველაზე საუკეთესო რვა ძოიან ოთახში შეიყვანე, ასეთი სტუმრები დიდი პატივით უნდა მიიღოთ-მეთქი.

ძიუნძიმ და მისმა ქალბატონმა ფეხსაცმელები გაიძრეს და ტაეკოს სახლში შეჰყვნენ.

მე სამზარეულოში შევვარდი და მოვამზადე ორი ჭიქა ფორთოხლის წვენი, რომლებშიც ქაღალდის პაკეტიდან ფხვნილი ჩავყარე. ფხვნილი თეთრი კვამლის სვეტივით ჩაეშვა ნარინჯისფერ სითხეში და რამდენიმე წამში გაიხსნა.

ამასობაში ტაეკო კანტორის იქით ჩაის დასხმას შეუდგა.

ტაეკოს დავუძახე და წვენით სავსე ორ ჭიქაზე მივუთითე.

— მაგათ ჩაი არ უნდათ, ჯობს წვენი მიართვა.

ტაეკოს გაუკვირდა, აქამდე ხომ მსგავსი ინიციატივა არ გამომიჩენია, მაგრამ მორჩილად აიღო ლანგარი ჭიქებით და წავიდა.

თვალწინ ცოცხლად დამიდგა, როგორ დგამს ჭიქებს ძიუნძისა და მისი ქალბატონის წინ.

რას არ გავიღებდი, ოღონდ კი ორივეს ერთდროულად დაელია წვენი. თუმცა ვიცოდი, ეს შეიძლება არ მომხდარიყო. რომელიმე მათგანი, ან ძიუნძი, ან ქალი, ჭიქიდან პირველი მოსვამს. ასეთი შესაძლებლობა თავიდანვე გავითვალისწინე.

კალიუმციანიდი უკვე ხუთ-ექვს წამში იწყებს მოქმედებას. იმის შემყურე, თუ როგორ იტანჯება ადამიანი, რომელმაც საწამლავი შესვა, გაფრთხილდება და, რა თქმა უნდა, აღარ მიეკარება თავის ჭიქას, უფრო მეტიც, ერთ ამბავს ატეხს.

რა თქმა უნდა, იდეალური იქნება, რომ ორივენი ერთდროულად დაიხოცონ. მაგრამ თუ ეს არ მოხდა და ერთადერთი მათგანი უვნებელი დარჩა, არც ეს არის უბედურება. მე ჯერ კიდევ საკმაოდ ღონიერი ვარ. თანაც ოდესღაც ძიუდოს ვსწავლობდი. ორს, რა თქმა უნდა, თავს ვერ გავართმევ, მაგრამ ერთს როგორმე მოვერევი.

ტაეკო დაბრუნდა.

— ახლა შეგიძლია წახვიდე თეატრში, — ვუთხარი მე, — ახლა მე თვითონ მოვუვლი.

ტაეკოს ისედაც ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა თეატრში.

— მართლა შემიძლია? მაშინ გავიქეცი.

დროსდაუკარგავად შეუდგა მზადებას. ტანში გამაჟრიალა იმის გაფიქრებაზე, რომ წასვლის წინ შეიძლება ერთხელ კიდევ შეევლო სტუმრებთან. საბედნიეროდ, მთელი მისი გულისთქმა მომავალი სპექტაკლისაკენ იყო მიმართული, და, გახარებული იმით, რომ მე გავუშვი, ხუთი წუთის შემდეგ ფრთხიალ-ფრთხიალით გავიდა სახლიდან.

ამის შემდგომ სასტუმროში კიდევ ერთი წყვილი შემოეხეტა, მაგრამ ისინი არ შემოვუშვი. ჯერ კიდევ ადრე იყო შედარებით, ძიუნძი და მისი საყვარელი პირველი მომსვლელები აღმოჩნდნენ იმ საღამოს.

შემოსასვლელი კარი დავკეტე.

ფრთხილი ნაბიჯით გავემართე შორეული ოთახისაკენ.

კარი შევაღე.

დანარჩენზე დაწვრილებით ლაპარაკი საჭირო არ არის.

როგორც ჩანს, ორივეს ერთდროულად დაელია წვენი და დახოცილიყვნენ. ძიუნძი იატაკზე გაშხლართულიყო, ქალი მაგიდასთან გაცივებულიყო, ზედ თავჩამოდებული.

ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ მართლაც რომ ქინქლაა და მეტი არაფერი ადამიანი. ერთი დარტყმა და სულს გააფრთხობს. აგერ ეს სასტიკი, ანგარიშიანი ძიუნძი უგრძნობ გვამად გადაიქცა. მისი ლამაზი სახე, რომლითაც თავს იწონებდა, გაჭყლეტილი ბუზის თავზე უკეთესი არაფრით არ არის... ახლა შემიძლია მშვიდად ვიყო. აღარც აცუკოს შიში მქონდეს, აღარც შვილიშვილისა, აღარც ჩემი ფულებისა.

უკვე დრო იყო, მუშაობას შევდგომოდი. პირველ ყოვლისა გვამები კუთხეში მივათრიე, იატაკზე დაგდებული ტატამი ავიღე და ფენილიც გადავწიე. ზუსტად ისევე, როგორც თეატრში სცენის ქვეშ. პირი დაეფჩინა დაახლოებით მეტრ-ნახევარი სიგრძის ორმოს.

ჯერ ძიუნძის გვამი ჩავაგდე შიგ, მერე კი მისი უსულო მეგობარიც მივაყოლე. ორმომ ორჯერ ამოშძახა ყრუ ხმით.

იმწამსვე დავიწყე ეზოდან მიწის ზიდვა და გვამებზე დაყრა. მაგრამ უეცრად გონება გამინათდა.

ჩემი თავდაპირველი ჩანაფიქრის შესაბამისად გვამები სახლქვეშ უნდა დამემარხა და საქმეც ამით დამთავრდებოდა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, როგორც კი ორი ადამიანის გაქრობის ამბავი ცნობილი შეიქნებოდა, პოლიცია ძებნას შეუდგებოდა. ეს ხელს არ მაძლევდა. ხომ არ ჯობია [illegible] ქალზე დავაყენო და საქმე ისე წარვუდგინო, თითქოს ძიუნძიმ თავი მოიკლა?

იდეალური დანაშაული გახლავთ ის, რომელიც არ აიძულებს პოლიციას დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება, ესე იგი დამნაშავის ძებნა.

ორმოში ჩავძვერი და მკვდარ ძიუნძის პიჯაკი გავხადე. ეს კიდევ გამომადგება.

ძიუნძის სახე მიწით ჰქონდა დასვრილი, პირიდან სისხლი გადმოსვლოდა. სადღა იყო თავმომწონე მამაკაცი! ქალი, რა თქმა უნდა, ცოდვა იყო, მაგრამ ძიუნძიმ ნამდვილად დაიმსახურა. მე ბოლომდე დავაყარე მიწა.

ჩემი ყურადღება მიიპყრო მიწის უცნაურმა ფერმა. მიწა არც შავი იყო, არც ყავისფერი, როგორც ჩვეულებრივ, არამედ რაღაც ღია, უფერული. და მაშინ ვიფიქრე, რომ სწორედ ასეთ მიწაში უნდა იწვეს ძიუნძი.

თავის ადგილას დავდე ფენილი. ტატამიც გადავაფარე. მე მეგონა, დიდი ჯახირი მომიწევს-მეთქი, მაგრამ არა. ყველაფერი ბევრად უფრო იოლი გამოდგა. ერთი წლის შემდეგ ამ ადგილას ორი ჩონჩხიღა დარჩება.

ვინ იცის, ეგებ უხარიათ კიდეც, რომ გვერდიგვერდ წვანან.

8

მაშ ასე, ძიუნძი გაქრა.

აცუკო კინაღამ ჭკუაზე შეიშალა, მე კი მშვიდად ვუცქეროდი მის წამებას. გავა დრო და დარდი განუქარვდება. ბევრად უფრო სამწუხარო იქნებოდა, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ძიუნძის ჩემი ფულები ხელთ ეგდო და აცუკო ბავშვიანურთ ბედის ანაბარა მიეტოვებინა. ის, რომ ძიუნძი წუთისოფელს გამოესალმა, აცუკოსათვის უთუოდ ბედნიერება იყო.

მთელ ამ ამბავში ერთი წვრილმანი მაძლევდა ხელს. ყველაფრის მიხედვით ჩანდა, რომ ქალს, რომელიც ძიუნძისთან იყო, არავისთვის გაუმხელია თავისი რომანის საიდუმლო, მაშასადამე, არავის მოსვლია თავში, რომ მიჯნურები სადმე გაიქცეოდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძიუნძისა და ამ ქალის გაქრობა სხვებისთვის ორი ცალკეული შემთხვევა იყო, რომელთა შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, ხოლო მათი შეერთება არავის მოსდიოდა თავში.

უეჭველია, რომ ორივენი სრულიად საიდუმლოდ ინახავდნენ თავიანთ ურთიერთობას.

ვინმეს რომ სცოდნოდა, ისინი ერთდროულად გაქრნენო, საქმე სულ სხვაგვარად შემობრუნდებოდა. ქალს ჰყავდა ქმარი, რომელმაც, რა თქმა უნდა, განაცხადა პოლიციაში. ჰო, მე ნამდვილად ბედმა გამიღიმა, რომ ისინი წმინდად ინახავდნენ თავიანთ საიდუმლოს.

თავისთავად ცხადია, მე და აცუკომ პოლიციას მივმართეთ თხოვნით, რომ ძებნა გამოეცხადებინათ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, ჩვენს განცხადებას მიიღებდნენ თუ არა, იმწამსვე დაიწყებდნენ ძიუნძის ძებნას. ძებნას ისინი მას შემდეგ იწყებენ ხოლმე, როცა გვამს წააწყდებიან სადმე და მიცვალებულის პიროვნებას ვერ ადგენენ.

მაგრამ უსასრულო ლოდინიც არ შემეძლო. აცუკო მოუსვენრად იყო. მან რამდენჯერმე მიაკითხა პოლიციას და სთხოვა მისი ქმრის ძებნა დაეწყოთ.

ვიცოდი, რომ იგი მანამდე არ დამშვიდდებოდა, სანამ არ მიიღებდა დამამტკიცებელ საბუთს, რომ ძიუნძი ცოცხალი აღარ იყო. მას არ შეეძლო დაეჯერებინა ქმრის სიკვდილი. მაშასადამე, მე უნდა მეჩვენებინა საბუთი, რომ ძიუნძიმ თავი მოიკლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი საბუთი მე მქონდა.

სავსებით მშვიდად ვიყავი.

რაც შეეხება სასტუმროს, საქმეები დიდი ხნით არ გადამიდვია და რემონტს შევუდექი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საქმე ეხებოდა რემონტს და არა რაიმე საფუძვლიან გადაკეთებას, რომლის დროსაც მუშებს შეიძლება აღმოეჩინათ ჩემი ამასწინანდელი გარჯის ნაკვალევი. მთელი რემონტი იმაში მდგომარეობდა, რომ შენობაში მხოლოდ ზოგი რამ უნდა შემეცვალა. ამ დროს კი საშიში არაფერი იყო.

ძველი ფირნიში „ლეღვის რტო" ჩამოვხსენი, მის მაგივრად გაჩნდა ახალი — „მთვარის ნათელი". წინკარიბა და სასტუმრო ოთახმა სხვა იერი მიიღო, სასტუმროს გარეგნული მხარეც რამდენადმე შეიცვალა.

გარდა ამისა, მოახლეებიც ავიყვანე, და ახლა ტაეკო მხოლოდ დიასახლისის როლს ასრულებდა. ჩვენი დაწესებულება ჰყვაოდა. მე გადავწყვიტე სამი წლის განმავლობაში არაფერი შემეცვალა.

ახლა ჩემთვის აუცილებელი აღარ იყო სასტუმროში ყოველდღიურად მისვლა. სავსებით კმაროდა, რომ სამ ან ხუთ დღეში ერთხელ შემევლო, თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ მეცნიერული მუშაობისადმი ჩემი უეცარი გაგულგრილება აცუკოს საეჭვოდ არ მიეჩნია.

გავიდა ორი თვე, ალბათ რვა ძიო ფართობის ოთახქვეშ მდებარე გვამებმა უკვე ხრწნა იწყეს. ერთი წლის შემდეგ ამ ადგილას ორი ჩონჩხი დარჩება.

მას შემდეგ, რაც ძიუნძი დაიკარგა, აცუკო კიდევ უფრო განმიდგა. ჩამოდნა, ეტყობოდა, როგორ უმძიმდა. ყოველნაირად ვცდილობდი მენუგეშებინა, მაგრამ ყურს არ მიგდებდა. ალბათ, ფიქრობდა, რომ გულში კმაყოფილი ვიყავი, რაკი საძულველი სიძე ჩვენგან შორს იყო.

„დამაცადე, — ვფიქრობდი მე, ქალიშვილის ჩამომხმარ სახეს რომ შევცქეროდი. — შენ არ გჯერა, რომ შენი საყვარელი ქმარი ცოცხალი არ არის, მაგრამ მე შენ გაჩვენებ ამომწურავ საბუთს".

დანაშაული უნაკლოდ ჩავიდინე. სამუშაო სუფთად შევასრულე. მარტო ქალაქის გარეუბანში ძველი სასტუმროს ყიდვის იდეა რად ღირს! ყველა დანარჩენიც უზადოდ, უნაკლოდ მოვიმოქმედე. კვალიც საიმედოდ დავფარე, ოღონდ წყალში კი არა, მიწაში, იმ სახლქვეშ, სადაც ორთავეს ასე უყვარდათ ყოფნა. კარგად არის მოფიქრებული — ვერაფერს იტყვი!

სულიერი ვერავინ მიხვდება, რას ვაკეთებდი პარასკევ საღამოს. ტაეკო სასტუმროში არ იყო, მოახლეები ჯერ არ ამეყვანა, არც ერთი მომსვლელი არ მყავდა შემოშვებული. მხილების არავითარი შიში არ შეიძლება მქონოდა.

სავსებით მშვიდად ვიყავი.

ორი თვის შემდეგ ტყეში, საგამის ყურის პირას იპოვეს ძიუნძის პიჯაკი, სწორედ ის პიჯაკი, რომლითაც პარასკევ დილას სახლიდან გამოვიდა.

„დამხრჩვალის" გვამი, ბუნებრივია, არ უპოვიათ.

ძიუნძის პიჯაკზე ამოქარგული იყო მისი სახელი. აცუკო პოლიციაში გა-

მოიძახეს და პიჯაკის ამოცნობა შესთავაზეს. როცა პოლიციიდან უწყება მოიტანეს, მე შინ დავრჩი, იქ აცუკო წავიდა.

საღამოს დაბრუნდა, სულ მთლად გაფითრებული.

— პიჯაკი დაგიბრუნეს? — ვკითხე მე.

— არა, მითხრეს, ჯერჯერობით დავიტოვებთო.

— დავიტოვებთო? საინტერესოა, რატომ? რა, ჯერ არ გაურკვევიათ ყველაფერი? — შევიცხადე მე.

— არ ვიცი, — ცივად მიპასუხა აცუკომ.

მე უგუნებოდ შევიქენი.

მაინც რა მოხდა? ამ დღიდან საკუთარი უვნებლობის რწმენა თანდათან შემერყა.

არადა, ყველაფერი ერთი წვრილმანის ბრალი იყო, მე ვერ გავითვალისწინე ერთი თითქოსდა უმნიშვნელო გარემოება.

ძიუნძი „გაქრა" გაზაფხულის დამდეგს, როცა ჯერ კიდევ ცივა. წელიწადის ამ დროს ადამიანი, რომელსაც თავის დახრჩობა აქვს გადაწყვეტილი, ტანისამოსს არ იხდის. ნაპირზე დატოვებულმა პიჯაკმა პოლიცია დააეჭვა.

კიდევ ერთხელ განვმარტავ: ვინაიდან წელიწადის ამ დროს ყურეში წყალი ძალიან ცივია, საეჭვოა თავის მკვლელს ტანთ გაეხადა. ადამიანისთვის, რომელსაც გადაუწყვეტია სიცოცხლეს ანგარიში გაუსწოროს, თითქოს სულ ერთი უნდა იყოს, როგორ მოკვდება — სიცივეში თუ სითბოში, თურმე არა — ადამიანის ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ მას არ სურს უხერხულად გრძნობდეს თავს უკანასკნელ წუთს, როგორც უკვე შემდეგ ამიხსნა გამომძიებელმა. წელიწადის ამ დროს დამხრჩვალ თვითმკვლელებს თბილი ტანისამოსით პოულობენ ხოლმე.

მაშასადამე, მე საბედისწერო შეცდომა დავუშვი მაშინ, როცა ვიფიქრე, რომ თავის მოკვლის ვერსიისათვის ძიუნძის ყველა ნივთი გამოდგებოდა. ჩემი მეორე შეცდომა ის იყო, რომ ძიუნძის პიჯაკი ხეზე ჩამოვკიდე.

პიჯაკის ჯიბეში აღმოჩნდა მცირეოდენი მიწა. თავდაპირველად პოლიციელებმა გადაწყვიტეს, რომ სანამ ძიუნძი თავს იკლავდა, მანამდე აქეთ-იქით დაეხეტებოდა, ბალახზე იჯდა, ვთქვათ, წაიფორხილა და მიწაზე დაეცა; ამგვარად, ნიადაგის ნაწილაკები შეიძლება ჯიბეში ჩასცვენოდა. მაგრამ ექსპერტიზამ აჩვენა, რომ საგამის ყურის მიდამოებში ნიადაგი შედგენილობით ძირფესვიანად განსხვავდება იმისაგან, რაც პიჯაკის ჯიბეში აღმოჩნდა. ყურის ნაპირები ერთთავად შედგება წითელი თიხნარი ნიადაგისაგან, ჯიბიდან კი ამოუღეს ღია ნაცრისფერი მიწა, როგორიც ამ ადგილას საერთოდ არ არის.

ორივე ნიადაგის ნიმუშები გამოსაკვლევად გადაეცა სპეციალისტ-გეოლოგს.

ექსპერტის დასკვნიდან გამომდინარეობდა, რომ ღია ფერის ნიადაგი შეიცავს ქანებს, რომლებიც წარმოშობილია ვულკანების ამოფრქვევით და მეცნიერთა წრეში ტორფნარად იწოდება.

საგამის ყურის მიდამოს არც ერთ უბანში ასეთი ნიადაგი არ არსებობს. უფრო მეტიც — როგორც აღმოჩნდა, ამგვარი უფერული მარცვლოვანი ნიადაგი გვხვდება ერთადერთ ადგილას, კერძოდ ეკოდაში, მას ასეც ეწოდება „ეკოდას ტორფნარი".

ამ დასკვნამდე მეცნიერი იმის შემდეგ მივიდა, როცა მისთვის გადაცემულ ნიადაგის ნიმუშში მიკროსკოპის ქვეშ რბილწიწვიანას წიწვების გაქვავებული ნაწილაკები აღმოაჩინა. ეს კი ტორფნარი ნიადაგის განმასხვავებელი ნიშანია.

ნიადაგი ამგვარი ორგანული მინარევებით კვლავ და კვლავ მხოლოდ ეკოდაში გვხვდება.

მე, რა თქმა უნდა, გულშიც არ გამივლია ასეთი წვრილმანების გათვალისწინებინა. უფრო მეტიც, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ეს თარის ნიადაგი ძიუნძის პიჯაკის ჯიბეში აღმოჩნდებოდა. თავის დროზე ა[illegible]მნა ჩემი შარვლიდან გადმოცვენილი მიწა. მე რომ ამისთვის სა[illegible] ყურადღება მიმექცია, ალბათ კარგად შევამოწმებდი, რა იყო მკვდარი ძიუნძის პიჯაკის ჯიბეებში. როგორც ჩანს, მიწა იქ მაშინ მოხვდა, როცა ორმოს ამოვსებას შევუდექი.

ექსპერტის დასკვნის მიღების შემდეგ პოლიციელებმა, შეიძლება ითქვას, ჩემს კვალს მიაგნეს. მათ მაშინვე აღეძრათ ეჭვი, რომ ძიუნძის თავი კი არ მოუკლავს, სავამის ყურეში კი არ დაუხრჩვია თავი, არამედ მოკლეს. ჯიბეში ნაპოვნმა მიწამ უკარნახა მათ, სად მოხდა დანაშაული.

პოლიციელებმა მთელი ეკოდის რაიონი გაჩხრიკეს, ადგილობრივი მცხოვრებნიც დაკითხეს, რის შედეგადაც მათთვის ცნობილი გახდა, რომ სასტუმრო „ფიჭვის რტოს" პატრონის შეცვლა და ძიუნძის გაქრობა დროის მიხედვით ერთმანეთს ემთხვეოდა.

ეს დამთხვევა საეჭვო ეჩვენათ. მათ მიმართეს უძრავი ქონების რეგისტრაციის ბიუროს და გამოარკვიეს, რომ სასტუმრო ეკუთვნოდა ქალს, ტაეკო ჰიოძიოს. ამის შემდეგ ჩემი პოვნა უკვე ტექნიკის საქმე იყო.

როცა გამომძიებელმა დაპატიმრების ორდერი წარმომიდგინა, უცნაურია, მაგრამ დაბინდულ ცნობიერებაში ერთმა სასიხარულო ფიქრმა გამიელვა. ახლა კი შევძლებ მშვიდად დავამთავრო იაპონური კალიგრაფიის ისტორიისადმი მიძღვნილი შრომა-თქო.

# სეიიტი მორიმურა

## დადევნებული სიკვდილი

სამხრეთში გაზაფხული ადრე დგება. უკვე მარტის შუ-რიცხვებში — არა უგვიანეს ოლისა ჰყვავის საკურა.[1] მერე ველები და ბორცვები რაფსის[2] და ასტრაგალის[3] ხასხასა ყვავილებით იმოსებიან, ხოლო ივნისში მოკვეცნებით ყვავილების ნორჩი ფოთლებისა და ბალახების სიმწვანე ენაცვლებათ. ჰაერი სურნელებით არის სავსე. ბალახსა და ყვავილებ-

1. საკურა — ალუბლის ერთ-ერთი სახეობა, აქვს თეთრი ყვავილი, ნაყოფი ძალიან წვრილი (არ იჭმება).
2. რაფსი — ჯვაროსნისებრთა ბალახოვანი მცენარე.
3. ასტრაგალი — მცენარის სახეობა პარკოსანთა ოჯახისა.

ში გრძელზამთარგამოვლილი მწერები და ათასნაირი წვრილი არსებები ირევიან. მინდვრებზე რომ ქარი დანავარდობს, ისიც კი ახლებურად ბრწყინავს.

უპატრონოდ მიტოვებულ ბრინჯის ყანაში, ასტრაგალის ლილისფერი ყვავილები რომ მოსდებოდა, შვიდი თუ რვა ქალ-ვაჟი იჯდა. ისინი უკვე ერთ საათს ისხდნენ თითქმის და გუნდად მღეროდნენ სხვადასხვა სიმღერებს, რაც კი იცოდნენ, ზედიზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სიმღერა დასრულდებოდა, ვიღაცა ახალს წამოიწყებდა და ყველანი ხმატკბილად აჰყვებოდნენ. მხიარული, მაგრამ იშვიათი სანახაობა იყო, რადგან ახალგაზრდების ასეთ უეშმაკო სიხალისეს უკვე დიდი ხანია მოეღო ბოლო.

როცა გოგო-ბიჭები ერთად შეგროვდებიან და მღერიან, ამით ისინი ანტისახელმწიფოებრივ აქციას ატარებენ — ასე ითვლებოდა იმ დროს.

ბოლოს ახალგაზრდები სიმღერით დაიღალნენ და დადუმდნენ. ჩამოვარდა სიჩუმე. ისმოდა, ყვავილებში როგორ ბზუოდნენ მწერები და როგორ ქროდა მსუბუქი, ოდნავ საგრძნობი ნიავი.

ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა. წყნარი დღე იდგა. ჰორიზონტს თხელი მოცისფრო ნისლი გადაჰკვროდა. ამ უეცარ მდუმარებაში ყველას უნდოდა წამით მაინც მოდუნებულიყო.

— რა სიჩუმეა, — თქვა ვიღაცამ, თითქოს სიჩუმე ზემოდან აწვებოდა და ამისთვის ვეღარ გაუძლო. შეიძლებოდა სხვა რამეც ეთქვა, სულ ერთია რა. უბრალოდ საშიში იყო აი ასე, მოდუნებულს, რეალობის შეგრძნება დაეკარგა.

— თითქოს ომი არც იყოს, — გამოეპასუხა ერთ-ერთი ქალიშვილი.

— ომი არც არის. ყოველ შემთხვევაში, ახლა. — თქვა მეორე ჭაბუკმა.

— რომ იცოდეთ, რა კარგი იქნებოდა, ომი რომ არ იყოს, — ფიქრიანად წარმოთქვა ვიღაცამ და შორეთს გახედა.

ეს მიწაზე მოყვითალო ხალიჩასავით გაშლილიყო რაფსის ყვავილებით მოფენილი ველი. ბორცვების ძირას აქა-იქ ვარდისფერობდა ნაგვიანევი საკურა. ბილიკების გასწვრივ მინდვრებში, ბაღებში, ტაძრებთან ჰყვაოდა ფორზიცია, მაგნოლია, გარგარი.

საითაც არ უნდა გაეხედათ, ყველგან მშვენიერი, უშფოთველი გაზაფხულის ყვავილობაა, გულს რომ უკუმშავს კაცს. მაგრამ რაც უფრო უშფოთველია, მით უფრო ულმობელია მათთვის ეს სილამაზე. ეგებ ხვალ ვეღარც ნახონ იგი.

— ომი იქნება თუ არ იქნება, იაპონიის მიწა ყოველთვის მშვენიერი დარჩება, — თქვა კიდევ ვიღაცამ, თითქოს სურს შეესიტყვოსო. უეცრად ტკაცანი გაისმა.

— რა მოხდა? — მოისმა შეშფოთებული ხმები

— ფუტკარი იყო. ყვავილებზე მოფრინდა. ჰოდა, ყვავილის მაგივრად მე ჩამასო ნესტარი, მე კი არ მომეწონა. — ჭაბუკს გაშლილ ხელის გულზე ედო გაჭყლეტილი მწერი.

— ერთი მანქანა ჩამოგდებულია! — დაასკვნა მოწყენილმა ხმამ, თუმცა მაშინვე დადუმდა. ფუტკრის ხვედრმა საკუთარი მომავალი შეახსენა მათ.

— მოდი ვიმღეროთ, — წარმოთქვა ვიღაცამ და წამოიწყო პატრიოტული სიმღერა: „საკურაზე, მეომართა კბილაზე", რათა ნაღვლიანი ფიქრები გაეფანტა. ყველანი აჰყვნენ, მაგრამ ამ სიმღერაში ისმოდა სასოწარკვეთა, რომელსაც თავს ვერ დააღწევს კაცი.

2

ყოველივე ეს ხდებოდა 1945 წლის აპრილის დამლევს საზღვაო ავიაციის ერთ-ერთ ბაზაში, კიუსიუს სამხრეთ ნაწილში. ყმაწვილები იყვნენ კამიკაძეები,[1] რომლებიც გაეწვიათ მოსწავლეთა მობილიზაციის შესახებ ბრძანებულებით, ხოლო ქალიშვილები — შრომითი რაზმის სტუდენტები, რომლებსაც უნდა ეზრუნათ მფრინავებზე, სანამ ისინი უკანასკნელად საბრძოლო [illegible] გაფრინდებოდნენ.

ოკინავაზე უკვე გადმოსხდნენ ამერიკელთა ჯარები, და ჩვენი თვითმფრინავები თითქმის ყოველდღე მიფრინავდნენ ამ ბაზიდან მოწინააღმდეგის გემების გასანადგურებლად.

თვითმფრინავებზე შეიარაღება არ იყო. ოცდაათიანი წლების დრომოჭმული დრანდულეტები, რომლებსაც ბორტზე მხოლოდ 250-კილოგრამიანი ბომბი და მოწინააღმდეგემდე სამყოფი საწვავი ჰქონდათ, უკანასკნელად აფრინდებოდნენ და...

იმის შანსი, რომ მიზნამდე მიფრენილიყვნენ და ამერიკელთა სამხედრო გემი გაეტარნათ, დაახლოებით ისეთი იყო, როგორც ლატარიაშია ხოლმე. უმრავლესობა ამერიკელების ფხიზელ გამანადგურებელთა მსხვერპლი ხდებოდა ან ცუდი ამინდის გამო ზღვაში ცვიოდნენ. ის რამდენიმე იღბლიანი მფრინავი, რომლებსაც ამინდის არახელსაყრელი პირობები საშუალებას არ აძლევდათ დასახულ მიზნამდე მიეყვანათ მანქანა, იძულებით სხდებოდნენ ან უკან ბრუნდებოდნენ და ამით ერთ-ორი დღით იხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს.

1943 წლის პირველ დეკემბერს ტოკიოს ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტი ტომიო ოძაკივარგისად იქნა მიჩნეული და ფლოტში ჩაირიცხა. მან ითხოვა ფლოტში ჩაერიცხათ და არა არმიაში, რადგან არმიისკენ გული არ მიუწევდა. მას ბევრი რამ გაეგონა შინაგანი წესრიგის რაზმების ველურ თვითნებობაზე.

მას, სტუდენტს, ფრონტზე წასვლამ რომ მოუწია, განსაკუთრებული პროტესტი არ გამოუთქვამს.

ამ დროისათვის უკვე აიღეს მაკინი და ტარევა. ვითარება ფრონტებზე უკიდურესად დაძაბული იყო. დაჰკრა არნახული განსაცდელის ჟამმა, მთელი ხალხი აღდგა სამშობლოს დასაცავად და თავად განზე ხომ არ გადგებოდა. თავი იჩინა მასობრივი ჰიპნოზის მოქმედებამ. რითაც მთელი ერი აიყოლიეს მხედრიონის მეთაურებმა: მოვკვდებით, მაგრამ შურს ვიძიებთ სამშობლოსათვის, თავს შევწირავთ მშობლიურ ქვეყანას.

ოძაკი გაგზავნეს მეორე ფლოტში, რომელიც იოკოსუკის ნავსადგურში იყო დაბანაკებული. ოთხმოცდათოთხის თებერვალში საფრენოსნო სასწავლებლის კურსანტი გახდა, წარმატებით დაამთავრა, სამედიცინო კომისია გაიარა, საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა და ტუტიურაში, სამხედრო საზღვაო ძალების ავიორაზმში გაგზავნეს.

იქ მას ელოდა ცემა-ტყეპა, დაუსრულებელი სასჯელები და მხეცური წვრთნა, რომელიც თავისთავად, როგორც ეტყობა, გადარჩენის არავითარ შანსს არ უტოვებდა.

როცა ასე თუ ისე შეეგუა ფორმის ტანისამოსს, რომელიც ტომარასავით ეკიდა ტანზე, ყაზარმაში მოვიდა ინსტრუქტორი ლეიტენანტი, ტანკივით წამოწეული ლონიერი ყბით.

---

1. კამიკაძე — იაპონელი მფრინავი-თვითმკვლელი მეორე მსოფლიო ომში.

— ისმინოს ყველამ! — დაიღრიალა მან და ყბა კიდევ უფრო წამოსწია წინ. კარში ზრიალი მოილო შუშამ. ლეიტენანტს ხელში ჯოხი ეჭირა, რომელიც ბეისბოლის კეტის ოდენა იქნებოდა — დაახლოებით ერთი მეტრი. ჭუჭრუტანებივით თვალები ჰქონდა, ფართო სიფათთან შედარებით ძალზე წვრილი, რამ ულმობლად უელავდა. ლეიტენანტის გვარი იყო ჰიოდო. მოგვიანებით ოძაკიმ გაიგო, რომ პათოლოგიური სისასტიკისათვის, რითაც სუყვე[illegible]ლას ჰგვრიდა, ზურგს უკან კირპეის ეძახდნენ, რაც დაახლოებით „[illegible] სალდაფონს“ ნიშნავს.

— მაშ ასე, თქვენ ყველანი ლაწირაკები ხართ და გუშინდლამდე დედის კალთას არ შორდებოდით. ახლა კი მეზღვაურები ხართ, და მე თქვენ გაგაცნობთ თქვენს ახალ დამრიგებელს, რომელიც დედის მაგივრად შეგიყვარებთ და მოგეფერებათ.

ჰიოდომ მკერდი გამობურცა, თვალები სატევრებივით უელავდა.

— გულისყურით მისმინეთ!

რომ დარწმუნდა, ყველა მისმენსო, ჰიოდომ მათ აჩვენა ჯოხი, რომელზედაც რაღაც წარწერა იყო გაკეთებული.

— ეი, შენ, — ჰიოდომ ოძაკიზე მიუთითა, სხვებზე ახლოს რომ იდგა. ოძაკიმ მაშინვე ვერ მოიფიქრა, რას თხოვდნენ, და ჰკითხა: „რა?“, ისე რომ არც განძრეულა.

— ეგ „რა“ რაღა ჯანდაბაა? — გაცეცხლდა ინსტრუქტორი. — წესდების მიხედვით მიპასუხე.

— არის!

— არ მესმის, ხმამაღლა!

— არის!

— როცა გამოგიძახებ, ნაბიჯი წინ გადმოდგი.

— არის!

— წაიკითხე, ჯოხზე რა სწერია.

— „იმპერიის ფლოტის ყოჩაღი მეზღვაურის აღზრდის იარაღი“.

— დიახ, ეს დიდად პატივცემული იარაღი ამ დღიდან და ამ წუთიდან იქნება თქვენი მოყვარული მფარველი და დამრიგებელი. აი რა გექნებათ ახლა დედის კალთის მაგივრად. აი ვინ გამოიყვანს თქვენგან, ლაწირაკებისაგან, ნამდვილ მეზღვაურებს. სთხოვეთ, როგორც წესი და რიგია, ამის შესახებ!

— არის!

— გაიმეორეთ ჩემთან ერთად: ყოჩაღი მეზღვაურის აღსაზრდელო დიდად პატივცემულო იარაღო, კეთილი ინებეთ, რაც შეიძლება მალე აღმზარდეთ იმპერიის ფლოტის ნამდვილ მეზღვაურად. აბა, ერთი-ორი-სამი!

— . . .

— არ მესმის, ერთხელ კიდევ.

მიუხედავად ამ ბალაგანის საოცარი უაზრობისა, ახალწვეულები იძულებული იყვნენ ჰიოდოს კვალდაკვალ მორჩილად გაემეორებინათ სულელური სიტყვები.

— კარგი. ახლა სხვა საქმე. დიდად პატივცემული იარაღი კმაყოფილია. ახლა იგი ინებებს მოგეფეროთ. სწორ-დით! ხელები ასწიეთ! საჯდომები გამოსწიეთ!

პირველი ოძაკის მოხვდა უკანალზე დარტყმა, რომ უნდა. ისეთი იყო იარაღთან გაცნობა არასასიამოვნო გამოდგა. აუტანელმა ტკივილმა თითქოს მთელ ხერხემალში დაუარა. თვალთ დაუბნელდა. ჩალურჯებული ადგილი მე-

ორე დღესაც აჩნდა, მაგრამ სულ მალე სხვა ჩალურჯებულებს შორის დაიკარგა.

თურმე ჯერ სად იყო!

ეკიპაჟი თოთხმეტი-თხუთმეტი კაცია. ოთხმოცი ეკიპაჟი რაზმს შეადგენს. მომზადება ისეა ორგანიზებული, რომ ეკიპაჟები ერთმანეთს ეჯიბრებიან. თუ ეკიპაჟი დამარცხდა, პასუხს მეთაური აგებს. სწორედ მასში იზრდებიან ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები.

არმიაში ყველაფერი თავის გადარჩენის ინსტინქტსა და საზრიანობას ემყარება. საქმე იმას მიუდის კარგად, ვისაც მეტი საზრიანობა აქვს და ვინც იერარქიის უმკაცრეს კანონს უფრო სწრაფად აითვისებს. უმკაცრესი კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ინდივიდუალურობათა უსაზღვრო მრავალგვარობა ჩატეულია წოდებისა და წყობის მკაცრ ჩარჩოებში, სადაც განუყოფლად ბატონობს ბრძანება. ბრძანების შეუსრულებლობაზე ფიქრიც კი შეუძლებელია· იდეურ უთანხმოებას, პირად მისწრაფებასა და ტანჯვას — ყოველივე ამას ბრძანება ფეხქვეშ ქელავს და მიწასთან ასწორებს.

რაც უფრო მალე ჩასვამ შენს თავს წოდებებისა და ბრძანებების არაადამიანური სისტემის ყალიბში და საკუთარი პიროვნების ნაწიბურებს ჩამოასწორებ, მით უფრო ნაკლებ გაგაწამებენ სასჯელებით.

სამხედრო სასჯელი უკვე თავისი სახელწოდებით გულისხმობს, რომ ადამიანს რაღაცისთვის სჯიან, რაღაცასართმევენ, აჭრიან. მას თანასწორ მოქალაქეთა საზოგადოებაში შეიძლება ჰქონდეს რაღაც პირადი, იერარქიულ სტრუქტურაში კი პირადი არ უნდა არსებობდეს. ამიტომ კარგი ჯარისკაცი ხდება ის, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა არა აქვს, რომელიც სხვაზე იოლად ეგუება ტოტალიტარულ ორგანიზაციის, რასაც არმია ჰქვია. კარგი ჯარისკაცი — ესაა ადამიანი, რომელიც მზად არის უყოყმანოდ მოკვდეს რაღაც მთლიანის ინტერესებისათვის, მთლიანისა, რომლის მცირე ნაწილსაც თვითონ წარმოადგენს. ეს, უბრალოდ რომ ვთქვათ, არის „ბრძანებების შემსრულებელი მანქანა“.

მეორე დღიდან დაიწყო უმოწყალო წვრთნა, რომელიც მოწოდებული იყო კარგ ჯარისკაცებად გადაექცია გუშინდელი სტუდენტები, რომლებიც თავისი ნების საწინააღმდეგოდ მოსწყვიტეს აკადემიურ გარემოს.

წვრთნა ემყარებოდა დაშინებას, ურომლისოდაც ადამიანს მანქანად ვერ აქცევ.

პირველ ყოვლისა ახალწვეულებს გამოუცხადეს: ყველანი ერთჯერადი გამოყენების ხარახურა ხართო.

ავიამზიდიდან ინსტრუქტორი მოვიდა და მათ უთხრა: „ნუ გგონიათ, რომ პირველხარისხოვანი მფრინავები გამოხვალთ. თქვენ ერთი რამ მოგეთხოვებათ: აფრინდეთ ბომბთან ერთად. მოწინააღმდეგის გემებამდე ჩვენ მიგაცილებთ, ხოლო მათში შეჭრა და აფეთქება იოლი საქმეა. მადლობა თქვით, რომ წილად გხვდათ ასეთი სამსახური გაუწიოთ სამშობლოს“. ინსტრუქტორი ავიამზიდ „აკაგის“ მფრინავი გახლდათ; იგი ბრძოლაში დასახიჩრდა, ნაპირზე სამსახურისთვის ჩამოწერეს და სულ იმას ჩიოდა, რატომ ჩემს ამხანაგებთან ერთად არ დავიღუპეო; ამიტომაც მეცადინეობებზე მხეცურად იქცეოდა.

ამ დროისათვის ვითარება წყნარ ოკეანეზე კრიტიკული გახდა იაპონიისათვის. უმაღლეს სამხედრო წრეებში შეიქმნა აზრი, რომ ერთადერთი გამოსავალი მდგომარეობიდან — ესაა „საგანგებო საბრძოლო ოპერაციებზე“ გადასვლა პრინციპით „ერთი თვითმფრინავით ერთი გემი“. იაპონელი მფრინავები

ადრეც ტარნავდნენ მოწინააღმდეგის გემებს. მაგრამ ეს მაშინ ხდებოდა, როცა თვითმფრინავი დაზიანებული იყო და მფრინავს გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდა, ამიტომაც მტერსაც საიქიოში მიათრევდა.

მაგრამ გემების ორგანიზებული გატარება, როცა შენი თვითმფრინავი /საჟსებით მოწესრიგებულია და შენ თვითონ იქცევი ბომბად — ასეთი რამ ომების ისტორიაში აქამდე არ ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისმიერ, ყველაზე სასტიკ ომში ყოველთვის რჩება თავის ხსნის რაღაც შესაძლებლობა. მაგრამ „საგანგებო საბრძოლო ოპერაციებში" ასეთი შესაძლებლობა იმთავითვე გამოირიცხა. ასეთი ოპერაციებისათვის ნიადაგიც მზად იყო: სწორედ ასეთ მეცადინეობებზე იქმნებოდა იგი.

დრო, როცა საჰაერო ასები ბრწყინვალედ ებრძოდნენ მოწინააღმდეგეს ერთი ერთზე, დიდი ხანია წავიდა. ახლა მათ ასწავლიდნენ მხოლოდ ზღვის თავზე მომცელავ ფრენას და 20-კილოგრამიანი ბომბით პიკირებას. საზღვაო ავიაციის „შთამომავლობით ოსტატობასაც" კი არ ასწავლიდნენ — ავიამზიდზე თვითმფრინავის დასმის ჩვევების შესაძენად. მფრინავებს კი არ ამზადებდნენ, არამედ ერთჯერადი გამოყენების ხარახურას.

ამიტომ დღე არ გავიდოდა, რომ ამ ბიჭებიდან ვინმე არ მომკვდარიყო ან დაჭრილიყო; მათ ხომ თვითმფრინავის მოწყობილობაც არ იცოდნენ ხეირიანად.

პიკირების დროს გამოცდილ მფრინავებსაც კი არ ემორჩილებოდათ საჭე. ზოგი მათგანი მანქანის გასწორებას ვერ ასწრებდა და ზღვაში ვარდებოდა, ზოგი კიდევ უხეიროდ დასვამდა თვითმფრინავს და თვითონაც იღუპებოდა.

ვინც დაიღუპა — დაიღუპა, მაგრამ ვინც მხოლოდ დაიჭრა, სასტიკი სასჯელი ელოდა.

„ავარიებს აწყობთ? არამზადებო, უქნარებო, მესაბოტაჟეებო!" — რაღაც მხეცური კმაყოფილებით ღრიალებდა ამ შემთხვევაში ჰიოდო, თითქოს მტაცებელია და მსხვერპლის წამებით გული უნდა იჯეროსო.

ჰიოდოს, რომელსაც საზღვაო ქვეითთა სასწავლებელი დაემთავრებინა, კურსანტები მოსისხლე მტრებივით სძულდა. ფლოტის საკადრო ოფიცრები ვერ იტანდნენ ოფიცერ-რეზერვისტებს, რომლებსაც სამხედრო სასწავლებელი არ ჰქონდათ დამთავრებული და მხოლოდ მოკლევადიანი მომზადება გაევლოთ. მათ ეს გუშინდელი კურსანტები ოფიცრებად არ მიაჩნდათ.

საკვირველი არ არის, რომ ჰიოდო რაც შეეძლო აბუჩად იგდებდა კურსანტებს. ერთხელ ოძაკიმ ცუდად დასვა სასწავლო მანქანა და მას შასი გაუტყდა. მანქანას თავისი დრო მოეჭამა და გადასაგდები იყო, მაგრამ არავითარი თავის მართლებას არ გადიოდა. ასეთი იყო იაპონელთა არმია.

— თვითონ საღ-სალამათი დაბრუნდი. გიხარია ხომ? — წვრილი თვალები დააკვესა ჰიოდომ. ოძაკი რაღაც სასწაულით გადარჩა, მხოლოდ ხელი გადაიყვლიფა. ჰიოდოს საგანგებოდ თავშეკავებული ტონი კარგს არაფერს უქადდა.

— დამნაშავე ვარ, — ნებისმიერი პასუხი, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა. — მზად ვარ სასჯელისათვის.

— არა, ბატონო, შენ მე ნუ მთხოვ პატიებას. შენ მისი უდიდებულესობის თვითმფრინავი დაამტვრიე. ჰოდა, პატიებაც მის უდიდებულესობას იმპერატორს სთხოვე.

— კი მაგრამ....

— გაჩუმდი! რა „მაგრამ" გინდა კიდევ? დაე დიდად პატივცემულმა ბა-

ტონმა იაროლმა აგიხსნას, როგორ ხდება ეს, — ჰოიდომ მასხარასავით ყურზე მიიდო თავისი ჯოხი.

— რა სირცხვილია! გაიფუჭო შენი საიმპერატორო უდიდებულესობის ძვირფასი თვითმფრინავი! ყველას მართებს ბატონი იაროლის [illegible] აღმზრდელობითი ზემოქმედება მოახდინოს დამნაშავეზე ჩვენებით — ჰოიდომ თეატრალურად დახარა თავი იმის ნიშნად, რომ ინსტრუქცია [illegible] შესასრულებლად, და ბრძანება გასცა: — ერთ მწკრივად მოეწყვეთ! გესმით, რა ბრძანა ბატონმა იარალმა? მაშ ასე, ახლა კურსანტ ოძაკისაგან ჩვენებით გამოიყვანთ კარგ მეზღვაურს. ვინც არ გამოავლენს სათანადო გულმოდგინებას, იმას თვითონ, ზე-ზე, მოვეფერები, თითო-თითო მოახლოვდით!

კურსანტები დაიბნენ, ადგილიდან დაძვრას ვერ ბედავდნენ. მაშინ მათ ჰოიდო გალახავდათ, შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, თვალის ასახვევად ეცემათ, მაგრამ ჰოიდო იქვე იდგა და თავის სამზერ-სატევრებს აკვესებდა. ხერხი უნდა ეხმარათ და წიხლი ისე უნდა ამოეკრათ, რომ ლითონის ნილით არ შეხებოდნენ — მხოლოდ ეს შეეძლოთ ამხანაგებს ოძაკისათვის გაეკეთებინათ.

ჩვენის პირველი დარტყმისაგან ოძაკის თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა, ბოლო დარტყმისას კი უგრძნობლად დაეცა ძირს.

მთელ საღამოს უხურდა დასიებული ტუჩები, ლორის ბიფშტექსიც და ერბო-კვერცხიც, იმ დროს იშვიათობად რომ ითვლებოდა, არ გადაუვიდა ყელში. ღამით სიცხემ აუწია, დაეწყო სიბრძნის კბილის ანთება. ეს კბილი ადრეც მორყეული ჰქონდა, ასეთი „სასჯელის" შემდეგ ხომ სულ მოეღო ბოლო.

მაგრამ სასჯელი იაპონელთა არმიაში ფიზიკური ტკივილის მიყენებით როდი ამოიწურებოდა. „ერთჯერადი გამოყენების ხარახურა": გაწვევის წითელ უწყებებს რომ შეიქუჩებენა, დამცირებასა და აბუჩად აგდებას განიცდიდა.

როცა სასწავლო გაფრენები დაიწყო, კურსანტებს აუხსნეს, რომ გაფრენის წინ რაზმის უფროსს უნდა მოახსენო: „კურსანტი ესა და ეს იწყებს საწვრთნელ ფრენას აფრენისა და დაჯდომის ჩვევების გამოსამუშავებლად". ამ ფრაზას, რომელიც ენის გასატეხს უფრო ჰგავდა, თავიდანვე ყველა როდი გამოთქვამდა უშეცდომოდ და მკაფიოდ. ერთმა კურსანტმა, გვარად იამაოკამ, ეს ფრაზა ვერა და ვერ გამოთქვა: წარმოშობით ტოჰოკოდან იყო, სადაც განსაკუთრებულ დიალექტზე ლაპარაკობდნენ. მეცადინეობის დამთავრებისას, როცა ყველანი სასადილოში შეყარეს, იგი ჰოიდომ შეაჩერა:

— ყალთაბანდობ, არამზადავ?

იამაოკა შეცბა, ვერ მიხვდა, რისთვისაც შეუტიეს ასე.

— კორიდორში დადექი და ათასჯერ თქვი: „კურსანტი იამაოკა იწყებს საწვრთნელ ფრენას აფრენისა და დაჯდომის ჩვევების გამოსამუშავებლად".

— რა?

— აბა, სწრაფად!

კურსანტი ძლივს გადაურჩა ჯოხს და კორიდორში გაიქცა. გვერდით ჩაუარეს ამხანაგებმა, რომლებიც სასადილოსკენ მიიჩქაროდნენ, ის კი იდგა და მოხსენების ფორმულას იმეორებდა. კინაღამ ენა მოიტეხა, დაქანცულობისა და შიმშილისაგან მუხლები მოეკვეთა. ერთხანს ითვლიდა, მერე კი საბოლოოდ აერია.

9

სასადილოდან გამორეკილი კურსანტები თვალს არიდებდნენ, ეცოდებოდათ, მაგრამ რა ექნათ, რითი ეშველათ?

ყველაზე უარესი კი მას შემდეგ მოხდა, როცა ფლოტში „ჭრიჭინობლობა“ დაიწყო. აგაძვრენენ ყაზარმის ბოძზე და გაჭრიჭინებენ. ჭრიჭინობლები, როგორც ცნობილია, სხვადასხვანაირები არიან, ყველა თავისებურად ჭრიჭინებს. ახლა ასე იჭრიჭინე, გეუბნებიან ისინი, ახლა კი ასე. თანდათანობით ხელები გიბუჟდება და ბოლოს ძირს ვარდები. ვინ გითხრა, ჩამოდიო? — შემოგძახებიან და იწყება ჯოხის ტრიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი ახლა, გეყო ჭრიჭინი. ახლა ჭრიჭინობელამ მოფსას.

— რა ?

— შიდი და ჭრიჭინობელასავით გადმოაფსი, გაიგე?

კი მაგრამ, როგორ შეძლებ ამას, თუ ხელ-ფეხი დაკავებული გაქვს? ოდესღაც სამხედრო წვრთნას მართლაც ჰქონდა რაღაც გონივრული აზრი. წვრთნა იყო „სიყვარულის მათრახი“, ურომლისოდაც გამობრძმედილი ჯარისკაცი არ გაიზრდება. მაგრამ რაც უფრო აშკარა ხდებოდა ომში დამარცხების პერსპექტივა, მით უფრო ხუნდებოდა მითი „იმპერატორის უძლეველ არმიაზე“, მით უფრო ფართოდ ვრცელდებოდა უკმაყოფილება პირად შემადგენლობაში. მღელვარება და დაბნეულობა, თუ რით დასრულდებოდა ომი, გულში უნდა ჩაგეკლა და ისტერიული ფორმით გეძია შური იმ შენს ხელქვეით ადამიანებზე, რომლებიც რკინისებური დისციპლინით იყვნენ შებოჭილნი და არ შეეძლოთ საკადრისი პასუხი გაეცათ შენთვის. მაშასადამე, მებრძოლი სულისკვეთების აღზრდის საბაბით, როგორც გნებავდა, ისე აბურთავებდი.

დეკემბერში იძაკომ, ისევე როგორც ყველა მისმა ამხანაგმა, უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო. ვითარება ფრონტზე სულ უფრო უარესდებოდა. სექტემბერში გაანადგურეს გუამი და ტინიანი. ოცდახუთ ოქტომბერს იმ იმედით, რომ ერთბაშად შეცვლიდნენ მდგომარეობას იაპონიის სასარგებლოდ, მფრინავ-კამიკაძეთა რგოლმა კაპიტან სეკის მეთაურობით შეუტია ამერიკელთა ავიამზიდებს კუნძულ ლეიტის მახლობლად. მფრინავები დაიღუპნენ, ხუთმა თვითმფრინავმა ოთხი ავიამზიდი გაანადგურა. არც ერთი მფრინავი მიზანს არ გასცდენია. ამ ბრწყინვალე წარმატებამ პირი მოუკუპრა „საგანგებო საბრძოლო ოპერაციების“ მოწინააღმდეგეებს და დასაბამი მისცა კამიკაძეების მასობრივ გაფრენებს, რომლებიც მიჩნეულია ისტორიაში ყველაზე დიდ სამხედრო აქციად და დაფუძნებული იყო ომის წარმოების არაჰუმანურ მეთოდებზე.

ამ პირველი „საგანგებო ოპერაციის“ შედეგებით აღფრთოვანებული მხედრიონი შეუდგა ასეთი ოპერაციების დიდი მასშტაბებით განხორციელებას: 1945 წლის ხუთ იანვარს კამიკაძეებმა შეასრულეს 424 გაფრენა ფილიპინებზე, დაიკარგა 249 თვითმფრინავი. მაგრამ რამდენადმე მნიშვნელოვანი წარმატება ერთხელაც არ განმეორებულა.

ეფექტი იმდენად მატერიალური არ აღმოჩნდა, რამდენადაც ფსიქოლოგიური. ბრძოლის ამ არაადამიანურმა ხერხმა შიშისმომგვრელი ზემოქმედება მოახდინა ამერიკელებზე. გაიგონებდნენ თუ არა, კამიკაძეები მოფრინავენო, აკანკალდებოდნენ. სწორედ ამ ეფექტზე ამყარებდა მხედრიონი იმედს მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ ისინი დიდ მატერიალურ ზარალს არ მიაყენებდნენ მოწინააღმდეგეს.

და კიდევ ერთი ეფექტი: კაპიტან სეკისა და მისი ამხანაგების უკანასკნელ გაფრენას ხოტბა შეასხეს, მფრინავ-თვითმკვლელებს მიანიჭეს ეპითეტი „კამიკაძე“ ანუ „ღვთაებრივი გრიგალი“, რომელსაც „ღმერთების ქვეყანა“ უნდა გადაერჩინა. მფრინავი-თვითმკვლელები გამოაცხადეს მოვალეობისადმი ერთ-

გულების ეტალონად და ამიტომ, რომ მათი ხსოვნა საუკუნეებს გადაეცემოდა და ის სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მაგალითით აღფრთოვანებული ახალგაზრდები მფრინავ-თვითმკვლელებად ეწერებოდნენ. „მოხალისეები იმდენი აღმოჩნდნენ, რომ თვითმფრინავები არ ჰყოფნიდათ. „საგანგებო ოპერაციებმა" მთელი იაპონელი ხალხი აამოძრავა და ხელი შეუწყო საყოველთაო გამბედაობის განმტკიცებას: — ებრძოლეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინაც კი, როცა ამერიკელებმა კამიკაძეებისაგან თავდაცვა ისწავლეს და ძალთა თანაფარდობა მათ სასარგებლოდ შეიცვალა, როცა მფრინავ-თვითმკვლელთა უმრავლესობას მოწინააღმდეგის გამანადგურებლები ძირს აგდებდნენ და ვერც ერთი მათგანი ვერ აღწევდა მიზანს — მაშინაც კი იაპონიის ხელისუფლება განაგრძობდა მაღალფარდოვანი სიტყვებით ხოტბის შესხმას „საგანგებო ოპერაციებისათვის", რომლებსაც, როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე ეჭიდებოდა.

მაგალითად, აცხადებდნენ: „ჩვენ, იამატოს ხალხის შვილებს, ოდითგანვე ხალხის ტრადიციად გვაქვს სიკვდილი და უშიშრად ვეწირებით მას სამშობლოსათვის"; „თვითმფრინავები, რომლებიც მოწინააღმდეგის გემებს აცხრებიან, ესაა იაპონური სულისკვეთების განსახიერება და უზომო ძალის იარაღი"; „სულის სიძლიერის წყალობით ჩვენ ჩავძირავთ მტრის გემებს და მოვიპოვებთ გამარჯვებას". ერთი სიტყვით, ყოველივე მაღალფარდოვანი და რეალურად დაუსაბუთებელი საბრძოლო ყიჟინა, რომელიც მფრინავ-თვითმკვლელთა რიგებში იწვევდა გამოუცდელ ახალგაზრდებს.

მარტის ბოლოს მოვიდა ბრძოლიდან დაბრუნებული რაზმის მეთაური კაპიტანი ტამი.

— მოწინააღმდეგის მოწინავე ნაწილები უახლოვდებიან ოკინავას. მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. სამშობლოს არნახული საფრთხე ემუქრება. ამ საფრთხის აცილება არ შეუძლიათ არც მინისტრებს, არც მხედართმთავრებს, არც გენერლებს. ეს შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ახალგაზრდებს, როგორიცა ხართ თქვენ, ერთგულნი, მგზნებარენი, სულით და ხორცით ჯანსაღნი. თუ თქვენ სამშობლოს ერთგულებით, იგი გადარჩება და გაიმარჯვებს. რომელ თქვენგანს სურს გასწიროს თავი ჩვენი დიდებული სამშობლოს გადასარჩენად? მოხალისენო, ნაბიჯი წინ!

მეთაური დაძაბულად ლაპარაკობდა, მძიმედ წარმოთქვამდა ყოველ სიტყვას, მაგრამ როცა ლაპარაკი დაამთავრა, დაძაბულობა განელდა. ვიღაცა შეინძრა, ეტყობა გადაწყვიტა, რომ ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო. მაშინ მთელმა მწკრივმა ერთბაშად წადგა ფეხი.

— გმადლობთ, — თქვა მეთაურმა. ეტყობა, კმაყოფილი იყო. — თქვენი იმედები არ შემცდარა, მაგრამ მიხარია და ვამაყობ, რომ თქვენ შორის არც ერთი მხდალი არ გამოდგა. მაშ მშვიდად გაუდექით გზას. ჩვენ ვიზრუნებთ, რომ თქვენი სახელები მრავალ საუკუნეებს შემორჩეთ.

ასეთი სიტყვების შემდეგ იმათთვისაც კი, ვისაც „საგანგებო ოპერაციების" მიზანშეწონილობაში ეჭვი ეპარებოდა, სხვა უკანდასახევი გზა აღარ იყო.

ომის შემდეგ კამიკაძეების ნებაყოფლობით მიდიოდნენ თვითმკვლელები თუ იძულებით, ფორმალურად ეს თავისუფალი ნების გამოხატვა იყო, მაგრამ იმ პირობებში, როცა კამიკაძეები იამატოს სულის განმასახიერებლად ითვლებოდნენ და სიხარულით ლექსებს უძღვნიდნენ, უარის თქმა გაუბედაობას და ფარისევლობას ნიშნავდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ოძაკი კიუსიუს სამხრეთ ნაწილში განლაგებულ „სავანგებო ოპერაციების" ბაზაში გაგზავნეს.

2

ყანოის ბაზა ოსუმის ნახევარკუნძულზე კაგოსიმის [illegible] [illegible] და [illegible] დაცვის მიზნით [illegible] [illegible] ბაზად" იხსენიებოდა. კაგოსიმის ყურის მეორე მხარეს, სიცუმის ნახევარკუნძულზე განლაგებული იყო თვითმკვლელთა კიდევ ერთი ბაზა.

სწორედ აქეთ გზავნიდნენ ახლადგამომცხვარ კამიკაძეებს, რომლებიც „სავანგებო ოპერაციებისათვის" ნაუცბათევად მოამზადებინათ. ზოგ მათგანს თვითმფრინავის ტარების ჩვიდმეტსაათიანი კურსის მოსმენა მოესწრო მხოლოდ.

ჰოთდო ბაზაში ერთი ადრე მოვიდა და კვლავ მათ დაადგა თავზე. „ბუსი" ტიპის მანქანები, რომლებიც „სავანგებო ოპერაციებისათვის" იყო განკუთვნილი, არ ჰყოფნიდათ, მათ მაგივრად გზავნიდნენ [illegible] ძველმანს — [illegible], რაც შემორჩენოდათ, სადაზვერვო და [illegible] თვითმფრინავების ჩათვლით.

ამ დროისთვის ყოფილ კურსანტებს შორის [illegible] სწავლა, მაგრამ სამშობლოს დასაცავად თავის გაწირვა [illegible] [illegible] მაგრამ რა გაეწყობა!

საფრენოსნო სასწავლებლიდან მოსულ [illegible] სტუდენტებისაგან განსხვავებით, [illegible] [illegible] ლოდნენ [illegible] რომ [illegible] არც ერთ მათგანს არ მიაჩნდა, რომ [illegible] თავის ვალდებულებას ასრულებენ და სამშობლოსათვის [illegible] და [illegible].

ამ ბიჭებმა ჩვეულებრივ არ იცოდნენ, რა იყო [illegible] და ტანკი, [illegible] ინსტრუქტორ მფრინავებს სჯეროდათ [illegible] [illegible] სამხედრო მფრინავები გამოსცდილიყვნენ და [illegible] [illegible]. ისინი არ იმეორებდნენ [illegible] [illegible] ნაკლებ ტრაგიკული იქნებოდა მათი ხვედრი?

გაფრენები ყოველდღე იყო. ბაზა ცარიელდებოდა. მაგრამ [illegible] მეორე დღეს ჩამოდიოდა კამიკაძეების ახალი ჯგუფი და [illegible] [illegible] სიკვდილის ამ კურსებზე ჩარიცხვიდან [illegible].

[illegible] [illegible] სიმღერა, [illegible] [illegible] [illegible] ისინი [illegible] [illegible] იყო.

გაფრენის წინადღით შეიძლება [illegible] [illegible] რომ [illegible] [illegible] [illegible] ჩვეულებრივად [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

ახლა აქ [illegible] ჩვეულებრივი თვითმკვლელები [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

მე, ხან საფრენი ამინდი არ იყო — მოკლედ, ისინი დაბრუნდნენ. ზოგიერთი მესამედ თუ წეროხედ დაბრუნდა.

მაგრამ თუკი გამოსათხოვარი ფინჯანი საკე მოგართვეს და სამარადისო დიდების გზას გაგიყენეს, უფლება აღარა გაქვს ცოცხალი დაბრუნდე, რაც არ უნდა მოხდეს. როცა „საგანგებო ოპერაციები" მიჩნეულ იქნა ქამიკაძეების მიერ უკანასკნელ საომარ საშუალებად, იგულისხმებოდა, რომ [illegible] დამოუკიდებლად, შეასრულა თუ არა ამოცანა, თვითმკვლელი უნდა დაიღუპოს. იმას, ვინც სირცხვილი ჭამა და ცოცხალი დაბრუნდა, ისე უყურებდნენ, როგორც თავქარიანს და ლაჩარს, ვინც დაივიწყა მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

— რა ჩვენი ბრალია, რომ ცოცხლები ვართ, — ჩიოდნენ ამგვარი უიღბლონი. — ჯერ ისეთი მანქანა მომეცი, რომ ფრენა შეეძლოს, და თავის გაწირვა მერე მომთხოვე.

— მე კი უეცრად მომივიდა თავში, — ჩუმად აღიარა ვიდაცამ, — რა იქნება ავდგე და ჩემი ბომბით პირდაპირ შტაბს დავაცხრე?

საწყლები აშკარად სიკვდილს ეძებდნენ. რცხვენოდათ, ბაზის მუდმივად განახლებულ მოსახლეებში ძველი მცხოვრებნი რომ რჩებოდნენ. არმია არმიაა, წესრიგი ყველასათვის ერთია, თავჩაკიდული ყოფნა სასიამოვნო არ არის.

მხოლოდ შრომითი რაზმის სტუდენტი ქალები ეპყრობოდნენ მათ კარგად, რადგან ხედებოდნენ, როგორ უჭირდათ. შეეთვისნენ კიდეც: დანარჩენები რომ, ბრუნდებოდნენ თუ არა, მაშინვე მიდიოდნენ, ესენი კი ძველი ნაცნობები იყვნენ.

— ოძაკი, აი თურმე სად ყოფილხარ! — შეეხმიანა უმცროსი ლეიტენანტი იამაოკა, აი ის, „ავიტრენინგისა და დაჯდომის ჩვევების გამოსამუშავებლად" რომ ვერ წარმოთქვა.

— რაღაც არ მემღერება.

იამაოკამ თავი დააქნია და გვერდით მოუჯდა. ერთხანს ორივენი შორეთში იცქირებოდნენ.

— ომი რომ არა, მღვდელი გავხდებოდი, — ძლივს გასაგონად თქვა იამაოკამ. — მამას შევენაცვლებოდი.

— მახსოვს, რომ მითხარი, მამაჩემი ტაძრის წინამძღვარიაო. — ოძაკის გაახსენდა, რომ იამაოკა ძიოდოს სექტის მღვდლის შვილი იყო და ბუდისტურ უნივერსიტეტში სწავლობდა, საიდანაც გაიწვიეს.

— ჰო, მრევლი ასიოდე ოჯახია. სულ ღარიბი გლეხები არიან, ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია, როგორ ვცხოვრობდით. მამაჩემი თან გლეხიცაა. სწორედ ახლა გაცხარებული მინდვრის სამუშაოებია... — ალბათ იამაოკამ მშობლიური ადგილები წარმოიდგინა. ეგებ იმაზე ფიქრობდა, რომ ცა საერთოა, ერთი და იგივე ცა ახურავს ამ ბაზასაც და მშობლიურ სოფელსაც, იმ ადგილსაც, სადაც იგი დაიღუპება. — შენ ტოკიოდან ხარ, არა?

— ტოკიოდან. მამაჩემს პატარა სასტუმრო აქვს ჰონგოს რაიონში.

— ამბობენ, იქაურობა ძლიერ დაბომბესო.

— საქმეც ეგ არის. მე ისე ვშიშობ მათზე. ალბათ დიდი ხანია დაიწვა ყველაფერი.

— რა, ცნობები არ არის?

— აბა საიდან! ჩვენებმა ხომ არ იციან, აქ რომ ვარ.

ახლობლებთან მიმოწერას უკრძალავდნენ. მიაჩნდათ, რომ მიმოწერა სამხედრო საიდუმლოს გამჟღავნებას გამოიწვევდა. სინამდვილეში ხელისუფლებას ეშინოდა, ვაითუ ხალხმა გაიგოს, რა ვითარებაა ფრონტზე.

— მე მალულად გავუგზავნე ტელეგრამა მამაჩემს. თუ ბილეთი იშოვა მატარებელზე, ჩამოვა და მინახულებს. ალბათ ხვალ.

— ყოჩაღი ხარ, თუ გაიგეს, ცუდად წაგივა საქმე. ამ საქმეს ჟანდარმერიის სუნი უდის.

— სულ ერთია, დაღუპვა არ ამცდება, რა გაეწყობა. თანაც მამაჩემს აუცილებლად უნდა გავაცნო ერთი ვინმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ფუსაე-სანი?

— ჰო, — უხერხულად გაიღიმა იამაოკამ. ფუსაე იყო სტუდენტი ქალი შრომითი რაზმიდან, იამაოკა გაეცნო, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და გადაწყვიტეს მთელი სიცოცხლე ერთად ყოფილიყვნენ. ეს მარტო ოძაკიმ იცოდა. როცა იამაოკამ ხვაშიადი გაანდო, გაოცდა, მთელი სიცოცხლე ერთად! სიცოცხლე კი არ იქნება.

— თუმცა არა. თუნდაც ერთი დღე, თუნდაც ერთი საათი, მაგრამ მაინც ხომ სიცოცხლეა. ჩვენ ჯერ ცოცხლები ვართ და არ არის ისეთი კანონი, რომ გოგოების სიყვარული არ შეგვეძლოს.

— ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ სიკვდილი მაინც მოგვიწევს, სიკვდილს ვერ გაექცევი.

— ვინ იცის, ეგებ ხვალ ომი დამთავრდეს, — და იამაოკამ გაიღიმა, თითქოს რაღაცა ბოლომდე ვერ თქვაო.

იამაოკა სამჯერ გაფრინდა და სამჯერვე დაბრუნდა. ძრავამ უმტყუნა. მისი თვითმფრინავი, „96" ტიპის ძველი გამანადგურებელი, დიდი ხანია აღარაფრად ვარგოდა. ტვინს იჭყლეტდნენ მექანიკოსები, მაგრამ საწვავის ნორმალური მიწოდება არ ხერხდებოდა. იამაოკას მაინც იმედი ჰქონდა თავისი თვითმფრინავისა, ამბობდა:

— არ მიფრინავს, ადგილიდან არ იძვრის, ძალიან არ უნდა, რომ დავიღუპო. — და აი თურმე იამაოკას გადაუწყვეტია თავის მამას გააცნოს ფუსაე.

— თქვენ შორის მოხდა რამე? — ეტყობა, ოძაკი მიხვდა, რა იმალებოდა მეგობრის ბოლომდე უთქმელ სიტყვებში.

— იცი რა, ძვირო, უკვე.

— რა უკვე?

— ბავშვს ელოდება.

— კარგი ერთი! —ამის გაგონებას ოძაკი არაფრით არ ელოდა. ისინი ამ ბაზაში სულ რაღაც ერთ თვეს იყვნენ.

— ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ამბობს, თითქოს ასეა.

— რა უნდა ჰქნა ახლა?

— არ ვიცი, ექიმთან ჯერ არ ყოფილა.. მინდა მამაჩემს ვთხოვო, თუ ყველაფერი მართალი გამოდგა, მე კი აღარ ვიქენი, როგორმე მოეხმაროს.

— გასაგებია...

სიყვარული, რომელმაც ისეთ მიჯნაზე იფეთქა, სადაც არ არის მომავალი, ძვირად ფასობს. მაგრამ თუ მომავალი არ არის, შედეგები მაინც იქნება, ზუსტად ისეთი, როგორიც მშვიდობიან დროს. თანაც ფრიად სერიოზული.

— კარგი იქნება, მამა რომ მოასწრებდეს ჩამოსვლას.

— მოასწრებს, ნუ გეშინია. ეგებ შენმა თვითმფრინავმაც ცოტა კიდევ გაგიგრძელოს ვადა, — ოძაკი ხვდებოდა, რომ ეს ნაღვლიანი, მაგრამ მაინც ნუგეში იყო.

— არა, ახლა უკვე აღარ გამიგრძელებს, — თავი ჩაღუნა იამაოკამ, დაბრუნებულ, ვულჩათხრობილ პილოტთა შორის იამაოკა ერთადერთი გახლდათ.

ვისაც ისე ეჭირა თავი, ვითომდა არაფერი მომხდარიყოს და არც რამე დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, მის გვერდით თავისუფლად და მშვიდად გრძობდი თავს, დროებით ომიც გავიწყდებოდა. მარტოოდენ მას შეეძლო როგორღაც მხარში ამოსდგომოდა დანარჩენებს. და აი ახლა თითქოს [illegible] ჩრდილი გადაეფარა, ჩრდილი, რომელსაც ვერაფრით მოიშორებ.

— რატომ? თუ მანქანა წესრიგში არ არის ანდა [illegible], რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ დაბრუნდები. დაღუპვა ერთია, მაგრამ უაზროდ გაქრობა სულ სხვა საქმეა, ჩვენგან ამას როდი თხოულობენ.

— უფროსებს ასე არ მიაჩნიათ. მათ, გესმით, უნდათ დავიღუპოთ. მათთვის ეს ღირსების საკითხია. ნუთუ არ გაგიგონია, რა გადაწყვიტეს?

— არა. რა გადაწყვიტეს?

— შემდეგ მარტო ჩვენ გავფრინდებით, დაბრუნებულები. ყველას ჰიოდო დაგვიცავს.

— რას ამბობ? კიჰეი?

— დიახ, თვითონ. შტაბში ჩემი მიწაწყლის კაცი მსახურობს და იმან მოჰკრა ყური, თითქოს ასეთი ბრძანებაა: ვინც უკან დაბრუნდება, ჩამოაგდონ.

— თავისიანები ჩამოაგდონ? ეს როგორ? დამცველი ჩამოაგდებს? — განცვიფრდა ოძაკი. ცნობა არადამაჯერებლად ჟღერდა.

— კიჰეი ბრძანების გარეშე ჩამოაგდებს, შენ ხომ იცნობ მას. აქ ხომ ისეა ნათქვამი: დაგვიცავსო. ისინი კი არ გვიცავენ, გვითვალთვალებენ, რომ არ გავიქცეთ. თავად განსაჯე: როცა ამერიკელები თავს ესხმიან, ჩვენი დაცვა თავქუდმოგლეჯილი გარბის და მარტოდმარტო გვტოვებს.

— მაგრამ მაინც ეს რაღაც...

— კიჰეის ჭირივით ვძულვარო. არ მინდა მან ჩამომაგდოს. მირჩევნია თვითონვე ჩავეხეთქო ზღვაში.

— სისულელეს თავი დაანებე.

— კარგი — დავიღუპები. მაგრამ თუ ფუსაეს ჩემგან ბავშვი შეეძინება, რა მოუვა ორივეს მაშინ? აი რა არის საშიში. ასე რომ, აუცილებლად უნდა ვნახო მამაჩემი, და ფუსაეზე ვთხოვო.

— ნუ გეშინია, მოესწრები, — ამშვიდებდა ოძაკი ამხანაგს და მაინცდამაინც თვითონაც არ სჯეროდა, რასაც ამბობდა.

— ეი, რას შვრებით მანდ? — დანარჩენებს სიმღერა მობეზრდათ და განმარტოებით მსხდარ მეგობრებს შემოუერთდნენ. ფუსაეც აქ იყო.

მეორე დღეს საღამოს შტაბიდან ბრძანება მოვიდა:

„მოწინააღმდეგის ძალებმა, ერთი ავიამზიდის ჩათვლით, კურსი აიღეს ჩრდილოეთისაკენ და ორას კილომეტრზე არიან კიუსიუს სამხრეთით. აღმოაჩინეთ და გაანადგურეთ“.

შემდეგ ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ ოპერაცია დავალებული აქვს რაზმს თერთმეტი დაბრუნებულის შემადგენლობით, „ნულის“ ტიპის ხუთ მანქანაზე და „97“ ტიპის ექვს მანქანაზე. რაზმს ეძლევა კონტროლისა და დაცვის რგოლი „ნულის“ ტიპის სამი მანქანის შემადგენლობით, რომელსაც მეთაურობს ლეიტენანტი ჰიოდო. გაფრენა დანიშნული იყო დილის 5.30-ზე.

ღამით ყაზარმაში ოძაკიმ თქვა:

— აი ხარკის გადახდის დროც დადგა.

შუქი არ იყო, ყაზარმაში კონსერვის ქილისაგან დამზადებული ჭრაქი ენთო. მფრინავები თვალგახელილი იწვნენ და თავიანთ ჟამს ელოდნენ.

— ერთი რამ მინდა გთხოვო, — უთხრა იამაოკამ. ეტყობა, დიდხანს ფიქრობდა იმაზე, რის თქმასაც აპირებდა.

— რა?

— თუ ცოცხალი გადარჩი, გააცანი მამაჩემს ფუსაე.

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ ერთად მივფრინავთ. ჩემი თვითმფრინავიც წესრიგშია· უკან დაბრუნების საბაბი არ იქნება. თანაც სულ ერთია, [illegible] მაინც ჩამომაგდებს, თუკი ის ბრძანება მართლაც არსებობს.

— მაშ, ფიქრობ, ყველაფერი მორჩა, ხომ?

— საერთოდ შანსი არის. შესაძლოა საფრენი ამინდი არ იყოს. იმ ადგილებში ხშირია მთლიანი ღრუბლიანობა. კიჰეი ერთია, მაგრამ საავდრო ღრუბლებში ვერ გაფრინდები. თუ ხვალ ცოცხალი დაბრუნდი, მამაშენი გნახავს.

— არა, მორჩა, დავიღუპე. ვერავითარი ამინდი ვერ მიშველის. ჰიოდოს ვძულვარ.

იამაოკამ, ეტყობა, რაღაცა საბოლოოდ გადაწყვიტა. მაგრამ დილით ოძაკის საშუალება მიეცა დარწმუნებულიყო, რომ ამ გადაწყვეტილებაში სულ სხვა რამე იმალებოდა, ვიდრე თავიდან მოეჩვენა.

4

გათენდა დილა, და ჩამწკრივებული მანქანების პროპელერებიატრიალდნენ. ყოველ კაბინას ყვავილები ამშვენებდა: შრომითი რაზმის მექანიკოსებმა და გოგონებმა იზრუნეს. ასაფრენი მოედნის გასწვრივ იდგნენ ქვეითთა სამსახურის ოფიცრები და ჯარისკაცები, მექანიკოსები, ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებიც გმირთა გასაცილებლად მოსულიყვნენ. რაზმის მეთაურმა, ჩვეულებრივ, გზა დაულოცა მფრინავებს:

— დადგა ჟამი მსხვერპლად შევწიროთ სამშობლოს. თქვენ თავს წირავთ იმისათვის, რომ გაანადგუროთ მტერი. იცოდეთ, მარტო თქვენ არ მიდიხართ სასიკვდილოდ, ჩვენ ყველანი გამოგყვებით უკანასკნელ ჯარისკაცამდე. გულმშვიდად გაუდექით გზას.

გასაფრენად მზადყოფნი პირველად როდი ისმენდნენ ამ ფორმულას, ისეთებს კი, როგორიც იყო იამაოკა, გვარიანად მობეზრდათ კიდეც. ოღონდაც ახლა იცოდნენ: ეს უკვე საბოლოო გაფრენა იყო· ის ამბავი, რომ ლტოლვილები კიჰეის უნდა ჩამოეგდო, როგორღაც ყველასათვის ცნობილი შეიქნა. ახლა მათ დაბრუნება აღარ ეწერათ. განთიადის ცაზე სულ ორი-სამი ღრუბელი მიცურავდა. ამინდი უთუოდ და უიმედოდ საფრენი იყო. ოპერაციას არაფერი უშლიდა ხელს.

მფრინავებს საკეთი სავსე გამოსათხოვარი ფიალები მიართვეს. უცებ, ყველასათვის მოულოდნელად, ერთ-ერთი თვითმფრინავი აგუგუნდა და ასაფრენი მოედნისკენ გაემართა.

— ვინ არის იქ? — იკითხა შეფიქრიანებულმა პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა ოგურომ. პირველი უნდა გაფრენილიყო ლეიტენანტი ჰიოდო, მას კი თავისი საკე ჯერ არ დაელია.

განცვიფრებული მფრინავების თვალწინ თვითმფრინავმა საფრენი მოედნისკენ გაუხვია, ბრუნებს უმატა და ასაფრენად გაქანდა. ფუზელაჟქვეშ ბომბი მოუჩანდა, და ყველანი დარწმუნდნენ, რომ ეს დამცველი თვითმფრინავი კი არა, ერთ-ერთი თვითმკვლელის მანქანა იყო·

გამცილებლებმა მისალმების შეძახილები ატეხეს, ალმები და ქუდები აფრიალეს. მათ იფიქრეს, რომ გაფრენა უკვე დაიწყო.

ბომბით დატვირთული მანქანა ძლივძლიობით მიდიოდა და სულ უკანასკნელ წუთს ზოლის ბოლოს აფრინდა, „სავარეუბნო ოპერაციის" მონაწილე მფრინავებს ევალებოდათ აფრენის შემდეგ აეროდრომის თავზე ეტრიალათ დანარჩენების მოლოდინში და მერე ერთ მწკრივად გაფრენილიყვნენ. მაგრამ ამ თვითმფრინავმა ოდნავ შეარხია ფრთები და მაშინვე სამხრეთისაკენ გასწია. იქ, სადაც მიწას მოსწყდა, ჰაერში ისევ ტრიალებდნენ [illegible] საკურის ფურცლები, სულ ახლახან რომ ამშვენებდნენ მის კაბინას.

— ვინ არის ეს სულსწრაფი? — იკითხა პოლკოვნიკმა ოგურიმ, როცა გონს მოვიდა.

— უმცროსი ლეიტენანტი იამაოკა.

— იამაოკას მანქანა ხომ ეგერ დგას!

და უცებ ოძაკიმ შეამჩნია, რომ მისი მანქანა გაქრა. ესე იგი, იამაოკამ ოძაკის მანქანა გაიტაცა! ხოლო მას თავისი „ოთხმოცდამეთექვსმეტე", ეს ძველი, ყოვლად უმაქნისი ჯართი დაუტოვა!

რატომ ქნა ეს? პასუხმა დიდხანს არ დააყოვნა.

აფრენის ბრძანება რომ მიიღეს, თვითმფრინავები ზედიზედ ფრინდებოდნენ ჰაერში. მაგრამ თვითმფრინავმა, რომლითაც იამაოკა უნდა გაფრენილიყო, ვერა და ვერ აილო ბრუნები და, მიუხედავად მექანიკოსთა დიდი მონდომებისა, ვერაფრით ვერ აფრინდა. სხვა თვითმფრინავიც ვერ გამოუძებნეს. ბოლოს და ბოლოს ოძაკი ფრენისაგან გაათავისუფლეს. იამაოკამ მეგობრის მანქანა იმიტომ წაიყვანა, რომ ერთი სული ჰქონდა, როდის დაიღუპებოდა. აი სულელი, გაიფიქრა ოძაკიმ. მან ხომ ვერ მოასწრო ენახა მამა და ეთხოვა ფუსაეზე ეზრუნა.

ერთხელ იამაოკამ იხუმრა, მღვდელი რომ ჩემამდე მიიღოს უფალმა, სუტრას ვილა წაიკითხავსო. საინტერესოა, რას გულისხმობდა მაშინ.

ყველანი გაფრინდნენ, გამცილებლები წავიდ-წამოვიდნენ. შუადღე ახლოვდებოდა, როცა ბაზაში მოირბინა ფუსაეს მამამ. კაცის ფერ არ ედო, ფუსაე დაიკარგაო, თქვა. დილით შრომით რაზმთან და მოსახლეობასთან ერთად მოსულიყო მფრინავთა გასაცილებლად, ეს მან კარგად იცოდა, გაფრენის შემდეგ კი გაქრა.

მაშინღა მიხვდა ოძაკი, რაც მომხდარიყო. იამაოკამ მანქანის კაბინაში დამალა ფუსაე და წაიყვანა, ეს ცხადია. საერთოდ, ეს მანქანები ერთადგილიანია. მაგრამ პილოტის სავარძლის უკან ადგილი კმარა, რომ ადამიანი დამალო. აი რატომ გაიტაცა არა დასაცავად განკუთვნილი მსუბუქი თვითმფრინავი, არამედ ბომბით დატვირთული ერთ-ერთი მანქანა, რომელსაც ყვავილები უფარავდნენ კაბინის შიდა ნაწილს ცნობისმოყვარე თვალთაგან. მამას იამაოკისთვის არ ჩამოუკითხავს, ჭაბუკს თავის გადარჩენის ოდნავი შესაძლებლობაც არ ჰქონდა. ან ნებაყოფილობით წავიდოდა სასიკვდილოდ, ანდა თავისიანები ჩამოაგდებდნენ.

ალბათ მისთვის აუტანელი იყო ბედის ანაბარა მიეგდო საყვარელი ქალიშვილი, თან ის პაწია არსება, რომელიც შესაძლოა ჩასახული ჰყავდა. ჰოდა, მანაც გადაწყვიტა ბარემ ერთად დაღუპულიყვნენ. მაგრამ რადგანაც მის თვითმფრინავს ფრენა არ შეეძლო, იძულებული შეიქნა ოძაკის თვითმფრინავი გაეტაცა.

„მთელი ოჯახის ტრაგიკული თვითმკვლელობა". და ამაში ბრალი მიუძღვის ომს.

ფუსაეს მამა გუმანით გრძნობდა, რომ მისი ქალიშვილი ხვდებოდა მფრი-

ნავს. ამიტომაც მოაკითხა ბაზაში. მალე აღმოჩნდა ნივთიერი მტკიცება, რომელმაც ოძაკის ვარაუდი დაადასტურა. იქ, სადაც გაფრენამდე იდგა მისი თვითმფრინავი, ვიღაცამ მიწაზე იპოვა ცისფერი ლენტი, ზუსტად ისეთი, ფუსაეს რომ უყვარდა, ხოლო ამ ტერიტორიაზე სამოქალაქო პირები არ [illegible]ბოდნენ.

იმხანად კოხტად ჩაცმას კრძალავდნენ. მაგრამ შრომითი [illegible] მოთხოვნა იმდენად მკაცრი არ იყო. რა თქმა უნდა, იამაოკას თვითონაც შეიძლება დავარდნოდა ეს ლენტი: ფუსაემ აჩუქა, ხოლო მას დაეკარგა. მაგრამ საეჭვოა. ქალიშვილების საჩუქრებს მფრინავები ავგაროზივით ატარებდნენ და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ.

— ვის უნახავს, რომ მამაკაცს, ჯარისკაცს ასეთ საქმეზე ქალი წაეყვანოს? ოჰ, იამაოკა! — აღშფოთდა პოლკოვნიკი ოგური, როცა მომხდარის შესახებ მოახსენეს. — ქალთან ერთად დავალების შესასრულებლად გაფრენა — ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

იგი დაარწმუნა იმ ამბავმა, რომ იამაოკამ თავისი თვითმფრინავი (უფრო სწორად, ოძაკის თვითმფრინავი) ზუსტად აფრენის ბოლოსააფრინა. ბომბით დატვირთულიც კი უფრო ადრე უნდა აფრენილიყო- კიდევ ცოტაც, და იგი ასაფრენი ზოლის გარეთ გავარდებოდა. მაშინ ყველამ გადაწყვიტა, უბრალოდ ჩვევა არ ჰქონდა და იმიტომო. სინამდვილეში კი მანქანაში თურმე ქალიშვილი ჰყავდა დამალული.

პოლკოვნიკ ოგურის შეეშინდა ამ ცუდი მაგალითისთვის სხვებსაც არ მიებაძათ, და ფუსაეს მამას და სხვებსაც, ვინც ამ საქმეში ერია, უბრძანა არაფერი წამოსცდენოდათ. მაგრამ ბაზაშიც და სოფელშიც უკვე ყველამ ყველაფერი იცოდა.

სულ მალე დაბრუნდნენ დამცველი მანქანები, რომლებსაც ჰიოდო მეთაურობდა: თვითმკვლელთაგან არც ერთი არ დაბრუნებულა. ლეიტენანტმა ჰიოდომ მოახსენა პოლკოვნიკ ოგურის საოცარი „საბრძოლო დავალების“ შესრულების შესახებ. იამაოკა აღმოჩნდა მისი მხედველობის არეში ზღვის თავზე, ქალაქ კაგოსიმას სამხრეთით; რადგან იამაოკა კურსს ასცდა და აშკარად აპირებდა გაქცევის მიზნით ჩინეთისაკენ გაფრენილიყო, ჰიოდომ რამდენჯერმე მოსთხოვა წინანდელ კურსს დაბრუნებოდა, მაგრამ იგი მოთხოვნას არ დაემორჩილა; მაშინ ჰიოდომ ბრძანების შეუსრულებლობად მიიჩნია ეს და თვითმფრინავი ჩამოაგდო.

გამოცხადებულ იქნა, რომ უმცროსი ლეიტენანტი იამაოკა ავარიის შედეგად დაიღუპა, მაგრამ მალე მთელი ბაზისთვის ცნობილი შეიქნა, რომ მფრინავი ჰიოდომ ჩამოაგდო.

სამი დღის შემდეგ კი, როგორც იქნა, ჩამოვიდა მამამისი, ჯერ ვერა და ვერ ეშოვნა ბილეთები, ხოლო მერე მატარებელი თურმე რამდენჯერმე დიდხანს გაჩერებულიყო საჰაერო თავდასხმების გამო.

სულმთლად ჰქადარა იამაოკა-უფროსი დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგა: ერთთავად დაბერებულიყო: მამას კი არა, პაპას ჰგავდა. შვილის სიკვდილის ცნობება ოძაკის დაავალეს, როგორც დაღუპულის მეგობარს.

მთელი სიმართლის თქმა ოძაკიმ ვერ გაბედა. ალბათ ადრე თუ გვიან მოხუცი მაინც გაიგებდა. მაგრამ რატომღაც ენა არ მოუბრუნდა. ფუსაეს ამბის მოყოლას აზრი არ ჰქონდა, რაკი „მთელი ოჯახის თვითმკვლელობა“ მოხდა.

როცა მამამისმა გაიგო, რომ იამაოკა სულ სამი დღის წინათ გაფრინდა სასიკვდილოდ, იგი გაირინდა და ერთხანს თავჩაქინდრული დუმდა. ისეთი სი-

ჩუმა გამყოფდა, თითქოს [illegible] [illegible]. უცებ მის ფეხებთან რაღაც წამო-[illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ იატაკს წვეთები ეპკურებოდნენ. მო-[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ცრემლები [illegible] [illegible], ბოლოს [illegible] [illegible] [illegible] იატაკს. მერე მოხუცმა [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] და [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

— [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ერთადერთი [illegible] [illegible] [illegible] [illegible], ვფიქრობდი — მორჩა, ამ წლებში რაღა [illegible] [illegible], და არცა შეგვეძინა! რა კარგი ბიჭი იყო, ასე-[illegible] [illegible] [illegible]!

ცხვირსახოცი [illegible] [illegible], [illegible] გზაზე ბევრის მნახველი. რას იფიქ-რებდა ეს კაცი, რომ [illegible], [illegible] [illegible] [illegible] ჩამოაგდეს?

მაშინ კი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] სინამდვილეში. იამაოკას [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ზუსტად [illegible] ჩინეთის [illegible]. იმ [illegible] [illegible] [illegible], რომ [illegible] თვითმფრინავის [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]. მაინც გაგზავნიდნენ დასაღუპად ამ-[illegible] [illegible] ჩინელები [illegible] ტყვედ: ცოცხალი მაინც გადარჩებოდა. [illegible] კი ომიც დამთავრდებოდა. და რაკი ომი დამთავრდებოდა, სამშობ-ლოში [illegible] [illegible], წყნარი ოჯახური ცხოვრებით იცხოვრებდა. მანამდე კი თავი უნდა გადაერჩინა თანაც მთელი „ოჯახითურთ." ნეტა რას [illegible] იამაოკა [illegible] წუთს, როცა მისი [illegible] ცდა — გაქ-[illegible] ამ [illegible] [illegible] — ჩაიფუშა, და მიხვდა, რომ ამომავ-[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მოტეხილი ფრთებითა და თავისი ოჯახით? ...

— [illegible] [illegible] [illegible], ეს იყო თავის ოჯახთან ერთად გაქ-[illegible] — [illegible] [illegible].

— [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] მამა.

— [illegible], [illegible] მეც მალე უნდა წავიდე იქით, სადაც ახლა იამაოკა-კუნი [illegible]. [illegible] [illegible] [illegible]?

— გმადლობთ, [illegible]. მშობლები ჯანმრთელად არიან-თქო, ნუგა-[illegible] [illegible]-თქო — [illegible] [illegible] მოხუცმა მოისაზრა, რომ ამ სალმის [illegible] მის [illegible] [illegible] დაღუპვა მოუწევდა. გრძნობა-[illegible] [illegible] — [illegible] რომ არის ომი. თქვენ, ახალგაზრდები, იხო-[illegible]. ნეტავ მე [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] შემდეგ, [illegible] [illegible] და [illegible] დაიღუპნენ, გაფრენის ბრძა-ნება [illegible] [illegible] [illegible]. მაგრამ შემცვლელი თვითმფრინავი ვერა და ვერ იშოვეს, ასე რომ [illegible] არ გაუგზავნიათ. ამასობაში გაფრენებს თან-[illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] ოკინავაზე თითქმის სულ განად-გურდა, და „[illegible] [illegible]" თითქმის შეწყდა. ისე გამოვიდა, რომ იამაოკამ, [illegible] [illegible] [illegible] გაიტაცა, სრულიად მოულოდნე-ლად [illegible] [illegible] მას. ისე რომ, [illegible] მამის სალამი ვერ გადასცა [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] ბედი საბოლოოდ გადაწყდა. იაპონიამ [illegible] ომი [illegible] [illegible] [illegible].

ომი დამთავრდა. ოძაკის სახლი რაღაც სასწაულით გადარჩენილიყო. მშობლები და ძმები, სოფელში ნათესავებთან რომ გაემგზავრნენ, ცოცხლები დარჩნენ. ოძაკიმ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. დაამთავრა და ოჯახის საქმეს ჩაუდგა სათავეში, რითაც მოხუცებულ მამას საშუალება მის[illegible]

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ომისშემდგომმა ქაოსმა ცოტაოდენ იკლო და ცხოვრება ასე თუ ისე მოგვარდა, მან უყოყმანოდ დაანგრია სასტუმრო და მის ადგილას საქორწინო ცერემონიების დარბაზი ააშენა. კლიენტები მოსვენებას არ აძლევდნენ. ომისგან ერთმანეთს მოწყვეტილ, გაწამებულ მამაკაცებსა და ქალებს საზეიმო ვითარება სჭირდებოდათ სადღესასწაულო წეს-ჩვეულებების აღსრულებისათვის, ახალ, ერთობლივ ცხოვრებას რომ მოასწავებდა.

ბედნიერი ცხოვრება — ეს იყო ის მცირე რამ, რაც ცოცხლად გადარჩენილებს შეეძლოთ გაეკეთებინათ იმ დაღუპული მეგობრებისათვის, რომლებმაც ვერ იგემეს სიყვარული.

მალე ქორწინების დარბაზი ვეღარ აუდიოდა შეკვეთებს. ოძაკიმ მიწის რამდენიმე ნაკვეთი იყიდა ქალაქის სხვადასხვა ბოლოში და იქ ფილიალები გახსნა. ფილიალებიც წარმატებით სარგებლობდნენ. მიღებული მოგებით ქალაქში და ახლომდებარე პრეფექტურებში რამდენიმე ოტელი ააშენა საქმიანი ადამიანებისათვის. ოტელები კარგ შემოსავალს იძლეოდნენ. ოძაკიმ ცოლი შეირთო. ქალი შრომითი რაზმიდან იყო. ომის შემდეგ მიმოწერა ჰქონდათ, და იგი ელოდა.

ოძაკის ბიზნესი თანდათანობით გადაიქცა მძლავრ კონცერნად, რომელიც ქალიშვილთა რამდენიმე ათეულ კომპანიას აერთიანებდა და მრავალ ოტელს, რესტორანს, კაფესა და სუპერმარკეტს[1] ფლობდა.

მისი ეკონომიკური პოზიციები იმდენად მტკიცე იყო, რომ 1973 წლის ბოლოს თავს დამტყდარმა ნავთობის კრიზისმაც ვერ შეარყია. ამ დროისათვის ოძაკი იაპონიის საქმოსანთა სამყაროში ფრიად შესამჩნევი ფიგურა იყო.

და აი მოხდა მოულოდნელი შეხვედრა. იმ პირთა საბუთებში, რომლებსაც მის ერთ-ერთ ახალ საწარმოში მუშაობის დაწყება სურდათ, თვალი მოჰკრა ნაცნობ, ძალიან ნაცნობ გვარს.

მასაო ჰიოდო. შეუძლებელია, ოძაკი დააკვირდა. მის წინაშე იდო ავტობიოგრაფია კაცისა, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა იმ საბანკეტო დარბაზის დირექციის წევრობაზე, ტოკიოს პრეფექტურის ქალაქ ფ.-ში რომ უნდა გაეხსნათ.

„ომის დამთავრებას შევხვდი 1945 წლის აგვისტოში კაგოსიმის პრეფექ- [illegible] „საგანგებო ოპერაციების“ ბაზის ოფიცრის თანამდებობაზე ლეიტენანტის წოდებით“. ჰო, ეს კიჰეი უნდა იყოს. ერთი ამას დამიხედეთ, რა დაწვრილებით აღწერს თავის სამხედრო კარიერას, როგორ მოაქვს თავი!

ომის შემდეგ ჰიოდო ერთხანს თავის მშობლიურ ადგილებში ცხოვრობდა, მაგრამ როგორც კი პოლიციის სარეზერვო კორპუსი — თავდაცვითი ძალების წინამორბედი — შეიქმნა, დაუყოვნებლივ შევიდა ამ კორპუსში, ხოლო შემდეგ თავდაცვის ძალებში მსახურობდა, სანამ 1964 წელს სამსახურიდან არ გადააყენეს. შემდეგ სწერია, რომ ჰქონდა კაფე, მერე რესტორანი, თანაც დიდი წარმატებით უძღვებოდა. ცრუობს, რა თქმა უნდა. უეჭველად გაკოტრდა. შემ-

1 სუპერმარკეტი — თვითმომსახურების დიდი მაღაზია, მეტწილად სასურსათო.

დგომ მისი უნარი ვიღაცამ დააფასა და ქალაქის ცენტრში მდებარე რომელიღაც პატარა რესტორანის მმართველად მიიწვია, მაგრამ ახლა ეს რესტორანი უნდა დაენგრიათ ავტომაგისტრალის გაყვანასთან დაკავშირებით და ჰიროდომ, ეტყობა, გადაწყვიტა თავისი ძალები ახლა სხვა ადგილას ეცადა.

ავტობიოგრაფიაში ყველაფერი შელამაზებულად იყო გადმოცემული, მაგრამ ჰიროდოს, ეტყობა, არც თავდაცვის ძალებში ეწყო საქმე მაინცდამაინც კარგად: ალბათ იქაც ცდილობდა ყოფილი საიმპერიო ფლოტის ყოჩაღი სულისკვეთება დაენერგა, ჰოდა, იქიდანაც გამოაბუნძულეს.

„წარმოგიდგენია, — გაიფიქრა ოძაკიმ. — კიჰეი და თანაც მაინცდამაინც ჩემთან". ოცდაათ წელიწადზე მეტი გავიდა. ნუთუ ფიქრობს, რომ მისი ყოფილი ხელქვეითი ძველი მეგობრობის ხათრით მოაწყობს?

არა, საეჭვოა. უბრალოდ, განცხადება წაიკითხა გაზეთში და სამუშაოზე მოსაწყობად მოვიდა. თანაც ოძაკის არავისთვის უამბია თავისი წარსულის შესახებ, რადგანაც დამნაშავედ გრძნობდა თავს ამხანაგების წინაშე: ისინი დაიღუპნენ, თავად კი ცოცხალი გადარჩა.

ჰიროდომ მართლაც არ იცოდა, ვისთან მოდიოდა სამუშაოდ. ფილიალების პერსონალის მიღებას კადრების განყოფილება განაგებდა. თვითონ ოძაკი ამ საქმეში თითქმის არ ერეოდა. მაგრამ მისაღებ ხალხთან გასაუბრებაზე ქალაქ ფ.-ს საბანკეტო დარბაზში პირადად გაემგზავრა.

ჰიროდო გაქუცულ, მობერებულ უმუშევარს ჰგავდა. ხშირი თმისგან კვალიც არ დარჩენოდა: მელოტი კინკრიხო და გამეჩხერებული თმა საფეთქლებზე. მაგარი ნავარჯიშევი კუნთები ქონით დაფარვოდა.

ძველებური მხოლოდ ჰუჰრუტანებივით თვალები და წინ წამოწეული ყბა დარჩენოდა. თვალებს ახლაც კი მკვლელის დანებივით აკვესებდა, მაგრამ მათ ელვარებას რაღაც მლიქვნელური, მაამებლური, ზეთიანი ანელებდა, რაც უნდა იყოს, ჰიროდო ამჟერად მთხოვნელის პირობაზე იყო მოსული.

შარვალი მუხლებთან გამობერვოდა, პიჯაკზე გაცვეთილი ადგილები უბრიალებდა. კოსტუმი ორი-სამი წლისა მაინც ეცვა, ყბაც კი დეფექტური ჰქონდა: ზედა წინა კბილი აკლდა, და ამიტომ თავის ასაკზე ხნიერი ჩანდა.

ალბათ მძიმე ცხოვრება გავლო: ბოლოს და ბოლოს ახალ პიჯაკსაც იყიდდა, კბილებსაც ჩაისვამდა, მაგრამ ცხოვრება საიმპერიო ფლოტი როდია, პირფერობა აქ მაინცდამაინც ვერ გიშველიდა.

ჰიროდომ ვერ იცნო ოძაკი. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა ამაში დარწმუნებულიყო:

— ჰიროდო-სან, მგონი, თქვენ ფლოტში მსახურობდით?

— დიახ. დაცვის გამანადგურებლის პილოტი გახლდით „საგანგებო ოპერაციების" დროს, მრავალი საბრძოლო გაფრენა მქონია. ბოლოს თვითონაც მინდოდა მფრინავ-თვითმკვლელებში ჩავწერილიყავი, მაგრამ ამასობაში ომიც დამთავრდა და აი ცოცხალი დავრჩი. მაგრამ მე ახლაც მზად ვარ თავი შევწირო სამშობლოს. მე კარგი სკოლა გავიარე და არავითარი სიძნელისა არ მეშინია.

ჰიროდო იბლინძებოდა. ამაყობდა, „საგანგებო ოპერაციებში" რომ მონაწილეობდა. მაგრამ მის წინ მჯდარი ოძაკი ვერა და ვერ გაეხსენებინა.

ოძაკი სიშმაგეს ძლივს იკავებდა. ამ კაცმა, ამ არამზადამ მოკლა მისი მეგობარი, მოკლა მეგობრის სატრფო და იქნებ კიდევ ერთი პაწია არსებაც, რომელმაც ვერ მოასწრო ამქვეყნად მოსვლა. და ეს კაცი ამაყობს ამით! არადა, ხომ სავსებით შესაძლებელია, რომ მარტო იამაოკა და მისი ოჯახი არ არი-

ან ამ მკვლელის მსხვერპლნი. ვინ იცის, კიდევ რამდენმა ახალგაზრდამ, ჯანმრთელმა ადამიანმა არ მოისურვა სისხლს მოწყურებული ომის კერპის სამსხვერპლოზე მიეტანა თავი, გაქცევა სცადეს და მისი ხელით განიგმირნენ?

იმათგან, ვინც მაშინ გაფრინდა, არავინ დაბრუნებულა. არავითარი ცნობა იმის შესახებ, რომ მფრინავ-კამიკაძეებმა იმ დღეს რაიმე ზიანი მი[illegible] [illegible]ოკელთა ფლოტს, არ არსებობს. ომის შემდეგ ხომ ყველა მონაცემ[illegible] იქაა გამოტანილი. შესაძლოა ყველა ისინი ჰიოდოს მსხვერპლნი გახდნენ?

იამაოკას რომ მეგობრის თვითმფრინავი არ გაეტაცა და ოძაკი ბრძანების თანახმად გაფრენილიყო, იგი დიდი ხანია არ იქნებოდა ამქვეყნად. იამაოკა ოძაკის მაგივრად დაიღუპა. ჰიოდო იმავე 20-მილიმეტრიანი ჭურვით გაანადგურებდა მას, რომლითაც იამაოკა ჩამოაგდო.

მკვლელი! თანაც ამაყობს, რომ მკვლელია. ოძაკიმ კადრების განყოფილების გამგეს ანიშნა: მიიღეთ. ჩვეულებრივ მიღების საკითხი მაძიებლის მიერ დაგროვებული ქულების რაოდენობის საფუძველზე წყდებოდა, მაგრამ ფირმის მფლობელის ნება-სურვილი განსჯას არ ექვემდებარებოდა.

ოძაკიმ გადაწყვიტა ისე გაეკეთებინა, რომ ჰიოდო მუდამ სიახლოვეს ჰყოლოდა. და აუჩქარებლად მოემზადებინა შურისგება. არა მარტო დაღუპული მეგობრისათვის. იგი შურს იძიებდა იმაზე, ვინც უეჭველად მოკლავდა თვითონ მასაც, მაშინ რომ იამაოკას მისი ადგილი არ დაეკავებინა.

ოძაკიმ ახალი საბანკეტო დარბაზის დირექტორად დანიშნა ჰიოდო. ეს უკანასკნელი სულ არ მოელოდა, რომ ასე მაღალ თანამდებობას მიიღებდა, და სიხარულით ცას ეწია. ნდობის გასამართლებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა. და მისთვის ჩაბარებულ დაწესებულებაში საქმე შესანიშნავად მიდიოდა. ფირმის უმაღლესი ადმინისტრაციული პერსონალი თავდაპირველად ეჭვობდა, ღირს კი ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დავნიშნოთ ყოფილი მეომარი, რომელმაც მანამდე რამდენიმე საქმეს თავი ვერ გაართვაო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უფროსი მართალი იყო და საოცრად კარგად ერკვეოდა ადამიანებში. ასე რომ, სამსახურში ჰიოდოს მიღებით ოძაკიმ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა.

ჰიოდო ემადლიერებოდა ოძაკის კარგად მოპყრობისათვის და სამუშაოზეც ძალ-ღონეს არ იშურებდა. ხელმწიფისა და სამშობლოს ერთგული ძველი ჯარისკაცის გაწვრთნილობა თავს იჩენდა.

არიან ადამიანები: თუ მარტო რჩებიან, ყველაფრისა ეშინიათ და არაფრის უნარი არ შესწევთ, ხოლო თუ დიდსა და მძლავრ რამეში გაერევიან, თავს გულდაჯერებით გრძნობენ. როცა ძლიერ პიროვნებას გაუერთგულდებიან და უყოყმანოდ ასრულებენ მის ბრძანებებს, ისინი ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულად გრძნობენ თავს, მაშინ როცა თვითონ სულმოკლენი და მხდალნი არიან.

ჰიოდოსათვის ოძაკი იგივე გახდა, რაც ომის წლებში იყო იმპერატორი: უმაღლეს ხელისუფლებად, რომელიც განსაზღვრავს მთელ მის ცხოვრებას, სახელმწიფოდ, რომელსაც მთელ თავის ბედს ანდობს. რაკი ხელმწიფე და სახელმწიფო ითხოვენ, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ.

რაც შეეხება ოძაკის, ეს მას ყოველმხრივ ხელს აძლევდა. ჯერ თავის მორჩილ იარაღად აქცევს, მერე კი ერთბაშად ძველ ანგარიშს გაუსწორებს. ამიტომ უნდა ეცადოს, რომ ჰიოდომ ეჭვი არ აიღოს. რაკი ჰიოდოს თვით ოძაკი არ გაახსენდა, თითქმის დაუჯერებელი იყო, რომ ეცნო მისი ცოლი, რომელიც

ოდესღაც შრომით რაზმში მსახურობდა, — და მაინც ყოველ შემთხვევაში ოძაკიმ იზრუნა, რათა ჰიოდო არსად არ შეჩეხებოდა მის ცოლს.

რა თქმა უნდა, შურისძიების გულისთვის ოძაკი არ აპირებდა ბრძოლით ჯაფით შექმნილი სამეფო დაეკარგა. მას ჰყავს ცოლი და შვილები, მისთვის შრომობს კომპანიის ათასზე მეტი მოსამსახურე, ხოლო თუ ჩავუმატებთ [illegible] ოჯახისა და მთელი ფირმის წევრებს, რომლებთანაც აქვს საქმე [illegible] მასზეა დამოკიდებული რამდენიმე ათასი კაცის კეთილდღეობა — იგი გიგანტური სამეფოს მბრძანებელია.

ასე რომ, უპასუხისმგებლოდ მოქცევის უფლება არა აქვს.

შურისძიების გეგმის განხორციელებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ჰიოდოს ახლობლები არ ჰყავდა. ოდესღაც, მგონი, ცოლი ითხოვა, მაგრამ ხასიათით ვერ შეეწყო და გაშორდა. თუმცა ძნელი იყო ისეთი ქალის წარმოდგენა, რომელიც ხასიათით ამ კაცს შეეწყობოდა. ჰიოდოს ბავშვები არ ჰყავდა.

ოძაკი ნელ-ნელა იჩვევდა ჰიოდოს, თავის საიმედო ხელქვეითად ხდიდა. ჰიოდო თანდათანობით იქცეოდა მის ერთგულ მსახურად, რომელიც ბატონის დაძახილზე ცეცხლში გადავარდებოდა. მრავალი წლის წინათ ჰიოდოს გამოუცდელი ბიჭებისაგან საიმპერიო ფლოტის მარჯვე მეზღვაურები გამოჰყავდა და ასწავლიდა მათ უყოყმანოდ შეხვედროდნენ სიკვდილს იმპერატორის წმინდა პიროვნებისათვის. ახლა ზუსტად ასეთივე სულისკვეთებას უნერგავდნენ ტვინში თვითონ მას.

ოძაკიმ მთლიანად მოათვინიერა თავისი დიდ ხნის შეურაცხმყოფელი. იგი ჰგავდა მსხვერპლს, რომელიც უშიშრად სეირნობს მონადირის შემართული მახვილის წინაშე და არ იცის, რომ განწირულია.

მხოლოდ მახვილის ჩაცემა იყო საჭირო.

„აი ნახე, ლეიტენანტო იმაოკა, როგორ გაუსწორდებიან შენს მტერს"

## II

დადგა გაზაფხული. ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ყოველთვის, როცა გაზაფხული მოდიოდა, ოძაკის აგონდებოდა სულ მთლად ლილისფერი და ყვითელი ყვავილებით შემოსილი მინდვრები, სადაც გროვდებოდნენ და მღეროდნენ ისინი — მფრინავი-თვითმკვლელები და შრომითი რაზმების სტუდენტი გოგოები, რომლებსაც დაღუპვა ჯერ ვერ მოესწროთ. მღეროდნენ ხმატკბილად და მხიარულად, ზუსტად ისევე, როგორც მღერის ახლანდელი ახალგაზრდობა, მაგრამ გულში დარდი ჰქონდათ. ალბათ იმისთვის დასჭირდათ ეს მხნე სიმღერა, რომ მცირე ხნით მაინც გაექარვებინათ დარდი და უიმედობა. ეს განწირული ბიჭები არაფერს ეპუებოდნენ, მაგრამ რაც არ უნდა ივაჟკაცო — საშველი არ არის.

რას იტყოდნენ მისი ამხანაგები, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს სიტყვებით: „ერთმანეთს შევხედეთ იასუკუნის ტაძარში"[1], რომ გაეგოთ, თუ მხედრიონის გახელებულმა მესვეურებმა როგორ მოატყუეს ისინი და მათმა თავგანწირვამ არავითარი სარგებლობა არ მოუტანა იაპონიას? ომმა წაართვა ოძაკის მეგობრები, შესანიშნავი ბიჭები, და ომი სძულდა მას.

---

1. იასაკუნის ტაძარი, ანუ სამშობლოს ხსნის ტაძარი — სინტოისტური ტაძარი ტოკიოში, რომელიც იმ იაპონელთა სულების სავანედ ითვლება, რომლებიც დაიღუპნენ იაპონიის მიერ გადახდილ ომებში.

ოძაკი დაელოდა, როდის დამთავრდებოდა „მაისის ოქროს კვირა"[1], შეთხელდნენ დამსვენებლები, და შურისძიების შემუშავებული გეგმის განხორციელებას შეუდგა.

საიდუმლოდ გამოიძახა ჰიოდო.

— შესანიშნავადააწყვე საქმე, — უთხრა მან. — საბანკეტო დარბაზი კარგ შემოსავალს იძლევა. ხედავ, სწორი თვალი მაქვს, შენში არ შევცდარ-ვარ.

ბიბლიოთეკა

ჰიოდომ გაიხარა: იგი „თვითონ" ოძაკიმ გამოიძახა და „თვითონ" შეაქო.

— ერთი დავალება მინდა მოგცე, — განაგრძო ოძაკიმ.

— მზად ვარ. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მიბრძანებთ, — მიუგო სიხარულით გაოგნებულმა ჰიოდომ.

„ახლა ამას რომ კაცის მოკვლა დავავალო, წავა და მოკლავს, თანაც სიამოვნებით", — გაიფიქრა ოძაკიმ, ხმამაღლა კი თქვა:

— კალაქი მაცუბარა იცი? იქ ერთი საუცხოო სასტუმროა. შესანიშნავ ადგილას მდებარეობს, საქმეც კარგად მიდის. მაგრამ სასტუმროს პატრონს ოჯახში რაღაც უთანხმოება აქვს და მისი გაყიდვა სურს. სწორედ ახლა უნდა შეიძინოს კაცმა. დიდი ხანია მინდოდა იმ ადგილებში კარგი საკურორტო სასტუმროს ყიდვა. ჰოდა, ოტელის პატრონს მოველაპარაკე შევხვედროდი. ოღონდ საიდუმლოდ, თორემ ზოგიერთები ამ გარიგების წინააღმდეგი არიან და ვაითუ ხელი შეგვიშალონ. თუ გარიგება შედგა, მმართველად დაგაყენებ. ეს სასტუმრო რამდენჯერმე უფრო დიდია, ვიდრე შენი ახლანდელი საბანკეტო დარბაზი, ასე რომ არ ინანებ. ჰოდა, მინდა ამ შეხვედრაზე ჩემთან ერთად წამოხვიდე. მაგრამ მთელი ეს ოპერაცია საიდუმლოდ უნდა შეინახო. სხვებს კი არა, შინაურებსაც არ უნდა გაუმხილო. გამოაცხადე, რომ პირად საქმეზე მიდიხარ. თუ ვინმემ გაიგო, იცოდე, ყველაფერი ჩაიფუშება.

— ყოველივე ნათელია, ვერავინ გაიგებს, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

— ჩემთან ერთად რომ მოდიხარ, რა თქმა უნდა, არც ეგ უთხრა ვინმეს.

— მესმის.

ოძაკიმ აუხსნა ჰიოდოს, სად და როდის მოსულიყო, და უბრძანა ავტომობილი დაექირავებინა და საჭესთან თვითონ მჯდარიყო. უთხრა, რომ გასაქირავებელი ავტომობილი აუცილებელია საიდუმლოების უზრუნველსაყოფად. ჰიოდო უყოყმანოდ დაემორჩილა.

დათქმულ დღეს ოძაკიმ მიიღო ზოგიერთი ღონისძიება, რათა შეუმჩნეველი დარჩენილიყო: ტანისამოსი და ვარცხნილობა გამოიცვალა, დაბინდული სათვალე გაიკეთა, არც დასაწებებელი ულვაში დავიწყებია. ახლა იგი თავის თავს არ ჰგავდა.

ჰიოდომ ვერც კი იცნო, დათქმულ ადგილას რომ მოვიდა მანქანით. ოძაკი იძულებული გახდა შეხმიანებოდა:

— ჰიოდო-კუნ, აქა ვარ.

ოძაკიმ სათვალე მოიხსნა, მაგრამ ამის შემდეგაც კარგა ხანს ვერ იცნო ჰიოდომ.

— ნუთუ ეს თქვენა ხართ? არ მეგონა.

---

1. მაისის პირველ კვირას იაპონიაში იმართება ზედიზედ რამდენიმე დღესასწაული და მეტწილად მომუშავეთათვის ეს კვირა მოკლე შვებულებას წარმოადგენს.

— იმედია, შენც მოაგვარე საქმე? ხომ არავისთვის გითქვამს, სად მიდიოდი? — მკაცრად შეეკითხა იგი.

— ნუ წუხხართ, სიტყვა არავისთან წამომცდენია, როგორც თქვენ მიბრძანეთ. სამუშაოზე ვუთხარი, პირადი საქმის გამო ვერ მოვალ-მეთქი.

ოძაკიმ კმაყოფილად დააქნია თავი და მანქანაში ჩაჯდა. მარტოოდენ ჰიროდის მოკვლაზე რომ მიმდგარიყო საქმე, ჯობდა ღამით წამოსულიყვნენ — უფრო ნაკლებ სახიფათო იქნებოდა, მაგრამ ხომ უნდა აეხსნა ჰიროდოსათვის, რისთვის კლავდა. აბა ისე რა შურისგება იქნებოდა!

ახსნა-განმარტების ადგილი წინასწარ შეარჩია. აქ საღამოსთვის მოვიდნენ. ეს იყო ზღვის შორიახლოს მდგარი ბორცვი. ბორცვი აეჭრელებინა აყვავებულ საკურას, ატამს, კამელიას, ფორზიციას, მაგნოლიას, მაგრამ უფრო შორს, სანაპიროსკენ გადაჭიმულ კალთაზე, ყველაფერს მოსდებოდა რაფსის ყვითელი ყვავილები, თითქოს პირდაპირ ზღვიდან ამოზრდილანო, და საღამოს მზეც ალვრიდა მკრთალ სინათლეს, რომელიც თითქოს პეშვებით გინდოდა ამოგეხაპა. ჰაერში თაფლის სურნელი იდგა. ყვავილებიდან ყვავილზე დაფრინავდნენ ფუტკრები, სკაში დაბრუნებას რომ აყოვნებდნენ.

— აქ ცოტა შევისვენოთ, — ბრძანება გასცა ოძაკიმ. მანქანა ყვავილებს შორის გაჩერდა. — იმ ადგილამდე შორს აღარ არის. დრო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. შენ ალბათ დაილალე, აჰა, წვენი, დალიე. — მან წინასწარ მომზადებული ბოთლი გაუწოდა ჰიროდოს. მეორედან თვითონ მოსვა ცოტა. ჰიროდოს ბოთლში ძილის მომგვრელი წამალი იყო ჩაყრილი.

აქამდე ჰიროდოს განგებ არ აძლევდა ნებას გაჩერებულიყო და შეესვენა, მით უმეტეს — რამე დაელია: ისე უნდა ექნა, რომ შემოთავაზებულზე უარის თქმა არ მოსვლოდა თავში ჰიროდოს.

— დიდად გმადლობთ, — გაუხარდა ჰიროდოს და ბოლომდე დალია.

— კიდევ გინდა? აჰა.

ჰიროდომ ეს ბოთლიც სულმოუთქმელად გამოცალა. ახლა ისღა რჩებოდა, რომ დალოდებოდა, როდის იმოქმედებდა წამალი. კიდეც ცოტა. და ჰიროდო ღრმა ძილს მიეცემა.

— რა ლამაზია აქ, ხომ? — თქვა ოძაკიმ ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ.

— ძალიან ლამაზია, — მიუგო ჰიროდომ, მაგრამ უკვე თვალები დაბინდოდა. ოძაკი მიხვდა, რომ უნდა ეჩქარა. ძილის მომგვრელი წამალი სწრაფი მოქმედებისა იყო.

— ადრე სადმე გინახავს ასეთი რამ? ვერ გაიხსენებ?

— ახლა ხომ მთელ იაპონიაში ჰყვავის რაფსი, — ლუღლუღით მიუგო ჰიროდომ.

— ბაზაშიც ჰყვაოდა.

— ბაზაში? რომელ ბაზაში?

— კიუსიზე. „საგანგებო ოპერაციების“ ბაზაში. ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ.

— კანოიის ბაზაში? — დააჭყიტა ჰიროდომ თვალები, უკვე რომ ეხუჭებოდა.

— კანოიის, კანოიის. იქაც ყველაფერი ასეთ ყვავილებში იყო ჩაფლული. იქ მფრინავები გროვდებოდნენ და მღეროდნენ.

— კი მაგრამ, თქვენ.. თქვენ საიდან იცით?

— მეც ვმღეროდი.

—, თქვენ?!

—დიახ, მე, კამიკაძეების საგანგებო პოლკის მესამე რაზმის უმცროსი ლეიტენანტი ტომიო ოძაკი.

— უმცროსი ლეიტენანტი ოძაკი? კი მაგრამ, როგორ?...

— სტუდენტის მერხიდან გამიწვიეს. ჯერ ცუტიურაში ვმსახურობდი, მერე კანოიაში. ორივეგან თქვენი ხელმძღვანელობით. თქვენი ჯოხი არ დამვიწყებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუთუ თქვენ... ის უმცროსი ლეიტენანტი ხართ?... — გაკვირვება საშუალებას არ აძლევდა ჰიოდოს ჩასძინებოდა, თუმცა ენა კი ებმოდა.

— მე მყავდა მეგობარი, უმცროსი ლეიტენანტი იამაოკა. თქვენ მოკალით. გახსოვთ?

— იამაოკა?

— გახსოვთ ის დღე, როცა ყველა დაბრუნებული შეკრიბეთ და მინდვრად გაგზავნეთ? ყველანი უკლებლივ. მე დავრჩი, რადგან იამაოკამ ჩემი თვითმფრინავი გაიტაცა. ჰოდა, სწორედ ის ჩამოაგდეთ.

— გაქცევა უნდოდა.

— იამაოკამ მაშინ თვითმფრინავში ჩაისვა ქალიშვილი, რომლის ცოლად თხოვასაც აპირებდა. ქალიშვილი კი, მგონი, ბავშვს ელოდებოდა. ეს იყო ოჯახი, გესმის? ისინი ფიქრობდნენ გადარჩენოდნენ სიკვდილს, იმ სულელურ ომს. შენ კი, არამზადავ, ყველანი დახოცე. ულმობლად, ულმერთოდ.

— ვალდებული ვიყავი! ბრძანება მქონდა.

— შენ მოხარული იყავი შეგესრულებინა ის ბრძანება. შენ, მგონი, სიამოვნებისაგან კანკალებდი, როცა იმ თვითმფრინავს აგდებდი.

— კი მაგრამ, რატომ... რატომ გაგახსენდათ ეს ახლა?

— შენ რა, ვერ მიხვდი? შური უნდა ვიძიო.

— შური?

— შური უნდა ვიძიო ამხანაგებისათვის. იამაოკასათვის, არიმურასათვის, კიკუტისათვის. შენ მათი მკვლელი ხარ. მე კი შენ მოგკლავ.

— რისთვის?! მაშინ ხომ ომი იყო! მე არ ვკლავდი, უფროსების ბრძანებას ვასრულებდი!

— შენ თვითონ იყავი უფროსი. იმ წვენში, შენ რომ ახლა დალიე, ძილის წამალი იყო გარეული. შენ ძლივს ლუღლუღებ. შენ მძინარეს გადაგაგდებ ზღვაში აგერ იმ ფლატედან. მანქანასთან ერთად. მანქანაში დავტოვებ გრიპის საწინააღმდეგო წამალს. შიგ შედის ძილის წამალიც, პოლიცია იფიქრებს, რომ ეს წამალი ბევრი დალიე, საჭეზე ჩაგეძინა და ზღვაში გადავარდი. იამაოკას და არიმურას გაეხარდებოდათ შენი ნახვა. დიდი ხნის წინანდელი ამბავია, მაგრამ, მე მგონი, ისინი გელოდებიან. აბა, ღამე მშვიდობისა.

ჰიოდოს სახეზე გაოცება შიშმა შეცვალა. ეტყობა, მან იგრძნო, რომ ხელის განძრევაც არ შეეძლო. მაგრამ შიში დიდხანს არ გაგრძელებულა: ძალიან მალე მისი გონება დაუძლეველმა ძილმა შებოჭა.

ოძაკი გაჯავრდა კიდეც: მეტისმეტად ეფექტური ძილის წამალი გამოდგა. არამზადამ ხეირიანად შეშინებაც ვერ მოასწრო. ნამდვილი შურისგება არ გამოვიდა.

მზე დიდი ხანია ჩაესვენა. ბინდბუნდში სინათლეები კაშკაშებდნენ მეთევზეთა ნავებზე. ეტყობა, მებადურები სინათლეზე იტყუებდნენ თევზებს.

ოძაკი საჭეს მიუჯდა და საკმაოდ მალე აღმოჩნდა წინასწარ შერჩეულ მკვეთრ მოსახვევთან. ამ ადგილებში გზა ისედაც მეტისმეტად დაკლაკნილი

იყო, ახლა კი ასი მეტრით იყო დაკიდებული ზღვის კიდეზე. წყლიდან შავი ეშვებივით ამოჩრილიყვნენ კლდეები.

ოძაკი მანქანიდან გადმოვიდა და მძინარე ჰიოდო საჭესთან დასვა. ჰიოდოს არ გაღვიძებია.

ოძაკი დარწმუნდა, რომ ირგვლივ არც მანქანები იყვნენ და არც ადამიანები. მოძრაობა ამ გზაზე ინტენსიურობით არ გამოირჩეოდა. მან უკანიდან უბიძგა მანქანას. დაღმართზე ავტომობილი ადვილად დაიძრა, სწრაფად აიღო სიჩქარე, ღობე გაარღვია და, როგორც უზარმაზარი ჩასადენი წყლის ჭის ხახაში, ისე გადაეშვა ზღვაში. რამდენიმე წამში გაისმა გრუხუნი.

ოძაკიმ ფლატედან დაბლა გადაიხედა. მომხდარი შურისგების შეგრძნება არ ჰქონია. ჰქონდა მხოლოდ წყენა დაღუპულ მეგობართა გამო. ოძაკიმ მწუხარება მოთოკა და გზა განაგრძო. უკან გასაბრუნებლად გამზადებული ავტომობილი ცარიელ აგარაკთან უცდიდა იმ ადგილის შორიახლოს, სადაც ჰიოდოს ძილის წამალი დაალევინა. ოძაკიმ იცოდა, რომ გაზაფხულის დადგომამდე იქ არავინ გამოჩნდებოდა.

7

ცნობები უბედური შემთხვევის შესახებ მეორე დღის საღამოს გამოქვეყნდა. ტელევიზიამ და რადიომ ინფორმაცია უფრო ადრე მისცეს, სამაგიეროდ გაზეთებში უფრო დაწვრილებით იყო. აი რას წერდნენ გაზეთები:

„ჰამატომეს გზატკეცილზე ქალაქ იაიძუს შორიახლოს (პრეფექტურა სიძუოკა) სანაპირო კლდეებზე ასი მეტრი სიმაღლიდან გადავარდა ავტომობილი და დაიმტვრა. ავტომობილში მყოფი ბ-ნი მასაო ჰიოდო ადგილზე გარდაიცვალა, ავტომობილში ნაპოვნი გრიპის საწინააღმდეგო აბები საშუალებას გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ აბების გვერდითი მოქმედებით გაბრუებულ ბ-ნ ჰიოდოს საჭესთან ჩასთვლიმა და მკვეთრ მოსახვევს ვერ მიჰყვა“. გაზეთების მიხედვით პოლიციას ამჟერად არავითარი ეჭვი არ აქვს.

ყველაფერი ზუსტად ისე მიდიოდა, როგორც ოძაკიმ ჩაიფიქრა.

რამდენიმე დღე დაძაბული იყო, მაგრამ პოლიციას მისდამი არავითარი ინტერესი არ გამოუვლენია. ბოლოს ოძაკი დამშვიდდა. სწორედ ამ დროს მოადგა ორი კაცი.

ოძაკიმ სავიზიტო ბარათზე წაიკითხა: „იაიძუს პოლიციის დეტექტივი“. გააჟრჟოლა. იაიძუს პოლიციის უბანი სწორედ ის ადგილი იყო, სადაც „უბედური შემთხვევა“ მოხდა. ოძაკი იმას კი არ შეუშინებია, რომ პოლიციელებმა მოაკითხეს: საშიში ის იყო, რომ პოლიცია საერთოდ შეწუხდა.

— მოვიწვიო? — შეეკითხა მდივანი ქალი. ოძაკი გამოერკვა. საშიში არაფერია, ყველაფერი თავისი რიგით მიდის. სიკვდილი უბედური შემთხვევის გამო ალბათ ასევე მოითხოვს პოლიციის მიერ საქმის გარკვევას. განსვენებული მასთან მუშაობდა, ჰოდა, ისინიც მოვიდნენ. ყველაფერი რიგზეა.

— საგანგებო მისაღებში მიიყვანე, — უბრძანა მდივანს.

მისაღებში რომ შევიდა, მოსულები უკვე იქ დახვდნენ. მათ ერთხანს მოუხდათ ცდა და თავს უხერხულად გრძნობდნენ.

საგანგებო მისაღების მოწყობაზე ფული არ დაუზოგავთ. იგი იმდენად მყუდრო როდი იყო, რამდენადაც შთამაგონებელი.

იატაკზე ცისფრად მოლივლივე სქელი სპარსული ხალიჩა ეფინა, კედლები მარმარილოს ბარელიეფებით იყო დამშვენებული. მუხის მძიმე მაგიდა, ტყავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაკრული დივანი, კარადები და მაგიდები — ყველაფერი რაც შეიძლება ძვირფასი და მასიური შეერჩიათ. დიდებულების შეგრძნებას აგვირგვინებდა ჭაღის დაბინდული შუქი ვერსალურ სტილში. ერთი სიტყვით, ფუფუნების მხრივ მისი მისაღები ტოლს არ უდებდა ყველაზე ძვირად ღირებული ოტელების „ლუქსის“ ნომრებს.

პოლიციელები, რომლებიც სრულიად მოულოდნელად მოხვდნენ ასეთ ვითარებაში, შემცბარნი მოიკუნტნენ. მათ სავსებით ნორმალურად ეცვათ, ისევე, როგორც სხვებს, მაგრამ ამ ფუფუნების ფონზე მათხოვრებს ჰგავდნენ. ერთი მათგანი ოც წელზე ცოტა მეტი ხნისა იქნებოდა, მეორე — ორმოცდაათის.

ოძაკიმ სახლის პატრონის თავაზიანი უპირატესობის გრძნობით მიმართა მოსულებს:

— მაპატიეთ, რომ გალოდინეთ. მე ოძაკი ვარ, — თავშეკავებულად მიესალმა. აუღელვებლად დაჯდა დივანზე, ჰავანური სიგარების კოლოფი გახსნა, თვითონაც მოუკიდა და სტუმრებსაც შესთავაზა: — ხომ არ ინებებთ?

— გმადლობთ, ჩვენ მაგას არ ვეწევით, — ზრდილობიანად თქვა უარი უფროსმა პოლიციელმა. შემოვიდა მდივანი და დაელოდა განკარგულებას, რა სასმელები მიერთმია. როცა გაცნობის პროცედურა დამთავრდა, უფროსი მომსვლელი საქმეზე გადავიდა: — გვაპატიეთ, თუ ხელი შეგიშალეთ. რამდენიმე შეკითხვა გვქონდა მოგცეთ ბატონ მასაო ჰიოდოს დაღუპვასთან დაკავშირებით, რომელიც, ავტომობილის საჭესთან მჯდარი, ფლატედან ზღვაში გადავარდა ქალაქ იაიძუს შორიახლოს.

— ძალიან მებრალება საწყალი ჰიოდო. საერთოდ, გონიერი კაცი იყო. მაგრამ გაზეთები იტყობინებიან, რაღაც გრიპის საწინააღმდეგო წამალი დალია და საჭესთან ჩაეძინაო. — ოძაკიმ დინჯად გამოუშვა ძისფერი კვამლი.

— სიტყვამ მოიტანა და ამ წამლის შესახებ. აქ გაირკვა ზოგიერთი უცნაური გარემოება.

— საინტერესოა, რა?

„ალბათ ბოთლიდან წვენი გადმოიღვარა და ვერ შევამჩნიე“, — გაიფიქრა ოძაკიმ.

— წამალი, რომელიც მანქანაში აღმოჩნდა, შეიცავს სიცხის დამწევ კომპონენტს — ამინოპირინს.

— მერე რა? რამდენადაც მესმის, ამ წამლებში ყოველთვის არის რაღაც სიცხის დამწევი, ასე არ არის? — ჩაეჭიდა ოძაკი პირველივე საბუთს, რადგან გრძნობდა, რომ პოლიციელს ტყუილ-უბრალოდ არ ჩამოუგდია სიტყვა. მდივანმა ყავა შემოიტანა.

— იცით რა, ექიმი, რომელთანაც ჰიოდო-სანი მკურნალობდა, ამბობს, რომ განსვენებულს ალერგია ჰქონდა პირინზე. პირინიანი მედიკამენტები კანისა და სასუნთქი გზების მწვავე ანთებას იწვევდნენ მასში, ასე რომ, მათ არასოდეს ხმარობდა.

— ალერგია პირინზე?..

ოძაკის ეს არ გაუთვალისწინებია. თურმე რა წვრილმანებმა შეიძლება იჩინოს თავი! პოლიციელები თვალს არ აშორებდნენ ოძაკის: რა რეაქციას მოახდენსო. არ მოახდენს რეაქციას. დიდი ამბავი, ოდნავ გაჰკრეს ბრჭყალი.

— მერე რა, ალბათ ჰიოდო-კუნმა არ იცოდა, რომ ამ აბებში არის პირინი.

— არა მგონია. ეტიკეტზე ნაჩვენებია შემადგენლობა.

— ეგებ ყურადღება არ მიაქცია?

— ეს გამორიცხული არ არის. მაგრამ ნაკლებ შესაძლებელია. თანაც გაკვეთისას არავითარი გაცივების ნიშანი არ აღმოაჩნდა.

— გაკვეთეს? — ოძაკის მოეჩვენა, თითქოს ყელზე ზონარს უჭერდნენ, და ახლა ზონარი კიდევ ერთი დინაყოფით გადაადგილდა.

— მაგრამ თუ ჰოიდო-სანი წამლის დალევას არ აპირებდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვინმემ დაალევინა. უფრო მეტიც, შეიძლება ისიც კი ვივარაუდოთ, რომ ეს განზრახ არის გაკეთებული უბედური შემთხვევის ინსცენირების მიზნით.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ვიღაცამ მანქანა გადააგდო?

— თუ ჰოიდო-სანს წამალი თვითონ არ დაულევია, ადვილი შესაძლებელია სწორედ ასე მოხდა ყველაფერი, სიტყვამ მოიტანა და, ოძაკი-სან, სად იყავით 11 მაისს საღამოს, კერძოდ, საღამოს შვიდი საათიდან შუაღამემდე? — უცებ პირდაპირ ჰკითხა პოლიციელმა. მისი წინანდელი მორიდებისაგან კვალიც არ დარჩენილიყო. მან ისე მტკიცედ ეჭირა თავი, თითქოს ეს მორიდება მხოლოდ ნიღაბი იყო, ოძაკის სიფხიზლე რომ მოედუნებინა.

— მე რატომ მეკითხებით ამის შესახებ?

ცხადია, რისთვის: ალიბის ამოწმებენ. ნუთუ ეჭვი აქვთ მასზე?

— ჩვენ ყველას ვეკითხებით, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებული იყო მიცვალებულთან. იმედია, დახმარებაზე უარს არ გვეტყვით, —განსაკუთრებული ოფიციალური კილოთი უთხრა პოლიციელმა. დიახ, ოძაკი, რა თქმა უნდა, „დაკავშირებული იყო მიცვალებულთან".

— მე იმ დღეს მართლაც წავედი მანქანით, საითაც თვალი გამიწევდებოდა. ზოგჯერ მარტოდმარტო დავდივარ ხოლმე, გასართობად.

ოძაკის არ ეგონა, რომ მასზე ეჭვს აიღებდნენ, და ალიბის შექმნაზე არ უზრუნია.

— სად იყავით?

— ტომეის დიდი სისწრაფის ავტომაგისტრალს გავყევი, დაახლოებით კორიიამამდე მივედი და უკან გამოვბრუნდი.

— ხომ არ შეხვედრიხართ გზაში ვინმე ნაცნობს?

— არა, არ შევხვედრივარ. მე ხომ განზრახ გავემგზავრე გარემოს შესაცვლელად.

— რესტორანში ან ავტომობილისტების კინოთეატრში ხომ არ შეგივლიათ?

— არ შემივლია.

— ქალაქ სიძუოკას მხარეს ხომ არ წასულხართ?

— მომიტევეთ, თქვენ რა, ეჭვი ხომ არა გაქვთ ჩემზე? — ხმას აუწია ოძაკიმ. სწორედ რომ არაბუნებრივი იქნებოდა, რომ არ აღშფოთებულიყო. მაგრამ ამას პოლიციელი სულაც არ დაუბნევია.

— ჩვენ ხელთა გვაქვს სარწმუნო საბუთები, რომლებიც უფლებას გვაძლევს მიგიჩნიოთ, როგორც ეჭვმიტანილი.

— მონაცემები? ასეთი მონაცემები არ შეიძლება იყოს. თუ თქვენ ასეთ კილოზე დამიწყებთ ლაპარაკს, მე სასამართლოში გიჩივლებთ ღირსების შეურაცხყოფისათვის.

— ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ თქვენი მეუღლე წარმოშობით ქალაქ კანოიიდან არის, კატოსიმის პრეფექტურიდან. ჰოიდო-სანიც დიდხანს იმყოფებოდა ომის დროს ამ ქალაქში საზღვაო ავიაციის ოფიცრად.

— მერე რა? რა კავშირი აქვს ამას უბედურ შემთხვევასთან?

— თქვენც ხომ ომის ბოლომდე მსახურობდით კანოიაში, ხომ ასეა? — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა პოლიციელმა.

— ვმსახურობდი. ამიტომაც მივიღე ჰიოდო სამუშაოზე, როგორც ძველი მებრძოლი მეგობარი.

— მაგრამ ფირმაში ამაზე არავინ არაფერი იცის, ხომ სიმართლეა?

— მე ეს საჯაროდ არ განმიცხადებია. ეს მე და ჰიოდოს პირადი საქმე იყო.

— დავუშვათ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ დაღუპულსა და თქვენ შორის არსებობდა რაღაც არაოფიციალური ურთიერთობა, რაზედაც მარტო თქვენ ორმა იცოდით. რამდენადაც დავადგინეთ, ჰიოდო-სანს ასეთი საიდუმლო ურთიერთობა სხვა არავისთან არ ჰქონდა.

— მერე, ეს არის ყველაფერი? ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს საკმარისია ჩემზე ეჭვის ასაღებად?

— ეს ყველაფერი არ არის. ახლა ზოგ რამეს ნახავთ. — ხანში შესული პოლიციელი ახალგაზრდას მიუბრუნდა და თავი ოდნავ შესამჩნევად დაუქნია. ამ უკანასკნელმა ჯიბიდან ქაღალდის პაკეტი ამოიღო. ხანში შესულმა პაკეტი დიდის ამბით გახსნა ოძაკის წინაშე. პაკეტში იყო მკვდარი ფუტკარი.

— ეს რაღა არის?

— ფუტკარი, როგორც ხედავთ. ეგრეთ წოდებული აპის მელიფერა. დაღუპულის მანქანაში ვნახეთ. თქვენ გესმით, რას ნიშნავს ეს ?ეს იმას ნიშნავს, რომ სიკვდილის წინ იგი იმ ადგილას იმყოფებოდა, სადაც ეს ფუტკრები დაფრინავენ.

ოძაკის გაახსენდა, რომ იქ, სადაც ჰიოდოს ძილისწამლიანი წვენი დაალევინა, რაფსის ყვავილებს მართლაც თავს დასტრიალებდნენ ფუტკრები, რომლებიც სკაში დაბრუნებას აყოვნებდნენ.

— იცით, ეს უბრალო ფუტკარი როდია. იაიძუს გარეუბანში არის მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჰოდა, ეს ნიშანდადებული ფუტკარი ამ ინსტიტუტიდან არის. ხედავთ, მუცელზე საღებავის ნაკვალევი აქვს, თუმცა არც მაინცდამაინც შესამჩნევი: ის ხომ ზღვის წყალში დასველდა. ინსტიტუტში მათ ნიშანს ადებენ, რათა დაადგინონ, სად აგროვებენ ნექტარს და რა მანძილზე შეუძლიათ დაშორდნენ სკას.

— მერე მე რა შუაში ვარ, — ვერ მოითმინა და გაცხარდა ოძაკი, ცხადი იყო, ორმოს უთხრიდნენ, მაგრამ სად — ჯერ არ იცოდა.

— ახლავე აგიხსნით. — ხანში შესულმა პოლიციელმა ისევ ანიშნა ახალგაზრდას. ახალგაზრდამ მეორე ჯიბიდან მეორე ქაღალდის პაკეტი ამოიღო და უფროსს მიაწოდა. პაკეტში აღმოჩნდა რამდენიმე სხვა მწერი.

— აი ეს, როგორც ექსპერტები ადასტურებენ, კრაზანაა. ეს კი ჩვეულებრივი ოჯახის ბუზი. კრაზანების საყვარელი სასუსნავია ფუტკარი. აბა შეხედეთ ამ კრაზანას და ბუზს. კრაზანამ ნესტარი ჩაასო ბუზს ქვედა ყბაში, ხედავთ? აი ასე ნესტრავენ ხოლმე კრაზანები ფუტკრებს. კრაზანის ნესტრისაგან ფუტკარს დამბლა ემართება.

— ყური მიგდეთ, ფუტკრებზე ლექციების კითხვა მე არ მჭირდება. რა კავშირი აქვს ამას ჩემთან?

— ყველაზე პირდაპირი. ეს კრაზანა და ბუზი თქვენს მანქანაში არიან ნაპოვნი. ნუ ღელავთ, ჩხრეკის ორდერი წინასწარ ავიღეთ. დამსწრეებიც მიუდგომელი მოვიწვიეთ, რომ სიყალბე არავინ დაგვწამოს.

— რას ამბობთ, ეს რა სისულელეა?

— ბუზებიც დაფრინავენ ყვავილების გარშემო. ამ ბუზს კრაზანამ ჩაასო ნესტარი, როცა იაიძუს მეფუტკრეობის ინსტიტუტის შორიახლოს დაფრინავდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თქვენი მანქანა იქ იყო.

— იცით რა, ეს პირდაპირ სასაცილოა. ასეთი ბუზებით და კრაზანებით სავსეა იაპონია. საიდან მოიტანეთ, რომ ისინი მაინცდამაინც ინსტიტუტიდან არიან?

— ეს ძნელი დასადგენი არ არის. ჩვეულებრივ კრაზანები ბუზებს არ ნესტრავენ. ამ კრაზანამ კი დანესტრა. რატომ, როგორ ფიქრობთ?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— აბა კარგად დააკვირდით ბუზს. ხედავთ, მუცელზე საღებავი აცხია? სწორედ ისეთი, როგორიც იაიძუს ინსტიტუტის ფუტკრებს.

ოძაკის ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მას ხელი ჰკრეს და თავს ვეღარ შეიმაგრებს, იგი გუმანით გრძნობდა, რომ სწორედ ეს იყო გადამწყვეტი სამხილი, თუმცა კი ვერ ხვდებოდა, რატომ.

— ეს ბუზი შემთხვევით მოხვდა საექსპერიმენტო ფუტკრების სკაში. იქ მას გადაედო ფუტკრის სუნი და ამასთანავე ფუტკრის ნიშანიც. ამიტომაც კრაზანამ ფუტკრად მიიღო და ნესტარი ჩაასო. ინსტიტუტმა ნიშანდებული ფუტკრები გამოუშვა თერთმეტ მაისს, ესე იგი, სწორედ იმ დღეს, როცა მოკლულ იქნა ჰიოდო-სანი. ისინი მიფრინავენ დიდი-დიდი ერთი-ორ კილომეტრზე. ხოლო კრაზანები და ბუზები კიდევ უფრო ნაკლებ მანძილზე. თქვენ კი ამტკიცებთ, რომ იმ დღეს იაიძუში არ ყოფილხართ, არამედ საწინააღმდეგო მიმართულებით გაემგზავრეთ — ქალაქ კორიიამისაკენ. მაშ როგორ მოხვდნენ კრაზანა და ბუზი თქვენს მანქანაში?

პოლიციელის ამ სიტყვებზე ოძაკის მოაგონდა ოსუმის ნახევარკუნძულის ბორცვები, რომლებზედაც აწ დალუპულ ამხანაგებთან ერთად გუნდად მღეროდა სიმღერებს. იქაც ყვავილიდან ყვავილზე დაფუსფუსებდნენ ფუტკრები და აგროვებდნენ თაფლს.

მაისის ულრუბლო, ნათელი ცა. რაფსისა და ასტრაგალის ხასხასა ყვავილები. აქა-იქ — მიჯნის გასწვრივ, გლეხის სახლთან — მოყვავილე საკურა, მაგნოლია, აზალია, ფორზიცია. აი რატომ მღეროდნენ ისინი: რომ არ ეცქირათ ამ ცისთვის და ამ ყვავილებისთვის.

ეს ყოველივე მეტისმეტად ლამაზი იყო და სამუდამოდ დასატოვებლად არ ემეტებოდათ. არადა, რა ახალგაზრდები იყვნენ. უმეტესობას ჯერ ოცი წელიც არ შესრულებოდა. ქვეყანამ აჩვენა მათ მშობლიური მთებისა და მდინარეების სილამაზე და ბრძანება გასცა დალუპულიყვნენ. თავის არიდება არ შეიძლებოდა.

უცებ ოძაკის ფიქრმა გაუელვა: კრაზანა, ნესტარი რომ ჩაასო ბუზს, რომელიც საერთოდ არ უნდა დაენესტრა — ეს ხომ ჰიოდოს სიმბოლური გამოსახულებაა, ჰიოდოსი, რომელმაც იამაოკას თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ოცდაათ წელზე მეტი ერთ წამად შეიკუმშა. ყოფილ მფრინავს ოძაკის ახლა თავის საბრძოლო მეგობრებთან ერთად უნდა მოეხდინა საბრძოლო გაფრენა, საიდანაც ველარ დაბრუნდებოდა.

— მიხვალთ უბანში და ყველაფერს დინჯად, აუჩქარებლად უამბობთ, — დაამთავრა პოლიციელმა საუბარი და მხარზე ხელი დაადო. და ოძაკის მოეჩვენა, თითქოს სადღაც შორს ისმოდა ახალგაზრდული ჩანგი:

გამომხედე, საკურა, დაო, ჩვენ კბილავ,
ზუსტად საფრენ მინდორზე გაშლილი ფრთები..
ჩვენ სამშობლოს ძახილზე ამ ადრიან დილას
უკანასკნელ გაფრენას მამაცურად ვხვდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორის შენიშვნა. მოთხრობაში გამოვიყენე ტოსიო ტაკატის ნაწარმოებებიდან ნასესხები რამდენიმე მოტივი, რისთვისაც უკანასკნელს მადლობას ვუძღვნი. აგრეთვე ვისარგებლე შრომებით: ა.-ჯ. ბარკერი, „მფრინავი-კამიკაძეები“, ნიკო ტინბერგერი, „ცხოველთა ქცევა“.

## გიორგი ნიშნიანიძე

# შტრიხები პორტრეტისათვის

### რუდოლფ შტაინერი

ამ სახელის ჟღერადობა, ხსენებაც კი ყოველთვის უჩვეულო შეგრძნებებსა და რთულ ასოციაციებს იწვევს. ეს გამოწვეულია იმით, რომ რ. შტაინერი მრავალფეროვნად ლაპარაკობს ისეთ საკითხებზე, მოვლენებსა და არსებობის ფორმებზეც, რომლებზეც ღღევანდელი კაცობრიობისათვის სრულიად უცნობია.

სწორედ ამის გამო, რუდოლფ შტაინერის ფენომენის გაგებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს გარკვეულ გარემოებებს.

უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ფაქტი, რომ ადამიანმა თავისი **უშუალო** კავშირი სულიერ სამყაროსთან დაახლოებით 4 ათასი წლის წინ დაჰკარგა. როგორც ოკულტური, ნათელმხილველური მონაცემები ღაღადებენ, მანამდე ადამიანი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა და ფიზიკურ სამყაროს „მაიად" ანუ ილუზიად მიიჩნევდა. თავისი საწყისისაგან მოწყვეტილი ადამიანი თანდათან, სულ უფრო და უფრო, მიწიერ, ინტელექტუალურ არსებად ჩამოყალიბდა. კაცობრიობის ევოლუციის ასეთი რადიკალური ცვლილება გამოხატულება იყო იმ ღვთაებრივ ძალთა ნებისა, რომლებიც ადამიანის დასაბამიერად განსაზღვრულ განვითარებას წარმართავენ. კაცობრიობა მხოლოდ ფიზიკური სამყაროს ცხოვრებით შემოიფარგლა, მაგრამ მთლიანად რომ არ მოწყვეტოდა თავის ჭეშმარიტ ბუნებას, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ყოველთვის არსებობდა გარკვეული ორიენტაციების მერმეტული ოკულტური სკოლები და მისტერიული ცენტრები, სადაც ინახებოდა ღვთაებრივი სიბრძნე და ის საკრალური გზა, რისი მეობებითაც ადამიანს შესაძლებლობა ეძლეოდა კვლავ დაკავშირებოდა სულიერ სამყაროს — ხელდასხმის, ან ინიციაციის გზით კვლავ მიახლებოდა თავის ჭეშმარიტ სამშობლოს. კაცობრიობის ძველი სულიერი მოძღვრები მონდომებით, ნეოფიტებად ირჩევდნენ შესაფერის ადამიანებს. წლობით წვრთნიდნენ მათ და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდნენ უფლებას მონაწილეობა მიეღოთ მისტერიებში, სადაც მათ განეცხადებოდათ სამყაროს ჭეშმარიტება, სულის ბუნება და სიცოცხლის საიდუმლოება. ნეოფიტები ორი სამყაროს — სულიერისა და ფიზიკურის — მოქალაქეები ხდებოდნენ. ასეთი იყო კაცობრიობის ძველი სულიერი წარმმართველობა.

ხოლო საზოგადო რელიგიები მისტერიებში გამჟღავნებული სულიერი შინაარსის მხოლოდ კულტად ჩამოყალიბებული **გარეგნული** გამოხატულება იყო.

ხელდასხმა ანუ ინიციაცია ზოგადად ნიშნავდა მადესში მოგზაურობას — სიკვდილის კარიბჭის გავლას, რაზედაც ბევრი ანტიკური ხანის მწერალიც მიუთითებს, მისტერიებში ხდებოდა ნეოფიტის შინაგანი ძირეული ცვლილება, მისი **სამშვინველის** რადიკალური ტრანსფორმაცია.

ზემოხსენებულ მონაცემებს ყველა ეზოთერულ ტრადიციაში შევხვდებით. მაგრამ როცა რ. შტაინერზე, საკუთრივ, ანტროპოსოფიაზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია აგრეთვე გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ გოლგოთის მისტერიის შედეგად დედამიწაზე შემოსული ქრისტესმიერი მადლის, იმპულსის წყალობით ხსენებულ ტრანსფორმაციას შეგცნობიერად უკვე მთელი კაცობრიობა გადის, რა თქმა უნდა, გაცილებით ნელი ტემპითა და თანმიმ-

---

* ხაზგასმა აქაც და ყველგან ჩემია — გ. ნ.

დევრულად. ამიტომაც არის გოლგოთას მისტერია ყველაზე დიდი სულიერი გარდატეხა კაცობრიობის განვითარებაში, რაც ოდესმე მომხდარა დედამიწაზე: პავლე მოციქული ცენტრალურ ყურადღებას ქრისტიანობაში სწორედ ქრისტეს აღდგომას აქცევს, ანუ ქრისტეს სულიერ-მშვინვიერ-სხეულებრივ" ტრანსფორმაციას — ჩვენი სარწმუნოების ყველაზე მისტიურ მხარეს. — ვისაც ქრისტეს აღდგომა არ სწამს (ანუ არ ესმის — გ. ნ.), ის არც არისო ქრისტიანი, — ამბობს იგი. „ᲠᲐᲙᲘᲚᲐ ᲠᲯᲣᲚᲘ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲘᲡᲣᲡᲢᲔᲑᲣᲚᲘ, ᲣᲫᲚᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ,* ღმერთმა მოავლინა თავისი ძე" (პავლე. რომაელ. 8-3). მართლაც, კაცობრიობის განვითარებაში ქრისტემ შემოიტანა რაღაც სიახლე, რაც მანამდე არ არსებობდა (ანდა მხოლოდ ძალზე მცირერიცხოვან ადამიანებს განცხადებოდათ მისტერიებში). ეს არის მშვენიერი და ᲣᲙᲕᲔ ᲡᲮᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ტრანსფორმაცია, ანუ ახალი ინიციაციის გზა. მიაქციეთ ყურადღება პავლეს სიტყვებს — რაკიღა რჯული (ე. ი. ათი მცნება, ღვთაებრივი კანონი) ᲣᲫᲚᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ, ამიტომ მოევლინა ქრისტე დედამიწაზე. საგულისხმოა ისიც, რომ ძველს რჯულისათვის, კანონისათვის ახალი არაფერი მიუმატებია. მაგრამ სამაგიეროდ მან შემოიტანა რაღაც სიახლე, რაც ათ მცნებაზეც მეტია. — რჯული მოსესგან, ხოლო მადლი ქრისტე ღმერთისაგან მოგვეცაო, გვასწავლის სახარებაც. სწორედ ამ სიახლეზე, ამ მადლზე ამახვილებს ყველაზე მეტად რ. შტაინერი განსაკუთრებულ ყურადღებას, მას მიიჩნევს ქრისტიანობის ჭეშმარიტ არსად, მთელი კაცობრიობის (და არა მარტო ქრისტიანობის) ცენტრალურ სასიცოცხლო ძალად პავლე მოციქულთან ერთად (პავლე. კორინთ. II. 15. 14-20). ანთროპოსოფიის დანიშნულება ის გახლავთ, რომ, გამოწვლილვით განმარტავს რა ქრისტიანობის ჭეშმარიტ არსსა და მისი წვდომის გზებს და დეტალურად მიმოიხილავს რა თანამედროვე ადამიანის მშვინვიერი ცხოვრების ყველა მდგომარეობასა და შესაძლებლობას, წარმოუდგენელ დახმარებას უწევს ადამიანს, თვითონ გამოიმუშაოს ერთადერთი სწორი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორიენტაცია და თვითონ იმონაწილეოს თავისივე თავის გასულიერებაში. ხსნა მოხდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ცნობიერ მონაწილეობას, ანთროპოსოფია ქმედითად ეკიდება ინიციაციის, ხელდასხმის გზას და ხაზს უსვამს სახარებისეული ქრისტიანობის უძირითადეს შეგნებას: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე" (იოანე. 14-6), „მე ვარ სიცოცხლე და აღდგომა" (იოანე. 11-25).

გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას ის სხვაობა, რითაც ანთროპოსოფია ემიჯნება თეოსოფიას.

თეოსოფიური მოძრაობა, რომელიც უფრო აღმოსავლური ორიენტაციისა იყო, დაიწყო მე-20 საუკუნის თითქმის დამდეგიდან და მიეწერება ე. პ. ბლავატსკაიას სახელს. თეოსოფოსების დევიზი იყო სანსკრიტული გამოთქმა: „სატიატ ნასტი პარო დჰარმა" ... რელიგიები არ არიან ჭეშმარიტებაზე უფრო მეტი, — რაც აგრეთვე თავისებური აქცენტი გახლდათ რელიგიათა დაფარულ, საკრალურ მხარეზე, ანუ რელიგიათა თავწყაროზე — მისტერიებზე, ეზოთერულ სიბრძნეზე. მათ რ. შტაინერიც მიიწვიეს, მაგრამ რაკი თეოსოფოსები ქრისტეს — ზარატუსტრას, კრიშნას, ბუდას და ა. შ. მსგავსად — მხოლოდ ერთ-ერთ გურუდ, კაცობრიობის ერთ-ერთ სულიერ მოძღვრად — მიიჩნევდნენ, რ. შტაინერი გაემიჯნა მათ. მთლიანად ქრისტიანულ ეზოთერიკას დაუკავშირდა და შექმნა ანთროპოსოფიული მოძრაობა. თეოსოფია ის ოკულტური ლიტერატურაა, რომელიც მეტ-ნაკლები სიღრმით ეხება უმეტესწილად გარდასული ცივილიზაციების მისტერიათა სიბრძნეს, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება კაცობრიობის განვითარების ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ საფეხურებს. რა თქმა უნდა, თეოსოფია დიდ სპირიტუალურ განათლებას იძლევა, მაგრამ ვერ წვდება კაცობრიობის დღევანდელი განვითარების ყველაზე უახლეს და ქმედით ძალებს — დღევანდელი სამყაროსეული ევოლუციის ცენტრალურ ხაზს. თეოსოფიისაგან განსხვავებით, ანთროპოსოფიის უმთავრესი ობიექტი არის ქრისტე. ამდენად, ანთროპოსოფია ქრისტიანული სარწმუნოების ეზოთერულ შინაარსსაც წარმოადგენს. ეს არამც და არამც არ ნიშნავს ქრისტიანული ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ რაიმე პრიმატს სხვა რელიგიების მიმართ, ანუ მათდამი რაიმე დაპირისპირებას. აქ ხაზი ესმება ქრისტეს, როგორც ლოგოსის, სამყაროს შემოქმედის, უშუალო იმპულსს, როგორც უახლეს სასიცოცხლო ძალას ადამიანის განვითარებაში, როგორც მთელი კაცობრიობის, და არა რელიგიურად გამიჯნული მისი რომელიმე ნაწილის, განვითარების ყველაზე დიდ და ქმედით ძალას, რომელსაც ყველა მისტერიული და რელიგიური ხაზი უკავშირდებოდა წარსულში და რომელსაც, გოლგოთას მისტერიის შემდეგ, მთელი კაცობრიობისა და დედამიწის ბედიც დაუკავშირდა. (ეს ძალა ყოველგვარი რელიგიურობის საზღვრებს სცილდება). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანთროპოსოფია არ შეიძლება არ იყოს მიქელ მთავარანგელოზის ინსპირაციის უშუალო გამოხატულება, ვისაც ყოველთვის ებმოდა კაცობრიობის ევოლუციის ცენტრალური ხაზი. ამიტომაცაა, რომ ანთროპოსოფია განსაკუთრე-

* ხაზგასმა აქაც და ყველგან ჩემია, გ. ნ.

სულ ყურადღებას ასევე მიქელ მთავარანგელოზსაც უთმობს, როგორც ქრისტეს პირდაპირ გამოცხადებას, მის მაცნეს.

რ. შტაინერის ფენომენის გაგებისათვის აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის XV საუკუნიდან კაცობრიობის განვითარება შევიდა სრულიად ახალ ფაზაში — დაიწყო ე. წ. ცნობიერი სამშვინველის კულტურა (მანამდე ადამიანი გრძნობიერ სამშვინველსა და განსჯით სამშვინველს ავითარებდა). ცნობიერი სამშვინველის ეპოქაში, რომელიც კიდევ რამდენიმე საუკუნეს გასტანს, ადამიანი სულ უფრო და უფრო მეტ თავისუფლებას მოიპოვებს, უფრო კონკრეტულად გამოჰკვეთს თავის თავს სამყაროში იმ კულტურის ნიშანდობლიობა ის გახლავთ, რომ ცნობიერი სამშვინველის განვითარება ხორციელდება მატერიის სულთან, ანუ სიკვდილთან — იგივე მეფისტოფელთან — უშუალოდ ბრძოლაში (გაიხსენეთ გოეთეს აზრი — მხოლოდ ის ადამიანია სიცოცხლის ღირსი, ვინც დღენიადაგ ბრძოლით მოიპოვებს ცხოვრებას, სიცოცხლის უფლებას). სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მატერიალისტური მეცნიერების აყვავება, ცხოვრების სულ უფრო მზარდი ტექნიზაცია. უკანა პლანზე გადადის ტრადიციული, უკვე განვითარებული, გრძნობებისა და ემოციების პრიმატი. მჟღავნდება ადამიანის ბოროტული ჩვევები და უსაშინელესი ინსტინქტები, უჩვეულოდ იზრდება ინტელექტი და სინამდვილის ინტელექტუალური წვდომა. ერთგვარი წონასწორობისათვის ხშირდება გამოცხადებებიც. ყოველივე ზემოთქმულის გამო იცვლება ადამიანიც — ის უფრო იზოლირებული, დამოუკიდებელი და ინდივიდუალური ხდება — უფრო ეძებს თავის თავს, ცნობიერ სამშვინველს. შესაბამისად, კრიტიკულად უდგება ყველაფერს, ინტელექტზე დამყარებული ცნობიერებით ამოწმებს ყოველივეს და უკიდურესად ინდივიდუალურად სჯის. მის თვალში ფასი ეკარგება საერთო განმანათლებელ თუ საერთო აღმზრდელობით ინსტიტუტებს. ინდივიდუალური ინტელექტუალური განსჯა ბეწვის ხიდებზე გადის. ეზოთერული თვალსაზრისით ადამიანის ასეთი იზოლირებული და, ერთგვარად, სრულიად მიტოვებული მდგომარეობა აუცილებელია მისი განვითარებისათვის, რათა მან ამ დროს თვითონ აღმოაჩინოს ღვთაებრივი თავის თავში, თავად გახდეს ტაძარი, ეკლესია, ჭეშმარიტება ადამიანშია და არა გარეთ, თუნდაც მორალის ინსტიტუტებში: — ცათა სასუფეველი თქვენშია, — ამბობს ქრისტე (ლუკა. 17-21): სწორედ ამ დროს შემოდის ცხოვრებაში სპირიტუალური ცოდნა. გარდასულ ეპოქებში ადამიანი მას იმაგინაციური ხატ-სახეებით იღებდა. მერე და მერე განვითარებული გრძნობებითა და ემოციებით და ინსტინქტური ბუნებრიობით ითავსებდა, როგორც სასიცოცხლო ძალას. დღეს ეს ცოდნა მკვეთრად ფორმირებული ინტელექტით აღიქმება და ცნობიერი სამშვინველის კულტივაციის ემსახურება; ამას გარდა იგი არის ერთადერთი ინფორმაციაც სულიერი სამყაროს შესახებ.

რ. შტაინერის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან სრულყოფილად შეისწავლა კლასიკური ფილოსოფია, ხელოვნების დარგები, თითქმის ყველა მეცნიერება, ანტიკური და ისტორია. სწორედ ყოვლისმხრივ აღჭურვილი ინტელექტის ენაზე მეცნიერული სიზუსტითა და ობიექტურობით განმარტავს რ. შტაინერი სამყაროსეულ საიდუმლოებებს, როგორიცაა — ადამიანის წარმოშობა, შინაგანი აგებულება და დანიშნულება; მისი განვითარება, დაფარული სულიერი პოტენციები და ცნობიერების საფეხურები; ადამიანის კარმიული კანონზომიერებები, სულის ცხოვრება გარდაცვალებიდან ახალ დაბადებამდე და რეინკარნაციების არსი, იერარქიულ ძალთა ევოლუციები და მათი დამოკიდებულებანი კაცობრიობასთან; ქრისტიანობის არსი, ქრისტე, როგორც გარდასულ და მომავალი ცივილიზაციების ცენტრალური ფიგურა და მისი სასიცოცხლო მნიშვნელობა კაცობრიობისათვის, დედამიწისა და სამყაროსათვის; ქრისტე, როგორც ყველა არსის გული; წმინდა წერილის ეზოთერული ახსნა და საიდუმლო გამოცხადებები; წარსულის ეზოთერული ცენტრების სიბრძნე და გამოცდილებები; ეპოქების, ქვეყნების, ერების ცივილიზაციებისა და ცალკეული გამორჩეული პიროვნებების სულიერი მისიების მიმოხილვა; თანამედროვე ადამიანის შინაგანი ცხოვრების პრობლემატური საკითხებისა და დილემების განმარტება და მისი ყველაზე სწორი და რაციონალური პოზიცია დღეს; ყოველდღიური მიწიერი ცხოვრების ზეგრძნობადი მხარე; ევოლუციის წარმმართველი და დამამუხრუჭებელი ძალები; კაცობრიობის ესქატოლოგიური მიზნები და ა. შ. და ა. შ.

როგორც სულისმეცნიერება გვასწავლის, ცნობიერი სამშვინველის ეპოქა უაღრესად კრიტიკული ფაზაა ადამიანის დედამიწისეულ განვითარებაში — მატერიასთან, სიკვდილთან უშუალო მიმართებაში ადამიანი ეძებს თავისი აზრის, შეხედულებისა თუ პოზიციის ყველაზე უკიდურეს, საბოლოო განზომილებას და მერე მას ძნელად თუ შეცვლის. ამიტომაც არის ჩვენი ეპოქა ბრძოლის ეპოქაც — სინათლისა და წყვდიადის ურთიერთჭიდილის ეპოქა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ დღეს მიწიერი ცოდნის, გარეგრძნობიერი ინფორმაციის გარდა ადამიანმა აუცილებლად უნდა მიიღოს სულიერი სამყაროს ცოდნაც. თეოსოფია და ანტრო-

პოსოფია ჩვენი დროის სულიერი სიტყვაა — ამ უაღრესად მატერიალიზებულ და ტექნიზირებულ ეპოქაში ადამიანმა სწორედ სულისმეცნიერების დახმარებით უნდა გამოარჩიოს ჭეშმარიტი ილუზორულისაგან, მახინჯი მშვენიერისაგან, კეთილი ბოროტისაგან — დღეს ეს ძალები ყველაფერში უკიდურეს წვრილმანებამდეა ერთმანეთზე გადაწნული და გადახლართული, ძალზე ჭირს მათი გამორჩევა.

ანტროპოსოფია მკვიდრად ემყარება ქრისტიანული რელიგიის ურყევ საფუძვლებს. მაგრამ, ამავე დროს, იგი მოწოდებულია XV საუკუნიდან კაცობრიობის განვითარებაში შემოსული სიახლისა და ამ სიახლით გამოწვეული ყველა მშვინვიერ-ფსიქიკური ცვლილების შესაბამისად სწორი სულიერი ორიენტაცია მისცეს ადამიანს, რომელიც თითქმის მხოლოდ ინტელექტის ამარად დარჩა ამ უკიდურესად რთულ და აწეწილ ეპოქაში. ამ მხრივ, ანტროპოსოფია ცნობიერი სამშვინველის ერთადერთი ხიდი და უტყუარი მეგზურია. როგორც რ. შტაინერი ამბობს, ანტროპოსოფია ინტელექტუალურ-მეცნიერული ფორმაა იმ სულიერი ცოდნისა, რაიც წარსულში მითების, ლეგენდებისა და თქმულებების სახით გამოიხატა: იგი კიდევ 400 წელი იარსებებს და მერე მას აზროვნების სხვა ფორმები შეცვლიან.

ზემოთქმულის კონტექსტში არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი რთული საკითხიც, რომელიც სწორედ ანტროპოსოფიის, და საერთოდ სულისმეცნიერების, ცხოვრებაში გამოჩენას უკავშირდება. ეს სირთულე იბადება მაშინ როდესაც რელიგიისადმი ტრადიციულ დამოკიდებულებას ვეხებით. ამ დამოკიდებულებაში როგორც წესი, იგულისხმება ჩვენი რწმენა და უპირობო ნდობა ღვთისადმი; ლოცვების აღვლენა და მასთან ყველაზე ღრმა და დაფარული გრძნობისა თუ ფიქრის განდობა და ა. შ. სამშვინველის ამგვარ აღზრდას დიდად უწყობდა ხელს ეკლესიის წმინდა მამათა ნაწერებიც. უმწეობის განცდა, კრძალულება, მორჩილება, ნდობა, სამართლიანობის გრძნობა, სინდისი, სახოება — ყოველივე ეს გრძნობათა სფეროს განეკუთვნება და ჭეშმარიტი ადამიანობის წმინდათაწმინდა საგანძურია, ჩვენი მეობის საფუძველთა საფუძველია. მხოლოდ ამ სფეროში ვართ ჩვენ ყველაზე ინდივიდუალური და ყველაზე ინტიმური. ზემოხსენებული სირთულე სწორედ მაშინ ჩნდება, როდესაც ამ ყველაზე ინდივიდუალურ და დაფარულ სფეროზე ანალიტურად, მეცნიერულად გველაპარაკებიან, ხელს გვკიდებენ მას და ინტელექტუალური ცნობიერების ჩარჩოებში ათავსებენ — ჩვენი ინტელექტუალური ცნობიერება კი ამ დროს მხოლოდ ფიზიკური სამყაროს ცოდნას ემყარება და მხოლოდ მიწიერის არეალით არის შემოფარგლული! ამგვარი უზერხულობა ყოველთვის თან ახლავს ანტროპოსოფიისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს. ეს უფაქიზესი პროცესია, მაგრამ გზადაგზა, რაც უფრო მეტად და ძალდაუტანებლად ეცნობა ადამიანი სრულიად უცნობი სულიერი სამყაროს კანონზომიერებებსა და ზეგრძნობადის ბუნებას, უზერხულობა თანდათან და ნელ-ნელა ქრება. თურმე არსებობს ისეთი ცოდნაც და სიბრძნეც, რომელიც ყველაფერს იტევს და უუმშვენიერეს წესრიგში რთავს — სულიერი სამყაროს წესრიგში. ასეთ წესრიგში უფრო ლაღად და უფლებამოსილად სუნთქავს ჩვენი ყველაზე ინდივიდუალური და ინტიმური შეგრძნებაც კი! ასეთი წესრიგი ზრდის და ბუნებრიობად წარმოაჩენს კაცობრიობის, როგორც ერთი სულიერი სხეულის, შეგრძნებასაც.

ეს ხომ სულ სხვა წესრიგია, სულიერ ადამიანთა და იერარქიულ არსთა ცხოვრების წესია! ანტროპოსოფიის დანიშნულებაც სწორედ ამ მშვენიერებისა და მორალის წესრიგის შემოტანაა ადამიანის ცნობიერებაში.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ სულიერის ცოდნასთან, ღვთაებრივ სიბრძნესთან შეხება იწვევს ადამიანის შინაგანი ბუნების რადიკალურ ძვრებს, ამიტომ მკითხველი ყოველთვის სერიოზულად და სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ოკულტურ ლიტერატურას, მითუმეტეს თუ იგი არ ემორჩილება ლოგიკის უმკაცრეს კანონებს. აღარაფერს ვამბობთ დღევანდელ მოქარბებულ სპირიტუალურ ინფორმაციაზე, რასაც შარლატანურიც ბევრი ურევია. ეზოთერული თვალსაზრისით ბიბლიაში აღწერილი ლუციფერული ცთუნება სხვა არაფერია, თუ არა დაფარულ ცოდნასთან არადროული და მოუმზადებელი მიახლება. ამბობენ, ერთხელ ლაოძე კონფუცის შეხვდა და რაღაცაზე ესაუბრა, რის შემდეგაც კონფუცი რამდენიმე დღის მანძილზე გაოგნებული იყო და ენაჩავარდნილივით დუმდაო. ადამიანი აუცილებლად კრიტიკულად უნდა მიუდგეს ასეთ ცოდნას და ყოველთვის, ასე ვთქვათ, უნდა დაძლიოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა განერიდოს, როგორც თვითონ რ. შტაინერიც ამბობს. ოკულტური აზრი არ უნდა გახდეს განყენებული, არ უნდა ეურჩებოდეს ადამიანის ცხოვრებას, მის სულიერ ჰარმონიას. აღმოსავლურ ეზოთერიკაში არის ასეთი გამოთქმა: „სატ-ჩიტ-ანანდა“, რაც დაახლოებით „ცოდნა-ძალა-ცხოვრებას“ ნიშნავს. სწორად გაათავისებული სიბრძნე ცხოვრების ქსოვილიცაა.

რუდოლფ შტაინერის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ისიც გახლავთ, რომ ანტროპოსოფიული ეზოთერიკა გადმოცემულია იმ ფორმით, რომელიც საოცარი სიზუსტით შეესაბამება თანამედროვე ადამიანის ყველა მშვინ-

ვიერ-ფსიქიკურ შესაძლებლობასა და ბუნებრივ ყოფიერებას. სიბრძნის ამგვარ გადამუშავებაში ჩანს ავტორის უდიდესი პასუხისმგებლობა გულისყური და სიყვარული. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ყოველთვის სრულიად ობიექტურია, ანუ ახერხებს აბსოლუტურად ალაგმოს ყოველგვარი პირადული დამოკიდებულება თუ მიმართება ამ სიბრძნისადმი, რითაც მკითხველს სრული თავისუფლება ეძლევა წაკითხულიდან თავად გამოიტანოს საკუთარი დასკვნები. მეორეს მხრივ, სიბრძნეს არ სჭირდება ეგზალტაცია და მხარდაჭერა. მაგრამ მაინც ზემოთქმული სირთულის გამო ბევრი მკითხველი ხშირად გაურბის ანტროპოსოფიას; ბევრია ისეთი ადამიანიც, რომლებიც კვლავ უბრუნდებიან მას, ზოგჯერ წლების შემდეგაც (უბრუნდებიან პროვიდენციული წესრიგით. ამის გამო ყოვლად გაუმართლებელია ანტროპოსოფიის პროპაგანდა).

დასასრულ შეიძლება ასეთი აზრიც გამოთქვას: მრავალფეროვანია ეზოთერული სიბრძნე და პოზიცია. მაგრამ მხოლოდ ანტროპოსოფიულად გათვალისწინებულ და ქრისტესთან უშუალო მიმართებაში პროეცირებულ სიბრძნეს უწერია მომავალი. სწორედ აქ უნდა მოვიძიოთ რუდოლფ შტაინერის ყველაზე დიდი დამსახურება. (ვიშვა-კარმანს ანუ ქრისტეს აღმოსავლეთის დიდი ხელდასხმულებიც მიიჩნევდნენ ერთადერთ ჭეშმარიტებად).

და ბოლოს. სულისმეცნიერების მიხედვით ადამიანის ყველა მოქმედება, აზრი თუ გრძნობა მხოლოდ პროექტირებაა — ჭეშმარიტებისადმი, მასთან მეტ-ნაკლები ხარისხით მიახლოებაა. ანტროპოსოფიაში გამჟღავნებული ძირითადი აზრები კი ყოველთვის იყო, არის და იქნება, — ისინი ჭეშმარიტების ნაწილია.

რაც შეეხება რ. შტაინერის ცხოვრების ყოფით მხარეს, ახლობლები, მეგობრები და მოწაფეები მასზე ბევრ საყურადღებო ცნობას გვაწვდიან. მაგალითად, ხშირად დღეში იგი დაახლოებით 200 ადამიანს ღებულობდა, რომლებიც თავიანთ საჭირბოროტო საკითხებზე გაჭირვებასა და ავადმყოფობაზე ჩიოდნენ და ყოველმხრივ დახმარებას მოითხოვდნენ მისგან. ეპიდემიების დროს რ. შტაინერი უშუალოდ მონაწილეობდა საავადმყოფოების ყოველდღიურობაში და სახავდა მათი აღკვეთის გზებს. მკურნალობდა სულით ავადმყოფებსაც. ბევრჯერ უნახავთ მის თვალზე ცრემლიც. ახლობლები იგონებენ, რომ იგი ცდილობდა შეჰყროდა სნეულებები, რათა ძირეულად განეჭვრიტა მათი განკურნების გზები.

ყოფილა იშვიათი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი, მუდამ ხალისიანი და მოქმედი. ჰქონდა ბოხი მკერდისმიერი ხმა; სიარული — გამორჩეულად მსუბუქი და მკვეთრ-ვანი. მთელის არსებით უსმენდა თანამოსაუბრეს. სიამოვნებდა მოხუცებულ ქალთა საზოგადოებაში ყოფნა. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ეგოისტ და თავხედ ადამიანებისადმი — ცდილობდა ჩასწვდომოდა მათი ცხოვრების წესს, რათა როგორმე დახმარებოდა მათ. პირადულ საქმიანობასა და ყოველდღიურობაში ხშირად აღუნიშნავთ მისი თვალშისაცემი გულმავიწყობა და დაბნეულობაც. ეხერხებოდა და უყვარდა ხუროს საქმე.

დაახლოებულ მოწაფეებთან ვითარდებოდა შესაბამისად, იყო ერთობ მკაცრი და შეუვალიც; ამ დროს მას ყოველმხრივ ერიდებოდნენ — მისი ხმა მეხთატეხას ემსგავსებოდათ. მაგრამ მას ჰქონდა ერთი ურყევი პოზიცია: არასოდეს არ შეელახა ადამიანის ცენტრალური ნება, კრძალავდა ჰიპნოზს, ყოველგვარ მაგიურ ვარჯიშებსა და იოგას ხელოვნურ სუნთქვებს.

მნახველებს, ნაცნობებსა და თვით ანტროპოსოფოსებს შორისაც ბევრი იყო ისეთი ადამიანიც, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ მთელს მის მოღვაწეობასა და ყოველდღიურ ცხოვრებასაც კი. იყვნენ სხვადასხვა ჯურის მსტოვრებიც; ზოგი მათგანი გათენებამდე კარის ზღურბლთანაც იწვა და ასე სდარაჯობდა მას, რომ როგორმე ამ გზით მაინც ამოეცნო მისი საოცარი შესაძლებლობებისა და ძალის მიზეზი, როგორმე აეხსნა მისი უჩვეულო ბუნება. მართლაც, გარდა ყოველდღიურად უამრავ ადამიანთან შეხვედრისა და მკურნალობისა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მრავალმხრივი მონაწილეობისა, საჯარო და სპეციალური ლექციების კითხვისა და დაახლოებულ მოწაფეებთან ინდივიდუალური მუშაობისა, რ. შტაინერის შემოქმედება 8 ათასამდე (!) ნაწარმოებსა და ლექციასაც ითვლის (მათგან უმეტესს ახლობლები იწერდნენ, რომელთაც შემდეგ რედაქტირებას თვითონ რ. შტაინერი უკეთებდა). რა თქმა უნდა, ასეთი ძალა და მოქმედების დიაპაზონი ადამიანური შესაძლებლობების არცერთ ჩარჩოში არ ეტევა. ბოლო წლებში თითქმის აღარც იძინებდა — შეეძლო სიფხიზლეშიც მიეღო სასიცოცხლო ძალები. მაგრამ მისი ჭეშმარიტი ბუნებისა და უნარის ნათელსაყოფად საკმარისია ორი მომენტი აღინიშნოს მოწაფეების მოგონებებიდან:

ერთი მოწაფეთაგანი, ცნობილი რუსი პოეტი, ა. ბელი წერს, რომ დარბაზში შემოსვლისთანავე რ. შტაინერმა ერთ წამში უკვე იცოდა (რაც მრავალგზის დადასტურდათ) ყველა იქ მყოფთაგანისა სულიერ-მშვინვიერი მდგომარეობა, წინადღის ნამოქმედარი და ყველა აზრი, მიღწევაცა და ცოდნებაცა.

მეორე მოწაფე რომელიც განსაკუთრებულად იყო მასთან დაახლოებული, ქრისტიანი თეოლოგი რიტელმაიერი იგონებს: ერთხელ

საუბრისას მან მითხრა, რომ მისი მშობლები ღვთისმოსაობით არ გამოირჩეოდნენ და ადრე ბავშვობაში მისთვის არაფერი უთქვამთ ქრისტეს ცხოვრებაზე, ხოლო მერე, როდესაც თავად გაეცნო სახარებას, გაუკვირდა, რომ იქ ისეთი რამ ამოიკითხა, რაც ადრე ბავშვობაში თვითონ განიცადა და მკაფიოდ შეიცნო.

სულისმეცნიერების ენაზე ასეთი ცნობიერება — წმინდა სოფიის ბუნება, — ქალწულებრივი სიბრძნის ცხოვრება — ხელდასხმის, ინიციაციის მხოლოდ მეშვიდე საფეხურზე მიიღწევა. (ეს ის სულიერი სიმაღლეა, რომელიც დედამიწაზე მხოლოდ ბოდისატვას შეიძლება გააჩნდეს).

აღმოსავლური ეზოთერიკის მიხედვით ბოდისატვები ადამიანებსა და ანგელოსებს შორის მყოფი იერარქიული არსებებია — რიცხვით თორმეტნი. ისინი ფლობენ ე. წ. მანასს — თვითმყოფ სულს — რომელიც დღეს ადამიანში ჩანასახის სახით მოცემული ღვთაებრივი და უკვდავი ძალაა. სულიწმიდას წილია. ბოდისატვას განვითარების სასრული დედამიწაზე ბუდად ქცევაა. ბუდიზმის მიხედვით გაუტამა ბუდა შეცვალა ბოდისატვამ, მომავალმა მაიტრეია ბუდამ, რომელიც XX საუკუნიდან დაიწყებს თავისი მისიის განხორციელებას, ყოველ მომდევნო საუკუნეში განხორციელდება დედამიწაზე და მთელს მოღვაწეობას ვიშვაკარმანს — ბედის მეუფეს — დაუკავშირებს. „მაიტრეია ბუდა“ სანსკრიტზე „მეგობარ ბუდას“ ნიშნავს. ქრისტიანულ ეზოთერიკაში მას „ნუგეშისმცემელი“ ჰქვია.

„და ვთხოვ მამას, და მოგივლენთ სხვა ნუგეშისმცემელს, რათა იყოს თქვენთან უკუნისამდე“ (იოანე 14-16).

„ხოლო ნუგეშისმცემელი, სული წმიდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით, გასწავლით და მოგაგონებთ ყველაფერს, რაც მე გითხარით“ (იოანე 14-26).

„ის იმოწმებს ჩემთვის“ (იოანე 15-26).

„...ჭეშმარიტებას გეუბნებით: გიჯობთ, რომ წავიდე; რადგან თუ არ წავალ, არ მოვა თქვენთან ნუგეშისმცემელი, ხოლო თუ წავალ, მოგივლენთ მას. და როცა მოვა, ამხილებს ქვეყანას ცოდვის, სიმართლისა და განკითხვისათვის,

ცოდვისათვის, რადგან არ მწამვარ მე;

სიმართლისათვის, რადგან მამა ჩემთან მოვდივარ და ველარ მიხილავთ მე.

განკითხვისათვის, რადგანაც ამ ქვეყნის მთავარი უკვე განკითხულია.

კვლავ ბევრი მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ამჟამად ველარ იტვირთავთ.

ხოლო როდესაც მოვა იგი, ჭეშმარიტების სული, წაგიძღვებათ თქვენ ყოველი ჭეშმარიტებისაკენ; ვინაიდან თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ რასაც მოისმენს, იტყვის და მომავალს გაუწყებთ თქვენ.

ის მადიდებს მე, ვინაიდან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ“. (იოანე 16. 7-16).

მეორეს მხრივ, ანტროპოსოფიის თვალსაზრისით, „ნუგეშისმცემელი“ ეწოდება ადამიანის საშვინველის იმ ნაწილს, რომელიც [illegible] ლუციფერული ცოდნების შედეგად [illegible] და ქრისტეს მადლის, იმპულსის წყალობით უნდა აღდგეს და აღორძინდეს.

რუდოლფ შტაინერი დაიბადა 1861 წლის 27 თებერვალს კრალევიჩში (დღევანდელი იუგოსლავია). ვინერ-ნოიშტადტის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად გადადის ვენაში, მთელის მონდომებით ეწაფება საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ მეცნიერებებს, საფუძვლიანად სწავლობს ფილოსოფიას, ლიტერატურასა და ისტორიას. მოდვაწეობს ადრეულ პერიოდში, აქტიურად მონაწილეობს ვენის, ვაიმარისა და ბერლინის მეცნიერულ და შემოქმედებით ცხოვრებაში. 1882 წლიდან მუშაობს გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომების კომენტარებზე. როგორც რ. შტაინერი ამბობს, გოეთეს მეცნიერულმა შეხედულებებმა დიდი გავლენა იქონიეს მისი „საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან სულის მეცნიერებაზე გადასვლის“ საქმეში.

რ. შტაინერმა მიზნად დაისახა მკაცრი ფილოსოფიური და მეცნიერული ფორმა მიენიჭებინა იმ სულიერი შეგრძნებებისა და გამოცხადებებისათვის, რომელთა წვდომის უნარი მას ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა. (ყოველგვარი მიწიერი მოქმედების ჟამს, როგორც თავად ამბობს, წამითაც კი არ წყვეტდა სულიერ სამყაროსთან კავშირს). ამ მცდელობისა და მუშაობის შედეგია მისი წიგნები — „გოეთეს მსოფლმხედველობის შემეცნების თეორიის ძირითადი შტრიხები“ (1886 წ.), სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში „ჭეშმარიტება და მეცნიერება“ (1891 წ.), განსაკუთრებით კი „თავისუფლების ფილოსოფია“ (1894 წ. ). ამ ნაწარმოებებს რ. შტაინერი მიიჩნევს ერთგვარ მნიშვნელოვან შუალედურ საფეხურად გრძნობადი სამყაროს შემეცნებიდან სულიერ სამყაროს შემეცნებაზე გადასასვლელად. ხსენებულ ნაწარმოებებში გამოკვეთილია ისეთი აზრის განვითარების გზა, რომელიც ემყარება არა გრძნობად სამყაროს, არამედ უკვე საკუთარ თავს — წმინდა აზროვნებას, როგორც დამოუკიდებელ ცოცხალ არსობრიობას.

XX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო რ. შტაინერის მოღვაწეობის ახალი პერიოდი. ამოდიოდა რა დროის სულიერი მოთხოვნილებებიდან, მან მიიღო გადაწყვეტილება საჯაროდ გაეცხადებინა საკუთარი სულიერი გამოცდი-

ლებებისა და ძიებების შედეგები — თანხმდება დაიკავოს თეოსოფიური საზოგადოების გერმანული სექციის გენერალური მდივნის ადგილი იმ პირობით, რომ სექციაში მისი მოღვაწეობა დაემყარებოდა მისსავე საკუთარ სულიერ ძიებებს.

ქვეყნდება მისი ძირითადი სულის მეცნიერული შრომები: „თეოსოფია. სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების შესავალი და ადამიანის დანიშნულება" (1904 წ.), „როგორ მივაღწიოთ ზეგრძნობადი სამყაროს შემეცნებას?" (1904-1905 წწ.) და „იდუმალმეტყველების ნარკვევი" (1910 წ.).

ამავე პერიოდში რ. შტაინერი ინტენსიურად კითხულობს ლექციებს სხვადასხვა ოკულტურ საკითხებზე, სადაც დიდი ადგილი უკავია ქრისტოლოგიის პრინციპებს.

1913 წელს, როგორც აღვნიშნეთ, მოხდა კონფლიქტი რ. შტაინერსა და თეოსოფიურ საზოგადოებას შორის, რამაც აიძულა მას დაეტოვებინა თეოსოფიური საზოგადოება.

იმავე წელს აარსებს ანტროპოსოფიურ საზოგადოებას — საძირკველი ჩაეყარა გოეთეანუმის შენობას დორნახში (შვეიცარია) და ანტროპოსოფიური მოღვაწეობის ცენტრმა მალე იქ გადაინაცვლა, გოეთეანუმის მშენებლობაში, პირველი მსოფლიო ომის დროს, მონაწილეობას ღებულობდნენ თვრამეტი ევროპული ქვეყნის წარმომადგენლები. შენობის პროექტისა და შიდა მოწყობის ავტორი გახლდათ თავად რ. შტაინერი; გოეთეანუმს „სიტყვის სახლი" ეწოდა. ხელოვნების დარგში მისი მოღვაწეობის ნაყოფია ოთხი დრამა — მისტერია, მოძრაობის ახალი, რიტმული ცეკვის მსგავსი, ფორმა — ევრითმია — ხილული მეტყველების ხელოვნება.

მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც შერყეული იყო ევროპის სოციალური ცხოვრება, რ. შტაინერმა წამოაყენა სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობის იდეა. ამ საკითხზე მისეული კრიტიკული შეხედულებები გამოხატულია წიგნში „სოციალური საკითხის ძირითადი შტრიხები" (1919 წ.)

ამავე პერიოდში ქვეყნდება ახალი პედაგოგიკის უმნიშვნელოვანესი დებულებები და იხსნება ვალდორფის პირველი სკოლა. 1921 წელს ექიმი იტა ვეგმანი აარსებს პირველ კლინიკურ-თერაპევტულ ინსტიტუტს არლესჰაიმში, რომლის მეცნიერულ-პრაქტიკული მოღვაწეობა ემყარება ადამიანის არსების ანტროპოსოფიურ გაგებას.

1923 წლის პირველ იანვარს ხანძარმა გაანადგურა გოეთეანუმის შენობა, რაც დიდი დარტყმა იყო მთელი ანტროპოსოფიური მოძრაობისათვის.

საოცარი ინტენსიურობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა რუდოლფ შტაინერის ცხოვრების უკანასკნელი წლის შემოქმედება. იგი ქმნის ახალი გოეთეანუმის მაკეტს, რომლის მშენებლობა მისი გარდაცვალების შემდეგ დასრულდა; კითხულობს სპეციალურ კურსებს მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში, ამეცადინებს თეოლოგებსა და გოეთეანუმის მშენებლებს, — შინაგანი — ცხოვრების გასალრმავებლად იძლევა ახალ ეზოთერიულ მითითებებს.

რუდოლფ შტაინერი გარდაიცვალა დორნახში 1925 წლის 30 მარტს.

დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელებული ვალდორფისეული სკოლები და საბავშვო ბაღები, ბიოლოგიურ-დინამიური სასოფლო-სამეურნეო ცენტრები (რომლებიც გამორიცხავს ქიმიური სასუქების გამოყენებას და ხელს უწყობს ნიადაგის ბუნებრივ განაყოფიერებას); ანტროპოსოფიური კლინიკები და ფარმაცევტული ფირმები, ევრითმიის სკოლები, სამკურნალო-პედაგოგიური სასწავლებლები და დაწესებულებები, ანტროპოსოფიის განსწავლის ფილიალები, სპეციალური გამომცემლობები და სხვა, რაც რუდოლფ შტაინერის უშუალო ძალისხმევითა და იმპულსით აღმოცენდა.

□

# მღვდელმონაზონი სერაფიმ როუზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან
თარგმნა მარინე ხოსიტაშვილმა

## ღვთის გამოცხადება ადამიანის გულში

მღვდელმონაზონი სერაფიმ როუზი თანამედროვეობის ცნობილი რელიგიური მოღვაწე და თეოლოგია. ის მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას თავისი პერიოდული გამოცემებით სან-ფრანცისკოში, შემდეგ საძმოსთან ერთად ჩრდილოეთ კალიფორნიის მთებში გადაინაცვლა და სიცოცხლის ბოლო 13 წელი იქ გაატარა ბერად. როუზი არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ კარგ ამხსნელად მართლმადიდებლური მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტისა. მისი ერთ-ერთი თანამოძმის თქმით, ის იყო ცოცხალი, ადამიანური ხიდი ფესვებამოგლეჯილ თანამედროვე კაცსა და ჭეშმარიტებას შორის.

უფრო ადრე კი ის უამრავი მიაწრაფების მქონე, მეტად ნიჭიერი და ალღოიანი ახალგაზრდა ამერიკელი იყო. კარგად იცოდა ფილოსოფია, მათემატიკა, ლინგვისტიკა, ლიტერატურა, მუსიკა და თეოლოგია. ღრმა ანალიტიკური გონების წყალობით დიდი მიღწევები ჰქონდა სტუდენტობის წლებში. რაც შეეხება რელიგიურ მხარეს, ყმაწვილობაში პროტესტანტიზმს მისდევდა, შემდეგ აღმოსავლეთის სიბრძნეს დაეწაფა და ჩინურიც კი შეისწავლა რელიგიური ტექსტების გადმოსათარგმნად. მაგრამ მისი სული, როგორც შემდგომში თვითონ გააცნობიერა, პიროვნულ ღმერთს ეძიებდა და ამიტომ, თითქოს თავისდა უნებურად, ისევ ქრისტეს მიუბრუნდა. ამ დროს აღმოაჩინა აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც თითქმის უცნობი იყო დასავლეთის საზოგადოებისათვის. მან იცოდა, რომ ეს ეკლესია ისტორიულად ქრისტესა და მისი მოციქულების მიერ იყო დაარსებული და მას ერთადერთს ჰქონდა შენარჩუნებული ქრისტიანული სწავლების სიწმინდე და უწყვეტობა. მაგრამ ეს კიდევ არ იყო მთავარი, რადგან სხვა რელიგიებიც იჩენენ ერთგულებას ისტორიული პირველწყაროებისადმი. მთავარი ის იყო, რომ მართლმადიდებლობამ დააკმაყოფილა მისი წყურვილი, შექმნა საფუძველი მისი სულიერი ზრდისათვის და აზიარა იმ მეტაფიზიკურ პრინციპებს, რომლის მეშვეობითაც შეეძლო ერთ თანმიმდევრულ მთლიანობად აღექვა მთელი სამყარო.

„ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი პროზაული ამერიკა ასეთ ნათელმჭვრეტს შობდა", — ამბობს მისი თანამემამულე.

ქვემოთ ვბეჭდავთ ლექციებს, რომლებიც მან კალიფორნიის უნივერსიტეტში წაიკითხა 1981 წ.

მთარგმნელი

### 1. ძიება

რატომ სწავლობს ადამიანი რელიგიას? შემთხვევითი მიზეზი ბევრია, მაგრამ თუ კაცს ნამდვილად უნდა რელიგიის შესწავლა, ამის მიზეზი ერთია მხოლოდ; სახელდობრ: მას სურს, რომ კავშირი გააბას სინამდვილესთან, რომელიც უფრო ღრმა სინამდვილეა, ვიდრე ყოველდღიუ-

რობაა, რომელიც ასე სწრაფად იცვლება, ისპობა, არც უკან ტოვებს რამეს და ვერც ხანგრძლივ ბედნიერებას ანიჭებს ადამიანის სულს. ყოველი რელიგია, თუკი ის გულწრფელია, ცდილობს კავშირი დაამყაროს სინამდვილესთან. მე დღეს მინდა ორიოდ სიტყვით განვმარტო, თუ რა გზით ცდილობს მართლმადიდებელი ქრისტიანობა ამის მიღწევას — სულიერი რეალობის გახსნას სულიერების მძებნელისათვის.

სინამდვილის წვდომა სახიფათო ამოცანაა. თქვენ ალბათ ყველას გსმენიათ, თუ როგორ „გადაიწვნენ" სინამდვილის ძიებაში ჩვენი დროის ახალგაზრდები. ზოგმა სიყმაწვილეშივე დაასრულა სიცოცხლე, ზოგიც ძალისძალ მიათრევს უნიათო ყოფას თავისი გონებისა და სულიერი პოტენციალის ნამსხვრევებზე. მე მახსენდება ოცდახუთი წლის წინანდელი, ჩემი ძიებების დროინდელი მეგობარი. მაშინ ოლდოს ჰაქსლის ახალი აღმოჩენილი ჰქონდა LSD[1]-ის მოჩვენებითი სულიერი ღირებულება და ბევრი უკვე აეყოლიებინა. ჰოდა, ამ ახალგაზრდამ, რომელიც ტიპიური მაგალითი იყო სულიერების მაძიებელი კაცისა და, როგორც ჩანს, ამგვარ კურსს იტარებდა, ერთხელ მითხრა: „რაც არ უნდა თქვა წამლების მავნებლობაზე, აღიარე, რომ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი სჯობია ყოველდღიურ ამერიკულ ცხოვრებას, რომელიც სულიერად მკვდარია". მე არ დავეთანხმე, რადგან მაშინ ჩემთვის უკვე ნათელი ხდებოდა, რომ სულიერი ცხოვრება ორი მიმართულებით მიედინება: მას შეუძლია ზევით, ამა სოფლის გარყვნილებაზე მაღლა აიყვანოს კაცი, მაგრამ მასვე შეუძლია დაბლა ჩაითრიოს და სრული სულიერი და ფიზიკური სიკვდილი მოუტანოს მას. ის ჩემი მეგობარი მაინც თავისი გზით წავიდა და 30 წლისაც არ იყო, უკვე გონებაარეულ, ბეხრეკ მოხუცად იქცა, რომელსაც საბოლოოდ აელო ხელი სინამდვილის ძიებაზე.

მსგავსი მაგალითების პოვნა შეიძლება მათ შორისაც, ვინც ფსიქიკური გამოცდილების სხვადასხვა ფორმას ეძებს, ატარებს ექსპერიმენტებს „სხეულგარე" მდგომარეობებში, ეჩვენება ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს და ა. შ. (1980 წელს ჯონსთაუნში მომხდარი მასიური თვითმკვლელობაც საკმარისია იმის შესახსენებლად, თუ რა საშიშროება ახლავს თან რელიგიურ ძიებებს). ჩვენი ორიათასწლიანი მართლმადიდებელი ლიტერატურა უამრავ საგულისხმო მაგალითს შეიცავს ამ თვალსაზრისით. მე აქ მოვიტან მხოლოდ ერთ მათგანს კიევისმღვიმელი წმინდა ნიკიტას ცხოვრებიდან. იგი ცხოვრობდა რუსეთში დაახლოებით ათასი წლის წინ:

ძლიერმა სურვილმა აიძულა ნიკიტა, რომ თავისი წინამძღვრისათვის განდეგილად ცხოვრების კურთხევა ეთხოვა. წინამძღვარმა (მაშინ წმინდა ნიკონი იყო) არ მოუწონა განზრახვა და უთხრა „შვილო ჩემო! ასეთ ახალგაზრდას არას გარგებს უსაქმოდ ყოფნა. ჯობს მონასტერში იცხოვრო ძმებთან ერთად. მათი სამსახურით წყალობა არ დაგეკარგება. ხომ იცი, როგორ შეაცდინეს დემონებმა ისააკი სენაკში. დაღუპვას ვერ გადაურჩებოდა, ჩვენი წმინდა მამების, ანტონის და თეოდოსის, ლოცვით ღვთის განსაკუთრებულ წყალობას რომ არ ეხსნა იგი".

„მამაო," მიუგო ნიკიტამ, „მაგდაგვარი ცდუნებებით ვერავინ მომატყუებს. მე მინდა, მტკიცედ აღვუდგე დემონების ხრიკებს და შევთხოვო ღმერთს, რომ სასწაულთმოქმედების ნიჭი მომმადლოს ისააკ განდეგილივით, რომელიც დღემდე მრავალ სასწაულს იქმს."

„შენი სურვილი," კვლავ უთხრა წინამძღვარმა, „შენს ძალას აღემატება. ფრთხილად იყავი, ვინძლო, ამაღლებული, ძირს არ დაეცე. მე, პირიქით, ძმების სამსახურს მოგიწოდებ და ღმერთი უთუოდ მოგაგებს გვირგვინს მორჩილებისათვის."

მაგრამ ნიკიტა განდეგილ ცხოვრებას ელტვოდა და არც უფიქრია, ყურად ეღო წინამძღვრის შეგონება. ასე რომ, მან აასრულა თავისი ჩანაფიქრი, განმარტოვდა და ისე განაგრძო ლოცვა, რომ გარეთაც არ იხედებოდა. გავიდა რამდენიმე ხანი. ერთხელ ნიკიტას შემოესმა ხმა მასთან ერთად მლოცველისა და იგრძნო თავბრუდამხვევი სურნელება. ამით მოტყუებულმა, თავისთვის ჩაილაპარაკა: „ალბათ ანგელოზია, თორემ რატომ ილოცებდა ჩემთან ერთად, ან სულიწმიდის სურნელს რაღა დაატრიალებდა." ნიკიტა მხურვალედ შევედრა ღმერთს: „უფალო, ცხადად მომევლინე, რომ დაგინახო."

და აჰა, გაისმა ხმა: „არ გამოგეცხადები, რადგან ჯერ ყმაწვილი ხარ და ვაითუ, განდიდებული, ძირს დაენარცხო."

თვალცრემლიანმა განდეგილმა უპასუხა: „უფალო, მე არასოდეს არ შევცდები, რადგან წინამძღვარმა მასწავლა, რომ არ დავუჯერო სატანურ ჩვენებებს, შენს ბრძანებებს კი უსიტყვოდ შევასრულებ."

მაშინ კი, რადგან უკვე ძალი მოიპოვა მასზე, სულისწარმწყმედმა გველმა უთხრა: „მოკვდავს არ ძალუძს ჩემი დანახვა. მაგრამ აი ჩემს ანგელოზს ვგზავნი შენთან დასარჩენად. დაჰყევი მის ნებას."

ამ სიტყვებით განდეგილს ანგელოზად საზეცვლილი ეშმაკი გამოეცხადა. ნიკიტა მუხლებზე

1. LSD lysergic acid diethyfamid—ამ ნაერთის მცირე რაოდენობით მიღება იწვევს ჰალუცინაციებს, დეპერსონალიზაციას და დარღვევებს აზროვნებაში.

დაემხო და თაყვანი სცა მას, როგორც ანგელოზს. დემონმა უთხრა, „ამიერიდან ლოცვას თავი უნდა ანებო და წიგნები იკითხო. ასე დაამყარებ მუდმივ კავშირს ღმერთთან და კეთილისმყოფელი სწავლების წყაროს შეიძენ შენთან მომსვლელთათვის. მე კი შეუწყვეტლად ვევედრები შემოქმედს შენი ცხონებისათვის."

განდეგილმა დაიჯერა ეს სიტყვები და კიდევ უფრო მოტყუვდა. თავი დაანება ლოცვას და წიგნებს მიუჯდა. დემონის განუწყვეტელი ლოცვის შემხედვარე, სიხარულით ცას წვდებოდა, რადგან ეგონა, რომ ანგელოზი ლოცულობდა მისთვის. შემდეგ ბიბლიის განმარტება დაიწყო მომსვლელებთან და პალესტინელი განდეგილთაგან წინასწარმეტყველურად ალაპარაკდა.

მისი სახელი უმალ გავარდა ხალხში და დიდი მთავრის კარსაც მიაღწია. სინამდვილეში ის კი არ წინასწარმეტყველებდა, არამედ მხოლოდ ამცნობდა მომსვლელთ, სად იდო მოპარული ნივთები, რა ხდებოდა მათგან საკმაოდ მოშორებით, და ცნობებს ამის შესახებ დემონისგან იღებდა. ასე შეატყობინა დიდ მთავარს იზიასლავს ნოვგოროდის მთავრის — გლების მკვლელობის ამბავი და ურჩია, რომ ვაჟი გაეგზავნა მისი ტახტის დასაკავებლად. ეს საკმარისი აღმოჩნდა ხალხისთვის, განდეგილი წინასწარმეტყველად გამოეცხადებინა. ნიშანდობლივია, რომ ეპისკოპოსებს და იმ ბერებსაც კი, რომლებიც სულიერ ძალას არიან მოკლებულნი, თითქმის ყოველთვის ხიბლავთ თვალთმაქცები, თვითმარქვიები, ფარისევლები და დემონური ჩვენებების მქონე ხალხი და მათ წმინდანებად და ღვთის ჭეშმარიტ მსახურებად მიიჩნევენ ხოლმე.

ვერავინ შეედრებოდა ნიკიტას ძველი აღთქმის ცოდნაში, მაგრამ ახალი აღთქმის გაგონებაც არ სურდა. არასოდეს იშველიებდა სახარებას ან მოციქულთა წერილებს და არც მოსულთ აძლევდა ნებას ახალი აღთქმის ხსენებისა. მისი სწავლების უცნაურობამ მიახვედრა კიევის მღვიმეთა მონასტრის მამები, რომ ის ეშმაკს ეცდუნებინა. იმხანად მონასტერში მრავალი წმინდა ბერი ცხოვრობდა, რომლებიც სულიერი ნიჭითა და მადლით იყვნენ შემკულნი. თავიანთი ლოცვით მათ განდევნეს ეშმაკი და ნიკიტას ჩვენებებიც შეწყდა. შემდეგ მამებმა სენაკიდან გამოიყვანეს იგი და თხოვეს, ძველი აღთქმიდან მოეყოლა რამე. მაგრამ მან ფიცით დაამოწმა, რომ არასოდეს წაუკითხავს ის წიგნები, რომლებიც ადრე ზეპირად იცოდა. აღმოჩნდა, რომ მას კითხვაც დავიწყებოდა, იმდენად დიდი იყო სატანური ხიბლი; და მხოლოდ დიდი გაჭირვებით შეძლო ხელახლა კითხვის სწავლა. წმინდა მამების ლოცვით ის კვლავ დაუბრუნდა თავის თავს, ცნო და აღიარა თავისი ცოდვა, მწარე ცრემლებით მოინანია; მორჩილი ცხოვრებით ძმებს შორის სიწმინდის უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია და სასწაულმოქმედის ნიჭიც მიიღო. შემდგომში წმინდა ნიკიტა ნოვგოროდის ეპისკოპოსად აკურთხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი ერთ კითხვას აყენებს ჩვენს წინაშე. როგორ არჩევენ სულიერების მაძიებლები ათასი გზისა და ტექნიკის, რასაც თავისი ძიებისას ხვდება? პასუხი მხოლოდ ერთია: ადამიანი სარწმუნოებრივ ძიებას უნდა შეუდგეს არა რელიგიური გამოცდილებისათვის, რაც თავისთავად ნაცდურია, არამედ ჭეშმარიტებისათვის. ყოველი ადამიანი, რომელიც სერიოზულად სწავლობს რელიგიას, ერთი საკითხის წინაშე დგება. ესაა საკითხი უშუალოდ სიკვდილ-სიცოცხლისა.

ჩვენს მართლმადიდებელ ქრისტიანულ რწმენას, დასავლეთის სარწმუნოებისგან განსხვავებით, ხშირად „მისტიკურს" უწოდებენ. ის დაკავშირებულია სულიერ სინამდვილესთან, რასაც ისეთი ნაყოფი მოაქვს, ჩვეულებრივ „ზებუნებრივს" რომ ჰქვია, რადგან ცდილობს მიწიერი ლოგიკისა თუ გამოცდილების ნებისმიერ საზღვარს. არაა ხაფანგი ძველი ლიტერატურის მოძიება მაგალითებისათვის, რადგან სასწაულმოქმედთა სიცოცხლე დღესაც სავსეა მისტიკური ელემენტებით. არქიეპისკოპოსი იოანე მაქსიმოვიჩი, რომელიც 15 წლის წინ გარდაიცვალა, სან-ფრანცისკოს არქიეპისკოპოსი იყო და კალიფორნიის სწორედ ამ ნაწილში ცხოვრობდა. ლოცვის დროს, როგორც ამის მოწმენი ამბობდნენ, ის მიწას ცილდებოდა და გარს ცეცხლი შემოადგებოდა ხოლმე; იყო ნათელმჭვრეტი, სასწაულებრივად კურნავდა ავადმყოფებს... თავისთავად არც ერთი თვისება არაა დამახასიათებელი; ამის მიბაძვა ადვილად შეუძლიათ ყალბ სასწაულმოქმედებს. მაშ საიდან ვიცით, რომ ის ჭეშმარიტებასთან იყო კავშირში?

## ჟ. გამოცხადება

თუ მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოებს გადავხედავთ, ნახავთ, რომ ჭეშმარიტების მიგნება შეუძლებელია დამოუკიდებლად, მარტოოდენ ადამიანური ძალებით. თქვენ შეიძლება იკითხოთ ბიბლია ან სხვა წმინდა წიგნები და ვერც კი მიხვდეთ, რაზეა ლაპარაკი. ამის კარგი მაგალითია მოცემული მოციქულთა „საქმეში", მოციქული ფილიპესა და ეთიოპელი საჭურისის მოთხრობაში:

ანგელოზი უფლისა ეტყოდა ფილიპეს და პრქუა: აღდეგ და მივედ შენ სამხრით-კერძო, გზასა მას, რომელი შთავალს იერუსალიმით

გზად, ესე არს უდაბნო. და აღსდგა და წარვიდა. და აჰა ესერა კაცი ინდო, საჭურისი ძლიერი კანდაკისი, დედოფლისა მის ინდოეთისა, რომელი იგი მოსრულ-იყო თაყუანისცემად იერუსალიმად, და მოქცეულ-იყო, დაჰსჯდა იგი ეტლითა ზედა მისთა, და იკითხვიდა წიგნსა ესაია წინასწარ-მეტყველისასა. ჰრქუა სულმან წმიდამან ფილიპეს: მივედ და შეეახლე შენ ეტლთა ამათ. და მივიდა ფილიპე და ისმენდა მისა, ვითარ იგი იკითხვიდა ესაია წინასწარ-მეტყუელისა და ჰრქუა: უწყითა, რასა ეგე იკითხავ? ხოლო მან ჰრქუა, ვითარმე მეძლოს უწყებად, არა თუ ვინმე იყოს წინა-მძღუარ ჩემდა? და ჰლოცვიდა ფილიპეს, აღსლვად და დაჯდომად მის თანა. ხოლო თავი საკითხავისა მის, რომელსა იკითხვიდა, იყო ესე, ვითარცა ცხოვარი კლვად მიიყვანა; და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისველისა უხმოებელად, ესრეთ არა აღაღებს პირსა თჳსსა. სიმდაბლითა მისითა სასჯელი მისი მიეღო, ხოლო თესლტომი მისი ვინმე მითხრას? რამეთუ აღებულ-არს ქუეყანით ცხოვრება მისი. მიუგო საჭურისმან მან და ჰრქუა ფილიპეს: გევედრები შენ, ვისთვის იტყვის წინასწარ-მეტყველი ამას, თავისა თვისისათვის, ანუ სხვისა ვისთვისმე? აღაღო პირი თვისი ფილიპე და იწყო თხრობად მისა და ხარებად წიგნთაგან იესოსთვის. და ვითარცა მიდიოდეს გზასა, მოვიდეს წყალსა ერთსა ზედა; და ჰრქუა საჭურისმან მან: აჰა, წყალი; რაი ყენება არს ჩემდა ნათლის-ღებად? ჰრქუა მას ფილიპე: გრწამს თუ ყოვლითა გულითა შენითა, ჯერ-არს. მიუგო და ჰრქუა მან: მრწამს, რამეთუ ძე ღმრთისა არს იესო ქრისტე. და უბრძანა დადგინება ეტლთა მათ: და შთახდეს ორნივე წყალსა, ფილიპე და საჭურისი იგი და ნათელ-სცა მას. და ვითარცა აღმოხდეს წყლით, სული წმიდა მოვიდა საჭურისსა მას ზედა; და სულმან უფლისამან წარიტაცა ფილიპე, და მერმე არღარა იხილა იგი საჭურისმან მან, და ვიდოდა გზასა თვისსა სიხარულით."

— საქმე 8: 26-39

ამ მონაკვეთში რამდენიმე ზებუნებრივი, მისტიკური ელემენტია: ჯერ ანგელოზი ამცნობს ფილიპეს, თუ სად წავიდეს (თუმცა ეთიოპელისთვის ეს შემთხვევითი შეხვედრა უკაცრიელ გზაზე), ხოლო მოგვიანებით, ნათლობის შემდეგ, სული უფლისა წარიტაცებს ფილიპეს, რომელიც საჭურისის თვალწინ ქრება. მაგრამ ამის გამო არ მონდომებია საჭურისს მონათვლა და გაქრისტიანება. სხვა რამემ იმოქმედა მასზე: არა სასწაულმა, არამედ რაღაცამ, თვითონ მის გულში დატრიალებულმა. მართალია, სასწაული ხანდახან ხელს უწყობს ადამიანს ხარწმუნოების მიღებაში, მაგრამ ის მაინც არ წარმოადგენს სწორ მიზეზს ქრისტიანობის მისაღებად. იმავე „საქმეში" ვკითხულობთ ამბავს სვიმონ გრძნეულზე. ამ უკანასკნელმა მოისურვა ფულის საშუალებით გამხდარიყო ეკლესიის მსახური და სულიწმიდის ნიჭი მიეპოვებინა, რადგან შთამბეჭდავი და სასწაულებრივი ჩანდა ამ ნიჭის ყოველგვარი გამოვლინება. სვიმონს ჰქონდა ძალზე შემოსავლიანი „პროფესია" გრძნეულისა იმ დროში, როცა, რაც უფრო მეტ ზებუნებრივს იქმოდა კაცი, უფრო მდიდრდებოდა და ფასდებოდა. ამ დროს სასწაულები ქრისტიანობაში უფრო ხდებოდა, ვიდრე წარმართობაში. როგორც „საქმიდან" ვიცით, პეტრე მოციქულმა უარი უთხრა თხოვნაზე და მან ავად გაასრულა თავისი საქმე. ჩვენ კი დაგვრჩა სიტყვა „simony" (სიმონია). როგორც ცნება ღვთის მადლის ყიდვის მცდელობისა.

ამისგან განსხვავებით, როდესაც ფილიპე ეთიოპელ საჭურისს დაელაპარაკა, რაღაც შეიცვალა საჭურისის გულში. „საქმეში" ნათქვამია, რომ მან ირწმუნა, ესე იგი, მისი გული გაალხო მოსმენილმა ჭეშმარიტებამ. ბიბლიის სიტყვები ძალიან ძლიერია და როცა სწორად ხდება მათი განმარტება, ადამიანის არსებაში რაღაც განიხვნება, თუკი მზადაა მისი გული. აშკარა იყო, რომ საჭურისმა მთელი გულით მიიღო ქრისტე; ის სხვა კაცად იქცა. და ეს მოხდა არა სასწაულების გამო, არამედ იმის გამო, რის მოსატანადაც მოვიდა ქრისტე ამქვეყნად.

მსგავსი რამ შეიძლება ვნახოთ ახალი აღთქმის იმ ნაწილში, სადაც მოთხრობილია თუ რა შეემთხვა ქრისტეს ორ მოციქულს ემმაოსისაკენ მიმავალ გზაზე (ლუკა, თ. 24). თვითონ ქრისტე თავისი აღდგომის დღეს მივიდა მათთან, მათთან ერთადვე დაადგა გზას და აღელვების მიზეზი ჰკითხა. პასუხად კითხვა შეაგებეს მოციქულებმა: ნუთუ შენ ერთადერთი კაცი ხარ, რომელმაც არ უწყის, თუ რა მოხდა იერუსალიმში. შემდეგ უამბეს, რომ იყო დიდი წინასწარმეტყველი, რომელიც მოკლეს და რომელიც თითქოსდა მკვდრეთით აღსდგა; მაგრამ არ იცოდნენ, რა ეფიქრათ. მაშინ ქრისტემ იწყო გახსნა მათი გულებისა და განუმარტა, თუ რა იყო ძველ აღთქმაში ნათქვამი მესიის ვნებათა შესახებ. მთელი ამ დროის მანძილზე მოციქულები ვერ ცნობდნენ მაცხოვარს, რადგან ის არ მოსულა სხვადასხვა ნიშნებითა და სასწაულებით, ისინი რომ განეცვიფრებინა. მოგვიანებით, როცა ემმაოს მიადგნენ, ქრისტემ ვითომც გზის გაგრძელება დააპირა და ალბათ უცნობადაც განშორდებოდა, მათ რომ არ ეთხოვათ — გაჭირვებული კაცისადმი ჩვეულებრივი სიყვარულის გამო — ღამე გაათიეთ ჩვენთან. და აი, ბოლოს, როცა ის მათთან ერთად დაჯდა და „პური განტეხა" როგორც ბოლო

სუფრაზე, მათ თვალი აეხილათ და დაინახეს, რომ ის იყო თვით ქრისტე! ის კი უმალვე მათ თვალწინ გაუჩინარდა. მოციქულებმა ერთმანეთს დაუწყეს გამოკითხვა და გაიხსენეს, რომ მასთან გავლილი მთელი გზის განმავლობაში რაღაც მიუწვდომელს გრძნობდნენ გულში, თუმც კი ვერ ეცნოთ მაცხოვარი. ჩანს, რამაც ბოლოს შეაცნობინა მათ ქრისტე, ეს „განხურვებული გული“ იყო და არა ფაქტი მისი გაქრობისა, რამეთუ ამის გაკეთება გრძნეულებსაც შეუძლიათ. მაშასადამე, სასწაული კი არ ცხადყოფს ადამიანისთვის ღმერთს, არამედ ის რაღაც ღვთისმიერი, რაც ადამიანის გულს ეცხადება, თუ ეს გული მზადაა მის მისაღებად. სწორედ ამას გულისხმობს „განხურვებული გული“, რომლის შემწეობითაც საიდუმლოებრივ ღმერთთან ჰქონდა კავშირი ამ მოციქულს.

აქ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხდება ეგრეთ წოდებული „გამოცხადება“: გული შეიძენს და გარდაისახება ღვთის, ან სულიწმინდით აღვსილი ადამიანის სიახლოვით, ან ფურცელზე ნაქადაგები სიმართლის მოსმენით. ამითვე აიხსნება, რომ მოციქულებმა შეძლეს შემოევლოთ ფაქტიურად მთელი დასახლებული მსოფლიო — ინდოეთამდე (და შესაძლოა ჩინეთამდეც კი), ჩრდილოეთით რუსეთამდე, სადაც სკვითები ცხოვრობდნენ, დასავლეთით ბრიტანეთამდე და სამხრეთით აბისინიამდე — რათა ყველა ხალხისათვის უქადაგათ ხარება ქრისტეს აღდგომიდან პირველ ათწლეულებში.

იგივეა დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ბევრად უფრო განათლებული და ხელოვნურად უგულისხმო გახდა, დაკარგა სიმარტივე და ასე ადვილად აღარ ეხმაურება სიმართლეს. გავიხსენოთ არქიეპისკოპოსი იოანე და ისინი, ვინც მისი შემწეობით ირწმუნეს ღმერთი. ამ ხალხზე მისმა სასწაულებმა კი არ იმოქმედეს უპირველესად, არამედ იმოქმედა რაღაცამ, რამაც აალელვა მათი გულები და მისკენ მიიზიდა. მე მოვიტან ერთ მაგალითს მისი ცხოვრებიდან, შემთხვევას შანხაიში, სადაც ის ეპისკოპოსი იყო II მსოფლიო ომის დროს. ეს ამბავი მომიყოლა ერთმა ჩვენმა კარგმა მეგობარმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ის იყო მედდების მასწავლებელი. ერქვა ანა. როგორც მან აგვიხსნა, არქიეპისკოპოსი იოანე ისეთ მკაცრ მარხვას იცავდა, რომ მარხვების პერიოდში მისი ყბა მოძრაობის უნარს კარგავდა და ის ძალიან გაურკვევლად ლაპარაკობდა. ანას დაავალეს, რომ ყოველდღიურად ჩაეტარებინა მისთვის ყბის გავარჯიშებისთვის, რათა უფრო გასაგები მეტყველება ჩამოუყალიბდეს. არქიეპისკოპოსი ყოველდღიურად [illegible] მოდიოდა ანასთან და ჩვეულებრივ [illegible] ყოველი [illegible] [illegible] [illegible] დაე-

ტოვებინა. ამის დროს ეს ქალი [illegible] შანხაის ფრანგულ ჰოსპიტალში სიკვდილს ებრძოდა. გვიანი ღამე იყო; გარეთ ქარიშხალი ბობოქრობდა და ქალაქთან კავშირი გაწყვეტილი იყო. მაგრამ ანას ერთი ფიქრი უტრიალებდა გულში: ექიმებისაგან მან უკვე იცოდა, რომ სიკვდილის პირას იყო. მისი ერთადერთი ნუგეშად ისღა დარჩენოდა, რომ არქიეპისკოპოსი იოანე მოსულიყო, ეზიარებინა და როგორმე გადაერჩინა. ის ყველას ემუდარებოდა, რომ სიტყვა მიეწვდინათ მისთვის, მაგრამ ისინი უმწეონი იყვნენ. ტელეფონები გრიგალის გამო არ მუშაობდა და მოხსიტალი (საომარი ვითარების გამო) ღამით იკეტებოდა. ასე რომ, მას შეეძლო მხოლოდ ევედრა: „მიშველე! მეუფეო იოანე, მოდი!“ რა თქმა უნდა, ხალხი ამას საწყალი ქალის ბოდვად მიიჩნევდა, რადგან შეუძლებელი იყო არქიეპისკოპოსთან რაიმე კავშირის დამყარება. მაგრამ იმ ღამეს, როცა ანა ამ სიტყვებს იძახდა, შუა გრიგალში კარი გაიღო და შემოვიდა არქიეპისკოპოსი იოანე წმინდა ზიარებით. ის მივიდა ქალთან, ათქმევინა აღსარება, დააწყნარა (რასაკვირველია, ანას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა), მიაღებინა წმინდა ზიარება და წავიდა.

ამის შემდეგ ქალს 18 საათი ეძინა და მეორე დილით, გაღვიძებულმა, გამოჯანმრთელება იგრძნო. „ალბათ არქიეპისკოპოს იოანეს მოსვლამ მიშველა,“ თქვა მან. „რომელი არქიეპისკოპოსი იოანეს?“ იკითხეს მედდებმა, — ასეთ ღამეში რა შემოიყვანდა ჩარაზულ ჰოსპიტალში!“ ავადმყოფმა, რომელიც ანას გვერდით იწვა, თქვა, რომ ღამით მართლა ვიღაც მოვიდა, მაგრამ მასაც არაფერი დაუჯერეს. ანას ეჭვი შეეპარა. მოჩვენებები ხომ არ დამეწყო, მაგრამ იმავე დღეს მედდებმა მისი საწოლის განწყობისას ბალიშის ქვეშ ამერიკული ოცდოლარიანი იპოვეს. „აი, ეხლაც ხედავთ, რომ ის აქ იყო!“ წამოიძახა ქალმა.

კაცმა რომ თქვას, მაინც როგორ გაიგო ყველაფერი არქიეპისკოპოსმა იოანემ, როგორ მივიდა მასთან მაშინ, როცა ყოველგვარი ადამიანური კავშირი გამორიცხული იყო და ანას სათხოვარს ყურად შეატყობინებდა? შეიძლება ვინმემ გვითხრას, რომ ეს ამბავი მას გამოეცხადა, რადგან ბევრი მსგავსი რამ გამოცხადებია. მაგრამ როგორ გამოეცხადა? რატომ მას და არა სხვა ვინმეს? რატომაა, რომ სიმართლე ერთს ეცხადება, მეორეს კი არა? არსებობს კი რაიმე განსაკუთრებული ორგანო ღვთისგან გამოცხადების მისაღებად? დიახ, გარკვეული აზრით, არსებობს, თუმცა ჩვეულებრივ ჩვენ მას ვხურავთ და არ ვაძლევთ გახსნის საშუალებას. ღვთის გამოცხადება ეძლევა ისეთ რაღაცას, რასაც მისტიკურად გული ჰქვია. ბიბლიი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი სიყვარულია; ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა. (თქვენ შეიძლება ნახოთ ფილმლონი; ნახოთ ადამიანები, რომლებიც ქრისტიანებს უწოდებენ თავს, მაგრამ არ არიან ქრისტიანები, და თქვათ, რომ იქ არაა სიყვარული; მაგრამ ქრისტიანობა მართლა სიყვარულის რელიგიაა, როცა წარმატებას აღწევს და სწორი გზით ვითარდება). უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, თვითონ ამბობს, რომ უპირველესი სიყვარულია, რითაც იცნობა მისი ნამდვილი მოწაფეები.

არქიეპისკოპოს იოანეს რომელიმე ნაცნობს რომ ჰკითხოთ, რა იზიდავდა მისკენ ხალხს და რა იზიდავს კვლავაც უხაზღვრო ნაკადს სრულიად უცნობი ადამიანებისა, პასუხი ერთი იქნება მუდამ: ის სიყვარულად იღვრებოდა; ის თავს სწირავდა მოყვასისათვის და ამ თავგანწირვას ამოძრავებდა სრულიად უანგარო სიყვარული ღვთისა და ადამიანის მიმართ. ამის გამო მისთვის ცხადი ხდებოდა ისეთი მოვლენები, რომლებიც სხვებში ვერ აღწევდა და რომლებსაც თვითონ ვერავითარი ბუნებრივი გზით ვერ გაიგებდა. ის თავად გვასწავლიდა, რომ მიუხედავად მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი „მისტიციზმისა", რაც წმინდანთა ცხოვრებასა და წმინდა მამების წერილებში ჩანს, ნამდვილი მართლმადიდებელი ყოველთვის მტკიცედ, ორივე ფეხით დგას მიწაზე და პირისპირ ხვდება ნებისმიერ ვითარებას, რომელშიც აღმოჩნდება. სწორედ მოცემული სიტუაციის მიღებისას, რაც თავისთავად მოსიყვარულე გულს მოითხოვს, ადამიანი ხვდება ღმერთს. ამ მოსიყვარულე გულის წყალობით მიდის ადამიანი ჭეშმარიტების შეცნობამდე; თუმცა, ზოგჯერ ღმერთი იძულებულია შემუსროს და დაამდაბლოს კაცის გული, რათა მიიღოს უნარი მისცეს მას — როგორც, მაგალითად, პავლე მოციქულს დაემართა, რომელიც ადრე რისხვის ცეცხლს ანთებდა ქრისტიანების მიმართ და სასტიკად დევნიდა მათ. მაგრამ ღვთისათვის წარსული, აწმყო და მომავალი ადამიანის გულისა ყველა აწმყოა და ის ხედავს, სად შეიძლება გაარღვიოს და გაუხსნას მას.

ღვთის გამოცხადების მიმღები მოსიყვარულე გულის საპირისპიროა ცივი ანგარიში; როცა კაცი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მიიღოს სხვისგან. ხარწმუნოებრივ ცხოვრებაში ეს წარმოშობს ათასი ჯურის სიყალბესა და თაღლითობას. თუ დღეს თქვენ გადახედავთ რელიგიურ მზოფლიოს, ნახავთ, რომ ამას საკმაოდ აქვს ფეხი მოკიდებული. დიდია სიყალბე, ამა, ანგარიში, ყოველა სხვადასხვა მოდური ნიავქარებისა, რასაც ხან ერთი რელიგია ან რელიგიური მიმართება მოაქვს, ხან მეორე. სიმართლის მისაგნებად უფრო ღრმა ხედვაა საჭირო.

## ტანჯვა

დაახლოებით ერთი წლის წინ ხანგრძლივი საუბარი მქონდა მართლმადიდებელ ერთ ამერიკელთან. ეს თითქოს შემთხვევით შემხვდა (რაც ჩემი [illegible] შემთხვევით არაფერი ხდება ცხოვრებაში [illegible] რომ რუსულს სწავლობდა. სულიერების მაძიებელი კაცი იყო. ადრე, როგორც აღმოჩნდა, მრავალ ე. წ. ქრისტიანულ ჯგუფთან ჰქონდა საქმე, მაგრამ ყველგან თვალთმაქცობასა და სიყალბეს შეეჩება და ლამის ზაერთოდ აიღო ხელი რელიგიაზე. მაგრამ შემდეგ გაიგო, რომ რუსეთში ხალხი სარწმუნოებისათვის იტანჯებოდა. სადაც ტანჯვაა, იფიქრა მან, იქ უთუოდ იქნება რაღაც ნამდვილი, იქ ვერ დაიბუდებს ისეთი სიყალბე, როგორც ჩვენთანაა ამერიკაშიო. ჰოდა, სწავლობდა რუსულს, რათა რუსეთში წასულიყო და იქ ნამდვილი ქრისტიანები ენახა. მე, როგორც რუსული მართლმადიდებლობის მღვდელმსახური, ძალიან გამიკვირდა ამის მოსმენამ, რადგან აქამდე მას არასოდეს ენახა მართლმადიდებელი მოძღვარი და არც მართლმადიდებლურ წირვას დასწრებოდა ოდესმე. ჩვენ დიდხანს ვმსჯელობდით რელიგიაზე და მე დავინახე, რომ მას სავსებით მართებული აზრი ჰქონდა: აზრი, რომ ტანჯვას შეუძლია შვას რაღაც ჭეშმარიტი, მაშინ როცა ჩვენი განებივრებული ცხოვრება ადვილად აღმოაცენებს სიყალბეს.

მე-4 საუკუნეში დიდმა მართლმადიდებელმა თეოლოგმა წმინდა გრიგოლ ნაზიანზელმა (რომელიც „ღვთისმეტყველის" სახელითაცაა ცნობილი) ჩვენს რელიგიას „ტანჯული მართლმადიდებლობა" უწოდა — ასე იყო თავიდან და შემდგომ, ეკლესიის მთელი ისტორიის მანძილზე. ჯვარცმული ღმერთის მიმდევრებს დევნიდნენ და აწამებდნენ, თითქმის ყველა მოციქული მოწამებრივად აღესრულა, პეტრე პირქვე გააკრეს ჯვარზე, ანდრია კი X — ფორმის ჯვარს აცვეს. ქრისტიანობის გავრცელების პირველი სამი საუკუნის განმავლობაში მორწმუნენი კატაკომბებს აფარებდნენ თავს და უზომო ტანჯვას იტანდნენ. სწორედ ამ კატაკომბებში იხვეწებოდა ეკლესიის ზალვთი წირვა-ლოცვა, რომელსაც დღეს ოდნავ შეცვლილი სახით ვისმენთ — სიდედა თან სიკვდილის მუდმივი მოლოდინი. კატაკომბების ხანას მოჰყვა ბრძოლა რწმენის სიწმინდისათვის, როცა მრავალი მასწავლებელი ცდილობდა პირადი შეხედულებებით შეეცვალა ღვთით გაცხადებული სწავლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მომდევნო საუკუნეებში მართლმადიდებელი ქვეყნები დაიპყრეს არაბებმა, თურქებმა და სხვა არაქრისტიანმა ხალხმა, და ბოლოს — ჩვენს დროში — კომუნისტებმა. კომუნიზმმა, რომელ-

მაც ისეთი დევნა მოაწყო რელიგიისა, როგორსაც არასოდეს არავინ მოსწრებია, ისევ და ისევ აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებს შეუტია უპირველესად. ასე რომ, როგორც ვხედავთ, ჩვენი სარწმუნოება მართლა ტ ა ნ ჯ უ ლ ი სარწმუნოებაა; და ამ ტანჯვაში ხდება რაღაც, რაც ღვთის გამოცხადების მისაღებად ამზადებს გულს.

რა უნდა მქონდეს დღეს ჩვენთვის სათქმელი რუსეთის ტანჯულ მართლმადიდებლობას — ამ ტანჯულ რელიგიას, რომლის ნახვაც ასე ეწადა ზემოხსენებულ ახალგაზრდას? ნუთუ რუსეთში მოსიყვარულე გულებს ჭეშმარიტება ეცხადებათ? მიწიერი ლოგიკით ეს შეუძლებელია. 60 წელზე მეტია, რაც კომუნიზმი მბრძანებლობს თავისი რკინის ხელით და დასაბამიდან რელიგიის „ამოძირკვას" ეწევა მონდომებით. ერთხანს 30-იანი წლების ბოლოს მან თითქმის მიაღწია კიდეც მიზანს და ორიოდ ეკლესია თუ დატოვა ღია. ჰიტლერის შემოჭრას რომ არ გამოეწვია რუსი ხალხის პატრიოტული აღმავლობის აუცილებლობა და იდეოლოგიური იმედების გარდა სხვა სასიცოცხლო იმედის მოთხოვნილება, ეკლესია მთლიანად იატაკქვეშ მოექცეოდა. დღეს მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, თუმცა კვლავ დიდია მორწმუნეთა შევიწროება. განახლებული დევნა მოეწყო 60-იან წლებში ხრუშჩოვის დროს, როცა მოქმედი ტაძრების ნახევარი დაიხურა. ამჟამად, გარდა იმ ქალაქებისა, სადაც ტურისტები დადიან (მაგალითად, მოსკოვში ან ლენინგრადში დაახლოებით 30-40 ეკლესიას ნახავს კაცი), მრავალი დიდი ქალაქია პროვინციებში, სადაც თითო-ოროლა ეკლესია ან არის, ან არა. ასე რომ, მორწმუნეს შვილის მოსანათლად ზოგჯერ ასობით მილის გავლა უწევს.

ახლა მინდა მოგითხროთ, თუ როგორ ეცხადება ღმერთი რუსეთის ტანჯულ ქრისტიანებს დღევანდელ დღეს. უთუოდ ყველას გსმენიათ ალექსანდრე სოლჟენიცინი, დიდი რუსი მწერალი და მოაზროვნე, რომელიც 1976 წელს სამშობლოდან გადაასახლეს იმის გამო, რომ სიმართლეს ამბობდა რუსეთზე, რამდენადაც თვითონ ხედავდა მას. მისი ასაკი თითქმის ემთხვევა კომუნისტური რეჟიმის ასაკს, ამიტომ ვერ ვიტყვით, ბავშვობიდან გამოყვებოდა უარყოფითი შეხედულებებით. ის ტიპიური საბჭოური ცხოვრებით ცხოვრობდა. დაიბადა რევოლუციიდან ერთი წლის შემდეგ. მამა I მსოფლიო ომში დაკარგა, სწავლობდა მათემატიკას, რათა რაიმე პრაქტიკული საქმისთვის მოეკიდა ხელი, მსახურობდა ჯარისკაცად II მსოფლიო ომში და საბჭოთა არმიასთან ერთად ჩავიდა გერმანიაში. 1945 წელს დაიჭირეს, რადგან თავის პირად წერილებში უდიერად იხსენიებდა „ულვაშს" (გულისხმობდა სტალინს) და მიუსაჯეს რვა წლის პატიმრობა საკონცენტრაციო ბანაკში. სასჯელის მოხდის შემდეგ, 1953 წელს სამხრეთ ყაზახეთის ერთ-ერთ ქალაქში გადაასახლეს (რაც იმას ნიშნავს, რომ მთლად ციხეში არ იჯდა, მაგრამ არც თავისუფალი მიმოსვლა შეეძლო). იქ მას კიბო დაემართა და კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა, მაგრამ ფეხზე დააყენეს ონკოლოგიურ კლინიკაში (რაზეც დაწერა რომანი „კიბოს კორპუსი"). გადასახლებაში ასწავლიდა მათემატიკასა და ფიზიკას და მალულად წერდა რომანებს და მოთხრობებს. სტალინის სიკვდილის შემდეგ დადგა „დათბობა-მოლბობის" დროებითი ხანა, ის გაათავისუფლეს და მისცეს ნება გამოეცა წიგნი რუსულად 1961 წელს. აი, მაშინ აღმოჩნდა, რომ ის ბევრად უფრო „დისიდენტი" იყო, ვიდრე კომუნისტურ პარტიას ეჭაშნიკებოდა, ამიტომ ყოველგვარი შემდგომი გამოცემები აუკრძალეს. მაგრამ დაიწყო მისი ნოველების ბეჭდვა რუსეთის ფარგლებს გარეთ. ამის გამო მისი სახელი თავში საცემად გადაექცა საბჭოთა ხელისუფლებას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნობელის პრემია მიენიჭა (1970 წელს) და არ დართეს ნება პრემიის პირადად მიღებისა. დაბოლოს, 1975 წელს იგი იძულებით გადაასახლეს დასავლეთ გერმანიაში, რაზეც მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე შეატყობინეს.

სოლჟენიცინი ამჟამად ცხოვრობს ვერმონტში და იქ განაგრძობს მოღვაწეობას. ის უხსნის დასავლეთს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს; კერძოდ, ათეისტური ექსპერიმენტის შინაარსს რუსეთში. ამ ექსპერიმენტს იგი პოლიტიკური თვალსაზრისით კი არ უყურებს, არამედ ყოფითი და, ასე განსაჯეთ, სულიერი თვალსაზრისითაც. სოლჟენიცინი შეიძლება ჩაითვალოს სიმბოლოდ მართლმადიდებლობის თანამედროვე აღორძინებისა რუსეთში, რადგან მას გამოვლილი აქვს რუსი ხალხის ტანჯვა-წამების 60-ზე მეტი წელი მედგრად და გაუტეხლად. მას გააჩნია ძალიან ძლიერი ქრისტიანული რწმენა და მისი სათქმელი მსოფლიოსათვის საკუთარ გამოცდილებაზეა დამყარებული. სოლჟენიცინის მონუმენტური წიგნი „არქიპელაგი გულაგი" უნდა წაიკითხოს ყველამ, ვისაც სურს გაიგოს ათეიზმი იმ სახით, როგორც იგი ტარდება რუსეთში და რა მდგომარეობაშიც აგდებს ადამიანის სულს.

სოლჟენიცინი არ წუხს პატიმართა ბანაკებში და შემდგომ გატარებულ დღეებზე: მან სრული გამარჯვება მოიპოვა მაშინ, რადგან ქრისტიანული რწმენა შეიძინა. ის ხედავს, რომ ათეიზმის სისტემა არაა მხოლოდ რაღაც რუსული, ის ადამიანის სულის უნივერსალური კატეგორია. როცა კაცი მივა იმ დასკვნამდე, რომ ათეიზმი მართალია და ღმერთი არ არსებობს, მაშინვე —

დოსტოევსკის სიტყვები რომ მოვიშველიოთ — ყველაფერი ნებადართული ხდება: შეგიძლია ცდები ჩაატარო ყველაფერზე და ყველაფრით რაც კი თავში მოგივა, იქნება ეს რაღაც ახალი შთაგონება, ახლებური ხედვა საგნებისა თუ ახალი სახის საზოგადოება.

სოლჟენიცინი გვიჩვენებს — და ამაშია მისი დიდი დამსახურება — რომ, სადაც ათეიზმი გადაიქცევა გაბატონებულ ფილოსოფიად და გაჩნდება აზრი სარწმუნოების ძირფესვიანად მოსპობისა (რაც კომუნიზმის იდეოლოგიის ქვაკუთხედია), იქვე უნდა აშენდეს პატიმართა ბანაკებიც. ადამიანს სწყურია რელიგია და თუ ამას აუკრძალავ, მაშინ თვით ადამიანიც უნდა მოიშორო როგორმე თავიდან. აქედან გამომდინარე, რაკი ათეიზმი ადამიანის ბუნების მანკიერებაზეა დაფუძნებული, „გულაგის" საპატიმრო სისტემაც ბუნებრივი გამოხატულებაა რუსეთის ათეისტური ექსპერიმენტისა.

და მაინც ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია; მთავარი ისაა, თუ რა დაემართა სოლჟენიცინს (სარწმუნოებრივი თვალსაზრისით) ციხეში წასვლის შემდეგ, რადგან იქ გამოეცხადა მას ღმერთი. მართალია, გულაგი მანკიერებებს ააშკარავებს ადამიანის ბუნებაში, მაგრამ ამავე დროს ისაა ადამიანის სულის განახლების საწყისი წერტილიც. სწორედ ამიტომ რუსეთში ახლა მიმდინარე სულიერი განახლება ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ის „სულიერი გამოცოცხლებანი", რაც თავისუფალ სამყაროში აღინიშნება. სოლჟენიცინი თვითონ ასე აღწერს თავის რელიგიურ მოქცევას: „მე წილად მხვდა, საპატიმროში გატარებული წლებიდან ჩემი ნაცემი ზურგით, რომელიც ლამის დაამსხვრია ტვირთის სიმძიმემ, გამომეტარებინა ეს ძირითადი გამოცდილება: როგორ ხდება სულიერი არსება ბოროტი და როგორ ხდება ის კეთილი. ახალგაზრდობის წარმატებებით გაბრუებულს, თავი უცოდველი მეგონა და ამიტომ სასტიკი ვიყავი" (ის სერჟანტი იყო არმიაში). „ძალაუფლებამოყირჭებული მკვლელიც ვიყავი და მჩაგვრელიც. უბოროტეს წუთებშიც მჯეროდა, რომ სიკეთეს ვაკეთებდი და ყოველთვის უხვად მქონდა საამისო საბუთები. და მხოლოდ მაშინ, როცა საპატიმროს დამპალ ნამჯაზე ვეგდე, სიკეთის პირველი ყივილი ვიგრძენი ჩემში".

აქ მისი გული ჩვილი და მგრძნობიარე ხდება და ხორციელდება რაღაც მსგავსი გამოცხადებისა: „ჩემთვის თანდათან ნათელი შეიქნა, რომ სიკეთისა და ბოროტების გამყოფი ხაზი გადის არა სახელმწიფოებს, კლასებს ან პოლიტიკურ პარტიებს შორის, არამედ პირდაპირ თითოეული ადამიანის გულზე და შემდეგ ყველა ადამიანის გულზე... და თვით ბოროტებით გადაძლეულ გულში რჩება პატარა საფეხურდელი სიკეთისათვის, ისევე როგორც თვით ყველა გულს შორის საუკეთესოშიც კი არსებობს ამოუძირკვავი პატარა კუნჭული ბოროტებისა".

რამდენად უფრო ღრმაა ეს დაკვირვება ყველაფერ იმასთან შედარებით, რაც დასავლეთში შეიძლება თქვას კაცმა თავისი გამოცდილების საფუძველზე. და რამდენად უფრო ღრმა, რომ ტანჯვას ეყრდნობა, რაც ათეისტური მდგომარეობის რეალობაა და ნამდვილი სულიერი ცხოვრების დასაწყისი. თვითონ მაცხოვარმა ტანჯვითა და ჯვრით გაიარა ეს ცხოვრება, რუსეთის გამოცდილება კი საშუალებას აძლევს მათ, ვინც საკუთარ თავზე იტანენ ყოველივეს, საფუძვლიანად შეიგრძნონ ეს ფაქტი. ამიტომაა ქრისტიანული აღორძინება რუსეთში ასე საოცრად ღრმა.

## განახლება

ახლა მინდა მოგითხროთ ერთ უბრალო ადამიანზე, ვინმე იური მაშკოვზე, რომელმაც დაწვრილებით აღწერა თავისი მოქცევა ქრისტესჯულზე. ის ძალით გაასახლეს რუსეთიდან სამი წლის წინ: ორმოცს იყო გადაცილებული, კიბო რომ დაემართა და შარშან გარდაიცვალა. ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლიდან ზუსტად სამი წლის შემდეგ მან წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც განიხილა, თუ როგორ მოვიდა სარწმუნოებამდე, ე. ი. თუ როგორ გამოეცხადა ღმერთი ტანჯვაში. ის მიწვეული იყო რუსულ კონფერენციაზე ნიუ-ჯერსიში 1978 წელს და იქ გამოსულმა გაანდო საზოგადოებას, რომ წამოსვლამდე წარმოდგენა არ ჰქონდა, რაზე ელაპარაკა. „ვღელავდი", — თქვა მან, — მეჩვენებოდა, რომ არაფერი მქონდა სათქმელი. სიცოცხლის პირველ მონაკვეთში სტუდენტი ვიყავი, მეორე ნაწილი კი ციხეებსა და გულაგის პოლიტიკურ საკონცენტრაციო ბანაკებში გავატარე. მართლაც და რა უნდა ვუთხრა ხალხს, რომელიც ჩემზე მეტად განათლებულია, უფრო ერუდირებული და, ასე განსაჯეთ, უკეთესადაც ერკვევა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებში."

აქ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ სხვაობა იმასთან, რაც დასავლეთში ხდება. დასავლეთში ნამდვილად ბევრსა აქვს მართლმადიდებლური რწმენა. ჩვეულებრივ ისინი მართლმადიდებლობის ფართო ცოდნით არიან აღჭურვილნი, მაგრამ არ გააჩნიათ გამოცდილება ტანჯვისა; როცა ნამდვილად გიწევს საზღაურის გაღება იმისათვის, რასაც იძენ. იური კი, მეორე მხრივ, ლაპარაკობს არა წიგნებიდან, არამედ პირადი გამოცდილებით.

„ამიტომ," — ამბობს იური, — „მე გადავწყვიტე არ დამეწერა ჩემი სიტყვა და მეთქვა

ა, როგორც ღმერთი ჩამაგონებდა. მოგვიანებით, როცა ჩინებული ავტომობილით ბრიჯპორტიდან (კონექტიკუტი) მოვქროდით ბრწყინვალე გზატკეცილზე, არაჩვეულებრივი ბუნებით გარემოცულნი, მე მივხვდი, რომ მთელი ჩემი სულიერად ნატანჯი ცხოვრება კომუნისტურ „სამოთხეში", ჩემი გზა ათეიზმიდან და მარქსიზმიდან მართლმადიდებელ რწმენამდე წარმოადგენს ერთადერთ ფასეულ ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება თქვენი ცნობისმოყვარეობა გამოიწვიოს. ჩემი სიცოცხლე მხოლოდ იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ის არის წვეთი რუსეთის სარწმუნოებრივი აღორძინების ოკეანეში".

შემდეგ იური ყვება თავის ცხოვრებას: „მე დავიბადე სისხლიან 1937-ში, სოფელ კლიმოვოში, მოსკოვიდან ოცდაათი მილის დაშორებით... მამაჩემი, ხელობით მჭედელი, ომში დაიღუპა და მე ის არ მახსოვს; დედა, რომელიც სხვადასხვა სამუშაოზე მუშაობდა, ჩემი აზრით, გულგრილი იყო რელიგიისადმი. ბებიაჩემი კი, რაც მართალია მართალია, მორწმუნე გახლდათ." (ფაქტიურად რუსეთში ყოველთვის შეხვდები მორწმუნე ბებიას ან დედას, რომელიც ხშირად ოჯახს რწმენისაკენ შემოაბრუნებს ხოლმე.). „... მაგრამ მას არავითარი ავტორიტეტი არ ჰქონდა ჩემს თვალში, რადგან სრულიად უწიგნური იყო. რა თქმა უნდა, ბავშვობაში მომნათლეს, მაგრამ სკოლის ასაკში ჯვარი მოვიხსენი და 25 წლამდე მტკიცე ათეისტი ვიყავი. შვიდწლიანი (დაწყებითი) სკოლის დამთავრების შემდეგ ბედმა გამიღიმა და ჩავაბარე მოსკოვის ხელოვნებისა და ინდუსტრიის უმაღლეს სასწავლებელში, სადაც შვიდიდან ხუთი წელიწადი ვისწავლე. ასე რომ, გარეგნულად ჩემი ცხოვრება იღბლიანად დაიწყო... თავის დროზე დიპლომსაც ავიღებდი და იქ ვიმუშავებდი, სადაც მომესურვებოდა."

ასეთია ტიპიური საბჭოთა აკადემიური კარიერა. საბჭოთა კავშირში აკადემიურ ცხოვრებას ძალიან სერიოზულად უყურებენ: თუ მოხვდები, გზა ხსნილი გექნება საბჭოური ცხოვრების ბევრ სიკეთეზე, ხოლო თუ ჩაიჭრები, მეეზოვეზე უკეთეს სამსახურს ვერ ეღირსები.

„მაგრამ მომაბეზრებელმა საბჭოურმა ცხოვრებამ და სულიერმა დაუკმაყოფილებლობამ," — განაგრძობს იური, — „მოსვენება დამიკარგეს. 1956 წლის ბოლოს კი, როცა ცხრამეტი წლის გავხდი, მოხდა ერთი გარეგნულად შეუმჩნეველი მოვლენა, რომელმაც სინამდვილეში თავდაყირა დააყენა ჩემი ცხოვრება და საბოლოოდ აქ მომიყვანა. ეს მოვლენა ჩემს სულში მოხდა და იმაში მდგომარეობდა, რომ მე მ ი ვ ხ ვ დ ი, რა სახის საზოგადოებაშიც ვცხოვრობდი. მიუხედავად გაძლიერებული საბჭოთა პროპაგანდისა მე მ ი ვ ხ ვ დ ი, რომ ვცხოვრობდი სრული უკანონობისა და სრული სისასტიკის რეჟიმში. მაშინ ძალიან ბევრი სტუდენტი მივიდა იმავე დასკვნამდე. დროთა განმავლობაში გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ჩემსავით ფიქრობდნენ და ჩვენ საკუთარ მოვალეობად ჩავთვალეთ ხალხისათვის გვეუწყებინა ჩვენი აზრი რეჟიმის შესახებ და გარკვეულწილად წინ აღვდგომოდით ბოროტების ზეიმს". (ეს, რასაკვირველია, მიუთითებს ახალგაზრდობის იდეალისტურ განწყობილებაზე, რაც დასავლეთის სამყაროშიც შეინიშნება.). „მაგრამ საიდუმლო პოლიცია ძალზე ფრთხილად ადევნებს თვალს სსრკ-ს ყველა მოქალაქეს და 1958 წლის 7 ნოემბერს, როცა საორგანიზაციო კრებაზე მოვიყარეთ თავი არალეგალური გამოცემების საკითხის გადასაწყვეტად, ექვსნი დაგვაპატიმრეს და ყოველ ჩვენთაგანს, რომელმაც არ მოინანია, უმაღლესი სასჯელი გამოუტანეს ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის — 7 წელი საკონცენტრაციო ბანაკში. ასე დაიწყო ახალი გზა ჩემს ცხოვრებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ადგილი არ ჰქონია არავითარ სარწმუნოებრივ მოქცევას. იური, არც მეტი არც ნაკლები, ერთი იდეალისტი ყმაწვილი იყო, რომელსაც უცბად „ხმა აემაღლებინა" და გულაგში ამოყო თავი.

„ჩვენ ყველანი მაშინ ათეისტები და ევროკომუნისტური ბანაკის მარქსისტები ვიყავით, ე. ი. ჩვენ გვჯეროდა, რომ მარქსიზმი თავისთავად სწორი სწავლებაა, რომელსაც ხალხი ბედნიერი მომავლისაკენ, თავისუფლებისა და სამართლიანობის სამეფოსაკენ მიჰყავს, მაგრამ მოსკოვის გაიძვერებს რატომღაც არ სურთ ამ სწავლების ცხოვრებაში გატარება. საკონცენტრაციო ბანაკში ეს აზრი ძირფესვიანად და სამუდამოდ აღმოიფხვრა ყოველ ჩვენგანში."

აქ მე არ შევუდგები კომუნიზმის ფილოსოფიის განხილვას, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ იური სასოწარკვეთილებამდე იყო მისული. მან დაკარგა რწმენა იმისა, რისაც დიდი ხნიდან შეურყევლად სჯეროდა: რომ კომუნიზმი იდეალური სწავლებაა, რომელსაც მშვიდობა და ბედნიერება მოაქვს. მან დაინახა, რომ პრაქტიკაში კომუნიზმი არ იყო ის, რაზედაც თავს დებდა. მერე რაღაც ემართება მის სულს.

„მე მინდა ოდნავ მაინც გავხსნა სულიერი განახლების პროცესი," — ამბობს ის, — „რათა დარწმუნდეთ, თუ რამდენად შეურყევლად მიმდინარეობს ის რუს ხალხში. ზოგადად მე და ჩემთან მყოფთ არ გაგვივლია სულიერი გზა ათეიზმიდან რელიგიურ რწმენამდე. ეს ტიპიური მოვლენაა საბჭოთა პოლიტიკურ საკონცენტრაციო ბანაკებში. მაშ, რა ხდება, რა ემართება ჩვენს ხალხს? სულიერი განახლების პროცესი

არ ეტევა მოიცავს. პირველად ჩვენ ვწვდებით მარქსიზმის არსს და ვთავისუფლდებით ყოველგვარი ილუზიისაგან მის მიმართ. ღრმა და საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ჩვენ ვარკვევთ, რომ მარქსიზმი თავის არსში წარმოადგენს ტოტალიტარიზმის, ე. ი. სრული მონობის დასრულებულ სწავლებას, რომ ნებისმიერი კომუნისტური პარტია ნებისმიერ ქვეყანაში, რაწამს შეუდგება მარქსისტული პროგრამის რეალიზაციას, მაშინვე იძულებული გახდება იგივე გაიმეოროს, რაც მოსკოველმა კომუნისტებმა გააკეთეს და ახლაც აკეთებენ — უკუაგდოს მარქსიზმი და ათეიზმი და უარყოს თავისი თავი. ვიგებთ ამ უბრალო ჭეშმარიტებას და ვკარგავთ იდეოლოგიურ საფუძველს, რითაც ვუპირისპირდებოდით მარქსისტულ მონობას. ჩვენ ვვარდებით სულიერ ვაკუუმში, რასაც კიდევ უფრო ღრმა კრიზისი მოსდევს თან".

შემდეგ იური ყვება, თუ როგორ შეაბიჯა თვითონაც ამ ღრმა კრიზისში: „ბანაკიდან განთავისუფლების შემდეგ (ე. ი. შეუდრეკლიანი ვადის გახვლის შემდეგ) ასეთი შესაძლებლობები დაგვიდგა წინ, მტერსაც რომ ვერ ვუსურვებდით: ან ბანაკში უნდა დავბრუნებულიყავით და სიცოცხლის ბოლომდე იქ გვეცხოვრა, ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამოგვხდებოდა სული ან კიდევ საიდუმლო პოლიცია მოგვკლავდა ბოლოს სასამართლოსა და გამოძიების გარეშე.

„სულიერი კრიზისის ასეთ დონეზე, როცა ვერ ხედავ ვერავითარ გამოსავალს, უპირველად ამოტივტივდება უმთავრესი მსოფლმხედველობრივი კითხვა: რისთვის ვცხოვრობ, თუ გამოსავალი არაა? და ამ შემზარავი წუთის დადგომისას, თვითოეული ჩვენგანი გრძნობს, რომ სიკვდილს უკვე კისერში წაუჭერია თავისი კლანჭები; თუ ამ დროს არ გაჩნდება რაიმე სულიერი პასუხი, სიცოცხლე თავდება, რადგან ღვთის გარეშე არა მარტო ყველაფერი ნებადართულია, არამედ თვით სიცოცხლე კარგავს აზრსა და ფასს. ბანაკში ვხედავდი, რომ ხალხი ჭკუაზე იშლებოდა ან თავს იკლავდა. მე თვითონ ცხადად ვგრძნობდი, რომ, თუ მტკიცედ და საბოლოოდ დავრწმუნდებოდი ღმერთის არარსებობაში, უბრალოდ მოვკლავდი ვეცდებოდი თავი მომეკლა, რადგან სამარცხვინო და დამამცირებელია გონიერი არსებისათვის უაზრო და მტანჯველი ცხოვრების ბოლომდე ატანა. მაშასადამე, სულიერი განაჩენების მეორე საფეხურზე ჩვენ ვაკეთებთ აღმოჩენას, რომ ათეიზმს, თუ ის თავის ლოგიკურ დასასრულამდეა გაზრდილი, უცილობლად მიჰყავს ადამიანი დალუპვამდე, რადგან ესაა უზნეობის, ბოროტების და სიკვდილის უზადო სწავლება.

ტრაგიკული ბოლო (თვითმკვლელობა ან სიგიჟე) იქნებოდა ჩემი ხვედრიც, რომ, ჩემდა საბედნიეროდ, 1962 წლის 1 სექტემბერს უდიდესი სასწაული არ დატრიალებულიყო ჩემს თავს. იმ დღეს განსაკუთრებული არაფერი შემხვედრია, არავითარი მინიშნება გარე სამყაროდან; მარტოდმარტო ვიჯექი და ვფიქრობდი ყოფნა-არყოფნის პრობლემაზე. ამ დროს მე უკვე გაცნობიერებული მქონდა, რომ ხსნა ღვთის რწმენაშია. მე ძალიან მინდოდა, რომ მერწმუნა ის, მაგრამ თავს ვერ მოვიტყუებდი: რწმენა არ მქონდა.

„და უცბად დადგა წამი, როდესაც მე როგორღაც პირველად დავინახე (თითქოს კარი გაიღო ბნელი ოთახიდან მზიან ქუჩაში) და მომდევნო წამს უკვე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ღმერთი არსებობს და რომ ღმერთი არის იესო ქრისტე მართლმადიდებლობისა და არა სხვა რომელიმე ღმერთი. ამ წუთს მე უდიდეს სასწაულს ვუწოდებ, რადგან ეს ზუსტი ცოდნა მივიღე არა გონებიდან (ეს ნამდვილად ვიცი), არამედ რაღაც სხვა გზით და მე არ ძალმიძს ამ წუთის რაციონალური ახსნა... ამგვარი სასწაულით დაიწყო ჩემი ახალი სულიერი ცხოვრება, რამაც გადამატანინა კიდევ ცამეტი წელი საკონცენტრაციო ბანაკებსა და საპატიმროებში, იძულებითი ემიგრაცია და იმედი მაქვს, ემიგრანტული ცხოვრების ყველა სიძნელესაც გადამატანინებს.

„რწმენის ამ მომენტს", ამ უდიდეს სასწაულს განიცდის ახლა რუსეთში ათასობით კაცი და არამარტო საკონცენტრაციო ბანაკებსა და ციხეებში. იგორ ოგურცოვს, სოციალ-ქრისტიანული კავშირის დამაარსებელს, რწმენა უნივერსიტეტში ჩაესახა და არა ბანაკებში. რელიგიური განახლება ჩვეულებრივი მოვლენაა თანამედროვე რუსეთში. ყველაფერი, რასაც სულიერი სიცოცხლე გააჩნია, აუცილებლად უბრუნდება ღმერთს. და სრულიად აშკარაა, რომ ასეთი მხსნელი სასწაული, კომუნისტური პოლიტიკის მთელი ძლევამოსილების მიუხედავად, შეიძლება მოახდინოს მხოლოდ ყოვლისშემძლე უფალმა, რომელმაც არ მიატოვა რუსი ხალხი საშინელ ტანჯვაში; ხალხი, რომელიც ვერაფრით იცავს თავს უამრავი მტრისგან.

## დასასრული

ამ ერთი კაცის, იური მაშკოვის, გამოცდილება უაღრესად პრაქტიკული ახსნაა იმისა, თუ როგორ აცხადებს ღმერთი თავის თავს. რაღაცა ხდება გულში; და თუმცა ტანჯვა ხელს უწყობს ამ გარდასახვას, მაინც არ არსებობს უტყუარი საშუალება მის მისაღწევად. მაგალითად, უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში

რუსეთიდან დევნილი ლიტერატურის შემოტანი-ლია, სადაც ნათხრობილია ტანჯულ ადამიანებზე, რომლებიც არ მოქცეულან ავადმყოფ ოფიციალ-ური ავტორის, მარინენკოს, ძალიან საინტერესო წიგნი ინგლისურ ენაზე სათაურით „ღმერთის ხარება". მარჩენკო უბრალოდ პატიოსანი კა-ცია, რომელმაც ვერ აიტანა საბჭოთა რუსეთში გამეფებული სიცრუის ხანგრძლივი შეგრძნება — უბრალოდ, რომ ყველა ცრუობს. ბოლოს მან თქვა სიმართლე. მაგრამ თქვა და ბანაკში ჩავარდ-ნა ერთი იყო. ჩვეული დაკითხვებისას ერთხელ მთა-ვრობელმა დამცინავად უწყინარობით: „იცოდე-თუ შენ აზრებს არ შეიცვლი, აქედან რომ გაიღ-წიო კიდეც, მაინც უკან დაბრუნდები. არ გე-სია, შენ თვითონ შერცხვენილია და სხვ მოიქცე, როგორც სხვები იქცევიან?" „არ შემიძლია," — პასუხობდა იგი, — „მე პატიოსანი კაცი ვარ!" მორწმუნეების შემხვედრი, ის მიხვდა, რომ ისინი ერთადერთი ხელშეწყობი ხალხი იყვნენ პატიმართა ბანაკებში. „ჩვენ ქრისტიანების ვეწა-მებით," — ამბობდნენ ისინი და უბრალოდ მოთ-მინებით იტანდნენ. „მაგრამ მე მართმადიდებლად ვერ ვიქნები," — ამბობდა ის, — „რადგან არ მწამს ქრისტე." და სხვა იქიდან მიხვდა, რომ ქანაკში გადაიტანა: დაინახა ციხის მეთვალყურე-ების და ერთი ხელი შეუხსნა, კარი ცხვირ-პირზე მიუხურებდა მათთვის. როცა ციხიდან გა-მოვიდა, ბოლოს ყველაში ეჭვიანობდა და ჩუმად ერთადერთ ამოცანას თავისი მოგონებების. მან იცოდა, რომ ისევ ბანაკში მოხვდებოდა; და მარ-თლაც, დაწერა თუ არა თავისი წიგნი, მაშინვე უკან დაბრუნდა.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შემთხვე-ვაში გული ქერქერობით ვერ გაიღვიძა, ის კვლავ გაქვავებულია. რასაკვირველია, ეს უკვე ძალზე რთული რამაა და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს შეიცვალოს. მაგრამ მარჩენკოს აღსარებაში გვიჩვენებს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია უბრალოდ ავიღოთ და პატიმართა ბანაკში ამოვაყოლოთ კაცს თავი იმ იმედით, რომ ისე მას ქრისტიანად ვაქცევთ. ზოგი ხდება ქრისტიანი, ზოგი არა. როცა მართლა აქვს ადგილი მოქცევას, გამოცხადების პროცესი ძალიან მარტივად მი-მდინარეობს: ადამიანი წვალობს, იტანჯება და შემდეგ რადიკალურად განიხვნება სხვა სამყარო. რაც უფრო მეტად გაჯერის, წვალობს და „გამწმე-რებული" ეტყვი ღმერთს, მით უფრო მალე ის შენ შენახვეწენად, გაგრძნობინებს, თუ ვინ არის და განვრცობს გზას თავის დაღწევისა.

ნწორედ ამიტომ არ უნდა ვეძებდეთ სასწაუ-ლის მხგავს შთამბეჭდავ მოვლენებს. წმინდა ნაკითხის ცხოვრებიდან, რომელიც შემდეგ იყო მოყვანილი, ჩვენ ვიცით, რომ ეს ყველაზე უფ-რესი მოვლენაა, რასაც შეცდომაში შეჰყავს კა-ცი. სწორედ მოვლენა კი მოთმინებისა ანუ გულ-ში, რომელიც თავს ამხდარებს და უბრალოდ ღვთის ჭეშმარიტი ეს ტანჯვა მან აირჩია, რომ სა-ღვთო არსებას უფრო მაღალი სიმართლე, რო-მელსაც შეუძლია არა მარტო უშველოს შენ ტანჯვას, არამედ ხილული სხვა განზომილე-ბაზე აიყვანოს იგი. ეს გამოსავალი ტანჯვიდან ტრანსცენდენტურ რეალობაზე ... ღვთის ქრისტიანულ ცხოვრებას, ... იყო. ადამიანს ყველაზე საშინელი და სასტიკი ვნები ჰქონდა და თავისი საკუთარი მოწამეო-ბის განსაცდელებიდან, მყვდრეთით აღსდგა, ახალი შეიცნო, მოიპოვა სულიწმინდა და დაინახა მისი თავისი გულისის ავტორის.

არსებითად ეს მინდოდა მეთქვა გამოცხადე-ბის შესახებ მართლმადიდებლობაში.

### კითხვა-პასუხი

**კითხვა: თუ დემონები ანგელოზის სახით გამოგვეცხადებიან და მოსახვეთ დაიწყებენ ღვა-პარკს, მაშინ როგორღა გავარკვიოთ ტყუილი-მართალი?**

პასუხი: ძალიან კარგი კითხვაა. უნდა დაი-მდაბლოთ თავი; უნდა ეძებდეთ ღვთის ჭეშმა-რიტებას და არა მისტიურ გამოცდილებებს. რა თქმა უნდა, ვიტყვი, რომ უნდა ვიბრძოლოთ მა-რთლმადიდებელი ქრისტიანი და ეზიაროთ სწა-ვლებას ქრისტიანული ცხოვრების შესახებ. ჭეშ-მარიტების ძიებაში ეს მოგვეხმარებათ, მაგრამ სრული გარანტია მაინც არ გვექნებათ, რადგანაც მართლმადიდებელი ქრისტიანიც შეიძლება შე-ცდეს.

ძირითად რჩევებს ამ საკითხში ეკლესიის მამები გვაძლევენ. ისინი ამბობენ: თუ ვინმე მოგეჩვენებათ ნათლის ანგელოზის სახით, არ ირ-წმუნოთ. ღმერთი არ დაგსჯით, თუ თქვენ შე-ცდით და ღვთის გამოცხადება არ მიიღეთ. თუ ღვთის ნებაა, ის მონახავს გზას, რომ თქვენა-მდე მოაღწიოს. უფალი მოგიწონებთ კიდეც უნ-დობლობას, რადგან თქვენ ცდილობთ, რომ არ შეცდეთ.

სულიერად უფრო წინწასული ადამიანები, რომლებსაც მეტი გამოცდილება აქვთ ამ საკით-ხში, სხვადასხვანაირად იქცევიან. ჩვენ გვაქვს მაგალითი წმინდა ანტონი დიდის ცხოვრებიდან, რომელიც გამუდმებით ხედავდა დემონებს. როცა კითხეს, თუ როგორ განასხვავებდა სუ-ლებს, მან თქვა, „ანგელოზი რომ მეცხადება, სიმშვიდეს ვგრძნობ, დემონის მოვლინებისას კი, თუნდაც ანგელოზს გავდეს, ვშფოთავ". მა-გრამ ეს ძალიან საშიში მიდგომაა დამწყებთა-თვის, რადგან შეიძლება დემონებმაც სიმშვი-დე მოგგვარონ, თუ გამოცდილი არა ხართ.

ძირითადი პასუხი თქვენს კითხვაზე კვლავაც ისაა, რომ ჩაუღრმავდეთ მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას. როცა გაეცნობით სხვა-დასხვა შემთხვევას, როგორიცაა, მაგალითად,

წმინდა ნიკიტასი, და ნახავთ, თუ როგორ მოქმედებენ დემონები, უმეტესწილად მალევე უკუაგდებთ ტყუილს, რადგან გეცოდინებათ ტიპიური ხერხები, რითაც ისინი თქვენს შეცდენას მოინდომებენ.

**კითხვა: ხომ ვერ გვეტყვით, როგორ ესმით მართლმადიდებლებს სულიწმიდა და ამასთან დაკავშირებით როგორ უყურებენ არამართლმადიდებელ ქრისტიანთა საიდუმლოებებს — არის თუ არა მათში სულიწმიდა?**

პასუხი: სულიწმიდა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მოავლინა აღდგომიდან 50-ე დღეს (სულთმოფენობა), მე-10 დღეს ამაღლებიდან, რათა სოფლის აღსასრულამდე სულიწმიდა ეკლესიაში ყოფილიყო. ისტორიულად კი ერთი იყო ის ეკლესია, რომელიც მან დაარსა.

ჩვენს დროში არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები ისტორიული ცოდნის მოხმობით ეძებენ სწორედ ამ ეკლესიას. მაგალითისათვის მოგახსენებთ უგანდის ეკლესიის ამბავს. ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ანგლიკანურ სემინარიაში სწავლობდა ორი უგანდელი მოწაფე. მათ შენიშნეს, რომ სწავლება, რომელსაც იქ ღებულობდნენ განსხვავდებოდა იმ სწავლებისაგან, რასაც ადრეულ მამათა წიგნებში კითხულობდნენ. მაშინ იფიქრეს, რომ რომის კათოლიციზმში იპოვიდნენ პასუხს, რომ ის იქნებოდა ადრეული ეკლესია. „ეძიებდნენ რა ჭეშმარიტ, ადრეულ ეკლესიას" (როგორც თავად უწოდებდნენ მას), ისინი კათოლიკურ სემინარიაში მივიდნენ სასწავლებლად. და აქაც აღმოაჩინეს, რომ მიღებული სწავლება განსხვავდებოდა ეკლესიის ადრეული მამების სწავლებისაგან. მათ თქვეს: „თუ სიმართლე შეიძლება ასე შეიცვალოს, სადღა ვეძიოთ სიმართლე ქრისტესი?" შემდეგ შეიტყვეს მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ და მის ძებნაში ფათერაკებით აღსავსე გზა განვლეს. ჯერ მათ ნახეს კაცი, რომელმაც თავი მართლმადიდებლად გაასაღა, მაგრამ დიდი გაიძვერა აღმოჩნდა; მისივე სიტყვებით, ის საიდუმლოებებს სთავაზობდა ხალხს. „ნამეტანი სასაცილო ჩანს ეს კაცი", — უთხრა მათ ერთმა ბერძენმა და მათაც თვალი აეხილათ. აზრი შეიცვალეს და ძიება განაგრძეს. პირველი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, რომელსაც შეხვდნენ, თავისი წოდების შესაფერისი არ აღმოჩნდა. მან უთხრა, „რისთვის შეწუხებულხართ, ყველა რელიგია მაინც ერთია; დაუბრუნდით ისევ ანგლიკანებს". მაგრამ ვერც ამან აღებინა მათ ხელი თავიანთ განზრახვაზე. ბოლოს და ბოლოს მათ მაინც იპოვეს მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, რომელიც იმას ასწავლიდა, რაც უნდა ესწავლებინა და თვითონაც მართლმადიდებლები გახდნენ. დღეს ქრისტეს ეკლესია ფესვებს იდგამს აფრიკაში: უგანდაში, კენიაში, ზაირში, ტანზანიაში და სხვა. ჩვენ გვაქვს მათი წირვა-ლოცვის ჩანაწერები, რაც საოცრად შთამბეჭდავია. მათ აღებული აქვთ ბიზანტიური [illegible] საგალობლები, რისი [illegible] რაც უფიქრიათ (უბრალოდ თავისებურ[illegible] თავიანთ ენაზე) და რაც, [illegible] სურნელით შემკული, ძალზე ამაღლებულად ჟღერს. ისინი ისევე მოექცნენ ბიზანტიურ საგალობლებს, როგორც ბერძნები ებრაულს.

ასე რომ, ამ აფრიკელებმა გადახედეს ისტორიას და აღმოაჩინეს, რომ ერთადერთი ეკლესია მოდის უშუალოდ ქრისტესგან და ასწავლის იმას, რაც ძველ დროში ისწავლებოდა, და ესაა მართლმადიდებელი ეკლესია. ისტორიული თვალთახედვით ისიც ჩანს, თუ როგორ დაშორდნენ მას სხვა ეკლესიები: უპირველეს ყოვლისა რომის კათოლიციზმი მე-11 საუკუნეში, როცა ცემათი პაპის პოზიციაზე ეკლესიაში უაღრესად გამწვავდა და პაპმა, უარყო რა საკითხის სწორი გადაწყვეტა, თან გაიყოლა მთელი დასავლეთი.

სულიწმიდა დღემდე მოქმედებს მართლმადიდებელ ეკლესიაში, დასავლეთის პროტესტანტულ ჯგუფთა უმრავლესობა თავის მსახურებას არც კი უწოდებს საიდუმლოებას. ამიტომ ბუნებრივია ჩვენ ვერ მოვიძიებთ სულიწმიდის მადლს იმაში, რასაც თვითონაც არ თვლიან საიდუმლოებად. რასაკვირველია, რომის კათოლიკურ ეკლესიას და სხვა ჯგუფებს მიაჩნიათ, რომ მათ აქვთ საიდუმლოებები. მე პირადად მოგახსენებთ, რომ ჭეშმარიტ საიდუმლოებებს, იმ მნიშვნელობით, როგორითაც ისინი ქრისტემ დაადგინა, მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში შეხვდებით. ხოლო ვისაც ჰგონია, რომ საიდუმლოებებთან აქვს საქმე და ცდილობს მაქსიმუმი გააკეთოს თავის მხრივ — ამ სულის ამბავს ღმერთი გაარკვევს და რასაც ღმერთი მოისურვებს მისთვის — ეს მან უწყის. ეს არ უნდა იყოს მარტოოდენ ფსიქოლოგიური საკითხი; არ ვიცი — ღმერთია ამის განმსჯელი. მაგრამ ის საშუალებები, რომლებიც ღმერთმა ეკლესიას დაუდგინა, დღემდე მოღწეულია მართლმადიდებელ ეკლესიაში. ისტორიულადაც ნათელია, რომ ჩვენ იგივეს ვიქმთ, რასაც პირველი ეკლესია. მაგალითად, ფილიპემ მდინარეში ჩაიყვანა საჭურისი და უეჭველად იმგვარად მონათლა, როგორც ჩვენ ვნათლავთ: სამჯერ შთაფლა იგი წყალში, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. სწორედ ამიტომ მართლმადიდებელ ეკლესიას იცნობენ, როგორც „ძველმოდურს", ჩვენ განზრახ ვინახავთ ძველ წესებს, რომლებიც ქრისტესაგან, მოციქულთაგან და ეკლესიის ადრეულ მამათაგან იღებენ დასაბამს.

**კითხვა: როგორია მართლმადიდებლობის**

**დამოკიდებულება არაქრისტიანული რელიგიებისადმი?**

პასუხი: ქრისტე მოგვევლინა კაცთა მთელი მსოფლიოს განსანათლებლად. მისი გამოცხადების გარეთ არსებობს მრავალი რელიგია, რომელთა მიმდევარნიც გულწრფელნი არიან — ყოველ შემთხვევაში დემონებს არ სცემენ თაყვანს — და სადაც სული მართლა ისწრაფვის ღვთისაკენ. მე ვიტყოდი, რომ თუ ამ ხალხს არ სმენია ქრისტეს შესახებ, მაშინ ეს რელიგიები მეტ-ნაკლებად კარგნი არიან, თუმცა მიზნამდე ვერავის მიიყვანენ. მიზანი კი საუკუნო ცხოვრებაა და სასუფეველი ცათა და ღმერთი განკაცდა, რათა ეს ემცნო ჩვენთვის. ამგვარად, ჭეშმარიტება ქრისტიანობაშია. სხვა რელიგიებშიც შეიძლება მოიძიოთ ჭეშმარიტების მარცვლები და ხშირად ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ისინი ვერ ხსნიან ზეცას. მხოლოდ მაშინ, როცა ქრისტე მოვიდა ქვეყნად და უთხრა ავაზაკს, „დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა", ზეცა ჭეშმარიტად გაიხსნა კაცთათვის.

**კითხვა: გამოდის რომ ჭეშმარიტება მიუწვდომელია იმ ადამიანებისათვის, ვისაც ქრისტესთან შეხება არა აქვთ.**

პასუხი: თქვენ მეკითხებით მათზე, ვისაც არასოდეს სმენიათ ქრისტეს შესახებ? — ღმერთია მათი განმსჯელი. ძველ აღთქმაში ადამიანებს არაფერი სმენოდათ ქრისტეს შესახებ, და შემდეგ ქრისტე მივიდა და ახარა მათ ჯოჯოხეთში. ჩვენი რწმენით იოანე ნათლისმცემელიც ჩავიდა ჯოჯოხეთში ქრისტემდე და იქადაგა, რომ მაცხოვარი უნდა მოსულიყო. რათა გაეთავისუფლებინა ყველა, ვისაც განთავისუფლება უნდოდა, ვინც მას ირწმუნებდა, მაშასადამე, ღმერთს შეუძლია ჭეშმარიტების ცნობა მიანიჭოს მათ, ვისაც არასოდეს ჰქონია საშუალება მისი მოსმენისა; მათ, ვისაც არ უარუყვია სახარება, მაგრამ არც სმენია იგი. მაგრამ თუ შენ მოგეცა ღვთის გამოცხადება, მაშინ შენ ბევრად დიდი პასუხისმგებლობა გადევს. ის, ვინც მიიღო გამოცხადება განკაცებული ღმრთისა და შემდგომ არ ცხოვრობს შესაფერისი ცხოვრებით, ბევრად უარესია ნებისმიერ წარმართ ქურუმზე ან მისთანებზე.

**კითხვა: მე და ალბათ ბევრმა სხვამაც ძალიან ცოტა რამ ვიცით ამის შესახებ, თუ რა კონკრეტული მსგავსება-განსხვავებანია რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და, ვთქვათ, რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის სხვადასხვა დოქტრინებისა და იდეების თვალსაზრისით, როგორიცაა სამების საკითხი, მღვდლების ქორწინება და მილიონი სხვა პატარ-პატარა განსხვავებანი.**

პასუხი: პატარ-პატარა განსხვავებანი უამრავია, მაგრამ, ჩემი აზრით, არსებობს ერთი ძირითადი განსხვავება: მე შევეცდები ზუსტად განვმარტო ეს სულიწმიდასთან კავშირში. ქრისტეს ეკლესია ისაა, რომელიც ხალხს მადლს აძლევს. დასავლეთში კი, როცა რომი მოწყდა ამ ეკლესიას, ფაქტიურად მადლიც დაიკარგა (შესაძლოა ხალხი შემთხვევით ღებულობდა მადლს აქა-იქ, მაგრამ, ძირითადად, ეკლესიას მადლი მოშორდა). თანამედროვე რომის კათოლიციზმი, როგორც მე მესახება, ცდილობს ადამიანური კეთილშობილებით ჩაანაცვლოს მადლი, რომელიც უკვე დაკარგულია. ამიტომ ის პაპს „შეუმცდარად" აქცევს და ამით პასუხს სცემს კითხვას, „სადაა ჭეშმარიტება".

ზოგიერთები, უყურებენ რა ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას, ამბობენ: „წარმოუდგენელია, რომ აქ კაცმა ჭეშმარიტება იპოვოს. თქვენ ამბობთ, რომ არც პაპის გწამთ და არც ეპისკოპოსის, ე. ი. ეს არაა თქვენთვის გარანტია. თქვენ არც საღმრთო წერილისა გჯერათ პროტესტანტების დარად, რომლებიც მის აბსოლუტურ „შეუმცდარობას" ამტკიცებენ. თუ თქვენ გაქვთ სხვა მოსაზრება, მაშინ სადაა საბოლოო სიტყვა?" ჩვენ კი ვპასუხობთ, რომ სულიწმიდა უეჭველად გაგვიცხადებს თავს. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ეპისკოპოსები კრებაზე მოიყრიან ხოლმე თავს, თუმცა ამ დროსაც არაა გამორიცხული მცდარი კრება. მაშ, საშველი არ ყოფილა, იტყვის კაცი. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ სულიწმიდა უძღვება ეკლესიას და ამიტომ ის არ უმტყუნებს მას. თუ თქვენ ეს არ გჯერათ, მაშინ რაღაცებს იგონებთ, მაგალითად, ბიბლიის შეუმცდარობას ან პაპის შეუმცდარობას. შეგიძლიათ აგრეთვე ერთგვარ „კანონად" გადააქციოთ მართლმადიდებლური მითითებები — როგორც ეს რომის კათოლიკეებმა გააკეთეს — და თან ისე, რომ ყველაფერი ნათლად იყოს განსაზღვრული: თუ დაარღვიეთ ეს კანონი, მიდიხართ მოძღვართან,, იღებთ ამა თუ იმ ეპიტამიას და ყველაფერი ისევ დალაგდება. მართლმადიდებლებს ამგვარად არა სწამთ, სწორედ აქედან წარმოიშვა ინდულგენციის იდეა, რაც მონანიების იდეის სრულ დამახინჯებას წარმოადგენს. თუ მოინანიებთ, როგორც ავაზაკმა ჯვარზე, იმწამსვე ცხონდებით. მართლმადიდებლობა ყოველთვის ხაზს უსვამს ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის სულიერ ასპექტს; და ყველა საიდუმლოება და საეკლესიო წესი მხოლოდ საშუალებაა იმისათვის, რომ სული ღვთის წინაშე გამართლდეს. ესაა მთელი ჩვენი სჯული. რომის ეკლესიაში ამ ბოლო დრომდე, როდესაც მისმა წყობამ დაშლა დაიწყო, აქცენტი კეთდებოდა მთელი რიგი წესების შესრულებაზე და ამ გზით ცდილობდნენ ღვთის წინაშე „გამართლებას" კანონიერების

თვალსაზრისით; ეს კი სულიწმიდის შენაცვლებაა.

**კითხვა: ხომ ვერ გვეტყვით რამეს ანგლიკანიზმზე, რადგან ის რომის კათოლიციზმსაც ჰგავს, რომელიც, როგორც თქვენ თქვით, პაპის შეუმცდარობის იდეებს, და პროტესტანტიზმსაც, რომელიც ხიბლავს შეუმცდარობას ამტკიცებს. ჩემი აზრით, ანგლიკანობა ცდილობს გააწონასწოროს ეს ორივე შეხედულება, თუმცა თქვენ, ალბათ, იტყვით, რომ ისტორიულად იგიც მოწყდა ადრეულ ეკლესიას.**

პასუხი: ხშირ შემთხვევაში ანგლიკანები გულმოდგინედ ილტვიან, მაგრამ ისინი ძალიან შორიდან იწყებენ. როცა ღმერთთან მიდიხარ, შეუძლებელია უბრალოდ დაჯდე და მოიაზრო ყველაფერი ან „სისტემა შექმნა": შენ ცოცხალი კავშირი უნდა დაამყარო მის მადლთან. ასე რომ, ანგლიკანებისთვის პასუხი ისაა, რომ დაუკავშირდნენ ეკლესიას.

**კითხვა: იცავს თუ არა მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ მარხვებს და დიდ მარხვასთან დაკავშირებულ ყველა ძველ წესს?**

პასუხი: დიახ, არსებობს მარხვის წესი, ზუსტად ისეთი, როგორც ძველ დროში. ის მოდის ეკლესიის ისტორიის ადრეული ხანიდან. დიდაქედან (თორმეტი მოციქულის სწავლება) ვიცით, რომ პირველ საუკუნეში ოთხშაბათობით და პარასკევობით მარხულობდნენ.

**კითხვა: წუხელის თქვენ ისაუბრეთ აპოკალიფსზე. შეგიძლიათ, მოკლედ შეაჯამოთ ნათქვამი?**

პასუხი: მე განვიხილე დღესდღეობით მიმდინარე მოვლენები, როგორც ქვეყნის დასასრულის ნიშნები და განვმარტე, თუ როგორი უნდა იყოს ქრისტიანების მიმართება დასასრულისადმი. არაა საჭირო, რომ წლები ვითვალოთ ან ვივარაუდოთ, თუ რომელია „მეფე სამხრეთისა" და „მეფე ჩრდილოეთისა" და ა. შ. ჩვენ უფრო ღრმა წვდომა გვმართებს. პირველი მოციქულები ეპისტოლეებში წერენ, რომ აუცილებელია ადამიანმა იფიქროს, რომ ქრისტე ახლოსაა, რათა მოემზადოს, და უპირველეს ყოვლისა სულიერად. თუ ჩვენ ველით ქრისტეს მოსვლას ჩვენთან სულიერი თვალსაზრისით — იქნება ეს მადლის გზით ჩვენს სულებთან თუ სიკვდილის ჟამს, მაშინ საკითხი ქრისტეს ფიზიკური მოსვლისა, რომელიც სოფლის აღსასრულისას იქნება, მაინც არ გვაღელვებს, რომ რომელიმე სექტას შევუერთდეთ და მთის წვერზე დაველოდოთ ამ დღეს. დღე და საათი ჩვენ არ ვიცით; მთავარი სულიერი მზადყოფნაა.

და მაინც, ჩვენი დრო იმდენად აღსავსეა „აპოკალიფსური" მოვლენებით, რომ ძნელია, არ შეიგრძნო ისინი. უფალი ჩვენი ამბობს, რომ, მართალია, ჩვენ არ ვიცით დღე და საათი, მაგრამ ლეღვისაგან გვმართებს მაგალითის აღება. როცა ის მწვანე ფოთლებით შეიმოსება, ვიცით, რომ ახლოა ზაფხული. მაშასადამე, როცა ეს ყველაფერი უკვე ხდება — როცა ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ იარსებოს ერთმა მსოფლიო მმართველობამ, როცა ყველა ხალხებს უქადაგებენ სახარებას, როცა იბადება უამრავი სულიერი ნაკადი, რაც უეჭველად შემაცდენელია — ეს უკვე ცხადად მიანიშნებს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს, რაც უთუოდ ქვეყნის დასასრულთანაა დაკავშირებული.

სულიერად რომ მოვემზადოთ ამისათვის, მეტად საგულისხმოა ჩვენთვის მასალების გაცნობა იმის თაობაზე, თუ რა ემართება ხალხს პატიმართა ბანაკებში. ასეთი შთაბეჭდილებები მიუთითებენ, რომ რაც არ უნდა მოხდეს — თვით ანტიქრისტე რომ გვეჯდეს სათავეში და ჩვენ ციხეში ვისხდეთ, მაინც შეგვიძლია გადარჩენა, რადგან გვყავს ქრისტე. მოწამეთა ცხოვრება ყოველთვის რჩევა-დარიგების წყაროს წარმოადგენდა. დღესაც ეწამება ხალხი, რომელზედაც იქნებ შევიტყოთ კიდეც რამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაბრიელ გარსია მარკესი

თარგმნა ელზა ახვლედიანმა

## ჯერ კიდევ არ არის გვიან

კოლუმბიელმა მწერალმა გაბრიელ გარსია მარკესმა ეს სიტყვა წარმოთქვა 1982 წ. სტოკჰოლმში მისთვის ნობელის პრემიის მინიჭების ცერემონიალზე.

ეს სიტყვა ტრადიციული სამადლობელი სიტყვა როდია; ეს არის საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგებისადმი მიმართული სიტყვა, რითაც კეთილი ნების მწერალს სურს შეაჩეროს კაცობრიობის თავზე დაკიდული წყალბადის მახვილი.

ფლორენციელმა ზღვაოსანმა ანტონიო პიგაფეტამ, — რომელიც მაგელანს ახლდა დედამიწის გარშემო მოწყობილ პირველ ექსპედიციაში, — დაგვიტოვა ამ ექსპედიციის დროს გაკეთებული დაწვრილებითი ჩანაწერები სამხრეთ ამერიკის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მათში აღწერილი ამბები ზღვაოსნის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფი უფრო ეგონება მკითხველს, ვიდრე სინამდვილე. თავის დღიურებში პიგაფეტა წერს ღორებზე, რომლებსაც ჭიპი ქედზე აქვთ; წერს უფეხო, უენო და კოვზისებრნისკარტიან ვარხვისნაირ ფრინველებზე, წერს დედალ ფრინველებზე, რომლებიც მამლების ზურგზე სდებიან კვერცხებს გამოსაჩეკად; აღწერს რომელიღაც მახინჯ ცხოველს, რომელსაც თავი და ყურები ჯორისა აქვს, ტანი — აქლემისა, ფეხები — ირმისა და ცხენივით ჭიხვინებს. დაწვრილებით აღწერს აგრეთვე, როგორ მიიყვანა სარკესთან ერთი პატაგონიელი გოლიათი აბორიგენი და შიშით როგორ დაკარგა გონი ამ აბორიგენმა საკუთარი გამოსახულების დანახვაზე.

ამ პატარა, საოცარ წიგნში, რომელშიც უკვე იკვეთება ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის ჩანასახები, შესანიშნავად არის აღწერილი იმდროინდელი ჩვენი კონტინენტი. ელდორადო — ილუზორული და ახეროვნად სასურველი მხარე — კარტოგრაფების ფანტაზიის წყალობით წლების მანძილზე ბევრ რუკაზე სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა მოხაზულობით იყო მონიშნებული. გულადი ალვარო ნუნიეს კაბესა დე ვაკა რვა წელიწადი ეძებდა მარადიული სიყმაწვილის წყაროს მექსიკის ჩრდილოეთში, საქმე კი იმით დამთავრდა, რომ მისი უაზრო ექსპედიციის წევრებმა ერთმანეთი შეჭამეს და საბოლოოდ ექვსასი კაციდან მხოლოდ ხუთი დაბრუნდა უკან... ოქროს ციებ-ცხელება, — ასე რომ დაერია პირველმკვლევარებს, — თითქმის გუშინდლამდე გვტანჯავდა და გვაწვალებდა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გერმანელ ექსპერტთა ერთ ჯგუფს დაევალა, შეესწავლა პანამის ყელზე ოკეანეთშორისი რკინიგზის მშენებლობის დაწყების შესაძლებლობა. ექსპერტთა საბოლოო დასკვნა ასეთი იყო: პროექტი რენტაბელურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რელსები იქნება არა რკინისა — ამ ქვეყანაში იშვიათი ლითონისა — არამედ ოქროსი.

ჩვენ თავი დავიხსენით ესპანელებისაგან, გავხდით დამოუკიდებელნი, მაგრამ სიგიჟეებისაგან ჯერ კიდევ არ განვკურნებულვართ. მექსიკის დიქტატორმა გენერალმა, ანტონიო ლოპეს დე სანტა-ანამ გადაწყვიტა მთელის ბრწყინვალებით მიებარებინა მიწისთვის თავისი... მარჯვენა ფეხი. გენერალი გაბრიელ გარსია მორენო თექვსმეტი წელი იყო ეკვადორის ერთპიროვნული მონარქი. როცა მიიცვალა მკვდარს საპარადო მუნდირი ჩააცვეს, საპრეზიდენტო სავარძელში ჩასვეს და ასე გამოდეს გამოსამშვიდობებლად მთელ თავის სადიქტატორო რეგალიებთან და აღკაზმულობასთან ერთად. სა-

ლუჰადორის სულთამხუთავმა გენერალმა მაქსიმილიანო ერნანდეს მარტინესმა თითქმის ოცდაათი ათასი გლეხი გაჟლიტა, მანვე გამოიგონა საწამლავის აღმომჩენი ხელსაწყო (ეშინოდა მისი საჭმელი არავის მოეწამლა) და მანვე ბრძანა ქუჩის ფარნები წითელ ქაღალდებში გაეხვიათ ქუნთრუშის ეპიდემიის დროს. გენერალ ფრანსისკო მორასანის ძეგლი, რომელიც ტეგუსიგალპის მთავარ მოედანს ამშვენებს, სინამდვილეში პარიზის ძველმანების ბაზრობაზე ნაყიდი მარშალ ნეის ძეგლია.

თერთმეტი წლის წინათ ჩვენი დროის ერთ-ერთმა უდიდესმა პოეტმა, ჩილელმა პაბლო ნერუდამ თავისი სიტყვებით გაახმოვანა ეს კედლები. მას შემდეგ წუთითაც არ გვქონია სიმშვიდე. პრეზიდენტი, ვინც ხალხს ცეცხლი აჩუქა, ცეცხლმოკიდებულ და ალყაშემორტყმულ სასახლეში დაიღუპა მთელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლისას. დღემდე დაუდგენელია მიზეზები იმ ორი იდუმალი ავიაკატასტროფისა, რომლის დროსაც შეწყდა კიდევ ერთი კეთილშობილი პრეზიდენტისა და კიდევ ერთი სამხედრო-დემოკრატის სიცოცხლე, დემოკრატისა, რომელმაც თავის ხალხს ღირსება დაუბრუნა. მოხდა ხუთი ომი და ჩვიდმეტი სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლების სათავეში მოვიდა დიქტატორი-ლუციფერი, რომელმაც ღმერთის სახელით გაანადგურა მთელი ერი. ოცმა მილიონმა ლათინურამერიკელმა ბავშვმა — თითქმის უფრო მეტმა, ვიდრე ევროპაში დაიბადა 1970 წ. — ვერ მიაღწია ორ წლამდე ასაკს. რეპრესიების დროს უგზოუკვლოდ დაიკარგა ას ოცი ათასი კაცი — ეს იგივეა, ერთ მშვენიერ დღეს ქალაქ უპსალის მთელი მოსახლეობა რომ სადღაც გაქრეს.

ჩილედან — ამ ტრადიციულად სტუმართმოყვარე ქვეყნიდან — გაიქცა მილიონი კაცი, ე. ი. მოსახლეობის ათი პროცენტი. ნამცეცა ურუგვაიდანაც, რომელიც კონტინენტის ყველაზე ცივილიზებულ ქვეყნად ითვლებოდა 2,5 მლნ მცხოვრებიდან წასულია ყოველი მეხუთე კაცი. 1979 წლიდან ყოველ ოც წუთში ერთი კაცი ტოვებს სამოქალაქო ომით გათანგულ სალვადორს. ლათინური ამერიკიდან გაქცეულები და ემიგრირებულები რომ დავთვალოთ, ალბათ ნორვეგიის მოსახლეობის რაოდენობაზე მეტი გამოვა.

ვბედავ, გამოვთქვა ვარაუდი, რომ სწორედ ამ მწარე სინამდვილემ და არა მხოლოდ მისმა ერთმა ლიტერატურულმა გამოხატულებამ, მიიპყრო შვეციის სიტყვიერების აკადემიის ყურადღება ამ წელს — ამ სინამდვილემ კი არა, რომელიც ქაღალდზე არსებობს, არამედ იმ სინამდვილემ, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ და რომელიც ბევრ ჩვენგანს ყოველ წუთს უქადის დაღუპვას, თუმცა ამავ დროს იგია ტანჯვითა და სილამაზით აღსავსე ულევი წყარო შემოქმედებისა. ამ გაგებით, თქვენი მონამორჩილი, გზააბნეული და სამშობლოზე დარდით შეპყრობილი ერთი კოლუმბიელი კაცი მხოლოდ და მხოლოდ იღბლიანი კაცი გამოდგა. პოეტებსა და მათხოვრებს, მუსიკოსებსა და წინასწარმეტყველებს, მეომრებსა და თაღლითებს, ჩვენ ყველას, ამ მკაცრი რეალობის შვილებს, თითქმის არა გვჭირდება წარმოსახვა. ჩვენი მთავარი სიძნელეა ის, რომ არ გაგვაჩნია საშუალება ჩვენი ცხოვრება უფრო დამაჯერებელი გავხადოთ.

თუკი ეს სიძნელეები ჩვენც გვიბნევს თავგზას, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ ევროპელებზე, რომლებიც აღტაცებულნი ადევნებენ თვალს საკუთარი კულტურის მიღწევებს. მაგრამ არ ხელეწიფებათ იპოვონ მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი ცხოვრების ინტერპრეტაცია! გასაგებია ის სიჯიუტე, რა სიჯიუტითაც ევროპელები ცდილობენ თავიანთი საზომით მოგვიდგნენ; მათ ავიწყდებათ, რომ ცხოვრება ყველასათვის ერთნაირი არ არის და რომ საკუთარი გზის ჩვენეული ძიებები არანაკლებ ჯიუტი და სისხლიანია, ვიდრე მათი. სხვისი სქემების მიხედვით ჩვენი სინამდვილის ინტერპრეტაცია გამოიწვევს ჩვენს უფრო მომეტებულ გაუცხოებას, თავისუფლების დაკარგვას და მარტოობას. პატივცემული ევროპა იქნებ უფრო გამგები გამხდარიყო ჩვენ მიმართ, რომ ერთხელ მაინც ცდილიყო თავისი წარსულის პრიზმიდან შემოეხედა ჩვენთვის! გავიხსენოთ: ლონდონს სამასი წელიწადი დასჭირდა, ქალაქის კედლები რომ აღემართა და კიდევ სამასი წელიწადი — საკუთარი ეპისკოპოსი რომ ჰყოლოდა; რომს ოცი საუკუნის მანძილზე არავინ იცნობდა, ვიდრე ეტრუსკების მეფემ არ შეიყვანა იგი ისტორიაში; შვეიცარიელებმა — დღეს რომ მშვიდობიანი ხალხი გახლავთ და საუცხოო ყველითა და საიმედო საათებით გვანებივრებენ — მე-16 საუკუნეში სისხლით მორწყეს მთელი ევროპა; აღორძინების ეპოქაში იმპერატორის არმიის თორმეტი ათასმა ლანდსკნეხტმა მიწასთან გაასწორა რომი, ამოჟლიტა მისი რვა ათასი მცხოვრები.

მე არ მინდა გავიმეორო ილუზიები ტონიო კრეგერისა, ვის ოცნებასაც „წინდახედულ ჩრდილოეთისა და ცეცხლოვან სამხრეთზე" ამ ტრიბუნიდან უმაღლესი შეფასება მისცა თომას მანმა ორმოცდაცამეტი წლის წინათ. ვფიქრობ, ის ევროპელებიც კი, რომელთა ცხოვრების არსს ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა წარმოადგენს, ჯერ კიდევ ვერ შეძლებენ დახმარების ხელი გამოგვიწოდონ, რადგან არა მგონია, ჩვენს ისტორიაზე, ჩვენს ცხოვრებაზე მხო-

ლოდ ერთი თვალის გადავლებით — თუნდაც ძირეული გადავლებით — რაიმე სიკეთე მოგვიტანოს. მხოლოდ ზეპირი სოლიდარობა, მხოლოდ გაზიარება იდეებისა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მარტოსულად აღარ ვიგრძნოთ თავი. ეს სოლიდარობა უნდა შეივსოს კონკრეტული ქმედებით, რომელიც მიმართული იქნება იმ ხალხების მხარდასაჭერად, სამართლიანად რომ იბრძვიან მზისქვეშეთში თავიანთი ადგილის დამკვიდრებისათვის.

ლათინურ ამერიკას არ სურს და არც უნდა იყოს უნებისყოფო საჭადრაკო პაიკი. სულაც არ მიმაჩნია ქიმერად ის აზრი, რომ დადგება დრო და ლათინური ამერიკის სწრაფვა დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევისკენ დასავლეთის სწრაფვაც გახდება. ზღვაოსნობის განვითარებამ შეამოკლა მანძილი ამერიკასა და ევროპას შორის, მაგრამ, როგორც ჩანს, ამავე დროს დაგვაშორა კიდეც ერთმანეთს კულტურის დარგში. რატომ არის, რომ ჩვენი ლიტერატურისათვის ეგზომ დამახასიათებელი ორიგინალობა, ჩვენი ლიტერატურის ეს უცილობელი ნიშან-თვისება — სავსებით უგულებელყოფილია სოციალურ გარდაქმნათა ძიების სფეროში? რატომ არის მიჩნეული, რომ სოციალური სამართლიანობა, რის განმტკიცებასაც ასე ესწრაფვიან თავ-თავიანთ ქვეყნებში მოწინავე ევროპელები, არ შეიძლება იყოს ჩვენი, ლათინური ამერიკელების, მიზანიც, რისკენაც სულ სხვა პირობებში და სულ სხვა მეთოდებით მივისწრაფვით?

ჩვენი პასუხი ჩაგვრაზე, ძარცვაზე, ღალატზე — ცხოვრება გახდა, ვერც წარღვნამ და შიმშილმა, ვერც ჭირმა და სხვა კატაკლიზმებმა, ვერც გაუთავებელმა მრავალსაუკუნოვანმა ომებმა ვერ შეარყიეს ცხოვრების უპირატესობა სიკვდილზე. ეს უპირატესობა იზრდება და თანაც იზრდება სწრაფად. ყოველ წელს იბადება 74 მლნ კაცით მეტი, ვიდრე კვდება — ეს შვიდჯერ მეტია ნიუ-იორკის მოსახლეობაზე. აქედან უმეტესობა იბადება სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, რომელთაც, რა თქმა უნდა, ლათინური ამერიკის ქვეყნებიც განეკუთვნება. სამაგიეროდ ყველაზე მდიდარ ქვეყნებში [illegible]თა სიძლიერის დამანგრეველ საშუალებებს უყრიან თავს, რომელთაც შეუძლიათ [illegible] მოსპონ არა მხოლოდ კაცობრიობა, [illegible] ყველა ცოცხალი არსება, რაც კი დღემდე არსებულა ამ მრავალტანჯულ პლანეტაზე.

ამ დარბაზში ასეთსავე ღირსშესანიშნავ დღეს ჩემმა მასწავლებელმა უილიამ ფოლკნერმა თქვა: „მე უარს ვამბობ ვაღიარო ადამიანის დასასრული... ადამიანი არა მარტო გაძლებს, არამედ დაძლევს კიდეც.“ მე თავს არ ჩავთვლიდი ამ ადგილის დგომის ღირსად, სრულად რომ არ მქონდეს შეგნებული, რომ ის საშინელი კატასტროფა — რომლის მსგავსიც არ არსებულა ადამიანის გაჩენის დღიდან და რომლის საშიშროების არსებობაც არ სჯეროდა ფოლკნერს ოცდათორმეტი წლის წინათ — დღეს ელემენტარულ სამეცნიერო მიზანს რომ არ წარმოადგენს მხოლოდ. ჩვენ დღეს იმ საშინელი საფრთხის წინაშე ვდგავართ, კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე უტოპიას რომ წარმოადგენდა. მწერლებს შეგვიძლია ყველაფერი დავიჯეროთ, ამიტომ ვიტოვებთ იმედის უფლებას, ვიდრე გვიან არ არის, შევქმნათ სრულიად საპირისპირო აზრით გამსჭვალული უტოპია, შევქმნათ ახალი, მიმზიდველი უტოპია ცხოვრებისა, სადაც ყველა საკუთარი ბედის განმგებელი იქნება, სადაც ჭეშმარიტი სიყვარული და ერთგულება იმეფებს, სადაც ბედნიერებას ფრთები შეესხმება და ის თაობებიც, დღიდან გაჩენისა განწირულნი რომ იყვნენ ასი წლის მარტოობისათვის, ერთხელ და სამუდამოდ მოიპოვებენ ახალ მიწიერ ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უილიამ ვან ო'კონორი

ინგლისურიდან

თარგმნა ზურაბ გომაზაშვილმა

## უილიამ ფოლკნერი

უილიამ ფოლკნერის სამშობლო მხარე იოკნაპატოფა, მისისიპი და ჯეფერსონი მითიურობის ლირიული ბურუსითაა მოცული და ამავე დროს სიცოცხლით სავსე თანამედროვე ქვეყანაა. ძნელია აქ განცალკევდეს ერთმანეთისაგან მითი და რეალობა. ფოლკნერს ამგვარადვე აქვს აღწერილი და გადმოცემული იგი თავის ნაწარმოებებში. მის გეოგრაფიაზე, ისტორიაზე და ჩრდილოეთ მისისიპის ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე ნათელი წარმოდგენა რომ შეიქმნას, ადამიანმა უნდა იხილოს იოკნაპატოფას მხარე — ოცნებათა და წარმოდგენების ეს პატარა, თავისებური სამყარო, მისი ჩრდილოეთ მისისიპითა და მკვიდრი ჩიკასავას ტომის ინდიელებით.

იოკნაპატაფას ოლქი ირიბად ოთხას მილზეა გადაჭიმული. აქ არის მდიდარი ნაყოფიერი მიწები, ნადირობის ტრფიალთა საოცნებო, ზღაპრული დაბურული ტყეები, ჯეფერსონი თავისი პარკში, დაგმანული სატუსაღოებითა და ნათელი, დიდი მოედნებით. აქვეა წამოსაქცევად მოფამფალებული, დრო-ჟამისაგან საძირკველ-გამომპალი ქოხმახები, მტვრიანი გზები, ხავსმოდებული ჭაობები, წყნარი სასაფლაოები და რასრასა რკინიგზა. აქ მოიზლაზნება დიდი მდინარე, ღრმა, დინჯი და დარბაისელი, თუმცა წყალდიდობისას ველური და გადარეული, პირზე ქაფმორეული და ყველაფრის წამლეკავი მისისიპი. მრავალი ტომი თუ საზოგადოებრივი ფენათა შთამომავალი ცხოვრობს იოკნაპატაფას მიწაზე: ინდიელები, მონები, პლანტატორები, პარტიზანები, კეთილშობილი გვარეულების ქალბატონები, პირველი და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ექსპლოატატორები, მეწვრილმანეები, ეკლესიის თუ მართლმსაჯულების მსახურნი, ექიმები, ფერმერები და მათი შვილები და შვილიშვილები.

ფოლკნერის ტალანტს უნდა უმადლოდნენ უდიდესი ოსტატობით აღწერილი ის თვალწარმტაცი სცენები და სურათები, რომლებიც ასე ტიპიურია იოკნაპატაფასთვის, — იქნება ეს ეკლესიის გუმბათის ლავგარდანზე შემომსხდარი მოლურჯო მტრედები, წერწეტა სურნელი, ზანგების მიმოხნეული ქოხმახები, ცხენის ფლოქვთა ხმა ივლისის შუადღის სიცხისაგან გატრუნულ პატარა ქალაქში, მოკლედ, ყველაფერი ის, რაც არ გამორჩა მწერლის მახვილ თვალს და რაც მისმა კალამმა უკვდავ პანორამათა შესანიშნავ დეტალებად აქცია.

ეს მითოსისა და ლეგენდების მხარე, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი კუთხე, სრულიად განსხვავებულია ამ ქვეყნის დასავლეთის, აღმოსავლეთის თუ ჩრდილოეთისაგან. იოკნაპატაფას ოლქი და სამხრეთულები თავის საკუთარ ჯვარს ზიდავენ, — დანაშაულის, ტკივილისა და სიდუხჭირის ტვირთს, რომელიც მემკვიდრეობით რგებიათ წილად ჯერ კიდევ მონათმფლობელობის დროიდან და რაზედაც თავად აგებენ პასუხს.

ჩრდილოეთ მისისიპი, — უპირველეს ყოვლისა, ქალაქი ოქსფორდი („ჯეფერსონი") და ლაფაიეს ოლქი („იოკნაპატაფას საგრაფო") — ფოლკნერის სამშობლო მხარეა. მისი წინაპრები აქ ჯერ კიდევ ომის წინ დასახლებულან. ბევრი რამ გადახდენია ოჯახს, — დიდად აღზევებული კიდეც და ბევრჯერ ლამის გარდაუვალი დაღუპვის პირასაც მდგარა. ფოლკნერს ხშირად უოცნებია თავისი ოჯახის წარსულზე და ამიტომაა, რომ ეს ასე ხშირად იჩენს ხოლმე თავს მის ნაწარმოებებში.

უილიამ ფოლკნერი დაიბადა 1897 წელს ნიუ-ალბანიში. 1902 წელს მათი ოჯახი ოქსფორდში, მისისიპის შტატის საუნივერსიტეტო ქალაქში გადასახლდა. მამამისმა, მური ს. ფოლკნერმა საჯინიბოები და რკინა-კავეულის მაღაზია დაიქირავა. მოგვიანებით კი უნივერსიტეტის სამეურნეო-ადმინისტრაციულ ნაწილში დაიწყო მუშაობა (ამ უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა ფოლკნერის პირველი წიგნი „მარმარილოს ფავნი". სწორედ აქ ჩაემატა ფოლკნერების გვარს ასო „u", Fa-u-lkner, ამ ასოთამწყობის შეცდომის წყალობით, რომელმაც ეს წიგნი ააწყო და ასეც დარჩა). ფოლკნერის დედა იყო მოდ ბატლერი. ფოლკნერის ოჯახს ოთხი შვილი ჰყავდა: უილიამი, მური, ჯონი და დინი.

უილიამ ს. ფოლკნერი, უილიამის პაპის მამა, დაბადებული იყო 1825 წელს. მისი სახელი ჩრდილოეთ მისისიპში ლეგენდადაა ქცეული. ამ წინაპრის ცხოვრების დეტალები ხშირად გამოჩნდება ხოლმე ფოლკნერის სათავგადასავლო რომანებში. მას ორჯერ დადეს ბრალი მკვლელობაში, თუმცა ორჯერვე გაამართლეს, იყო კანონისა და წესრიგის თავგამოდებული მოსარჩლე, მამაცი ჯარისკაცი, ავანტიურული პოლკის მეთაური სამოქალაქო ომში. თავისი ცხოვრება მან დაიწყო როგორც ერთმა ბედმოკლე ჭაბუკმა, რომელიც სულ იმას ცდილობდა ცოტაოდენი ფული ეშოვა, რათა დაქვრივებული დედა ერჩინა, თავისი კარიერა კი დაამთავრა როგორც რკინიგზის მფლობელმა და შტატის საკანონმდებლო ხელისუფლების წევრმა. იგი მოკლა თავისივე რკინიგზის ყოფილმა კომპანიონმა მას შემდეგ, როცა მან იგი შტატების არჩევნებში დაამარცხა.

უილიამ ს. ფოლკნერის ქანდაკება დღესაც დგას მის მიერ გაყვანილ რკინიგზასთან და ამაყად გასცქერის გზის ბოლოში მიკარგულ მოლაპლაპე ლიანდაგებს.

უილიამ ს. ფოლკნერის ვაჟიშვილი ჯ. უ. ტ. ფოლკნერი, მწერლის პაპა, იყო იურისტი, ბანკირი და ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების რწმუნებული ადვოკატის თანაშემწე. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ე. წ. „წითელკისრიანთა" პოლიტიკურ მოძრაობაში, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მოიჯარე ფერმერებს. ოქსფორდის მკვიდრნი, ვისაც ფოლკნერის პაპა ახსოვს, მას იხსენიებენ როგორც დარბაისელ, ბუზღუნა, მკაცრ, მტკიცე ნებისყოფისა და ფიცხი ხასიათის კაცს.

სწორედ ეს პაპის მამა და პაპა არიან ფოლკნერის არა ერთი და ორი ნაწარმოების გმირთა პროტოტიპები, — პოლკოვნიკი სარტორისი და ბაიარდ სარტორისი რომანებში „სარტორისები" და „დაუმარცხებელნი" და კიდევ მრავალ სხვა თხზულებებში. ეს არის ძველი სამხრეთის ლეგენდების ნაწილი, რომელთაც მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ფოლკნერის იოკნაპატოფას საგებში. თვით ფოლკნერის ოჯახი, რა თქმა უნდა, მწერლის მიერ სახეშეცვლილი, კომპსონების ოჯახის ამ ორიგინალად გვევლინება, საიდანაც შემოქმედს გადმოუღია ნაწარმოების შესანიშნავი კომპოზიცია. მისივე ოჯახია ცენტრალურ ადგილას რომანში „ხმაური და მრისხანება" და ამის გარდა კიდევ მრავალ სხვა მოთხრობაში.

უილიამ ფოლკნერმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პაპამისის ბანკში დაიწყო მუშაობა. იგი ძალიან ბევრს კითხულობდა, წერდა ლექსებს, ერთხანს მხატვრობაშიც სცადა ხელი. ჭაბუკი ფოლკნერი ერთობ თავისებური გუნებგანწყობის კაცი იყო, რითაც ხშირად თავსატეხს უჩენდა თანამოქალაქეებს ოქსფორდში. 1914 წელს დაუმეგობრდა ახალგაზრდა იურისტს ფილ სტოუნს, რომელმაც გააცნო სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსული, უკვე მზარდი რეპუტაციის მწერლები, — კონრად აიკენი, რობერტ ფროსტი, ეზრა პაუნდი და შერვუდ ანდერსონი, მათ წრეში ხშირად იმართებოდა ლიტერატურული დისკუსიები, რომელშიც ფოლკნერიც იღებდა მონაწილეობას.

ფოლკნერი შტატების არმიაში არ წაიყვანეს, დაიწუნეს, რადგან საშუალოზე დაბალი, ერთობ ტანმორჩილი, კოდანდარა უმაწვილი კაცი იყო. მაგრამ იგი მაინც გაემგზავრა ტორონტოში და კანადის სამეფო საჰაერო ფლოტში შევიდა კურსანტად. 1918 წლის დეკემბერში დემობილიზებული იქნა უკვე ლეიტენანტის ჩინით. მისი ასაკის სხვა მწერალთა მსგავსად ფოლკნერი ხშირად დაინტერესებულა პირველი მსოფლიო ომის თემით. ამ დროის ნაწარმოებებში პროტაგონისტი სწორედ ომის თემატიკასა აქვს მიბმული. ერთ-ერთი წიგნი „ჯილდო", რომელიც უფრო მოგვიანებით გამოვიდა, ომის პრობლემებს ეხება.

ფოლკნერი, როგორც სამხედრო სამსახურის

ვეტერანი, უგამოცდოდ ჩარიცხეს მისისიპის უნივერსიტეტში. აქ იგი სწავლობდა ინგლისურს, ესპანურსა და ფრანგულს. უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი აკადემიური წელი დაჰყო. სტუდენტობის პერიოდში გამოქვეყნებული ნაწარმოებები (მისი სტუდენტური პუბლიკაციები) იმას მოწმობს, რომ იგი ერთობ ნიჭიერი ახალგაზრდა იყო. ამავე დროს ფრიად ენაგესლიანი ყმაწვილი ბრძანდებოდა. ფოლკნერს საკმაოდ გაუჭირდა მიეგნო თავის თავისათვის ხელოვნებაში, როგორც პროფესიონალს. ჩქარა მან მუშაობა დაიწყო ნიუ-იორკის ერთ-ერთ წიგნის მაღაზიაში. მაგრამ აქ დიდხანს არ გაჩერებულა და ისევ ოქსფორდის უნივერსიტეტს დაუბრუნდა. ორი წლის განმავლობაში ყველაფერს აკეთებდა, რაც ხელთ მოხვდებოდა, — ხან ხუროდ მუშაობდა, ხან მღებავად და ა. შ. ერთხელ უნივერსიტეტის ფოსტის უფროსადაც დანიშნეს. მაგრამ ჩქარა შეიტანა განცხადება ამ პოსტიდან განთავისუფლების შესახებ. განცხადებაში ეწერა: წყეულიმც ვიყო უკუნითი უკუნისამდე, თუ ყველა მოხეტიალე ვიგინდარასა და მაწანწალას, ვისაც კი საფოსტო ნიშნების შესაძენად ორიოდე ცენტი უგდია ჯიბეში, ნება დავრთო, რომ, რაც მოეპრიანება, ის მიბრძანოს და გამაკეთებინოს".

იმავე 1924 წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებული და „მარმარილოს ფავნი". წიგნის პუბლიკაცია დააფინანსა მისმა მეგობარმა ფილ სტოუნმა.

უ. ფოლკნერმა გადაწყვიტა ევროპაში გამგზავრება ნიუ-ორლეანზე გავლით. მაგრამ ნიუ-ორლეანში იგი ექვს თვეს დაყოვნდა. აქ მან დაწერა რამდენიმე სკეტჩი გაზეთ „ტაიმს-პიკეიუნისა" და პოპულარული პატარა ჟურნალის „დაბლ-დილერისათვის", რომელთაც „ჩარტრეს სტრიტის სარკეები" უწოდა. აქვე დაუმეგობრდა შერვუდ ანდერსონს, რომელიც იმხანად უკვე ამერიკელთა საყვარელი და აღიარებული მწერალი იყო. ფოლკნერმა ნიუ-ორლეანშივე დაწერა თავისი პირველი რომანი „ჯარისკაცთა გასამრჯელო". რომლის გამოცემაში ანდერსონი დაეხმარა. ფოლკნერი და ანდერსონი ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ, მიუხედავად სხვადასხვა ხასიათისა და ტემპერამენტისა. ხშირად ხასიათის ეს სხვადასხვაობა იწვევდა ხოლმე მათ შორის ჩხუბსა და კამათს. ამ პერიოდშივე ფოლკნერმა დაწერა პაროდია ანდერსონის სტილში „შერვუდ ანდერსონი და სხვა კრეოლები". მაგრამ ლიტერატურულ პაექრობას ხელი არ შეუშლია მათი მეგობრობისათვის. ფოლკნერმა ეს პაროდია გამოაქვეყნა ნიუ-ორლეანელი მეგობრის უილიამ სპრატლინგის კარიკატურების კრებულში. ამ წიგნშივეა მოთავსებული სპრეტლინგის ნახატი, სადაც იგი და ფოლკნერი მაგიდასთან სხედან, სვამენ, წერენ და სასმელს შეექცევიან. კედელზე ლოზუნგია გაკრული „Viva Art", ფოლკნერის სკამის ფეხთან სამი გალონი ვისკი დგას.

1925 წელს ფოლკნერი და სპრეტლინგი სატვირთო გემით იტალიაში გაემგზავრნენ, ფეხით შემოიარეს საფრანგეთი და გერმანია.

1926 წელს ფოლკნერი ნიუ-იორკში დაბრუნდა. აქ გამოსცა მან თავისი ფრიად დახვეწილი და ელეგანტური რომანი „ჯარისკაცის გასამრჯელო", რომელიც „დაკარგულ თაობას" მიუძღვნა. ამ ნაწარმოებში იგრძნობა სუინბერნისა და ბერდსლის გავლენა, ან, უფრო ზოგადად რომ ითქვას, „საუკუნის დასასრულის" ტრადიციები. აი, ერთ-ერთი მაგალითი:

„მათ კიდევ დალიეს. მუსიკა აწყდებოდა ახლად ამწვანებულ ხის ფოთლებს და ცდილობდა გაეღწია წყვდიადში, ოქროს ვარსკვლავებით მოჭედილ ცის მდუმარე კაკაფონიაში. ვერანდიდან გადმოღვრილი შუქი იქვე იკარგებოდა. სახლის ჩამუქებული კონტურები მკრთალად გამოხატულიყო ღამეული ცის ფონზე. ხის კენწეროებისაგან აღძრული ჰაერის ტალღები თითქოს ენარცხებოდნენ სახლის შავ კედლებს და იქვე სამუდამოდ წყნარდებოდნენ, მის ტყვეობაში ექცეოდნენ. ოქროს ვარსკვლავთა მარტორქა უხმოდ ბრდღვინავდა ლურჯ მდელოზე და დაღესილ ჩლიქებს სცემდა, ყინულის ნაპერწკლებს აფრქვევდა. მოწყენილი, ნაღვლიანი და მიმქრალი ზეცა. სინდიდან რიერაფამდე აჭიხვინებული ოქროს მარტორქების ფლოქვებით გადაქელილი, დასცქეროდა მას, მის მკვრივ ტანს, რომელიც პირქვე გართხმულიყო, როგორც წყლის ვიწრო ზოლი..."

„საუკუნის დასასრულის" ტრადიციებს არასოდეს მიუღწევია თავისი სიმწიფის და განვითარების კულმინაციამდე ისე, როგორც ამან უოლეს სტივენსის პოეზიაში მიაღწია, მაგრამ ახალგაზრდა ფოლკნერის სახით ამერიკას მოევლინა მწერალი, რომელმაც სულ სხვა სიმაღ-

ლეზე აიყვანა ისი. თემატურად რომანი „ჯარისკაცის გასამრჯელო" დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ ერთი რამ კი ნათელი გახდა, ამ ნაწარმოების ახალგაზრდა ავტორი დიდი ტალანტით იყო დაჯილდოებული. რომანს ლიტერატურული კრიტიკა დადებითად გამოეხმაურა. გამომცემლობამ მწერალს ახალ რომანზე დაუდო ხელშეკრულება, რომლის დასაწერად ფოლკნერი პასკაგულაში, მისისიპის შტატში გაემგზავრა.

1927 წელს გამოქვეყნდა „მოსკიტები". ნაწარმოების მოქმედების არეა ნიუ-ორლეანი, ძირითადი თემა კი ის დებულება, რომ მოქმედება და აღმასრულებელი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ლიტონი სიტყვები და ფუჭი მოქალაქეები. ეს არის მწვავე სატირული რომანი. ერთ-ერთი მთავარი გმირი დაუსონ ფეარჩაილდი შ. ანდერსონის პროტოტიპია. ამ წიგნის ყველაზე საინტერესო ნაწილია „ცრუპენტელა ზღაპრების" სერია. ამის შესახებ ფოლკნერმა მოგვიანებით განაცხადა, რომ ეს ზღაპრები მან ანდერსონთან ერთად დაწერა. „მოსკიტებს" მკითხველი საზოგადოება უფრო თავშეკავებულად შეხვდა, ვიდრე „ჯარისკაცის გასამრჯელოს".

„სარტორისები". ამ ნაწარმოებში უილიამ ფოლკნერმა, როგორც მწერალმა, მიაგნო თავის თავს, აპოვა საკუთარი მე. რომანზე მუშაობისას "... მე აღმოვაჩინე, რომ წერა წარმოუდგენლად მშვენიერი რამ არის. მწერალს ძალუძს ადამიანი დააყენოს ორთავე ფეხზე და გრძელი ჩრდილი დაატოვებინოს ამ ქვეყანაზე".

რომანი „სარტორისები" სარტორისების ოჯახის, ან ფოლკნერთა ოჯახის ლეგენდაა, რომელიც ფოლკნერის საგვარეულოს ცხოვრების ასახავს. ნაწარმოების მთავარი გმირი, ომის ვეტერანი ბაიარდი, ამ ახალგაზრდობის წარმომადგენელია, რომელთაც გერტრუდ სტაინმა „დაკარგული თაობა" უწოდა. თუმცა ბაიარდის ფსიქოლოგიაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული სამხრეთელი მესაკუთრის ბუნებას, ინსტინქტებს. „სარტორისები" ფოლკნერის შემდეგი ნაწარმოების წყარო და სათავეა. რომანზე მუშაობის პროცესში ფოლკნერმა თვალნათლივ შეიგრძნო მუდმივი თემის სრული ღირსება, მისი პათოსი.

ამავე პერიოდში ფოლკნერი წერს რომანს „ხმაური და მრისხანება". ორივე ნაწარმოებმა სულ რამდენიმე თვის ინტერვალით იხილა დღის სინათლე.

„სარტორისებით" მთავრდება მწერლის ჩამოყალიბების პერიოდი.

„ხმაური და მრისხანება" უკვე დიდი მწერლის ნაწარმოებია.

1929 წლის ივნისში ფოლკნერმა იქორწინა ესტელ ოლდჰემზე და საბოლოოდ გაჰყვა მწერლის კარიერას. მომდევნო ათი წლის მანძილზე მან დაწერა და გამოაქვეყნა ის ნაწარმოებები, რომლებიც შემდგომში მისი შემოქმედების ძირითად თხზულებებად იქნენ აღიარებულნი. ამავე დროს იგი ხშირად ეწვეოდა ხოლმე ჰოლივუდს, წერდა სცენარებს. დროდადრო ნიუ-იორკსაც ესტუმრებოდა, მაგრამ ცხოვრების უმეტეს დროს ოქსფორდში ატარებდა.

„ნაკრძალმა" ფოლკნერს სახელი და დიდება მოუტანა. თუმცა კრიტიკოსთა აღიარებამ შედარებით დააგვიანა. უცნაური ფაქტია, მაგრამ ფრანგებმა უფრო ადრე შეიგრძნეს და ჯეროვნად შეაფასეს კიდეც ფოლკნერის შემოქმედების ძალა, ვიდრე ამერიკელმა კრიტიკოსებმა. ანდრე მალრომ „ნაკრძალისათვის" დაწერა წინასიტყვაობა, ჟან-პოლ სარტრმა ვრცელი კრიტიკული ესე მიუძღვნა ფოლკნერის შემოქმედებას. 1946 წელს, როდესაც მალკოლმ კაულიმ გამოაქვეყნა თავისი მეტად ცნობილი წერილი „მისალმება ფოლკნერს", მწერლის ყველა ნაწარმოები უკვე გამოქვეყნებული იყო, თუმცა მათ შესახებ არ არსებობდა რაიმე სერიოზული კრიტიკული აზრი, უილიამ ფოლკნერის სათანადო შეფასება დაიწყო 1946 წლიდან და დღეს იშვიათად მოიძებნება კრიტიკული ან მეცნიერული ჟურნალი, სადაც ერთი სტატია მაინც არ იყოს მოთავსებული მისი შემოქმედების შესახებ.

1950 წელს უილიამ ფოლკნერს ნობელის პრემიის ლაურეატობა მიენიჭა.

თავისი ქალიშვილის თანხლებით ფოლკნერი შვედეთში გაემგზავრა, სადაც წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც ფართო რეზონანსი და დიდი მოწონება დაიმსახურა.

ნობელის პრემიას მრავალი სხვა ჯილდო მოჰყვა, მათ შორის პულიცერის პრიზიც, რომანისათვის „ქალიგა". გარდაცვალების შემდეგ ეს

ბიბლიოთეკა

პრიზი განმეორებით რომან „მძარცველებს" მიენიჭა.

ფოლკნერი დროდადრო ევროპის ქვეყნებში მოგზაურობდა, უფრო ხშირად საფრანგეთში. 1955 წელს რამდენიმე კვირა იაპონიაში დაჰყო. იშვიათად თუ გაიელვებდა ხოლმე შტატების საზოგადოებაში. 1957 წელს იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვირჯინიის უნივერსიტეტში.

1962 წლის ზაფხულში იგი ცხენიდან გადმოვარდა და სამი კვირის ავადმყოფობის შემდეგ, 6 ივლისს, გულის შეტევით გარდაიცვალა.

დღეს მსოფლიოს გამომცემლობა სტამბავს და აქვეყნებს ფოლკნერის თხზულებებს, რომელთაც წიგნის თაროზე ჩაყვითლება არ უწერია. ფოლკნერის ნაწარმოებთა მიხედვით იდგმება კინოსურათები, ტელეფილმები. „რექვიემი მონაზვნისათვის" ბროდვეის პოპულარული სპექტაკლი გახდა, რომელიც არა ერთმა და ორმა ევროპულმა ქვეყანამ გადაიღო. საფრანგეთში ეს ნაწარმოები ალბერ კამიუს მიერ იქნა ადაპტირებული. ფოლკნერი საბოლოოდ დიდ ამერიკულ მწერლად იქნა აღიარებული. მიუხედავად ზოგიერთი მკითხველის თუ კრიტიკოსის კანტაკუნტა აზრისა, რომ ფოლკნერი გადაჭარბებულად არის შეფასებული, ზედმეტად რიტორიკულია, ან უბრალოდ გაუგებარია, და ძნელად წასაკითხია, ფოლკნერის თაყვანისმცემელნი იმ აზრს ადგანან, რომ მისი უპატივცემულოდ მხსენებელნი ცდილობენ დაამცირონ დიდი მწერალი, რადგან ვერ გაუგიათ, რომ იგი გენიოსია. ფოლკნერის მოწინააღმდეგეებს კონტრარგუმენტად ის მოჰყავთ, რომ თაყვანისმცემელნი გაბრუებულნი და გაოგნებულნი არიან მისი რიტორიკით, სიტყვაკაზმულობით, მჭევრმეტყველებით.

ჭეშმარიტება სადღაც ორივე აზრს შორის იმყოფება.

რობერტ პენ უორენი თავის სტატიაში, რომელიც პირველად 1946 წელს გამოქვეყნდა, წერდა:

„უილიამ ფოლკნერმა დაწერა ცხრამეტი წიგნი, რომელთაც თავისი გავლენის დიაპაზონით, ფილოსოფიური ღირებულებით, ორიგინალური სტილით, ხასიათების მრავალფეროვნებით, იუმორით, ინტენსიური ტრაგიზმით ტოლი არ მოეძებნება ჩვენს დროში, ჩვენს ქვეყანაში, მაშინაც კი, თუნდაც ვაღიაროთ, რომ მის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს. ხანდახან მისი დაძაბული, გაძლიერებული ტრაგიზმი უბრალო ცმოცვურობად იქცევა. ტექნიკური ვირტუოზობა, — აშკარა ხელოვნურობად, ფილოსოფიური ღირებულება — [illegible]ის გონების შეშფოთებად. ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად ამით ფოლკნერი [illegible] მწერალია, ხან კი უბრალო [illegible]. იგი მრავალფეროვანია, სიცოცხლისუნარიანია და ეს მრავალფეროვნება სიცოცხლისუნარიანობის თავისებური მაჩვენებელი, მისი გამბედაობისა და შემართების, ახალი ეფექტებისა და შემოქმედებითი ექსპერიმენტების, ცოცხალი მახალისა და მეთოდების ძიების თავისებური მანიშნებელი".

რობერტ პენ უორენი გამოთქვამს აზრს, რომ ფოლკნერის თაყვანისმცემელნი მას ღვთაურ სამსახურს უწევენ, როდესაც უარს ამბობენ იმის აღიარებაზე, რომ ფოლკნერის შემოქმედების ნაკლი განუყრელადაა გადახლართული მის უდიდეს მიღწევებთან.

ზოგი კრიტიკოსი ცდილობს ფოლკნერის თემატიკის სქემატურად დაყოფას. ისინი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამენ: ფოლკნერი შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის წინა დროის „არისტოკრატიას" და მათ შთამომავლობას მეტ უპირატესობას ანიჭებს, ვიდრე სამხრეთის საზოგადოების სხვა ფენათა წარმომადგენლებს. ან ასეთ აზრს გვთავაზობენ: ფოლკნერი არ არის თანამედროვე მწერალი (ანტიმოდერნისტია), იგი მეოცე საუკუნის ინდუსტრიალიზაციასა და მექანიზაციაში მხოლოდ ბოროტებას ხედავს.

ის, ვინც ფოლკნერის რომანებს ქრონოლოგიური რიგით მიჰყვება, ამ თანამიმდევრობით განიხილავს მათ შინაარსს და აანალიზებს თემატიკას, ადვილად მიხვდება, რომ ასეთი სქემატურობა ფოლკნერის შემოქმედების გარჩევისას არ გამოდგება.

რობერტ ფროსტის, უოლეს სტივენსისა თუ ერნსტ ჰემინგუეის კრიტიკოსებს თავის გრძელ ესეებში იოლად შეუძლიათ მისდიონ ამ მწერალთა შემოქმედების უცვლელ თემატიკას. ეს ნათლად ჩანს მათი ყველა წიგნიდან — პირველიდან უკანასკნელ წიგნამდე, — თემის ერთფეროვნება და ჩამოყალიბებული, გარკვეული მსოფლმხედველობა. მაგრამ სულ სხვა ვითარებაა ფოლკნერის შემოქმედებაში. აქ არც დიდი ფილოსოფიური საკითხებია დაყენებული, არც მათი კვლევა-ძიება და გაღრმავება ყოველ მომდევნო რომანში, როგორც ეს ჰენრი ჯეიმსს

თუ რობერტ პენ უორენს აქვთ თავის ნაწარმოებებში. იქნებ ისიც თქვან, რომ ფოლკნერი ქვეყნის ისეთ კუთხეში ცხოვრობდა, სადაც მეცხრამეტე საუკუნის ღვთისნიერება და ზნეკეთილობა უფრო ცოცხლად, უბიწოდაა შემონახული, ვიდრე ამერიკის სხვა შტატებში. მაგრამ სწორედ ეს ღვთისმოსაობა და ზნეკეთილობაა კონფლიქტში ამ ქედმაღლობასთან, რომელსაც ფოლკნერი, როგორც მეოცე საუკუნის შვილი, ატარებს თავის არსში. მიუხედავად ამისა, ეს კონფლიქტი მაინც არ არის მისი რომანების მთავარი, ძირითადი თემა. იქნებ ფოლკნერის თემატიკის განზოგადების საუკეთესო საშუალებაა, ვთქვათ, ის, რომ ხელოვნების ამოცანათა, პრობლემათა გადაწყვეტის ის პოზიცია, რომელიც მან უკავია (და რასაც იგი აღიარებს) ზოგიერთ რომანში, სწორედ იმავე ორთოდოქსულ ქრისტიანებს ბოროტებად და ბიწიერებად მიაჩნიათ.

ობიექტური, სამართლიანი და მიუდგომელი მეთოდი იქნება მხოლოდ ის, თუ ფოლკნერის სამწერლო ცხოვრების გზას, მის კარიერას, ყოველ მის ნაწარმოებს ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად განვიხილავთ, სწორედ ეს მეთოდი გამოვიყენეთ ჩვენ ამ ესეის დაწერისას. ცალკე განხილვაში კი ვუთმობთ სიუჟეტის განვითარების ანალიზს, თემების კლასიფიკაცია-გარჩევას და თხრობის ხერხების აღწერას, რადგან უილიამ ფოლკნერი თხრობის უდიდესი ნოვატორია.

ფოლკნერმა ერთხელ განაცხადა, რომ მან მთელი თავისი „ვაჟკაცობა, ხასიათის სიმტკიცე, ნებისყოფა" რომან „ხმაურსა და მრისხანებაში" ჩააქსოვა. მწერლის მრავალი თაყვანისმცემელს მიაჩნია, რომ ეს არის მისი საუკეთესო რომანი და მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოები. ეჭვგარეშეა, რომ ეს ვირტუოზულად შექმნილი რომანია, შეიძლება ითქვას, გენიალური ნაწარმოებია, თუმცა ამ რომანმა გამოიწვია ზოგიერთ კრიტიკოსთა აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ ნამდვილად რისი გადმოცემა სურდა ფოლკნერს ამ ქმნილებით.

„ხმაური და მრისხანება" აშკარად „თანამედროვე" რომანია. ეს არის ჯეიმსის, კონრადის, კრეინის, ფორდ მადოქს ფორდის და ჯოისის იმპრესიონისტულ ტრადიციებზე შექმნილი ნაწარმოები, იმ ტრადიციებზე, რომელიც აცხადებს, რომ „ცხოვრება კი არ მოგვეთხრობს რამეს, არამედ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენს გონებაზე". ეს ის მოდერნისტული ტრადიციებია, სადაც მწერალი ნებას რთავს ნაწარმოებში გადმოსაცემ ამბავს, ან უფრო სწორად — [illegible] ნებას რთავს, თითქოსდა იგი მის ჩაურევლად თავისით, თვითდინებით იყოს გადმოცემული (ფოლკნერი განსაკუთრებით ჯოისს [illegible] შინაგან მონოლოგებს, შეგრძნებათა მთელ იმ ნაკადს, ენობრივ კონტამინაციებს). მაგრამ დროდადრო ფოლკნერი ერევა ხოლმე ამბის გადმოცემაში, ოღონდ მეტისმეტად თავისებურად: ნაწარმოების გმირს იგი თავის რიტორიკულ ხმას აშველებს როგორც ანტიკური ქოროს. მაგალითად, ქვენტინ კომპსონი, რომელსაც აწეწილ-დაწეწილი, შეშფოთებული და, თუ გნებავთ, გიჟური აზროვნებაც კი აქვს. უცებ იხსენებს, მატარებლით მოგზაურობისას ვაგონის სარკმლიდან თვალმოკრულ ზანგს თავისი პატარა ჯორით. აქ ჩანს სწორედ ფოლკნერის „ქორო". აი, ის ნაწყვეტიც:

„მატარებელი დაიძრა. ღია ფანჯარაში თავი გავყავი და სახე გრილ ნიავს შევუშვირე. უკან მივიხედე. იგი ისევ იმავე ადგილას იდგა თავის გაძვალტყავებულ ჯორს მოფარებული. ორივენი გაქუცულნი და ბეჩავნი, თითქოს ერთ ადგილას გაქვავებულიყვნენ. იდგნენ რაღაც უდიდესი მოთმინებით აღჭურვილნი. მატარებელი დაიძრა და გვერდზე გადაიხარა. ორთქმავალმა მძიმე ქშენითა და სტვენით სიჩქარეს უმატა და ისინი თვალთახედვიდან დამეკარგნენ. ისევ ისეთი უბადრუკნი, დრო-ჟამს დაუმორჩილებელი მოთმინებით აღჭურვილნი და ერთ ადგილას მიკრულნი. ბავშვური გულუბრყვილობა, უმეცრობა და პარადოქსული მამაცობა შერწყმულიყვნენ, რაც ზრუნავდა მათ სიყვარულზე და ამავე დროს განძარცვავდა კიდეც მისგან. ეს გრძნობა თავიდან იცილებს რაიმე მოვალეობას იმდენად აშკარად, გულღიად, რომ თავის დაძვრენას ვერ უწოდებ. ხოლო თუ ამ ქურდობაში ჩაიჭერ, იმდენად გულუბრყვილო და აღტაცებული თავისი დამჭერის მიმართ, როგორც ღირსეული ჯენტლმენები პატიოსან ბრძოლაში გამარჯვებულზე. ამავე დროს უსაზღვრო მოთმინებით იტანს თეთრკანიანთა ხუშტურებს, როგორც მოხუცი პაპა იტანს შვილიშვილთა განუჭვრეტელ და უეცარ ოინებს. ეს გრძნობა მე დიდი ხანია დამავიწყდა".

ეს ნაწყვეტი ძალიან წააგავს „სარტორისებს",

სადაც ფოლკნერი თვითვე გვევლინება „მთხრობელად". ფოლკნერი ყველა ნაწარმოებში, რომელიც მოჰყვა „ხმაურსა და მრისხანებას", ამგვარად ჩაერევა ხოლმე თავისი რიტორიკული ხმით. მაგრამ უმთავრესად მისი გმირები მაინც აზროვნებენ და ლაპარაკობენ თავისი საკუთარი მანერით. ასე მაგალითად, იდიოტი ბენჯი ამდაგვარად ფიქრობს, როცა გოლფის მატჩს ადევნებს თვალს:

„ხვიარა ყვავილებით მოდებულ მესრის ღრიჭოში ვიჭვრიტებოდი და ვხედავდი როგორ ურტყამდნენ გოლფს. ახლა იქით მიდიოდნენ, სადაც დროშა იყო აღმართული და მეც ღობე-ღობე გავყევი. ლასტერი აყვავებულ ბუჩქთან ბალახებში მიაგორებდა ბურთს. მათ დროშა ამოაძრეს და ისე განაგრძეს თამაში".

ბენჯის ყოველი ფიქრი დაკავშირებულია მის შეგრძნებებთან, ყნოსვასთან, ჭამასთან, ძილთან, ან ხმათა ტონალობის ცვალებადობასთან. აწმყო და წარსული მის შეგნებაში ერთმანეთშია გადახლართული და ერთ მთლიან ქაოსს ქმნის. იგი არც არასოდეს ფიქრობს და არც წინასწარ გეგმავს რაიმეს, — იგი მხოლოდ გრძნობს. ქვენტინ კომპსონის ფიქრები და მეტყველება ერთთავად ირონიულია. მისი ენამწარე იუმორი ცხოვრებაში ხელმოცარული კაცის გრძნობების გამომხატველია:

„დედას ღამე მშვიდობისა ვუსურვე და ჩემს ოთახში ავედი. ყუთი გამოვალე და ერთხელ კიდევ გადავთვალე. მე მესმოდა გრეიტ ამერიკან გელდინგის მისუსტებული ხვრინვა. სადღაც წამიკითხავს, რომ კაცებს ასაჭურისებენ, რათა მათი ხმა ქალისას დაამსგავსონ. მაგრამ შესაძლოა მან არ იცოდა თუ რა ოინი უყვეს. მე მგონი, ისიც კი არ იცოდა, რისი გაკეთება სურდა, ან რატომ გააბრუა მისტერ ბერგსონმა ლობის ნარით".

წიგნში „ხმაური და მრისხანება" მკითხველი ყველგან ყველაფერს ხედავს, ესმის და განიცდის, — იქნება ეს ახალგაზრდა კომპსონის ბავშვების დაძინება თუ ზრდილი, დახვეწილი მისის კომპსონის წუწუნი, დილსის მოთმინება, ზნეკეთილობა და ზანგთა ბრწყინვალე ღვთისმსახურება თუ ქალაქის სკვერში ქვინის ფლოქვთა ხმა.

„ხმაური და მრისხანების" მთავარი ამბავია ოჯახის რღვევა, მისი დაცემა. ამ ოჯახის გენეალოგიაში თავისი ადგილი უკავიათ გენერლებს, გუბერნატორებს და მდიდარ პლანტატორებს. ისინი ფლობდნენ და განაგებდნენ კომპსონ მაილს. კომპსონების ქრონოლოგიაში, რომელიც ფოლკნერის მცირე კრებულშია შეტანილი (და გამოცემულია მალკოლმ კოულის მიერ), ფოლკნერი კვალდაკვალ მიუყვება ამ ოჯახის ისტორიას 1699 წლიდან 1945 წლამდე. ოღონდ თვით რომანი შემოფარგლულია 1910 წლის 2 ივნისიდან — 1928 წლის 8 აპრილამდე და მოგვითხრობს, თუ რა გადახდა თავს კომპსონების ბოლო თაობას. მისტერ კომპსონი ჭკვიანი, მაგრამ ლოთი იურისტია. მისის კომპსონის გონება, მთელი მისი არსება გამსჭვალულია თავისი ღირსების, კეთილშობილების, წარსული დიდებისა და აწმყო დაკნინების მძაფრი შეგრძნებით, ხოლო ეს აწმყო დამცირება გამოწვეულია მისი იდიოტი ვაჟიშვილითა და ხელმოცარული ძმით მაურით.

ნაწარმოების სხვა გმირებს, — კენდისს, ქვენტინს, ჯასონს და ბენჯის, ვხვდებით როგორც ბავშვობის წლებში, ისე მოზრდილ ასაკში.

ქვენტინს ვხვდებით კემბრიჯში, მასაჩუსეტში, ვგრძნობთ როგორ ემზადება იგი თვითმკვლელობისათვის. იგი ფიქრობს თავის ოჯახზე, განსაკუთრებით თავისი დის უკანონო სიყვარულზე დალტონ ეიმისადმი და შემდეგ მის გათხოვებაზე სიდნეი ჰერბერტ ჰედზე. მთელი დღის განცდები (2 ივნისი, 1910 წელი) და წარსულის მოგონებები აჩრდილივით თან დასდევენ, ღომხალივით ირევიან მის გონებაში, ხოლო უპირველეს მიზნად საკუთარი თავისა და კენდის განთავისუფლება ამ უაზრო, ამაო დროების დრიანცელისაგან. კენდისთან სისხლის აღრევის სურვილის მიღმა არის იმის იმედი, რომ ამ შეცოდებისათვის იეღოვა სამარადისოდ ჯოჯოხეთში მიუჩენს მათ ადგილს. თუმცა მამამისმა უთხრა მას, რომ უბიწოება ადამიანების მიერ მოგონილი იდეალია და მისი გაუთავებელი საუბრები ამ თემაზე მხოლოდ იმის სურვილია, რომ რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს საკუთარ თავს. თუმცა ამით ვერც სხვა ვერ გამოყოფს თავის არსებას საერთოსაგან. ქვენტინს ისეთი გრძნობა აქვს, რომ კენდისის გარდა იგი არავის არ უყვარს. ერთხელ კი ამასაც ამბობს: „მე დედა არასოდეს მყოლია".

უკვე მოზრდილ ასაკში ჯასონ IV, ქვენტინის ძმა, მუშაობს რკინა-კავეულის მაღაზიაში, თამაშობს ბამბის ბირჟაზე, სისტემატურად

იპარავს ამ ფულს, რომელსაც კენდასი უგზავნის თავის უკანონო ქალიშვილს ქვენტინს კვებისა და ბინის ქირისთვის. გოგონა, რომელსაც ნაძირალა ბიძამისი შეუბრალებლად და ზოგჯერ მკაცრადაც ექცევა, თვითონ მოპარავს მას ფულს და ვიღაც მოხეტიალე მსახიობს გაჰყვება. ჯასონი ვეღარც მათ გზა-კვალს მიაგნებს და ვეღარც მოპარულ ფულს დაიბრუნებს. ამარ ხიშმავე და განცდები აუტანელს ხდის მის ცხოვრებას. ჯასონი არაფრად აგდებს ტრადიციებს, პრინციპებს და პატიოსნებას.

მხოლოდ მოხუცი, კეთილი, ყველას თანამგრძნობი ზანგი ქალი დილსია ნათელი მაღალადამიანური, ზნეობრივი და მორალური პრინციპების ადამიანი, რომელთა შებღალვისთვის მწერალს მკაცრი მსჯავრი გამოაქვს კომპსონებისათვის. დილსია ფოლკნერის შემოქმედებაში ერთ-ერთი ძალზე დასამახსოვრებელი პერსონაჟია, ფოლკნერი ამბობს: „ხმაური და მრისხანება“ არის „დაკარგული უბიწოების“ ამბავი“. ეს ამ ოჯახის ისტორიაა, რომელიც უმეტესად წარსულით ცხოვრობს. აი, ამიტომ მოგვაგონებს იგი პოუთორნის „შვიდ კოშკიან სახლს“ და დოსტოევსკის „ძმებ კარამაზოვებს“. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა განაცხადა, კვენტინი ერთგვარად ენათესავება რასკოლნიკოვს („დანაშაული და სასჯელი“). თუ „ხმაური და მრისხანებას“ ძირითადად ქვენტინის ისტორიად მივიჩნევთ, რომელსაც თვით რომანში ცალმხრივი და არასრული ხასიათი აქვს, მაშინ ეს ნაწარმოები თანამედროვე გმირის — დახვეწილი ესთეტის კვლევად გადაიქცევა. შეიძლება რომანი გაგებული იქნას როგორც სიყვარულის დაცემა, დამარცხება ოჯახის შიგნით, სადაც არც საკუთარ თავს სცემენ პატივს და არც ერთმანეთს. მცხუნვარე სამხრეთის ეს ისტორია მეოცე საუკუნის ცხოვრებაა და, როგორც ოჯახის ნგრევის ტრაგედია, დასავლეთის ქვეყნების ლიტერატურის ძველ ნიმუშებს მოგვაგონებს.

„სიკვდილის სარეცელზე“ (1930) მარტივი ნაწარმოებიცაა და ამავე დროს რთული, საგონებელში ჩამგდები და თავგზააბნევი ქმნილებაც. სტრუქტურულად და სტილისტურად იგი ფოლკნერის საოცარი ვირტუოზობის გამოვლინებაა. ნაწარმოებში სულ თხუთმეტი პერსონაჟია, რომლებზედაც მწერალი გარკვეულ პერიოდებში ცალ-ცალკე ახდენს ყურადღების კონცენტრაციას. ამის გამოა, რომ მოქმედების დანაწევრება სამოც ნაწილად ხდება. ყოველ პერსონაჟში, როგორც სარკეში, ისე აირეკლება და თავისებურად ხდება ამბის განვითარება, მაგრამ ამავე დროს მონაწილეა რა მთლიანი ისტორიისა, ამ ანარეკლთა ხსოვნით აიგება ფაბულის განვითარების არსში. შეაქვს მასში ის მნიშვნელობა, რაც დასაშვებია მისი მოქმედებისა და აღქმისათვის. მწერლის ტექნიკური უნარი ჯეიმსის სიტყვებით რომ ვთქვათ, — „აღწევს სისრულის, სისავსის იმ უმაღლეს დონეს, რასაც კი ძალუძს ადამიანის გონებას. თუმცა იქვე უნდა დავსძინოთ, რომ იგივე ვირტუოზული ტექნიკა რამდენადმე გაურკვევლობას იწვევს. ეს ვისი ამბავია? ან იქნებ დარლის, ქეშის თუ ყოველი გმირისა ცალ-ცალკე? სართულე იმაშიც მდგომარეობს, რომ „სიკვდილის სარეცელზე“ ორი ასპექტის ნაწარმოებია. ერთია რიტუალური და სიმბოლური მოგზაურობა, მეორე კი ნატურალისტური და ფსიქოლოგიური მოთხრობა. მართალია, მოქმედება მდინარე მისისიპზე, ერთ მდაბიო ოჯახში ხდება, მაგრამ იგი სხვა შორეულ ადგილებსაც წააგავს და გარდასულ დროთა მოგონებებსაც აღვიძებს.

ფოლკნერის არც ერთი რომანი და მათ შორის „სიკვდილის სარეცელზე“ არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ჩრდილოეთ მისისიპთან დაკავშირებულ ნაწარმოებად. ესენი უაღრესად სტილიზებული თხზულებებია და მათი გეოგრაფია უფრო სულიერი სამყაროა, ვიდრე მისისიპის ადგილმდებარეობა.

რომანში აღწერილი სამგლოვიარო პროცესია უფრო მეტად მოგვაგონებს მოსესა და ლტოლვილთა მსვლელობას, მდინარე იორდანის გადალახვას, მიცვალებულთა ტანჯვა-წამებით სავსე გადაუვლიან მდინარე სტიქსზე, წმინდა მექაში გამგზავრებულ მლოცველთა თუ ტიბეტის კერპთა ადგილსამყოფელისაკენ გაჭიმულ გრძელ ქარავნებს. ედი ბანდრენის გადასვენებას ეპიკური ელფერი აქვს. ეს ანდერძის შესრულების რიტუალია. ამ პროცესიის მსვლელობის დროს ოჯახის ყოველ წევრს საშუალება ეძლევა ჩაუფიქრდეს, აწონ-დაწონოს თავისი ურთიერთობა დანარჩენებთან და განსაკუთრებით ედისთან, მაგრამ თვით ეს ქალი — ედი, სრულიადაც არ გახლავთ სიკეთისა და სიბრძნის უბრალო და აბსოლუტური სიმბოლო. თუმცა იგი გასაოცრად სიცოცხლით სავსე და თავისებურად შეხა-

ნიშნავს პერსონაჟებსა. რომანი „სიკვდილის სარეცელზე" არ უარყოფს ეგოიზმს, განდიდების აკვიატებულ მანიას, ადამიანის აშკარა სიბრიყვეს. ეს გრანდიოზული ტილო, ხან წყნარი, ხან ჩამუქებული, ხან კი ექსცენტრული, დიდებული ფერებითაა დახატული. ფოლკნერი სულაც არ ცდილობს მოაჩვენოს მკითხველს, რომ ამ პროცესიის მსვლელობის შემდეგ მისი გმირები სიბრძნით სავსენი, სრულიად განახლებულნი და განწმენდილნი დაბრუნდებიან სახლში. დარლი გიჟდება, პატარა ვარდამანი ისეთივე რეტიანი რჩება, როგორიც ყოველთვის იყო, დიუი დელი ისე, სხვათა შორის, გუნებაწამხდარია, ხოლო ედის ქმარი ენსი სწორედ ცოლის დამარხვის სამგლოვიარო პროცესიის დროს ახალ საცოლეს დაადგამს თვალს.

ძირითადად რომანში მოქმედება ასე ვითარდება: ედი ბანდრენი კვდება, ქეში, მისი უფროსი ვაჟიშვილი, კუბოს უკეთებს, მისი ქმარი, ენსი, სხვებსა „რთავს უფლებას" შეასრულონ ის, რაც დაქვრივებული ქმრის მოვალეობაა და სრულიადაც არ აწუხებს სინდისი, სულ იოლად პოულობს თავის გამართლებას. ედის ათვალწუნებული მეორე ვაჟი — დარლი, სოფლელთა თქმით, „ნათელმხილველია". ჯუელი ედის უკანონო ვაჟიშვილია, რომელიც სოფლის მღვდლისგან, უიტფილდისგან ჰყავს, თვით მღვდელიც ერთობ იოლად იმშვიდებს თავს და არავითარ სულიერ ქენჯნას არ განიცდის. დიუი დელი, მეოთხე შვილი, მეზობელი ბიჭისგანაა ორსულად. დარლმა უთქმელადაც იცის, რომ ჯუელი ედის უკანონო და ამავე დროს ყველაზე საყვარელი შვილია. მან ისიც იცის, რომ დიუი დელის ჯეფერსონში უნდა გაეპარა მუცლის მოსაშლელი წამლის შესაძენად. უმცროსი შვილი, ჭკუასუსტი ვარდამანი, ფიქრობს, რომ დედამისი ექიმმა პიბოდიმ მოკლა, თან გარდაცვლილი დედა მკვდარ თევზში ერევა (ექიმი პიბოდი ამ ოჯახის გარეშე პერსონაჟია და მისი საშუალებით ხდება ოჯახის ყოველი წევრის დახასიათება). ედის სურვილია, რომ იგი ჯეფერსონის სასაფლაოზე დამარხონ, სადაც მისი ნათესავებია დაკრძალული. იგი აიძულებს თავის ქმარს მისცეს ანდერძის შესრულების პირობა და ამით თითქოს სამარადისოდ ბოჭავს მას. ქალი თავისებურად გრძნობს, რომ სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს ქმრის მეხსიერებაში, ცნობიერებაში ისე, როგორც ადრე არასოდეს ყოფილა. ედის სიკვდილის შემდეგ ოჯახი ჯეფერსონის გზას გაუდგება. ეს არის საშინელი, აუტანელი მოგზაურობა. გზაში კუბო დაიშლება. ქეში ფეხს მოიტეხავს და მამამისი [illegible] დასახსოვად თაბაშირის მაგიერ ცემენტს დაადებინებს მოტეხილ ფეხზე. დარლი ცეცხლს წაუკიდებს იმ სარდაფს, სადაც დედამისს დაასვენებენ, რათა მოსპოს გვამი, მაგრამ მას ჯუელი გადაარჩენს. მტაცებელი ფრინველები, კაკაჩები, მთელი გზა ამ პროცესიას უკან მისდევენ. ჯეფერსონში დიუი დელს მეაფთიაქე უარს ეუბნება მუცლის მოსაწყვეტი წამლის მიცემაზე. ამავე აფთიაქის გამყიდველი შეაცდენს და ნამუსს ახდის მას, ენსი ბარსა და ნიჩაბს ითხოვს, რომ ედის საფლავი გაუთხარონ. დარლის ჯექსონის საგიჟეში წაიყვანენ. ენსი დიუი დელის ფულით კბილებს ჩაიდგამს და ახალ ცოლს შეირთავს.

ედის სწამს, რომ ერთმა ადამიანმა არ უნდა მიატოვოს მეორე მარტოდმარტო, სიტყვები „ცოდვა" და „სიყვარული" არ უნდა ააფარონ საფარველად ყველა უკანონობას. სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს იგი ცდილობს იცხოვროს ამ წესით. ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ სწორედ ეს აზრია ნაწარმოების ძირითადი თემა. ედის უცნაური ლოგიკა აქვს და თავისებურად მსჯელობს. ქეში მისი ნამდვილი კანონიერი შვილია, — ამბობს იგი, — იმიტომ რომ, სანამ მას მუცლით ატარებდა, ვერა გრძნობდა, რომ მისი და ენსის სიცოცხლე ვერ შეერწყა ერთმანეთს. პირიქით, ენსი ვერაფრით ვერ შეიჭრა მის სიცოცხლეში, მის არსში, თავის მეორე ვაჟიშვილს, დარლის ღალატის სიმბოლოდ მიიჩნევს, რადგან უსიყვარულოდ გააჩინა იგი და არ სცნობს მას. ჯუელი უკანონო შვილია, მამამისი, მღვდელი უიტფილდი, ედის აზრით, რაღაცით მის ქმარს წააგავს. საკუთარ შვილად მას მხოლოდ ჯუელი მიაჩნია და უყვარს იგი. დიუი დელი და ვარდამანი იმ ბედნიერების საზღაურია, რაც ჯუელის გაჩენისგან ერგო წილად. მის ორ ვაჟიშვილს ქეშსა და ჯუელს დედის გულში უფრო დიდი ადგილი უკავიათ ვიდრე სხვებს. ესენი დიდ მსხვერპლს გაიღებენ, რათა დედა ჯეფერსონში წაასვენონ. დარლის სძულს ჯუელი, იმიტომ რომ, ედის უყვარს იგი. ცდილობს ხელი შეუშალოს დედამისის ჯეფერსონში გადასვენებას. „მე დედა არა მყავს" — ამბობს იგი. დიუი დელი სრულიად ბუნ-

გრილდება დედამისისახედში გაწყობილი. ჭკუა-სუსტ ვარდამანს კი რაიმე მორალური დასკვნის გამოტანის უნარი არ შესწევს. რომანში რამდენიმე თემაა. ედის აზრით, ადამიანი უნდა გაითქვიფოს ამ ცხოვრებაში, უბრალოდ უნდა მოვალეობა ეს გააკეთოს. მან უნდა მიიღოს ძალადობისა და ტანჯვის საკუთარი წილი, ის, რაც ყოველი ადამიანისთვისაა განკუთვნილი ცხოვრების მანძილზე. უნდა ზიდოს თავისი ჯვარი. კეში და ჭუელი არც უფიქრდებიან, ასე უსიტყვოდ ემორჩილებიან დედის ფილოსოფიას და ამის მიხედვით ცხოვრობენ, სამაგიეროდ ენსი და დანარჩენი შვილები — დარლი, დიუი და ვარდამანი საკუთარი შეხედულებისდა მიხედვით არ მიყვებიან დედის მრწამსს. ეს სამი შვილი ედისა და ენსის უსულგულო სიყვარულის მსხვერპლიც არის. საკუთარი რწმენის ერთგული დედა სრულიადაც არ იჩენს დედურ გრძნობას თავის სისხლისა და ხორცის მიმართ. იგი შინაგანად უარყოფს მათ, ისინი ოდნავადაც არ ეკარებიან მის სულსა და გულს. რომანის მეხამე თემა კი პოეტური, მეოცნებე („ერთთავად ფიქრებისაგან გატანჯული, შერეკარგული") დარლის სახით ვითარდება. იგი დიდად არ განსხვავდება ქვენტინ კომპსონისაგან (ორივე მიიჩნევს, რომ დედა არა ჰყავთ). ორივეს ტანჯავს ერთი და იგივე აზრი, რომ ადამიანი, ეს ნამცეცა არსება, დაკარგულია ამ უკიდეგანო სამყაროში. იგი მთელი არსებით ეძლევა ოცნებას, ცდილობს შეაღწიოს სხვისი გონების ხნელ ხვეულებში, ხელი აფათუროს მათი სულის კუნჭულებში. კეში და ჭუელი პირიქით, მაგრამ ჩაბღაუჭებიან ნაღდ, ნამდვილ ცხოვრებას, არაფერს არ ქმნიან და იძიებენ. დარლის, ქვენტინ კომპსონის მსგავსად, ფეხქვეშ ეცლება რეალობის საყრდენი და ჭკუიდან იშლება.

ასე, ეს გახლავთ რომანის სამი მთავარი თემა: ედის ფილოსოფია, ოჯახური სიყვარულის ნგრევის შედეგი და უმოქმედო, დაუსრულებელ ფიქრთა ტყვეობაში მოხვედრილი ადამიანის ხვედრი, ადამიანისა, რომელსაც ზურგი შეუქცევია რეალური ცხოვრებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ ყურადღებას ენსზე ან ნებისმიერ ერთ-ერთ გმირზე გადამახვილებთ, მაშინ, ცხადია, კიდევ მრავალი ახალი თემა გამოჩნდება.

„წმინდა ადგილი" (1931). ამ რომანმა დიდი სახელი მოუხვეჭა ფოლკნერს, სრულყოფილად ცნობილ მწერლად აქცია იგი. თანამედროვე ბიბლიოთეკის გამოცემის წინასიტყვაობაში ფოლკნერი ამბობს: „რომ თავს ჩავუკვირდი, ვიცოდი რა უნდა დავწერო ისეთი, რომ ეთი ამაზრზენი ტირაჟით გაიყიდოს-მეთქი". მწერალი იმიტომ აღიარებდა, რომ ეს ნაწარმოები კომერციული მოსაზრებით დაწერა. რომანში მოთხრობილია შემზარავი ამბავი იმაზე, თუ ყოვლად ზნედაცემულმა, ხულიგანი და ხორცით გახრწნილმა განგსტერმა როგორ გააუპატიურა სტუდენტი ქალიშვილი. ფოლკნერმა ეს რომანი სამ კვირაში დაწერა და გამომცემლობასაც გაუგზავნა. მისმა გამომცემელმა ჰარისონ სმიტმაც არ დაუფარავა პასუხი: „ღმერთმა დამიფაროს! ამას რა გამომაქვეყნებინებს?! ორივეს ციხეში გვიდრავენ თავს!"

რომანი „წმინდა ადგილი" უ. ფოლკნერმა უფრო ადრე შექმნა, ვიდრე რომანები „ხმაური და მრისხანება" და „სიკვდილის სარეცელზე". მისი თქმით, ეს რომანი უკვე მივიწყებულიც ჰქონდა, როცა უცებ სტამბიდან აწყობილი მისი გვერდები მოუვიდა. ჰარისონ სმიტმა გადაიფიქრა. ფოლკნერმა იმ ამონაბეჭდში ბევრი რამ გადააკეთა. თუმცა ეს ძვირად კი დაუჯდა, — ჰ. სმიტმა ამის გულისთვის საკმაოდ დიდი თანხა გამოუქვითა ჰონორარში.

„წმინდა ადგილი" სენსაციური სახიათის რომანია. ან. როგორც გრეჰემ გრინი ამბობს, „თავისებური გასართობია". ის კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, თუ რაოდენ მრავალფეროვანი და ზოგჯერ არასწორი შეხედულება არსებობს ფოლკნერის შემოქმედებაზე. ერთი რამ კი ცხადია, რომანი „წმინდა ადგილი" ფოლკნერის სერიოზული და საუკეთესო ნაწარმოებია. ამ ნაწარმოებით მწერალი უკომპრომისოდ, ყოველგვარი დათმობისა და შეღავათების გარეშე თავს ესხმის მოდერნიზმს. დედამიწას წარმოგვიდგენს „სამყაროში გამოკეტილ მრგვალ ხაფანგად, რომელიც თანდათან გრილდება". ეს სიტყვები „საუკუნის დასასრულის" მწერლებისაგან და ერთი შეხედვით მოუხეშავი „ლიტერატურული" ხერხია. ერთი რამ მაინც აშკარაა — რომანი დიდი ხელოვანის, დაუშრეტელი ფანტაზიის მქონე, დეთაური ნიჭით დაჯილდოებული მწერლის მიერაა დაწერილი.

რომან „წმინდა ალაგში" სექსი „იქლაკნება ვითარცა ცივი კვამლი". მთელ ნაწარმოებში რაიმეს აღწერა თუ დახასიათება ცხოველთა სახელებით ხდება. ზოგიერთი დახასიათება კი ლითონთა სახელწოდებით ამ მექანიკის ტერმინოლოგიითაა გადმოცემული. ორივე მეთოდი გამოყენებულია იმ საზოგადოების დახასიათებლად, სადაც სექსი მხოლოდ და მხოლოდ ავხორცობაა და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება — ამორალური.

„წმინდა ალაგი" გოთური სტილის ნაწარმოების დარად იწყება, შემდეგ კი გაორებული სახით წარმოგვიდგება, სადაც ამორალური მოდერნიზმი ამ მიხრწნილ მსოფლიოს ერწყმის. გოთურს იმიტომ ვამბობთ, რომ დასაწყისში ფოლკნერი ამ სტილში აღწერს მივარდნილ ოულდ ფრენჩმენ პლეისის პლანტატორის დანგრევის პირას მისულ სახლ-კარს, რომელიც ავადდაბურული ტყითაა გარშემორტყმული. მხოლოდ ჩაშავებული ზეცა, ძლივსშესამჩნევ ლანდთა ლაცლაცი და უცნაური, არაამქვეყნიური ხმები. აქ ცხოვრობს ბრმა კაცი, რომლის „ლიბრგადაკრული თვალები ისე მოჩანდა როგორც შესქელებული ლორწო". რომანის მთავარი გმირები არიან ქალწული ტემპლ დრეიკი და ლოთი, ცხედანი გოუენ სტივენსი. ეს გახლავთ ჩვეულებრივი გოთური გმირი ქალისა და კაცის პაროდია. ტემპლი გაურბის ლი გუდვინს, რომელსაც მისი გაუპატიურება განუზრახავს, ქალიშვილი ჭკუასუსტ ტომის დახმარებით გაიპარება და ვირთხებით სავსე ძველ ბეღელს შეაფარებს თავს. აქ იპოვნის მას პოპაი (თვალმარდი ლი გუდვინი), რომელიც ჯერ ტყვიით განგმირავს ტომს და მერე იქვე ბეღელში პათოლოგიურად, სიმინდის ნაქუჩით, ნამუსს ახდის უმწეო ქალწულს. ეს არის სცენა, რომელიც გოთიკური ნაწარმოებების ყველა სექსუალურ კრიმინალს აღემატება. ამის მერე პოპაი ტემპლს მემფისის საროსკიპოში მოათავსებს. აქ მას ერთ ახალგაზრდა კაცს რედს გაურიგებს და მათი სქესობრივი ურთიერთობის სცენებს ესწრება. ტემპლი საბოლოოდ ზელმოთაყებულ როსკიპად იქცევა, რაც შემდგომში ნაწარმოებს გარკვეულ მიმართულებას აძლევს.

პოპაის ხანდახან ამორალური მოდერნიზმის წარმომადგენლად მიიჩნევენ. იგი კაცობადაკარგულია, მაგრამ ბუნებრივი ავხორცობის წყალობით (რის განსახიერებაც რედია), იგი ხრწნის მთელი სამხრეთ ამერიკის ქალთა სქესს (ტემპლი) და ოდესღაც უმანკო ქალწული მისი თანამზრახველი ხდება. ფეოდალური ტრადიციების წარმომადგენელი, ადვოკატი ჰორეის ბენბოუ ცდილობს დაიცვას გუდვინი, რომელსაც ბრალად ედება ტომის მკვლელობა, მაგრამ ამორალური მოდერნისტები — პოლიტიკოსები, მოქალაქეები და რაიონის პროკურორი იუსტას გრეჰემი, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გუდვინი ლინჩის კანონით გაასამართლონ. თვით ფოლკნერი ამბობს, რომ პოპაი „სრული ალეგორიაა", ოღონდ უცნაურია, რომ რომანის თითქმის დასასრულს ფოლკნერი ცდილობს ფსიქოლოგიური მდგომარეობითა და ბუნებრიობით ახსნას პოპაის ხასიათი, რისთვისაც დაწვრილებით აღწერს მის ბავშვობას. ამით მწერალი ამცირებს პოპაის როგორც ამორალური მოდერნიზმის სიმბოლურ ეფექტურობას.

„წმინდა ალაგი" შესანიშნავი იუმორითაა გამსჭვალული. აღსანიშნავია სცენები სამი ქალბატონის ცხოვრებიდან, — მის რებას მოჭარბებული მაღალზნეობა, ბადის დათრობა, ვირჯილისა და ფონზო სნოუპსის ხალხური იუმორით გამსჭვალული მხიარული ოინები. ჯეფერსონის მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული მახვილი სატირაც რეალურ სტილშია გადმოცემული. აქ ვხვდებით „სარტორისის" პერსონაჟებსაც. ამრიგად, იუმორი, სატირა და წინასწარ განსაზღვრული ხასიათები (ოღონდ ნარცისას ხასიათი განსხვავდება ამ ორ რომანში), ხელს კი არ უშლის, არამედ პირიქით, ჰარმონიულად ერწყმის რომანის კოშმარული სიუჟეტის განვითარებას. სწორედ ეს არის ფოლკნერის უბადლო, ზებუნებრივი უნარი, თავის ნებაზე წარმართოს რომანის შინაარსი, როგორც მოეპრიანება ისე ატრიალოს რომანის გმირთა ბედის ჩარხი. თუმცა ნაწარმოების სირთულემ და კომპლექსურობამ შეიძლება ისიც გვაფიქრებინოს, რომ ფოლკნერს უფრო სენსაციური, ბნელი, სასტიკი და ხანდახან სასაცილო ამბების თხრობა უფრო აინტერესებს, ვიდრე მათი კვლევა და არსში ჩაძიება.

„აგვისტოს ნათელი" (1932 წ.) უბიწო, ალალმართალი სულის რომანია. ამ ნაწარმოებით

გოლდინგი მწვავედ მოუთითებს შემოქმედების მოჯგუფობებს, როგორც მწერლის თხზულებებში ჩანს, რომ პურიტანული სიწმინდე, უბიწოება, სამართლიანობა არის ფუნქციები ან მოვლინება, უარის თქმა იმაზე, რომ ასეთის ადამიანს მისთვის ეხოდენ ჩვეული ზნეობრივი სისუსტეებისთან ერთად გულმოწყალებაზე მაღლა მოვალეობის დაყენება, — ეს არის ის განდგომის დედაზრი, ასე მთლიანად რომ ჩანს როგორც მწერლის შემოქმედებაში. პროტესტანტიზმი, როგორც ეს „აგვისტოს ნათელში" წარმოჩენილი, პირქუში, „მკაცრი და დაუნდობელია". მოხუცი პასტორი ბევრ მონტაჟური ეცნადებს, რომ სწორედ ეს დევნილი სულია ჯო ქრისტმასის ლინჩს უკან მიმალული. ეს არის რომანის კულმინაცია. პროტესტანტი საზოგადოებაში კი პასტორი ამას ამბობს: „სიამეს და ექსტაზს ისინი ვერ იტანენ. გაურბიან ამას და ძალადობაში, ლოთობაში აღრეულ ბრძოლასა და ლოცვაში პპოვებენ მას. ბოლოს კი აღმოჩნდებიან კატასტროფის წინაშე, როცა ასეთი ძალადობა მათთვის უკვე აშკარად გარდუვალია. და თუ, ვაგლახ, ეს შველოფერი ასეა, რატომ არ მიჰყავს ისინი საკუთარ რელიგიას თავისთავასათვის და ურთიერთის ჯვარცმამდე. ო, ამას ისინი სიხარულით, სიამოვნებით ჩაიდენდნენ... აი, ეს არის სწორედ საშინელება, საშინელება..."

უილიამ გოლდინგმა ეს საზოგადოება პრესვიტერიანელებად ან კალვინისტებად წარმოიდგინა. ამერიკის შეერთებული შტატების ადრინდელი მონაცემებით მისისიპის მიდამოებში პროტესტანტებიდან ყველაზე მეტნი ბაპტისტები ცხოვრობენ. მათ მოსდევენ მეთოდისტები, ხოლო პრესვიტერიანელები უმცირესობას წარმოადგენენ. გოლდინგმა ეს უკანასკნელნი უბრალოდ ლიტერატურულ-დრამატული მოსაზრებით აირჩია. ამან მწერალს საშუალება მისცა წარმოეჩინა ფილოსოფიური თეორია, რომ ადამიანის ბედი წინასწარ განსაზღვრულია და თვით ადამიანშივეა ჩასახული საზარელი ცოდვა და მანკიერება. იგი აბეთხავე დოქტრინას მიაწერს კალვინ ბერდანის ოჯახს ახალი ინგლისიდან, თუმცა ამბობს, რომ ისინი უნიტარელები არიან. სხვა მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ მწერალს სურდა ხაზი გაესვა ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობის შოტლანდიურ-ირლანდიური წარმოშობისათვის (ერთ-ერთ ინტერვიუში გოლდინგი ამბობს, რომ მისი ნაწარმოების მოქმედნი „შოტლანდიური წარმოშობისა არიან". მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი ოჯახი ირლანდიურ-შოტლანდიური ფუძიდან წარმოსდგება). [illegible] სულით ავადმყოფი, ჭკუაზე შეშლილი პაპა, იუფეუს ჰაინსი, ერთთავად ადამიანის ბედ-იღბალსა და მასში ჩაბუდებულ ბოროტებაზე ლაპარაკობს. ჯოანა ბერდენს, ჯო კრისტმასის ცოდვებით სავსე სიყვარულს, სწამს, რომ ღმერთი არც აპირებს ზანგების შეწყნარებას და მათი ცხოვრების გაუმჯობესებას. ჯოს მამობილი საიმონ მაკიჩერნი პრესვიტერიანელების მკაცრი, მრისხანე წინამძღოლია და ნაწარმოების ერთ ადგილას უზენაესი ნების აღმსრულებელ სასტიკ ხელისუფლად გვევლინება, რომელსაც ხელთ უპყრია „არგანი ღვთისა". თუმცა „აგვისტოს ნათელი" მხოლოდ პროტესტანტიზმის უკიდურეს გამოვლინებათა კრიტიკა არ არის.

„პერსი გრიმი" — ამ ნაწარმოების მთავარი გმირია ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცი, ბრმა იარაღი, რომელიც, კანონიერების დაცვის წადილით აღიგზნებული, თვით ხდება სრულიად უდანაშაულო ზანგი ჯოს მკვლელი. იგი ღვთის სახელით არ მოქმედებს. პერსი გრიმს თავი პატრიოტიზმის განსახიერებად წარმოუდგენია (დარწმუნებულია ამაში). გოლდინგი გმირის სახით, რომელსაც ერთ დროს ნაცისტობაც უნდოდა, თითქოსდა გვიჩვენებს, რომ ასეთ პატრიოტიზმსაც შეუძლია წარმოქმნას „სწორი მოქმედება", რომელიც საბოლოოდ ადამიანის ნადირივით დევნამდე მიდის. თეთრკანიანი ქალის ვითომდა გაუპატიურების ცდისათვის ტყუილად ბრალდებული ჯო ლინჩისათვისაა განწირული. მას ღვთის სახლიც კი ვერ იხსნის აქ ბედისწერასავით აღევნებული პერსი გრიმისა და მას აყოლილი ბრბოს შურისძიებისაგან. გოლდინგი უდიდესი ოსტატობით აჩვენებს, თანდათანობით როგორ წარმოიქმნება „სამართალი", რომლისგანაც უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლით ირწყვება მიწა, ლინა გროვს და ბაირონ ბანჩს სწორედ ისეთი მშვიდობა სწამთ, რომელიც, მიოტაუერის თქმით, ჩადენილ ცოდვათა მიტევებით შეამსუბუქებს სულებს, ორივეს ძალუძთ

ხულით დაცემა, ვერაგობა, თუმცა ამავე დროს კეთილმოსურნენი და თანამგრძნობნი არიან. შეუძლიათ იყვნენ ქველმოქმედნიც და იყვნენ შეწყალებულნიც.

„აგვისტოს ნათელი" შეიძლება განხილულ იქნას წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. ჯო იუფეუს ჰაინსის ქალიშვილის ბიჭია. ნაწარმოებში მამამისი არსად ჩანს. შესაძლოა იგი ზანგის შვილიც იყოს. ჰაინსი უარს ამბობს თავისი ქალიშვილისათვის ექიმის მოყვანაზე და იგი მშობიარობას გადაჰყვება. შობა დღეს ჰაინსი ბავშვს ობოლთა თავშესაფარში ჩააბარებს (ამიტომ ატარებს ჯო გვარად ქრისტმასს), სადაც მას ერთობ გულგრილად და ცივად ექცევიან. ერთხელ, მოფარებულ ადგილას, როცა ბავშვი მოპარულ კბილის ხაწებ პასტას ჭამს, უნებური მოწმე ხდება მედიკოსი სტუდენტისა და ექთნის ეროტიკული სცენისა, რომლის არსი მას არც გაეგება. იგი დასჯას მოელის, მაგრამ ექთანი ცდილობს მოისყიდოს ბავშვი, რომ სადმე რამე არ წამოსცდეს. შემდგომში მაკიჩერნის ფერმაშიც მუშაობისას, ფერმერი მას სასტიკად სჯის ხოლმე. მათ ურთიერთობაში არავითარი ადამიანურობა არ იგრძნობა. ამავე დროს სიბერისაგან ნახევრად ჭკუიდან გადასულ პაპამისს ცალი ფეხი უკვე სამარეში უდგას, ისე როგორც ჩილინგურის „ალისფერ წრეში". მისის მაკიჩერნი ცდილობს აცდუნოს ჯო და ამით უხეშ ქმარზე იყაროს ჯავრი. მაგრამ ბიჭი უარს ამბობს ამაზე, ქალის თანაგრძნობაზე, დახმარებაზე, სიყვარულზე. ამის შემდეგ ჯოსთვის დახშულია მხარდამჭერისა და სიყვარულის ყველა კარი. შემდგომშიც, მთელი სიცოცხლის მანძილზე, იგი უარს ამბობს გაიზიაროს ვინმესთან ეს სათუთი გრძნობა, არც თვითონ უმხელს სხვას გულის ხვაშიადს, არ აგრძნობინებს ჭეშმარიტ სიყვარულს. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლია თეთრკანიანი იყოს, იგი არჩევს ზანგებს მიაკუთვნოს თავი. მას უნდა, რომ თვისტომებმა ხელი კრან, მოიკვეთონ. მეორე მხრით, თეთრ საზოგადოებაში, იგი უარს აცხადებს ზანგის სტატუსზე. საბოლოოდ ეს ხდება ჯოანთან ჩხუბის ერთ-ერთი მიზეზი, რაც გამოიწვევს ქალის მკვლელობას და ჯო, როგორც „თეთრკანიანი ქალის მკვლელი „ზანგი", ლინჩით ამთავრებს სიცოცხლეს.

სუსტი ჰაიტაუერიც ერთობ „[illegible] აღზრდილა" და მამამისის სიდუხჭირს [illegible]. ოჯახის უფროსი თავდადებულ [illegible] და სანატრელ გაუზრდის იჯახს. ყრმ[illegible] ისტორიებით პაპამისის ცხოვრებიდან გაიგებს, რომელიც კონფედერაციის წყალობით ირჩენდა თავს. ყმაწვილკაცს ორი მიზანი ამოძრავებს, როცა ეკლესიის ბჭეს გადააბიჯებს: იპოვნოს ამ ცოდვით სავსე ქვეყანაში თავდასაცავი, მშვიდი სავანე და წინაპრის სულთან შეყრის ადგილი ჯეფერსონში. შემდეგ იგი გაიცნობს სემინარიის მასწავლებლის ქალიშვილს, რომელსაც ძალიან უნდა სემინარიიდან თავის დაღწევა და ჯვარს დაიწერს მასზე. ჰაიტაუერი ღალატობს ცოლს და გარკვეული პერიპეტიების შემდეგ ქალი თავს იკლავს. ჰაიტაუერს მრევლი ზურგს შეაქცევს, უფრო მეტიც, აიძულებს მას დატოვოს ჯეფერსონი. მაგრამ ჰაიტაუერი ქალაქში რჩება. ერთადერთი კაცი ბაირონ ბენჩი ექცევა მას მეგობრულად. მერედა, ცხოვრებაში, ჰაიტაუერი მიხვდება თავისი ბედუკუღმართობისა და ხელმოცარულობის მიზეზს, ისევე როგორც საერთოდ ეკლესიის მარცხს. იგი ამაოდ ცდილობს იხსნას ქრისტმასი, მერე დაუბრუნდება ლენას და მის ბავშვებს.

რომანი „აგვისტოს ნათელი" შეიძლება განხილულ იქნას როგორც რელიგიური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ორივე ინტერპრეტაცია საბოლოოდ ერთ დასკვნამდე მიგვიყვანს — ადამიანები დიდსულოვნად უნდა მოექცნენ ერთმანეთს, უნდა ძალუძდეთ ადამიანურ სისუსტეთა შეწყნარება. თუ ამას არ იქმენ, მაშინ თვითვე გახდებიან იმის მიზეზი, რომ თავს დაატყდეთ ათასი უბედურება — განდევნა, მოკვეთა, შერყვნა-ძალადობა, სულის დამახინჯება და ასე შემდეგ. აი, ამ იდეებითაა მთელი ნაწარმოები გაჟღენთილი.

„აგვისტოს ნათელი" არ არის დაკავშირებული ფოლკნერის სხვა რომანებთან. აქ არ გვხვდება აზრობრივი თუ სტრუქტურული „ლაბირინთები", ხშირად მკითხველს თავსატეხს რომ გაუჩენს და რისში მოაქცევს ხოლმე. თუმცა რომანი მაინც გამოირჩევა თავისი დამახასიათებელი თვისებით, ფოლკნერისეული წერის მანერით.

უილიამ ფოლკნერი ამბობდა, რომ ამ ნაწარ-

მოების ხანგრძლივობა მისი მშობლიური მხარის, მისისიპის აგვისტოს უჩვეულო ნათელთან იყო დაკავშირებული. რომანი 1932 წელს გამოვიდა, მაგრამ მასში სხვა ეპოქაა აღწერილი. ეს არის მტვრიანი შარაგზებისა და უბრალო ადამიანების დროება. მიუხედავად ამისა, რომ ნაწარმოების ფონი მკაცრი და დაუნდობელია, მის პერსონაჟთა უმრავლესობა მაინც ინარჩუნებს, მწერლის ენით რომ ვთქვათ, — „სიცოცხლის ნათელ რწმენას, სიკეთისა და ბედნიერების იმედს".

„ეს წიგნი დაიწყო ლენა გროვის ისტორიით", — განაცხადა ერთხელ ფოლკნერმა. „ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ქვეყნად არაფერი აბადია, ფეხშიშველა და ლოდლოდზე ბავშვს ელოდება. იგი გადაწყვეტს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, თავისი შეყვარებული იპოვოს. ამით მე მინდოდა გამომეხატა, თუ როგორი აღტაცებული ვარ ქალის ვაჟკაცობით, სიმტკიცითა და გამძლეობით. სიუჟეტში თანდათან სხვა პერსონაჟებიც გამოჩნდებიან, მაგრამ ეს მაინც, უპირველეს ყოვლისა, ლენა გროვის ისტორიაა".

„აგვისტოს ნათელი" დიდი ოსტატობით დაწერილი რომანია. შედგება სამი ნაწილისაგან. ყოველი ნაწილი თავისი გზით ვითარდება და შუქს ფენს თემას, სიცოცხლის მრავალფეროვნებისა და მრავალსახეობის შეგრძნებას ქმნის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „აგვისტოს ნათელი" ფოლკნერის „შიდა" სოფლური სამყაროდან იღებს სათავეს და მითოლოგიურია. ცოცხალ ადამიანთა გაწამებული ცხოვრების ერთიანობად გვევლინება. ეს არის უდიდესი ინტელექტუალური სპექტაკლი, მას უფრო მეტი რეზონანსი აქვს, ვიდრე ფოლკნერის სხვა რომანებს. ეს ნაწარმოები რომანისტი ფოლკნერის შემოქმედების მწვერვალია.

„პილონი" — 1935 წ. უფრო უიღბლო ნაწარმოებია იმ რამდენიმე ნაწარმოებთან შედარებით, რომლებიც მანამდე გამოქვეყნდა, ან თუნდაც რომან „აბესალომ, აბესალომ!"-თან შედარებით, რომელიც მომდევნო წელს დაისტამბა. ამბავი ახალ ორლეანში ხდება, ნაწარმოების გმირები არიან — რეპორტიორი, რედაქტორი და უმაღლესი პილოტაჟის მფრინავების „ოჯახი". აშკარად ფოლკნერი იოკნაპატაუფაზე არ წერს, მაგრამ მან ახალი ორლეანიც შესანიშნავად იცის, გაზეთის სამყაროც და უმაღლესი პილოტაჟიც. წიგნის წარუმატებლობის მიზეზი სულაც არ არის თემატიკის [illegible], ზედაპირული თუ შეზღუდული ცოდნა, ამის მიზეზია თვით ნაწარმოების მხატვრული ჩანაფიქრი, მისი კონცეფცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოლკნერის მიზანია ახსნას უცნაური „ოჯახის" არსი, ვინ არიან ქალბატონი ლავერნი, მისი ორი საყვარელი, — პარაშუტისტი ჯეკ შოლმსი და მფრინავი როჯერ შუმანი. ქალბატონმა ლავერნმა არ იცის, რომელია მისი ექვსი წლის ბიჭუნას მამა. რეპორტიორი ჩაერევა ამ ოჯახის ცხოვრებაში, როდესაც მისი წევრები ვალოისში ბრძანდებიან. რომანის დასაწყისში იგი თავის რედაქტორს ჰაგუდს ეუბნება: „ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არ არიან. მათ ადამიანის სისხლი და გრძნობა რომ გააჩნდეთ, ვერ მართავდნენ თვითმფრინავებს ისე, როგორც ისინი ატრიალებენ მას წაღმა-უკუღმა. არც მოუნდებოდათ და ვერც გაბედავდნენ ამას ადამიანის გული და გონება რომ ჰქონდეთ. ამათამ ცეცხლი რომ წაუკიდო, ერთს არ წამოიყვირებენ. ადგილზე რომ გახრიხო, სისხლის ნაცვლად მანქანის ზეთის ლაქა დარჩება".

ფოლკნერის თქმით, ესენი მანქანებისა და სისწრაფის ეპოქის ადამიანები არიან. ძირეულად განსხვავდებიან ყველაფრისაგან, რაც კი აქამდე ადამიანის გონებისთვის იყო მისაწვდომი. მაგრამ, როცა მწერალი ცდილობს ახსნას მათი ბუნება, აჩვენოს, თუ რითია ეს თაობა ადამიანის მოდგმისაგან განსხვავებული, მაშინ მას წარმოსახვის უნარი ღალატობს. აღარ გვხვდება გმირთა ოცნებები, შინაგანი მონოლოგები და მკითხველი ვეღარ ჩასწვდომია იმას, თუ რა ხდება მათ სულსა და გონებაში. არა ჩანს, რას განიცდის როჯერ შუმანი, როდესაც თვითმფრინავს მართავს, როცა ავიოკატასტროფაში იღუპება. ან რას გრძნობენ ჯეკი და ლავერნი შეჯიბრებაზე პარაშუტით ხტომის დროს. ფოლკნერი არც ცდილობს, ახსნას ეს მანიაკალური, ლამის სექსუალური სიყვარული თუ დამოკიდებულება ფრენისა და ხტომისადმი. თუმცა ფოლკნერისათვის ეს ფრიად ადვილად ჩასაწვდომი და გასაგებია. იგი თვითონ იყო მფრინავი, ვინც ძალიან კარგად იცის თამაში,

ის ვერასოდეს აუხსნის უცოდინარს მის არსს, გაიოცებს, ასეთ უბრალო რამეს როგორ ვერ ხვდება ადამიანი. ასევე საშუალო მოთამაშემ უნდა აუხსნას, იმან, ვინც მძიმედ და ტვინის ჭყლეტით აითვისა იგი. ფოლკნერი კი უმაღლესი კლასის მოთამაშეა. მას მინიშნებული აქვს, რომ სიჩქარეს, ფრენას, პარაშუტით ხტომას ურთიერთკავშირი აქვს. ლავერნის, როჯერის და მექანიკოსი ჯიგსის ურთიერთობა სოციოლოგიურადაა განმარტებული. მოთხრობილია მათი ბავშვობა, მაგრამ ამით მაინც ვერ აიხსნება ვერც ერთი მათგანის სხვათაგან განსხვავებულ ადამიანად ჩამოყალიბების მიზეზი.

აი, რას ამბობს მწერალი ამის შესახებ თავის ნაწარმოებში „ფოლკნერი ნაგანოში": „ჩემი გმირები, ჩემდა საბედნიეროდ, თვითვე ახასიათებენ თავის თავს. მე არასოდეს ვიქექები მათ სულში. ისინი უცებ მეტყვიან ხოლმე ვინ არიან. ხშირად, როცა მე ჩავიფიქრებ რაიმე ხასიათს, ის ცოტა ხნის შემდეგ, თავისით გადამიშლის ხოლმე საკუთარ ბუნებას. ხოლო, თუ ამას არ სჩადიან, მე არც ვატან ძალას. ვწერ ისეთ გმირებზე, რომელთა სახელებიც კი არ ვიცი, რადგან ისინი მე ამას არ მეუბნებიან. მაგალითად, „პილონის" ერთ-ერთ მთავარ გმირს არასოდეს უთქვამს ჩემთვის ვინ არის იგი". ეს ძალიან ნათელი ახსნა-განმარტებაა და, თუ ამ კუთხით განვიხილავთ ფოლკნერის გმირთა სახეებს (მაგალითად, „აგვისტოს ნათელში"), აღმოჩნდება, რომ პერსონაჟთა სახე მათ მიერ საკუთარი დახასიათების ძირითადი ნაწილია. „პილონის" რეპორტიორს ბოლომდე არ გამოაქვს სააშკარაოზე თავისი სახე, რადგან მისი ხასიათი ერთგვარად „ნასესხებია" ტ. ს. ელიოტის ნაწარმოებთა გმირებისაგან. რედაქტორი ჰაგუდი კი მოლივუდის გაზეთის ყველასათვის ცნობილი რედაქტორის, ერთი როხროხა, თავისნათქვამა, მაგრამ ოქროს გულის მქონე კაცის პროტოტიპია. ნაწარმოების მთლიანი ფონი — ახალი ორლეანი, მისი მცხოვრებლები, რედაქცია და აეროპორტი აღწერილია როგორც მიგდებულ-მიყრუებული ადგილი. ყოველი დეტალი ფოლკნერისათვის ჩვეული დახვეწილი ოსტატობითაა დახატული, თუმცა, თუ რეალურად შევხედავთ, ეს თითქოსდა არაფერში ეხმარება მწერალს ნაწარმოების გმირთა სახეების ჩამოძერწვაში. ფოლკნერის ფანტაზიით შეთხზულ სიუჟეტებში ყოველთვის უხვადაა ბრწყინვალე სცენები, გასაოცარი სახეები (მაგალითისათვის ამ ჭრელად იუმარებს ჯიგსის პორტრეტი), მაგრამ მიუხედავად ამისა, „პილონის" მარცხი იმის ნიშანია, რომ მისმა ხელოვნურმა ცხოვრებამ ფიასკო განიცადა! ფოლკნერს ჰქონდა რომანის იდეა, ჩანაფიქრი, მაგრამ იგი სათანადოდ ვერ განვითარდა. რეპორტიორის ხასიათი მერყევი და ბუნდოვანია, იმიტომ რომ თვით ფოლკნერი ბოლომდე ვერ ჩასწვდომია მას (არც უცდია ეს...). მფრინავებს იგი მხოლოდ გარე სამყაროდან ხედავს. და ბოლოს მკითხველს ეჭვი ეპარება „პილონის" იდეის სრულფასოვნებაში. მისი აზრით, მწერალმა სრულად ვერ გამოიყენა თავისი ნიჭი და უნარი, ვერ გამოამჟღავნა თავისი თავი. საინტერესოა ის გარემოება, რომ „პილონი" თითქოსდა ეულად დგას ფოლკნერის რომანებს შორის. მასში არა ჩანს მწერლის უზადო ფანტაზიის აღმაფრენა.

„აბესალომ, აბესალომ!" — ეს არის ძირითადი თხზულება ფოლკნერის იოკნაპატაუფას სერიის ნაწარმოებთა შორის, მკითხველის წინაშე იშლება მწერლის ოცნებით შექმნილი მხარის რუკა და ლეგენდა: „ჯეფერსონის კომპანია, მისისიპი, 2 400 კვადრატული მილი, თეთრი მოსახლეობა — 6 298, შავი — 9 318, უილიამ ფოლკნერი, ერთადერთი მფლობელი და ბატონ-პატრონი".

ქვენტინ კომპსონი ის-ის არის ჰარვარდში უნდა გაემგზავროს, რომ კოლდფილდი სთხოვს მას, გაიგოს რასა იქმს იქ მისი სიძე ტომას სატპენი. ქალბატონი როზა სიძეს პატივმოყვარეობით შეპყრობილ დემონს უწოდებს, რომელსაც მიზნად დიდებული პლანტაციის გაშენება დაუსახავს, რითაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს მისი პლანტატორობის დინასტიას. ამ მიზნის მისაღწევად სატპენი არაფრის წინაშე არ იხევს უკან, მიწასთან ასწორებს ყველაფერს, რაც კი წინ გადაეღობება. ჰარვარდში ქვენტინი შრივ მაკქენონს შეხვდება. იგი სთხოვს ქვენტინს მოკლედ, რამოდენიმე სიტყვით გააცნოს სამხრეთი: „...მიამბარი რამე სამხრეთის შესახებ, როგორი მხარეა, რას აკეთებს ხალხი, რით საქმიანობს, ან რატომ ცხოვ-

რობენ აქ...". პასუხად ქვენტინი უყვება მას ტომას სატპენისა და მისი ოჯახის ამბავს (ამ ამბის მოყოლისას მამის გამოგზავნილ წერილებსაც იყენებს). მაკკენონის გონივრული, გამჭრიახი კითხვების წყალობით ქვენტინი სამხრეთის სრულ სურათს იძლევა.

— ახლა მე მინდა მხოლოდ ერთი რამედ მითხრა, — საბოლოოდ ჰკითხა მაკკენონმა ქვენტინს. — ეგრე რამ შეგაძულა სამხრეთი?

— სულაც არა მძულს, — იმწამსვე უპასუხა ქვენტინმა. — სამხრეთი არა მძულს, — გაიმეორა მან. „სრულიადაც არა მძულს", — გაიფიქრა თავისთვის.

აფორიაქებული ქვენტინი ქოშინ-ქოშინით სუნთქავდა ახალი ინგლისის მძიმედ ჩამოწოლილ ღამეში.

„არა. არა-მეთქი. მე არა მძულს! მე სრულიადაც არა მძულს სამხრეთი! დიახ, არა მძულს სამხრეთი!"

სატპენის ისტორია, რომელიც სავსეა კურიოზებით, პირადი ცხოვრების წვრილმანებითა და მისი საბოლოო შედეგით, — აი, ამდაგვარად წარმოუდგენია ქვენტინს სამხრეთი. მისი ეს ჩხრეკა-ძიება სატპენის აღზევებისა და დაცემაში, საბოლოოდ კი მისი ცხოვრების განადგურებაში, ეს არის თვით ქვენტინის ცხოვრების განხილვა.

ტომას სატპენს პატივმოყვარეობა და გამდიდრებაზე ოცნება ჯერ კიდევ ბავშვობიდან გაუღვივდა. იგი ძალიან ღარიბ ოჯახში დაიბადა. ერთხელ პლანტატორის სასახლეში ლივრეაში გამოწყობილმა ზანგმა სადარბაზოს ზღურბლთან ამპარტავნულად შეაქცია ზურგი, ფეხი არ შეადგმევინა სახლში. ყრმობის წლებში ვესტინდოეთში გაიქცა. მოგვიანებით აქ იულალია ბონი შეირთო ცოლად. მისგან ვაჟიშვილი ჩარლზი შეეძინა. ქვენტინმა შეიტყო, რომ მისი ცოლის სისხლში სულ იოტის ოდენა, მაგრამ მაინც ერია ზანგის სისხლი. ეს იმის მიზეზი გახდა, რომ მიეტოვებინა ცოლ-შვილი. მან მისისიპში ინდიელებისაგან მიწა შეისყიდა, აიგო სახლი, გააშენა პლანტაცია, რომელსაც სატპენის მანდრეული ეწოდა. აქვე შეირთო ცოლად ელენ ქოლდფილდი, საკმაოდ ღარიბი, მაგრამ ერთობ პატივცემული მაღაზიის მეპატრონის ქალიშვილი. მისგან ეყოლა ორი შვილი — ჰენრი და ჯუდითი.

უნივერსიტეტში ჰენრი შეხვდა ჩარლზ ბონს, რომელიც დედის რჩევითა და ლოცვა-კურთხევით სწავლობდა აქ. ტომას სატპენმა ჩქარა შეიტყო, ვინ იყო ჩარლზი. სატპენის ცოლს ელენს წარმოდგენა არ ჰქონდა ჩარლზის წარსულზე და გადაწყვიტა თავისი ქალიშვილი ამ ყმაწვილკაცისათვის მიეთხოვებინა ცოლად. ტომას სატპენმა კატეგორიული უარი განაცხადა ამ ქორწინებაზე, რის გამოც ჰენრი წაეჩხუბა მამამისს და ჩარლზს გაჰყვა ნიუ-ორლეანში. ჩქარა ყველა სამოქალაქო ომის დავიდარაბამ ჩაითრია. ტომას სატპენს არაფრით არ გაუმჟღავნებია, რომ ჩარლზი მისი ვაჟიშვილი იყო. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჰენრიმ შეიტყო, რომ ჩარლზი მას ძმად ერგებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც არ მოიშალა, რომ მისი და ჯუდითი ცოლად გაჰყოლოდა ჩარლზს. ეს პათოლოგიური ქორწინება შედეგამოჭრილი სიმბოლო იქნებოდა მათი ოჯახისა და საერთოდ სამხრეთის დაცემისა, — ასე მიაჩნდა ჰენრის. ეს ქორწინება მაშინღა გადაიფიქრა, როცა შეიტყო, რომ მისი ძმისა და მომავალი სიძის ძარღვებში ზანგის სისხლიც ერია. ჩარლზი კი ჯიუტად თავის ნებაზე იდგა, — მას საკუთარი დის შერთვა სურდა ცოლად. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ჰენრიმ მოკლა იგი. თვით სატპენი ჯონსმა გამოასალმა სიცოცხლეს. ეს კაცი მილი ჯონსის მამა იყო, რომლისგანაც სატპენს ბუში ჰყავდა. სატპენმა მილი მაშინ მიატოვა, როცა შეიტყო, რომ ჩემგან გოგო შეეძინაო. ტომას სატპენის მანკიერება, რასაც სატპენი ხშირად ეძიებდა საკუთარ თავში, ეს არის ჰენრისა და მთლიანად სამხრეთის ბიწიერებაც. ამ მანკიერების თავიდათავი კი ის არის, რომ მათ ზანგი ვერ მიიჩნიეს თანასწორუფლებიან ადამიანად. ამის გამო გაჩაღდა სამოქალაქო ომიც სამხრეთელებსა და იანკებს შორის და ამ მიზეზითვე დაინგრა სატპენების ოჯახი. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ ჩარლზ ეტიენ ვალერი ბონი (ჩარლზ ბონის ვაჟიშვილი) ჯო ქრისტმასივით განადგურებას უპირებს თეთრკანიანთა სამყაროს. მეორეს მხრივ კი პირდაპირ შემაძრწუნებელია ტომას სატპენის გულაბდილი თვითრწმენა, რომ იგი ყველაფერზე

მართალია. მისთვის ყველა საშუალება გამართლებულია, ოღონდ მიაღწიოს პატივმოყვარე თვითმიზანს, საფუძველი ჩაუყაროს მდიდარ ოჯახს. ამიტომაა, რომ იგი უსიტყვოდ იზიარებს იმ შეხედულებას და დამოკიდებულებას ზანგების მიმართ, რაც მის ოლქშია გაბატონებული.

ეს ყოველივე მოკლე, ზერელე გადმოცემაა იმ ამბისა, რომელიც ფოლკნერს მუქი ფერებით აქვს დახატული და მითიური იერი ადევს. თანაც მოთხრობილია უცნაური, ძალიან თავისებური, ფანტასტიკური ინტონაციებით, ხშირად კი ლამის გამაწამებელი პროზაულობით. დროდადრო რომანის გმირები საკუთარი ხმით ლაპარაკობენ, ჩანს პირადი „მე", მაგრამ საერთოდ მთლიანი თხრობა მიმდინარეობს ფოლკნერის ენაკაზმული რიტორიკული მანერით.

„აბესალომ, აბესალომ!" — ეს არის მოვარდნილი ნიაღვარი, თავაწყვეტილი გრიგალი, თავბრუდამხვევი, ღრმა მორევი, გმირთა ნაირნაირი ჩახლართების ორომტრიალით, ჭრელაჭრული ამბებით, უცნაური შემთხვევებითა და დიდი თუ მცირე მოვლენებით. მაგრამ საბოლოოდ მკითხველს იმის შესაძლებლობა ეძლევა, რომ დაინახოს ამ მორევის ფსკერზე ერთი პატარა, წყნარი ადგილი, სადაც გმირებს თუ მოვლენებს ენიჭება ნამდვილი სახე და რეალური მნიშვნელობა.

რომანი „დაუძლეველნი" (1938 წ.) შედგება ხუთი შესანიშნავი მოთხრობისაგან, ბაიარდ სარტორისს და მის კომპანიონ ზანგ რინგოს თავს გადახდებათ ჭეშმარიტად ტომსოიერისეული ფათერაკები. ამ ხუთნაწილიანი რომანის პირველ ნაწილში ისინი ბიჭები არიან, ხოლო დასასრულს ბაიარდი უკვე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია და სამოქალაქო ომიც დამთავრებულია. ნაწარმოების ყოველ ნაწილშია ბაიარდ სარტორისის შეხედულებები თუ მოსაზრებანი სამოქალაქო ომზე. ზოგიერთი კრიტიკოსი, მაგალითად მარიონ ო. დონელი, რომელიც თვლის, რომ ფოლკნერი ძველი სამხრეთის „არისტოკრატიის" აპოლოგეტია, ამბობს, რომ ეს რომანი იმ კონფლიქტზეა აგებული, რომელიც „ტრადიციულად" არსებობდა სარტორისებსა და სნოუპსებს შორის, იმ სნოუპსებს, რომელთაც რაიმე ეთიკური ნორმები არ გააჩნიათ, გარდა გაიძვერობისა, და ორპირობის ფილოსოფოსნი და მონამორჩილნი ბრძანდებიან. „დაუძლეველნის" ასე გაგება და ინტერპრეტაცია არ არის სწორი. პირველად რომანის რამდენიმე ნაწყვეტი მაღალი საზოგადოების ჟურნალში გამოქვეყნდა და ამის გამო თავისი სულიერი არსის ნაწილი დაკარგა. მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა მხოლოდ იმით შეიქცია თავი, თუ როგორ უშინეს ტყვიას „ბიჭები" იანკების ჯარს, ან დამფრთხალი და შეშინებულნი როგორ ეფარებიან ბაიარდის ბებიის, როზა მილარდის, ფართო კაბის კალთებს, სანამ იანკები მათ დაეძებენ. ან როგორ ატყუებს ჭკუაში ჯონ სარტორისი იანკების პატრულს. ერთ-ერთ მოთხრობაში „სარტორისთა აურზაური" დეიდა ლუიზა ძალას ატანს დრუზილას ცოლად გაჰყვეს ჯონ სარტორისს, იმიტომ რომ კაცის ტანისამოსში გამოწყობილი დრუზილა მის ბიჭებთან დააგულვებს ცხენს და ყველა თავდასხმაში იღებს მონაწილეობას. ბოლოს და ბოლოს დეიდა ლუიზა მიაღწევს თავის საწადელს. საქორწინო ცერემონიის დროს ჯონ სარტორისი მოასწრებს ცხენს და ქალაქისაკენ გააჭენებს. იქ ორ ზანგს მოკლავს, დაბრუნდება და ქორწინება გაგრძელდება. არავინ ცდილობს გამოიძიოს ჯონ სარტორისის დანაშაული.

ამგვარად, „დაუძლეველნი" არსის და სიმბოლიკის ერთობლიობაა და ამავე დროს ამ მცნებათა კრიტიკაც. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ნაწარმოებში უფრო მომეტებულადაა რომანტიკული ეპიზოდები, ორი ყმაწვილი კაცის უცნაური თავგადასავალი და ბოლოს ჯონ სარტორისის „საქმენი საგმიროინი". ბევრი რამ არის აქ მოტანილი იოკნაპატაუფას გმირებიდან თუ ხასიათებიდან, მაგრამ არც ერთი არ მოქმედებს ინტენსიურად.

ახალ ორლეანში ყოფნისას უილიამ ფოლკნერს არ შეიძლება არაფერი სმენოდა შერვუდ ანდერსონისაგან ერნსტ ჰემინგუეის შესახებ. ანდერსონი და ჰემინგუეი ჯერ კიდევ 1920-1921 წლებში დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ხოლო შემდეგ ახლო მეგობრები გახდნენ. ალბათ ამიტომ აღნიშნავს ბევრი ლიტერატურული კრიტიკოსი, რომ „ველური პალმები" რომელიც 1939

წელს გამოვიდა, ჰემინგუეის შემოქმედების ზეგავლენა ეტყობათ.

ფოლკნერის ფილოსოფია, მისი შეხედულებანი ცხოვრებაზე, არსებითად განსხვავდება ჰემინგუეის შეხედულებებისაგან. მიუხედავად ამისა, „ველურ პალმებსა" და „მშვიდობით, იარაღოში" ლიტერატურული პარალელების მოტრფიალენი ბევრ საერთოს პოულობენ.

„ველურ პალმების" მოკლე შინაარსი ასეთია: ახალგაზრდა სტუდენტს ექიმ-ინტერნს, თავდავიწყებით შეუყვარდება გათხოვილი და ორი შვილის დედა შარლოტა. შარლოტაც მზადაა ყველაფერი შესწიროს ამ გრძნობას. მას მიაჩნია, რომ საზოგადოებაა სიყვარულის უპირველესი მტერი, მისი ჩამკვლელი. შეყვარებულები ჩიკაგოში ცხოვრობენ, ჩრდილოვისკონსინის ტბის პირას, უტას შტატის მაღაროში და ა. შ. მათთვის უცხო არ არის სიცივე და გაჭირვება, მაგრამ ეს მათ სიყვარულს ვერაფერს აკლებს. შარლოტა დაორსულდება, იგი აიძულებს უილბორნს აბორტი გაუკეთოს. თავდაპირველად უილბორნი უარს ეუბნება, მაგრამ შემდეგ დაჰყვება მის ნებას. ისინი გალფის სანაპიროზე ბრუნდებიან. შარლოტას სისხლის დენა დაეწყება და იღუპება. უილბორნს დააპატიმრებენ, გაასამართლებენ და ციხეში ჩასვამენ.

რომანში „მშვიდობით, იარაღო" ლეიტენანტი ფრედერიკ ჰენრი და კეტრინ ბარკლიც განცალკევდებიან საზოგადოებისაგან. არაფრად აგდებენ საზოგადოებაში მიღებულ კანონებს. ფოლკნერის გმირების მსგავსად, ჰენრი და კეტრინიც გრძნობენ, რომ ეს ქვეყანა ბრმა და ყრუა სიყვარულის მიმართ. ჰემინგუეის გმირების იდილია უფრო მშვიდია, ვიდრე ფოლკნერის შეყვარებულებისა. მაგრამ ხოლოს ორივე ქალი კვდება. ერთი — აბორტისაგან, მეორე კი — მშობიარობის დროს. ამ ნაწარმოებებში ორივე მამაკაცი იმ აზრს იღებს, რომ, თუ საზოგადოებამ აგითვალწუნა, — „თუ ერთხელ უკვე დაგიცდა" (ამბობს უილბორნი), ან „თუ საყრდენი გამოგეცალა" (თითქმის იგივეს იმეორებს ჰენრი), — მაშინ იგი გაგთელავს, განადგურებს. სიკვდილის პირას მისული ორივე ქალი ტკივილებისაგან იკლაკნება, იტანჯება და კვნესით ეუბნება თავის გულისსწორს — „ახლოს არ მომეკარო!". მათი გარდაცვალების შემდეგ, ორივე ნაწარმოებში, კაცებს გულცივად დართავენ ნებას, რომ ნახონ შეყვარებულთა ცხედრები და სამუდამოდ გამოეთხოვონ მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკოსთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამ ორი ნაწარმოებიდან, ჰემინგუეის სიყვარულის ამბავი უფრო გულში ჩამწვდომი და მტკივნეულია, ვიდრე ფოლკნერისა. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ფოლკნერისათვის — „ყველაფერი სიყვარულს შეეწიროს არ არის უკიდურესობამდე „გადატვირთული" ისე როგორც ჰემინგუეისათვის. შარლოტას სიყვარული მსხვერპლად იწირავს შვილებს, ქმარს — მის კარიერისა და სულის სიმშვიდეს, საკუთარ სიცოცხლეს, აი, რის ფასად უჯდება შარლოტას სიყვარული. იგი უილბორნში კი არა, უფრო თვით ამ გრძნობაშია შეყვარებული. „ჰემინგუეის კეტრინის მსგავსად მისთვისაც მთავარია სექსი და სიყვარული. ისე რომ, გარკვეული მოსაზრებით, უილბორნი მისი მსხვერპლია. ფოლკნერი არ იზიარებს იმ აზრს, რომ საზოგადოების კანონები სიყვარულს ანადგურებს , პირიქით ,იგი ამბობს, რომ სიყვარულისათვის თავგანწირვა თვითვე ანადგურებს ამ გრძნობას. მას ორი უკიდურესობა გააჩნია — ღირდა კი ყველაფერი ამად? და თუ სიყვარულია, ასეთი უნდა იყოს!

„პატარა სოფლის" (1940 წ.) დრამატული პერსონაჟები გაუთლელი, ღარიბი ფერმერები არიან. ისინი მონათმფლობელთა შთამომავლები არ არიან — აღნიშნავს ფოლკნერი. მათი გვარები უელსური, შოტლანდიური ან ინგლისური წარმოშობისაა. მწერალი თავის გმირებს პატივისცემით ეპყრობა, აქ ნიშანწყალიც კი არ იგრძნობა იმისა, რომ იგი „თვალწუნებდეს" ან ზემოდან დაჰყურებდეს მათ, რაკი არისტოკრატიული წარმოშობა არ გააჩნიათ.

არსებითად „პატარა სოფელი" სნოუპსების ოჯახის ამბავია, უფრო კი ფლემისა, რომელიც ჯეფერსონიდან ოცი მილით დაშორებულ მეორე დაბაში გადასახლდება. იგი ერთთავად ატყუებს სოფლის მრევლს. ფლემის არც ხმა და არც იერი არ გამოხატავს რაიმე ემოციას, ის ხშირ არად დაგიდევს წესიერ მოქცევას, არავითარ პატივს არა სცემს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების საუკუნეებით აღიარებულ წე-

ხებს. თუ ვინმე სიკეთეს გამოიჩენს მის მიმართ, იგიც მაშინვე თავისებურად ისარგებლებს ამით.

ფლემს მიზანში ჰყავს ამოღებული ვორნერების ოჯახი, რომლებიც ამ სოფლის ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელები არიან. ცოლად ირთავს იულა ვორნერს, რომელიც ნაყოფიერების სიმბოლოა. ფლემი ყოველთვის ატყუებს აქაურ მცხოვრებლებს. ჭკუით და ეშმაკობით სჯობნის გაქნილ, გაიძვერა რეტლიფს. ნაწარმოები იმით მთავრდება, რომ მისი მთავარი გმირი ისევ ჯეფერსონში ბრუნდება.

„პატარა სოფელი" ეპიზოდებისგანაა შეკრებილი, რომლებშიც ფოლკნერის ადრე დაწერილი ნოველებიც შედის. ის ნოველები, რომლებიც ფლემს ეხება, ხალხურ კილოკავზეა დაწერილი, თუმცა გვხვდება მაღალი, რიტორიკული, ამაღლებული სტილის პასაჟებიც. ეს უმეტესად ეძღვნება იულას აღწერას და იდიოტი აიკ სნოუპსის ძროხისადმი გროტესკულ სიყვარულს. ამ ნაწარმოებში ოთხი სიყვარულის ამბავია მოთხრობილი, — ფერმერ ჰაუსტონის ქორწინება, მინკ სნოუპსის ჯვარისწერა, იულას სამიჯნურო ამბები, მისი ქორწინება ფლემთან, და ბოლოს აიკის სიყვარული ძროხისადმი. ბედის ირონიაა, რომ აიკისა და ძროხის სიყვარული უფრო სუფთაა, ვიდრე ერთი შეხედვით „ნორმალური" სიყვარული. მაგრამ, თუ რამდენად ეფექტურია ფოლკნერის ენა, რომელიც ხან დახვეწილი, ხან ამაღლებული და რომანტიკულია, ხან კი „გლეხური", ეს სხვა საკითხია, ერთი კია — რომ იგი თავისთავად თვალისმომჭრელი და მშვენიერია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრ კონტრასტს ქმნის სხვა ნოველების ხალხურ დიალექტთან.

როდესაც დისკუსიაა „ხალხური ამერიკული პროზის" შესახებ, როგორც წესი, მას უკავშირებენ საზღვრისპირა კუთხის რეგიონებს და განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთს. ამ სტილის ნაწარმოებთა შორის ყველაზე ცნობილია ა. ბ. ლონგსტრიტის „ჯორჯიის სცენები" (1835 წ.), ჯორჯ ვ. ჰარისის „სატ ლავინგუდის ანეკდოტები" (1867 წ.). პირველად მარკ ტვენმა აამაღლა, გარდაქმნა ამ ტიპის იუმორი და იგი ლიტერატურულ ნაწარმოებად აქცია.

ამ ნაწარმოებით („პატარა სოფელი") ფოლკნერმა დიდი წვლილი შეიტანა ამერიკულ ეროვნულ ლიტერატურაში.

შემდეგი ნაწარმოები, რომელიც ფოლკნერმა 1942 წელს დაწერა არის „ჩამოვედ, მოსე". იგი მოგვაგონებს „რომანს „დაუმორჩილებელნი" იმით, რომ ისიც წიგნი ურთიერთდაკავშირებული ამბებისაგან შედგება. „ჩამოვედ, მოსე" არის თეთრკანიანთა და შავკანიანთა ურთიერთობის, სირცხვილისა და პათოსის სერიოზული და ამაღლებული გამოცდა. ეჭვგარეშეა, რომ რომანში მოთავსებული შვიდი მოთხრობიდან საუკეთესოა „დათვი". სრულიად სამართლიანად მიმართავენ კრიტიკოსები სწორედ ამ მოთხრობას, როდესაც ცდილობენ ამოხსნან ფოლკნერის სოციალური და მორალური დოქტრინა, — ამ ნაწარმოებში ფოლკნერი ავითარებს მოსაზრებას, რომ ბუნებისადმი სწორი, მართებული დამოკიდებულება განსაზღვრავს ადამიანებისადმი დამოკიდებულებას იმისდა მიუხედავად, თეთრკანიანი იქნება იგი თუ შავკანიანი.

ბებერი ბენი, დათვი, უფრო მეტს ნიშნავს ვიდრე თვით დათვი, რომელზედაც ნადირობენ. იგია თავისუფლების, სიმამაცისა და უხვი, ნაყოფმდიდარი მიწის სიმბოლო.

სემ ფადერსს, ჩიკასოს ტომის ბელადისა და ზანგი მონის შვილს, ესმის ველური ბუნებისა და მის რაობას შეასწავლის აიკ მაკ კასლინს. სემ ფადერსისაგან სწავლობს აიკი გამძლეობას, ამტანობას, სიმამაცეს და ვაჟკაცობას. ბუნება არავის ეკუთვნის, არც უნდა ეკუთვნოდეს და არც არავინ უნდა გაუწიოს მას ექსპლოატაცია. „დათვის" პირველ ვარიანტში, რომელიც ნოველის სახით გამოქვეყნდა, ფოლკნერი წარმოგვიდგენს სამყაროს საკრამენტულ ხედვას. მეორე განახლებულ ვარიანტში, რომელიც „ჩამოვედ, მოსეში" გამოჩნდა, შემოტანილია სხვა ელემენტებიც: ცივილიზაციის მიერ ბუნების ექსპლოატაცია და ის ბოროტება, რომელიც მონობას ახლავს.

რომანი ორი მიმართულებით ვითარდება, ერთია აიკის ამბავი და მეორე აიკის პაპის, კაროტერს მაკ'კასლინის მულატი მემკვიდრეების ისტორია. აიკი შეიტყობს, რომ ეს მემკვიდრეები დამცირებულად გრძნობენ თავს იმის გამო, რომ მათ ადამიანებივით კი არა, ნივ-

თეზაურით [illegible]. მათგან განსაკუთრებით ლუკას ბოჩემპი და ახლაც ნაწილობრივ. შემდგომში ავტორმა ბოჩემპი მთავარ გმირად გამოიყვანა ნაწარმოებში „დამცირებული თვითმარქვია", ლუკასი პროტესტს აცხადებს, რომ მეორეხარისხოვან, მდაბიო არსებად ჩათვალონ.

„ჩამოვედ, მოსეს" შემადგენელი მოთხრობების დაახლოებით ნახევარი [illegible] გვიამბობს, ნაწილი ველური ბუნების აღწერას ეძღვნება, დანარჩენი კი ზანგების ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

„ჩამოვედ, მოსეში" ზემოთ ნახსენები ორი მიმართულება ერთმანეთს ხვდება მოთხრობა „დათვში". მოხუცი ბენი წინ აღუდგება იმათ, ვინც ექსპლოატაციას უწევს, აჩანაგებს ხელშეუხებელ, ქალწულებრივ ბუნებას, და ამას ეწირება კიდეც. ნაწარმოების ვრცელ მეოთხე ნაწილში აიკი და მისი ბიძაშვილი მაკ კასლინ ედმონდსი მსჯელობენ კაროთერზ მაკ კასლინის ზანგ შთამომავალთა მემკვიდრეობაზე. ფოლკნერის აზრით, ველურ ბუნებასთან ბალახი დამოკიდებულება მიგვიყვანს ზანგებთან ჭეშმარიტ ურთიერთობამდე. იგივე აზრი განმეორებულია „დელტას შემოდგომაში", აქ აიკი უკვე სამოცდაათი წლის მოხუცია.

„ჩამოვედ, მოსეში" აღწერილ ბევრ სცენას შევხვდებით სწორედ „დათვში", რომელსაც ჰალუცინაციური მშვენება გააჩნია. განსაკუთრებით იმ სცენებში, სადაც აღწერილია მოხუცი ბენი, უბიწო, ხელუხლებელი მინდორ-ველები და გაუვალი უღრანები.

უ. ფოლკნერის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა „შავი შარვალი", ბრწყინვალე აღწერა იმისა, თუ რას ჩადის ან როგორ იქცევა მწუხარებისაგან ჭკუაზედ შეშლილი ზანგი. მაგრამ ასეა თუ ისე, ფოლკნერის ყველა მოთხრობა ვერ არის „ოლბლიანი", ყველამ ვერ დაიმკვიდრა თოლად მისთვის განკუთვნილი უპირატესი და ამაღლებული ადგილი.

„მოხუცი ხალხი" თითქოს „დათვის" დასაწყისად გამიზნული წინა მოსამზადებელი ეპიზოდია. ხოლო „ჩამოვედ, მოსე" საინტერესოა იმით, რომ მისი ზოგიერთი ნაწილი სულ ცოტა რამეს თუ ხსნის იმ თემას, რომელიც განვითარებული და გავრცობილია „დათვში". მიუხედავად ამისა, „ჩამოვედ, მოსე" ღვთისმოსობის,

სამართლიანობისა და კეთილშობილების უფრო ნათელ გამოხატულებას ქმნის, ვიდრე მსგავსი ნაწარმოებები ამერიკულ ლიტერატურაში.

„ჩამოვედ, მოსეს" შემდეგ [illegible]ული ყველა რომანი ფოლკნერისათვის დამახასიათებელი ვირტუოზობის ვერნისაჟია, განსაკუთრებით აქ, სადაც მწერალი ქმნის ახალ ფორმებს. ეს უდაოდ ფოლკნერის სიბრძნის გამოვლინებაა, მაგრამ აქვე გამოსჭვივის მისი ტიტანური ძალის სუსტი მხარეებიც. ბევრი რამ, მას ბიბლიურ რიტორიკაზე უკვე განიზომება და ფოლკნერს, ასე გამოდის, უფრო ნაკლებად აწუხებს თავის მოთხრობათა დრამატიზება. ამასთან ერთად ასე უფრო მორიდებულ დიდაქტიკოსად გვევლინება. სოციალური პრობლემები მოითხოვს გადაწყვეტას და მისგან, როგორც დიდი, სახელოვანი მწერლისაგან, ნობელის პრემიის ლაურეატისაგან, მკითხველი ელის ახსნა-განმარტებას, აზრის გაგებას. მწერალი იღებს ამ ახალ როლს, და, დიდი სურვილით აკეთებს ამას თუ მოვალეობის გრძნობის გარეშე, ამას აღარ აქვს მნიშვნელობა, ძირითადი ისაა, რომ ეს არ იყო გენიოსი მწერლის მოვალეობა, არ შეეფერებოდა მის განსაკუთრებულ ტალანტს.

„ნეშტის შემბღალავნი" (1948 წ.) ფოლკნერის გვიანი პერიოდის პირველი რომანია. ეს არის ახალგაზრდა ჩარლზ მალისონისა და ლუკას ბოჩემპის ურთიერთობის ამბავი. მიმდინარეობს ნელი, ხანგრძლივი პროცესი, რითაც ბიჭმა (ჩარლზმა) აღიქვას და მიიღოს მოხუცი ზანგი (ბოჩემპი) როგორც თანასწორი ჰუმანური არსება. ეს გვახსენებს ჰეკლბერი ფინისა და ზანგი ჯიმის ურთიერთდამოკიდებულებას, ოღონდ უფრო უცნაურობით აღსავსე მოქმედებათა სფეროთ. ბიჭი და მასზე უფროსი ქალი ქვიშაში თხრიან გვამს, რათა შეცვალონ მეორეთი. ეს მოქმედება, თავისთავად, ასევე ჰეკლბერი ფინის მელოდრამის რემინისცენციაა. „ნეშტის შემბღალავნი" მშვენიერი ნაწარმოებია, მაგრამ ფოლკნერი არ კმაყოფილდება მხოლოდ რემინისცენციით. ეს ნაწარმოები თავისებურ დეტექტიურ რომანსაც წააგავს. თეთრკანიანი უმაწვილი, როდესაც დარწმუნდება, რომ ზანგიც ისეთივე ადამიანია როგორც სხვები,

როგორიც თვითაა, მას კი ბრალს სდებენ მკვლელობაში, რომელშიც ბრალი არ მიუძღვის, მიდის დიდ რისკზე და იხსნის ზანგს განსაცდელისაგან. მოხუცი ლუკას ბოჩემპი სამხრეთის პატრიარქალური ტრადიციების საუკეთესო განსახიერებაა.

„რექვიემი მონაზვნისათვის" (1951 წ.). ეს არის ცოდვის ტრაგიკული მონანიების კლასიკური მოტივი. ტემპლი და გოუენი, რომლებიც რომან „საკურთხეველში" ახალგაზრდა სტუდენტები არიან, აქ უკვე ხანდაზმული ხალხია, მათ ჰყავთ ბავშვი. ფოლკნერს ორივე გამოყვანილი ჰყავს როგორც ერთობ მოუხვეწარი და უბედური ადამიანები. რომანის სიუჟეტი ისეთნაირად ვითარდება, რომ ნენსი მანიგო მოკლავს მათს შვილს, ამ უდიდეს ტრაგედიას ისინი მიჰყავს იმ რწმენამდე, რომ განწმენდა უნდა მოხდეს ტანჯვით, და განემზადებიან რათა თავისი წილი უბედურების ტვირთი (თავისი ჯვარი) მორჩილებით ზიდონ.

„იგავი" (1954 წ.) უცნაური წიგნია, ეს იმდენად რომანი არ არის, რამდენადაც ალეგორიაა იმ ადამიანებზე, რომლებიც ეძიებენ მშვიდობას. წიგნს საფუძვლად უდევს პირველი მსოფლიო ომის რეალური ეპიზოდი, როდესაც ფრანგებმა უარი განაცხადეს ესროლათ გერმანელებისთვის. ფოლკნერი დიდი ოსტატობით აღწერს მისთვის ერთობ საყვარელ თემას — ომისადმი სიძულვილსა და დაუოკებელ ზიზღს. „იგავი" უფრო ომის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვაა, ვიდრე რომანი.

იოკნაპატოფას საგაში ტრილოგია „სოფელი", „ქალაქი" და „კერძო სახლი" განსაკუთრებულ ადგილზე დგას. ეს არის ფართო ეპიკური პანორამა, სადაც მოთხრობილია სნოუპსების მოდგმის ახალი თაობის შესახებ. აქ არის შემორჩენილი ბევრი ძველი სახეები, მაგრამ ფოლკნერს, თავისი ჩვეული დრო-ჟამის განჭვრეტის უნარით, შემოყვანილი ჰყავს ახალი გმირებიც — ჩარლზ მოლისონი და გევინ სტივენსი, ეულა და ლინდა უფრო ფერმკრთალად გამოიყურებიან, ვიდრე „სოფელში" და მთელ მათ მოქმედებასაც ხაზგასმა აკლია. ნაწარმოებში მთავარი ადგილი უკავიათ ცხენის ქურდის, ეის სნოუპსის, მეძავედროებს. ყაჩაღი, მტაცებელი ფლემი სულ პატარა კაციდან ბანკირი და მთელი ოლქის ბატონ-პატრონი ხდება. „კერძო სახლი", მთლიანად ეძღვნება მის სნოუპსის ცხოვრებას, ფოლკნერი ძირითადად აღწერს მის გარდასულ ძლიერებას და ძალაუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მძარცველები" (1962 წ.) გამოქვეყნდა ფოლკნერის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე. ეს არის უფრო თვით ფოლკნერის ავტობიოგრაფიული რომანი, ნოსტალგია მისი ბავშვობის, ყმაწვილკაცობის წლებისა, რომლებიც მან ოქსფორდში გაატარა. როდესაც ავტომობილი ახალი იყო, დატბორილი, დაჭაობებული გზები კი გაუვალი. ამ ნაწარმოებში გამოყვანილ გმირთა შორის არის ბუნ ჰოგანბეკი „დათვიდან" მისს რება, მისი ქმარი და მეპატრონის cathouse, რომელიც ადრე აღწერილი აქვს „წმინდა ალაგზე".

„მძარცველებში" დიდი ოსტატობით, დახვეწილი იუმორითაა აღდგენილი მწერლის ბავშვობა, მისი ცხოვრების უბედნიერესი წლები.

ფოლკნერი დიდი მწერალია, იგი უშესანიშნავესი ამერიკელი რომანისტია. იგი არ არის სოფისტი მწერალი ჰენრი ჯეიმსის, ჯოზეფ კონრადის თუ ჯეიმს ჯოისის მსგავსად. სწორედ აზროვნების დამახასიათებელი ეს უბრალოება მისი გენიოსობის ერთ-ერთი ნიშან-თვისება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოლკნერი სრულიადაც არ განიცდის წარმოსახვის დეფიციტს. მისი ფანტაზიის, გამომგონებლობის ძალა, უზარმაზარია და იგი რომანის თეორიის, როგორც ხელოვნების ფორმის განვითარებას უწყობს ხელს.

ფოლკნერი სტილის დიდოსტატია. „მაღალი რიტორიკის" და „ბიბლიური რიტორიკის" დიდოსტატი. დიახ, უილიამ ფოლკნერი მეტყველების უბადლო ხელოვანია, მისმა ერთ-ერთმა კრიტიკოსმა განაცხადა, რომ „ფოლკნერის პროზას ისეთი არქაული ელერადობა ახლავს, როგორც მონადირის ბუკს". ეს კარგი შედარებაა. ფოლკნერის ენა, მისი გამონაგონი სიტყვა წარსულს აღვიძებს, უფრო სწორად, — აწმყოს უბრუნებს გარდასულ ჟამს.

როცა ფოლკნერი თავისი შემოქმედების საშუალო და უმაღლეს პერიოდში წერდა და აქვეყნებდა უბადლო წიგნებს, მაშინ მისი თანამედროვე მწერლები — თეოდორ დრაიზე-

რი, სინკლერ ლუისი და ჯონ დოს პასოსი თხზავდნენ უფრო „რეალისტურ" ნაწარმოებებს. მაგრამ ფოლკნერის რომანები უფრო რეალისტურია იმიტომ, რომ მათში ნაკლებად გვხვდება ალეგორიული ხასიათები, მწერლის მიერ გამოგონილი უმაღლესი დონის სიმბოლური სცენები, პოეტური, რიტორიკული, ამაღლებული პროზა.

ფოლკნერი ღრმად ჩასწვდა ელიზაბეტურ თუ იაკობინურ დრამას, შესანიშნავი მცოდნე იყო რუსული რომანისა, ხარკსავით ედო წინ „თანამედროვე რომანი", რომლის ფუძემდებელნი იყვნენ ჯეიმსი, კონრადი და ჯოისი. ფოლკნერის ორმაგი მემკვიდრეობა, — ამერიკული და ევროპული, არ არის მარტივი, იგი ერთობ რთულია და მწერალს შესანიშნავად აქვს გათვითცნობიერებული მისი მრავალფეროვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილიამ ფოლკნერის მთელი შემოქმედება — ადამიანური სიმფონიაა, ჰუმანიზმის დიადი ჰიმნია. „... მე უარვყოფ ადამიანის აღსასრულს",— განაცხადა დიდმა მწერალმა ნობელის პრემიის მიღების დროს წარმოთქმულ სიტყვაში. „ადამიანი კი არ გაუძლებს, იგი იზეიმებს გამარჯვებას".

# რაინერ მარია რილკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა ლამარა ნაროუშვილმა

## წერილები სეზანზე

1907 წელს პარიზის საშემოდგომო სალონში მხატვართა გამოფენა გაიხსნა. ამ გამოფენაზე, მაშინ უკვე გარდაცვლილი სეზანის 57 სურათი იყო წარმოდგენილი. რილკე იმ ხანებში პარიზში ცხოვრობდა და ყოველდღე დადიოდა ამ სალონში. სეზანის სურათებმა როდენის შემდეგ უდიდესი გავლენა მოახდინა მის ესთეტიკურ შეხედულებებზე. თავის შთაბეჭდილებებს რილკე წერილობით უზიარებდა მეუღლეს — მოქანდაკე კლარა ვესტჰოფ-რილკეს. მოგვიანებით რილკემ ამ წერილებს უწოდა „წერილები სეზანზე", ეს წერილები პირველად რილკეს წერილების მოზრდილ კრებულში გამოქვეყნდა, შემდეგ კი ცალკე, პატარა წიგნადაც გამოიცა.

კლარა რილკეს
პარიზი, 7 ოქტომბერი, 1907 წელი
(ორშაბათი)

...დღესაც ვიყავი საშემოდგომო სალონში... იქ გრაფი კესლერი შემხვდა და ბევრი გულწრფელი ქათინაური მითხრა „სურათების ახალ წიგნზე"[1]: მოდერნისტებთან ერთად წაუკითხავს. ყველაფერი ეს სეზანის დარბაზში ხდებოდა, მაშინვე რომ იპყრობს მნახველის ყურადღებას. შენ იცი, მე გამოფენათა დარბაზებში მოხეტიალე ადამიანები უფრო მაინტერესებს, ვიდრე იქ გამოფენილი მხატვრობა, აქაც, ასევე, ოღონდ სეზანის დარბაზის გამოკლებით. სინამდვილე მთლიანად მის მხარეზეა, მის სქელ გაჭრებულ სილურჯეში, წითელ ფერში, უჩრდილო მწვანესა და ღვინის ბოთლების ტლანქ სიშავეში.

და რა მწირია ყველა მისი საგანი! ვაშლები მჟავეა და არ იჭმევა, ბოთლები ძველი ქურთუკის გამობერილ ჯიბეებშია ნატარები. მშვიდობით...

კლარა რილკეს
პარიზი, 8 ოქტომბერი, 1907 წ.

... შეიძლება წარმოიდგინო, რომ ვინმე მონოგრაფიას დასწერს ლურჯ ფერზე: პომპეის კედლის მხატვრობის სქელი, ცვილისებრი სილურჯიდან მოყოლებული, შარდენსა და სეზანამდე; საოცარი განვითარების გზაა! სეზანის თავისებურ ლურჯს ეს წარმომავლობა ეტყობა. იგი მომდინარეობს მე-18 საუკუნის ლურჯიდან, რომელიც შარდენმა პრეტენზიულობისაგან აცხნა, ხოლო სეზანმა მკვეთრად ერთმნიშვნელოვანი გახადა და შეუმჩნევლად აქ სწორედ შარდენი გვევლინება. მის ხილს აღარ ადარდებს, სუფრაზე მოიწონოს თავი. სამზარეულო მაგიდაზეა დაყრილი და არაფრად აგდებს, ლამაზად შეიჭმევა თუ არა. სეზანის ხილი კი საერთოდ არ იჭმევა. ისეთი საგნად ქცეული... როცა შარდენის ავტოპორტრეტებს ვუყურებ, ვფიქრობ, თუ რა ახირებული მოხუცი იქნებოდა. ხოლო რა ტრაგიკულად უცნაური პიროვნება იყო სეზანი, ამაზე ბევრი გიამბობ ზოგი რამ ვიცი, მისი სიცოცხლის ბოლო წლებზე. ქუჩაში სახელოსნოსკენ მიმავალს, მოხუცს და დაჩაჩანაკებულს, სდევდნენ, როგორც

1 რილკეს ლექსების კრებული.

უპატრონო ძაღლს ქვებს რომ ესროდნენ. მაგრამ სულის სიღრმეში იგი განსაცვიფრებლად ლამაზი იყო და ზოგჯერ, რომელიმე თავის იშვიათ სტუმარს გახელებული რაღაც დიდებულს მიახლიდა ხოლმე. ალბათ წარმოიდგენ, რანაირად ხდებოდა ეს.

მშვიდობით... დღეისთვის კმარა...

კლარა რილკეს

პარიზი, 9 ოქტომბერი, 1907 წ.

...დღეს მინდა ცოტა რამ გიამბო სეზანზე. რაც მუშაობას შეეხება, იგი ამტკიცებდა, რომ ორმოც წლამდე ბოჰემურად იცხოვრა და მხოლოდ პისაროსთან მეგობრობამ აზიარა ნაღდ შრომის გემოს და მადლს. თავისი ცხოვრების შემდგომი ოცდაათი წელი მან მხოლოდ მუშაობაში გაატარა-უხასიათოდ კი, როგორც ეტყობა, მუდამ აღრენილი იყო, ყოველი თავისი ნამუშევრით უკმაყოფილო, რადგან ეჩვენებოდა, რომ ვერცერთ მათგანში ვერ მიაღწია იმას, რაც მის თვალში ყველაზე მთავარი იყო, რასაც La réalisation-ს უწოდებდა და მხოლოდ ვენეციელებთან პოულობდა. პარიზში რომ ცხოვრობდა, იგი ხშირად დადიოდა მათ სანახავად ლუვრში. დამაჯერებლობა, საგნის განცდა, და ამ განცდის გზით მარადისობამდე აღვლენილი სინამდვილის შექმნა — აი, ყველაფერი, რაც სეზანს თავისი უშინაგანესი მოღვაწეობის მიზნად ესახებოდა. უკვე მოხუცი, ხნიერი, საღამო ჟამს, ყოველდღიური მუშაობის თანაბარი რიტმით ქანცგაწყვეტილი (იმდენად, რომ ექვს საათზე, შებინდებისთანავე მექანიკურად ვახშმობდა და იძინებდა.) გაღიზიანებული, ეჭვიანი, სახელოსნოსკენ მიმავალ გზაზე მუდამ აბუჩად აგდებული, გამასხრებული, შეურაცხყოფილი, — კვირას ისვენებდა, დილა-საღამოს წირვას ესწრებოდა, როგორც ბავშვობაში, და თავის ეკონომ ქალს — მადამ ბრემონს ძალზე თავაზიანად სთხოვდა, იმ დღეს უკეთესი სადილი მოემზადებინა და ყოველ განთიადს ისევ იმედით ეგებებოდა: ეგებ დღეს მაინც გამიმართლოს. ეს იყო მისთვის ყველაზე მთავარი ცხოვრებაში. თან საქმეს (თუ ყველა ამბების მთქმელს, არც თუ ისე სიმპათიურ მხატვარს დაეჯერება, ცოტ-ცოტა ხნით ყველა ოსტატს რომ ბაძავს) გაუგონარი სიკერპით ართულებდა. პეიზაჟს ხატავდა თუ ნატურმორტს — საგანს დიდხანს აკვირდებოდა, მერე კი მაინც ფალრესად თავისებურად: რთულად, შორიდან მოვლით გადმოჰქონდა ტილოზე. ხატვას ყველაზე მუქი ფერით იწყებდა, შემდეგ სხვა ფერს შეურევდა და ასე, ფერიდან ფერზე გადადიოდა, ვიდრე არ მიაღწევდა სულ სხვა, კონტრასტულ ელემენტამდე. აქედან, როგორც ახალი ცენტრიდან, თავიდან იწყებდა ყველაფერს. მე მეჩვენება, რომ ეს ორი პროცესი — ერთი მხრივ, საგნის ჭვრეტა და გათავისება, და მეორე მხრივ, გათავისებულის [illegible] ხორცშესხმა, — მეტისმეტად [illegible]ლი ხასიათის გამო მასთან ერთმანეთს ვერ ეწყობოდა. ისინი, ასე ვთქვათ, ერთდროულად იწყებდნენ ლაპარაკს, განუწყვეტლივ აწყვეტინებდნენ ერთმანეთს სიტყვას და კინკლაობდნენ. მოხუცი იტანდა მათ დავას, გამშაგებული ბოლთას სცემდა სახელოსნოში, რომელსაც ცუდი განათება ჰქონდა. იმის გამო, რომ თავის დროზე ხუროთმოძღვარმა საჭიროდ არ ჩათვალა აზირებული მოხუცისთვის დაეგდო ყური, მას ხომ ექსში, თითქოს პირი შეუკრავთო, არაფრად აგდებდნენ, ჰოდა, წინ და უკან ბორიალობდა სახელოსნოში, სადაც მწვანე ვაშლები ეყარა. ან კიდევ სასოწარკვეთილი ბაღში გავარდებოდა, და იქ სადმე საათობით იჯდა. მის წინ ტაძრებიანი, პატარა ქალაქი გაწოლილიყო უდარდელად. წესიერი და თავმდაბალი ადამიანების ქალაქი. თავად კი, როგორც მამამისმა (რომელიც მექუდე ყოფილა) უწინასწარმეტყველა, სხვანაირი გახდა: „ბოჰემისტი", თავადაც ასე სჯეროდა. ჰოდა, ამ მამამ, რაკი იცოდა, რომ ბოჰემისტები გაჭირვებაში ცხოვრობენ და იხოცებიან, გადაწყვიტა შვილზე ეზრუნა. იგი თურმე ერთგვარ პატარა ბანკირად იქცა და ხალხი მას თავის ფულს ანდობდა. („რადგან პატიოსანი იყო," — ამბობდა სეზანი). სეზანიც სწორედ მას უნდა უმადლოდეს, თუ შემდგომში იმდენი მაინც ჰქონდა, მშვიდად რომ ეხატა. ალბათ მამის დაკრძალვას დაესწრო. დედაც უყვარდა, მაგრამ მის დასაფლავებაზე ვერ წავიდა, რადგან „Car Sur le motif"[1] იმყოფებოდა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, მუშაობა უკვე მაშინ, იმდენად მნიშვნელოვანი გამხდარიყო მისთვის, რომ ვერავითარ გამონაკლისს ვეღარ ითმენდა, ისეთსაც კი, თავისი ღვთისმოშიშობა რომ ავალებდა.

მან თანდათან გაითქვა პარიზში სახელი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცნობილი ხდებოდა. მაგრამ ასეთ წარმატებას, რისთვისაც თვითონ არ იღწვოდა ,სხვანი კი იღწვოდნენ და თან როგორ, იგი უნდობლად ეკიდებოდა, რადგან ჯერ ისევ კარგად ახსოვდა, მისი ცხოვრებისა და შინაგანი წვის რა მცდარი სურათი დახატა ზოლამ (რომელიც მისი თანამემამულე და ახალგაზრდობის მეგობარი იყო) რომანში „შემოქმედება". მან შემდეგ სამუდამოდ შეაქცია ზურგი ყველა კალმოსანს: „Travailler sans le souci de personne A de-

1. ეტიუდებზე.
2. მხოლოდ იმუშაო, არავის მიაქციო ყურადღება და ასე გახდე ძლიერი.

venrford"[3] ერთხელ ახე მიახალა თურმე თავის სტუმარს. მაგრამ შემდეგ შუა სუფრიდან წამოვარდა, როცა იგივე სტუმარმა პრენჰოფერზე ჩამოაგდო სიტყვა. მხატვარზე, რომლის სახეც მომავლის განსაცვიფრებელი წინასწარხედვით შექმნა ბალზაკმა ნოველაში: „უცნობი შედევრი" (მე მიამბნია შენთვის მის შესახებ), ფრენჰოფერი კი დაუძლეველ ამოცანას შეეჭიდა და შეეწირა კიდეც: როცა აღმოაჩინა, რომ არავითარი კონტური არ არსებობს, არის მხოლოდ მოთრთოლვარე, შეუმჩნეველი გადასვლები. და აი, ამის გამგონე მოხუცი სუფრიდან წამოვარდა, თუმცა მადამ ბრემონი ასეთ უსაქციელობას არავითარ შემთხვევაში არ შეიწყნარებდა. აღელვებისაგან ხმაწართმეული იგი მკერდში ირტყამდა თითს, საკუთარ თავზე მიანიშნებდა. დიახ, სწორედ საკუთარ თავზე, თუმცა, ხომ წარმოგიდგენია რა მტკივნეული იქნებოდა ეს მისთვის. ზოლა ვერაფერს მიხვდა. მხოლოდ ბალზაკმა იგრძნო გუმანით, რომ ხატვის დროს ანაზდად შეიძლება ისეთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდე, რომელსაც ვერავინ მოერევა.

და მაინც, მეორე დღეს თავიდან ებიდებოდა დაუძლეველს. ექვს საათზე უკვე ფეხზე იყო და სახელოსნოსკენ მიიჩქაროდა. იქ ათ საათამდე რჩებოდა, მერე იმავე გზით ბრუნდებოდა უკან. საუზმობდა და ისევ მიდიოდა. ზოგჯერ სახელოსნოს ნახევარი საათის სავალზე გასცდებოდა და ველზე გავიდოდა „sur le motif", სადაც სენ-ვიქტუარის დიდებული მთა აღმართულიყო, და იქ საათობით იჯდა ჩანაფიქრით შეპყრობილი (რომლის შესახებაც სიამოვნებით ლაპარაკობდა და, რაც ძალზე საგულისხმოა, როდენის სიტყვებით). საერთოდაც ლაპარაკით როდენს მაგონებს. მაგალითად, თუნდაც მაშინ, როცა ჩივის, როგორ ამახინჯებენ დღითიდღე და სახეს უკარგავენ მის ქალაქს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ, სადაც როდენის დინჯი, შეგნებული წონასწორობა საქმიან დასკვნამდე მიდის, სეზანს, ავადმყოფსა და მარტოსულ მოხუცს სიშმაგე იპყრობს. საღამოს შინ მიმავალს ქალაქში სულ მცირე ცვლილებაც კი გულზე ხვდება. ბრაზობს და როცა ამჩნევს, თუ როგორ ანადგურებს ეს გრძნობა, საკუთარ თავს სიტყვას აძლევს, ფეხს აღარ გავდგამ არსად, მხოლოდ ვიმუშავებ და ვიმუშავებო. პატარა ექსის უკეთური ფერისცვალებით შეძრწუნებული, ასკვნიდა, სხვა დიდ ქალაქებში რაღა უნდა ხდებოდესო. ერთხელ საუბარი ჩამოვარდა თანამედროვეობაზე, ინდუსტრიასა და საერთო მდგომარეობაზე, მან იფეთქა: „Ca vatal c'est.[3]

შორიდან რაღაც გაურკვეველი, საშინელი ძალა მოიწევს, აქ, ექსში კი გულგრილობა და ცინიზმია. ახლა წარმოიდგინე ყოველივე ამის ფონზე მოხუცი, რომელიც შიშველ სხეულებს იმ ძველი ჩანახატების მიხედვით ხატავს, ორმოცი წლის წინ პარიზში რომ გააკეთა, რადგან იცის, რომ ექსში არავინ მისცემს მოდელის ხატვის უფლებას. „ჩემს ასაკში, — ამბობდა ის, — ორმოცდაათ წელს გადაცილებულს თუ ვიშოვი. ექსში კი ამ ასაკის მოდელიც სანთლით საძებარია." ისიც ძველი ჩანახატების მიხედვით ხატავს. საბანზე დააწყობს ვაშლებს, რომლებსაც მადამ ბრემონი ერთ მშვენიერ დღეს უთუოდ მოისაკლისებს, შუაში ღვინის ბოთლებს ჩადგამს ან იმას, რაც ხელში მოხვდება. ამ ნივთებისაგან (ვან გოგივით) საკუთარ „წმინდანებს" ქმნის და ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲡ ლამაზები იყვნენ, მისთვის მთელ სამყაროდ იქცნენ, მთელი ბედნიერება და ბრწყინვალება დაიტიონ. არ კი იცის, შეძლო ეს თუ ვერა. მერე ბაღში ზის ბებერი ძაღლივით, რომელსაც პატრონად მუშაობა გაუხდია და ეს პატრონი ხან დაუძახებს, ხან სცემს და აშიმშილებს; ის კი მაინც მთელი თავისი არსებით ამ უცნაურ, მკაცრ პატრონსაა მიჯაჭვული, რომელიც მხოლოდ კვირაობით უშვებს ღმერთთან, მის პირველ მეუფესთან, ისიც ცოტა ხნით. ექსში კი ხალხს თავი მოსწონს სეზანით, პარიზში მის გვარს მოწიწებით ახსენებენ, თან ემაყებათ საკუთარი განსწავლულობა.

სულ ეს არის, რაც მინდოდა შენთვის მეამბნა. იგი ბევრ რამეში ჩვენც გვეხება, ჩვენეულიცაა.

გარეთ თავსხმაა. მშვიდობით... ხვალ კიდევ მოგწერ ჩემს შესახებ, მაგრამ ალბათ იგრძენი დღესაც რამდენი ვილაპარაკე საკუთარ თავზე.

კლარა რილკეს

პარიზი, 10 ოქტომბერი 1907 წელი.

...ისევ დავდივარ სეზანის დარბაზში, რომელსაც გუშინდელი წერილის მერე, ალბათ, ცოტათი მაინც წარმოიდგენ. ზოგიერთი სურათის წინ დღესაც ორი საათი დავყავი. ვგრძნობ, როგორადაც სასარგებლოა ეს ჩემთვის. შენთვისაც ეს ასევე ბევრის მთქმელი იქნებოდა თუ არა, ერთბაშად ვერ გეტყვი. კაცმა რომ თქვას, ორ ან სამ კარგად შერჩეულ სურათში მთელი სეზანი მოჩანს. ჩვენ აქამდეც შეგვეძლო, თუნდაც კასირერთან, დაგვენახა ის, რასაც ახლა სეზანის სურათებში ვხედავ, მაგრამ ამ, ქვეყნად ყველაფრისთვის დიდი დრო გვჭირდება. მახსენდება, როგორი შინაგანი გაუცხოებითა და უნდობლობით მიიღეს მისი პირველი ნამუშევრები, როცა ისინი ჯერ კიდევ უცნობ სახელთან ერთად წარსდგნენ

[3] საშინელებაა... რა საზიზღარია ცხოვრება!

საზოგადოების წინაშე. მერეც კარგა ხანს კრა-ფუნულობდა და, აი, ანაზდად იეხილით თვა-ლით. აქ რომ ჩამოსულიყავი, მიგიყვანდი სუ-რათთან — „საუზმე მოლზე", სადაც ტყის ელვარე სიმწვანეში შიშველი ქალია გამოსა-ხული. იგი ყოველ წერტილში მანეა, ყოველი ფუნჯის მონასმში გამომსახველობის გამოუ-თქმელი ძალა ფეთქავს. მას ვერ აღწერ, იგი მრავალი ცდისა და ამით გვერდის შემდეგ ანაზ-დად მიენიჭება მხატვარს. მხატვრის ოსტატო-ბა თითქოს მთლიანად უნაზესად განზავდა სუ-რათში, ქრება, საერთოდ აღარ არსებობს არავითარი გამომსახველი ხერხები. გუშინ დიდხანს ვიდექი ამ სურათთან. მაგრამ ეს სას-წაული ყოველთვის მხოლოდ ერთისთვის ხდე-ბა, წმინდანისთვის, ვისაც მონიჭებული აქვს საამისო ძალა. სეზანს, მიუხედავად იმისა, რომ მანე ხყავდა წინამორბედად, ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო.

მშვიდობით, შემდეგ წერილამდე.

კლარა რილკეს
პარიზი, 11 ოქტომბერი, 1907 წ.
(პარასკევი).

... ამას წინათ მატილდა ფოლმიოლერს ვთხოვე შემოდგომის სალონში გამომყოლოდა, რათა ჩემი შთაბეჭდილება იმ ადამიანის შთა-ბეჭდილებისათვის შემედარებინა, რომელიც, ჩემის აზრით, უფრო მშვიდია და ლიტერატუ-რული ზეგავლენისაგან თავისუფალი.

გუშინ აქ ერთად ვიყავით. სეზანს ვერ მოვ-შორდით, უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რამ-ხელა მოვლენაა იგი. წარმოიდგინე ჩემი გაო-ცება, როცა მხატვრობაში საკმაოდ განსწავ-ლულმა და მახვილი თვალის ფოლმოლერმა ეს-ა თქვა: „ძაღლივით იჯდა ხოლმე თავის ტილოს-თან და უბრალოდ უცქერდა, ყოველგვარი ნერვიულობისა და ან რაიმე სხვა განზრახვის გარეშე". მან ძალიან კარგად ილაპარაკა სეზა-ნის მუშაობის სტილზე (რაც კარგად ჩანს მის ერთ-ერთ დაუმთავრებელ ნამუშევარში).

„აი, ეს — ერთ ადგილზე მიმითითა — აი ეს იცოდა და დახატა კიდეც" (ვაშლზე მიჩვენა): „მის გვერდით კი, რადგან ის ჯერ კიდევ არ იცოდა, ცარიელი ადგილია. იგი მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც იცოდა, მეტს არაფერს." „რა სუფთა სინდისი უნდა ჰქონო-და", — ვთქვი მე. „ო, რა თქმა უნდა, იგი ბედნიერი იყო... სადღაც, სულის სიღრმეში..." შემდეგ ფერწერული ტილოები, რომლებიც სხვა მხატვრებთან ურთიერთობისას პარიზში შექმნა, ფერის თვალსაზრისით შევადარეთ მის ყველაზე სრულყოფილ გვიანდელ ნამუშევ-რებს. პირველ ტილოებში ფერი თითქოს თა-ვისთვის იყო. მერე კი სეზანი მას როგორღაც ძალზე თავისებურად უდგება, ჯერ არავერთ ადამიანს არ აღუქვამს ასე ფერი, ფერი მას მხოლოდ საგნის შესაქმნელად სჭირდება. ფერი უნაშთოდ იხარჯება საგნის შექმნაში. ფოლმო-ლერმა ეს-ი ძალიან ზუსტად შენიშნა: „თითქოს სასწორზე დევს: აქეთ საგანია, იქით ფერი. არც მეტი, არც ნაკლები, როგორც ამას წო-ნასწორობა მოითხოვს. შეიძლება მეტი იყოს, ან ცოტა, მაგრამ საგანს [illegible] შეესატყვი-სება". თავად მე ამ აზრამდე, ალბათ, ვერც მი-ვიდოდი. იგი სწორია და ბევრ რამეს განმარ-ტავს მის სურათებში. გუშინ თვალში მომხვ-და, თუ როგორ ბუნებრივად და მანერულო-ბის გარეშე განსხვავდება მისი სურათები ერთ-მანეთისაგან, სრულიად არ აწუხებთ ორიგინა-ლურობა, მყარად სჯერათ, რომ ბუნების უსას-რულო მრავალფეროვნებაში არ ჩაინთქმებიან, არამედ, პირიქით, ბუნების მრავალსახოვნე-ბას თავიანთ შინაგან ამოუწურაობას დაუპი-რისპირებენ, კეთილსინდისიერად და სერიო-ზულად. ძალიან, ლამაზია ეს ყველაფერი...

კლარა რილკეს
პარიზი, 13 ოქტომბერი, 1907 წ.
(კვირადღე)

... მანდაურ შემოდგომაზე მწერდი... ყვე-ლა ის ფერი, შენს წერილში რომ შემოიტა-ნე, ჩემს წარმოდგენაში გაცოცხლდა და პირ-თამდე ამავსო ძალმოსილებითა და ბრწყინვა-ლებით. როცა გუშინ აქ, ნათელში გაღვრილი შემოდგომით ვტკბებოდი, შენ მიახაკებდი სრულიად სხვაგვარ მშობლიურ შემოდგომაზე, წითელ ხეზე რომ არის დახატული როგორც აქაური — აბრეშუმზე. ერთიც შედება გულს და მეორეც: ასე ღრმად გვიდგას ფესვი ყო-ველგვარ ცვალებადობაში, ჩვენ, — ამ ქვეყ-ნად ყველაზე ცვალებადი არსებებს, ყველაფრის წვდომას სურვილს რომ შევუპყრივართ და თუმც ვერ ვწვდებით, ამ ზედაპირს ჩვენივე გულის ხაჯ-მედ ვიხდით, რათა არ გაგვანადგუროს. მე რომ შემეძლოს ახლა თქვენთან ჩამოსვლა, რასაკვირველია, სხვაგვარად შევხედავდი ჭაო-ბისა და მინდვრების მთელ სილამაზეს, მდე-ლოების სასხასა სიმწვანესა და ჩვენს არყის ხეებს. აი, ბუნების ამ ფერიცვალებას, ერთ-ხელ მთელი არსებით რომ განვიცადე, უნდა ვუმადლოდე „ქვმნის" ერთ ნაწილს, მაგრამ ბუნება მაშინ ჩემთვის მხოლოდ ბიძგი იყო, ევოკაცია, ინსტრუმენტი, რომლის სიმებსაც ხელით ვეხები. ჯერ კიდევ ვერ ვბედავდი მას, ვნებდებოდი ძალას, რომელსაც მისი სული ასხივებდა. იგი გადმომეღინა თავისი სივრცით, თავისი ზეჭარბი ყოფიერებით როგორც სა-ულს წინასწარმეტყველება. დიახ, სწორედ ასეა. მე მივაბიჯებდი და ვხედავდი. ვხედავდი არა ბუნებას, არამედ სახეებს, რომელთაც იგი შთამაგონებდა. რა ცოტა შემეძლო მაშინ მისწა-

ვლა სეზანისაგან, ვან გოგისაგან. იმის მიხედვით, თუ რაოდენ საფიქრალს მიჩენს ამჟამად სეზანი, ვამჩნევ, რა ძლიერ გამოვიცვალე. მე ვადგევარ მშრომელის გზას, ალბათ, გრძელ გზასაც; შესაძლოა, ჯერ მხოლოდ ამ გზის პირველ ნიშანსვეტთან ვიმყოფები, მაგრამ მე უკვე მესმის იმ მოხუცისა, რომელიც აგრე შორს წავიდა ამ გზაზე, მარტოკა, ქვეყნად რომ არავინ ჰყავდა ადევნებული ბავშვების გარდა, ქვებს რომ ესვროდნენ (როგორც ეს ერთხელ მარტოსული მხატვრის ფრაგმენტში აღვწერე).

დღეს ისევ ვიყავი მის სურათებთან. საკვირველია, როგორ უცვლიან ისინი ელფერს გარემოს, დარბაზებს შორის რომ დადგე და არცერთსაც არ შეხედო, მათ იქ ყოფნას მაინც იგრძნობ. იგრძნობ, რომ ისინი უზარმაზარ სინამდვილედ ერთიანდებიან. ყველა ეს ფერი თითქოს ერთხელ და სამუდამოდ მოგიხსნის ყოველგვარ ორჭოფობას. ამ წითლისა და ლურჯის სუფთა სინდისი, მათი სადა ჭეშმარიტება ზრდის ადამიანს და, თუ მთელი არსებით მიენდობი, შენთვისაც, რაღაც მნიშვნელოვანს შეიძენ. თანდათან, რაც დრო გავა, მით უფრო მიხვდები, თუ რა აუცილებელია, თვით სიყვარულიც კი დაძლიო. ბუნებრივია, ხელოვანს უყვარს ყოველი საგანი, რომელსაც ქმნის. მაგრამ, თუ ეს სიყვარული გამოამჟღავნა, ნაკლებ კარგი გამოუვა. განსჯას იწყებს, ნაცვლად იმისა, რომ დახატოს. აღარ არის პირუთვნელი და ის, რაც ყველაზე კარგია, სიყვარული, — გარეშე რჩება, აღარ მონაწილეობს საქმეში. ასე წარმოიშობა განწყობის მხატვრობა (რომელიც არაფრით არ სჯობს სიუჟეტურს). მხატვარი ხატავს. „მე მიყვარს ეს საგანი, ნაცვლად იმისა, რომ დახატოს: აი, ეს საგანი, ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა დაინახოს: მიყვარდა, რაც დავხატე, თუ არა. ამის ჩვენება სრულიადაც არ არის საჭირო. ზოგმა შეიძლება იმის მტკიცებაც კი დაიწყოს — აქ სიყვარულის ხსენებაც არ არისო, ისე ბოლომდე იხარჯება სიყვარული შემოქმედებაში. სიყვარულის ასეთი დახარჯვა ანონიმურ შრომაში, საიდანაც ამგვარი წმინდა საგნები წარმოიქმნება, ამ მოხუცამდე, ჯერ, ალბათ არავის გამოსვლია. ამაში ეხმარებოდა ეჭვად ქცეული და გაღიზიანებული შინაგანი ბუნება. დარწმუნებული ვარ, არცერთ ადამიანს არ უმხელდა თავის სიყვარულს, რადგან ასე ესმოდა. ეს განწყობა, რომელიც მისმა თავისებურმა ხასიათმა უკიდურესობამდე მიიყვანა, სეზანმა ბუნებაზეც გადაიტანა; მან ისწავლა, არ გამოემჟღავნებინა სიყვარული ვაშლისადმი, რათა დახატულ ვაშლში სამუდამოდ უკვდავეყო იგი. შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ გამოიყურება ყოველივე ეს ტილოზე?

გამომცემლობა „ინზელიდან" პირველი კორექტურები მივიღე. ამ ლექსებში ინსტინქტური საწყისებია ამგვარი ფარული ობიექტურობისათვის. „ქურციკი" დავურთე, იგი მომწონს. ნახვამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### კლარა რილკეს

პარიზი, 18 ოქტომბერი, 1907 წ.

(პარასკევი)

... როცა მწერდი, ალბათ, იცოდი, როგორ გამახარებდა შენი აზრი, რომელიც უნებურად გაგჩენია ლურჯი[1] ფურცლებისა და სეზანის ჩემეულ შთაბეჭდილებათა შედარებისას. ყველაფერს რასაც შენ ამბობ და აღელვებული ასკვნი, როგორღაც მეც ვგრძნობდი, თუმცა ვერ ვიტყვი, რამდენად განხორციელდა ჩემში ის უშინაგანესი წინსვლა, როგორიც სეზანის მხატვრობაში ცხადდება. დარწმუნებული კი ვიყავი, რომ პირადი, შინაგანი მიზეზი იყო, სურათების წინ საათობით რომ მაჩერებდა, იმ სურათების წინ, რომლებიც ცოტა ხნის უკან მხოლოდ წამიერ ინტერესს თუ აღმიძრავდნენ, არამც თუ კიდევ და კიდევ მომდომებოდა მათი ხილვა. ახლა უკვე დაძაბულად, მოუთმენლად ველი მათთან ყოველ შეხვედრას. მხატვრობა არ არის ის, რასაც აქ ვსწავლობ (რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არა ვარ ჩემს თავში დარწმუნებული, ცუდად ვარჩევ კარგს ნაკლებ კარგისაგან, ადრე დახატულს გვიან დახატულში ვურევ). ამ მხატვრობაში არის შემობრუნება-გარდატეხა, რომელიც შევიცანი, რადგან მას ჩემს მუშაობაშიც მივაღწიე, ან როგორღაც მივუახლოვდი. ალბათ, შინაგანად დიდი ხანია მზად ვარ ამისთვის, რაზეც ასე ბევრია დამოკიდებული. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყო, რომ სულმა არ წამძლიოს და არ დავწერო სეზანზე, თუმცა ცდუნება დიდია. მაგრამ ის კი არ არის უფლებამოსილი წეროს მხატვრობაზე, ვინც სურათებს ჩემსავით პირად თვალსაზრისიდან აღიქვამს, არამედ ის, ვისაც შეუძლია ისინი მშვიდად შეაფასოს, როგორც არსებული, და მათში მხოლოდ ფაქტი დაინახოს, ჩემს ცხოვრებაში ეს მოულოდნელი შეხვედრა სავსებით გამართლებულია. იგი ჩემი გზის არჩევანსაც ადასტურებს. აი, კიდევ ერთი ღატაკი და რა შორს წავიდა იგი თავის სიღატაკეში ვერლენთან შედარებით, რომელიც (ალბათ ანაქრონიზმი იყო) თავის „ანდერძში" წერდა: Fe ne donse rich aux pauvres parce que, Fe suis pavre mou même! მთელი მისი შემოქმედება არგაცემა, გამწარე-

---

1. ლურჯი ფურცლები — ხელნაწერი „ახალი ლექსებისა", რომელიც რილკემ პარიზიდან მეუღლეს გაუგზავნა

ბული კაცის მიერ ცარიელი ხელების ჩვენება იყო. სეზანს კი უკანასკნელი ოცდაათი წელი ამისთვის არ ეცალა, როდის ეჩვენებინა ხელები? ხოროტ თვალებს ისედაც არ ეპარებოდათ არაფერი და მოურიდებლად ამხელდნენ მათ სიღატაკეს. ჩვენ კი მისი შემოქმედებიდან მხოლოდ ის ვიცით, თუ რა უზარმაზარი და ნაღდი იყო ამ ხელების შრომა ბოლომდე. შრომა, რომელმაც არ იცოდა განსაკუთრებული სიმპათიები და კაპრიზები, რომელიც უკანასკნელ მისხლამდე აწონილია სინდისის უაღრესად მგრძნობიარე სასწორზე, ყოველი ყოფიერი მიუდგომლად რომ დაჰყავს მის ფერით შინაარსზე იმდენად, რომ ფერის სამყაროში იგი ახალ სიცოცხლეს იწყებს, ადრინდელ მოგონებათა კიდეგან. სწორედ ეს უსაზღვრო საქმიანი სიზუსტეა (რომელსაც არ სურს უცხო მთლიანობაში ჩაერთოს). სეზანის პორტრეტებს ჩვეულებრივი მნახველისთვის აღმაშფოთებელსა და სასაცილოს რომ ხდის. ისინი როგორღაც კიდევ ურიგდებიან, თუმცა სრულიად გაუაზრებლად, რომ სეზანი ვაშლებს, სახეს და ფორთოხალს მხოლოდ ფერით გადმოსცემს) რაც მხატვრობაში მათთვის მაინც მეორეხარისხოვან მოვლენად რჩება), მაგრამ უკვე პეიზაჟებში მათი თვალი საკლისობს გააზრებას, ინტერპრეტაციას, უპირატესობის გრძნობას, ხოლო, რაც შეეხება პორტრეტს, ყველაზე დიდ ობივატელამდეც კი მიუღწევია ხმას იმის შესახებ, რომ აქ აუცილებელია იდეური ჩანაფიქრი. ასეთი ღრმააზროვნების კვალს ახლადდაქორწინებულთა და საოჯახო ფოტოებშიც კი აღმოაჩენთ. სეზანი მათთვის იმდენად მიუღებელია, რომ კამათის ღირსადაც არ თვლიან. იგი ამ სალონში ისევე მარტოა, როგორც ცხოვრებაში და, მხატვრებიც. თვით ახალგაზრდა მხატვრებიც კი, ფეხს აუჩქარებენ ხოლმე, მის ნამუშევრებთან სურათებით მოვაჭრეებს რომ მოჰკრავენ თვალს...

სასიამოვნო კვირადღეს გისურვებთ ორთავეს...

პარიზი, 19 ოქტომბერი, 1907 წელი

ალბათ გახსოვს... მალტე ლაურიდის ჩანაწერებიდან ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ბოდლერსა და მის ლექსზე — „ლეში". ბევრი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ ლექსის გარეშე ხელოვნებაში ვერ გაიკაფავდა გზას ობიექტური ხედვა, რასაც ამჟამად სეზანთან ვხედავთ. ჯერ ეს ლექსი უნდა დაწერილიყო: მთელი თავისი დაუნდობლობით. მხატვრულ ჭვრეტას ჯერ იმდენად უნდა დაეძლია საკუთარი თავი, რომ საზარელსა და ერთი შეხედვით მხოლოდ საზიზღარშიც დაენახა ᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ, რომელიც ისევე უფლებამოსილი ᲘᲧᲝᲡ, როგორც მთელი დანარჩენი ყოფიერება. ჩვენ არავინ მოგვცა არჩევანის ნება. ხელოვანს არ აქვს უფლება [illegible] ზურგი შეაქციოს... და თუ [illegible] შეცოდა, აღარ მიეტევება და სამუდამოდ დაეხშობა მადლის კარი. წარიწყმიდება, ცოდვილად იქცევა. ფლობერმა, რომელმაც წმინდა ჟიულენის ლეგენდა ფრთხილად და გულისხმიერად მოგვითხრო ხელახლა, ამ ლეგენდის სასწაულს სადა დამაჯერებლობა მიანიჭა, რადგან მწერალი გულის სიღრმეში თავადაც მზად იყო ასეთი გადაწყვეტილებისათვის და სიხარულით ეთანხმებოდა წმინდანის ყოველ ნაბიჯს. აი, ეს კეთროვანთან ერთად დაწოლა და მისი გათბობა საკუთარი გულმხურვალებით, ღამის სიყვარულის ღამეთა გულმხურვალებით,, აი, ეს ოდესმე უნდა მოხდეს შემოქმედის ცხოვრებაში, როგორც თვითგადალახვა უმაღლესი ნეტარებისთვის. ალბათ, წარმოიდგენ, როგორ ავღელდი, როცა წავიკითხე, რომ სეზანს ბოდლერის სწორედ ეს ლექსი — „ლეში" — ზეპირად ხსომებია სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე და სიტყვასიტყვით, თავიდან ბოლომდე წარმოთქვამდა ხოლმე. რა თქმა უნდა, მის ადრეულ პერიოდშიც ნახავთ ისეთ სურათებს, სადაც მან საკუთარი თავი გადალახა ყოვლისმომცველი სიყვარულისაკენ მიმავალ გზაზე. აი, ამ თავგანწირვის შემდეგ იწყება თავდაპირველად სულ მცირედით — წმინდანობა: უბრალო ცხოვრება სიყვარულისა, რომელმაც ყველაფერს გაუძლო, და არ ტრაბახობს ამით; რომელმაც გზა მპოვა ყველაფრისაკენ მარტომ, შეუმჩნევლად, უსიტყვოდ. ნამდვილი შრომა, ამოცანების სიმრავლე მხოლოდ ამ გამარჯვების შემდეგ იწყება და, ვინც აქამდე ვერ მიაღწია, მან ზეცაში შეიძლება იხილოს ქალწული მარიამი. ზოგიერთი წმინდანიცა და პატარ-პატარა წინასწარმეტყველნიც მეფე საულიცა და Charles le Téméraire მაგრამ ჰოკუსაისა და ლეონარდოზე, ლი-ბოსა და ვიიონზე, ვერლენზე, როდენსა და სეზანზე, მით უმეტეს, მამაზეციერზე, იქაც მხოლოდ სხვათა მოთხრობით ეცოდინება.

ანაზდად და პირველად ჩავწვდი მალტე ლაურიდს ბრიგეს ბედს. ხომ არ აღემატებოდა ეს გამოცდა მის ძალას? იქნებ მან, სინამდვილის პირისპირ მდგარმა, ვერ დაძლია იგი, თუმცა დარწმუნებული იყო ამის აუცილებლობაში, და თან ისე ძლიერ, რომ ინსტინქტურად მანამდე ეძებდა, ვიდრე საძებარმა თვითონვე არ

1. არაფერს ვუტოვებ ლატაკებს, რადგან თავადაც ლატაკი ვარ.

1. ბურგუნდიის ჰერცოგი კარლ მამაცი (1433-1477)

შეიპყრო და მერე აღარც დაეხსნა. მალტე ლაურიდსის წიგნი, თუ მას ოდესმე დავწერ, სხვა არაფერი იქნება, თუ არა ამ ჭეშმარიტების დადასტურება იმ ადამიანის მაგალითზე, ვისთვისაც იგი დაუძლეველი აღმოჩნდა. იქნებ მან კიდეც დაძლია იგი: ხომ დაწერა კამერმერის სიკვდილი? მაგრამ რასკოლნიკოვივით მთლიანად დაიხარჯა ამ საქმეში და, როცა მოქმედება უნდა დაეწყო, სწორედ მაშინ უმტყუნა ძალამ; ასე რომ, ახლადმოპოვებული თავისუფლება მის წინააღმდეგ შემოტრიალდა და იგი, ღონეგამოლეული, ძირს დასცა ...

ერთ მშვენიერ დღეს გაჩნდება დრო, სიმშვიდე და მოთმინება, რომ განვაგრძო მალტე ლაურიდსის ჩანაწერებზე მუშაობა, ახლა გაცილებით მეტი ვიცი მასზე, უფრო სწორად, მეცოდინება, თუკი საჭირო იქნება.....

პარიზი, 21 ოქტომბერი, 1907 წელი

... აი, რა მინდოდა კიდევ მეთქვა სეზანზე: მანამდე არასოდეს ასე ცხადად არ უჩვენებიათ, თუ რა ძლიერ არის მხატვრობა ფერის საქმე, როგორ უნდა მიუშვა ფერები თავიანთ ნებაზე, რათა თვითონვე გაარკვიონ თავიანთი ურთიერთმიმართება. მათი ურთიერთობა—აი, ესაა მთელი მხატვრობა. ვინც შეეცდება ამაში თავისი წესრიგი შეიტანოს, თავისი შეხედულება ან მახვილგონიერება მოახვიოს თავს, აგრძნობინოს საკუთარი უპირატესობა, იგი ხელყოფს მათ სიწმინდეს, დააკნინებს შემოქმედების ძალას. მხატვარი არ უნდა მიდიოდეს თავისი განზრახვების გაცნობიერებამდე (როგორც საერთოდ ყველა ხელოვანი). მისი შინაგანი, მისთვისვე იდუმალი წინსვლა ისე სწრაფად უნდა განვითარდეს საქმეში, რეფლექსის ზვერდავლით, რომ მან ვერც კი უნდა მოასწროს მას თვალი შეავლოს. ვინც თავის წინსვლას ჩაუსაფრდება, დააკვირდება, შეაჩერებს, მისთვის ის ისე თვალდათვალ შეიცვლის იერს, როგორც ბაჯაღლო ოქრო ზღაპარში, რომელიც ვეღარ დარჩება ოქროდ, რაკი რაღაც თუნდაც სულ მცირე რამ დააკლდა. თუ ვან გოგის წერილები ისე კარგად იკითხება და ისე ღრმააზროვანია, ეს მხოლოდ მის წინააღმდეგ ლაპარაკობს, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ მან (სეზანისაგან განსხვავებით) ზუსტად იცოდა, რაც უნდოდა, მაგალითად, იცოდა, რომ ლურჯი ფერი ნარინჯისფერს უხმობს, მწვანე კი წითელს. ეს ყველაფერი მას, საკუთარმა შინაგანმა იდუმალმა თვალმა უკარნახა. ისე ხატავდა იგი სურათებს მარტოოდენ კონტრასტულობის გულისთვის, თან მხედველობიდან არ რჩებოდა იაპონური ფერის გამარტივების ხერხიც. სიბრტყეებს ტონთა გამკვეთრების ან დაცხრომის მიხედვით რომ განალაგებს, ბოლოს კი ერთ მთლიანობად აჯამებს. ამას ისევ იაპონელთა მკვეთრ და, მაშასადამე, გამოგონილ [illegible]ან მივუყვართ, თანაბარმნიშვნელოვან სიბრტყეებს, რომ შემობაზავს, მაშასადამე, მივუყვართ შიშველ წინასწარგანზრახულობასთან[illegible]ის თვითნებობასთან, ერთი[illegible]აცხასთან. ერთმა კალმოსანმა მხატვარმა, რომელიც, მაშ, არც იყო მხატვარი, სეზანი აიძულა თავისი წერილებით გამოეთქვა აზრი ფერწერის საკითხებზე, მაგრამ თუ მოხუცის საპასუხო წერილებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ყველაფერი უმწეო, მისთვისვე უსიამოვნო მცდელობად დარჩა, თითქმის ვერაფერი თქვა, როგორც კი ახსნას დააპირებდა, წინადადებები უსაშველოდ უგრძელდებოდა, ერთმანეთში ეხლართებოდა, არ ემორჩილებოდა, ბოლოს, წონასწორობიდან გამოსული, გახელებული წერას თავს ანებებდა. სამაგიეროდ, სრულიად ნათლად წერდა: „მე მგონი, ყველაზე კარგი მაინც მუშაობაა..." ანდა: „ყოველდღე წინ მივიწევ, თუმცა ძალიან ნელა", ან კიდევ: „სამოცდაათის ვხდები", ანდა: „მე თქვენ სურათებით გიპასუხებთ", ან „hyble et colossal Pissaro.)[1] ვინც მუშაობა ასწავლა), ან: (თითქოს დიდი ტვირთი მოიშორაო) ქვეშ შეუმოკლებლად გამოჰყავს თავისი სახელი: „მხატვარი პოლ სეზანი" ბოლო წერილში (1906 წლის 21 სექტემბრის თარიღით) იგი ჯანმრთელობას უჩივის, უბრალოდ წერს: „Ie continue donue mes etudes"[2], აქვეა მისი სურვილი, რომელიც ზუსტად აუცხადდა: Ie me suis jure de mourir éro pelgnant[3] როგორც სიკვდილის როკვის ამსახველ ერთ ძველ სურათზე, სიკვდილი მასაც ზურგიდან მიეპარა, ხელი გაუჩერა და უკანასკნელი შტრიხი თვითონ გაავლო, სიამოვნებისაგან აცახცახებულმა; მისი ჩრდილი კარგა ხანს ეფინა პალიტრაზე; სიკვდილს საკმაო დრო ჰქონდა, რათა ნახევარრკალად განლაგებული ფერებიდან ის ფერი აერჩია, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონდა. როგორც კი მხატვრის ფუნჯი ამ ფერში ჩაეწობა, სიკვდილიც მაშინვე ჩაერევა და დახატავს... აი, ეს ფერიც, სიკვდილმა ხელი სტაცა ფუნჯს და თავისი შტრიხი გაავლო, ერთადერთი, რომელიც იცოდა.

გადაუღებლად წვიმს... ხვალ იკეტება სალონი, რომელიც ამ ბოლო ხანებში ლამის ბინად მექცა...

პარიზი, 22 ოქტომბერი, 1907 წ.

... დღეს იკეტება სალონი, როცა იქიდან

2. რილკეს რომანის „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანახატები". ერთ-ერთი ეპიზოდი.

1. თავმოდრეკილი და დიდი პისარო.
2. მე მაინც განვაგრძობ ეტიუდებზე მუშაობას.
3. ვფიცავ, მოვკვდე ფუნჯით ხელი

უკანასკნელად გამოვედი, ისევ მომინდა იისფერი, მწვანე, ლურჯი. ტონებისთვის შემეხედა, რომლებიც, ასე მგონია, უკეთესად უნდა დამენახა, რათა სამუდამოდ დამემახსოვრებოდა. წითელ სავარძელში ჩამჯდარი ქალის ფერთა დიდებულ ჰარმონიას ისევე ვეღარ ვიმეორებ მეხსიერებაში, როგორც მრავალნიშნა ციფრს, თუმცა მის წინ ფეხმოუცვლელად ვიდექი ხოლმე და ყურადღებით ვაკვირდებოდი, მაგრამ განცდაში ეს სურათი ისე ღრმად ჩამებეჭდა, რომ ძილშიაც ვეღარ ვიშორებ. თითქოს ჩემი სისხლი გამუდმებით ხატავდეს მის კონტურს, მაგრამ სიტყვები სადღაც განზე გადიხრიან, არ მეკარებიან. მოგწერე ამ ქალის შესახებ? — მიწისფერმწვანე კედლის წინ, რომელზედაც კობალტის ლურჯი ფერის ჯვრისებური ფიგურა (შუაში ცარიელი ადგილით) მეორდება, დგას წითელი, რბილი, დაბალი სავარძელი: მასიური მომრგვალებული საზურგე წინაა გადმოხრილი, იდაყვის საბჯენები ყრუდაა შეკეცილი, (როგორც მკლავებწაკვეთილი კაცის სახელოები) და ზედ ეშვება სინგურისფერი ფოჩი. იგი კედლის ფონზე აღარ იკითხება, არამედ განიერ ზურმუხტისფერ ზოლზე, რომელიც ქვემოდან გასდევს სურათს და მასთან მკვეთრ კონტრასტშია. ამ წითელ სავარძელში, რომელიც თავისთავად უკვე პიროვნებაა, ქალი ზის, ხელები კალთაში ჩაუწყვია, თავისუფლად ჩაშვებული ზოლებიანი კაბა ოდნავაა მინიშნებული მომწვანო-მოყვითალო და მოყვითალო-მომწვანო ვერტიკალური ზოლებით. მოლურჯო-ნაცრისფერ ჟილეტანაშლე, რომელიც წინ აბრეშუმის ბაფთითაა შეკრული. ყველა ერთმანეთის მონათესავე ფერი გამოყენებულია ქალის ნათელი პირისახის უბრალო მოდელირებისათვის: საფეთქლებთან მრგვალად ავარცხნილი წაბლისფერი თმა და თვალების თაფლისფერი ციმციმი გარემოს ეთანხმება. თითქოს ყოველმა წერტილმა იცის სხვა დანარჩენთა არსებობის შესახებ... ისე აშკარად მონაწილეობს თითოეული წერტილი ყველაფერში, ისე დაუფარავად მოჩანს მასში მიზიდულობისა და განზიდვის თამაში, ისე იღწვის ყოველი მათგანი წონასწორობისათვის, და კიდევაც აღწევს ამას. მთელ სურათს სინამდვილე წონასწორობაში მოჰყავს და თუ ვამბობთ, წითელი სავარძლით, (იგი მართლაც პირველი და საბოლოო წითელი სავარძელია მთელს მხატვრობაში), იგი ასეთია მხოლოდ იმიტომ, რომ მასში თავმოყრილია ფერთა ნაცადი შეხამება, რომელიც, როგორც არ უნდა იყოს, თავისთავად აძლიერებს და ამკვეთრებს მას სიწითლეს. სავარძელი და ამაშია გამომსახველობითი ძალაც — ისე მძიმედ, შემოხაზავს ადამიანის მსუბუქ ფიგურას, რომ ტილოზე თითქოს ცვილისებრი ფენა წარმოიქმნება; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფერი მაინც არ სჯაბნის საგანს, რომელიც ისეთი სრულყოფილებითაა გარდასახული თავის ფერწერულ ეკვივალენტად, რომ, რა ზუსტადაც არ უნდა იყოს იგი გამოსახული, მისი მეშჩანური რეალობა მაინც მთელ თავის სიმძიმეს კარგავს სურათის საბოლოო, სრულქმნილ ყოფიერებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 ოქტომბერი, 1907 წელი.

... წუხელ ვფიქრობდი, შევძელი კია, „ქალი წითელ სავარძელში" როგორღაც მაინც მომეტანა შენამდე? არა ვარ დარწმუნებული, მიახლოებით მაინც თუ შევძელი გადმომეცა ფერთა ძალა. სიტყვები, როგორც არასდროს, უძლური მეჩვენა და მაინც უნდა არსებობდეს საშუალება, დაიმორჩილო ისინი; თუკი ასეთ სურათს როგორც ბუნების მოვლენას ისე შეხედავ, მაშინ მას როგორღაც სიტყვიერადაც გამოხატავ. ერთ წამს მომეჩვენა, რომ ავტოპორტრეტზე უფრო ადვილად ვილაპარაკებ, იგი, როგორც ჩანს, უფრო ადრეა დახატული. მხატვარი ჯერ არ იყენებს მთელ პალიტრას, იგი სადღაც პალიტრის შუაგულში ჩერდება; ოქროსფერს, ყანგმიწას, ნარინჯისფერსა, წითელ ლაქსა და იისფერ მეწამულს შორის. მაგრამ, როცა თმასა და ტანისამოსს ხატავს, ხახხასა იისფერისა და ყავისფერის ყველა ელფერს იყენებს, რაც კონტრასტს ქმნის კედელთან, რომელიც შესრულებულია რუხი და მკრთალი სპილენძის ფერებით. მაგრამ, თუ უფრო დააკვირდები, ამ სურათის სიღრმეში აღმოაჩენ ბაც მწვანესა და მაძღარ ლურჯ ფერს: ისინი აზუსტებენ თეთრ ლაქებს და აძლიერებენ მოწითალო ტონებს. აქ საგრძნობლადაა გამოკვეთილი თვით სურათის საგანიც და სიტყვებიც. ასე უძლურნი ფერწერული ფაქტის გადმოცემაში, სიხარულით უბრუნდებიან თავიანთ სფეროს და აღწერენ, თუ რა არის გამოსახული, ჩვენ გვიმზერს კაცი, რომლის სახეც მარჯვენა მხრიდან სამი მეოთხედითაა ჩვენსკენ მობრუნებული. მუქი თმა კეფაზე მოქცეულია და ყურებზე ისე აფენია, რომ თავის ქალის მთელი კონტური მოჩანს; არაჩვეულებრივი დამაჯერებლობითაა შემოხაზული მტკიცე და თან მრგვალი შუბლი, თითქოს ერთი ნაჭრისგან გამოთლილი; მისი სიმტკიცე იქაც კი იგრძნობა, სადაც იგი, ფორმად და სიბრტყედ ქცეული, მხოლოდ გარეთა საზღვრად აღიქმება უამრავ სხვა კონტურს შორის. წარბების თაღების მონახაზი ერთხელ კიდევ წარმოაჩენს ამ შიგნიდან გამოკვეთილ, ძლიერი თავისქალის სტრუქტურას. ამ თაღებში მკიდია, თითქოს ყოველი ნაკვთი ცალ-ცალკე ჩამოუკიდიათო, არაჩვეულებრივი და თანაც უაღრესად უბრალო სახე, რომელშიც აღბეჭდილია შეუკავებელი ცნობისმოყვარეობა, ბავშვებსა და გლეხებს თავს რომ ავიწყებინებს ხოლმე. ოღონდ მათი ფაზრო გაშტერების ნაცვლად

აქ ნადირის დადარაჯებული სიფხიზლე შემოგვ-ყურებს. თუ როგორი ფხიზელი და არაჩვეუ-ლებრივად მოუსყიდველი იყო მისი გამოხედვა, გულისამაჩუყებლად ადასტურებს მისი სახის გამომეტყველება, რომელსაც ქედმაღლობისა და ბრძნობის ნასახიც კი არ ატყვია. სეზანმა ეს აღბეჭდა უპრეტენზიო ობიექტურობით, საქმია-ნად დაინტერესებული ძაღლის ცნობისმოყვა-რეობითა და რწმენით, იმ ძაღლისა, საკუთარ თავს სარკეში რომ უყურებს და ფიქრობს: აი, კიდევ ერთი ძაღლი.

მშვიდობით... იქნებ, ჩემი მონაყოლიდან დაინახო მოხუცი, ვისზეც იგივე შეიძლება ით-ქვას, რასაც თვითონ პისარო მიაწერდა: humble et colossal დღეს მისი გარდაცვალების დღეა.....

24 ოქტომბერი, 1907 წელი.

... გუშინ, როცა ავტოპორტრეტის ფონს ვა-ხასიათებდი, ნაცრისფერი ვთქვი, ღია სპილენ-ძისფერი, ნაცრისფერი ფიგურებით დასერილი, უნდა მეთქვა კი: განსაკუთრებული, ლითონი-სებრი თეთრი, ალუმინი ან რაღაც მაგდაგვა-რი, რადგან ნაცრისფერი, ამ სიტყვის პირდაპი-რი გაგებით, სეზანის სურათებში საერთოდ არ არის. მისი უზომოდ მომთხოვნი თვალისთვის იგი, როგორც ფერი არ არსებობდა. სეზანი ნა-ცრისფერს ძირის ძირამდე ჩახდევდა და იქ ან იისფერს, ან ლურჯს, ან მოწითალოს, ან მწვა-ნეს ხედავდა. განსაკუთრებით იისფერს, რომე-ლიც აგრერიგად ჯერ არავის დაუმუშავებია და დაუხვეწია. იგი მას იქაც კი აღმოაჩენდა ხოლ-მე, სადაც ჩვენი თვალი მხოლოდ ნაცრისფერს ხედავს. სეზანი აქ არ ჩერდება, ნაცრისფერში იისფერ ტონებს აღმოაჩენს, ზოგიერთი საღა-მოს, განსაკუთრებით შემოდგომის საღამოთა მსგავსად, რომელნიც შენობათა ნაცრისფერ ფასადებს იისფრად გადაღებავს და თითქმის ყველა ელფერში ამეტყველებს ხოლმე. ნაზი იასამნისფერიდან ფინური გრანატის მძიმე იის-ფრამდე. როცა ჩემი დაკვირვება ფროილაინ ფოლმიოლერს გავუზიარე და ვუთხარი, ამ სუ-რათებში ნაცრისფერი საერთოდ არ არის-მეთ-ქი (პეიზაჟებში მეტისმეტად მკვეთრად იგრძნო-ბა ყანგ-მიწა, დამწვარი და დაუმწვარი მიწის ფერები, ანუ რომ, იქ ნაცრისფერი ვერც გამნ-დებოდა), მან ყურადღება მიმაქცევინა იმაზე, თუ როგორ გამოსხივებს სურათებიდან რბილი ნაცრისფერი ატმოსფერო, როცა მათ შორის დიდხანს დგახარ. ჩვენ დავეთანხმეთ ერთმანეთს, რომ სეზანის ფერთა ეს შინაგანი წონასწორო-ბა, სადაც არც ერთი ფერი არ ყვირის და თვალში არ გვეჩრება, ქმნის იმ მშვიდ, ხავერ-დოვან ჰაერს, რომელიც Grand Palais[1]

1. სასახლე პარიზში, სადაც იყო გახსნილი „სა-შემოდგომო სალონის" გამოფენა

ცივ დარბაზში ძალიან ძნელი წარმოსაქმნელია. თუმცა სეზანი ვაშლებსა და ფორთოხლებს ქრომისებრი ყვითლითა და ნარინჯისფერი წით-ლით ხატავს, იგი როგორღაც მაინც აბერებს სურათში მათ სიმჭახეს შეარბილოს; ყურში ნათქვამივით ფლერ[illegible] მოქარგულ სა-ლურჯეში, და მისგან[illegible] იღებს, ეს ყველაფერი მათ შორის ხდება, და სხვა ვერა-ვინ ჩაერევა მათ საუბარში. მისი ნატურმორ-ტები ისე არიან საკუთარი თავით გართული, არავისთვის არც სცალიათ. აი, თუნდაც ის თე-თრი სუფრა, ხშირად რომ გვხვდება მის სურა-თებში, მას განსაცვიფრებლად შეუწოვია სუ-რათზე გაბატონებული ფერი. შემდეგ ზედ გან-ლაგებული საგნები, დინჯად და გულწრფელად რომ ლაპარაკობენ ამის თაობაზე, თეთრის, რო-გორც ფერის გამოყენება, მისთვის იმთავითვე თავისთავად ცხადი რამ იყო. შავი თეთრ ფერ-თან ერთად ქმნიდა მისი ვრცელი პალიტრის თავსა და ბოლოს. ძალიან ლამაზ ანსამბლში, რომელსაც ქმნის ბუხრის შავი ფილა მასზე შემოდგმული საათით, თეთრი და შავი (თეთრი სუფრა ფილის ნაწილს ფარავს და მისგან ძირს ეშვება), სხვა ფერების გვერდით, აქ ნამდვილ ფერებად გვევლინებიან; სხვა ფერთა წრეში მიღებულ და მათ გარემოს შეჩვეულ თანაბარ-უფლებიან ფერებად (სხვაგვარად, ვიდრე მა-ნესთან, სადაც შავი ფერი დენის შეწყვეტას ჰგავს, და სხვა ფერებს ისე მკვეთრად უპირის-პირდება, თითქოს აქაური არ იყოს, თითქოს საიდანღაც იყოს მოხული). თეთრ სუფრაზე დგას ყავის ფინჯანი, ნაპირზე მუქი ლურჯი ზო-ლი დაუყვება, დევს მწიფე ლიმონი, დგას დაკბი-ლული თლილი ბოკალი, სულ მარცხნივ კი ბა-როკოს სტილის დიდი ნიჟარა, ყოვლად უცნაუ-რი შესახედავი, წითელი, გლუვი ღრმულით წინ მობრუნებული. მისი შიდა წითელი ფერი ამობურცული ზედაპირისკენ მკრთალდება, უფ-რო ნათელ ტონებში გადადის, და უკან კედელ-ზე სავდრო სილურჯეს იწვევს, რომელსაც ბუ-ხრის თავზე ოქროს ჩარჩოში ჩასმული სარკე კიდევ ერთხელ იმეორებს, უფრო ვრცლად და ღრმად; სარკეში არეკლილი ეს სილურჯე, თავის მხრივ, კონტრასტშია შავ საათზე შემოდგმულ მუშის ლარნაკის რძისფერ-მოვარდისფრო ტონ-თან. ეს კონტრასტი ორჯერ მეორდება. მასში მონაწილეობს თვით ლარნაკი და რამდენადმე შერბილებულად მისი ანარეკლი სარკეში, ამ მუსიკალური გამეორებით სივრცე საბოლოოდ ემიჯნება სარკის სივრცეს. სურათი მოიცავს ორივეს, როგორც კალათა ხილსა და ფოთოლს: თითქოს ყველაფერი ასევე ადვილად ხელშესახელები და გასაცემი იყოს. მაგრამ აქ კიდევ ერთი საგანია, იგი შიშველ ფილაზე დევს და თეთრი სუფრისკენაა მიწეული: მის დასა-თვალიერებლად კიდევ ვნახავდი ამ სურათს.

მაგრამ სალონი უკვე დაიკეტა. რამდენიმე დღეში აქ გაიხსნება ავტომანქანების გამოფენა და სიჩქარის ფიქს-იდეით შეპყრობილი ყეყეჩი მანქანები დიდხანს იდგებიან აქ.

4 ნოემბერი, 1907 წელი; დილა
მატარებელში, პრაღა-ბრესლა.

... დაიჯერებ, რომ პრაღაში ჩამოვედი სეზანის სანახავად?

პავილიონში, სადაც ადრე როდენის გამოფენა იყო (რაც საბედნიეროდ, დროზე შევიტყვე), თანამედროვე მხატვრობის გამოფენა მოუწყვიათ. ყველაზე კარგად და თავისებურად მონტიჩელია წარმოდგენილი, კარგია მონეც, გამოფენილია პისაროს რამდენიმე სურათიც. დომიეს სამი ნამუშევარი და ოთხი — სეზანისა (ვან გოგი, გოგენი, ემილ ბერნარი — თითო სურათით არიან წარმოდგენილი). მაგრამ დავუბრუნდეთ სეზანს: მჯდომარე კაცის (მ. ვალაბრეკის) დიდი პორტრეტი ძირითადად შავი ფერითაა შესრულებული, ტყვიისფერ შავ ფონზე. სახე და კალთაში ჩაწყობილი გადაჭდობილი ხელები მკვეთრად და კატეგორიულადაა გამოყოფილი აგურისფერით. აქვეა ნატურმორტი, ასევე, ძირითადად შავ ფერში. შავი ფერის მაგიდაზე დევს მოგრძო ფორმის თეთრი პური-ბუნებრივ ყვითელ ტონებში დახატული, თეთრი სუფრა, იქვეა სქელი შუშის მაღალი სასმისი, ორი კვერცხი, ორი თავი ხახვი, თუნუქის სარძევე, პურზე გარდიგარდმო დევს შავტარიანი დანა. აქაც, ოღონდ უფრო შესამჩნევად, ვიდრე პორტრეტში, შავი გამოყენებულია როგორც ფერი და არა როგორც ფერის კონტრასტი. ყველგან იგრძნობა მისი, როგორც ფერის მოქმედება, სუფრის განსაკუთრებულ სითეთრეს დამფენია, შუაში ჩაღრმავება, კვერცხის სითეთრე დაუბინდავს, ხახვის საყვითლე, წაბლისფერ ოქროსავით დაუმძიმებია, (სანამ სურათს ვნახავდი, სწორედ ასე მქონდა მისი შავი ფერი წარმოდგენილი). იქვე გვერდზე ნატურმორტია: ლურჯი საბნით; საბნის ბანალურ ხამხისმიერ სილურჯესა და კედელს შორის, რომელსაც მსუბუქი, ღრუბლისფერი სილურჯე გადაჰკრავს, დგას დიდებული, ნაცრისფრად მოჭიქული, მოზრდილი ქოთანი, მისი დახვეწილობა მკვეთრ კონტრასტს ქმნის მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებულ საგნებთან, აქვეა მოწითსფერი მწვანე ბოთლი ყვითელი კიურობათი, ცოტა მოშორებით თიხის ლარნაკი, ზემოდან ორ მესამედზე მწვანედ მოჭიქული. მეორე მხარეს ლურჯ საბანზე ჩანს ფაიფურის თასიდან ნაწილობრივ გადმოგორებული ვაშლები. მათი სიწითლე პირდაპირ საბნის სილურჯეში მიგორავს, ისევე უშუალოდ გამომდინარეობს სურათის ფერთა ბუნებიდან, როგორც როდენის ორი შიშველი სხეულის შეერთება მათი პლასტიური ურთიერთლტოლვიდან და ბოლოს, კიდევ ერთი პეიზაჟი; მწვანე ფონზე ცისფერი ჰაერია, ლურჯი ზღვა და წითელი სახურავები, რომლებიც ერთმანეთს ესაუბრებიან და ძალიან აღელვებულნი არიან ამ ინტიმური საუბრით, გასაზიარებელიც ბევრი აქვთ.....

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. შტაინერი

გერმანულიდან
თარგმნა ირინე მელიქიშვილმა

# გოეთეს სულიერი წყობა „მწვანე გველისა და შროშანის" ზღაპრის მიხედვით

გოეთესთან მეგობრობის გარიჟრაჟზე შილერი იმ იდეებით იყო გატაცებული, რომლებიც ასახა მის წერილებში „ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ". ეს წერილები თავდაპირველად ჰერცოგ ფონ აუგუსტენბურგისათვის იყო განკუთვნილი, 1794 წელს შილერმა ისინი „ჰორენისათვის"[1] გადაამუშავა. გოეთესა და შილერის იმჟამინდელი საუბრები და მიმოწერა ამ წერილების იდეურ რკალში ტრიალებდა. შილერის გონება შემდეგ საკითხს დასტრიალებდა: სამშვენველის ძალთა როგორი მდგომარეობა შეეფერება ადამიანის ღირსეულ ყოფიერებას? „ყოველი ინდივიდუალური ადამიანი, როგორც თანდაყოლილ ნიჭსა და დანიშნულებას, ისე ატარებს საკუთარ თავში წმინდა იდეალურ ადამიანს, რომლის უცვლელ მთლიანობასთან თანხმობა ყოველგვარ ცვალებადობაში ადამიანური ყოფიერების უდიდესი ამოცანაა" (მეოთხე წერილი). შილერის სურვილი იყო ხიდი გაედო ყოველდღიურობის ადამიანსა და იდეალურ ადამიანს შორის. ადამიანში წარმოდგენილია ორი მისწრაფება: **გრძნობადი** და **გონისმიერი**, რომლებიც, ცალმხრივი განვითარების დროს მისი იდეალური სრულყოფილებით განხორციელებას უშლიან ხელს. თუ გრძნობადი მისწრაფება იმარჯვებს, ადამიანი ინსტინქტებსა და ვნებებს ემორჩილება. ცნობიერებით გაშუქებულ საქმიანობაში მას ამ ცნობიერების დამბინდველი ძალა ერევა. მისი მოქმედება შინაგანი იძულების შედეგი ხდება. ხოლო თუ გონისმიერი მისწრაფება იმარჯვებს, მაშინ ადამიანი ცდილობს ჩაახშოს ინსტინქტები და ვნებები და დაექვემდებაროს აბსტრაქტულ, შინაგანი სითბოსაგან დაცლილ აუცილებლობას. ორივე შემთხვევაში ადამიანზე იძულება ბატონობს. პირველ შემთხვევაში მისი გრძნობადი ბუნება იმორჩილებს სულიერს; მეორეში — სულიერი გრძნობადს. არც ერთი და არც მეორე არ აძლევს სრულ თავისუფლებას ადამიანის არსების ბირთვს, რომელიც მდებარეობს გრძნობადობასა და სულიერებას შორის. თავისუფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მისწრაფების ჰარმონიზების გზით. გრძნობადობა კი არ უნდა ჩაიხშოს, არამედ გაკეთილშობილდეს. ინსტინქტები და ვნებები სულიერებით უნდა განიმსჭვალონ და გადაიქცნენ მათში შემოსული სულიერების განმახორციელებლად. ხოლო გონიერება ადამიანის მშვენიერს უნდა დაეუფლოს ისე რომ ძალა წაართვას ინსტინქტებსა და ვნებებს და ადამიანმა გონიერების რჩევა შეასრულოს ინსტინქტურად, როგორც თავისთავად ცხადი რამ, ამასთან ვნებებისეული ძალით. „როდესაც ვნებით მივილტვით ადამიანისაკენ, რომელიც ჩვენი ზიზღის ღირსია, მაშინ მტკივნეულად განვიცდით **ბუნების იძულებას**. როდესაც მტრულად ვართ განწყობილი ადამიანისადმი, რომელიც ჩვენს პატივისცემას იმსახურებს, მაშინ მტკივნეულად განვიცდით **გონიერების იძულებას**. მაგრამ თუკი ადამიანი ერთდროულად გამოიწვევს სიმპათიას და მო-

1) ყოველთვიური ჟურნალი, რომელსაც შილერი გამოსცემდა.

მოიყვებს პატივისცემას, მაშინვე გაქრება როგორც გრძნობის, ისე გონიერების იძულება და ჩვენ გვიჩნდება მისდამი სიყვარული" (მეთორმეტე წერილი). ადამიანი, რომელიც გრძნობადობაში გამოავლენდა გონების სულიერებას, გონიერებაში კი ვნებათა ელემენტარულ ძალას, იქნებოდა თავისუფალი პიროვნება. თავისუფალი პიროვნების განვითარებაზე სურდა შილერს დაემყარებინა საზოგადოებაში ადამიანთა ჰარმონიული თანაცხოვრება. ჭეშმარიტად ადამიანის ღირსი ყოფიერების საკითხი მისთვის ადამიანთა საზოგადოებაში ჰარმონიული თანაცხოვრების საკითხს უკავშირდებოდა. ეს იყო მისი პასუხი კითხვებზე, რომლებიც მაშინ ადამიანთა წინაშე დააყენა საფრანგეთის რევოლუციამ (ოცდამეშვიდე წერილი).

ამგვარმა იდეებმა გოეთეს უღრმესი კმაყოფილება მიანიჭა. 1774 წლის 28 ოქტომბერს იგი წერს შილერს მისი ესთეტიკური წერილების შესახებ: „გამოგზავნილი ხელნაწერები ერთი ამოსუნთქვით და უდიდესი სიამოვნებით წავიკითხე. როგორც ძვირფასი, ჩვენი ბუნების შესაფერი სასმელი ჩაგვედინება ნეტარად და ენაზევე ავლენს თავის მკურნალ მოქმედებას — ამშვიდებს ნერვიულ სისტემას, — ასევე სასიამოვნო და კეთილისმყოფელი იყო ეს წერილები ჩემთვის. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან ის, რისი სისწორეც მე დიდი ხანია ვაღიარე და რითაც ნაწილობრივ ვცხოვრობ კიდეც, ასეთი მწყობრი და კეთილშობილი სახით ვნახე წარმოდგენილი".

ის, რაც მას ცხოვრებაში უნდოდა განეხორციელებინა, რათა ნება ჰქონოდა ჭეშმარიტად ადამიანის ღირსი ყოფიერებით მცხოვრებად მიეჩნია თავი, შილერის ესთეტიკურ წერილებში ჰპოვა. ამიტომ გასაგებია, რომ პასუხად მის სამშვინველში წარმოიშვა აზრები, რომლებიც გამოხატვასაც თავისებურად, მისთვის შესაფერად შეეცადა. აქედან წარმოიშვა მისი ზღაპარი — გამოცანა, რომლითაც დაასრულა თავისი „გერმანელ ემიგრანტთა საუბრები". იგი „საუბრებში" გამოქვეყნდა 1795 წელს. ეს „საუბრები", ისევე როგორც შილერის ესთეტიკური წერილები, საფრანგეთის მოვლენებს უკავშირდება. არ შეიძლება „ზღაპრის" ახსნას ვეცადოთ გარედან შემოტანილი იდეებით. აუცილებელია დავუბრუნდეთ იმ წარმოდგენებს, რომლებიც იმ დროს ცოცხლობდნენ გოეთეს სამშვინველში.

ზღაპრის ინტერპრეტაციათა დიდი წილი თავმოყრილია ფრიდრიხ მაიერ ფონ ვალდეკის წიგნში „გოეთეს ზღაპრები". ამ წიგნის გამოსვლის სხვა ცდებიც განხორციელდა.

„ზღაპრის" აზრი-შინაარსი უნდა ვეძებოთ „საუბრებში", რომელთა დასასრულსაც ის ქმნის. ამ „საუბრებში" გოეთე აგვიწერს ერთი ოჯახის გაქცევის ამბავს ომით გაპარტახებული ადგილებიდან. ოჯახის წევრთა საუბრებში ცოცხლად წარმოსდგება ის, რაც გოეთეს წარმოსახვაში გააღვიძა შილერთან ურთიერთობამ და იდეათა გაცვლამ. საუბრები აზრთა არა წრეში ტრიალებს. ერთი არის წარმო[illegible]ელთა მეშვეობითაც გოეთე ცდილობს [illegible] ცხოვრებაში შემოჭრილ მოვლენათა კავშირები, რომელთა ახსნაც ვერ ხერხდება გრძნობადი სინამდვილის კანონზომიერებათა მეშვეობით. აქ მოყოლილ ამბავთა ნაწილი წმინდა წყლის მოჩვენებათა ამბებია, ნაწილში კი ისეთი თავგადასავლებია გადმოცემული, რომლებიც ავლენენ არა ბუნებრივ, არამედ „სასწაულებრივ" კავშირებს. გოეთეს ეს მოთხრობები რაიმე სახის ცრურწმენებისაკენ მიდრეკილებამ კი არ დააწერინა, არამედ გაცილებით უფრო ღრმა იმპულსმა. მისთვის უცხო იყო ზოგიერთი ადამიანისათვის დამახასიათებელი სასიამოვნო მისტიური განცდა ისეთი რაიმეს მოსმენისას, რასაც „შეზღუდული", კანონზომიერ მიმართებებზე დამყარებული გონება „ვერ ხსნის". მაგრამ მის წინაშე ყოველთვის იდგა კითხვა: ძალუძს თუ არა ადამიანის სამშვინველს მხოლოდ და მხოლოდ გრძნობადი წარმოდგენათა ტყვეობიდან განთავისუფლება და წმინდა სულიერი ხედვით ზეგრძნობადი სამყაროს წვდომა? ამგვარი შემეცნებითი აქტივობისაკენ მისწრაფება ხომ ბუნებრივ ადამიანურ მისწრაფებას უნდა წარმოადგენდეს, დამყარებულს იმ ფარულ კავშირებზე, რომლებსაც ვერ ხედავს მხოლოდ გრძნობის ორგანოებზე დამყარებული გონება? ხოლო ამ ბუნებრივ კავშირებში შეღწევის მიმანიშნებელი განცდებისაკენ მიდრეკილება სულიერი სამყაროსაკენ გამართლებული მისწრაფებისაგან განსხვავებული უნდა იყოს. გოეთეს უფრო ის აინტერესებდა, რა მიმართულებას იღებს მშვინვიერი აქტივობა ცრურწმენებისაკენ მიდრეკილებისას, ვიდრე იმ მოთხრობების შინაარსი, რომლებსაც ასეთი მიდრეკილების მქონე ბავშვური სამშვინველი წარმოქმნის.

აზრების მეორე წრიდან ხდება იმ წარმოდგენების განხილვა, რომლებიც ადამიანის ზნეობრივ ცხოვრებას ეხება. ადამიანის ზნეობრივ ცხოვრებას სტიმულს აძლევს არა გრძნობადობა, არამედ იმპულსები, რომლებიც მას გრძნობაზე მაღლა აყენებს, რადგან ამ სფეროში ხომ ზეგრძნობად ძალთა სამყარო იჭრება ადამიანის მშვინვიერ ცხოვრებაში.

აზრთა ორივე წრიდან გამოდის სხივები, რომლებმაც დაბოლოება ზეგრძნობადში უნდა ჰპოვონ. მათგან მომდინარეობს კითხვები ადამიანის შინაგანი არსის შესახებ, ადამიანის სამშვინველის ორმხრივი კავშირის შესახებ ერთის მხრივ გრძნობად და მეორეს მხრივ ზეგრ-

ძნობად სამყაროსთან. თავის ესოტერულ წერილებში შილერი ფილოსოფიური თვალსაზრისით მიუდგა ამ კითხვას, გოეთესთვის კი ფილოსოფიის აბსტრაქტული მიდგომა შეუფერებელი იყო, თავისი სათქმელი მას ხატების მეშვეობით უნდა განეხორციელებინა. ეს „მწვანე გველისა და შროშანის ზღაპრის“ მეშვეობით მოხდა. ადამიანის სამშვინველის სხვადასხვაგვარმა ძალებმა გოეთეს ფანტაზიაში ზღაპრის პერსონაჟთა სახე მიიღეს. ამ პერსონაჟთა ურთიერთქმედებისა და თავგადასავალში სურათხატების მეშვეობით ცხადდება ადამიანის სამშვინველის ცხოვრება და მისწრაფება. ამაზე ხშირად გვეუბნებიან: ასეთ შემთხვევაში შემოქმედება ხომ ხელოვნების სფეროდან გამოდის და აბსტრაქტულ ცნებათა არამხატვრულ ილუსტრაციებად იქცევა. ასევე ფიგურებიც სინამდვილის არამხატვრულ სიმბოლოებად და ალეგორიებად გადაქცევას წარმოადგენსო. ასეთი მოსაზრების წყარო წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც ადამიანის სამშვინველი გრძნობადის სფეროს სტოვებს, მაშინ მხოლოდ აბსტრაქტული იდეები რჩება. ამის მთქმელმა არ იცის, რომ ზეგრძნობადი სფერო სიცოცხლით სავსეა ისევე, როგორც გრძნობადი. ბოლო გოეთე თავისი ზღაპრის პერსონაჟებით მოძრაობს არა აბსტრაქტულ ცნებათა, არამედ ზეგრძნობადი ხედვის სფეროში. აქ ნათქვამი პერსონაჟებისა და მათი თავგადასავლის შესახებ გამოთქმული ეს მოსაზრება არ მოასწავებს იმის მტკიცებას, თითქოს: ეს ამას ნიშნავს, ის კი იმას. ჩვენ შორს ვართ სიმბოლურობის მიმანიშნებელი განმარტებებისაგან. ჩვენთვის ლამპრიანი მოხუცი და ტატნები ფანტაზიით შექმნილი ფიგურებია. საძიებელი ისაა, რა აზროვნებითმა იმპულსებმა შეაქმნევინეს მწერლის ფანტაზიას ასეთი ფიგურები. ეს აზროვნებითი იმპულსები გოეთეს აბსტრაქტული ფორმით ნამდვილად არ გაუცნობიერებია. და რადგანაც ასეთი ფორმა მისი სულიერი წყობისათვის მეტად ღარიბი იყო, მან სათქმელი ფანტაზიის ფიგურებით გამოხატა. აზროვნებითი იმპულსი სუფევს გოეთეს სამშვინველის სიღრმეში, ხოლო მისი ნაყოფი კი ფანტაზიისმიერი ფიგურებით ცხადდება. გარდამავალი ხატებური აზრის სახით მის სამშვინველში ცოცხლობს და მიმართულებას აძლევს ფანტაზიას, ვისაც გოეთეს „ზღაპრის“ გაგება უნდა, მან უნდა შეითვისოს შესაბამისი აზროვნებითი შინაარსი. მხოლოდ ამის მეშვეობით შეუძლია მას სამშვინველის ისეთი მშვენიერი განწყობა მოიპოვოს, რომ მოახერხოს ფანტაზიით გოეთეს შემოქმედების დინების გაყოლა. ამ აზროვნებით შინაარსში შეღწევა ნიშნავს მეტნაკლებად იმ ორგანოების შეთვისებას, რომელთა მეშვეობითაც ვიწყებთ იმავე ჰაერით სუნთქვას, რითაც გოეთე სუნთქავდა „ზღაპრის“ შექმნისას. ეს ნიშნავს მზერის წარმართვას ადამიანის იმავე მშვენიერი სამყაროსაკენ, რომელსაც უმზერდა გოეთე, საიდანაც მას — ფილოსოფიური იდეების ნაცვლად — ცოცხალი [illegible] ფიგურები ევლინებოდნენ, [illegible] სახეებში ცოცხლობს, ცოცხლობს ადამიანის სამშვინველში.

წარმოდგენათა სახე, რომელიც განსხეულებულ ზღაპარს „ნაპირებზე“ ჰპოვებს გამოვლენას. ამ „ნაპირებში“ ადამიანების სამშვინველი მიმართულია ორი სამყაროსაკენ, რომელთა შორისაც დგას ადამიანი თავისი ცხოვრების ჩარჩოში — ეს არის გრძნობადი და ზეგრძნობადი სამყაროები. ადამიანის სიღრმისეული, ბუნება ისწრაფვის სწორი მიმართების დამყარებისაკენ ორივე სფეროსთან, თავისუფალი, ადამიანის ღირსებისათვის შესაფერი მშვენიერი მდგომარეობის მიღწევისაკენ და ადამიანთა ჰარმონიული თანაცხოვრების შექმნისაკენ. გოეთე გრძნობდა, რომ „ნაპირებში“ სრულად ვერ გამოხატა ის, რაც ამ ორ სამყაროსთან ადამიანის მიმართების შესახებ ჰქონდა სათქმელი. გოეთეს სურდა, ადამიანის სამშვინველის გამოცანა რომლისკენაც მისი მზერა იყო მიმართული, ფართო ზღაპრული ტილოს მეშვეობით მიეახლოვებინა სულიერი ცხოვრების უსაზღვრო სიმდიდრესთან. „ზღაპრის“ ჭაბუკი განასახიერებს მისწრაფებას ჭეშმარიტად ადამიანის ღირსების შესაბამისი მდგომარეობისაკენ, რომელზეც შილერიც მიუთითებდა და გოეთეც ესწრაფვოდა ცხოვრებას. მისი ქორწინება შროშანთან, რომელიც თავისუფლების სამეფოს განასახიერებს, არის შეერთება ადამიანის სამშვინველში მოქმედ ძალებთან. გაღვიძებულნი, ისინი იწვევენ თავისუფალი პიროვნების ჭეშმარიტ შინაგან განცდას.

●

ერთ-ერთი გმირი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს „ზღაპრის“ მოვლენათა განვითარებაში, არის ლამპრიანი მოხუცი. ლამპრით ხელში კლდის ნაპრალში რომ ჩადის, მოხუცს ეკითხებიან, რომელია უველაზე მნიშვნელოვანი საიდუმლო იმ საიდუმლოთაგან, რომელიც მან იცის. იგი პასუხობს: „გაცხადებული“. ხოლო კითხვაზე, ხომ არ გასცემს ამ საიდუმლოს, მოხუცი პასუხობს: როდესაც გავიგებ მეოთხეს. მეოთხე კი იცის მწვანე გველმა და ყურში უჩურჩულებს მოხუცს. ეჭვი არ არის, იგი ეხება იმ მდგომარეობას, რომლისკენაც მიისწრაფვის „ზღაპრის“ ყოველი პერსონაჟი. ეს მდგომარეობა აღწერილია „ზღაპრის“ ბოლოს. იგი ხატოვნად ასახავს, როგორ ახორციელებს ადამიანის სამშვინველი შეერთებას მის ქვენა ხილ-

რმეებში გაბატონებულ ძალებთან. ამ გზით მიმართება ზეგრძნობადთან — შროშანის სამეფოსთან — და გრძნობადთან — მწვანე გველის სამეფოსთან — იმგვარად წესრიგდება, რომ სამშვენველი თავის განცდებსა და ქმედებაში თავისუფლად იღებს იმპულსებს ორივე სფეროდან, ისე რომ ორივესთან კავშირში მას შეუძლია განახორციელოს თავისი ჭეშმარიტი არსი. უნდა დავუშვათ, რომ მოხუცმა ამ საიდუმლოს შინაარსი იცის, რადგან იგი არის ერთადერთი პირი, რომელიც მუდამ ვითარებაზე მაღლა დგას, რომლის წარმართვასა და ხელმძღვანელობაზეც არის ყველაფერი დამოკიდებული. ამრიგად, შეუძლია გველს რაიმე ახალი უთხრას მოხუცს? მოხუცმა იცის, რომ გველმა მსხვერპლად უნდა გაიღოს თავი, რათა სანატრელი საბოლოო მდგომარეობა იქნას მიღწეული; მაგრამ მხოლოდ მისი ცოდნა ვერ არის საკმარისი. მან უნდა დაიცადოს, სანამ გველი თავისი არსების სიღრმეებში მსხვერპლად შეწირვის გადაწყვეტილებისათვის არ მომწიფდება. ადამიანის მშვენიერი ცხოვრების სფეროში არის ერთი ძალა, რომელსაც სამშვენველის განვითარება მიჰყავს თავისუფალი პიროვნების მდგომარეობამდე. ამ ძალას აქვს თავისი ამოცანა ამ მდგომარეობისაკენ მიმავალ გზაზე. როდესაც ეს მდგომარეობა მიღწეულია, ძალა კარგავს თავის მნიშვნელობას, იგი აკავშირებს ადამიანის სამშვენველს ცხოვრებისეულ გამოცდილებებთან. რასაც მეცნიერება და ცხოვრება იძლევა, იმას შინაგან ცხოვრებისეულ სიბრძნედ გარდაქმნის. იგი სამშვენველს სულ უფრო აღრმავებს სანუკვარი სულიერი მიზნის მისაღწევად. ამ მიზნის მიღწევისას კი კარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან ამყარებს კავშირს ადამიანსა და გარესამყაროს შორის. მიზანთან მიღწევისას ყველა გარეგანი იმპულსი სამშვენველის შინაგან იმპულსად გარდაიქმნება. აქ ამ ძალამ თავი მსხვერპლად უნდა გაიღოს; მან უნდა შეწყვიტოს მოქმედება. გარდაქმნილ ადამიანში მან არსებობა უნდა განაგრძოს დანარჩენი მშვენიერი ცხოვრების განმსჭვალავი ფერმენტის სახით, საკუთარი ცხოვრების გარეშე. გოეთეს სულიერი თვალი განსაკუთრებული ყურადღებით იყო მიმართული ადამიანის სამშვენველის შემადგენელი ამ ძალისაკენ. იგი ხედავდა მის მოქმედებას ცხოვრებისეულ და მეცნიერულ გამოცდილებაში, მას უნდოდა, იგი გამოყენებული ყოფილიყო წინასწარ აღებული მოსაზრებებითა და თეორიებით დასახული მიზნის გარეშე. ეს მიზანი ჯერ გამოცდილებების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს, ხოლო როდესაც გამოცდილებები მომწიფდებიან, მაშინ მათგან მიზანი უნდა იშვას, ისინი წინასწარ განსაზღვრული დასასრულით არ უნდა დამახინჯდნენ. ეს მშვენიერი ძალა განხორციელებულია მწვანე გველში. იგი ითვისებს ოქროს, სიბრძნეს, რომელიც მომდინარეობს ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მეცნიერებისაგან, რომლებიც სამშვენველმა უნდა შეითვისოს ისე, რომ სიბრძნე და სამშვენველი ერთნი გახდნენ. ამ მშვენიერმა ძალამ შესაფერ დროს მსხვერპლად უნდა გაიღოს თავი. იგი ადამიანს მიიყვანს თავის მიზანთან, თავისუფალ პიროვნებასთან. გველი ყურში ეუბნება მოხუცს სწორედ იმას, რომ უნდა თავის მსხვერპლად გაღება, ამით იგი მას ანდობს საიდუმლოს, რომელიც მოხუცისათვის ცხადია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცოდნას ფასი არა აქვს, სანამ იგი არ განხორციელდება გველის თავისუფალი გადაწყვეტილებით. როდესაც ეს მშვენიერი ძალა ადამიანში ლაპარაკობს ისე, როგორც გველი მოხუცთან, მაშინ სამშვენველისათვის „მოწიფულია ჟამი", რათა ცხოვრებისეული გამოცდილება განიცადოს იმ ცხოვრებისეულ სიბრძნედ, რომელიც გრძნობადის ჰარმონიულ მიმართებას ამყარებს ზეგრძნობადთან.

სანუკვარი მიზანი მიიღწევა ჭაბუკის გაცოცხლებით (იგი ნაადრევად შეეხო ზეგრძნობადს — შროშანს და ამიტომ სასიკვდილოდ იქნა პარალიზებული) და შროშანთან შეერთებით, როდესაც გველი, ანუ სამშვენველის ცხოვრებისეული გამოცდილება, მსხვერპლად გაიღებს თავს. მაშინ მოიწევს ჟამი, როდესაც სამშვენველს შეუძლია თავის თავში გასდოს ხიდი მდინარის ორივე ნაპირს შორის. ეს ხიდი თვით ამ გველის მასალისაგან წარმოიქმნება. ამის შემდეგ ცხოვრებისეული გამოცდილება აღარ აგრძელებს საკუთარ ცხოვრებას; იგი აღარ არის მხოლოდ გარეგანი გრძნობადი სამყაროსაკენ მიმართული. იგი გადაიქცა შინაგან მშვენიერ ძალად, რომელსაც, როგორც ასეთს, ცნობიერად აღარ ვამჩნევთ, და რომელიც მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანის შინაგან სამყაროში ურთიერთს ანათებს და ათბობს გრძნობადი და ზეგრძნობადი. გველი რომ ახლა იყოს ამ მდგომარეობის გამომწვევი, მას მაინც არ შეუძლია მარტომ უბოძოს ჭაბუკს ის ნიჭები, რაც მას შეაძლებინებს დაეუფლოს ახლად დაფუძნებულ მშვენიერ სამეფოს. ამას იგი იღებს სამი მეფისაგან. ბრინჯაოს მეფისაგან იგი იღებს ხმალს და დავალებას: „ხმალი მარცხნივ, მარჯვენა თავისუფლად". ვერცხლის მეფე აძლევს კვერთხს და წარმოსთქვამს: „დამწყსე ცხოვარნი". ოქროს მეფე კი თავზე ადგამს მუხის გვირგვინს და წარმოსთქვამს: „შეიცან უმაღლესი". მეოთხე მეფე, შედგენილი სამი მეტალის: სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს ნარევისაგან, უარსო გროვად ჩაიშლება. — იმ ადამიანში, რომელიც თავისუფალ პიროვნებად ჩა-

მოყალიბების გზაზე დგას, სამი მშვენიერი ძალა შერეულად მოქმედებს: ნება (სპილენძი), გრძნობა (ვერცხლი) და შემეცნება (ოქრო). ცხოვრებისეული გამოცდილება ყოფიერების მანძილზე თავისი გამოცხადებების საფუძველზე იძლევა იმას, რასაც სამშვინველი ითვისებს ამ სამი ძალის მეშვეობით: ძალა, რომლითაც მოქმედებს სიქველე, ცხადდება ნებაში; სილამაზე (მშვენიერი ბრწყინვალება) ცხადდება გრძნობაში; სიბრძნე ცხადდება შემეცნებაში. ადამიანს „თავისუფალი პიროვნებისაგან“ თიშავს ის, რომ ეს სამი ძალა მის სამშვინველში შერეულად მოქმედებს; იგი მაშინ მიაღწევს თავისუფალ პიროვნებას თუ სრულიად ცნობიერად მიიღებს ამ სამის ნიჭებს თვითმყოფადად, თითოეულს თავისთავად და შემდგომ,—თავისუფალი ცნობიერი ქმედებით—თვითონ გააერთიანებს მათ საკუთარ სამშვინველში. მაშინ იშლება ნაწილებად ის, რაც მანამდე მასზე იძულების სახით მოქმედებდა—ქაოტური ნარევი ნების, გრძნობის და შემეცნების ნიჭებისა.

სიბრძნის მეფე ოქროსია. „ზღაპარში“ ოქრო ყოველთვის ასახიერებს ამა თუ იმ ფორმით გამოვლენილ სიბრძნეს. ჩვენ უკვე მივუთითეთ იმაზე, თუ როგორ მოქმედებს სიბრძნე ცხოვრებისეულ გამოცდილებაში, რომელიც საბოლოოდ თავს მსხვერპლად გაიღებს. მაგრამ ტატნებიც (მოხეტიალე სინათლეები) თავისებურად ეუფლებიან ოქროს. ადამიანი თავის თავში ატარებს გარკვეულ მშვენიერ მიდრეკილებას (ზოგიერთში ეს მიდრეკილება ისე ცალმხრივად ვითარდება, რომ თითქოს მთელ მის არსებას ავსებს), რომლის მეშვეობითაც იგი ითვისებს სიბრძნეს, ცხოვრება და მეცნიერება რომ აძლევს. მაგრამ ეს მშვენიერი მიდრეკილება არ მიისწრაფვის იქითკენ, რათა სიბრძნე მთლიანად შეუერთოს სამშვინველის ცხოვრებას. იგი რჩება ცალმხრივ ცოდნად, საშუალებად ამა თუ იმის სამტკიცებლად თუ გასაკრიტიკებლად. ემსახურება ადამიანის პიროვნულ ბრწყინვას ან ცხოვრებაში მის ცალმხრივ დამკვიდრებას. არც იმისკენ მიისწრაფვის, რომ გარეგანი გამოცდილების მონაპოვართან შერწყმით თავი გაიწონასწოროს. იგი გადაიქცევა ცრურწმენად, რომელიც გოეთემ „ემიგრანტთა საუბრებში“ მოჩვენებების ამბების მეშვეობით გვიჩვენა, რადგან არ მიისწრაფვის ბუნებრივთან შესაბამისობისაკენ. იგი მოძღვრებად იქცევა სამშვინველის შინაგან არსში სიცოცხლის მიღებამდე. ეს არის ის, რასაც ცრუწინასწარმეტყველნი და სოფისტები დაატარებენ ცხოვრებაში. იგი შორსაა გოეთეს ცხოვრების პრინციპისაგან: ადამიანმა საკუთარ არსებობაზე უარი უნდა თქვას, რომ იარსებოს (არსებობაზე უარი უნდა თქვას არსებობისათვის). გველი, რომელიც ასახიერებს უანგარო სიბრძნის სიყვარულითა და განცდილი სიბრძნით განვითარებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, თავის არსებობას მსხვერპლად გაიღებს გრძნობადობასა და სულიერებას შორის ხიდის შესაქმნელად.

ჭაბუკს დაუძლეველად [illegible] შროშანის სამყარო. რა არის ამ სამყაროს ნაწილები? მიუხედავად შროშანის საუფლოსაკენ უღრმესი მისწრაფებისა, ხიდის აშენებამდე ადამიანებს მხოლოდ დღის გარკვეულ მონაკვეთებში შეუძლიათ იქ შეღწევა. გველს მსხვერპლად შეწირვამდეც შეუძლია შუადღისას შექმნას დროებითი ხიდი ზეგრძნობადი სფეროსაკენ. ბოლოს საღამოს და დილით გოლიათის ჩრდილით შეიძლება მდინარეზე გადასვლა: ეს არის წარმოდგენისა და მეხსიერების ძალა, მდინარე კი ახორციელებს იმას, რაც გრძნობადს ჰყოფს ზეგრძნობადისაგან, ის ვინც ზეგრძნობადი სამყაროს მფლობელს მიუახლოვდება შინაგანი მზადყოფნის გარეშე, ისეთსავე ვნებას მიიღებს, როგორიც განიცადა ჭაბუკმა. შროშანიც მიისწრაფვის მეორე სამყაროსაკენ. მებორნეს კი, რომელმაც ტატნები მდინარეზე გადმოიყვანა, შეუძლია ყველას გადმოყვანა ზეგრძნობადიდან გრძნობადისაკენ, მაგრამ საპირისპირო მიმართულებით კი არა.

ვისაც ზეგრძნობადთან შეხება უნდა, მან ჯერ თავისი შინაგანი სამყარო უნდა გადაამუშაოს და მოამზადოს ცხოვრებისეული გამოცდილებით და ისე მიუახლოვდეს ზეგრძნობადს, რომლის მოხელთება მხოლოდ თავისუფლებით არის შესაძლებელი. „პროზაულ გამოთქმებში“ გოეთე ამბობს: „ყველაფერი, რაც ჩვენს სულს ათავისუფლებს ისე, რომ არ გვაძლევს საკუთარ თავზე ბატონობის უნარს — მავნეა“. მეორე მისი გამონათქვამი ასეთია: „მოვალეობა არის სიყვარული იმისა, რასაც ჩვენს თავს ვუბრძანებთ“. ცალმხრივად მოქმედი ზეგრძნობადი სამყარო — შილერის ცალმხრივი გონიერებისაკენ სწრაფვა — არის შროშანის სამეფო; ცალმხრივი გრძნობადი სამყარო — შილერის გრძნობადი მისწრაფება — არის ის, რაშიც გველი ცხოვრობს მსხვერპლად შეწირვამდე. — მებორნეს შეუძლია ყველას გადმოყვანა აქეთ, გრძნობადში, მაგრამ არავის იქით, ზეგრძნობადში. თითოეული ადამიანი, ყოველგვარი საკუთარი ძალისხმევის გარეშე, წარმოშობილია ზეგრძნობადისაგან. მაგრამ თავისუფალი, — „დროისაგან“ ანუ ყოველგვარი უნებურად გამოწვეული მშვენიერი მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი — კავშირი ზეგრძნობადთან ადამიანებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ დაამყარონ, როდესაც მიიღებენ გადაწყვეტილებას, გადავიდნენ მსხვერპლად შეწირული ცხოვრებისეული გამოცდილების ხიდზე. მანამდე არსებობს ორი უნებურად გამოწვეული

მშვენიერი მდგომარეობა, რომელთა მეშვეობითაც ადამიანს შეუძლია ზეგრძნობად, ე. ი. თავისუფალი პიროვნების სამყაროში მოხვედრა. ამასთან, ერთია შემოქმედებითი ფანტაზია, რომელიც ზეგრძნობადი განცდის ანარეკლს წარმოადგენს. ხელოვნებაში ადამიანი გრძნობადს ზეგრძნობადთან აერთებს.

ამას გარდა, იგი ხელოვნებაში თავს ავლენს თავისუფლად შემოქმედი სამშვინველის სახით. ეს განსახიერებულია იმ გადასასვლელში, რომელსაც ქმნის შუადღისას გველი, ე. ი. ზეგრძნობადი განცდისათვის ჯერ კიდევ უმწიფარი ცხოვრებისეული გამოცდილება. — მეორე მშვენიერი მდგომარეობა, რომელიც ზეგრძნობადში აღწევს, მყარდება მაშინ, როცა ადამიანის სამშვინველის ცნობიერი მდგომარეობა (გოლიათი ადამიანში, რომელიც მაკროკოსმის ხატს წარმოადგენს) დაბინდულია. ცნობიერი შემეცნება დაბნელებული და პარალიზებულია, ისე რომ იგი არსებობს ცრურწმენის, ვიზიონერობის მედიუმიზმის სახით. სამშვინველის ის ძალა, რომელიც პარალიზებული ცნობიერების პირობებში ამგვარად განიცდება, გოეთესთვის იგივეობრივია იმ ძალისა, რომელსაც იძულებით, ძალდატანებით, რევოლუციურად უნდა ადამიანის შეყვანა თავისუფლების მდგომარეობაში. რევოლუციებში ამგვარი მისწრაფება იდეალური მდგომარეობისაკენ განიცდება დაბინდულად, ისევე როგორც ბინდ-ბუნდში გაიდება გოლიათის ჩრდილი მდინარეზე. ის, რომ გამართლებულია ეს შეხედულებაც „გოლიათის" შესახებ, ჩანს წერილიდან, რომელიც 1795 წლის 16 ოქტომბერს მისწერა შილერმა გოეთეს (გოეთე ამ დროს მიემგზავრებოდა მაინის ფრანკფურტში): „მართლაც მიხარია, რომ მაინის ამბებისაგან შორსა ხართ, გოლიათის ჩრდილს ადვილად შეუძლია უხეშად დაგრიოთ ხელი". თუ რა შეუძლია მოიტანოს ძალადობამ, ისტორიულ მოვლენათა აღვირახსნილმა მდინარებამ, როდესაც ადამიანის ცნობიერება დაბინდულია, ზღაპარში ხატების ენაზე გოლიათსა და მის ჩრდილშია გაცხადებული. ის მშვენიერი იმპულსები, რომლებსაც ასეთ მოვლენებამდე მივყავართ, ცრურწმენებისაკენ მისწრაფებისა და მეოცნებე სიზმარეული იდეოლოგიის მონათესავეა.

მოხუცის ლამპარს მხოლოდ იქ შეუძლია განათება, სადაც უკვე არის სხვა სინათლე. აქ უნდა გავიხსენოთ ძველი დროის ერთი მისტიკოსის სიტყვები, რომლებსაც გოეთე ხშირად იმეორებდა: „თვალი მზის დარი რომ არ იყოს, ვერასოდეს იხილავდა მზეს; ჩვენში თვით ღმერთის ძალა რომ არ იყოს, ვერ აღგვაფრთოვანებდა ღვთაებრივი". ისევე როგორც ლამპარი ვერ ანათებს სიბნელეში, ასევე ვერ უნათებს საბრძნას, შემეცნების სინათლე ამ ადამიანს, რომელიც მას ვერ შეაგებებს შესაბამის აღქმის ორგანოებს, შინაგან სინათლეს. კიდევ უფრო ნათელი ხდება ლამპრის ბუნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას შეუძლია თავის მხოლოდ კარგად გაანათოს ის, რასაც გველი თავის თავში გადაწყვეტილებების სახით [illegible] ონდ ჯერ უნდა გაიგოს, რომ [illegible] დაიხარა ამ გადაწყვეტილებისაკენ. არსებობს ადამიანური შემეცნება, რომელიც მუდმივად მიმართულია ადამიანის უმაღლესი მისწრაფებისაკენ. იგი კაცობრიობის განვითარების ისტორიულ პროცესში ამოიმართა სამშვინველთა შინაგანი განცდებისაგან. მაგრამ მისი მისწრაფების მიზანი, ადამიანური მისწრაფების საგანი შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული სინამდვილის სახით მსხვერპლშეწირული ცხოვრებისეული გამოცდილებიდან. ყველაფერმა, რასაც ადამიანს ისტორიული წარსულის დაკვირვება აწვდის, რასაც ეუბნება მისტიკური, რელიგიური განცდა ზეგრძნობადთან კავშირის შესახებ, შესაძლებელია განხორციელება ჰპოვოს მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილების მსხვერპლად გაღების გზით. მოხუცს თავისი ლამპრით შეუძლია ყველაფრის გარდაქმნა იმგვარად, რომ იგი მოგვევლინოს ახალი, ცხოვრების სამსახურისათვის შესაფერი ფორმით; მაგრამ ჭეშმარიტი განვითარება ცხოვრებისეული გამოცდილების მომწიფებაზე არის დამოკიდებული.

მოხუცის მეუღლე ისეთი პიროვნებაა, რომელიც მდინარეზე სხეულით არის მიჯაჭვული თავისი ვალის გამო. ეს ქალი განასახიერებს ადამიანის აღქმისა და წარმოდგენის ძალას და კაცობრიობის ისტორიულ მეხსიერებას წარსულის შესახებ. იგი მოხუცთან არის დაკავშირებული. მისი დახმარებით აქვს მოხუცს სინათლე, რომელსაც შეუძლია განათება იმისა, რაც გარეგანი სინამდვილის მეშვეობით უკვე ნათელია. მაგრამ წარმოდგენისა და მეხსიერების ძალები არ ქმნიან სასიცოცხლო ერთიანობას კონკრეტულად არსებულ ძალებთან, რომლებიც ცალკეულ ადამიანთა განვითარებასა და კაცობრიობის ისტორიაში მოქმედებენ. წარმოდგენისა და მეხსიერების ძალები წარსულზე არიან მიჯაჭვული. ისინი წარსულის კონსერვაციას ახდენენ, ისე რომ ხდებიან წარმოქმნისა და ქმნადობის მაიმპულსირებელნი. იმ პირობებში, რომლებშიც ადამიანი და კაცობრიობა ცხოვრობს მეხსიერებით შენარჩუნებულის წყალობით, მოცემულია ამ მშვენიერი ძალის მარცხი. ესთეტიკურ წერილთაგან მესამეში შილერი წერს ამ მარცხის შესახებ: „მოთხოვნილებათა იძულებამ უბიძგა ადამიანს აქეთკენ, სანამდისაც იგი თავისუფლებიდან ამოსვლით შეძლებდა ამ არსების გაქცევას. გასაჭირმა წარმართა იგი ბე-

ნების კანონებისაკენ მანამ, სანამ გონების კანონების მიყოლას შეძლებდა". მდინარე ყოფს ამ ორ სამყაროს: ზეგრძნობადში თავისუფლებისა და გრძნობადში აუცილებლობის სამეფოებს. არაცნობიერ მშვენიერ ძალებს — მათ მებორნე განასახიერებს — შეჰყავთ გრძნობადში ადამიანი, რომელიც ზეგრძნობადიდან არის წარმოშობილი. აქ იგი თავდაპირველად აღმოჩნდება იმ სამყაროში, რომელიც წარმოქმნეს წარმოდგენისა და მეხსიერების ძალებმა. ამ პირობებში უნდა იცხოვროს მან. მაგრამ ისინი მას ჰყოფენ ზეგრძნობადისაგან; მათ მიმართ იგი მოვალის მდგომარეობაშია. ეს ვლინდება მაშინ, როდესაც იძულებულია მიმართოს ძალას (მებორნე), რომელმაც არაცნობიერად ზეგრძნობადიდან გრძნობადში გადმოიყვანა. ამ პირობათა ძალაუფლების დარღვევა (რომელთა იძულება თავისუფლების წართმევაში ვლინდება) მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ამ იძულებისაგან თავს გაითავისუფლებს „მიწის ნაყოფებით", ე. ი. თვით შექმნილი ცხოვრებისეული სიბრძნით. ეს ათავისუფლებს მას პირობებით დადებული ვალისაგან, იძულებისაგან. თუ ამას ვერ შეძლებს, მაშინ პირობები — მდინარის წყალი — წაართმევენ მას საკუთარ არსებობას. იგი გაქრება, როგორც მშვენიერი თვითმყოფადი არსება.

მდინარეზე აღიმართება ტაძარი, რომელშიც განხორციელდება შროშანთან ქაბუკის ქორწინება. ადამიანის სამშვინველში, რომელშიც ძალთა მიმართების ჩვეული წესრიგი გარდაქმნილია, შესაძლებელი ხდება ზეგრძნობადთან ქორწინება, თავისუფალი პიროვნების განხორციელება. ის, რაც სამშვინველმა მოიპოვა მანამდე როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება, იმდენად მომწიფდა, რომ მასზე მიმართული ძალის მოქმედება აღარ ამოიწურება გრძნობად სამყაროში ადამიანის ჩართვით, არამედ გარდაიქმნება შინაარსად იმისა, რაც ზეგრძნობადიდან ადამიანის შინაგანში ჩაედინება, ისე რომ ქმედება გრძნობადში ზეგრძნობად იმპულსთა აღსრულებად იქცევა. — სამშვინველის ამ მდგომარეობაში ადამიანის ის სულიერი ძალებიც, მანამდე მცდარი ან ცალმხრივი გზებით რომ მიედინებოდნენ, ახალ, ამაღლებული ცნობიერებისათვის შესაფერ მნიშვნელობას იძენენ. ასე მაგალითად, ტატნების გრძნობადი სამყაროსაგან მოწყვეტილი, ცრურწმენებსა და აფორიაქებულ აზროვნებაში მოქცეული სიბრძნე ემსახურება სახლის კარიბჭის გახსნას, რომელიც იმ მშვენიერი მდგომარეობის ხატია, სადაც ნება, გრძნობა და შემეცნება ჯერ კიდევ ქაოტურად არიან შერეულნი და ადამიანს არათავისუფალს, ზეგრძნობადისაგან დაშორებულ შინაგან ცხოვრებას უნარჩუნებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ზღაპრის ხატებში გოეთეს სულიერი მზერის წინაშე გაიარა ადამიანის სამშვინველის განვითარებამ მდგომარეობიდან, როცა ის ზეგრძნობადის მიმართ უცხოდ გრძნობს თავს, ცნობიერების იმ სიმაღლემდე, რომელშიც გრძნობად სამყაროში გატარებული ცხოვრება ზეგრძნობადი სულიერი სამყაროთი განიმსჭვალება, ისე რომ ორივე ერთი ხდება. გარდაქმნის ეს პროცესი გოეთეს სამშვინველის წინაშე ნაზად, ნაქსოვი ფანტაზიური სახეებით იდგა. „გერმანელ ემიგრანტთა საუბრების" ძირითადმა კითხვამ ფიზიკური სამყაროსა და მისგან თავისუფალი ზეგრძნობადი სამყაროს განცდის ურთიერთმიმართებისა და ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის აქედან გამომდინარე შედეგების შესახებ, აქ პოეტური ხატების ქსოვით მასშტაბური გადაწყვეტა ჰპოვა. ნათქვამით მხოლოდ გზა არის მითითებული იმ სფეროსაკენ, სადაც გოეთეს ფანტაზიამ „ზღაპარი" მოქსოვა. ყველაფერი დანარჩენის, ყველა დეტალის ცოცხალ განცდას შეძლებს ის, ვინც „ზღაპარს" შეხედავს როგორც ადამიანის მშვენიერი ცხოვრების ზეგრძნობადისაკენ სწრაფვის ამსახველ მხატვრობას. შილერმა ეს კარგად იგრძნო. იგი წერდა (1795 წლის 29 აგვისტოს): „ზღაპარი" ძალიან ფერადოვანი და ხალისიანია და, ჩემი აზრით, მშვენივრად არის განხორციელებული იდეა, რომელიც ერთხელ ახსენეთ „ძალთა ურთიერთდახმარება და ურთიერთზე მითითება". შესაძლებელია ვინმემ გვითხრას, რომ ძალთა ეს ურთიერთდახმარება გულისხმობს სხვადასხვა ადამიანთა ძალებს, მაგრამ გოეთესათვის აქ საქმე ეხება ჭეშმარიტებას, რომ ცალმხრივად სხვადასხვა ადამიანებზე განაწილებული მშვენიერი ძალები სხვა არაფერია, თუ არა ერთიანი ადამიანური სამშვინველის დანაწევრებული არსი და, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსხვავებული ბუნების ადამიანები თანამშრომლობენ, მაშინ მათ ურთიერთქმედებაში მოცემულია იმ მრავალფეროვან ძალთა ხატი, რომლებიც თავიანთი ურთიერთობით წარმოქმნიან ერთ ინდივიდუალურ ადამიანურ მთლიან არსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათო ბარბაქაძე

# გაუცხოებული ეპოქა და გაუცხოებული ადამიანი

ყოვლისმომცველი კმაყოფილების ეპოქა — ესაა დასასრულის დასაწყისი.

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი

... იგი ყოველთვის დინებას მიჰყვება. ამიტომ იგი არაფერს ქმნის, რარიგ დიდიც არ უნდა იყოს მისი შესაძლებლობები და ძალაუფლება.

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი

დიდი ესპანელი მწერლისა და ფილოსოფოსის ხოსე ორტეგა-ი-გასეტის (1883-1955) კვლევა-ძიების მთავარ თემად თანამედროვე ადამიანის გაუცხოება უნდა ჩაითვალოს, რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა კრიზისული ეპოქისა და კრიზისული ცნობიერების ანალიზს.

რამდენადაც ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ორტეგას ნააზრევის დაწვრილებით განხილვა, მოკლედ და ზოგადად გადმოვცემთ მისი მსოფლმხედველობის იმ ძირითად მოტივებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გაუცხოების საკითხთა მისეულ ანალიზს.

ორტეგას აზრით, თანამედროვე ევროპელი ადამიანი ტრაგიკულ სიტუაციაშია ჩავარდნილი იმის გამო, რომ მისთვის არა მარტო მომავალი, არამედ წარსულიც ურთულესი პრობლემებით სავსე აღმოჩნდა. ევროპელი ადამიანი დღემდე თავის თავს იმ ბრწყინვალე წარსულის მემკვიდრედ თვლიდა, რომელიც მას აწმყოსა და მომავლის პრობლემებში გასარკვევად აუცილებელ იარაღს აძლევდა, რაც, პირველ ყოვლისა, შემეცნების კლასიკურ ფილოსოფიურ მეთოდებს გულისხმობდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მეთოდები უვარგისი ყოფილა თანამედროვე პრობლემების გადასაწყვეტად: „ჩვენი მემკვიდრეობა შეადგენდა მეთოდებს, უპირველესად, კლასიკურ მეთოდებს. მაგრამ ევროპული კრიზისი, რომელიც მხოლოდ კრიზისს წარმოადგენს, შეიძლება შეფასდეს, როგორც მთელი კლასიკის კრიზისი".

კლასიკური ფილოსოფია, ორტეგას დახასიათებით, ადამიანს განიხილავს როგორც სამყაროდან ამოგდებულ და სრულიად ავტონომიურ არსებას; არადა, რაციონალური ფილოსოფიის მიერ შექმნილი იდეალური სამყარო სულაც არაა ანალოგიური იმ რეალური სამყაროსი, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. ამ სიძნელის დაძლევა კლასიკურ ფილოსოფიას არ შეეძლო იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, ადამიანის გონება და ცნობიერება ერთმანეთთან იყო გაიგივებული; მეორეც, გონებასთან გაიგივებული ცნობიერების კვლევის დროს კვლევის საგანი იყო მისი ზოგადმნიშვნელოვანი კატეგორია. ამის გამო კონკრეტული სუბიექტი დავიწყებული აღმოჩნდა.

რაციონალური ტრადიციის (დეკარტის საზის) საპირისპიროდ, ორტეგა „სამყაროს" ცნებას გაიაზრებს არა როგორც აბსტრაქტულს, არამედ — როგორც კონკრეტულადამიანის სამყაროს. იგი ცდილობს ისეთი სახის ფილოსოფიის შექმნას, რომელიც შეძლებს ადამიანის ინდივიდუალური არსებობის კვლევას, პიროვნული სტრუქტურების ანალიზს და ადამიანისა და სამყაროს ნამდვილი ურთიერთობის წარმოჩენას. მასთან შემეცნება გაიგება, როგორც სუბიექტურისა და ობიექ-

ტურის მთლიანობა. რაც „პერსპექტივიზმის" თეორიად გადორმდა, ამ თეორიის მიხედვით, ობიექტურ რეალობას ის სახე აქვს, რა სახითაც ინდივიდისთვის არსებობს, ე. ი. ის არსებობს, როგორც ინდივიდის მიერ „ორგანიზებული" ინდივიდუალურ „პერსპექტივაში". ადამიანის, როგორც თავის თავში სამყაროს მატარებელი სუბიექტის, შესახებ აზრს ორტეგასთვის შემდეგი ფორმულის სახე აქვს: „მე არის „მე" და ჩემი გარემოებები", ეს „მე" მთელ გარემომცველ სინამდვილეს იტევს თავის თავში. ესპანელი მკვლევარისა და ორტეგა-ი-გასეტის მიმდევრის ხ. მარიასის აზრით, „მე" ორი ფუნქციის შემცველია: „რეალურად მხოლოდ პირველი „მე" წარმოადგენს პიროვნებას მის მთლიანობაში და შეიცავს მის მეორე ნახევარს, ე. ი. გარემოებებს". რაც შეეხება მეორე „მეს"-ს, იგი მხოლოდ ელემენტია ანუ ინგრედიენტი, გარემოებათაგან მოუწყვეტელი... რომელიც არ ამოწურავს მის რეალობას". ამ გარემოებათა განმსაზღვრელია სწორედ სამყაროს კონკრეტული ადამიანისმიერი ხედვის წერტილი: მისი „პერსპექტივა" განაპირობებს „გარემოებებს". ამ გარემოებათა უმნიშვნელოვანეს ნაწილს კი ის მოცემული, განსაზღვრული საზოგადოება შეადგენს, რომელსაც ინდივიდი ეკუთვნის. „გარემოებები, — აღნიშნავს ხ. მარიასი, — ესაა ყველაფერი, რაც ჩემს გარშემოა... ჩემი სხეულიდან ყველაზე შორეულ ვარსკვლავურ ნისლოვანებამდე, ჩემი მიდრეკილებებიდან და პირადი გამოცდილებიდან ისტორიულ და საზოგადოებრივ ურთიერთობებამდე, რომელიც გარს მარტყია, ჩემი პირადი წარსულიდან პრეისტორიამდე, ჩემი პირადი იდეებიდან კულტურამდე მის მთლიანობაში".

გარემოებების სამყარო შესაძლებლობათა სამყაროს ნიშნავს. ნაშრომში „მასების აჯანყება" ორტეგა წერს: „სამყარო, ესე იგი ჩვენი შესაძლო სიცოცხლე ყოველთვის მეტია, ვიდრე — ჩვენი ბედი, ანუ ნამდვილი სიცოცხლე". შესაძლებლობათა ამ სამყაროში არჩევანი ქმნის სწორედ კონკრეტულ ადამიანურ არსებობას. ჩვენ წინაშე რომ ყოველთვის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა ყოფილიყო, ეს იქნებოდა აუცილებლობა და მეტი არაფერი. უარეს შემთხვევაში, როცა სამყარო არ გვაძლევს სხვა შესაძლებელ გამოსავალს, მაინც გვრჩება ერთი გზა — ამ სამყაროდან წასვლის შესაძლებლობა, ე. ი. თვითმკვლელობა. რამდენადაც შესაძლებლობათა სამყარო გარემოებათა სამყაროს ნიშნავს, სიცოცხლე ამ „გარემოებათა" ანუ „შესაძლებლობათა" შიგნით ყოფნაა, ეს გვაძლევს იმის უფლებას, რომ სამყაროს „ჩვენი სამყარო" ვუწოდოთ. შესაძლებლობათა ამ გრანდიოზულ სამყაროში ჩვენ მხოლოდ რაღაც უმცირეს ნაწილს ვაქცევთ სინამდვილედ, რაც პიროვნების შემოქმედება კონკრეტულ ადამიანურ არსებობას ქმნის, ისტორიაში კი — მოცემულ ეპოქას. თავის მხრივ, „გარემოების" ცნება „გადაწყვეტილების" ცნებას უკავშირდება. ადამიანის სიცოცხლე ორი ძირითადი ელემენტის — გარემოებათა და გადაწყვეტილების — მთლიანობაა. გარემოებები ჩვენგან დამოუკიდებელია: სიცოცხლე, მართალია, არ ირჩევს სამყაროს და მხოლოდ მიედინება მასში, მაგრამ ეს ფატალობა აბსოლუტური არაა. სამყაროში ჩვენი ყოფნა არაა გადაგდებულად ყოფნა: „ბედი ჩვენ გვაძლევს ასარჩევად რამდენიმე ტრაექტორიას და გვაიძულებს, ერთ-ერთი ავირჩიოთ, ე. ი. თვით ბედი გვხდის თავისუფალს. ყოველი წუთი ჩვენს ცხოვრებაში ახალი გადაწყვეტილების მიღებას ნიშნავს". ამ განაზრში აანალიზებს ორტეგა ინდივიდუალურ ცხოვრებას და ამ უკანასკნელს „ფუნდამენტურ რეალობას" უწოდებს. მაგრამ ვიდრე „ფუნდამენტური რეალობის" ცნებას განვიხილავდეთ, უპრიანია, ვნახოთ, როგორ ესმის ორტეგას გაუცხოება, როგორ აყალიბებს იგი გაუცხოების ზოგად პრინციპებს.

ნაშრომში „ადამიანი და ხალხი", რომელსაც მკვლევარები ორტეგას შემაჯამებელ წიგნს უწოდებენ, ვკითხულობთ: „არსებობს სამი სხვადასხვა მომენტი, რომელიც ციკლურად მეორდება ადამიანური ისტორიის განვითარების მანძილზე, ყოველთვის უფრო და უფრო რთული და გაურკვეველი ფორმებით: 1) ადამიანი თავს დაკარგულად გრძნობს, ნივთებში გათქვეფილად — ესაა გაუცხოება; 2) ადამიანი ენერგიული დაძაბულობით განმარტოვდება თავის ინტიმურობაში, რათა შეიმოქმედოს ნივთებზე იდეები და თავისი შესაძლო ბატონობა — ესაა დაძირვა საკუთარი განაზრებებში, განაზრებით ცხოვრება... თეორია; 3) ადამიანი უბრუნდება სამყაროს, რათა იმოქმედოს ადრე შედგენილი შესაბამისი გეგმის მიხედვით — ესაა მოქმედება, აქტიური ცხოვრება, პრაქტიკა. ამიტომ არ შეიძლება საუბარი მოქმედებაზე მისი იმ განზომილების გარეშე, რომელშიც იგი სახელმძღვანელო პრინციპი უნდა გახდეს წინასწარი ჭვრეტისთვის; და, პირიქით, არ არსებობს განაზრებებში დაძირვა მომავალი მოქმედების პროექტების გარეშე. მაშასადამე, ადამიანის ბედი მოქმედებაა, უპირველეს ყოვლისა. ვცხოვრობთ არა იმისთვის, რომ ვიფიქროთ, არამედ, პირიქით, ვფიქრობთ

ამისთვის, რომ ჭეშმარიტ ცხოვრებას მივაღწიოთ".

გაუცხოების ეს პრობლემები მხოლოდ საზოგადოებრივ, სოციალურ გარემოში არსებობს. სოციალური ცხოვრება ორტეგას მიერ მიჩნეულია „არანამდვილ" ცხოვრებად, რომელშიც ხდება ადამიანური არსების გაუცხოება; ნამდვილი მოქმედება გულისხმობს გონების, რომელიც სრულიად საპირისპირო რამაა ინდივიდებსშორისი მოქმედებისა, ადამიანის გაუსახურება, დეპერსონალიზაცია „კოლექტიური აზროვნების" შედეგია; ესაა „მასის სულის" ბატონობა: ყოველი ადამიანი ფიქრობს და საქმიანობს ისე, როგორც — სხვები. აღარ რჩება ადგილი პიროვნებისთვის — ყველგან ბატონობს „პარტიის ადამიანების" განწყობილებები, გრძნობები, აზრები და ქცევები: პოლიტიკური პარტიების, კულტურის საზოგადოებების, სხვადასხვა რელიგიური და სპორტული ორგანიზაციების, ოჯახების, კვარტლების, რაიონების, რასების და ა. შ. გარდა ამისა, საზოგადოება არა მხოლოდ თეორიულად ფიქრობს — მისი აზროვნება პრაქტიკულ და რეალურ განხორციელებას პოულობს ისეთ ორგანიზმებში, როგორებიცაა პრესა, რადიო, კინო და ინფორმაციისა და მასობრივი კულტურის გავრცელების სხვა საშუალებები. კულტურის განშლა, მისი „გამასიურება", ამ კულტურის გადაგვარების მომასწავებელია.

დავუბრუნდეთ „ფუნდამენტური რეალობის" ცნებას. ასეთ რეალობას სწორედ კონკრეტული ინდივიდის ცხოვრება ქმნის, ხოლო გაუცხოება გაიგება, როგორც ამ ფუნდამენტის, ნამდვილი ყოფიერების, რღვევა, მისგან გადახვევა. რა სახისაა ეს საწყისი ყოფიერება? „ადამიანი და ხალხი" ადამიანური ცხოვრების ოთხ არსებით მომენტს გამოყოფს:

„1. ადამიანის ცხოვრება, ნამდვილი და საწყისი აზრით, ესაა ცხოვრება, გაგებული თავისი თავიდან, ესაა ყოველთვის ჩემი ცხოვრება — პირადი ცხოვრება.

2. სიცოცხლე მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი იძულებულია — არ კი იცის, რატომ და როგორ — დაღუპვის შიშით, ყოველთვის რაღაც აკეთოს გარკვეულ გარემოებებში, რასაც ჩვენ გარემოებებით განპირობებულობას ვუწოდებთ, ე. ი. ყოველთვის ვცხოვრობ განსაზღვრულ გარემოებებში.

3. გარემოებები ყოველთვის გვთავაზობენ მოქმედების სხვადასხვა შესაძლებლობებს, აქედან გამომდინარე, ყოფიერების შესაძლებლობებს. ეს გვაიძულებს, გვინდა თუ არა, განვახორციელოთ ჩვენი თავისუფლება. ამის წყალობით ცხოვრება მუდმივი ბედისწერა და ეჭვია. ჩვენ ყოველ წამს უნდა ვირჩიოთ, ვიქნებით თუ არა უახლოეს ან შორეულ დროში ის, ვინც ამას თუ იმას აკეთებს, მაშასადამე, ყველა მუდმივად ირჩევს მოქმედების თავის სახეს, თავის ყოფიერებას.

4. სიცოცხლე არ გადაიცემა [illegible] შე-ძლია, შემცვლელის მოქმედება [illegible] გადაწყვეტის საქმეში, ეს კი ჩემს პირად ტანჯვას გულისხმობს, რადგან ტანჯვა, რომელიც გარედან მეძლევა, მე უნდა მივიღო; ამიტომ, ჩემი ცხოვრება მუდმივი და გარდუვალი პასუხისმგებლობაა ჩემივე თავის წინაშე. აუცილებელია, რომ ის, რასაც მე ვაკეთებ, რასაც მე ვფიქრობ, ვისურვებ, საზრისის მქონე იყოს, ჯანსაღი აზრის მქონე იყოს ჩემთვის. თუ ამ ატრიბუტებს შევაჯამებთ... გამოდის, რომ სიცოცხლე ყოველთვის კერძო სიცოცხლეა, სიცოცხლე გარემოებებში, სიცოცხლე გადაუცემელი და საპასუხისმგებლო".

„ფუნდამენტურ რეალობას" უპირისპირდება სწორედ სოციალურის კატეგორია, რომელსაც ორტეგა ასე ახასიათებს: „სოციალური წარმოადგენს ფაქტს, მაგრამ არა ადამიანური ცხოვრებისას, არამედ სხვისას, რომელიც ჩნდება ადამიანურ თანაარსებობასთან ერთად. ადამიანურ თანაარსებობად ჩვენ გვესმის დამოკიდებულება ორ ინდივიდუალურ ცხოვრებას შორის... თანაარსებობის ფაქტები არ წარმოადგენენ, თავისთავად, სოციალურ ფაქტებს, ისინი ქმნიან იმას, რასაც „საზოგადოება ანუ კავშირი" უნდა ეწოდოს — ინდივიდებსშორისი დამოკიდებულებების სამყარო".

შეიძლება ითქვას, რომ ორტეგასთვის კაცობრიობის მთელი ისტორია „ფუნდამენტური რეალობისა" და სოციალურის შორის ბრძოლის ისტორიაა, რაც ნებისმიერ ეპოქას მისთვის და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს ანიჭებს. ამ ბრძოლის შედეგები სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით და სხვადასხვა ინტენსივობით მჟღავნდება.

არის კიდევ ერთი კატეგორია, რომელსაც ორტეგა „სოციალური ფაქტის" კატეგორიას უწოდებს (რაც იგივეობრივია „ცდების", „გამოყენებების", „მიბაძვების"") და რომლის ანალიზითაც ხერხს იმაზე მითითება, თუ რა სახისაა საზოგადოებისა და ინდივიდის ურთიერთობა, როგორია საზოგადოებაში პიროვნების ქცევის ამ ორიენტაციის სტრუქტურა. აქ საქმე გვაქვს არა შეფასებასთან, არამედ — ფაქტობრივი მხარის ანალიზთან: რას წარმოადგენენ ეს „ცდები"? ისინი" 1) წარმოადგენენ ქცევის წესებს, რომლებიც იმ ინდივიდთა ქცევის წინასწარმე

ყველების საშუალებას გვაძლევენ, რომლებსაც არ ვიცნობთ და რომლებიც, ამის გამო არ წარმოგვიდგებიან განსაზღვრულ ინდივიდებად. ინდივიდებსშორისი ურთიერთობა შეიძლება მხოლოდ ინდივიდთან, რომელსაც ინდივიდუალურად ვიცნობთ; ესაა ახლობელთან ურთიერთობა. ცდები საშუალებას გვაძლევენ უცნობთან, თითქმის უცხოსთან თანაარსებობისას. 2) გავლენას ახდენენ მოქმედებების — იდეების, ნორმების, ტექნიკის — გარკვეულ რეპერტუარზე; ინდივიდს ავალდებულებენ, იცხოვროს დროის მოთხოვნით, მასში დროს ნერგავენ მიუხედავად მისი ნდომა-არნდომისა; ესაა წარსულში აკუმულირებული მემკვიდრეობა. საზოგადოების წყალობით ადამიანი წარმოადგენს პროგრესს და ისტორიას... 3) ახორციელებენ პიროვნების ქცევათა დიდი ნაწილის ავტომატიზაციას და მას თითქმის ყველაფერ იმის გადაწყვეტის პროგრამას აძლევენ, რაც მოქმედებაში შეიძლება იქნას მოყვანილი; საშუალებას აძლევენ პირადი შემოქმედებითი და ნამდვილად ადამიანური ცხოვრების კონცენტრირებისას განსაზღვრული მიმართულებით..."

„ცდები" საზოგადოებრივი ორგანიზმის მახასიათებლებია, ხოლო ეს ორგანიზმი, თავისთავად, საკუთარი არსებობის განმტკიცებას ესწრაფვის, რისთვისაც ინდივიდებსშორისი ურთიერთობების არმოშლა, გაღრმავება აუცილებელია. სწორედ ამ მიზნით უტევს საზოგადოებრივი ორგანიზმი ინდივიდს, აორციელებს მასზე დაწოლას.

ახლა ვნახოთ, როგორ გამოიყენა ორტეგამ თავისი მსოფლმხედველობის ეს ძირითადი პრინციპები თანამედროვე ეპოქის ურთულესი პრობლემების გასაანალიზებლად.

1930 წელს, როცა ხოსე ორტეგა-ი-გასეტის „მასების აჯანყება" გამოქვეყნდა, უკვე არსებობდა და მნიშვნელობდა ო. შპენგლერის „ევროპის დაისი", მ. ჰაიდეგერის „ყოფიერება და დრო", სხვა ისეთი შრომები, რომლებშიც თანამედროვეობის უმტკივნეულესი საკითხები განიხილებოდა. „მასების აჯანყებამ" სწორედ ამ წიგნების გვერდით დაიდო ბინა, რომელთა ავტორები უკვე დიდ ფილოსოფოსებად იყვნენ მიჩნეულნი და რომელთა საზრისსაც მთელი განათლებული ევროპა ითვალისწინებდა.

„მასების აჯანყება" ეპოქის შეფასებით იწყება. შეიძლება ითქვას, რომ დასკვნა შესავალშივეა გამოტანილი: აღნიშნულია XX საუკუნის ევროპული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტი — მთელი საზოგადოებრივი ძალაუფლების გადასვლა მასების ხელში (ნაშრომი სწორედ ამ ფაქტის მიზეზთა გამოკვლევას ისახავს მიზნად). მიუხედავად ასეთი, ერთი შეხედვით [illegible] მკაცრი, განაჩენისა, ორტეგას კარგად აქვს გაცნობიერებული გასაანალიზებელი [illegible]ის განსაკუთრებული ხასიათი [illegible] წელი ამ ეპოქის ორაზროვან შინაარსს მიუძღვის. ამ ეპოქის ყოველი თვისება ორი ასპექტის შემცველია, რისი მიზეზიც თავად სინამდვილეა და არა ადამიანური ცნობიერების როგორობა; „საქმე იმაში კი არაა, რომ ვითარება ერთი აზრით ცუდი შეიძლება იყოს, ხოლო მეორე აზრით — კარგი, არამედ — იმაში, რომ თავად სიცოცხლე შეიცავს თავის თავში ორ შესაძლებლობას — გამარჯვებას და დაღუპვას". ეს თვალსაზრისი, რომელიც ორტეგას ფილოსოფიისთვის არსებით „რაციოვიტალიზმს" ეყრდნობა, უკვე მიუთითებს, რომ ეპოქის ანალიზი არ ნიშნავს მხოლოდ გონების სტრუქტურების კვლევას. რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ მასებს, მათი მოძალება იმდენად თვალსაჩინო ფაქტია, რომ საგანგებო დაკვირვებას არც საჭიროებს. გარდა ამისა, ჩვენი დროისთვის ყველაზე უფრო თვალშისაცემი რეალობა — ადამიანთა სიმრავლე და შეჭურება — ისეთი მნიშვნელობისაა, რომ „პრიზმაში გამავალი სინათლის სხივის მსგავსად, მოულოდნელ აღმოჩენათა და დასკვნათა მთელ სპექტრს მოგვცემს". რა თქმა უნდა, სიმრავლე ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ასეთი ფორმით — არასოდეს. ინდივიდები, რომლებიც ბრბოს მიეკუთვნებიან, ადრეც არსებობდნენ, მაგრამ ისინი ყოველთვის გაფანტულად ან მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ; ამჟამად კი ერთად არიან და, უფრო მეტიც, ადრე თუ სოციალური სცენის უკანა რიგები ეკავათ, დღეს უკვე ავანსცენაზე გადმოინაცვლეს".

ბრბო, ორტეგას განმარტებით, არაა რაოდენობრივი ცნება და არ აღნიშნავს მაინც და მაინც „ხილულ" თვისებებს, ეს ცნება ხარისხობრივი ხასიათისაა; ნებისმიერ საზოგადოებას ორი ფაქტორის — უმცირესობის და მასის — დინამიური მთლიანობა ქმნის. უმცირესობას შეადგენენ განსაკუთრებული ღირსების მქონე პიროვნებები და პიროვნებათა ჯგუფები. რაც შეეხება მასას, იგი განსაკუთრებული ღირსებების არმქონე ადამიანთა სიმრავლეა. მასა — ესაა საშუალო, რიგითი ადამიანი. ნიშანდობლივია ისიც, რომ, რაც ადრე რაოდენობრიობის სახით აღიქმებოდა, ახლა ხარისხის სახით წარმოსდგა. ეს ხარისხი ასეთი ადამიანის სოციალური ნიშანია, რომელსაც არა აქვს

ინდივიდუალობა, არაფრით გამოირჩევა სხვებისგან; ესაა „ზოგადი ტიპისგან".

ეს ორი ტიპი, რომელიც საზოგადოებას, სოციუმს ქმნის, ერთმანეთისგან განსხვავდება თავთავის მსგავსთან დაკავშირების ფორმითაც, ე. ი. იმით, თუ როგორ ყალიბდება, ერთის მხრივ, მასა, ხოლო, მეორეს მხრივ — პიროვნებათა ერთობა. იმ ჯგუფებში, რომლებსაც მასებს ვერ ვუწოდებთ, წევრთა შეკავშირება დამყარებულია ისეთ გემოვნებაზე, იდეებზე, იდეალებზე, რომლებიც გამორიცხავენ მასობრივ გავრცელებას. ნებისმიერი უმცირესობის შესაქმნელად აუცილებელია, რომ მისი წევრები უმრავლესობას ემიჯნებოდნენ განსაკუთრებული, თუნდაც პირობითად კერძო მოტივებით. ჯგუფის შიგნით თანხმობა მეორადი ფაქტორია, ესაა ერთგვარი თანხმობა უთანხმოების ნიადაგზე. რაც შეეხება მასაში არსებობას, „მასის კაცად" ყოფნას, ეს წმინდა ფსიქოლოგიური ნიშანია და სულაც არაა აუცილებელი, რომ სუბიექტი მაინც და მაინც ფიზიკურად ეკუთვნოდეს მასას. ნებისმიერი ცალკეული ადამიანის შესახებ შეიძლება ითქვას, მასას ეკუთვნის იგი თუ არა. მასის ადამიანი ისაა, ვინც თავის თავში ვერ გრძნობს ყველა დანარჩენისგან მის გამმიჯნავ ვერავითარ თვისებას, ვერც კარგს და ვერც ცუდს, ვინც „ზუსტად ისეთივეა, როგორიც ყველა სხვა დანარჩენი, და, ამასთან, ამით სულაც არაა გულდაწყვეტილი, პირიქით, ბედნიერია, როცა შეიგრძნობს, რომ ისეთივეა, როგორც — ყველა". აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების დაყოფა მასებად და რჩეულ უმცირესობად ორტეგასთვის არ ნიშნავს სოციალურ კლასებად დაყოფას, არამედ ესაა მხოლოდ ადამიანთა დაყოფა ტიპებად; ნებისმიერ სოციალურ ფენასა და კლასში შეიძლება მოიძებნოს როგორც „მასის კაცი", ისე — უმცირესობის წარმომადგენელი.

ვიდრე ორტეგას კვალდაკვალ, მასის ადამიანის ანუ იმ ადამიანის ფსიქოლოგიას გავარჩევდეთ, რომელიც დღეს საზოგადოების გადამწყვეტ უმრავლესობას შეადგენს, გავაანალიზოთ გაუცხოებული ეპოქის რამდენიმე ისეთი ნიშანი, რომელსაც ესპანელი ფილოსოფოსი სიმპტომებს უწოდებს.

მასისა და რჩეული უმცირესობის ტიპოლოგიური კვლევა-ძიებით ორტეგა იმ წინააღმდეგობის წარმოჩენას ცდილობს, რომელიც სწორედ ტიპოლოგიური თავისებურებების საფუძველზე წარმოიშობა. საზოგადოებაში არსებობს ბევრი ისეთი საქმე, მოქმედება, პროფესია, რომელიც საგანგებო ნიჭს და ტალანტს მოითხოვს; ასეთია სახელმწიფო მმართველობა, ხელოვნება, პოლიტიკა. ადრე ყოველ ამ სფეროში მოღვაწეობდა რჩეული უმცირესობა, ხოლო მასას პრეტენზია არ ჰქონდა, უმცირესობის საქმეში ჩარეულიყო; მან იცოდა, რომ საამისოდ არ ეყოფოდა კვალიფიკაცია. მასამ იცოდა თავისი როლი სოციალურ ძალთა ნორმალური დინამიკის დროს. ადრეულ ეპოქებთან შედარებით თანამედროვე ეპოქის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მასების მოქმედების შინაარსი რადიკალურად შეიცვალა: „მასა, რომ[illegible]ჩარევა, უმცირესობის ადგილი[illegible]ნელს კი განდევნის". ამ ფაქტს ორტეგა ჰიპერდემოკრატიას უწოდებს და მკაცრად მიჯნავს ნამდვილი დემოკრატიისგან. ჰიპერდემოკრატია იბადება იქ, სადაც ქრება დემოკრატია; თვითდისციპლინა და წესრიგი იცვლება უკანონობით, საზოგადოებაში ერთი ნებისა და გემოვნების გაბატონებით.

ორტეგა არ თვლის, რომ მასების ასეთი მოძალება რაღაც ახალი და განსაკუთრებულია. ისტორიაში, მისი აზრით, პერიოდულად მეორდება ხოლმე ასეთი მოვლენები. მაგრამ ის, რაც თანამედროვე მოვლენებს ყველა ადრეულისგან გამოარჩევს და განსაკუთრებით დრამატულს ხდის, შემდეგში მდგომარეობს: „ადამიანები, რომლებიც მასას შეადგენენ, თავიანთ თავს რომ განსაკუთრებული ღირსებებით დაჯილდოებულად თვლიდნენ, ეს მხოლოდ რიგითი სიბრმავის შედეგი იქნებოდა და არა — სოციალური ქმედება. მაგრამ დღევანდელობისთვის დამახასიათებელია, რომ ვულგარული, მეშჩანური სულები, რომლებიც თავიანთ საშუალოობას აცნობიერებენ, გაბედულად აცხადებენ თავიანთ უფლებას ვულგარულობაზე".

ორტეგას მიზანს წარმოადგენს ისეთი თვალსაზრისის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის ეპოქებს შორის ურთიერთდამოკიდებულების, ეპოქებს შორის შინაარსობრივი განსხვავების კანონზომიერებათა მიგნებას. რამდენად შეესაბამება ესა თუ ის ეპოქა თავის თავს და დგას თუ არა მოწოდების სიმაღლეზე? განამტკიცებს თუ არა ღირებულებათა სისტემას? „მასების აჯანყებაში" უარყოფილია ის კონცეფციები, რომელთა ყურადღების საგანი მხოლოდ ხელოვნება, კულტურა და პოლიტიკაა. ეს შემდეგნაირად აიხსნება: კულტურა და პოლიტიკა მხოლოდ ზედაპირული ნიშნებია; ისტორიულ რეალობას გაცილებით ღრმა და ძნელისძველი საფუძველი აქვს, — ესაა კოსმიური ძალების მსგავსი სასიცოცხლო ძალა, ბიოლოგიური ვიტალობა. მართალია ეს არაა თვით კოსმიური ან ბუნების ძალა, მაგრამ ის არის „მსგავსი იმისა, რაც არწევს ზღვას, ნაყოფიერს ხდის ცხოველებს, ხეს ყვავილებით ფარავს, ანთებს და აქრობს ვარსკვლავებს". ამ ზოგადი შენიშვნის შემდეგ ისმის საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა თანამედროვე ეპოქას დაცემისა და დეგრადირების ხანა ეწოდოს.

„დაცემის" ცნება შედარების ფაქტს გულისხმობს, — ამბობს ორტეგა. ყოველი შედარება კი, თავისი ბუნებით, პირობითია. არსებობს თუ არა გზა, რომელიც პირობითობის ლაბირინთიდან გამოგვიყვანს? ასეთი გზა არსებობს და იგი ერთადერთია, —საჭიროა თავად სიცოცხლის შიგნით შესვლა, შიგნიდან მისი ანალიზი, თვალის მიდევნება, გრძნობს თუ არა დაცემას თვით ეს სიცოცხლე, ე. ი. სუსტდება თუ არა, ჭკნება თუ არა, ქვემოთ ეშვება თუ არა. დავუშვათ, რომ მოვახერხეთ სიცოცხლეზე შიგნიდან დაკვირვება; როგორ გავიგოთ, რას გრძნობს სიცოცხლე? პასუხი ასეთია: ეპოქას, რომელიც წარსულზე მაღლა აწმყოს აყენებს, არ შეიძლება დაცემული ვუწოდოთ. ჩვენი ეპოქის თავისებურება ისაა, რომ ამ საკითხისადმი მისი დამოკიდებულება გაორებული და ბუნდოვანია: ესაა „მეტად უცნაური, არნახული პოზიცია". რომელ წინარე ეპოქაში ისურვებდა ცხოვრებას XX საუკუნის ადამიანი? XIX საუკუნის ადამიანს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გაუჭირდებოდა და უყოყმანოდ დაასახელებდა, მაგალითად, რენესანსს, რაც იმის ნიშანია, რომ წინა საუკუნის ადამიანი სახით წარსულისკენ იყო მიბრუნებული. ჩვენი საუკუნის ადამიანისთვის კი ნებისმიერი წინარე ეპოქა ვიწრო საკანივითაა, სადაც შეუძლებელია სუნთქვა; თანამედროვე ადამიანი გრძნობს, რომ მისი სიცოცხლე „დიდი ხარისხის" სიცოცხლეა, — თანამედროვე ადამიანისთვის მთელი წარსული მცირედი შეიქნა. ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც დაცემაზე მსჯელობის უფლებას არ გვაძლევს. მაგრამ საქმე გვაქვს უარესთან, რასაც ანალოგი არ მოეძებნება კაცობრიობის ისტორიაში: პირველად ვხვდებით ეპოქას, რომელიც სრულიად უარს ამბობს ნებისმიერი სახის მემკვიდრეობაზე, არ ცნობს არავითარ წესებსა და ნორმებს, რომლებიც წარსულში შეიქმნა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, შეჯამების სახით, ორტეგა გვთავაზობს ამონაწერს თავისი ნაშრომიდან „ხელოვნების დეჰუმანიზაცია". ჩვენც მთლიანად მოვიტანოთ იგი: „წარსულისა და აწმყოს გადამწყვეტი გათიშვა ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია. ის თავის თავში ატარებს ეჭვს, მეტ-ნაკლებად შემაშფოთებელს, რაც იწვევს სწორედ შეშფოთებას, დღევანდელი ცხოვრებისთვის ასერიგად დამახასიათებელს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ თითქოს მოულოდნელად დედამიწაზე მარტონი დავრჩით; რომ გარდაცვლილებმა არათუ დაგვტოვეს, არამედ სამუდამოდ, სამარადჟამოდ გაუჩინარდნენ; რომ ისინი ველარ დაგვეხმარებიან. ტრადიციული სულის ყველა ნაშთი გაქრა. წესები, ნორმები, სტანდარტები ჩვენ აღარ გვემსახურება. ჩვენ განწირული ვართ საიმისოდ, რომ ჩვენი პრობლემები წარსულის გაუთვალისწინებლად გადავწყვიტოთ, ხელოვნება იქნება ეს, მეცნიერება თუ პოლიტიკა. ევროპელი მარტოა, ირგვლივ არავინაა სულიერი; ის ჰგავს პეტერ შლემილს, რომელმაც თავისი ჩრდილი დაკარგა. ასე ხდება ყოველთვის, როცა შუადღეა".

ჩვენს ეპოქას მიაჩნია, რომ ყველა ეპოქაზე მაღლა მდგომია, მაგრამ გრძნობს, რომ თვითონვეა დასაწყისი, იმავდროულად, დარწმუნებული არაა, რომ ეს არაა აგონია. იგი ყველა წინარე ეპოქაზე მაღლა დგას, ხოლო თავის თავზე — დაბლა; უდავოდ ძლიერია, მაგრამ დარწმუნებული არაა ამაში; ამაყია, მაგრამ თავისივე სიძლიერის ეშინია.

მაგრამ „დაცემის" ცნების ანალიზი ამით არ დამთავრებულა. საჭიროა დაზუსტდეს, კონკრეტულად რის დაცემასთან და დაკნინებასთან გვაქვს საქმე: იქნებ ესაა ევროპის ნაციონალური წარმონაქმნები? თუ ასეა, მაშინ როგორ შეიძლება, მსჯელობა მთელ დასავლეთზე გავავრცელოთ? ორტეგას აზრით, არსებობს აბსოლუტური დაცემის ერთადერთი სახე — სასიცოცხლო ძალების მოსპობა; ეს მაშინ ხდება, როცა ჩვენ ამას შევიგრძნობთ. ამიტომ საჭიროა ყველაფერ იმის გამოკვლევა, რაც დამახასიათებელია ჩვენი ეპოქისთვის. ამ საკითხის ანალიზი გამოკვეთს, ისევ და ისევ, ჩვენი ეპოქისთვის დამღუპველი გაორების ფაქტს: ჩვენი ეპოქა რომ თავს დაცემულად გრძნობდეს, იგი წარსულ ეპოქებს თავისზე მაღლა დააყენებდა და ღირსეულ პატივს მიაგებდა. არადა ხდება სრულიად საპირისპირო: ჩვენი ეპოქა მტკიცედაა დარწმუნებული თავის შემოქმედებით შესაძლებლობებში, მაგრამ, ამავე დროს, არ იცის, რა შეიმოქმედოს; მთელი სამყაროს მბრძანებელს თავისი თავისთვის ვერ უპატრონია.

შესაძლებლობისა და რეალობის შესახებ თავის ზოგადმეთოდოლოგიურ თვალსაზრისს ორტეგა მთელი საზოგადოების ისტორიაზე ავრცელებს. ამა თუ იმ ადამიანური საზოგადოების სახე შეიძლება განისაზღვროს სწორედ იმის მიხედვით, თუ როგორ არჩევანს აკეთებს იგი. მაგრამ განსაზღვრება რომ აბსტრაქტული არ გამოვიდეს, საჭიროა მოცემული ეპოქის სახე შევუდაროთ რაღაც სტრუქტურულად მსგავსს. ასეთი შეიძლება იყოს ისევ ადამიანური საზოგადოების რომელიმე სხვა ეპოქა. ეს მეთოდი თავიდან გვაცილებს ზედაპირულ შეფასებას და არაფრისმომცემ ჰუმანურ ენთუზიაზმს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „მასების აჯანყება" მიზნად ისახავს XX საუკუნის ევროპული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტის — მასების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის — მიზეზთა კვლევას. ამისთვის საჭიროა გაანალიზდეს თვით მასის ადა-

მიანის ფენომენი, რომელთანაც ურიცხვი პრობლემაა დაკავშირებული.

ჩვენი დროის ძირითადი მახასიათებელი (აქამდე საუბარი იყო სიმპტომებზე), ორტეგას აზრით, ისაა, რომ საზოგადოების სადავეები ხელთ უპყრია მასის ადამიანს, სწორედ მას გამოაქვს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა. მასის ადამიანია შესაძლებლობათა, გარემოებათა სამყაროში მაორიენტირებელი და მოცემული რეალობის შემქმნელი. ხოლო საზოგადოება, რომელსაც მასის ადამიანი განაგებს, ცხოვრობს ყოველგვარ მიზანდასახულობათა და რეალურ გეგმათა გარეშე, მომავლის გარეშე. მისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ ამ დროის პრობლემების მოგვარებაზე, გადაწყვეტაზე არავინ ფიქრობს; ეს პრობლემები ყოველთვის გადაიდება მომავლისთვის. აქედან გამომდინარე, მასის ადამიანი არაფერს არ ქმნის, რაოდენ გრანდიოზულიც უნდა იყოს მისი შესაძლებლობები.

ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც მასის ადამიანს დღეისთვის ჩამოყალიბებული სტრუქტურა და ფორმა მიანიჭა, ორტეგას მიხედვით, არის ის, რომ სცენაზე მასების ამოსვლა, მოძალება არაბუნებრივი სისწრაფით მოხდა; მასებმა, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, ვერ მოასწრეს ტრადიციული კულტურის სათანადოდ ათვისება, ტრადიციული კულტურა მასებს გვერდზე დარჩათ, ისინი ამ კულტურას მოწყდნენ და გუშინდელი დღე დაკარგეს. ამის გამო, თანამედროვე ევროპული პრიმიტიული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს; „სკოლები, რომლებითაც გასული ასწლეული ასე ამაყობდა, ასწრებდნენ მასებისთვის თანადროული ცხოვრების მხოლოდ ფორმების, ტექნიკის მიწოდებას; სკოლისთვის დამახასიათებელი ნამდვილი აღზრდის შესაძლებლობა მათ არ მქონიათ". სისწრაფემ იმის საშუალება კი მისცა მასებს, რომ თანამედროვე აპარატურას და ინსტრუმენტებს დაუფლებოდნენ, მაგრამ უდიდეს ისტორიულ ამოცანათა და ვალდებულებათა შესახებ ვერაფერი შეაგნებინა; ეს სკოლები მათ ტექნიკის საიდუმლოებს ათვისებინებდნენ, მაგრამ გონის შესახებ არაფერს ეუბნებოდნენ. სწორედ XIX საუკუნეა ის ავბედითი ჟამი, რომელსაც უნდა დაეკისროს ესპანელი ფილოსოფოსის აზრით მთელი პასუხისმგებლობა ისტორიულ არენაზე მოუმზადებელი მასების გამოდევნისთვის. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მხოლოდ ერთ საუკუნეში მოხდა ყველაფერი, რამაც მასის ადამიანი წარმოშვა. მასის ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, როგორც რაოდენობრიობა. უფრო მეტიც, იგი დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა, როგორც ხარისხობრივი მაჩვენებელი. აქ საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ გასულ საუკუნეში უკიდურესი განვითარება ჰპოვა დემოკრატიულ ფორმათაგან ერთ-ერთმა საუკეთესომ, ლიბერალურმა დემოკრატიამ. სწორედ ამ დემოკრატიის გამოყენებით მასებმა მოახერხეს ასპარეზზე გამოჩენა და პირველი, რაც მოიმოქმედეს, ის იყო, რომ ისინი ამ დემოკრატიას დაუპირისპირდნენ.

კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ არის თანამედროვე ადამიანი ისეთი, როგორიც ის არის, ტოლფასია კითხვისა, — საიდან მოვიდა იგი? მასის ადამიანის ანალიზი გაუცხოებული ეპოქის ახალ ნიშნებს გამოკვეთს. ბოლოს და ბოლოს, მასის ადამიანი სხვა არავინაა, თუ არა გაუცხოებული ეპოქის გაუცხოებული ადამიანი, რომელიც არ იბრძვის გაუცხოების მოსახსნელად და პირველად ყოფიერებაში დასაბრუნებლად. ახალი დროის ერთ-ერთ არსებით წინააღმდეგობას ის ქმნის, რომ მასის ადამიანმა, სხვადასხვა მიზეზთა ძალით, თავისი ადგილი მიატოვა და მისთვის უჩვეულო კონტექსტში ძალების მოსინჯვა სცადა; ესაა სრულიად მოუმზადებელი ხალხის ქაოსური მოძრაობა. XIX საუკუნეს ორტეგა რევოლუციურ საუკუნეს უწოდებს. რევოლუციურია იმიტომ, რომ მან ადამიანური ყოფიერება რადიკალურად შეცვალა. აქ მჟღავნდება ერთი პრინციპული მნიშვნელობის ნიუანსი: ამ შემთხვევაში რევოლუცია გულისხმობს არა ძველის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ — ახალი, ძველის საწინააღმდეგო, წესრიგის დამყარებას. ასეთ მოვლენას, ორტეგას აზრით, ისტორია არ იცნობს; რა თქმა უნდა, ყველა ეპოქის ადამიანი განსხვავებულია ერთმანეთისგან, მაგრამ ჩვენს ეპოქას თუ ავიღებთ, აღმოჩნდება, რომ ამ ეპოქის ადამიანი არსებითად განსხვავდება ყველა სხვა ეპოქის ადამიანისგან, ერთად აღებულისგან: ყველა ადრეული საუკუნის „უბრალო ადამიანისთვის" „ცხოვრება" ნიშნავდა შეზღუდვებს, ვალდებულებებს, მორჩილებას, ერთი სიტყვით — ჩაგვრას (ჩაგვრას არა მხოლოდ სოციალურს ან სამართლებრივს, არამედ — „კოსმიურსაც"). თანამედროვე საუკუნემ ყველა ეს „აკრძალვა" მოხსნა. „მასების აჯანყებაში" ამ ფაქტიური ვითარების საფუძვლად სამი მიზეზია გამოცხადებული: ლიბერალური დემოკრატია, ექსპერიმენტული მეცნიერება და ინდუსტრიალიზაცია. აქედან, მეორე და მესამე მიზეზი ერთი ცნების ქვეშ ერთიანდება, ესაა „ტექნიკა".

ტექნიკის მიღწევებთან მიმართებაში იკვეთება მასის ადამიანის ორი უმნიშვნელოვანესი ფსიქოლოგიური ნიშანი: ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა განუწყვეტელი ზრდა, და უმადურობა ყველაფერ იმის გამო, რამაც მასებს ასე ცხოვრების საშუალება მისცა. ეს ორი ნიშანი

მასებს იმ ბავშვის მდგომარეობაში აყენებს, რომელსაც ვერ წარმოუდგენია სხვაგვარობა იმისა, რასაც ხედავს: მისთვის ყველაფერი „დიახაც ასე უნდა იყოს". თანამედროვე საშუალო ადამიანი მოქმედებს ფორმულით: „იცხოვრო — ნიშნავს, არ ხვდებოდე შეზღუდვებს; ამიტომ გაბედულად გააკეთე ყველაფერი, რაც გინდა. არ არსებობს შეუძლებელი, არ არსებობს საშიში, არ არსებობს მაღალი და დაბალი".

„მაღალისა" და „დაბალის" გათანაბრების ტენდენცია შემთხვევითი არაა, მას ფრიად სერიოზული და კანონზომიერი ხასიათი აქვს. თუ ჩვენთვის ამოსავალი გახდება ის ფაქტი, რომ ელიტის ადამიანი თავის თავს ყოველთვის უმკაცრეს მოთხოვნილებებს უყენებს, მასის ადამიანი კი ყოველთვის თვითკმაყოფილებითაა შეპყრობილი, შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ელიტის ადამიანს შეუძლია სინამდვილეში ის, რასაც სამსახურს ვეძახით. ეს სამსახური გარეგან იძულებას კი არა, შინაგან მოთხოვნილებას გულისხმობს; ესაა უმკაცრეს თვითდისციპლინას დამორჩილებული ცხოვრება, რომლისთვისაც განმსაზღვრელია არა უფლებები და პრივილეგიები, არამედ — ვალდებულება და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა. ელიტარული ანუ კეთილშობილი ცხოვრება ასე განიმარტება ორტეგას მიერ: „კეთილშობილი ცხოვრება ჩემთვის ნიშნავს დაძაბულ, ახალი და მაღალი მიღწევებისთვის ყოველთვის მზადმყოფ სიცოცხლეს, არსებითიდან სავალდებულოზე გადასვლას. კეთილშობილი ცხოვრება უპირისპირდება ჩვეულებრივ, მაჩანჩალა ცხოვრებას, რომელიც თავის თავშია ჩაკეტილი, განწირულია პერპეტუუმ მობილესათვის — ერთ ადგილზე მუდმივი მოძრაობისთვის — ვიდრე რაიმე გარეშე ძალა არ დაიხსნის მას ამ მდგომარეობიდან. მეორე ტიპის ადამიანებს მასას ვუწოდებ იმის გამო, რომ ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ; იმიტომ, რომ ისინი ინერტულნი, ჩამორჩენილნი, არიან".

„მასების აჯანყების" ერთი თავი ასეა დასათაურებული: „თვითკმაყოფილების ეპოქა". ამ თავში მოცემულია მასის ადამიანის ფსიქიკური სტრუქტურის სამი ძირითადი მახასიათებელი, სამი ძირითადი კომპონენტი: 1) ღრმა რწმენა იმისა, რომ ცხოვრება მსუბუქია, უხვია, იქ არ არის ტრაგიკული შეზღუდვები; ამიტომ საშუალო ადამიანი განმსჭვალულია გამარჯვებისა და მბრძანებლობის განცდით; 2) ეს განცდა მას თვითდამკვიდრებისკენ, თავისი მორალური და ინტელექტუალური მარაგის სრული დაკმაყოფილებისკენ უბიძგებს. თვითკმაყოფილებას იგი იქამდე მიჰყავს, რომ იგი არ სცნობს არავითარ გარეშე ავტორიტეტს. არავის არ უსმენს, მისთვის დაუშვებელია ვინმეს მიერ მისი შეხედულებების კრიტიკა. თავისი სიძლიერის შინაგანი განცდა უბიძგებს, რომ ყოველთვის უპირატესობას გრძნობდეს; 3) იგი ყველგან ცხვირს ჰყოფს და თავის აზრს ახვევს თავზე ყველას, მოქმედებს „პირდაპირი მოქმედების" პრინციპით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის ეს ახალი ტიპი, „თვითკმაყოფილი ადამიანი", თავად ადამიანური არსის საწინააღმდეგოა. იგი აკეთებს მხოლოდ იმას, რაც მას უნდა. არათუ მისი მოქმედება, არამედ ამ მოქმედების ფორმაც კი გაუცხოებულია; „თვითკმაყოფილმა ადამიანმა" კარგად იცის, რომ განსაზღვრული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ნივთები და მოვლენები არ არსებობს, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს სწორედ საპირისპიროში იყოს დარწმუნებული. ერთი სიტყვით, მასის ადამიანი ღრმად გააზრებულ თამაშს ეწევა: ყველაფერს, რასაც ის აკეთებს, აკეთებს არა სერიოზულად, არამედ — „ხუმრობით", ყველაფერს, რასაც ის აკეთებს, აკეთებს არაგულწრფელად, „არა სამუდამოდ", როგორც — გათამამებული ბავშვი. მას არ სჯერა ნამდვილი ტრაგედიის რეალობა, რომელსაც ადგილი აქვს მსოფლიო ცივილიზაციის სცენაზე, და ისე იქცევა, თითქოს სპექტაკლს თამაშობდეს; ის ტრაგიკულ, მწუხარე პოზას იღებს. ორტეგას თქმით, ესაა მთელი ჩვენი ეპოქის დაღი: ადამიანები თვალს უხუჭავენ იმას, რასაც ბედი ჰქვია; ისინი ცხოვრობენ **ხუმრობით**, უყვართ **ხუმრობით**, კლავენ **ხუმრობით**. „მასის ადამიანს არ სურს ბედის მტკიცე, მყარ საფუძველზე არსებობა, მას ურჩევნია ფიქტიური არსებობა, ჰაერში გამოკიდებულობა".

შეიძლება თუ არა, საშუალო ადამიანმა კულტურის შემოქმედის ფუნქცია იკისროს? შეიძლება თუ არა, მან კულტურა შექმნას? მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ადამიანის საჩვენებელი მხარე ამ კითხვაზე დადებითი პასუხისთვის გვამზადებს (თითქოს საშუალო ადამიანს ყველაფრის შესახებ თავისი აზრი აქვს, ყველაფერს თვითონ წყვეტს, პრინციპულია და ა. შ.), ყველაფერი პირიქითაა. საშუალო ადამიანის იდეას არ შეიძლება იდეა დაერქვას, ესაა მხოლოდ ფსევდოიდეა, რომელიც კულტურაზე არ მეტყველებს. იდეა შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც ჭეშმარიტებას ესწრაფვიან, სადაც არ ივიწყებენ მაორიენტირებელი ნორმების სისტემას.

„მასების აჯანყებაში" ზუსტადაა ნაწინასწარმეტყველები ევროპის ორი უსაშინლესი მოვლენის, სინდიკალიზმისა და ფაშიზმის, შედეგები. ორტეგას აზრით, სწორედ ეს მოვლენები მიუთითებენ იმ ახალი ადამიანის წარმოშობაზე, რომელიც საჭიროდ არ თვლის სხვების წინაშე თავისი პრეტენზიებისა და ქცევის გამართლებას, თავისი თავის წინაშეც კი — არა; იგი

მზადაა მხოლოდ და მხოლოდ მიზნის მისაღწევად. მოხდა ისე, რომ მასებმა თავიანთ ბელადს თვითონვე აღმოუჩინეს „იდეები" და „აზრები", მაგრამ რამდენადაც მასა იდეური შემოქმედებისთვის მოუმზადებელი იყო, ამ „იდეებმა" და „აზრებმა" მხოლოდ მასების სურვილები და მოთხოვნილებები გააშიშვლეს.

დავუბრუნდეთ ისევ ტექნიკისა და თანამედროვე ადამიანის ურთიერთმიმართების პრობლემას. თავად ტექნიკის განვითარების ფაქტს ორტეგა უარყოფითად არ ეკიდება. მისთვის პრობლემურია მხოლოდ საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ხელშია ეს ტექნიკა დღეს. შეუძლია თუ არა თანამედროვე ადამიანს ტექნიკის სწორად მართვა? ორტეგა თვლის, რომ ადამიანებს, რომლებიც დღეს ტექნიკას მართავენ, ცივილიზაციის ბედი საერთოდ არ აინტერესებთ, მათთვის ძვირფასი არაა ცივილიზაციის საფუძვლები. მსოფლიოს თანამედროვე მბრძანებელი პრიმიტივია, „პირველყოფილი ადამიანი", რომელიც მოულოდნელად ცივილიზებულ სამყაროში აღმოჩნდა: „ცივილიზებულია სამყარო, მაგრამ არა მისი მკვიდრი". ადამიანს დღეს დიდაც სურს ტექნიკით სარგებლობა, მაგრამ არა — ამ ცივილიზაციისა და მისი საფუძვლების შენარჩუნება; იგი აღფრთოვანებულია ნაყოფით, მაგრამ მისთვის სულერთია ტექნიკისა და ცივილიზაციის საფუძვლად მდებარე პრინციპები და კანონები: „შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზაცია უძველესია, მხოლოდ მასის ადამიანია ახალი".

ორტეგა არ ეთანხმება შპენგლერს იმაში, თითქოს „კულტურის" ეპოქას აუცილებლობის ძალით მოსდევს „ცივილიზაციის" ეპოქა. თუ შპენგლერი თვლის, რომ ტექნიკა მაშინაც შეიძლებოდა განვითარდეს, როცა კულტურა წყვეტს არსებობას, ორტეგა — საწინააღმდეგოდ ამისა — ამტკიცებს, რომ ტექნიკა და მეცნიერება ერთი ბუნებისაა და მათი საფუძველია უანგარობა. მეცნიერება ქრება მაშინ, როცა ადამიანებს იგი აღარ აინტერესებთ უანგაროდ, მეცნიერებისავე ძირითადი პრინციპებისთვის, კულტურის ძირითადი პრინციპებისთვის. ამ ინტერესის მოსპობის შემდეგ ტექნიკას შეუძლია კიდევ რამდენიმე ხანს ინერციით არსებობა, ვიდრე ჯერ კიდევ ფეთქავს იმპულსი, რომელიც წმინდა მეცნიერების მიერაა მოცემული. აქედან გამომდინარე, ტექნიკისადმი ინტერესი ჯერაც არ ნიშნავს იმას, რომ ტექნიკა სწორი მიმართულებით ვითარდება. მიუხედავად ტექნიკისადმი გამძაფრებული ყურადღებისა, ვითარება არასახარბიელოა. პრიმიტიულ ადამიანს არ აინტერესებს ძირითადი კულტურული ღირებულებები და არ იცავს მათ. ამის ერთ-ერთ არსებით მიზეზს ის წარმოადგენს, ორტეგას აზრით, რომ განვითარების ურთულეს საფეხურზე ასული ცივილიზაცია ისეთ პრობლემებს აყენებს, რომელთა გადასაწყვეტად მზადმყოფი ადამიანების რიცხვი კატასტროფულად კლებულობს, მასის ადამიანი კი ამ უმცირესობასაც განდევნის. ესაა შეუსაბამობა პრობლემის სირთულესა და პიროვნულ შესაძლებლობებს შორის. რაც დრო გავა, ეს შეუსაბამობა უფრო და უფრო მწვავე ხასიათს მიიღებსო, ასკვნის ორტეგა. ხსვანაირად არც შეიძლება მოხდეს, მისი აზრით, იქ, სადაც პრიმიტიულად უდებენ არა მხოლოდ ტექნიკას, არამედ — ისტორიასაც. ისტორიის ცოდნა ყველაფერ იმის ცოდნას გულისხმობს, რაც ცივილიზაციის მოცემულ საფეხურზე საჭესთან დგომის საშუალებას იძლევა. მაგრამ, როცა ადამიანი ისტორიისგანაც გაუცხოებულია, საფრთხე ექმნება მის ხვალინდელ დღეს, რადგან ჩაკეტილია გზები იმ ცოდნასთან მისასვლელად, რომელიც შესაძლებელს გახდიდა თანამედროვე კონფლიქტების თავიდან აცილებას. „თანამედროვე ადამიანი უწარსულო ადამიანია". ბოლშევიზმი და ფაშიზმი სწორედ ასეთი უწარსულო ფსევდოკულტურის მაგალითებია.

ტექნიკის არასწორი მიმართულებით განვითარების შედეგად წამოიჭრება კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სპეციალიზაციის პრობლემებს უკავშირდება.

ტექნიკის ორი ძირითადი სახე არსებობს, — წერს ორტეგა ერთია ტექნიკის ის სახე, რომელიც ოდითგან არსებობს. იგი არასოდეს ეყრდნობოდა ექსპერიმენტულ მეცნიერებას და ხშირად არც იცოდა, რას წარმოადგენდა მეცნიერება. ასეთი განვითარებული ტექნიკა ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის, შემდეგ საბერძნეთის და რომის ხალხებს. ამ ტიპის ტექნიკა მიაღწევდა თუ არა განვითარების გარკვეულ ზღვარს, იწყებოდა მისი დაცემა. რაც შეეხება ტექნიკის მეორე სახეს, იგი მთლიანად სამეცნიერო ბაზას გულისხმობს თავის საფუძვლად და, ამის გამო, განვითარების უსაზღვრო პერსპექტივებს ფლობს. ასეთი ტექნიკა მოიტანა XIX საუკუნემ. სწორედ ამ პროცესებმა წარმოშვა მასის ადამიანის ახალი ტიპი. ამ ტიპს მიეკუთვნებიან ისინი, ვისაც სპეციალისტებს უწოდებენ. ესენი არიან ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები და ა. შ. მათ შორის ყველაზე უფრო შესამჩნევია სწავლული, მეცნიერი კაცი. თანამედროვე მეცნიერი მასის ადამიანის პროტოტიპია; „ამის მიზეზია არა ინდივიდუალური ნაკლოვანებანი, არამედ — თავად მეცნიერება, ჩვენი ცივილიზაციის ძირი და ძირი, რომელიც ადამიანს ხარბაროსად აქცევს".

მეცნიერის ახალი ტიპი — ესაა ადამიანი, რომელიც ცნობს მხოლოდ მეცნიერების რომელიმე დარგს, ამ დარგში კი — მხოლოდ იმ მცირე ნაწილს, რომელშიც მუშაობს. უფრო მე-

ტიც, ინტერესი ყველაფერ იმისადმი, რაც მის ვიწრო საზღვრებში არ ექცევა, მის მიერ დილეტანტიზმადაა მონათლული. მეცნიერის ამ ტიპმა მოახერხა, რომ თავის ვიწრო სექტორში ახალი აღმოჩენები გაეკეთებინა და წინ წაეწია ის მეცნიერება, რომელსაც ხეირიანად არც კი იცნობს. ორტეგა ამ ფაქტს პარადოქსულს უწოდებს იმის გამო, რომ ექსპერიმენტულ მეცნიერებათა განვითარება, ძირითადად, საშუალო ადამიანების დამსახურებაა. თანამედროვე მეცნიერებამ, რომელიც ჩვენი ცივილიზაციის სიმბოლოა, თავის საზღვრებში შემოდევნა საშუალო ადამიანი. ამის მიზეზს ორტეგა მექანიზაციის ფაქტში პოულობს. რას წარმოადგენს მექანიზაცია? ბიოლოგიასა თუ ფიზიკაში სამუშაოს დიდი ნაწილი მექანიკური ოპერაციებისგან შედგება, რომელთა შესრულება თითქმის ყველა ადამიანს შეუძლია. გამოკვლევების უსასრულო რაოდენობის საწარმოებლად მეცნიერება ვიწრო მონაკვეთებადაა დაყოფილი; მეცნიერს შეუძლია, თავის მონაკვეთზე ისე იმუშაოს, რომ არც კი იცოდეს, რა ხდება სხვა მონაკვეთზე: რეზულტატის მისაღებად მეცნიერს არ სჭირდება რაღაც განსაკუთრებული მოცულობის ცოდნა. ეს პროცესი გავლენას ახდენს მეცნიერის ცნობიერებაზე და ფრიად უცნაურ ვითარებას ქმნის. მეცნიერს, რომელიც რაღაც ახალს აღმოაჩენს თავის დარგში და საკუთარ თავში დარწმუნებულობა ეზრდება, უფლება ეძლევა, თავისი თავი „მცოდნედ" მიიჩნიოს. სინამდვილეში იგი ცოდნის ძალიან მცირე ნაწილს ფლობს და არა იმ ურიცხვი ნაწილების მთლიანობას, რომელიც ჭეშმარიტ ცოდნას ქმნის. სპეციალისტი არ არის არც გაუნათლებელი და არც — განათლებული, არც — მეტად ან ნაკლებად განათლებული; ისაა, ორტეგას თქმით, „სწავლული უვიცი": როცა საქმე ეხება მისთვის უცნობ საკითხებს, იგი ისე იქცევა, როგორც ამ საკითხთა მცოდნე. იგი სავსეა ამბიციებით. პოლიტიკაში, ხელოვნებაში, სოციალურ ცხოვრებაში, სხვა მეცნიერებებში იგი საერთოდ ვერ ერკვევა, მაგრამ ცდილობს ყველგან თავისი აზრის დამკვიდრებას; ცივილიზაციამ ადამიანს სპეციალობა კი მისცა, მაგრამ ცოდნა წაართვა და თვითკმაყოფილ მასის ადამიანად აქცია.

როგორია მასის ადამიანის მიმართება სახელმწიფოსთან? ახალი დროის სახელმწიფო მსგავსად ადამიანისა, გაუცხოებულია. ამ გაუცხოებულ სახელმწიფოსა და საკუთარ თავს შორის კი მრავალ საერთო თვისებას ხედავს ადამიანი. ჩვენს დროში, როგორც „მასების აჯანყების" ავტორი აღნიშნავს, სახელმწიფო ის ძლიერი და საშიში მანქანა გახდა, რომელიც საზოგადოების გულის ფუნქციას ასრულებს. მასის ადამიანი სახელმწიფოს უყურებს, როგორც თავისი ნების მტკიცე დამცველს და, ამ დროს, სულ არ აინტერესებს, რა გზით და როგორი ძალისხმევით წარმოიშობა ეს უზარმაზარი მანქანა. მასის ადამიანი სახელმწიფოში ანონიმურ ძალას ხედავს, და რამდენადაც თვითონ ანონიმია, სახელმწიფოც [illegible] წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, [illegible] ყოველთვის მზადაა საიმისოდ, რომ ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მიმართოს. რაც თანამედროვე ცივილიზაციას გადაშენებით ემუქრება. ესაა სახელმწიფოსადმი საზოგადოებრივი ცხოვრების დამორჩილება, მაშასადამე, საზოგადოების შემოქმედებითი საქმიანობის დათრგუნვა. მასამ იცის, რომ თუ რაიმე არ მოეწონება ან რაიმე სურს, შეუძლია თავის შეუწუხებლად აამოქმედოს სახელმწიფო მანქანა და ეს უკანასკნელი შეასრულებს შესაბამის საქმეს. მასის ადამიანის ფორმულაა: „სახელმწიფო — ეს მე ვარ"

არის კიდევ ერთი საკითხი, რომლის ანალიზის გარეშე, ორტეგას აზრით, პრობლემამ შეიძლება აბსტრაქტული სახე მიიღოს. გვაქვს თუ არა უფლება, გაუცხოების აქ განხილული ნიშნები გავავრცელოთ ერებზე, მთელ ევროპაზე, მსოფლიოზე? „მასების აჯანყებაში" დაწვრილებითაა გამოკვლეული სახელმწიფოებრიობის საკითხთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი, რაც, ამჯერად, ნაკლებად გვაინტერესებს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ეპოქის ანალიზის დროს ორტეგასთვის ამოსავალია შემდეგი თვალსაზრისი: თანამედროვე ეპოქის კრიზისი ტოლფასია იმ ფაქტის, რომ ევროპამ დაკარგა მსოფლიოსთვის სანიმუშო მაგალითისა და მმართველის ძალა, ევროპა აღარ არის არც ერთი კულტურული თუ პოლიტიკური პროექტის კანონმდებელი. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ თვით ევროპული კულტურის ძირითადი, ტრადიციული სტრუქტურა დაიმსხვრა; ზემოთ აღწერილმა მოვლენებმა დაამსხვრია ეს სტრუქტურა, ახლის შემოთავაზება კი ამ მოვლენების უკან მდგომ ძალებს, უბრალოდ, არ შეეძლოთ. სწორედ ამან შექმნა თანამედროვე ევროპაში არნახული ვაკუუმი. ეს ვითარება „მასების აჯანყებაში" ასეა შეჯამებული: „ჩვენი სამყარო დღეს უმძიმეს მორალურ კრიზისს განიცდის, რომლის ყველაზე ნათელი სიმპტომია მასების არნახული აჯანყება, ხოლო მიზეზი — ევროპის მორალური გახრწნა. ევროპის გახრწნის მიზეზები რთულია; ერთ-ერთი უმთავრესი — საკუთარ თავზე და მთელ მსოფლიოზე ერთ დროს მქონე ძალაუფლების დაკარგვაა. ამჟამად ევროპა თავს არ გრძნობს ბელადად, ხოლო დანარჩენი მსოფლიო — მიმყოლად. ყოფილი ძალაუფლება ქრება". აქ საუბარი იმაზე კი არაა, თითქოს ევროპა ჩამორჩა და დანარჩენი მსოფლიო იმდენად

წინ წავიდა, რომ ევროპას ამ დანარჩენი მსოფლიოს არსებობის წესი გაუხდა აუთვისებელი. არა, აქ საუბარია იმაზე, რომ ევროპის ტრაგედიას მისი მორალური დეგრადირება ქმნის, რაც მთელ მსოფლიოს იგივე პროცესებით ემუქრება. ამ მსჯელობას საფუძვლად უდევს შემდეგი აზრი: ნებისმიერ ეპოქას მართავს რომელიმე ადამიანი. ხალხი ან ხალხთა ჯგუფი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მოცემულ ეპოქაში წარმმართველია თვალსაზრისთა, იდეათა, გემოვნებათა, მისწრაფებათა და მიზანთა რაღაც მოცემული სისტემა, რომელსაც ფლობს ესა თუ ის ადამიანი, ერი ან ხალხთა ჯგუფი. ევროპა ფიქრობს ორტეგა. ჩვენს დრომდე სწორედ იმ სტრუქტურას ფლობდა, რომელსაც შეეძლო მსოფლიოსათვის არსებობის ისეთი წესი მიეთითებინა, რომელიც ღირებულებათა სამყაროს განამტკიცებდა. ევროპის მიერ ამ სტრუქტურის დაკარგვა ნიშნავს კრიზისს როგორც ევროპისათვის, ისე — მსოფლიოსთვის, რადგან მსოფლიო წარმმართველი აზრის გარეშე დარჩა. ამ პროცესს მეორე ასპექტიც აქვს: კრიზისს ამძაფრებს გაურკვევლობის წინაშე შიში, რაც უკვე კრიზისის გაცნობიერებასაც გულისხმობს: არავინ იცის, ვინ იქნება წარმმართველი ხვალ, როგორ განაწილდება ძალაუფლება დედამიწაზე: რომელი ხალხი ან ხალხთა ჯგუფი, რომელი ეთნიკური ტიპი, რომელი იდეოლოგია, ღირებულებათა როგორი სისტემა იქნება წარმმართველი?

ერთ თავის ესსეში „ა[illegible]“ ორტეგამ ასე დაახასიათა X[illegible]ის ფაქტიური ვითარება: „ღირებულებათა სისტემამ, რომელიც სულ რაღაც ოცდაათი წლის წინათ ადამიანური მოქმედების მაორგანიზებელი იყო, დაკარგა თავისი სიცხადე, მიზიდულობა, იმპერატიულობა. დასავლელი ადამიანი დაავადდა მკვეთრად გამოხატული დეზორიენტაციით...“

„მასების აჯანყების“ გამოქვეყნებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო, მაგრამ ამ ნაწარმოებს სიახლე და მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ამის მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ ორტეგას მიერ საოცარი სიღრმითა და ორიგინალობით განხილული პრობლემები დღესაც პრობლემად რჩება. მართალია გამოსავალი არ ჩანს, მაგრამ, როგორც ფილოსოფოსები მიუთითებენ, გამოსავლის ძიების გზაზე კაცობრიობამ ჯერ თავის წინაშე მდგარი პრობლემების სირთულე და სერიოზულობა უნდა გააცნობიეროს. სწორედ ამ საქმეში ორტეგა-ი-გასეტის შემოქმედების და, განსაკუთრებით, მისი „მასების აჯანყების“ როლი განუზომელია.

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ კენჭოშვილი

# „ბალავარიანის" ზოგიერთი საკითხი

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, სახელდობრ, ჰაგიოგრაფიული მწერლობის ნიმუშთა შორის ინდური სულიერი კულტურის კვალი ყველაზე ნათლად შეინიშნება ადრეული შუა საუკუნეების ისეთ უნიკალურ ქართულ ფილოსოფიურ თხზულებაში, როგორიცაა „სიბრძნე ბალაჰვარისი", ანუ „ბალავარიანი".

ბუდას ლეგენდარული ცხოვრების სიუჟეტურ ქარგაზე აგებულ ამ „სულის მარგებელ" მოთხრობას, დიდიან მისი აღმოჩენისა (ორი ვერსიისა — ვრცელისა და მოკლისა), მრავალმა ქართველმა თუ უცხოელმა მკვლევარმა მიუძღვნა თავისი შრომა. რამდენიმე წლის უკან ამ ძეგლის ვრცელი ანალიზი მოგვცა ა. გვახარიამ თავის მონოგრაფიაში — „ბალავარიანის სპარსული ვერსიები" (თბ. 1986 წ.), რომელშიც ძირითად საკვლევ მასალასთან ერთად მოცემულია ბუდიზმის გავრცელების ისტორია, განხილულია და შეჯამებულია ფაქტიურად ყველა ძველი თუ ახალი მნიშვნელოვანი მოსაზრება „ბალავარიანის" შესახებ.

წინამდებარე ნაშრომი, მართალია, ეხება „ბალავარიანის" სხვადასხვა საკითხს, მაგრამ გარკვეულ წილად ეყრდნობა სწორედ ა. გვახარიას ზემოთხსენებული მონოგრაფიის ერთ-ერთი თავის („ინდური საფუძველი") დასკვნას, რომ ქართული „ბალავარიანის" „პირველწყაროს დედნისას გადამწყვეტია „ბუდას ცხოვრების სიუჟეტური ქარგის ნეიტრალური ხასიათი" და არა ბუდას ცხოვრების ამსახველი რომელიღაც კონკრეტული — ერთი ინდური ლეგენდა (რომლის არსებობაც ფაქტიურად არარეალურია). ეს რომ ასეა, მოწმობს ს. ოლდენბურგის აზრიც, რომ უძველესი დროიდანვე, ბუდისტური ტექსტებიდან მოყოლებული, ჩვენამდე არ მოუღწევია ბუდას მთლიან ბიოგრაფიას, შეიძლება ითქვას, მისი ბიოგრაფია არც არსებობდა, თუმცა დროთა განმავლობაში ბუდას შესახებ იქმნებოდა მრავალი ლეგენდა, რომელთაგან უმრავლესობა დღემდე ზეპირსიტყვიერების გზით შემორჩა. დაახლოებით ამავე აზრს ავითარებს რ. თვარაძეც, რომელიც თავის ნაშრომში „სიბრძნე ბალაჰვარისი" — ორი რედაქციის ტექსტების შედარება" (თბ. 1960 წ.) ავტ. რედ. მიუთითებს ბუდას ცხოვრების ამსახველ არაერთ ინდურ ნაწარმოებზე. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ბუდას ცხოვრების სიუჟეტი მსგავსია არა მარტო მაჰავირას (ჯაინიზმის ფუძემდებლის) და მანის (მანიქეიზმის ფუძემდებლის) ცხოვრებისა, არამედ რამდენადმე ჰგავს თვით ქრისტეს ცხოვრებასაც. გარდა ამისა, ბუდას ცხოვრების ერთი — საყოველთაო კონკრეტული ლეგენდის არსებობას (როგორც ქართული „ბალავარიანის" ასევე სხვა ენაზე შექმნილი მისი მრავალი ვერსიის დედა-საფუძვლისას) გამორიცხავს აგრეთვე ამ ლეგენდის მთარგმნელობითი გზაც. მ. მიულერის აზრით, ბუდას რომელიმე ლეგენდის სიტყვასიტყვითი თარგმნის იდეა უცხო იყო ძველი აღმოსავლეთისათვის. აქედან გამომდინარე ქართული „ბალავარიანის" (ისევე, როგორც მისი უცხო ვერსიების) კვლევა-ძიებისას, უთუოდ მართებულია ლაპარაკი სწორედ „ბუდას ცხოვრების სიუჟეტური ქარგის ნეიტრალური ხასიათის" შესახებ, ანუ ე. წ. ერთ „მოარულ სიუჟეტურ ქარგაზე", რომელიც სხვადასხვა დროს (ზეპირსიტყვიერების გზით) მიერგო აურაცხელ ლეგენდას ბუდას შესახებ, ხოლო შემდეგ მან თავისი გავრცელება ჰპოვა მრავალ ნაწარმოებში. სხვა ქვეყნების უდიდეს სულიერ „მარტვილთა" ცხოვრების შესახებ, მათ შორის ქართულ „ბალავარიანში", რომლის გარშემოც მრავალი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება.

შემდეგი საკითხი, რომელიც ყურადღებას იპყრობს, ეს არის ქართული „ბალავარიანის" ჟანრობრივ-სტილისტური თავისებურება და ამ ნაწარმოების (როგორც „სულის მარგებლის") ტექსტის ფუნქცია.

თუ „ბალავარიანის" მხატვრული სტილისა და იდეურ-კომპოზიციურ ნიშან-თვისებებს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ეს თხზულება, რამდენადმე, შეგვიძლია მივაკუთვნოთ ე. წ. აღმოსავლური „მოჩარჩოებული" ჟანრის მოთხრობას, რასაც, ტრადიციის თანახმად, ინდოეთში დაედო საფუძველი მე-4-5 საუკუნეებში („პანჩატანტრა", „ბზარატაკადვატრიშაკტი" და სხვა) და შემდგომ გავრცელება ჰპოვა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. მაგ.: „ბალავარიანის" დასაწყისში ვკითხულობთ: — „გვითხრობდა ჩვენ მამაი ისაკ ძე სოფრომ პალესტინელისაი" და ა. შ. მაშასადამე, მთხრობელის როლში თითქოს გვევლინება ვინმე „მამაი ისაკი", მაგრამ სინამდვილეში თხზულების ძირითადი სიუჟეტური ქარგის „ჩარჩოებს" ქმნიან იგავები, რომლებიც ჩართულია ნაწარმოების ძირითადი პერსონაჟების — ბალავარისა და იოდასაფის დიალოგებში. ეს იგავები ავტორის მიერ თხზულებაში მხატვრული კომპოზიციის ისეთი იშვიათი გრძნობით არის გამოყენებული (როგორც პერსონაჟთა ავტორისეული მსოფლშეგრძნების სარეალიზაციო საშუალება), რომ ისინი სრულიადაც არ არღვევენ თხრობის ძირითად იდეურ-ესთეტიკურ მიმართებას, — მაღალმხატვრულ ფილოსოფიურ სურათს.

„ბალავარიანში" ყურადსაღებია სხვა სტილისტური თავისებურებაც, მაგრამ მის განხილვამდე საჭიროა პასუხი გავცეს შემდეგ კითხვებს: — რამ მიიზიდა ბოლოს და ბოლოს ჩვენთვის უცნობი მართლმორწმუნე ქრისტიანი ავტორი „ბუდას ცხოვრების სიუჟეტურ ქარგაში?" ან, ნუთუ მხოლოდ ბუდას თავგანწირული ასკეტიკა იყო მისი შემოქმედებითი იმპულსი ამ იშვიათი თხზულების გადმოსაკეთებლად თუ შესაქმნელად? ამ კითხვებზე ცალსახა პასუხის გაცემა არ იქნებოდა მართებული. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ ისტორიულ ეპოქას (პირობითად მაინც მე-7-8 საუკუნეებს), როდესაც ქრისტიანი ქართველი ავტორის სამშობლო სულ უფრო და უფრო განიცდიდა უცხო რჯულის ექსპანსიას თუ საკითხს ამგვარად დავაყენებთ, არ იქნება მართებული ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, ამ შემთხვევაში „ბალავარიანი", განვიხილოთ მხოლოდ როგორც „სულის მარგებელი" ასკეტურ-დოგმატური ფილოსოფიური თხზულება, ან, ვთქვათ, როგორც თ. მოციქულის ჩაცვლად, ვარლაამისა და იოდასაფის მიერ ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია (რასაც ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ), მით უფრო, როცა მე-7-8 საუკუნეებში ინდოეთში ბუდიზმის კვალი ძლივსღა იყო შესამჩნევი, ისიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, როცა ეებს იკიდებდა ისლამი. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ, როგორც ცნობილია, ბუდას ლეგენდის გავრცელება აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოში დაკავშირებულია მანიქეისტური ბუდიზმის გავრცელებასთან (მე-4-5 საუკუნეებიდან მოყოლებული) ამ რეგიონებში, რაც თავისთავად გამორიცხავს ქართული „ბალავარიანის" კავშირს თ. მოციქულის ისტორიასთან ან ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების სხვა მომენტებთან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უთუოდ „ბალავარიანშიც" უნდა დავინახოთ იმდამინდელი საქართველოს მწვავე პოლიტიკური ტკივილები, რომელთა აღწერაც მტრის თვალის ასახვევად ზოგჯერ არაპირდაპირი — შენიღბული გზით ხდებოდა მართლმორწმუნე ქართველი ქრისტიანი ავტორების მიერ, რომლებიც თავიანთ ჰაგიოგრაფიულ ქმნილებებს, ლოგიკურია, კონფესიურთან ერთად, გარკვეულ ეროვნულ-პოლიტიკურ მისიასაც აკისრებდნენ. ამიტომაც ეს უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად „ბალავარიანის" ქრისტიანობის აპოლოგეტიკისა, რაც თავისთავად მიგვანიშნებს „ბალავარიანის" „ტექსტის ფუნქციაზე" და მისი განხილვის აუცილებლობაზე.

ინდოლოგი ვ. სემენცოვი თავის მონოგრაფიაში („ბრაჰმანული პროზის ინტერპრეტაციის პრობლემები", მოსკოვი 1985 წ.) მიუთითებს: — „სწორედ ამა თუ იმ ტექსტის ფუნქცია (ე. ი. მისი გამოყენება), მას უკან მდგარი მოქმედება არის მთავარი, რომელსაც არ შეგვიძლია აღვადგინოთ იგი" (გვ. 6). რა თქმა უნდა, ბრაჰმანული „ტექსტის ფუნქცია" მნიშვნელოვნად განსხვავდება „ბალავარიანის" „ტექსტის ფუნქციისაგან", მაგრამ გარკვეულ წილად ეს ამ უკანასკნელსაც (როგორც წმინდანის ცხოვრების წიგნს") ეხება, როგორც ზემოთ ითქვა, „ბალავარიანს". ყველაფერთან ერთად, რამდენადმე ეროვნულ-პოლიტიკური ფუნქციაც გააჩნდა, მით უფრო იმ ისტორიულ ხანაში, როცა გარეშე მტრით შევიწროებული საქართველო სულ უფრო და უფრო მიისწრაფოდა ჩამოყალიბებულიყო როგორც ერთმორწმუნე, ერთიანი, მტკიცე ქრისტიანული სახელმწიფო. ასეთ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში კი (უთუოდ სამშობლოს მოწყვეტილი) „ბალავარიანის" ავტორისათვის სწორედ „ბუდას ცხოვრების სიუჟეტური ქარგის ნეიტრალური ხასიათი" (თუნდაც გაუცნობიერებლად) ხელსაყრელი აღმოჩნდა იმისათვის, რათა იგი იმდაგვარად გადაეკეთებინა, რომ თხზულება მის ეროვნულ იდეალებს მორგებოდა. ამდენად თუ „ბალავარიანის" შექმნის თარიღად მე-7-8 საუკუნეებს მივიჩნევთ (როცა სამხრეთ ინდოეთში ბუდიზ-

მის ნაცვლად ჯაინიზმი იკიდებდა ფეხს. მე-7 საუკუნის ჩინელ მოგზაურთა ჩანაწერებში ხშირია საუბარი სამხრეთ ინდოეთში — ჩოლათა სამეფოში ჯაინთა ტაძრების მშენებლობაზე) ასეთ შემთხვევაში „ბალავარიანში" ნახსენები ტოპონიმი „შოლაიტ" შესაძლოა მომდინარეობდეს ინდური (ტამილური) სიტყვა „ჩოლადან", რაც ჩოლათა დინასტიის სამეფო ადგილს ნიშნავს. ამდენად, შესაძლოა მართალი იყო ი. აბულაძე, რომელსაც სიტყვა „შოლაიტის" არაბულ ფორმას „შავილაბად"-ის განმარტავდა როგორც ინდოეთს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე „ბალავარიანის" „ტექსტის ფუნქციის" შესახებ თავისთავად გვაყენებს „ბალავარიანის" ავტორის ვინაობის საკითხის წინაშეც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლ. მენაბდის* მოსაზრება, რომ პალესტინელ ქრისტიანებს სინას მთა ადრევე იზიდავდა თურმე, რომელთა შორის თითოოროლა ქართველიც იყო, თუმცა მკვლევარი იმასაც დასძენს, რომ სერიოზული მსჯელობა სინას მთაზე ქართული საბერმონაზვნოს დამკვიდრების შესახებ მხოლოდ მე-8 საუკუნიდან არის შესაძლებელი. უთუოდ ყოველივე ეს ასეც იყო, მაგრამ არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ქართული „ბალავარიანი" სწორედ იმ „თითოოროლა ქართველი" პალესტინელი ბერის (ან რამდენიმე პირის) მიერ არის შექმნილი მე-7-8 საუკუნეებში, რადგანაც პალესტინაში ზემოთხსენებულ საბერმონაზვნოს გარკვეულ წილად უკვე ჩაყრილი უნდა ჰქონოდა საფუძველი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, ამ შემთხვევაში ქართველი ერის იმჟამინდელი სულიერი მდგომარეობა (არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში), რომელსაც ყველაზე მეტად მიესადაგებოდა სწორედ სამხრეთ-ინდური — მაჰაიანისტური ბუდიზმის ერთ-ერთი დოგმა — „საერო ცხოვრებაზე ზემოქმედება მისდამი სიბრალულისა გამო". ამდენად, თუ ზემოთქმულს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ გამართლებულად უნდა ჩაითვალოს საუბარი „ბალავარიანის" „ტექსტის ფუნქციის" ეროვნულ-პოლიტიკურ ასპექტზე (საქართველოს ისტორიის შესაბამისი პერიოდის გათვალისწინებით).

ახლა, თუ ისევ „ბალავარიანის" იდეურ-კომპოზიციური და სტილისტური ნიშან-თვისებების ანალიზს დავუბრუნდებით, შევნიშნავთ ერთ სტილისტურ თავისებურებას: მართალია, თხზულების ავტორი უდავოდ ქრისტიანული სულისკვეთებითაა გამსჭვალული, მაგრამ, რამეთუ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ინდოელი ლეგენდარული პერსონაჟის — ბუდას ცხოვრების სიუჟეტური ქარგა, ავტორი იძულებულია მიმართოს ინდური (ბუდისტურ-ჯაინისტური) და ქრისტიანული მხატვრული კომპონენტების ერთგვარ მანიპულირებას. შესაბამისად ნაწარმოებში აშკარად შეინიშნება ინდური რემინისცენციები: — „და იხილა მეფემან სინათლე რამე, ვითარცა ცეცხლისაჲ მუნით გამო, და ვითარცა მიაღწნეს, იხილეს ვითარცა ქვაბი განმოთხრილი რაიმე ნაგევთა. მათ შინა იყვნეს კაცი და დედაკაცი, შემოსილნი სამოს[illegible]თა, ძველითა, და ვითარცა ხ[illegible] მუნით ხმაი სიმღერისაჲ. და კაცი იგი იჯდა ინახით სკორესა ზედა, ხოლო დედაკაცი იგი უროკვიდა წინა და შეასხმიდა ქებასა, ვითარცა მშვენის მეფეთათვის". თხზულების ამ პასაჟში აღწერილი ეს მეტად ეგზოტიკური სურათი ასახავს ტიპიური ღარიბი ინდური ოჯახის ცხოვრების ღამის სცენას, რომლის მსგავსი თანამედროვე ინდოეთშიც შესაძლებელია ვიხილოთ. მაგრამ ამ პასაჟის ფრაზა „ხმაი სიმღერისაი" არაერთგვაროვნად შეიძლება აიხსნას: — როგორც ჩვეულებრივი სიმღერის ხმა, ასევე როგორც ცეცხლის ღვთაების (აგნის) სათაყვანოდ წარმოთქმული მანტრების (საგალობლების) ხმა. „ბალავარიანის ავტორისათვის, როგორც ჩანს, არც ბუდისტურ-ჯაინისტური ასკეტიკის მორალურ-ეთიკური ელემენტებია უცხო. ამ თვალსაზრისით დავაკვირდეთ თხზულების შემდეგ პასაჟს: — „სიმშვენიერე ხატისაი და ბრწყინვალებაი სამოსელთაი არა ჰგვანან მათ, რამეთუ ხედვენ იგინი ხელით უქმნელთა ზეცითა ტაძართა, თვალთშეუდგამთა სამოსელთა..." ამ შემთხვევაში შეიძლება გვეფიქრა, რომ აქ საუბარია ქრისტიანულ ასკეტიკაზე, მაგრამ ამაში ეჭვს ბადებს ფრაზა „თვალთშეუდგამითა სამოსელითა", რომელიც შეგვიძლია გავიგოთ როგორც „თვალით დაუნახავი (მიუწვდომელი) სამოსელითა", ე. ი. „ცით მოსილნი" ანუ „სრულიად შიშველნი", რომლებიც მხოლოდ ჯაინი „დიგამბარები შეიძლება იყოს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს უფრო ინდურ მსოფლგაგებასთან, ვიდრე წმინდა ქრისტიანული ასკეტიკის აღწერასთან. ასევე, „კარმული" — მიზეზეულის მსოფლშეგრძნების მხატვრულ რემინისცენციასთან გვაქვს საქმე შემდეგ პასაჟში: „გარნა ვინაჲ სცან, თუ აღდგომად ყოფად არს შემდგომად სიკვდილისა და მიგებაჲ კეთილისა და ბოროტისაჲ..." ...„ხოლო შემდგომად ჟამთა ყოველნი აღდგომად ვართ და მიეგების კაცსა — კაცადსა საქმეთა მათთაებრ". თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პასაჟის შინაარსი არც ქრისტიანული მსოფლშეგრძნებისგან ცდას შორს. გავაანალიზოთ თხზულების კიდევ ერთი პასაჟი, სადაც ავტორი აგვიწერს ასკეტს: „— სუფევაი საუკუნო შენდა არს დაუსრულებელ, რომელსა არა შეუთქმს

*ლ. მენაბდე — ძველი ქართული ლიტერატურის კერები, თბ., 1980 წ. გვ. 24-25

მწუხარებაი და სიმდიდრე, რომელსა არა შეუთქმს სიგლახაკე, და სიხარული, რომელსა არა შეუთქმს მწუხარებაი და სიმდიდრე, რომელსა არა შეუთქმს სალმობაი და მეფობაჲ, რომელსა არა შეუთქმს აღსასრული და მშვიდობაი, რომელსაც არა შეამღვრევს სიკვდილი, რამეთუ იგი არს სოფელი უხრწნელი და მიიღებენ რომელთა შეიყვარეს იგი", ამ შემთხვევაში „ბალავარიანის" ავტორისეული გაგება „მარადიული ყოფიერებისა" (სუფევაი საუკუნოდ) მნიშვნელოვნად სცილდება წმინდა ორთოდოქსულ ქრისტიანულ ჩარჩოებს (სადაც სახიერი ღმერთია გამგებელი სამყაროსა და ყოფიების) და უახლოვდება „ყოფიერების" როგორც „ღვთაებრივი (ბრაჰმანული) — ატმანისეული „აბსოლუტური ჭეშმარიტების" ინდურ გაგებას. „სინამდვილე არის — ერთი უსასრულო არსებობა (ყოფიერება) — განგვიმარტავს ს. ვივეკანანდა, და შესაბამისად იგი „აბსოლუტური ნეტარებაა". ანუ ხსნა — „შვება არის დაუსრულებელი" (ბალავარიანი), „რომელსა არა შეამღვრევს სიკვდილი, რამეთუ იგი არს სოფელი (აბსოლუტური სამყარო — ნ. ქ.) — უხრწნელი" შევადაროთ: — ომ (ბრაჰმა) არის უსასრულო", „დაუნახავი, შეუგრძნობადი, უხრწნელი. იგი არასოდეს იხრწნება" (ბრიჰადარანიაკაუპანიშადა,, თავი 4). სამყაროსა და ყოფიერების ამგვარ ინტერპრეტაციას თავისთავად მივყევართ „სამყაროს ილუზიერობის (მაიას) კონცეფციასთან, რომელიც საფუძვლად უდევს გვიანდელ მაჰაინისტურ ბუდიზმს (5 ს.).

„ბალავარიანში" მრავალ სხვა მსგავს ინდური იდეური რემინისცენციების გარდა ვხვდებით საუბარს ინდურ „ვეგეტარიანიზმზეც". როდესაც იოდასაფი ეკითხება ბალაჰვარს, რით იკვებებით, მოძღვარი პასუხობს: — მწვანილთაგან ქვეყანისათა ვიზრდებით, ხოლო ოდეს მოგვაკლდის, მივიღებ ძმათაგან ჩვენთა მორწმუნეთა" და ა. შ.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ინდური რემინისცენციებისა, „ბალავარიანი" საბოლოოდ წმინდა მართლმადიდებლური ქრისტიანული მრწამსით გამსჭვალული ქართული ფილოსოფიური თხზულებაა, რაზედაც განსაკუთრებით მეტყველებს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის — ბალაჰვარის დახასიათება: — „კაცი ერთი ბალაჰვარ და იყო იგი ღმრთის მსახური და მორწმუნე და მოსავ ქრისტეს მცნებათა" და ერთ-ერთი ამგვარი მცნება ქრისტესი, ნაწარმოებში, აშკარა ბიბლიური ფორმით გვხვდება: — „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი". მთლიანად ქრისტიანული სულისკვეთებითაა გამსჭვალული აგრეთვე თხზულების ფინალი, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ავტორის მსოფლშეგრძნებასა და ნაწარმოების იდეურ მიმართულებას: — „ხოლო იგი წარვიდა ერითა, ეპისკოპოსთა და მღვდელთა და წარმოხვნა ნაწილნი იოდასაფ და ბალაჰვარისნი და მასსა ზედა აღაშენა ეკლესია სახელსა ზედა მამისასა, ძისასა და სულისა წმინდისასა, რომლისა არს დიდებაი აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამენ".

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ განხილული ფილოსოფიური თხზულების განსწავლული ავტორი (არ არის გამორიცხული, რომ ის ნაწარმოები იქმნებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირის მიერ, რასაც გვაფიქრებინებს მისი სტილისტურ-კომპოზიციური თავისებურება, რაც უთუოდ საგანგებო კვლევის საგნად უნდა იქცეს) მიმართავს ერთგვარ სხვადასხვა მსოფლმხედველობით მანიპულირებას (შესაძლოა გაუცნობიერებლადაც, რამეთუ იგი იყენებს, როგორც ბუდას ცხოვრებას „სიუჟეტური ქარგის ნეიტრალურ ხასიათს", აგრეთვე ინდური სულიერი სამყაროს სხვადასხვა წყაროს). ამდენად ნაწარმოებში აღწერილი წარმართობა (გარკვეულ წილად ალეგორიული ატრიბუტი) მეორეხარისხოვანია და ავტორისათვის მხატვრული ასახვის ძირითად საგანს წარმოადგენს ბუდისტურ-ქრისტიანული ასკეტიკა (რადგან ბუდას „მწამებლური გზა" ესოდენ მსგავსია ქრისტეს გზისა). საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება რაგინდ ჰიპოტეტურად არ უნდა გამოიყურებოდეს, ერთი ცხადია, რომ „ბალავარიანის" ჩვენთვის უცნობმა ავტორმა ინდური ესთეტიკური აზრი, ბუდას ცხოვრების სიუჟეტურ ქარგაზე დაყრდნობითა და აღმოსავლური მხატვრული ხერხების გამოყენებით, შესანიშნავად მოარგო წმინდა ქართულ ქრისტიანულ ეროვნულ მსოფლშეგრძნებას და აქცია იგი უნიკალურ ორიგინალურ ფილოსოფიურ მხატვრულ ტილოდ, რომელიც ჯერ კიდევ ხანგრძლივი კვლევის საგნად რჩება, როგორც დასავლური და აღმოსავლური სულიერი კულტურების ურთიერთზემოქმედებისა და შერწყმის საუკეთესო ნიმუში, ეს კი თავისთავად მიუთითებს სულიერი კულტურის ფენომენის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე.

---

თხზულების ციტატები მოტანილია „ბალავარიანის" მოკლე რედაქციიდან (ქართული პროზა, ტ. I., „სიბრძნე ბალაჰვარისი", თბ. 1981 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხოსე ორტეგა-ი-გასეტი

თარგმნა დათო ბარბაქაძემ

## ორი დიდი მეტაფორა

ეძღვნება კანტის დაბადებიდან
ორასი წლისთავს

როცა მწერალი საყვედურს გამოთქვამს ფილოსოფიაში მეტაფორის გამოყენების გამო, ამით იგი მხოლოდ იმას ამჟღავნებს, რომ არც ის იცის, რა არის ფილოსოფია, და არც ის — რა არის მეტაფორა. არც ერთ ფილოსოფოსს არ მოუვა აზრად მეტაფორის მსჯავრდება*. მეტაფორა აზროვნების აუცილებელი იარაღია, მეცნიერული აზრის ფორმაა. რა თქმა უნდა, შეიძლება მოხდეს, რომ მეცნიერმა შეცდომით მიიღოს მეტაფორა ან გამოხატვის სხვა ირიბი საშუალება პირდაპირ გამოხატული აზრის სახით. ასეთი შეცდომები, ცხადია, უნდა გაიკიცხოს და ისევე უნდა გამოსწორდეს, როგორც — ფიზიკოსის მიერ გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომები. მაგრამ ხომ არავინ დაიწყებს ამის გამო მტკიცებას, რომ ფიზიკამ არ უნდა ისარგებლოს მათემატიკით. მეთოდის გამოყენებაში დაშვებული შეცდომა არ გამოდგება, თვით მეთოდის საწინააღმდეგო არგუმენტად. პოეზია მეტაფორაა; მეცნიერება მხოლოდ მიმართავს მეტაფორას. არც — მეტი, მაგრამ არც — ნაკლები.

მეცნიერული მეტაფორის უარყოფა ეგრეთ წოდებული „სიტყვების შესახებ კამათის" არმიღების მსგავსია. ზედაპირულ გონებას ნებისმიერი დისკუსია წარმოუდგენია, როგორც — სიტყვების შესახებ კამათი. მაგრამ სიტყვების შესახებ ნამდვილ კამათს ერთობ იშვიათად ვხვდებით. მკაცრად თუ ვიტყვით, სიტყვების შესახებ კამათი მხოლოდ ენათმეცნიერებს შეუძლიათ. სხვებისთვის სიტყვა არა მხოლოდ ლექსიკური ერთეულია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, — ის მნიშვნელობა, რომლის ასოციაციასაც ეს სიტყვა იწვევს. სიტყვების შესახებ საუბარი ნიშნავს საუბარს მნიშვნელობების ანუ ცნებების შესახებ, ტრადიციული ლოგიკური ენით თუ ვილაპარაკებთ, ხოლო რამდენადაც მნიშვნელობა სხვა არაფერია, თუ არა ობიექტზე ჩვენი აზრის ინტენცია, მიმართულობა, სიტყვების შესახებ კამათი მართლაც ნივთების შესახებ კამათი გამოდის.

ხდება, რომ განსხვავება ორ მნიშვნელობას ან ცნებას შორის — იმავდროულად, ორ ნივთს შორის — ძალიან მცირეა და, ამის გამო, არ აინტერესებს მოუქნელი ან პრაქტიკული გონების ადამიანს, და იგი თანამოსაუბრეზე გამარჯვებას იმით აღწევს, რომ ამ უკანასკნელს სიტყვებით ჟონგლიორობაში ადანაშაულებს. დაზიანებული მხედველობის მქონე კაცისთვის ხომ ყველა კატა რუხია. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთათვისაც უმაღლესი სიამოვნების მომნიჭებელია ობიექტებს შორის თუნდაც უმცირეს განსხვავებათა აღმოჩენა. არასოდეს გაქრებიან „სიტყვების შესახებ კამათში" დახვეწილი, გაწაფული გონებანი, და სწორედ მათ მოვიძიებთ ხოლმე ყოველთვის, როცა საინტერესო აზრის მოსმენა მოგვინდება.

* უნდა აღინიშნოს, რომ, როცა არისტოტელემ პლატონს ასეთი ბრალდება წაუყენა, იგი მეტაფორის წინააღმდეგი სულაც არ ყოფილა. მან ყურადღება მიაქცია მხოლოდ იმას, რომ ზოგიერთი პლატონისეული ცნება (ისეთი, როგორიცაა, მაგალითად: participacion, „მონაწილეობა"), რომელსაც პლატონი მკაცრ სახ[illegible] აძლევს, სინამდვილეში სხვა არაფერი [illegible] თუ არა მეტაფორა.

აბსტრაქტულ განაზრებათა ვერშემძლებელი გონება ვერც მეტაფორისა და მეტაფორული აზრის ერთმანეთისგან გამიჯვნას შეძლებს. გაიგებს და ავტორს გაამტყუნებს იმაში, რაშიც თავადაა დამნაშავე. ფილოსოფიური აზრი, როგორც არცერთი სხვა, მუდმივად და თითქმის შეუმჩნევლად გადადის პირდაპირი აზრიდან ირიბში; იგი არაა შეზღუდული ამ სფეროთაგან რომელიმე ერთით. კირკეგორს ერთი ასეთი მაგალითი აქვს მოცემული. ცირკში ხანძარი გაჩნდა. იმპრესარიოს გვერდით აღმოჩნდა კლოუნი, და იმპრესარიომ სწორედ მას დაავალა, ხალხისთვის ეს ამბავი ეცნობებინა. მაგრამ კლოუნის პირით ნათქვამი ეს ტრაგიკული ცნობა მაყურებლებს ხუმრობა ეგონათ და დარბაზი არ დაუტოვებიათ. ხანძარი მთელ შენობას მოედო და ხალხი დაიღუპა, ემსხვერპლა იმას, რომ ვერ შეძლო ხუმრობიდან სერიოზულად ნათქვამზე გადართულიყო.

მეტაფორა მეცნიერებაში ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული, სახით გამოიყენება. როცა მეცნიერი მანამდე უცნობ მოვლენას აღმოაჩენს, ანუ როცა ის ახალ ცნებას ქმნის, საჭიროა ამ უკანასკნელის სახელდება. რამდენადაც სრულიად ახალი სიტყვა არაფერს ეტყობა მოცემული ენის მატარებლებს, იგი იძულებულია ისარგებლოს არსებული ლექსიკონით, რომელშიც ყოველი სიტყვის უკან გარკვეული მნიშვნელობა დგას. გასაგები რომ გახდეს, მეცნიერი ისეთ სიტყვას ირჩევს, რომლის მნიშვნელობას ახალ ცნებაზე მითითება შეუძლია. ტერმინი ახალ მნიშვნელობას იძენს ძველის საშუალებით და დახმარებით, რომელიც მასში ინახება. სწორედ ესაა მეტაფორა. როცა ფსიქოლოგი შენიშნავს, რომ ჩვენი წარმოდგენები ერთმანეთზე ზემოქმედებენ, ის ამბობს, რომ წარმოდგენები ა ს ო ც ი რ დ ე ბ ი ა ნ, ე. ი. იქცევიან ისე, როგორც ადამიანები — ს ო ც ი უ მ - შ ი (საზოგადოებაში). თავის მხრივ, იმან, ვინც პირველმა უწოდა ადამიანთა ერთიბლიობას სოციუმი, ახალი საზრისი მიანიჭა ამ სიტყვას, რომელიც ლათინური წარმომავლობისაა — sequor, „მივყვები", „მივდევ"; ესპანური socio, „საზოგადოების წევრი", თავდაპირველად აღნიშნავდა „მიმდევარს". ეს საინტერესო ისტორიული გარემოება ადასტურებს საზოგადოების წარმოშობის თეორიას, რომელიც გადმოცემულია ჩემს ნაშრომში „უხერხემლო ესპანეთი". პლატონი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნამდვილი რეალობა იგივეობრივი არაა ჩვენს ირგვლივ არსებული ცვალებადი სამყაროსი, ნამდვილი რეალობა, უცვლელი და უხილავი, ისეთი სრულყოფილი ფორმებისგან შედგება, როგორიცაა „აბსოლუტური სითეთრე", ან, ვთქვათ უმაღლესი სამართლიანობა, გრძნობებისთვის მიუწვდომელი, გონებისთვის მისაწვდომი ცნებების აღსანიშნად პლატონმა ჩვეულებრივ ენაში მოძია სიტყვა idea, „იდეა", რადგან ამ სიტყვით სურდა მიეთითებინა, რომ გონება გაცილებით სრულყოფილ მზერას ფლობს, ვიდრე — თვალი.

ეროვნული

წამოჭრილი თემის გასაშუქებლად თუ მოვინდომებთ, მაშინ, მოსალოდნელია, უარის თქმა მოგვიხდეს ტერმინ „მეტაფორაზე", რომელმაც შეიძლება დაგვაბნიოს. მეტაფორა სახელწოდების გადატანაა. მაგრამ არსებობს სახელწოდების გადატანის მრავალი სახე, რომლის საფუძვლადაც არ დევს ის, რაც ჩვენ, ჩვეულებრივ, გვესმის, როგორც მეტაფორა. აი, ამა თუ იმ თვალსაზრისით დამახასიათებელი რამდენიმე ნიმუში.

სიტყვა „მონეტა" ლათინში მოჭრილი ერთიანი სავაჭრო ეკვივალენტის აღმნიშვნელია. მაგრამ თავდაპირველად ეს სიტყვა აღნიშნავდა იმას, „ვინც აცნობებს, აფრთხილებს და განარიდებს". ესაა იუნონას აღმნიშვნელი. რომში იყო განმარიდებელ იუნონას (Iuno Moneta) ტაძარი, ხოლო მის გვერდით არსებობდა ზარაფხანა. მასზე, რაც იქ იჭრებოდა, გადატანილ იქნა იუნონას — განმარიდებლის (moneta) — ეპითეტი. ახლა კი, როცა სიტყვა „მონეტას" წარმოვთქვამთ, აღარ ვფიქრობთ ამაყი ქალღმერთის შესახებ.

სიტყვა „კანდიდატი" თავდაპირველად ნიშნავდა თეთრი ტანსაცმლით შემოსილ ადამიანს. როცა რომის მოქალაქეს ირჩევდნენ რომელიმე მუნიციპალურ თანამდებობაზე, ის თავისი ამომრჩევლების წინაშე თეთრი სამოსით წარსდგებოდა ხოლმე. ამჟამად კანდიდატს ვუწოდებთ თანამდებობის ნებისმიერ პრეტენდენტს, განურჩევლად მისი სამოსის ფერისა. უფრო მეტიც: საამომრჩევლო რიტუალი, ჩვენს დროში, შავ კოსტუმს ანიჭებს უპირატესობას.

ფრანგული გამოთქმა „se mettre en gréve" ნიშნავს „„გაფიცვის გამოცხადებას". საიდან აქვს gréve-ს ასეთი მნიშვნელობა? ჩვეულებრივ, ეს უცნობია მათთვის, ვინც ამ სიტყვას იყენებს. მათ არც სჭირდებათ ამის ცოდნა. მათთვის ესაა პირდაპირი აღნიშვნა. სიტყვა gréve, თავდაპირველად, ფრანგულ ენაში „ქვიშის ნაპირს" ნიშნავდა. პარიზის მუნიციპალიტეტი მდინარის ნაპირზე იყო აშენებული. მის წინ კი განიფენებოდა ქვიშის ნაპირი — gréve, ხოლო სამუნიციპალო მოედანს გრევის მოედანი ეწოდა. აქეთ ეშურებოდნენ მაწანწალები; შემდეგ აქ თავს იყრიდნენ უმუშევრები, აქ სდებოდა მათი დაქირავება. გამოთქმა faire gréve უკვე ნიშნავდა „უმუშევრად ყოფნას". ახლა ის ნიშნავს მუშაობის განზრახ შეწყვეტას. ამ გამოთქმის ისტორია ფილოლოგებმა ადვი-

გინეს; ის არ აღმოცენდება იმ მუშების ცნობიერებაში, რომლებიც ამ სიტყვით სარგებლობენ.

დასახელების გადატანის ეს ნიმუშები დამყარებული არაა მეტაფორაზე. უბრალოდ, სიტყვა კარგავს ერთ მნიშვნელობას და იძენს მეორეს.

როცა ჩვენ ვამბობთ el fondo del alma — „სულის სიღრმე“ (სიტყვასიტყვით „სულის ფსკერი“), მხედველობაში გვაქვს რაღაც გონითი ფენომენი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სივრცესთან და მოკლებულია ფიზიკურ მახასიათებლებს, ისეთს, მაგალითად, როგორიცაა ზედაპირი და ფსკერი.

როცა სულის რაღაც ნაწილს აღვნიშნავთ fondo — „ფსკერი“, ვითვალისწინებთ, რომ მას არ ვიყენებთ პირდაპირი აზრით, მაგრამ ამავე დროს გვესმის, რომ ჩვენთვის საჭირო ირიბი საზრისი პირდაპირითაა ნაწარმოები. პირიქით, ისეთი სიტყვა, როგორიცაა „წითელი“, პირდაპირ მხოლოდ შესაბამის ფერს აღნიშნავს. როცა ვამტკიცებთ, რომ სულს აქვს „ფსკერი“, თავდაპირველად ჩვენ ამ სიტყვას მივაწერთ რაიმე ჭურჭლის, მაგალითად — კასრის, ფსკერს, ხოლო შემდგომ თითქოსდა „გავწმენდთ“ ამ მნიშვნელობას ფიზიკურ პარამეტრებზე მითითებისგან და მას ფსიქიკას მივაკუთვნებთ. მეტაფორისთვის აუცილებელია, რომ ჩვენ ვაცნობიერებდეთ მის ორობითობას. ამ დროს სახელს არ ვიყენებთ მისი პირდაპირი მნიშვნელობით და ჩვენ ეს კარგად გვესმის.

მაგრამ, თუ ჩვენ ვიცით ამის შესახებ, რატომ ვმოქმედებთ ასე? რატომ არ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა პირდაპირ აღნიშვნას და არ გამოვიყენოთ სიტყვები პირდაპირი აზრით? „სულის სიღრმე“" რომ ისევე ნათლად აღიქმებოდეს ჩვენი მზერით, როგორც, მაგალითად, წითელი ფერი, მაშინ, უეჭველია, ვისარგებლებდით მისი აღნიშვნის მიზნით პირდაპირი და მხოლოდ მისთვის ნიშნეული დასახელებით. მაგრამ საქმის მთელი არსი იმაშია, რომ ჩვენთვის საინტერესო ფსიქიკური ობიექტის არა მხოლოდ დასახელებაა ძნელი, მისი მოაზრებაც ერთობ რთულია. იგი გვისხლტება; გონებას არ ძალუძს მისი დაჭერა. აქ უკვე ვამჩნევთ, რომ მეტაფორა ემსახურება არა მხოლოდ დასახელებას, არამედ — აზროვნებასაც. ესაა მეტაფორის მეორე — გაცილებით ღრმა და არსებითი — ფუნქცია შემეცნებაში. მეტაფორა გვჭირდება არა მხოლოდ იმისთვის, რომ, მიღებული დასახელების წყალობით, ჩვენი აზრი სხვათათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ; იგი თავად ჩვენ გვჭირდება იმისთვის, რომ ობიექტი ჩვენი აზრისთვის მისაწვდომი გახდეს. მეტაფორა არა მხოლოდ გამოხატვის საშუალებაა, არამედ — აზროვნების მნიშვნელოვანი იარაღიც. ვცადოთ ამის მიზეზთა გარკვევა. ჯონ სტიუარტ მილი წერდა, — ყველა სხვილი საგანი რომ, ამავე დროს, ცივიც ყოფილიყო, [illegible] ორი თვისება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, რომ არასოდეს გამჟღავნებულიყო, მაშინ ჩვენ, შესაძლოა, ისინი ერთ თვისებად [illegible] სამყაროში რომ მხოლოდ ლურჯი [illegible] არსებულიყო, მაშინ ჩვენთვის ერთობ ძნელი იქნებოდა ამ ფერზე ნათელი წარმოდგენის შექმნა. ძაღლი უკეთ გრძნობს მოძრავ საგანს, რამდენადაც მისი სუნის სიმძაფრე მოძრაობისას მერყეობს. სწორედ ასე, აღქმა და აზროვნება ცვალებადს უკეთ მოიხელთებს, ვიდრე — უცვლელს. ჩანჩქერის პირას მცხოვრებთ მისი ხმაური არ ესმით. თუმცაღა, ჩანჩქერი რომ შეწყდეს, ისინი გაიგონებენ გაუგონარს: სიჩუმეს.

აი, რატომ განსაზღვრავს არისტოტელე შეგრძნებას, როგორც — განსხვავების აღქმის უნარს. ჩვენ მოვიხელთებთ სხვადასხვასა და ცვალებადს, და ვერ ვამჩნევთ ერთნაირსა და უცვლელს. გოეთე სრულიად კანტიანური სულისკვეთებით ამტკიცებს, რომ, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, საგნები სხვა არაფერია, თუ არა ის განსხვავებანი, რომელთაც ჩვენ მათ მივაწერთ. სიჩუმე, თავისთავად, არაფერია, ჩვენთვის, ის რეალობას იძენს ხმაურისგან თავისი განსხვავების წყალობით. როცა ირგვლივ ყველაფერი ყუჩდება და უცებ დუმილი შემოგვეცვრის, მოუსვენრობას შევიგრძნობთ, თითქოს თავს ვიღაც მრისხანე დაგვდგომია და გვითვალთვალებს.

ამგვარად, ჩვენი აზრისთვის ყველა ობიექტი იოლად მისაწვდომი არაა, ყველაფრის შესახებ ქერძო, ნათელი, მკაფიო წარმოდგენის შექმნა არ შეგვიძლია. ამიტომ ჩვენი სული იძულებულია, იოლად მისაწვდომ ობიექტებს მიმართოს, რათა, ამოსავალ წერტილად მათი მიღებით, წარმოდგენა შეიქმნას რთულ და ძნელად მოსახელთებელ ობიექტებზე.

მაშასადამე, მეტაფორა აზრის ის იარაღია, რომლის მეშვეობითაც ჩვენი კონცეპტუალური ველის ათვისებას ვახერხებთ. ჩვენთვის ახლობელი, იოლად მისაწვდომი ობიექტები აზრს შორეულ და ჩვენთვის მოუხელთებელ ცნებებზე მიუთითებენ. მეტაფორა ინტელექტის „ხელს“ აგრძელებს; ლოგიკისთვის მისი მნიშვნელობა შეიძლება შევადაროთ ანკესს ან შაშხანას.

აქედან, სხვათა შორის, არ გამომდინარეობს, რომ ის მოაზრებადის საზღვრებს აფართოებს. სულაც არა, ის მხოლოდ იმასთან მისადგომს უზრუნველყოფს, რაც ბუნდოვნად სჩანს ამ მისადგომის შორეულ საზღვრებთან. მეტაფორის გარეშე ჩვენს მენტალურ ჰორიზონტზე შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ყამირი ზონა, ფორმალუ-

რად ჩვენი აზრის იურისდიქციას დამორჩილებული, მაგრამ ფაქტიურად — აუთვისებელი და დაუმუშავებელი.

მეტაფორა პოეზიის საფუძველია, და მისი პოეტური ფუნქცია კარგადაა შესწავლილი. მეცნიერებაში მეტაფორა დამხმარე როლს თამაშობს. მეცნიერულ და პოეტურ მეტაფორებს, ჩვეულებრივ, ურთიერთ პოზიციებით უდგებოდნენ. მაგალითად, ესთეტიკაში მეტაფორას განიხილავდნენ, როგორც მხოლოდ მოწკალდობელ განათებას, რომლის ნათელშიც უეცრად გაასხივოსნა მშვენიერი. ამის გამო, მის მიმართ არ გამოიყენებდნენ ჭეშმარიტების ცნებებს და მათ არ თვლიდნენ სინამდვილის შემეცნების იარაღად. ეს ვერ იძლეოდა იმის შემჩნევის საშუალებას, რომ პოეზიისთვის უცხო არაა კვლევითი მიზნები და ის მზადაა ისეთივე პოზიტიური ფაქტების აღმოსაჩენად, როგორებსაც მეცნიერება აღმოაჩენს ხოლმე.

ლექსში „სილვა ქალაქ ლოგრონოსადმი"* ლოპე დე ვეგა ბაღს ასე აღწერს:

შენ იხილავ, როგორ ჰყუმპალაობს ნიავი
ჭავლში შადრევანთა, რომელნიც
თავიანთ უკვდავ მარტოობაში
ცას ბროლის შუბებად ესობიან...

ლოპე დე ვეგა შადრევნის ჭავლს ბროლის შუბის სახით წარმოადგენს. ნათელია, რომ ჭავლი არ შეიძლება შუბი იყოს. მაგრამ ის, რომ პოეტმა ჭავლი სწორედ ასე წარმოიდგინა, ატყვევებს წარმოსახვას და ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს.

პოეზია მიესალმება იმას, რასაც მეცნიერება უარყოფს. პოეზია და მეცნიერება მტრები არიან, მაგრამ ორივე თავისებურად მართალია.

პოეზია მეტაფორაში აფასებს იმას, რასაც კიცხავს მეცნიერება. ჭავლი და შუბი კონკრეტული ობიექტებია. კონკრეტულია ნებისმიერი საგანი, რომლის აღქმაც შეიძლება სხვა საგნებისგან დამოუკიდებლად. აბსტრაქტული ობიექტი, პირიქით, მხოლოდ რომელიმე სხვა ობიექტთან მჭიდრო კავშირში აღიქმება. ფერი აბსტრაქტულ ობიექტს წარმოადგენს, რამდენადაც ჩვენ მას ამა თუ იმ ფორმის, ამა თუ იმ ზომის ზედაპირთან ერთად აღვიქვამთ. და პირიქით, შეუძლებელია ზედაპირის აღქმა ფერისგან დამოუკიდებლად. ზედაპირი და ფერი თანაარსებობისთვის არიან განწირულნი. ისინი გარჩევადნი არიან, მაგრამ — განუყოფადნი. ჩვენი გონება მონდომებულია, რომ მათ შორის ზღვარი გადოს. ჩვენ ამ ძალისხმევას აბსტრაჰირებას ვუწოდებთ. ამ ობიექტთაგან ერთ-ერთის აბსტრაჰირებას ვახდენთ, რათა მეორის ვირტუალური იზოლირება შევძლოთ და ამავდროულად მისი განმასხვავებელი ნიშნები განვსაზღვროთ.

აბსტრაქციები კონკრეტული ობიექტის შემადგენლობაში შედიან. მაგალითად, ბროლის შუბს, სხვა კომპონენტებთან ერთად, აქვს ფორმა და ფერი; გარდა ამისა, იგი თავის თავში მალავს დინამიკურ ძალას, რომელიც მას ხელის დარტყმით ატყობინებს რაღაცას და ჭრილობის მიყენებაც შეუძლია. მსგავსად ამისა, შადრევნის ჭავლში შეიძლება გამოიყოს ფორმა, ფერი და წყლის დაწნევით წარმოქმნილი დინამიკური ძალა, რომელიც მას მაღლა ატყორცნის.

ჭავლი და შუბი, თუ მათ მთლიანობაში განვიხილავთ, განსხვავებულს მეტს ფლობენ, ვიდრე — საერთოს. მაგრამ თუ ხსენებული სამი აბსტრაქტული ელემენტით შემოვიფარგლებით, აღმოჩნდება, რომ ისინი იგივეობრივი არიან. ფორმა, ფერი და დინამიზმი მათში ერთნაირია. ეს მტკიცება მეცნიერული მიდგომიდან გამომდინარეობს, ის რეალური ფაქტის კონსტატაციას ახდენს: ეს ფაქტია ჭავლისა და შუბის ნაწილობრივი იდენტურობა.

ციური სხეული და რიცხვი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ, როცა ნიუტონმა განსაზღვრა, რომ მიზიდულობის ძალა სხეულთა მასის პირდაპირპროპორციული და მათ შორის არსებული მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია, და მსოფლიო მიზიდულობის კანონი ჩამოაყალიბა, ამით მან ციურ მნათობებსა და რიცხვთა განსაზღვრულ მწკრივს შორის არსებული ნაწილობრივი და აბსტრაქტული იგივეობა აღმოაჩინა. პირველთა შორის მიმართება მეორეთა შორის მიმართების მსგავსია. ამ ანალოგიაზე დაყრდნობით ვინმე პითაგორელს რომ დაესკვნა, მნათობები რიცხვებიაო, იგი ნიუტონის ფორმულირებაში სწორედ იმას შეიტანდა, რაც ლოპე დე ვეგამ ბროლის შუბსა და შადრევნის ჭავლს შორის არსებული ნაწილობრივი, მაგრამ სრულიად რეალური იგივეობის მტკიცებას შესძინა. მეცნიერული კანონი ორი ობიექტის აბსტრაქტული კომპონენტების იგივეობის კონსტატირებით იფარგლება; პოეტური მეტაფორა ორი კონკრეტული ნივთის სრულ იგივეობას ამტკიცებს.

ეს ყველაფერი ნათელყოფს, რომ მეცნიერული აზროვნება მეტ-ნაკლებად მსგავსია პოეტურისა. მათ შორის განსხვავების მაჩვენებელია არა იმდენად სააზროვნო ოპერაციების ხასიათი, რამდენადაც მათი რეჟიმი და მიზნები. ეს აზრი შეიძლება გავავრცელოთ მეტაფორულ აზროვნებაზეც. იგი ყველგან გვხვდება, მაგრამ მეცნიერებაში მისი მიზანი განსხვავებულია მისი პოეტური დანიშნულებისაგან. პოეზიაში მეტაფორა, ორი ობიექტის ნაწილობრივი მსგავ-

* სილვა — სალექსო ფორმა.

ხების საფუძველზე, ახდენს მათი სრული იგივეობის ყალბ მტკიცებას. სწორედ ჭეშმარიტების საზღვრების დამრღვევი ეს გადაჭარბება ანიჭებს მას პოეტურ ძალას. მეტაფორის სილამაზე ბრწყინვას იწყებს მაშინ, როცა მისი ჭეშმარიტობა მთავრდება. და პირიქით, არ შეიძლება არსებობდეს პოეტური მეტაფორა, რომელიც არ აღმოაჩენდა რეალურ ერთობას. გაიანალიზეთ ნებისმიერი მეტაფორა და თქვენ მასში იხილავთ ორი ობიექტის საზღვრებში აბსტრაქტული კომპონენტების ერთობ ნათელ პოზიტიურ, უფრო მეტიც, მეცნიერულ, დამთხვევას.

მეცნიერება მეტაფორით სარგებლობის ინვერტირებას ახდენს. იგი იწყებს ორი, უსათუოდ განსხვავებული, ობიექტის სრული გაიგივებით, რათა მათი ნაწილობრივი მსგავსების დასაბუთებამდე მივიდეს, რაც მიღებული იქნება სწორედ, როგორც ჭეშმარიტება. მაგალითად, ფსიქოლოგმა, რომელიც საუბრობს el fondo del alma-ს შესახებ, მშვენივრად იცის, რომ სული არაა ფსკერის მქონე ჭურჭელი. მაგრამ ის გვაგებინებს, რომ არსებობს რაღაც ფსიქიკური შემადგენელი, რომელიც სულის სტრუქტურაში იმავე როლს ასრულებს, რასაც ფსკერი — ჭურჭელში. პოეზიის საპირისპიროდ, მეცნიერული მეტაფორა ვითარდება უფრო ძლიერი მტკიცებიდან უფრო სუსტისკენ, დიდიდან მცირისკენ. თავდაპირველად იგი ამტკიცებს სრულ იგივეობას, შემდეგ უარყოფს, ხოლო დასასრულ ამ დროს ძალას ინარჩუნებს ობიექტთა გარკვეული ნაწილის მიმართ. საგულისხმოა, რომ აზროვნების განვითარების ერთობ ადრეულ სტადიაზე მეტაფორის სიტყვიერი გამოხატულება აშიშვლებდა ამ ორმაგ ოპერაციას — ჯერ მტკიცებას, შემდგომ — უარყოფას. როცა ვედების პოეტს სურს თქვას: „მტკიცე, როგორც კლდე", ის ამბობს: Sa parvato na acyutas (ლათინურად, ille firmus non rupes) — „მტკიცე, მაგრამ არა კლდე". სწორედ ასე, ქრისტიანულ საგალობელთა მგალობლის მიერ ხასიათდება, როგორც „ტკბილი, მაგრამ არა ხაჭველი"; შეადარეთ, აგრეთვე, „ბლაგვეულიანი, მაგრამ არა ხარი" (ნაკადის შესახებ), „ვეთილი, მაგრამ არა მამა" (მეფის შესახებ).

გმირში არის რაღაც ისეთი სულიერი თვისება, რომელიც სხვა თვისებებთან ერთად ქმნის მის მთლიან და სრულიად კონკრეტულ სახეს. საჭიროა დიდი ძალისხმევა, რომ მისი ეს თვისება გამოცალკევდეს და მოაზრებულ იქნეს, როგორც ასეთი. ამ მიზნით, ვედების პოეტის კვალად, ის შეიძლება კლდეს შევადაროთ. კლდის სიმტკიცე ჩვენთვის კარგადაა ცნობილი; ამ ცნებაში ჩვენ ვპოულობთ რაღაც საერთოს გმირის სულიერ თვისებასთან. ჩვენ თითქოს ვამთლიანებთ გმირსა და კლდეს. შემდეგ კი გმირს სიმტკიცის ნიშანს ვუტოვებთ და მის სახეს კლდის ყველა სხვა თვისებას ვუმოვაცლით.

იმისთვის, რომ რაიმე თვისება [illegible] აზრისთვის განკერძოებულ საგნად იქცეს, საჭიროა ნიშანი, რომელიც დააფიქსირებს [illegible]ბელი ძალისხმევის რეზულტატ[illegible]ებულ-მყოფს მას და საიმედო ნიშით უზრუნველყოფს. სახელები, წერითი ნიშნები, განამტკიცებენ კონკრეტულ ცნებათა დანაწევრების შედეგად მიღებულ, აბსტრაქტულ ობიექტებს. თუ აზროვნების ობიექტის ერთობ უჩვეულოა, ჩვენ ჩვეულებრივ ნიშნებს ვეყრდნობით და, მათი შეერთებით, ობიექტის კონტურებს მოვინიშნავთ.

ჩვენი დამწერლობა ჩინურზე უფრო პრაქტიკულია, რადგან იგი წმინდა მექანიკურ პრინციპებს ემყარება, მასში ყოველ ბგერას თავისი ნიშანი აქვს; მაგრამ რამდენადაც იგი თავისთავად არაფერს აღნიშნავს, ჩვენი დამწერლობა არანიშნადია. ჩინური დამწერლობა ცნებებს უშუალოდ აღნიშნავს. იგი აზრის მდინარების უფრო ზუსტად ამსახველია. წერო ან აკვთნო ჩინურად — ნიშნავს, იფიქრო. ჩინური იეროგლიფები ჩვენს ორთოგრაფიულ ნიშნებზე უფრო ზუსტად აღადგენს აზროვნების პროცესს. მაგალითად, როცა სევდის აღმნიშვნელ ნიშანს ვერ მიაგნო, ჩინელმა ორი იდეოგრამა შეაერთა, რომელთაგან ერთი „შემოდგომას" აღნიშნავდა, ხოლო მეორე — „გულს". სევდა დაფიქსირდა, როგორც „გულის შემოდგომა". არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩინელებისთვის საჭირო შეიქნა, როგორღაც აღენიშნათ მათთვის ახალი ცნება „რესპუბლიკა". ორმოცდაათი საუკუნის განმავლობაში ჩინეთში პატრიარქალური მონარქია ბატონობდა. გადაწყვიტეს, რესპუბლიკის უცნობი ცნება სხვადასხვა იეროგლიფთა კომბინაციით აღენიშნათ: ასე გაჩნდა იეროგლიფთა შენაერთი „საერთო-თანხმობა-სახელმწიფო". რესპუბლიკის ცნება ჩინელებმა გაიაზრეს, როგორც საერთო თანხმობაზე დაფუძნებული არამკაცრი მმართველობა.

მეტაფორა იდეოგრამათა რაღაც ისეთ შენაერთს წარმოადგენს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვაკერძოოთ აზრისთვის ძნელადმისაწვდომი აბსტრაქტული ობიექტები და მათ თვითმყოფადობა მივანიჭოთ. ამიტომ იგი მით უფრო აუცილებელია, რაც მეტად შორდება ჩვენი აზრი ჩვეულებრივი ცხოვრების კონკრეტულ საგნებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანური გონება ყალიბდებოდა ადამიანის ბიოლოგიურ საჭიროებათა თანდათანობით დაკმაყოფილების პროცესში. იგი ჯერ ადამიანის გარემომცველ კონკრეტულ საგნებს ეუფლება და მათზე წარმოდგენას იქმნის. მათით გამოწვეული ინტე-

ლექტუალური რეაქციები კარგადაა დამუშავებული. როცა გონებრივი დაძლიულობა იწყება, ფიქრს კონკრეტული საგნებისკენ მივმართავთ და ასე ვისვენებთ. ცოცხალი ორგანიზმიდან მისი ფსიქიკური კომპონენტის გამოყოფა დიდ ძალისხმევას და ჯერაც შეუჩვეველი აბსტრაქციების მოშველიებას საჭიროებს. ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი კარგად უნდა იყვნენ გავარჯიშებული ფსიქიკურ ფენომენებზე დაკვირვებაში. რაც არ უნდა დავარქვათ იმ მოვლენების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ცნობიერებას — გონი თუ ფსიქიკა, — ნათელია, რომ ისინი ჩვენს სხეულთან ერთიანობაში არსებობენ და მათი იზოლირების მცდელობა, როგორც წესი, შედეგად გონის მატერიალიზაციას იძლეოდა. რამდენჯერ მოუწადინებია ადამიანს იმ ინტიმური ფსიქიკური შინაარსის განკერძოება, რომელსაც თავის თავში აღმოაჩენდა, და ამ დროს ყოველთვის გულისხმობდა, რომ ეს შინაარსი ყველა სხვა ცოცხალ არსებაშიც მოქმედებს. პირის ნაცვალსახელთა წარმონაქმნი სწორედ ამ წადილთა ისტორიის შესახებ მოგვითხრობს და წარმოაჩენს, როგორ ფორმირდებოდა „მე"-ს იდეა გარეგნულიდან შინაგან ატრიბუტებზე გადასვლის გზით. „მე"-ს ნაცვლად თავდაპირველად ითქმოდა „ჩემი სხეული", „ჩემი ხორცი", „ჩემი გული", „ჩემი მკერდი". ახლაც, როცა „მე"-ს წარმოვთქვამთ ემფატიკურად, მაშინვე მკერდზე დავიდებთ ხოლმე ხელს. და ამ ჟესტში „მე"-ს შესახებ უძველესი „სხეულებრივი" წარმოდგენაა შენახული. ადამიანი საკუთარი თავის შემეცნებას თავის კუთვნილებათა დახმარებით იწყებს. კუთვნილებითი ნაცვალსახელები წინ უსწრებდნენ პირის ნაცვალსახელებს: „ჩემი" უფრო ადრე გაფორმდა, ვიდრე — „მე". მოგვიანებით „ჩვენი" კუთვნილებიდან აქცენტი გადმოდის ჩვენს სოციალურ პიროვნებაზე, თვად ჩვენზე. „მე"-ს წარმომადგენელი ხდება ჩვენი სოციალური სახე, ადამიანი საზოგადოებაში, რომელიც პიროვნების მეტ-ნაკლებად პერიფერიული ნიშნებით ყალიბდება. იაპონურ ენაში არ არსებობს მხოლოობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები. მოსაუბრე საკუთარ თავს ასეთი საშუალებების გამოყენებით ასახელებს: „არარაობა", „ბრიყვი", ხოლო მეორე პირის ნაცვალსახელების ნაცვლად ის იტყვის: „საპატიო პირი", „უმაღლესობა" და ა. შ. საკუთარი თავის შესახებ იგი მესამე პირით საუბრობს, როგორც — გარემომცველ სამყაროში არსებული საგნის შესახებ. ნებისმიერ სიტუაციაში ეტიკეტი აწესებს, ამ თითქოსდა გარეშე ობიექტებიდან ვინ უნდა აღინიშნოს როგორც „არარაობა" და ვინ — როგორც „საპატიო პირი". ხუპას ტომის ჩრდილოამერიკელი ინდიელების ენაში მხოლოობითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელის ვარიანტი ხდება იმის მიხედვით, ბავშვს გულისხმობენ თუ მოხუცს. [illegible] უნდა ითქვას: ისეთი ტიპის მიმართვები, როგორიცაა „თქვენო უმაღლესობავ", „თქვენო უდიდებულესობავ", „თქვენო [illegible]", [illegible] წინ უსწრებდნენ „მე"-ს [illegible]ლება.

გასაკვირი არაა, რომ ლექსიკა შეიცავს იმ სიტყვების მცირე რაოდენობას, რომლებიც თავიდანვე ფსიქიკის ფენომენებს აღნიშნავდნენ. თითქმის მთელი თანამედროვე ფსიქოლოგიური ტერმინოლოგია წმინდა მეტაფორაა. კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვები მომართულნი არიან საიმისოდ, რომ ფსიქოლოგიური თანმიმდევრობის მოვლენები აღნიშნონ.

მაგრამ ის შინაგანი არსი, რომელიც ჩვენი სხეულისგან განყენებულად წარმოდგენასაც ვცდილობთ, ჯერაც შედარებით კონკრეტულია. არსებობენ გაცილებით აბსტრაქტული და ბუნდოვანი ობიექტები, რომელთა ჩამოყალიბებისთვის მეტაფორა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ობიექტის შესახებ მკაფიო წარმოდგენის შესამუშავებლად საჭიროა აზროვნებით მისი იზოლირება, გამიჯვნა გარემოსგან. ამიტომაა, რომ ჩვენთვის ცვალებადის აღქმა უფრო იოლია, ვიდრე — უცვლელის. ცვალებადობა რეორგანიზებას ახდენს იმ კომპონენტებს შორის, რომლებიც სხვა კომბინაციებში იღებენ მონაწილეობას. ნოტიო ხან სიცივეს შეესაბამება, ხან — სითბოს. როცა ობიექტი პირველადი კომბინაციებიდან ამოვარდნას განიცდის, რჩება განსაზღვრული ფორმის ცარიელი ადგილი, რომელიც მსგავსია მოზაიკაში იმ ადგილის, სადაც რომელიმე დეტალი ამოვარდნილია.

შედეგად ვღებულობთ, რომ ობიექტის წვდომისას არსებული სიძნელეები იმ კომბინაციების რაოდენობის პირდაპირპროპორციულად იზრდება, რომლებში ჩართვაც შეუძლია ობიექტს: რამდენადაც მეტია ობიექტის კომბინაციები, იმდენად ძნელი ხდება მისი გამიჯვნა და გაგება. მისი გამუდმებული თანხლება აჩლუნგებს ჩვენს აღქმას.

წარმოვიდგინოთ ობიექტი, რომელიც უცვლელად შედის ყველა სხვა ობიექტის შემადგენლობაში, ამ ობიექტთა სამუდამო ნაწილია; მათი მუდმივი ინგრედიენტი, მსგავსი წითელი ძაფისა, რომლითაც ნიშანდებულია ინგლისის სამეფო ფლოტის ყველა ტელეგრამა. ასეთი ყველგან თანმხლები, უნივერსალური, აუცილებელი და მოუცილებელი ობიექტი დიახაც არსებობს. ესაა ცნობიერება.

ჩვენ ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რაც არაა ჩვენს ცნობიერებაში. ნებისმიერი ორი

ობიექტი, რომელთაც ერთმანეთთან თითქოს არაფერი აქვთ საერთო, ერთნაირადაა ნიშანდებული იმით, რაც თან ახლავს ერთი სუბიექტის ცნობიერებას. იოლად გასაგებია, რაოდენ რთულია ამ უნივერსალური, საყოველთაო და გარდუვალი ფენომენის — ცნობიერების — მოხელთება, აღწერა და განსაზღვრება. მხოლოდ ცნობიერების წყალობით შეგვიძლია, ვიცოდეთ, რომ სხვა საგნებიც არსებობენ. ცნობიერება ქმნის ამ აქტს და თავადვე იქმნება მათით. იგია უთუო დანამატი ყველაფრის, რასაც ჩვენ აღვიქვამთ და რაზეც ვფიქრობთ. ნებისმიერი საგნისა და მოვლენის ერთსახოვანი, მოუშორებელი და განუყრელი თანამგზავრი... იმის წყალობით, რომ ტენიანობა ხან სიცივეს ერწყმის და ხანაც — სითბოს, ჩვენ შევძელით ამ თვისებათა გამორჩევა ერთმანეთისგან. მაგრამ როგორ განვსაზღვროთ, რას წარმოადგენს ცნობიერება, თუ ის მონაწილეობს ყველაფერში, რასაც ჩვენ აღვიქვამთ? ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ვერანაირად მეტაფორას გვერდს ვერ ავუვლით.

სუბიექტსა და ობიექტს შორის უნივერსალური დამოკიდებულების — გასაცნობიერებელი დამოკიდებულების — გაგება შეიძლება მხოლოდ ობიექტებს შორის რაღაც სხვა ურთიერთდამოკიდებულებასთან მისი შედარების გზით. ასეთი შედარების შედეგად მივიღებთ მეტაფორას. ჩვენთვის უკვე ხელმისაწვდომი კერძო ურთიერთდამოკიდებულების საშუალებით უნივერსალური მოვლენის განმარტებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოპერირებას ვახდენთ მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული მეტაფორით. ამ განსხვავებულ ობიექტებს შორის იგივეობის ურთიერთობა არ უნდა დავამყაროთ ისე, როგორც ეს პოეზიაში კეთდება. გაიგივების საშიშროება აქ ერთობ დიდია, რადგან ცნობიერებაზე წარმოდგენებითაა განპირობებული სამყაროს ჩვენეული კონცეფცია, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ჩვენს მორალს, ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს ხელოვნებას. გამოდის, რომ სიცოცხლით სავსე სამყაროს ეს უზარმაზარი შენობა მეტაფორის პაწაწინა და მსუბუქ სხეულს ეყრდნობა.

მართლაც, ორი უდიდებულესი ისტორიული ეპოქის — შუა საუკუნეებში გადასული ძველი მსოფლიოსა და აღორძინებით დაწყებული ახალი დროის — ადამიანური გონება იკვებებოდა ორი შედარებით, ესქილე იტყოდა, — ორი სიტყვის ჩრდილით. ეს ორი დიდი ფილოსოფიური მეტაფორა, პოეტური თვალსაზრისით, უბადრუკია.

როგორ ესმოდა ძველ ადამიანს ის განსაცვიფრებელი ფაქტი, რომ გარემომცველი საგნები სრულიად განსხვავებულ სახეთა უთვალავ რაოდენობას ფლობენ. განვმარტოთ პრობლემის არსი. ვათვალიერებთ გუადარამას მთიან ქედს, რომლის სიმაღლე დაახლოებით ორი ათასი მეტრია, მთები გრანიტოვანი აგებულებისაა და მოცისფრო და ლილის ფერი აქვს. ცნობიერება ამ პარამეტრებს [illegible] მას არ გააჩნია არც განუზომელი [illegible] ფერი, არც — სიმაგრე. ამგვარად, ობიექტისა და სუბიექტის თვისებები არ თანხვდება, ისინი ერთმანეთს განიზიდავენ, მათ შორის არ შეიძლება წარმოიშვას რამენაირი ურთიერთობა, თუ არ ჩავთვლით ურთიერთგამორიცხვის ურთიერთობას. ამ დროს, აღქმის მომენტში, ობიექტი და სუბიექტი დადებითად ურთიერთზემოქმედებენ; უფრო მეტიც, ისინი თითქოსდა ერთიანდებიან ისეთი ფენომენის არსებობას, როგორიც ცნობიერებაა, მივყავართ დასკვნამდე, რომ ურთიერთობის ორ აბსოლუტურად განსხვავებულ ტერმინს იგივეობის წარმოქმნა შეუძლია. ეს შეიცავს წინააღმდეგობას და წარმოშობს პრობლემას. ასეთი წინააღმდეგობის პირისპირ ჩვენი გონება იბნევა. იგი მტკიცებიდან, რომ A არის B, აწყდება მტკიცებას, რომ A არ არის B, და პირიქით, და ასე — უსასრულოდ. ეს მერყეობანი გონებას ღლიან, სიმშვიდეს და წონასწორობას უკარგავენ. მოჯადოებულ წრეს რომ თავი დააღწიოს, გონება ცდილობს, გადალახოს წინააღმდეგობა, ე. ი. პრობლემა გადაწყვიტოს. რა ვთქვათ წყალში ჩაშვებული ჯოხის გამო, — სწორია იგი თუ არა? ყოფნა-არყოფნა: აი, ესაა პრობლემის მთელი არსი. „ყოფნა — არყოფნა: საკითხავი, აი, ეს არის".

ამ კითხვასაც ასე ვთქვათ, ორი იარუსი აქვს. ის ფაქტი, რომ ჩვენ შევიცნობთ, აღვიქვამთ ობიექტს, უეჭველად შემდეგზე მეტყველებს: ეს ობიექტი (ჩვენს შემთხვევაში, მთა) ჩვენში „მდგომარეობს". მაგრამ რა გზით უნდა შემოვიდეს ორიათასი მეტრის სიმაღლის მთა ცნობიერებაში, რომელიც სულაც არაა სივრცე? პირველი რიგის საკითხი იმის გაგებას გულისხმობს, თუ როგორაა შესაძლებელი ცნობიერებაში ობიექტთა არსებობა.

მეორე რიგის საკითხი ეხება ცნობიერებაში ობიექტთა შემოსვლის მექანიზმს, მიზეზებსა და პირობების ახსნას. პრობლემის ეს ორი მხარე უნდა გაიმიჯნოს. არც ძველი, არც ახალი მსოფლიო ამას არ აკეთებდა. ისინი ერთმანეთში ურევდნენ თავად ფენომენის აღწერას და მის ახსნას. ვინმემ რომ გვკითხოს: „რა კაცია ხუანი?", ჩვენ, ვიდრე ვუპასუხებდეთ, შევეცდებით გავარკვევას, თუ ვინ არის ხუანი. ვიდრე ესპანეთში მიმდინარე მოვლენების მიზეზთა შესახებ ვიმსჯელებთ, სასურველია იმის გამორკვევა, მაინც რა ხდება კონკრეტულად.

ძველი დროის ადამიანისთვის სუბიექტსა და

მის მიერ აღქმულ ობიექტს შორის ურთიერთობა ანალოგიურია ორ ფიზიკურ საგანს შორის ურთიერთობისა, რომელთაგანაც ერთი, მეორესთან შეხების დროს, მასზე თავის დაღს ტოვებს. ცვილის ზედაპირზე თავისი სათუთი ანაბეჭდის დამამჩნეველი ბეჭდის მეტაფორა ღრმად გაჯდა ელინთა ცნობიერებაში და მრავალი საუკუნით განსაზღვრა ფილოსოფიურ იდეათა განვითარება. უკვე პლატონის „თეეტეტში" საუბარია (ekmageion)-ის, ესე იგი გასანთლული დაფის შესახებ, რომელზეც დამწერი წვერიანი საგნით აღადგენს ასოების მოხაზულობას. ეს სახე, არისტოტელის მიერ გამეორებული ტრაქტატში „სულის შესახებ" (წიგნი III, თავიIV), თავს გვახსენებს მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ჩვენ მას ვხვდებით პარიზშიც და ოქსფორდშიც, სალამანკაშიც და პადუაშიც; მრავალი საუკუნეა უკვე, მასწავლებლები მას ყმაწვილურ ტვინებში ნერგავენ.

ამ ინტერპრეტაციის თანახმად, სუბიექტი და ობიექტი ორი ფიზიკური საგანია. ისინი სამყაროში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმყოფებიან და მხოლოდ ხანდახან შედიან ერთმანეთთან შემთხვევით კონტაქტში. ობიექტი არსებობს მანამ, სანამ ჩვენ მას ვხედავთ; იგი არსებობას განაგრძობს მაშინაც კი, როცა ჩვენი მხედველობის არეს ტოვებს; ცნობიერება ცნობიერებადვე რჩება მაშინაც, როცა მასში აზრი არაა და როცა იგი არაფერს აღიქვამს. თუ ცნობიერება და ობიექტი ერთმანეთს ეხებიან, ეს უკანასკნელი მასზე თავის კვალს ტოვებს. გაცნობიერება — ესაა ანაბეჭდის აღება.

დახასიათებული მოძღვრების მიხედვით, სუბიექტსა და ობიექტს შორის არსებული ურთიერთობები რეალობის ფაქტს წარმოადგენს. ეს ურთიერთობები ისევე რეალურია, როგორც, მაგალითად; ორი ფიზიკური სხეულის შეჯახება. ამის გამო, ამ მოძღვრებას რეალიზმს უწოდებენ. ურთიერთობის ორივე ტერმინი ერთნაირად რეალურია — ობიექტიც და ცნობიერებაც, ასევე რეალურია თვით ეს ურთიერთობა. ერთი შეხედვით, ამ მოძღვრებაში, სუბიექტისა და ობიექტის სტატუსის განსაზღვრისას არავითარ წინასწარმოცემულობას ადგილი არა აქვს. მაგრამ დაკვირვებით განხილვისას ვამჩნევთ, რომ სუბიექტის როლი მიჩქმალულია. აღიარება იმისა, რომ მატერიალურ ობიექტს თავისი კვალის დამჩნევა შეუძლია არამატერიალურზე, ნიშნავს მათი ბუნების გათანაბრებას ანუ ცვილისა და ბეჭდის ანალოგიის სერიოზულობის ცნობას.

ასეთია მარცვალი, რომლიდანაც ძველი დროის რეალიზმის მსოფლმხედველობა ამოიზრდება. მისთვის „ყოფნა" ნიშნავს იმ ნივთთა სიმრავლეში არსებობას, რომლებიც ერთმანეთზე არიან დახვავებული და სამყაროს გრანდიოზულ შენობას აგებენ. სუბიექტი სხვა არაფერია, თუ არა ერთ-ერთი ამ მრავალ საგანთაგანი; იგი, დანტეს თქმით, „ყოფიერების ზღვაშია" ჩაძირული. მისი ცნობიერება პატარა სარკეა, რომელშიც არსებულის მოხაზულობანი ირეკლება. სამყაროს შესახებ ანტიკურ წარმოდგენაში „მე" არ თამაშობს დიდ როლს. ბერძნები ამ სიტყვით საერთოდ არ სარგებლობდნენ თავიანთ ფილოსოფიურ თხზულებებში. პლატონს, რომელიც თვლიდა, რომ ძალას ერთობა წარმოშობს, „ჩვენ"-ის თქმა ერჩივნა. ბერძნებიც და რომაელებიც ქცევის ნორმებს, ეთიკურ კანონს, კოსმოსთან ადამიანის შესაბამისობაში ეძებდნენ. სტოიკოსები, რომლებმაც კლასიკური ტრადიცია იმემკვიდრეს, ასწავლიდნენ „ბუნებასთან თანხმიერ ცხოვრებას", მის მსგავსად, მთლიანად და აუმღვრევლად ყოფნას. „მე", თვალდახუჭულის წინგაშვერილი ხელი (არისტოტელე პირდაპირ სულის შედარებას ახდენს ხელთან), სამყაროს გზებს მოსინჯავს და წინსვლისთვის აუცილებელ ბილიკს კვალავს.

აღორძინებამ, რომელიც არ წარმოადგენდა ანტიკურობასთან დაბრუნებას, როგორც მრავალი ამტკიცებს ყურმოკრულით, გადალახა ეს მოძღვრება. იგი სუბიექტსა და ობიექტს შორის ურთიერთობის ინვერტირებას ახდენდა.

ცვილით დაფარული დაფის სახე შეუთავსებელია ცნობიერებაზე აღორძინების ხანის წარმოდგენასთან. როცა ბეჭედი ცვილის ზედაპირზე თავის კვალს ტოვებს, ჩვენი მხედველობის არეში ერთდროულად ორი ობიექტია მოქცეული — ბეჭედი და ანაბეჭდი, და შეგვიძლია, ისინი ერთმანეთს შევადაროთ. გარდა ამისა, როცა გუადარამას მთის ჯაჭვს ვუმზერთ, მხოლოდ ის შთაბეჭდილება არსებობს, რომელსაც ის ჩვენში იწვევს, მაგრამ არა თვით საგანი. ამ თვალსაზრისით, ჰალუცინაცია არ განსხვავდება ნორმალური აღქმისგან. ამიტომ სარისკოა იმის მტკიცება, რომ ობიექტები ჩვენი ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობენ. მათი არსებობის შესახებ მხოლოდ მაშინ ვგებულობთ, როცა ისინი, ასე თუ ისე, ჩვენს ცნობიერებაში არსებობენ: როცა მათ ვხედავთ, წარმოვიდგენთ ან ვფიქრობთ მათ შესახებ. სხვა სიტყვებით: არ შეიძლება საკამათოდ იქცეს ის ფაქტი, რომ საგნები, რაღაც აზრით, ჩვენში იმყოფებიან; მაგრამ ყოველთვის საეჭვო და პრობლემატურია ჩვენ გარეშე მათი არსებობა. ამიტომ სიბრიყვეა უეჭველი ფაქტის გარკვევა საეჭვო დაშვებით. უთუო უტყუარობად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმის არსებობა, რაც ჩვენს ცნობიერებაში არსებობს. ნივთები, როგორც რეალობანი, კვდებიან, რათა აზრების სახით აღორძინდნენ. მაგრამ „აზრები"

სხვა არაფერია, თუ არ სუბიექტის მდგომარეობანი, „მე"-ს მდგომარეობანი, de moi même, qui me suis qu'une chose qui pense (ფრანგ. „თავად ჩემი, რომელიც მოაზროვნე ნივთია")*. ამ თვალსაზრისით, ცნობიერებამ ანტიკურის საპირისპირო ინტერპრეტაცია უნდა მიიღოს. ბეჭდისა და ცვილისზედაპირიანი დაფის მეტაფორის სანაცვლოდ მოდის ჭურჭლისა და მისი შიგთავსის მეტაფორა. ობიექტები ცნობიერებაში გარედან კი არ შემოდიან, არამედ ისინი თვით მასში იმყოფებიან; ესაა იდეები. ახალ მოძღვრებას იდეალიზმი ეწოდება.

მკაცრად რომ ვთქვათ, ცნობიერება ანუ გაცნობიერება გვარეობითი ცნებაა. არსებობს გაცნობიერების მრავალი სახე. მაგალითად, ხედვა ან მოსმენა, ანუ აღქმა, სულაც არაა იგივეობრივი წარმოსახვისა ან, უბრალოდ, რაღაცის შესახებ ფიქრისა. ანტიკური ფილოსოფია განცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გრძნობად აღქმას, რომლის პროცესშიც ობიექტი, რომელიც სუბიექტს უახლოვდება, მასზე თავის კვალს ტოვებს. ახალი დრო, საპირისპიროდ ამისა, წარმოსახვაზეა ორიენტირებული. მის კონცეფციაში ობიექტები კი არ მოძრაობენ სუბიექტის მიმართულებით, არამედ სუბიექტი თავად აღაგზნებს მათ თავის თავში. საკმარისია, მხოლოდ მოვკვინდეს, და არარაობიდან კენტავრს შევქმნით, რომელიც დაოთხილი, გაზაფხულის ქარით ფაფარ და კუდაშლილი, გაქროლდება და ზურმუხტისველებზე თეთრ ნიშფათა მოუხელთებელ აჩრდილებს დაედევნება. წარმოსახვა ქმნის და სპობს ობიექტებს, დეტალებისგან ამთლიანებს და ნაწილებად [illegible]. რაკი ცნობიერების შინაარსი მასში გარედან ვერ შევა — მართლაც, როგორ შეიძლება, ჩემში მთა შემოვიდეს? — იგი (ეს მთა) თავად სუბიექტში უნდა ჩაისახოს. ამგვარად, შემეცნება ხელოვნებაა.

ახალი დროისთვის დამახასიათებელია ხწორედ ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობებისადმი უპირატესობის მინიჭება. გოეთე პირველობას ანიჭებს „იუპიტერის მშფოთვარე და მარადიული სიყმაწვილით ნიშანდებულ ქალიშვილს — ფანტაზიას". ლაიბნიცმა სინამდვილე დაიყვანა მონადამდე, რომელიც ერთადერთ თვისებას ფლობს „რეპრეზენტაციის შესაძლებლობას, კანტის მთელი სისტემა ბრუნავს ღერძის გარშემო, რომელიც იქმნება წარმოსახვისადმი (Einbildungskraft) ადამიანის წინასწარი განწყობით. შოპენჰაუერმა გვაუწყა, რომ სამყარო ისაა, რასაც ჩვენ წარმოვიდგენთ, — ფანტასმაგორიული ფარდა, მოქსოვილი იმ სახეებით, რომლებიც მას კოსმოსურმა სიღრმეებმა გამოუგზავნეს. ვერც ახალგაზრდა ნიცშემ ახსნა სამყარო სხვაგვარად, თუ არა როგორც მოწყენილი ქალღმერთის თამაში. „სამყარო — ესაა ძილი და კვამლი მარადდაუკმაყოფილებლის თვალებში".

მაშ ასე, უეცრად ფორტუნა „მე"-სკენ საკუთარი სახით მობრუნდა. როგორც აღმოსავლურ ზღაპრებში ხდება, დატაკმა პრინცის სახით გაიღვიძა. ლაიბნიცმა გაბედა და ადამიანს პატარა ღმერთი უწოდა. კანტმა „მე" ბუნების უმაღლეს კანონმდებლად აქცია, ხოლო ფიხტემ, უჭიდურესობებისადმი თავისი მიდრეკილებით, გამოაცხადა, რომ „მე ყველაფერია".

* გასეტს მოაქვს დეკარტის სიტყვები „მეტაფიზიკური განაზრებებიდან": „მე — ესაა ნივთი მოაზროვნე, ანუ ეჭვქვეშ მყოფი, მამტკიცებელი, უარმყოფელი, ერთობ მცირედის მცოდნე და ბევრის არმცოდნე, მოყვარული, ზიზღის მქონე, მსურველი, არმსურველი, წარმომსახველი და მგრძნობიარე".

ეროვნული ბიბლიოთეკა